

კ.წ. გუბინკო, ლ.პ. ბოლოვიკო, ბ.ა. უილიმონოვი

**დასავლეთის სახელმწიფოთა
სისხლის სამართლის
პ რ ო ც ე ს ი**

თბილისი 2007

ნაშრომის საყრდენ ბაზას წარმოადგენს მკვლევარის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესის, მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის ფაქულტეტზე გამოყენებული სასწავლო პროგრამა და პირველწყაროდან მოპოვებული მასალები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტისათვის ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდებას დასავლეთის ქვეყნებში სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებისა და შესაბამისი სამართალდამცემი ორგანოების ორგანიზაციის შესახებ. ნაშრომში მოყვანილია უახლესი საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი აქტები გამოცემული ინგლისში, საფრანგეთში, აშშ-ში. გერმანიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში; ამ აქტების გამოყენების პრაქტიკა, სტატისტიკური მონაცემები, თანამედროვე დოქტრინული დასკვნები და განზოგადებები შესაბამის პრობლემებზე.

ნაშრომს მრავალმიზნობრივი დანიშნულება გააჩნია. იგი შეიძლება გამოიყენონ როგორც: სახელმძღვანელო სტუდენტებისა და დოქტორანტებისათვის, რომლებიც სპეციალიზირდებიან სისხლის სამართლის პროცესის მიმართულებით; წყარო მონაცემებისა, რომლებსაც გამოიყენებენ უმაღლეს იურიდიულ დაწესებულებათა დოქტორები; საშუალებად კვლევათა მასალა ან საცნობარო გამოცემა, რომელიც უტყუარ ინფორმაციას აწვდის პრაქტიკოს იურისტებს, დეპუტატებსა და სამართალმომქმედებითი ორგანოების თანამშრომლებს კონკრეტული პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას, კანონპროექტების შეხუშავეებისას.

რუსულიდან თარგმნეს:

სამართლის დოქტორი

ირინე ბოზაშვილი – თავი I; თავი II; თავი III §6, §7, §8, §9; თავი IV §6, §7, §8, §9, §10;

დოქტორანტი **თეა შაველაშვილი** – თავი III §1, §2, §3, §4, §5;

დოქტორანტი **ვახტანგ ხუციშვილი** – თავი IV §1, §2, §3, §4, §5;

სამართლის დოქტორი **ნინო გოგნაშვილი** – თავი V

სამეცნიერო რედაქტორი:

თსუ სრული პროფესორი, სამართლის დოქტორი **რევაზ გოგუშვილი**

რეკენზენტები:

პროფესორი, სამართლის დოქტორი **აპოლონ ფაღალაშვილი**
თსუ პროფესორი, სამართლის დოქტორი **ირინე აქუბარია**

ლიტერატურული რედაქტორი: ქეთევან შოკაშვილი

ნაშრომის ავტორები გულწრფელ მადლობას უხდიან

წიგნის ავტორებს: კ.ფ. გუცენკოს, ლ.ვ. გოლოვკოს, ბ.ა. ფილიმონოვს და გამომცემლობა «ЗЕРЦАЛО»-ს თარგმანის შესრულებასა და გამოცემაზე უფლების მინიჭებისათვის

Авторы представленной работы искренне благодарят авторов книги: К.Ф.Гуценко, Л.В.Головко, Б.А.Филимонова и издательство «ЗЕРЦАЛО» за предоставленное право на осуществление и издание перевода.

ს ა რ ჩ ე ვ ა

თავი I

სისხლის სამართლის პროცესი საზღვარგარეთის თანამედროვე სახელმწიფოებში: ზოგადი დებულებანი და განვითარების ძირითადი ტენდენციები.....	7
§1. სისხლის სამართლის პროცესის ცნება, სტრუქტურა და მისი სტადიები.....	7
§2. სისხლის სამართლის პროცესის ისტორიული ფორმები.....	11
§3. სისხლის სამართლის პროცესის წყაროები: ზოგადი დახასიათება.....	16
§4. მიდგომები სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების განსაზღვრებისადმი: ძირითადი ტენდენციები.....	28
§5. სისხლის სამართლის პროცესის დიფერენციაცია და პირველი ინსტანციის სასამართლოს შემადგენლობის ოპტიმალური ვარიანტების ძიება.....	41
§6. სისხლის სამართალწარმოების დაახლოებისა და პარპონიზაციის ტენდენცია.....	49

თავი II

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო.....	62
§1. სისხლის სამართლის პროცესის ცნება, მისი სტრუქტურა და სტადიები.....	62
§2. სისხლის სამართლის პროცესის წყაროები.....	68
§3 სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების განმახორციელებელი ორგანოები.....	83
§4. მტკიცებულებანი და მტკიცება: ამოსავალი დებულებანი.....	112
§5. წინასამართლო წარმოება სისხლის სამართლის საქმეზე.....	134
§6. სასამართლოში საქმის წინასწარი განხილვა.....	153
§7. საბრაოდებო აქტით დევნილ დანაშაულთა საქმეების გვირგვინის სასამართლოში განხილვა.....	166
§8. მაგისტრატების სასამართლოში საქმეთა განხილვა გამარტივებული (სუპარული) წესით.....	184
§9. სააპელაციო წარმოება.....	192

თავი III

ამერიკის შეერთებული შტატები.....	210
§1. სისხლის სამართლის პროცესის ცნება და მისი სტრუქტურის ზოგადი დახასიათება.....	210
§2. სისხლის სამართლის პროცესის წყაროები.....	220
§3. სისხლის სამართლის საქმეებზე სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოები.....	238

§ 5. წინასასამართლო წარმოება და საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენება.....	279
§6. სასამართლოში საქმის წინასწარი მოსმენა(PRELIMINARY EXAMINATION).....	304
§7. სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში.....	318
§8. გამარტივებული (სუმარული) წარმოება ნაკლებად საშიშ დანაშაულთა საქმეებზე.....	349
§9. აპელაცია და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა შემოწმების სხვა საშუალებები.....	353

თაზო IV

საზრანგეთის რესპუბლიკა.....	364
§1. სისხლის სამართლის პროცესის არსი და სტრუქტურა.....	364
§2. სისხლის სამართლის პროცესის წყაროები.....	368
§3. ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებას.....	375
§4. მტკიცებულებები და მტკიცება: ამოსავალი დებულებები.....	385
§5. მოკვლევის წარმოების წესი.....	399
§6. სისხლის სამართლებრივი დენის (საჯარო სარჩელის) აღძვრა.....	408
§7. წინასწარი გამოძიება.....	422
§8. სასამართლო განხილვა დანაშაულთა საქმეებზე(წარმოება ასიზების სასამართლოში).....	447
§9. გადაცდომათა და სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა სასამართლოში (წარმოება გამასწორებელ და საპოლიციო სასამართლოებში).....	469
§10. განაჩენთა გასაჩივრებისა და გადასინჯვის საშუალებები.....	483

თაზო V

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.....	496
§1 სისხლის სამართლის პროცესის ცნება, ამოცანები და პრინციპები.....	496
§2. სისხლის საპროცესო სამართლის წყაროები.....	506
§3. მტკიცება სისხლის სამართლის საქმეებზე: თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები.....	515
§4 სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებები.....	533
§5 წინასწარი გამოძიება.....	541
§6 სამართალში მიცემა. სასამართლო სისტემა და განსჯადობა.....	553
§7 სასამართლო განხილვა.....	557
§8 განაჩენის გასაჩივრება სააპელაციო და სარევიზიო წესით.....	580
§9 საქმის წარმოების განახლება კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენზე.....	586
§10 წარმოების განსაკუთრებული სახეები.....	591

სისხლის სამართლის პროცესი საზღვარგარეთის თანამედროვე სახელმწიფოებში; ზოგადი დებულებანი და განვითარების ძირითადი ტენდენციები

§1. სისხლის სამართლის პროცესის ცნება, სტრუქტურა და მისი სტადიები

სისხლის სამართლის პროცესი – როგორც ნაირსახეობა სამართალგამოყენებითი საქმიანობისა, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულთა და მათ ჩამდენ პირთა გამოვლენასთან და მათ მიმართ სამართლებრივი დანაწესებით გათვალისწინებულ ზემოქმედების ზომების გამოყენებასთან – ყველა ქვეყანაში ცნობილია უხსოვარი დროიდან. იგი, ისევე როგორც სახელმწიფო საქმიანობის სხვა სახეები, წარმოიშვა და ვითარდებოდა კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა დროში დამკვიდრებული მრავალი ფაქტორის ზემოქმედებით.

ასეთი ფაქტორების სპექტრი სავსებით ფართო და მრავალფეროვანია. ეს ფაქტორები იყო და არის: ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნიკური, ზნეობრივი, კულტურული, ბუნებრივი, გეოგრაფიული, მსოფლმხედველობითი, მათ შორის ფილოსოფიური, რელიგიური და მრავალი სხვა. კონკრეტულ ქვეყნებში თითოეული მათგანი სხვადასხვაგვარად, ინტენსიურობის არაერთგვაროვანი ხარისხით იჩენდა თავს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ, თავისი არსით, სამართალგამოყენებითი საქმიანობის ერთმა და იმავე სახემ სხვადასხვა ფორმები შეიძინა და ინარჩუნებს მათ (იხ. მოცემული თავი, §2) ამიტომ, დღემდე განსხვავებულად განიმარტება მათი შინაარსი და ცნებათა განსაზღვრებები.

დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია ცალსახად დავახანიათოთ სხვადასხვა ქვეყანაში მოცემული ასეთი სახის განსაზღვრებანი. შეუძლებელია, თუნდაც დაახლოებით, დავადგინოთ მათი ვარიანტების რიცხვი. „სისხლის სამართლის პროცესის“ („სისხლის სამართალწარმოების“) ცნების დეფინიციათა სიუხვე მეტწილად იმით აიხსნება, რომ სამართალშემოქმედებითი ორგანოები, როგორც წესი, ინტერესს არ იჩენენ (ეფიქრობთ, საკმაოდ დასაბუთებულად) განსახილველი ცნების ოფიციალური განსაზღვრებისა და განმარტების მიმართ.

ამ საკითხის გადაწყვეტა თითქმის მთლიანად მიწოდებული აქვთ იურისტებს, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესის შესახებ წერენ.

მათ შორის ფართოდ არის გავრცელებული ორიგინალური გადაწყვეტილებებისადმი მისწრაფება, რაც საეხსებოთ გასაგებია. თითოეული მათგანი, შეუდგება რა ამ თეორიულად და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი პრობლემის გამოკვლევას, ცდილობს გამოიყენოს რაღაც არასტანდარტული მიდგომები და გვთავაზობს ცნების მისეულ ხედვას, რომელიც, რა თქმა უნდა, განსხვავდება სხვა ავტორთა ხედვათაგან. ასეთი ტენდენციის არსებობის სინამდვილეში ადვილად დავერწმუნდებით შემდგომ თავებში მოყვანილ დეფინიციათა გაცნობისას.

ამ ტენდენციის გამო „სისხლის სამართლის პროცესის“ ცნებაზე დღეისათვის სხვადასხვა ქვეყნებში დამკვიდრებულ მიდგომათა განზოგადებული წარმოდგენა მხოლოდ მიახლოებითი შეიძლება იყოს. ზოგადად, ამგვარ მიდგომათა დახასიათებისას გამოიყოფა ამ ცნების მხოლოდ ძირითადი, ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებადი ნიშნები (ელემენტები). უფრო ხშირად ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ნიშნებზე:

- სახელმწიფო ორგანოების, ამ ორგანოთა თანამდებობის პირებისა და პროცესის მონაწილეებად წოდებული პირების (მოსამართლეების, სახელმწიფო ბრალდებულების, დეტექტივების, გამოძიებულების, დამცველების, ბრალდებულების და ასე შემდეგ) მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით;
- ურთიერთობებზე (სამართალურთიერთობებზე), რომლებიც წარმოიშობა (სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების) საქმიანობის განხორციელებისას და გამოვლინდება ასეთ ურთიერთობებში მონაწილე შესაბამისი ორგანოებისა და პირების უფლებებისა და მოვალეობების რეალიზებაში;
- საქმიანობისა და მის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობათა სავალდებულო, მაგრამ არა ყოველთვის ერთნაირად გაგებულ სამართლებრივ რეგლამენტაციაზე.

როგორც კონკრეტული განსაზღვრებებიდან დავინახავთ (რომლებიც ქვემოთ, კონკრეტული ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესის შესახებ თავებში იქნება მოყვანილი), ავტორთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ უპრიანი იქნებოდა სისხლის სამართლის პროცესის შინაარსის გახსნა კომპლექსურად, ზემოთ მოყვანილი სამივე ნიშნის (ელემენტის) გამოყენებით. მეორენი კი აქცენტს რომელიმე ერთ-ერთ მათგანზე ამახვილებენ, ვთქვათ, მხოლოდ სისხლის სამართლებრივ ურთიერთობებზე ანდა მხოლოდ საქმიანობაზე. ზოგი ავტორი არჩევს სისხლის სამართლის პროცესს შეხედოს არა როგორც ყველა ნიშან-თვისების

ერთობლიობას, არამედ მხოლოდ ორის, მაგალითისათვის, საქმიანობისა და სამართლებრივი რეგლამენტაციის, ერთობლიობას. შესაძლებელია მოყვანილი ნიშნების (ელემენტების) სხვა კომბინაციებიც.

სისხლის სამართლის პროცესის ცნების განსაზღვრისადმი არაერთ-გავროვანი მიდგომა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვაგვარად არის გაგებული მისი სტრუქტურა – ესე იგი ერთობლიობა და თანმიმდევრობა იმისა, რასაც რუსულ სისხლის სამართლის საპროცესო დოქტრინაში სტადიებს უწოდებენ. სხვადასხვაგვარადაა გაგებული ამ სტადიების შინაარსიცა და ამოცანებიც.

ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ უმრავლეს ქვეყნებში ფორმალურად არ ფიქსირდება სისხლის სამართლის პროცესის საწყისი მომენტი და მასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება არ არის გამოყოფილი რამე დამოუკიდებელ ეტაპად (სტადიად). უფრო ხშირად, წარმოება დაწყებულად ითვლება მას შემდეგ, როდესაც კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოში ამა თუ იმ სახით შევა ინფორმაცია ვინმეს საქციელზე ან რაიმე შემთხვევაზე, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს; როდესაც განხორციელდება თავდაპირველი მოქმედება შემოსული ინფორმაციის შესამოწმებლად, ფაქტობრივ მონაცემთა გამოსავლენად და შესაკრებად, რომლებიც შესაძლებელია სასამართლო მტკიცებულებად იქცნენ (სატელეფონო საუბრების მოსმენა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ექვმიტანილის დაპატიმრება და დაკითხვა, თვითმხილველთაგან ახსნა-განმარტებების მიღება, აგენტურის ჩანერგვა, ფარული თვალთვალის ორგანიზება და ასე შემდეგ).

სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება განიხილება როგორც საქმის სასამართლოში განხილვამდე განხორციელებულ მოქმედებათა კომპლექსი, რომელიც შედგება არა მხოლოდ მოქმედებებისაგან, რასაც ჩვენ საგამოძიებო მოქმედებებს ვუწოდებთ, არამედ ასევე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისაგან. სხვა სიტყვებით, საგამოძიებო მოქმედებებსა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შორის არ არის აღმართული „ჩინური კედელი“. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს შეიძინევა წინასასამართლო წარმოებაში იმ ქვეყნებისა, სადაც სისხლის სამართლის პროცესი აგებულია ანგლოსაქსონურ სამართლებრივ ტრადიციებზე.

უმრავლეს შემთხვევაში ჩვენს შეხედულებებს არ შეესაბამება, ასევე, სტადიათა სისტემის განსაზღვრისადმი დამოკიდებულება. ანგლო-საქსონურ ქვეყნებში, როგორც შეზღოვებულ თავეებში დავინახავთ, ფართოდ

არის გავრცელებული შესვლულია, რომ მთლიანობაში სისხლის სამართლის პროცესი იყოფა ოთხ ეტაპად (სტადიად):

- წინასამართლო წარმოებად (მასში როგორც წესი მოიაზრებენ საპოლიციო გამოძიებას და სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელი ორგანოების საქმიანობას სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში წარმართვამდე);
- საქმის წინასწარი განხილვა მოსამართლეებისა ან თანამდებობის სხვა პირების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ნებართვა გასცენ იმ მოქმედებებზე, რომლებზეც შესაძლოა შელახონ ან შეზღუდონ მოქალაქის ძირითადი უფლებები (მოყვანა, დაკავება, დაპატიმრება, ჩხრეკა), შეამოწმონ საქმის არსებითად განხილვისათვის საკმარისი მტკიცებულებათა არსებობა, განსაზღვრონ საქმის განსჯადობა, ხოლო როგ შემთხვევებში, მიიღონ გადაწყვეტილება ძირითად საკითხებზე – იმ პირის ბრალეულობის ან არაბრალეულობის შესახებ, რომელიც მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისმგებაში შედარებით მსუბუქი სიმძიმის დანაშაულისათვის;
- საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში (საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რომლებსაც რუსულ სისხლის სამართლის პროცესში სასამართლო სხდომის დანიშვნასა და საქმის არსებითად განხილვას უწოდებენ);
- განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება (აპელაცია), ხოლო ზოგჯერ, ასევე განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხთა სასამართლო გადაწყვეტა.

დასაშვებია გადახვევა მოცემული „სტანდარტიდან“. ხდება სტადიების „დანაწევრება“, ხშირად (მაგალითისათვის, იხ. მე-3 თავი, §1) ზოგიერთ სამართლებრივ წყაროში მითითებულია 10 და მეტი სტადია. ეს პირველ რიგში განპირობებულია იმით, რომ დასახელებულ ქვეყნებში, ხშირ შემთხვევაში, არ არსებობს სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა ძირითადი საკითხის მომცველი ისეთი აქტები, როგორებიცაა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები. სისხლის სამართლის პროცესის სტადიათა სახელწოდებებისა და რაოდენობის უნიფიკაცია არ ხდება არც იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, ვინაიდან ისინი შინაარსობრივად უეიდურესად განსხვავდებიან (იხ. მოცემული თავი, §3).

§2. სისხლის სამართლის პროცესის ისტორიული შიროშეპი

სისხლის სამართარშარშობის არსის თანამედროვე გაგებისაკენ მიმავალი გზა ხანგრძლივი და რთული იყო. თითოეული ქვეყანა თავისი გზით მისწრაფეოდა. წინა პარაგრაფში აღნიშნულ მრავალ ფაქტორთა გათვალისწინებით, რომლებიც კონკრეტულ ქვეყნებში მოქმედებდნენ, ყალიბდებოდა არაერთგვაროვანი წარმოდგენები, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო სისხლის სამართლის საქმის წარშობის საკვანძო საკითხები.

ასეთ საკითხებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება: მოსამართლისა და სასამართლოს საპროცესო მდგომარეობა სისხლის სამართლის საქმის განხილვისას; ბრალდებულისა და მისი დამცველის საპროცესო უფლებათა მოცულობა; ბრალმდებელის ან გამოძიების მწარშობელი პირის საპროცესო უფლებამოსილებათა ფარგლები; სისხლის სამართლის საქმეზე წარშობისას დაშეებულ მოქმედებათა განხორციელების თანმიმდევრობა; მტკიცების მიზნებისა და შინაარსის განსაზღვრა; მტკიცებულებათა შეფასება და ასე შემდეგ. ასეთი საკვანძო საკითხების გადაწყვეტისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა არსებითად მოქმედებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საპროცესო სისტემათა ზოგად დახასიათებაზე. თავის მხრივ, ეს საფუძველს გვაძლევს ვისაუბროთ პროცესის სხვადასხვა ფორშების არსებობის შესაძლებლობის შესახებ.

ბრალდებითი პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ მონათმფლობელურ პერიოდში ჩაისახა, განსაკუთრებით განვითარდა ფეოდალური საზოგადოების არსებობის პირველ ეტაპებზე. მისი დამახასიათებელი თვისება იყო ბრალმდებლის განსაკუთრებული მდგომარეობის აღიარება, რომლის როლშიც ხშირად დანაშაულისაგან დაზარალებული პირი გამოდიოდა. მის ნებაზე იყო დამოკიდებული საქმის აღძვრა და შეწყვეტა. მტკიცებულებათა სისტემა, რომელიც იმ დროისათვის ფართოდ გაურცელებულ ცრუ რწმენათა, რელიგიურ შეხედულებათა დიდი ზეგავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა მოიცავდა, ფიცის დადებას, ორთაბრძოლებს და სხვადასხვა სახის წამებას (ცეცხლით, წყლით, გახურებული რკინით და სხვა). სასამართლოს ანტერესებდა არა ჭეშმარიტება, არამედ დარწმუნება იმაში, რომ ბრალდებულს შესწევს უნარი გაუძლოს წამებას, ორთაბრძოლას, დაიფიცოს ისე, როგორც წესია და სხვა. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ასეთი ფორმა „მოსინჯულია“ პრაქტიკულად დღეს არსე-

ბულ ყველა ქვეყანაში, მხოლოდ სხვადასხვა დროს, ზოგან არღე, ზოგან – ოდნავ მოგვიანებით.

სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი, რომელიც, ისევე როგორც ბრალდებითი, მონათმფლობელურ საზოგადოებაში წარმოიშვა, ფართოდ გავრცელდა აბსოლუტიზმის ეპოქაში. მის აყვავებას უკავშირებენ იმ დროს, რომელიც ისტორიაში „კუდიანებზე ნადირობის“ ეპოქის სახელით შვეიდა, რომელსაც ეკლესია ახორციელებდა. სამართალწარმოების ასეთი ფორმა ფართოდ იყო გამოყენებული, ასევე, ყოფილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

სამძებრო (ინკვიზიციური) წესების თანახმად, მოსამართლეს, თავის ფუნქციებთან ერთად, იმავდროულად უნდა განეხორციელებინა გამომძიებლის, ბრალმდებელისა და გარკვეულწილად დამცველის ფუნქციები. ბრალდებულს არ ჰქონდა დაცვის უფლება. იგი მიჩნეული იყო არა პროცესის სუბიექტად (მონაწილედ), არამედ მის ობიექტად. საერთოდ არ იყო საუბარი დაცვის უფლებაზე, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით.

ასეთი პროცესისათვის ტიპური იყო ე.წ. *ფორმალურ მტკიცებულებათა* სისტემა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მტკიცებულებათა შუფასებასთან დაკავშირებულ მოქმედებათა მკაცრ რეგლამენტაციაში გამოიხატებოდა. მრავალრიცხოვანი მტკიცებულებითი წესები აბსტრაქტულად წინასწარ ადგენდნენ, რომ ბრალდებულის მიერ თავისი დანაშაულის აღიარება „მტკიცებულებათა დედოფალია“; რომ ქალს უფრო ნაკლებად უნდა დაუჯეროთ, ვიდრე – მამაკაცს, მდიდარს – უფრო მეტად, ვიდრე – ღარიბს; რაიმე კონკრეტული ფაქტები ან გარემოებანი უნდა დადგინდეს გარკვეული რაოდენობის მოწმეთა ჩვენებებით (არა ნაკლებ ორისა, სამისა და ასე შემდეგ). წამება არ ითვლებოდა მტკიცებულების მოპოვების დაუშვებელ მეთოდად. მათი გამოყენება ღიად იყო დაშვებული და წახალისებაც ხდებოდა საკანონმდებლო წესით, ვინაიდან წამება განიხილებოდა როგორც „მტკიცებულებათა დედოფლის“ მოპოვების მნიშვნელოვანი ხერხი. ზოგ ქვეყანაში კანონი მოითხოვდა, რომ მოსამართლეებს გამოეეღინათ ჭეშმარიტება, თუმცა მასში იგულისხმებოდა არა ფაქტების (გარემოებების) ობიექტურ ჭეშმარიტებასთან შესაბამისობა, არამედ მოსამართლის დასკვნები, რომლებსაც იგი კანონის მოთხოვნათა დაცვით აკეთებდა, რომლებიც აპრიორი წინასწარ ადგენდნენ მტკიცებულებათა კონკრეტულ სახეთა იურიდიულ ძალას.

სისხლის სამართალწარმოების ამ ფორმის მრავალი ინსტიტუტი უკიდურესად „სიცოცხლისუნარიანი“ აღმოჩნდა. ისინი არაერთხელაა

გამოყენებული XX საუკუნეში, განსაკუთრებით იქ, სადაც წარმოიშობოდა დიქტატორული და ტოტალიტარული რეჟიმები, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო განსხვავებული აზროვნებისა და დაუმორჩილებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მკაცრი ხერხები. მათი რუდიმენტები (მტკიცებულებათა ცალკეულ წყაროთა მტკიცებულებითი მნიშვნელობის ფორმალიზებისაკენ სწრაფვა, ბრალდებულის მიერ თავისი დანაშაულის აღიარებისათვის აშკარად გადაჭარბებული მნიშვნელობის ოფიციალური აღიარება, მტკიცებულებათა დასაშვებობის აპრიორული ფორმალიზებული კრიტერიუმების დადგენა, რომლებიც ზღუდავენ მოსამართლეთა და სხვა თანამდებობის პირთა მიერ მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების შესაძლებლობას და სხვა) განაგრძობენ თანამედროვე, პროგრესულ საპროცესო ინსტიტუტებთან თანაარსებობას სხვა ქვეყნებშიც, რომელთაც ხშირად „განვითარებული დემოკრატიული ტრადიციების მქონე“ „ცივილიზებულ“ ქვეყნებს უწოდებენ და სხვა.

შეჯიბრებითი პროცესი, რომელიც ბრალდებითისაგან განვითარდა, განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემების მქონე სახელმწიფოებში. მისი ე.წ. კლასიკური მოდელი (სქემა), რომლის ფართო პროპაგანდასაც ეწევიან დღეს, ეფუძნება იმ ამოსავალ დებულებას, რომ სისხლის სამართლის პროცესი — ეს არის სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ მოქალაქეს შორის დავა, რომელიც სასამართლოში ზორციელდება. ამგვარ დავაში ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობები აქვთ მინიჭებული მტკიცებულებათა შეკრების, წარმოდგენისა და გამოკვლევისათვის, მათი ანალიზისათვის, კონკრეტულ საქმეზე მისაღები მოსაზრებების გამოთქმისათვის და ასე შემდეგ. ითვლება, რომ ასეთი თანაბარი შესაძლებლობები მათ სრულად უნდა გააჩნდეთ როგორც საქმის სასამართლოში განხილვისას, ისე მის წინასასამართლო მომზადებისას (საპოლიციო გამოძიებისას).

ქვემოთ მოყვანილი მასალის მიხედვით, რომელიც შესაბამისი ქვეყნების პრაქტიკას შეეხება რთული შესამჩნევი არ არის, რომ მსგავსი „იდილია“ პრაქტიკულად მხოლოდ ქაღალდზე ან ცხოვრებას მოწყვეტილ ადამიანთა გონებაშია შესაძლებელი. ეს მხოლოდ ერთ-ერთი ილუზიათაგანია. რეალურად, როგორც ცნობილია, ყველგან და ყოველთვის მტკიცებულებათა გამოვლენა და შეკრება წარმოების დაწყების მომენტიდან საქმის სასამართლოში წარმართვამდე ითვლებოდა და ითვლება, რომ სპეციალურად მომზადებული (პროფესიონალების) საქმეა, რომელთა ზურგს უკან სახელმწიფო დგას თავისი ფართო

მატერიალური, ტექნიკური და ორგანიზაციული რესურსებით. ისინი სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირები არიან, რომელთაც, როგორც წესი, (ზუსტად იმ ქვეყნებში, რომლებიც ანგლოსაქსონური სამართლის ტრადიციებით ცხოვრობენ) არაქონ და არაფერი ავალდებულებთ იყვნენ ობიექტურნი. მათი საქმეა შეკრიბონ ძალიად გამამტყუნებელი მტკიცებულებანი, ვინაიდან ისინი სახელმწიფოს წარმოადგენენ, რომელიც სასამართლო დავაში უპირისპირდება ბრალდებულს და მისი დამნაშავეობის მტკიცების ტვირთი აკისრია. როგორც წესი, ეს ხორციელდება დევნილი პირისაგან ფარულად.

სისხლის სამართალწარმოების ანგლოსაქსონური მოდელის პროპაგანდისტებს პრინციპულად არ სურთ აღიარება, რომ ასეთი სისხლის სამართალწარმოებისას განხორციელებულ საპოლიციო გამოძიებისას მხარეთა შეჯიბრებითობის შესაძლებლობა კიდევ უფრო მეტად გამოირიცხულია, ვიდრე კონტინენტური სამართლებრივი სისტემების მქონე ქვეყნებში. საპოლიციო დეტექტივი ანდა პირი, რომელსაც სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელება ევალება (ამერიკელი პროკურორ-ატორნი, ანდა ინგლისელი გვირგვინის ბრალმდებელი, ასევე, მისი დაეალებით მოქმედი ადოკატ-წარმომადგენელი), არ არიან ვალდებულნი, ვიდრე საქმე არ გადაცემულა სასამართლოსათვის, თავიანთ საპროცესო მოწინააღმდეგეებს გააცნონ მათ წინააღმდეგ შეკრებილი მასალა სრული მოცულობით. ბრალდებულისათვის და მისი დამცველისათვის, უკეთეს შემთხვევაში, სასამართლომდე ცნობილია მხოლოდ ეჭვის არსი და ცოტა რამ გამამტყუნებელი მტკიცებულებების შესახებ. ამ სახის ყველა მტკიცებულების წარდგენა ხდება მხოლოდ სასამართლო განხილვისას.

ასეთი უთანასწორობის კომპენსირების მიზნით, ბრალდებულს განუმარტავენ, რომ მას აქვს უფლება ჩაატაროს „მისი“ პარალელური კონტრგამოძიება, რაც შესაძლებლობას მისცემს მას შეიარაღდეს გამოცდილი მოწინააღმდეგის წინააღმდეგ. ასეთი კონტრგამოძიება ვერაფერს მისცემს ბრალდებულს, როდესაც იგი არ არის ხელმისაწვდომი (ფინანსური მოსაზრებებით) ყველასათვის და ოითქმის ბრმად უნდა ჩაატარდეს.

ასეთი პაექრობისას შესაძლებლობათა თანასწორობა რეალურია მხოლოდ მაშინ, როდესაც პაექრობაში (შეჯიბრში) გამოძიებულს, დეტექტივს ან სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომელიც უფლებამოსილია განხორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა უპირისპირდება ის, ვისაც შესწევს უნარი გაიღოს მნიშვნელოვანი ხარჯები. რათა უზრუნ-

ველყოს თავის მხარეზე ამ თანამდებობის პირებისა და მათი თანამშემ-
წეების ტოლფასი საეკიპალისტების მოწვევა (შესაბამისი მომზადების
მქონე კერძო დეტექტივები, მაღალკვალიფიციური ექსპერტები და
სხვა). როგორც ცნობილია, ასეთი ხარჯებისათვის სახსრები თემიდას
„მკლავებში მოჭკეულთა“ მხოლოდ მცირე ნაწილს თუ გააჩნია (ამ
მიზნებისათვის საკმარისი მოცულობით ასეთი სახსრები, რა თქმა უნდა,
სახელმწიფოსაც არ აქვს).

სამართალწარმოების შეჯიბრებითი ფორმის პირობებში საქმის
(დავის) განხილვისას თეორეტიკოსები სასამართლოს „მიუკერძოებელი
არბიტრის“ როლს ანიჭებენ, რომელიც მხოლოდ აკვირდება, თუ რო-
გორ იცავენ დავის წესებს მოპაექრე მხარეები და განსაზღვრავს მათ
შორის მოგებულს. თუმცა ეს მხოლოდ თეორიულად. ფაქტობრივად
– სასამართლოს (პროფესიულ მოსამართლეს) საკმარად ფართო უფლე-
ბამოსილებანი გააჩნია, რაც დაკავშირებულია სასამართლო სხდომის
ხელმძღვანელობასთან, მისი შედეგების შეჯამებასთან, მტკიცებასთან, გა-
ნაჩინის კანონიერების, დასაბუთებულობისა და სამართლიანობის უზ-
რუნველყოფასთან და ასე შემდეგ (იხ. მოცემული თავი, §4 და მე-2,
მე-3 თავები).

სამართალწარმოების შეჯიბრებითი ფორმის პირობებში მტკიცებ-
ულებათა სისტემისა და მტკიცების აგებულების ერთ-ერთ დამახასია-
სებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მტკიცებულებათა შეფასე-
ბა დამოკიდებულია მოსამართლეთა შინაგან რწმენაზე და არა წინას-
წარ დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებზე. თუმცა, ეს თავისებურება
მნიშვნელოვანწილად დეკლარაციულია, ენაიდან იგი არ გამოირიცხავს
ზოგიერთ, ზოგჯერ სავსებით არსებით, ფორმალურ მტკიცებულებათა
ელემენტის შენარჩუნებას (ბრალდებულის მიერ თავისი დანაშაულის
აღიარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, მტკიცებ-
ულებათა დასაშვებობის, „მტკიცებულებათა სტანდარტების“ კრიტერი-
უმების ნორმატიული ფიქსაცია და სხვა).

ისტორიულად პროცესის ამ ფორმის ჩამოყალიბება შუა საუკუ-
ნების ინგლისში დაიწყო. შემდგომ იგი გაიზიარეს ინგლისის ყოფილ
სხვადასხვა კოლონიებში, სადაც იგი დღემდე მოქმედებს (მაგალითად,
აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში). როგორც ქვემოთ დავინახავთ, მისი
გავლენა, უფრო ხშირად მის თანამედროვე ამერიკულ ვარიანტში, რიგ
სხვა ქვეყნებშიც შეინიშნება.

შერეული პროცესის სახელწოდება წარმოსდგება იქიდან, რომ
მასში თითქოს შერეული აღმოჩნდა ზოგიერთი ელემენტები ინკვიზიცი-

ური პროცესისა წინასასამართლო სტადიებზე (საქვეყნობის თითქმის მთლიანად გამორიცხვა, ბრალდებულის დაცვის შესაძლებლობის შეზღუდვა, წარმოების წერილობითი ფორმა და სხვა) და შეჯიბრებითობისა – სასამართლოში (სხდომათა საჯაროობა, განსასჯელის დაცვის უფლების უზრუნველყოფა, განსასჯელისა და მისი დამცველის თანაწილობა ბრალმდებელთან, მათ შორის სახელმწიფო ბრალმდებელთან, მოსამართლეთა და სხვა თანამდებობის პირთა მიერ მტკიცებულებათა, როგორც წესი, შინაგანი რწმენით შეფასება და სხვა).

ფართოდ არის აღიარებული, რომ შერეულ პროცესს საფუძველი ჩაუყარა 1808 წლის საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, ხოლო შემდგომ იგი განვითარდა სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში (უპირატესად კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიაში, ბელგიაში). ამ უკანასკნელთა ზეგავლენით შერეული პროცესი გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც – ლათინური ამერიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის, აფრიკის ქვეყნებში. მან მნიშვნელოვნად წილად გავლენა იქონია, ასევე, რუსეთის სისხლის სამართალ-წარმოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე 1864 წლის სასამართლო რეფორმის მსვლელობისას.

§3. სისხლის საპროცესო სამართლის წყაროები: ზომადი ღახასიათება

საზღვარგარეთის თანამედროვე ქვეყნებში სისხლის საპროცესო სამართლის წყაროების შინაარსი, სახეები და იერარქია ასევე მნიშვნელოვანი ნაირსახეობით ხასიათდება, რაც განპირობებულია თითოეული ქვეყნისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენენ სამართლებრივ სისტემათა და კონკრეტული სამართლის დარგების (მათ შორის სისხლის სამართლის საპროცესო დარგის) ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. მაგალითად, იმ ქვეყნებშიც, სადაც მიღებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დანაწესებით ხელმძღვანელობა, პრაქტიკულად შეუძლებელია მოიძებნოს მთლიანად ერთმანეთის მსგავსი ასეთი სახის კანონები. იქ, ასევე, არ ხდება კონკრეტული სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტების აბსოლუტურად იდენტური საკანონმდებლო რეგულირება.

ამგვარი მრავალსახეობა არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ მოხდეს ქვეყნების დაჯგუფება მსგავსი მიღგომების მიხედვით სამართ-

ლებრივ წყაროთა (რომლებიც შეიცავენ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების წესებს და განსაზღვრავენ მის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს) წრის განმარტებისადმი და ასეთი წყაროების იურიდიული მნიშვნელობის, მათი ურთიერთშეფარდებისა და სავალდებულოობის ხარისხის შეფასებისადმი.

ზოგადად, ყველა ქვეყანა შესაძლებელია ორ შედარებით დამოუკიდებელ ჯგუფად დაყვით. პირველი — ქვეყნები, სადაც ისტორიულად დამკვიდრებულია ე.წ. კონტინენტური სამართლებრივი სისტემები, მეორე — ე.წ. ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემების მქონე ქვეყნები.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება კონტინენტური ევროპის ქვეყნები და, როგორც წესი, მათი ყოფილი კოლონიები — დღეს უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოები. აქ ძირითად, მაგრამ არა ერთადერთ, სისხლის სამართლის საპროცესო წყაროს წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, სადაც მოცემულია სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების წესთა ამომწურავი რეგლამენტაცია. წყაროთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ამ ქვეყნების ძირითად კანონებს — კონსტიტუციებს, სადაც, ჩვეულებისამებრ, გადაწყვეტილია მეტად პრინციპული პრობლემები პიროვნების უფლებათა გარანტიების, სასამართლოთა და სხვა სამართალდამცავ ორგანოთა ორგანიზაციისა და საქმიანობის საფუძვლების შესახებ. კონსტიტუციებისა და კოდექსების პარალელურად თითქმის ყველგან არსებობს სხვა კანონებიც და კანონქვემდებარე აქტებიც, რომლებიც, მეტად თუ ნაკლებად, მაინც შეეხება სისხლის სამართალწარმოებას. ამ ქვეყნებში დაუწერელი სამართლის ნორმებს (სასამართლო პრეცედენტებს), როგორც წესი, არ გააჩნიათ დომინირებული მნიშვნელობა: ადრე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებს (უფრო ზუსტად, მათგან გამომდინარე წესებს) უფრო ხშირად მიმართავენ, როდესაც ხდება კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით გამოყენებული კანონისა და კანონქვემდებარე აქტების ნორმათა განმარტება, მათი აზრისა და მნიშვნელობის დადგენა „მიმდინარე მომენტის“ კონკრეტულ პირობებში. სწორედ ამაში აისახება მათი მნიშვნელობა, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო წყაროებისა.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში არსებული ამ სახის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებისა და სხვა კანონების ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშანს მათი **სტაბილურობა** წარმოადგენს. ისინი გაცილებით ნაკლებად ექვემდებარება კონიუნქტურულ ცვლილებებს. სწორედ ეს ტენდენციაა გაბატონებული იმის მიუხედავად, რომ რიგ

ევროპულ ქვეყნებში XX საუკუნეში არაერთხელ ჰქონია ადგილი მოვლენებს, რომლებმაც რადიკალურად შეცვალეს მათი სოციალურ-პოლიტიკური სახე.

გერმანიაში, სადაც გასული საუკუნის მანძილზე ხალხმა საკუთარ თავზე გამოსცადა სხვადასხვა სახის პოლიტიკური რეჟიმები (კაიზერული იმპერია, საბჭოთა და ვეიმარის რესპუბლიკები, ჰიტლერის დიქტატურა, რასაც მოჰყვა ოკუპაციური მმართველობა, თანამედროვე რესპუბლიკა, რომელიც ოფიციალურად აღიარებულია სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოდ), დღემდე მოქმედებს 1877 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თავის არსებობის მრავალი წლის მანძილზე, ბუნებრივია, მან კორექტირება განიცადა, ზოგჯერ არსებითი (მაგალითად, 1924წ., 1950წ., 1964წ., 1975წ., 1987 წლებში), მაგრამ საფუძველი უცვლელი დარჩა (უფრო ვრცლად გფრ სსს კოდექსის შესახებ იხ. თავი მე-5, §2).

საფრანგეთში, 1808 წელს ნაპოლეონ I-ის მიერ დამტკიცებული პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 150 წელზე მეტ ხანს მოქმედებდა (ამ ხნის მანძილზე, როგორც ცნობილია, არაერთი რეჟიმი შეიცვალა, რომელთაც რესპუბლიკებს უწოდებდნენ), ესე იგი 1959 წლამდე, ვიდრე მას დღეს მოქმედი სსს კოდექსი შეცვლიდა.

ნიდერლანდებში, ნაპოლეონ I-ის მიერ თავს მოხვეული სსს კოდექსი მხოლოდ 1838 წლამდე მოქმედებდა, თუმცა მათ მიერ მიღებულმა „თაეისმა“ სსს კოდექსმა 88 წელი – 1926 წლამდე იარსება. აქ დღეს მოქმედი სსს კოდექსი უკვე 75 წლისაა.

იტალიაში დღეს მოქმედი სსს კოდექსი 1988 წელსაა მიღებული, ხოლო ძალაში შევიდა 1989 წლის 24 ოქტომბრიდან. მისი წინამორბედი თითქმის 58 წელს მოქმედებდა (1931 წლის 1 ივლისიდან).

დანიაში სისხლის სამართალწარმოება 80 წელზე მეტია რეგულირდება კანონით „მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“. თავისი არსით მას თამამად შეიძლება ეწოდოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. იგი გამოცემულია 1916 წელს და ძალაში შევიდა 1919 წელს. მის ბოლო განახლებულ რედაქციას პარლამენტმა მხარი დაუჭირა 1992 წლის 10 ნოემბერს.

„საპატიო ასაკს“ მიაღწია აგრეთვე თურქეთის სსს კოდექსმა, რომელიც 1929 წლიდან არსებობს. იგი თავისი არსებობის პირველ ეტაპებზე პრაქტიკულად მთლიანად შეესაბამებოდა 1877 წლის გერმანიის სსს კოდექსს. შემდგომში მასში არაერთხელ იქნა შეტანილი ცვლილებები, რის შედეგადაც გაუქმდა გამოძიების მოსამართლის თანამდებობა,

შემოღებული იქნა ე.წ. „აშკარა“ დანაშაულთა განხილვის გამარტივებული პროცედურა და სხვა.

ავსტრიაში პირველი სსს კოდექსი 123 წლის მანძილზე მოქმედებდა (1852 წლიდან 1975 წლამდე), საბერძნეთში – 117 წელი (1834 წლიდან 1951 წლამდე). ნორვეგიაში მოქმედებს 1887 წელს მიღებული სსს კოდექსი, ესპანეთში – 1882 წელს, ხოლო ლუქსემბურგში – 1808 წელს.

ბელგიაში 1808 წელს საფრანგეთიდან „შემოტანილი“ კოდექსი მოქმედებს, მაგრამ მოწოდება ახალი კოდექსის შემუშავებისა და მიღების შესახებ უკვე 1831 წლიდან მუდმივად გაისმის, თუმცა ისინი სრულდება ხოლმე მხოლოდ ნაწილობრივი (ზოგჯერ არსებითი) კორექტირებით (მაგალითად, 1923 წელს მოდიფიცირებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – სასჯელის ზომის საკითხი ამ ქვეყნებში აღარ წამოადგენს პროფესიონალი მოსამართლეების „მონოპოლიას“, მის გადაწყვეტაში მონაწილეობენ ასევე ნაფიცი მსაჯულები).

რუსული საზომების მიხედვით, სსს კოდექსის მოქმედების ასეთი ვადები სოლიდურ ასაკს წარმოადგენს, რამდენადაც რუსეთის ყველაზე „ასაკოვანი სსს კოდექსი“ („სისხლის სამართალწარმოების წესდება“) მხოლოდ 54 წლისაა (1864-1917 წლები). დღეს მოქმედი რსფსრ-ს სსს კოდექსი სავარაუდოდ 40 წელზე ოდნავ მეტ ხანს იარსებებს. ყოველ შემთხვევაში, აქტიური საუბრები იმაზე, რომ იგი თანამედროვეობას არ პასუხობს, მისი მიღებიდან 10-15 წლის შემდეგ დაიწყო. უკვე 80-იანი წლების შუა პერიოდისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმის მომზადებასთან დაკავშირებით ამოქმედდა ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ჯგუფი (არსებული სსრკ-ს უზენაეს სასამართლოსთან). 1991 წელს (ამ სსს კოდექსის მიღებიდან მხოლოდ 31 წლის შემდეგ) საქმოდ ხმაურიანი განცხადებები გაკეთდა მისი „რეაქციულობის“, „ტოტალიტარულობის“, „აშკარად მოძველებულობის“ და ა.შ. შესახებ, რის გამოც თითქოს საჭირო იყო მისი რადიკალური განახლება და რამე სხვა კოდექსით ჩანაცვლება. ამ ყველაფერს ძირითად ასაბუთებდნენ იმით, რომ შეიცვალა სოციალურ-პოლიტიკური პირობები და წარმოიშვა მოთხოვნილება „ცივილიზებულ სამყაროსთან ფეხდაფეხ სიარულისა“.

ცხადია, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სტაბილურობა არ ნიშნავს, რომ თავისი არსებობის მანძილზე ისინი არ განიცდიან რამე სახის ცვლილებას. სამართალგამოყენებითი პრაქტიკით ნაკარნახევი იყო ახალი გადაწყვეტილე-

ბანი, რომლებიც ასახადნენ კონკრეტულ ქვეყნებში ამა თუ იმ დროს შექმნილ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა ტენდენციებს და საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილებას. სისხლის სამართალწარმოების სრულყოფის პროცესი უწყვეტად მიმდინარეობდა. როგორც წესი, მისი შედეგი იყო სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების სულ უფრო პროგრესული რეგლამენტაცია, სისხლის სამართლებრივ კონფლიქტთა გადაწყვეტის ახალი, დამნაშავეობის სწრაფი ზრდით ნაკარნახევი ფორმების დანერგვა. ბრალდებულის, დაზარალებულის და სისხლის სამართლის საქმეზე წარმოებაში ჩართულ სხვა პირთა უფლებების გარანტიების გაფართოება. ზოგან ბოლო წლებში ახალი სისხლის სამართლებრივი კოდექსებიც მიიღეს. მაგალითად, პორტუგალიაში 1987 წელს გამოიცა ახალი სისხლის კოდექსი (იგი ძალაში შევიდა 1988 წლის 1 იანვრიდან, ამ თარიღის შემდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე), ხოლო 1988 წელს, როგორც ზემოთ აღინიშნა, 40-წლიანი დისკუსიებისა და მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ ახალი სისხლის კოდექსი მიიღეს იტალიაში.

თუმცა, როგორც ცნობილია, იყო წარუმატებლობებიც. ამის ერთ-ერთი შთამბეჭდავი მაგალითია – 1993 წელს საფრანგეთის სისხლის კოდექსის რადიკალური განახლების მცდელობა, რომელიც რეკომენდირებული იყო საუნივერსიტეტო პროფესორის მიერ ქვეყანაში არსებული სამართალგამოყენებითი პრაქტიკის გათვალისწინების გარეშე და, რომელიც პრაქტიკულად არ შედგა (იხ. თავი მე-4, §2). ეს მოვლენა კარგი გაკვეთილია არა მხოლოდ საფრანგეთის, არამედ სხვა ქვეყნების კანონმდებელთათვისაც. იგი ადასტურებს იმ ელემენტარულ წესს, რომ საკანონმდებლო საქმიანობისას, მათ შორის სისხლის სამართალწარმოების სფეროში, მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული რეალიები და არა კაბინეტური სქემები.

კონტინენტური ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლებრივ სამართლის წყაროთა დახასიათებისას ძირითადი როლია გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნებში ოფიციალურად არის აღიარებული სავალდებულოება საერთაშორისო დოკუმენტებში მოცემული ნორმების ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ სასამართლოებისა და სხვა ორგანოთა მიერ პირდაპირ გამოყენების თაობაზე. ასეთ დოკუმენტებს შორის ხშირადაა მოხსენიებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენცია, საერთაშორისო პაქტი ადამიანის საიმპორტო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, ევროპის კონვენცია წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოქცევის

ან სასჯელის წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე პროცესის მწარმოებელ ორგანოთათვის სავალდებულო ხასიათი შეიძინა გადაწყვეტილებებმა, რომელიც მიიღება ევროპის ადამიანის უფლებათა შესახებ სასამართლოსა და ევროპის საბჭოს ზოგიერთი სხვა ორგანოების მიერ.

ევროპის საბჭოსა და სხვა რეგიონალურ გაერთიანებასა ფარგლებში განხორციელებულმა ევროპის სახელმწიფოთა ინტეგრაციამ მნიშვნელოვნად განავითარა სისტემა რეგიონალური საერთაშორისო შეთანხმებებისა, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეზე სამართლებრივი დანშარების გაწვევის (ამ სიტყვების ფართო გაგებით) რეგლამენტაციას შეეხება. ასეთ შეთანხმებათა რიცხვს უნდა მიეკუთვნებოდეს, მაგალითად, უპირველეს ყოვლისა ევროპის კონვენცია პირის გადაცემის შესახებ (1957 წლის 13 დეკემბერი)¹, ასევე, მრავალი სხვა სახელმწიფოთაშორისო დოკუმენტი, რომლებიც აღიარებულია შესაბამისი ქვეყნების მიერ. ამ სახის დოკუმენტებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც ამ ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებს საშუალებას აძლევს დაიმყარონ უშუალო კონტაქტები სისხლის სამართლის საქმეზე წარმოებისას, განახორციელონ ერთობლივი ოპერატიულ-სამძებრო და სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებანი.²

ქვეყანათა მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან, როგორც აღვნიშნეთ, ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემების მქონე ქვეყნები. ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია ინგლისისა და აშშ-ში ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის პროცესი და მისი სამართლებრივი რეგლამენტაცია (უფრო ვრცლად ცნობები ამ ქვეყნების სისხლის სამართლის სამართლის წყაროების შესახებ იხ. თავი მე-2, §2 და თავი მე-3, §2).

მთლიანობაში, მათი სამართლებრივი სისტემები, როგორც ცნობილია, გამოირჩევა იმით, რომ ტრადიციულად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ დაუწერელი სამართლის ნორმებს (unwritten law)³, რომლებსაც მიეკუთვნებიან:

- ინგლისური ე.წ. საერთო სამართლის (common law) ნორმები

1 დასაბუთებული კონვენციები რატიფიცირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ - იხ. 1999 წლის 25 ოქტომბრის კანონები (რუსეთის ფედერაციის კანონთა კრებული, 1999, №43, გვ.5129 და 5132).

2 დამაშავუბასთან ბრძოლის ხელოვნობაში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე იხ. აგრეთვე მოკლეული თავი, §6

3 ამ ტერმინთან ურთოდ რუსულ და ინგლისურენოვან იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყენება სხვა ტერმინები - „общее право“ (common law) (ქართულად - საერთო სამართალი - იხ.).

და პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია გვირგვინის სასამართლოთა მიერ კონკრეტულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე (ამით ისინი სანქციონირებულია ქვეყანაში უმაღლესი ხელისუფლების მიერ) და რომლებიც ინგლისის კოლონიალური სიძლიერის პერიოდში დედამიწის სხვადასხვა კუთხეში გავრცელდა;

- **სამოსამართლო სამართლის ნორმები** (case law; judge made law), ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის ზეგავლენით მას შემდეგ, რაც მოხდა კოლონიების ავტონომიზაცია და მათი სრული გამოყოფა მეტროპოლიიდან. ისინი დღესაც ყალიბდება. დაუწერელი სამართლის ახალი პრინციპების, ნორმების ფორმირებისა და მათი ცხოვრების მიმდინარე მოთხოვნებისადმი მორგების პროცესი დღესაც მიმდინარეობს საკმაოდ აქტიურად და თავისებურად.²

„прецедентное право“ „судаваемое судами право“ (judge made law) (ქართულად – პრეცედენტული სამართალი, სასამართლოების მიერ შექმნილი სამართალი – იბ.), „судебное право“ (case law) (ქართულად – სამოსამართლო სამართალი – იბ.). თუქცა, არც „დაუწერილი სამართლის“ ტერმინი და არც დასახელებული სხვა ტერმინები ზუსტად არ გამოხატავენ განსახილველ მოვლენის არსს. ყველა ეს ტერმინი ფართო გაგებით გულისხმობს ქვეყნის წესთა (ნორმათა) ერთობლიობას, რომლებიც ჩამოყალიბებულია გამოქვეყნებული სასამართლო აქტების საყუთველზე (პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, ბოლო ხმრად – სააღიციო ინსტანციის დაღვნილებანი), რომლებშიც ასე თუ ისე გადაწყვეტილია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას შვგავს ფაქტობრივ გარემოებათა დაკემორებით წამოკრალი კონკრეტული საკითხები.

1 ასეთი სახის სასამართლოები იქნებოდა და ეთარღებოდა ქვეყნის ფეოდალური დაყოფის დაღივის მიზნით, საერთო (common), ერთანი და ერთგვაროქანი სამართლის სისტემის შექმნის აუცილებლობასთან დაკემორებით. სწორედ აქედან მიმდინარეობს მათ მიერ შექმნილი სამართლის სახელწოდება – საერთო სამართალი.

2 დაუწერილი სამართლის პრინციპებისა და ნორმების ფორმირების მექანიზმის გასარკვევად საყურადღებოა მაგალითისთვის, აშშ-ში მრავალი ათწლეულების წინათ დაკემორებული გამოვლილება. მიუხედავად გავრცელებული მოსაზრებისა, რომ ამ სახის პრინციპებისა და ნორმების ფორმულირებას მოსამართლეები ახდენენ მათ მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში, პრაქტიკაში ყველაფერი გაცილებით სხვაგვარად და პროზაიკულად ჩანს. თითონ მოსამართლეები – კონკრეტულ გადაწყვეტილებათა ავტორები – ამას ფაქტობრივად არ აკეთებენ და არც შესწევთ ამის უნარი, ვინაიდან, ანგლოსაქსონური სამართალწარმოების წესების მიხედვით, ისინი არ არიან ვალდებული, რომ თავიანთი გადაწყვეტილებანი ყოველთვის მოაქციონ ჩაზე განსაკუთრებულად გაუარბებული სასოცილი დაკემონტში (ვინაიქნები ან გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, სააღიციო ინსტანციის დაღვნილებანი), სადაც მოცემული იქნება დაღვნილი ფაქტების ურკელი აღწერა, მტკიცებულებათა ანალიზი, დასკვნების მოტივაცია და სხვა. კონკრეტულ საქმეზე ან აქვლიათზე მიღებული შუგაბმული გადაწყვეტილება, ჩვეულებრივად, ფორმირება სასამართლოქმში (უფრო ხმრად სასამართლო სხდომის სტენოგრაფიაში) მიის არსის მოკლე ჩანაწერის სახით. დაკემონტი, რომელიც სრულ წარმოდგენას იძლევა საქმეზე დაღვნილ ფაქტობრივ გარემოებათა და მათ დაამტკიცებულ მტკიცებულებათა შესახებ, სამართლებრივი შუგეების განსაზღვრის მოტივების შესახებ (ეთქათ, დანამბულის იურიდიული კვლიფიკაცია და სასჯელის ზომა), როგორც წესი,

დაუწერელი სამართლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, ცხადია, არ ნიშნავს ყველა სხვა წყაროს მისდამი სრულ დაქვემდებარებას, აქედან გამომდინარე, იმას, რომ სამართლის ანგლოსაქსონური სისტემების ქვეყნებში პარლამენტების მიერ მიღებულ კანონებს არ აქვთ არავითარი მნიშვნელობა.

როგორც ქვემოთ დაეინახავთ, ინგლისსა და აშშ-ში, ისევე როგორც ანგლოსაქსონური ჯგუფის (ოჯახის, ბლოკის) სხვა ქვეყნებში, მკაფიოდ გამოიკვეთა დაწერილი სამართლის დანიშნულების მნიშვნელოვნად შეცვლის პროცესი. აქ აქტიურად ვითარდება, უპირველეს ყოვლისა, კანონმდებლობა, მათ შორის სისხლის სამართალწარმოების სფეროში. წარმოადგენს რა დაწერილი სამართლის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, იგი სულ უფრო მძლავრად „უტყვეს“ „გავლენის სფეროებს“, რომლებიც ტრადიციულად დაუწერელ სამართალს ეკუთვნოდა. კერძოდ, ეს გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, ინ-

დება იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე, რომელსაც სურვილი აქვს ამ საქმეზე წარადგინოს აქლაცია, თხოვით მომართავს ამის შესახებ. იგი შესაძლებელია შედგებოდეს იქონ სხვა გარემოებათა დაკავშირებითაც (ვთქვათ, ზემოთხსენებულ ინსტანციის სასამართლოს წინადადებით ან თუიონ მოსამართლის ინიციატივით, რომელიც თვლის, რომ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს). აშშ-ს უზენაესი სასამართლოც კი არ ახლენს ყველა თავისი გადაწყვეტილების მოტივირებას (იხ. თავი მე-3, §9).

ამას გარდა, დაუწერელი სამართლის პრინციპებისა და ნორმების ფორმირების მექანიზმის ანალიზისას გასათვალისწინებელია, რომ მათ ჩამოყალიბებას შესაძლებელია საფუძვლად ედოს ერთი ან რამდენიმე ფაქტობრივი შესაღწელობით ერთმანეთის შესავსის სასამართლო გადაწყვეტილება, რომლებიც გამოქვეყნებულია კრებულებში. მათ სასამართლო ანგარიშებს უწოდებენ (court reports) და რეგულარულად გამოიქვამა უიკატესად კერძო გამოცემლობების მიერ. ეს უკანასკნელი მუდმივ კონტრაქტში არიან საერთო იურიდიკოსის სასამართლოთა და უმაღლესი სასამართლო ინსტანციების მოსამართლეებთან და სისტემატურად მომართავენ მათ თხოვით წერილობით ჩამოყალიბებული გადაწყვეტილებების (რომელთაც, მოსამართლეების შეხედულებით, გარკვეული მნიშვნელობა აქვთ იურიდიული პრაქტიკისათვის) გამოსაცემად მათთვის გადაცემის შესახებ. ბუნებრივია, ასეთ თხოვნას არ ეხმაურება ყველა მოსამართლე, როგორც მრავალი ამერიკელი ექსპერტი მიწმობს, დღეს ამ სფეროში ქვეყნდება ყოველწლიურად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების არა უტეტეს 3-5%-ისა.

კრებულში მოთავსებად, გამოცემლობაში მოხვედრის შემდეგ, გადაწყვეტილების ტექსტი შემავლეს იურიდიულად კვალიფიცირებული რედაქტორების მიერ (ხდება სამართლებრივ წყაროებზე მითითებათა დახუსტება, სტილის კორექტირება და სხვა). ისინივე ადგენენ ანოტაციას, სადაც შემკვირვრებულად არის გადმოცემული მოცემული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე კონკრეტულ წესბა არსი. ეს ანოტაციები თავსდება კრებულში გადაწყვეტილების ტექსტის დასაწყისში და შესაბამისი დაუწერელი პრინციპების ან ნორმების მონარჩის გარკვევისას ძირითადი ორიენტორის როლს ასრულებენ.

სხვა სიტყვებით, სასამართლო ანგარიშებში შემთხვევის ძალით ხდება არა ყველა სასამართლო გადაწყვეტილებანი, ხოლო მოხვედრილობა შორისა ისეთები, რომლებიც გადაწყვეტილების ავტორი-მოსამართლისა და საგამომცემლო ფირმის ერთობლივი შრომის ნაყოფს წარმოადგენენ. ეს ნაყოფი, რომელიც მის შემქნელთა სუბიექტიუიზმის მნიშვნელოვან ღონას შეუკავს, ხდება წყარო, რომლის ბაზაზეც ვალიდდება დაუწერელი სამართლის პრინციპები და ნორმები.

გლისში – იხ. თავი მე-2, §2) გამოიყენა კანონები, რომლებიც უშვებს საკანონდებლო წესით (ანდა საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციის გზით) იმ კონკრეტულ წესთა (ნორმათა) გაუქმებას, რომლებიც ფორმულირებულია სასამართლო გადაწყვეტილებების ზეგავლენით. დაუწერელი სამართლის როლის შეზღუდვის ტენდენციის ნიშნები შეინიშნება, აგრეთვე, აშშ-ში. ასეთი ტენდენციის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რაც აღნიშნულია ტეხასის შტატის სსს კოდექსის §1.27-ში („რეგლამენტაცია საერთო სამართლის ნორმებით“): „საერთო სამართლის ნორმები გამოყენებული და დაცული უნდა იყოს, თუ ამ კოდექსით არ არის გათვალისწინებული საპროცესო ნორმები იმ კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც საქმეზე შეიძლება წამოიჭრას“. სხვა სიტყვებით, აშშ-ს ამ შტატში დაუწერელი სამართლის ნორმები მოქმედებს მაშინ, როდესაც სსს კოდექსში არ არსებობს შესაბამისი დანაწესი. ასეთივე ტენდენცია იგრძნობა ფლორიდის შტატის კანონთა კრებულის 90-ე თავის გაცნობისას¹, სადაც §90.102 კრებულის ამ თავის დანაწესებს იმაზე მეტ იურიდიულ ძალას ანიჭებს, ვიდრე ყველა სხვა სამართლის ნორმებს, მათ შორის საერთო (დაუწერელი) სამართლის ნორმებს, რომელსაც შესაძლებელია რაიმე კავშირი ჰქონდეთ სასამართლო მტკიცების რეგლამენტაციასთან. „ეს თავი, – როგორც დასახელებულ პარაგრაფშია აღნიშნული – ცვლის და ენაცვლება სტატუტური და საერთო სამართლის არსებულ ნორმებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მას“.

მოცემული ჯგუფის ქვეყნებში დაწერილი სამართლის დანაწესთა რეალიზების არსებით თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი კვლავინდებურად დამოკიდებულია სასამართლო პრაქტიკაზე; კანონებისა და კანონქვეყნებარე აქტების ნორმები, ჩვეულებისამებრ, გამოიყენება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას შესაძლოდ მიიჩნევენ სასამართლოები. განმარტავენ რა მათ კონკრეტულ დანაწესებს ამა თუ იმ სახით.

ამას გარდა, სისხლის სამართლის პროცესის რეგლამენტაციის არსებითი კორექტირება ხორციელდება სასამართლოებისათვის ნორმატიულ აქტთა უშუალოდ გამოცემის თავისებურ (რუსეთის სამართალშემოქმედებითი პრაქტიკისათვის უცნობ) უფლებამოსილებათა (court rules) ოფიციალურა მინიჭების გზით. ასეთი სახის აქტები ზშირად უფრო მეტ იურიდიულ ძალას ატარებენ, ვიდრე კანონები.

იმავდროულად, განვითარებას განაგრძობს დიდი ხნის წინათ დაწ-

¹ ამ კრებულის 90-ე თავში მოთავსებულია მოცემული შტატის პროცესითი კოდექსი (Evidence Code).

ყებულთ პროცესი ფართო შესაძლებლობების მინიჭების შესახებ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების ნორმატიულ რეგულირებასთან, ესე იგი *კანონქვემდებარე აქტების* გამოცემასთან დაკავშირებით, მათ შორის ისეთი აქტების, რომლებსაც რუსი იურისტები, ჩვევისამებრ, *უწყებრივ აქტებს* უწოდებენ.

სასამართლოთა ნორმათაშემოქმედებისა (რაც არ არის დაკავშირებული კონკრეტულ საქმეთა განხილვასთან) და აღმასრულებელ ორგანოთა სამართალშემოქმედების სულ უფრო გაფართოების ტენდენციას აღასტურებს ქვემოთ მოყვანილი მონაცემები უკვე ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულ მრავალრიცხოვან სასამართლო წესების, პრაქტიკული მითითებების, პრაქტიკულ წესთა კრებულების, დარიგებებისა და ინტრუქციების, საცირკულარო დანაწესების და სხვა კანონქვემდებარე აქტების შესახებ, რომლებიც პროცესის მწარმოებელ პირებს შეეხებათ.

საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების როლი, რომლებიც უშუალოდ შეეხება სისხლის სამართალწარმოებას, ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემების მქონე ქვეყნებში დღესდღეობით სხვადასხვაგვარად გამოვლინდება. როგორც ეს აშშ-ს სამართალგამოყენებითი პრაქტიკიდან ჩანს (იხ. თავი მე-3, §2), ამ ჯგუფის ყველა ქვეყანა არ აღიარებს უპირობოდ ასეთი სახის ნორმებისა და პრინციპების მოქმედებას. ისინი „თავიანთი“ გზით მიდიან და მათ (ნორმებსა და პრინციპებს) სავალდებულოდ მიიჩნევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მათი ტრანსფორმირება შიდა კანონმდებლობაში ანდა მათ აღიარებს სასამართლოები, რაც, ცხადია, არსებით ზეგავლენას ახდენს სისხლის საპროცესო სამართლის წყაროთა შინაარსსა და ფორმაზე.

სისხლის საპროცესო სამართლის წყაროთა ზოგად დახასიათებასთან დაკავშირებით შეუძლებელია გვერდი აუუაროთ იმ ტენდენციას, რომლებიც სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება თანამედროვე საზღვარგარეთის მრავალ (კონტინენტური და ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემების) ქვეყანაში. მისი არსი გამოვლინდება სისხლის სამართალწარმოების რეგლამენტაციისადმი დიფერენცირებულ მიდგომაში, რომლის მიხედვითაც არა ყველა სისხლის საპროცესო ინსტიტუტი და არა მისი ყველა დეტალი უნდა რეგულირდებოდეს კანონის ძალის მქონე აქტებით.

ასეთი ტენდენცია უჩვეულოა რუსი იურისტებისათვის, რომლებიც მორჩილად იმეორებენ ახლა მოქმედი რსფსრ-ს სსს კოდექსის პირველი

მუხლის პირველ ნაწილს და რომლებიც აღიზარდნენ იდილიურ დოგ-მატებზე, რომელთა თანახმადაც, სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება რეგლამენტირებული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ამ კოდექსით, ეინაიდან სწორედ ამაშია სისხლის სამართალწარმოების დემოკრატიული ინსტიტუტების სწორი და განუხრელი დაცვის საწინდარი. ასეთი მიდგომის დასტურად გამოდგება როგორც თეორიული გამოკვლევები, ასევე წიგნები და სახელმძღვანელოები, სადაც ხაზგასმით აღინიშნებოდა და აღინიშნება, რომ სისხლის საპროცესო სამართლის ერთადერთ წყაროს დასახელებული კანონი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი) წარმოადგენს. ალბათ მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება მოითხოვს არა მხოლოდ სსს კოდექსის დებულებათა გამოყენებას. ასეთი სახის დებულებებს შეიცავს რუსეთის ფედერაციის სსს კოდექსი და სხვა ფედერალური კანონები, მათ შორის კანონები სასამართლოთა, პროკურატურისა და წინასწარი გამოძიების ორგანოთა წყობილების, დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ და ეჭვმიტანილ პირთა მოთავსების დაწესებულებათა, ზოგიერთი კატეგორიის პირთა სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პრივილეგიების, სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულების წესის შესახებ და სხვა. ამას გარდა, საკვლევლო ხასიათის სისხლის სამართლის საპროცესო დანაწესები მოცემულია რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლებიც, გარდა იმისა რომ გამოიყენება რუსეთის კანონების პარალელურად, შესაძლებელია ცვლიდეს მათ.

რუსეთის იურისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, უპირატესად სისხლის სამართალწარმოების თეორეტიკოსები, მიუხედავად უდავო რეალიზებისა, ასევე იზიარებენ მოსაზრებას, რომ სისხლის საპროცესო სამართლის წყაროთა შორის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოხსენიება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კანონქვემდებარე აქტებისა და უმაღლესი სასამართლო ინსტანციების აქტებისა, მათ შორის რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებისა, სადაც მოცემულია კანონმდებლობის განმარტებები.

სისხლის საპროცესო სამართლის წყაროების პრობლემაზე მსგავსი შეხედულება უკვე დიდი ხანია დაძლეულია მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, მათ შორის იმ ქვეყნებში, რომლებსაც ეძღვნება ამ ნაშრომის მომდევნო თავები. ცნობილია შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები ან მათი მსგავსი აქტები მხარდაჭერას პოულობდნენ მთავრობათა კანონქვემდებარე დადგენილებებში ანდა სახ-

ელმწიფოს მეთაურთა ბრძანებულებებში, თუმცა ამას არ გამოუწვევია სისხლის სამართლის საპროცესო სისტემათა კრაზი, ანდა კანონიერებისა და მოქალაქეთა უფლებათა უზრუნველყოფის დაქვეითება.

რიგ ქვეყნებში პირდაპირი კურსია აღებული იქით, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონები, მათ შორის კოდექსები, მოწოდებულია მოაწესრიგოს მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთი საკანონო პრობლემა. ხოლო მრავალი წმინდა ტექნიკურ-პროცედურული ხასიათის საკითხის რეგლამენტაცია (ზოგიერთ საპროცესო მოქმედებათა ჩატარების წესი, მათი შედეგების დოკუმენტური გაფორმება, საპროცესო დოკუმენტების რეკვიზიტებისადმი წაყენებული მოთხოვნები, შესასრულებელ მოქმედებათა თანმიმდევრობა და სხვა) ხშირად მინდობილია სასამართლო ან დანაშაულის გამოვლენასა და გახსნაზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილებაზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ან მათ შემცვლელ სხვა კანონებში საკმაოდ ხშირად შესაძლებელია მოცემული იყოს პასუხები სისხლის სამართლის საქმეზე წარმოებისას წამოჭრილ მხოლოდ ძალიან ზოგად და პრინციპული ხასიათის კითხვებზე. რაც შეეხება დეტალს, ე.წ. კონკრეტიკას, ისინი გაშლილია სამართლებრივ დოკუმენტებში, რომლებიც შემუშავებული და მოწონებულია სასამართლოების ან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ (სახელმწიფოთა მეთაურების, მთავრობების, სამინისტროებისა და უწყებების აქტებით).

ამ ტენდენციას თავისი მიზეზი აქვს. სახელმწიფო თავისი საკანონმდებლო ორგანოების სახით თავის თავზე იღებს უფრო მეტად არსებითის რეგლამენტაციას სისხლის სამართალწარმოების სფეროში. ყველაფერი დანარჩენი მინდობილი აქვთ, უპირველეს ყოვლისა, ორგანოებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ სისხლისსამართლებრივ დენას ან მართლმსაჯულებას. მათ უკეთ იციან, თუ სად უნდა მოაწერონ ხელი საპროცესო მოქმედებაში და მისი შედეგების ამსახველი დოკუმენტის შედგენაში მონაწილე პირებმა; თუ რა სტრუქტურული ნაწილებისაგან უნდა შედგებოდეს იგი, თუ რა თანმიმდევრობით იქნება უმჯობესი დაპირისპირების, დოკუმენტების დათვალიერების, სასამართლო განხილვის მოსამზადებელი ნაწილის ან სასამართლო გამოძიების ჩატარება და სხვა.

ასეთი მიდგომის უპირატესობანი მნიშვნელოვანია როგორც სამართალგამოყენებითი პრაქტიკისათვის, ასევე, იმ პირობათა შექმნისათვის,

რომლებიც ხელს უწყობს შესაბამისი ორგანოების საქმიანობის წესის მოქნილ და ოპერატიულ კორექტირებას, სასამართლო და საგამოძიებო გამოცდილებით ნაკარნახევ სიახლეთა დროულად შემოღებას. ამ და სხვა მსგავს საკითხთა გადაწყვეტისას მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონებისა ან სხვა სახის კანონების გამოცემაზე დაყრდნობა ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ამას ბევრი რამ უშლის ხელს. პირველ რიგში, კანონშემოქმედებითი პროცედურის სირთულე, ის პოლიტიკური ვნებანი, რომლითაც მუდმივად შეაყრობილნი არიან პარლამენტარიები, თითქმის ყველგან, სადაც ისინი არსებობენ. ეს პოლიტიკური ვნებანი ჩრდილში აქცევენ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ ორგანოთათვის აქტუალურ პრობლემებს. მათ ხანგრძლივი ლოდინი უწყევთ, ზოგჯერ წლობით, ვიდრე დადგებოდეს იმ საკითხთა საკანონმდებლო გადაწყვეტის რიგი, რომლებიც მათ აღელვებთ.

§4. მიღბოვები სისხლის სამართლის პროცესის არინციპების განსაზღვრებისას: ძირითადი ტენდენციები

სისხლის სამართალწარმოების პრინციპები, როგორც ზოგადი იდეები, რომლებიც საფუძვლად უდევს შესაბამის სასამართლო საქმეებზე წარმოებას, ფართო აღიარების საგანს წარმოადგენს, პრაქტიკულად, ყველა თანამედროვე სახელმწიფოთა კანონმდებლობასა და სისხლის სამართლის საპროცესო დოქტრინაში. კანონიერების, ჭეშმარიტების დადგენის აუცილებლობის, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის, დანაშაულის ჩადენაში წაყენებული ბრალდებისაგან დაცვის უფლების, უდანაშაულობის პრეზუმფციის, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა დამნაშაუების დადგენისას მტკიცების ტვირთის სათანადო განაწილების, მართლმსაჯულების განხორციელებისას ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობის, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა ღიად (საჯაროდ) განხილვის იდეები - ყველაფერ ამას ცნობს და აღიარებს პრაქტიკულად ყველა თანამედროვე სახელმწიფოს სისხლის სამართალწარმოება.

ზოგ ქვეყანაში გვხვდება ამ სახის იდეა-პრინციპების მეტი რაოდენობა. ზოგან - ნაკლები. მათი შემადგენლობა მთლიანობაში მეტ-ნაკლებად „სტანდარტულია“ და მეორდება ქვეყნიდან ქვეყანაში, თუმცა,

ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს საესკით სპეციფიკურ, რუსი იურისტებისათვის უჩვეულო პრინციპებსაც.

ბოლო წინადადების დამადასტურებელი მაგალითები მრავლადაა, კერძოდ:

- იტალიის სსს კოდექსის 188-ე მუხლი ითვალისწინებს „ინდივიდის ზნეობრივი თავისუფლების“ პრინციპს, რაც ნიშნავს „იმ მეთოდებისა და ზერსების გამოყენების აკრძალვას, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიონ ინდივიდის თვითგამორკვევის თავისუფლებაზე, მის უნარზე, დაიმანჯოეროს ან შეაფასოს ფაქტები“, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის ინდივიდი – ბრალდებული, დაზარალებული თუ მოწმე;
- ბელგიურ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაში, პრინციპებს შორის ხშირად მოხსენიებულია „მტკიცებულებათა მოპოვების საშუალებათა თავისუფლების პრინციპი“, რაც გულისხმობს სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ ორგანოთა უფლებას – მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით, მიმართონ ნებისმიერ მოქმედებებს, რომლებიც არ არღვევს კანონს და სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტთა უფლებებს. მოცემული დებულება დასაბუთებულია ბელგიის სსს კოდექსის 154-ე მუხლზე დაყრდნობით, სადაც მოცემულია მტკიცებულებათა გამოვლენის, შეკრებისა და შემოწმების შესახებ საპროცესო მოქმედებათა „ლია“, არაამომწურავი ჩამონათვალი. მსგავს დებულებას ითვალისწინებს, აგრეთვე, იტალიის სსს კოდექსის 189-ე მუხლი. იგი უფლებას აძლევს მოსამართლეს, დაეყრდნოს მტკიცებულებებს, მიუხედავად მათი მოპოვების ზერხისა, მაგრამ იმ პირობით, რომ „ისინი (ზერხები – კ.გ.) სასარგებლოა და ნეგატიურად არ ზემოქმედებენ ინდივიდის ზნეობრივ თავისუფლებაზე“;
- ბელგიის სსს კოდექსი იცნობს, აგრეთვე, „სადაობის პრინციპს“, რომლის თანახმადაც, განსასჯელსა და მის დამკველს ეძლევათ შესაძლებლობა სადავო გახადონ მტკიცებულებითი მნიშვნელობა ნებისმიერი დოკუმენტისა, რომელსაც შეიცავს გამოძიების ორგანოების მიერ წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის (დოსიეს) მასალები, ასევე იმ დოკუმენტისა, რომელიც გამოკვლეული არ ყოფილა სასამართლო გამოძიების მსვლელობისას, მაგრამ შესაძლებელია საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ

განაჩენს (ბელგიური სამართალწარმოების წესების მიხედვით, სასამართლოს ეძლევა უფლება განაჩენს საფუძვლად დაუ-
ლოს წინასწარი გამოძიების მასალები, რომლებიც არ ყოფილა
შემოწმებული სასამართლო გამოძიების მსვლელობისას);

- დანიაში სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს შორის მიღებულია „სამართალწარმოების დაჩქარების პრინციპის“ (the principle of acceleration) მოხსენიება. მის დასასაბუთებლად კეთდება ხოლმე მითითებები ზემოხსენებული „მართლ-მსაჯულების განხორციელების შესახებ“ კანონის დებულებებზე (იხ. მოცემული თავი, §3), რომლებიც იცავენ განსასჯელს სასამართლო წარმოების გაჭიანურებისაგან (მაგალითისათვის, სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომის დასასვენებელ დღეებზე შესვენების გამოცხადების დაუშვებლობის შესახებ დებულებაზე). თუმცა, ამ პრინციპის დახასიათებისას ზაზი უნდა გაეხვას, რომ მისი რეალიზება არ უნდა ზღუდავდეს ბრალდებულისა და მისი დამცველის სასამართლოში დაცვისათვის სათანადოდ მომზადების შესაძლებლობას;
- ეს პრინციპი გვხვდება, აგრეთვე, ბერძნულ წყაროებში, თუმცა იქ მითითებულია არა საკუთარ სსს კოდექსზე, არამედ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილზე, სადაც საუბარია, რომ ყველას აქვს უფლება მისი საქმე „განიხილონ გონივრულ ეადაში“.

რაც შეეხება სისხლის სამართლის პროცესის საყოველთაოდ აღიარებულ „სტანდარტულ“ პრინციპებს, მათი შინაარსი ყოველთვის ერთნაირად არ განიმარტება. ეს სავსებით გასაგებიცაა და აიხსნება ზემოთ არაერთხელ ნახსენები თავისებურებებით წმინდა შიდასახელმწიფოებრივი და იმ ფაქტორებისა, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტული სახელმწიფოებისა და მათი მთავრობების დამოკიდებულებაზე საერთაშორისო სამართალთან და საერთაშორისო თანამშრომლობასთან იმ დარგებში, რომლებიც სისხლის სამართალწარმოების აგებულებას შეეხება.

ყურადღებას შევაჩერებთ სისხლის სამართალწარმოების პრინციპების გაგების მხოლოდ რამდენიმე მეტად ტიპურ წინააღმდეგობაზე.

კანონიერებას, როგორც პრინციპს, ყველა აღიარებს, თუმცა მასში ხშირად სხვადასხვა რამ მოიაზრება:

- ზოც ქვეყანაში – ეს არის კონსტიტუციისა და კანონების (ზოგჯერ კანონქვემდებარე აქტების) განუხრელი დაცვა;
- მეორეგან ამ წყაროებს ბოლო წლებში ხშირად მიაწერენ საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების დანაწესებასაც;
- მესამენი უკვე დიდი ხანია გამოირჩევიან განსაკუთრებული პატივისცემით არა მხოლოდ დაწერილი, არამედ ასევე დაუწერიელი სამართლის ნორმათა მიმართ;
- მეოთხენი უპირატესობას დაუწერელ სამართლის ნორმებს ანიჭებენ. ისინი უფრო მართლზომიერების პრინციპს აღიარებენ, ვიდრე კანონიერების, ვინაიდან კანონი მოქმედად ითვლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას სასამართლოების (სასამართლო პრეცედენტების) მიერ შემუშავებული სამართლებრივი ნორმები უშვებენ.

უდანაშაულობის პრეზუმფცია მრავალი საუკუნის წინათ წარმოშობილი სამართლებრივი დებულებაა, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნების ეპოქაში. ამ დებულების ძირითადი იდეა, რომელიც ძველ ზნობრივ ნორმებს ემყარება (აღამიანი წესიერად ითვლება მანამ, ვიდრე არ დამტკიცდება საპირისპირო), ხმამაღლა იყო განცხადებული სწორედ ამ ეპოქის დოკუმენტებში. იგი მოყვანილი იყო კაცობრიობის განვითარების წინარე პერიოდებში გაბატონებული იმ რწმენის საპიროსპიროდ, რომ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი დამნაშავედ უნდა ითვლებოდეს მანამ, ვიდრე იგი არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს. ეს მცდარი დაჯერება, როგორც ცნობილია, დიდი ხნის მანძილზე სასამართლო მტკიცების ერთ-ერთი საფუძველი იყო. მას ემყარებოდა, უმთავრესად, „მტკიცებულებათა“ დასაშვებობის ისეთი დასაბუთება, როგორცაა ორდალიები, დაფიცება, წამება, რომლებიც იმ დროს ყველა ქვეყანაში გამოიყენებოდა.

უდანაშაულობის პრეზუმფციის თანამედროვე გაგების შესახებ შესაძლებელია ვიმსჯელოთ ისეთი ფართოდ აღიარებული საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით, როგორებიცაა: აღამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ; კონვენცია აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ; აღამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკის ქარტია და სხვა. ამ დოკუმენტებში მოყვანილი უდანაშაუ-

ლობის პრეზუმფციის ფორმულირებებში ბევრი რამ საერთოა, თუმცა არის სხვაობებიც. მათზე წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (ტექსტში ხაზგასმები ეკუთვნის - კ.გ.-ს).

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია:	საერთაშორისო აქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ:	კონკრეტია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ:	აფრიკის კონკრეტია ადამიანისა და ზღაპრების უფლებათა შესახებ:
„დანამაულის ჩადენაში ბრალდებულ ყოველ ადამიანს უფლება აქვს ითელქოდეს უდანამაულოდ მანამ, ვიდრე მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესით ღია სასამართლო განხილვის გზით. რომლის დროსაც იგი უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობებით“ (მე-11 მუხლი, ნაწილი პირველი).	„სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ ყოველ პირს უფლება აქვს ითელქოდეს უდანამაულოდ. ვიდრე მისი დამნაშავეობა დამტკიცებული არ იქნება კანონის თანხმად“ (მე-14 მუხლი, მე-2 ნაწილი).	„სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული ყოველი პირი ითელქება უდანამაულოდ, ვიდრე მისი დამნაშავეობა დამტკიცებული არ იქნება კანონის შესაბამისად“ (მე-6 მუხლი, მე-2 ნაწილი).	„ყველა პირს აქვს... უფლება ითელქოდეს უდანამაულოდ მანამ, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დადგინდება კომპეტენტური სასამართლოს მიერ“ (მე-7 მუხლი, პირველი ნაწილი, პუნქტი „ბ“).

უფრო მეტი სხვაობები შეინიშნება კანონმდებლობისა და მისი გამოყენების შესწავლისას კონკრეტულ ქვეყნებში. ამასთან, შესაძლებელია რუსი იურისტებისათვის (რომლებიც უკვე შეეჩვივნენ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 49-ე მუხლში მოყვანილ დებულებას) ფორმულირებების საკმაოდ მოულოდნელი ვარიანტები არსებობდეს.

მაგალითისათვის, კანადის სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტში ნათქვამია: „იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი ითვალისწინებს დანაშაულს და ანიჭებს ამ დანაშაულისათვის სასჯელის დაკისრების უფლებამოსილებას:

- ა) ნებისმიერი პირი ასეთ დანაშაულში უდანამაულოდ ითელქება, ვიდრე იგი არ იქნება ამ დანაშაულისათვის მსჯავრდებული

ან გათავისუფლებული პასუხისმგებლობისაგან 730-ე¹ მუხლის თანახმად...”.

სხვა სიტყვებით, კანადის კანონმდებლობა, დანაშაულის პრეზუმფციის ფორმულირებისას, აქცენტს ამახვილებს არა იმაზე, რომ დამნაშავედ ცნობა უნდა ემყარებოდეს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს; რომ დამნაშავეობის მტკიცების ტვირთი უნდა ეკისრებოდეს ბრალმდებელს; რომ ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება, განხილული უნდა იყოს ბრალდებულის სასარგებლოდ და სხვა. იგი პირველ პლანზე წამოწევს სხვა მომენტებს: ყურადღების მიღმა ტოვებს რა იმას, რაც წინ უნდა უსწრებდეს დანაშაულში ბრალდებულის დამნაშავედ ცნობას, პირველ პლანზე წამოწეულია საკითხები, რომლებიც უკავშირდება დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის შედეგებს – მსჯავრდება ან სასჯელის გამოყენების ან არ გამოყენების შესაძლებლობა.

განსხვავებული გზა აირჩიეს ამერიკის შტატ ტეკსასში. „ყველა პირი – ნათქვამია ტეხასის სსს კოდექსის 38.03-ე მუხლში („უდანაშაულობის პრეზუმფცია“) – პრეზუმირებულია უდანაშაულოდ და არც ერთი პირი არ შეიძლება მსჯავრდებული იყოს დანაშაულისათვის, თუ მოცემული დანაშაულის ყველა ნიშანი დამტკიცებული არ იქნა გონივრული ეჭვის მიღმა. ის ფაქტი, რომ იგი (პირი – კ.გ.) დაპატიმრებული ან შეზღუდული იყო უფლებებში (confined), ანდა ბრალდებული იყო დანაშაულის ჩადენაში საბრალდებო აქტით ან სხვაგვარად, არ აძლევს საქმის სასამართლოში არსებითად განხილვისას მისი დამნაშავეობის შესახებ დასკვნის გაკეთების საფუძველს (ჩაზგასმა ეკუთვნის – კ.გ.-ს)“. ამ ვარიანტში უდანაშაულობის პრეზუმფცია დამნაშავეობის მტკიცების კრიტერიუმებთან არის დაკავშირებული.

განსხვავებული მიდგომა შეინიშნება 1789 წლის საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შესახებ დეკლარაციის მე-9 მუხლში მოცემული უდანაშაულობის პრეზუმფციის ფორმულირებაში, რომელიც დღესაც ინარჩუნებს თავის იურიდიულ მნიშვნელობას (იხ. თავი მე-4, §2). მასში ნათქვამია: „ვინაიდან ნებისმიერი პირი ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ არის დადგენილი, იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა პირის დაპატიმრება, ნებისმიერი ზედმეტად მკაცრი ზომები, რომლებიც არ არის საჭირო, მკაცრად უნდა იყოს აღკვეთილი კანონით“. აქ აქცენტი კეთდება არა მტკიცების ტვირთზე

¹ კანადის სს კოდექსის 730-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობიდან პარობათ ან სწორედ (ამსილოტურ) გათავისუფლებას „მსჯავრდებულისათვის, საუკეთესო ინტერესებში და საჯარო ინტერესების შესაბამისად“.

ან მტკიცებულებითი სამართლის სხვა წესებზე, არა დამნაშავედ ცნობის შედეგებზე, არამედ, საქმეზე წარმოების მსვლელობისას პიროვნების უფლებათა გარანტიებზე – ბრალდებულისადმი, როგორც მსჯავრდებულისადმი მოპყრობის დაუშვებლობაზე.

უდანაშაულობის პრეზუმციის იურიდიული მნიშვნელობისადმი თავისებური მიდგომა შეინიშნება სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად:

- იტალიის კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამ პრინციპის ფორმულირებას ახდენს იმ სახით, რა სახითაც იგი მოცემულია კონვენციაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ. ამასთან, იტალიის სსს კოდექსი უშვებს ზოგიერთ გამონაკლისს საყოველთაოდ მიღებული წესიდან მტკიცების ტვირთის შესახებ. მაგალითისათვის, იგი ითვალისწინებს ტვირთის ბრალდებულისათვის გადაკისრების შესაძლებლობას, როდესაც ეს უკანასკნელი ამტკიცებს ალიბის არსებობას. უფრო მეტიც, ბრალდებული შეზღუდულია მკაცრი დროის პირობით: კანონი ავალდებულებს მას ალიბის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენას სასამართლო განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 7 დღისა. მტკიცებულებათა ამ ვადაში წარუდგენლობა ართმევს ბრალდებულს თავისი დაუდევრობის სასამართლო განხილვისას გამოსწორების შესაძლებლობას, თუ იგი ვერ დაარწმუნებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ალიბის დამადასტურებელი მტკიცებულებები ახლად გამოვლენილია (რომ ისინი ცნობილი გახდა ბრალდებულისათვის მხოლოდ მტკიცებულებათა წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ ან სასამართლო განხილვისას);
- ბელგიის სსს კოდექსი მთლიანად არ ავრცელებს უდანაშაულობის პრეზუმციას ე.წ. ფორმალურ დანაშაულთა საქმეებზე (ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ რამე კონკრეტულ წესთა დარღვევასთან ან დაუცველობასთან დაკავშირებული დანაშაულები). ასეთ საქმეებს საფუძვლად უდევს სასამართლო პოლიციის ჩინოსანთა მიერ შედგენილი ოქმები, რომელთა ჩვენებებსაც კანონი განსაკუთრებულ მტკიცებით მნიშვნელობას ანიჭებს. ბრალდებული იმისათვის, რომ ასეთი ოქმის საფუძველზე არ მოხდეს მისი მსჯავრდება, ვალდებულია წარადგინოს მტკიცებულებანი, რომლებიც უარყოფს ოქმში მოყვანილ მტკიცებას მის მიერ წესების დარღვევის შესახებ.

მოცემული ნაშრომის შემდგომ თავებში მკითხველი სხვა მაგალითებზეც არაერთხელ დარწმუნდება, თუ რამდენად განსხვავებული შეიძლება იყოს მიდგომები უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნებისა და მისი იურიდიული მნიშვნელობისადმი.¹

შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა. ამ საკითხზე, ძირითადად, უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ (იხ. მოცემული თავი, §2). აღნიშნული პრინციპი სხვადასხვაგვარად არის გაგებული ქვეყნებში, რომლებიც ემზრობიან, ერთი მხრივ – ანგლოსაქსონურ სამართლებრივ ტრადიციებს, ხოლო, მეორე მხრივ – კონტინენტური ევროპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელ სამართლებრივ ტრადიციებს.

დასახელებულ ქვეყანათა პირველ ჯგუფში, როგორც აღინიშნა (მოცემული თავი, §2), შეჯიბრებითობა ხშირად თეორიულად გამოხატულია როგორც სასამართლოში მოდავე მხარეთა მიერ თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის იურიდიულად თანაბარი შესაძლებლობების რეალიზაცია და სასამართლოს განხილვა განცალკევებულად, როგორც რაღაც ამ დავაზე მალა მდგომისა (ამაღლებულისა), რომელიც შემაჯამებელ გადაწყვეტილებას იღებს. ასევე უნდა წარიმართოს დავა მისი წარმოშობის დაწყებიდან ფინალამდე, ესე იგი სასამართლოში წარმოების დაწყებიდან განსასჯელის დაშინაშეუბისა და მისი დასჯის საკითხებზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე. მაგრამ, როგორც ქვემოთ დაინახავთ მე-2 და მე-3 თავის შინაარსიდან, მრავალწლიანი ევოლუციის შედეგად მოცემულმა „კლასიკურმა სქემამ“ სხვადასხვა სახის მოდიფიკაციების, კორექტირებების, ვარიაციების, ზოგადი წესებიდან გამონაკლისებისა და სხვათა სიუხვე შეიძინა, რაც ნაკარნახევი იყო შესაბამის ქვეყნებში შექმნილი კონკრეტული პირობებით. ამასთან დაკავშირებით, ამ ჯგუფის ქვეყნებში პროფესიონალი მოსამართლეები ყოველთვის არ წარმოდგებიან, როგორც „მიწიერ ვნებათაგან“ შორს მდგომი სასამართლო განხილვის მონაწილენი, რომელთაც სრულიად ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ საქმის შედეგთან. მოსამართლეებს გააჩნიათ უფლებამოსილებანი, რომლებიც საშუალებას აძლევთ მათ აქტიური ზეგავლენა მოახდინონ ასეთი სახის სასამართლო განხილ-

¹ უნდა აღინიშნოს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციურ პრინციპს ეწინააღმდეგება საქართველოს სსს კოდექსის 472-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ: „თავმჯდომარე ეკითხება თითოეულ განსასჯელს ცნობს თუ არა იგი თავს დანაშაუდელ და, თუ ცნობს – რაში“. იმავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, პირის დანაშაუვება უნდა დამტკიცდეს კანონით დადგენილი წესით და დადგინდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. მიგვაჩნია, რომ უჯობესი იქნებოდა, თუ სსს კოდექსის 472-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „თავმჯდომარე ეკითხება თითოეულ განსასჯელს ცნობს თუ არა იგი თავს ბრალულად და, თუ ცნობს – რაში“ (იხ.).

ვაზე. ამისათვის მათ საკმაოდ ფართო შესაძლებლობები აქვთ მიმო-
ჭებული, იმაზე უფრო ფართო, ვიდრე კონტინენტური ევროპის ქვეყ-
ნების სასამართლოთა მოსამართლეებს. საკმარისია ყურადღება მივაქ-
ციოთ ამერიკელი ან ინგლისელი მოსამართლის უფლებას გააუქმოს
ნაფიცი მსაჯულთა კერიქტი და დანიშნოს საქმის ხელახალი განხილვა.
მკაცრი პასუხისმგებლობა დააკისროს (ექვს თვემდე პატიმრობა, ხოლო
გარკვეულ შემთხვევებში – უფრო მეტი ვადით) სასამართლოსადმი
უპატივეცემულობის გამო, რაც შესაძლოა გამოიხატოს არა მხოლოდ სა-
სამართლოს მიმართ უწესო ქცევაში, არამედ, როგორც მისი მოთხოვნით
მნიშვნელოვან მტკიცებულებათა წარუდგენლობასა ან არადროულად
წარდგენაში, ასევე სხვა მოქმედებებში.

შეჯიბრებითობის ანგლოსაქსონური ვარიანტის დახასიათებისას,
როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (იხ. მოცემული თავი, §2), მისი
მომხრეები, ჩვეულებრივ, ცდილობენ ყურადღების გამახვილებას იმაზეც,
რომ იგი ახასიათებს, აგრეთვე, წინასასამართლო წარმოებას (მათ შო-
რის, საპოლიციო გამოძიებას). მისი გამოვლინება, როგორც წესი, იმაში
შეინიშნება, რომ ბრალდებულსა და დამცველს შესაძლებლობა ეძლევათ
პარალელურად და სისხლის სამართლებრივი დევნის მწარმოებელი
მხარისაგან დამოუკიდებლად აწარმოონ მონაცემთა გამოვლენა და შეგ-
როვება, რომლებიც შესაძლებელია სასამართლოში გამოყენებული იყოს
ბრალდების საწინააღმდეგო მტკიცებულებათა სახით. ამასთან „აკი-
წყდებათ“ იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ თავის პარალელურ გამოძიებას
მხარე ბრმად წარმართავს. მან პრაქტიკულად არაფერი იცის, თუ რა
მონაცემები გააჩნია მოწინააღმდეგე მხარეს. ამ მონაცემთა შესახებ იგი
მხოლოდ მას შემდეგ შეიტყობს, როდესაც საქმე სასამართლო განხილ-
ვამდე მივა. ამ მომენტამდე ბრალდების მხარეს უფლება აქვს მკაცრად
საიდუმლოდ შეინახოს მისი დოსიეს შინაარსი. პრაქტიკულად, ასეთ
პირობებში შეჯიბრი განსაკუთრებული დუელის სახეს ატარებს, სადაც
მის ერთ-ერთ მონაწილეს (დაცვის მხარეს) აწვდიან იარაღს და, ამავე
დროს, მჭიდროდ უხვევენ თვალებს.

რაც შეეხება ქვეყნების მეორე ჯგუფს, (კონტინენტური ევროპის
ქვეყნები), შეჯიბრებითობა აქაც აღიარებულია როგორც სისხლის სამარ-
თლის პროცესის პრინციპი. თუმცა, ამასთან აქ არ მალავენ, რომ მოცე-
მული პრინციპის მთლიანობაში გამოვლენა ხდება მხოლოდ სასამართ-
ლო სტადიაზე. საქმის სასამართლოში წარმართვამდე შეჯიბრებითობა,
როგორც წესი, შეზღუდულ ფარგლებში გამოვლინდება. ამ სტადიაზე,
როგორც ამას ფართოდ აღიარებენ ამ ჯგუფის ქვეყნების მრავალი

სისხლის სამართლის საპროცესო წყაროები, სჭარბობს ინკვიზიციური (სამძებრო) საწყისები – ფართო საქვეყნობის არარსებობა, წერილობითი ფორმა, ბრალდებულის უფლებათა შეზღუდვა და სხვა.

ამ სტადიებთან მიმართებაში შეჯიბრებითობაზე საუბრობენ მამის, როდესაც ხდება სასამართლო შემოწმება იმ ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებების კანონიერებისა, რომლებიც ახორციელებენ, როგორც ჩვეულებისამებრ ჩვენ მათ ეუწოდებიან. საკამოძიებო ანდა ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებებს. ასეთი შემოწმება მიმდინარეობს სასამართლო სხდომებზე დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, რომელთაც ეძლევათ უფლება გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი, დაასაბუთონ ან უარყონ წამოყენებული მოთხოვნები. წარადგინონ საჭირო მასალები და სხვა. სხვა სიტყვებით, მათ ეძლევათ შეჯიბრის უფლება.

ბოლო წლებში შეჯიბრებითობის ელემენტები სისხლის სამართლის პროცესის წინასასამართლო სტადიებზე ზოგიერთ სხვა დებულებებშიც გამოიხატება. მაგალითისათვის, 1988 წლის იტალიის სსს კოდექსი, ახდენს რა ანგლოსაქსონური სამართალწარმოების გამოცდილების კოპირებას, ბრალდებულსა და მის დამცველს ანიჭებს უფლებას ეწ. პარალელური გამოძიების სრული მოცულობით ჩატარებისა. თუმცა უსდა აღინიშნოს, რომ ამ სიახლემ იტალიაში არადემოკრატიული ფორმა მიიღო, ყოველ შემთხვევაში, მისი სახე არ შეესაბამებოდა მის მხარდამჭერთა წარმოდგენებს. იგი უმაღლ გამოიყენეს მდიდარმა ბრალდებულებმა, რომელთა შორისაც სჭარბობენ ფართოდ ცნობილი იტალიური მაფიის წარმომადგენლები. ამან შესაძლებლობა მისცა მათ გაეკეთებინათ გამოძიების ორგანოების შრომა, ძალისხმევა და გაქცეოდნენ დამსახურებულ პასუხისმგებლობას.

წინასასამართლო სტადიებისათვის დამახასიათებელი „ინკვიზიციური (სამძებრო) რუდიმენტების“ დაძლევა დასავლეთ ევროპის იურისტები მიიხსენიებენ რიგი ქვეყნების მიერ გამოძიების მოსამართლის ინსტიტუტის გაუქმებას ან მის არსებითად მოდიფიკაციას. მათი აზრით, მოცემული ინსტიტუტი – ეს არის იმ დროის გადმონაშთი, როდესაც სასამართლო ერთდროულად ასრულებდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების, მისი არსებითად განხილვისა და ბრალდებულის სისხლის სამართლებრივი დენის ფუნქციებს. ამ მოსაზრებამ, გარკვეულწილად, განაპირობა გამოძიების მოსამართლის გაუქმება გერმანიაში, პორტუგალიაში, თურქეთში, იტალიაში, და ასევე, მისი საპროცესო მდგომარეობის არსებითი შეცვლა საფრანგეთში.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობის დახასიათებასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ჯგუფის ქვეყნებში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული „ოფიციალურობის პრინციპის“ (principle ex officio) მნიშვნელობის მაღალი ხარისხის აღიარება. იგი ექვივალენტურია იმისა, რასაც რუსი იურისტები საჯაროობის პრინციპს უწოდებენ. მოცემული პრინციპის ყველაზე უფრო გავრცელებული განმარტების თანახმად, მისი არსი მდგომარეობს დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძერისა და მხარდაჭერის მოვალეობის დაკისრებაში სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენტური თანამდებობის პირებისათვის (ზშირად ესენი არიან პროკურორები – *ministere public*). ამის თაობაზე დაზარალებულის აზრის გათვალისწინება ძალიან შეზღუდულ შემთხვევებში ხდება. როგორც წესი, ეს არის რუსული კერძო ბრალდების საქმეთა მსგავსი მცირე სიმძიმის დანაშაულთა საქმეები. თუმცა, შესაძლებელია სხვა სახის გამონაკლისებიც არსებობდეს. ნიდერლანდების სსს კოდექსით გათვალისწინებულია, რომ აუცილებელია პროკურორმა შეათანხმოს არასრულწლოვანის (საგანმანათლებლო დაწესებულებებთან), გადასახადების არგადამხდელის (საგადასახადო ორგანოებთან) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობა.

თუ შევადარებთ ანგლოსაქსონურ ქვეყნებში სახელმწიფო ბრალმდებელთა უფლებამოსილებებს კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მათი კოლეგების უფლებამოსილებებთან, პირველ მათგანს დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმის უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე მეორეებს. ეს უკანასკნელნი გაცილებით მკაცრ ჩარჩოებში არიან (იქვეყნულნი: ისინი ვალდებული არიან, ზოგადი წესის სახით, დანაშაულის ნიშნების გამოვლენისას აღძრან სისხლისსამართლებრივი დევნა და განახორციელონ იგი კანონთან ზუსტ შესაბამისობაში. მართალია, ბოლო წლებში „მზარდი დანაშაულებების ზეწოლა“ აიძულებს კანონმდებლებს, როგორც ქვემოთ დაკინახავთ, რომ გამონახონ „სისხლისსამართლებრივი კონფლიქტის“ გადაჭრის ე.წ. ალტერნატიული, გამარტივებული და სხვა ხერხები საქმის სასამართლოში წარმართვის გარეშე.

ბრალდებულის დაცვის უფლება სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტად იქცა, რომელმაც XX საუკუნეში საყოველთაო აღიარება მოიპოვა, როგორც უმთავრესმა ვარანტიამ, რომელიც ხელისუფლებათა თვითნებობასა და შეცდომებისაგან იცავს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირებს. დღესდღეობით იგი აღიარებულია უძრავ-

ლეს ქვეყანათა კონსტიტუციებით და მრავალი მაღალავტორიტეტული საერთაშორისო დოკუმენტით. ამ უფლების რეალური უზრუნველყოფის დონის მიხედვით ღღეს მიღებულია ვიმსჯელოთ კონკრეტული სახელმწიფოს არა მხოლოდ სამართალწარმოების, არამედ ასევე, მთლიანად პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიულობის შესახებ.

პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში ასეთ აღიარებამდე ხანგრძლივი და რთული გზა იყო გასავლელი. იყო დრო, როდესაც დანაშაულის ჩადენაში ბრალდებისაგან დაცვის შესაძლებლობას მთლიანად უარყოფდნენ, რამდენადაც ბრალდებული განიხილებოდა სისხლის სამართლის პროცესის არა როგორც სუბიექტი, არამედ როგორც უუფლებო ობიექტი.

მოგვიანებით, ნაკლებად სერიოზულ დანაშაულებში ბრალდებისას მას „დიდსულოვნად“ დართეს უფლება დაესვა კითხვები მოწმეებისათვის, წარედგინა თავისი მტკიცებულებანი, დასწრებოდა საქმის განხილვას, სასამართლოში გამოცხადებულყო მის მიერ არჩეულ წარმომადგენელთან ერთად, რომელსაც შეეძლო დახმარებოდა მას ბრალდების უარყოფაში და სხვა. საშიშ დანაშაულებში ბრალდებულთა მიმართ, განსაკუთრებით მათი, ვინც ხელყოფდა სახელმწიფოს სტაბილურობას, ასეთი „დიდსულოვნება“ არ გამოუვლენიათ. ხელისუფლების ლოგიკით, ბრალდებულთა ეს კატეგორია არ იმსახურებდა მას. ასეთი მიდგომა თანდათანობით დაძლიეს XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე, ზოლო ზოგან – გაცილებით გვიან (ირლანდიაში, მაგალითად, მძიმე დანაშაულში ბრალდებულ პირს თავის სასარგებლოდ ჩვენებათა მიცემის უფლება მიეცა მხოლოდ 1924 წელს).

დიდი ხნის მანძილზე, XX საუკუნის შუა პერიოდამდე, დამცველის ყოლის უფლება განიხილებოდა, როგორც საკუთარ ხარჯზე მოწვევის უფლება ადვოკატისა ან სხვა პროფესიონალისა, რომელსაც შეეძლო საჭირო დახმარების გაწევა. მხოლოდ თანდათანობით ხდებოდა იმის გააზრება, რომ იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, მათ შორის მათთვის, ვისაც არ შეუძლია დაცვაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება ან თუ ეს მძიმედ აისახება მისი ოჯახის ბიუჯეტზე. რიგ ქვეყნებში წარმოებული გამოთვლებით, ასეთი კატეგორიის პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობა წარსდგება სასამართლოს წინაშე – განსასჯელთა თითქმის სამი მეოთხედი. მათი დამცველის დახმარებით უზრუნველყოფის განუხორციელებლობა თავისი არსით ნიშნავს მათთვის შესაძლებლობის წართმევას რეალურად ისარგებლონ ფართოდ აღიარებული უფლებით, რომელიც ამ პირობებში აშკარად ფიქტიურ სახეს იღებს.

ყველაზე უფრო „მტკიცეული“ საკითხი თითქმის ყველა თანამედროვე სახელმწიფოსათვის ამ უფლების მატერიალური უზრუნველყოფაა. იგი აქტუალურია როგორც ღარიბი, ასევე მდიდარი ქვეყნებისთვის. იგი განსაკუთრებით აქტუალურია იმ ქვეყნებისათვის, რომელთა სამართალწარმოებაც აგებულია შეჯიბრებითობის ე.წ. კლასიკური მოდელის დაცვით.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული და ნახეყები იქნება შემდგომ თავებში, ამ მოდელის მოთხოვნაა, რომ ბრალდების მხარემ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსირებადმა ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა) უნდა იზრუნოს მხოლოდ ვასამტკეუსებელ მტკიცებულებებზე. რაც შეეხება დაცვის მხარეს (ბრალდებულსა და მის დამცველს, რომლის დაფინანსებაც ძირითადად პირველის პირადი სახსრებით ხდება), სასამართლო განხილვამდე არ იცნობს რა საბრალდებო დოსიეს შენაარსს, მან თვითონ, სახელმწიფო ორგანოების დახმარების გარეშე, უნდა იზრუნოს „თავის“ მტკიცებულებებზე. ამიტომ დაცვის მხარეს უწევს სახსრების მოძიება არა მხოლოდ დამცველის შრომის ასანაზღაურებლად, არამედ ასევე მოწმეთა მოძიებისა და მათთან შეხვედრის უზრუნველყოფისათვის (მგზავრობის, სასტუმროში ცხოვრებისა და სხვა ხარჯები), წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების გამოვლენისათვის, კერძო დეტექტივების, ექსპერტების გასამრჯელოსათვის და სხვა. ასეთი სახის სახსრების გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი დაცვის განხორციელება. თუმცა მათი არასაკმარისობა ყველგან იგრძნობა, თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე კეთილმოწყობილ ქვეყნებში. აღნიშნულ გარემოებას მიეყვართ დასკვნამდე, რომ დაცვის უფლების რეალური უზრუნველყოფის პრობლემა მთლიანად გადაწყვეტილი არ არის არც ანგლოსაქსონურ და არც კონტინენტური სამართალწარმოებისას.

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის საქყონოდ (საუაროდ) განხილვა ასევე აღიარებულია ყველა ქვეყანაში, როგორც სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი პრინციპი. ეს პრინციპი, სხვა პრინციპების მსგავსად, ხშირად კონსტიტუციაშია განმტკიცებული, ასევე, მოხსენიებულია არაერთხელ დასახელებულ საერთაშორისო დოკუმენტებში. თუმცა მის განმარტებაშიც გვხვდება სპეციფიკა. რუსი იურისტისათვის ჩვეულია ის, რომ კანონმდებლობაში, რომელიც ადგენს საქვეყნობის ფარგლებს, მოცემული უნდა იყოს ამომწურავი ჩამონათვალი იმ გარემოებებისა, რომლის დროსაც სასამართლოს უფლება აქვს მისი შეზღუდვისა. რუსეთის ფარგლებგარეთ შესაბამისი სამართლებრივი

დანაწესები ხშირად თავისებურ გზას ირჩევენ, კერძოდ, დახურული სასამართლო სხდომის ჩატარების საკითხი შესაძლებელია გადაწყვეტილი იყოს სხდომის თავმჯდომარე მოსამართლის მიერ „მართლმსაჯულების ინტერესებში“. ეს საკმაოდ განუსაზღვრელი ფორმულაა, რომელიც განუსაზღვრელ სასამართლო შეხედულებას აძლევს გასაქანს.

კონტინენტური ევროპის ქვეყნები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ რამდენადაც განსხვავებულ წესებს ემხრობიან. ამ კონვენციის მე-8 მუხლში ნათქვამია, რომ: „სასამართლო გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება, თუცა პრესა და საზოგადოება შესაძლებელია არ იყოს დამკვიდრებული სასამართლო განხილვის მსვლელობის მიუღი მანძილზე ან მის ნაწილზე, გამოძინარე დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული 'ხეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების მოსაზრებებიდან, ასევე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანის ინტერესები; ანდა მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა იმდენად, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, მკაცრად აუცილებელია, – განსაკუთრებულ გარეგნობათა გამო, როდესაც საქვეყნობით დარღვეული იქნებოდა მართლმსაჯულების ინტერესები“.

§5. სისხლის სამართლის პროცესის დიფერენციალია და პირველი ინსტანციის სასამართლოს შემადგენლობის რატიფიკაციის პარიანტების მიხედვით

სისხლის სამართალწარმოების დიფერენციალია მისწრაფება ძველი, შორეული წარსულიდან მომავალი ტენდენციაა, რომელიც პრაქტიკულად ყველა თანამედროვე სახელმწიფოს ახასიათებს. მას საფუძვლად უდევს უპირველეს ყოვლისა, სავსებით გასაგები სურვილი სამართალწარმოების ასეთი ფორმების დაცვისა, რომლებიც ადეკვატური იქნებოდა განსახილველი დანაშაულის სიმძიმისა და სირთულის და იმ სამართლებრივი შედეგებისა, რომლებიც შესაძლოა დადგეს ასეთი განხილვის შედეგად. პრაქტიკულად შეუძლებელია ზუსტად ითქვას, თუ როდის დაიწყო პირველად ასეთი მისწრაფების გამოვლინება. საკარაულოდ, ეს ჯერ კიდევ იმ დროიდან მომდინარეობს, როდესაც სავსებით მისაღებად და სამართლიანად ითვლებოდა, რომ, თუ არც ისე ხაშიშ პოროტგმოქმედს დანაშაულის ადგილზე წაასწრებდნენ, მაშინათვე „გამათრახებდნენ“ და გაუშვებდნენ.

სამართალწარმოების დიფერენცირებული ფორმების ძიების მასტიმულირებელ ფაქტორთა შორის გარკვეულ როლს თამაშობს ეკონომიკური ფაქტორი. ბევრ ქვეყანაში უკვე დიდი ხანია ისწავლეს არა მარტო სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ფინანსური ხარჯების დაანგარიშება. პოპულისტური განცხადება, რომელსაც ზოგიერთი იურისტი (ძირითადად ისინი, რომელთაც ისტორიკული აქვთ გამოსაკვლევ სამართლებრივ პრობლემათა ე.წ. პუბლიცისტური სტილით გაშუქებისაკენ) მიმართავს დღესდღეობით – „არაფერი ჯდება ისე ძვირი, როგორც იაფი იუსტიცია“ – არ არის უპირობოდ აღიარებული ყველა ქვეყანაში.

უმრავლესობა მათგანი ცხოვრებამ უკვე იაშულა დაეთვალათ და დაეზოვათ გადამხდელთაგან ამოღებული თანხები, მათ შორის სასამართლოებისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების უზრუნველსაყოფად გადახდილი გადასახადები. ამას მოწმობს რიგ ქვეყნებში დამკვიდრებული წესი, რომ ასეთი ორგანოების საქმიანობის შესახებ ყოველწლიურ სტატისტიკურ ანგარიშებში რეგულარულად ქვეყნდება სპეციალური თავები მათი ფინანსირების შესახებ, რომლებიც ხშირად შესაძლოა შეიცავდნენ მონაცემებს ისეთი ხარჯების შესახებ, როგორცაა, მაგალითად, მოქალაქეთა სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა სახით მოწვევის ხარჯები (თითოეული მათგანისა და ყველასი ერთობლივად), ანდა ერთი დღის მანძილზე ჩატარებული სასამართლო სხდომის ხარჯები. ისინი ხანდახან შეიცავენ ასევე ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენი ჯდება სასიკვდილო განაჩენის აღსრულება (დაცვის ზეგანაკეთური სამუშაოს, განაჩენის აღსრულებაში მონაწილე ექიმების დამატებითი ანაზღაურება, განაჩენის უშუალოდ აღმსრულებელთათვის გასამრჯელოს მიცემა, სასჯელმისჯილის მოსაკვდინებლად გამოყენებული პრეპარატის ღირებულება, თუ კანონით დაშვებულია განაჩენის აღსრულება მომაკვდინებელი ინექციის გზით და სხვა).

ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში კანონმდებლები, მოსამართლეები და სასამართლოში პრაქტიკოსი იურისტები ფართოდ აღიარებენ, რომ სხვადასხვა სიძიძისა და სირთულის დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად საეხებით დასაშვებია თანაზომიერი პროცედურები. ვთქვათ, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვა ისეთი დანაშაულის გამო, რომელიც არ ზასიათდება მნიშვნელოვანი სიძიძით და ჩაღნილია ე.წ. ღია პირობებში იმ ადამიანის მიერ, ვინც ნებაყოფლობით და გულწრფელად აღიარებს თავის დანაშაულს – ეს იგივეა, რომ „ზარბაზნიდან ესროდე ბელურებს“.

დასახელებულ და რიგ სხვა ფაქტორთა გათვალისწინებით, როგორც შემდგომი თავების მასალებიდან დავინახაოთ, დღეისათვის სისხლის სამართალწარმოებაში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის გამარტივებული წესები დამკვიდრდა. მათ სხვადასხვაგვარად უწოდებენ – გამარტივებული, სუმარული, დაჩქარებული წარმოება. მათი არსი მდგომარეობს სამართალწარმოების წესების გაცილებით ნაკლებად ზედმიწევნით დაცვაში: ნაკლები მოთხოვნებია მტკიცებულებათა დასაშვებობისადმი, მათი გამოკვლევისა და შემოწმებისადმი, სისრულესა და ყოველმხრივობისადმი, დაცვის უფლების უზრუნველყოფისადმი, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმებისადმი და სხვა.

ასეთი პროცედურის მაგალითად გამოდგება თუნდაც სისხლის სამართლის საქმეთა ე.წ. „საფოსტო გადაწყვეტა“ (იხ. თავი მე-3, §8), რომელსაც საფუძველი აშშ-ში 30-40 წლის წინათ ჩაეყარა და რამდენადმე მოდიფიცირებული სახით ფართოდ ვრცელდება თვით ევროპის ქვეყნებში, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ დიდი სიფრთხილითა და ნეგატიური განწყობით ეკიდებოდნენ ამ ამერიკულ გამოცდილებას. კერძოდ, საფრანგეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში უკვე მოთმინებით უყურებენ პრაქტიკას, როდესაც სამართალდარღვევათა საქმეებზე (contravention) ბრალდებულები სასამართლოში ცხადდებიან ბეჭდით დასაწმებული ქვითრებით (timbre-amende) ჯარიმის გადახდის შესახებ, რომელიც შესაძლოა მათ დაეკისროთ ჩადენილი სამართალდარღვევის გამო (იხ. თავი მე-4, §9). ასეთი ქვითრის წარდგენა წარმოადგენს საქმეზე შემდგომი წარმოების შეწყვეტის საფუძველს.

დამნაშავეობის საყოველთაოდ მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით ბოლო წლებში არსებითად გააქტიურდა ნაკლებად საშიშ დანაშაულთა საქმეებზე სამართალწარმოების რამე სხვა გამარტივებული ფორმების ძიების პროცესი. აქა-იქ უკვე გაჩდა ინტერესი აშშ-ში რამდენიმე ათწლეულის წინათ დამკვიდრებულ „ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების შემთხვევაში გარიგებათა“ დადების პრაქტიკის მიმართ (იხ. თავი მე-3, §5, §6). თანდათანობით ინერგება დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით წარმოშობილ კონფლიქტთა გადაჭრის სხვა ხერხები, – რუსი იურისტებისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი ე.წ. მედიაცია და ტრანსაქცია (იხ. თავი მე-4, §6) და ასევე სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების გამარტივების ზოგიერთი სხვა ფორმა (იხ. მოცემული თავის შემდეგი პარაგრაფი).

სისხლის სამართალწარმოების ლიფერენციაციის გზების ძიებასთან ახლოს დგას საკმაოდ ვაერცელებული და უწყვეტი ძალისხმევა მიმართული სასამართლოთა შემადგენლობების ოპტიმიზაციისაკენ საქმეთა კონკრეტული კატეგორიების (დანაშაულის საშიშროების ხარისხის, მათი სირთულისა და შესაძლო იურიდიული შედეგების) მიხედვით. ბევრი მიიჩნევს, რომ სასამართლოს შემადგენლობის სწორად განსაზღვრა სასამართლოში საქმის განხილვის მეტად უფრო ეფექტური ორგანიზების საწინდარია: ერთი მხრივ, საწინდარია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა დაცვისა შესაძლო სასამართლო შეცდომებისა და თვითნებობისაგან, მეორე მხრივ – ძალებისა და სახსრების დაზოგვისა, რომელიც უმჯობესია შესაბამისი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვას მოხმარდეს. აღნიშნული მიმართულებით განხორციელებულ ძალისხმევათა პერმანენტულობას მოწმობს არა მხოლოდ რუსეთის, ასევე საზღვარგარეთის გამოცდილება.

ეს ძალისხმევა განსაკუთრებით გააქტიურდა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნების პერიოდში. თავდაპირველად ეს იყო კონტინენტური ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები, ხოლო შემდგომში მრავალი სხვანი.

პირველ ხანებში ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ, ცხადია, არა ის საქმეები, რომლებიც შეეხებოდა ნაკლებად საშიშ დანაშაულებს ან დანაშაულებს, რომლებიც არ წარმოადგენდნენ დიდ საშიშროებას. მათი არსებითად განხილვა მინდობილი პქონდათ და დღესაც მინდობილი აქვთ უპირატესად პროფესიონალ-მოსამართლეებს ერთპიროვნულად ანღა მათგან შემდგარ კოლეგიებს.

გაცილებით მეტ ყურადღებას საჭიროებდნენ საქმეები საშიშ დანაშაულის შესახებ. დასახელებულ ქვეყნებში იმ დროისათვის უფრო მეტად საძოხელეო სასამართლოები სჭარბობდა, რომლებიც აბსოლუტიზმის დანატოვარი იყო და მათ საკუთარი თავის მთლიანად დისკრეტიცირება მოახდინეს.

მხოლოდ ინგლისში მოქმედებდნენ სასამართლოები, სადაც მნიშვნელოვანი როლი ეთმობოდა ე.წ. „სახალხო ელექტსს“, ნაოც მსაჯულთა სასამართლოები, რომელთა ჩამოყალიბებაც, ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსის მტკიცებით, ჯერ კიდევ IX საუკუნეში დაიწყო (ასეთი სასამართლოს წარმოშობის შესახებ უფრო ვრცელად იხ. თავი მე-2, §3). ცხრაასი წლის შემდეგ, XVIII საუკუნის ბოლოს სინთ უკვე თავის კლასიკურ ფორმას იძენენ: მათ შემადგენლობაში

ფიოდ იკვეთება ორი ნაწილი - პროფესიონალური მოსამართლეები (მონარქის მიერ ან მისი დაკავლებით დანიშნული სახელმწიფო მოხელეები) და არაპროფესიონალური მოსამართლეები (შემთხვევითი შერჩევის მეთოდით არჩეული ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც დადგინდნენ მოთხოვნებს პასუხობდნენ). პირველებს ევალეობათ მხოლოდ სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა, მათ შორის სასჯელის ზომის საკითხისა, ხოლო მეორეებს - განსასჯელისათვის წარდგენილი ბრალდების დამტკიცებისა თუ დაუმტკიცებლობის საკითხისა (დანაშაულის ჩადენაში მისი დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის). სხვა სიტყვებით, მათ, ვისაც უშუალოდ მოუწია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნებში მონაწილეობა, დიდი არჩევანი არ ჰქონდა. უნდა გადაეწყვიტა, თუ ვის მიაჩნებდა უპირატესობას - მოეზრებულ და საქულველ სამოხელეო სასამართლოს, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

ბუნებრივია, იქ, სადაც მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ბოლო მოელოთ „ძველი რეჟიმის“ სასამართლოებისათვის, ყურადღება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე გადაჰქონდათ. ეს ჯერ საფრანგეთში მოხდა. ნაპოლეონ I-მა აქტიურად დაუჭირა მხარი თავის ქვეყანაში ძირითადად ინგლისური მოდელის მიხედვით ასეთი სასამართლოს შექმნის იდეას. იგი 1808 წლის სსს კოდექსით იქნა გათვალისწინებული, რომელიც შემდგომში, ნაპოლეონის მიერ განხორციელებული დაპყრობების მიხედვით, გაიზიარეს კონტინენტური ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებს, ზოგიერთ მათგანში, ჯერ კიდევ ევროპის მოვლენებამდე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფუნქციონირებდა იმ იდეათა დიდი ზეგავლენით, რომელიც იქ ინგლისელმა კოლონიზატორებმა ჩაიტანეს. როგორც ცნობილია, იყო მცდელობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რუსეთში შემოღებისა 1864 წელს გამოცემულ, იმპერატორის ბრძანებულებით აღიარებულ სასამართლო დებულებათა საფუძველზე.

გამოცდილების დაგროვების შედეგად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი ინტერესი სულ უფრო და უფრო ნელდებოდა. პირველი ნაბიჯი ნიდერლანდებში გადაიდგა, სადაც 1838 წელს მოხდა ამ სასამართლოს უარყოფა როგორც ინსტიტუტისა, რომელიც გარედან მოახვიეს თავს (ნაპოლეონ I-ის მიერ). XIX საუკუნის ბოლოს კონტინენტური ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში გაჩნდა კანონები, რომლებიც ითვალისწინებდნენ, რომ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ (ან ვალდებულნი არიან) მოითხოვონ სათათბირო ოთახში მათთან ერთად გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა

მიიღოს პროფესიონალმა მოსამართლემ (ეს ჯერ შვეიცარიაში მოხდა. შემდეგ საფრანგეთში, ავსტრიაში და ა.შ.).

თავისი არსით ეს პროცესი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების გაფართოებული შემადგენლობების სასამართლოებად თანდათანობით რეორგანიზებას წარმოადგენდა. კლასიკური ფორმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარი ცხოვრებით იყო ნაკარნახევი, ესე იგი უარი სასამართლოს იმგვარ აგებულებაზე, როდესაც მოსამართლეთა ერთი ნაწილი (არაპროფესიონალები) წყვეტდა საკითხს დანაშაულებისა თუ უდანაშაულობის შესახებ, ხოლო მეორე (პროფესიონალები) – სასჯელის ზომისა და კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას წამოჭრილ სხვა საკითხებზე სამართლებრივი ნორმების გამოყენების შესახებ.

შემდგომ ამას მოჰყვა მრავალ ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მთლიანად გაუქმება (ზოგან – მისი ანალოგისაც). მაგალითად, 1919 წელს იგი გაუქმდა უნგრეთში, 1917 წლის მარტში – რუსეთში, 1924 წელს – გერმანიაში, 1931 წელს – იტალიაში, 1945 წელს – საფრანგეთში, 1968 წელს – საბერძნეთში, ხოლო 1987 წელს – ლუქსემბურგში.

დღეს სასამართლოების შემადგენლობათა არჩევანი გაცილებით დიდმა, ვიდრე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნების ეპოქაში იყო.

- გერმანიაში საშიშ დანაშაულთა საქმეები სასამართლოში განიხილება სამი პროფესიონალი და ორი არაპროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით, საფრანგეთში – სამი პროფესიონალი და ცხრა არაპროფესიონალის (assises) შემადგენლობით, იტალიაში – ორი პროფესიონალისა და ექვსი არაპროფესიონალის (სახალხო მოსამართლის – giudici popolari) შემადგენლობით, საბერძნეთში – სამი პროფესიონალი და ოთხი არაპროფესიონალის შემადგენლობით, დანიაში – სამი პროფესიონალი და თორმეტი არაპროფესიონალის შემადგენლობით;
- დაიშვება პროფესიონალ და არაპროფესიონალ მოსამართლეთა სხვა კომბინაციებიც: ფინეთის საოლქო სასამართლოებში, სადაც სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობა განიხილება და ამერიკის საერთო სამხედრო სასამართლოებში, რომლებიც განიხილავენ სამხედრო მოსამსახურეთა საშიშ დანაშაულთა საქმეებს – ერთი პროფესიონალი და ხუთი არაპროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობა განიხილავს; ნიდერლანდების

სამხედრო მოსამსახურეთა დანაშაულთა საქმეების განმხილველ სასამართლოებში მონაწილეობენ – ორი პროფესიონალი (სამოქალაქო პირთაგან) და ერთი არაპროფესიონალი (სამხედრო სამსახურში მყოფი ოფიცერი); ავსტრიის სასამართლოებში – საშუალო სიძძიძის დანაშაულთა საქმეების განხილვისას მონაწილეობს ორი პროფესიონალი და ორი არაპროფესიონალი მოსამართლე, ისლანდიის სასამართლოებში – ერთი პროფესიონალი და მისი მოწვევით ორი არაპროფესიონალ-საკუთარისტი, რომლებიც ერკვევიან კონკრეტული საქმისათვის სპეციფიკურ საკითხებში (არასრულწლოვანთა ფსიქოლოგია, სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაცია და ასე შემდეგ); შვედეთის სასამართლოებში საქმეს განიხილავენ – სამი-ოთხი პროფესიონალი და ორი-სამი არაპროფესიონალი მოსამართლე;

- იაპონიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მათ შორის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მთლიანად უარი ითქვა არაპროფესიონალებზე და სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებას მხოლოდ პროფესიონალთაგან (იაპონიაში – სამი ან ხუთი) შემდგარ კოლეგიებს მიანდობენ.

ზემოთ ჩამოთვლილ და რიგ სხვა ქვეყნებში სასამართლოთა შემადგენლობებისათვის დამახასიათებელია, რომ ისინი ერთიან კოლეგიებს წარმოადგენენ, რომლებიც ერთობლივად გადაწყვეტენ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოჭრილ ყველა საკითხს (სამართლებრივ და არასამართლებრივს). განაჩენის დადგენისას პროფესიონალ და არაპროფესიონალ მოსამართლეებს, როგორც წესი, თანაბარი უფლებები გააჩნიათ. თუმცა, შესაძლებელია ამ წესიდან გამონაკლისებიც არსებობდეს: ფინეთის საოლქო სასამართლოებში გადაწყვეტილების მიღებისას პროფესიონალი მოსამართლის ერთი ხმა უდრის ხუთი არაპროფესიონალი მოსამართლის ხმას; ამერიკის საერთო სამხედრო სასამართლოებში და ანალოგიურ ინგლისის სამხედრო სასამართლოებში პროფესიონალები იურიდიული მრჩეველების როლში გამოდიან და სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობენ, ხოლო არაპროფესიონალები არსებითათა გადაწყვეტენ როგორც ფაქტის თაობაზე საკითხებს, ასევე სამართლებრივ საკითხებს.

თავისებურად განისაზღვრება პროფესიონალ და არაპროფესიონალ მოსამართლეთა უფლებამოსილებანი დანიაში. მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა საქმეები (გარდა ეკონომიკურ საქმიანობასთან, თაღლითობასთან და სხვა მოტყუებით ხერხებთან დაკავშირებულ დანა-

შაულთა საქმეებისა) ამ ქვეყანაში პირველი ინსტიტუციით განიხილება მალალ სასამართლოში (დღეისათვის ორი ასეთი სასამართლო მოქმედებს) სამი პროფესიონალი და თორმეტი არაპროფესიონალის შემადგენლობით. დამნაშაევების შესახებ საკითხის გადაწყვეტა შედის როგორც პროფესიონალი, ისე არაპროფესიონალი მოსამართლეების კომპეტენციაში. მაგრამ ეს ცალ-ცალკე სხდომათა პარალელურად ჩატარების გზით ხდება: პროფესიონალებმა განსასჯელის დამნაშაევობის შესახებ დასკვნა ხმათა უბრალო უმრავლესობით უნდა მიიღონ (სამიდან ორი ხმით), ხოლო არაპროფესიონალებმა – კვალიფიციური უმრავლესობით (თორმეტიდან არანაკლებ რვა ხმისა). საბოლოოდ პირის დამნაშაევდ ცნობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიონალ და არაპროფესიონალ მოსამართლეთა დასკვნები ერთნაირი იქნება. ამის შემდეგ, ერთობლივ სხდომაზე ისინი იღებენ გადაწყვეტილებას სასჯელის ზომის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კენჭის ყრის დროს არაპროფესიონალს აქვს ერთი ხმა, ხოლო პროფესიონალს – ოთხი. სხვა სიტყვებით, თითოეულ კოლეგიას აქვს ხმათა თანაბარი რაოდენობა – თორმეტ-თორმეტი ხმა.

არსებითად, ასეთი სასამართლო და ზემოთ ჩამოთვლილი სასამართლოთა შემადგენლობები არ შეიძლება მიეკუთვნოთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებს. ესენი წარმოადგენენ სასამართლოებს გაფართოებული კოლეგიითა და გადაწყვეტილების მიღების განსაკუთრებული წესით.

სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ სასამართლოთა შემადგენლობების დახასიათებასთან დაკავშირებით ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე ამ სფეროში მომხდარი ცვლილებები შეეხო აგრეთვე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებს იქ, სადაც ისინი ჯერ კიდევ არსებობს.

ეს გამოიხატა ერთი მხრივ – პროფესიონალების, ხოლო, მეორე მხრივ – არაპროფესიონალების (ნაფიცი მსაჯულების) როგორც რაოდენობრივი შემადგენლობის, ასევე უფლებამოსილებათა წრის კორექტირებაში. დღეისათვის ასეთი სასამართლოს პროფესიონალურ ნაწილს შეიძლება წარმოადგენდეს არა ერთი მოსამართლე, არამედ – რამდენიმე (სამი და უფრო მეტი), ხოლო არაპროფესიონალურს – არა მხოლოდ „ტრადიციული“ თორმეტი, არამედ – 15 (შოტლანდია), 8 (ავსტრია), 10 (ნორვეგია), 12-დან – 6-მდე (აშშ-ს შტატებში).

ზოგან მოდიფიცირებულია უფლებამოსილებათა წრე: მაგალითად, ავსტრიაში, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებთან შედგენილი სამართლოები შედგება სამი პროფესიონალი და რვა არაპროფესიონალი.

ისაგან, ფაქტის (დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის) შესახებ საკითხი შესაძლებელია განიხილონ ნაფიცმა მსაჯულებმა პროფესიონალურ მოსამართლეებთან ერთად. ბელგიაში (აქ ეს სასამართლო აგებულია „სამს მიმატებული თორმეტი“ ფორმულის მიხედვით) ასეთი ერთობლივი განხილვა მიმდინარეობს სასჯელის ზომის განსაზღვრისას.¹ ბელგიის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტი იქ ჯერ განსასჯელის დაუსწრებლად ცხადდება და, თუ იგი გამოტანილია ხმათა უბრალო უმრავლესობით (შვიდი მხარს უჭერს და ხუთი წინააღმდეგია), მაშინ პროფესიონალ მოსამართლეებს შეუძლიათ არ დაეთანხმონ მათ, რაც განსასჯელის გამართლებას ნიშნავს.

ზემოთ მოყვანილი და სხვა თავისებურებანი, ცხადია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ასეთი სახის ქვეყნებში არსებით „კოლორიტს“ მატებს (ფაქტობრივად იგი უკვე ნაკლებად ემსგავსება კლასიკურ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს).

§6. სისხლის სამართალწარმოების დაახლოებისა და კარმონიზაციის ტენდენცია

თანამედროვე სამყაროს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სისხლის სამართალწარმოების დახასიათებისას შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს მისი ინსტიტუტების შინაარსისა და ფორმის დაახლოებისა და მათი პარმონიზაციის მყარი ტენდენცია. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტორთა აქტიური ზეგავლენის ქვეშ მიმდინარეობს, რომლებიც წარსულშიც და ახლაც გარედან მოქმედებდნენ სახელმწიფოთა საშინაო ცხოვრებაზე, მათ შორის მათი სამართლის განვითარებაზე, მის ყველა დარგზე სისხლის საპროცესო სამართლის დარგის ჩათვლით. ასეთ ფაქტორთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საერთაშორისო-სამართლებრივი (სახელმწიფოთაშორისო) თანამშრომლობა და სამართლებრივ საკითხებზე სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის გაცვლა.

სამართლებრივი სისტემების ურთიერთგავლენის სათავეები საუკუნეთა სიღრმეში იკარგება. დღეს ძნელია იმის თქმა, თუ საიდან და როდის დაიწყო იგი. შესაძლებელია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მას საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოთა მმართველების პირველმა მო-

¹ აშშ-ში უკვე დიდი ხანია შეინიშნება ნაფიც მსაჯულთა საკმაოდ დიდი სიფრთხილი დამტყა მსჯავრდებულთათვის სასჯელის ზომის განსაზღვრაში (იხ. თავი მე-3, §7).

ლაპარაკებებმა რამე ურთიერთმისაღები ქცევის წესების დადგენის შესახებ, მათ შორის ისეთი წესებისა, რომლებიც დანაშაულთა შესახებ საქმეებზე წარმოების წესზე აისახებოდნენ. არ არის გამორიცხული, რომ პირველი ნაბიჯები იყო სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებები დანაშაულთა გადაცემაზე, რამე ქონების ამოღებაზე, რომელიც მოპოვებული იყო არაპატიოსანი გზით და მისი დაინტერესებული მხარისათვის გადაცემაზე და ასე შემდეგ. ცხადია, ასეთი სახის შეთანხმებებს შეუძლებელია ზეგავლენა არ ჰქონოდათ შესაბამისი ქვეყნების შიდა კანონმდებლობის შინაარსზე.

პარალელურად მიმდინარეობდა სამართალშემოქმედებისა და სამართალგამოყენების გამოცდილების ურთიერთშესწავლის პროცესი, ამ გამოცდილების შეფასება და ყველაფერი დადებითის გათვალისწინება, რასაც შეეძლო ხელი შეეწყო ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტების სრულყოფისათვის. ეს პროცესი ასევე საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარეობს. საკმარისია გავიხსენოთ, მაგალითისათვის:

- პეტრე I-ის რეფორმატორული ძალისხმევა XVIII საუკუნის დასაწყისში, რასაც საფუძვლად დაედო მის მიერ დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში შეძენილი ცოდნა, მათ შორის სახელმწიფო-სამართლებრივი კონფლიქტების გადაწყვეტის სფეროში;
- საფრანგეთის გამოცდილების პირდაპირი გავლენით XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში მრავალ ქვეყანაში განხორციელებული სამართლებრივი სისტემების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნები;
- იმ პერიოდშივე, ევროპის კონტინენტზე ჩასახულ იდეათა გათვალისწინებით განხორციელებული არსებითი კორექტირება სამართლებრივი სისტემისა, რომელიც ინგლისელმა კოლონიზატორებმა შემოიტანეს ჩრდილოეთ ამერიკაში (დაწერილი კონსტიტუციების მიღება, მეტი პატივისცემის დამკვიდრება კანონებისაღმდეგ, რომლებიც მიიღებოდა თავისუფლად არჩეული ხალხის წარმომადგენლების მიერ, და სხვა);
- 1864 წელს დაწყებული რუსეთის სასამართლო რეფორმა, რომელსაც წინ უსწრებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების მრავალწლიანი და საგულდაგულო შესწავლა, შერჩევა და შემოქმედებითი გამოყენება (და არა გაუაზრებელი კოპირება) იმის, რასაც შეეძლო დადებითი შედეგები ჰქონოდა იმდროინდელი რუსეთის კონკრეტულ პირობებში.

სხვადასხვა სახელმწიფოთა ურთიერთზემოქმედება სისხლის სამართალწარმოების ფორმირებასა და განვითარებაზე განსაკუთრებით გააქტიურდა და დინამური სახე მიიღო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ფაშისმის ბატონობის პერიოდში და მასთან ბრძოლის დროს მიღებული მწარე გამოცდილება მოითხოვდა ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც მიმართული იქნებოდა არა მარტო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, არამედ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო აღიარებაზე, და ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ განვითარებასა და წახალისებას. ეს კეთილი განზრახვა ზოგადაა დაფიქსირებული გაეროს დებულებაში.

მომდევნო ნაბიჯი, როგორც ცნობილია, 1948 წლის დეკემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია გახდა, რომელმაც შემდგომში სახელმწიფოთა ფართო აღიარება მოიპოვა. ამ საერთაშორისო დოკუმენტით საფუძველი ჩაეყარა მრავალი სხვა დოკუმენტის შემუშავებასა და მიღებას, მათ შორის ისეთებისა, რომლებიც მეტ-ნაკლებად შეეხებიან სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ კონკრეტულ სამართლებრივ პრობლემათა გადაწყვეტას.

მათ რიცხვს შესაძლებელია მივაკუთვნოთ შემდეგი დოკუმენტები: საერთაშორისო პაქტები ადამიანის უფლებათა შესახებ (1966წ.); კონვენცია სამხედრო დანაშაულებსა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ხანდაზმულობის ვადის გამოყენებაზე უარის შესახებ (1968წ.); კონვენცია წამების, სხვა მკაცრი, არაადამიანური ანდა ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის სახეების წინააღმდეგ (1984წ.) და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები სავალდებულოა იმ სახელმწიფოთათვის, რომლებიც მათ რატიფიცირებას ახდენენ. მათ გვერდით სავსებით შესაძლებელია მიუთითოთ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ სხვადასხვა დროს მოწონებული დოკუმენტები, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის პრინციპები სამხედრო დანაშაულებში და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ბრალდებულ პირთა გამოვლენის, დაპატიმრების, გადაცემისა და დასჯის შესახებ (1973წ.); მართლწესრიგის დასაცავად თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი (1979წ.); მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები (1985წ.); დანაშაულისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია (1985წ.); დაკავებას ან ნებისმიერი სხვა ფორ-

მით დაატიმრებას დაქვემდებარებულ ყველა პირის დაცვის პრინციპ-
თა კრებული (1988წ.); სანიმუშო ხელშეკრულება გადაცემის შესახებ
(1990წ.); სანიმუშო ხელშეკრულება სისხლის სამართლის საქმეებზე
ურთიერთდახმარების შესახებ (1990წ.); სანიმუშო ხელშეკრულება პი-
რობითად მსჯავრდებულ ან პირობითად გათავისუფლებულ სამართალ-
დამრღვევთა მიმართ ზედამხედველობის გადაცემის შესახებ (1990წ.);
სანიმუშო ხელშეკრულება სისხლის სამართალწარმოების გადაცემის
შესახებ (1990წ.).

გაეროს სხვადასხვა ორგანოების მიერ მოწონებული ამ და ზოგი-
ერთი სხვა დოკუმენტის საფუძველზე, მათი შემუშავებისა და მიღების
პარალელურად მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს დამნაშავეო-
ბასთან ბრძოლის სფეროში პრაქტიკულ ურთიერთმოქმედებათა მოწეს-
რიგების პროცესი, რაც თანდათანობით გამოვლინდება სისხლის სამარ-
თლის საპროცესო სისტემების სრულყოფასა და მათ იმ თანამედროვე
სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაში, რომლებიც აღიარებულია
დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ.

ურთიერთმოქმედებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეცნიერთა
და პრაქტიკოსთა კონტაქტები როგორც არასამთავრობო საერთაშორისო
ორგანიზაციების ხაზით, რომლებიც აერთიანებენ დამნაშავეობის წინააღმ-
დეგ ბრძოლის სფეროში საციალიზებულ პროფესიონალებს, ასევე გაერო-
სა და მისი სხვადასხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების ხაზით.

ამ სახის ორგანოებსა და ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან ისინი,
რომლებიც მოქმედებენ გენერალური ასამბლეის, ეკონომიკური და სო-
ციალური საბჭოს ეგიდით – პირველ რიგში ადამიანთა უფლებათა
კომისია, სოციალური განვითარების კომისია, დამნაშავეობის თავიდან
აცილებისა და მასთან ბრძოლის კომიტეტი და გაეროს სამდივნოს
შესაბამისი დანაყოფები (კერძოდ, დანაშაულთა თავიდან აცილებისა და
სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების სექცია, რომელიც
გაეროს სამდივნოს სოციალური განვითარების განყოფილების შემად-
გენლობაში შედის).

სისხლის სამართლის საპროცესო სისტემების დაახლოებასა და
უნიფიკაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გაეროს კონგრესებს
დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებისადმი
მოპყრობის შესახებ, რომლებიც რეკლამარულად მოიწვევა და რომ-
ლებსაც სავსებით წარმოსადგენლობითი ხასიათი აქვთ. წინადადებები
გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ „კურთხეული“ ზემოთ ჩამოთ-
ვლილი მრავალი საერთაშორისო დოკუმენტის შექმნის თაობაზე გა-

მოთქმული იყო და კონკრეტული დოკუმენტის პროექტის ფორმას იძენდა სწორედ ასეთ კონგრესებზე.

დოკუმენტებმა, რომლებმაც ავტორიტეტი მოიპოვეს იმის გამო, რომ ისინი შემუშავებული იყო გაეროს წევრ სახელმწიფოთა სამართლებრივი რეალიების მაქსიმალური გათვალისწინებით, უკვე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიეს კონკრეტული ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის შინაარსზე და მისი გამოყენების პრაქტიკაზე, სისხლის სამართლის პროცესის პრინციპულ დებულებათა შესახებ მათ პოზიციათა დაახლოებაზე.

ამ ზეგავლენის შემჩნევა რთული არ არის. დღეს ძნელია მოიძებნოს ქვეყანა, რომლის კანონმდებლობა, სამართალგამოყენებითი პრაქტიკა და იურიდიული დოქტრინა არ აღიარებდეს ამ დოკუმენტებში აღნიშნულ, ვთქვათ, უდანაშაულობის პრეზუმფციას, დაცვის უფლებას, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას შეჯიბრებითობის უპირატესობას, საქმეთა ღიად განხილვის მოთხოვნას და სამართალწარმოების სხვა დემოკრატიულ ინსტიტუტებს. როგორც გაეროს სამდივნოსა და სხვადასხვა ორგანოების დავალებით გამოკვლევის მწარმოებელი სპეციალური მომხსენებლები მოწმობენ, თანამედროვე სამყაროში უკვე მრავალი ქვეყანა არსებობს, სადაც სასამართლოები თავიანთ განაჩენებში ეყრდნობიან უკვე უშუალოდ ადამიანის უფლებათა შესახებ საყოველთაო დეკლარაციას ან სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტს.

გაეროს ფარგლებში, წინათ და ახლა განხორციელებულ ძალისხმევათა პარალელურად, მიმდინარეობდა და მიმდინარეობს რეგიონალურ დონეზე საერთაშორისო ურთიერთსაქმიანობის პროცესი – დასავლეთ ევროპა, აფრიკა, ლათინური ამერიკა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და სხვა. თითოეული რეგიონის ფარგლებში, ისევე როგორც პლანეტარული სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობის მასშტაბებში გაეროს ეგიდით, თავისი „ადგილობრივი“ სპეციფიკის გათვალისწინებით, ხდება შემუშავება და მიღება შესაბამისი შეთანხმებებისა, რომლებიც გარკვეულ, მათ შორის სისხლის სამართლის საპროცესო ხასიათის ვალდებულებებს ითვალისწინებენ. აღნიშნული ფაქტორი აქტიურ ზეგავლენას ახდენს შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობაზე, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე.

ვფიქრობთ, რეგიონალურ საერთაშორისო თანამშრომლობაში პირველი ადგილი ევროპის კავშირის სახელმწიფოებს უკავიათ, რასაც რიგი ფაქტორები განაპირობებენ:

- ერთ-ერთი მათგანია – იმ ვალდებულებათა უზენაესობის აღიარება, რომლებიც მიღებულია ამ სახელმწიფოთა მიერ ევროპის კავშირის შექმნის შესახებ რომის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას. ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, მხარეები კისრულობდნენ ვალდებულებას იმ სამართლებრივი აქტების იმპლემენტირებისა (რეალიზებისა), რომლებიც მიიღება ამ კავშირის ორგანოების მიერ და ვალდებულებას – თავი შეეკავებინათ თავისი ისეთი ეროვნული სამართლებრივი აქტების მიღებისაგან, რომლებიც არ შეესაბამებოდნენ კავშირის ორგანოების აქტებს ანდა ხელს უშლიდნენ მათ ცხოვრებაში გატარებას;
- მეორე – ავტორიტეტულობის აღიარება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებისა, რომელიც მასთან აღძრული საქმეების გადაწყვეტისას იძლევა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სამართლებრივ დანაწესთა განმარტებას, გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციით. მისი ოქმებით და სხვა შეთანხმებებით, რომლებიც ამ სახის საკითხებს შეეხება. საბოლოო ჯამში, აღნიშნული გარემოება ახდენს სისხლის სამართალწარმოების პარამონიზაციის უზრუნველყოფას შესაბამის ქვეყნებში;
- მესამე – მოცემული ფაქტის ქვეყნების მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შემუშავება და მიღება მათ მიერ დადებულ რეგიონალურ ხელშეკრულებებზე, რომლებიც სპეციალურად ეძღვნება სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების კონკრეტულ პრობლემებს. მათ შეიძლება მიეკუთვნოთ, ეთქვას, ზემოთ მოყვანილი ევროპის კონვენცია გადაცემის შესახებ (1957წ.), ევროპის კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდამხმარების შესახებ (1959წ.), ევროპის კონვენცია სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის გადაცემის შესახებ (1972წ.), ევროპის კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა საერთაშორისო მოქმედების შესახებ (1970წ.), ევროპის კონვენცია ძალადობრივ დანაშაულთა მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ (1983წ.), დეკლარაცია პოლიციის შესახებ (1979წ.).

მოცემული რეგიონის სახელმწიფოთა თანამშრომლობა სისხლის სამართალწარმოების სფეროში არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აღნიშ-

ნული დოკუმენტების მიღებით. 1996 წლის 29 მარტიდან 1997 წლის 18 ივნისამდე პერიოდში შედგა ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების სამთავრობათაშორისო კონფერენცია და ამ ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრები უმაღლეს დონეზე, რომელთა მსვლელობისას შეძუშავებულა წინადადებები იმ ხელშეკრულებათა სრულყოფისათვის, რომლებიც კავშირის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს (მის კონსტიტუციას – როგორც მას ხანდახან უწოდებენ). მისი მიზანი იყო შესაბამის სახელმწიფოთა თანამშრომლობის პერსპექტივათა დასახვა XXI საუკუნისათვის. ამ ღონისძიებათა და მათ შემდეგ გამართული დისკუსიების შედეგად 1998 წლის 2 ოქტომბერს შესაბამის ქვეყნებში ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომელიც ამსტერდამის ხელშეკრულების სახელწოდებით არის ცნობილი.

ამ მრავალგვემიურ დოკუმენტში, რომელიც ქვეყნების საერთაშორისო და შიდა ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს შეეხება, გარკვეული ადგილი დაეთმო ასევე დამნაშავეობასთან ბრძოლისა და სისხლის სამართალწარმოების სამართლებრივი რეგლამენტაციის სფეროში თანამშრომლობის სრულყოფისათვის მისაღები ზომების განსაზღვრას.¹ მის კომენტარებში, რომელიც ევროპის პარლამენტის საინფორმაციო სამსახურმა გააერცელა, აღნიშნულია, კერძოდ, რომ „... ერთი წევრ-სახელმწიფოდან მეორეში გადაადგილების თავისუფლების დაშება რამე საგარეო საზღვრების დადგენის გარეშე არანაირად არ უნდა ხელყოფდეს (ევროპის – კ.გ.) კავშირში მცხოვრებ ხალხთა უსაფრთხოებას. ჩვეულებრივი დამნაშავეობა და ისეთი დამნაშავეობა, როგორიცაა ტერორიზმი, ბავშვების მიმართ ხელყოფა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა და თაღლითობა, რასიზმი და ქსენოფობია გასცდა ეროვნულ საზღვრებს. ამიტომ კავშირს უნდა შეეძლოს, რამდენადაც ამას საჭიროება მოითხოვს, გააერცელოს ამ საზღვრების ფარგლებგარეთ თავის მოქალაქეთა დაცვა ასეთ უბედურებათაგან და შეუქმნას მათ ცხოვრების უსაფრთხო პირობები.

(ამსტერდამის – კ.გ.) ხელშეკრულება... არსებითად გაზრდის კავშირის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის, სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციისა და სასამართლოების თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის უფრო ეფექტურ მოქმედებათა განხორციელების შესაძლებლობებს. პოლიციის ძალების, საბაჟო სამსახურებისა და სხვა სპეციალიზირებულ ორგანოთა თანამშრომლობა, რომლებიც

¹ ამსტერდამის ხელშეკრულების ნაწილი VI (გვ. 29-42) იხ. ინტერნეტ-მისამართზე: http://europa.eu.int/eur-lex/en/treaties/dat/eu_cons_treaty_en.pdf.

მონაწილე სახელმწიფოებში უზრუნველყოფენ სამართლებრივ დანაწეს-
თა იძულებით აღსრულებას, განმტკიცდება დანაშაულთა თავიდან აც-
ილების, გახსნისა და გამოძიების მიზნით. მოხდება ევროპის პოლიციის
სამსახურის (ევროპოლის) ოპერატიული გავლენის მნიშვნელოვანი
სრულყოფა. კავშირის იურიდიულ საშუალებათა მასშტაბების, ეფექ-
ტურობის გაფართოებასა და ევროპის პარლამენტისა და ევროპის სა-
სამართლოს (Court of Justice) როლის ამაღლებასთან ერთად კავშირის
მოქმედებანი აღნიშნულ სფეროში ხარისხიანად შეიცვლება“.

საესებით გასაგებია, რომ ასეთი შეთანხმებულ მოქმედებათა პრო-
გრამა მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს შესაბამისი ქვეყნების სისხ-
ლის სამართალწარმოებაზეც, გამოიწვევს მისი კონკრეტული ინსტი-
ტუტების შემდგომ დაახლოებასა და, შესაძლებელია, მათ უნიფიკაციას.
ზოგიერთი დასავლეთელი იურისტი საკმაოდ დასაბუთებულად საუბრობს
და წერს „სისხლის სამართლის პროცესის ევროპული მოდელისაკენ
მოძრაობის“, სისხლის სამართლის საპროცესო კონვენციის შესახებ,
რომელიც დაიწყო, ახლაც გრძელდება და გამოვლინდება არა მხოლოდ
შესაბამისი სამართლებრივი ინსტიტუტების, არამედ მთლიანად სამართ-
ლებრივი სისტემების დაახლოებასა და უნიფიკაციაში.

ეს პროცესი არ იქნება მარტივი, რამდენადაც ბოლო წლებში
ევროპის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში შეიმჩნევა რეფორმატორუ-
ლი გააქტიურება. ბევრ ამ ქვეყანაში ხშირად ცდილობენ მოიფიქრონ
რამე ორიგინალური, რაც განსხვავდება იმისაგან, რასაც საერთაშორისო
ურთიერთობის გამოცდილება კარნახობს, ვინაიდან თითოეულ მათგანში
ჩამოყალიბებულია საერთაშორისო, მათ შორის რეგიონალურ დონეზე
მიღებულ დოკუმენტებში დაფიქსირებულ სამართლებრივ მოთხოვნათა
საკუთარი ხეღვა. ამას გარდა, ერთი შეხედვით იდეალური, თუმცა აბსტ-
რაქტული გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ასეთი სახის დოკუმენტები
შეიცავს, ზოგან კონფლიქტში მოდის ცხოვრებასთან. დასავლეთ ევ-
როპის რეგიონის მრავალი ქვეყანა განიცდის დანაშაულებებისა და სხვა
სამართალდარღვევათა მნიშვნელოვან ზრდას, ეკონომიკური წყობილების
პრობლემათა ზეწოლას, იძულებულია ანგარიში გაუწიოს კონკრეტულ
პირობებში ჩამოყალიბებულ თავის სამართლებრივ და კულტურულ
ტრადიციებს და ასე შემდეგ.

ყველაფერი ეს „არაშაბლონური“, მათ შორის კლასიკური ევრო-
პული სტანდარტების შეუსაბამო გადაწყვეტილებათა ძიებისაკენ უბი-
ძგებს, კერძოდ, სულ უფრო ფართოდ შემოდის ბრუნვაში სისხლის
სამართლებრივი კონფლიქტების გადაწყვეტის (მედიაციური და სხვა

პროცესურის ტიპის) გამარტივებული ხერხები (მაგალითად, იხ. თავი მე-3, §5 და თავი მე-4, §6).

ამასთან ერთად, ევროპაში სულ უფრო აქტიურად იჭრება ზემოთ მოყვანილი საპროცესო ინსტიტუტი, რომელსაც „ბრალდებულის მიერ თავისი დანაშაულის აღიარების შემთხვევაში გარიგებას“ უწოდებენ (იხ. თავი მე-3, §6), თუმცა ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ევროპელი იურისტები აღნიშნულ ინსტიტუტს მიუღებლად მიიჩნევდნენ და მკაცრად აკრიტიკებდნენ მას. ზოგიერთი ქვეყანა მას თითქმის მთლიანად იზიარებს (მაგალითად, ინგლისში უკვე ინერგება პრაქტიკაში მოსამართლეთა აქტიური მონაწილეობით ბრალმდებელთა და ბრალდებულთა და მათ დამცველთა შორის სწორედ ასეთი სახის გარიგებათა დადების მიზნით მოლაპარაკებების გამართვა).

მართალია, მოცემული ინსტიტუტი მისი „პირვანდელი“ სახით ყველგან არ მოქმედებს, ვინაიდან ვერ „ჯდება“ კონტინენტურ სისხლის სამართალწარმოებაში. მას საფუძვლად უდევს იმ პრინციპებისაგან განსხვავებული პრინციპები, რომლებმაც ფართო გავრცელება და აღიარება ჰპოვეს ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემების ქვეყნებში. მაგალითისათვის გამოდგება იტალიის გამოცდილება, სადაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შედარებით ახლახან მიდიოდა დისკუსია სისხლის სამართლის პროცესის სრულყოფის შესახებ, რაც დასრულდა 1988 წელს ახალი სსს კოდექსის მიღებით. დისკუსიის მსვლელობისას განიხილებოდა ასევე წინადადება „ბრალდებულის მიერ თავისი დანაშაულის აღიარების შემთხვევაში გარიგების“ შესაძლო დასესხების შესახებ, ვინაიდან ეს გარიგებანი გარკვეულწილად საშუალებას იძლევა მოხდეს სასამართლოთა განტვირთვა და, შესაბამისად, მათ შენახვაზე ასივნებული სახსრების დაზოგვა.

წინადადებას მხარი არ დაუჭირა პრაქტიკოსთა და თეორიტიკოსთა უმრავლესობამ და პარლამენტმა სსს კოდექსის პროექტის განხილვისას. ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლება იყო ის, რომ ამ ქვეყანაში არსებული ძველი სამართლებრივი ტრადიციების გამო სისხლის სამართლის ფუძემდებლურ საყრდენს წარმოადგენს ის, რასაც რუსი პროცესუალისტები საჯაროობის (ოფიციალურობის) პრინციპს უწოდებენ. მის თანახმად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სახელმწიფო (მის კომპეტენტურ ორგანოთა და თანამდებობის პირთა სახით) მიიღებს რა ინფორმაციას დანაშაულის ჩადენის შესახებ, იურიდიულად ვალდებულია დაიწყოს წარმოება ამ ფაქტის გამო და განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა (იტალიის სსს კოდექსი უშვებს გამო-

ნაკლისს იმ საქმეთა მიმართ, რომლებიც ძალიან მოგვაგონებს რუსულ კერძო ბრალდების საქმეებს). ასეთ ორგანოს ან თანამდებობის პირს არ აქვს უფლება დისკრეციულ შეხედულებაზე, რომელიც ორიენტირებულია მიზანშეწონილობაზე. ისინი მკაცრად უნდა იცავდნენ კანონის მოთხოვნებს: უზრუნველყონ ბრალდებულის მიცემა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში სწორედ იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა. ვაჭრობა (შეთანხმების დადება) ბრალდებაზე დაუშვებელია.

ძირითადად მოცემული გარემოება იყო მიზეზი, რომ არ მოხდა „ბრალდებულის მიერ თავისი დანაშაულის აღიარების გამო გარიგების“ კოპირება. თუმცა მის ნაცვლად იტალიის კანონმდებლობაში სხვა დებულებანი გაჩადა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა არ მივიდეს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში არსებითად განხილვამდე ჩადენილ დანაშაულთა გამოვლენის ყველა შემთხვევაში (იხ. იტალიის ს.ს. კოდექსის 314-ე მუხლი, 444-ე – 448-ე მუხლები, 459-ე მუხლი და იტალიის სს კოდექსის 162-ე მუხლი):

- ერთ-ერთმა ასეთმა დებულებამ „შეკვეცილი განხილვის“ (guidizio abbreviato) სახელწოდება მიიღო. იგი დასაშვებად მიიჩნევს განაჩენის გამოტანას უკვე სისხლის სამართლის საქმეთა მოსამართლესთან წინასწარი განხილვისათვის მოსმენის სტადიაზე¹, თუ ბრალდებული თავს დამნაშავედ ცნობს და წარადგენს შუამდგომლობას შეკვეცილი განხილვის თაობაზე, ხოლო პროკურორი წინააღმდეგი არ იქნება ასეთი შუამდგომლობისა. ამასთან, ბრალდებულს უფლება წარმოეშობა, რომ მისი სასჯელი შეეცირებული იყოს ერთ მესამედზე (აღნიშნული პროცედურა არ ვრცელდება იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებიც უკალო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). ასეთი პროცედურა ორივე მხარისათვის „ხელსაყრელია“: ბრალდებული იღებს არსებითად შემსუბუქებულ სასჯელს, ხოლო სახელმწიფო თავისუფლდება სასამართლო განხილვის ჩატარების აუცილებლობისაგან, რომელიც მნიშვნელოვან დროს მოითხოვს და საკმაოდ ძვირი ჯდება;

¹ ასეთი სტადია და მოსამართლის თანამდებობა შემოღებულია 1988 წლის სსს კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით. თავისი მიზნებითა და მინარსით სტადია ძალიან წააგავს მოსამართლელ მოქმედებებს (preliminary examination, preliminary enquiry, committal proceedings), რომლებსაც ინგლისსა და აშშ-ში განასორციელებენ უძაბლესი რეგლის სასამართლოთა მოსამართლეები ან საერთო იურისდიქციის სასამართლოების სტატში მყოფი უძაბლესი რანგის მოსამართლეები (მაგალითად, აშშ-ს ფედერალური საოლქო სასამართლოების მაგისტრატები – იხ. თავი მე-3, §3) მანამდე, ვიდრე საქმე არსებითად განხილვად გადაიყვანეს პირველი ინსტანციის სასამართლოში (სსსკოდი სახის მოქმედებების შესახებ იხ. თავი მე-2, §8 და თავი მე-3, §6).

- მეორეს „მხარეთა შეთანხმებით სასჯელის დანიშვნას“ უწოდებენ (applicazione della pena su richiesta delle parti). მისი არსი მდგომარეობს ჯერ კიდევ წინაწარი მოსმენისას პროკურორისა და დამცველის ერთობლივი წარდგინებით სასჯელის დანიშვნაში, რომელიც არ აღემატება 2 წლით თავისუფლების აღკვეთას. სასამართლო განხილვა არც ამ შემთხვევაში ტარდება. თუ მსჯავრდებული ხუთი წლის მანძილზე არ ჩაიდენს ასეთ დანაშაულს ან სხვა, ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით დასჯად დანაშაულს, მაშინ იგი ნასამართლობის არქონედ ითვლება;
- მესამე ითვალისწინებს პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანის შესაძლებლობას (decreto penale di condanna), რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი განხილვის მოსამართლისადმი მიმართულ შუამდგომლობას უზნიშვნელო დანაშაულში (რომელიც სასჯელის ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან სამ თვემდე პატიმრობას) ბრალდებული პირის დამნაშავედ ცნობისა და მისთვის ჯარიმის დანიშვნის შესახებ. რომლის ოდენობაც არ აღემატება იტალიის სს კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური ზღვრული ჯარიმის 50%-ს. გადაწყვეტილება ბრალდებულის დაუსწრებლად მიიღება. მაგრამ თუ ეს უკანასკნელი წინააღმდეგია, გადაწყვეტილება კარგავს ძალას, რაც იწვევს სასამართლო განხილვის დანიშვნას და საქმის არსებითად განხილვას პირველი ინსტანციის სასამართლოში;
- დაიშვება, ასევე, სისხლისსამართლებრივად დასჯად გადაცდომაზე საქმის წარმოების შეწყვეტა, თუ ბრალდებული ნებაყოფლობით შეიტანს იტალიის სს კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის მაქსიმალური ზღვარის 50%-ს და აანაზღაურებს სასამართლო ხარჯებს.

მოყვანილ დებულებათა შესახებ კანონპროექტების განხილვისას ბევრი იტალიელი იურისტი და პოლიტიკოსი წინასწარმეტყველებდა მათი მეტად ფართოდ გამოყენებას. საუბარი იყო, რომ 80% სისხლის სამართლის საქმეებისა, მათ შორის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა საქმეებისა, განხილული იქნებოდა შეკვეცილი წესით მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სიღრმისეული ანალიზისა და პიროვნების უფლებათა საპროცესო გარანტიების დაცვის გარეშე. შიშობდნენ, რომ პრაქტიკაში ეს გამოიწვევდა კანონიერებაზე ტრადიციულ შეხედულება-

თა ღეფორმაციას, შესაძლებლობას მისცემდა საშიშ დაზნაშაეეებს „თაეი დაეპერინათ“ პასუხისმგებლობისაგან, რომელსაც ისინი იმსახურებდნენ, დაეცემოდა კანონისა და მართლმსაჯულების ავტორიტეტი, გაიზრდებოდა დაზნაშაეეობა და სხვა. ათ წელზე მეტი დასჭირდა, რომ ახალი დებულების გამოყენება დამკვიდრებულყო, დღეს კი მისი პრაქტიკა უკვე სტაბილურია და იგი არ ამართლებს პროგნოზებს: ყოველწლიურად ყველა სისხლის სამართლის საქმეთა საშუალოდ მხოლოდ 20% განიხილება აღნიშნული პროცედურის დაცვით.

ისევე, როგორც გაეროს ეგიდით განხორციელებული თანამშრომლობის დროს, დასავლეთ ევროპის რეგიონში სისხლის სამართლის საპროცესო სისტემათა დაახლოებისა და ქარმონიზაციის მიღწევა სულ უფრო მეტად დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყნების (მეცნიერი და პრაქტიკოსი) იურისტების პროდუქტიულ თანამშრომლობაზე, მათ პირად ურთიერთობებსა და სამეცნიერო კონტაქტებზე, სამართალშემოქმედებით და სამართალგამოყენებითი პრაქტიკის სრულყოფისათვის რეკომენდაციების შესამუშაებლად საინტერესო სამართლებრივი ინფორმაციის ურთიერთგაცვლაზე.

ურთიერთობის ასეთი ფორმები განსაკუთრებით გააქტიურდა ბოლო ათწლეულების მანძილზე, რაც სამართლისმცოდნე სპეციალისტების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სახის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში და სხვა) გამოვლინდა. იქ არა მხოლოდ აზრთა ურთიერთგაცვლა ხდებოდა, არამედ იყო მცდელობები კონკრეტულ სამართლებრივ, მათ შორის სისხლის სამართლის საპროცესო პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტილებების ძიებისა, რომლებიც ასეთი პრობლემების გადაწყვეტის გზების შესახებ თანამედროვე შეხედულების შესაბამისი იქნებოდა. ამასთან, ბუნებრივია, გამორიცხულია დიქტატი ან რამე კონკრეტულ გადაწყვეტილებათა ერთმანეთისათვის თავს მოხვევა. მიმდინარეობს ურთიერთმისაღები ორიენტირების შემუშავების ნორმალური პროცესი, რომლის ფარგლებშიც თითოეულმა ქვეყანამ ადგილობრივი პირობებისა და სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინებით უნდა სრულყოფს თავისი სისხლის სამართალწარმოება.

ამ სახის ორიენტირები გამოირჩევა თავისი არსებითი სიფართოვით, რომელიც გასაქანს აძლევს თავისუფალ მანევრირებას, სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას წამოჭრილი კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე უფრო შესაფერისი ვარიანტის ამორჩევას. მაგალითისათვის, ახლახან ჩატარებულ დასავლეთ ევროპის რიგი

ქვეყნების (ძირითადად, ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების) სისხლის სამართალწარმოების სპეციალისტების ერთ-ერთ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე მიიღწიეს შეთანხმებას იმ შესაძლო პარამეტრების თაობაზე, რომელთა დაცვაც მიზანშეწონილია სისხლის საპროცესო სამართლის სრულყოფის პროცესში. ამ პარამეტრების სახით დასახელდა ათი პრინციპი, რომლებიც გაერთიანებულია ოთხ ჯგუფად:

პრინციპები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავენ სამართლებრივი სისტემის აგებულებას მთლიანობაში (კანონიერება, თანასწორობა, სასამართლო დამოუკიდებლობა);

პრინციპები, რომლებზეც აგებული უნდა იყოს ინდივიდის დაცვა (ბრალდებულის ღირსების პატივისცემა, დაზარალებულთა დაცვა, უდანაშაულობის პრეზუმფცია);

პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობის მოთხოვნათა განხორციელებას (ბრალდებულის უფლებათა და მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა);

პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ იმავდროულად მის ეფექტურობასაც (ჩადენილ დანაშაულზე რეაქციის ადეკვატურობა და მისი სისწრაფე).

სხვადასხვა ეროვნულ სისხლის სამართლის საპროცესო სისტემების ურთიერთშეთანხმებისათვის ასეთ ფართო საზღვრებს აშკარა უპირატესობები გააჩნია: ერთი მხრივ, ისინი ემყარება ეროვნულ ინტერესთა ურთიერთპატივისცემას და გამორიცხავს კონკრეტული ქვეყნების პირობებში იმთავითვე მიუღებელ შაბლონურ მიდგომათა ერთმანეთისათვის თავზე მოხვევას; მეორე მხრივ – სტიმულირებას ახდენს ორიგინალურ და არასტანდარტულ გადაწყვეტილებათა შემოქმედებითი ძიებისა ჯერ ცალკეულ სახელმწიფოთა დონეზე, ხოლო შემდეგ, ასევე დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგაცვლისა და სხვადასხვა ქვეყნების მიერ ამ გამოცდილების ნებაყოფლობითი და გააზრებული გათვალისწინებისა.

ასეთი მიდგომის უპირატესობა აშკარაა. დროთა განვალობაში იგი საესებით შესაძლებელია გაიზიარონ სახელმწიფოებმა ერთმანეთთან ჩამოყალიბებულ ურთიერთობებთან მიმართებაში, მათ შორის ევროპის იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც არ შედიან ევროპის კავშირის ვიწრო წრეში.

**დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის
გაერთიანებული სამეფო¹**

**§1. სისხლის სამართლის პროცესის ცნება, მისი
სტრუქტურა და სტადიები**

ინგლისურ სამართლებრივ ლიტერატურაში სისხლის სამართლის პროცესს ყოველთვის ერთნაირად არ ახასიათებენ. უფრო ხშირად საუბრობენ მასზე, როგორც შეჯიბრებითზე (adversarial), ხოლო რიგ შემთხვევებში კი ტერმინი „ბრალდებითი“ (accusatorial) გამოიყენება. მიუხედავად სიტყვათა არაერთგვაროვანი გამოყენებისა, როგორც წესი, ორივე ერთსა და იმავეს გულისხმობს. ეს არის წარმოება სისხლის სამართლის საქმეზე, რომელსაც ბრალდებისა და დაცვის მხარეთა შორის დავის სახე აქვს, წინასასამართლო სტადიებზე წარმოიშობა და მთავრდება სასამართლოში.

ამ დავის თითოეული მხარე განიხილება, როგორც თანაბარი იურიდიული შესაძლებლობების მატარებელი თავისი ინტერესების დასაცავად. სწორედაც რომ თანაბარი იურიდიული შესაძლებლობებისა, ესე იგი ერთნაირი საპროცესო უფლებებისა ბრალდებისა და, შესაბამისად, დაცვის მტკიცებულებათა გამოვლენასა და შეგროვებაში, მათ გამოკვლევასა და სასამართლოს დარწმუნებაში, რომ სწორედ მისი პოზიციაა სწორი. ამასთან, მხედველობაში არ მიიღება მხარეთა ფაქტიობრივი უთანასწორობა. კერძოდ, ის გარემოება, რომ, როგორც სასამართლომდე, ასევე სასამართლოში ბრალდების მხარეზე, უფრო ხშირად, გამოდის შედარებით მაღალი დონის სპეციალისტი, რომელიც მატერიალურად და ტექნიკურად სათანადოდ აღჭურვილი სახელმწიფო ორგანოს სახელით მოქმედებს, ხოლო დაცვის მხარეზე, არცთუ იშვიათად, კერძო პირი აღმოჩნდება ხოლმე (ბრალდებული), რომელსაც არც საჭირო ცოდნა და არც რაიმე დამცველის მოწვევის სახსრები გააჩნია, ცდილობენ არ შეამჩნიონ და არ ჩათვალონ ყურადღების ღირსად.

სისხლის სამართლის პროცესის ამ საუკუნეებით კულტივირებულ

¹ მოკლებულ და სხვა თავებში საუბარია დასავლეთ ევროპის ამ სახელმწიფოს ძირითადი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ნაწილების - ინგლისისა და უელსის - სისხლის სამართალ-წარმოებაზე. სისხლის სამართალსწარმოების თავისებურებანი, რაც დამახასიათებელია მისი სხვა ნაწილებისათვის - შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია გაშუქებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არსებითი ინტერესის საგანს წარმოადგენენ.

თეორიულ სქემაში სასამართლო გამოსახულია, როგორც მიუკერძოებელი და გულგრილი დამკვირვებელი ყველაფრის, რაც დავის განხილვისას ხდება. ის ვალდებულია შეასრულოს მხოლოდ ერთი რამ – თვალყური ადევნოს მხარეთა მიერ დავის წესების დაცვას. მხარეთა მიერ თავიანთ მტკიცებულებათა და პოზიციათა დასაბუთებისათვის მოყვანილი არგუმენტების ამოწურვისას სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რომელმა მხარემ წარმოადგინა უფრო დამაჯერებელი მტკიცებულებანი და გამოაცხადოს შემდგარი დავის იურიდიული შედეგი – გაამართლოს ან დამნაშავედ ცნოს დანაშაულის ჩადენაში და შეუფარდოს სასჯელის ზომას.

როგორც ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ე.სენდერსი აღნიშნავს, სისხლის სამართალწარმოების ანგლოსაქსონური მოდელის მკვლევარები ბოლო წლებში საკმაოდ ხშირად აღნიშნავენ ხაზგასმით, რომ შეჯიბრებითი პროცესისათვის დამახასიათებელია მისწრაფება „დამტკიცებისაკენ“ (proof) და არა „ჭეშმარიტებისაკენ“ (truth). ეს მოდელი თითქოსდა ორიენტირებულია სამოქალაქო თავისუფლებათა პრიორიტეტულობაზე, რომელიც უზრუნველყოფს „უდანაშაულოთა მაქსიმალურად გამართლებას დამნაშავეთაგან ვინმეს გამართლების რისკით“. მისთვის სულ ერთია საჯარო ინტერესები და ნებისმიერ ფასად ჭეშმარიტების მიღწევა, რომლებიც, თითქოსდა, სისხლის სამართალწარმოების იმ მოდელის სათავეშია მოქცეული, რომელსაც კონტინენტური ევროპის სახელმწიფოები იზიარებენ.¹

პროპაგანდის საგნად ქცეული, ძირითადად თეორიულად, ინგლისური სისხლის სამართლის პროცესის მსგავსი სქემა (მოდელი), როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ცხოვრებაში გაცილებით სხვაგვარად გამოიყურება. ინგლისელი მოსამართლე არცთუ ისე პასიურია, მიუკერძოებელი, გულგრილი და უპასუხისმგებლო, როგორც წარმოჩენაც ხანდახან თეორიტიკოსებს ჩვევიათ ხოლმე. ეს სქემა ინგლისურ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული დეფინიციების ამოსავალი წერტილია. სწორედ იგი ქმნის საფუძველს სისხლის სამართლის პროცესის განსაზღვრისათვის, როგორც მოელენისათვის, რომელიც თავისი ამოცანებითა და მეთოდებით თითქმის არაფრით განსხვავდება სამოქალაქო საქმეებზე სასარჩელო წარმოებისაგან. ეს გამოვლინდა კერძოდ იმაში, რომ უხსოვარი დროიდან ინგლისში მიღებულია სისხლის სამართლის საქმეები ისევე იწოდებოდეს, როგორც სამოქალაქო: „დედოფალი სმი-

¹ Sanders A. From Suspect to Trial // The Oxford Handbook of Criminology. Oxford, 1994. P.773

ტის წინააღმდეგ“; „მეფე ჯონსის წინააღმდეგ“; „პიტმენი ლენსის წინააღმდეგ“ (ის საქმეები, სადაც ბრალდების მხარდამჭერი კერძო პირი ან ასეთი პირის სახელით გამოდის) და სხვა.

არსებითია ისიც, რომ სისხლის სამართლის პროცესის ცნების განსაზღვრისას ინგლისელი იურისტები, როგორც წესი, არ ისწრაფიან მოიცვან მისი ყველა ფართოდ აღიარებული (იხ. თავი პირველი, §1) კომპონენტი. უფრო ხშირად, ამ ცნების განსაზღვრისას, ისინი მიმართავენ ხოლმე მარტივ ჩამონათვალს იმ საკვანძო მოქმედებებისა და გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მიიღება სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას. მაგალითად, ლონდონის უნივერსიტეტის სამეფო კოლეჯის პროფესორი ე.ეშვორტი სისხლის სამართლის პროცესის ცნების დახასიათებისას აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ პროცესი წარმოადგენს „სტადიათა თანმიმდევრობას, რომელთა მსვლელობის დროსაც მიიღება სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებანი, დაწყებული დანაშაულის ან ეჭვმიტანილის დაპატიმრების შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციით, დამთავრებული მსჯავრდებულის პირობითად ვადამდე განთავისუფლებით ან მსჯავრდებულის ქცევაზე კონტროლის დაწესების შესახებ სასამართლო ბრძანების გაუქმებით (revocation a probation order)“¹.

გვხვდება ოდნავ განსხვავებული შინაარსის განსაზღვრებებიც. მაგალითად, ფართოდ გავრცელებული ბრიტანული ენციკლოპედია ბოლო 32-ტომიან გამოცემაში (გამოცემა მე-10, 1999 წ.) სისხლის სამართლის პროცესის ცნებას შემდეგნაირად გადმოსცემს: „სისხლის სამართლის პროცესი ახდენს რეგლამენტირებას სამართალდამრღვევი ეჭვმიტანილების დაკავების ხერხების, მათთვის ბრალის წაყენების, მათი საქმეების სასამართლო განხილვის, მსჯავრდებულთათვის სასჯელის განსაზღვრის, სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ მსჯავრდების კანონიერების გასაჩივრების მეთოდებისა. სამართალწარმოება აღნიშნულ სფეროში ხშირად დაკავშირებულია ისეთ კონფლიქტებთან, რომელთაც ფუნდამენტური მნიშვნელობა გააჩნიათ სახელმწიფოს ხელისუფლების ურთიერთობის მოწესრიგებაში თავის მოქალაქეთა მიმართ“.

რთული შესაძინევი არ არის, რომ სისხლის სამართლის პროცესის ცნებაში, ინგლისური განმარტების მიხედვით, უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის, რაც ხდება *სასამართლოში* საქმის განხილვისას. როგორც ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან ირკვევა, ყველაზე უფრო გავრცელებულთაგან, წინასასამართლო წარმოებიდან გამოირჩევა მხ-

1 Ashworth A. Sentencing and Criminal Justice. 2-ed. London, 1995. P. 13

ოლოდ ის მოქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციასთან, ეჭვმიტანილის დაკავებასა და ბრალდების ფორმირებასთან, რომელიც შესაძლოა წაეყენოს მას სასამართლო განხილვისას. ბევრი რამ, რაც საერთოდ კეთდება ხოლმე სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო მომზადების მსვლელობისას (უამრავი გადაწყვეტილებათა მიღება და სხვადასხვაგვარი საგამოძიებო მოქმედებათა წარმოება), თითქოსდა, არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის არსს.

ასეთი მიდგომა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისადმი პატივისცემაა, რომლის ძალითაც სისხლის სამართლის საქმეებზე წინასასამართლო წარმოება არ იყო მიჩნეული როგორც სისხლის სამართლის პროცესის საგანი. იურიდიული მნიშვნელობა ენიჭებოდათ მხოლოდ სასამართლოს მიერ სასამართლოში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით (ბრძანებით) შესრულებულ მოქმედებებს. სწორედ მათი რეგლამენტაცია ხდებოდა კანონებითა და სხვა სამართლებრივი წყაროებით. ამის გამო სისხლის საპროცესო სამართლის (სტატუტური და პრეცედენტული, დაწერილი და დაუწერილი) გამოყენების სფერო ვრცელდებოდა, როგორც წესი, მხოლოდ იმაზე, რაც სასამართლოში ხდებოდა.

პოლიციისა და სხვა ორგანოების, რომლებიც დაკავებული იყვნენ სისხლის სამართლის საქმეთა მასალების სასამართლოში განსახილველად მომზადებით, წინასასამართლო მოქმედებათა უმრავლესობის უშუალო რეგლამენტაციას ახდენდნენ კანონები ადმინისტრაციულ-სამართლებრივი (პოლიციური) ურთიერთობათა სფეროდან, უფრო ხშირად, სხვადასხვა სახის კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც უწყებრივი ხაზით გამოიცემოდა. როგორც ჩანს, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მარეგულირებელ ზემოქმედებას პოლიციის საქმიანობის არსზე ის გარემოება ახდენდა, რომ იგი იძულებული იყო (თუმცა, იგი დღესდღეობითაც იძულებულია) ანგარიში გაეწია დაუწერილი სამართლის ნორმებისათვის და სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკისათვის. ამის სტიმულირებას მისი სასამართლოში „დამარცხების“, „წაგების“ ალბათობა ახდენდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინასასამართლო გამოძიებასთან დაკავშირებით განხორციელებულ ძალისხმევათა წარუმატებლად აღიარების შესაძლებლობა და ამასთან, შესაბამისი თანამშრომლების საქმიან თვისებათა ნეგატიური შეფასება.

მხოლოდ უკანასკნელ წლებში, როგორც ამ თავის მომდევნო პარაგრაფებში ვიხილავთ, გაჩნდა კანონები, რომლებიც სპეციალურად ექ-

ღვნება პოლიციის მიერ მტკიცებულებათა გამოვლენის, შეკრებისა და გამოკვლევის საქმიანობის მოწესრიგებას. ასევე, გამოჩნდა უკვე საკმაოდ დეტალური კანონები სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოთა ორგანიზაციასა და საქმიანობის შესახებ.

სისხლის სამართლის პროცესის ცნებასა და საგანზე თავისებურმა წარმოდგენამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის სტრუქტურირებაზეც. ინგლისელი იურისტებისათვის, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში იღებენ მონაწილეობას, უცნობია ისეთი სპეციალურად ერთმანეთისაგან განცალკევებული და თავისი სპეციფიკური ამოცანების მქონე სტადიები, როგორცაა სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და წინასწარი გამოძიების სტადიები. მათთვის ისინი პროცესის არა დამოუკიდებელი სტადიები, არამედ რაიმე ერთიანი და, უმეტესწილად, რაიმე მკაცრად განსაზღვრული წესების დაცვის გარეშე შესასრულებელი რამაა (მაგალითისათვის, წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილება არ ფორმდება რამე ოფიციალური აქტით; არ დგება რამე სპეციალური საპროცესო დოკუმენტები საქმის წარმოებაში მიღების შესახებ, ბრალდების წაყენების შესახებ). უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების ამ ეტაპზე განსხვავებაც არ ხდება ისეთ მოქმედებებს შორის, რომლებსაც რუსი იურისტები, ერთი მხრივ, ოპერატიულ-სამძებრო და, მეორე მხრივ, საგამოძიებოს უწოდებენ. ამ ეტაპს (სტადიას), ჩვეულებრივ, საპოლიციო გამოძიებას (police enquiry, police investigation) ანდა მტკიცებულებათა წინასასამართლო შეკრებას უწოდებენ. უმრავლეს შემთხვევაში იგი სრულდება გამოვლენილ მონაცემთა წარდგენით თანამდებობის პირისათვის¹, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქმის შემდგომი მოძრაობის – მისი სასამართლოში წარმართვისა და იქ ბრალდების მხარდაჭერის შესახებ.

მტკიცებულებათა წინასასამართლო შეკრებასა (საპოლიციო გამოძიებასა) და საქმის არსებითად განხილვას შორის (trial), კანონით გათვალისწინებულ გარემოებათა არსებობისას, არცთუ იშვიათად, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ჩაემატება ხოლმე შუალედური სტადია, სპეციფიკური ანგლოსაქსონური სისხლის სამართალწარმოებისათვის. მისი არსი მდგომარეობს მაგისტრატების სასამართლოს (მოსამართლის) მიერ საქმის განხილვაში იმ მიზნით, რომ, მაგალითად, შეამოწმოს ალკვეთი ღონისძიების, დაპატიმრების ან ჩხრეკის შესახებ ბრძანების გაკეთების კანონიერება და

¹ დღესდღეობით, უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი თანამდებობის პირებად გვირგვინის საბრალდებო სამსახურის თანამშრომლები გვევლინებიან (იხ. აღნიშნული თავის, §3).

დასაბუთებულობა, განსაზღვროს მტკიცებულებათა საკმარისობა საქმის არსებითად განხილვისათვის (თვითონ მაგისტრატების სასამართლოში ან გვირგვინის სასამართლოში¹), მისი საგნობრივი და ტერიტორიული განსჯადობა, ასევე ბრალდებულის მაგისტრატების სასამართლოსათვის გადაცემის ან საქმის გვირგვინის სასამართლოში არსებითად განხილვისათვის, ანდა სასჯელის დანიშვნისათვის წარმართვის საკითხის გადაწყვეტა.

არტუ ისე დიდი ხნის წინათ ინგლისური სისხლის სამართალ-წარმოების ამ სტადიას (ეტაპს) მოსამართლის მიერ საქმის მასალების წინასწარ განხილვას (წინასწარ შემოწმებას) (preliminary examination²) უწოდებდნენ. „მაგისტრატების სასამართლოების შესახებ“ კანონის მიღებისა (1980წ.) და მისი კანონით „სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიებების შესახებ“ (1996წ.) დაზუსტების შემდეგ განსაკუთრებით გამოყოფდნენ მაგისტრატების მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობას იმ საქმეებზე, რომლებიც უნდა წარმართულიყო (commit) გვირგვინის სასამართლოში. წარმართულიყო ან არსებითად განსახილველად (committal for trial), ანდა სასჯელის ზომის განსაზღვრად (committal for sentence) იმ ბრალდებულებისათვის, რომლებიც დამნაშავეებად იქნენ ცნობილი მაგისტრატების მიერ (ასეთი სახის მოქმედებებზე ქვემოთ ვისაუბრებთ (იხ. აღნიშნული თავი, §5 და §6). საპროცესო მოქმედებათა ამ ერთობლიობამ მიიღო თავისი სახელწოდება – committal proceedings, რომელიც პირობითად შეიძლება ითარგმნოს როგორც „სამართალში მიცემა“.

მომდევნო სტადია – სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვა (trial) მოიცავს, ძირითადად, მოქმედებათა იმ კომპლექსს, რომელიც დამახასიათებელია რუსული სისხლის სამართლის პროცესის ისეთი სტადიებისათვის, როგორცაა სასამართლო სხდომის დანიშვნა და სასამართლო განხილვა. და ბოლოს, ამის შემდეგ შეიძლება დაიწყოს აპელაციის სტადია (appeal), როგორც მას ხშირად უწოდებენ. უფრო

1 იხ. იქვე.

2 ზაგიკრთ რუსულენოვან გამოცემაში ეს ტერმინი სიტყვისტყვი ითარგმნება, როგორც „предварительное расследование“ (ქართულად: „წინასწარი გამოძიება“ – ი.ბ.). ასეთი ითარგმანი არ არის ზუსტი: იგი არ იძლევა რუსი იურისტისათვის ადეკვატურ წარმოდგენას ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის განსახილველი სტადიის შესახებ. რუსულ კარიანტში წინასწარი გამოძიება ეს არის ის, რასაც ახორციელებენ მოძღვრე და გამოძიებელი პროკურორის ზედამხედველობის ქვეშ საქმის სასამართლოში წარმოართმდე. ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში „preliminary examination“ ნიშნავს იმას, რასაც ყველაზე უფრო დაბალი დონის მოსამართლეებს ასრულებენ სისხლის სამართლის საქმის წინასწარი მოზადებისას მისი არსებითად განსახილველად წარმართვისათვის შესვლამ სასამართლოში.

იშვიათად კი – დავა მსჯავრდების კანონიერების თაობაზე (challenging the legality of conviction), რომელიც მოიცავს როგორც კანონიერ ძალაში შესული, ისე ჯერ არ შესული განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების ყველა სახეს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის სტრუქტურა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

- მტკიცებულებითი მასალის გამოვლენისა და შეკრების წინასასამართლო მოქმედებანი. ჩვეულებრივ, ისინი მოიცავენ იმას, რასაც საპოლიციო გამოძიებას უწოდებენ და იმას, რაც ხდება მას შემდეგ, რაც პოლიცია საქმის მასალებს გადასცემს გვირგვინის საბრალდებო სამსახურის შესაბამის განყოფილებას (იხ. აღნიშნული თავი, §3), ასევე, დაცვის მხარის მიერ განხორციელებული ე.წ. პარალელური გამოძიება;
- მაგისტრატების სასამართლოს მიერ საქმის მასალების წინასწარი განხილვა, რომელიც შესაძლოა დასრულდეს ან ბრალდებულის მაგისტრატების სასამართლოსათვის გადაცემით, ანდა საქმის გვირგვინის სასამართლოში წარმართვით არსებითი განხილვის ან სასჯელის დანიშვნისათვის;
- საქმის არსებითი განხილვა მაგისტრატების სასამართლოში ან გვირგვინის სასამართლოში;
- დავა მსჯავრდების კანონიერებაზე (აქელაცია).

განაჩენის აღსრულების სტადიის (მოსამართლის მოქმედებანი მიმართული კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსასრულებლად მიქცევისა და სასამართლოს დანაწესთა რეალიზების დროს წარმოშობილ საკითხთა განხილვისაკენ) გამოყოფა ინგლისური სისხლის სამართლის პროცესში მაინცდამაინც მიღებული არ არის.

§2. სისხლის საპროცესო სამართლის წყაროები

როგორც ცნობილია, ინგლისი არის ქვეყანა, სადაც ჩაისახა და ევოლუცია განიცადა ე.წ. ანგლოსაქსონურმა სამართლებრივმა სისტემამ, რომლის აგებულების ძირითადი პრინციპებიც გაზიარებულია მსოფლიოს მრავალი თანამედროვე ქვეყნის მიერ. ამ სისტემისათვის ხანგრძლივი დროის მანძილზე დამახასიათებელი იყო დაუწერელი სამართლის ნორმებისათვის უპირობო პრიორიტეტის მინიჭება. დაწერილი (სტატუტური) და დაუწერელი (პრეცედენტული) სამართლის ასეთი თანა-

ფარდობა დღევანდელობაში, უდავოა, არსებითად მოდიფიცირებულია. ინგლისური პარლამენტის მიერ მიღებული კანონები და დაწერილი სამართლის სხვა აქტები ბოლო ათწლეულების მანძილზე უკვე სულ უფრო მეტად „იურიდიულ ავტორიტეტს“ იძენს. დაუწერელი სამართლის (საერთო, პრეცედენტული) ნორმები სისხლის სამართალწარმოების სფეროში, როგორც ამას ქვემოთ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, სულ უფრო მზარდი ტემპით კარგავენ თავიანთ ყოფილ პოზიციებს. ასეთ ტენდენციაზე თვალნათლივ მიანიშნებს, მაგალითად, 1996 წლის 4 ივლისს მიღებული „სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიების შესახებ“ კანონის დებულებები (Criminal Procedure and Investigation Act). ამ კანონის 27-ე მუხლით დაიშვება საერთო (პრეცედენტული) სამართლის კონკრეტულ ნორმათა გაუქმება, რომლებიც აწესრიგებენ მხარეთა მიერ შეგროვებული საქმის მასალების ურთიერთგაცნობას სასამართლოში საქმის განხილვამდე (disclosure), კანონქვემდებარე აქტების გამოცემის გზით, რომლებიც პრაქტიკულ წესთა კრებულად იწოდება (კანონქვემდებარე აქტების ამ ნაირსახეობის შესახებ იხ. ქვემოთ მოცემულ პარაგრაფში).

ინგლისი შეიძლება მიეკუთვნოთ იმ ე.წ. ანგლოსაქსონური სამყაროს სახელმწიფოთა რიცხვს, სადაც ბოლო ათწლეულების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა „სამართლებრივი მეურნეობის“ განახლებისათვის იმ კანონთა მიღების მეშვეობით, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დანაწესთა, მათ შორის სისხლის სამართალწარმოების სფეროში, არსებით კორექტირებასა და კონსოლიდირებას ახდენენ. ამასთან ერთად, განახლებულ იქნა მრავალი სხვა კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ახდენდნენ კანონის კონკრეტიზირებას. ამით მათ სწორ განმარტებასა და, შესაბამისად, გამოყენებას უწყობდნენ ხელს.

ინგლისის სისხლის საპროცესო სამართლის დაწერილ წყაროთა დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ქვეყანაში არასოდეს ყოფილა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ან სხვა სახის მსგავსი კანონი, რომელიც ყოველმხრივ და სრულად მოაწესრიგებდა სისხლის სამართლის საქმეების წარმოებას. ასეთი კოდექსისა თუ კანონის შექმნის იდეა დროდადრო წარმოიშობოდა ხოლმე და ახლაც განიხილება ინგლისელ იურისტთა შორის, მაგრამ საქმე ამაზე წინ ჯერჯერობით არ მიდის.

ერთ-ერთი პირველი ცდა ინგლისური სისხლის საპროცესო კანონმდებლობის კოდიფიკაციისა განხორციელებულ იქნა ჯერ კიდევ XIX საუკუნის მე-2 ნახევარში, იმ დროისათვის საკმაოდ გავლენიანი და

დღეს უკვე ცნობილი ინგლისელი იურისტის ჯ.სტიფენის (1829-1894 წწ.) ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით. მაშინ (70-იანი წლების დასასრული) ჯერ მომზადდა კანონის პროექტი (Indictable Offences Bill), რომელიც სისხლისა და სისხლის საპროცესო სამართლის ნორმათა კოდიფიცირებას ახდენდა, ხოლო შემდგომ, მის საფუძველზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მსგავსი რამ, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე განიხილავდნენ პარლამენტში, მაგრამ მისი მიღება არ შედგა.¹ როგორც ამას ზემოხსენებული ბრიტანული ენციკლოპედიის ერთ-ერთი სტატია მოწმობს, თავისი იდეები კოდიფიკაციის შესახებ ჯ.სტიფენმა მნიშვნელოვანწილად „გამოსცადა“, როდესაც იგი ინდოეთში (1882 წელს შედგა ინდოეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დამტკიცება) ბრიტანულ გენერალ-გუბერნატორთან არსებული საბჭოს (viceroy's council) წევრის თანამდებობაზე იმყოფებოდა და სამართლებრივ საკითხებს განაგებდა.²

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში, კიდევ ერთი მცდელობა განხორციელდა: 1965 წელს ინგლისური სამართლის ყველა დარგის მოწესრიგებისა და სრულყოფისათვის დაარსებულმა სამართლის რეფორმის კომისიამ (Law Commission) მოაშზადა ინგლისისა და უელსის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო მთელი რიგი სისხლის სამართლის საპროცესო პრობლემების გადაწყვეტა. 1985 წლის მარტში, პარლამენტის თემთა პალატის გადაწყვეტილებით, პროექტი გამოქვეყნდა მსჯელობისათვის. ფაქტობრივად ამით დასრულდა კიდევ ერთი ძალისხმევა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის მომწესრიგებულ კანონთა საყოველთაო კოდიფიკაციისა.

აღნიშნული გარემოება არ ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფა არ მიმდინარეობს. იგი მიმდინარეობდა ბოლო ათწლეულების მანძილზე და ახლაც გრძელდება. ამ საქმიანობით არის მუდმივად დაკავებული როგორც 1965 წელს შექმნილი აქტიურად მომუშავე სამართლის რეფორმის კომისია, ისე 1977 წელს შექმნილი სისხლის სამართალწარმოების სპეციალური სამეფო კომისია (Royal Commission on Criminal Procedure).

¹ უფრო ვრცლად სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის კოდიფიკაციის ამ მცდელობის შესახებ იხ.: *Пилинский И.И.* Уголовное право и уголовный суд Англии. Изд. 2-е., испр. и доп. М., 1969. С.39.

² ეს სსს კოდექსი 1898 წელს შეიქმნა სხვა ახალი კოდექსით, რომელიც მოქმედებდა შემდგომში შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით. ვიდრე 1974 წელს მიღებული იქნებოდა ინდოეთის დღეს მოქმედი სსს კოდექსი.

დღეისათვის სისხლის სამართალწარმოების მომწესრიგებელ კანონთა საერთო რიცხვი არ არის ისე დიდი, როგორც ეს 20-30 წლის წინათ. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კანონთა სიმრავლის დაძლევის პრობლემა კვლავ გადასაჭრელი რჩება. ისინი კვლავ მრავალადაა, მრავალი ათეული, შესაძლოა არა ერთი ასეულიც კი. მათგან უპირანი იქნებოდა გამოცალკევებულიყო მთლიანად ან ნაწილობრივ ის ე.წ. კონსოლიდირებული კანონები, რომლებიც ბოლო ათწლეულების მანძილზე გამოიცემა წინათ არსებული კანონების საფუძველზე და ეძღვნება სისხლის სამართალწარმოების შედარებით რთულ პრობლემებს. ასეთ კანონთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ კანონები: „ნაფიც მსაჯულთა შესახებ“ (1974წ.); „იურიდიული დახმარების შესახებ“ (1974წ.); „დაპატიმრებულთა გირაოთი განთავისუფლების შესახებ“ (1976წ.); „სისხლის სამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ (1967წ., 1972წ., 1982წ., 1986წ., 1987წ., 1988წ., 1990წ., 1991წ., 1998წ.); „მაგისტრატების სასამართლოების შესახებ“ (1980წ.); „სატელეფონო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებათა მოსმენის (დათვალიერების) შესახებ“ (1985წ.); „დანაშაულთა ღვენის შესახებ“ (1985წ.); „კორონერების შესახებ“ (1988წ.); „იურიდიული დახმარების შესახებ“ (1988წ.); „ექსტრადიციის შესახებ“ (1989წ.); „პოლიციის თანამდებობის პირთა შესახებ“ (1989წ.); „სასამართლოსა და სამართლებრივი მომსახურების შესახებ“ (1990წ.); „პოლიციისა და მაგისტრატების სასამართლოების შესახებ“ (1994წ.); „სისხლის სამართლის საქმეებზე აპელაციის შესახებ“ (1995წ.); „სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიების შესახებ“ (1996წ.); „პოლიციის შესახებ“ (1997წ.); „ადამიანის უფლებათა შესახებ“ (1998წ.); „დანაშაულთა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა შესახებ“ (1998წ.); „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებათა შესახებ“ (1999წ.); „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ (1999წ.); „სისხლის სამართლის სასამართლოთა უფლებამოსილებათა შესახებ (სასჯელის დანიშნისას)“ (2000წ.); „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ (2000წ.); „გამოძიებასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებათა რეგლამენტაციის შესახებ“ (2000წ.); „სისხლის სამართლის საქმეთა მართლმსაჯულებისა და სასამართლოთა შესახებ“ (2000წ.) და მრავალი სხვა.

ინგლისის იმ კანონთა რაოდენობაზე, რომლებიც მთლიანად თუ ნაწილობრივ შეეხებიან სისხლის სამართალწარმოებას, უფრო სრული წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისია ვიცოდეთ თუნდაც ის, რომ წინასწარი (წინასასამართლო) გამოძიების საკითხები გადაწყვეტილია

პარლამენტის მიერ მიღებული 120-ზე მეტი აქტით. მათი ჩამონათვალი იწყება დღეს მოქმედი კანონით „კონსტიტულების დაცვის შესახებ“ (1750წ.). უპრიანი იქნებოდა ამ ჩამონათვალში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დათმობოდა ქვემოთ მრავალჯერ ნახსენებ „პოლიციისა და სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებების შესახებ“ კანონს (1984წ.), (რომელშიც, ბუნებრივია, მიღების შემდეგ არაერთხელ იქნა შეტანილი ცვლილებები და დამატებები) და „სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიებების შესახებ“ კანონს (1996წ.).

სისხლის სამართალწარმოების სფეროსთან დაკავშირებული საკითხები შესაძლოა გადაწყდეს *კანონქვემდებარე აქტებითაც* (ისინი სხვადასხვაგვარად იწოდება, მაგალითად: statutory instruments¹, regulations, codes, codes of practice, charters, practice directions, guidance, home office circulars), რომლებსაც აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, ან თანამდებობის პირები გამოსცემენ კანონთა განვითარებისა თუ დამატებისათვის. ასეთი სახის აქტების მიღების პირობები და იურიდიული მნიშვნელობა, როგორც წესი, კონკრეტული კანონებით განისაზღვრება, რომლებითაც გათვალისწინებულია ამ აქტების გამოცემის შესაძლებლობა ამა თუ იმ ორგანოსა თუ თანამდებობის პირების მიერ.

იშეათობას არ წარმოადგენს კანონთა დანაწესები, რომლის ძალითაც დაიშუება ისეთი კანონქვემდებარე აქტების გამოცემაც, რომლებიც შესაბამისი კანონების შინაარსის კორექტირებას ახდენენ. მაგალითისათვის გამოდგებოდა დანაწესი, რომელიც მოცემულია 1999 წლის 27 ივლისის მიღებულ „სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებათა და არასრულწლოვანთა იუსტიციის“ კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილში. მასში ვკითხულობთ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი უფლებამოსილია გამოსცემდეს ინსტრუქციებს, რომელთაც უშუალოდ კანონში შეაქვთ ისეთი სახის შესწორებები, რომლებსაც იგი (მინისტრი) „შესაფერისად მიიჩნევს იმ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ წაყენებულ მოთხოვნათა შესაცვლელად“, რომელთა საქმეებიც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სისხლისსამართლებრივი დასჯითი ღონისძიებების გამოყენების გარეშე, შესაძლოა ან უნდა გადაეცეს არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა გამოსწორებით დაკავებულ ადგილობრივ ორგანოებს.²

¹ კონკრეტული კანონების პირდაპირი დანაწესთა აღსრულებისათვის განსაკუთრებული უწყებრივი აქტების საერთო სახელწოდება.

² იგულისხმება დასახელებული კანონისა და 1998 წლის „დანაშაულთა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა შესახებ“ კანონის შესაბამისად შექმნილი არასრულწლოვან

სისხლის სამართალწარმოების სფეროში მნიშვნელოვანი გავრცელება პპოვეს უპირველეს ყოვლისა კანონქვემდებარე აქტებმა, რომლებიც მომდინარეობენ შინაგან საქმეთა მინისტრის, ლორდ-კანცლერის, სასამართლოების, გენერალური ატორნისა და საჯარო დევნათა სამსახურის დირექტორისაგან.

ბოლო წლებში ფართოდ გახდა ცნობილი 1984 წლის „პოლიციისა და სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებათა შესახებ“ კანონის საფუძველზე მისი განვითარებისათვის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული პრაქტიკულ წესთა კრებული (codes of practice), რომელზედაც მომდევნო პარაგრაფებში არაერთხელ იქნება მინიშნებული. თავისი არსით ეს არის ის, რასაც რუსი იურისტები უწყებრივ აქტებს უწოდებენ. ისინი სისხლის სამართლის საქმეთა წინასასამართლო წარმოებისას საპოლიციო მოქმედებათა მნიშვნელოვანი წრის შესრულების ოფიციალური კომენტარებით აღჭურვილ წესებს შეიცავენ.

დასახელებული კანონის საფუძველზე რამდენიმე ასეთი კრებულია გამოცემული, კერძოდ: პიროვნების დასადგენად დაკავებისა და დაკავების ადგილას პირადი ჩხრეკის შესახებ; შენობა-ნაგებობათა ჩხრეკისა და ამოღების შესახებ; დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების, დაკავებულთა მოპყრობისა და მათი დაკითხვის შესახებ; პოლიციის თანამდებობის პირების მიერ ეჭვმიტანილის პიროვნების დადგენის შესახებ; აუდიომოწყობილობის გამოყენებით დაკითხვის წარმოების შესახებ.

პრაქტიკული წესების კრებულთა გამოცემა გათვალისწინებულია მთელი რიგი სხვა კანონებითაც. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგალითად:

- ზემოხსენებული 1996 წლის კანონი „სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიებების შესახებ“. მის 23-ე და 24-ე მუხლებში საუბარია შინაგან საქმეთა მინისტრის უფლებამოსილებაზე – დაამტკიცოს სისხლის სამართლის საქმის მასალების (მათი სასამართლოში განსახილველად გადაცემამდე) გასაცნობად წარდგენის წესისა და პირობების მომწესრიგებელი წესების კრებული;
- 2000 წლის 28 ივლისის კანონი „საგამოძიებო უფლებამოსილებათა რეგლამენტაციის შესახებ“ (Regulation of Investigatory

სამართალდარღვევა საქმეთა კომისიები (youth offending teams) და მათ მიერ დანიშნული კომიტიები, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას კონკრეტულ სამართალდარღვევა ყოფიქმებზე (youth offender panel).

Powers Act). კანონის 71-ე და 72-ე მუხლები ფართო უფლებებს ანიჭებს იმავე მინისტრს, რომ გამოსცეს, საშიშ დანაშაულთა გახსნის, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების მიზნით, სხვადასხვა ორგანოებისა თუ თანამდებობის პირების მიერ (ელექტრონულ) შეტყობინებებზე თვალთვლის წესთა კრებული და მოახდინოს მისი შემდგომი კორექტირება.

- 2000 წლის 20 ივლისის „ტერორიზმის შესახებ“ კანონი (Terrorism Act) ითვალისწინებს არა მარტო პოლიციის თანამდებობის პირებისათვის, არამედ სამხედრო მოსამსახურეთათვისაც სავალდებულო წესთა კრებულის გამოცემის შესაძლებლობას. მასში საუბარია ისეთ საკითხებზე, რომლებიც ანტიტერორისტული აქციების განხორციელებას უკავშირდება, კერძოდ, დაკავებულ და სხვა პირთა გამოკითხვის ფარული კამერებით ვიდეოგადაღების წარმოებას.
- 1996 წლის „პოლიციის შესახებ“ კანონის (Police Act) 39-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ სისხლის სამართალწარმოების სხვა საკითხების თაობაზეც წესთა კრებულის გამოცემა. ამ მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნაა, რომ მინისტრის მიერ ხელმოწერილი და ძალაში შესასვლელად მომზადებულ კრებულთა ასლები (ასევე, უკვე მოქმედ კრებულთა ცვლილებებისა და დამატებების ტექსტების ასლები) პარლამენტის ორივე პალატას წარედგინოს მათი მართლზომიერების შემოწმების მიზნით. პალატების მხრიდან კანონით გათვალისწინებულ ვადაში წინააღმდეგობებისა და შენიშვნების არარსებობის შემთხვევაში, ასეთი სახის აქტები მოქმედებას იწყებს კანონის თანაბრად. იმავე კანონის 50-ე მუხლი შინაგან საქმეთა მინისტრს უფლებას ანიჭებს გამოსცეს პოლიციის, რომელსაც აწევს სისხლის სამართლის საქმეთა წინასასამართლო წარმოების ძირითადი ტვირთი, ორგანიზაციისა და საქმიანობის ყველა მხარის მომწესრიგებელი ინსტრუქციები (regulations).

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ კანონქვემდებარე აქტებთან ერთად, სისხლის სამართალწარმოების სფეროსათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ ასევე აქტებს, რომლებიც მომდინარეობენ იმ სამინისტროს განყოფილებათა ხელმძღვანელებისაგან, რომელსაც სათავეში ზემოხსენებული მინისტრი უდგას. ფართოდ არის ცნობილი, მაგალი-

თად. დანაწესთა, მათ შორის ისეთების, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების რეგლამენტაციასთან. შემცველი ცირკულარები (circulars). მაგალითისათვის გამოდგება, ვთქვათ, 1999 წლის 28 აპრილის №20 ცირკულარი, რომელიც შეიცავს დანაწესს, თუ რა ფარგლებში და როგორი თანმიმდევრობით უნდა წარუდგინონ საჭირო ინფორმაცია პოლიციის თანამდებობის პირებმა იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება პოლიციის განყოფილებაში პატიმრობისას პირის გარდაცვალების ფაქტის გამოძიება.

ბოლო წლებში სისხლის სამართალწარმოების რეგლამენტაციის საკითხში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ გვირგვინის საბრალდებო სამსახურის მეთაურის – საჯარო დევნათა სამსახურის დირექტორის, გენერალურ ატორნეისთან შეთანხმებით გამოცემული ნორმატიული აქტები. კერძოდ, ინგლისელ იურისტებს შორის დიდი წარმატებით სარგებლობს გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსი (Code for Crown Prosecutors) და ინსტრუქცია ბრალდების განმახორციელებელი ადვოკატებისათვის (Instruction for Prosecuting Advocates), რომლებითაც ხელმძღვანელობა სავალდებულოა არამართო სამეფო ბრალმდებლებისათვის, არამედ პოლიციის შესაბამისი ჩინებისა და სასამართლოში სახელმწიფოს სახელით ბრალდების მხარდამჭერი ადვოკატებისათვის.¹

საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ნორმატიული აქტების გამოცემის პრაქტიკა სასამართლოების ან სასამართლო სისტემის უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ (ლორდ-კანცლერის, ლორდ-მთავარი მოსამართლის, ზემდგომ ინსტანციათა სხვა მოსამართლეთა მიერ). ამგვარი აქტების იურიდიული მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მათმა შეუსრულებლობამ შესაძლოა განაჩენის გაუქმებაც გამოიწვიოს.² მათ შორის შესამჩნევი ადგილი უჭირავს პრაქტიკულ მითითებებს (practice directions), რომელთა ავტორებიც, როგორც წესი, სასამართლო სისტემის უმაღლესი თანამდებობის პირები არიან, ან, მათი დავალებით, ავტორიტეტული მოსამართლეები. ეს მითითებები სავალდებულოა როგორც სასამართლოებისათვის (მოსამართლეებისათვის), ასევე სხვა ორგანოებისათვის, რომლებიც სისხლის საქმეებს აწარმოებენ და იურისტებისათვის, რომლებიც სასამართლოში პრაქტიკულ საქმიანობას ეწევიან. ამგვარი აქტის მაგალითად გამოდგება ლორდ-კანცლერის 1998 წლის 16 ოქტომბრის პრაქტიკული მითითება, გამოცემული 1993 წლის ვა-

1 უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ (აღნიშნული თავი, §3).

2 Criminal procedure systems in the European Community/ Ed. by Ch. Van Den Wyngaert. London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. P. 73.

ლიური¹ ერის შესახებ კანონის დანაწესთა შესასრულებლად. მასში ჩამოყალიბებულია მთელი რიგი წესები, რომელიც უელსის ტერიტორიაზე დისლოცირებულ სასამართლოებში საქმის (მათ შორის სისხლის სამართლის) განხილვისას მშობლიური ერთ სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფას შეეხება. კერძოდ, აღნიშნული მითითების მე-4 პუნქტის თანახმად, „ყოველთვის, როდესაც წარმოიშობა აუცილებლობა ითარგმნოს ინგლისურიდან ვალიურზე ანდა ვალიურიდან ინგლისურზე, იმ სასამართლოს სასამართლო ადმინისტრატორმა (court manager), სადაც საქმე უნდა იქნეს განხილული, უნდა უზრუნველყოს თარჯიმნის გამოცხადება, რომლის გვარიც შეყვანილია სასამართლო თარჯიმანთა დამტკიცებულ სიაში“. განსახილველი მითითების მე-5 პუნქტის „b“ ქვეპუნქტის თანახმად, „მას შემდეგ, რაც მოხდება ნაფიც მსაჯულთა შერჩევა კონკრეტული საქმის განსახილველად, სასამართლოს თანამდებობის პირმა, რომლის წინაშეც ნაფიცი მსაჯულები დებენ ფიცს, ღია სასამართლო სხდომაზე უნდა აცნობოს, რომ მათ უფლება აქვთ, თავიანთი შეხედულებისამებრ დადონ ფიცი ან საზეიმო პირობა² ინგლისურ ან ვალიურ ენაზე“. სხვა მაგალითისათვის გამოდგება ლორდ-მთავარი მოსამართლის 2000 წლის 16 თებერვლის პრაქტიკული მითითება, რომელიც დეტალურად აწესრიგებს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა გვირგვინის სასამართლოში სასამართლო სხდომათა ორგანიზაციისა და ჩატარების კონკრეტულ წესებს. მაგალითისათვის, ამ აქტის მე-7 პუნქტის თანახმად, „თუ რომელიმე საქმემ არასრულწლოვანის მიმართ შეიძლება გამოიწვიოს ფართო საზოგადოებრივი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ინტერესი, მაშინ აუცილებელია პოლიციის ჩართვა იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ არასრულწლოვანი ბრალდებული სასამართლოში გამოცხადებისას არ დააშინონ. არ შეურაცხყონ ან აბუჩად არ აიგდონ“.

პრაქტიკულ მითითებათა გამოცემის უფლებამოსილებასთან ერთად მოქმედი კანონები ლორდ-კანცლერსა და სასამართლო უწყებათა სხვა თანამდებობის პირებს ანიჭებს უფლებას გამოსცენ სასამართლოებისათვის (მოსამართლეებისათვის), მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე სხვა ორგანოთა ან პირებისათვის სავალდებულო კანონქვემდებარე აქტები, რომელთაც განსხვავებული სახელწოდება აქვთ, მაგ-

1 უელსის (ღიღი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ნაწილი) მკვადრი მოსახლეობის წარმომადგენელთა ენა. ხანდახან ამ ენას უელსურს უწოდებენ.

2 საზეიმო პირობის (ვალდებულებას) დებენ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში ნაფიც მსაჯულად მოწვეული პირი, მისი მრწამსის გამო, უარს აცხადებს ფიცის დადებაზე.

ალითად, ბრძანება (orders), ინსტრუქცია (regulations), სახელმძღვანელო (guidance). ასეთი კანონის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კანონი „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ (Access to Justice Act), მიღებული 1999 წლის 27 ივნისს, რომლითაც გათვალისწინებულია მთელი რიგი რადიკალური ღონისძიებანი ინგლისში დამკვიდრებული იურიდიულ საშუალებათა სისტემისა, რომელიც უფლებას აძლევს მოქალაქეებს რეალურად ისარგებლონ თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო დაცვით კომპლექსური სრულყოფისათვის. კანონი ითვალისწინებს სამართლებრივი მომსახურების კომისიის შექმნას (Legal Service Commission)¹, რომელიც შედგება ლორდ-კანცლერის მიერ დანიშნული თავმჯდომარისა და წევრებისაგან (მის შემადგენლობაში შედის 7-12 წევრი). ამასთან, წევრად დანიშნისას მხედველობაში მიიღება ცოდნა და გამოცდილება პირებისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევის სფეროში. მისი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს ასეთი დახმარების ყველა სახის ფინანსურ უზრუნველყოფაში ბიუჯეტიდან (ლორდ-კანცლერის მიერ განსაზღვრული ოდენობით) და დაფინანსების სხვა წყაროდან შემოსული სახსრების ხარჯზე.

მოცემული კანონით არ არის დეტალურად მოწესრიგებული კომისიის საქმიანობა, მათ შორის, დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეებზე დაცვის უზრუნველყოფასთან. ამასთან დაკავშირებით, მთელი რიგი პრინციპული საკითხები (სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირებისათვის უფასო იურიდიული დახმარების აღმოჩენის პირობები, ფულადი სუბსიდიების – გრანტების გამოყოფის წესი, დაცვის განხორციელებაზე გაწეული ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის, ადვოკატების პონორარის ოდენობა და სხვა) გადაწყვეტილი უნდა იყოს ლორდ-კანცლერის მიერ გამოცემული ან დამტკიცებული აქტებით. კერძოდ, კანონის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეებზე დაცვისათვის არსებით დებულებას. დებულების თანახმად, მას შემდეგ, რაც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას მოახდინოს არასმქონე ან მცირედისმქონე ბრალდებულისათვის გაწეული მომსახურების დაფინანსება, მას (ბრალდებულს) ენიჭება უფლება აირჩიოს პირი ან პირები, რომელთაც სურთ წარმოადგინონ მისი ინტერესები. ბრალდებულის არჩევანი კომისიისათვის,

¹ კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, ლორდ-კანცლერი უფლებამოსილია ამ კომისიის ნაცვლად შექმნას ორი სასამართლო – თუქმში სამართლებრივი დახმარების გაწევის (Community Legal Service) და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა დაცვის (Criminal Defence Service).

პრინციპში, სავალდებულოა. თუმცა, კანონის იმავე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილები უშვებენ ლორდ-კანცლერის მიერ ინსტრუქციის გამოცემას, რომელიც გარკვეული გარემოებების არსებობისას შეზღუდავს ან გამორიცხავს ასეთი მნიშვნელოვანი საპროცესო უფლების რეალიზების შესაძლებლობას.

ინგლისური კანონმდებლობა უშვებს სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების რეგლამენტაციას კონკრეტული სასამართლოების მიერ გამოცემული წესების მეშვეობითაც (magistrate's court rules, ან უმაღლესი სასამართლო ინსტანციიდან მომდინარე – rules of court). სასამართლოთა უფლებამოსილება ამგვარი წესების შემუშავებისა და მიღების შესახებ გათვალისწინებულია 1980 წლის „მაგისტრატების სასამართლოს შესახებ“ კანონის 144-ე მუხლითა და 1981 წლის „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ კანონის 84-ე მუხლით.¹ ეს წესები ავსებენ ხარვეზს კანონმდებლობაში ან იმის დეტალიზებას ახდენენ, რაც კანონით ზოგადად არის გადაწყვეტილი. ისინი სავალდებულოა როგორც სასამართლოებისათვის, რომლებმაც მხარი დაუჭირეს (მოიწონეს) მათ, ასევე ყველასათვის, ვინც მონაწილეობს სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულებაში. მათში შესაძლოა გადაწყვეტილი იყოს შედარებით არსებითი საკითხები. მაგალითისათვის, „სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიებების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართალწარმოებაში ბრალდებულის ან ბრალდების მხარის სახით ჩართული რომელიმე პირის მიერ იმ მონაცემთა არამართლზომიერი გამჟღავნება, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის გამოძიების მსვლელობისას, შესაძლოა მიჩნეული იყოს ქმედებად, რომელიც შეიცავს სასამართლოსადმი უპატივცემულობის ნიშნებს. ასეთი ქმედება დასჯადია საქმის მაგისტრატების სასამართლოში განხილვისას 6 თვემდე ტუსალობით ანდა ჯარიმით 5 000 ფუნტ სტერლინგამდე, ხოლო საქმის გვირგვინის სასამართლოში განხილვისას – 2 წლამდე ტუსალობით ან/და ჯარიმით (იხ. დასახელებული მუხლი, მე-3 ნაწილი). სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის ასეთი მკაცრი შედეგების განსაზღვრის პროცედურა დადგენილია სასამართლო წესებით (იხ. მოცემული კანონი, მე-19 მუხლი, მე-2 ნაწილი). ამით ბევრია ნათქვამი ინგლისური სასამართლოების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების იურიდიულ მნიშვნელობაზე.

ინგლისსა და მის ფარგლებგარეთ ფართოდ არის ცნობილი ამ თა-

¹ ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მაღალ სასამართლოზე, სააპელაციო სასამართლოსა და გვირგვინის სასამართლოზე (ამ სასამართლოების შესახებ იხ. ქვემოთ).

ვის მომდევნო პარაგრაფებში მოხსენიებული დოკუმენტი, რომელსაც სამოსამართლო წესებს უწოდებენ (Judge's Rules). ისინი შემუშავებული და მოწონებულია ჯერ კიდევ 1912 წელს არა რომელიმე კონკრეტული სასამართლოს, სხვა სახელმწიფო ორგანოს ან სასამართლო უწყების უმაღლესი თანამდებობის პირის მიერ, არამედ ლორდ-კანცლერის მიერ შექმნილი იმ ავტორიტეტული მოსამართლეების კომისიის მიერ, რომლებიც იმ დროისათვის ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ინსტანციებში მუშაობდნენ. წესებში ჩამოყალიბებულია ძირითადი დებულებანი ექვმიტანილთა მიერ პოლიციაში დაკითხვისას მიცემულ ჩვენებათა მტკიცებულების სახით დაშვების პირობები (ჩვენების მიცემაზე უარის უფლების წინასწარი განმარტების აუცილებლობა, გაურთხილების აუცილებლობა, რომ ექვმიტანილის მიერ მიცემული ჩვენებები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მისი გამამტყუნებელი მტკიცებულების სახით, და სხვა.)¹

მიუხედავად კანონებისა და დაწერილი სამართლის სხვა აქტების სიმრავლისა და ინგლისის სამართლებრივ სისტემაში მათი როლის მნიშვნელოვნად გაზრდისა, **დაუწერელი სამართლის ნორმებს** პოზიციები მთლიანად არ დაუთმიათ. მათ შეინარჩუნეს თავიანთი მომწესრიგებელი მნიშვნელობა, რაც სხვადასხვაგვარად გამოვლინდება სამართლის კონკრეტულ დარგებთან მიმართებაში ზოგან მეტად, ზოგან – ნაკლებად. ისინი სისხლის სამართალწარმოების სფეროშიც განაგრძობენ არსებობას, თუმცა ყველგან ერთნაირად არა (არა ყველა სტადიასა და საპროცესო ინსტიტუტებში). დაუწერელი სამართლის ნორმების როლი უფრო გამოკვეთილად დღეს სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის საკითხთა რეგლამენტაციაში უფრო შეინიშნება, უპირველეს ყოვლისა მტკიცების საკითხებთან მიმართებაში (განსაკუთრებით მტკიცებულებათა დასაშვებობისა და შესახებობის საკითხებთან).

ამ სახის ნორმათა შედარებით ღიდი „სიცოცხლისუნარიანობა“ შედეგია ინგლისური ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კვლავაც მყარი პოზიციებისა. სწორედ ამ უკანასკნელმა, მრავალსაუკუნოვანი ევოლუციის მსვლელობისას, მოითხოვა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას ჩამოყალიბებული კაზუისტური და მტკიცებულებათა დასაშვებობისა და შესახებობის შემზღუდველი (არაპროფესიონალი მოსამართლეებისათვის (ნაფიც მსაჯულთათვის) ხანდახან გაუგებარი) წესების ღიდი რაოდენობით დაგროვება. ამგვარი წესებისა და პროფესიონალების

¹ იმ მაკალითების რიცხვი, რომელიც მოწმობს უწყებრივი კანონქველდარე აქტებისა და სასამართლოს მიერ გამოცემული აქტების ფართოდ გამოყენებას სისხლის სამართალწარმოების რეგლამენტაციისათვის, შეიძლება ზეკრად მეტი ყოფილყო, რაშიც მკითხველი დარწმუნდება ამ თავის მომდევნო პარაგრაფებში მოცემულ მასალის ათვისებისას.

მიერ მიცემული განმარტებების მეშვეობით ხდება ნაფიც მსაჯულთა მართვის უზრუნველყოფა. ასეთი მართვა უკიდურესად აუცილებელია, ვინაიდან ნაფიც მსაჯულებს არ ეკისრებათ რაიმე იურიდიული პასუხისმგებლობა ფაქტის შესახებ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორის გამო და ვალდებულებიც არ არიან რამენაირად დაასაბუთონ ისინი (მოახდინონ მოტივაცია). კაზუისტური წესები საშუალებას აძლევს პროფესიონალ მოსამართლეებს საჭირო მიმართულებით მოახდინონ გავლენა ნაფიც მსაჯულთა დასკვნებზე სისხლის სამართლის ყველა საქმეზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძირითადი საკითხის გამო – განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტის დამტკიცებისა თუ არადამტკიცების შესახებ (ამის თაობაზე იხ. აღნიშნული თავი, §4).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ასევე, ინგლისური სამართალშემოქმედებითი და სამართალგამოყენებითი პრაქტიკის თანაფარდობა *საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმებთან*, რომელიც აღიარებულია ამ ქვეყანაში. ევროპის უძრავლეს სახელმწიფოთა საერთო ტენდენცია ამ სფეროში ინგლისსაც შეეხო, კეძოდ, მის სისხლის საპროცესო სამართალსა და მისი გამოყენების პრაქტიკას. ინგლისის ევროსაბჭოში გაერთიანების შეზღვევებთან, ისევე როგორც ყველა სხვა წევრმა ქვეყანამ ამ სახელმწიფოთაშორისო გაერთიანებისა (იხ. ზემოთ – თავი პირველი, §3 და §6), თავის თავზე აიღო ვალდებულება განუხრელად დაიცვას საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში. რაც ნიშნავს, რომ ამ დარგში მან უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო ნორმათა პრიორიტეტი თავისი შიდა (დაწერილი და დაუწერილი) სამართლის ნორმებთან მიმართებაში.

ამგვარი ვალდებულების რეალიზების არსებითი პრაქტიკული სირთულეები უკვე პირველსავე ნაბიჯებზე გამოვლინდა. კონკრეტულ საქმეთა, მათ შორის სისხლის სამართლის, განხილვისას არც თუ იშვიათად წარმოიშობოდა ხოლმე ეროვნული სამართლის ნორმათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისა თუ შეუსაბამობის პრობლემა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, რუსეთის ფედერაციის ჩათვლით, სირთულეების წყაროს, ძირითადად, წარმოადგენდა მოსამართლეთა და სხვა სამართალწარმოების ორგანოთა თანამდებობის პირთა მოუშაღებლობა საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნორმების პირდაპირ გამოყენებაში, ასევე, სრული გაურკვეველობა იმაში, თუ ვინ არის (რომელი ორგანო ან თანამდებობის პირი) უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება

ეროვნულ დანაწესთა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შეუსაბამობის შესახებ და განსაზღვროს აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები, ცნოს, რომ კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული დანაწესი, პრეცედენტი არ ექვემდებარება გამოყენებას.

გამოცდილებით იყო ნაქარნახევი სპეციალური კანონის გამოცემის გარდაუვალი აუცილებლობა, რომელიც წარმოშობილ სირთულეთა დაძლევის შეუწყობდა ხელს. ეს იყო 1998 წლის 9 ნოემბერს მიღებული „ადამიანის უფლებათა შესახებ“ კანონი (Human Rights Act).

კანონის ძირითად შინაარსს შეადგენს დებულებანი ე.წ. კონვენციურ უფლებათა განმარტების წესის შესახებ (იმ უფლებათა, რომლებიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2-დან მე-12 მუხლების ჩათვლით და მე-14 მუხლით, ამ კონვენციის პირველი ოქმის 1-ლიდან მე-3 მუხლების ჩათვლით და მეექვსე ოქმის 1-ლი და მე-2 მუხლებით). ასეთი სახის განმარტებათა მიზანს უნდა წარმოადგენდეს ეროვნული კანონებისა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტების, ასევე, კონკრეტული (დაწერილი და დაუწერელი) ნორმების, რომლებიც ინგლისის სასამართლოთა გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ, დანაწესთა კონვენციურ უფლებებთან შესაბამისობისა თუ შეუსაბამობის ოფიციალური დადგენა. კანონის შინაარსის მიხედვით, ეს ოპერაცია მხოლოდ მსჯელობებამდე და შესაბამისი იურიდიული ტექსტების ლოგიკურ შედარებაზე დაყრდნობილ დასკვნებამდე არ უნდა იყოს დაყვანილი. ზემოხსენებული კონვენციისა და მისი ოქმების მუხლების განმარტებისას, როგორც კანონის მე-2 მუხლი აღნიშნავს, აუცილებლად გასათვალისწინებელია ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიისა და მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებანი, დეკლარაციები, საკონსულტაციო მოსაზრებანი (advisory opinions) და სხვა აქტები.

სასამართლოში საჭირო დოკუმენტების წარდგენა, მსჯელობისა და გადაწყვეტილების გამოტანის წესი და სხვა საპროცედურო საკითხების რეგლამენტირება ზემოთ ხსენებული სამოსამართლო წესებით (court rules), ან/და ლორდ-კანცლერის, შინაგან საქმეთა მინისტრის ან ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა დეპარტამენტის მიერ გამოცემული აქტებით უნდა ხდებოდეს. მაგრამ, ზოგიერთი ასეთი საკითხი თვითონ კანონშია გადაწყვეტილი. მაგალითად, მისი დანაწესის თანახმად, ამ სახის განხილვის ინიციატორი შესაძლოა გახდეს ნებისმიერი პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ რომელიმე სახელმწიფო ორგანომ ან თანამდებობის პირმა

ჩაიღინა ან სჩადის ადამიანის კორვენციური უფლებების საწინააღმდეგო მოქმედებას და ამით არღვევს ან დაარღვია მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. აქლაციის წარდგენის ვადა შეადგენს ერთ წელს ასეთი მოქმედების ჩადენის მომენტიდან. საკითხის განხილვას შესაძლებელია მოჰყვეს კანონთა ან დაწერილი სამართლის სხვა აქტების დანაწესთა ფაქტიური გაუქმება, ანდა დაუწერელი სამართლის რომელიმე კონკრეტული ნორმის ძალადაკარგულად აღიარება. სასამართლო განხილვის ნებისმიერ შესაბამის სტადიაზე უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელიც სახელმწიფო (სამეფო ხელისუფლების) ინტერესებს წარმოადგენს.

განხილვის შედეგების მიხედვით, კომპეტენტური სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, რომელსაც შეუთავსებლობის შესახებ დეკლარაცია ეწოდება (declaration of incompatibility). არსებითია, რომ ასეთი დეკლარაციის მიღების უფლება, კანონის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ყველა სასამართლოს არ აქვს. ასეთი უფლებით აღჭურვილია მხოლოდ უმაღლესი სასამართლო ინსტანციები – ლორდთა პალატა (რომელიც სასამართლო ინსტანციის სახით მოქმედებს – იხ. მოცემული თავის მომდევნო პარაგრაფი), საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტი¹, სამხედრო სააპელაციო სასამართლო, მაღალი სასამართლო და სააპელაციო სასამართლო (იმ საკითხებისათვის, რომელიც წამოიჭრება ინგლისის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიაზე), ასევე, შოტლანდიაში მოქმედი იუსტიციარიის უმაღლესი სასამართლო (High Court of Justiciary²).

მათი დეკლარაციები სავალდებულოა ყველა სასამართლოსათვის და სხვა ორგანოთა თანამდებობის პირთათვის. მხოლოდ პარლამენტის წევრებს (იმ ლორდთა გარდა, რომლებიც ლორდთა პალატის სხდომებში მონაწილეობენ, სადაც მიიღება გადაწყვეტილებანი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე) აქვთ უფლება არ დაემორჩილონ მათ.

1 იგულისხმება დიდი ბრიტანეთის დედოფლის სათათბირო ორგანო. მისი წინამორბედი იყვნენ სამეფო საბჭოები (curia regis), რომლებიც ინგლისელა მონარქების მიერ იქნებოდა XI საუკუნიდან მოყოლებული. იგი დრო, როდესაც სასამართლო კომიტეტი, სხვა ფუნქციების ერთად, ასრულებდა ინგლისის სასამართლოებისათვის უზენაეს სასამართლო ინსტანციის ფუნქციებს. შემდგომ დიდი ბრიტანეთის ყველა კოლონიურ სამფლობელოთა სასამართლოებისათვის. დღესდღეისობით, ბრიტანეთის იმპერიის დაშლის გამო ასრულებს იმ ორგანოს როლს, რომელიც დროაღარო სამართლის გამოყენების საკითხებზე რეკომენდაციებს აძლევს სახელმწიფოებს ყოფილ კოლონიებს, რომლებიც ჯერ კიდევ შედიან ე.წ. ბრიტანული თანამეობრობის შესადგენლობაში.

2 Justiciary – ძველი დროიდან შემორჩენილი ტერმინია. ასე უწოდებდნენ შუა საუკუნეებში უმაღლესი სასამართლო ინსტანციების თავმჯდომარეებს. დასახლებული შოტლანდიის სასამართლო მოწოდებულია განახილოს პირველი ინსტანციით სამომ დანაშაულია შესახებ სისხლის სამართლის საქმეები და აქლაციები ქვედაკომ სასამართლოთა განაჩენებზე.

სასამართლოს, რომელმაც მიიღო დეკლარაცია, უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაადგინოს კონვენციურ უფლებებსა და თავისუფლებებთან შეუთავსებელი მოქმედებებით გამოწვეული ზიანის გამოსწორების ზომები.

კანონის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ, იმ სიროულეების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოიშობოდა და წარმოიშობა პრაქტიკაში ზემოთ დასახელებული საერთაშორისო დოკუმენტებისა და მათი დანართების პირდაპირი გამოყენებისას, მოყვანილია შესაბამისი მუხლების, (რაც ძალიან მნიშვნელოვანია) იმ დათქმებისა და განცხადებების ტექსტები, რომლებიც მათი რატიფიკაციისას გაკეთდა. კანონის ძირითად ტექსტში მკაფიოდ არის განსაზღვრული დაოქმათა და განცხადებათა იურიდიული მნიშვნელობა. მთლიანობაში, კანონი მოწოდებულია გამორიცხოს ურთიერთწინააღმდეგობანი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტების პირდაპირი გამოყენებისას, დაიცვას შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დანაწესები თვითნებური განმარტებებისაგან და ხელი შეუწყოს სამართალგამოყენებითი პრაქტიკის სტაბილურობას. იგი ყველა იმ სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფლებათა ყურადღებას იმსახურებს, რომლებმაც მოახდინეს ძირითადი ევროპული სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების რატიფიკირება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარგში და გულწრფელად აპირებენ თანმიმდევრულად, განუხრელად დაიცვან ისინი.

§3 სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების განმასწავლებელი ორგანოები

1. ჯერ კიდევ შუა საუკუნეთა დროიდან, როდესაც ინგლისში სისხლის სამართლის პროცესი თავისი ფორმით მკვეთრად გამოხატული ბრალდებითი იყო, დღემდე მიღებულია დეკლარირება, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების ინიციატივა სავალდებულო არ არის ეკუთვნოდეს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს. ამას საფუძველად უდევს ისევ ის ზემოთ მოყვანილი ინგლისური სისხლის სამართალწარმოების დოქტრინის საწყისი დებულება, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის საქმე ეს არის დავა დანაშაულის ჩადენის ფაქტის შესახებ. ასეთ დავაში, ისევე როგორც სასამართლოს მიერ განსახილველი სხვა სახის დავებისას, სასამართლოს წინაშე წარდგენილი ორივე მხარე

სასეხებით შესაძლებელია იყვნენ კერძო პირები. სისხლისსამართლებრივი დევნის კერძო პირის მიერ რეალიზება, როგორც ამას ინგლისური დოქტრინალური წყაროები მოწმობენ, ინდივიდუალურ უფლებათა და საზოგადოების კანონიერ ინტერესთა დაცვის ერთ-ერთ ზერხს წარმოადგენს. ამ წყაროებში გაერკვლებულია მოსაზრება, რომ კერძო პირთა უფლება – საკანონმდებლო წესით განახორციელონ სისხლისსამართლებრივი დევნა – პირველად დამტკიცებული (დადასტურებული) იყო ჯერ კიდევ 1285 წელს, როდესაც შედგა ვინჩესტერის კანონის მიღება (Statute of Winchester), რომლითაც ინგლისელებს უფლება ეძლეოდათ დაეპატიმრებინათ ისინი, ვინც, მათი აზრით, დანაშაული ჩაიდინა. იგი მრავალჯერ დადასტურდა სხვა კანონებში. მაგალითად, 1985 წლის „დანაშაულთა დევნის შესახებ“ კანონის მე-1(1-ლი) მუხლი შეიცავს პირდაპირ მითითებას იმაზე, რომ კერძო პირი უფლებამოსილია დაიწყოს წარმოება ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმეზე და გააგრძელოს იგი, თუ გვირგვინის საბრალდებო სამსახური (მის შესახებ იხ. ქვემოთ, მოცემულ პარაგრაფში) არ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას. სხვა სიტყვებით, თეორიულად, ნებისმიერი ქმედუნარიანი ინგლისელი, მათ შორის ის, ვინც არ არის დაზარალებული, უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი, მათ შორის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის დევნა. მაგრამ ეს მხოლოდ თეორიულად... პრაქტიკულად, დღესდღეობით, კერძო პირთა მიერ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა იშვიათად ხდება. მისი განხორციელება უწყვეტ დანაშაულისაგან დაზარალებულ პირებს მაშინ, როდესაც შესაბამისი ხელისუფლებები არ მოქმედებენ ან არაჯეროვნად მოქმედებენ. ამას გარდა, კანონმდებლობა ამ ხელისუფლებებს კერძო პირების მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის უფლების განხორციელებაზე კონტროლის ფართო შესაძლებლობას ანიჭებს.

ასეთი კონტროლის სიფართოვესა და სიმკაცრეზე მსჯელობა შესაძლებელია თუნდაც იმის მიხედვით, რომ დღეისათვის არის 150-ზე მეტი კანონი, რომლის დებულებებიც უშვებენ დანაშაულთა კონკრეტული სახეების ჩამდენი პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში მიცემას ან მხოლოდ გენერალური ატორნიის, საჯარო დევნათა სამსახურის დირექტორის (მათზე იხ. ქვემოთ, მოცემულ პარაგრაფში), შინაგან საქმეთა მინისტრის, ასევე, სხვა თანამდებობის პირთა და ორგანოთა¹ თანხმობით,

¹ მაგალითად, სასოფლო მეურნეობის, თევზჭერისა და სურსათის მინისტრი, მეტროლოგიის ეროვნული კავშირი, ბუნების დაცვის სამსახური, იურიდიული საზოგადოება, სასარტლანდი მენარსქობის უზრუნველყოფის უწყების დირექტორი, ავტოლაბორუი თეთრომარკეტულობის ორგანოები, საწარმოო დაზღვევის კომისია, ტრანსპორტის მინისტრი.

ას მათი მხრიდან წინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაში. მაგალითისათვის, 1939 წლის „კიბოს შესახებ“ კანონი მოითხოვს გენერალური ატორნეის თანხმობას კერძო პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასა და ბრალდების მხარდაჭერაზე კიბოს მკურნალობის არალიცენზირებულ საშუალებათა მართლსაწინააღმდეგო რეკლამირების დანაშაულთა საქმეებზე; 1955 წლის „ბავშვებისა და ახალგაზრდობის შესახებ“ კანონი – პუბლიკაციებზე, რომელიც რყენის ბავშვებსა და ახალგაზრდებს; 1990 წლის „საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტის უსაფრთხოების შესახებ“ კანონი – მოქმედებებზე, რომელიც საშიშროებას უქმნის აეროდრომების უსაფრთხოებას; 1988 წლის კანონი „სისხლის სამართლის საქმეთა მართლმსაჯულების შესახებ“ – წამების გამოყენების შესახებ; 1976 წლის კანონი „სექსობრივ (სექსუალურ) დანაშაულთა შესახებ“ – იმ მონაცემთა გამოქვეყნების შესახებ, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს დაზარალებულის პიროვნების დაღვენას. კერძო პირთა მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლების შეზღუდვის სხვა ხერხებიც არსებობს.

გამამტყუნებელი მტკიცებულებების შეგროვება და ბრალდებითი ფუნქციის შესრულება სასამართლოში, როგორც წესი, სათანადო საკადრო, ორგანიზაციული, მატერიალური და ტექნიკური რესურსების მქონე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების საქმეს წარმოადგენს. ამ ორგანოთა შორის წამყვანი ადგილი უჭირავთ პოლიციასა და გვირგვინის საბრალდებო სამსახურს. მაოზე მოდის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ უმრავლეს პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება (გამამტყუნებელი მტკიცებულებების შეგროვება, შესაბამისი დოსიეს შედგენა და ბრალდების მხარდაჭერა სასამართლოში).

2. პოლიცია წარმოადგენს ასეთი სახის ერთ-ერთ უძველეს ორგანოს. ინგლისში ბევრს მიაჩნია, რომ მის ჩამოყალიბებას საფუძველი 1663 წელს ჩაეყარა, როდესაც ლონდონელ ღამის დარაჯებს სახელმწიფო ხაზინიდან დამატებით ხელფასს უხდიდნენ სამუშაოსათვის. თითქმის 140 წლის შემდეგ, 1800 წლისათვის, ლონდონში 120 პოლიციელი იყო, მათ შორის ისინი, ვინც პატრულირებას ახორციელებდნენ ცხენებით ქუჩებსა და პარკებში ანდა ნაგებობათა მდინარე ტემზაზე. თავიანთი სამუშაოსათვის მათ უკვე მუდმივ ხელფასს უხდიდნენ. შემონახულია წერილობითი დამადასტურებელი ცნობები იმისა, რომ 1842 წლისათვის ლონდონის პოლიციის შტატები ორ ინსპექტორსა და ექვს სერჟანტს ითვლიდა, რომლებიც დანაშაულთა გახსნაზე სპეციალიზირდებოდნენ.

ისინი პირველი ინგლისელი დეტექტივები იყვნენ.

დღეისათვის პოლიცია - ეს არის 130 000-მდე პოლიციელი, რომელიც თავის მრავალგვერდულ მოვალეობებს ასრულებს 43 რეგიონალური პოლიციის სამსახურის შემადგენლობაში. მათ უმრავლესობას თანამდებობის პირები ხელმძღვანელობენ, რომელთაც უფროს კონსტებლებს (Chief Constables) უწოდებენ. ყველაზე მსხვილ სამსახურს ლონდონის დედაქალაქის პოლიცია (London's Metropolitan Police) წარმოადგენს, რომელსაც, ძველი ტრადიციის შესაბამისად, სქოთლენდ იარდს უწოდებენ. მისი მოქმედების სფერო ქალაქის მთელ ტერიტორიას მოიცავს (ლონდონ სითის გარდა). პოლიციის სამსახურებზე საერთო ხელმძღვანელობა შინაგან საქმეთა მინისტრს ევალება.

პოლიციელთა დაახლოებით სამ მეოთხედს შეადგენენ კონსტებლები. ისინი პოლიციის ძირითად ბირთვის წარმოადგენენ. სწორედ მათ აკისრიათ, სხვა ფუნქციებთან ერთად, ყველა (დაწყებული ყველაზე უმნიშვნელოდან და დამთავრებული განსაკუთრებით საშიში დანაშაულებით) კატეგორიის დანაშაულთა გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ მიმართულ მოქმედებათა (თავიანთი შინაარსით ისინი მოგვაგონებენ იმ მოქმედებებს, რასაც რუსეთში ოპერატიულ-სამძებროს უწოდებენ) მნიშვნელოვანი ნაწილის განხორციელება. როგორც წესი, ესენი არა დილექტანტები, არამედ ის პირები არიან, რომელთაც დანაშაულთა თავიდან აცილების, აღკვეთისა და გამოძიების დარგში სპეციალური მომზადება (მათ შორის იურიდიული) გააჩნიათ და ჩაბარებული აქვთ შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდები.

აღსანიშნავია, რომ ზოგი მათგანი დაკავებულია დეტექტიური საქმიანობით მუდმივ საფუძველზე, დანაშაულთა გამოძიებისათვის სპეციალურად შექმნილ განყოფილებათა შემადგენლობაში (criminal investigation divisions). მათ ხშირად დეტექტივებს უწოდებენ და მათი რიცხვი სულ 12 000-ს შეადგენს ინგლისის პოლიციაში. სწორედ ისინი ასრულებენ შედარებით რთულ საქმეებზე საგამოძიებო სამუშაოებს სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებებთან ერთად.

როგორც მოცემული თავის მომდევნო პარაგრაფების მასალებიდან დავინახავთ, ინგლისის სისხლის სამართალწარმოებაში პოლიციას აქტიური როლი უჭირავს. იგი, დანაშაულის თავიდან აცილების, აღკვეთისა და გახსნის მოქმედებათა შესრულებისას, უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმეზე საესებით საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებანი. ასეთ გადაწყვეტილებებს შეიძლება მივაკუთვნოთ. მაგალითად, კონკრეტულ საქმეზე გამამტყუნებელ მტკიცებულებათა შეგ-

როგებასთან დაკავშირებული ნებისმიერ მოქმედებათა წარმოების შესახებ გადაწყვეტილება, ამასთან, არ მოეთხოვება რაიმე არსებითი მოტივირება. პოლიციის საქმიანობის ინგლისელი მკვლევარები ამტკიცებენ, რომ პოლიცია ასეთი სახის გადაწყვეტილებას იღებს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის სახით დაკავებული 26% უფროსებისა და 24% არასრულწლოვანთა მიმართ.¹ სხვა სიტყვებით, პოლიცია, ხელმძღვანელობს რა თავისი დისკრეციული უფლებამოსილებით, ფაქტიურად ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ყოველწლიურად რამდენიმე ასეულობით ეჭვმიტანილს.

სისხლის სამართალწარმოებაში პოლიციის ფუნქციათა ზოგად დახასიათებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ასეთი ფუნქციები ზოგჯერ სხვა ორგანოებს ეკისრებათ – საგადასახადო სამსახურს (Inland Revenue), ჯანდაცვისა და სანიტარული უსაფრთხოების ინსპექციას (Health and Safety Inspectorate), სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტს (Department of Social Security), საბაჟო სამსახურს (Customs and Excise), შრომის ანაზღაურების საკითხთა ინსპექციას (Wages Inspectorate) და სხვა.

3. გვირგვინის საპროსიკუტო სამსახური (Crown Prosecution Service) – ეს არის აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, რომელიც შეიქმნა 1985 წლის „სამართალდარღვევათა დენის შესახებ“ კანონის საფუძველზე და ფაქტიურად დაიწყო თავისი საქმიანობა 1986 წლის ოქტომბრიდან. ამ მოვლენამდე ინგლისში, პრაქტიკულად, არ არსებობდა რაიმე სამართალდამაცავი დაწესებულება, უფლებამოსილი მუდმივ საფუძველზე სახელმწიფოს სახელით განეხორციელებინა სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის, მათ შორის მძიმე დანაშაულის ჩამდენ ყველა ან უმრავლესობა პირის მიმართ.

ზემოთ აღნიშნული უკიდურესად დეკლარაციული კონცეფციის ფართოდ გავრცელებასა და აღიარებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ჩამდენ პირთა დევნა მოქალაქეთა საქმეა (მათ შორის ისეთებისა, ვისაც დანაშაულის შედეგად უშუალოდ ზიანი არ მისდგომია), ინგლისში სპეციალურ სახელმწიფო ორგანოთა შექმნისაკენ ნაბიჯები უფრო გვიან გადაიდგა, ვიდრე რუსეთსა თუ კონტინენტური ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში.

პირველი არცთუ ისე გაბეჯული ნაბიჯი მხოლოდ 1879 წელს გადაიდგა, როდესაც „დანაშაულთა შესახებ“ კანონი მიიღეს და მის

¹ იხ. Oxford Handbook of Criminology / Ed. by M. Maquaire, R. Morgan and R. Reiner. Oxford, 1994. P. 794

დანაწესთა საფუძველზე შემოღებული იქნა საჯარო ღვენათა დირექტორის თანამდებობა თავისი პატარა დამხმარე აპარატით. 1908 წელს ეს აპარატი რამდენადმე გაფართოვდა და საჯარო ღვენათა დეპარტამენტის სახე მიიღო (დირექციის). ეს იყო დაწესებულება, რომელიც ძლივსძლიობით ართმევდა თავს განსაზღვრულ საქმეებზე (ძირითადად, ეს იყო საქმეები წინასწარი განზრახვით მკვლევლობებზე; სხვა დანაშაულებზე, რომელზედაც შესაძლო იყო სასჯელის ზომად სიკვდილით დასჯა ყოფილიყო გამოყენებული; რამდენიმე თანამდებობრივ დანაშაულზე; დანაშაულებზე, რომლებიც ფართო საზოგადოებრივ რეზონანს იწვევდნენ და სხვა) გამოძიების ორგანიზებასა და სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერას. მაგალითად, 1966 წლისათვის დეპარტამენტის ჯამური სამტატო რიცხვი (პერიოდებზე არსებული ფილიალების ჩათვლით) 100 ერთეულს არ აღემატებოდა, რაც უზრუნველყოფდა ღვენის განხორციელებას საერთო იურისდიქციის სასამართლოებში განსახილველ სისხლის სამართლის საქმეთა საერთო რაოდენობის არაუმეტეს 1-2%-ზე, საბრალდებო აქტის პროცედურის დაცვით. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა უმრავლესობის მიმართ ღვენის განხორციელება პოლიციისა (სასამართლო განხილვის სტადიაზე ბრალდების მხარდასაჭერად იგი, როგორც წესი, უხმობდა საადვოკატო პროფესიის პირებს – ბარისტერებს ან სოლისიტორებს) და კერძო პირთა საქმედ ითვლებოდა. ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობა ყოველთვის კრიტიკას იწვევდა და მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ინგლისში პროკურატურის მსგავსი სახელმწიფო ორგანოს შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე.

გვირგვინის საბრალდებო სამსახურის დაარსება პასუხი იყო იმ მსჯელობებსა და რეალიებზე, რომლებიც ჯიუტად კარნახობდნენ დანაშაულის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლოსათვის მომართულ სახელმწიფო მექანიზმის სრულყოფის აუცილებლობას. ახალი გზების ძიებაზე ის ფაქტიც უბიძგებდა, რომ XX საუკუნის შუა პერიოდისათვის საზოგადოებრივი აზრი უპირობოდ აღარ უჭერდა მხარს უკვე დიდი ხნის მოძველებულ დებულებას დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სისხლის-სამართლებრივი ღვენის განხორციელების თითოეული ინგლისელის უფლების უპირატესობის შესახებ. აღარ არსებობდა რწმენა იმისა, რომ კერძო პირთა ძალებით შესაძლებელი იყო კატასტროფულად მზარდი დამნაშაევობის ეფექტურად ამოძირკვის უზრუნველყოფა.

ღვენისათვის სამსახური აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოთა სპეციალიზებულ სისტემას წარმოადგენს. მისი

ქვედა რგოლები - ადგილობრივი დანაყოფები (branches) - ინგლისისა და უელსის ტერიტორიაზე მდებარე 93 დასახლებულ პუნქტშია განლაგებული. ამ დანაყოფებს ხელმძღვანელობენ თანამდებობის პირები, რომელთაც ადგილობრივი გვირგვინის ბრალმძებლები (Branch Crown Prosecutors) შეიძლება ვუწოდოთ. მათ და რიგით თანამდებობის პირებს (Crown Prosecutors) აწვეთ ძირითადი სამუშაო სასამართლოს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ორგანიზებისა.

1998-1999 წლებში გატარებული რეორგანიზაციის შედეგად, გვირგვინის საბრალდებო სამსახურის საშუალო რგოლს შეადგენს 42 საოლქო დანაყოფი. ძირითადად მათ აკისრიათ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მომეტებული საშიშროებისა და სირთულით გამორჩეულ დანაშაულთა საქმეებზე. ადგილობრივი დანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია, მათი ხელმძღვანელობა კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. 41 ოლქი, სადაც ამ რგოლის სამსახურის ქვედანაყოფი მოქმედებს, ტერიტორიულად ემთხვევა ზემოთ მითითებული პოლიციის ოლქებს.¹ ეს მიზნად ისახავს სამსახურის ქვედანაყოფებისა და პოლიციის ქვედანაყოფების (უფროსი კონსტებლების ხელმძღვანელობით) მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფას დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ორგანიზებისას. გვირგვინის საბრალდებო სამსახურის საშუალო რგოლის დანაყოფებს სათავეში უდგანან გვირგვინის უფროსი ბრალმძებლები (Chief Crown Prosecutors).

ძირითადი ფუნქციის (ინგლისისა და უელსის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩამდენ პირთა დევნა²) განხორციელებისათვის დანაყოფები და სამსახურის თანამდებობის პირები, ზემოხსენებული 1985 წლის კანონის თანახმად, მთელი რიგი უფლებებით არიან აღჭურვილნი, კერძოდ:

- პოლიციისათვის რეკომენდაციის მიცემა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების დაწყების შესაძლებლობის შესახებ;

1 სამსახურის რიგით 42-ე საოლქო დანაყოფი მოქმედებს პოლიციის ორი ოლქის ტერიტორიაზე დელაქაქის ოლქისა და ლონდონ სიითის ოლქის ტერიტორიაზე.

2 მოტლანდიაში მსგავსი ფუნქცია ეკისრება გვირგვინის კანცლარის დაწესებულებასა და ფისკალ-პროკურორის სამსახურს (Crown Office and Procurator Fiscal Service), რომელსაც თანამდებობის პირი - ლორდ-ადვოკატი (Lord Advocate) ხელმძღვანელობს. ეს უკანასკნელი ნიშნავს გვირგვინის წარმომადგენელს (Crown Agent), რომელსაც ეუბება ფისკალ-პროკურორის სამსახურის ხელმძღვანელობა. ამ სამსახურს მოტლანდიის ტერიტორიაზე მოქმედ ექვსეუ სასამართლო (შერაივის) ოლქში თავისი რეგიონალური ფისკალ-პროკური მსახური (Regional Procurator Fiscal). ეს უკანასკნელი ასრულებს, ძირითადად, იმ ფუნქციებს, რასაც საბუთო ბრალმძებლები ინგლისსა და უელსში.

- პოლიციის მიერ დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეთა შემოწმება იმის უზრუნველსაყოფად, რომ „სათანადო ბრალდებულები იდევნებოდნენ სათანადო ბრალდებებით“;
- მასალების სასამართლოსათვის მომზადება;
- სასამართლოში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და იმ წარმომადგენელთა ინსტრუქტირება (იგულისხმება ადვოკატები – ბარისტერები ან სოლისიტორები, რომელთაც სამსახური ავალებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეთა წარმართვას), რომლებიც ბრალმდებლების სახით გამოდიან გვირგვინის სასამართლოში ან ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში;
- სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთთანამშრომლობა „სისხლის სამართლის იუსტიციის სისტემის ეფექტურობისა და შედეგიანობის ამაღლების მიზნით“.

უფლებამოსილებათა რეალიზება უზრუნველყოფილია, როგორც 1985 წლის „სამართალდარღვევათა დევნის შესახებ“ კანონის (Prosecution of Offences Act) დანაწესთა მეშვეობით, ასევე გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსითა (Code for Crown Prosecutors) და ინსტრუქციებით სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ადვოკატთათვის (Instructions for Prosecuting Advocates) – ნორმატიული აქტით, რომელსაც სამსახურის ხელმძღვანელი (სისხლისსამართლებრივ დევნათა სამსახურის დირექტორი) გამოსცემს და მუდმივად განაახლებს. ეს და მსგავსი ნორმატიული აქტები სავალდებულოა პოლიციის შესაბამისი თანამდებობის პირებისათვის, გვირგვინის ბრალმდებლებისათვის და ადვოკატებისათვის, რომლებიც სახელმწიფოს სახელით ახორციელებენ ბრალდების მხარდაჭერას. სამსახური მათ უზრუნველყოფს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესახებ ოპერატიული ინფორმაციით, ზრუნავს გვირგვინის ბრალმდებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათ დროულად დაფინანსებაზე, შესაბამისი სპეციალისტების კადრების შერჩევაზე და სხვა.

სამსახურის დანაყოფები წარმოდგებიან როგორც ფილტრი, ერთი მხრივ, პოლიციასა და ზემოთ მოყვანილი სხვა იმ ორგანოებსა, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეთა უძრავლესობას იწყებენ, აგროვებენ მონაცემებს, რომლებიც შესაძლოა სასამართლოში წარადგინონ გამამტყუნებელ მტკიცებულებათა სახით და, მეორე მხრივ, სასამართლოს შორის, სადაც ასეთი სახის მონაცემები შემოწმდება და მიიღება გადაწყვეტილება ბრალდებულის ბრალეულობისა და სასჯელის ზომის

შესახებ. პოლიციიდან შემოსულ თითოეულ საქმეზე სამსახურის კომპეტენტურმა თანამდებობის პირმა (გვირგვინის ბრალმდებელმა) უნდა უპასუხოს ორ კითხვას: 1) შეგროვილია თუ არა საკმარისი მონაცემები კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის სასამართლოში; 2) პასუხობს თუ არა საჯარო ინტერესებს (public interest) ასეთი დევნა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეორე კითხვას. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ზემოთ მოყვანილი გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსის (პუნქტი 6.1) თანახმად, გვირგვინის ბრალმდებლებსა და სხვა პირებს, რომლებიც კოდექსის დანაწესებით უნდა ხელმძღვანელობდნენ, წინადადება ეძლევათ მოიშველიონ ინგლისელი იურისტებისათვის ლორდ შოუკროსის კარგად ცნობილი განცხადება, რომელიც მან 1951 წელს პარლამენტის თემთა პალატის სხდომაზე გააკეთა, როდესაც მას გენერალური ატორნეის თანამდებობა (ამ თანამდებობის პირის შესახებ იხ. ქვემოთ) ეკავა: „ჩვენს ქვეყანაში არასოდეს ყოფილა (და, იმედი მაქვს, არასოდეს იქნება) წესები, რომლის თანახმადაც, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი ავტომატურად უნდა გახდეს დევნის ობიექტი“ (ხაზგასმა ეკუთვნის - კ.გ.-ს).

კოდექსი შეიცავს, ასევე, ორიენტირებას იმასთან მიმართებაში, თუ რა კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ე.წ. საქმის საჯარო ღირებულების კითხვაზე პასუხის გაცემისას. მაგრამ, თავისი „ბუნდოვანების“ გამო ეს ორიენტირება პრაქტიკულად ნიშნავს, რომ საქმის პოლიციიდან სასამართლოში წარმართვა (იმ მონაცემთა არსებობის შემთხვევაშიც, რომელიც კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენას დანამდვილებით ამტკიცებს) პირდაპირ კავშირშია გვირგვინის ბრალმდებლების შეხედულობაზე და აღნიშნული გარემოება ბევრის მთქმელია ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში გვირგვინის ბრალმდებლების როლსა და მნიშვნელობაზე.

გვირგვინის საბრალდებო სამსახური მოქმედებს არა მარტო პოლიციასთან მუდმივ კონტაქტში, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადვოკატურასთანაც (ბარისტერებისა და სოლისიტორების გაერთიანება). ეს აუცილებელია მისთვის კონკრეტულ სამქეთა სასამართლოში განხილვისას, რადგან საკმაოდ ხშირად ბრალდებას მხარს უჭერენ ამ გაერთიანებათა წარმოამდგენლები მუდმივ, ან სამსახურის დანაყოფთან ერთჯერადი ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთი სახის ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად 1994 წელს საჯარო დევნათა სამსახურის ლირექტორმა, ბარისტერების საბჭოსთან შეთანხმებით, მოიწონა და გა-

მოსცა სტანდარტები, რომლებიც უნდა დაიცვან ადვოკატებმა კონკრეტული საქმის მასალების წინასასამართლო მომზადებისას (მათ შორის პოლიციის მეშვეობით) და საქმეთა სასამართლოში განხილვისას, ხოლო 1999 წელს – სტანდარტები, რომლებიც ადგენენ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა წარმართვისათვის კუთვნილი ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის წესებს.¹

გვირგვინის საბრალდებო სამსახური მოწოდებულია მჭიდროდ ითანამშრომლოს პრობაციის სამსახურთანაც (Probation Service), რომელსაც ევალება სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ პირთა დასახსნიათებლად საჭირო მონაცემთა შეგროვება სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის და სასჯელმისჯილ (რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან) პირთა ქცევაზე კონტროლი.²

ბოლო დროს დაისახა ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც მოწოდებულია, ხელი შეუწყოს გვირგვინის საბრალდებო სამსახურის დანაყოფების, პოლიციის, მაგისტრატების სასამართლოებისა და სისხლის სამართლის საქმეებზე კონკრეტული ფუნქციების განმახორციელებელ სხვა ორგანოთა ადგილობრივ დონეზე შეთანხმებულ მოქმედებათა განხორციელებას. გვირგვინის უფროსი ბრალმძღვლების ინიციატივით, შესაბამის ოლქებში დაიწყო ე.წ. სისხლის სამართლის იუსტიციის პრობლემათა შესახებ გაერთიანებების (Criminal Justice Units) შექმნის პროცესი, რომლის ფარგლებშიც ხდება დუბლირებისა და წარმოების გაჭიანურების წინააღმდეგ ზომების შემუშავება, ხოლო არსებითად – კონკრეტული ოლქის ფარგლებში – დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციის შესახებ გაერთიანებებისა.³

მოლიანად გვირგვინის საბრალდებო სამსახურს ხელმძღვანელობს, არაერთხელ ნახსენები, საჯარო დევნათა სამსახურის დირექტორი მასთან არსებული მცირე ცენტრალური აპარატით. იგი იმ თანამდებობის პირთა არცთუ მრავალრიცხოვან წრეს მიეკუთვნება, რომლებსაც ინგლისელები, ტრადიციულად, გვირგვინის იურისტებს (Law Officers of

1 1985 წლის კანონი მე-17, მე-18 მუხლების თანახმად, ბრალდების მხარდამჭერი ადვოკატების მომსახურების ხარჯები უნდა შევიდეს სასამართლო ხარჯებში და გადაიხადოს მსჯავრდებულმა, ან პირმა, რომელმაც საქმე „წაავი“ სააღსაფარო ინსტიტუტში იმ ოდენობით, რამდენითაც მას გადაწყვეტილების გამოტანი სასამართლო „ათვლის სამართალიანად და გონივრულად“.

2 პრობაციის სამსახურს დამნაშავეობასთან ბრძოლის ზომების განხორციელებამა, მისი როლის ამოღებას სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა, რასაც მოწმობს, კერძოდ, „სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების შესახებ“ კანონი (Criminal Justice and Courts Act), იმდებელი 2000 წლის 30 ნოემბერს.

3 იხ. გვირგვინის საბრალდებო სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიში 1999-2000 წლებში // CPS Annual Report, 1999-2000.

(the Crown) უწოდებენ. ღირეკტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას გენერალური ატორნეი.

დღესდღეობით სამსახური სავსებით გავლენიან სამართალდაცვით სტრუქტურას წარმოადგენს, რომელიც სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს (მაგალითად, 1999-2000 საფინანსო წელიწადში მისი მონაწილეობით განხილულ იქნა არსებითად და ე.წ. „თანმდევე საკითხებთან“ დაკავშირებით 1,4 მილიონი საქმე მაგისტრატების სასამართლოში და 125 000 – გვირგვინის სასამართლოს თანდასწრებით¹).

4. **გენერალური ატორნეი (Attorney General)** ერთ-ერთი მათგანია, ვისაც ინგლისში გვირგვინის იურისტებს უწოდებენ. ინგლისის სახელმწიფო აპარატში ასეთი თანამდებობის პირი პირველად, მეტნაკლებად მყარად, ჯერ კიდევ XV საუკუნეში დამკვიდრდა. დღეს იგი, ისევე, როგორც მრავალი წლის წინათ, ხელისუფლებისა და დედოფლის მთავარი იურიდიული მრჩეველია. მისი სტატუსის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთდროულად არის როგორც პარლამენტის, ასევე ხელისუფლების წევრი. გენერალურ ატორნეის უშუალოდ დედოფალი ნიშნავს. მისი უახლოესი თანამშემწეა (ისიც გვირგვინის იურისტად ითვლება) გენერალური სოლისიტორი (General Solicitor), რომლის მოვალეობასაც შეადგენს, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოში სახელმწიფოს (გვირგვინის) ქონებრივი და სხვა ინტერესების დაცვა.

გენერალური ატორნეის როლი სისხლის სამართლის იუსტიციის სფეროში განისაზღვრება უმთავრესად იმით, რომ მას აკისრია გვირგვინის საბრალდებო სამსახურზე საერთო ხელმძღვანელობისა (იგი ნიშნავს საჯარო დევნათა სამსახურის ღირეკტორს და კონტროლს უწევს მის საქმიანობას, შეუძლია დაამტკიცოს გვირგვინის ბრალმძღვანელების საქმიანობის შესახებ ნორმატიული აქტები) და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზანშეწონილობაზე გადაწყვეტილების მიღება. მისი მოვალეობის მიმართ კანონში მოცემულია შესაბამისი დათქმები (იხ. ზემოთ, მოცემულ პარაგრაფში). მას ეკისრება მოვალეობა პირადად დაუჭიროს მხარი ბრალდებას ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე (მაგალითად, დანაშაულებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ ზიანი მიაყენონ დედოფლის, ხელისუფლებისა და მისი წევრების მართლზომიერ ინტერესებს).

5. სისხლის სამართლის საქმეების წარმოებაში აქტიურად მონაწილე პირებს შორის გამოსაჩინი ადგილი უჭირავთ თანამდებობის

1 იხ. იქვე.

პირებს, რომელთაც *კორონერები* (coroners) ეწოდებათ. მათი ისტორიაც საუკუნეების სიღრმიდან იწყება. როგორც მრავალი ინგლისური წყარო მოწმობს, კორონერები პირველად ჯერ კიდევ XII საუკუნეში გამოჩნდნენ. იმ დროისათვის ესენი იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეული ავტორიტეტული პირები, რომელთა მოვალეობებსაც შეადგენდა გვირგვინის (მეფის, დედოფლის) ინტერესთა (უმიტესწილად, ქონებრივი) დაცვა. აქედან წარმოდგება მათი სახელწოდებაც, *корона* – *коронеры* (*корона* რუსულად გვირგვინს ნიშნავს – ი.ბ.). დღეს ისინი სასამართლო უწყების დამოუკიდებელ პირებად ითვლებიან. მათ თანამდებობაზე ნიშნავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (საგრაფოების, ქალაქების ან სხვა მსხვილი დასახლებული პუნქტების საბჭოები) იმ პირობაზე, ვისაც 5 წლის მუშაობის გამოცდილება აქვთ, მასუბოტენ მოთხოვნებს, რომლებიც წაყენებათ სამოსამართლო თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატებს, ანდა პრაქტიკოს მედიკოსებს, რომლებმაც იურიდიული მომზადება¹ გაიარეს (ჩვეულებისამებრ, სწორედ ამ უკანასკნელი კატეგორიის სპეციალისტებს ეძლევათ უპირატესობა). კორონერთა შრომის ანაზღაურება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან იმ ოდენობით, რაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოსა და კორონერის თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატს შორის დადებული ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული (სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით დაიშვება ხელშეკრულების დადება შეთავსების საწყისებზე; ამ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირი არ დაიშვება კორონერის თანამდებობაზე). კანონი ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურებას ყველა ხარჯისა, რომელიც შესაძლოა კორონერმა გაწიოს თავისი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით. თანამდებობის დაკავების ზღვრული ასაკია – 70 წელი.

თავისი მოვალეობების შესრულებისას კორონერები ხელმძღვანელობენ ცენტრალური ორგანოების მიერ გამოცემული კანონებითა და სხვა აქტებით (ძირითადი აქტები – 1988 წლის კანონი „კორონერების შესახებ“, 1984 წლის საკორონერო წესები, ქვემოთ ნახსენები ლორდ-კანცლერთან შეთანხმებით შემუშავებული კორონერთა სამსახურის სანიმუშო წესდება და სხვა) და მოქმედებენ დედოფლის (მეფის) სახელით. ამაში მდგომარეობს მათი სტატუსის არსებითი თავისებურება სასამართ-

¹ კორონერებს ადგილობრივი თვითმმართველობის თანხმობით უნდა დანიშნონ თავიანთი მოადგილეები (Deputy Coroners) ან/და მოადგილეთა თანამშენებნი (Assistant Deputy Coroner) იმ პირობაზე, რომლებიც იმავე მოთხოვნებს მასუბოტენ. მოადგილე ან თანამშენებნი დაიშვება კორონერის მოვალეობათა შესასრულებლად, როდესაც თვითონ კორონერს რაიმე მიზეზების გამო არ შეუძლია შესრულოს მოვალეობანი. ხელ ინგლისისა და უელსის ტერიტორიაზე 146 საკორონერო უბანია.

ლო სისტემაში. კორონერის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ საკორონერო უბნის ტერიტორიაზე გვამის აღმოჩენისას შეამოწმოს სიკვდილის დადგომის გარემოებანი, „თუ არსებობს გონივრული საფუძველი იმისა, რომ სიკვდილი იყო ძალადობრივი, არაბუნებრივი ან სიკვდილის გამომწვევი მიზეზი უცნობია, სიკვდილის დადგომისა და მისი მიზეზის წარმოშობის ადგილის მიუხედავად“. საჭიროების შემთხვევაში, მისი მითითებით ტარდება გვამის პათოლოგიურ-ანატომიური გაკეთა. იგი, ასევე, იძლევა ნებართვას გვამის დამარხვას ან კრემაციაზე, ანდა ინგლისის ფარგლებგარეთ გადასვენებაზე, და საჭიროების შემთხვევაში ექსპუციაზე. თუ შემოწმების მსვლელობისას გამოვლინდება სიკვდილის ფაქტის კრიმინალური წარმომავლობა, კორონერი უკავშირდება ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელობას და მასთან შეთანხმებით განსაზღვრავს, თუ რა მოქმედებანი უნდა განახორციელონ პოლიციის მუშაკებმა შესაძლო დანაშაულის გახსნისათვის. პოლიციის მიერ შეკრებილი ყველა მასალა უნდა წარედგინოს კორონერს.

ეს მასალები, ასევე უშუალოდ მის მიერ შეკრებილი მასალები პოლიციამ უნდა გამოიკვლიოს იმ პათოლოგ-ანატომის მონაწილეობით, რომელმაც გაკეთა ჩაატარა. გამოკვლევა ტარდება ღია სხდომაზე ძირითადად იმ წესთა დაცვით, რომლებითაც ხელმძღვანელობენ მოსამართლეები სისხლის სამართლის საქმეზე პოლიციის მიერ შეკრებილ მონაცემთა წინასწარი შემოწმებისას. ასეთი სხდომა, კორონერის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ჩატარდეს საჭირო მოწმეთა გამოძახებით და ასევე, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით (უფრო ხშირად, მათ მოიწვიენ პოლიციაში, ციხეში ან თავისუფლების აღკვეთის სხვა ადგილებში). პატიმრობაში მყოფი კონკრეტული პირის სიკვდილის გარემოებათა შემოწმებისას; ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა არ ფიქსირდება – პრაქტიკულად, შესაძლებელია 6-დან-20-მდე მსაჯულის გამოძახება). ნაფიც მსაჯულთა დასწრება ითვლება სიკვდილის მიზეზების შესახებ კორონერის დასკვნათა ობიექტურობის გარანტიად, ხოლო მათი ვერდიქტი – მხოლოდ სიკვდილის ფაქტის მტკიცებულებაა.

ასეთი განხილვის დაწყებისას ან მისი მსვლელობისას კანონი ფართო უფლებებს ანიჭებს კორონერს გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციის ორგანიზაციებისა და კერძო პირთაგან გამოთხოვისას. პოლიციის განყოფილებაში პატიმრობაში მყოფი პირის სიკვდილის გარემოებათა შემოწმების შემთხვევებისათვის დაწესებულია განსაკუთრებით მკაცრი წესები, რომლებიც ავალდებულებს განყოფილების ხელმძღვანელობას დაუბრკოლებლად წარუდგინოს კორონერს ყველა

დოკუმენტი და სხვა ინფორმაცია, რომელთაც კავშირი აქვთ მომხდართან (1999 წლის 28 აპრილის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულარი №20).

საკორონერო განხილვის შედეგების მიხედვით გამოიტანება გადაწყვეტილება, რომელშიც ჩამოყალიბებულია სიკვდილის მიზეზის შესახებ დასკვნა. ეს დოკუმენტი გადაეცემა გვირგვინის ბრალმძებელს, რომელიც გადაწყვეტს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ შემდგომ – გადაიგზავნოს მასალები სასამართლოში, დაევალოს პოლიციას რაიმე დამატებითი მოქმედებათა შესრულება თუ შეწყდეს საქმეზე წარმოება.

6. სასამართლოები, როგორც არაერთხელ აღინიშნა სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოებაში მონაწილე ძირითად სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენენ.

ვინაიდან, ინგლისის სასამართლოების საპროცესო მდგომარეობის შესახებ ბევრი რამ უკვე ითქვა წინა პარაგრაფებში და კიდევ იქნება საუბარი აღნიშნული თავის მომდევნო პარაგრაფებში, აქ მოყვანილია მხოლოდ მეტად არსებითი მონაცემები სისხლის სამართლის საქმეებზე სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებების მიღებაზე უწყლებამოსილი სასამართლოების შესახებ.

ასეთი სასამართლოების სისტემას ქმნიან:

- ლორდთა პალატის სასამართლო;
- სასამართლოები, რომლებიც ქმნიან უზენაეს სასამართლოს – სააპელაციო სასამართლო, მაღალი სასამართლო და გვირგვინის სასამართლო;
- მაგისტრატების სასამართლო.

ლორდთა პალატის სასამართლო – ეს არის ინგლისის სასამართლო სისტემის უმაღლესი ინსტანცია. მისი თავისებურება იმაში მდგომარობს, რომ იგი განსახიერებს ერთდროულად საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას. გარკვეულწილად, იგი შეიძლება აღიარებულ იქნას როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების განსახიერებაც, რამდენადაც მის თავმჯდომარედ ნომინალურად ითვლება ზემოხსენებული ლორდ-კანცლერი. იგი, როგორც პარლამენტის ზედა პალატის სპიკერი, მინისტრთა კაბინეტის წევრიცაა და ხელმძღვანელიც ლორდ-კანცლერის დეპარტამენტისა (წმინდა აღმასრულებელი ორგანოსი, რომელიც უმთავრესად სასამართლოთა საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ასრულებს). ამ მაღალჩინოსან თანამდებობის პირს, პრინციპში, შეუძლია თავის თავზე აიღოს თავმჯდომარეობა ლორდთა პალატის სასამართლოში რომელიმე კონკრეტული

სისხლის სამართლის (ან სამოქალაქო) საქმეზე ნებისმიერი აპელაციის განხილვისას, თუმცა ბოლო ათწლეულებია იგი ამითი რეალურად აღარ დაკავებულა მოუკლევლობის გამო, რაც განპირობებულია პარლამენტის პალატის სპიკერობის, მინისტრთა კაბინეტის წევრობისა და „თავისი“ დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობათა შესრულების აუცილებლობით.

სისხლის სამართლის საქმეებზე ეს მეტად თავისებური სასამართლო ინსტანციაა, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს აპელაციები სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილების, მაღალი სასამართლოს დედოფლის სკამის განყოფილების, ჩრდილოეთ ირლანდიის მაღალი სასამართლოსა და, ასევე, სამხედრო-სააპელაციო სასამართლოს (Courts-Martial Appeal Court) გადაწყვეტილებებზე. მისი შემადგენლობა განისაზღვრება იმ წესთა მიხედვით, რომლებიც შედეგია შესაბამისი ტრადიციებისა და დაწერილი და დაუწერიელი სამართლის ნორმათა მრავალსაუკუნოვანი ევოლუციისა (როგორც ინგლისელი იურისტები ირწმუნებიან, თანამედროვე ლორდთა პალატის სასამართლოს წინამორბედი ორგანოს ნიშნები ჯერ კიდევ XIII საუკუნის დოკუმენტებში შეინიშნება). ამ წესთა თანახმად, კონკრეტულ საქმეებზე აპელაციის განხილვა ოფიციალურად *სავალდებულოა* მხოლოდ იმ ლორდებისათვის, რომლებიც დანიშნულები არიან დედოფლის მიერ ე.წ. აპელაციის ორდინალური ლორდების სახით (Lords of Appeal in Ordinary)¹. 1993 წლის „სამსახურიდან დათხოვნისა და პენსიების შესახებ“ კანონის თანახმად, 70 წლის მიღწევისას ისინი კარგავენ თავიანთ სტატუსს აპელაციის ორდინალური ლორდებისა და გადადიან იმ ლორდთა თანრიგში, რომელთაც აპელაციის სხვა ლორდებს (Other Lords of Appeal)² უწოდებენ. ისინი ინარჩუნებენ უფლებას, მონაწილეობა მიიღონ სასამართლოს გადაწყვეტილებებზე (მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეებზე)³ აპელაციების განხილვისას.

1 ასეთ ლორდებს მოეთხოვებათ იურიდიული განათლება, ლორდთა პალატაში დანიშნამდე მუშაობის სტატი უმაღლეს სასამართლო ინსტანციებში (მაგალითად, არანაკლებ 2 წლის სტატი მაღალ სასამართლოში ან სააპელაციო სასამართლოში), გვირგვინის იურისტის თანამდებობაზე (იხ. ზემოთ) ან არანაკლებ 15 წლის სტატი ადვოკატად (ბარისტერად) მუშაობისა. მათი ასაკი დანიშვნისას 65 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

2 2000 წლის 6 ივნისის მდგომარეობით, აპელაციის ორდინალური ლორდების სტატუსი გააჩნდა ლორდთა პალატის 12 წევრს, ხოლო აპელაციის სხვა ლორდის სტატუსი - 15 წევრს.

3 75 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ აპელაციის ლორდები ხდებიან ჩვეულებრივი იურიდიული ლორდები (Law Lords), რომელთაც უნარჩუნდებათ უფლება - მონაწილეობა მიიღონ აპელაციებზე გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებათა განხილვისათვის მოწვეულ ქვეყნარს სხდომებში. 2000 წლის 6 ივნისისათვის მათი რიცხვი 15 კაცს შეადგენდა.

წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად (იმ საკითხის თაობაზე, მიიღონ თუ არა კონკრეტულ საქმეზე შემოსული აპელაცია განსახილველად)¹ იქმნება კოლეგია აპელაციის სამი ორდინალური ღორდის შემადგენლობით, ხოლო აპელაციების არსებითად განხილვისას – მასში დასმული საკითხების თაობაზე და საბოლოო გადაწყვეტილების პროექტების შემუშავებისას – აპელაციის ხუთი ორდინალური ღორდის შემადგენლობით (ხანდახან, საკითხთა სირთულიდან გამომდინარე, – 7)². კოლეგიის სხდომებს თავმჯდომარეობენ მათ შემადგენლობაში შესული ასაკით უფროსი (უხუცესი) ღორდები.

საბოლოო გადაწყვეტილებები იურიდიულ ძალას იძენს მას შემდეგ, რაც მათ მხარს დაუჭერს ყველა აპელაციის ორდინალურ ღორდთა პლენარულ სხდომაზე (sittings for judgements), რომელიც, წესისამებრ, კვირაში ერთხელ მოიწვევა (სხდომაში მონაწილეობის უფლება აქვთ სხვა იურიდიულ ღორდებსაც, მათ შორის 75 წელს გადაცილებულ ღორდებს). ასეთი სახის სხდომებში მონაწილე ღორდთა საერთო რიცხვს, მოწვეულ პირთა გამოკლებით, 2000 წლის მდგომარეობით, შესაძლებელი იყო 43-სთვის მიეღწია (42 იურიდიული ღორდი და ღორდ-კანცლერი). ასეთი სხდომები მიღებულია ჩაითვალოს, როგორც ღორდთა პალატის სრული სხდომები.

ამ სასამართლოში აპელაციების არსებითად განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა სისხლის სამართლის საპროცესო კანონებით ან სასამართლო პრეცედენტებით კი არ არის მოწესრიგებული, არამედ ღორდთა პალატის რეგლამენტით (კანონით განსაზღვრულია მხოლოდ პირობები, თუ როგორ მოხდება აპელაცია ღორდთა პალატის სასამართლოში განსახილველად), ასევე, პრაქტიკული მითითებებით, რომელსაც თვითონ ღორდთა პალატის სასამართლო ამტკიცებს თავისთვის (House of Lords Form of Appeal and Practice Directions Applicable to Criminal Appeals).

ღორდთა პალატის სასამართლოს შემადგენლობა, მასში მიღებული პროცედურები, მათი რეგლამენტაციის წესი და ზოგიერთი სხვა ფაქტორი საფუძველია ინგლისურ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებისა, რომ ამ სასამართლოს გადაწყვეტილებებს გან-

1 ბოლო ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ღორდთა პალატის სასამართლოსათვის მომართვების რიცხვი: თუ 50-იან წლებში ის წელიწადში საშუალოდ 26-ს შეადგენდა, 80-იან წლებში – 150-ზე მეტა.

2 ღორდთა პალატის სასამართლოს, რომელიც 5 (ან 7) აპელაციის ორდინალური ღორდის შემადგენლობით ატარებს სხდომებს, პარლამენტის ამ პალატის სააპელაციო კომიტეტს უწოდებენ (Appellate Committee of the House of Lords).

საკუთრებული იურიდიული მნიშვნელობა აქვთ. მათში გამოხატულია იმ ორგანოს ნება, რომელიც სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებათა სათავეშია მოქცეული. მათ შინაარსზე, გარკვეულწილად, აღმასრულებელი ხელისუფლებაც ახდენს გავლენას თავისი წარმომადგენლის მეშვეობით – ლორდ-კანცლერის სახით.

უზენაესი სასამართლო (Supreme Court of Judicature), რომელიც დაარსდა 1873 წლის „სასამართლო წყობილების შესახებ“ კანონის თანახმად, მიღებულია ეწოდოს ინგლისისა და უელსის ტერიტორიაზე მოქმედ სასამართლოთა ერთობლიობას, რომელთაც სრული იურისდიქცია გააჩნიათ სასამართლოს დაქვემდებარებულ ყველა საქმეზე (მათ შორის სისხლის სამართლის საქმეებზე). ამ სასამართლოს არ ჰყოლია და არც დღეს ჰყავს თავისი თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, თავისი სპეციალურად დანიშნული (არჩეული) მოსამართლეები, თავისი დამხმარე აპარატი, არ ჰქონია და არ აქვს შენობა და აბრაც კი. ეს უბრალოდ კრებსითი, განზოგადებული ცნებაა. დღეისათვის იგი მოიცავს შემოხსენებულ სააპელაციო სასამართლოს, მაღალ სასამართლოსა და გვირგვინის სასამართლოს. როგორც ზოგიერთი ინგლისური წყარო ირწმუნება, ასეთი თავისებური სტრუქტურა საჭირო იყო იმისათვის, რომ დაძლეული ყოფილიყო ინგლისის სასამართლოთა განცალკევებულობა და მრავალსახეობა, ხაზი გასმოდა სასამართლო სისიტემის ერთიანობასა და მის დამორჩილებას ცენტრისადმი.

სააპელაციო სასამართლო (Court of Appeal) ინგლისის სასამართლოთა იერარქიაში ლორდთა პალატის სასამართლოს ერთი საფეხურით ქვეით დგას. მისი მოსამართლეები (ex officio) არიან ლორდ-კანცლერი, ლორდი-მთავარი მოსამართლე (Lord Chief Justice), მაღალი სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე, სასამართლო არქივთა მთავარი არქივარიუსი (Master of the Rolls) და მონარქების მიერ დანიშნული ამ სასამართლოს 14 წევრი, რომელთაც აპელაციის ლორდებს უწოდებენ (Lord Justice of Appeal). ამ სასამართლოს ძირითადი სასამართლო დანაყოფებია: სამოქალაქო საქმეთა განყოფილება, რომელსაც სასამართლო არქივთა მთავარი არქივარიუსი თავმჯდომარეობს (Civil Division); სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილება, რომელსაც ლორდი-მთავარი მოსამართლე თავმჯდომარეობს (Criminal Division). სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილებაში აპელაციის შესამოწმებლად მიიწვევიან მაღალი სასამართლოს მეტად კვალიფიციური მოსამართლეები. ბოლო წლებში სააპელაციო სასამართლო წარმოებაში იღებს და არსებითად განიხილავს საშუალოდ 10 000 აპელაციას საბრაოდებო აქტის

პროცედურის დაკვით განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე (ამ პროცედურის შესახებ იხ. ქვემოთ - §6, §7).

სააპელაციო სასამართლოს დადგენილება, როგორც წესი, საბოლოოა, თუ ღორდთა პალატის სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას მისი გაუქმების შესახებ.

მაღალი სასამართლო (High Court of Justice) პირველი და მეორე ინსტანციით განიხილავს, ძირითადად, სამოქალაქო საქმეებს, რომლებიც მომეტებული სირთულით გამოირჩევა. მხოლოდ კანონში საგანგებოდ აღნიშნულ პირობათა არსებობისას მას უფლება აქვს თავის წარმოებაში მიიღოს აპელაციები გვირგვინის სასამართლოსა და ზოგჯერ მაგისტრატების სასამართლოს მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე. იგი შედგება დედოფლის მიერ დანიშნულ 80 ე.წ. მუდმივი მოსამართლისაგან, რომელთაც სასამართლო საქმიანობის მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ და აღიარებულნი არიან, როგორც ინგლისური სამართლის დიდი მცოდნენი, ასევე, სასამართლო უწყების რამდენიმე მაღალჩინოსანი თანამდებობის პირისაგან (ლორდ-კანცლერი, ლორდი-მთავარი მოსამართლე, სასამართლო არქივთა მთავარი არქივარიუსი), რომლებიც *ex officio* შედიან ამ სასამართლოს შემადგენლობაში. დღეისათვის უმაღლეს სასამართლოში სამი სასამართლო დანაყოფი მოქმედებს: საკანცლერო განყოფილება, რომელსაც ლორდ-კანცლერი თავმჯდომარეობს (Chancery Division); საოჯახო საქმეთა განყოფილება, რომლის თავმჯდომარეც საგანგებოდ ინიშნება (Family Division); დედოფლის სკამის განყოფილება, რომელსაც ლორდი-მთავარი მოსამართლე თავმჯდომარეობს (Queen's Bench Division). ეს უკანასკნელი განიხილავს, სწორედ, აპელაციებს სისხლის სამართლის სამქეებზე.

მაღალი სასამართლოს მოსამართლეთა (ძირითადად, დედოფლის სკამის განყოფილების მოსამართლეების) ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს გვირგვინის სასამართლოს დასწრებათა საქმიანობაში უშუალო მონაწილეობა. ლორდ-კანცლერისა და ლორდი-მთავარი მოსამართლის განკარგულებით ხდება მათი დელეგირება გვირგვინის სასამართლოში განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა კონკრეტული საქმეების განხილვისას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ამას გარდა, ლორდ-კანცლერი უფლებამოსილია მაღალი სასამართლოს მოსამართლეთაგან დანიშნოს ე.წ. თავმჯდომარე-მოსამართლეები გვირგვინის სასამართლოს სასამართლო ოლქებში (თითოეულში - 2 თავმჯდომარე-მოსამართლე ლორდ-კანცლერის მიერ შექმნილი 6 ასეთი ოლქიდან). მათ აკისრიათ წმინდა ორგანიზაციული მოვალეობები კონკრეტული

ოლქის ფარგლებში მოქმედი, გვირგვინის სასამართლოს ყველა ადგილობრივ დასწრებათა ეფექტური საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

გვირგვინის სასამართლო (Crown Court) – ეს არის ინგლისისა და უელსის ტერიტორიაზე მოქმედ სასამართლოთა სისტემა, რომელთა მთავარ ამოცანასაც შეადგენს საბრალდებო აქტის პროცედურის დაცვით სისხლის სამართლის საქმეთა პირველი ინსტანციით განხილვა. განსაზღვრული პირობების არსებობისას მათ შეუძლიათ შეამოწმონ მაგისტრატების სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები (გვირგვინის სასამართლოს წარმომადგენლობები ყოველწლიურად, დაახლოებით, 20 000 აპელაციას განიხილავენ ასეთ გადაწყვეტილებებზე) ან შეუფარდონ სასჯელის ზომა ამ სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ პირებს.¹

გვირგვინის სასამართლოს სისტემაში შემავალ სასამართლოთა დისლოკაცია და იურიდიქცია (კომპეტენციის ფარგლები) დგინდება ლორდ-კანცლერისა და (ან) ლორდი-მთავარი მოსამართლის აქტებით. ამ სახის აქტების საფუძველზე ინგლისისა და უელსის ტერიტორია 6 სასამართლო ოლქად იყოფა, რომელთა ცენტრებიც შემდეგ ქალაქებშია განთავსებული: ლონდონი, კარდიფი, ბრისტოლი, ბირმინგემი, ლიდსი და მანჩესტერი. თითოეული ოლქის ფარგლებში კონკრეტული საქმეები განიხილება ადგილობრივი დასწრებების მიერ (სულ ინგლისსა და უელსში, დაახლოებით, 90 ასეთი დასწრება მოქმედებს სხვადასხვა კომპეტენციებით), რომლებიც დაფუძნებულია 1970 წლის „მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ კანონით, 1971 წლის „სასამართლოთა შესახებ“ კანონით და 1971 წლის პრაქტიკული მითითებებით, რომელსაც ლორდი-მთავარი მოსამართლე აწერს ხელს ლორდ-კანცლერთან შეთანხმებით.

სისხლის სამართლის საქმის სირთულის მიხედვით ეს დასწრებები დაყოფილია 3 დონედ:

პირველი დონის დასწრებებში, როგორც წესი, მაღალი სასამართლოდან დელეგირებული გამოცდილი მოსამართლეების თავმჯდომარეობით განიხილება საქმეები განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა შესახებ;

მორე დონის დასწრებებში – საშიშ დანაშაულთა საქმეები, მაღალი სასამართლოს მოსამართლეთა, ან მაღალკვალიფიციური ოლქის

¹ 1999 წელს გვირგვინის სასამართლოს დასწრებებმა არსებითად განიხილეს 73 539 სისხლის სამართლის საქმე, მაგისტრატების სასამართლოს წარდგინებით სასჯელი დანიშნეს 30 641 საქმეზე, მაგისტრატების სასამართლოების გადაწყვეტილებებზე აპელაციები განიხილეს 15 381 საქმეზე (იხ.: Judicial Statistics. 1999. P. 64).

მოსამართლეების თავმჯდომარეობით (Circuit Judges)¹;

მესამე დონის დასწრებებში— ყველა სხვა დანაშაულთა საქმეები (ისინი გვირგვინის სასამართლოს დაქვემდებარებულ საქმეთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას შეადგენენ), ოლქის მოსამართლეთა ან რეკორდერების თავმჯდომარეობით (Recorders)².

გვირგვინის სასამართლო იმითაც გამოირჩევა, რომ მის დასწრებებში შესასძლებელია პირველი ინსტანციით სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით წარიმართოს (სხვაგვარად — ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ³ განიხილოს).

შუა საუკუნეების ადრეული პერიოდის ინგლისის სამართლიანად ითვლება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამშობლოდ. ზუსტი თარიღი, თუ როდის იქნა პირველად მოწვეული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, უცნობია. თანამედროვე ინგლისურენოვან ლიტერატურულ წყაროებში, უფრო ხშირად, გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი ჩაისახა ან შემოტანილ იქნა ნორმანდიული დაპყრობის შემდეგ 1066 წელს. არსებობს სხვა ვერსიაც: თითქოს, მისი ფორმირება, ცხოვრების ინგლისური წყობის ზემოქმედებით, ფაქტიურად ჯერ კიდევ IX საუკუნეში დაიწყო, მთელი დიდის მმართველობის დროს.⁴ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს (ზოგადად) მსგავსი სასამართლოს არსებობის ფაქტის პირველ ოფიციალურ დადასტურებას ინგლისელი მეფის ჰენრი II-ის ორდონანსები წარმოადგენს. ერთ-ერთ მათგანში (1166წ.) გათვალისწინებული იყო მოციქულთაგან თორმეტ-თორმეტი კაცის არჩევა მსხვილი დასახლებული პუნქტის თითოეული ასეული მოსახლისაგან და ოთხ-ოთხი კაცისა — მცირე სოფლებიდან. ასეთმა თავისებურმა კოლეგიებმა მაშინ

1 ინიშნებიან როგორც გვირგვინის სასამართლოს დასწრებათა მუდმივი (სამტატო) მოსამართლეები იმ პირთაგან, რომელთაც ორიდელი განათლება და ბარისტერად მუშაობის სულ მცირე 10-წლიანი გამოცდილება აქვთ, ანდა როგორც ეს 1990 წლის „სასამართლოებისა და სამართლებრივი მომსახურების შესახებ“ კანონით არის გათვალისწინებული, მუშაობის სტატი ბარისტერთან გათანაბრებულ სხვა ოქრისტად (სოლისტორი, გვირგვინის ბრალდებული და სხვა). დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას, ფაქტობრივად, ლორდ-კანცლერი იღებს და შემდგომ ამტკიცებს დედოფალი. ასეთი მოსამართლეთა რიცხვი სულ 350 შეადგენს.

2 ახე მიღებულია ეწოდოთ პირებს, რომლებიც დროებით საუბეველზე მოიწვევიან (წელიწადში დღეთა განსაზღვრული რაოდენობა) გვირგვინის სასამართლოს დასწრებებში მოსამართლეთა ფუნქციების შესასრულებლად. ისინი იმავე წესით ინიშნებიან, როგორც ოლქის მოსამართლეები. მათი რიცხვი სულ 450 ითვლის.

3 ასეთი სასამართლოს კლასიკურ ფორმას და მისი ევოლუციის ტენდენციებზე იხ. პირველი თავი, §5 და მეორეული თავი, §7.

4 იხ., მაგალითად, პრეტანულ ჟიკიკლოპედიაში ნაფიც მსაჯულთა შესახებ სტატია ჩიკაგოელი პროფესორებისა, J. კალვინის (H. Kalven) და J. ციესლის (H. Ziescl) — ცნობილი ამერიკელი სოციოლისტებისა, რომლებსაც თავიანთი ცხოვრების მრავალი წელი მიუძღვნეს ამ სასამართლოს დრმა გამოკვლევას აშშ-სა და ინგლისში.

თავისი სახელწოდება -- ჟიური (jury) -- შეიძინა. სწორედ ისინი ითვლებიან იმის ჩანასახად, რასაც დღეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვუწოდებთ.¹ მათ ევალბოდათ ფიცის ქვეშ ეცნობებინათ გვირგვინის მოსამართლეებისათვის, რომლებიც დროდადრო ჩადიოდნენ დასახლებულ პუნქტებში, იქ ჩადენილი მეტად უფრო სერიოზული დანაშაულების შესახებ, ასევე, „ნებისმიერი პირების შესახებ, რომელთაც ბრალი ედებოდათ ან ამჟამად ეჭვმიტანილი იყვნენ ყაჩაღობაში, წინასწარი განზრახვით მკვლელობაში, ან ქურდობაში“. ასეთ პირებს წყლის მეშვეობით „საღმრთო სასამართლოს“ (ორდალიებს) გადასცემდნენ. თუ ისინი მიჩნეულნი იქნებოდნენ ბრალეულებად, მათ მოკვდიდნენ ცალ ფეხს, ხოლო, ქონება და საქონელი ჩამოერთმეოდათ კონფისკაციის სახით და გადაიციებოდა მეფის სასარგებლოდ. პირებს, რომლებსაც გაამართლებდნენ, მაგრამ მიიჩნევდნენ როგორც ცუდი რეპუტაციის მქონე პირებს, გააძევებდნენ ქვეყნის ფარგლებგარეთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ, ვისაც დღეს „ფაქტის მოსამართლეებს“ უწოდებენ (ჟიურის წევრები, ნაფიცი მსაჯულები ან უბრალოდ მსაჯულები), ეკისრებოდათ არა მარტო მოსამართლის ფუნქციები, რომელიც ბრალეულობის საკითხს წყვეტდა, ასევე, ეკისრებოდათ ინფორმატორობა (ამბის მიტანა), მოწმედ ყოფნა და, გარკვეულწილად, ბრალდება. მას შემდეგ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხანდახან „მეზობლების სასამართლოს“ უწოდებენ, ვინაიდან მასში მოსამართლეებად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე პირები, რომლებიც გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ბრალდებულებთან და გადაწყვეტილებას იღებდნენ ფაქტისა და განსასჯელი პიროვნების შესახებ მონაცემთა უშუალოდ ცოდნაზე დაყრდნობით.

ნაფიც მსაჯულთა ბრალდებითი ფუნქციის სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვის ფუნქციისაგან გამოყოფა მხოლოდ 1194

1 ინგლისურ ენაში არ არსებობს ადეკვატური ტერმინი რუსული ტერმინებისა „присяжный“. „присяжный заседатель“ „суд присяжных“ (ქართულად ნიშნავს: „ნაფიცი მსაჯული“, „ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო“ - ი.ბ.). როგორც ინგლისურა ჩნის ცველავ ავტორიტეტულ გამმარტებთ ლექსიკონებშია (ოქსფორდის ენციკლოპედიური ლექსიკონი და ებსტერის ლექსიკონი) გათვლილიწინებული, არაბრაფეისონალურა, რ.ა.ოთაც სასამართლოში დაეღებულე აქტო მიიღონ გადაწყვეტილეს განსასჯელის ბრალეულობის ან არაბრალეულობის თაბახე, ეწოდებათ „jury“, „juries“, „juror“, „jurymen“, „jurymen“, რაც რუსულად სიტყვისიტყვით თარგმნისას ნიშნავს „жюри“, „члены (участники) жюри“, „член жюри (мужчина)“, „член жюри (женщина)“ (ქართულად, შესაბამისად, - „ჟიური“, „ჟურის წევრები“, „ჟურის წევრი (კაცი)“, „ჟურის წევრი (ქალი)“ - ი.ბ.). რაც შეეხება რუსულ ტერმინს „суд присяжных“ (ქართულად: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ - ი.ბ.), არც მას აქვს აბსოლუტურად შესატყვისი ინგლისური ექვივალენტი. შესაძლებელია ვისაუბროთ მხოლოდ მსგავს ტერმინებზე - „trial by jury“, ან „jury trial“ („სასამართლო განხილვა ჟიურის მეშვეობით“).

წელს შედგა. ორგანიზაციულად ეს გამოიხატა მსაჯულთა ჟიურის ორ სახეობაზე გადასვლით – დიდი ჟიური, რომელიც იწონებდა ან უარყოფდა კონკრეტული პირისადმი წაყენებულ ბრალდებას და მცირე ჟიური, რომელთაც ევალებოდათ მისი ბრალეულობისა თუ არაბრალეულობის შესახებ საკითხის გადაწყვეტა.

XV საუკუნის დასაწყისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები განთავისუფლდნენ „სიღმრთო სასამართლოს“ ელემენტებისაგან, რომლის მიხედვითაც, პირის ბრალეულობის თუ არაბრალეულობის საკითხი გადაწყდებოდა არა მტკიცებულებებზე დაყრდნობით, არამედ იმაზე, თუ რამდენად შესწევდა ძალა განსასჯელს გაეძლო სხვადასხვა სახის წამებისათვის ან რამდენად დამაჯერებლად დადებდა ფიცს. ხანგრძლივი დროის მანძილზე ნაფიცი მსაჯულები, რომელთა ვერდიქტსაც არ ეთანხმებოდნენ გვირგვინის მოსამართლეები, ისჯებოდნენ, ხშირად, საკმაოდ მკაცრად (გამათრახებით, მოგვიანებით, XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე – ჯარიმით).

XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყის პერიოდში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა შედარებით საშიშ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ თანამედროვე სასამართლოს. ასეთი სახით გაერცვლა იგი ბრიტანეთის იმპერიის თითქმის ყველა კოლონიაში, ხოლო XIX საუკუნის პირველ ნახევარში – კონტინენტური ევროპის უმრავლეს ქვეყანაშიც (უფრო ვრცლად ამის თაობაზე იხ. თავი პირველი, §5). აღსანიშნავია, რომ ინგლისში ამითი მისი ევოლუცია არ დასრულებულა. კერძოდ, ამან გამოვლინება ჰპოვა იმაში, რომ 1933 წელს მთლიანად გაუქმდა ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიური, რომელიც ბრალდების ხელისუფლებათა წარდგენის საფუძველზე წყვეტდა პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის დასაშვებობისა და სამართალში მიცემის საკითხს. 1974 წლის „ნაფიც მსაჯულთა შესახებ“ კანონმა (Juries Act) კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ნაფიც მსაჯულებს, გარკვეულ შემთხვევებში, შეუძლიათ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანა არა ერთხმად, არამედ ხმათა უმრავლესობით. 1988 წლის „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ კანონმა (Criminal Justice Act) მთლიანად ჩამოართვა განსასჯელს (ან მის დამცველს) შესაძლებლობა მოტივაციის გარეშე ნაფიცი მსაჯულის მიმართ აცილების განცხადებისა. დაისახა გადახვევა მრავალსაუკუნოვანი მოთხოვნისაგან ჟიურის კლასიკური შემადგენლობის შესახებ 12 ნაფიცი მსაჯულის ოდენობით – საკანონმდებლო წესითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით აღიარებულია, რომ ჟიური

შეიძლება შედგებოდეს 12-ზე ნაკლები წევრისაგან.¹

შეღვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სასამართლოს მოწვევის პირობათა წესების თანდათანობითი ლიბერალიზაცია. ეს გამოვლინდა იმ დანაშაულთა წრის მნიშვნელოვნად გაფართოებაში, რომელთა საქმეებიც, განსასჯელის სურვილის გათვალისწინებით ანდა სხვა პირობათა გამო, შესაძლებელია განხილული იყოს გამარტივებული (სუმარული) წესით ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე (ასეთ დანაშაულებს მიღებულია ეწოდოს „ალტერნატიული“ ან „პიბრიდული“ – იხ. ქვემოთ, იოცემულ თავში). დღეისათვის შეიძლება ვისაუბროთ ნაფიც მსაჯულთა მიერ ფაქტობრივად განსახილველ საქმეთა ზვედრითი წილის არსებითი შეკვეცის მყარი ტენდენციის შესახებ, იმ სისხლის სამართლის საქმეთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში, რომლებიც, კანონის მიხედვით, შესაძლებელია მათი მონაწილეობით იყოს განხილული. კერძოდ, 1998 წელს მან 5%-ზე ნაკლები შეადგინა.²

ასეთი ტენდენცია, გარკვეულწილად, ე.წ. „ალტერნატიული“ („პიბრიდული“) დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ პირთა მასიური უარის შედეგია, რომ მათი საქმე გვირგვინის სასამართლოს გადაეცეს და, შესაბამისად, განიხილოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მთელი რიგი ფაქტორები, კერძოდ, სასამართლო ხარჯებში გათვალისწინებული, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ორგანიზების ხარჯების მუდმივი ზრდა: განსასჯელის ბრალეულად ცნობის შემთხვევაში გამორიცხული არ არის, რომ ამ სახის ხარჯების გადახდევინება მას დაეკისროს და ეს გარემოება, ბუნებრივია, არ შეიძლება არ აიძულებდეს მას უარი განაცხადოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე. უნუგეშოა, ასევე, ნაფიც მსაჯულთა მრავალრიცხოვანი მცდარი ვერდიქტების ფართოდ ცნობილი მონაცემები, მათ შორის გამამტყუნებელი ვერდიქტებისა (იხვე, როგორც აშშ-ში (იხ. თავი მე-3, §7) ისინი ვერდიქტთა საერთო რაოდენობის 20-30% შეადგენენ).³

1 თორის 12 წევრის წესი არ ვრცელდება შოტლანდიაზე. იქ უკვე დღი ხანია არსებობს მოთხოვნა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ნაფიც მსაჯულთა კოლეგია, როგორც წესი, 15 წევრს შეადგენდეს, რომელთაც უწევს აქედან გამოიტანონ გამამტყუნებელი ვერდიქტი ხმათა უბრალო უმრავლესობით.

2 ზვედრითი წილი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ფაქტობრივად განსახილველი საქმეებისა, სისხლის სამართლის საქმეთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში, გაკილეებით დაბალია: 1998 წელს ინგლისის სასამართლოებმა განიხილეს დაახლოებით 2 მილიონი სისხლის სამართლის საქმე; მათგან მხოლოდ 27 176 – ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, ე.ი. დაახლოებით 1,36%.

3 იხ. მაგალითად: *Baldwin J. and McConville M. Trial by jury: Some empirical evidence on contested criminal cases in England* // *Law and Society Review*. 1979. Vol. 13. P. 861-890.

მაგისტრატების სასამართლოები (Magistrates' Courts) ქმნიან ინგლისის სასამართლო სისტემის რგოლს, რომელსაც სავსებით შეიძლება ეწოდოს ძირითადი რგოლი. სწორედ ამ სასამართლოებში არსებითად განიხილება საქმეთა 95-98%, რომლებიც, ინგლისური კანონების მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეთა რიცხვს მიეკუთვნება¹ და სამოქალაქო საქმეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა (ძირითადად, საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეები).

სისხლის სამართლის საქმეთაგან, მათ დაქვემდებარებაშია გამარტივებული წესით არსებითად განსახილველი საქმეები „სუმარულ დანაშაულებზე“ (summary offences), ე.ი. დანაშაულებზე, რომლებიც ამ კატეგორიას კანონის სპეციალური დანაწესის გამო განეკუთვნება. როგორც წესი, ეს არის ქმედებანი, რომლის გამოც სასჯელი შეიძლება განისაზღვროს არა იმაზე მკაცრი, ვიდრე საზოგადოებრივი სამუშაოები განსაზღვრული ვადით, პირობითი მსჯავრი ზედამხედველობის დაწესებით, ჯარიმა 5 000 ფუნტი სტერლინგის ოდენობით ან თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე ვადით. ისინი არსებითად განიხილვენ საქმეებს „ალტერნატიულ“ დანაშაულებზე (either-way offences), რომელთა გამოც გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მკაცრი ზომები და დაიშვება სამართალწარმოების წესის განსახილველის მიერ არჩევის შესაძლებლობა – გამარტივებული (სუმარული) ან საბრალდებო აქტით (სასამართლო განხილვაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის შესაძლებლობით).² სისხლის სამართალწარმოების სფეროში მათ ეკისრებათ გადაწყვეტილების მიღება რიგ საკითხებზე, რომლებიც საქმის სასამართლოში წარმართვამდე წარმოიშობა, კერძოდ: ეჭვმიტანილთა დაპატიმრების, მათი გირათი განთავისუფლების ან აღკვეთის სხვა ღონისძიების გამოყენებისა და ჩხრეკის წარმოების შესახებ. გვირგვინის სასამართლოს დაქვემდებარებულ საქმეებზე ისინი წინასწარ ამოწმებენ ამ სასამართლოში საქმის არსებითად განსახილველად გადაცე-

¹ მათ რიცხვს მიეკუთვნება, ასევე, საქმეები სამართალდარღვევებზე, რომლებიც, რუსული საზომის მიხედვით, მიღებულია, მიეკუთვნოთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს. მიუხაზომად, მაგისტრატების სასამართლოები ყოველწლიურად არსებითად გადაწყვეტენ 2 მილიონ საქმეს (ითქმის ნახევარს ამ საქმეთაგან შეადგენენ ზღომილებები, რომლებიც უკავშირდება მოძრაობის ან ავტომობილის გაჩერების წესების დარღვევას, მათ არაუხიზელ მდგომარეობაში მართვას). გვირგვინის სასამართლოს დასწრეებით განიხილვენ გაცილებით ნაკლებ საქმეებს, მაგრამ ეს საქმეები უფრო საშიშ დანაშაულებს შეეხება. მაგალითისათვის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1999 წლისათვის მათ არსებითად განიხილეს 73 539 საქმე.

² ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეები შეადგენენ ერთ მეოთხედს (წელიწადში 500 000-ზე მეტი) მაგისტრატების სასამართლოების მიერ განსახილველ საქმეთა საერთო რაოდენობისა.

მის ფაქტობრივი საფუძვლის არსებობას, პოლიციის ანდა გვირგვინის ბრალმდებლების მიერ შეკრებილ მონაცემებს აფორმებენ სასამართლო მტკიცებულებათა სახით, გადაწყვეტენ სასამართლო განსჯადობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს (მაგალითად, ე.წ. ალტერნატიულ დანაშაულთა საქმეებზე) და ასე შემდეგ. მათ ენიჭებათ უფლება მიიღონ გადაწყვეტილება საქმის გვირგვინის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ სასჯელის უფრო მკაცრი ზომის განსასაზღვრად, ვიდრე ჯარიმა 5 000 ფუნტი სტერლინგის ოდენობით ან თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე ვადით. მაგისტრატები მოსამართლეები შესაძლოა მონაწილეობდნენ გვირგვინის სასამართლოში¹ მაგისტრატების სასამართლოთა შუამდგომლობების განხილვისას სასჯელის უფრო მკაცრი ზომის შეფარდების თაობაზე, ვიდრე ჯარიმა 5 000 ფუნტი სტერლინგის ოდენობით ან თავისუფლების აღკვეთით 6 თვემდე ვადით; მაგისტრატების განაჩენების თაობაზე აპელაციების განხილვისას. ითვლება, რომ ამ დებულების დაცვა შესაძლებლობას იძლევა გათვალისწინებულ იქნას ქვემდგომი სასამართლოს მოსამართლეთა აზრი და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს „სამოსამართლო ხელოვნების“ შესასწავლად მაგისტრატებისათვის – პირებისათვის, რომელთაც, უმრავლეს შემთხვევაში, არ გააჩნიათ იურიდიული მომზადება (მაგისტრატების სასამართლოთა შესახებ უფრო ვრცლად იხ. მოცემული თავი, §5–8).

ამ დონის სასამართლოთა ძირითად მოქმედ პირებს მაგისტრატები წარმოადგენენ – მოსამართლეები, რომლებიც კანონისა და დიდი ხნის ტრადიციების ძალით მომრიგებელ მოსამართლეთა თანრიგს მიეკუთვნებიან (Justices of the Peace)². თანამედროვე კანონმდებლობა ამ მოსამართლეებს მკაფიოდ ყოფს ორ სახედ: მაგისტრატები, რომლებიც სამოსამართლო მოვალეობებს შემთხვევიდან შემთხვევამდე განახორციელებენ უსასყიდლოდ (Unpaid Magistrates), ასე ვთქვათ, საზოგადოებრივ საწყისებზე³; მუდმივად მოქმედი მაგისტრატები, რომლებიც

1 1981 წლის „უხენახტი სასამართლოს შესახებ“ კანონის 74-ე (1-ლი) მუხლის თანახმად, აღნიშნულ შემთხვევებში, გვირგვინის მოსამართლესთან ერთად შესაძლებელია სხვაში მონაწილეობდნენ „არანაკლებ 2-დან და არაუმეტეს 4-მდე მომრიგებელი მოსამართლე“ (მაგისტრატები).

2 მაგისტრატების წინამორბედებად ითვლება 1195 წლის მეფე რიჩარდ I-ის მიერ დანიშნული რამდენიმე რაინდი, რომელთაც ეკლესიოდან „თავიანთ ადგილებზე“ (in their arca) ქვეშევრდომთა მხრიდან სამართლის დანაწესთა და „მეუღის სიმშვიდის“ დაცვის უზრუნველყოფა თავდაპირველად მათ „მშვიდობის მკეცლებს“ უწოდებდნენ (Keepers of the Peace), ხოლო 1361 წლიდან (მეფე ედვარდ III-ის მმართველობის ხანა) მათ მომრიგებელი მოსამართლეები უწოდებდნენ. ოდნავ მოგვიანებით (1382წ.) მათ დაეკისრათ განახორციელონ არა მხოლოდ წინასწარი მოსმენა სისხლის სამართლის საქმეებზე, მისცენ თანხმობა დასატიორებაზე და ასე შემდეგ. არამედ დაადგინონ გამაჩნეთ იმ დანაშაულთა საქმეებზე, რამდენებიც იდით სამომავლოდ არ გამოჩნდებოდა.

3 კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ იმ ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც მაგისტრატების

რეგულარულად იღებენ შრომის ანაზღაურებას, ამასთან, სოლიდურს' (Stipendiary Magistrates), რომლებსაც ხშირად ინგლისურ იურიდიულ ლტერატურაში და ოფიციალურ დოკუმენტებში „სტიპენდიარებს“ (stipendiaries) უწოდებენ.

1979 წლის „მომრიგებელი მოსამართლეების შესახებ“ კანონის თანახმად, პირველი ეგუფის მაგისტრატები ინიშნებიან ლორდ-კანცლერის მიერ დედოფლის სახელით და სხვადასხვა სახის ადგილობრივ კომისიათა აზრის გათვალისწინებით. მათ ნიშნავენ 27-65 წლის ასაკის ინგლისის მოქალაქეთაგან, რომელთაც შეუღლები რეპუტაცია აქვთ და ცხოვრობენ შესაბამისი სასამართლოს ადგილმდებარეობის ტერიტორიაზე, ამასთან, იურიდიული განათლება *საეკლესიო არ არის*. ასეთი მაგისტრატების საერთო რაოდენობა, ბოლო წლების მანძილზე, სტაბილურად შეადგენს დაახლოებით 30 000 კაცს. ისინი პერიოდულად უნდა გამოცხადდნენ თავიანთი დასახლებული პუნქტის (ოლქის, საგრაფოს, მუნიციპალიტეტის) სასამართლოში და მონაწილეობა მიიღონ კონკრეტული სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვაში. დღეისათვის ლორდ-კანცლერი მოითხოვს, რომ ყოველმა მაგისტრატმა ყოველწლიურად აიღოს თავის თავზე სამოსამართლო მოვალეობების შესრულება სულ ცოტა 26 სამუშაო დღის განმავლობაში დღეში 4 საათის ხანგრძლივობით (თუმცა მზად უნდა იყვნენ, რომ შესაძლოა მოუწიონ „თუ ამის აუცილებლობა იჩნება, სხდომაში მონაწილეობა სრული სამუშაო დღის მანძილზე“). ამ მოთხოვნის შეუსრულებლობას შესაძლოა მოჰყვეს მაგისტრატების სიიდან მისი ამორიცხვა.

მაგისტრატების სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა არსებითი განხილვა უნდა განხორციელდეს არა ნაკლებ 3 მაგისტრატის მეშვეობით.³

ტრატმა მოსამართლემ შესაძლოა გაწიოს სამოსამართლო მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული (ტრანსპორტი, სასტუმროში ცხოვრება და ასე შემდეგ).

1 მათი ხელუფალი 4-ჯერ აღემატება ინგლისელის საშუალო ხელუფალს.

2 ლორდ-კანცლერის დესკრატმენტი რეკომენდაციას იძლევა, რომ მაგისტრატებისა და მაგისტრატების თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატების შერჩევისას სახელმძღვანელო ორიენტაციები იყოს: „მაგისტრატებს აუცილებლად დადებითი დახასიათება და შეუღლები რეპუტაცია (personal integrity) უნდა გააჩლი; მათ უნდა აქონდეთ ჯანსაღი გონება, უნდა აწონ-დაწონონ მტკიცებულებანი და მიიღონ გონიერი გადაწყვეტილება. მაგისტრატებს უნდა ცხოვრობდნენ ან მუშაობდნენ მოცულობით და მდიდარად იცნობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ესმოდეთ მათი პირობები. მათ გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებლად უნდა გაარდნენ სიმტკიცე, მაგრამ თანაგრძნობაც შეეძლიათ და კოლექტიურად მუშაობაც (as a member of team)“.

3 კანონი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა სამართალდარღვევათა საქმეების (ანდა, ოჯახურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ საქმეებს) განხილვისას სასამართლო შედგეს ორი ან ნაკლებ

კომპენსირება, რომ მათ არ გააჩნიათ იურიდიული განათლება, ხდება იმის ხარჯზე, რომ ინგლისის ყველა დონის სასამართლოში განსაკუთრებულ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი შედარებით მაღალი ხელფასის მქონე საშტატო თანამდებობის პირები, რომელთაც *სასამართლო კლერკებს* უწოდებენ (Court Clerks). ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტები არიან. მაგისტრატების სასამართლოში მათ, ძირითადად, ორი ფუნქცია აკისრიათ: ერთი მხრივ, მთელი დოკუმენტაციის წარმოება, მათ შორის მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმება და სხვა დამხმარე მოქმედებათა შესრულება, რაც სამართლის დარგში განსწავლულობას მოითხოვს; მეორე მხრივ, მაგისტრატებისათვის კონსულტაციის გაწევა სამართლებრივ საკითხებში, რაც კონკრეტულ საქმეთა განხილვას უკავშირდება (გადაწყვეტილების მიღებისას მაგისტრატებს უფლება აქვთ მოიწვიონ კლერკი სათათბირო ოთახში მისგან განმარტებების მისაღებად; მათ, ასევე, უფლება აქვთ წინადადება მისცენ კლერკს ასეთი სახის განმარტება გააკეთოს საქვეყნოდ ღია სასამართლო სხდომაზე, რათა „ყველას შეეძლოს გაიგოს და მოისმინოს, თუ რა ხდება“).

მეორე ჯგუფის მაგისტრატები (*სტიპენდიარები*) ინგლისში XVIII საუკუნის 80-იან წლებში გამოჩნდნენ. 1997 წლის „მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ“ კანონის მე-11 და მე-16 მუხლების თანახმად, ისინი ლორდ-კანცლერის წარდგინებით დედოფლის მიერ ინიშნებიან იმ პირობებში, რომელთაც არა მარტო შესაფერისი რეპუტაცია, არამედ ასევე, იურიდიული განათლება და ბარისტერად ან მასთან გათანაბრებულ იურისტად მუშაობის სულ მცირე 7 წლის გამოცდილება გააჩნიათ. ასეთი მაგისტრატები გაცილებით ცოტანი არიან, ვიდრე პირველი ჯგუფის მაგისტრატები – დაახლოებით 90¹ (1997 წლის „მომრიგებელი მოსამართლეთა შესახებ“ კანონის თანახმად, მათი რიცხვი 110 უნდა შეადგენდეს), რომელთაგან უმრავლესობა ლონდონში² საქმიანობს,

2 მაგისტრატისაგან – ერთი მამაკაცი და მეორე ქალი. ასეთი სახის სასამართლოები, შესაბამისად, იწოდება არასრულწლოვანთა საქმეებისა (Youth Court) და საოჯახო საქმეთა სასამართლოებად (Family Proceedings Court).

1 ლორდ-კანცლერის დეპარტამენტის მონაცემებით, სტიპენდიარები გაცილებით იშვიათად მუშაობენ, ვიდრე საზოგადოებრივ საწესიებზე მომუშავე მაგისტრატები. მაგალითისათვის, თითოეული ლონდონელი სტიპენდიარი ასწრებს 30-ჯერ მეტის გაკეთებას, ვიდრე საზოგადოებრივ საწესიებზე მომუშავე მისი კოლეგა.

2 1997 წლის „მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ“ კანონით (მუხლი მე-16) დაარსებულ იქნა დელაქლაქის ანაზღაურებადი უფროსი მაგისტრის თანამდებობა (Chief Metropolitan Stipendiary Magistrate). საქმელსაც ეკისრება დელაქლაქის ანაზღაურებადი მაგისტრატების ფინანსირებისა და მათი მუშაობის პირობების გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის ზომების მიღება; ლონდონში მომუშავე ანაზღაურებადი მაგისტრატების კონფერენციის მოწვევა კვარტალურად და ამ კონფერენ-

დანარჩენი – სხვა მსხვილ ქალაქებში. ვინაიდან ისინი არიან პროფესიონალები, რომელთაც იურიდიული განათლება და მუშაობის საჭირო გამოცდილება გააჩნიათ, რამდენადაც უფრო ფართო უფლებამოსილებანი აქვთ მინიჭებული (მაგალითად, გადაწყვეტილების მისაღებად მათ არ სჭირდებათ კოლეგიური სხდომის ჩატარება 3 მაგისტრატის შემადგენლობით, განსხვავებით საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე მაგისტრატებისაგან; როგორც წესი, სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ერთი სტიპენდიარი, თუმცა რიგ შემთხვევებში, „როდესაც ამას მოითხოვს კანონი და მისი გამოყენების პრაქტიკა“, სტიპენდიართან ერთად შესაძლებელია სხდომაში მონაწილეობდეს საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე მაგისტრატი; მხოლოდ სტიპენდიარიებს აქვთ უფლება განიხილონ ზოგიერთი შედარებით რთული სამოქალაქო საქმეები და სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას წამოჭრილი რთული საკითხები).

7. **ადვოკატურა (advocacy)** – ეს არის ინსტიტუტი, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ (1990 წელს „სასამართლოებისა და სამართლებრივი მომსახურების შესახებ“ კანონის მიღებამდე) ინგლისში ოფიციალურად აღიარებული არ ყოფილა. ითვლებოდა, რომ ინგლისის სამართლებრივ პრაქტიკასთან მიმართებაში მხოლოდ პირობითად შეიძლება ვისაუბროთ ადვოკატურაზე, როგორც ბარისტერების ან სოლისიტორების¹ კორპორაციაში შემაჯალ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებზე.

ორივე კორპორაციას თავისი მდიდარი ისტორია აქვს, რომელიც XII-XIII საუკუნეებში იწყება.² ისინი წარმოიშვნენ და ვითარდებოდნენ როგორც ორი დამოუკიდებელი და ერთმანეთის კონკურენტი გაერთიანება, რომელთაგან თითოეული ასრულებდა არსებით როლს სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში. ეს განსხვავებები ნელ-ნელა იკარგება და არ არის გამორიცხული, რომ ბოლოსდაბოლოს მოხდეს მათი სრული შერწყმა და ჩამოყალიბდეს იურისტთა ერთიანი კორპორაცია, მოწოდებული იურიდიული მომსახურების გაწვევისათვის, ამ სიტყვების ფართო მნიშვნელობით, მათ შორის, სისხლის სამართლებრივ

ყოფზე წარმომადგენლობა; მაგისტრატების საქმიანობისას წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების შეთანხმება ლორდ-კანცლერის დესპოტიკურად და მონაგან საქმეთა სამინისტროსთან და სხვა.

1) რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ინგლისური სამართლებრივი სისტემის შესახებ მათ ხშირად „правозаступник“-ებს უწოდებენ (ქართულად – „სამართალდაცველები“ – ი.ბ.) (ი.ბ. მაგალითად: *Апарова Т. В. Суды и судебный процесс Великобритании. М., 1996. С. 64-75*).

2) უკიდურად ამ კორპორაციების წარმოშობისა და ევოლუციის შესახებ ი.ბ.: *Романов А.К. Правовая система Англии. М., 2000. С. 284 и след.*

პასუხისგებაში მიცემულ პირთა დაცვის განხორციელებისათვის.

1990 წელს კანონის მიღებამდე, ზემოხსენებული იურიდიული პროფესიის პირების დახასიათებისას ზაზგასმით აღინიშნებოდა, რომ მათ შორის განსხვავება ზოგადად იმაში მდგომარეობს, რომ პირველებს (ბარისტერებს) ყოველთვის ქჭონდათ საქმე სასამართლოსთან, ხოლო მეორეებს (სოლისიტორებს) - კლიენტებთან, რომ პირველებს შეუძლიათ გამოსვლა ყველა სასამართლოში, მეორენი გამოდიან მხოლოდ ქვემდგომ სასამართლოებში; ბარისტერები ორატორები და კონსულტანტები არიან, ხოლო სოლისიტორები აწარმოებენ მთელ მოსამზადებელ სამუშაოს, საქმე აქვთ კლიენტებთან, მოწმეებთან, მტკიცებულებებთან; ბარისტერებს უფლება არ აქვთ უშუალოდ მოიზიდონ კლიენტები, აიყვანონ ისინი „ქუჩიდან“ და მათთან კონტაქტში უნდა შევიდნენ მხოლოდ სოლისიტორების შუამავლობით; მხოლოდ ბარისტერად მუშაობის სტაჟი აძლევს უფლებას პირს გახდეს მოსამართლე და სხვა. სადღეისოდ ასეთი სახის მოსაზრებანი აღიარებულია მხოლოდ პირობითად.

დასახელებული და მიღებული მის შემდეგ კანონები და კანონქვემდებარე აქტები არსებითად აახლოვებენ სოლისიტორის სტატუსს ბარისტერის სტატუსსთან: განსაზღვრულ შემთხვევებში სოლისიტორებს შეუძლიათ გამოვიდნენ სისხლის სამართლის საქმეებზე არა მხოლოდ მაგისტრატების სასამართლოში, არამედ გვირგვინის სასამართლოს დასწრებებში, ხანდახან უფრო ზემდგომ სასამართლოებშიც; გარკვეული სტაჟის არსებობისას შესაძლებელია ისინი მოსამართლის თანამდებობაზეც დაინიშნონ; არასმქონეთა დაცვის განსაზღვრული შესაძლოა მოწვეულნი იყვნენ როგორც სოლისიტორები, ასევე ბარისტერები. მოთხოვნები პირებისათვის, რომელთაც სურთ ბარისტერობა ან სოლისიტორობა, სულ უფრო ემსგავსება ერთმანეთს, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს სოლისიტორების პროფესიონალიზმის მაღალ დონეს.

სასამართლოში საქმის წარმართვისათვის დაშვებულ ინგლისელ იურისტთა სტატუსის სპეციფიკის დამახასიათებელი არსებითი მომენტი ისაა, რომ ისინი შეიძლება გამოვიდნენ სასამართლოში ბრალდების მხარეზე არა მხოლოდ კერძო პირთა დავალებით, არამედ იმ სახელმწიფო ორგანოთა დავალებითაც, რომლებიც სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ პირთა დევნას ახორციელებენ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ბარისტერებს შეეხებათ, რომლებსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმრავლეს შემთხვევაში გვირგვინის საბრალდებო სამსახურის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პოლიციის მიერ მტკიცებულებათა წინასასამართლო

შეგროვებაზე და მხარს უჭერენ ბრალდებას სახელმწიფოს სახელით. ასეთი მისია, შეზღუდულ ფარგლებში, შეუძლია თავის თავზე აიღოს სოლისიტორმაც. სხვა სიტყვებით, ბარისტერები და სოლისიტორები, რომლებიც ინგლისელი იურისტების დიდ რაზმს შეადგენენ¹, თითქმის თანაბრად იღებენ აქტიურ მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში. მათი მოწოდებაა შეასრულონ არა მხოლოდ ის, რაც ჩვეულებრივია რუსი დამცველი-ადვოკატის ან მისი კოლეგისათვის კონტინენტური ევროპიდან, არამედ – მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში სასამართლო განხილვისას და სიტყვა წარმოთქვას დამცველის სახით; წარმოადგინოს ბრალდებულის ინტერესები წინასწარი გამოძიებისას წამოჭრილ ცალკეულ საკითხებზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ან სასამართლო ინსტანციებში, სადაც განაჩენის კანონიერება და დასაბუთებულობა მოწმდება. ინგლისის სისხლის სამართალწარმოების სპეციფიკის გამო, დაცვის განხორციელებისას მათ პროფესიულ მოვალეობას წარმოადგენს ე.წ. პარალელური გამოძიების ორგანიზაცია – გამამართლებელ მტკიცებულებათა უშუალო შეგროვება ანდა თანამშრომლობის დამყარება კერძო დეტექტივებთან, სხვა სპეციალისტებთან, რომლებიც საჭირონი არიან დაცვის მტკიცებულებათა „დასაბუთებლად“. ბრალდების ფუნქციის შესასრულებლად მოწვევის შემთხვევაში მათ ეკისრებათ ანალოგიური ხასიათის ფართო მოვალეობები – პოლიციასთან თანამშრომლობა, რომელიც გამამტყუნებელ მასალებს აგროვებს; ასევე, პოლიციის მიერ იმ მონაცემთა გამოვლენისა და შეგროვების კანონიერების შემოწმება, რომლებიც შესაძლოა სასამართლოში გამამტყუნებელ მტკიცებულებებად მიიჩნიონ და სხვა.

ბარისტერებისა და სოლისიტორების სტატუსის დაახლოებასთან ერთად ინგლისში მიმდინარეობს მოდიფიკაციის პროცესი იმ პრაქტიკოსი იურისტების სტატუსისა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან მათ კორპორაციას, მაგალითად, გვირგვინის ბრალმდებლების, უძრავი ქონებისა და მასთან დაკავშირებულ გარიგებათა რეგისტრატორებისა და სხვა. უკანასკნელნი, გარკვეულ მიმართებაში, უკვე უთანაბრდებიან ბარისტერებსა და სოლისიტორებს. მთლიანობაში, დასახელებულ პროფესიათა ყველა წარმომადგენელი 1990 წელს გამოცემული კანონით ოფიციალურად ადვოკატურის სახელწოდების ქვეშ მოიაზრება.

¹ 2000 წლის დასაწყისისათვის ბარისტერების რიცხვი 5-ზე სოლო სოლისიტორების – 50 000-ზე მეტს შეადგენდა.

§4. მტკიცებულებანი და მტკიცება: ამოსაკალი დეკლარაცია

1. მტკიცებულებითი სამართლის მნიშვნელობა და ძირითადი თავისებურებანი. მტკიცებულებათა წესების ერთობლიობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინგლისურ სისხლის საპროცესო სამართალში. უფრო ზუსტად, დოქტრინას ახასიათებს ტენდენცია, არ განიხილოს ეს წესები როგორც სისხლის სამართლის პროცესის ნაწილი, არამედ გამოყოს ისინი როგორც სამართლის ცალკე დარგი – მტკიცებულებითი სამართალი (law of evidence) და ამით აღიაროს მისი ავტონომია. ასეთი მიდგომა იმის დადასტურებაა, რომ ინგლისის სისხლის სამართლებრივი იუსტიციისათვის სისხლის სამართლებრივ მტკიცებულებათა წესებს ტრადიციულად დიდი მნიშვნელობა აქვს. ის აღემატება იმ მნიშვნელობას, რომელიც მტკიცებით სამართალს გააჩნია კონტინენტური ევროპის ქვეყნების (დაეუშვათ, საფრანგეთის) სისხლის სამართლის საპროცესო სისტემებში.

მტკიცებულებითი სამართლისადმი ასეთი დამოკიდებულების ორი ძირითადი მიზეზი შეიძლება დასახელდეს. ერთი, რომ ინგლისში მრავალი საუკუნეა არსებობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელთაც საჭიროა გულდასმით განემარტოთ მტკიცების წესები და უზრუნველყოფილი იყოს, რომ მათ ვერდიქტი გამოიტანონ მხოლოდ კეთილთვისებიან მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობამ მნიშვნელოვნად განაპირობა მტკიცებულებითი სამართლის განვითარება; მეორე, ინგლისში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არასოდეს არსებობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ან მისი მსგავსი რამ, რაც საკვანძო მტკიცებულებით დებულებებს მოუყრიდა თავს. სირთულე და კაზუისტურობა მტკიცებულებათა წესებისა, რაც გაფანტული იყო ასობით სასამართლო პრეცედენტებსა და სტატუტებში, ითხოვდა მათ დოქტრინალურ სისტემატიზაციისა და კომენტირების აუცილებლობას. დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ კანონები (სტატუტები) სისხლის სამართლის პროცესის რეგულირებაში დომინირებულ როლს იძენენ, პრეცედენტების როლი კვლავ გაცილებით მნიშვნელოვანი რჩება სწორედ მტკიცებულებითი სამართლის დარგში. შედეგად, სისხლის-სამართლებრივ მტკიცებულებათა ინგლისური სისტემა თავისი გზით ვითარდებოდა, რაც განსხვავდებოდა იმ გზისაგან, რომელიც კონტინენტურმა მტკიცებულებითმა სამართალმა განელო (შუა საუკუნეების ფორმალური მტკიცებულებებიდან თანამედროვე მტკიცებამდე, რომელიც

მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასებაზეა დამყარებული).

ინგლისის მტკიცებულებითი სამართლის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ მტკიცებულების დასაშვებად ცნობის ძირითად კრიტერიუმს მისი მოპოვებისას კანონის ან სხვა სამართლებრივ დანაწესთა დაცვა კი არ წარმოადგენს, არამედ თვითონ მტკიცებულების შინაგანი ხარისხი, მისი უნარი, დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებიც სასამართლო განხილვის მსვლელობისას უნდა დადგინდეს. თუ ვთქვათ, კონტინენტური ევროპის ქვეყნების ან აშშ-ს სისხლის სამართლის პროცესისათვის მტკიცებულებათა შეკრებისას სამართლის ნორმათა დაცვის მოთხოვნა ერთგვარ „თვითმიზნად“ იქცა (მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტი ემსახურება კანონის დაცვის უზრუნველყოფას, რამდენადაც დაუშვებელ მტკიცებულებათა პროცესიდან ამორიცხვა — ეს, უპირველეს ყოვლისა, სანქციაა, რომელიც იცავს პიროვნებას თავისი უფლებების დარღვევისაგან), ინგლისში საკითხი სხვაგვარად დგას.

ისტორიულად, მტკიცებულებითი სამართალი აქ არასოდეს განიხილებოდა, როგორც პიროვნების უფლებათა უზრუნველყოფის ინსტრუმენტი. მისი ძირითადი მიზანი უნდა ყოფილიყო მტკიცების ისეთი წესების შექმნა, რომლებიც საშუალებას მისცემდათ პროცესიდან ამოერიცხათ ან არ დაეშვათ მასში საეჭვო მტკიცებულებანი. თუ მტკიცებულება, ინგლისელი მოსამართლის თვალსაზრისით, ეჭვს არ იწვევს (თუნდაც იგი პროცედურის დარღვევით იყოს მოპოვებული) და ასრულებს თავის საპროცესო მისიას, დაკავშირებულს საქმის გარემოებათა დადგენასთან, რათა გამოიტანონ სამართლიანი განაჩენი, მაშინ არ არსებობს რაიმე მიზეზი ასეთი მტკიცებულების უარყოფისათვის.

გავრცელებული ინგლისური განმარტების შესაბამისად, მტკიცებულებათა საკვანძო თვისებებს წარმოადგენს არა დასაშვებობა (ამ სიტყვის კონტინენტური გაგებით), არამედ შესახებობა და უტყუარობა. ამ თვისებათა შემოწმება, განსაკუთრებით უტყუარობის, როგორც ცნობილია, უფრო მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე დასაშვებობის შემოწმება. მისი უზრუნველყოფა სამართლებრივ ნორმებში დაფიქსირებულ რაიმე აპრიორული კრიტერიუმების მეშვეობით უკიდურესად რთულია, ვინაიდან მტკიცებულების უტყუარობა დამოკიდებულია საქმეთა გარემოებებზე, მის შეფასებაზე სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, მტკიცებულების ფორმირებაზე გავლენის მქონე კონკრეტულ ფაქტორთა გათვალისწინებაზე და სხვა. ამასთან დაკავშირებით, ინგლისის მტკიცებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმოაერეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს იმ წესთა შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ სასამართ-

ლომი მტკიცებულებათა შემოწმებას. ამ კონტექსტში ნათელი ხდება მრავალი საპროცესო დებულება, ვთქვათ, ე.წ. „ჩმებზე დამყარებული ჩვენების“ აკრძალვა (hearsay), ანდა ჯვარედინი დაკითხვის პროცედურა, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

აღნიშნული სპეციფიკა, გადაიქცა რა ფუნდამენტად, რაზეც აგებულია მთლიანად მტკიცებულებითი სამართალი, საბოლოოდ XIX საუკუნის შუა პერიოდისათვის ჩამოყალიბდა. სწორედ მაშინ წარმოითქვა ინგლისელი მოსამართლეების მიერ ორი ფრაზა, რომელიც შოკისმომგვრელია თანამედროვე „კონტინენტური იურისტიკისათვის“, მაგრამ ეს ფრაზები მტკიცებულებათა თვისებებსა და მთლიანად მტკიცებულებითი სამართლისადმი ამ ქვეყანაში ისტორიულად დამკვიდრებული მიდგომის მკაფიო ილუსტრირებას ახდენენ. „როგორც არ უნდა მოიპოვოთ იგი (მტკიცებულება – ლ.გ.) თქვენ, თუნდაც მოიპაროთ, მტკიცებულება დასაშვებად იქნება ცნობილი“ (კრომპტონი). „მარლმსაჯულების წარმატებით განხორციელების საშიში დაბრკოლება იქნებოდა, თუ ჩვენ გადავწყვეტდით, რომ მტკიცებულება ვერ იქნებოდა გამოყენებული ბრალდებულის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არაკანონიერი გზით იქნა მოპოვებული“ (მელორი).

მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემისადმი განსაკუთრებული მიდგომის ჩამოყალიბების კიდევ ერთი მიზეზი გახდა არარსებობა ინგლისში წინასწარი გამოძიებისა, ესე იგი სპეციალური სახელმწიფო ორგანოთა სამართლით მკაცრად მოწესრიგებული საქმიანობისა სამართლოში საქმის წარმოების დაწყებამდე მტკიცებულებათა შეკრებასთან დაკავშირებით. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ, თუ მტკიცებულებათა შეკრების პროცედურა სასამართლო განხილვამდე ან სასამართლო განხილვის მიღმა თითქმის მოუწესრიგებელია. მაშინ შეუძლებელია მისი დარღვევა. აქ შეინიშნება პირდაპირი ანალოგიები სამოქალაქო პროცესთან, სადაც გვხვდება სიტუაციები, როდესაც, ვთქვათ, ესა თუ ის დოკუმენტი შემთხვევით აღმოჩნდება მოსარჩელესთან ან მოპასუხესთან (ხანდახან საექვო გარემოებებში). ეს, პრინციპში, ხელს არ უშლის მის გამოყენებას მტკიცებულების სახით. ანგლოსაქსონური შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესის მსგავსება სამოქალაქო პროცესთან დიდი ხანია შეძრწეულია და ეს მსგავსება მთლიანად გამოვლინდება მტკიცებულებითი სამართალში.

მტკიცებულებათა შეკრების პროცედურისადმი ინგლისელი მოსამართლეების დამოკიდებულების რამდენადმე შეცვლასთან დაკავშირებული უახლესი ტენდენციები მხოლოდ XX საუკუნეში გამოვლინ-

და, უმთავრესად, მის მეორე ნახევარში. ვთქვათ, 1914 წელს, კრისტის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, სადაც განიხილებოდა კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი, ლორდთა პალატა კვლავაც გამოდიოდა ტრადიციული არგუმენტაცი-
იდან – მტკიცებულების უარყოფა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი „უმეტესად ზიანს აყენებს, ვიდრე რაიმეს ამტკიცებს“ (more prejudicial than probative), რაც კიდევ ერთხელ ახდენს მოსამართლეთა გულგრი-
ლობის დემონსტრირებას პიროვნების უფლებათა გარანტიებისადმი და ადასტურებს მის დაინტერესებას მხოლოდ თვითონ მტკიცებულების ხარისხით. მაგრამ 1955 წლის გადაწყვეტილებაში ლორდთა პალატა იმავე პრობლემას უკვე ინგლისის მტკიცებულებითი სამართლისათვის ახალი პოზიციებიდან მიუღდა: მოსამართლეს უფლება აქვს უარყოს მტ-
კიცებულება, თუ თელის, რომ მისი მიღება უსამართლო იქნებოდა დაცვ-
ასთან მიმართებაში, ვინაიდან მტკიცებულებათა შეკრებისას სამართლის ნორმათა დარღვევა, უპირველეს ყოვლისა, „სამართლიანობის“ (equity) – ანგლოსაქსონური სისხლის საპროცესო სამართლის ფუნდამენტური ცნების დარღვევაა.

1955 წლის ლორდთა პალატის გადაწყვეტილება ასახავს ინგ-
ლისელ მოსამართლეთა ინტერესის ზრდას მტკიცებულებათა შეკრების პროცედურისადმი და არა მხოლოდ მათი შემოწმებისა და შეფასები-
სადმი. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით აშკარა გახდა ბოლო წლებში. იგი გარკვეულწილად გამოწვეულია იმით, რომ კანონმდებელმა შეცვალა თავისი დამოკიდებულება წინასასამართლო წარმოებაზე, რო-
მელიც თანდათანობით ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის სრუ-
ლუფლებიანი სტადია ხდება. ამის დასტურად გამოდგება, მაგალითად, ზემოხსენებული (მოცემული თავი, §2) 1984 წლის კანონი „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივი მტკიცებულებების შესახებ“, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საპოლიციო გამოძიების შესახებ სამართლებრივ დანაწესთა მინი-კოდიფიკაციად, ვინაიდან მასში საკმაოდ დეტალურად არის მოწესრიგებული წინასასამართლო წარმოებისას პოლიციის მიერ საპროცესო მოქმედებათა განხორციელების პროცედურა. ახლა უკვე შესაძლებელია საუბარი მტკიცებულებათა შეკრებისას კანონის დაცვისა თუ დარღვევის და, შესაბამისად, მათ დაცვაზე სასამართლო კონტრო-
ლის შესახებ. ასეთი კონტროლის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს სასამართლოს მიერ კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის შეფასება.

ახალი მიდგომა პირდაპირ არის გამოხატული ამ კანონის 78-ე

მუხლში, რომელიც სასამართლოს უფლებას ანიჭებს უარყო მტკიცებულება, თუ საქმის ყველა გარემოებათა გათვალისწინებით, მათ შორის „მტკიცებულებათა მოპოვების გარემოებათა“ გათვალისწინებით, მისმა დაშვებამ შესაძლოა გამოიწვიოს მართლმსაჯულებისათვის უარყოფითი შედეგები. ამას გარდა, ლორდთა პალატა, როგორც 1984 წლის კანონის მიღებამდე, ისე მისი მიღების შემდეგ, არაერთხელ აღნიშნავდა, რომ მოსამართლე არ არის ვალდებული ავტომატურად ამორიცხოს პროცესიდან პროცედურის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებანი, — მას უფლება აქვს გააკეთოს ეს თავისი შეხედულებისამებრ. როგორც ინგლისელი იურისტები მიიჩნევენ, აღნიშნულ უახლეს ტენდენციებს ჯერ არ გამოუწვევიათ ინგლისის მტკიცებულებითი სამართლის ტრადიციული სისტემის კარდინალური გადასინჯვა.

2. *გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს (thesis probanda)* და მტკიცებულებათა შესახებობა. რამდენადაც მოძღვრება მტკიცებულებათა შესახებობის შესახებ ინგლისის მტკიცებულებითი სამართლის მნიშვნელოვან საკვანძო ელემენტს წარმოადგენს, შესაძლებელია მისი ერთ-ერთი ამოსავალი წესის ფორმულირება შემდეგნაირად: დასაშვებად მიიჩნევა მხოლოდ შესახები მტკიცებულებანი. როგორც ჩანს, „მტკიცებულებების დასაშვებობისა“ და „შესახებობის“ ცნებათა თანაფარდობა აქ ოდნავ სხვა სიბრტყეშია განთავსებული, ვიდრე, ვთქვათ, რუსულ მტკიცებულებით სამართალში.

მოცემული წესის იურიდიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეხმარება იმ გარემოებათა წრის განსაზღვრაში, რომლებიც უნდა დამტკიცდეს და, რომლებიც *ნებადართულია* დამტკიცდეს. უკანასკნელ დებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, თუ გაეითვალისწინებთ ანგლოსაქსონური სისხლის სამართალწარმოების შეჯიბრებითი კონსტრუქციის სპეციფიკას. ამ კონსტრუქციის მიხედვით, ინგლისური სასამართლო, კონტინენტურისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს მტკიცების სუბიექტს (თეორიულად იგი არ უნდა ავლენდეს ინიციატივას მტკიცებულებათა შეკრებისას). ამდენად მტკიცებულებითი სამართალი გულგრილად ეკიდება გარემოებათა წრის განსაზღვრას, რომელიც სისხლის სამართლის ყველა საქმეზე უნდა დადგინდეს სასამართლოს მიერ. მტკიცებულებათა შეკრება და წარდგენა — ეს ბრალდებისა და დაცვის პეროგატივაა.

ასეთი მიდგომის თანახმად, მტკიცებულებათა შესახებობის მომწესრიგებელ წესთა მთავარი მიზანია საკითხის გადაწყვეტა იმის თაობაზე, თუ რა გარემოებათა მტკიცებაა დასაშვები მხარეთათვის, რათა

სასამართლოს შეეძლოს განარიდოს პროცესს მტკიცებულებანი, რომლებიც ამ გარემოებებს არ შეეხება (ისინი არ არის შესახები და შესაბამისად დაუშვებელია). პროცესიდან იმ მტკიცებულებათა ამორიცხვა, რომლებსაც შესახებობის თვისება არ გააჩნიათ, ეს არის არა მარტო და არა იმდენად უსარგებლო მტკიცებულებათა ამორიცხვა (მათი განხილვა სასამართლოს დროს ართმევს და აჭიანურებს სასამართლო განხილვას), რამდენადაც – საზიანო მტკიცებულებებისა, ვინაიდან მათ შესაძლებელია სასამართლო შეცდომაში შეიყვანონ და ხელი შეუშალონ მას სამართლიანი განაჩენის გამოტანაში, რაც მეტად მნიშვნელოვანია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში (არაპროფესიონალების დაბნევა ყოველთვის უფრო ადვილია). ამიტომ, პროფესიონალ მოსამართლეს ეკისრება მოვალეობა, ხელმძღვანელობს რა შესახებობის წესებით, წინ აღუდგეს მხარეთა მიერ სასამართლოში მართლმსაჯულებისათვის ამ სახის „საშიშ“ მტკიცებულებათა გამოყენებას. მოსამართლეების მიერ ასეთი ამოცანის შესრულებას ხელს უწყობს წესები, რომლებიც განსაზღვრავენ მტკიცების საგანს, ესე იგი გარემოებათა წრეს, რომელიც უნდა დამტკიცდეს.

ამ წესების ერთ-ერთ ამოსავალ მოქმეტს წარმოადგენს გარემოებათა, რომლებიც უნდა დამტკიცდეს, ორ ჯგუფად დაყოფა:

- დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული გარემოებები (ე.წ. „ფაქტობრივი გარემოებები“ – facts);
- განხილვაში მონაწილეთა (განსასჯელისა და დაზარალებულის) პიროვნებებთან დაკავშირებული გარემოებები.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სამი კატეგორიის გარემოებები, დაკავშირებული დანაშაულებრივ ქმედებასთან:

- ა) გარემოებები, რომლებიც მტკიცების საგანს შეადგენენ და რომლებიც უნდა დადგინდეს სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისას (facts in issue). საუბარია ფაქტებზე, რომელთაც შესაძლებელია ეუწოდოდ ძირითადი და მთავარი ფაქტები, დაკავშირებული ბრალდების არსთან;
- ბ) გარემოებანი, რომელთა საფუძველზედაც შესაძლებელია დასკვნების გაკეთება მთავარი ფაქტების შესახებ. ფაქტობრივ გარემოებათა მოცემულ ჯგუფს მიღებულია ეწოდოს „ფაქტები, რომელთაც შეეხება აქეთ ბრალდების არსთან“ (facts relevant to the issue);
- გ) გვერდითი (თანმდევი) გარემოებანი (collateral facts), რომლებიც

მნიშვნელოვანია მხოლოდ რაიმე კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, მაგალითად, მტკიცების გარკვეული ხერხების დასამოწმებლად ან უარყოფისათვის. ეთქვას, მოწმე ამტკიცებს, რომ მან გააგონა საუბარი გვერდით უთახიდან, ხოლო ერთ-ერთი მხარის მტკიცებით ეს შეუძლებელია. ვინაიდან მოწმეს ცუდი სმენადობა აქვს. აქ გვერდითი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც უნდა დამტკიცდეს, იქნება მოწმის სმენადობა, რომელსაც, პრინციპში, ბრალდებასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

მეორე გვეუი - ეს არის, უმთავრესად, ბრალდებულის პიროვნებასთან დაკავშირებული გარემოებანი (ნასამართლობა, ყოფაქცევა და სხვა). ისინი არ შედიან მტკიცების საგანში, ესე იგი შესაბამისი გარემოებანი არ მიიღება მტკიცებულების სახით. მოცემული პოსტულატი ინგლისური მტკიცებულებითი სამართლის ერთ-ერთ კლასიკურ დოგმად არის აღიარებული. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ, ვიდრე არ არის გადაწყვეტილი ბრალდებულის დამნაშავეობის საკითხი, სასამართლოში გარემოებათა გამოკვლევამ, რომელიც მის პიროვნებას შეეხება და უშუალოდ არ არის დაკავშირებული ბრალდების არსთან, შესაძლებელია, სასამართლო წინასწარ უარყოფითად განაწიოს ამ პირის მიმართ, რასაც შესაძლოა უსამართლო განაჩენის დადგენა მოჰყვეს.

უფრო თანმიმდევრობით ასეთი მიდგომა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში გამოვლინდება, სადაც სასამართლო განხილვა გაყოფილია ორ ეტაპად: ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოტანამდე და მის შემდეგ. როდესაც სისხლის სამართლის საქმის მთავარი საკითხი - პირის დამნაშავეობის საკითხი - გადაწყდება, მოსამართლე შეუდგება მსჯავრდებულის პიროვნების შესახებ მონაცემების შეგროვებას სამართლიანი სასჯელის დასანიშნად. სხვა სიტყვებით, განსასჯელის პიროვნებასთან დაკავშირებულ მტკიცებულებათა გამოჩენა პროცესიდან ხდება მხოლოდ სასამართლო გამოძიების მსვლელობისას (ვერდიქტის გამოტანამდე). მაგისტრატების სასამართლოში, სადაც საქმე სუპარული წესით ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განიხილება, მტკიცების წესები გაცილებით გამარტივებულია, რაც „შლის“ მრავალ კლასიკურ შეზღუდვას (თუმცა ფორმალურად ისინი განაგრძობენ მოქმედებას). ამავე დროს, ზოგადი ტრადიციული წესი განსასჯელის დამნაშავედ აღიარებამდე მისი პიროვნების შესახებ მონაცემების გამოყენების აკრძალვისა, გარკვეულწილად მიზეზი იყო იმისა, რომ სწორედ ინგლისში ჩაისახა პროცესის კონსტრუქცია, რომლის თანახმად, სასამართლომ, თუნდაც იგი საქმეს ნაფიც მსაჯულთა გარეშე

განიხილავდეს, ჯერ უნდა გადაწყვიტოს განსასჯელის დამნაშავეობის საკითხი და ამის შემდეგ გადადოს განხილვა გარკვეული ვადით, რათა შეაგროვოს ინფორმაცია მისი პიროვნების შესახებ და მის საფუძველზე დაუნიშნოს მას სასჯელის ზომა. სასამართლო განხილვის ორსაფეხურიანი სტრუქტურა, რომელიც დამახასიათებელია როგორც გვირგვინის სასამართლოსათვის, ასევე მაგისტრატების სასამართლოსათვისაც (ფაქულტატურად), საშუალებას იძლევა (თუნდაც ნაწილობრივ) აქაც დაცულ იქნეს განსასჯელის პიროვნებასთან დაკავშირებულ გარემოებათა მტკიცების აკრძალვის წესი.

განხილულ ზოგად წესს ახასიათებს რიგი გამონაკლისები. მაგალითისათვის გამოდგება გამონაკლისი, ყორმულირებული ლორდთა პალატის მიერ 1991 წელს: ბრალმდებელს უფლება აქვს აცნობოს ნაფიც მსაჯულებს, რომ განსასჯელს, რომელსაც ბრალი ედება სექსუალურ ხელყოფაში, წინათ უკვე ჩადენილი აქვს ანალოგიური დანაშაული. მოცემული დებულება დანაშაულთა მხოლოდ კონკრეტულ შემადგენლობებს შეეხება და არ ექვემდებარება განვრცობით განმარტებას.

არსებითია, რომ განსასჯელის პიროვნებასთან დაკავშირებულ გარემოებათა სასამართლოში აკრძალვის, მნიშვნელოვანწილად, ნეიტრალიზებას ახდენს ცნობილი წესი, რომელსაც საფუძველად უდევს 1898 წლის „სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებათა შესახებ“ კანონი. ამ წესის თანახმად, პროფესიონალ მოსამართლეს უფლება აქვს სადამრიგებლო სიტყვაში ნაფიც მსაჯულებს წარუდგინოს ბრალდებული, როგორც პირი, რომელიც „დადებითად ხასიათდება“ (ინგლისური ტერმინოლოგიით – good character), ასევე პირიქით, ხასიათდება უარყოფითად. ამასთან, არ არის საკვალდებულო ასეთი სახის დახასიათება დამოკიდებული იყოს წარსულში ამ პირის ნასამართლობაზე ან ასეთის არ არსებობაზე, რაზეც სულ ახლახანს კვლავ მიანიშნა ლორდთა პალატამ (აზიზის საქმე, 1995 წელი) და სააპელაციო სასამართლომ (დურბინის საქმე, 1995 წელი).

რაც შეეხება დაზარალებულის პიროვნებასთან დაკავშირებულ გარემოებებს (მის უარყოფით დახასიათებაში უფრო მეტად დაცვაა დაინტერესებული), ისინი, ზოგადი წესის თანახმად, ასევე არ შედიან მტკიცების საგანში ანალოგიურ მიზეზთა გამო. თუმცა აქაც არის რიგი კონკრეტული გამონაკლისებისა. მაგალითად, გაუპატიურების საქმეებზე დაცვას უფლება აქვს ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით დაუსვას დაზარალებულს კითხვები, რომლებიც მის ყოფაქცევასა და ზნეობრივ სახეს შეეხება.

3. მტკიცების საშუალებები (მტკიცებულებათა სახეები, წყაროე-

ბი). ინგლისურ სისხლის საპროცესო სამართალში არ არის და არ შეიძლება იყოს მტკიცებულებათა სახეების (წყაროების) ამომწურავი ჩამონათვალი. ეს აიხსნება პირველი იმით, რომ სამართლებრივი ნორმები მტკიცებულებათა შესახებ ისევე, როგორც სისხლის საპროცესო სხვა ინსტიტუტების შესახებ არ არის კოდიფიცირებული რაიმე ერთიან აქტში, მეორე – სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცების პროცესის მარეგულირებელ იურიდიულ-ტექნიკურ მეთოდს, რომელიც ძირითადად გამოიყენება ინგლისში, წარმოადგენს არა ნებართვა (აკრძალულია ყველაფერი, რაც დაშვებული არ არის), არამედ აკრძალვა (დაშვებულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის). შედეგად, მტკიცების ხერხების სისტემა, რომელიც ისტორიულად სასამართლო პრაქტიკაში ყალიბდებოდა, აგებულია როგორც შეზღუდვათა სისტემა: თუ დაწერილი ან დაუწერელი სამართლის ნორმები არ უკრძალავენ მხარეებს მტკიცების რომელიმე კონკრეტული ხერხის გამოყენებას, მაშინ ეს ხერხი სავსებით დასაშვებია.

შესაძლებელია გამოვყოთ მტკიცების ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხები: მოწმის ჩვენება, ექსპერტიზა, ნივთიერი მტკიცებულებები, დოკუმენტები და ზოგიერთი სხვა.

მოწმის ჩვენება, ისევე როგორც პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა სახელმწიფოში, აღიარებულია მტკიცებულებათა ძირითად სახედ. მოწმეებად ითვლებიან ნებისმიერი პირები, რომლებიც ზეპირ განცხადებას აკეთებენ საქმის წარმოებასთან დაკავშირებით. მათ მიეკუთვნებიან არა მხოლოდ პირები, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი საქმის შედეგით, არამედ ასევე, ბრალდებული (თუ მან გამოთქვა სურვილი ჩვენების მიცემის შესახებ), დაზარალებული, ექსპერტი და სხვა, რაც საგრძობლად განასხვავებს „მოწმის“ ცნებებს ინგლისურ და კონტინენტურ სისხლის სამართლის პროცესებში.

ინგლისის მტკიცებულებითი სამართალი, თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, მოიცავდა პირთა ფართო ჩამონათვალს, რომლებიც არ დაკითხვობოდნენ მოწმის სახით, რამდენადაც ითვლებოდა, რომ მათ არ შეეძლოთ მიეცათ ჩვენებები ფიცის ქვეშ (ბავშვები, სულით აკრძალვით, ათეისტები, ბრალდებულის მეუღლე და სხვა). თანდათანობით ყველა ეს შეზღუდვა ძალას კარგავდა (მაგალითად, მცირეწლოვანი ბავშვები, რომლებიც ადრე ამ ჩამონათვალში შედიოდნენ). 1952 წლიდან დაუწერელ სამართალში გაჩდა ნორმა, რომ ბავშვის მოწმის სახით დაკითხვა დაიშვება 6 წლის ასაკიდან. მაგრამ 1991 წლის კანონმა „სისხლის სამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ გააუქმა ასეთი შეზ-

ლუღვა და მიანიჭა სასამართლოს უფლება მოესმინა ნებისმიერი ასაკის ბავშვების ჩვენებები.¹ დღეისათვის, ოდესღაც ფართო სიას პირებისა, ვისი მოწმის სახით დაკითხვაც გამოირიცხებოდა მტკიცებულებათა ხერხებიდან, შემორჩნენ მხოლოდ პირები, რომლებსაც არ შესწევთ უნარი მისცენ ჩვენება თავიანთი სულიერი ავადმყოფობის გამო.²

რაც შეეხება ე.წ. „მოწმის პრივილეგიებს“³, მთლიანობაში, ინგლისში ეს ინსტიტუტი არ არის ძლიერ განვითარებული. ისეთი ფუნდამენტური დებულებაც, როგორცაა პრივილეგია თვითბრალდების წინააღმდეგ (არავინ არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ), იცნობს რიგ გამონაკლისებს, რომლებიც დანაშაულთა ცალკეულ სახეებს შეეხება (გათვალისწინებულს, მაგალითად, 1985 წლის „კომპანიების შესახებ“ კანონით და 1991 წლის „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონით). მოწმის პრივილეგიის სხვა სახე – ბრალდებულის მეუღლის უფლება მის საქმეზე არ მისცეს მოწმის სახით ჩვენება – ასევე შეზღუდულია ორ შემთხვევაში (რაც გათვალისწინებულია 1984 წლის კანონით „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივი მტკიცებულებების შესახებ“): ა) პირს შესაძლებელია იძულებით ჩამოერთვას ჩვენება მისი მეუღლის სასარგებლოდ; ბ) ძალადობრივ დანაშაულთა გარკვეულ კატეგორიებზე, სადაც დაზარალებულია ქალი ან 16 წლამდე არასრულწლოვანი, პირი ვალდებულია მისცეს ჩვენება თუნდაც თავისი მეუღლის წინააღმდეგ. თითქმის ერთადერთი მაგალითი მოწმის პრივილეგიისა, რომელსაც არ აქვს რაიმე შეზღუდვა, არის ადვოკატის პრივილეგია, რომელიც არ დაკითხება მოწმის სახით მისი კლიენტის საქმის გამო.

ინგლისური მტკიცებულებითი სამართლის ფუნდამენტურ დებულებას წარმოადგენს „ხმებზე დამყარებული ჩვენების“ ინსტიტუტი (hearsay).⁴ ამ სახის მონაცემთა სასამართლოში გამოყენება, ზოგადი

1 12 წელს მიღწვეული მცირეწლოვანი პირის დაკითხვა წარმოებს მის მურ ფიცის დადების გარეშე

2 ჩვენების მიცემის შესაძლებლობა ან ასეთის შეუძლებლობა სულიერი ავადმყოფობის გამო, წარმოადგენს რა შეუახებთ კატეგორიას, არ არის ავტომატურად ფორმალური საუბრელი მოწმის აკრძალვისა და შესაძლოა, მზარეა შორის სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დავის ცალკე საენაღ იქცეს. ისეთი სახის შესაძლებლობა ან შესაძლებლობის არ არსებობა განიხილეს, როგორც მტკიცებას დაქვემდებარებული გვერდითი, თანმდევი გარეუბრა (იხ. ზემოთ, მოცემულ პარაგრაფში).

3 ინგლისურ მტკიცებულებითი სამართალში ასე მიღებულია ეწოდოს მოწმის უფლებას არ მისცეს ჩვენება საერთოდ, ანდა რაიმე კონკრეტულ გარემოებათა შესახებ. რუსულ სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში, ხშირად ამ ინსტიტუტს მოწმის იმპიტეტს უწოდებენ, რაც მიიღია ზუსტი არ არის.

4 ხაზდახან იკრძაინი „hearsay“ არაზუსტად არის ზოლმე ნათარგმნი, როგორც „ხმებზე დამყარებული ჩვენების მიცემის აკრძალვა“. ეს ინგლისური ტერმინი გულისხმობს არა მიიღია

წესის თანახმად, დაუშვებელია, ვინაიდან ეს ინფორმაცია შეუძლებელია გადამოწმდეს ჯვარედინი დაკითხვით.¹ მოწმეს უფლება აქვს ისაუბროს ვინმესთან საუბრის ფაქტის შესახებ, მაგრამ არა ამ საუბრის შედეგად მიღებული ცნობების შინაარსის შესახებ. სხვა სიტყვებით, მტკიცებულების სახით დაიშვება მხოლოდ პირველადი, მაგრამ არა ნაწარმოები მოწმის ჩვენებები.

ეს უკანასკნელნი შესაძლებელია დაიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თვითონ შეიძენენ პირველადის ხასიათს, ესე იგი, როდესაც დაკითხული იქნება პირი, ვისგანაც მომდინარეობს ინფორმაცია, რომელიც ინტერესს წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე წარმოებასთან დაკავშირებით. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს მესამე პირისაგან მონაცემები მიღებული იყო ზეპირი თუ წერილობითი ფორმით. სწორედ ამიტომ, ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში, როგორც წესი, გამოირიცხება საპოლიციო დაკითხვის ოქმების გამოყენება. ნებისმიერი პოლიციელი, რომელმაც დაკითხვა ჩაატარა პროცესის წინასასამართლო სტადიაზე სასამართლოს მიერ განიხილება, როგორც უბრალოდ მოწმე და, შესაბამისად, მოწმეს არ აქვს უფლება დაეყრდნოს მონაცემებს, რომელიც მან სხვა მოწმისაგან (დასაკითხისაგან) მიიღო, თუნდაც ეს მონაცემები ოქმში იყოს გაფორმებული. იმისათვის, რომ ეს მონაცემები მტკიცებულების სახით იყოს დაშვებული, საჭიროა გამოძახებული და უშუალოდ დაკითხული იყოს სასამართლოში მოწმე, რომელიც წინათ დაკითხა სხვა მოწმის (პოლიციის თანამშრომლის) მიერ.

ზოგადი წესი „ხმებზე დამყარებული ჩვენების“ აკრძალვის შესახებ, ისევე როგორც მტკიცების წესების უმრავლესობა, იცნობს უამრავ გამონაკლისს. ყველაზე მნიშვნელოვანი გამონაკლისია, რაც უკვე ინგლისური სისხლის სამართალწარმოების ტრადიციად იქცა, ბრალდების უფლება, გარკვეული გარემოებების არსებობისას (მათზე ქვემოთ) დაეყრდნოს ბრალის აღიარებას, რომელიც ბრალდებულმა მესამე პირის წინაშე გააკეთა. ამ გამონაკლისის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ, იგი ხომ ბრალდებას საშუალებას აძლევს მტკიცებულების სახით გამოიყენოს ბრალის აღიარება მიღებული პოლიციის მიერ, რომელიც განიხილება როგორც „მესამე პირი“, რომელიც „სხვის სი-

შეზიხვევს. როდესაც „მოწმეს არ შეუძლია მართლმითონ ინფორმაციის მიღების წყარო“ (რაც ჩვეულებრივ „სხმებზე დაყრდნობით ჩვენების მიცემასი“). არაზღა ასევე, რაღაც უფრო უართო. მათ შორის შესიხვევები, როდესაც მოწმე გადმოსცემს ცნობებს, რომელიც მან მიიღო სხვა კონკრეტული პირისაგან, რომელიც რაღაც მიზეზების გამო ვერ იქნება გამოძახებული ჩვენების მისაცემად.

¹ ჯვარედინი დაკითხვის შესახებ (cross-examination) იხ. მოცემული თავი, §7.

ტყვებს“ ეყრდნობა (ბრალდებულის ჩვენება).

არსებობს hearsay-ის აკრძალვიდან სხვა გამონაკლისებიც. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1925 წლის კანონმა „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ გაითვალისწინა დებულება საპოლიციო ოქმებისა და მოწმეთა სხვა ჩვენებების სასამართლოში გამოყენების შესახებ (ესე იგი იმ პირთა ჩვენებებისა, რომლებიც ვერ გახდნენ ბრალდებულები) მოწმის გარდაცვალების, მისი ფსიქიკურად შეშლის ან სერიოზული ავადმყოფობის შემთხვევებში. 1988 წლის „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ კანონმა ამას კიდევ დაუმატა შექთხვევები, როდესაც მოწმე იმყოფება დიდი ბრიტანეთის ფარგლებგარეთ, გაუჩინარდა, ანდა ეშინია, რომ გაუსწორდებიან ჩვენების მიცემის გამო (თუმცა ამ კანონით გათვალისწინებული ყველა გამონაკლისი hearsay-ის აკრძალვიდან ფაქულტატურია და შეიძლება ადგილი ჰქონდეთ მხოლოდ მოსამართლის თანხმობით საქმის კონკრეტული გარემოებათა გათვალისწინებით). 1988 წლის კანონი არ უკავშირებს ამ მიზეზების გამო გამოუცხადებელი პირის ჩვენებების ფორმას მაინცდამაინც საპოლიციო დაკითხვის ოქმს: ისინი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მხარეთა მიერ წერილების, აუდიო ან ვიდეოჩანაწერების სახით და სხვა (მაგრამ, მაინც განიხილებიან როგორც მოწმის ჩვენებათა ნაირსახეობები და არა როგორც „სხვა“ მტკიცებულებები).

ხმებზე დამყარებული ჩვენების აკრძალვის წესიდან მრავალ გამონაკლისს შეიცავს საერთო სამართლის ნორმები. მაგალითისათვის, ასეთი სახის მოწმის ჩვენებები შესაძლოა მტკიცებულების სახით იყოს მიღებული საიდუმლო შეთქმულებათა საქმეებზე (conspiracy). ჩვენების მიცემისას შეთქმულების ერთ-ერთ მონაწილეს უფლება აქვს დაეყრდნოს მისი სხვა მონაწილეებთან საუბრის შინაარსს (სხვაგვარად ამ დანაშაულთა გახსნა შეუძლებელი იქნებოდა). სულ ახლახანს, 1996 წლის 3 აპრილს, სააპელაციო სასამართლომ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლითაც „ფარულ შეთქმულებათა“ საქმეებს გაუთანაბრა ასევე ფირმის თანადამფუძნებელთა მიერ ჩადენილი ეკონომიკური ხასიათის დანაშაულთა საქმეები. ახლა hearsay-ის აკრძალვა შესაძლოა არ მოქმედებდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჩვენებას აძლევს ერთ-ერთი თანადამფუძნებელთაგანი.

hearsay-ის აკრძალვის წესიდან გამონაკლისების ხასიათი ისეთია, რომ საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ მტკიცებაში ან ტრადიციული აკრძალვის რეალური როლის შემცირების მყარ ტენდენციასზე. მაგრამ იმის მტკიცება, რომ მან სრულად დაკარგა მნიშვნელობა, ჯერ ნაადრე-

ვია. ასე მაგალითად, 1997 წელში სამართლებრივი რეფორმის კომისიამ (Law Commission) მოამზადა დასკვნა №245, მიძღვნილი hearsay-ის ინსტიტუტისადმი, სადაც რეკომენდაციას იძლეოდა შეენარჩუნებინათ იგი ზოგადი წესის სახით, მაგრამ გაეზარდათ გამონაკლისთა რიცხვი, რაც საშუალებას მისცემდათ „არ დარღვეულიყო ტრადიცია და, ამასთან, დაძლეული ყოფილიყო გარკვეული სირთულეები მტკიცებისას“.

ბრალდებულის ჩვენება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ წარმოადგენს ინგლისში მტკიცებულებათა განსაკუთრებულ სახეს (წყაროს), არამედ მოწმის ჩვენებათა ნაირსახეობაა, რომელსაც თუმცაღა გარკვეული სპეციფიკა გააჩნია. 1898 წლამდე ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებდა წესი, რომ, თუ ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს, იგი უნდა დუმდეს, ესე იგი ამ პირს არ ჰქონდა უფლება ისევე ჩვენება მოწმის სახით (*nemo testis in propria causa* – არავინ არ შეიძლება იყოს მოწმე საკუთარ საქმეზე). 1989 წლის „სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“ კანონი, რომელიც დღესაც ინგლისის მტკიცებულებითი სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, ბრალდებულს უფლებას ანიჭებს საკუთარი სურვილის მიხედვით მისცეს ჩვენება, რა დროსაც იგი „დაცვის მოწმის“ სახით გამოდის. ასეთი სახის ჩვენებები ბრალდებულს შეუძლო მიეცა როგორც ფიცის ქვეშ (წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მუქარის ქვეშ), ისე – მის გარეშე.

1982 წლის „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ კანონმა აღნიშნული შესაძლებლობა გააუქმა: ახლა ბრალდებული ჩვენებას ყველა შემთხვევაში ფიცის ქვეშ აძლევს. ასე, რომ ბრალდებულის იძულება ჩვენების მიცემაზე დაუშვებელია, მაგრამ, თუ იგი თავად მიიღებს ამის შესახებ გადაწყვეტილებას, მისი დაკითხვა უკვე მთლიანად ექვემდებარება მოწმის დაკითხვის წესებს: კერძოდ, იგი შეიძლება ჯვარედინად დაიკითხოს. რაც შეეხება ბრალდებულის (ექვმიტანილის) ჩვენებებს, რომელიც პოლიციამ მიიღო მისგან წინასასამართლო სტადიაზე, ისინიც მოწმის ჩვენებების სახით განიხილება და იურიდიულ მნიშვნელობას იძენენ ძირითადად მაშინ, როდესაც ბრალის აღიარებას შეიცავენ (ამაზე ქვემოთ იხ.).

ბრალდებულის ჩვენების დახასიათებასთან დაკავშირებით პრინციპული მნიშვნელობა აქვს საპოლიციო დაკითხვისას ექვმიტანილის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის იურიდიული მნიშვნელობის საკითხს და განსასჯელის უარს მიაწოდოს რაიმე ინფორმაცია (მათ შორის დასმულ

კითხვებზე თავის არიდება) იმ შემთხვევაში, როდესაც მან თანხმობა განაცხადა გამოსულიყო სასამართლოში მოწმის სახით. ტრადიციულად, ასეთი უარი იმ პირის განუყოფელ უფლებად ითვლებოდა, რომელიც თავს იცავდა წაყენებული ბრალდებისაგან და ამ უფლებას „დუმბილის უფლებას“ უწოდებდნენ. ეს უფლება არა მარტო საერთო სამართლის ერთ-ერთი დოგმა იყო, არამედ განმტკიცებული იყო 1898 წლის „სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“ კანონშიც. იგი არაერთხელ იქნა დადასტურებული ამ კანონის შემდეგ გამოცემულ აქტებში. მაგალითისათვის. ზემოთ ხსენებულ 1984 წლის კანონის დანაწესთა საფუძველზე შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ერთ-ერთ პრაქტიკულ წესთა კრებულში, პოლიციის თანამშრომლებს ეკისრებოდათ ეკლდებულება ექვმიტანილის დაკითხვის დაწყებისადმი გაეკეთებინათ შეტყუი განმარტება: „თქვენ არ ხართ ვალდებული რაიმე თქვათ, თუ თქვენ თვითონ არ გსურთ ეს, მაგრამ ყველაფერი, რასაც იტყვი, შემდგომში შესაძლებელია გამოყენებული იყოს თქვენს წინააღმდეგ“. დიდი ხნის მანძილზე მოქმედი სამოსამართლო წესების (მათზე იხ. ზემოთ – მოცემული თავი, §2) თანახმად, ანალოგიური განმარტება უნდა გაკეთებულიყო სასამართლოში განსასჯელის დაკითხვისას.

კანონმდებლობაში ახლახანს შესულმა შესწორებებმა კარდინალურად შეცვალა ბრალდებულის დუმბილის უფლებისადმი ტრადიციული მიდგომა. 1994 წლის „სისხლისსამართლებრივი იუსტიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ“ კანონში მოცემული მთელი რიგი დებულებები ამ უფლების შეზღუდვას ითვალისწინებს. ამ კანონის 35-ე მუხლის თანახმად, თუ ბრალდებული სასამართლოში „ყოველგვარი მიზეზის გარეშე (without good cause)“ უარს აცხადებს წარადგინოს მტკიცებულებანი ან უპასუხოს დასმულ კითხვებს (ეს უკანასკნელი ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მან გამოთქვა სურვილი გამოსულიყო მოწმის სახით და დალო ფიცი). მაშინ მოსამართლებს ან ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ გააკეთონ აქედან დასკვნები ამ პირის დამნაშავეობის საკითხის გადაწყვეტისას. კანონის 34-ე მუხლის თანახმად, ანალოგიური საპროცესო შედეგებია გათავლისწინებული, თუ ექვმიტანილი დუმდა საპოლიციო დაკითხვის დროს. კანონის 36-ე და 37-ე მუხლები საშუალებას აძლევს მოსამართლებს ან ნაფიც მსაჯულებს გააკეთონ დასკვნა პირის დამნაშავეობის შესახებ, როდესაც მან ვერ შეძლო ან უარი თქვა აეხსნა პოლიციის ან სასამართლოსათვის მასთან გარკვეული „საგნების ან ნივთიერებათა“ არსებობა, ანდა მისი ყოფნის მიზეზი გარკვეულ დროს გარკვეულ ადგილას, სადაც დანა-

შეიქმედეს დათქმას, რომ „ამ მუხლის დებულებანი არ აიძულებს ბრალდებულს წარადგინოს მტკიცებულებანი თავის სასარგებლოდ და, შესაბამისად, თუ უარს განაცხადებს ამაზე, იგი არ შეიძლება დაძნაშავედ იქნეს ცნობილი სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო (contempt of court)“. კანონში, ასევე, არის დათქმები, რომლებიც ავალდებულებს სასამართლოს შეაფასოს „ბრალდებულის ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობა“, რომ მას შეგნებული აქვს ყველა შესაძლო უარყოფითი შედეგი, რაც მის ღუმილს შეიძლება მოჰყვეს, ასევე, შესწევს თუ არა მას უნარი, წარადგინოს საჭირო მტკიცებულებანი. გადაწყვეტილების მიღებისას ან ნაფიც მსაჯულთა დაკვალიანებისას მოსამართლემ უნდა განასხვაოს სიტუაციები, როდესაც ბრალდებულს შეუძლია, მაგრამ არ სურს მტკიცებულებათა წარდგენა და როდესაც მას სურს, მაგრამ არ შეუძლია ამის გაკეთება. მიუხედავად ამ დათქმებისა, საესებით შესაძლებელია დაეასკნათ, რომ აქამდე სათუთად დაცულ და აქტიურად პროკავანდირებულმა „დუმილის უფლების“ ინსტიტუტმა დიდი დარტყმა დანიცადა. ინგლისურ დოქტრინაში, ნორმები, შემოღებული კანონის 34-ე-დან 38-ე მუხლების ჩათვლით დაკვალფიცირებულია, როგორც „დუმილის უფლების შეზღუდვა“.¹

განსახილველ კანონზე თანდართულ ოფიციალურ განმარტებაში აღნიშნულია, რომ 1898 წლის „სისხლისსამართლებრივი მტკიცებულებათა შესახებ“ კანონის დებულებებანი, რომლებიც „დუმილის უფლებას“ შეეხება, ძალას კარგავენ. ახლა უკვე ბრალდებას უფლება აქვს ბრალდებულის დუმილის კომენტარებისა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. 1995 წლის „სისხლისსამართლებრივი იუსტიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ“ კანონის შემოღების შემდეგ განახლდა პრაქტიკულ წესთა საპოლიციო კრებულები. ახლა პოლიციის თანამშრომელი, ვიდრე იგი ეჭვმიტანლის დაკითხვას დაიწყებდეს, ვალდებულია გააკეთოს ზემოთ მოყვანილი განმარტებისაგან განსხვავებული განმარტება: „თქვენ არ ხართ ვალდებული რაიმე თქვით. მაგრამ ამ დუმილმა შესაძლოა გაართულოს თქვენი დაცვა, როდესაც თქვენ შეგეკითხებიან რაიმეს შესახებ, რაზეც თქვენ აპირებთ დაეყრდნოთ შემდგომ სასამართლოში. ყველაფერი, რასაც თქვენ იტყვით შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს საქმეზე მტკიცებულებად“.

რა მნიშვნელობა ენიჭება ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარე-

¹ იხ. მაგალითად: *Dennis J. The Criminal Justice and Public Order Act. The evidence provisions* / The criminal law review. 1995. N1. P. 4.

ბას ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში? უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ მტკიცებულებით სამართალს აინტერესებს მხოლოდ საპოლიციო დაკითხვისას ბრალის აღიარება, ამასთან, მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც ბრალდებული უარყოფს ამ აღიარებას სასამართლო განხილვის მსვლელობისას. საქმე ისაა, რომ, თუ ბრალდებული სასამართლოში სრულად ცნობს თავს დამნაშავედ (guilty plea), მაშინ საუბარია განსაკუთრებულ საპროცესო ინსტიტუტზე, რაც დაეხება უარის თქმასა და მხარეთა მიერ საქმეზე გარემოებათა მტკიცების აუცილებლობის არარსებობას ნიშნავს – უმრავლეს ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადადის სასჯელის შეფარდების საკითხზე. ამ გაგებით, ინგლისის სისხლის სამართლის პროცესი საგრძობლად განსხვავდება კონტინენტურისაგან, სადაც ბრალის აღიარება ბრალდებულის ჩვენების ნაირსახეობაა, ესე იგი საქმეზე ერთ-ერთი მტკიცებულება (თან, რიგითი მტკიცებულება).

რაც შეეხება საპოლიციო დაკითხვისას მიღებულ აღიარებას, პრინციპში, მისი სასამართლოში გამოყენება დასაშვებია (როგორც უკვე აღინიშნა, აქ ადგილი აქვს hearsay-ის აკრძალვიდან გამონაკლისს). დასაშვებობის წინაპირობას აღიარების ნებაყოფლობა წარმოადგენს. 1984 წლის „პოლიციისა და სისხლის სამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“ კანონის 76-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია უარყოს მტკიცებულება, თუ მივა დასკვნამდე, რომ იგი მოპოვებულია იძულების ან სხვა ქმედებების შედეგად, რაც მას საეჭვოს ხდის. საპოლიციო დაკითხვის ჩატარებისას საპროცესო წესების დარღვევა, მათ შორის დაკვის უფლების დარღვევა, არ განიხილება ინგლისში როგორც ბრალის აღიარებისათვის მტკიცებულებით მნიშვნელობის მინიჭებაზე უარის უპირობო საფუძველი (თუ თვითონ აღიარების უტყუარობა არ იწვევს ეჭვს). მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს აქვს უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ შეაფასოს მტკიცებულების დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის საკითხი. სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრდა წესი, რომ კანონის დარღვევით მიღებულ აღიარებას სასამართლო განიხილავს როგორც დაუშვებელ მტკიცებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მივა დასკვნამდე, რომ პოლიციამ შეგნებულად დაარღვია კანონი – წინააღმდეგ შემთხვევაში აღიარება დასაშვებად მიიჩნევა.

საეჭვო ბრალის აღიარების მტკიცებულების სახით გამოყენების დამატარებულ საპროცესო გარანტიას წარმოადგენს ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის არქაული და თავისებური ინსტიტუტი. რომელსაც ისტორიულად ფრანგული სიტყვები „voir dire“ ეწოდება

(სიტყვასიტყვით: „ხელაღეყ – ამბობდე“¹). ხანდახან ინგლისურ დოქტრინაში მას უწოდებენ როგორც „სასამართლო განხილვა სასამართლო განხილვის შიგნით“ (trial – within – a trial). აღნიშნული ინსტიტუტი² გამოიყენება მხოლოდ გვირგვინის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვისას. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: თუ ბრალდება საჭიროდ თვლის წინასასამართლო სტადიებზე ბრალდებულის მიერ გაკეთებული ბრალის აღიარების მტკიცების პროცესში გამოყენებას, ხოლო სასამართლოში ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს, ბრალმდებელი თხოვნით მიმართავს სასამართლოს, რომ მან სთხოვოს ნაფიც მსაჯულებს დატოვონ დარბაზი. შემდეგ ბრალმდებელი მოწმის სახით გამოიძახებს პირებს (უფრო ხშირად ესენი არიან პოლიციის თანამშრომლები), რომელთა წინაშეც ბრალდებულმა აღიარა ბრალი და ეს პირები (ჯვარედინად) დაიკითხებიან. შემდეგ დაცვას უფლება აქვს წარმოადგინოს თავისი მოწმეები: როგორც წესი, „დაცვის მოწმედ“ გამოდის ბრალდებული, რომელიც დაჟინებით აცხადებს, რომ აღიარება მის მიერ იყო მიცემული, ვთქვათ, იძულების ზემოქმედებით. იგი ასევე დაიკითხება. ამის შემდეგ მხარეები წარმოადგენენ თავიანთ პოზიციებს კამათში და ბოლოს სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას – ბრალის აღიარება შესაძლებელია განიხილოს როგორც დაშვებული მტკიცებულება, ანდა იგი უნდა იყოს უარყოფილი. თუ სასამართლო ბრალდებისათვის დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს, ბრალმდებელს უფლება აქვს გამოიყენოს ეს მტკიცებულება ნაფიც მსაჯულთა წინაშე, თუ არა – მსაჯულები ვერაფერს შეიტყობენ აღიარების ირგვლივ გამართულ დებატებზე, რაც ვერ მოახდენს მათზე გავლენას. მაგისტრატების სასამართლოში voir dire-ს პროცედურა არ გამოიყენება, ვინაიდან იქ არ არიან ნაფიცი მსაჯულები და საპოლიციო დაკითხვისას მიღებული ბრალის აღიარების ნებაყოფლობის შემოწმება მოსამართლის მიერ ხორციელდება, ჩვეულებრივ, პოლიციის თანამშრომელსა და ბრალდებულს შორის დაპირისპირების ჩატარების გზით.

4. მტკიცების ტვირთი (*onus probandi*). მტკიცების ტვირთის პრობლემა, ესე იგი საკითხი იმის თაობაზე, თუ ვის აწევს მტკიცების ვალდებულება, უშუალო კავშირშია სისხლის საპროცესო ფუნდამენტურ პრინციპთან – უდანაშაულობის პრეზუმფციასთან. თუ უდანაშაულობის

1 ეს ილიოური გამოთქმა, რომელიც ძველ ფრანგულ ენაზე „სამართლის თქმას“ ნიშნავდა.

2 გაუგებრობათა თავიდან არიდების მიზნით, საჭიროა დავაზუსტოდ, რომ voir dire-ს ინსტიტუტს ანგლოსაქსონურ სამართალში რამდენიმე ვარიანტი აქვს, რომლებიც სხვადასხვა საპროცესო სიტუაციაში გამოიყენება, ცერძოდ, აქ მოყვანილი ინგლისური ვარიანტი არ ემთხვევა ამ ინსტიტუტისადმი მიდგომის ამერიკულ ვარიანტს (იხ. თავი მე-3, §7).

პრეზუმფცია არსებობს, მაშინ მისგან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ მტკიცების ტვირთი ბრალდებას აწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ამ საკითხის სხვა ვარიანტებიც არსებობდეს.

ინგლისის სისხლის საპროცესო სამართლის სპეციფიკა ტრადიციულად შემდეგში მდგომარეობდა: ერთი მხრივ, მისი დოქტრინა და პრაქტიკა უკვე დიდი ხანია მიიჩნევა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართალწარმოების ზოგადი პრინციპის სახით არსებობს, მეორე მხრივ, რომ ეს პრინციპი არასოდეს ყოფილა განმტკიცებული სამართლის ნორმის დონეზე. ამის ახსნა შესაძლებელია, პირველი, ინგლისში დაწერილი კონსტიტუციის არარსებობით (უმრავლეს ქვეყანაში სწორედ კონსტიტუციაშია ჩამოყალიბებული აღნიშნული პრინციპი) და, მეორე, სისხლის საპროცესო სამართლის არაკოდინფიცირებულობით, რამაც საბოლოოდ იქამდე მიიყვანა, რომ მის მრავალ ზოგად დებულებას, მათ შორის უდანაშაულობის პრეზუმფციას, არ გააჩნია გარკვეული ფორმა (სახე).¹ შინაარსის შესახებ, რომელიც ჩადებულია ამ პრინციპში ინგლისური დოქტრინითა და პრაქტიკით, შესაძლოა ვიმსჯელოთ მხოლოდ სხვადასხვა დროს და უკიდურესად არაერთგაროვან კონკრეტულ საქმეებზე ავტორიტეტული სასამართლო ინსტანციების, უპირველეს ყოვლისა, ლორდთა პალატისა და სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით (მაგალითისათვის, 1968 წელში მისი ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილება კარპერის საქმეზე). ეს გადაწყვეტილებანი ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ იმ ზოგადი დებულების აღიარებით, რომ ყველა ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ იგი დამნაშავედ არ იქნება ცნობილი კანონით დადგენილი წესით, არამედ იმითაც, რომ ამჟამად მიუთითებს ამ საერთო დებულებიდან გამონაკლისების ძიებისა და აღმოჩენის (უკვე დიდი ხნის წინათ შემჩნეულ) ტენდენციაზე.

ასეთი ტენდენცია, ბუნებრივია, გამოვლინდა იმაშიც, რომ, უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, დებულებამ მტკიცების ტვირთის

¹ ასეთი განუსაზღვრელობის დაძლევის ცდა შეიძლება ვაღიარო 1998 წელს, ზემოთ ხსენებული (იხ. მოცემული თავი, §2) „ადამიანის უფლებათა შესახებ“ კანონის მიღება. მან არა მხოლოდ გაითავალისწინა ეროვნულ სამართლებრივ სწრაფთა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციასთან შეუსაბამობის დადგენის შეუძლებლობა, არამედ კიდევ ერთხელ (პირველად ეს კონვენციის რატიფიკაციისას მოხდა), ოფიციალურად, საკანონმდებლო წესით დაადასტურა ამ კონვენციის დანაწესთა სავალდებულობა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოსათვის, მათ შორის, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესისა, სადაც ნათქვამია: „ნებისმიერი პირი, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში, პრეზუმირებულია უდანაშაულოდ, კიდევ მისი დამნაშაუება არ იქნება დადგენილი კანონის შესაბამისად“.

შესახებ ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში თავისებური აზრი შეიძინა. ეს დებულება მხოლოდ ზოგადად აღიარებს, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცების ვალდებულება (ტვირთი) ბრალმდებელს აკისრია, მაგრამ იგი არსებით გამოხატვისასაც უშვებს:

პირველი, რომ ბრალდება ვალდებულია ამტკიცოს ბრალდებულის ბრალი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი უარყოფს მას, ესე იგი როდესაც მხარეებს შორის არსებობს დავა. თუ ბრალდებული აღიარებს ბრალს, ეს ათავისუფლებს ბრალდებას მტკიცების ტვირთისაგან, რაც შესაძლოა საპროცესო წინამძღვარი გახდეს შეკრებილ მტკიცებულებათა ანალიზის გარეშე სასჯელის დანიშვნისა და მხარეთა შორის სხვადასხვა „გარიგებებისა“ და „შეთანხმებების“ დადებისა.

მეორე, რომ ბრალდებისათვის საკმარისია დაამტკიცოს მხოლოდ თვითონ დანაშაულის ფაქტი (actus reus) და მის ჩადენაში ბრალდებულის ბრალის არსებობა. ის, რომ ბრალის არსებობა უნდა დაამტკიცოს ბრალდებამ და არა დაცვამ – მისი არარსებობა, სასამართლო პრაქტიკაში დიდი ხნის მანძილზე წინააღმდეგობათა საგანს წარმოადგენდა. მხოლოდ 1935 წლის თავის ცნობილ გადაწყვეტილებაში ლორდთა პალატამ ჩამოაყალიბა ე.წ. „ვულმინგტონის წესი“, რომლის თანახმადაც, ბრალის მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდებას. ამავდროს, თუ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, რომელზეც დანაშაულის შემთხვევა და მისი განსასჯელის მიერ ჩადენა დადგენილია და დავას არ იწვევს, დაცვა მიუთითებს გარემოებებზე, რომლებიც ბრალდებულს ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მაგალითად, მის შეურაცხადობაზე. ასეთ შემთხვევაში გარემოებებზე მითითების დასაბუთებულობის მტკიცების ტვირთი გადადის დაცვაზე.

მესამე, არსებობს სისხლის სამართლის საქმეთა ცალკეული კატეგორიები, როდესაც ბრალდებისათვის, მიუხედავად ვულმინგტონის წესისა, საკმარისია მხოლოდ გარკვეულ მოქმედებათა განხორციელების ფაქტის დამტკიცება. ხოლო ბრალის არარსებობის მტკიცების ტვირთი აწევს დაცვას. ასე მაგალითად, 1916 წლის „კორუფციის თავიდან აცილების შესახებ“ კანონის თანახმად, მოხელე, რომელმაც ვინმესგან მიიღო საჩუქარი, ვალდებულია დაამტკიცოს, რომ მისი მოქმედებანი არ არის დაკავშირებული კორუფციასთან. ანალოგიურად გადაწყდება საკითხი 1953 წლის „დანაშაულთა დავიდან აცილების შესახებ“ კანონით: პირი, რომელსაც აღმოაჩნდა იარაღი, ვალდებულია ამტკიცოს მის

შენახვასა და ტარებაზე უფლების არსებობის შესახებ. მსგავსი გამონაკლისების ჩამოთვლა კიდევ არის შესაძლებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ მრავალი ქვეყნის სისხლის სამართალწარმოებაში ფართოდ და უპირობოდ აღარებული დებულება ბრალის მტკიცების ტვირთის ბრალდებისათვის დაკისრების შესახებ ინგლისში ჯერ კიდევ არ არის უპირობოდ აღიარებული.

5. *მტკიცებულებათა შეფასება.* ვინაიდან ინგლისში არასოდეს ყოფილა გაბატონებული სისხლის სამართალწარმოების ინკვიზიციური ფორმა, ამდენად არასოდეს ყოფილა აღიარებული მისი აუცილებელი ატრიბუტი — მტკიცებულებათა საკანონმდებლო ფორმალიზაცია, რომელიც, თავის დროზე, სამართალწარმოების ამ ფორმისათვის დამახასიათებელი მტკიცებულებითი სამართლის, მთლიანად და ნაწილობრივ, შესაბამის მტკიცებულებათა შეფასების წესების საფუძველს წარმოადგენდა. ამდენად, ინგლისელებს არ დასჭირვებიათ ინკვიზიციურ პროცესთან ერთად უარი ეთქვათ მტკიცების იმ მოდელზე, რომელიც მტკიცებულებათა ფორმალიზაციას ემყარებოდა და შეექმნათ მისი საპირისპირო მოდელი, რომელიც მტკიცებულებათა ე.წ. შინაგანი რწმენით შეფასებაზე იქნებოდა დამყარებული. ისინი თავიანთ გზას მიუყვებოდნენ.

მტკიცებულებათა შეფასებისადმი ინგლისური (ანგლოსაქსონური) მიდგომა დაუშვებელია პირდაპირ გათანაბრებული იყოს იმ მიდგომასთან, რომელიც უფრო მეტად გავრცელებული იყო ინკვიზიციური სამართალწარმოების პირობებში, ან რომელიც ორიენტირებულია მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებაზე შინაგანი რწმენით. ინგლისისა და სხვა ქვეყნებში, რომლებმაც მისი სამართლებრივი სისტემა გაიზიარეს, დამკვიდრდა შუალედური ვარიანტი, რომელიც წააგავს მტკიცებულებათა შეფასებისადმი მიდგომის როგორც პირველ (უფრო ნაკლებად), ისე მეორე (ზოგადად) ვარიანტებს.

ინგლისში საყოველთაოდ აღიარებულ, სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას მტკიცებულებათა შეფასების წესების თანახმად, კრიტერიუმს „გონივრული ეჭვის არარსებობა“ (beyond a reasonable doubt) უნდა წარმოადგენდეს. სხვა სიტყვებით, ბრალდებამ, რომელსაც ძირითადად აწევს მტკიცების ტვირთი, ცალკეულ შემთხვევებში დაცვაშიც, უნდა დაამტკიცონ საქმის გარემოებანი იმგვარად, რომ სასამართლოს არ დარჩეს გონივრული ეჭვი იმ თეზისების უტყუარობაში, რომლებზეც დაფიქრებით ირწმუნება მტკიცების სუბიექტი. ამ კონტექსტში გამოყენებული სიტყვათა ერთობლიობა „გონივრული ეჭვი“ არ გვაძლევს საშუალებას ვისაუბროთ (კონტინენტურ ევროპაში) ე.წ. „მატერიალურ

ქვეყნისებობაზე“, როგორც მტკიცების მიზანზე: ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ ალბათობის მაქსიმალურ ხარისხზე. ამასთან, მოსამართლე რჩება პასიური არბიტრის როლში მხარეთა შორის, რომლებმაც უნდა დაარწმუნონ იგი ალბათობის ასეთი ხარისხის არსებობაში (არარსებობაში).

„გონივრული ეჭვის არარსებობის“, როგორც მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმის ინგლისური კონცეფცია, პრინციპში, თავისუფლად შეგვიძლია შევადაროთ რუსი იურისტებისათვის კარგად ნაცნობ მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასების ინსტიტუტს, თუმცა აქტენტებში გარკვეული სხვაობა „განსასჯელის დამნაშავეობაში ეჭვის არარსებობისა“ და „განსასჯელის დამნაშავეობაში რწმენის“ ცნებებს შორის უდავოდ არსებობს. ამავე დროს, ინგლისურ მტკიცებულებით სამართალში იშვიათობას არ წარმოადგენს მტკიცებულებათა შეფასებისას მოსამართლეთა თავისუფლების შემზღვეველი ისეთი სპეციფიკური წესები, რაც, გარკვეულწილად, საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ მისი მსგავსება მტკიცებულებათა ფორმალიზაციაზე დაყრდნობულ მტკიცებასთან.

ეს თავისებურება კარგად ჩანს, კერძოდ, „მტკიცებულებათა გამაგრების“ (corroboration) წესებში, რომლებიც ინგლისელმა მოსამართლეებმა შექმნეს XVIII საუკუნეში, რათა თავიდან აერიდებინათ სასამართლო შეცდომები სისხლის სამართლის საქმეთა ზოგიერთ კატეგორიებზე (რომლებიც შემდგომ გაიზიარა სტატუტურმა სამართალმა). მათი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა დაიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამამტყუნებელი მტკიცებულებანი პასუხობენ ფორმალურ მოთხოვნებს, ანდა, როდესაც გამამტყუნებელი მტკიცებულებანი ფორმალურად გამაგრებულია სხვა მტკიცებულებებით. თუნდაც მოსამართლეს არ ჰქონდეს გონივრული ეჭვი, მას არ აქვს უფლება, გამოიტანოს შესაბამისი განაჩენი ასეთი „გამაგრების“ გარეშე. შესაძლებელია ჩამოთვლა რამდენიმე მოქმედი კანონისა, რომლებიც ამ სახის წესებიდან გამომდინარეობს: ა) 1795 წლის კანონი „სახელმწიფო ღალატის შესახებ“ (Treason Act), რომლის თანახმადაც, პირის მსჯავრდება ღალატში დაიშვება, როგორც მინიმუმ ორი მოწმის ჩვენების არსებობისას; ბ) 1911 წლის კანონი „ცილისწამების შესახებ“ (Perjury Act), რომელიც კრძალავს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე, როდესაც არ არსებობს სხვა მტკიცებულებები; გ) 1984 წლის კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ (Road Traffic Regulation Act), რომელიც

მოითხოვს, რომ სიჩქარის გადაჭარბებაში ბრალდება გამაგრებული იყოს ერთი მოწმისა და ნებისმიერი სხვა (როგორც მინიმუმ) მტკიცებულე-ბით.

§5. წინასასამართლო წარმოება სისხლის სამართლის საქმეში

1. ზოგადი დაბასიათება. ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ მისთვის ისტორიულად დამახასიათებელი არ ყოფილა (კონტინენტური ევროპის ქვეყნების მსგავსად) ორ, თავისი იურიდიული მნიშვნელობით თანაბარ, ნაწილად დაყოფა: წინასწარი (წინასასამართლო) გამოძიება და სასამართლო განხილვა. იგი არ იცნობს არც წინასწარი გამოძიების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა მოკლევადი და გამოძიება. ეს იმით აიხსნება, რომ, როგორც ზემოთ იყო საუბარი (იხ. მოცემული თავი, §1 და §3), ინგლისის საზოგადოების, სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების თავისებურათა გამო, კონტინენტური ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის პროცესის ინკვიზიციურ ფორმას ამ ქვეყანაში აღიარება არასოდეს მოუპოვებია. არც სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობა ყოფილა როდისმე განმარტებული, როგორც საქმიანობა, მიმართული ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, საქმის გარემოებათა მიუკერძოებლად გამოკვლევისა, კენ და წარმართული კანონის ნებით საზოგადოების (სახელმწიფოს) ინტერესებში (დამოუკიდებლად მხარეთა ნებასურვილისაგან). პროცესის ინგლისური თეორიული მოდელის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმე – ეს არის დავა ორ თანასწორ მხარეს შორის. ამ გაგებით შეიმჩნევა პირდაპირი და ადვილად გასაგები ანალოგია სამოქალაქო პროცესთან, სადაც არ არსებობს რამე წინასასამართლო სტადია და სადაც მტკიცებულებათა შეკრება სასამართლოში მათ წარსადგენად მოსარჩელისა და მოპასუხის პერეოგატივად რჩება. ამასთან ერთად, სისხლის სამართლის პროცესზე ასეთი შეხედულება თანდათანობით იცვლება. დამნაშავეობის ზრდამ, რამაც მოიცვა მთლიანად თანამედროვე საზოგადოება, მათ შორის ინგლისისა, გარდაუვალი გახადა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოთა, უპირველეს ყოვლისა, პოლიციის არამარტო სამუშაოს ფაქტიური მოცულობის, არამედ მათი უფლებამოსილებათა მუდმივი გაფართოვება. იმავედროულად, მნიშვნელოვნად გააქტიურდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემულ პირთა უფლებათა იურიდიული გარანტიების

შემუშავებისა და დანერგვის პროცესი. ამან კი, თავის მხრივ, მოითხოვა პოლიციის საქმიანობასთან დაკავშირებული საპროცესო ინსტიტუტების სამართლებრივი რეგლამენტაციის არსებითი დეტალიზაცია.

ზემომოყვანილმა და ზოგიერთმა სხვა ფაქტორებმა განაპირობეს ბოლო ათწლეულებში ახალი მიდგომების ჩასახვა სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოების წინასასამართლო საქმიანობისადმი და მისწრაფება მისი მაქსიმალურად ფორმალიზებისაკენ. ასეთი ტენდენციის აპოთეოზად წარმოდგა 1984 წლის „პოლიციისა და სისხლის-სამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“ კანონი, რომელიც სამართლებრივი რეგულირების მოცულობითა და ხარისხით მოგვაგონებდა კონტინენტური სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების კარს წინასწარი გამოძიების შესახებ. მოცემული სტადია კვლავ ინარჩუნებს ანგლოსაქსონური სისხლის სამართლის პროცესის სპეციფიკურ თვისებებს და ექვემდებარება შედარებას (მხოლოდ პირობითად) თავის კონტინენტურ ანალოგებთან. ასე მაგალითად, თუ პარალელებს გავაულებთ, მაშინ ინგლისის წინასასამართლო წარმოება შეიძლება შევადაროთ მხოლოდ კონტინენტურ მოკვლევას, მაგრამ არამც და არამც წინასწარ გამოძიებას. ეს უკანასკნელი, თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს რა შერეული (პოსტიინკვიზიციური) პროცესის საკვანძო ელემენტს, სრულიად წარმოდგენილია არა მხოლოდ ყოფილი, არამედ ასევე თანამედროვე ინგლისური სისხლის სამართლებრივი იუსტიციის კონტექსტში.

2. საპოლიციო გამოძიება. მასში წინასასამართლო წარმოების ის ეტაპი მოიაზრება, როდესაც პოლიცია, მიიღებს რა ინფორმაციას ჩადენილი დანაშაულის შესახებ, განახორციელებს მოქმედებებს მისი ჩამდენი პირის დასადგენად, ამ პირის წინააღმდეგ გამამტყუნებელ მტკიცებულებათა შესაკრებად და, საჭიროების შემთხვევაში, მის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიებათა გამოსაყენებლად. სხვა სიტყვებით, იგი უმეტესწილად ორი სახის სისხლის სამართლის მოქმედებისაგან შედგება: პირველი, მტკიცებითი ინფორმაციის შეგროვება, რომელიც საჭიროა დანაშაულის გახსნისა და მის ჩადენაში დამნაშავე პირისათვის ბრალის წასაყენებლად; მეორე, სისხლის სამართლის იძულების ღონისძიებათა გამოყენება, რომლებიც დაშვებულია ნებისმიერი სახის სისხლის სამართლებრივი დევნის დროს. საპოლიციო გამოძიება, არ მოიცავს რა მთლიანად წინასასამართლო წარმოებას, მაინც მის არსებით ნაწილ შეადგენს.

რაც შეეხება იმ სამართლებრივ წყაროებს, რომლებიც დღე-

სათვის წინასასამართლო გამოძიებისას პოლიციის მიერ საპროცესო მოქმედებათა განხორციელებას აწესრიგებენ, de jure ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია არაერთხელ ნახსენები 1984 წლის „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივი მტკიცებულებების შესახებ“ კანონი, თუმცა, de facto პოლიცია პირდაპირ არ გამოიყენებს ამ და სხვა კანონებს. ინგლისელი პოლიციელი კერძო გამოძიებელი (СЫЩИК) უფროა. ვიდრე თანამდებობის პირი. იგი სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას დამოუკიდებლად იღებს საპროცესო გადაწყვეტილებებს და თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს არა კანონებით, არამედ ძირითადად პრაქტიკულ წესთა კრებულებით (იხ. მოცემული თავი, §2), ესე იგი უწყებრივი აქტებით, რომლებიც მუდმივ კორექტირებას ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ უშუალოდ მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ან ინსტრუქციების, ცირკულარების და სხვათა გამოცემის გზით.

თავისი შინაარსით, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას ინგლისური პოლიციისათვის ნებადართულ მოქმედებათა მთლიანი ჯამი შესაძლებელია გავყოთ მოქმედებებზე, რომლებიც მხოლოდ სასამართლოს ნებართვით სრულდება და მოქმედებებზე, რომელთა შესრულებაც პოლიციას შეუძლია ასეთი ნებართვის გარეშე. ბოლო წლებში ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის განუხრელ ტენდენციას წარმოადგენს მეორე სახის მოქმედებათა ხვედრითი წილის გაზრდა პირველი სახის მოქმედებებთან მიმართებაში. სხვა სიტყვებით, სასამართლოს მხრიდან არაკონტროლირებადი პოლიციის უფლებამოსილებანი მის მიერ გამოძიების წარმოებისას მუდმივად ფართოვდება.

ქმედებათა შორის, რომლებიც საპროცესო იძულების გამოყენებას იწვევს და ზორციელდება მოსამართლის წინასწარი სანქციის (ბრძანების) გარეშე, უფრო მეტად სერიოზულს წარმოადგენს საპოლიციო დაპატიმრება (თუ კონტინენტური ევროპის ქვეყნებში გამოყენებულ ტერმინოლოგიას მივმართაეთ, მას შეიძლება ასევე „ექვმიტანილის ხანმოკლე დაკავება“ ეწოდოს).

საერთო წესის თანახმად, პოლიციას მოსამართლის წინასწარი ბრძანების გარეშე პირის დაპატიმრების უფლება აქვს მხოლოდ „საპატიმრო“¹ დანაშაულთა საქმეებზე. ამ შეზღუდვის ნიველირებას ახდენს

1 დაპატიმრების ინგლისური წესების დახასიათებისას მხედველობაში მისაღება, რომ, 1967 წლის „სისხლის სამართლის შესახებ“ კანონის თანახმად, შეზღუდულია ყველა დანაშაულთა „საპატიმრო“ (დანიშნულებით, რომლებიც) ითვალისწინებს 5 ან მეტი წლით თავისუფლებას აღკვეთისასვე. ზოგიერთი სხვა დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც კანონი განსაზღვრავს მკაცრად შექმნილ სასჯელის ზომას) და „არასაპატიმრო“ (ყველა დანარჩენი დანიშნული) დანიშნულებად დაყოფა.

1984 წლის „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ მტკიცებულუბათა შესახებ“ კანონის 25-ე მუხლი, რომელმაც შემოიღო სისხლისსამართლის პროცესში „დაპატიმრების საერთო პირობების“ ცნება. ახლა პოლიციას შეუძლია დააპატიმროს რომელიმე პირი მოსამართლის ბრძანების გარეშე „არასაპატიმრო“ დანაშაულთა საქმეებზეც, თუ არსებობს შემდეგი პირობები: ა) უცნობია ეჭვმიტანილის ვინაობა ან მისამართი, ანდა არსებობს ეჭვი, რომ მან არ დაასახელა თავისი ნამდვილი ვინაობა ან მისამართი; ბ) არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დაპატიმრება საჭიროა ეჭვმიტანილის მხრიდან ხალხზე ან ქონებაზე ფიზიკური ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად; გ) არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დაპატიმრებით თავიდან იქნება აცილებული ფიზიკური ზემოქმედება თვითონ ეჭვმიტანილზე; დ) დაპატიმრება საჭიროა ეჭვმიტანილის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის თავიდან ასაცილებლად; ე) საჭიროა ბავშვის ან სხვა უმწეო პირის დაცვა ეჭვმიტანილის მოქმედებებისაგან.

საპოლიციო დაპატიმრება (დაკავება) ხანმოკლე ღონისძიებაა. იგი საკმაოდ მკაცრი ვადებით განისაზღვრება, რომლებიც 1984 წლის კანონითაა დადგენილი. პატიმრობის თავდაპირველი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს, ამასთან, უმრავლეს დანაშაულებზე ეს მაქსიმალურად დაშვებული ვადაა. თუმცა, „სერიოზულ საპატიმრო დანაშაულთა“ საქმეებზე, რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია დასახელებული კანონის 116-ე მუხლში (მაგალითად: მკვლელობა, ძალადობა, სხვა დანაშაულები, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიყენოს სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ წესრიგს, ანდა გამოიწვიოს ვინმეს სიკვდილი, ან სხეულის მძიმე დაზიანებები), პოლიციის უფროს მოხელეს უფლება აქვს გააგრძელოს ვადა 36 საათამდე. მისი შემდგომი გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ მაგისტრატების სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადაც წარდგენილი უნდა იყოს დაპატიმრებული (დაკავებული) პირი.

საკითხის პირველად განხილვისას, მაგისტრატ მოსამართლეს უფლება აქვს გააგრძელოს პატიმრობა (დაკავება) 72 საათამდე და შემდეგ კიდევ ერთხელ – 96 საათამდე. ეს არის ზღვრული ვადა საპოლიციო პატიმრობისა, რომლის ამოწურვამდეც პოლიცია ვალდებულია ჩამოაყალიბოს ბრალდება დოკუმენტში, რომელსაც „ინფორმაცია“ ეწოდება და წარადგინოს იგი სასამართლოში ანდა გაათავისუფლოს დაპატიმრებული¹ (პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელების შესახებ

¹ საპოლიციო პატიმრობის განსაკუთრებული ვადები გამოიყენება ტერორისტული ხასიათის

საკითხის გადაწყვეტის წესის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

1984 წლამდე ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა დაკავებულის ადვოკატთან შეხვედრის უფლებას. ასეთი უფლება აღიარებული იყო და არის ზემოთ ხსენებული (მოცემული თავი, §2) 1912 წლის სამოსამართლო წესებით, რომლის იგნორირებასაც პოლიცია ხშირად ახდენს. სიტუაცია შეიცვალა „პოლიციისა და სისხლის სამართლებრივი მტკიცებულებების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ. მან გააფართოვა პოლიციის უფლებამოსილება, მაგრამ ამავე დროს განამტკიცა (58-ე მუხლი) დაპატიმრებულ ექვმიტანილის უფლება მის საქმეში ადვოკატის მონაწილეობის შესახებ დაკავების მომენტიდან და მონაწილეობის ვადის განუსაზღვრელად. ამასთან, ადვოკატს შეუძლია დაესწროს ექვმიტანილის ყველა დაკითხვას. მოცემული დებულება განვითარებულია პრაქტიკულ წესთა კრებულის ახალ რედაქციაში (1995 წელი), სადაც აღნიშნულია, რომ პოლიცია კალდებულის დამცველით უზრუნველყოს ყოველი დაკავებული (თუ თვითონ დაკავებულმა არ განაცხადა წერილობითი უარი ამის შესახებ) და უფლება არ აქვს დაკითხოს იგი დამცველის გარეშე. გამონაკლისს შეადგენს ტერორიზმის და სხვა მძიმე დანაშაულთა შესახებ საქმეები, რომლებზეც პოლიციას უფლება აქვს შეზღუდოს ადვოკატის დაშვება საქმეზე პირის დაკავებიდან პირველი 36 საათის განმავლობაში. ამას გარდა, 1984 წლის კანონის 58-ე მუხლის თანახმად, პოლიციას შეუძლია წინააღმდეგ წავიდეს საქმეში კონკრეტული ადვოკატის მონაწილეობაზე, თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ იგი ზემოქმედებას მოახდენს მოწმეებზე ან გააყალბებს მტკიცებულებებს. ექვმიტანილს აქვს უფლება მოიწვიოს სხვა ადვოკატი, ესე იგი მოცემულ შემთხვევაში საუბარია არა საქმეში დამცველის მონაწილეობის უფლების შეზღუდვის შესახებ, არამედ დამცველის არჩევის უფლების შეზღუდვის შესახებ.

ბოლო ათწლეულების კანონმდებლობა ითვალისწინებს მთელ რიგ გარანტიებს, რაც დაკავებულის საპროცესო უფლებებს უზრუნველყოფს. კერძოდ, იმ ექვმიტანილებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ მოიწვიონ ადვოკატი დამოუკიდებლად (მატერიალური თუ სხვა მიზეზების გამო), შექმნილია სადღელამისო სამორიგეო საადვოკატო ბიუროები, რომელთაც

დანაშაულზე: 48 საათის ვასილის შემდეგ პატიმრობის ვადა შეიძლება გააგრძელდეს. შინაგან საქმეთა მინისტრმა 7 დღე-ღამეზე, რომლის ამწერვის შემდეგ პირი უნდა გაათავისუფლდეს ან წაეყვინოს ბრალდება და წარდგინოს მოსამართლეს.

პოლიცია მიმართავს ასეთ შემთხვევებში. ეს გარკვეულწილად ეხმარება, რათა უზრუნველყოს მცირედისმქონეთა უფლება რეალურად იყოს იონ და მცველი. ბევრი ინგლისელი იურისტი აღიარებს, რომ „დანიშნული ადვოკატების“ მხრიდან ეჭვიმტანილისათვის გაწეული დახმარება ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ეს ბევრგან გამოვლინდება. მაგალითად, ფართოდ გავრცელდა ე.წ. „დელეგირებული საადვოკატო დახმარება“, როდესაც ადვოკატი, ნაცვლად იმისა, რომ დაკავებულთან პირადად მივიდეს პოლიციის განყოფილებაში, იქ თავის თანამემწეს ან კანტორის ტექნიკური პერსონალიდან რომელიმე თანამშრომელს აგზავნის. შესაძლოა სხვა ვარიანტიც: ხშირად ადვოკატები, რომელთაც პოლიცია იძახებს, შემოიფარგლებიან სატელეფონო კონსულტაციებით, სადაც მოკლედ განუმარტავენ დაკავებულს მის უფლებათა ჩამონათვალს და ამით თავის მისიას შესრულებულად თვლიან.¹

მაგრამ ეს ნაკლოვანებები თანდათანობით სწორდება. მათი დაძლევისაკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯი იყო 1999 წლის კანონი „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ“ (Access to Justice Act), რომელმაც გაითვალისწინა ინგლისში ახალი ორგანიზაციის – ზემოხსენებული (იხ. მოცემული თავი, §2) სამართლებრივი მომსახურების კომისიის შექმნა, რომლის ვედიითაც შეიქმნა სისხლის სამართლის საქმეებზე დაცვის უზრუნველყოფის სამსახური (Criminal Defence Service). რეფორმის არსი იყო, რომ კომისია, არ შეუძლია რა მას თვითონ გაუწიოს სამართლებრივი დახმარება (მის შემადგენლობაში შედის 7-დან 12 წევრამდე), განსაზღვრავს მცირედისმქონე პირებს, რომელთაც ასეთი დახმარება ესაჭიროებათ და აძლევს მათ ფულად გრანტებს საადვოკატო მომსახურების ხარჯებისათვის. როგორც 1999 წლის კანონის მე-13 მუხლი აღნიშნავს, სისხლის სამართლის საქმეებზე დაცვის უზრუნველყოფის სამსახურს აკისრია საჭირო შემთხვევებში „დაპატიმრებულ და პოლიციის განყოფილებაში პატიმრობაში მყოფ პირთათვის მიცემული სამართლებრივი რჩევებისა და გაწეული დახმარების“ ფინანსირების ფუნქცია.

¹ სანტერესო ფაქტობრივი მონაცემები მოყავთ ინგლისელ იურისტებს, რომლებმაც სპეციალურად შეისწავლეს ინგლისისა და საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში წინასასამართლო სტადიებზე ეჭვიმტანილისათვის თვითიღი დახმარების გაწევის რეალური პრაქტიკა (შედეგები ასექტში) და მივიდნენ მოკლედ აღნიშნულ დასკვნამდე: მოუხდავად დამკვიდრებული სტერეოტიპებისა, ინგლისში მისი ხარისხი, საშუალოდ, ვიცოცხობთ დაბალია. იხ.: *Hodgson J, Rich G. L'avocat et la garde a vue: experience, anglaise et reflexions sur la situation actuelle en France // Revue de science criminelle et de droit penal compare*. 1995. N2. P. 323-324.

ადვოკატის (რეალურის თუ ფორმალურის) მონაწილეობის უზრუნველყოფის გარდა, დაკავებული ექვემდებარების მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს შედარებით ახლახანს შემოღებული შესაბამის საპოლიციო განყოფილებებში „ზედამხედველი ოფიცრების“ (custody officers) ინსტიტუტი, რომლებსაც ევალებათ სამართლის ნორმათა დაცვა საპოლიციო დაპატიმრებისას. ყოველი დაკავებული აუცილებლად წარედგინება ოფიცერს და პირის შემდგომი პატიმრობაში გაჩერება სასამართლოს სანქციის გარეშე დასაშვებია მხოლოდ მისი ნებართვით. იგი ასევე ახორციელებს კონტროლს დაკავების ვადების დაცვასა და დაკავებულის უფლებაზე – იყოლოს დამცველი. პირველი შემოწმება მან დაკავების დაწყებიდან 6 საათის შემდეგ უნდა ჩაატაროს, ხოლო შემდეგ – დაკავების ყოველ 9 საათში. სწორედ ზედამხედველობის ოფიცერს აქვს უფლება შეზღუდოს კონკრეტული ადვოკატის დაკავებულთან დაშვება.

ცალკე უნდა ითქვას habeas corpus-ის ინსტიტუტის შესახებ, რომელიც ინგლისში 1679 წლიდან არსებობს და ბევრი კონტინენტური იურისტის წარმოდგენაში ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის ერთგვარ „სიმბოლოს“ წარმოადგენს. აქ საუბარია იმაზე, რომ ნებისმიერი დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს, რომელიც ამოწმებს დაკავების (დაპატიმრების) საფუძველს და ასეთის არარსებობის შემთხვევაში ათავისუფლებს პირს habeas corpus-ის ბრძანების გაცემით. არ უარყოფთ რა მოცემული ინსტიტუტის ისტორიულ მნიშვნელობას, უნდა აღინიშნოს, რომ მისი როლი თანამედროვე ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში უკიდურესად უმნიშვნელოა. პირველი, რომ საპოლიციო დაპატიმრების პროცედურა ისეთია, რომ მასზე სასამართლო კონტროლი habeas corpus-ის ფარგლებგარეთ ხორციელდება, ვინაიდან მაშინაც, როდესაც პოლიცია ვინმეს დაპატიმრებს სასამართლოს წინასწარი სანქციის (ბრძანების) გარეშე, ასეთი პატიმრობის ვადა, საერთო წესის თანახმად, შეადგენს არა უმეტეს 36 საათს, რომლის შემდეგაც მისი გაგრძელება უკვე სასამართლო წესით ხორციელდება. ამ სიტუაციაში habeas corpus-ის სპეციალური ბრძანების გაცემის მოთხოვნას არაკეთილად აზრი არ აქვს. მეორე, habeas corpus-ი არ წარმოადგენს წმინდა სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტს: იგი შეიძლება გამოყენებული იყოს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის ყველა შემთხვევაში, თუნდაც ასეთი შეზღუდვა ადმინისტრაციული წესით ხორციელდებოდეს (საიმპიგრაციო სამსახურის მიერ უცხოელთა დაკავება, სულით ავადმყოფთა იძულებით მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და სხვა). ამ გაგებით habeas corpus-ის ინსტიტუტმა

უფრო მეტად შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა სწორედ იმ შემთხვევებში, როდესაც საუბარი არ არის სისხლის სამართლის პროცესზე, ვინაიდან სისხლის სამართლის პროცესში დაპატიმრება ხორციელდება კანონით მკაცრად დადგენილი საპროცესო ფორმით, რომელიც სასამართლო კონტროლის სხვა მეთოდებთან არის დაკავშირებული.

ჩხრეკა, ზოგადი წესის მიხედვით. პიროვნების უფლებათა შეზღუდვასთან დაკავშირებულ საპოლიციო მოქმედებათა იმ რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც სასამართლო ბრძანების საფუძველზე ხორციელდება. თუმცა არსებობს მრავალი შემთხვევა, როდესაც პოლიციას უფლება აქვს ჩაატაროს ჩხრეკა სასამართლო ბრძანების გარეშე, მაგალითად: დაპატიმრებისას ჩხრეკა; დაპატიმრებულის საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკა; პირადი ჩხრეკა ან სატრანსპორტო საშუალების ჩხრეკა, თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეჭვიმთანილთან იმყოფება მოპარული ნივთები, აკრძალული საგნები და სხვა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საპოლიციო მოქმედება, რომელიც სასამართლო ბრძანების გარეშე ტარდება, — ეს არის ე.წ. „ელექტრონული თვალთვალი“, რომელიც მოიცავს, კერძოდ, სატელეფონო საუბრების მოსმენებს. ნებართვა ამ მოქმედების ჩატარებაზე, რომელსაც 1985 წლის „შეტყობინებათა დათვალეიერების შესახებ“ კანონი (Interception of Communication Act) ითვალისწინებს, გაიცემა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, რომელსაც უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს თავის ინსტრუქციებში „დანაშაულის სერიოზულობის“ კრიტერიუმები (1985 წლის კანონი უშვებს შეტყობინებათა დათვალეიერებას მხოლოდ „სერიოზულ დანაშაულთა“ საქმეებზე).

მთლიანობაში, ინგლისის პოლიციის იმ უფლებამოსილებათა დახასიათებისას, რომლებიც უკავშირდება საპროცესო იძულების ღონისძიებათა გამოყენებას ან სხვა მოქმედებათა განხორციელებას, დაკავშირებულს მოქალაქის პირად ცხოვრების სფეროში ჩარევასთან¹, უნდა ამოვიღეთ ზოგადი წესიდან, რომლის თანახმადაც, მას უფლება აქვს მოიმოქმედოს მხოლოდ ის, რაც პირდაპირ ნებადართულია მისთვის კანონით ან სხვა ნორმატიული აქტებით. იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიციას დასჭირდება გასცდეს თავის უფლებამოსილებათა ფარგლებს, იგი ვალდებულია სასამართლოს მიმართოს ოხონით, გასცეს ბრძანება — საპროცესო აქტი, რომელიც ნებართვას აძლევს გარკვეული მოქმედების ჩატარებაზე.

¹ შესაძლებელია სხვა საპოლიციო მოქმედებანიც, რომლებსაც არ სჭირდებათ სასამართლო ბრძანება. მათა რიცხვი არ ამოწურვება დაპატიმრებით, ჩხრეკით და შეტყობინებათა დათვალეიერებით.

ასეთი ბრძანების მისაღებად საჭიროა პოლიციამ წარუდგინოს სასამართლოს მოქმედების ჩატარების ან საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების საფუძველი, ესე იგი, არსებითად, ჩამოაყალიბოს ბრალდება. ამ მიზნით, გამოძიების მწარმოებელი თანამდებობის პირი ადგენს საპროცესო დოკუმენტს, რომელსაც „ინფორმაციას“ უწოდებენ და, რომელიც შეიცავს ცნობებს დანაშაულის და მის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის შესახებ. ინფორმაციის შედგენისა და მისი სასამართლოში გადაგზავნის წესს არეგულირებს 1980 წლის „მაგისტრატების სასამართლოების შესახებ“ კანონი და 1981 წლის მაგისტრატების სასამართლოებში წარმოების წესები. ინფორმაციას პოლიცია გადაუგზავნის მაგისტრატების სასამართლოს, რომელიც განიხილავს საკითხს შესაბამისი ბრძანების გაცემის საფუძველის არსებობასა თუ არარსებობის შესახებ. საკითხის პოლიციისათვის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, იგი იძენს უფლებას, განახორციელოს მოქმედება ან გამოიყენოს ღონისძიება, რომელიც მითითებულია მაგისტრატების სასამართლოს მიერ გაცემულ ბრძანებაში.¹

საპოლიციო გამოძიების ეტაპზე ყველაზე უფრო გავრცელებულია ბრძანება ჩხრეკის შესახებ და ბრძანება დაპატიმრების შესახებ. პირველი მათგანი განიხილება როგორც ერთადერთი საფუძველი ჩხრეკის ჩატარებისა იმ შემთხვევებში, რომლებიც არ წარმოადგენენ გამოჩაქვლის, როდესაც პოლიციას უფლება აქვს ჩაატაროს ჩხრეკა სასამართლო ბრძანების გარეშე.

რაც შეეხება სასამართლო ბრძანებით დაპატიმრებას, - ეს არის ხანგრძლივი აღკვეთი ღონისძიება, რაც განასხვავებს პატიმრობის ამ სახეს ხანმოკლე საპოლიციო პატიმრობისაგან (დაკავებისაგან).

ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის სპეციფიკა ისტორიულად იმაში მდგომარეობდა, რომ იგი არ ითვალისწინებდა პატიმრობის ზღვრულ ვადებს სასამართლო განხილვის დაწყებამდე. ამ დებულების მრავალწლიანმა კრიტიკამ, რაც უმეტესწილად მეზობელ შოტლანდიის²

¹ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებათა გამოყენების შესახებ სასამართლო ბრძანების შესრულება არ წარმოადგენს მხოლოდ პოლიციის პერფორმანსს. 1999 წლის „მართლმსაჯულების ხელშეწყობის შესახებ“ კანონის თანახმად, ბრძანების შესრულება განეკუთვნება სპეციალურ სასამართლოს მანდატურთა (civilian enforcement officer) კომპეტენციას, რომლებიც „სამოქალაქო სამსახურში“ იმყოფებიან. სასამართლო აღმასრულებელთა ინსტიტუტი შექმნილია სასამართლო ხელისუფლების განსრულების მიზნით, რომელსაც საშუალება უნდა ჰქონდეს გამოიყენოს იძულების ღონისძიებანი საპოლიციო საქმიანობისაგან დამოუკიდებლად.

² 1701 წლიდან შოტლანდიაში მოქმედებს „110 დღის“ ცნობილი წესი: თუ პატიმრობაში ძყოვი პირის ბრალდების გამო საჭე ვაგზაურია სასამართლოში, მაშინ სასამართლო განხილვა უნდა დაიწოს არა უგვიანეს აღნიშნული ვადისა. წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის სამართლის კრიტიკა

გამოცდილებით იყო გამოწვეული, იქამდე მიიყვანა, რომ 1985 წლის „დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლი ავალედა შინაგან საქმეთა მინისტრს გამოეცა ინსტრუქცია, რომლითაც მოწესრიგდებოდა პატიმრობის ზღვრული ვადების საკითხი. შედეგად, 1987 წელს გამოიცა კანონქვემდებარე აქტი „დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი დევნის (პატიმრობის ზღვრული ვადები) რეგულირების შესახებ“ (Prosecution of Offences (Custody Time Limits) Regulations 1987). ამ აქტის თანახმად, პატიმრობის ვადა დაკავების მომენტიდან და მაგისტრატების სასამართლოს მიერ საქმის გვირგვინის სასამართლოსათვის გადაცემის საკითხის განხილვამდე (სუმარული წესით წარმოების საქმეებზე – მაგისტრატების მიერ საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე), არ უნდა აღემატებოდეს 70 დღეს. საბრალდებო აქტით დევნის საქმეებზე არსებობს პატიმრობის კიდევ ერთი ზღვრული ვადა – 112 დღე, სამართალში მიცემიდან და სასამართლო განხილვის დაწყებამდე. ამასთან, არ შეიძლება სასამართლო ბრძანების გაცემა თავიდანვე სრული ვადით: იგი გაცივმა არა უმეტეს 8 დღის ვადით, რომლის შემდეგაც მაგისტრატი მოსამართლეები გადაწყვეტენ საკითხს ვადის გაგრძელების შესახებ (კვლავ არა უმეტეს 8 დღის ვადით და ასე ვადის მთლიანად ამოწურვამდე).

წინასასამართლო წარმოებისას ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის პატიმრობის (საპოლიციო დაპატიმრება, პატიმრობა სასამართლო ბრძანების საფუძველზე) შესახებ ინგლისის საპროცესო იძულების ღონისძიებათა იურიდიული ბუნების სწორად ჩაწვდომა შეუძლებელია, თუ არ იქნება გათვალისწინებული მათი უწყვეტი კავშირი ინგლისის სამართალწარმოების ერთ-ერთ საკვანძო ინსტიტუტთან – bail-ის ინსტიტუტთან.

თუ აშშ-ში bail-ი უმთავრესად ქონებრივ აღკვეთ ღონისძიებას წარმოადგენს, ესე იგი, ფაქტობრივად, ემთხვევა კონტინენტურ ევროპაში გავრცელებულ გირაოსა და თავდებობის ინსტიტუტებს, ინგლისის თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში ეს ანგლოსაქსონური ცნება გაცილებით ფართო გაგებით გამოიყენება.

ინგლისში პირის ნებისმიერი დატოვება თავისუფლებაში, რომლის მიმართაც არსებობს დაპატიმრების საფუძველი, განიხილება როგორც – bail-ის ინსტიტუტის გამოყენება. ამ ინსტიტუტის ფარგლებში განასხვავებენ „უპირობო (unconditional) bail“-ს, როდესაც პოლიცია

დენი. ანუღირდება და დაუშვებელია პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მაცემა იმავე დანაშაულის გამო.

ან სასამართლო ტოვებს პირს თავისუფლებაში რაიმე დამატებითი პირობების გარეშე, და „პირობითი (conditional) bail“-ს, როდესაც რეალური პატიმრობის გამოყენებაზე უარი გარკვეულ პირობებთან არის დაკავშირებული. პირობები შეიძლება იყოს „პოზიტიური“ (გირაოს შეტანა, თავდებობის წარდგენა) ან „ნეგატიური“ (არ შეასრულოს რაიმე მოქმედებები, არ გავიდეს გარკვეული ტერიტორიის ფარგლებგარეთ და სხვა).¹ პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როდესაც პირი, რომელსაც ბრალი ედება შესაბამისი დანაშაულის ჩადენაში, პატიმრობიდან თავისუფლება იმ პირობით, რომ იგი მონაწილეობას აღარ მიიღებს გაფიცვებში. აღსანიშნავია, რომ „პირობითი პოზიტიური“ bail-ის გამოყენება გირაოს ან თავდებობის სახით მოითხოვს განსაკუთრებულ საფუძველს, ამიტომ ისე ხშირად არ გამოიყენება, როგორც პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ პირისათვის შეთავაზებული სხვა ვარიანტები.

დღეისათვის bail-ის ინტიტუტს არეგულირებს 1976 წლის კანონი, რომელშიც შემდგომ შეიტანეს ცვლილებები (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეტანილი ცვლილებები 1994 წლის კანონით „სისხლისსამართლებრივი იუსტიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ“).

1976 წლის მე-4 მუხლი შეიცავს საკვანძო დებულებას: „პირს აქვს თავისუფლების უფლება გარდა შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული ამ კანონით“. ეს უნდა გავიგოთ ისე, რომ დაპატიმრების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, წესს წარმოადგენს მისი გათავისუფლება გარკვეული პირობებით ან ასეთის გარეშე, ხოლო შესაბამისი საფუძველის არსებობისას გამონაკლისია რეალური პატიმრობა. სხვა სიტყვებით, ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებს bail-ის ინსტიტუტის გამოყენების პრეზუმფცია და მხოლოდ მისი უარყოფის შემთხვევაში პირის მიმართ გამოიყენება პატიმრობა.

მოცემული პრეზუმფცია ყოველთვის არ მოქმედებს. 1994 წლის „სისხლისსამართლებრივი იუსტიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ“ კანონის თანახმად, იგი არ მოქმედებს საბრალდებო აქტით დენილი დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ, თუ მოცემული დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის უკვე გამოყენებული იყო bail-ის ინსტიტუტი წინათ ჩადენილი დანაშაულის გამო. ამას გარდა,

¹ Bail-ის ინსტიტუტისადმი თანამედროვე ინგლისური მდგომარეობის შესახებ და ამ ინსტიტუტის წარსახეობებზე უფრო ვრცლად იხ.: *Ashworth A. The criminal process. An evaluative study. Oxford, 1994. P. 201-202*

1994 წლის კანონი პირდაპირ კრძალავს ამ ინსტიტუტის გამოყენებას იმ პირთა მიმართ, რომლებიც წინათ მკვლელობის ან გაუპატიურების გამო იყვნენ მსჯავრდებულნი. დანარჩენ შემთხვევებში, რომლებიც არ ხვდება 1994 წლის კანონში, ბრალდებულს შეიძლება უარი ეთქვას გათავისუფლებაზე 1976 წლის კანონით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ არსებობს ეჭვი, რომ იგი მიიმალება; ბ) თუ არსებობს ცნობები, რომ მან შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოწმეებზე; გ) როდესაც დაპატიმრება საჭიროა თვითონ ბრალდებულის დასაცავად. ეს საფუძვლები ნაწილობრივ ემთხვევა საპოლიციო დაპატიმრების „საერთო პირობებს“, რომლებიც ზემოთ იყო განხილული.

Bail-ის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სასამართლომ და პოლიციამ (სასამართლო ბრძანების გარეშე საპოლიციო დაპატიმრებისას), რომლებიც განსაზღვრავენ გათავისუფლების კონკრეტულ პირობებს. სასამართლოს მიერ დაპატიმრების შესახებ ბრძანების გაცემისას, როდესაც პირი ჯერ ფაქტიურად დაკავებული არ არის, სასამართლოს უფლება აქვს წინასწარ დათქვას პირობები პირის დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, პოლიციის მიერ დაპატიმრების შესახებ ბრძანების აღსრულებისას, ისე იგი პირის ფაქტობრივად დაკავებისას, იგი მას დაუყოვნებლივ სთავაზობს ბრძანებაში მითითებული ყველა პირობის შესრულებას, რასაც დასაპატიმრებელი პირის ავტომატური გათავისუფლება მოსდევს შედეგად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც, ინგლისელი იურისტების თქმით, „დაპატიმრების შესახებ სასამართლო ბრძანება ემყარება პირობით გათავისუფლებას (bail)“.

„პირობითი bail“-ის გამოყენებისას პირის მიერ მისი გათავისუფლების პირობების დარღვევას მოსდევს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო შედეგები. ასეთი დარღვევა ყოველთვის განიხილება, როგორც დამოუკიდებელი სისხლის სამართლის დანაშაული. რაც შეეხება საპროცესო შედეგებს, ისინი დამოუკიდებელია bail-ის ინსტიტუტის ნაირსახეობაზე: ამ გაგებით, განასხვავებენ მის იმ ვარიანტს, რომელიც ითვალისწინებს გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებისა და რეალური პატიმრობის შესაძლებლობას პირის მიერ მისი გათავისუფლების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში და ვარიანტს, რომელიც ასეთ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. bail-ის ინსტიტუტის კონკრეტული ვარიანტის გამოყენების შესახებ დათქმა კეთდება პირის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ამასთან 1994 წლიდან („სისხლისსამართლებრივი იუსტიციისა

და საზოგადოებრივი დენის შესახებ“ კანონი) პოლიციასაც მიეცა უფლება გამოიყენოს bail-ის როგორც პირველი, ისე მეორე ვარიანტი (ადრე მხოლოდ იმ ვარიანტს გამოიყენებდა, რომელიც მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებდა). ამას გარდა, 1994 წლის კანონმა გვირგვინის საბრალდებო სამსახურს მიანიჭა უფლება შუამდგომლობით ბიმართოს სასამართლოს ან პოლიციას გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე, თუ მისთვის ცნობილი გახდა ახალი ინფორმაცია, რაც ასეთი გათავისუფლების მიზანშეწონილობას ეჭვქვეშ აყენებს. შუამდგომლობას, შესაბამისად, განიხილავს სასამართლო ან პოლიცია და მას შეიძლება მოჰყვეს გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება და ეჭვიმიტანილის ან ბრალდებულის რეალური პატიმრობა.

3. *გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიიღება საპოლიციო გამოძიების დამთავრების შემდეგ.* დღეს მოქმედი წესების მიხედვით, შესაძლებელია, საპოლიციო გამოძიების დამთავრების რამდენიმე ვარიანტი არსებობდეს.

სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარი, რომელსაც თან არ სდევს რაიმე პირობები. საუბარია ინგლისის სისხლის სამართლის პროცესისათვის საპოლიციო გამოძიების დამთავრების ტრადიციულ ვარიანტზე. იგი დაიშვება სამ შემთხვევაში: პირველი, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა იურიდიულად შეუძლებელია (ქმედებაში არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობა, პირს არ მიუღწევია სისხლისსამართლებრივი პასუხისგებლობის ასაკისათვის, გასულია სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა და სხვა); მეორე, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა ფაქტობრივად შეუძლებელია (დანაშაული ვერ გაიხსნა¹ ან პოლიციამ ვერ შეძლო მის ჩადენაში დამნაშავე კონკრეტული პირის მამხილებელი საკამარისი მტკიცებულებების შეკრება); მესამე, როდესაც პოლიციამ თუმცა გახსნა დანაშაული და დაადგინა პირი, ვის ბიმართაც სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა განხორციელდეს, მაგრამ მიზანშეწონილად არ მიიჩნევს მის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას. ბოლო შემთხვევაში იგი უბრალოდ არ გადასცემს საქმეს სასამართლოს ან გვირგვინის საბრალდებო სამსახურს.

სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის შესახებ გადაწყვეტილე-

¹ თუ დანაშაულის გახსნა ვერ მოხერხდა, საქმე რჩება პოლიციაში, ამასთან არ არის საჭირო რაიმე საკანონო გადაწყვეტილების მიღება საქმეზე წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ და სხვა. ამ ასპექტში ინგლისური წინასასამართლო წარმოება გარკვეულ საკვლავ ფორმალურ ხარისხშია.

ბას, გამოტანილს ზემოთ მოყვანილ ნებისმიერ საფუძველზე, პოლიცია არ აფორმებს რაიმე საპროცესო დოკუმენტით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი სახის გადაწყვეტილება თვითნებური შეიძლება იყოს. იგი უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ ფორმალიზებულ კრიტერიუმებს. ასეთი კრიტერიუმები ერთიანია როგორც პოლიციისათვის, ასევე გვირგვინის საბრალდებო სამსახურისათვის – ისინი მოცემულია ზემოთ ხსენებულ (მოცემული თავი, §3) გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსში და ზოგიერთ სხვა დოკუმენტში, რომლებიც საეალდებულოა პოლიციისათვის და რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი უფრო ვრცლად. აქვე დაეძინთ, რომ პოლიციის გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმის შესახებ არ ექვემდებარება რაიმე საპროცესო კონტროლს სასამართლოს ან გვირგვინის საბრალდებო სამსახურის მხრიდან. პოლიცია ფაქტობრივად უკონტროლოა სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობის თუ არამიზანშეწონილობის შეფასებისას, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაზარალებულს ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ასეთ შემთხვევაში თვითონ განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიციისაგან დამოუკიდებლად (პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები იშვიათია). აქ გამოვლინდება ინგლისური კონცეფცია კერძო თუ საჯარო ბრალდების შესახებ, რომელზეც წინათ ვისაუბრეთ და უკლებლივ ყველა სისხლის სამართლის საქმეს შეეხება. თუმცა, რეალურად, პოლიციის გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის შესახებ სისხლის სამართლის საქმის ბედისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს.

სურვილმა – არ დაირღვეს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობის პრინციპი, რომელიც სადღეისოდ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სისხლისსამართლებრივი იუსტიციის ერთ-ერთ საბაზო პრინციპს წარმოადგენს, და იმის გაცნობიერებამ, რომ სისხლისსამართლებრივ დევნაზე მისი არამიზანშეწონილობის მოტივით „მარტივად“ უარის თქმას (როდესაც დანაშაული სახელმწიფოს ოფიციალური რეაქციის გარეშე რჩება) აშკარა ნაკლოვანებები აქვს, გამოიწვია ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში საპოლიციო გამოძიების დამთავრების უახლესი ვარიანტების შემოღება.

გაფრთხილება. ეს ინსტიტუტი XX საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა და თავდაპირველად მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე გამოიყენებოდა. მაგრამ ახლა (1990 წლის შემდეგ) მისი მოქმედება ყველა კატეგორიის საქმეზე ვრცელდება.

არ გააჩნდა რა საკანონმდებლო ბაზა, მოცემულმა ინსტიტუტმა

განვითარება საპოლიციო პრაქტიკაში დაიწყო, რამაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას უბიძგა 1990 წლის ცირკულარის გამოცემისაკენ (ბოლო რედაქცია - 18/1994 წელი). იგი პოლიციას სთავაზობს იხელმძღვანელოს გაფრთხილებათა გამოყენების ეროვნული სტანდარტებით (National Standards for Cautioning). სხვა წყაროები, რომლებიც ამომწურავად მოაწესრიგებდნენ გაფრთხილების ინსტიტუტს, ჯერ არ მოიპოვება. იგი მოხსენიებულია (სხვა საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით) ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში, მაგალითად, 1997 წლის „სქესობრივ დანაშაულთა შესახებ“ კანონში. გაფრთხილების ინსტიტუტისადმი მიძღვნილი სპეციალური კანონის მიღების აუცილებლობის საკითხი კვლავ ელის თავის გადაწყვეტას.

მიღებულია ამ ინსტიტუტის რეალიზების სამი ვარიანტის გამოყოფა. ერთ-ერთ მათგანში, პოლიციის თანამშრომელი, უმნიშვნელო დანაშაულის ჩადენის ფაქტის გამოვლენისას, არ მიიჩნევს რა საჭიროდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, მხოლოდ გააფრთხილებს პირს მსგავს მოქმედებათა დაუშვებლობის შესახებ და არ იღებს რაიმე სხვა ზომებს. ასეთ ვარიანტს „არაფორმალურ გაფრთხილებას“ (informal warning) უწოდებენ. მას იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან არ იწვევს რაიმე საპროცესო შედეგებს. არსებითად, ეს მოტივაციის გარეშე სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმაა. მეორე შემთხვევაში - პოლიციის თანამშრომელი გაფრთხილებას ოქმში აფიქსირებს. ასეთ ღონისძიებას „ფორმალური გაფრთხილება“ (formal warning) ეწოდება, თუმცა იგი უმნიშვნელოდ განსხვავდება პირველისაგან, ვინაიდან ოქმი, რომელშიც გაფრთხილება ფიქსირდება, არ წარმოადგენს საპროცესო ოქმს (სასამართლოში დაუშვებელია მასზე დაყრდნობა, თუნდაც რეკვიზიტის დროს). მესამე ვარიანტს „ოფიციალურ გაფრთხილებას“ (official caution) უწოდებენ. პირველი ორისაგან განსხვავებით, იგი სისხლისსამართლებრივი დევნის რეალურ ალტერნატივას და საპოლიციო გამოძიების დამთავრების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს. როცა პოლიციას არ სურს დანაშაულის შედეგების გარეშე დატოვება, ამასთან, საჭიროდ არ მიიჩნევს რა ტრადიციული სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, ოფიციალურად აფრთხილებს შესაბამის პირს. ასეთი გაფრთხილება სპეციალურ რეესტრში შეაქვთ, რომელიც პოლიციის არქივში ინახება. ამ პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა გარდაუვალი ხდება, საქმის განმხილველ სასამართლოს ეცნობება, რომ ადრე უკვე პქონდა ადგილი ოფიციალურ გაფრთხილებას სხვა დანა-

შაულის ჩადენის გამო. სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ამას ითვალისწინებს, როგორც წინა ნასამართლობას. ბუნებრივია, ოფიციალური გაფრთხილებისას პოლიცია ატყობინებს პირს ყველა იმ იურიდიული შედეგის შესახებ, რასაც ამ პირის მიერ კანონით აკრძალული ახალი ქმედების ჩადენა გამოიწვევს.

გაფრთხილების გამოყენების ეროვნული სტანდარტების თანახმად, ასეთი ღონისძიება ცვლის სისხლისსამართლებრივ დევნას მხოლოდ რამდენიმე პირობის არსებობისას. უპირველეს ყოვლისა, პოლიციამ უტყუარად უნდა დაადგინოს საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება. ამას გარდა, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბრალდებულის მიერ ბრალის „მკაფიო და ეჭვის გამომრიცხველი“ აღიარება.

სტატისტიკა მოწმობს, რომ გაფრთხილება საპოლიციო გამოძიების დამთავრების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმად იქცა. ასე მაგალითად, 1995 წელში 10-დან 18 წლამდე ასაკში დანაშაულის ჩამდენ პირთა საერთო რიცხვიდან, 64% ბიჭებისა და 84% გოგონების მიმართ გამოყენებული იყო არა ტრადიციული სისხლისსამართლებრივი დევნა, არამედ ოფიციალური გაფრთხილება (სულ იმ წელს არასრულწლოვანთა საქმეებზე გამოტანილი იქნა 120 000 ოფიციალური გაფრთხილება). რაც შეეხება 18 წლის ასაკს მიღწეულ პირებს, საპოლიციო გამოძიების ეს ვარიანტი გამოიყენება დაახლოებით სისხლის სამართლის საქმეთა 20%-ზე.

რაც არ უნდა მომხიბვლელი იყოს ოფიციალური გაფრთხილების ინსტიტუტი ინგლისელი იურისტებისათვის, რომელსაც ისინი ზედმეტად მაღალ შეფასებას აძლევენ, მას ერთი არსებითი ნაკლი აქვს – დაზარალებულის უფლებათა დაცვის სისუსტე. საქმე ისაა, რომ ამ უკანასკნელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმის ამ ფორმის აუცილებელ პირობას. თუ ბრალდებული ზიანს ნებაყოფლობით ანაზღაურებს, ეს უნდა გაითვალისწინოს პოლიციამ და შემოიფარგლოს შეძლებისდაგვარად ოფიციალური გაფრთხილებით და აღარ მისცეს საქმეს შემდგომი მსვლელობა (ეროვნული სტანდარტების მე-14 პუნქტი). თუმცა, პოლიციას არ შეუძლია აიძულოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დაზარალებულის პოზიცია, მისი „გამანაწყენებელის“ სისხლისსამართლებრივი დევნისაგან გათავისუფლების შესახებ, სავალდებულო არ არის (იგი მხოლოდ ფაქულტატურად მიიღება მხედველობაში). ეს ფაქტობრივად ნიშნავს, რომ ოფიციალური გაფრთხილება ხშირად დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინების გარეშე გამოიყენება.

განსახილველი სისხლის საპროცესო ინსტიტუტის ასეთმა ნაკლოვანებამ განაპირობა მის გვერდით წინასწარი გამოძიების დამთავრების უფრო მოქნილი ფორმების შემოღება დანაშაულის ჩადენაში ექვემდებარებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი ღვეწის განხორციელების გარეშე.

მედიაცია (mediation)¹. ასეთი ფორმით სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების დამთავრების კონცეფცია მთლიანობაში მომდინარეობს მისწრაფებიდან, რომ საზოგადოებრიობის მეშვეობით შეარიგონ დაზარალებული და სისხლისსამართლებრივ ღვეწას დაქვემდებარებული პირი იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი გამოასწორებს მიყენებულ ზიანს. ეს იღუა 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში წარმოიშუა, როდესაც ინგლისი სხუა ანგლოსაქსონური ქვეყნების (აშშ, კანადა, ავსტრალია) გამოცდილებით დაინტერესდა. მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის პრაქტიკაში შედარებით ფართოდ გამოყენება დაიწყო ინგლისის ზოგიერთ რეგიონში, იგი იქ დღემდე არ არის მოწესრიგებული სამართლის ნორმებით და მხოლოდ სამართალშემფარდებელთა, იურისტ-თეორეტიკოსთა და საზოგადოებრიობის ინიციატივას წარმოადგენს. ამიტომ მედიაციის უაძრავი ვარიანტი არსებობს, რაც ადგილობრივ თავისებურებებზეა დამოკიდებული.

სამედიაციო პროცედურები შესაძლებელია გამოიყენებოდეს სისხლის სამართლის პროცესის სხუადსხუა სტადიებზე. აქ ჩვენ მხოლოდ ე.წ. „საპოლიციო მედიაცია“ გვიანტერესებს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პოლიცია, ვიდრე იგი მიიღებდეს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი ღვეწის აღძვრის შესახებ, საქმეს მედიაციის სამსახურს გადასცემს, რომელიც შედგება პრობაციის სამსახურის წევრთაგან, შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან და ზანდაზან თვითონ პოლიციის თანამშრომელთაგან. შემდეგ ტარდება შერიგების პროცედურა, როდესაც მედიატორი (შუამავალი) რიგრიგობით ხვდება დაზარალებულს და სისხლისსამართლებრივ ღვეწას დაქვემდებარებულ პირს და ცდილობს მიაღწიოს კომპრომისს – გაფორმდეს შეთანხმება ზიანის გამოსწორების შესახებ. გამოსწორების ფორმები სრულიად სხუადსხუაგვარი შეიძლება იყოს: ფულადი თანხის გადახდა, წერილობითი ბოდიში, ზიანის ანაზღაურება საკუთარი შრომით თვითონ დაზარალებულის ან მთლიანად საზოგადოების სასარგებლოდ.

მედიაციის წარმატებულად განხორციელებისა და შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში პოლიცია უარს ამბობს სისხლისსამართლებრივ

¹ შუამავალი - მახლოდებითი რედაქცია.

დევნაზე და არ აძლევს საქმეს შემდგომ მსვლელობას, შემოიფარგლება (ფორმალური ან არაფორმალური) გაფრთხილებით. ამ გაგებით, გაფრთხილებისა და მედიაციის ინსტიტუტები, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატივები, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იძოფებიან.

კონკრეტულ პირობებს, რომლითაც დაიშვება საპოლიციო მედიაცია, სხვადასხვა ბრიტანულ ოლქებში თავისი ნიუანსები აქვს. ვთქვათ, ნორტემპტონშირში, სადაც მედიაციით დაკავებულნი არიან საქციალური „სრულწლოვანთა ბიუროები“, სამომრიგებლო პროცედურის დაწყება დამოკიდებულია ხუთ კრიტერიუმზე: 1) დანაშაულებრივი ქმედების სახესა და სიმძიმეზე; 2) სისხლისსამართლებრივ დევნაში საჯარო ინტერესის არსებობაზე; 3) თუ საქმე სასამართლოში ხვდება, პირის დამნაშავედ ცნობისათვის მტკიცებულებათა საკმარისობის ხარისხზე; 4) პოლიციის მიერ დადგენილ ყველა საქმის გარემოებათა ამ პირის მიერ აღიარებაზე; 5) დაზარალებულის ინტერესებზე.

მთლიანობაში, მედიაციას, როგორც საპოლიციო გამოძიების დამთავრების ფორმასა და, იმავედროულად, როგორც შემდგომი სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატივას, ინგლისში სულ უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს. ამასთან, გაფრთხილების ინსტიტუტისაგან განსხვავებით, მას ვერ არ მიუღია დანაშაულზე სახელმწიფოს მასობრივი რეაგირების მასშტაბები. იგი ვერ მხოლოდ ინგლისისა და უელსის ცალკეულ რეგიონებშია დანერგილი პრაქტიკაში, ზოლო რამდენიმეგან იგი მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე გამოიყენება.

საქმის მასალების გვირგვინის საბრალდებო სამსახურისათვის გადაცემა გამოძიების დამთავრების ამ ფორმას პოლიცია მიმართავს, როდესაც იგი გახსნის დანაშაულს, დაადგენს მის ჩამდენ პირს და მიზანშეწონილად (საჯარო ინტერესთა თვალსაზრისით) და შესაძლოდ (ბრალდებისათვის საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობის თვალსაზრისით) თვლის ამ პირის მიმართ შემდგომ სისხლისსამართლებრივ დევნას და ვერ ხედავს დანაშაულზე რეაგირების ალტერნატიული მეთოდების (გაფრთხილება ან მედიაცია) გამოყენების საფუძველს. ასეთი პირობების არსებობისას ექვემდებარებიან ფორმალურად წაეყენება ბრალდება. ეს პროცედურა დაყვანილია მხოლოდ დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის შესახებ მონაცემთა საქციალურ კართოთეკაში შეტანამდე (charge sheet). ამის შემდეგ აღნიშნული პირი წარედგინება ზემოხსენებულ ზედამხედველობის ოფიცერს, რომელიც აცნობს მას ბრალდების შინაარსს, თუ რა დანაშაული ჩაიდინა მან პოლი-

ციის თვალსაზრისით. შემდეგ ოფიცერი წარმოთქვამს ზემოთ მოყვანილ „გამაფრთხილებელ ფორმულას“, რომელიც გათვალისწინებულია პრაქტიკულ წესთა კრებულის მე-10.4 პუნქტით და არკვევს, ზომ არ აქვს ბრალდებულს სურვილი რაიმე აცნობოს პოლიციას. მასი ნებისმიერი პასუხი უნდა დაფიქსირდეს. ამას გარდა, პოლიციას უფლება აქვს გააცნოს ბრალდებულს მოწმეთა ჩვენებები, რომელსაც ბრალდება ემყარება და ასეთი ოქმების ასლებიც კი გადასცეს. საქმის მასალების გაცნობა სამართალწარმოების ამ ეტაპზე ინგლისში წმინდა ფაქულტატურ ხასიათს ატარებს და მთლიანად დამოკიდებულია თვითონ პოლიციის შეხედულებაზე (ბრალდების მასალების გაცნობა შესაძლებელია სისხლის სამართლის პროცესის მომდევნო სტადიებზეც განხორციელდეს). ამით პოლიციის ფუნქციები დასრულებულია – იგი ვალდებულია გადასცეს მის მიერ შეკრებილი ყველა გამამტყუნებელი მასალა გვირგვინის საბრალდებო სამსახურს, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას საქმის შემდგომი ბედის შესახებ. ასეთი სახის მასალები ზოგიერთ დანაშაულთა კატეგორიებზე, როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. მოცემული თავი, §3), შესაძლებელია, გაეგზავნოს უშუალოდ გენერალურ ატორნის.

გამამტყუნებელი მასალის შემდგომ მომზადებას, სასამართლოში განხილვისათვის უშუალოდ სამსახურის თანამდებობის პირები (გვირგვინის ბრალმძებლები) ახორციელებენ.

ეს პირები სამსახურზე დაკისრებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ასრულებენ საპროცესო მოქმედებათა კომპლექსს, რაც სისხლის სამართლის საქმის შემდგომი ბედის განსაზღვრას უკავშირდება (შეისწავლიან მას შეკრებილ მასალების საკმარისობის თვალსაზრისით, დაეალებებს აძლევენ პოლიციას მის შესავსებად და დასაზუსტებლად, განსაზღვრავენ მოცემული ბრალდებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ე.წ. საჯარო მიზანშეწონილობას, გადაწყვეტენ საკითხს საქმის მოსამართლის მიერ წინასწარი მოსმენისათვის ან არსებითად განხილვისათვის გადაცემის თაობაზე და სხვა). სამსახურს არ აქვს უფლება საკუთარი ინიციატივით დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა ან აწარმოოს დანაშაულის გამოძიება, არ აქვს უფლება გადასინჯოს პოლიციის გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნაზე უარის, გაფრთხილების გამოყენების ან მელაიციის შესახებ. მას უფლება აქვს შეწყვიტოს პოლიციიდან შემოსული საქმე და არ მისცეს მას შემდგომი მსვლელობა. მაგრამ ასეთ გადაწყვეტილებას არ აქვს *res juricata*-ს ძალა – იგი არ გამორიცხავს იმავე დანაშაულზე ხელმეორედ ბრალდების შესაძლებლობას.

1. სასამართლოში საქმის წინასწარი განხილვის ზოგადი დახასიათება. ეს არის სისხლის სამართლის პროცესის ეტაპი, რომელიც საბრალდებო აქტით დევნილ დანაშაულთა საქმეებზე ტარდება. იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებიც მომეტებული საშიშროებით გამოირჩევა და გვირგვინის სასამართლოს განსჯადია და ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით შეიძლება იყოს განხილული. სუმარული წესით წარმოების საქმეებზე (იხილეთ ქვემოთ) სამართალწარმოების ეს ეტაპი გათვალისწინებული არ არის – სასამართლოში შემოსული საქმე პირდაპირ არსებითად განიხილება.

სისხლის სამართალწარმოების მოცემული ეტაპის „ცენტრალურ“ ელემენტს წარმოადგენს სამართალში მიცემის საკითხთან (committal proceedings) დაკავშირებული საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობის შესრულება, რაც ტრადიციულად სასამართლოში საქმის წინასწარი განხილვის ფარგლებში ზორციელდება (preliminary enquiry ან preliminary examination).

ახლა ეს ამოცანა მაგისტრატების სასამართლოებს აკისრიათ. 1980 წლის „მაგისტრატების სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-4-მე-8 მუხლების თანახმად, მაგისტრატების მიერ სამართალში მიცემის საკითხის განხილვა ითვლება მათ მიერ თავიანთი ე.წ. „შემომწმებელი მაგისტრატების“ (examining magistrates) უფლებამოსილებათა რეალიზაციად. თუმცა, აქ ჩვენ ესაუბრობთ ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში სასამართლოში საქმის წინასწარი განხილვის მხოლოდ ზოგად კონცეფციას. ამ სტადიამ ბოლო წლებში კარდინალური ცვლილებები განიცადა და, როგორც ჩვენ შემდგომ დაეინახავთ, ყოველთვის ვერ ჯდება ამ კონცეფციაში.

სასამართლოში საქმის წინასწარი განხილვის სტადიის დანიშნულება შემდეგში გამოვლინდება:

პირველი, იგი საჭიროა, რათა არაეინ წარსდგეს გვირგვინის სასამართლოში განსასჯელის სახით ამისათვის საკმარისი საფუძვლის გარეშე. ამ ვაგებით, საქმის სასამართლოში წინასწარი განხილვა ერთგვარი ფილტრის როლს ასრულებს, რომელიც საშუალებას იძლევა წინასწარ გაკონტროლდეს ბრალდებისათვის საფუძვლის საკმარისობა და თავიდან იქნეს აცილებული დაუსაბუთებლად სამართალში მიცემა. იმისათვის, რომ მიიღონ გადაწყვეტილება გვირგვინის სასამართლოსათვის საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ, მაგის-

ტრაქტების სასამართლომ უნდა დაადგინოს „prima facie case“-ს არსებობა. საუბარია ცნებაზე, რომელიც ლათინურ და ინგლისურ ტერმინთა ნაერთს წარმოადგენს და ნიშნავს მინიმალურ მტკიცებულებებს, რომლებიც მოწმობენ, რომ წინასწარი შეფასებით (prima facie) სისხლის-სამართლებრივი ბრალდება ან „საქმე“ (case) ნამდვილად იმსახურებს გვირგვინის სასამართლოს მიერ განხილვას.

მეორე, სასამართლოში საქმის წინასწარი განხილვა და მასთან დაკავშირებული სამართალში მიცემა საშუალებას აძლევს მხარეებს გაეცნონ საქმის ზოგიერთ მასალას, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის მიერ არის შეკრებილი წინასასამართლო წარმოების მსვლელობისას. შეგახსენებთ, რომ ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის წინასასამართლო სტადიაზე არ არსებობს „ერთიანი სისხლის სამართლის საქმე“ – თითოეული მხარე დამოუკიდებლად აგროვებს „თავის“ მტკიცებულებებს და ქმნის „თავის“ დოსიეს. ამიტომ, მხარეთა მიერ სამართალწარმოების ამ ეტაპზე გახსნილ მტკიცებულებათა თუნდაც ნაწილობრივი ურთიერთგაცნობის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეაფასოთ.

მესამე, წინასწარი განხილვის სტადია ზოგ შემთხვევაში საჭიროა საგნობრივი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად. საუბარია საქმეებზე, რომლებიც ე.წ. „ჰიბრიდულ“ დანაშაულებს შეეხება (კანონი უშუებს მათ არსებითად განხილვას როგორც გვირგვინის სასამართლოს, ასევე მაგისტრატების სასამართლოს მიერ). პროცესის სწორედ ამ ეტაპზე, მხარეთა თანხობის ანდა სხვა ფაქტორთა გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება საბოლოო საგნობრივი განსჯადობა, ესე იგი გადაწყდება საკითხი, თუ რომელ სასამართლოში (გვირგვინის თუ მაგისტრატების) უნდა განიხილონ საქმე. 1980 წლის „მაგისტრატების სასამართლოების შესახებ“ კანონისა და 1981 წლის მაგისტრატების სასამართლოში წარმოების წესების თანახმად, მაგისტრატებმა, „ჰიბრიდული“ დანაშაულის გამო საქმის მასალების შესწავლის შემდეგ, უნდა გადაწყვიტონ, მისი განხილვის რომელ ხერხს მიანიჭონ უპირატესობა (სუმარულს, თუ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით). თუ ყველა გარემოებათა გათვალისწინებით, მათ შორის სასჯელის ზომისა,¹ მაგისტრატების სასამართლო დაასკვნის, რომ საქმე უნდა განიხილოს გვირგვინის სასამართლომ, მაშინ იგი განახორციელებს წი-

¹ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (მოკლებული თავი, §3), მაგისტრატების უფლებამოსილებები ხუმარული წესით სასჯელის დანიშნვის შესახებ შეზღუდულია (არა უბრუნებს ნიუთონ თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5 000 ფუნტი ხტრულანგის ოდენობით).

ნასწარი განხილვის პროცედურას და აფასებს ბრალდებულის სამართალში მიცემის შესაძლებლობას. როდესაც მაგისტრატები მიიჩნევენ, რომ დასაშვები და მიზანშეწონილია საქმეზე გამარტივებული სუმარული წარმოება, ისინი ვალდებულნი არიან გამოითხოვონ ბრალდებულის თანხმობა სასამართლო განხილვის ასეთი ხერხის თაობაზე. თუ, როგორც ეს უფრო ხშირად ხდება, ბრალდებული ამის წინააღმდეგი არ არის, მაშინ საქმე არსებითად განიხილება მაგისტრატების სასამართლოს მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესი წარიმართება ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია გვირგვინის სასამართლოს განსჯადობას დაქვემდებარებულ საქმეებზე.

მეოთხე, საქმის წინასწარი განხილვისას მაგისტრატების სასამართლო პარალელურად წყვეტს საკითხს ალკეითი ღონისძიების (პატიმრობის ან მისი ალტერნატივის) შესახებ, რომელიც გამოიყენება განსასჯელის მიმართ იმ მომენტამდე, ვიდრე იგი წარსდგება გვირგვინის სასამართლოს წინაშე.

მეხუთე, მაგისტრატების მიერ საქმის წინასწარი განხილვის მსვლელობისას მხარეებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ მოწმეთა დაკითხვის შესახებ არა მარტო იმისათვის, რომ დაარწმუნონ სასამართლო სამართალში მიცემის საფუძვლის არსებობაში (არარსებობაში), ასევე იმისათვის, რომ მოახდინონ მოწმეთა ჩვენების საპროცესო ფიქსაცია იმ შემთხვევაში, როდესაც დარწმუნებულნი არ არიან, რომ მოწმე ნამდვილად მიიღებს მონაწილეობას შემდგომ სასამართლო განხილვაში (ხანდაზმული ასაკი, მძიმე ავადმყოფობა, შესაძლო გამგზავრება საზღვარგარეთ, ზოგჯერ კი უბრალოდ უარი სასამართლოში გამოცხადებაზე და სხვა). საპოლიციო დაკითხვის ოქმებისაგან განსხვავებით, არ არსებობს რაიმე იურიდიული დაბრკოლება მაგისტრატების მიერ ზეპირად მოსმენილი მოწმეთა ჩვენებების მტკიცებულებითი ძალის აღიარებისათვის.

2. XX საუკუნის განმავლობაში გატარებული რეფორმები საქმის მასალების წინასწარი განხილვის სტადიის შესახებ. ბოლო ათწლეულების მანძილზე მოცემული სტადია ინგლისში კარდინალური რეფორმების საგნად იქცა. ამ რეფორმების ლოგიკა საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ საინტერესო ტენდენციები, დაკავშირებული, ერთი, განსახილველი სტადიის შინაშენლოვან გამარტივებასთან, მეორე, (ნაწილობრივ, ხოლო გარკვეულ ეტაპზე – მთლიანად) უარის თაქმასთან ინგლისის სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთ საკვანძო – ზეპირობის პრინციპზე.

1933 წლამდე ინგლისში მოქმედებდა ანგლოსაქსონური სისხლის საპროცესო სისტემისათვის ტრადიციული ინსტიტუტი (თვითონ ინგლისელების მიერ შექმნილი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში) – ნაფიც მსაჯულთა დიდი ეიური, რომელიც სამართალში მიცემას ახორციელებდა 12-დან 23-მდე არაპროფესიონალის შემადგენლობით. ისინი ზეპირი და შეჯიბრებითი პროცედურის მსვლელობისას, მტკიცებულებათა გაცნობის შემდეგ, ამტკიცებდნენ ან უარყოფდნენ საბრალდებო აქტის პროექტს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ეიური ინგლისის სისხლის სამართალწარმოების სიმბოლოდ იყო აღიარებული, იგი თანდათანობით აღარ შეესაბამებოდა მისი განვითარების უახლეს ტენდენციებს, რომლიდანაც ერთ-ერთს წარმოადგენდა საპროცესო ეკონომიისაკენ სვლა. შედეგად, 1933 წლის კანონმა „მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ გააუქმა ინგლისში დიდი ეიური. ამის შემდეგ სამართალში მიცემის ფუნქციები მაგისტრატებს გადაეცათ, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებდნენ ზეპირი და შეჯიბრებითი პროცედურის წესით, მხარეთა მონაწილეობით.

სამართალში მიცემის შესახებ ინგლისის კანონმდებლობის განვითარების შემდგომი ეტაპი იყო საქმის წინასწარი განხილვის სტადიაზე წარმოების დიფერენციაცია. ჯერ 1957 წლის „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ კანონის, ხოლო შემდგომ 1980 წელს „მაგისტრატების სასამართლოების შესახებ“ კანონის მიღების შედეგად სამართალში მიცემა სამი შესაძლო ფორმით ხორციელდებოდა. პირველი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „კლასიკური ზეპირი წარმოება“, სადაც ბრალდება და დაცვა წარადგენენ მტკიცებულებებს, გამოიკვლევენ მათ, დაკითხავენ მოწმეებს და ასე შემდეგ. მეორე ფორმა გამოირჩეოდა კომპრომისით. ეს იყო ნაწილობრივი ზეპირი წარმოება, ვინაიდან სასამართლოში დაკითხებოდნენ მხოლოდ ბრალდების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოწმეები. დანარჩენების ჩვენებების წარდგენა ხდებოდა წერილობითი ფორმით და მიიღებოდა სასამართლოს მიერ დაცვის მხრიდან წინააღმდეგობათა არარსებობის შემთხვევაში. და ბოლოს, სამართალში მიცემის შესაძლე ფორმა წმინდა წერილობით ხასიათს ატარებდა, ვინაიდან ბრალდება სასამართლოსა და დაცვას საქმის ყველა მასალას გადასცემდა შესაბამისი დოკუმენტების სახით, ხოლო მოწმეთა გამოძახება და დაკითხვა საერთოდ არ წარმოებდა ამ ეტაპზე.

სამართალში მიცემის ამა თუ იმ ფორმის არჩევა დამოკიდებული იყო სასამართლოს ან დაცვის ინიციატივაზე, ასევე, ზოგ სხვა გარემოებაზე. ასე მაგალითად, 1980 წლის „მაგისტრატების სასამართლოების

შესახებ“ კანონის მე-6-2 მუხლის თანახმად, „მოსამართლეს უფლება აქვს“ ბრალდებული სამართალში მისცეს მხოლოდ წერილობითი ჩვენებების საფუძველზე, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ბრალდებულს არ ჰყავს დამცველი, ან ეს უკანასკნელი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე მტკიცებულებათა უფრო სრულად გამოკვლევის შესახებ სამართალში მიცემისათვის მათი აშკარა არასაკმარისობის გამო. 1967 წლის შემდეგ წერილობითი პროცედურა ინგლისში სამართალში მიცემის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა იყო, რამაც განაპირობა 1994 წლის რეფორმა.

1994 წლის „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლით გაუქმდა სამართალში მიცემის ტრადიციული პროცედურა (committal proceedings) ყველა კატეგორიის საქმეებზე¹ და შემოიღეს ახალი წესები, რომლებიც მაგისტრატების მიერ საქმის გვირგვინის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებს არეგულირებდა. შესაბამისი ცვლილებებია შეტანილი 1980 წლის „მაგისტრატების სასამართლოების შესახებ“ კანონში. ახალმა პროცედურამ „საქმის სასამართლო განხილვისათვის გადაცემის“ (transfer for trial proceedings) სახელწოდება მიიღო.

თუ მაგისტრატი მიიჩნევდა, რომ საქმე ექვემდებარებოდა გვირგვინის სასამართლოსათვის გადაცემას (ან თუ ამის შესახებ შუამდგომლობდა ბრალდებული), მაშინ ბრალდების მხარე ვალდებული იყო გაეცნო დაცვისათვის წერილობითი ჩანაწერი, რომელიც შეიცავდა ბრალდების არსს, მტკიცებულებებს, რომელსაც იგი ემყარებოდა და სხვა საჭირო ინფორმაციას. შემდეგ დაკვას ეძლეოდა უფლება წარმოედგინა საპროცესო მოწინააღმდეგეთათვის წერილობითი შესაგებელი სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმის მოთხოვნით. თუ ბრალდება ამის წინააღმდეგი იყო, მაშინ მას უფლება ჰქონდა წერილობითი სახით გადაეცა მეორე მხარისათვის „შესაგებლის შესაგებელი“. შედეგად, მთელი ეს მიმოწერა წარუდგინებოდა მაგისტრატების სასამართლოს, რომელიც, მხარეთა წერილობითი არგუმენტების შესწავლის შემდეგ, იღებდა გადაწყვეტილებას ან საქმის შეწყვეტის, ან მისთვის მსვლელობის მიცემის შესახებ და საქმეს გვირგვინის სასამართლოს გადასცემდა. მნიშვნელოვანია, რომ 1994 წლის კანონის თანახმად, მაგისტრატებმა

¹ 1987 წელს და 1991 წელს სამართალში მიცემის უკვე გაუქმებული იყო სისხლის სამართლის საქმეთა ცალკეულ კატეგორიებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო სერიოზულ და მასშტაბილითა დასაჯების დანაშაულებთან არასრულწლოვანთა წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაულებთან.

დაკარგეს უფლება ზეპირად დაეკითხათ მოწმეები, ესე იგი ისინი აღარ იყვნენ „დამკითხველი მოსამართლეები“. საქმის წინასწარი განხილვის სტადიის სწორედ ამ საკვანძო ელემენტის გაუქმებამ მისცა საშუალება ინგლისელ პროცესუალისტებს, რათა მათ გაეკეთებინათ დასკვნა ამ სტადიის მთლიანობაში გაუქმების შესახებ.¹ სულ რაღაც 61 წლის მანძილზე ინგლისში სამართალში მიცემის საპროცესო ფორმამ განელო გზა ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის მიერ საქმის წინასწარი განხილვისაგან ბრალდებისა და დატყვას შორის მიმოწერამდე და შეძღვომ მოსამართლის კაბინეტში მის განხილვამდე.

თუმცა, 1994 წლის რეფორმა, რომელმაც საბოლოოდ უარი თქვა სამართალში მიცემაზე (როგორც საქმის წინასწარი განხილვის ფარგლებში ზეპირ და შეჯიბრებით წარმოებაზე) და შეცვალა იგი საქმის სასამართლო განხილვისათვის გადაცემის წერილობითი პროცედურით, მაინც ზუსტად რადიკალური და ამიტომ არასიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. 1996 წლის კანონმა „სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიებების შესახებ“ (Criminal Procedure and Investigations Act) კვლავ შეცვალა სისხლის სამართლის ეს სტადია. დღეისათვის სამართალში მიცემის პროცედურის რეფორმები დასრულებულია, მაგრამ დიდი ხნით?

3. სამართალში მიცემის თანამედროვე პროცედურა. პრინციპში, 1996 წლის რეფორმა „კონტრარეფორმა“ აღმოჩნდა იმ გაგებით, რომ მან სისხლის სამართლის პროცესში აღადგინა სამართალში მიცემის სპეციალური პროცედურა (committal proceedings) მთლიანად და ნაწილობრივ, მისი ზოგიერთი ტრადიციული თვისება. ინგლისში ყველა სისხლის სამართლის საქმეზე კვაზი-სამართალში მიცემის პროცედურის („საქმის სასამართლო განხილვისათვის გადაცემა“) მოქმედების პერიოდი – არცთუ ხანგრძლივი აღმოჩნდა. ამასთან 1996 წლის კონტრარეფორმამ შეინარჩუნა 1994 წლის რეფორმის ზოგიერთი იდეა – მთლიანად არ აღადგინა სამართალში მიცემის პროცედურა მისი „რეფორმამდელი“ მდგომარეობით.

უპირველეს ყოვლისა, კანონმდებელი განასხვავებს საქმეებს, რომლებზეც საქმის გვირგვინის სასამართლოსათვის გადაცემა საქმის წინასწარი განხილვის „შველ-ახალი“ ფორმით ხორციელდება (სამართალში მიცემის პროცედურით) და საქმეებს, სადაც გამოიყენება გამარტივებული ფორმა მაგისტრატების მიერ საქმის წინასწარი განხილვისა

¹ იხ. სარქაძე-კო სტატია: Coping with the Criminal Justice and Public Order Act // The criminal law review. 1995. N1. P. 2.

და „სამართალში მიცემის“ შესახებ საკითხთა განხილვის გარეშე. ამ გამარტივებულ ფორმას ძველებურად – „საქმის სასამართლო განხილვისათვის გადაცემას“ უწოდებენ.

„საქმის სასამართლოში გადაცემის“ განსაკუთრებული პროცედურა – ცალკე სასამართლო სხდომის ჩატარების გარეშე (საქმის წინასწარი განხილვის გარეშე) – შემორჩენილია მხოლოდ იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომელთა მიმართაც იგი მოქმედებდა 1994 წლის „სისხლისსამართლებრივი იუსტიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ“ კანონის მიღებამდე. ეს არის სერიოზული ან მძიმე თაღლითობების შესახებ საქმეები (1987 წლის კანონი „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესახებ“) და ზოგიერთ დანაშაულებზე, სადაც დაზარალებულები არიან არასრულწლოვანები (1991 წლის კანონი „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესახებ“)¹. ამას გარდა, სამართალში მიცემის პროცედურა აღარ მოქმედებს იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებიც 1998 წლის „დანაშაულებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა შესახებ“ (Crimes and Disorder Act) კანონშია გათვალისწინებული. აქ საქმე სასამართლოს სხვა (გამარტივებული) ბერზით გადაეცემა. დასახელებული კანონი, რომელმაც მცირე ცვლილება განიცადა 1999 წლის „მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ კანონით, საკმაოდ დეტალურად არეგულირებს ასეთ საქმეებზე მტკიცებულებათა შეგროვების წესებს პროცესის იმ ეტაპზე, რომელიც ცვლის სამართალში მიცემას.

გვირგვინის სასამართლოს განსჯად სისხლის სამართლის საქმეთა დანარჩენ კატეგორიებზე სისხლის სამართლის პროცესის პირველ სასამართლო სტადიას საქმის წინასწარი განხილვა წარმოადგენს, სადაც გადაწყდება სამართალში მიცემის საკითხი.

1996 წლის „სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიებების შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის მე-3(ა) პუნქტში აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის პროცესის განსახილველი სტადიის დროს მაგისტრატი მოსამართლეები ახორციელებენ წარმოებას „შემმოწმებელი მოსამართლეების“ სახით. ეს ნიშნავს, რომ ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხის განხილვა კვლავ სასამართლო სხდომაზე უნდა მოხდეს, სადაც მაგისტრატებს უფლება აქვთ გამოიკვლიონ მტკიცებულებანი და მოისმინონ მხარეთა მოსაზრებები. სწორედ მოცემული საკან-

¹ ამავე დროს „საქმის სასამართლოში გადაცემის“ განსაკუთრებული წესი სამხედრო დანაშაულთა საქმეებზე შემოღებული 1991 წლის იმავე სახელწოდების კანონით. დღესათვის გაუქმებულია: აქ ახლა სამართალში მიცემის საერთო ნორმები მოქმედებს.

ძო გარეშობა გეაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ სასამართლოში საქმის წინასწარი განხილვა ინგლისის სისხლის სამართალწარმოების კვლავ დამოუკიდებელ (თუმცა ფაქულტატურ) ეტაპს წარმოადგენს.

1996 წლის კანონით აღდგენილ მნიშვნელოვან დებულებას წარმოადგენს ბრალდებულის *საეაღმდებულო* მონაწილეობა სასამართლო განხილვაში, სადაც გადაწყდება სამართალში მიცემის საკითხი.

ასეთი სხდომის ჩატარების მთავარი მიზანია, რომ ბრალდებამ დაამტკიცოს ბრალდებულის სამართალში მიცემის საფუძველის არსებობა. თუმცა, კანონმდებელმა მკაფიოდ განსაზღვრა მტკიცების ფარგლები, როგორც მტკიცების სუბიექტთა თვალსაზრისით, ასევე მტკიცებულე-ბათა სახეების თვალსაზრისით. ჯერ ერთი, ახალი კანონი აღნიშნავს, რომ მაგისტრატებს შეუძლიათ განიხილონ მხოლოდ ის მტკიცებულე-ბანი, რომლებიც „წარდგენილია თვითონ ბრალმდებლის მიერ ან მისი სახელით“. დაცვა ამ ეტაპზე მტკიცებას არ ახორციელებს. მეორე, მტკიცებულეებთან წყაროების სახით წარმოდგენილი უნდა იყოს ან მოწმეთა მიერ ფიცის ქვეშ მიცემული წერილობითი ჩვენებები, ანდა მათი წერილობითი ახსნა-განმარტებები, ანდა სხვა დოკუმენტები. კანონი დაწერილებით აღწერს საპროცესო ფორმას, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილი უნდა იყოს ეს მტკიცებულეებანი და მათი დასაშვებობის სხვა პირობებს. თუ მაგისტრატების სასამართლოსათვის ცნობილი გახდება, რომ რომელიმე პირს შეუძლია მისცეს შესაბამისი ჩვენება ბრალდების სახელით ანდა წარადგინოს რაიმე მტკიცებულეებანი, მაგრამ უარს აცხადებს ნებაყოფლობით ამის გაკეთებაზე იმ ფორმით, რომელიც აღნიშნულია 1996 წლის კანონში, სასამართლოს უფლება აქვს გამოიძახოს ასეთი პირი უწყებით და საჭირო შემთხვევებში ბრძანებაც კი გასცეს მისი დაპატიმრებისა და მოყვანის შესახებ. დღეს სამართალში მიცემის სტადიაზე წერილობითი მტკიცებულეებების გამოყენება ზოგადი წესია, მაშინ, როდესაც მოწმის სასამართლოში უშუალო გამოძახებაზე პირი დაკითხვისათვის ატარებს მტკიცების სუბსიდიური ხერხის ხასიათს და გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწმეთა ჩვენებების წერილობითი ფორმით წარდგენა შეუძლებელია ან რთულია რაიმე მიზეზთა გამო.

სამართალში მიცემის სტადიაზე მტკიცების პროცესის განსაზღვრული ფორმალიზაცია იმაში გამოვლინდება, რომ 1996 წლის კანონი მაგისტრატებს აძლევს უფლებას არ განიხილოს არსებითად ბრალდების მიერ წარდგენილი მტკიცებულეებანი. მათ შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ შეს-

აბამისი ჩვენებების, ახსნა-განმარტებებისა და ლოკუმენტების შინაარსის ანალიზის გარეშე და დაკმაყოფილდნენ წარდგენილ მტკიცებულებათა რაოდენობრივი და არა ხარისხობრივი დახასიათებით. ამასთან, კანონმდებელი ავალებს მაგისტრატების სასამართლოს განიხილოს ბრალდების ყველა მტკიცებულება არა მხოლოდ ფორმის, არამედ ასევე შინაარსის მიხედვით ორ შემთხვევაში: ა) თუ (ერთ-ერთ) ბრალდებულს არ ჰყავს დამცველი; ბ) თუ (ერთ-ერთი) ბრალდებულის დამცველი დაუინებით ირწმუნება, რომ ბრალდების მიერ წარდგენილი მტკიცებულებანი არ არის საკმარისი საფუძველი სამართალში მიცემისათვის. სხვა სიტყვებით, წარდგენილ მტკიცებულებათა არსებითად განხილვა დამოკიდებულია სისხლის სამართლის პროცესის მოცემულ სტადიაზე მხარეთა შორის დავის არსებობაზე ან არარსებობაზე. თუ დავა არ არსებობს, მაშინ პროცედურას შესაძლებელია წმინდა ფორმალური ხასიათი ჰქონდეს.

ბრალდებულის გვირგვინის სასამართლოსათვის გადაცემის საკითხის განხილვის შედეგების მიხედვით, მაგისტრატების სასამართლოს უფლება აქვს მიიღოს შემდეგი სახის ერთ-ერთი გადაწყვეტილება: 1) ბრალდებული მისცეს სამართალში, თუ მაგისტრატები მიიღონ დასკვნამდე, რომ ამისათვის ბრალდებამ „საკამრისი მტკიცებულებები“ წარმოადგინა; 2) თუ დასკვნა საწინააღმდეგო ხასიათისაა – შეწყვიტოს საქმე.

4. მხარეთა მიერ მტკიცებულებათა ურთიერთგაცნობა. საქმის წინასწარი განხილვის დამთავრებისა და ბრალდებულის გვირგვინის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სისხლის სამართლის პროცესის განსახილველი სტადია არ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითად განხილვას წინ უსწრებს კიდევ ე.წ. „მტკიცებულებათა გახსნის“ პროცედურა (disclosure). მისი საპროცესო მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ინგლისური სისხლის სამართლის პროცესი თავიდან ბოლომდე შეუცხვრებითია, ესე იგი პროცესის წინასასამართლო სტადიებზეც არ არსებობს როგორც ესეთი ერთიანი „სისხლის სამართლის საქმე“- იმ გაგებით, რომ წინასასამართლო წარმოებისას თითოეული მხარე დამოუკიდებლად აგროვებს მტკიცებულებებს და ქმნის თავისი „დოსიეს“ (საქმის) მასალებს. პროცესის გარკვეულ ეტაპებამდე მხარე ფაქტობრივად არ ფლობს უტყუარ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მტკიცებულებებს წარადგენს სასამართლოში მისი საპროცესო ოპონენტი.

ინგლისური სამართალი თანდათან იზიარებს პოზიციას, რომ სისხლის სამართლის პროცესი არ უნდა დაეიდეს მხოლოდ სასამართლოში მხარეთა შორის ორთაბრძოლამდე. უპირველეს ყოვლისა, მისი ამოცანა არა რომელიმე „საპროცესო მოწინააღმდეგის“ გამარჯვება, არამედ სინამდვილეში დამნაშავე პირთა გამოვლენა და მათი დასჯა, რისთვისაც საჭიროა თითოეულ საქმეზე, შეძლებისდაგვარად, ყველა ფაქტობრივ გარემოებათა სრულად დადგენა. ამისათვის არის მოწოდებული მტკიცებულებათა წინასასამართლო ვახსნის წესები. ასეთი, გარკვეულწილად, „კონტინენტური“ მიდგომა მთლად არ შეესაბამება სისხლის სამართალწარმოების „წმინდა“ შეჯიბრებითობის კონსტრუქციას. ამ გაგებით, განსახილველი „მტკიცებულებათა ვახსნის“ ინსტიტუტი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში ზოგიერთი „ანტიშეჯიბრებითი“ ტენდენციის გამოვლინება.

მტკიცებულებათა ვახსნის ადრე მოქმედი წესები არსებითად შესწორებულია 1996 წლის კანონით „სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიებების შესახებ“. ითვლება, რომ სწორედ აღნიშნული პროცედურის დეტალური რეგულირება შეადგენს ამ კანონის მიღების შედეგად განხორციელებული ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის რეფორმის ერთ-ერთ ცენტრალურ ელემენტს. მტკიცებულებათა ვახსნის ახალი წესები საკმაოდ რთულია და რამდენიმე ეტაპისაგან შედგება.

პირველ ეტაპს 1996 წლის კანონში „ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა თავდაპირველი ვახსნა“ ეწოდება. როგორც კანონშია აღნიშნული, იგი უნდა დაიწყოს მას შემდეგ, როდესაც მაგისტრატები მიიღებენ გადაწყვეტილებას ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ. კანონით არ არის დადგენილი ამ ეტაპის დაწყების კონკრეტული საპროცესო ვადა. აქ მოცემულია მხოლოდ ბლანკეტური ნორმა, რომელიც განსაზღვრავს ამ ვადის კანონქვეშაობაზე აქტებით დადგენის კრიტერიუმებს. შესაბამისი კანონქვეშაობაზე აქტების მიღებამდე მოქმედებს ნორმა, რომლის თანახმად, ბრალდება ვალდებულია დაიწყოს მტკიცებულებათა თავდაპირველი ვახსნა ბრალდებულის სამართალში მიცემიდან „უმოკლეს, გონივრულ და პრაქტიკულად განხორციელებად“ ვადაში.

ამ ეტაპზე ბრალდება ვალდებულია დაცვას წარუდგინოს საქმის ის მასალები, რომლებზეც დაცვას ხელი არ მიუწვდება და, ბრალდებლის აზრით, შეუძლიათ „შეარყიონ“ (დაამსხვრიონ) (undermine) ბრალდების პოზიციები სასამართლოში. სხვა სიტყვებით, ბრალდებამ უნდა გაუმიხილოს დაცვას მტკიცებულებანი, რომლებიც ხელსაყრელია არა თვითონ ბრალდებისათვის, არამედ სწორედ დაცვისათვის (მოქმედებს რა

ამ დროს არა თავისი საპროცესო ინტერესებით, არამედ მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებით და, ირიბად, - საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ინტერესებით).

ცხადია, რომ კანონის ეს მოთხოვნა თავისი არსით ანტიშეჯიბრებითია. თუ ადრე ბრალდებას შეეძლო წინასასამართლო წარმოებისას შეკრებილი ასეთი სახის მისთვის არახელსაყრელი მტკიცებულებანი არ გაემხილა, რადგან არ იყო ვალდებული ვინმესთვის ეცნობებინა იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა გახსნაშიც მას საპროცესო დაინტერესება არ გააჩნდა. ამ ყველაფერს, თავის მხრივ, შესაძლოა სასამართლო შეცდომა მოჰყოლოდა. ახლა უკვე გამორიცხულია შეჯიბრებითობისაგან ამგვარი გადახვევები. თუ ბრალდებას ხელთ არ აქვს აღნიშნული მასალები, მაშინ „მტკიცებულებათა თავდაპირველი გახსნისას“ მან უნდა წარუდგინოს დაცვას ამის შესახებ ოფიციალური წერილობითი განცხადება. დაეძინო, რომ სასამართლოს ნებართვით ბრალდება (როგორც კანონი აღნიშნავს) „ვალდებულია“ ამორიცხოს დაცვისათვის ამ ეტაპზე წარსადგენ მტკიცებულებათაგან ის მტკიცებულებანი, რომელთა გაცნობაც ეწინააღმდეგება „საჯარო ინტერესებს“, ასევე ისინიც, რომლებიც მოპოვებული იყო კანონიერად წესით ჩატარებული საუბრების მოსმენის შედეგად.

მეორე ეტაპი მტკიცებულებათა გახსნის პროცედურისა - ეს არის „ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა სავალდებულო გახსნა“ (სწორედ ასე უწოდა ამ ეტაპს 1946 წლის კანონმა საბრალდებო აქტით დევნის დანაშაულთა საქმეებთან მიმართებაში¹), რომელიც ტარდება მას შემდეგ, რაც ბრალდება განახორციელებს „მტკიცებულებათა თავდაპირველ გახსნას“.

ბრალდებული ვალდებულია შეადგინოს თავისი მოსაზრებათა „გახსნის“ შესახებ წერილობითი განცხადება და ხელი მოაწეროს მას. ასეთი განცხადება, სასამართლოსა და ბრალმძღველის მისამართით, უნდა შეიცავდეს „დაცვითი პოზიციის არსს“ ბრალდების პუნქტების მითითებით, რომელსაც დაცვა არ ეთანხმება და მისი პოზიციის მოტივაციას. თუ ბრალდებული განცხადებაში ეყრდნობა ალიბის, იგი ვალდებულია

¹ სუბარული წარმოების საქმეებზე, რომლებსოვისაც არ არის გათვალისწინებული სამართალში მიცემის საეტიკური პროცედურა, ასევე უნდა მოხდეს „მტკიცებულებათა გახსნა“, რაც წინ უსწრებს სასამართლო განხილვას. მის უნდა არა მარტო შეეძლოს თავისებურებას წარმოადგინოს ის, რომ საბრალდებო აქტით დევნის საქმეთაგან განსხვავებით, სუბარული წარმოების საქმეებზე ამ ეტაპს ეწოდება არა „სავალდებულო“, არამედ „ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა ნებაყოფლობითი გახსნა“. რაც ნიშნავს, რომ ბრალდებულს უფლება აქვს, მაგრამ ვალდებული არ არის განაცხადოს საკუთარი პოზიცია საქმესთან დაკავშირებით და წარუდგინოს თავისი მტკიცებულებანი.

წარადგინოს ამ ალიბის დამადასტურებელი ყველა მტკიცებულება, დაცვის მოწმეთა ვინაობის, მისამართებისა და სხვა მონაცემთა ჩათვლით. „ალიბის მტკიცებულებებში“ იგულისხმება მტკიცებულებები იმისა, რომ პირის ყოფნა გარკვეულ დროს გარკვეულ ადგილას გამორიცხავს მის ყოფნას ადგილზე, სადაც „სავარაუდოდ ჩადენილია დანაშაული, რომელიც სავარაუდოდ ჩადენილია“ (1996 წლის კანონის მე-5 მუხლი, მე-8 პუნქტი).

რა საპროცესო შედეგები მოსდევს ბრალდებულის მიერ მისი ვალდებულების შეუსრულებლობას, მაგალითად, მის მიერ რაიმე ინფორმაციის დაფარვას? აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ასეთ შემთხვევაში, ჯერ-ერთი, სასამართლოს ან მისი ნებართვით ბრალდების მხარეს უფლება აქვს სასამართლო განხილვის მსვლელობისას მოახდინოს დაცვის მხრიდან მტკიცებულებათა არასათანადოდ გახსნის კომენტირება ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით და, მეორე, სასამართლოს ან ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ გააკეთონ აქედან ბრალდებულისათვის უარყოფითი დასკვნები მისი დამნაშავეობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას. ამასთან, მსგავსი დასკვნები არ შეიძლება წარმოადგენდნენ პირის დამნაშავედ ცნობის ერთადერთ საფუძველს (მე-11 მუხლი, მე-8 პუნქტი), ესე იგი ისინი სუბსიდიური ხასიათისაა დანარჩენ გამამტყუნებელ მტკიცებულებებთან მიმართებაში და არ ათავისუფლებს ბრალდებას მტკიცების ტვირთისაგან, მხოლოდ ნაწილობრივ უმსუბუქებს მას ამ ტვირთს.

მთლიანობაში, 1996 წლის ახალი კანონის დებულებანი ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა გახსნის შესახებ ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო დოქტრინის მიერ აღიქმება, როგორც ღონისძიება, მიმართული იქეთ, რომ ჩამოერთვას დაცვას „უფლება უკანსუხოს ბრალდებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი სრულად განაცხადებს სასამართლოში თავის პოზიციას და წარმოადგენს თავის ყველა მტკიცებულებას“¹. ასეთი კონსტრუქციის ანტიშეუჯობიბითობა ისევე აშკარაა, როგორც, რომ იგი გამოწვეულია ინგლისელი კანონმდებლის მისწრაფებით – შექმნას მაქსიმუმი პირობები საქმის ყველა გარემოებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევისათვის ჯერ კიდევ სასამართლო განხილვის დაწყებამდე (რაც კონტინენტურ სისხლის სამართლის პროცესს მოგვაგონებს).

მესამე ეტაპს მტკიცებულებათა გახსნის პროცედურისა წარმოად-

¹ Brownlee J., Furniss C. Committed to Commitments? // The criminal law review. 1997. N1.

გენს „ბრალმდებელის მიერ მტკიცებულებათა განმეორებითი გახსნა“ (კანონის მე-7 მუხლი), რომელიც დაცვის მიერ შესაბამის მოქმედებათა განხორციელებას მოსდევს.

მოცემულ ეტაპზე ბრალმდებელი ვალდებულია ან წარუდგინოს დაცვას მის ხელთ არსებული მასალებიდან ისინი, რომლებიც ადრე გახსნილი არ ყოფილა და „შესაძლოა ხელი შეუწყონ დაცვას დაიცვას“ მის მიერ მეორე ეტაპზე ოფიციალურად განცხადებული პოზიციები, ანდა წერილობით განაცხადოს, რომ იგი არ ფლობს ასეთ მასალებს. არსებითად, საუბარია ბრალდების პასუხის შესახებ დაცვის მიერ წერილობით წარმოდგენილ მოსაზრებებზე.

მტკიცებულებათა გახსნის პროცედურის არსებით მომენტს, მთლიანობაში, წარმოადგენს ის, რომ არც ერთ მის ეტაპზე ბრალდება (დაცვისაგან განსხვავებით) არ არის ვალდებული გახსნას პროცესში *ყველა თავისი* „კოზირი“, ესე იგი წინასასამართლო წარმოებისას შეკრებილი საკუთრივ გამამტყუნებელი მტკიცებულებანი დაცვას არ წარედგინება. ბრალდება ვალდებულია, არ დაფაროს თავის მიერ გამოვლენილი გამამართლებელი მტკიცებულებანი, ან მტკიცებულებანი, რომლებიც ასეთებად შეიძლება გამოდგეს გარკვეულ პირობათა არსებობისას.

ზოგადად, მტკიცებულებათა გახსნის განსახილველი პროცედურის ნოველები ინგლისელი იურისტების მიერ ფასდება, როგორც დაცვის საპროცესო ავტონომიის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. მტკიცებულებათა თავის სასარგებლოდ შეკრების უფლება ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში თანდათანობით უკვე აღარ წარმოადგენს ბრალდებულის „კერძო საქმეს“. პირიქით, წინა პოზიციებზე გადმოდის მიდგომა, რომ სისხლის სამართლის საქმის შესახებ მიღებულ ნებისმიერ ინფორმაციას აქვს „საჯარო“ მნიშვნელობა და მხარეებმა კი არ უნდა შეუშალონ ხელი, არამედ უნდა გაუადვილონ ერთმანეთს დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული ყველა გარემოებათა დადგენა და შესაბამის მტკიცებულებათა შეკრება. სწორედ ამიტომ, ბრალდება თავის მხრივ ვალდებულია გახსნას არა ბრალდებულისათვის „საწინააღმდეგო“, არამედ მისთვის „სასარგებლო“ მტკიცებულებები. საბოლოო ჯამში, ინგლისელი კანონმდებლის აზრით, მხოლოდ ასეთ მიდგომას, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავს შეჯიბრებითობას თავისი ტრადიციული გაგებით, შეუძლია თანამედროვე პირობებში გააუმჯობესოს სისხლის სამართლებრივი იუსტიციის ფუნქციონირება.

მას შემდეგ, რაც განხორციელდა მტკიცებულებათა გახსნის პრო-

ცუდურის ყველა ეტაპი, წინასწარი მოსმენის (სამართალში მიცემის) სტადია დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. მომდევნო მოქმედებანი განეკუთვნება უკვე სისხლის სამართლის პროცესის მომდევნო სტადიას – პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვას.

§7. საბრალდებო აქტით დევნილ დანაშაულთა საქმეების გვირგვინის სასამართლოში განხილვა

გვირგვინის სასამართლოს განსჯად¹ საქმეებზე ძირითად საპროცესო დოკუმენტს წარმოადგენს „საბრალდებო აქტი“ (indictment), სადაც აღნიშნულია, თუ ვის წინააღმდეგაა მიმართული გვირგვინის მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნა და რაში ედება მას ბრალი (ქმედების სახელწოდება, მისი ამკრძალავი სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლი, ასევე, ძალიან მოკლედ – მხოლოდ ერთი ფრაზით – დანაშაულის შემთხვევის აღწერა). საბრალდებო აქტში რაიმე მტკიცებულებათა მოყვანა არ არის საჭირო. სწორედ საბრალდებო აქტის საფუძველზე მიიღებს საქმეს წარმოებაში გვირგვინის სასამართლო.

საბრალდებო აქტის პროექტს, როგორც წესი, ადგენს გვირგვინის საბრალდებო სამსახურის თანამშრომელი, ხოლო მას შემდეგ, რაც შედგება სამართალში მიცემა, ეს პროექტი ეგზავნება გვირგვინის სასამართლოს, სადაც მას დაამოწმებს გვირგვინის სასამართლოს კლერკი (officer), რომელსაც სამოსამართლო სტატუსი არ გააჩნია. 1933 წლის „მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ კანონის მე-2(1) მუხლის თანახმად, მის მიერ დამოწმებული პროექტი იურიდიულ ძალას იძენს და „საბრალდებო აქტად“ გადაიქცევა. შემდგომ იწყება გვირგვინის სასამართლოში წარმოების სხვადასხვა ეტაპები.

1. საქმეზე ბრალდებულის პოზიციის გარკვევა და მოსამზადებელი მოსმენა (preparatory hearing). სასამართლო განხილვის (საქმის არსებითად განხილვის – trial) პირველ ეტაპს ინგლისურ სისხლის სამართლის პროცესში, ტრადიციულად, წარმოადგენს პროცედურა, რომელსაც ხანდახან რუსულად „ознакомление обвиняемого с обвинительным актом“, ანდა „предъявление обвинения“-ს (ქართულად, შესაბამისად: „ბრალდებულისათვის საბრალდებო აქტის გაცნობა“; „ბრალდების წაყენება“ – ი.ბ.) უწოდებენ (arraignment and plea), თუმცა მას საერთო არაფერი აქვს იმავე სახელწოდების კონტი-

¹ სხვადასხვა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა შორის განსჯადობის გამიჯნვის შესახებ უფრო ვრცლად იხ. მოცემული თავი, §8.

ნენტურ საპროცესო მოქმედებასთან. მოცემული პროცედურის მიზანს არ წარმოადგენს განსასჯელისათვის ბრალდების საბოლოო ფორმულირების გაცნობა, რომლის გამოც წარიმართება სასამართლო განხილვა (ეს სისხლის სამართლის პროცესის უფრო საწყის ეტაპებზე ხდება), არამედ მისი მიზანია, გამოარკვიოს განსასჯელის პოზიცია საბრალდებო აქტში ფორმულირებულ ბრალდების არსთან მიმართებაში. ასეთი გამოარკვევის აუცილებლობა გამომდინარეობს ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი კონსტრუქციიდან: საქმის არსებითად განხილვა შესაძლებელია შედგეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეთა (ბრალდება და დაცვა) შორის არსებობს დავა პირის დამნაშავეობის შესახებ მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენაში. თუ დავა არ არსებობს, სასამართლო, წარმოადგენს რა „პასიურ არბიტრს“, არ არის უფლებამოსილი იმოქმედოს ex officio (მხარეთა საპროცესო პოზიციის მიუხედავად). ასეთ შემთხვევაში სასამართლო განხილვა, ნაფიც მსაჯულთა სკამის ფორმირებისა და მტკიცებულებათა გამოკვლევის ჩათვლით, ყოველგვარ აზრს კარგავს. თუმცა, როგორც ქვემოთ იჩნება ნაჩვენები, განსასჯელის ბრალდებისადმი დამოკიდებულების გამოარკვევით არ ამოიწურება სასამართლო განხილვის მოსამზადებელი ეტაპის ამოცანები, რომელიც წინ უსწრებს ნაფიც მსაჯულთა სკამის ფორმირებას, რაც ბევრად არის დამოკიდებული არსებითი ხასიათის სიახლეებთან, რომლებიც შემოღებულ იქნა 1996 წლის კანონით „სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიებების შესახებ“.

განსახილველი პროცედურა შემდეგნაირად გამოიყურება: გვირგვინის სასამართლოში გამოცხადებულ ან მიყვანილ ბრალდებულს გამოიძახებენ მოწმის ჩვენების მისაცემ ადგილთან, რის შემდეგაც დადგინდება მისი ვინაობა და სასამართლოს კლერკი წაუკითხავს მას საბრალდებო აქტის ტექსტს. ამის შემდეგ ბრალდებულს უსვამენ კითხვას, ცნობს თუ არა იგი თავს ბრალეულად წაყენებული ბრალდების პუნქტებთან მიმართებაში. ბრალდებულის წინაშე დასმულ კითხვაზე შესაძლოა პასუხის საში ვარიანტი: ა) იგი გარკვევით და მკაფიოდ პასუხობს, რომ თავს ბრალეულად არ ცნობს; ბ) იგი ასევე გარკვევით და მკაფიოდ პასუხობს, რომ ცნობს თავს ბრალეულად; გ) პასუხს არ სცემს დასმულ კითხვაზე ანდა მისი პასუხიდან შეუძლებელია ცალსახად დასკვნის გაკეთება წარდგენილ ბრალდებაზე მისი პოზიციის შესახებ. წარდგენილი ბრალდების მიმართ ბრალდებულის რეაგირების ყოველ ვარიანტს გარკვეული საპროცესო შედეგები აქვს.

თუ ბრალდებულმა ბრალი არ აღიარა, ეს მხარეთა შორის დავის

არსებობას და საქმეზე წარმოების გავრძელების აუცილებლობას ნიშნავს. ითვლება, რომ ბრალდებულმა ბრალი არ აღიარა, როდესაც იგი თავს არიდებს დასმულ კითხვაზე პირდაპირი და გასაგები პასუხის გაცემას. თუმცა, თუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლოს გაუჩივდა ეჭვი ბრალდებულის ფსიქიკურ შესაძლებლობაში – ადეკვატურად აღიქვას რეალური სინამდვილე, მაშინ მას უფლება აქვს, ამისათვის სპეციალურად გამოძახებულ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, გამოიკვლიოს ბრალდებულის ასეთი ქცევის მიზეზები, ასევე, შესწევს თუ არა მას უნარი მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში დაცვის მხარის სახით.

ამ საკითხზე უარყოფითი პასუხი შესაძებელია გახდეს საფუძველი ასეთი პირის მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებისა. 1991 წლის „სისხლის სამართლის პროცესის შესახებ (ჯანმრთელობის ფსიქიკური აშლილობა და სასამართლოში დაცვის განხორციელების უუნარობა)“ კანონის თანახმად, ასეთ შემთხვევაში ტარდება სპეციალური „სასამართლო განხილვა ფაქტებთან მიმართებაში“ (trial of the facts), რაც მიზნად ისახავს იმის გამორკვევას, დაარღვია თუ არა კანონი პირმა, რომელიც არ ექვემდებარება სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მისი სულიერი ავადმყოფობის გამო, თუ „ფაქტი“ საერთოდ არ მომხდარა. უკანასკნელ შემთხვევაში არ არსებობს სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი.

ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებას (guilty plea)¹ ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. არსებითად, მას ენიჭება ისეთივე საპროცესო მნიშვნელობა, როგორც მოპასუხის მიერ სარჩელის აღიარებას სამოქალაქო პროცესში.

ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება გამოირიცხავს სასამართლო განხილვას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია ცნოს ბრალდებული დამნაშავედ შეკრებილი გამამტყუნებელი მტკიცებულებების შემოწმების გარეშე.² სასჯელის ზომის საკითხი გადაწყდება ზოგადი წესების მიხედვით, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მთლიანობაში, ინგლისელ მოსამართლეთა თანამედროვე პოლიტიკა

1 ორიციალური სტატისტიკის თანახმად, 1994 წელს ვიორჯინის სასამართლოს გადაცემული განასჯელების 55%-მა აღიარა თავისი დანაშაული ბრალდების ყველა პუნქტის მიმართ.

2 ამ ინგლისური კლასიკური სისხლის სამართლის საპროცესო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ შემთხვევა, როდესაც მოსამართლეს წარმოეშობა გონივრული ეჭვი ბრალდებულის მიერ ბრალის შეგნებულად და ნებაყოფილად აღიარებაში.

ისეთია, რომ ისინი ყველანაირად ცდილობენ წახალისონ ბრალდებული, რათა მან აღიაროს ბრალი, ვინაიდან ეს მნიშვნელოვნად დააჩქარებს სისხლის სამართლის პროცესს, თაიდან იქნება არიდებული სასამართლო განხილვის მთელი რიგი ხანგრძლივი და რთული ეტაპები, გამარტივდება საქმის განხილვა და იგი უფრო იაფი გახდება.

ასეთი ტენდენციის დასტურად გამოდგება ინგლისელი იურისტებისათვის ფართოდ ცნობილი გადაწყვეტილება კოფის საქმეზე, რომელიც გამოტანილია სააპელაციო სასამართლოს მიერ 1974 წელს. მასში აღიარებულია მსჯავრდებულისათვის სასჯელის ზომის 30%-ით შემცირების მიზანშეწონილობა, მის მიერ ბრალის აღიარების შემთხვევაში. მსგავსი ტენდენცია გამოიკვეთა თანამედროვე კანონმდებლობაშიც: 2000 წლის 25 მაისის „სისხლის სამართლის სასამართლოთა სასჯელის დანიშვნის უფლებამოსილებათა შესახებ“ კანონის 152-ე მუხლში ცალსახად არის აღნიშნული, რომ განაჩენის დადგენისას სასამართლომ ბრალის აღიარება უნდა განიხილოს როგორც შემამსუბუქებელი გარეშობა, პროცესის იმ ეტაპის გათვალისწინებით, როდესაც ბრალდებულმა გამოთქვა ბრალის აღიარების სურვილი, ასევე იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომელშიც ასეთი სუვერილი იქნა გამჟღავნებული. ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების გათვალისწინებით, სასჯელის შემსუბუქებისას, სასამართლო ვალდებულია განაცხადოს ამის შესახებ ღია სასამართლო სხდომაზე სასჯელის ზომის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებისას.

ამას გარდა, ბრალის აღიარების ინსტიტუტის იურიდიული ბუნება ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის მხარეთა შორის მოლაპარაკების წარმოებას და შეთანხმების გაფორმებას, რომლის თანახმადაც ბრალდება გარკვეულ დათმობებზე მიდის დაცვის მიმართ (საბრალდებო აქტიდან ამორიცხავს ბრალდების ცალკეულ პუნქტებს, ამსუბუქებს ბრალდების კვალიფიკაციას და სხვა) იმის სანაცვლოდ, რომ ბრალდებულმა იკისროს ბრალის აღიარების ვალდებულება. ასეთი გარიგების შედეგად ბრალდება თავისუფლდება მტკიცების ტვირთისაგან, ვინაიდან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა უკვე გადაწყვეტილია, ხოლო ბრალდებულს გარანტირებული აქვს შედარებით მსუბუქი სასჯელი. ამგვარი გარიგებების ირგვლივ, ინგლისელ (თეორეტიკოს და პრაქტიკოს) იურისტებს შორის მწვავე დავისა და სასამართლოების მათდამი საკმაოდ ფრთხილი დამოკიდებულების

მიუხედავად¹, ისინი (გარიგებები) მაინც იკვლევენ გზას ამერიკული ნი-
მუშის მიხედვით, თუმცა ინგლისში ეს გარიგებები ისე გაერცელებული
არ არის, როგორც აშშ-ში.

ბრალდებულის მიერ ბრალის უარყოფის შემთხვევაში სასამართ-
ლოს მოქმედებათა წესი განსხვავდება იმ წესისაგან, რომელიც დაცული
უნდა იყოს მის მიერ ბრალის აღიარების დროს. განსასჯელის მიერ და-
ნაშაულის ჩადენაში ბრალის უარყოფის შესახებ განცხადების მიღების
შემდეგ, ვიდრე მოხდებოდეს ნაფიც მსაჯულთა სკამის ფორმირება, გვირ-
გვინის სასამართლოში შესაძლებელია მიიღონ რიგი გადაწყვეტილებები,
რომელიც საჭიროა პირობათა მომზადებისათვის, რათა სასამართლო
განხილვის მომდევნო ეტაპები წარმატებულად განხორციელდეს. სწორედ
ასეთ გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურას ეწოდება მოსამზადე-
ბელი მოსმენა (preparatory hearing). საბრალდებო აქტით ღვენიის და-
ნაშაულთა საქმეებზე (indictable offences) იგი სასამართლო განხილ-
ვის არა სავალდებულო, არამედ ფაკულტატურ ეტაპს წარმოადგენს.
მისი წარმოების შესახებ გადაწყვეტილებას მოსამართლე, რომელმაც ეს
საქმე მიიღო წარმოებაში არსებითად განსახილველად, იღებს საკუთარი
ინიციატივით ანდა რომელიმე მხარის შუამდგომლობით. ასეთი გადაწყ-
ვეტილების საფუძველი შეიძლება იყოს ან საქმის განსაკუთრებული
სირთულე, ან მისი განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობა, ანდა „სხვა
მიზეზების არსებობა, რომლებიც მოწმობენ ნაფიც მსაჯულთა მიერ
ფიცის დადებამდე მოსამზადებელი მოსმენის მიზანშეწონილობაზე“.
(„სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიებების შესახებ“ კანონის
29-ე მუხლი). სხვა სიტყვებით, იგი შეიძლება გაიმართოს უბრალოდ
მოსამართლის შეხედულებით.

კანონის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსამზადებელი
მოსმენის ჩატარების მიზანია შემდეგი: პირველი, იმ საკითხთა და-
კონკრეტება, რომლებიც სავარაუდოდ განხილულია ნაფიც მსაჯულთა
მონაწილეობით და უნდა გადაწყდეს მათი კვრდიქტით; მეორე, ხელის
შეწყობა იმისათვის, რომ აღნიშნული საკითხები სწორად გაიგოს თვი-
თონ მოსამართლემ ვერ კიდევ საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილე-
ობით განხილვამდე; მესამე, შემდგომი სასამართლო განხილვის დაჩქა-
რებისა და გამარტივებისათვის პირობების შექმნა; მეოთხე, მოსამარ-

¹ მაგალითისთვის, სააქლაციო სასამართლომ 1970 წელს თერნერის საქმეზე გამოტანილ
გადაწყვეტილებაში არასასურველად მიიჩნია მოსამართლეთა მონაწილეობა ბრალდებასა და დაცვის
მხარის ბრალის აღიარებაზე მოლაპარაკებების დროს; თუ ბრალდებულმა მიიღო მოსამართლისაგან
ნაწარმოებული იმის თაობაზე, თუ რა სასჯელი დაეწიება მას, მაშინ ბრალის აღიარება განიხილეს
როგორც იძულებითი და შესაბამისად ბათილი.

თლისათვის დახმარების გაწევა, რათა იგი წარმატებულად გაუძღვეს (უხელმძღვანელოს) სასამართლო განხილვას. მოსამზადებელი მოსმენის ჩატარებისას მოსამართლეს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დასაშვებობისა და სხვა სამართლებრივ საკითხთა შესახებ, რომლებიც საქმის განხილვას უკავშირდება.

გვირგვინის სასამართლოს მოსამართლეს მოცემულ ეტაპზე ფართო უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული. მაგალითად, მას შეუძლია დაევალოს ბრალმძებელს სასამართლოსა და დაცვისათვის წერილობითი დოკუმენტის წარდგენა, რომელშიც მოყვანილი იქნება ის ძირითადი ფაქტები, რასაც ბრალდება ემყარება; იმ მოწმეთა ჩამონათვალი, რომლებსაც შეუძლია დაადასტურონ ეს ფაქტები; მათთან დაკავშირებული ნივთიერი მტკიცებულებანი და ბრალდების სამართლებრივი დასაბუთება. ამას გარდა, მას ეკუთვნის უფლება გასცეს განკარგულება, რომ ბრალმძებელმა მოამზადოს თავისი მტკიცებულებანი და სხვა მასალები ისეთი ფორმით, რომელიც, მოსამართლის თვალსაზრისით, გაუადვილებს საქმის არსის გაგებას ნაფიც მსაჯულებს, თვითონ მოსამართლეს და დაცვას. და ბოლოს, სასამართლოს მოთხოვნით, ბრალმძებელი ვალდებულია მოამზადოს წერილობითი ჩანაწერი იმ დოკუმენტთა ჩამონათვალის მითითებით, რომლებიც საჭიროა საქმეზე დაშვებული იყოს მტკიცებულებათა სახით.

ბრალმძებელის მიერ ასეთ დანაწესთა შესრულების შემდეგ სასამართლოს შეუძლია დაევალებულოს დაცვა, რათა მან წერილობით წარმოადგინოს თავისი პოზიციის არსი და ბრალმძებლის მიერ წარდგენილი მასალების შესაგებელი, მიუთითოს სამართლის ნორმები, რომლებზე დაყრდნობასაც იგი აპირებს (მათ შორის, მტკიცებულებათა დასაშვებობის ნაწილში). აღნიშნული მასალების წარმოადგენის შესახებ მოსამართლის განკარგულებათა შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის საპროცესო სანქციას წარმოადგენს სასამართლოს ან (სასამართლოს ნებართვით) მხარეთა უფლება შემდგომი სასამართლო განხილვის მსვლელობისას მიუთითონ აღნიშნულ გარემოებაზე ნაფიც მსაჯულთა წინაშე და მათი თანდასწრებით გააკეთონ შესაბამისი, მეორე მხარისათვის არაკეთილსასურველი, დასკვნები (1996 წლის კანონის 34-ე მუხლი). ამდენად, ე.წ. „მოსამზადებელი მოსმენის“ შედეგად სასამართლო ჯერ კიდევ სასამართლო განხილვის დაწყებამდე იღებს მხარეთაგან წერილობით მასალებს, რაც ერთობლიობაში „სისხლის სამართლის საქმის“ მსგავს რამეს წარმოადგენს, თუმცა იგი ძლიერ შორს დგას იმ სისხლის სამართლის საქმეებიდან, რომელთა შედგენაც მიღებულია კონტინენტურ ევროპაში.

მოცემული სიახლე კიდევ ერთხელ ცხადყოფს ინგლისური, საუკუნეებით კულტივირებულ, შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესის სქემათაგან გადახვევის ტენდენციას, რაც რამდენიმე წლის წინ იქნა შემჩნეული. მაგალითისათვის, დიდი ბრიტანეთის ლორდ-კანცლერი, ჯერ კიდევ 1986 წელს მოუწოდებდა: „საჭიროა, რომ მოსამართლეები აღჭურვილნი იყვნენ უფრო ფართო და ინტენსიური უფლებამოსილებით, რათა მათ შეეძლოთ უფრო აქტიური როლი შეასრულონ პროცესში, დისციპლინის უზრუნველყოფით, ადვოკატების მიერ საქმის გაჭინანურების მცდელობისას მათი დასჯით, მოთხოვნით რომ ადვოკატებმა არ გადაუხვიონ საქმის არსს... ჩვენ თანდათანობით უარი უნდა ვთქვათ ტრადიციულ ზეპირ პროცედურებზე. მხარეთა ადვოკატებმა თავიანთი მოსაზრება წერილობით უნდა გამოთქვან, რათა მოსამართლეებს უფლება აქონდეთ წინასწარ გაეცნონ მას“¹. ძნელი შესამჩნევია არ არის, რომ ეს აზრი მთლიანად არის ასახული 1996 წლის კანონის შინაარსში. ამჟამად, ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში სიმძიმის ცენტრი გადატანილია ზეპირი სასამართლო განხილვიდან წერილობით მოსამზადებელ მოსმენაზე, სადაც წინასწარ ხდება „ფორმალიზება“ მხარეთა პოზიციებისა, რაც მხარეებს უკარგავს მოსამართლეებისა და მსაჯულთა წინაშე იმპროვიზაციის შესაძლებლობას იმ დოზით, რა დოზითაც ისინი ამას ადრე აკეთებდნენ. შედეგად, თვითონ სასამართლო განხილვა ხდება უფრო მეტად „დაგეგმილი“ და უფრო ნაკლებ მოულოდნელობებს იწვევს, ვიდრე გასული წლების ინგლისის კლასიკური შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესი.

2. ნაფიც მსაჯულთა საქმის ფორმირება. საბრალდებო აქტით დევნის დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო განხილვა ტარდება გვირგვინის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით (თუ, რა თქმა უნდა, ბრალდებული არ ცნობს თავს დამნაშავედ).

ამ სასამართლოს შესახებ ზემოთ ჩვენს საუბარს (იხ. პირველი თავი, §5 და მოცემული თავი, §3) დაემატებდით, რომ დღეს, თვით ნაფიც მსაჯულთა სამშობლოშიც – ინგლისში, საკმაოდ აქტიურად განიხილება საკითხი მისი შენარჩუნების შესახებ. გარკვეულწილად შეგვიძლია ვისაუბროთ ამ სასამართლოს წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის შესახებ, სადაც ამჟამად გამოიკვეთა ორი მიმართულება.

ერთი მათგანი საკმაოდ ღინჯი ნაბიჯით ვითარდება: მისი წარმომადგენლები, მიიჩნევენ რა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მართლმ-

¹ იოტ. შესაბამისად: *Edward D. Grande-Bretagne: principes generaux et droit penal // Revue de science criminelle et de droit penal compare. 1987. N1. P. 62*

საჯულების განხორციელების ოდნავ მოძველებულ ფორმად, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე რეალიებს, მაინც არ მოითხოვენ მის მთლიანად გაუქმებას. ისინი (ხან პირდაპირ და ხან ირბად) მზარს უჭერენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლებამოსილებათა მაქსიმალურად შეზღუდვის გზით მის „უმტკივნეულო“ განდევნას. მაგალითად, საკმაოდ ავტორიტეტული „სისხლის სამართლის ჟურნალის“ გვერდებზე ახლახანს (1997, №3) გამოთქმული იყო წინადადება, რომ ბრალდებულისათვის მიენიჭებინათ უფლება, უარი ეთქვა თავისი საქმის ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილვაზე (ყველა დანაშაულთა კატეგორიაზე გამონაკლისის გარეშე), რადგან საქმე იმავე საპროცესო წესით მხოლოდ პროფესიონალ მოსამართლეებს განეხილათ.

მეორე მიმართულება უფრო რადიკალურია და აქტიურად გაილაშქრებს ნაფიც მსაჯულთა წინააღმდეგ. მისი წარმომადგენლები ხმამაღლა მოუწოდებენ ასეთი სასამართლოს სრულად და საბოლოოდ გაუქმებისაკენ. ასე მაგალითად, იმავე „სისხლის სამართლის ჟურნალში“ დისკუსიის ფარგლებში (1997, №8) გამოქვეყნებული იყო სტატია, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია, სადაც ავტორი (ა. დერბიშირი) დაჟინებით ამტკიცებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეფენების სასამართლოთი ჩანაცვლების აუცილებლობას. ამას იგი საკმაოდ ემოციურად აკეთებს. „მე, – წერს იგი – არ ვარ ნაფიც მსაჯულთა ჟიურის წინააღმდეგი. მე უბრალოდ წინააღმდეგი ვარ ნონსენსისა, რომელსაც იგი წარმოადგენს“ (გვ.643). სტატიას მრავალი გამოხმაურება ჰქონდა, მათ შორის ნევატიური, მაგრამ თვითონ პოლემიკის ფაქტი სიმპტომატიურია.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინგლისში ჯერ კიდევ მყარი პოზიციები აქვს. იგი არსებობას განაგრძობს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი კლასიკური სახით. მისთვის დამახასიათებელია სასამართლო შემადგენლობის ორ ავტონომიურ კოლეგიად დაყოფა (პროფესიონალი მოსამართლეები და არაპროფესიონალი ნაფიცი მსაჯულები), მათთვის განსხვავებული კომპეტენციის მინიჭება, მართლმსაჯულების ორი აქტი – ვერდიქტი და სასჯელის თაობაზე გადაწყვეტილება, ნაფიც მსაჯულთა სიების შედგენა შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით და სხვა. დამახასიათებელ თავისებურებას, რაც განასხვავებს წმინდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში არაპროფესიონალების მონაწილეობის სხვა ფორმებისაგან (მაგალითად, შეფენების სასამართლო, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ – თავი მე-5, §ნ და §7), წარმოადგენს კიდევ ის, რომ „არაპროფესიონალურ“ ნაწილში

(ყოური) მისი შემადგენლობის ფორმირება ხდება, კონკრეტულ საქმეზე წარმოების მსვლელობისას, მხარეთა აქტიური მონაწილეობით. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ფორმირება სასამართლო განხილვის სრულფასოვანი ეტაპია, რომელიც მხარეთა მონაწილეობით ტარდება, სადაც მათ (მხარეებს) ფართო შესაძლებლობები აქვთ ჟიურის შემადგენლობაზე გავლენის მოსახდენად მოტივირებულ და არამოტივირებულ აცილებათა მეშვეობით.

ამ ეტაპს წინ უსწრებს სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებ-გარეთ წარმოებული საქმიანობა იმ პირთა სიების შესადგენად, რომლებიც შეიძლება გამოიძახონ სასამართლოში მსაჯულთა სახით. დღესდღეობით ეს საქმიანობა ძირითადად მოწესრიგებულია 1974 წლის „ნაფიც მსაჯულთა ჟიურის შესახებ“ კანონითა და 1984 წლის „ნაფიც მსაჯულთა დისკვალიფიკაციის შესახებ“ კანონით, ასევე, ლორდ-კანცლერის დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით. ეს კანონები და კანონქვემდებარე აქტები ითვალისწინებენ შემთხვევითი შერჩევის გზით, მსაჯულთა სახით სასამართლოში გამოიძახებულ პირთა სიების შედგენის საკმაოდ რთულ წესს. სწორედ ამ სახის სიებიდან ხდება (კვლავ შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით) ამორჩევა იმ კანდიდატურებისა, რომელთაც გამოიძახებენ სასამართლოებში კონკრეტულ საქმეთა განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. როგორც წესი, სასამართლო განხილვის დღეს გვირგვინის სასამართლოს წინაშე წარსდება 25-30 მოქალაქე, რომლებიდანაც სასამართლომ და პროცესის მონაწილეებმა უნდა შეარჩიონ ჟიურის შემადგენლობა მოცემული საქმის განსახილველად.

ზოგადი წესის მიხედვით, ჟიური 12 წევრისაგან უნდა შედგებოდეს. მხარეთა თანხმობით დასაშვებია ნაფიც მსაჯულთა უფრო ნაკლები რაოდენობა, მაგრამ არანაკლებ 9-ისა. ძირითად საპროცესო ხერხს, რომლითაც სასამართლოში გამოიძახებული 25-30 მოქალაქეთაგან აირჩევა ჟიურის საჭირო რაოდენობა, კენჭისყრა წარმოადგენს. მოსამართლის ნებართვით, რომელიც თავმჯდომარეობს სხდომას, მხარეებს უფლება აქვთ განაცხადონ განუსაზღვრელი რაოდენობის მოტივირებული აცილება ნაფიცი მსაჯულების მიმართ, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიონალი მოსამართლე მიიღებს.

გარდა კენჭისყრისა და მოტივირებული აცილებისა, რომელიც ართუ ისე ხშირად გამოიყენება, ჟიურის ფორმირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, ზემოაღნიშნული არამოტივირებული აცილების ინსტიტუტი წარმოადგენდა. ასეთი აცილების უფლება ყოვ-

ელთვის დაცვის მნიშვნელოვანი ხერხი იყო. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისსა და მის შუა პერიოდში დაცვას უფლება ჰქონდა განეცხადებინა 20-მდე არამოტივირებული აცილება. შემდეგ ეს რაოდენობა 7-მდე შემცირდა, ხოლო მოგვიანებით (1982 წლის „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ კანონი) – 3-მდე. ბოლოს, 1988 წლის „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ კანონმა, რაც ტენდენციის ლოგიკური დასასრული გახდა, საერთოდ ჩამოართვა დაცვას არამოტივირებული აცილების უფლება. კანონმდებლის აზრით, არამოტივირებული აცილების ინსტიტუტი მხოლოდ აჭიანურებდა პროცესს, რაც ხელს უშლიდა მართლმსაჯულების წარმატებულად განხორციელებას. ასე რომ, ინგლისის სისხლის სამართლის პროცესმა დაკარგა მისი ერთ-ერთი კერძო, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი თვისებათაგანი, რომლებიც თვითონ ინგლისელების მიერ შექმნილ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კლასიკურ მოდელს განსაზღვრავენ.

რაც შეეხება ბრალდებას, *de jure* მას არ ჰქონდა უფლება არამოტივირებულ აცილებაზე თუნდაც მაშინ, როდესაც ასეთი უფლებით სარგებლობდა დაცვა. ამავე დროს, *de facto*, ბრალდებას შეეძლო და ახლაც შეუძლია მისცეს აცილება მოტივის მითითების გარეშე – რაც ხორციელდება ბრალმდებლისათვის მინიჭებული ნაფიც მსაჯულად ასარჩევი კანდიდატურის (ჟიურის ფორმირების პროცედურიდან) დროებით გარიდების უფლების რეალზაციის გზით (*prosecution's right to stand a juror by*). მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბრალმდებელის შუამდგომლობით სასამართლო თხოვნით მიმართავს კონკრეტულ მსაჯულს (კიდრე იგი ფიცს დადებდეს) „გვერდით მოიცადოს“ (*stand by*) თუ მოხერხდება ჟიურის დაკომპლექტება სხვა პირებისაგან, რომლებიც მოწვეულები არიან სასამართლოში, როგორც სავარაუდო ნაფიცი მსაჯულები და „გვერდით მომლოდინე“ კანდიდატურამდე საქმე აღარ მივა, მაშინ მისი აცილების შესახებ საკითხი აღარ განიხილება და იგი არ იქნება შეყვანილი შემადგენლობაში, ფაქტობრივად, არამოტივირებულად. თუკი მას მოუწევს რიგი, მაშინ მოსამართლე აბრუნებს მას და სთხოვს ბრალმდებელს აცილების მოტივის წარმოდგენას. ასეთ შემთხვევაში აცილება მოტივირებული გამოდის. დაცვისათვის არამოტივირებული აცილების უფლების ჩამორთმევის გათვალისწინებით, ბრალდება, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ახლა პირიქით, გარკვეული უპირატესობებით სარგებლობს ნაფიც მსაჯულთა სკამის ფორმირებისას.

ნაფიც მსაჯულთა საჭირო რაოდენობის შერჩევის დასასრულს

ისინი ფიცს დებენ. ამით დასრულდება გვირგვინის სასამართლოში საბრალდებო აქტით დევნის დანაშაულთა საქმეებზე წარმოების მოსამზადებელი ნაწილი.

3. სასამართლო განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით და ვერდიქტის გამოტანა. სასამართლო განხილვა (trial) მიღებულია განვიხილოთ, როგორც ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის საკვანძო მომენტი – მისი ერთგვარი კულმინაცია, თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ასეთი შეხედულება ოდნავ შეცვალა ახლახანს განხორციელებულმა მოსამზადებელი მოსმენის პროცედურის მოდერნიზაციამ.

თავისი სტრუქტურის მიხედვით, სასამართლო განხილვას არ ახასიათებს ის დაყოფა ეტაპებად, რომელიც მიღებულია კონტინენტურ ევროპაში (სასამართლო გამოძიება, სასამართლო კამათი და სხვა). ინგლისში თითქმის განუყოფელია ერთმანეთისაგან მხარეთა მიერ მტკიცებულებათა წარმოდგენა და მათ მიერ სიტყვით გამოსვლა, ამიტომ უპირანია საუბარი, რომ სასამართლო განხილვა შედგება მხარის პოზიციის, მათ შორის მისი მტკიცების თანმიმდევრული წარმოდგენისაგან ჯერ ბრალდების (case for accusation), შემდეგ – დაცვის (case for defence) მხრიდან. არსებითად, სწორედ ეს არის სასამართლო განხილვის ძირითადი ეტაპები, რომლის დროსაც განიხილება საქმის ფაქტობრივ გარემოებათა დადგენასთან დაკავშირებული საკითხები.

დასახელებულთაგან პირველი ეტაპი იწყება ბრალმდებელის მოკლე გამოსვლით, სადაც იგი ბრალდების არსს წარმოადგენს. შემდეგ იგი გადადის საქმის ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცებაზე, რომლებიც ბრალდებას უდევს საფუძვლად. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1996 წლის „სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიებების შესახებ“ კანონის თანახმად, დღეისათვის მტკიცების ფარგლები გარკვეულწილად შეზღუდულია იმ ჩარჩოებით, რომელიც საბრალდებო აქტით განისაზღვრება და საპროცესო დოკუმენტებით, რომლებიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მოსამზადებელი მოსმენის დროსაა შედგენილი (თუ იგი ჩატარდა).

მტკიცების ძირითად ხერხს წარმოადგენს მოწმეთა დაკითხვა – მეტად გავრცელებული საპროცესო მოქმედება. ინგლისში დაკითხვას ტრადიციულად თავისი სპეციფიკური სტრუქტურა აქვს და სამი ეტაპისაგან შედგება:

- ა) ჯერ ტარდება ძირითადი დაკითხვა (examination in chief), რომლის დროსაც მოწმეს კითხვებს უსვამს ის მხარე, ვისი შუამდგომლობითაც იყო იგი გამოძახებული სასამართლოში, ესე

იგი, თუ საუბარია ბრალდების მოწმეზე, მაშინ მას ძირითადად დაკითხავს ბრალმდებელი. ძირითადი დაკითხვის დროს მხარეს, რომელიც დაკითხვას ახორციელებს, უფლება არ აქვს დასაკითხოს დაუსვას მისახვედრი კითხვები;

ბ) მას შემდეგ, რაც დასრულდება ძირითადი დაკითხვა, იწყება *ჯვარედინი დაკითხვა* (cross examination), რომელსაც მოწინააღმდეგე მხარე ატარებს (თუ საუბარია ბრალდების მოწმეზე, მაშინ *ჯვარედინი დაკითხვას* დაცვა წაიყვანს). *ჯვარედინი დაკითხვის* უფლება ანგლოსაქსონურ იურისპრუდენციაში განიხილება, როგორც მხარეთა ფუნდამენტური საპროცესო უფლება. სწორედ მოცემული უფლების არსებობით აიხსნება ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის მრავალი ინსტიტუტი, მაგალითად hearsay-ის აკრძალვა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ (მოცემული თავი, §4). *ჯვარედინი დაკითხვის წარმოება* – ეს არის შესაბამისი მხარის უფლება და არა მოვალეობა, მაგრამ, თუ იგი უარს იტყვის გარკვეული მოწმის *ჯვარედინი დაკითხვაზე*, მაშინ ამ მოწმისაგან მიღებული ინფორმაცია პრეზიუმირებული იქნება როგორც ჭეშმარიტი. *ჯვარედინი დაკითხვა* ინგლისის სასამართლოში მტკიცებულებათა შემოწმების საკვანძო ხერხს წარმოადგენს, ამიტომ სასამართლო პრაქტიკა არ ითვალისწინებს რაიმე მკაცრ შეზღუდვებს მხარისათვის, რომელიც *ჯვარედინი დაკითხვას* ახორციელებს, რომლის დროსაც დაშვებულია მისახვედრი კითხვების დასმა, რაც გამორიცხულია დაკითხვის დანარჩენ ეტაპებზე;

გ) დაკითხვის დამამთავრებელი ეტაპია – ხელახალი დაკითხვა (re-examination), რომელსაც ფაქულტატური მნიშვნელობა აქვს. მისი ჩატარების უფლება აქვს მხარეს, რომელმაც გამოიძახა და ძირითადად დაკითხა მოწმე, მაგრამ მხოლოდ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც *ჯვარედინი დაკითხვის* დროს წამოიჭრა. არსებითად, საუბარია მხარის „რეპლიკაზე“, რომელიც რაიმეს ამტკიცებს მოწმეთა ჩვენების საფუძველზე, ესე იგი მისთვის უფლების მინიჭებზე – გააბათილოს *ჯვარედინი დაკითხვის* მისთვის უარყოფითი შესაძლო შედეგები.

ბოლო წლებში სასამართლოში გამოცხადებული მოწმის დაკითხვის ზემოთ მოყვანილი ფორმის გვერდით ჩდება დაკითხვის ახალი ხერხები, რაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით არის განპირობებული. ასე მაგალითად, 1988 წლის „სისხლისსამართლებრივი იუს-

ტიციის შესახებ“ კანონის შესაბამისად: „პირს, რომელიც არ არის ბრალდებული, უფლება აქვს მისცეს მოწმის სახით ჩვენება სატელევიზიო ქსელის მეშვეობით საბრალდებო აქტით დევნის დანაშაულთა საქმეების სასამართლო განხილვის დროს..., იმ შემთხვევებში, როდესაც ან მოწმე იმყოფება დიდი ბრიტანეთის ფარგლებკარეთ, ან მოწმეს არ მიუღწევია 14 წლის ასაკისათვის, ანდა, როდესაც პირს ბრალი ედება კანონში აღნიშნული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენაში“ (მაგალითად, ძალადობა 16 წლის მიუღწეველ არასრულწლოვანთა მიმართ). ასეთი სახის „სატელევიზო დაკითხვა“, რომელიც საშუალებას იძლევა პროცესის დაჩქარებულად წარმართვისა, ანდა გამორიცხავს მოწმეებზე ზეგავლენის შესაძლებლობას (ძირითადად არასრულწლოვან მოწმეებზე), იურიდიულად უტოლდება მოწმის ჩვეულებრივ დაკითხვას და არ ითვლება მოწმის ჩვენების დაუსწრებელ გამოქვეყნებად.

როგორია სხდომის თავმჯდომარე მოსამართლის როლი მხარეთა მიერ წარმოებული დაკითხვის დროს? პრინციპში, იგი პასიურია, ვინაიდან არ წარმოადგენს მტკიცების სუბიექტს. ამავე დროს, ე.წ. „პასიურობა“ ინგლისელი მოსამართლისა სრულებით არ ნიშნავს, რომ მას ან ეკრძალება დამოუკიდებლად დაუსვას კითხვები მოწმეს, ანდა არ აქვს ამის უფლება. მაგრამ მოსამართლეები ხშირად არ სარგებლობენ ასეთი უფლებით. ამას გარდა, მათი კითხვები, როგორც წესი – ეს არ არის ახლის გამორკვევა, არამედ თხოვნაა, რომ განმარტონ უკვე ნათქვამი, რისი აზრიც, მოსამართლის თვალსაზრისით, მთლად ნათელი არ არის.

თავის მოწმეთა დაკითხვის დამთავრების შემდეგ, მათ შორის ექსპერტებისა, რომლებიც „განსწავლულ მოწმეებად“ ითვლებიან (expert witnesses)¹, ბრალდება წარადგენს სხვა მტკიცებულებებს: დოკუმენტებს, ნივთიერ მტკიცებულებებს და ასე შემდეგ, ხოლო შემდეგ შეუძლია წარმოთქვას სიტყვა, რითიც შეაჯამებს გამამტყუნებელ მტკიცებულებებს მთლიანობაში.

ბრალდების შემდეგ თავის მტკიცებულებებს წარადგენს დაცვა. მანამდე დაცვას უფლება აქვს გააკეთოს განცხადება, რომ „ბრალდება პასუხის გაცემად არ ღირს“, ესე იგი ბრალმდებელმა ვერაფერი ვერ დაამტკიცა. ვინაიდან მას აწევს მტკიცების ტვირთი და ყველა ეჭვი განსასჯელის სასარგებლოდ განიხილება, პროცესის გაგრძელება აზრს კარგავს. ბრალმდებელს უფლება აქვს რეპლიკით გამოვიდეს დაცვის ასეთი განცხადების შემდეგ, რის შემდეგაც მას განიხილავს თავმჯდომ-

¹ ანგლო-საქსონურ სამართალწარმოებაში არ არის მიღებული ექსპერტთა განიხილებოდეს როგორც განსაკუთრებული, დამოუკიდებელი სასამართლო ან საგამომიძიებო მოქმედება.

მარე მოსამართლე. თუ იგი დაეთანხმება, რომ ბრალდებათ თავი ვერ გაართვა მტკიცების ტვირთს (რაც საკმაოდ იშვიათად ხდება), მაშინ იგი ნაფიც მსაჯულებს აძლევს მითითებას გამოიტანონ გამამართლებელი ვერდიქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვა შეუდგება მტკიცებას. მტკიცების საკვანძო ხერხს აქაც დაცვის მოწმეთა დაკითხვა წარმოადგენს, რომელიც, ასევე, სამი ეტაპისაგან შედგება: ძირითადი დაკითხვა, ჯვარედინი დაკითხვა და ხელახალი დაკითხვა. თუ ბრალდებული გადაწყვეტს მისცეს ჩვენება დაცვის მოწმის სახით, მაშინ მან ეს პირველმა უნდა გააკეთოს, რათა დანარჩენი მოწმეების ჩვენებებმა გავლენა არ იქონიონ მის ჩვენებაზე.

მტკიცების პროცედურის დასასრულს მხარეები წარმოთქვამენ დასკვნით სიტყვას და ნაფიც მსაჯულთა მისამართით გამოთქვამენ თავიანთი მოსაზრებას ბრალდებულის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის შესახებ. ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში ნაფიც მსაჯულთა წინაშე ბოლო სიტყვა ყოველთვის დაცვას ეკუთვნის.

მხარეთა მიერ მტკიცებულებების წარმოადგენასთან დაკავშირებულ თავიანთი საპროცესო მისიის შესრულების შემდეგ თავმჯდომარე მოსამართლე წარმოთქვამს ნაფიც მსაჯულთა სადამრიგებლო სიტყვას (summing up). მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ განუმარტოს ე.წ. „ფაქტის მოსამართლეებს“, რომლებიც დამოუკიდებლად გადაწყვეტენ საკითხს ბრალდებულის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის შესახებ, მათი საპროცესო ვალდებულებანი, მტკიცებულებათა შუფასების წესები, შესაბამისი სამართლის ნორმები, რათა მათ მოახდინონ მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა სისტემატიზაცია. ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში არ არის მკაცრი საპროცესო წესები, რომლებიც არეგულირებენ თავმჯდომარე მოსამართლის მიერ სადამრიგებლო სიტყვის წარმოთქმის წესსა და მის შინაარსს. პრაქტიკაში ყველა მოსამართლე შეიძლება თავის პეთოდს, ამასთან, მოსამართლეებს არ ეკრძალებათ გამოთქვან ნაფიც მსაჯულთა წინაშე საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხის მიმართ.

დიდი ხნის მანძილზე (XIV საუკუნიდან) ინგლისის სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთ დოგმას გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანისას ყველა ნაფიც მსაჯულთა ერთსულოვნების აუცილებლობის მოთხოვნა წარმოადგენდა. ეს მოთხოვნა გაუქმდა 1967 წლის კანონით „სისხლის სამართლის შესახებ“. დღეს შესაბამის ნორმას შეიცავს 1974 წლის „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ“ კანონის მე-17 მუხლი. თუ თათბირისას ნაფიცი მსაჯულები სწრაფად ვერ ჩამოყა-

ლიბდებიან ერთიან აზრზე, მაშინ ისინი ვალდებულნი არიან ითათბირონ არა ნაკლებ 2 საათის განმავლობაში. გამამტყუნებელი ვერდიქტი მიიღება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით – არა ნაკლებ 10 ნაფიცი მსაჯული მხარს უნდა უჭერდეს, რომ პირი „დამნაშავეა“ (იმ შემთხვევებში, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სკაში შედგება 10 ან 9 მსაჯულისაგან, მაშინ საჭიროა შესაბამისად, 9 ან 8 ხმა). თუ გამამტყუნებელი ვერდიქტის სასარგებლოდ არ აღმოჩდება ხმათა საჭირო რაოდენობა, ბრალდებული უნდა გამართლდეს.

თათბირის დასრულების შემდეგ ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ ვერდიქტი. ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის თეორია განახევებს მის 4 ვარიანტს: ა) გენერალური ვერდიქტი, როდესაც ნაფიცი მსაჯულები ცალსახად გადაწყვეტენ განსასჯელის დამნაშავეობის საკითხს მის მიმართ წაყენებულ ბრალდების მიმართ; ბ) ნაწილებად დაყოფილი ვერდიქტი, რომელიც გამოაქვთ იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების ზოგიერთი პუნქტით პირი ცნობილია დამნაშავედ, ხოლო ბრალდების ზოგიერთი პუნქტით – უდანაშაულოდ; გ) ვერდიქტი, რომელიც ცვლის ბრალდებას, როდესაც განსასჯელი დამნაშავედ ცნობილია არა იმ დანაშაულისათვის, რომელიც მას ბრალად წაეყენა საბრალდებო აქტით (საბრალდებო აქტი ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში მკაცრად არ განსაზღვრავს სასამართლო განხილვის ფარგლებს); დ) სპეციალური ვერდიქტი, სადაც ნაფიცი მსაჯულები დადგენილად ცნობენ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ბრალდებას უდევს საფუძვლად, მაგრამ ღიად ტოვებენ პირის დამნაშავეობის საკითხს. ვერდიქტის ეს სახე დღესდღეობით გამოიყენება ძირითადად იმ შემთხვევებში, როდესაც პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მისი შეურაცხადობის გამო. შეურაცხადის მიერ სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედების ჩადენის ფაქტის დადგენის გამო, ასეთი ვერდიქტისას წარმოიქმნება იურიდიული წანამძღვრები, რათა გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა „უსაფრთხოების ზომები“ – როგორც დასავლეთში უწოდებენ სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებებს და მათ ანალოგებს, 1991 წლის „სისხლის სამართლის პროცესის (ჯანმრთელობის ფსიქიკური მოშლა და სასამართლოში თავის დაცვის უუნარობა) შესახებ“ კანონით დადგენილი წესით.

4. *სასჯელის შეფარდება.* სასამართლო განხილვის მოცემული ეტაპი შეიძლება ჩატარდეს მაშინ, როდესაც ნაფიც მსაჯულთა მიერ ბრალდებული ცნობილია დამნაშავედ გარკვეული დანაშაულის ჩადენაში და დგება მისთვის სასჯელის ზომის შეფარდების აუცილებლობის

საკითხი. ეს პროფესიონალმა მოსამართლემ უნდა განახორციელოს. ნაფიც მსაჯულთა ჟიური, შეასრულებს რა ვერდიქტის გამოტანასთან დაკავშირებულ საპროცესო ამოცანას, პროცესში აღარ მონაწილეობს.

მსჯავრდულისათვის სასჯელის დანიშვნის ინდივიდუალიზაცია მოითხოვს ლეტალურ გამოკვლევას ყველა მონაცემისა, რაც მისი პიროვნების დახასიათებას შეეხება. თუმცა ასეთი გამოკვლევა, ზოგადი წესის მიხედვით, არ წარმოებს მხარეთა მიერ საქმის ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების დროს.

ამიტომ, გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შემდეგ სასამართლო განხილვის კიდევ ერთი ეტაპის ჯერი დგება, რომლის დროსაც ხდება მსჯავრდებულის პიროვნების შესახებ სრული მონაცემების შეკრება, შეძლებისდაგვარად, ხოლო შემდეგ სწორედ მათი გათვალისწინებით ხდება სასჯელის კონკრეტული ზომის დანიშვნა. აღნიშნული ზორციელდება ე.წ. „განაჩენამდელი გამოძიების“ გზით, რომელსაც მოსამართლის დავალებით ასრულებენ პრობაციის სამსახურის თანამდებობის პირები ან „სოციალური მუშაკები“, რომლებიც ადგენენ მსჯავრდებულის შესახებ დაწერილებითი მონაცემების დოსიეს („განაჩენამდელი მოხსენება“). თავის მხრივ, დაცვა დაინტერესებულია მაქსიმალურად მსუბუქი სასჯელის დანიშვნით და აგროვებს ინფორმაციას, რომელიც დადებითად ახასიათებს მსჯავრდებულს. ზემოხსენებული 2000 წლის „სისხლის სამართლის სასამართლოთა სასჯელის დანიშვნის უფლებამოსილებათა შესახებ“ კანონის თანახმად, პროცესის ამ ეტაპზე მოსამართლეს უფლება აქვს დაავალოს „სამედიცინო გამოძიების“ (medical examination) ჩატარება, რათა დადგინდეს მსჯავრდებულის ფსიქიკური ან ფიზიკური მდგომარეობა.

ბოლო წლებში, ინგლისის ზოგიერთ რეგიონში (ქოვენთრი, ლიდსი, ეულვერპემპტონი) განვითარდა ე.წ. „სასამართლო მედიაცია“, რომელიც ბრიტანული სამართალგამოყენებითი პრაქტიკის ერთ-ერთ უახლეს მიმდინარეობად არის აღიარებული. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირის დამნაშავედ ცნობის შემდეგ და მისთვის სასჯელის დანიშვნამდე, პრობაციის სამსახური (ანდა რომელიმე „პროფილური“ საზოგადოებრივი ორგანიზაცია) შუამავლობს დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის, ცდილობს დაარწმუნოს მსჯავრდებული, რომ მან აანაზღაუროს ზიანი. ასეთი შუამავლობის წარმატებულად განხორციელებისა და შესაბამისი შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, მოსამართლე, ჩვეულებრივ, სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის მოქმედებას. შედეგად, მოგებულია ორივე მხარე. დაზარალე-

ბული, რეალურად მონაწილეობს რა დამნაშავეისათვის სასჯელის ზომისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის გადაწყვეტაში, იღებს კომპენსაციას იმ ოდენობით, რომელიც შეუძლია თვითონვე განსაზღვროს, როგორც შეთანხმების აუცილებელი პირობა. დამნაშავეისათვის სასარგებლო მხარეებიც ასევე აშკარაა.

საინტერესო თავისებურება აქვს ლიდის გამოცდილებას, სადაც სასამართლო მედიაციის (შუამავლობის) გამოყენების საკითხი პრინციპულად უნდა გადაწყდეს სასამართლო განხილვის დაწყებამდე. აქ მედიაციის სპეციალური სამსახური შეარჩევს გვირგვინის სასამართლოში მხოლოდ იმ პირთა საქმეებს, რომლებიც მზად არიან წერილობით აღიარონ ბრალი და თანახმანი არიან სამომხრებლო პროცედურის გამოყენებაზე. ასე რომ, აღნიშნულ შემთხვევაში კარგად ჩანს პირდაპირი კავშირი ინგლისში დროდადრო გამოყენებულ „აღიარების შესახებ შეთანხმებასა“, რომელიც დაიდება ბრალდებისა და დაცვას შორის (plea bargaining), და მედიაციის, როგორც მსჯავრდებულის მასტიმულირებელი ფაქტორის გამოყენებას შორის.

„განაჩენამდელი გამოძიების“ დასრულებისას, რომელიც სასამართლოს მიერ დადგნილ ვადებში ხორციელდება, მხარეებს საშუალება ეძლევათ მიიღონ განაჩენამდელი მოხსენებისა და მასზე თანდართული მასალების ასლები. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს 2000 წლის „სისხლის სასამართლოთა სასჯელის დანიშვნისას უფლებამოსილებათა შესახებ“ კანონის 156-ე მუხლი.

შემდეგ ტარდება სასამართლო სხდომა მხარეთა მონაწილეობით, სადაც ხდება „განაჩენამდელი დოსიეს“ და მხარეთა მიერ შეკრებილი მასალების გაანალიზება. სხდომის მონაწილეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის ზომის შესახებ (sentence). რუსულ ლიტერატურაში ასეთ გადაწყვეტილებას ხშირად „განაჩენს“ უწოდებენ, თუმცა აქ საუბარი არ არის რუსი იურისტიკისათვის მისაღებ დოკუმენტზე, რომელსაც რთული სტრუქტურა და მოცულობითი შინაარსი აქვს. ინგლისელი მოსამართლის განაჩენი – ეს არის გადაწყვეტილება, ასახული სასამართლო სხდომის სტენოგრამაში, რომელიც სპეციალური განკარგულების საფუძველზე სრულდება.¹

ზოგ შემთხვევებში „განაჩენამდელი გამოძიების“ მნიშვნელობა,

¹ სასჯელის დანიშვნისას ინგლისელ მოსამართლეს, იმპროვირებულად, უწლება აქვს გამოიყენოს სხვადასხვა ბრძანებები (orders), რისილიც იგი გადაწყვეტს გზადგება წამოჭრილ საკითხებს. მაგალითად, რაიმე საგნების ამოღების შესახებ (ნარკოტიკები, იარაღი), სასჯელის მოხდის პირობების შესახებ და სხვა. ერთ-ერთი ასეთი ბრძანების („კომპენსაციის შესახებ ბრძანების“) შესახებ იხ. შეტყობ.

ისევე როგორც მთლიანად სასამართლო განხილვის განსახილველი ეტაპისა, არ არის დიდი, ეინაიდან მოსამართლე ვალდებულია შეუფარდოს მსჯავრდებულს სასჯელის ის კონკრეტული ზომა, რომელიც *a priori* დადგენილია კანონმდებლის მიერ. საუბარია ინგლისის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ტენდენციებზე, რაც დაკავშირებულია დანაშაულთა გარკვეულ კატეგორიებზე სასჯელის ინდივიდუალიზაციის ფაქტობრივ გაუქმებასთან. მაგალითად, 1997 წლის „დანაშაულის (სასჯელები) შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, თუ სრულწლოვანი პირი, რომელიც არღე მსჯავრდებული იყო ერთ-ერთ იმ „სერიოზულ დანაშაულთა“ გამო, რომელთა წრეც განსაზღვრილია ამ კანონით (მკვლელობა, გაუპატიურება და სხვა), კვლავ იქნება მსჯავრდებული ასეთი „სერიოზული დანაშაულის“ გამო, მაშინ მოსამართლე ვალდებულია დაუნიშნოს მას სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი მიდის დასკვნამდე, რომ არსებობს გამონაკლისი გარემოებანი, რომლებიც საშუალებას აძლევს მას დანიშნოს უფრო მსუბუქი სასჯელი). ასეთ შემთხვევაში „განაჩენამდელი გამოძიება“ შესაძლებელია, რა თქმა უნდა, ჩატარდეს, მაგრამ მას საპროცესო მნიშვნელობა ექნება მხოლოდ შესაბამის „გამონაკლის გარემოებათა“ დასადგენად.

ინგლისის სისხლის სამართალწარმოების ახალ ტენდენციას წარმოადგენს ის, რომ მან დასაშვებად სცნო ჩადენილი დანაშაულის გამო სასჯელის დანიშვნის პარალელურად გადაწყვეტილების მიღება დაზარალებულისათვის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის შესახებ. როგორც ვიცით, ინგლისში არასოდეს ყოფილა ცნობილი შერწყმული პროცესი – ერთ წარმოებაში გაერთიანებული განხილვა სისხლის და სამოქალაქო სამართლის საკითხებისა, ანდა, სხვა სიტყვებით, სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში. ნათელია, რომ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა დაზარალებულს დამატებით სირთულეებს უქმნიდა და უქმნის, იძულებულს ხდის რა მას მიაღწიოს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თუმცა, ბოლო წლებში ინგლისელი კანონმდებელი ცდილობს არსებული მდგომარეობის რამდენადმე გამოსწორებას. ასე მაგალითად, 1973 წლის „სისხლის სამართლის სასამართლოთა უფლებამოსილებების შესახებ“ კანონმა (35-ე მუხლი), ზოლო შემდგომ 1982 წლის „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ კანონმა (67-ე მუხ-

ლი)¹, რომელმაც ცვლილებები შეიტანა მასში, მიანიჭა სასამართლოებს უფლება სასჯელის დანიშვნასთან ერთად გამოეცათ ე.წ. „კომპენსაციის შესახებ ბრძანება“ (compensation order), რომლის თანახმადაც დაზარალებულს მიეცემა ფულადი თანხა კანონით დადგენილ ფარგლებში (რომელიც ყოველთვის სრულად არ ანაზღაურებს დანაშაულის მიყენებულ ზიანს).

მივიჩნევთ რა კომპენსაციის შესახებ ბრძანებების შემოღებას, როგორც ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვან რეფორმას, არ ღირს ვიფიქროთ, რომ ამით მთლიანად გადაიჭრა დაზარალებულთა უფლებების დაცვის ყველა პრობლემა. ამ სიახლის რეალიზებას არსებითი პრაქტიკული სირთულეები ხვდება. ნაწილობრივ ეს განპირობებულია იმით, რომ მოსამართლეებზე ჯერ კიდევ ფართო გავლენა აქვს ტრადიციულ ინგლისურ კონცეფციებს „ორმაგი სასჯელისა“ და „დაცვისათვის დაუძღვეელი ტვირთვის“ შესახებ, რაც ყოველთვის ითვლებოდა სისხლის სამართლის პროცესში სამოქალაქო სარჩელზე უარის მოტივაციად. არსებით გავლენას ახდენს ისიც, რომ განაჩენების უმრავლესობა გამოდის სასამართლო განხილვის გარეშე (ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების ფაქტის საფუძველზე). ასეთ შემთხვევებში, მოსამართლე სასჯელის დანიშვნისას, ხშირად, არ იცნობს საქმის ყველა გარემოებას, რაც შეუძლებელს ხდის გადაწყვეტილების მიღებას დაზარალებულისათვის ზიანის კომპენსირების ოდენობასა და ფორმის შესახებ.

§8. მაგისტრატების სასამართლოში საქმეთა განხილვა გამარტივებული (სუპარული) წესით

თანამედროვე ინგლისური სისხლის სამართლის პროცესის ჩასახვის ეპოქაში სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების ერთადერთ ფორმას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით წარმართული სასამართლო განხილვა წარმოადგენდა, რომელსაც ინგლისში დღემდე ხშირად „კლასიკურ წარმოებას“ უწოდებენ. ის გარემოება, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები თავიანთ სხდომებზე (სესიებზე) მხოლოდ პერიოდულად იკრიბებოდნენ, გარკვეულ

¹ დღეისათვის, 1973 წლის კანონი გაუქმებულია 2000 წლის „სასჯელის დანიშვნისას სისხლის სამართლის სასამართლოთა უფლებამოსილების შესახებ“ კანონით, მაგრამ აქ განხილული დებულებანი ფაქტობრივად ძალაში დარჩა და მხოლოდ მკორედი ცვლილებებითაა გადატანილი 2000 წლის კანონში.

სიძნელეებს ქმნიდა, აფერხებდა მრავალი, ხშირად მარტივი სისხლის სამართლის საქმეების განხილვას. სწორედ ამიტომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (იხ. მოცემული თავი, §3), XIV საუკუნის ბოლოს მომრიგებელ მოსამართლეებს, რომლებსაც „მაგისტრატებს“ უწოდებენ და თავდაპირველად დაკავებულნი იყვნენ მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საქმის განსახილველად მომზადებით, მიენიჭათ უფლება დამოუკიდებლად არსებითად განეხილათ ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეები. ასე წარმოიშვა ე.წ. „სუმარული წარმოება“, ესე იგი სასამართლო განხილვის გამარტივებული პროცედურა, რაც საბრალდებო აქტით დევნის დანაშაულთა საქმეებზე რთული და მოცულობითი წარმოების ალტერნატივას წარმოადგენს.

ვინაიდან, სუმარული წარმოება თავდაპირველად განიხილებოდა, როგორც განსაკუთრებული წარმოება, ესე იგი როგორც გამონაკლისი ზოგადი წესიდან, ამიტომ აუცილებელი გახდა, რომ კანონმდებელს სპეციალურად მიეთითებინა, თუ რომელი საქმეები ექვემდებარებოდა მაგისტრატების განსჯალობას. ამ დებულებამ თავისი ძალა დღემდე შეინარჩუნა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია ინგლისში სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობა სუმარული წესით განიხილება.¹ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მაგისტრატების უფლებამოსილებათა დახასიათებასთან დაკავშირებით (იხ. მოცემული თავი, §3), მაგისტრატების კომპეტენციაში შედის არსებითად განხილვა, პირველი, ე.წ. „სუმარული დანაშაულების“ საქმეებისა, რომლებიც იმპერატიულად (მიუხედავად ვინმეს ნება-სურვილის გამოვლინებისა) განეკუთვნებიან მათ იურისდიქციას, და, მეორე, ე.წ. „სიბრიდულ დანაშაულთა“² საქმეები, ესე იგი საქმეები, რომლებიც შესაძლებელია განიხილებოდეს როგორც გვირგვინის სასამართლოს, ისე მაგისტრატების სასამართლოს მიერ.

¹ ზემოთ (მოცემული თავი, §3) უკვე მოყვანილი იყო კონკრეტული ციურები, რომლებიც მოწმობდნენ, რომ სუმარული წესით განხილულ საქმეთა რაოდენობა ბევრჯერ აღემატება იმ საქმეთა რაოდენობას, რომლებიც „ელასტიური სამართალწარმოების“ ორიონტში ხდებოდა. მაგრამ ასეთი ციურები არ არის საქმისი ინგლისელი იურისტებისათვის, რომლებიც მიისწრაფვიან პროცესის კიდევ მეტად გამარტივებასა და დაქვარებისაკენ. ბოლო ხანს, კერძოდ, აქტიურად განიხილება ორი წინააღმდეგობა ერთ-ერთი მთავანის შემოთავაზება კონკრეტულ დანაშაულთა შესაძლებლობების გადართვით. „სუმარული წარმოების დანაშაულთა“ სასარგებლოდ, ხოლო მეორე უფრო რადიკალურა და სათავაზოს, რომ ბრალდებულს ჩამოერთვას „სიბრიდულ“ დანაშაულთა საქმეებზე პროცედურის არჩევანის უფლება, რაც მათ მთლიანად გაუქმებს გამოიწვევს (გადაიქცევიან „სუმარულ დანაშაულებად“). როგორც ეხებათ, ორივე წინააღმდეგობა ერთი და იმავე მიზანს უნახურება - გაფართოვებს იმ საქმეთა წრე, რომლებსაც იმპერატიულად სუმარული წესით განიხილება.

² ასეთი სახის დანაშაულებს, როგორც ზემოთ იყო უკვე აღნიშნული, „ალტერნატიულ დანაშაულებსაც“ (either-way offences) უწოდებენ.

მაგისტრატების უმრავლესობის არაპროფესიონალური სტატუსისა და მაგისტრატების სასამართლოს შემადგენლობაში მართლმსაჯულების განხორციელებისას სამოსამართლო კორპუსის პროფესიონალ წევრთა არყოფნის გამო, სამართალწარმოებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს სისხლის სამართლის სუბიექტთა de jure ერთ-ერთი დამხმარეთაგანი, მაგრამ de facto საკანძო სუბიექტი – სასამართლოს კლერკი, რომლის უფლებამოსილებანიც გათვალისწინებულია 1997 წლის კანონით „სამომრიგებლო იუსტიციის შესახებ“¹. სასამართლოს კლერკი, რომელიც პროფესიონალი იურისტია, მაგრამ არ შედის სასამართლოს შემადგენლობაში, მოწოდებულია განუმარტოს მაგისტრატებს იურიდიული საკითხები და მისცეს შესაბამისი რჩევები. პრინციპში, მას არ აქვს უფლება ჩაერიოს მაგისტრატების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში ანდა სხვაგვარად მოახდინოს მათზე ზეგავლენა, თუმცა ამის თავიდან არიდება ყოველთვის ვერ ხერხდება. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1952 წელს მაღალი სასამართლოს დედოფლის სკამის განყოფილების მოსამართლეები იძულებულნი იყვნენ ერთ-ერთ თავიანთ გადაწყვეტილებაში სპეციალურად განემარტათ, რომ კლერკს არ აქვს სათათბირო ოთახში დასწრების უფლება განაჩენის დადგენისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას ამის შესახებ თხოვნით მიმართავენ თვითონ მაგისტრატები სამართლებრივი საკითხის განმარტებისათვის. ამასთანავე, თვითონ სასამართლო კლერკს გააჩნია განსაკუთრებული სტატუსი. 1997 წლის „სამომრიგებლო იუსტიციის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის თანახმად, (1999 წლის „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ“ კანონის რედაქციაში) თავისი სამართლებრივი ფუნქციების შესრულებისას (legal functions) იგი დამოუკიდებელია ორგანოებისა და დაწესებულებებისაგან, რომლებიც მაგისტრატების სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციულ მმართველობას ახორციელებენ. საუბარია სისხლის სამართლის პროცესის ნამდვილ სუბიექტზე, რომელიც მნიშვნელოვან საპროცესო მისიას ასრულებს და არა ვინმე „ტექნიკურ სასამართლო მუშაკზე“.

ძირითად წყაროებს, რომლებიც დღეისათვის აწესრიგებენ სუბარული წესით სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვის საპროცესო წესს, წარმოადგენენ 1980 წლის „მაგისტრატების სასამართლოების შესახებ“ კანონი და 1994 წლის „პოლიციისა და მაგისტრატების სასამართლოების შესახებ“ კანონი.

ამ და სხვა აქტების თანახმად, სუბარული სასამართლო განხილვის

¹ სასამართლოს კლერკის შესახებ იხ. აგრეთვე მოცემული თავი, §3.

საპროცესო რეჟიმი, მთლიანობაში, ნაკლებად ფორმალიზებულია. აქ არ ფიგურირებს სისხლის სამართლის პროცესის არა მხოლოდ სასამართლოში საქმის წინასწარი განხილვის (სამართალში მიცემის) სტადია, არამედ თვითონ სასამართლო განხილვის არაერთი ეტაპიც, რომელიც დამახასიათებელია ამ სტადიისათვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში (მოსამზადებელი მოსმენები და მხარეთა მიერ თავიანთ პოზიციათა ფორმულირება, მოსამართლის მოთხოვნით საქმის მასალების ურთიერთგაცნობა, ჟიურის ფორმირება, თავმჯდომარე მოსამართლის სადამრიგებლო სიტყვა და სხვა). ამას გარდა, მაგისტრატების სასამართლოში სასამართლო გამოძიებაც (მტკიცებულებათა გამოკვლევა) მნიშვნელოვანწილად დაჩქარებულად ტარდება, უფრო ხშირად, ყველა აუცილებელი ფორმალობის დაცვის გარეშე.

სასამართლო განხილვა იწყება იმით, რომ სასამართლო არკვევს განსასჯელისაგან, ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ. დამადასტურებელი პასუხის შემთხვევაში შემდგომი წარმოება, რომელიც უკვე მხოლოდ სასჯელის დანიშვნას უკავშირდება (სასამართლო გამოძიება არ ტარდება, ვინაიდან არ არსებობს დავა ბრალდების გამო), დაახლოებით 15-30 წუთი გრძელდება. პრაქტიკაში, მაგისტრატების მიერ განსახილველ დაახლოებით 80-90% სისხლის სამართლის საქმეზე განსასჯელი აღიარებს თავის დანაშაულს, რაც არსებითად ამსუბუქებს მაგისტრატების ამოცანებს. თუ განსასჯელი ბრალს უარყოფს, მაშინ სასამართლო განხილვა სრული მოცულობით ტარდება და იგი გრძელდება სამი სასამართლო სხდომის მანძილზე.

პირველი მათგანის მსვლელობისას სასამართლო არკვევს საქმეზე ბრალდებულის პოზიციას (აღიარებს თუ არა იგი თავის დანაშაულს) და, თუ არის საქმის მოსმენის აუცილებლობა, აცხადებს დღეს, როდესაც გაიმართება მოწმეთა მოსმენა და სხვა მტკიცებულებათა გამოკვლევა.

სასამართლოს მეორე სხდომა მთლიანად ეთმობა სასამართლო გამოძიებას, რომლის შედეგების მიხედვით მაგისტრატები გადაწყვეტენ საკითხს განსასჯელის დამნაშავეობის შესახებ. ეს საკითხი ხმათა უბრალო უმრავლესობით გადაწყდება (მაგისტრატების სასამართლო სხდომა შეიძლება შედგებოდეს ლუწი რაოდენობის მოსამართლეთაგან - 2, 4, 6). თუ მაგისტრატები ვერ შეთანხმდებიან ერთიან პოზიციაზე უშუალოდ თათბირის დროს, გადაწყვეტილება არ ჩაითვლება მიღებულად. ასეთ შემთხვევაში ან გადაიდება მისი მიღება, ანდა საქმე მაგისტრატების სხვა შემადგენლობას გადაეცემა განსახილველად, ანდა - სხვა მაგისტრატების სასამართლოს.

განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში საჯელის დანიშვნა, როგორც წესი, გადაიღება სხვა (უკვე მესამე¹) სასამართლო სხდომისათვის. მეორე და მესამე სხდომებს შორის, ჩვეულებრივ, გამოცხადდება შესვენება გარკვეული დროით (მაგრამ, არა უმეტეს 4 კვირისა, ხოლო თუ განსასჯელი პატიმრობაში იმყოფება, არა უმეტეს 3 კვირისა).² მესამე სხდომის მსვლელობისას ხდება „განჩინამდელი მოხსენების“ შესწავლა დამნაშავეის პიროვნების დამახასიათებელ მონაცემთა შესახებ და გამოდის გადაწყვეტილება სასჯელის ზომის თაობაზე.

პრაქტიკულად, სასამართლო განხილვა საქმეებისა, რომლებზეც განსასჯელები თავს დამნაშავედ არ ცნობენ, ძალიან ხშირად გრძელდება რამდენიმე კვირა, ზოგჯერ რამდენიმე თვეც. ეს საფუძველს აძლევს ზოგიერთ ინგლისელ იურისტს, რომ ყურადღება მიაპყრონ პარადოქსალურ ფაქტს: სუმარული წესი რაც უფრო მეტად განვრცობითია, მით უფრო ნაკლებად სუმარულია. თუ ადრე სუმარული წესით საქმის განხილვისათვის საკმარისი იყო ერთი სასამართლო სხდომა, რომელიც მაგისტრატებს მაქსიმუმ რამდენიმე საათს ართმევდა, ახლა ხშირად სამი და უფრო მეტი სასამართლო სხდომაა საჭირო. ამასთან, მათ შორის „ჩამატებულია“ ხოლმე დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთები, რომლებიც კიდევ უფრო აჭინურებს პროცესს. როგორც ჩანს, ასეთი ტენდენცია გარდაუვალია, რადგან ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში სუმარული წესი უკვე აღარ არის განსაკუთრებული და, შედეგად, დაჩქარებული წარმოება.

მაგისტრატების სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა შესაძლებელია კიდევ უფრო მეტხანს გაგრძელდეს, თუ სასამართლო გამოიყენებს „სასჯელის დანიშვნის გადავადების“ ინსტიტუტს, რაც სიახლეს წარმოადგენს ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში. მისი შემოღება, არაერთხელ ხსენებულ, 2000 წლის 25 მაისის „სასჯელის დანიშვნისას სისხლის სამართლის სასამართლოთა უფლებამოსილებების შესახებ“ კანონს უკავშირდება. ახლა მაგისტრატების სასამართლოს (ისევე, როგორც გვირგვინის სასამართლოს) უფლება აქვს, პირის დამნაშავედ გამოცხადების შემდეგ, მისი თანხმობით, ნ თვემდე ვადით გადადოს სასჯელის დანიშვნა, ამით საშუალება ეძლევა მას გაითვალისწინოს დამნაშავეის ქცევა მისი დამნაშავედ ცნობის შემდგომი პერიოდის განმავლობაში, მათ შორის დანაშაულის შედეგად

¹ თუ არ ვიგულისხმებთ მაგისტრატების ხმების თანახმად გადანიშნულების შემთხვევას, როდესაც შესაძლოა ჩატარდეს კიდევ უფრო მეტი სხდომა.

² აქ არანაირ „უწყვეტ სასამართლო განხილვაზე“ არ არის საუბარი. დროის ამ მონაკვეთში მაგისტრატებს უფლება აქვთ განიხილონ სხვა საქმეები რამე შეზღუდვების გარეშე.

მიყენებული ზიანის ნებაყოფლობით გამოსწორების ფაქტი, და ასევე, როგორც კანონშია აღნიშნული, „სხვა გარემოებანი“, რომლებიც გარემოს შეცვლას მოწმობენ. ახალი ინსტიტუტი მიმართულია სასჯელის კიდევ უფრო მეტად ინდივიდუალიზაციისა და ბრალდებულის სტიმულირებისაკენ – ნებაყოფლობით გამოსწორის დანაშაულის მანვე შედეგები. არსებითი მომენტი, რომ განაჩენის გადავადების პერიოდში დაუშვებელია პირის პატიმრობაში ყოფნა. განმეორებითი გადავადება არ დაიშვება – სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს სასჯელი იმ დღეს, რომელიც გამოცხადებული იყო გადავადების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას.

დიდი ხნის მანძილზე არსებული ტრადიციის თანახმად, მაგისტრატების სასამართლოების გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავეობისა და მისთვის სასჯელის დანიშვნის შესახებ არ აქვს სამოტივაციო ნაწილი,¹ რაც უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მაგისტრატები არ არიან პროფესიონალები და ისინი სუმარულ (გამარტივებულ) წარმობას ახორციელებენ. თუმცა, აქაც მოხდა გარკვეული ცვლილებები. 1991 წლის „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ კანონის თანახმად, რომელიც უფრო მკაცრ (მატერიალურ-სამართლებრივ და საპროცესო) კრიტერიუმებს ითვალისწინებს მაგისტრატების მიერ ისეთი სახის სასჯელის გამოყენებისათვის, როგორცაა თვისუფლების აღკვეთა, მაგისტრატების სასამართლო ვალდებულია მიიღოს მოტივირებული გადაწყვეტილება ამ სახის სასჯელის შეფარდებისას. ამგვარი მოტივირების ინგლისურ ვარიანტს, ნებისმიერ შემთხვევაში, ცოტა რამ თუ აქვს საერთო იმასთან, რასაც კონტინენტური იურისტიები გულისხმობენ მოტივირებული განაჩენის ცნებაში. ჯერ ერთი, მოსამართლე თავის გადაწყვეტილების მოტივირებას ზეპირად ახდენს (უკეთეს შემთხვევაში, მოტივები აისახება სასამართლო სხდომის ოქმში, თუ იგი იწარმოება). მეორე, საუბარია მიღებული გადაწყვეტილების არა იმდენად იურიდიულ დასაბუთებაზე, რამდენადაც მისი დიდაქტიკური ხასიათის ფრაზებით დატვირთვაზე, რომლებიც მოსამართლის მორალურ დამოკიდებულებას გამოხატავენ ჩადენილის მიმართ. ამ გაგებით, სანიშნოა ლიტერატურაში ხშირად მოყვანილი მაგალითი, როდესაც დედაქალაქის ერთ-ერთმა მაგისტრატ მოსამართლემ მკაცრი სასჯელის მოტივაციისას წარმოსთქ-

¹ შემდგომში, განხილვის მსვლელობისას, შესაძლებელია რომელიმე შარემ განაცხადოს შუამდგომლობა საქმის გარემოებათა მოხსენების შესახებ (to state a case), ესე იგი გადაწყვეტილების მოტივირების თხოვნით მომართოს სასამართლოს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლები გასაჩივრდება მაღალ სასამართლოში. თუმცა, ეს საკმაოდ იშვიათად ხდება. იმასთან, მხოლოდ დანტერესებული პირის ინიციატივით (მოცემული თავი, §9).

ვა შემდეგი სიტყვები: „ყველაზე საშინელია ის, რომ თქვენ ჩაიდინეთ ეს საზიზღარი დანაშაული ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ხიდის ქვეშ“¹

იმასთან დაკავშირებით, რომ მაგისტრატების უმრავლესობა არ არიან პროფესიონალები, კანონმდებლობამ და მისი გამოყენების პრაქტიკამ შეიმუშავა რიგი კონკრეტული დებულებები, რომლებიც გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს მაგისტრატების უფლებამოსილებას სასჯელის დანიშვნისას. ძირითად შეზღუდვას წარმოადგენს აკრძალვა, რომ მაგისტრატებმა დანიშნონ უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე ნ თვით თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა 5 000 ფუნტი სტერლინგის ოდენობით², რაზეც არაერთხელ გვქონდა უკვე საუბარი. ამას გარდა, „სასჯელის დანიშვნისას სისხლის სამართლის სასამართლოთა უფლებამოსილებების შესახებ“ კანონის 83-ე მუხლის თანახმად, მაგისტრატებს არ შეუძლიათ შეუფარდონ თავისუფლების აღკვეთა პირებს, რომლებსაც სასამართლო განხილვის დროს არ ჰყოლიათ დამცველი და ამ სახის სასჯელი არ მოუხდიათ წინათ³. სასჯელის დანიშვნისას მაგისტრატების საქმიანობის შესამსუბუქებლად მაგისტრატების ასოციაცია გამოსცემს სასჯელის დანიშვნის შესახებ სახელმძღვანელოებს (Sentencing Guidelines, ბოლო გამოცემა 1997 წელს). რომლებსაც, მართალია, ოფიციალურად სამართლის წყაროს სტატუსი არ გააჩნიათ, თუმცა, შეიცავენ საკმაოდ ავტორიტეტულ რეკომენდაციებს მეტად თუ ნაკლებად განსაზღვრულ სასჯელის ზომებზე, რომლებიც მაგისტრატების სასამართლობის განსჯად დანაშაულთა კონკრეტულ შემადგენლობებს შეესაბამება. ასეთი რეკომენდაციების რეალიზება ხელს უწყობს მოცემული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას სასამართლო შეცდომათა რაოდენობის შემცირებას.

თუ მაგისტრატების სასამართლო საქმის სუბარული წესით განხილვისას მიღის დასკვნამდე, რომ დანაშაული უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებს, ვიდრე ნ თვით თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა 5 000 ფუნტი სტერლინგის ოდენობით (უფრო ხშირად ეს გვხვდება „ჭიბრიდულ“ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებიც შეიძლება საკმაოდ მძიმე

¹ სისხლის სამართლის სასოციალური გადაწყვეტილებათა მოტივების ინგლისური ტრადიციის შესახებ იხ. სპეციალური ნაშრომი, რომელიც წარმოადგენილია კოლექტიური შუამდგომლობით-სამართლებრივი გამოკვლევის ფარგლებში: Spruntels J. La motivation des sentences penales en Angleterre // La motivation des decisions de justice Bruxelles. 1978. P. 195 et s.

² ანარულწლიანთა საქმეებზე ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა 1 000 ფუნტი სტერლინგს შეადგენს.

³ ასეთ ჩარჩოებში არიან მოქცეულინი გვირგვინის სასამართლოს მოსამართლენიც.

დანაშაული იყოს). იგი, ვინაიდან არ არის უფლებამოსილი თვითონ დანიშნოს ასეთი სასჯელი, განსასჯელს ცნობს დამნაშავედ და გადასცემს საქმეს გვირგვინის სასამართლოს სასჯელის დასანიშნად (განახორციელებს ე.წ. „committal for sentence“). გვირგვინის სასამართლო ასეთ შემთხვევაში განიხილავს საკითხს ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მონაწილეობის გარეშე, მიიჩნევს რა პირის დამნაშავეობას უკვე საბოლოოდ დადგენილად. სხვა სიტყვებით, პირი შეიძლება დამნაშავედ ცნოს მაგისტრატების სასამართლომ, ხოლო სასჯელი დაუნიშნოს გვირგვინის სასამართლომ, რომელსაც უფლება აქვს გამოიყენოს ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი სანქციები რაიმე შეზღუდვის გარეშე. 2000 წლის „სასჯელის დანიშნისას სისხლის სამართლის სასამართლოთა უფლებამოსილებების შესახებ“ კანონის თანახმად, შესაძლებელია სხვა ვარიანტიც: კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, მაგისტრატების სასამართლოს უფლება აქვს, ცნობს რა პირს დამნაშავედ, გადასცეს საქმე სასჯელის დანიშნისათვის სხვა მაგისტრატების სასამართლოში (ამ სასამართლოს თანხმობით), რომელსაც წარმოებაში აქვს ამავე პირის სხვა სისხლის სამართლის საქმე. სწორედ „სხვა მაგისტრატების სასამართლო“ (ასე მოიხსენიებს მას კანონი) განსაზღვრავს საბოლოო სასჯელის ზომას დამნაშავეის ყველა დანაშაულებრივი ქმედების გათვალისწინებით.

ბოლო წლებში ფართო განვითარება კპოვა, ასევე, სისხლის სამართლის საქმეთა სუმარული განხილვის კიდევ ერთმა ფორმამ – ე.წ. დაუსწრებელმა განხილვამ, რომელსაც ინგლისში დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდნენ, რამდენადაც იგი არ შეესაბამებოდა სამართალწარმოების შეჯიბრებითობის კლასიკურ სქემას, რომელიც სასამართლოში მხარეთა უშუალო მონაწილეობას მოითხოვს. მაგრამ ეს საკმაოდ წინდახედულად გაკეთდა. ასეთი განხილვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც განსასჯელი თავს დამნაშავედ ცნობს, ესე იგი, როდესაც არ არსებობს მხარეთა შორის დავა. მისი არსი ზოგადად შემდეგში მდგომარეობს: ნებისმიერი სუმარული დანაშაულის საქმეზე, რომლის ჩადენისთვისაც მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია არა უმეტეს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ბრალდებულს, მიიღებს რა ბრძანებას სასამართლოში გამოცხადების შესახებ, სადაც მითითებულია ბრალდების კონკრეტული პუნქტები. უფლება აქვს აღიაროს თავისი დანაშაული, რის თაობაზეც იგი სასამართლოს ფოსტით ატყობინებს, რაც ათავისუფლებს მას სასამართლო განხილვაში მონაწილეობისაგან (ასეთი პირობების დაუცველობისას, განსასჯელის არგამოცხადებას სა-

სამართლოში საპატიო მიზეზის გარეშე შესაძლებელია მოჰყვეს მისი დაპატიმრების შესახებ ბრძანების გაცემა). ასეთი პროცედურა განმტკიცებულია 1980 წლის „მაგისტრატების სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლით.

საქმის დაუსწრებელი განხილვის დროს სასამართლო, განსასჯელის დაუსწრებლად, მოუსმენს ბრალმდებელს და განიხილავს მის მიერ წარმოდგენილ მასალებს. თუ იგი მივა დასკვნამდე, რომ საჭიროა ბრალმდებელს დაენიშნოს სასჯელი, რაც თავისუფლების აღკვეთას ან უფლებათა ჩამორთმევას შეეხება, მაშინ იგი გადადებს საქმეს და გასცემს განკარგულებას სასამართლო სხდომაზე განსასჯელის მონაწილეობის უზრუნველყოფის შესახებ. სხვა სიტყვებით, გამორიცხულია ზოგიერთი სახის სასჯელის დაუსწრებლად დანიშვნა. ამას გარდა, დაუსწრებლად მსჯავრდებულ პირს უფლება აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების გაცნობის მომენტიდან 21 დღის განმავლობაში გაასაჩივროს იგი. საჩივრის წარდგენა იწვევს დაუსწრებელი წარმოების ანულირებას. თუ ბრალმდებელი სასამართლოში კვლავ წამოწვეს თავის ბრალმდებლობას, მაშინ საქმე განიხილება ჩვეულებრივი წესით, ბრალმდებულის გამოძახებით.

§9. სააპელაციო წარმოება

1. აპელაციის ინსტიტუტის ზოგადი დაზსიათება. აპელაცია (appeal) ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში – ეს არის ცნება, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეებზე სხვადასხვა სასამართლო ინსტანციების გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ყველა საშუალებას. სხვა სიტყვებით, ამ ქვეყანაში (ისევე, როგორც ანგლოსაქსონური საპროცესო სისტემების მქონე სხვა ქვეყნებში) აპელაციის ცნება არ არის გაიგივებული იმავე სახელწოდების ცნებასთან, რომელიც რუსეთისა და კონტინენტური ევროპის მრავალი ქვეყნის სამართალწარმოებაში გამოიყენება, სადაც აპელაციის ცნების ქვეშ მოიაზრება სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების მხოლოდ ერთ-ერთი ხერხი, რომელიც გასაჩივრების სხვა ხერხებთან (კასაცია, რევიზია, ოპოზიცია და სხვა) პარალელურად არსებობს.

ტერმინოლოგიურ თავისებურებათა გარდა, ინგლისური აპელაციისათვის დამახასიათებელია, რომ ამ ქვეყნის სამართალწარმოება არ აღიარებს დებულებას იმის შესახებ, რომ პროცესის მონაწილეებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ უფლება – მათი საქმე განხილული იყოს,

როგორც მინიმუმ, ორ სასამართლო ინსტანციაში. არსებითად, აქ საუბარია სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე. აპელაციის წარდგენა, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, როგორც წესი დამოკიდებულია არა მხოლოდ პროცესის შესაბამისი მონაწილის ნების გამოვლინებაზე, არამედ იმაზეც, ცნობს თუ არა სასამართლო აპელაციით მიმართვის ფაქტს საკმარისად დასაბუთებულად მანამდე, ვიდრე იგი მის განხილვას შეუდგებოდეს, ესე იგი გასცემს თუ არა იგი ნებართვას აპელაციაზე. სწორედ ამას გულისხმობენ, როდესაც საუბრობენ, რომ ინგლისური აპელაცია არა მხოლოდ და არა იმდენად მხარეთა პრეროგატივაა, რომლებიც მოითხოვენ განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებას, რამდენადაც შედეგია სასამართლოსა და მხარეთა ურთიერთმოქმედებისა: ეს უკანასკნელი თხოვნით მიმართავენ მას გასცეს ნებართვა აპელაციის წარსადგენად ზემდგომ სასამართლოში, ხოლო სასამართლო განიხილავს ასეთ თხოვნას და ან აკმაყოფილებს, ანდა უარყოფს მას.

ძირითად წყაროებს, რომლებიც ინგლისში დღეისათვის არეგულირებენ თითქმის ყველა სახის სააპელაციო გასაჩივრებასა და განაჩენის გადასინჯვას, ორი კანონი წარმოადგენს: 1968 წლის კანონი „აპელაციის შესახებ“, რომელმაც 1907წ., 1964წ. და 1966 წლის „აპელაციის შესახებ“ კანონების დებულებათა კონსოლიდირება მოახდინა და 1995 წლის „სისხლის სამართლის საქმეთა გამო აპელაციის შესახებ“ კანონი, რამელმაც შეცვალა და შეავსო 1968 წლის მხოლოდ ცალკეული ნორმები, მაგრამ მთლიანად არ გააუქმა იგი.

რამდენადაც ინგლისში აპელაციის ცნება განიხილება როგორც ზოგადი, სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრებისა და გადასინჯვის ყველა საშუალების გამაერთიანებელი ცნება, მეტად მნიშვნელოვანია აპელაციის კლასიფიცირება კონკრეტულ სახეებად. ამას არა მხოლოდ თეორიული, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს: სააპელაციო გასაჩივრების ამა თუ იმ ხერხის საპროცესო რეჟიმი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ აპელაციის რომელ ნაირსახეობას მიეკუთვნება იგი.

ჯერ ერთი, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ აპელაციის სახეები, დაკავშირებული კონკრეტულ პირთა დაზნაშავედ ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებათა შემოწმების თაობაზე და აპელაციის სახეები, დაკავშირებული სასჯელის ზომის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებათა შემოწმებასთან. ასეთი სახის განსხვავება მისაღებია

არამართო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებაში, სადაც აღნიშნულთაგან თითოეული გადაწყვეტილება ცალკე საპროცესო აქტით ფორმდება (ვერდიქტი და მოსამართლის გადაწყვეტილება სასჯელის ზომის თაობაზე). მას ასევე მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც პირის გასამართლება და მისთვის სასჯელის დანიშვნა ხორციელდება მაგისტრატების სასამართლოში. ყველა შემთხვევაში სავსებით მკაფიოდ იკვეთება აპელაციის ორი სახე: აპელაცია, ერთი მხრივ, დამნაშავეობის (appeal against conviction) ან უდანაშაულობის (appeal against acquittal) შესახებ გადაწყვეტილების წინააღმდეგ და აპელაცია, მეორე მხრივ, სასჯელის ზომის წინააღმდეგ, ესე იგი სასჯელის ზომის შესახებ გადაწყვეტილების წინააღმდეგ (appeal against sentence).

მეორე, უკვე სხვა კრიტერიუმიდან გამომდინარე, განასხვავებენ აპელაციას დაცვის მხრიდან და აპელაციას ბრალდების მხრიდან. აპელაციის სახეთა ასეთი კლასიფიკაციის შესაძლებლობა წარმოიშობა იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდება და დაცვა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების დროს არ არიან აღჭურვილნი იდენტური უფლებებით. აქ დაცვა გაცილებით კეთილსასურველ მდგომარეობაშია. აქედან გამომდინარეობს, რომ დამნაშავეობის შესახებ გადაწყვეტილების ან გამამტყუნებელი განაჩენის წინააღმდეგ აპელაცია და უდანაშაულობის შესახებ გადაწყვეტილების და გამამართლებელი განაჩენის წინააღმდეგ აპელაცია განსხვავებულ საპროცესო წესებსა და საფუძვლებს ექვემდებარება.

შესაძებ, განასხვავებენ სამართლის საკითხების შესახებ აპელაციას (მისი საფუძველია სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის ან სისხლის სამართლის საპროცესო ნორმათა არასწორი გამოყენება) და აპელაცია ფაქტის საკითხების შესახებ (საქმის ფაქტობრივ გარემოებათა არასწორი დადგენა, ბრალდების დაუმტკიცებლობა, სასჯელის დაუსაბუთებლობა და სხვა). ინგლისში აპელაციის უფლება უფრო ხშირად წარმოიშობა მაშინ, როდესაც საუბარია გასაჩივრების სამართლებრივ (და არა ფაქტობრივ) საფუძვლებზე.

და ბოლოს, მეოთხე, სისხლის სამართლის საქმეთა პირველი ინსტანციით განხილვის ორი სახის სასამართლო წარმოებათა არსებობა (საბრალდებო აქტით დევნის დანაშაულთა საქმეებზე წარმოება და სუმარული წარმოება) განაპირობებს გვირგვინის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა და შესაბამისი მაგისტრატების სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა შემოწმების პროცედურათა სხვაობას.

2. აქელაცია კვირგვინის სასამართლოს მიერ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამოტანილ განაჩენებზე. არცთუ დიდი ხნის წინათ ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებდა პოსტულატი, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტები სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ვინაიდან, ჯერ-ერთი, თითქოს ნაფიც მსაჯულთა სახით ხალხი წარმოსდგება როგორც „უზუნაესი მოსამართლე“ ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში დამნაშავეობის საკითხის გადაწყვეტის დროს და, მეორე, ვერდიქტი ვერ გახდება ზემდგომი სასამართლოს მხრიდან შემოწმების ობიექტი, ვინაიდან ვერდიქტი – ეს არის არამოტივირებული გადაწყვეტილება. ასეთი, დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული მიდგომა თანდათანობით აღარ შეესაბამებოდა თანამედროვე იურიდიულ რეალობებს და იგი გადასინჯულია ზემოხსენებული 1907 წლის „აქელაციის შესახებ“ კანონით. მას შემდეგ აქელაციას მთლიანობაში ექვემდებარება ის გადაწყვეტილებანიც, რომლებიც გამოტანილია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

აქელაციის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის (1968წ. და 1995 წლის კანონები) შესაბამისად, გვირგვინის გადაწყვეტილებანი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილებაში, მაგრამ ასეთი გასაჩივრების საპროცესო რეჟიმი დამოკიდებულია აქელაციის კონკრეტულ სახეზე.

როგორც წესი, მხოლოდ მსჯავრდებულს აქვს საკმაოდ ფართო უფლებები აქელაციით მიმართოს ამ სასამართლოს იმ გადაწყვეტილებათა თაობაზე, რომლებიც გამოტანილია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, თუმცა, როგორც შემდგომში დავინახავთ, ამ სფეროში გარკვეული უფლებები ბრალმდებელსაც გააჩნია. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით უნდა იქნეს განხილული აქელაციის ნაირსახეობანი.

აქელაცია დაცვის მხრიდან.

დაცვის აქელაცია ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებაზე დამნაშავეობის შესახებ (აქელაცია მსჯავრდების წინააღმდეგ). 1968 წლის კანონი „აქელაციის შესახებ“ (პირველი მუხლი) ანიჭებდა რა მსჯავრდებულს ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის გასაჩივრების უფლებას, განასხვავებდა შემთხვევებს, როდესაც აქელაცია შეეხება მხოლოდ სამართლის, მხოლოდ ფაქტის, ფაქტისა და სამართლის და ნებისმიერ სხვა საკითხებს იმავდროულად.

სააპელაციო საფუძვლების ერთმანეთისაგან ასეთი განსხვავების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მსჯავრდებულისათვის გასაჩივრების თავისუფლება არსებობდა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი

ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს აპელაციით მიმართავდა წმინდა სამართლებრივ საფუძვლებზე. დანარჩენ შემთხვევებში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ან გვირგვინის სასამართლოს, სადაც განიხილებოდა საქმე, ანდა თვითონ სააპელაციო სასამართლოს ნებართვა.

1995 წლის „აპელაციის შესახებ“ კანონით ცვლილებები შევიდა 1968 წლის კანონში: ახლა მსჯავრდებულმა უნდა მიიღოს ნებართვა (თანხმობა) აპელაციაზე (leave) მიუხედავად მისი საფუძვლებისა (თუნდაც აპელაცია ეხებოდეს მხოლოდ სამართლის საკითხებს). აღნიშნულმა დებულებამ კიდევ უფრო შეზღუდა გვირგვინის სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებზე გასაჩივრების თავისუფლება.

მსჯავრდებულს უფლება აქვს, მისი დამნაშავეობის შესახებ ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოტანის მომენტიდან 28 დღის განმავლობაში, შუამდგომლობით მიმართოს მისთვის აპელაციაზე ნებართვის გაცემის შესახებ. ეს შუამდგომლობა ეროპიროვნულად განიხილება სააპელაციო სასამართლოს ან გვირგვინის სასამართლოს მოსამართლის მიერ (უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება ის მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვისას). თუ იგი უარს ამბობს ნებართვის გაცემაზე, რაც დაახლოებით 75% შემთხვევებში ხდება, მაშინ შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება ეცნობება აპელანტს. ამ უკანასკნელს უფლება აქვს 14 დღის განმავლობაში ხელახლა მიმართოს აპელაციაზე ნებართვის გაცემის შესახებ შუამდგომლობით, რომელიც სააპელაციო სასამართლოს 2 ან 3 მოსამართლის მიერ განიხილება. თუკი თუნდაც ერთი მოსამართლე მხარს არ დაუჭერს მსჯავრდებულისათვის აპელაციაზე ნებართვის გაცემას, მას გასაჩივრებაზე საპროცესო უფლების რეალიზების მხოლოდ ერთადერთი საშუალება რჩება – მიმართოს სისხლის სამართლის საქმეთა გადასინჯვის კომისიას (Criminal cases review commission), რომლის თაობაზეც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს.

აღრე, 1968 წლის „აპელაციის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის თანახმად, შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ჰქონდა როგორც თავისი ინიციატივით, ასევე მსჯავრდებულის შუამდგომლობით, სააპელაციო სასამართლოსათვის გადაეცა განსახილველად გვირგვინის სასამართლოს მიერ განხილული ნებისმიერი საქმე, რომელიც, მისი აზრით, გადასინჯვას იმსახურებდა და რომლებზეც მსჯავრდებულს უარი ეთქვა აპელაციის ნებართვის გაცემაზე (ანდა აპელაცია არ წარუდგენია სხვა მიზეზთა გამო). საუბარი იყო, დაახლოებით, რუსულ სამართალში არსებულ

„ზედამხედველობის წესით შესაბამისი თანამდებობის პირთა პროტესტის“ ანალოგზე. აღნიშნული ინსტიტუტის რეფორმირების შესახებ წინადადებები დიდი ხნის მანძილზე გაისმოდა და ბოლოს რეალიზებულია 1995 წლის „აპელაციის შესახებ“ კანონით. ჩამოერთვა რა შინაგან საქმეთა მინისტრს აღნიშნული საზედამხედველო უფლებამოსილებანი (1968 წლის კანონის მე-17 მუხლი გაუქმებულია), 1995 წლის კანონით შეიქმნა ახალი ორგანო – სისხლის სამართლის საქმეთა გადასინჯვის კომისია, რომელიც პრემიერ-მინისტრის წარდგინებით გვირგვინის სასამართლოს მიერ დანიშნული სულ ცოტა 11 წევრისაგან შედგება, ამასთან, კომისიის წევრთა ერთ მესამედს უნდა გააჩდეს იურიდიული განათლება, ხოლო დანარჩენებს – „ცოდნა ან გამოცდილება, დაკავშირებული სისხლის სამართლებრივი იუსტიციის სისტემის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებთან“.

კომისიას ფრიად ფართო უფლებები გააჩნია, მათ შორის, უფლება სააპელაციო სასამართლოს განსახილველად გადასცეს ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც პირი მსჯავრდებულ იქნა გვირგვინის სასამართლოს მიერ. ამდენად, სააპელაციო სასამართლოში საქმის გადაცემის ერთ-ერთ ხერხს (ეთქვათ, აპელაციაზე ნებართვის გაცემაზე უარის შემთხვევაში), გამამტყუნებელი ვერდიქტის ან სასჯელის შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვის მიღწევის მიზნით, კომისიისადმი მიმართვა წარმოადგენს, რომლის როლიც ახლა უკვე ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ. კომისია განიხილავს ამგვარ მიმართვას და, თუ მას დასაბუთებულად ჩათვლის, საქმეს სააპელაციო სასამართლოს უგზავნის, რომელიც ვალდებულია მიიღოს იგი თავის წარმოებაში.

თუ პირი მიიღებს ნებართვას აპელაციაზე და წარადგენს მას (ანდა საქმე წარიმართება სისხლის სამართლის საქმეთა გადასინჯვის კომისიიდან), მაშინ სააპელაციო სასამართლო საქმეს ხელახლა განიხილავს სამი პროფესიული მოსამართლის შემადგენლობით, მხარეთა მონაწილეობით. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ ახალი მტკიცებულებანი, მაგრამ მათი პროცესში დაშვება დამოკიდებულია მოსამართლეთა შეხედულებაზე. სხვა სიტყვებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას მტკიცება არ გამოირიცხება მთლიანად, მაგრამ აპელაციის განმხილველი კოლეგიის მკაცრ კონტროლს ექვემდებარება.

1968 წლის „აპელაციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად (1977 წლის „სისხლის სამართლის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის რედაქციაში), სააპელაციო სასამართლო აკმაყოფილებდა აპელა-

ციას ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას: ა) თუ საქმის გარემოებათა ერთობლიობიდან გამომდინარეობდა, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი არასაიმედო და არადამაკმაყოფილებელია; ბ) თუ პროფესიულმა მოსამართლემ საქმის განხილვის მსვლელობისას არასწორად გადაწყვიტა რაიმე სამართლებრივი საკითხი; გ) თუ ადგილი ჰქონდა სასამართლო განხილვის ჩატარების პროცედურის დარღვევებს.

1995 წლის „აპელაციის შესახებ“ კანონმა შეცვალა აღნიშნული ნორმა: ახლა ამ სახის აპელაციის დაკმაყოფილებისა და ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გაუქმების მხოლოდ ერთი საფუძველი არსებობს – „დამნაშავეობის შესახებ გადაწყვეტილების არასაიმედობა“ (conviction in unsafe). ეს რეფორმა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ახლა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საქმის განხილვისას დაშვებული იურიდიულ ნორმათა ნებისმიერი დარღვევა უნდა შეფასდეს ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის ხარისხის გათვალისწინებით: თუ იგი ეჭვს არ იწვევს, ესე იგი „საიმედოა“, მაშინ, მიუხედავად ნებისმიერი გარემოებებისა, არ არსებობს საფუძველი მისი გაუქმებისა. შედეგად, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, უნდა შემცირდეს ისედაც უკვე უმნიშვნელო რაოდენობა შემთხვევებისა, როდესაც ხდება ნაფიც მსაჯულთა დამნაშავეობის შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვა სააპელაციო სასამართლოს მიერ. სხვა საქმეა, რომ 1995 წლის კანონის ფორმულირება („დამნაშავეობის შესახებ გადაწყვეტილების არასაიმედობა“) საკმაოდ ბუნდოვანია, ამიტომ სასამართლო პრაქტიკას, უდავოა, მისი განმარტებისას გარკვეული თავისუფლება ექნება, რაც თანდათანობით გამოიწვევს ვერდიქტის „საიმედოდ“ და „არასაიმედოდ“ აღიარების კონკრეტული კრიტერიუმების ფორმირებას. 1995 წლის კანონის მიღებამდე უკვე არსებობდა წესი, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს უფლება ჰქონდა აპელაციის უარყოფისა, თუნდაც ვერდიქტის გაუქმების ფორმალური საფუძვლების გასოვლენის შემთხვევაში, რომლებიც 1968 წლის კანონის მე-2 მუხლშია მოცემული. მაშინ მას შეეძლო, დააყენებდა რა თავს ნაფიც მსაჯულთა ადგილას და დაუსვამდა რა საკუთარ თავს კითხვას – არის თუ არა გამამტყუნებელი ვერდიქტი ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილება მოცემულ შემთხვევაში, ელიარებინა, რომ მართლმსაჯულების ინტერესები მთლიანობაში არ დარღვეულა, მიუხედავად სამართლის ზოგიერთ კონკრეტულ ნორმათა დარღვევისა. ითვლებოდა, რომ სააპელაციო სასამართლო ძალაში ტოვებდა ვერდიქტს, „გამოიყენებდა რა დათქმებს“ (apply the proviso)¹.

¹ ურო კრცლად იხ.: Criminal procedure systems in the European Community / Ed. by Ch.

რაც ასე დამახასიათებელია ინგლისური საერთო სამართლისათვის.

ამ დებულებამ, პრინციპში, თავისი ძალა შეინარჩუნა 1995 წლის კანონის შემოღების შემდეგაც (იგი იურიდიულად გაუქმებული არ არის), თუმცა ახლა მისი მნიშვნელობა ნაწილობრივ დაკარგულია. კანონმდებელმა გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმების ადრე არსებული ყველა საფუძველი ერთ ცნებაში („დამნაშავეობის შესახებ გადაწყვეტილების არასაიმედოობა“) გააერთიანა, რითაც, მნიშვნელოვნად გაამარტივა სააპელაციო სასამართლოს ამოცანა იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას დაშვებული გარკვეული სამართლებრივი დარღვევების გამოვლენისას საჭიროდ ჩათვლის ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის ძალაში დატოვებას. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, ყოველგვარი „დათქმების“ გამოყენების გარეშე აღიაროს ვერდიქტი, როგორც „საიმედო“, რა დროსაც იგი მოქმედებს „აპელაციის შესახებ“ კანონის ფარგლებში.

აპელაციის განხილვის შედეგად სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) უარყოს აპელაცია; ბ) გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი და დამოუკიდებლად გამოიტანოს ალტერნატიული ვერდიქტი პირის სხვა დანაშაულში დამნაშავედ ცნობის შესახებ (ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია სასჯელის დამძიმება); გ) გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი და დამოუკიდებლად გამოიტანოს სპეციალური ვერდიქტი კანონით აკრძალული ქმედების ჩამდენი პირის შეურაცხადად ცნობის შესახებ მის მიმართ საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გამოყენებით; დ) გააუქმოს ვერდიქტი და დააბრუნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ხელახალი განხილვისათვის (ე.წ. „retrial“). გადაწყვეტილების უკანასკნელი ვარიანტი შესაძლებელია როგორც ახალი მტკიცებულებების გამოვლენისას, ასევე საქმის თავდაპირველი განხილვის მსვლელობისას დაშვებული არსებითი შეცდომების აღმოჩენისას. ნებისმიერ შემთხვევაში ახალმა მტკიცებულებებამაც და გამოვლენილმა შეცდომებმაც სააპელაციო სასამართლოს გასაუქმებელი ვერდიქტის „საიმედოობაში გონივრული ეჭვი“ უნდა აღუძრას.

დაკეის აპელაცია სასჯელის ზომაზე (აპელაცია სასჯელის წინააღმდეგ). გვირგვინის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის მიღების შემდეგ

და განსაზღვრავს მსჯავრდებულისათვის სასჯელის ზომას, შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში. გამონაკლისს საქმეთა ის კატეგორიები წარმოადგენს, რომლებისთვისაც შესაბამისი დანაშაული ითვალისწინებს მკაცრად განსაზღვრულ სასჯელს (მაგალითად, სახელმწიფო ღალატის შესახებ საქმეები). სხვა სიტყვებით, როდესაც კანონის თანახმად მოსამართლეს არ აქვს უფლება სასჯელის ინდივიდუალიზებისა. ასეთ შემთხვევებში გასაჩივრებას ექვემდებარება მხოლოდ დამნაშავეობის შესახებ გადაწყვეტილება – თუ იგი არ გასაჩივრებულა ან ძალაში დარჩა, მაშინ კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომა ავტომატურად გამოიყენება (აქ არ არსებობს გასაჩივრების საგანი).

აპელაციის უფლება სასჯელის ზომის თაობაზე ასევე არ ექვემდებარება გასაჩივრების თავისუფლების პრინციპს: მისი რეალიზება მსჯავრდებულს შეუძლია მხოლოდ შესაბამისი ნებართვის არსებობისას, რომელსაც სააპელაციო სასამართლო ან თვითონ გვირგვინის სასამართლო გასცემს, თუ არსებობს (1968 წლის კანონის „აპელაციის შესახებ“ მე-11 მუხლი) „აპელაციის განსაკუთრებული ან დამაჯერებელი საფუძვლები“. აპელაციაზე ნებართვის მიღების წესი ანალოგიურია, როგორც ვერდიქტის წინააღმდეგ აპელაციის შემთხვევაში იყო ზემოთ აღწერილი, სისხლის სამართლის საქმეთა კომისიისადმი მიმართვის ჩათვლით. ამ სახის აპელაციის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს შეამციროს ან შეცვალოს სასჯელის ზომა. ამასთან, აქ მოქმედებს საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი, ესე იგი ახლად დანიშნული სასჯელის ზომა არ უნდა იყოს იმაზე მკაცრი, რაც დანიშნული იყო გვირგვინის სასამართლოს მიერ.

ბრძანება venire de novo. სააპელაციო სასამართლოს უფლება – გამოსცეს ბრძანება venire de novo (ლათინური ტერმინია, რომელიც სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც „თავიდან დაბრუნება“) – ეს არის საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული, სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა სააპელაციო გადასინჯვის ინგლისის სამართლისათვის ტრადიციული ერთ-ერთი ფორმათაგანი. ბრძანება venire de novo-ს გამოცემა შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლო აღმოაჩენს საპროცესო დარღვევას, რაც მთლიანად სასამართლო განხილვის ბათილად ცნობას იწვევს.

ინგლისის კანონმდებლობაში არ არის მოცემული იმ დარღვევათა ჩამონათვალი, რომლებიც venire de novo-ს წესით განაჩენის გაუქმების საფუძვლებს წარმოადგენენ. ამ ჩამონათვალს სასამართლო პრაქტიკა

შეიქმსავეს და იგი მუდმივად კორექტირებას განიცდის. ვთქვათ, 1982 წლის ლორდთა პალატის გადაწყვეტილების თანახმად, წარმოება ბათილად იქნება ცნობილი, თუ საქმის განხილვაში მონაწილეობდა პროფესიული მოსამართლე, რომელიც არასათანადოდ იყო თანამდებობაზე დანიშნული. სხვა მაგალითად გამოდგება სააპელაციო სასამართლოს 1976 წლის პრეცედენტი, სადაც სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ განსასჯელის მიერ ბრალის აღიარება იმ სიტუაციაში, როდესაც იგი არ იყო თავისუფალი და ნებაყოფლობითი და რასაც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მოჰყვა, განხილული უნდა იყოს როგორც ბრძანების *venire de novo* გაცემის უპირობო საფუძველი. აღნიშნული ბრძანების გაცემის საპროცესო შედეგია როგორც თვითონ სასამართლო განხილვის, ასევე მისი მსვლელობისას მიღებული გადაწყვეტილებების ანუღირება. ეს არ ართმევს ბრალდებას უფლებას კვლავ წარმართოს საქმე სასამართლოში მისი პირველი ინსტანციის წესით განსახილველად, ამასთან, სასამართლო არანაირად არ არის შეპოჭილი ანუღირებული გადაწყვეტილებებით, რომლებიც ითვლება, რომ იურიდიულად არ არსებობდნენ.

აპელაცია ბრალდების მხრიდან.

დიდი ხნის განმავლობაში ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში არსებობდა წესი, რომლის თანახმად ბრალდებას უფლება არ ჰქონდა გაესაჩივრებინა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამოტანილი განაჩენები, ესე იგი არ დაიშვებოდა აპელაცია გამამართლებელი ვერდიქტის ან სასჯელის სიმსუბუქის გამო. ასეთ მიდგომას იმით ახსნიდნენ, რომ ინგლისელი იურისტების აზრით, ბრალდებისათვის აპელაციის უფლების მინიჭება ტოლფასი იყო მსჯავრდებულისათვის „ორმაგი რისკის“ შექმნისა, რაც წინააღმდეგობაში იყო ცნობილ პრინციპთან *non bis in idem* (დაუშვებელია პირის ორჯერ დასჯა ერთი და იმავე ქმედებისათვის). ამ წესიდან ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ბრალდების უფლება, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა დაცვის მსგავსად – მოეთხოვა *venire de novo*-ს ბრძანების გაცემა. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ბრძანება გაიცემა მხოლოდ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას საპროცესო წესის არსებითი დარღვევების არსებობისას. აქ საუბარი არ არის იმაზე, რომ ბრალდებას უფლება აქვს სადავო გახადოს გამამართლებელი ვერდიქტი იმის გამო, რომ იგი არამართლზომიერია (უდანაშაულოდ ცნობილი პირი სინამდვილეში დამნაშავეა), არამედ იმიტომ, რომ ამ კონკრეტულ საქმეზე მიღებული ყველა სასამართლო გადაწყვეტილება ბათილია, ვინაიდან

ასინი არ მიღებულა დადგენილი იურიდიული პროცედურის ფარგლებში. ბრალდებას უფლება აქვს მხოლოდ ზემდგომი სასამართლოს ყურადღება მიაპყროს ამ გარემოებაზე.

მთლიანობაში, დღეისათვის აღნიშნული ინგლისური ტრადიცია, დაკავშირებული ბრალდების აპელაციაზე უფლებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებასთან, ძალას ინარჩუნებს. იმის გათვალისწინებით, რომ იგი მთლად არ შეესაბამება თანამედროვე რეალიებს (დამნაშავეობის ზრდა, ორგანიზებული დამნაშავეობის წარმოშობა და სხვა), სიტუაცია აუჩქარებლად, მაგრამ სწორი მიმართულებით იცვლება. ბრალდების აპელაციაზე უფლების ცალკეული ელემენტების გაჩენის თანდათანობითი პროცესი შეინიშნება მთლიანად ამ საუკუნის მანძილზე, თუმცა ბოლო წლებში ამ პროცესმა განუხრელი ხასიათი მიიღო.

1907 წლის „აპელაციის შესახებ“ კანონი, არ ანიჭებდა რა ბრალდებას უფლებას მიემართა სააპელაციო სასამართლოსათვის, შეიცავდა დებულებას, რომლის თანახმად, საჯარო ბრალდებათა დირექტორს, რომელიც მოქმედებდა ბრალდების ინტერესებით, შეეძლო წარემართა საჩივარი ლორდთა პალატაში, თუ საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხს შეეხებოდა. მოცემული ნორმა, რომელიც წარმოადგენდა იმ დროისათვის მნიშვნელოვან სიახლეს, დღესაც ძალაშია, თუმცა მისი გამოყენების სფერო მნიშვნელოვნად შეზღუდულია.

ინგლისის სისხლის სამართლის პროცესის ამ მიმართულებით განვითარების შემდგომ ეტაპს 1972 წლის „სისხლის სამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ კანონის მიღება წარმოადგენდა. ამ კანონის 36-ე მუხლის თანახმად, გენერალურ ატორნეის მიენიჭა უფლება იმ სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებისა, რომლებზეც განსასჯელი გამართლებული იყო (აქ არ არის საუბარი ჭეშმარიტად ბრალდების აპელაციის უფლების შემოღების შესახებ). ერთი, ამ შემთხვევაში საჩივარი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს – საჭიროა გვირგვინის სასამართლოს მიერ რაიმე სამართლებრივ ნორმათა არასწორი გამოყენების კონკრეტული დასაბუთება. მეორე, თუნდაც გენერალური ატორნეის აპელაცია დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს უფლება არ აქვს გააუქმოს გამამართლებელი ვერდიქტი. მისი სააპელაციო გადაწყვეტილება, წარმოადგენს რა პრეცედენტს, მიმართულია მხოლოდ პერსპექტივაზე (იმაზე, რომ ანალოგიური სასამართლო შეცდომები აღარ იქნეს დაშვებული მომავალში). აპელაციის ეს სახე ჰგავს ფრანგულ კასაციას „კანონის ინტერესებში“.

ბრალდების აპელაციაზე რეალური უფლების წარმოშობა 1988 წლის „სისხლის სამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ კანონს უკავშირდება (მუხლი 36-ე), რომლის თანახმად, გენერალურ ატორნიის მინიჭებული აქვს უფლება სასჯელის სიმსუბუქის გამო გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში გვირგვინის სასამართლოს გადაწყვეტილება. არსებითად, მხოლოდ აღნიშნული კანონის მიღების შედეგად, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილვის შემდეგ გამოტანილი განაჩენები დაექვემდებარა კრიტიკას ბრალდების მხრიდან, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა მიეღწია დამნაშავედ ცნობილი პირების მიმართ სასჯელის გამკაცრებისათვის.

იმავ შემთხვევაში, როდესაც განსასჯელი გამართლებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტით, ბრალდება კვლავინდებურად თითქმის უძლური რჩება, რადგან არ აქვს უფლება იღავოს ასეთი გადაწყვეტილების გამო. თუმცა, გარკვეული ცვლილებები აქაც მოხდა. 1996 წლის „სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიებების შესახებ“ კანონმა, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით, გაითვალისწინა ახალი დებულება: თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ გამამართლებელი განაჩენი იყო გამოტანილი ნაფიც მსაჯულებსა და მოწმეებზე არამართლობიერი ზეწოლის შედეგად, მაშინ ბრალდებას უფლება აქვს შესაბამისი სააპელაციო საჩივრით მიმართოს მაღალ სასამართლოს. თუ ჩათვლის ბრალდების მოსაზრებებს დამაჯერებლად, მაღალი სასამართლოს დედოფლის სკამის განყოფილებას შეუძლია გააუქმოს ვერდიქტი და ბათილად ცნოს საქმეზე წარმოება. ასეთ შემთხვევაში ბრალდებას უფლება აქვს თავიდან დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ზოგადი წესებით, ვინაიდან პრეზიუმირებულია, რომ საქმე სასამართლოს ჯერ არ განუხილავს.

ბრალდების მხრიდან აპელაციის მოცემული სახისათვის არსებითია ის ფაქტი, რომ იგი წარედგინება არა სააპელაციო, არამედ მაღალ სასამართლოს. როგორც ჩანს, კანონმდებელი შეეცადა ხაზგასმით აღენიშნა ასეთი გასაჩივრების საგამონაკლისო ხასიათი და თავისი ერთგულება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამართლებელი ვერდიქტის სააპელაციო გადასინჯვის აკრძალვის ზოგადი პრინციპისადმი.

3. აპელაცია მაგისტრატების სასამართლოების მიერ სუმარული წარმოების წესით გამოტანილ განაჩენებზე. მაგისტრატების სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციით განსაზღვრულ საქმეთა გამო სააპელაციო გასაჩივრების რამდენიმე სახე არსებობს.

აპელაცია გვირგვინის სასამართლოში. მაგისტრატების სასამართ-

ლოს განაჩენთა გვირგვინის სასამართლოში გასაჩივრების უფლება აქვს, უპირველეს ყოვლისა, დაცვას. ამ უფლების რეალიზების ორი გზა არსებობს:

- თუ ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობდა და, მიუხედავად ამისა, იგი მსჯავრდებულია, მაშინ მას შეუძლია გვირგვინის სასამართლოში აპელაციის წარდგენა როგორც დამნაშავეობის, ასევე სასჯელის ზომის საკითხის გამო;
- თუ განსასჯელი აღიარებს დანაშაულს, მაშინ მას უფლება რჩება აპელაციით მიმართოს გვირგვინის სასამართლოს მხოლოდ სასჯელის ზომის საკითხებზე.

რაც შეეხება ბრალდებას, ზოგადი წესის თანახმად, მას არ აქვს ანალოგიური შესაძლებლობა — მაგისტრატების სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ გვირგვინის სასამართლოსაკენ მიმავალი გზა მისთვის დაკეტილია. მოცემული წესიდან კონკრეტული გამონაკლისები არსებობს, რომლებიც განსაზღვრულ საქმეთა კატეგორიებს შეეხება. ასე მაგალითად, 1952 წლის „საბაჟოსა და აქციზების შესახებ“ კანონის 283-ე (4) მუხლის თანახმად, თუ საქმე სასამართლოში წარმართული იყო საბაჟო ან სააქციზო უწყების თანამდებობის პირის მიერ და დასრულდა გამამართლებელი განაჩენის გამოტანით, მაშინ ბრალდებას უფლება აქვს აპელაციით მიმართოს გვირგვინის სასამართლოს.

აპელაციის მოცემული სახე შეიძლება შეეხებოდეს როგორც ფაქტის, ისე სამართლის საკითხებს. ამას გარდა, გვირგვინის სასამართლოში გასაჩივრების განხორციელება არ საჭიროებს რაიმე ნებართვას არც თვითონ გვირგვინის სასამართლოს მხრიდან და არც განაჩენის გამომტან მაგისტრატების სასამართლოს მხრიდან. ზოგადი წესიდან ასეთ გამონაკლისში აშკარად შეიმჩნევა ინგლისისათვის საკმაოდ იშვიათი შემთხვევა „სააპელაციო გასაჩივრების თავისუფლების“ შესახებ დებულების აღიარებისა (საესებით შეზღუდულ ფარგლებში), ესე იგი გასაჩივრებისა, რომლის დროსაც არ არის საჭირო წინასწარი მოტივაცია სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულობისა და აპელაციაზე შესაბამისი ნებართვის მიღება.

აპელაციის წარდგენის ვადა 21 დღეს შეადგენს. იგი აითვლება ან სასჯელის ზომის დანიშვნის მომენტიდან, ანდა, თუ ბრალდებული მსჯავრდებულია და სასამართლომ გადადო სასჯელის ზომის დანიშვნა, მაშინ დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. საპატიო მიზეზების არსებობისას გვირგვინის სასამართლოს

უფლება აქვს გააგრძელოს აღნიშნული ვადა. თუ ვადა გაშვებულია და აღდგენილი არ არის, კიდევ ერთი შესაძლებლობა რჩება — სისხლის სამართლის საქმეთა გადასინჯვის კომისიისათვის მიმართვა, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. 1995 წლის „აპელაციის შესახებ“ კანონის (მე-11 მუხლი) შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია გვირგვინის სასამართლოში წარმართოს ნებისმიერი საქმე, განხილული პირველი ინსტანციით მაგისტრატების სასამართლოს მიერ, თუ ჩათვლის, რომ საქმეზე დაშვებულია შეცდომა. კომისიას შეუძლია დაეაღიაროს გვირგვინის სასამართლო ხელახლა განიხილოს ასეთი საქმე იმის მიუხედავად, მსჯავრდებულმა ცნო თუ არა თავი დამნაშავედ სუმარული წარმოების დროს.

გვირგვინის სასამართლოში საქმეთა სააპელაციო გადასინჯვა ხორციელდება პროფესიონალი მოსამართლეების მიერ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე, თუმცა ე.წ. „არაანაზღაურებადი მაგისტრატების“ შესაძლო მონაწილეობით (იხ. მოცემული თავი, §3). თავისი არსით, ეს არის საქმის სრული მოცულობით განმეორებით მოსმენა, ესე იგი ახალი სასამართლო განხილვა. სასამართლოს უფლება აქვს მოუსმინოს არა მხოლოდ იმ მოწმეებს, რომლებმაც უკვე მისცეს ჩვენება მაგისტრატების სასამართლოში, არამედ ახალ მოწმეებსაც. ამრიგად, აქ შეგვიძლია ვისაუბროთ მტკიცების სრულფასოვან პროცესზე, ამასთან მოწმის იმ ჩვენების მოყვანა, რომელიც მიღებულია საქმის მაგისტრატების მიერ განხილვისას, დაიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც გვირგვინის სასამართლო აღმოაჩენს არსებით წინააღმდეგობებს ამ მოწმის წინა ჩვენებათა და ახალ ჩვენებებს შორის. თუკი აპელაცია შეეხება მხოლოდ სასჯელის ზომის საკითხებს, მაშინ სააპელაციო წარმოება ხორციელდება იმავე წესებით, რაც საბრალდებო აქტით დევნის დანაშაულთა საქმეებზე გვირგვინის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შემდეგ სასჯელის დანიშვნის შესახებ წარმოებისათვის არის დადგენილი.

გადაწყვეტილების გამოტანისას გვირგვინის სასამართლო არ არის შეზღუდული სასჯელის ზომით, რომელიც პირველი ინსტანციით მაგისტრატების სასამართლოს მიერ იყო დანიშნული. კერძოდ, მას უფლება აქვს დაუშობოს ბრალდებულს სასჯელი იმ შემთხვევებშიც, როდესაც აპელაცია წარადგინა დაცვის მხარემ. „საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის“ პრინციპი აქ არ გამოიყენება. თავისთავად ცხადია, რომ გვირგვინის სასამართლოს ასევე შეუძლია ძალაში დატოვოს განაჩენი. მისი სააპელაციო უფლებამოსილებათა ერთადერთი შეზღუდვა

იმაში მდგომარეობს, რომ, ღანაშაულთა სუმარული ხასიათის გათვალისწინებით, გვირგვინის სასამართლოს უფლება არ აქვს გასცდეს იმ უფლებათა ფარგლებს, რომელიც მინიჭებული აქვთ მაგისტრატებს საქმეთა სუმარული წესით განხილვისას სასჯელის მაქსიმალური ოდენობის ნაწილში (6 თვით თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა 5 000 ფუნტი სტერლინგის ოდენობით).

აპელაცია მაღალი სასამართლოს დედოფლის სკამის განყოფილებაში. მაღალი სასამართლოს დედოფლის სკამის განყოფილებისათვის აპელაციით მიმართვა შესაძლებელია მოხდეს როგორც საქმის გვირგვინის სასამართლოში სააპელაციო განხილვის შემდეგ, ასევე, უშუალოდ საქმის პირველი ინსტანციით მაგისტრატების სასამართლოში განხილვის შემდეგ (გვირგვინის სასამართლოს გვერდის ავლით). უკანასკნელ შემთხვევაში გვირგვინის სასამართლოში აპელაცია უკვე პროცესუალურად შეუძლებელი ხდება.

ნებისმიერ შემთხვევაში მაღალი სასამართლოსათვის აპელაციით მიმართვის უფლება აქვთ როგორც ბრალდებას, ისე დაცვას. აქ შეინიშნება მხარეთა უფლებების გარკვეული თანასწორობა. თუ არ გავითვალისწინებთ ზემოთ მოყვანილ გამონაკლისებს, მაშინ მაღალ სასამართლოში აპელაცია ბრალდების გამო – ეს არის ერთადერთი საპროცესო საშუალება მაგისტრატების უკანონო გამამართლებელი განაჩენის გასაუქმებლად. მაღალ სასამართლოში აპელაციის წარდგენა ბრალდების გამო, ისევე როგორც დაცვის გამო, დასაშვებია მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლებით, ამასთან აქ ისეც და ისეც, არ მოქმედებს „გასაჩივრების თავისუფლების“ წესი.

თუ მაგისტრატების განაჩენი თავდაპირველად გასაჩივრებული იყო გვირგვინის სასამართლოში, მაშინ მისი მაღალი სასამართლოს მიერ მომდევნო გადასინჯვისათვის საჭიროა ან თვითონ მაღალი სასამართლოს, ან გვირგვინის სასამართლოს ნებართვა.

თუ ბრალდება ან დაცვა გადაწყვეტს, რომ აპელაცია გვირგვინის სასამართლოს გვერდის ავლით წარადგინოს პირდაპირ მაღალ სასამართლოში (უფრო ხშირად ასეთი რამ ხდება, როდესაც ერთ-ერთი მხარე მიიჩნევს, რომ მაგისტრატებმა სწორედ არ გამოიყენეს სამართლის რომელიმე კონკრეტული ნორმა), მაშინ ასეთ შემთხვევაში საჭიროა მივმართოთ უფრო რთულ პროცედურას. იგი შემდეგში მდგომარეობს: სასჯელის დანიშვნის ან დამნაშავეობის შესახებ გადაწყვეტილების (როდესაც სასჯელის ზომის დანიშვნა გადადებულია) მომენტიდან 14 დღის განმავლობაში დანტერესებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს

მაგისტრატების სასამართლოს შუამდგომლობით „საქმის გარემოებათა მოხსენების“ შესახებ (to state a case). შუამდგომლობა წარმოადგენს სასამართლოსადმი თხოვნას, შეადგინოს საპროცესო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საქმის ფაქტობრივ გარემოებათა აღწერას, მხარეთა მოთხოვნებს, თავისი გადაწყვეტილების სამართლებრივ მოტივებს და საკითხებს, რომლებიც განხილული უნდა იყოს მაღალ სასამართლოში. ამ მოქმედების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მაგისტრატების სასამართლოს გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმეებზე არ აქვთ მოტივაცია. ამავე დროს, მაღალი სასამართლო წარმობაში იღებს საქმეს მხოლოდ სამართლებრივი საკითხების საფუძველზე. სრულიად ნათელია, რომ საუბარია ურთიერთგამომრიცხველ სამართლებრივ მოვლენებზე – დაუსვებელია სამართლებრივი საფუძვლების მიხედვით გადასინჯვა სასამართლო გადაწყვეტილებისა, როდესაც არ არის ჩამოყალიბებული მისი გამოტანის სამართლებრივი მოტივები. შედეგად, „საქმის გარემოებათა მოხსენება“ გადაიქცევა მაგისტრატების მიერ მართლაც მოტივირებულ შემაჯამებელ გადაწყვეტილებად, მისი ყველა საჭირო რეკვიზიტით იმ ერთადერთ შემთხვევაში, როდესაც ინგლისის სისხლის საპროცესო სამართლის თვალსაზრისით, ამის აუცილებლობა დგება (მაღალი სასამართლოსათვის მიმართვისას).

მაგისტრატების სასამართლოს უფლება აქვს უარყოს შუამდგომლობა „საქმის გარემოებათა წარმოდგენის“ შესახებ, თუ „გაუაზრებლად“ მიიჩნევს მას (გარდა შემთხვევისა, როდესაც შუამდგომლობით მას გენერალური ატორნეი მიმართავს). ასეთ სიტუაციაში ერთადერთი შესაძლებლობა რჩება – უშუალოდ მაღალი სასამართლოსათვის თხოვნით მიმართვა mandamus¹ ბრძანების გაცემის შესახებ.

მაგისტრატების სასამართლოს კლერკის მიერ შედგენილი პროექტი „საქმის გარემოებათა მოხსენების“ შესახებ გადაეცემათ მხარეებს, რომლებსაც 21 დღე აქვთ იმისათვის, რომ წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები და დამატებები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, რამდენადაც მაღალი სასამართლოს პოზიცია ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის „გადმოცემული საქმეთა გარემოებანი“, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ იგი არ განიხილავს ახალ მტკიცებულებებს. აღნიშნული დოკუმენტის საბოლოო ტექსტს ხელს აწერენ მაგ-

¹ შუა საუკუნეების სახელწოდება სასამართლო ბრძანებისა, რომლის მეშვეობითაც ზემდგომ სასამართლოს შეუძლია დაედალოს ქვემდგომს გარკვეულ მოქმედებათა შესრულება. თუ ასეთი ბრძანების გაცემის შუამდგომლობა დაკმაყოფილდება, ისინი მაგისტრატების სასამართლო მოიღებს რა მაღალი სასამართლოდან mandamus-ის ბრძანებას, უნდა დაემორჩილოს მას და გააკეთოს საქმის გარემოებათა მოხსენება.

ისტრატები და გადაგზავნიან მაღალ სასამართლოში.

მაღალი სასამართლოს სხდომის დროს განიხილება წმინდა სამართლებრივი საკითხები. მხარეთა ადვოკატებს უფლება აქვთ წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები. საქმის მოსმენის დასასრულს მაღალი სასამართლო ან ამტკიცებს, ან აუქმებს, ანდა ცვლის მაგისტრატების სასამართლოს განაჩენს. მას ასევე შეუძლია საქმის დაბრუნება მაგისტრატების სასამართლოში, მისთვის საკუთარი პოზიციის მოხსენებით.

4. *აპელაცია ლორდთა პალატაში.* ლორდთა პალატა (მისი სასამართლო შემადგენლობა), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (იხ. მოცემული თავი, §3), საბოლოო სააპელაციო ინსტანციაა ყველა სისხლის სამართლის საქმეზე. მისი სააპელაციო უფლებამოსილებანი არ არის დამოკიდებული არც იმაზე, თუ რა წესით განიხილებოდა საქმე არსებობისას (საბრალდებო აქტით თუ სუმარული), არც იმაზე, თუ რომელი სასამართლოს მიერ იყო ისინი გადასინჯული (მაღალი თუ სააპელაციო).

ლორდთა პალატაში აპელაციების განხილვა სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის საგამონაკლისო საშუალებას წარმოადგენს. ეს გამონაკლისობა განპირობებულია უპირველეს ყოვლისა იმით, რომ, იღებს რა წარმოებაში საქმეებს, რომლებიც გადაწყვეტილი იყო ქვემდგომ სასამართლოებში, ინგლისის უმაღლესი სასამართლო ორგანო მოქმედებს არა მხარეთა ინტერესებით (რომ უზრუნველყოს მათთვის უკანონო ან დაუსაბუთებელ განაჩენთა გადასინჯვის უფლება), არამედ მთლიანად ინგლისის სამართლებრივი სისტემის ინტერესებით. სხვა სიტყვებით, ლორდთა პალატისათვის აპელაცია – ეს არ არის კონკრეტული პირის მიმართ დაშვებული სასამართლო შეცდომის გამოსწორება, არამედ სამართალშემოქმედების მექანიზმი, რომელიც სამართალგამოყენებითი პრაქტიკის წარმატებული განვითარებისათვის საჭირო პრევენტული სამართლის ნორმების შექმნის, შეცვლისა და შევსების შესაძლებლობას იძლევა.

ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში არ არსებობს ლორდთა პალატაში სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო გასაჩივრების საფუძვლების ჩამონათვალი. მას ცვლის მის განხილვას დაქვემდებარებულ საქმეთა წრის განსაზღვრის წმინდა საპროცესო მექანიზმი, რაც დაკავშირებულია ინგლისის უმაღლესი სასამართლო ინსტანციების ლისკრეციულ უფლებამოსილებასთან – გადაწყვეტოს საკითხი იმის შესახებ, იმსახურებს თუ არა საქმე ლორდთა პალატის ყურადღებას.

თუ საქმე გადასინჯული იყო სააპელაციო სასამართლოში გვირ-

გვინის სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მაშინ მისი შემდგომი გადასინჯვისათვის ლორდთა პალატაში საჭიროა ან სააპელაციო სასამართლოს, ან თვითონ ლორდთა პალატის ნებართვა. შესაბამისად, თუ საქმე გადასინჯული იყო მაღალი სასამართლოს მიერ (ძირითადად, ეს არის სუმარული წარმოების საქმეები), მაშინ აპელაციაზე ნებართვა უნდა გასცეს მაღალ სასამართლომ ან ლორდთა პალატაში.

1960 წლის „მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ კანონის პირველი მუხლისა და 1968 წლის „აპელაციის შესახებ“ კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, ლორდთა პალატაში აპელაციის ნებართვა გაიცემა ორ შემთხვევაში: ა) თუ ქვემდგომი სასამართლო ადასტურებს, რომ სამართლებრივი საკითხი, რომელსაც აპელაცია შეეხება, დიდად მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის მთლიანად; ბ) თუ ქვემდგომი სასამართლო ან თვითონ ლორდთა პალატა თვლის, რომ სამართლებრივი საკითხი, რომელსაც აპელაცია შეეხება, იმსახურებს ლორდთა პალატის ყურადღებას.

ადვილი შესაძრევია საკმაოდ არაარსებითი ზღვარი ამ ორ შემთხვევას შორის. მათ, უპირველეს ყოვლისა, აერთიანებთ ის, რომ ისინი არ ზღუდავენ რა ლორდთა პალატის კომპეტენციას, სრულიად ათავისუფლებენ მას სავალდებულო იურისდიქციისაგან სისხლის სამართლის საქმეებზე. ასეთი მიდგომა მთლიანად შეესაბამება იმ როლს, რომელსაც ლორდთა პალატა ასრულებს ინგლისის სამართლებრივ სისტემაში (იხ. მოცემული თავი, §3).

ბოლო წლებში შეინიშნება ტენდენცია, რომელიც მიმართულია პროცესის მონაწილეებისათვის თავიანთი უფლებების დასაცავად ლორდთა პალატისათვის მიმართვის გაადვილებისაკენ. მისი ერთ-ერთი გამოვლინებაა, მაგალითად, 1999 წლის კანონი „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ“, რომელმაც ცვლილებები შეიტანა ზემოთ ხსენებულ 1960 წლის კანონში „მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ და გააუქმა ქვემდგომი სასამართლოების მიერ habeas corpus-ის ინსტიტუტის გამოყენების გამო ლორდთა პალატაში აპელაციის უფლებასთან დაკავშირებული ადრე არსებული ყველა შეზღუდვა. შედეგად, უკანონო დაპატიმრებისა და პატიმრობის შესახებ საჩივრების განხილვა უკვე ლორდთა პალატის კომპეტენციას განეკუთვნება.

ამერიკის შეერთებული შტატები

§1. სისხლის სამართლის პროცესის ცნება და მისი სტრუქტურის ზოგადი დახასიათება

ამერიკული მიდგომა სისხლის სამართლის პროცესის საგნის განმარტებისადმი ბევრად ჰგავს იმ შეხედულებებს, რომელებიც ინგლისში დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბდა სამართლის ამ დარგის მიმართ (იხ. თავი მე-2, §1). თუმცა იგი არ არის ამ შეხედულებების იდენტური. თვითმყოფადმა პირობებმა, რომელშიც წარმოიშვა და ვითარდებოდა ამ ქვეყნის სამართლებრივი სისტემა, შედეგად გამოიწვია ის, რომ აშშ-ში ხშირად სისხლის სამართლის პროცესის ცნების დახასიათებისას ამჯობინებენ რაიმე საკუთარისა და სპეციფიკურის შემოტანას.

ამერიკული იურიდიული ლიტერატურის ანალიზის დროს გვხვდება ამ ცნების სხვადასხვაგვარი განმარტებანი. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი რ.პერკინსი წერდა, რომ: „სისხლის სამართლის პროცესი – ეს არის ფორმალური მექანიზმი, რომელიც შექმნილია მატერიალური სისხლის სამართლის განხორციელებისათვის. ფართო გაგებით, იგი მოიცავს: 1) დანაშაულში ბრალდებას; 2) დამნაშაელობის ან უდანაშაულობის დადგენას; 3) მსაჯურდებულთა ბედის განსაზღვრას“¹. იურიდიულ ტერმინებთა ლექსიკონის ავტორმა ჩ.ფრიკიმ თითქმის ასეთივე განსაზღვრება მისცა ამ ცნებას: „სისხლის სამართლის პროცესი – ეს არის დაკავების, სასამართლოს მიერ საქმეების განხილვის, დანაშაულის ჩამდენი პირების დენისა და, ასევე, მათთვის სასჯელის შეფარდების კანონით დაწესებული მეთოდები“². ახლახანს ცოტა უცნაურად, სხვაგვარად და ოღნაე იუმორითაც კი საუბრობდა განსახილველი ცნების შესახებ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ლ.უაინრები: „სისხლის სამართლის პროცესის ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ განისაზღვროს ადამიანის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში მისთვის სასჯელის შეფარდების მიზნით. ამასთან, თუ სისხლის სამართლის პროცესი ეხმარება მოქალაქეობრივი გრძნობების გაღვივებას (რაც საეჭვოა), ან უბრალოდ ართობს მაყურებელს – მით უკეთესი; მაგრამ ეს არ არის მისი ფუნქცია, ისევე, როგორც სასამართლო სისტემის ფუნ-

1 Perkins. R. Criminal Law. 2d ed. Mincola, N.Y., 1969. P.1

2 Fricke Ch. IV. 5000 criminal definitions. Terms and Phrases. Los Angels, Calif, 1968. P.55.

ქციას არ წარმოადგენს წარმატებული პოლიტიკოსების მეგობრების მყუდრო ადგილებით უზრუნველყოფა (რასაც ხშირად აქვს ადგილი სინამდვილეში). სისხლის სამართლის პროცესის ფუნქციებში არ შედის დამნაშავეთა დასჯა, ხელახალი აღზრდა ანდა დანაშაულთა თავიდან აცილება, თუმცა, შესაძლებელია (და მით უკეთესი), რომ ეს მისი ფუნქცია აღმოჩნდეს¹.

რთული შესაძინევი არ არის, რომ მოყვანილ, გარეგნულად სხვადასხვაგვარ დეფინიციებში მკაფიოდ იკვეთება ტენდენცია იმისა, რომ სისხლის სამართლის პროცესი განისაზღვროს, როგორც დანაშაულის ჩამდენ პირთა წინააღმდეგ მიმართული მოქმედებებისა და მატერიალური სისხლის სამართლის ნორმებით გათვალისწინებული ზომების ერთობლიობა.

ასეთი ტენდენცია დღემდე შენარჩუნებულია ფართოდ აღიარებულ სახელმძღვანელოში, რომელიც განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებიც შეისწავლიან სისხლის სამართლის პროცესს ამერიკის უმაღლეს იურიდიულ სასწავლებლებში (სახელმძღვანელო გამოვიდა 1965 წელს და უკვე 35 წელზე მეტია მუდმივად იბეჭდება იგი ხელახლა). 1990 წელს გამოსულ მის მე-7 გამოცემაში ავტორებმა დაადასტურეს, რომ სისხლის სამართალწარმოება არის „...პროცედურების ისეთი ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც იძულებით გამოიყენება მატერიალური სისხლის სამართალი“². ეს ფორმულირება თითქმის სიტყვასიტყვით მეორდება ამერიკული სისხლის სამართლის პროცესის განმარტებაში, რომელიც 2000 წლის დეკემბერში მოცემული იყო კორნელის უნივერსიტეტის სამართლებრივი ინფორმაციის ინსტიტუტის (Legal Information Institute) ინტერნეტ გვერდზე (ეს გვერდი გამოირჩევა თავისი მნიშვნელოვანი იურიდიული ინფორმაციულობით). თუმცა ამ განმარტების გაშეორებას თან ახლავს არსებითი დამატება, რომ: „ამერიკული სისხლის სამართლებრივი სისტემის მოდელი არის შეჯიბრებითი და ბრალდებითი მოდელი. სისხლის სამართლის პროცესი უნდა ათანაბრებდეს ბრალდებულის უფლებებსა და სახელმწიფოს ინტერესებს სწრაფი და ეფექტური სასამართლო განხილვის მეშვეობით, რომელიც ისწრაფვის სამართლიანობისაკენ (with the desire for justice)“³. მსგავს დეფინიციას გვთავაზობს „სასამართლოში მოქალაქის გზამკვლევი“, რომელსაც გამოსცემს სასამართლოთა უპირატესობის

1 Уайтреб Л.Л. „Отказ в правосудии. Уголовный процесс США“. М., 1985. С.28.

2 Kamisar Y., LaFare W.R., Israel J.H. Modern Criminal Procedure: Cases, Comments and Questions. Seventh Edition. St. Paul, Minn., 1990. P.1

დაცვის საბჭო. მის 1989 წლის გამოცემაში აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის პროცესი არის „პროცედურა, რომელიც ტარდება სისხლის სამართლის საქმეზე დაპატიმრების მომენტიდან სასაჯელის შეფარდების მომენტამდე“.

ორიენტირება იმაზე, რომ სისხლის სამართლის პროცესი ეს არის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის დანაწესთა რეალიზებას, შეიძლება შეგვხვდეს არა მხოლოდ დოქტრინულ დეფინიციათა, არამედ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესწავლის დროსაც. მაგალითად, ტეხასის შტატის სსს კოდექსის 1.03-ე მუხლში (მისი სათაურია: „ამ კოდექსის საგანი“) აღნიშნულია, რომ „ეს კოდექსი შეიცავს წესებს, რომლებიც გამოიყენება მოცემული შტატის კანონების წინააღმდეგ მიმართულ ხელყოფათა თავიდან არიდებისა და დენისათვის, ასევე, აყალიბებს თავიდან არიდებასა და დენასთან დაკავშირებულ საპროცესო წესებს, რომლებიც გასაგები იქნება იმ თანამდებობის პირებისათვის, რომლებმაც უნდა იმოქმედონ ამ წესების შესაბამისად, ასევე, ყველა იმ პირისათვის, ვის უფლებებსაც შეეხება ეს წესები. კოდექსის ამოცანებია:

1. ზომების გატარება დანაშაულის თავიდან ასაცილებლად;
2. სამართალდამრღვევს არ დაუტოვოს პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების რაიმე იმედი;
3. სასამართლო განხილვის მართლმსაჯულების ამოცანებთან შეთავსებად ვადაში წარმართავის უზრუნველყოფა;
4. სასამართლო განხილვას დაქვემდებარებულ თითოეულ სამართალდარღვევაზე ყველა იმ მტკიცებულების შემოწმება, რომლებმაც შეიძლება პირის მსჯავრდება ან გამართლება გამოიწვიონ;
5. სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა;
6. კანონით გათვალისწინებული სასაჯელის შეფარდების შემთხვევაში, მისი განუხრელი შესრულება“.

მსგავსი რამ გვხვდება სხვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონებშიც. კოლორადოს შტატის სსს კოდექსის პირველი მუხლის §16-1-103-ის მიხედვით, რომელიც ეძღვნება სისხლის სამართალწარმოების მიზნების განსაზღვრას „ამ კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ყველა სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი გადაწყვეტა. მისი დანაწესები უნდა განიმარტებოდეს ისე, რომ გარანტირებული იყოს: სამართალწარმოების სიმარტივე და მისი განხორციელების მიუკერძოე-

ბლობა; გაუმართლებელი ხარჯებისა და გაჭიანურების დაუშვებლობა; დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთა დაკავებისა და მათ საქმეთა სასამართლო განხილვის ეფექტურობა; ყველა სისხლის სამართლის საქმის სამართლიანად გადაწყვეტა მიუკერძოებელი სასამართლო განხილვის გზით; ადეკვატური სასამართლო კონტროლი; საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და პიროვნების ძირითადი უფლებების (rights of individuals) დაცვა“. ტეხასის შტატის სსს კოდექსი (§1.26) კიდევ უფრო ლაკონურია: „ამ კოდექსის დებულებანი თავისუფლად უნდა განიმარტებოდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს შტატის საკანონმდებლო კრების მიერ (the Legislature) დასახული მიზნები; დანაშაულთა თავიდან აცილება, მათ წინააღმდეგ ბრძოლა და დამნაშავეთა დასჯა“.

ხშირად ამერიკულ (უპირატესად დოქტრინულ) იურიდიულ წყაროებში შეიძლება შევხვდეთ რამდენადმე განსხვავებულ განმარტებებსაც. მათ შორის მრავლადაა ისეთები, რომლებიც სამართალწარმოებას განსაზღვრავენ როგორც კამათს. ასეთი დეფინიციების ფართოდ გავრცელებულობის დასკვნამდე მივიდა იელის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ. გრიფითსი, რომელმაც განაზოგადა დაახლოებით ნახევარი საუკუნის მანძილზე თავისი კოლეგების შეხედულებები. როგორც მან დაადგინა, ისინი სისხლის სამართლის საქმის წარმოების არსს მეტწილად განსაზღვრავენ ისეთი ტერმინებით, როგორებიცაა: „კამათი“, „ბრძოლა“, „შეჯიბრი“, „შერკინება“ ანდა „ომი“, ხოლო ასეთი „კამათების“, „ბრძოლებისა“ და ა.შ. წარმართვის წესებს – სპორტული ან სამხედრო გამოთქმებით: „ბრალმდებლის ტაქტიკური უპირატესობა“, „...ლიარო ბრალი – ესე იგი დანებდე“ და ა.შ.¹

ასეთი სახის დეფინიციები ძველი ინგლისური სისხლის საპროცესო სამართლისა და მისი შესაბამისი დოქტრინიდან ნასესხები ზოგადი დადგენილებების პირდაპირი ასახვაა, რომელთა მიხედვით სისხლის სამართლის პროცესი განიმარტებოდა და კვლავაც განიმარტება როგორც სარჩელი, წაყენებული იმ პირისადმი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, ან სასამართლოში მიმდინარე კამათი (ორთაბრძოლა) თანაბარი იურიდიული უფლებებით აღჭურვილ ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის (როგორც წესი, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის). ბრალმდებლის ფუნქცია გამოიხატება შემდეგში: გამოიჩინოს სისხლის სამართლებრივი დევნის (სისხლის სამართლის საქმის აღძვრის) ინიციატივა; შეაგროვოს ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები და

¹ Griffiths J. Ideology in Criminal Procedure or a Third „Model“ of the Criminal Practices // Yale Law Journal. January 1970. Vol. 79. Nr. 3. P.368-369.

დაამტკიცოს ბრალდება სასამართლოს წინაშე¹. დაცვის ფუნქციაა – შეაგროვოს ყველა მტკიცებულება, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს, უმსუბუქებს მას სასჯელს ან უარყოფს წაყენებულ ბრალდებას. სწორედ ამის გამო, ინგლისური ტრადიციების თანახმად, ამერიკულ სასამართლოებში მიღებულია სისხლის სამართლის საქმეებს ეწოდოს შემდეგნაირად: „ილინოისის შტატი სმიტის წინააღმდეგ“, „აშშ მერფის წინააღმდეგ“ და ა.შ.

თეორიულად, სისხლის სამართლის პროცესის ამ ვერსიით ამერიკაში, ისევე როგორც ინგლისში, სასამართლო წარმოჩინდება როგორც მიუკერძოებელი და სრულიად პასიური არბიტრი (შუამავალი), რომელმაც მხოლოდ თვალყური უნდა ადევნოს მხარეების მიერ კამათის წესების დაცვას და მათ მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე გადაწყვეტოს განსასჯელის ბრალეულობისა და სასაჯელის ზომის შესახებ საკითხები. ყველაფერი დანარჩენი (დამნაშავეობესთან ბრძოლის ინტერესი, განსასჯელის უფლებების დაცვა ან ამისთვის ხელის შეწყობა) წარმოადგენს სფეროს, რომელიც სცილდება სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს.

ასეთი (ძირითადად თეორიული) კონსტრუქცია სისხლის სამართლის პროცესისა, მართალია, ადეკვატურად არ ასახავს ამერიკულ სასამართლოებში მიმდინარე პროცესებს, მაინც ფართოდ გამოიყენება მისი შინაარსის თავისებური განსაზღვრების დასაბუთებისას, რაც, პრაქტიკულად, უნდა ხორციელდებოდეს სისხლის სამართლის საქმეების წარმოებისას.

მის საფუძველზე საკამაოდ ხშირად კეთდება დასკვნები, რომლებიც იწვევენ შორს გამიზნულ პრაქტიკულ შედეგებს. ლოგიკა ამ დასკვნებისა შემდეგში მდგომარეობს: რამდენადაც სისხლის სამართლის პროცესი სასამართლოში გამართული კამათია, მაშასადამე ის თავის თავში უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმას, რაც უშუალოდ ხდება მოსამართლის (სასამართლოს) წინაშე. ყველა სხვა ურთიერთობა, რომელიც ყალიბდება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სასამართლომდე და

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ამერიკულ კანონმდებლობასა და სხვა სამართლებრივ დანაწესებში გამოჩნდა სხვა, ამჟამად დეკლარაციული, კონკრეტული გარანტიებით დაუდასტურებული ფორმულირებები სასამართლოში სახელმწიფოს სახელით სისხლის სამართლებრივი ღწენის განმასხვრცილებელი პირის საპროცესო სტატუსის შესახებ. ასეთი ფორმულირების მაგალითის ითვალისწინებს ტეხასის შტატის სსს კოდექსის მე-2.01 მუხლი: „სისხლის სამართლებრივი ღწენის განმასხვრცილებელი ყველა ატორნის, მათ შორის სპეციალური პროკურორების (special prosecutors), უპირველესი მოვალეობაა არა მსჯავრდება. არამედ ზედამხედველობა იმაზე, რომ აღსრულდეს მართლმსაჯულება. მათ არ უნდა დაეზარონ ფაქტები ან დამალონ მოწმეები, რომელთაც შეუძლიათ ბრალდებულის უდანაშაულობის დამტკიცება“.

მის გარეთ, როგორც წესი, სცილდება სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებს და ამიტომ მათ არ უნდა არეგულირებდეს უშუალოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ნორმები. ეს უკანასკნელი ერევა სისხლის სამართლის საქმეთა წინასასამართლო წარმოების რეგლამენტაციაში იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა გამოძიების ორგანოების უხეში და თვითნებური მოქმედებისგან მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დასაცავად. მოქმედებები და მათთან დაკავშირებით წარმოშობილი სხვა სახის ურთიერთობები (დაკითხვის, ამოცნობის, დანაშაულის ადგილის დათვალიერების, ნივთიერი მტკიცებულებების ფიქსაციის წესები) არის ადმინისტრაციული და სამართლის იმ სხვა დარგების ობიექტი, რომლებიც ახდენენ პოლიციისა და წინასასამართლო წარმოების განმახორციელებელი სხვა სახელმწიფო ორგანოების მოქმედებათა რეგლამენტაციას. ასეთი მიდგომა საკმაოდ „ბუნდოვანად“ განსაზღვრავს სისხლის სამართლის პროცესის შინაარსს მთლიანობაში.

ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა ის, რომ აშშ-ს სისხლის საპროცესო სამართალი, მისი გამოყენების პრაქტიკა და მათზე დამყარებული დოქტრინა ცალსახად არ გადაწყვეტს სისხლის სამართლის საპროცესო რეგლამენტაციისათვის მეტად მნიშვნელოვან ისეთ ფუნდამენტურ საკითხს, როგორცაა პროცესის საწყისი მომენტი. აზრთა დიაპაზონი ამ სფეროში ძალიან ფართოა. სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთი ამერიკელი მკვლევარი უკიდურესად ზღუდავს მის (სამართალწარმოების) ფარგლებს. მათი აზრით, სისხლის სამართლის პროცესი იწყება მას შემდეგ, რაც საქმე გაივლის საპოლიციო გამოძიებას, წინასწარ შემოწმებას სასამართლოში და მოხდება პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელიც მას არსებითად განიხილავს. მათი აზრით, პროცესი არ მოიცავს არა მხოლოდ საქმის წინასწარ განხილვას მაგისტრატი მოსამართლის მიერ, არამედ, არც მის განხილვას ნაფიცი მსაჯულთა დიდი ჟიურის მიერ.

არსებობს სხვა მოსაზრებაც. ზოგიერთი ავტორის აზრით, პროცესი იწყება „შორი მისადგომებიდან“, კერძოდ, შესაბამის ორგანოში დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების შესახებ მოქალაქეთა განცხადების ან სხვა ინფორმაციის რეგისტრაციით. მეორენი თვლიან, რომ პროცესი იწყება სასამართლოს მიერ დაპატიმრების შესახებ ბრძანების გაცემით. მესამეთა მოსაზრებით, პროცესის საწყისი მომენტი პირველივე მოქმედებების განხორციელება იმ მასალების შესაგროვებლად, რომლებიც შემდგომში შეიძლება იქცეს მტკიცებულებად. მეოთხენი მიიჩნევენ, რომ პროცესის დასაწყისია, ფაქტობრივად, ეჭვმიტანილის დაპატიმრება, და-

კითხვა, მოწმეთა გამოკითხვა, დათვლიერება და სხვა მოქმედებების შესრულება, რომელთაც რუსული კანონმდებლობით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ეწოდებათ.

სისხლის სამართლის პროცესის ამერიკული კონცეფციის პრაქტიკულ რეალიზებას საბოლოოდ მიეყვართ იმ დასკვნამდე, რომ პოლიციის, პროკურატურისა და იმ სხვა ორგანოების საქმიანობა, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეთა წინასასამართლო წარმოებას ახორციელებენ, საკანონმდებლო წესით არასრულად არის რეგულირებული. არსებობს მრავალი ხარვეზი და, როგორც ქვევით ვნახავთ, მათ ავსებენ კანონქვემდებარე აქტები ანდა დაუწერელი სამართლის ნორმები. შედარებით ახლო წარსულში გაჩნდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონები ცალკეული საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია საქმის წინასასამართლო იმ მოქმედებებთან, რომლებმაც შეიძლება არსებითად შეზღუდონ ადამიანის უფლებები.

ამერიკული მიდგომის თავისებურება იმ ურთიერთობათა წრისადმი, რომელიც უნდა რეგულირდებოდეს სისხლის საპროცესო სამართლით, გამოიხატება, ასევე, მტკიცების მარეგლამენტირებულ ნორმათა ერთობლიობის ავტონომიზაციასა და დამოუკიდებელ დარგად გამოყოფაში. იურიდიულ დოქტრინაში ეს იმაში გამოიხატება, რომ მტკიცებულებითი სამართალი ხშირად განიხილება როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. სასწავლო პროგრამებში მტკიცებულებითი სამართალი, როგორც წესი, სტუდენტებისათვის შეთავაზებულია დამოუკიდებელი დისციპლინის სახით, რომლის ფარგლებშიც მათ მიეწოდებათ ინფორმაცია მტკიცებულებათა შეგროვების, ფიქსაციისა და შეფასების წესებზე სისხლისა და სამოქალაქო სამართალწარმოებაში. შესაბამისად არის აგებული სასწავლო ლიტერატურაც.

ეს ტენდენცია შეინიშნება კანონმდებლობასა და სხვა სამართლებრივ აქტებშიც. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია იმ შტატებში, სადაც კანონთა (სისტემატიზირებულ) კრებულები მტკიცებულებებისადმი მიძღვნილ სპეციალურ კარებს შეიცავენ (კალიფორნია, ნევადა, ილინოისი, ფლორიდა და სხვა). აქ სისხლის სამართალწარმოების საკითხების შესახებ კოდექსები და კანონთა (ოფიციალური) კრებულების კარები, როგორც წესი, არ ითვალისწინებენ მტკიცების უშუალოდ მარეგულირებელ ნორმებს. ასეთი სახის კარებში მოცემულია მრავალრიცხოვანი მითითებები იმ ნორმებზე, რომლებიც გათვალისწინებულია მტკიცებულებათა შესახებ კრებულების სპეციალურ კარებში.

მტკიცების მარეგულირებელ ნორმათა ავტონომიზაციის ტენდენ-

ცია დამახასიათებელია სასამართლო პრაქტიკისთვისაც, რაც კარგად ჩანს აშშ-ს უზენაესი სასამართლოსა და მრავალი შტატის უმაღლესი სასამართლოების მიერ მოწონებული წესებიდან, რომლებშიც გადაწყვეტილია მტკიცების ძირითადი საკითხები. მაგალითად, მტკიცების შესახებ ფედერალურ წესთა (ამ წესების შესახებ იხ. ქვემოთ, მოცემული თავი, §3) 1101-ე წესის „ხ“ პუნქტში ნათქვამია: „ეს წესები სრულად გამოიყენება სამოქალაქო სარჩელებსა და მათი განხილვის შემთხვევებში (მათ შორის საზღვაო სამართალთან დაკავშირებულ საქმეებზეც); სისხლის სამართლის საქმეებსა და მათ განხილვასთან; სასამართლოს უპატივცემლობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, გარდა იმ საქმეებისა, რომლებზეც სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება გამარტივებული წესით; საქმეებზე, რომელთა შესახებაც საუბარია აშშ-ს კანონთა კრებულის მე-11 კარში (§1 და შემდეგები)“.

არსებობს სხვაგვარი გადაწყვეტაც საკითხებისა, რომლებიც მტკიცების წესებს შეეხება. ხშირად ამ წესებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო – მხოლოდ მიუთითებს პირველზე. ასეა გადაწყვეტილი მოცემული საკითხი ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის საპროცესო კანონის² მე-60.10 მუხლით, რომელიც ადგენს: „სამოქალაქო საქმეებზე მტკიცებულებათა შესახებ წესები გამოიყენება (როდესაც ეს უპრიანია) სისხლის სამართლის საქმეების წარმოებისასაც, თუ სხვა რამ არ არის დაგენილი სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებული კანონებით ან სასამართლოს მიერ დადგენილი წესებით“.

სისხლის სამართალწარმოების აღნიშნულმა ტიპურმა ამერიკულმა თავისებურებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს არა მხოლოდ მისი ცნებისა და შინაარსის განსაზღვრაში, არამედ, შესაბამისი კანონმდებლობის მოქმედების სფეროს დადგენაშიც. ამასთანავე მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და ახდენს სისხლის სამართლის პროცესის სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაზე.

პირდაპირი შედეგი იმისა, რომ კანონმდებელმა ზუსტად არ განსაზღვრა სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების საწყისი მომენტი, არის არა მხოლოდ მეცნიერულ აზრთა მრავალფეროვნება აღნიშნულ საკითხზე, არამედ ისიც, რომ დღემდე არ არის ბოლომდე გარკვეული

¹ აშშ-ს კანონთა კრებულის მე-11 კარის აღნიშნულ პარაგრაფებში მოცემულია ნორმები, რომლებიც არეგულირებს იმ საკითხთა გადაწყვეტის წესს, რომლებიც წარმოიშობა კომერციული ორგანიზაციებისა ან კერძო მეწარმეთა გაკოტრებასთან დაკავშირებით.

² Criminal Procedure Law - თავისი შინაარსით, 1970 წლის 20 მაისს მიღებულ ამ კანონს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს კოდექსი.

პროცესის სტადიების რაოდენობასა და თანამიმდევრობის საკითხი. მოცემული გარემოება სრულიად ბუნებრივია: თუ არ არსებობს ერთიანი და ცალსახა საკანონმდებლო გადაწყვეტა სისხლის სამართალწარმოების საწყისი მომენტისა, მაშინ არ შეიძლება არსებობდეს ერთიანი გაგება საქმის წარმოების იმ ძირითადი ეტაპებისა, რომელთაგანაც ყალიბდება მისი სტრუქტურა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების შესახებ სასწავლო და სხვა ამერიკულ ლიტერატურაში მოცემულია სრულიად სხვადასხვაგვარი მსჯელობა მისი სტადიების რაოდენობაზე, შინაარსსა და თანამიმდევრობაზე. ყველაზე სრული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ეტაპებს (სტადიებს) უნდა გადიოდეს სისხლის სამართლის საქმე, მოცემულია ზემოთ უკვე ხსენებულ სახელმძღვანელოში „თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესი: პრეცედენტები, კომენტარები და კითხვები“, რომლის ავტორებიც არიან მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორები ი.კემბისერი, ჯ.ისრაელი და ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორი უ.ლაფეივა.

მასში ავტორები სისხლის სამართლის პროცესის ცნების ფართო გაგებას – რომ ეს არის სისხლის სამართლის დანაწესთა რეალიზებასთან დაკავშირებული საქმიანობა – ეყრდნობიან და გეთავაზობენ სტადიათა თავიანთივე სისტემას. მათი აზრით, სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეიძლება დაიყოს 17 ეტაპად, რომელთაგანაც თითოეულს აქვს თავისი ამოცანები. ესენია: 1) დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღება და მისი რეგისტრაცია; 2) გამოძიება, რომელიც წინ უსწრებს დაპატიმრებას (წინასაპატიმრო გამოძიება); 3) დაპატიმრება; 4) დაპატიმრების გაფორმება; 5) მონაცემთა შეგროვება დაპატიმრების შემდეგ; 6) ბრალდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; 7) სასამართლოში საქმის წარდგენა; 8) ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) პირველი გამოცხადება სასამართლოში; 9) საქმის წინასწარი მოსმენა სასამართლოში; 10) ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის მიერ საქმის შემოწმება; 11) ჩადენილი დანაშაულის შესახებ საბრალდებო აქტის ან ინფორმაციის რეგისტრაცია სასამართლოში; 12) ბრალდებულის დამოკიდებულების დადგენა დანაშაულის ჩადენის შესახებ საბრალდებო დასკვნის ან ინფორმაციის მიმართ; 13) სასამართლო განხილვამდე განცხადებული შუამდგომლობები; 14) პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვა წაყენებული ბრალდების გამო; 15) სასჯელის ზომის განსაზღვრა; 16) კასაჩივრება; 17) სასამართლოს მიერ საკითხთა განხილვა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

აქტორები აღნიშნავენ, რომ სისხლის სამართალწარმოება წარმოადგენს „ინტეგრირებულ პროცედურას“, სადაც ყოველი მომდევნო ნაბიჯი (ეტაპი) ეყრდნობა წინას და ქრონოლოგია (თანმიმდევრობა) პრინციპულ მნიშვნელობას იძენს. თუმცა, ის არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, რომლის შეცვლაც აღარ შეიძლება. კონკრეტული კატეგორიის საქმეებისა და მათი განხილვისას წამოჭრილი საკითხების ხასითის სპეციფიკიდან გამომდინარე საკვებით დასაშვებია (ხშირად – არსებითი) გამონაკლისები ზემომოყვანილი ეტაპობრიობიდან. ეს ვლინდება იმაში, რომ საქმე შეიძლება არ გაიაროს ყველა ეტაპი, რადგან ყოველთვის არ ხდება დაპატიმრება, ბრალდების შემოწმება ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის მიერ, სასამართლოში საქმის წინასწარი მოსმენა და ა.შ. ყველა ეტაპი არ არის თანაბარმნიშვნელოვანი. ეტაპობრიობა სრული მოცულობით დაცულია მხოლოდ სამიშ დანაშაულთა საქმეებზე (ფელონიები), ხოლო მნიშვნელოვნად შეკვეცილია გამარტივებული (სუმარული) წარმოებისას ნაკლებად სამიშ დანაშაულებსა (მისდინორები) და სხვა სისხლის სამართლის კანონით ღვენილ (მცირემნიშვნელოვან) სამართალდარღვევებზე¹.

1 არქალე ტერმინები „ფელონია“ (felony) და „მისდინორი“ (misdemeanor), რომლებიც კრმნიშვნელოვან თარგმანს არ ექვემდებარება, ამერიკას „მეკიდრუობით“ ერთ ინგლისური სისხლისა და სისხლის საპროცესო სამართლისგან, სადაც ისინი შუა საუკუნეებიდან გამოიყენებოდა. დღესდღეობით „თავიანთი სამშობლოში“ მათ თითქმის აღარ გამოიყენებენ და აღარც ძველი იურიდიული მნიშვნელობა გააჩნიათ, თუმცა ამერიკულ სამართლებრივ ლექსიკონში ისინი მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ და მათ აქტიურად გამოიყენებენ ფედერალური დონისა და შტატის კანონმდებლები, მოსამართლეები და სხვა სამართალდამცავი ორგანოები.

მათი შინაარსი სხვადასხვაგვარად აიხსნება. ამ საკითხის გადაწყვეტისადმი მიდგომათა მრავალფეროვნების მიუხედავად, შესაძლებელია საუბარი სერთო ტენდენციებზე. იგი მკვეთრად გამოიხატა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში მოქმედი ფედერალური სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მოზადების კომისიის რეკომენდაციების გავლენით. ამ ტენდენციებზე მსჯელობა შეიძლება აშშ-ის კანონთა კრებულის მე-18 კანონი §3559-ის ტექსტის მიხედვით, რომელიც ჩამოყალიბებულია 1984 წლის 12 ოქტომბრის კანონში (1987 წლის 11 დეკემბერი, 1988 წლის 18 ნოემბერი, 1994 წლის 13 სექტემბრის, 1998 წლის 30 ოქტომბრისა და 1998 წლის 13 ნოემბრის ცვლილებებით). ამ პარაგრაფის „ა“ პუნქტის მიხედვით, ფელონიებად (სამიშ დანაშაულებად) უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის კანონით ღვენილი სამართალდარღვევები (offences), რომლისთვისაც გათვალისწინებულია 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მაკაცი სასჯელი (თავისუფლების აღკვეთის ზანგრძლივობის მიხედვით, ფელონიები იყოფა 5 კატეგორიად: „A“, „B“, „C“, „D“ და „E“), ხოლო მისდინორება (ნაკლებად სამიშ დანაშაულები) – ისეთი სამართალდარღვევები, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 1 წლით თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელი (მისდინორები იყოფა 3 კატეგორიად: „A“, „B“ და „C“).

რაც შეეხება სისხლის სამართლის კანონით ღვენილ სხვა (მცირემნიშვნელოვან) დანაშაულებს, §3559-ის ზემოხსენებულ პუნქტში ისინი მოხსენიებულია დარღვევებად (infractions), რომლებსთვისაც შეიძლება დანიშნოს 5 დღეზე პატომრება. ფედერალური და შტატების კანონმდებლობა სამართალდარღვევათა და კატეგორიის (offences) შეიძლება სხვაგვარად უწოდებდნენ: violations, petty offences, traffic offences etc. შტატებში დამუშავდება, რომ ამ კატეგორიის მიეკუ-

აშშ-ში დღეისათვის დამკვიდრებული სისხლის სამართლის პროცესის სტრუქტურის აღქმის მოხერხებულობისათვის მიზანშეწონილი იქნება მისი შედარებით მსხვილი მასშტაბით წარმოჩენა. სტრუქტურის ძირითადი სტადიები (რომლებიც ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილ 17 ეტაპს მოიცავს) და მათი თანმიმდევრობა პირობითად გამოვსახოთ შემდეგნაირად:

- წინასასამართლო წარმოება და საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენება;
- სასამართლოში საქმის წინასწარი მოსმენა;
- სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში;
- პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებათა კანონიერებისა და დასაბუთებულობის გასაჩივრება და შემოწმება.

ასეთი სახის სტრუქტურის მიხედვით იქნება გადმოცემული ქვემოთ საკითხები, რომელიც წარმოადგენს შეგვიქმნის ამერიკული სამართალწარმოების შინაარსსა და თავისებურებებს.

§2. სისხლის საპროცესო სამართალი და მისი წყაროები

აშშ-ს სისხლის საპროცესო სამართლის ცნება განიცდიდა არა მხოლოდ ინგლისიდან ჩრდილო ამერიკაში შემოტანილი სისხლის სამართალწარმოების შინაარსის შესახებ შეხედულებების გავლენას, არამედ თავად ამერიკაშიც იგი (ცნება) საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და დღემდე ვითარდება რამდენიმე ისეთი ფაქტორის ზეგავლენით, რომელიც მხოლოდ აშშ-სთვის არის დამახსიათებელი.

ერთ-ერთი ასეთი თავისებური ფაქტორი თავად ამ ქვეყნის წარმოშობისა და შემდგომი განვითარების თავისებურებაა. აშშ არის სახელმწიფო, რომელიც XVIII საუკუნის ბოლო მესამედში დიდი ბრიტანეთის ყოფილი ჩრდილოეთ ამერიკული კოლონიების ბაზაზე წარმოიშვა. ამ მოვლენამდე დიდი ხნით ადრე კოლონიების მმართველები და მისი მოსახლეობა, რა თქმა უნდა, ბრიტანული წარმოშობისანი იყვნენ, მათ

ენებოდნენ ის სამართალდარღვევებიც, რომლებსითვისაც გათვალისწინებულია უფრო მკაცრი დანაშაული (მაგალითად, 2 კვირამდე პატიმრობა და სხვა).

მოასწრეს კონტინენტის ტერიტორიაზე გადმოეტანათ დიდ ბრიტანეთში იმ დროისთვის არსებული სამართლებრივი სისტემა. დროთა განმავლობაში ამ სისტემამ ღრმად გაიდგა ფესვები, რასაც ხელს უწყობდა ის ფაქტორი, რომ მოსახლეობის უმეტესობა ინგლისურენოვანი იყო.

კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას არ მოჰყოლია სახელმწიფო-სამართლებრივი სტრუქტურების და სისტემების ტოტალური ნგრევა „საძირკვლამდე“. ყველაფერი გონივრული და ჩვეული შენარჩუნდა, რაც ნათლად გამოიხატა ინგლისური სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპებისა და ინსტიტუტების რეკეპიციაში, რომლის ერთ-ერთ ქვაკუთხედად დღემდე რჩება მოქნილი შერწყმა სტატუტური (დაწერილი) და პრეცედენტული (დაუწერიელი) სამართლის ნორმებისა. ამ დროს რეკეპიცია პირდაპირ ფიქსირდებოდა იმ დროისათვის ავტორიტეტულ რიგ დოკუმენტებში. მაგალითად, 1774 წლის 14 ოქტომბერს კონტინენტურმა კონგრესმა მოიწონა უფლებათა დეკლარაცია, რომელიც აღიარებდა, რომ თითოეულ კოლონიას უფლება ჰქონდა ესარგებლა ინგლისური პრეცედენტული სამართლის იმ ნაწილის ნორმებით, რომელიც შექმნილი იყო ინგლისის სამეფო სასამართლოების მიერ და „საერთო სამართლის“ სახელწოდება მიიღო. შენარჩუნებული იყო ინგლისიდან შემოტანილი დაწერილი სამართლის ნორმების მოქმედებაც. არსებული სამართლის ბედისადმი ასეთი მიდგომა აისახა მთელი რიგი შტატების ფუძემდებლურ აქტებში: მერილენდის შტატის 1776 წლის კონსტიტუციის მე-3 მუხლში; იმავე წელს მიღებულ დელავერის შტატის კონსტიტუციის 25-ე მუხლში; 1776 წელს მიღებულ ნიუ-იორკის შტატის კონსტიტუციის 35-ე მუხლში. ამ უკანასკნელში ნათქვამია, რომ ინგლისური საერთო სამართლის ყველა ნორმა, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მოქმედი დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა და კოლონიალური ადმინისტრაციის აქტები აგრძელებენ მოქმედებას შტატის ტერიტორიაზე. მხოლოდ 12 წლის შემდეგ (1789 წ.) შტატის საკანონმდებლო კრებამ მოახდინა ძველი კანონმდებლობის რევიზია და გააუქმა იგი, მაგრამ ეს აქცია არ შეეხო საერთო სამართლის ნორმებს. ანალოგიურად განვითარდა მოვლენები იმ დროისათვის არსებულ სხვა შტატებშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური სამართლებრივი სისტემის აღიარება ან მისი გადმოღება არ ნიშნავდა მის მთლიანად კოპირებას. ცხოვრების ამერიკული პირობები, დამკვიდრებული ტრადიციები, ეკონომიკისა და სამართლებრივი კულტურის განვითარების საკუთარი გზები და მრავალი სხვა ფაქტორი შეუძლებელი იყო არ ასახული-

ყო ადგილობრივი სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, მის ფორმასა და შინაარსზე.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ამერიკისთვის დამახასიათებელი გახდა დაწერილი სამართლისადმი, კანონებისადმი ე.წ. „მოკრძალებული დამოკიდებულება“. ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბება დაიწყო იმ კოლონისტების ანტიბრიტანული განწყობის ტალღაზე, რომლებმაც ომი გამოაცხადეს დამოუკიდებლობისათვის. მასზე არსებითი გავლენა იქონია ჩრდილოეთ ამერიკაში იმ დროს შემოჭრილმა სამართლებრივმა იდეებმაც, რომლებიც პოპულარული იყო კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, სადაც იმ წლებში ამერიკელების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პარალელურად მიმდინარეობდა პროცესები, რომელიც ამზადებდა საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას.

ქვეყანაში, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა კოლონიურ რეჟიმზე, აქტიური როლის თამაში დაიწყო საკანონმდებლო ორგანოებმა. მათი ყურადრება კონცენტრირებული იყო არა მხოლოდ კოლონიური ხელისუფლების აქტების კორექტირებაზე, არამედ ახალი კანონების შექმანაზე. ინგლისისგან განსხვავებით, აქ შემუშავდა და შემდგომში მიღებულ იქნა აშშ-ს და ცალკეული შტატების კონსტიტუციები. დამატებით გამოიციმოდა მრავალრიცხოვანი კანონები. როგორც ამერიკელი მკვლევარები ამტკიცებენ, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის არსებობის წლებში ფედერალურმა კონგრესმა და შტატების საკანონმდებლო კრებამ მიიღო ათობით მილიონი კანონი. დღესდღეობით ეს ორგანოები ყოველწლიურად გამოსცემენ 20 000-მდე კანონს, ამასთან ერთად მოქმედებს აშშ-ს პრეზიდენტის, შტატების გუბერნატორების, ფედერალური სამინისტროებისა და სხვა უწყებათა ხელმძღვანელების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, რომელთა რაოდენობაც თვლას არ ექვემდებარება.

კანონებისა და დაწერილი სამართლის სხვა აქტების ასეთმა მრავალრიცხოვანმა გამოცემამ (ისევე როგორც ინგლისში) მთლიანად ვერ განდევნა დაუწერელი (პრეცედენტული) სამართალი. მართალია ინგლისური საერთო სამართალი შემკვიდრებით მიიღეს, მაგრამ ამერიკელები წაეიდნენ საკუთარი გზით. დაუწერელი სამართლის ნორმების გაზრდა და მოდერნიზაცია გადავიდა სასამართლოთა ხელში, რომლებიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში ჩამოყალიბდა. მათმა პრაქტიკამ, რომელიც აშშ-ს კონგრესისა და შტატების საკანონმდებლო კრების მიერ მიღებული კანონების გამოყენებას ეფუძნებოდა, წარმოშვა

მრავალი ახალი დაუწერელი სამართლებრივი პრინციპი და ნორმა¹, რომლებიც ინგლისური სამართლებრივი შემკვიდრების განვითარებასა და არსებით კორექტირებას ახდენდნენ.

ეს პრინციპები და ნორმები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თანამედროვე სამართალგამოყენებაში. ამერიკული კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შინაარსის შემეცნებისათვის საჭიროა გაირკვეს არა მხოლოდ ის, თუ როგორ არის იგი ჩაწერილი შესაბამის დოკუმენტში, არამედ ისიც, თუ როგორ განიმარტება სასამართლოს მიერ, ესე იგი, საჭიროა კონკრეტულ საკითხზე გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლა. ეს საკმარისი რთული ამოცანაა, რამდენადაც ასეთი გადაწყვეტილებების და მასში განმარტებული აქტებისა თუ პრინციპების საერთო რაოდენობა მრავალ მილიონს ითვლის².

სისხლის სამართალწარმოების სფეროში დაწერილი და დაუწერელი სამართლის ნორმების რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ დაახლოებით წარმოდგენას გვიქმნის შედარება კანონების „სუფთა“ ტექსტების მოცულობასა და იმ კანონების მოცულობას შორის, რომლებიც გაჯერებულია ე.წ. ანოტაციებით (ისინი წარმოადგენენ დაუწერელი სამართლის პრინციპებსა და წესების ნაკრებს, რომლებიც კონკრეტული, დაწერილი ნორმის შინაარსს შეეხება). ასეთი შედარების გაკეთების საშუალებას იძლევა ორი გამოცემა: აშშ-ს კანონთა კრებული და აშშ-ს კანონთა ანოტირებული კრებული.

პირველ მათგანში მოყვანილია კანონთა „სუფთა“ ტექსტები (რომლებიც ფედერალურმა კონგრესმა მიიღო) ისტორიული ხასიათის მც-

¹ როგ შტატებში მოხდა სამართლებრივ სისტემაში დაწერილი სამართლის არსებობის ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცება. ეს მოხდა, მაგალითად: კალიფორნიის შტატის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში (იგი მიიღეს 1872 წელს და დღემდე მოქმედებს). მასში მოცემულია საკანონმდებლო ფორმულირებები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მათთვის, ვისაც სერიოზულად სურს გაერკვეს ანგლოსაქსონურ სამართალში დაწერილი და დაუწერელი სამართლის თანაფარდობისა და რაღის პრობლემაში. დასახლებული კოდექსის §1986-ში დაწერილი სამართალი შედგენიარად განიმარტება: „დაწერილი სამართალი არის ის, რომელიც გამოცხადდება (promulgated) დაწერილი სახით და დასტურდება დოკუმენტის არსებობით“. იქვე, §1899-ში, მოცემულია დაუწერელი სამართლის განმარტება: „დაუწერელი არის ის სამართალი, რომელიც არ არის გამოცხადებული და დოკუმენტირებული ისე, როგორც ეს მოითხოვს §1896-ში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოიყენება და დაეუღლა ქვეყნის სასამართლოების მიერ. მას არ ინახვენ განსაზღვრულ ადგილას, არამედ აგროვებენ სასამართლო გადაწყვეტილებათა ანგარიშებისა (ამ სახის ანგარიშების თაობაზე იხ. თავი პირველი, §3 - კ.გ.) და მეცნიერთა (learned men) გამოკვლევების მიხედვით“.

² თუ დავეყრდნობით ზოგიერთი ამერიკელი მკვლევარის გამოთვლებს (იხ.: Price M., Bitner H. Effective Legal Research. 3d ed. Boston, 1969. P.184), მაშინ გამოდის, რომ ჩვენს დროში დაუწერელი სამართლის ნორმებისა და პრინციპების რაოდენობა, რომლებიც სამართლის ყველა დარგს შეეხება, 20 მილიონს უნდა აჭარბებდეს.

რეოდენი ცნობებით ყველა პარაგრაფისათვის, მეორეში – ამ ტექსტებს თან სდევს დაუწერელი სამართლის ნორმები და პრინციპები, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ შესაბამისი პარაგრაფის თემებთან. პირველ კრებულში მე-18 („დანაშაულები და სისხლის სამართლის პროცესი“) და 28-ე („სასამართლო სისტემა და სასამართლო (სამოქალაქო) პროცესი“) კარები მოიცავს დაახლოებით 800 გვერდს, ანოტირებულში – 25 000-ს, ესე იგი, 30-ჯერ მეტს.

ინგლისური და ამერიკული სამართლებრივი სისტემების შედარებითი დახასიათებისას საჭიროა გვახსოვდეს, რომ აშშ-ში გაცილებით ადრე, ვიდრე ინგლისში, წინა პლანზე იყო წამოწეული დაწერილი (სტატუტური) სამართალი და ამ ქვეყნების მიერ (ერთმანეთის მონათესავე სამართლებრივი სისტემების მიუხედავად) განვითარების დამოუკიდებელი გზების არჩევის შედეგად მრავალმა კონკრეტულმა სამართლებრივმა ინსტიტუტმა არსებითად განსხვავებული სახე მიიღო. სწორედ ამ გარემოებას აქცევენ ყურადღებას აშშ-სა და ინგლისის სამართლებრივი სისტემების ავტორიტეტული მკვლევარები, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი ა.კირალფი და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი მ.ა.გლენდონი სტატიაში „საერთო სამართალი“, რომელიც ზემოხსენებული ბრიტანული ენციკლოპედიის გამოცემაში გამოქვეყნდა. „ინგლისსა და აშშ-ს – წერენ ისინი – იმდენად ბევრი იურიდიული სხვაობა აქვთ, რომ მათ ზოგჯერ „საერთო სამართლით გაყოფილ ორ ქვეყანას“ უწოდებენ. განსხვავებები ყველაზე შესამჩნევია საჯარო სამართლის სფეროში. ინგლისში არ არსებობს დაწერილი კონსტიტუცია და სასამართლო კონტროლი. ამავე დროს, ამერიკაში ნებისმიერი სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საკანონმდებლო და სხვა აქტის კონსტიტუციურ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. XX საუკუნეში ამერიკული სამართლის მრავალი სფეროს „კონსტიტუციონალიზება“ მოხდა სასამართლოთა ამ უფლებამოსილების რეალიზების გაფართოების მეშვეობით“.

ამერიკული ფედერალიზმი არის ის ფაქტორი, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მთლიანად ამერიკული სამართლებრივი სისტემის და სისხლის საპროცესო სამართლის შინაარსზე. ამის ერთ-ერთი საფუძველი იყო შედარებით ფართო აღიარება იმ ამოსავალი დებულებისა, რომლის თანახმად, შტატების მმართველობაში შედიოდა ყველაფერი, გარდა იმისა, რაც აშშ-ს კონსტიტუციით გადაეცემოდა ფედერალურ ხელისუფლებას. ამის გამო, ეს უკანასკნელნი არსებითად შეზღუდულები იყვნენ მრავალი პრინციპული (მათ შორის სისხლის სამართალწარმოების)

საკითხის გადაწყვეტაში. ეს გამოვლინდა იმაში, რომ თავისი არსებობის პირველ ათწლეულებში ფედერალურ სასამართლოებს (როგორც ქვემოთ ვნახეთ) კონკრეტული სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას უნდა დაეცვათ ის საპროცესო წესები, რომლებიც მოქმედებდა იმ შტატის ტერიტორიაზე, სადაც საქმის განხილვა მიმდინარეობდა. ფედერალური კანონმდებლის მიერ გამოცემული საპროცესო კანონები ამ სასამართლოებს არ გააჩნდათ.

დროთა განმავლობაში ამ მიმართულებით სიტუაცია ცვლილებებს განიცდიდა. იგი განსაკუთრებით შეიცვალა სამოქალაქო ომის შემდეგ, როდესაც 1868 წელს მიიღეს აშშ-ს კონსტიტუციის XIV შესწორება, რომელმაც გზა გაუხსნა ქვეყანაში ხელისუფლების ცენტრალიზაციის გაძლიერებასა და ყველა ფედერალური (მათ შორის საკანონმდებლო და სასამართლო) ორგანოების უფლებამოსილების გაფართოებას. სულ უფრო მატულობდა ფედერალურ კანონთა რაოდენობა, რომლებიც არეგულირებდნენ მრავალ ისეთ საკითხს, რომელიც მანამდე მხოლოდ შტატის კომპეტენციაში შედიოდა. დამკვიდრდა ე.წ. ფედერალური პრეცედენტული სამართალი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ფედერალური სამართლებრივი ნორმები და შტატების შესაბამისი ნორმები მრავალ სფეროში ერთმანეთის არსებით დუბლირებას ახდენენ და ერთმანეთის პარალელურად არსებობენ.

აღნიშნული და სხვა მრავალი გარემოება უფლებას გვაძლევს ვისაუბროთ ამერიკულ სამართლებრივ სისტემაზე, როგორც რთულ და თავისებურ მოვლენაზე. უპირველეს ყოვლისა, მისი განსაკუთრებულობა მდგომარეობს ფედერალური სამართლებრივი სისტემისა და შტატების სამართლებრივი სისტემების პარიტეტულ საწყისებზე „თანაარსებობაში“, რასაც „სამართლებრივ დუალიზმსაც“ უწოდებენ, რაც ნიშნავს, რომ ყოველი შტატის ტერიტორიაზე ვრცელდება ერთდროულად ორი სამართლებრივი სისტემის მოქმედება – საკუთრივ თავისი და ფედერალურისა. შესაბამისად, არსებობს ორი სისტემა ორგანოებისა, რომლებიც მოწოდებულნი არიან განმარტონ და გამოიყენონ ფედერალური სამართლებრივი ნორმები და შტატების ნორმები.

მოყვანილი გარემოებები, რომლებიც დღემდე ახდენენ გავლენას მთლიანად აშშ-ს სამართლებრივ სიტემაზე, გათვალისწინებული უნდა იყოს ამ ქვეყნის სისხლის საპროცესო სამართლის წყაროების ანალიზისას. სწორედ მათ განაპირობებს განსხვავება სისხლის საპროცესო სამართლის წყაროთა სტრუქტურასა და შინაარსში ფედერალური და თითოეული 50 შტატის დონეზე. როგორც ამას სასამართლო

სტატისტიკის ამერიკული ბიურო ამტკიცებს (მრავალი მკვლევარის მოსაზრებაზე დაყრდნობით), „ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სისხლის სამართლის იუსტიციის ერთიანი სისტემა, არამედ არსებობს მრავალი სისტემა, რომლებიც თუმცა ჰგვანან ერთმანეთს, მაინც ინდივიდუალურად უნიკალურებია“.

ფედერალური სისხლის საპროცესო სამართალი, როგორც მთლიანად ამერიკული სამართალი, წარმოადგენს დაწერილი და დაუწერიელი სამართლის ნორმების ერთობლიობას.

პირველ მათგანთა რიცხვს მიეკუთვნებიან *ნორმები, რომლებსაც შეიცავს აშშ-ს კონსტიტუცია*. მის პირვანდელ ტექსტში ასეთი ნორმები არცთუ ბევრია და შეეხება: კონგრესმენტთა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის განსაკუთრებულ პირობებს; „პაბეას კორპუსის“ (მოკლედ რომ ვთქვათ, მისი არსი მდგომარეობს დაპატიმრების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე სასამართლო კონტროლის დაწესებაში) ინსტიტუტის მოქმედების შეზღუდვის წესები; უკუპატიმრობის ძალის მქონე კანონების გამოცემის აკრძალვას; აშშ-ს ლალატის დამტკიცების პირობებს; სხვა შტატის ხელისუფლების მოთხოვნით იმ პირის გადაცემის წესებს, რომელმაც დანაშაული სხვა შტატში ჩაიდინა; შტატის მოსამართლეთა ვალდებულებას – დამორჩილებოდნენ ფედერალურ კანონებს.

სისხლის სამართალწარმოების საკითხები უფრო დეტალურად რეგლამენტირებულია აშშ-ს კონსტიტუციის პირვანდელი ტექსტის შესწორებებით. კერძოდ, 1891 წელს მიღებული კონსტიტუციის I-X შესწორებებით, რომელიც ცნობილია „უფლებათა ბილი“-ს სახელწოდებით. ეს დოკუმენტი შეიცავს გაცილებით მეტ დებულებას, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართალწარმოებასთან. მაგალითად, დებულებები, რომლებიც შეეხება: ჩხრეკისა და დაპატიმრების კანონიერებისა და დასაბუთებულობის გარანტიებს; უფლებას, რომ განსაზღვრულ პირობებში საქმე განიხილონ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით; ნაფიც მსაჯულთა სიის ფორმირების წესს; ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ პასუხისმგებაში მიცემის აკრძალვას; საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის იძულების დაუშვებლობას; დაცვის მიზნით ადვოკატის დახმარებით სარგებლობის უფლებას; უფლებას – იცოდეს ბრალდების არსი; დაცვის მოწმეთა იძულებითი გამოძახების მოთხოვნის, ბრალდების მოწმებთან დაპირისპირების უფლებებს; ბრალდებულისაგან შეუსაბამოდ დიდი ოდენობით გირაოს (ალკვეთი ღონისძიების სახით) მოთხოვნის, კანონიერი სასამართლო

განიხილვის გარეშე მისთვის სიცოცხლის, თავისუფლების ან ქონების წართმევის აკრძალვებს.

კონსტიტუციური დანაწესები უნდა ყოფილიყო გარანტიები, რომლებიც მოწოდებულია შეზღუდოს პირველ რიგში ცენტრალური (ფედერალური) ხელისუფლება შტატის მოქალაქეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას. შტატების ხელისუფლებისათვის თავდაპირველად ისინი არ იყო სავალდებულო. მათ უნდა ეხელმძღვანელათ თავიანთი კონსტიტუციებით, კანონმდებლობით და დაუწერელი სამართლის ნორმებით. დროთა განმავლობაში ფედერალური კონსტიტუციური დანაწესები გავრცელდა შტატების სამართალწარმოებაზეც. ამის მიზეზი იყო: მათი დუბლირება მრავალი შტატის კონსტიტუციებსა და სხვა კანონებში; აშშ-ს უზენაესი სასამართლოს სამართალშემოქმედებითი აქტიურობა, რომელიც უყრდნობოდა აშშ-ს კონსტიტუციის ზემოხსენებულ XIV შესწორებას.

დაწერილი სამართლის ფედერალური ნორმები დაფიქსირებულია კონგრესის მიერ მიღებულ კანონებში. თუმცა, სისხლის საპროცესო კანონების (სისხლის სამართლებრივებისაგან განსხვავებით) თავისებურება ისაა, რომ ისინი შედარებით ახალი მოვლენაა კანონშემოქმედების ამერიკულ პრაქტიკაში. აშშ-ს წარმოშობის პირველ ათწლეულებში სისხლის სამართლის საპროცესო კანონები ფედერალურ დონეზე საკვალურად არ გამოიკვმოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაშინ ითვლებოდა, რომ სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას თითოეულ ფედერალურ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა იმ შტატის საპროცესო წესებით, რომლის ტერიტორიაზეც იყო განთავსებული და ატარებდა სასამართლო სხდომას. ამასთანავე, იგი ახდენდა თავისი საქმიანობის კორექტირებას აშშ-ს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, თუ ადგილობრივი კანონები ეწინააღმდეგებოდა მის დანაწესებს. მხოლოდ 1917 წლიდან გაჩდა ფედერალური კანონები, რომლებიც უშუალოდ ეძღვნებოდა სისხლის სამართალწარმოების რეგლამენტაციას.

ამ დროისთვის ისინი მრავლად დაგროვდა და გამოქვეყნებულია აშშ-ს კანონთა კრებულის ზემოხსენებულ მე-18 და 28-ე კარებში.¹ მათ შეიძლება შევხვდეთ მე-10 კარშიც, სადაც საუბარია სამხედრო იუსტიციის ორგანოებზე. ერთობლიობაში ისინი არ მოიცავენ სისხლის სამართალწარმოების ყველა საკითხს. მათში ვხვდებით კონკრეტული ინ-

¹ აქაც და შემდგომშიც მინიშნება კანონთა ხსენებული კრებულის კარზე მოცემულია მისი იმ გამოცემის მიხედვით, სადაც ვაჟილისწინებულია ფედერალური კანონმდებლობის ცვლილებები და დამატებები 2000 წლის 23 იანვრის ილდომარეობით.

სტიტუტების ან საპროცესო მოქმედებათა შესახებ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, ისინი არეგულირებენ: საპროცესო იძულების ღონისძიებებს (დაკავებას, გირაოს, სასამართლოსა და სხვა ორგანოების მოთხოვნით გამოცხადების ვალდებულებას, ჩხრეკას, უწყების საფუძველზე სასამართლოში გამოცხადებას და სხვა.); ნაფიც მსაჯულთა დიდ და მცირე ჟიურში საქმის განხილვის პროცედურას; სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ამ მიზნით ტექნიკური საშუალების გამოყენების წესებს; განსჯადობისა და მისი შეცვლის ზოგიერთ საკითხს; ნაფიც მსაჯულთა სიების შედგენის წესსა და სხვა. უკანასკნელ წლებში კონგრესის მიერ მიღებულ მეტად მნიშვნელოვან საპროცესო კანონთა რიცხვს მიეკუთვნება კანონები დაზარალებულის, მოწმეებისა და სხვა იმ პირთა უსაფრთხოების შესახებ, რომლებიც ეხმარებიან ხელისუფლებას დანაშაულის გახსნასა და დამნაშავეთა მხილებაში; სისხლის სამართლის საქმეთა დროულად განხილვის გარანტიების; დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების; ანტიტერორიზმისა და სიკვდილით დასჯის ეფექტურად გამოყენების; ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივ დანაშაულთა და ა.შ შესახებ.

ერთ-ერთ ძირითად მიზეზს იმისა, რომ ფედერალური კანონები არასრულად არეგულირებს სისხლის სამართალწარმოების საკითხებს წარმოადგენს ის, რომ ფედერალური ხელისუფლება ტრადიციულად უპირატესობას ანიჭებს ამ სფეროში კანონქვემდებარე აქტებსა და დაუსწრელი სამართლის ნორმებს.

ფართო გავრცელება ჰპოვეს კანონქვემდებარე აქტებმა (წესებმა), რომლებსაც ყველა ღონის ფედერალური სასამართლოები გამოისცემენ. ასეთი პრაქტიკა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რომელმაც ამ სასამართლოებს მიანიჭა სისხლის სამართლის საპროცესო პრობლემების უმრავლესობის რეგლამენტაციის უფლებამოსილება. განსაკუთრებული ადგილი უკავიათ აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცემულ წესებს, რომლებიც თავისი იურიდიული მნიშვნელობით გათანაბრებულია კანონთან ან მის მაღლა დგანან. ამას ცალსახად ადასტურებს აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §2072-ის („პროცედურისა და მტკიცების წესი, მათი გამოცემის უფლებამოსილება“) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები:

„(ა) უზენაესი სასამართლო უფლებამოსილია გამოსცეს ზოგადი წესები საქმის წარმოების, პროცედურისა (practice and procedure) და მტკიცების წესები იმ საქმეებზე, რომლებიც განიხილება ფედერალურ

1 ტექსტი მოყვანილია 1988 წლის 19 ნოემბრის კანონის რედაქციაში. 1990 წლის 1 დეკემბრის კანონით შეტანილი შესწორებით.

საოლქო (მათი მაგისტრატების ქვემდებარე საკითხების განხილვის ჩათვლით) და სააპელაციო სასამართლოში.

(b) ასეთი წესები არ უნდა კვეცდნენ, აფართოებდნენ ან ახდენდნენ მოდიფიცირებას ვინმეს არსებითი უფლებისა. არც ერთ სამართლებრივ დანაწესს (all laws), რომელიც ეწინააღმდეგება წესებს, არ უნდა აქონდეს იურიდიული ძალა ან არ უნდა გამოიყენებოდეს ამ წესების ძალაში შესვლის შემდეგ (კურსივი ეკუთვნის – კ.გ.-ს)“.

კონტინენტური სამართლის „ლოგმატებსა და ტრადიციებზე“ აღზრდილი იურისტიკისათვის ეს დებულება უჩვეულოდ ჟღერს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. თავი პირველი, §3), ის და მისი თანამოაზრეები მიიჩნევენ, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოება არის ურთიერთობათა ისეთი სფერო, რომელსაც შეიძლება აწესრიგებდეს მხოლოდ კანონი. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამერიკულ ნიადაგზე დამკვიდრებულ პრაქტიკას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. დადებითი გამოვლინდება, ერთი მხრივ, ნდობაში, რომელიც სასამართლო ორგანოებისადმი არსებობს, ხოლო, მეორე მხრივ, სამართალწარმოების მოქნილი და ოპერატიული რეგლამენტაციისაკენ სწრაფვაში, რისი სათანადოდ, პროფესიულ დონეზე უზრუნველყოფაც შეუძლებელია საპროცესო საკითხთა გადაწყვეტისას რთული და დროში გაწეილი საპარლამენტო პროცედურის გზით.

დღეისათვის, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ დამტკიცებულ ყველაზე ავტორიტეტულ წესებს მიეკუთვნება:

- სისხლის სამართლის პროცესის ფედერალური წესები (1944 წელი¹);
- სამართალწარმოების წესები ფედერალური მაგისტრატების მიერ ნაკლებად საშიშ დანაშაულთა საქმეების განხილვის შესახებ (1980 წელი);
- მტკიცების ფედერალური წესები (1972 წელი);
- სააპელაციო წარმოების წესები (1986 წელი);
- აშშ-ს უზენაესი სასამართლოს წესები (1980 წელი);
- ფედერალურ სასამართლოებში საქმეთა განხილვის წესები აშშ-ს კანონთა კრებულის 28-ე კარის §2254-ის შესაბამისად (1976 წელი);

¹ აქცე და შემდგომში მოითხოვდა ის წესების გამოცემის და მოქმედებაში შესვლის თავდაპირველი წლები, რომლებშიც შესაკომში მრავალჯერ შევიდა ცვლილებები და დამატებები.

- ფედერალურ სასამართლოებში საქმეთა განხილვის წესები აშშ-ს კანონთა კრებულის 28-ე კარის §2255-ის შესაბამისად (1976 წელი)¹.

აღნიშნული კანონქვემდებარე აქტების გარდა სისხლის სამართალ-წარმოება ფედერალურ დონეზე რეგლამენტირებულია სხვა აქტებითაც. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ პირველ რიგში აშშ-ს პრეზიდენტის აღმასრულებელი ბრძანებები², აშშ-ს გენერალური ატორნის ბრძანებები და ინსტრუქციები (კერძოდ, შეეხება გამოძიების ფედერალური ბიუროს, იუსტიციის დეპარტამენტის იმ სხვა ქვედანაყოფების, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ, და ფედერალური პროკურორების საქმიანობის საკითხების შესახებ).

რაც შეეხება დაუწერელ სამართალს, რომელსაც ფედერალური სასამართლოები იყენებენ, იგი შედარებით ახლო წარსულში დამკვიდრდა, კერძოდ, მას შემდეგ, რაც ეს სასამართლოები შეიქმნა აშშ-ს კონსტიტუციის შესაბამისად. თავდაპირველად მათ უნდა ეხელმძღვანელათ ფედერალური ხელისუფლების მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით და აშშ-ს კონგრესის მიერ გამოცემული კანონებით. ინგლისიდან ნასესხები საერთო სამართლის ნორმები განკუთვნილი იყო შტატების სასამართლოებისათვის. დროთა განმავლობაში ამ ნორმებისა და ფედერალური კანონების გამოყენების პრაქტიკის საფუძველზე დაიწყო ფედერალური დაუწერელი სამართლის დამკვიდრება, რომელიც ფართოდ გავრცელდა და დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. დღესდღეობით მას აღიარებენ არა მარტო ფედერალური, არამედ შტატის ორგანოებიც. აშშ-ს კონსტიტუციისა და მის მიერ დადგენილი პიროვნების უფლებათა გარანტიების (მათ შორის სისხლის სამართალწარმოებაში) განმარტების საკითხებზე ფედერალურ პრეცედენტებს პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვთ. ასეთი პრეცედენტების რიცხვმა უკანასკნელ ათწლეულებში საგრძობლად იმატა.

¹ აშშ-ს კანონთა კრებულის 28-ე კარის შესაბამის პარაგრაფებში საუბარია იმ სამართალ-კონტროლზე, რომელიც ხორციელდება იმ დამატებებისა და კატიბრძობაში ყოფნის დროს, რომლებიც გამოიყენება ფედერალური და შტატების სასამართლოების გადაწყვეტილებებით.

² იხ. მაგალითად, სამხედრო იუსტიციის ერთიანი კოდექსის (Uniform Code of Military Justice) დანაწესების განთავსებისათვის გამოცემული სახელმძღვანელო სამხედრო სასამართლოებისთვის (Manual for Courts-Martial, United States). რომელიც დამტკიცებულია აშშ-ს პრეზიდენტის 1984 წლის 13 აპრილის №12 473 აღმასრულებელი ბრძანებით. დროთა განმავლობაში ამ სახელმძღვანელოში მრავალი ცვლილება და დამატება შევიდა. თავისი არსით ის შეიძლება ჩაითვალოს აქტად, რომელიც ასრულებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფუნქციას სამხედრო იუსტიციის ორგანოებისთვის.

მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვეს აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებმა შემდეგ საკითხებზე:

არასმქონე მსჯავრდებულთათვის, რომლებიც განაჩენთა გასაჩივრებას აპირებენ, საჭირო მასალების ასლების უფასოდ გადაცემა შტატების სასამართლოებს მიერ (გრიფინის საქმე, 1956 წელი);

ჩხრეკისა და ამოღების კანონიერების აშშ-ს კონსტიტუციით დადგენილი გარანტიების დარღვევით მიღებული მტკიცებულებების დაუშვებლობა (მების საქმე, 1961 წელი);

შტატებში პასუხისგებაში მიცემული არასმქონე ბრალდებულთა უფლება - იყოლიონ დამცველი ამ შტატების ხარჯზე (გიდეონის საქმე, 1963 წელი);

მტკიცებულებათა რიცხვიდან ბრალდებულთა მიერ თავიანთი ბრალის ისეთი აღიარებების ამორიცხვა, რომლებიც მათ გააკეთეს მას შემდეგ, რაც უარი ეთქვათ დამცველთან შეხვედრაზე (ესკობედოს საქმე 1964 წელი);

ბრალდებულის განცხადებათა სასამართლოში გამოყენების დაუშვებლობა, თუ მას პატიმრობაში ყოფნისას არ განემარტა შემდეგი უფლებები: არ უპასუხოს დასმული შეკითხვებს; იყოლიოს დამცველი; იყოლიოს უფასო დამცველი, თუ თავად ბრალდებულს არ შეუძლია აანაზღაუროს მის მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯები. ტვირთი მტკიცებისა, რომ ბრალდებულმა უარი თქვა დუბილის უფლების გამოყენებაზე, ეკისრებოდა ბრალმდებელს. (მირანდას საქმე, 1966 წელი).

შემდგომ წლებში აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ მიიღო ზომები სამართალდამცავი ორგანოებისათვის დადგენილი ასეთი მკაცრი დანაწესების „შესამსუბუქებლად“. თუმცა, ისინი დღემდე აქტიურ გავლენას ახდენენ ქვეყნის საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაზე.

შტატების სისხლის საპროცესო სამართალი ბევრად ჰგავს ფედერალურს. ყველა შტატში მოქმედებს საკუთარი კონსტიტუცია, რომლებიც შეიცავენ სისხლის სამართალწარმოებისთვის პრინციპული მნიშვნელობის მქონე და ფედერალურ კონსტიტუციაში დაფიქსირებული საგან რამდენადმე განსხვავებული სახის არაერთ დანაწესს (მაგალითად, შტატების კონსტიტუციაში შეიძლება შეგვხვდეს დებულებები სისხლის სამართლის საქმის განსჯადობის, საქმის მოსამართლესთან წინასწარი განხილვის პირობების, ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქტირების და სხვ. შესახებ).

მრავალ შტატში, ისევე როგორც ფედერალურ დონეზე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა წარმოადგენს სამართალწარ-

მოების კონკრეტული ინსტიტუტების რეგლამენტაციისთვის სხვადასხვა დროს მიღებული კანონების ან სხვა პრობლემებისადმი მიძღვნილ კანონებში „ჩაწვეთებულ“ ნორმათა კონგლომერანტს. ისინი გაერთიანებულია თითქმის ყველა შტატში არსებულ კანონთა კრებულების შესაბამის კარებში, თუმცა, ეს არ გამოირიცხავს ისეთი საკანონმდებლო აქტების (მათ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებს, კანონებს, უწოდებენ) არსებობას, რომლებიც შინაარსით არსებითად განსხვავდებიან იმისგან, რასაც შეჩვეულნი არიან რუსი და კონტინენტური ევროპის იურისტები, ასევე, ერთმანეთისგანაც.

კონკრეტულ საპროცესო პრობლემათა გადაწყვეტისადმი განსხვავებული მიდგომის მიუხედავად, შტატების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებსა და კანონთა კრებულის შესაბამის კარებს ბევრი საერთო აქვთ. მაგალითად, მათთვის დამახასიათებელია ლეტალური რეგლამენტირება იმისა, თუ რა უნდა ხდებოდეს სასამართლოში და იმ არსებითი ხარვეზების არსებობა, რაც სისხლის სამართლის პროცესისა და წინასწარი (წინასასამართლო) გამოძიების ზოგად საკითხებს შეეხება. ეს არ არის კანონმდებლის უყურადღებობა, არამედ სისხლის სამართლის პროცესის კონცეფციის (რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ) პრაქტიკული რეალიზაციის შედეგია. შტატების კოდექსების და კანონთა კრებულების შემდგენლები, პროექტების ავტორები, შეგნებულად წაივინდნენ ამგვარ არასრულ რეგლამენტირებაზე და ეს გარემოება ზოგჯერ პირდაპირ აღინიშნებოდა. მაგალითად, ილინოისის შტატის სსს კოდექსში, მასში გათვალისწინებულ დებულებათა შესახებ, აღნიშნულია: „ეს დებულებები უნდა არეგულირებდეს ყველა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ პროცედურას ილინოისის შტატის სასამართლოებში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა პროცედურის შესახებ დებულებები გათვალისწინებულია სამართლის ნორმებით“. სხვა სიტყვებით, ხაზგასმით აღინიშნება ორი გარემოება: პირველი, რომ სსს კოდექსის დებულებათა გამოყენების ფარგლები შეზღუდულია იმ ურთიერთობებითა და საპროცესო მოქმედებებით, რომლებიც ზორციელდება სასამართლოში და, მეორე, დაიშვება სისხლის სამართალწარმოების რეგულირების შესაძლებლობა იმ წესებით, რომელსაც არ შეიცავს სსს კოდექსი.

ყველაზე ხშირად ასეთი წესები გვხვდება შტატებში ფართოდ გამოყენებულ *კანონქვემდებარე აქტებში*, რომელთა შორისაც მეტად გავრცელებულია ზემოხსენებული სასამართლო წესები. მათ შტატების უმაღლესი სასამართლოები გამოსცემენ და შინაარსითა და ფორმით

ძლიერ გვანან შესაბამის ფედერალურ წესებს¹. თუმცა ეს არ გამო-
იცხავს სპეციფიკას.

ნიუ-მექიკოს შტატის უმაღლესი სასამართლოს მიერ 1972 წლის
ივლისში დამტკიცებული სისხლის სამართლის პროცესის წესები
საოლქო სასამართლოებისათვის ითვალისწინებს იმას, რაც არ არის
მოცემული სისხლის სამართლის პროცესის შესაბამის ფედერალურ
წესებში. „ატორნიის – საუბარია წესებში, რომელიც მოქმედებს ამ
შტატში, – რომელიც განზრახ არ იცავს ამ წესების მოთხოვნებს, მათ
შორის ვადების მითითებულ შეზღუდვებს, შეიძლება ბრალი დასდონ
სასამართლოს უპატივცემულობაში და მის მიმართ გამოიყენონ დისცი-
პლინური სახდელი“. ამ სახდელს აკისრებს სასამართლო და იგი შეი-
ძლება გამოიხატოს „დაჯარიმებული“ ატორნიისთვის (პროკურორისათ-
ვის, ადვოკატისათვის) მოცემულ სასამართლოში საქმიანობის (საქმეთა
წარმართვის) უფლების ჩამორთმევაში, ესე იგი, თანამდებობიდან გადაყ-
ენებას ან საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევაში.

სისხლის სამართალწარმოების შესახებ კონკრეტული საკითხების
არასტანდარტული გადაწყვეტის სხვა მაგალითად შეიძლება მოვიყვა-
ნოთ ოჰაიოს შტატის უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოცემული
მტკიცების წესების 102-ე წესი, სადაც ნათქვამია: „ამ წესების მიზანი
მდგომარეობს საქმის განხილვის პროცედურების განსაზღვრაში, რომ-
ლებიც უზრუნველყოფს ჭეშმარიტების დადგენას (კურსივი ეკუთენის
– კ.გ.-ს) და განსახილველი საკითხების სამართლიანად გადაწყვე-
ტას (proceedings). ოჰაიოს შტატის საერთო სამართლის პრინციპები
(common law of Ohio) უნდა ავსებდნენ ამ წესებს და ეს წესები უნდა
განიმარტოს, როგორც ოჰაიოს შტატის საერთო სამართლის განმსაზ-
ღვრელი პრინციპები, თუ კონკრეტული წესი ამკარად არ მოწმობს, რომ
არსებობს მასში ცვლილების შეტანის განზრახვა. ეს წესები არ უნდა

¹ უმეტეს შტატებში უმაღლესი სასამართლოების მიერ გამოცემულ წესებს ენიჭება ისეთივე
იურიდიული მნიშვნელობა, როგორც შესაბამის ფედერალურ წესებს. მაგალითად, კალიფორნიის
შტატის სადამსჯელო კოდექსის §1247k-ში (ამ კოდექსის შესახებ უფრო ვრცლად იხ. მოცემული
თავი, §4) მოცემული შტატის უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოცემული სისხლის სამართლის
საქმეთა სააპელაციო წარმოების მარგულორებული წესების შესახებ წერია, რომ მათი ძალაში
შესვლის შემდეგ „ყველა სამართლებრივი დანაწესი (all laws), რომელიც ეწინააღმდეგება მათ, ძალა-
დაკარგულად უნდა გამოცხადდეს და აღარ უნდა გამოიყენებოდეს“. აღნიშნული საკითხის შესახებ
უფრო ფართო ფორმულას შეიცავს ალაბამის შტატის კანონის კრებულის §15-1-1-ლი: „ამ კარის
ნებისმიერი დებულება (კრებულის კარი, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაწესებს. –
კ.გ.), რომელიც არეგულირებს პროცედურას, უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოც-
ემული სამართლის საკითხი არ არის მოწმობს მარგულორებული ალაბამის შტატის უმაღლესი სასამართლოს
მიერ გამოცემული პრაქტიკისა და პროცედურის წესებით (კურსივი ეკუთენის – კ.გ.-ს)“.

ცვლიდნენ კანონის არსებით დანაწესებს (substantive statutory provisions)“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ციტირებული წესი (აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §2072 “ა” და “ბ” პუნქტების, რიგი შტატების ანალოგიურ კანონთა დანაწესებისა და სასამართლო წესებისაგან განსხვავებით) განსხვავებულად განსაზღვრავს დასახელებული შტატის უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოცემული მტკიცების წესების იურიდიულ მნიშვნელობას. იგი აშკარად არ აღიარებს წესების პრიორიტეტს კანონთა დანაწესებთან მიმართებაში, ამასთანავე, „მოქნილად“ და ზედმიწევნით ფრთხილად უშვებს დაუწერელი (საერთო) სამართლის ნორმების კორექტირების შესაძლებლობას აღნიშნული წესების მეშვეობით.

დაუწერელი სამართლის ნორმები, მიუხედავად იმისა, რომ მათი როლი და მნიშვნელობა (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ – მოცემული თავი, §2) უკანასკნელ ათწლეულებში განიცდის არსებით კორექტირებას პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, სადაც სამართლებრივი სისტემა ეფუძნება ანგლოსაქსონურ მოდელს, დღემდე რჩება სისხლის საპოცესო სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ ჩრდილოამერიკულ შტატებშიც. ფედერალურ დონესთან შედარებით სისხლის საპოცესო სამართალი აქ (როგორც ზემოთ იყო აღნიშნული) მეტად მოექცა ინგლისიდან ნასესხები საერთო სამართლის გავლენის ქვეშ, ხოლო ჩვენს დროში მნიშვნელოვანწილად „იკეება“ დაუწერელი სამართლის ნორმებითაც, რომლებსაც აქტიურად აყალიბებენ ფედერალური სასამართლოები. ამ საქმეში მათ არც შტატების სასამართლოები ჩამორჩებიან.

დაუწერელი სამართლის ნორმების თვითგანვითარების მუდმივ პროცესს ობიექტურად ხელს უწყობს მინიმუმ ორი ფაქტორი: პირველი, ამოივსოს სისხლის სამართალწარმოების რეგლამენტაციაში არსებული იმ ხარვეზების შევსების მოთხოვნილება, რომლებიც მუდმივად იჩენენ თავს სამართალგამოყენებით პრაქტიკაში და, მეორე, უკვე არსებული ნორმების, რომლებიც ხშირად გამოირჩევიან არაკონკრეტულობითა და არსებითი განუსაზღვრელობით, განმარტების აუცილებლობა. გარკვეულ როლს თამაშობს ის ფაქტიც, რომ დაუწერელი სამართლის ნორმები უაღრესად კაზუსისტურია და „მიბმულია“ კონკრეტულ შემთხვევებზე, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში არასოდეს არის აბსოლუტურად ერთნაირი. როდესაც სასამართლოები ხვდებიან ახალ „შემთხვევებს“, მათ უწევთ არსებული ნორმების „მორგება“ ამ „შემთხვევებზე“. ეს მოითხოვს შესაბამისი ნორმების შინაარსის გარკვეულ კორექტირებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს განუწყვეტელი „ჯაჭური

რეაქცია“ იმის სრულყოფისა, რასაც დაუწერელი სამართალი ეწოდება.

დროთა განმავლობაში სამართალშემოქმედების სფეროში მნიშვნელოვანი ავტონომიის მქონე შტატების „იურიდიული მეურნეობის“ განახლებისა და განვითარების ერთი რომელიმე შტატისაგან არაკონტროლირებულმა და უმართავმა პროცესმა წარმოშვა აუცილებლობა ისეთი მექანიზმების შექმნისა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სამართლებრივი რეგლამენტაციის სფეროში მკვეთრი წინააღმდეგობების, პარალელიზმისა და დუბლირების დაძლევას.

ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი ეფექტურად „მუშაობს“ უკვე 130 წელზე მეტია. კერძოდ, იმ მომენტიდან, რაც ძალაში შევიდა აშშ-ს კონსტიტუციის XIV შესწორება (1868 წლის 9 ივლისი). როგორც ცნობილია, ამ შესწორებამ აშშ-ს უზენაეს სასამართლოსა და ფედერალურ სასამართლოებს უფლება მისცათ სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას მოახდინონ შტატების კანონებისა და სხვა სამართლებრივი წყაროების შედარება ფედერალურ კონსტიტუციურ დანაწესებთან, ძალადაკარგულად გამოაცხადონ მათგან ისინი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ დანაწესებს და ამით უზრუნველყონ სამართლებრივი რეგლამენტაციის ერთგვაროვნება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მოგვიანებით, 1892 წელს ნიუ-იორკის შტატის იურისტთა ასოციაციის (ასეთი ასოციაციების შესახებ უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ – მოცემული თავი, §3) ინიციატივით შეიქმნა სხვა მექანიზმი, რომელმაც ხელი შეუწყო, უპირველეს ყოვლისა, შტატების დაწერილი და დაუწერელი სამართლის უნიფიკაციასა და სრულყოფას. ამ მექანიზმის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა შტატების უნიფიცირებულ სამართლებრივ აქტებზე უფლებამოსილთა ეროვნული კონფერენცია (The National Conference of Commissioners on Uniform State Laws). ეს მეტად წარმომადგენლობითი ორგანო შედგება ყველა შტატიდან, კოლუმბიის ოლქიდან და აშშ-ს კუნძულებიდან წარმოდგენილი იურიდიული პროფესიის მქონე პირებისაგან (მოსამართლეები, ადვოკატები, პროკურორები, უნივერსიტეტის პროფესორები, სხვა იურისტები, რომლებიც დაიშვებიან საქმის წარმოებაზე შტატების ან ფედერალურ სასამართლოებში და ითვლებიან სამართლის კონკრეტული დარგის სპეციალისტებად)¹. ასეთი სახის წარმომადგენელთა უფლებამოსილება და მათი რაოდენობა განისაზღვრება ადგილებზე².

1 2001 წლის იანვარში მათმა რიცხვმა 300-ს გადაჭარბა.

2 მაგალითად, ნიუ-იორკის შტატში მოქმედებს კანონი, რომლის თანახმად, უფლებამოსილ პირებს ნიშნავს გუბერნატორი.

დროდადრო გამართულ კონფერენციებზე ისინი ააანალიზებენ რომელიმე კონკრეტულ სფეროში დაწერილი და დაუწერელი სამართლის მდგომარეობას და განსაზღვრავენ მისი უნიფიკაციის საჭიროებას, განიხილავენ უნიფიცირებული კანონებისა და სასამართლო წესების მომზადებულ პროექტებს. განხილვის შედეგად მიიღება გადაწყვეტილება კონკრეტული პროექტისათვის რეკომენდაციის გაწევის შესახებ, რათა იგი მიიღონ სასამართლოში საქმის წარმართვაში მონაწილე იურისტთა ადგილობრივმა ასოციაციებმა. უძრავლესი შტატის ასეთი სახის ასოციაციების მიერ პროექტის მოწონების შემთხვევაში, იგი გახდება უნიფიცირებული აქტი ან წესი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობის, ან, შესაბამისად, სასამართლო წესების სრულყოფისას.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე სამართლებრივი აქტების უნიფიცირებაზე უფლებამოსილთა ეროვნულმა კონფერენციამ შეიმუშავა 200-ზე მეტი ასეთი აქტი, რომლებიც მოიწონა ამერიკის იურისტთა ასოციაციამ. აღნიშნული პროექტები, კანონმდებლობისა და დაუწერელი სამართლის ნორმების ცვლილებების გათვალისწინებით, მუდმივ განახლებას განიცდიან. მრავალი მათგანი მთლიანად მოიწონა შტატების საკანონმდებლო კრებებმა და კანონებად გარდაიქმნენ. ხშირია შემთხვევები, როდესაც, კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლოები ეყრდნობიან უნიფიცირებული აქტების პროექტებს, რომლებიც კანონის სახით ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

ყველაზე ცნობილ უნიფიცირებულ აქტად აშშ-სა და მის ფარგლებგარეთ დღემდე ითვლება უნიფიცირებული კომერციული კოდექსი (Uniform Commercial Code), რომლის შექმნა 1940 წელს დაიწყო, ხოლო გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა პერიოდში იგი მიიღო ყველა ადგილობრივმა საკანონმდებლო ორგანომ.

დღეისათვის სისხლის სამართალწარმოების სფეროში რიგი უნიფიცირებული აქტების (წესების) პროექტები ფართოდ არის ცნობილი და აღიარებულია მათი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ესენია: 1974 წლის (1999 წლის რედაქციით) უნიფიცირებული აქტი „მტკიცების წესების შესახებ“ (Uniform Rules of Evidence Act); 1987 წლის უნიფიცირებული წესები „სისხლის სამართლის პროცესის შესახებ“ (Uniform Rules of Criminal Procedure); 1973 წლის უნიფიცირებული აქტი „დანაშაულის შედეგად დაზარალებულთათვის ზიანის ანაზრაურების შესახებ“ (Uniform Crime Victims Reparations Act); 1992 წლის უნიფიცირებული აქტი „დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა შესახებ“

(Uniform Victims of Crime Act); 1926 წლის უნიფიცირებული აქტი „დამნაშავეთა გადაცემის შესახებ“¹ (Uniform Criminal Extradition Act); 1990 წლის უნიფიცირებული აქტი „წინასასამართლო დაკავების შესახებ“² (Uniform Pretrial Detention Act) (ზოგიერთ მათგანზე უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ – მოცემული თავი, §4).

ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის საპროცესო სამართლის წყაროების ანალიზისას ყურადღებას იქცევს ამ ქვეყანაში შენარჩუნებული გარკვეულწილად კონსერვატიული დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების რეალიზაციისადმი (მათ შორის, სისხლის სამართალწარმოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში). ეს დამოკიდებულება, როგორც ამას ბოლო წლების მრავალი ფაქტი ადასტურებს, მნიშვნელოვნად განსხვავდება გავრცელებული (უპირატესად თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოებში) საერთაშორისო სამართლის ნორმების (რომლებიც მეტ-ნაკლებად შეეხება სისხლის სამართალწარმოების სფეროს) ისეთ ნორმებად აღიარების ტენდენციისგან, რომლებიც შესაბამისი ხელშეკრულებების რატიფიკაციის შემდეგ შესაძლოა და უნდა გამოიყენებოდეს ეროვნულ კანონმდებლობაში ინკორპორირების გარეშე.

ამერიკული იურიდიული დოქტრინა და სახელმწიფო-სამართლებრივი პრაქტიკა არ უარყოფენ საერთაშორისო სამართლის ნორმების მნიშვნელობას და მის დიდ ავტორიტეტს (მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში), ტრადიციულად ორიენტირებულნი არიან დიდი ხნის წინათ დამკვიდრებულ ისეთ მიდგომებზე, რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო სამართლის ნორმები ქვეყნის შიგნით უნდა გამოიყენებოდეს ეროვნულ კანონმდებლობაში განმტკიცების შემდეგ. ამასთან, განუხრელად აქვთ აღებული ორიენტაცია იმაზე, რომ აშშ-ს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები ავტომატურად არ უნდა იწვევდნენ ფედერალური და შტატებში მოქმედი სამართლის დებულებათა გაუქმებას.

ამას მოწმობს 1992 წლის 8 ივლისს გაკეთებული ის დათქმები და განცხადებები, რომლებიც გაკეთდა „სამოქალაქო და პოლიტიკურ

¹ 1926 წლის უნიფიცირებული აქტი, რომელიც შეიცავს რეკომენდაციებს ერთი შტატიდან მეორეში გადაცემის შესახებ იმ პირებისა, რომლებსაც დანაშაული ჩაიდინეს, ყველა შტატმა მიიღო კანონის სახით. დავროული გამოცდილების გათვალისწინებით, 70-იან წლებში მოშალდა მისი ახალი ვერსია (Uniform Extradition and Rendition Act), რომელიც შტატებისათვის რეკომენდირებული იყო 1980 წელს.

² ამ დოკუმენტთა უმრავლესობის ტექსტი იხ. პენსილვანიის უნივერსიტეტის ინტერნეტ გვერდზე: www.law.upenn.edu/bill/ulc.

უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტზე მიერთებისას. ერთ-ერთ დათქმაში (რომელიც შეეხება პაქტის მე-ნ მუხლს, სადაც საუბარია სიცოცხლის უფლებასა და სიკვდილით დასჯის შეფარდების პირობებზე) აღნიშნულია: „...შეერთებული შტატები იტოვებენ უფლებას, თავიანთი კონსტიტუციით დადგენილი შეზღუდვების დაცვით, შეუფარდონ სიკვდილით დასჯა ნებისმიერ პირს (გარდა ორსული ქალისა), რომელიც სათანადოდ არის მსჯავრდებული იმ მოქმედი კანონის მიხედვით, რომელიც უშვებს სასჯელის სახით სიკვდილით დასჯის შეფარდებას. მათ შორის, ასეთი სახის სასჯელის შეფარდებას დანაშაულის ჩამდენი 18 წელს მიუღწეველი პირებისათვის ანდა, მსგავსი კანონის მიხედვით, რომელიც შესაძლოა მიიღონ მომავალში“¹. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ დროს გაკეთებული ერთ-ერთი განცხადებაც: შეერთებული შტატები აცხადებს, რომ პაქტის 1-ლი-დან 27-ე მუხლების ჩათვლით დებულებები არ არის თვითგამოყენებადი (self-executing)“.

§3. სისხლის სამართლის საქმეებზე სამართალწარმოების განმავლობარციულეხელი (ორგანოები)

ამერიკული ფედერალიზმი, მისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი სიტემების დუალიზმით (პარალელიზმით), შეუძლებელი იყო არ ასახულიყო იმ სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურასა და უფლებამოსილებათა მოცულობაზე, რომლებსაც ეკისრებათ მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში. პარალელიზმმა, ფედერალური და შტატების სამართლის ავტონომიურობამ გამოიწვია პარიტეტულ საწყისებზე „თანაარსებული“ ამ სახის სახელმწიფო ორგანოების სისტემათა შექმნის აუცილებლობა.

სწორედ ამან განაპირობა, რომ აშშ-ში არსებობს სამართალგამოყ-

¹ ტექსტის ორიგინალი იხ. გაეროს საბიუროს ინტერნეტ გვერდზე: www.un.org (2001 წლის 14 იანვრის მდგომარეობით).

მოცემული დათქმა გამოიყენება ამერიკის სასამართლოების გადაწყვეტილებებით სიკვდილით დასჯის შეფარდების იურიდიული დასაბუთებისთვის. აშშ-ში მოქმედი სიკვდილით დასჯის შეფარდების საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, (Death Penalty Information Center - www.deathpenaltyinfo.org) 1997 წელს სიკვდილით დასაჯეს 74 ადამიანი, 1998 წელს - 68, 1999 წელს - 98, 2000 წელს - 85, 2001 წლის 1 ივნისისათვის - 33 ადამიანი. 1998 წელს დასჯილთა შორის სამს. 1999 წელს - ერთს და 2000 წელს - ოთხს. დანაშაულის ჩადენის მომენტში ჯერ კიდევ არ მოღწიათ 18 წლის ასაკისთვის.

ენების ორგანოთა 51-ზე მეტი¹ სისტემა. ისინი მოიცავენ სასამართლოს, პროკურატურას, პოლიციას და გამოძიების სხვა ორგანოებს. მათთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ამერიკული ადვოკატურის მეტად თავისებური ინსტიტუტი, რომელიც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას.

1. ფედერალური და შტატის სასამართლოები.

ფედერალური სასამართლოების სისტემა ორ ჯგუფად იყოფა: საერთო იურისდიქციის სასამართლოები და სპეციალური ამოცანების მქონე სასამართლოები (სპეციალიზირებული სასამართლოები).

საერთო იურისდიქციის სასამართლოები ეს არის თანადაქვემდებარებულ სასამართლო ორგანოთა სამიარუსიანი სტრუქტურა.

მის ძირითად რგოლს წარმოადგენს რაიონული (საოლქო) სასამართლო (U.S. District Court). ასეთი სულ 94 სასამართლოა². ისინი განთავსებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, კონკრეტულ რეგიონებში მოსახლეობის რაოდენობისა და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით (შტატის ტერიტორიაზე უნდა იყოს სულ ცოტა ერთი ასეთი სასამართლო. მჭიდროდ დასახლებულ შტატებში მათი რაოდენობა შეიძლება ოთხამდეც გაიზარდოს). ამ სასამართლოებში დასაქმებულია 650-მდე მოსამართლე და მრავალრიცხოვანი დამხმარე პერსონალი. პროფესიონალი მოსამართლეები (ამ სასამართლოების შტატში მომუშავე მოსამართლეები³; მოსამართლეები, რომლებიც დროებით მუშაობენ (არ არიან მუდმივ შტატში) ანდა საქმის განხილვისათვის მოწვეული გადამდგარი მოსამართლეები) უფლებამოსილნი არიან არსებითად განიხილონ სისხლის სამართლის საქმე ერთპიროვნულად, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით (მათ შესახებ უფრო ვრცლად იხ. მოცემული თავი, §7), ან კოლეგიალურად (სამი პროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით).

საოლქო (რაიონული) სასამართლოების (რომლებიც მოქმედებენ პროფესიონალი მოსამართლეების ან/და ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობით) ძირითადი უფლებამოსილებაა, რომ პირველი ინსტანციით განიხილონ ფედერალური კანონებით დასჯადი შედარებით საშიშ და-

1 აშშ-ს ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ აგებულებაში 50 შტატის გარდა შუღის კოლუმბიის ოლქი (ქ. ვაშინგტონი) და ე.წ. დაქვემდებარებული ტერიტორიების სტატუსის მქონე პუერტო-რიკო, ვირჯინიის კუნძულები, გუამის კუნძული და ჩრდილოეთ მარინის კუნძულები.

2 მათთან 89 მოქმედებს შტატებში, ხოლო 5 - აშშ-ს დედაქალაქში, ვაშინგტონში (ერთი რაიონული სასამართლო) და აშშ-ს ხელისუფლებას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე (იხ. U.S. Government Manual. 1999-2000. P.73).

3 1999 წლის 1 ივნისის მონაცემებით, კონკრეტულ საოლქო სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობა, სამუშაოს მოცულობის მიხედვით, 2-დან 28-მდე მერყეობდა (იხ. იქვე).

ნამაშულთა საქმეები (ფელონიები). ისინი ყოველწლიურად განიხილავენ 60 000-მდე საქმეს¹. აგრეთვე, მათ უფლება აქვთ სააპელაციო საჩივრის საფუძველზე შეამოწმონ ფედერალური მაგისტრატების (U.S. Magistrates) (მათ ხშირად სამაგისტრატო ან მაგისტრატ მოსამართლეებსაც უწოდებენ (magistrate judges)) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერება და დასაბუთებულობა.

ფედერალური მაგისტრატები (1968 წლამდე მათ ფედერალურ რწმუნებულებს უწოდებდნენ – U.S. Commissioners), ინგლისელი მაგისტრატებისაგან განსხვავებით (იხ. მე-2 თავი, §3), ოფიციალურად ითვლებიან საოლქო (რაიონული) სასამართლოების თანამდებობის პირებად (judicial officers of the districts courts). მათ თანამდებობაზე ნიშნავენ² კონკრეტული სასამართლოს შტატიანი მოსამართლეები კენჭისყრის გზით, (საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის საჭიროა ხმათა უმრავლესობა) 8 წლის ვადით. კონკრეტული საოლქო (რაიონული) სასამართლოსთვის ასეთი თანამდებობის პირთა რაოდენობა განისაზღვრება აშშ-ს მოსამართლეთა კონფერენციის გადაწყვეტილებით, შესაბამისი სასამართლოს, სააპელაციო ოლქის მოსამართლეთა საბჭოსა³ და ფედერალური სასამართლოების ადმინისტრაციული სამსახურის (Administrative Office of the U.S. Courts)⁴ დირექტორის წარდგინების საფუძველზე. დღეისათვის მათი საერთო რაოდენობა 600-ს აღწევს.

ფედერალურ მაგისტრატებს, ისევე როგორც მათ კოლეგებს ინგლისში, მეტად საპასუხისმგებლო ფუნქციები აკისრიათ:

მცირეწიმიშენელოვან დანამაშულთა საქმეების (ესენია ე.წ. სისხლის

¹ 1999 წელს ამ სასამართლოებში დარეგისტრირებული იყო 59 923 სისხლის სამართლის საქმის შემოსვლის ფაქტი 80 822 ბრალდებულის მიმართ; ფაქტობრივად განხილული და გადაწყვეტილი იყო 56 511 საქმე; ნაშთი – 46 683 საქმე (1999 Annual Report of the Director Administrative Office of the U.S. Courts. P.18-20).

² აშშ-ს კანონთა კრების 28-ე კარის §631-ის შესაბამისად, ისინი უნდა დანიშნონ იმ პირობებში, რომელთაც აქვთ იურისტად მუშაობის სულ ცოტა 5 წლის სტაჟი, უმაღლეს სასამართლოში საქმის წარმოების ლიცენზია, არ იმყოფებიან ნათესაურ კავშირში ამ რაიონული სასამართლოს მოსამართლეებთან და ა.შ.

³ აშშ-ს მოსამართლეთა კონფერენცია და სააპელაციო ოლქის მოსამართლეთა საბჭოები წარმოადგენენ სასამართლო თვითმმართველობის ორგანოებს, რომლებიც დროგამოშვებით მოიწვევიან ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად, რომლებიც უკავშირდება ფედერალურ სასამართლოში მუშაობის ორგანიზაციას. აღნიშნულ კონფერენციას თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო სააპელაციო ოლქებში საბჭოების სხდომებს - შესაბამისი სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეები.

⁴ ეს არის 1939 წელს ჩამოყალიბებული მუდმივმოქმედი ორგანო, რომლისაც ხელმძღვანელობს აშშ-ს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დანიშნული დირექტორი, და ძირითად ამოცანას წარმოადგენს ფედერალური სასამართლოების საქმიანობის სარეგულირებელი უზრუნველყოფა.

სამართალდარღვევები ან დანაშაულები, რომლებიც მისდინორის კატეგორიას განეკუთვნებიან) სუპარული წესით არსებითად გადაწყვეტა. მაგისტრატის მოსამართლეები ყოველწლიურად, ერთპიროვნულად, არსებითად წყვეტენ ასეთი სახის დანაშაულებისა და სამართალდარღვევათა 100 000-მდე საქმეს;

ფედერალურ საოლქო (რაიონული) სასამართლოს განსჯად მძიმე დანაშაულების (ფელონიების) საქმეებზე ზოგიერთი საპროცესო მოქმედების განხორციელება. ასეთი სახის მოქმედებებს მიეკუთვნებიან ბრძანების გაცემა დაპატიმრებაზე, პოლიციის მიერ ბრძანების გარეშე განხორციელებულ დაპატიმრებათა კანონიერების შემოწმება¹, საშიშ დანაშაულთა საქმეების წინასწარი მოსმენა, ესე იგი, სასამართლო კონტროლის განხორციელება იმ ორგანოების მოქმედებებზე, რომლებსაც აკისრიათ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დენის განხორციელების ფუნქცია, მცირედისმქონე ბრალდებულებისათვის დამცველების დანიშვნის შესახებ საკითხების გადაწყვეტა, აღკვეთი ღონისძიების სახით გიაროს ოდენობის განსაზღვრა, დასახელებული კატეგორიის დანაშაულთა საქმეების პირველი ინსტანციით განხილვისათვის მომზადებაში მონაწილეობა².

კანონი უშვებს ფედერალურ მაგისტრატებისათვის ზოგიერთი სხვა ფუნქციის დაკისრებასაც, რომელსაც „მართებულად ჩათვლის“ ის სასამართლო, რომელშიც ეს მაგისტრატები საქმიანობენ. მათი სტატუსის განსაკუთრებულობა გამოიხატება ორმაგ დაქვემდებარებაში: ერთი მხრივ, საოლქო სასამართლოს მოსამართლეები ნიშნავენ მათ, განუსაზღვრავენ დამატებით მოვალეობებს და ამოწმებენ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებას და დასაბუთებულობას, ხოლო, მეორე მხრივ, მაგისტრატები გარკვეულ ფარგლებში ექვემდებარებიან უკვე ხსენებულ აშშ-ს სასამართლოების ადმინისტრაციულ სამსახურს. მას ეკისრება, მაგალითად, საერთო ზედამხედველობის განხორციელება მაგისტრატების

¹ ისეთი მოქმედების განხორციელება, რომელიც უკემდებარება პირად ცხოვრებაში ჩარევას (მათ შორის სატელეფონო საუბრების მოსმენა ან ელექტრონული თვალთვალის სხვა ფორმები) დაიშვება მხოლოდ ფედერალური საოლქო მოსამართლეების თანხმობით.

² მაგალითად: 1997 წელს მათ წინასწარი მოსმენა ჩაატარეს საოლქო სასამართლოს მოსამართლეების განსჯად 13 000-ზე მეტ საქმეზე; გამოიტანეს 500 000-ზე მეტი გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, სასამართლო ბრძანების გაცემის (ჩხრეკა, მოყვანა და სხვ.), მცირედისმქონე ექვემდებარება და ბრალდებულისათვის დაცვის დანიშვნის, გიაროს, როგორც აღკვეთი ღონისძიების, ოდენობის შეცვლის საკითხებსა და სხვადასხვა სახის შუამდგომლობათა (კრძოლ, მტკიცებულებათა გამოთხოვის, საქმეზე დართვისა და ფიქსაციის შესახებ) განხილვის შედეგებთან დაკავშირებით (იხ.: 1997 Annual Report of the Director Administrative Office of the U.S. Courts, P.64-65).

საქმიანობაზე, მათთვის ადმინისტრაციულ და სამართლებრივ საკითხებზე სახელმძღვანელოების გამოცემა, აშშ-ს მოსამართლეთა კონფერენციისათვის რეკომენდაციის მოცემა მაგისტრატების რაოდენობის კორექტირებისა (კონკრეტულ სასამართლო ოლქებში დატვირთვის გათვალისწინებით) და მათი თანამდებობრივი სარგოს დაზუსტების შესახებ, მათი ფინანსური საქმიანობის შემოწმება.

საოლქო (რაიონული) სასამართლოსთან მიმართებაში ზემდგომ ინსტანციას წარმოადგენს სააპელაციო სასამართლო (U.S. Court of Appeals). ასეთი დონის სულ 12 სასამართლოა, მათ შორის კოლუმბიის ოლქის სააპელაციო სასამართლო (ტერიტორია, რომელიც უკავია აშშ-ს დედაქალაქს – ვაშინგტონს). სააპელაციო სასამართლოს მთავარი ფუნქციაა სისხლისა და სამოქალაქო საართლის საქმეებზე შეამოწმოს გადაწყვეტილებათა კანონიერება და დასაბუთებულობა იმ ფედერალური რაიონული სასამართლოებისა, რომლებიც შესაბამისი სააპელაციო ოლქის ტერიტორიაზე არიან განლაგებულნი. აღნიშნულ სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობა არ არის დიდი და 180-ს აღწევს (7-დან 29 მოსამართლემდე თითოეულ სასამართლოში). საჭიროების შემთხვევაში, საქმის განხილვისთვის სააპელაციო სასამართლოში შეიძლება მიაველინონ რაიონული სასამართლოს მრამართლეები. ყოველწლიურად ამ დონის სასამართლოები ამოწმებენ ფედერალურ მოსამართლეთა მიერ გამოტანილი განაჩენების 15-18%-ს¹.

უმაღლეს და ყველაზე ავტორიტეტულ სასამართლო ინსტანციას წარმოადგენს აშშ-ს უზენაესი სასამართლო (U.S. Supreme Court). მის შეადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე (მთავარი მოსამართლე), სასამართლოს რვა წევრი და დამხმარე პერსონალი. სისხლის სამართალწარმოების სფეროში ამ სასამართლოს მთავარი ფუნქციაა საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება ფედერალური სააპელაციო და რაიონული სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებზე. კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში მან ასევე შეიძლება განიხილოს სამხედრო სააპელაციო და შტატების უმაღლესი სასამართლო ინსტანციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მის წევრებს, სააპელაციო და საოლქო (რაიონული) სასამართლოს ყველა მოსამართლეს ნიშნავს აშშ-ს პრეზიდენტი „სენატის რჩევითა და თანხმობით“, განუსაზღ-

¹ 1999 წელს აღნიშნულ სასამართლოებში შევიდა 10 251 აპელაცია საქმის პირველი ინსტანციით განმხილველი რაიონული სასამართლოებიდან, რომლებმაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფლორიდის შესახებ 56 511 საქმე განიხილეს (იხ.: 1999 Annual Report of the Director Administrative Office of the U.S. Courts. P.18-20).

ღერელი ვადით – „მანამ, სანამ მათი ქცევა უმწიკვლოა“.

სპეციალიზირებულ ფედერალურ სასამართლოთა რიცხვს მიეკუთვნებიან სამხედრო სასამართლოები, რომლებიც ავტონომიურ სისტემადაა გამოყოფილი. მას სამხედრო სააპელაციო სასამართლო ხელმძღვანელობს (U.S. Court of Appeals for the Armed Forces). აღნიშნული სასამართლოების ფუნქციაა სამხედრო მოსამსახურეთა მიერ მოვალეობის შესრულებისას ჩადენილი სამხედრო და სხვა სახის დანაშაულების საქმეების განხილვა. ფედერალური სასამართლოების სიტემაში შედიან, აგრეთვე, სხვა სასამართლოები და კვაზი-სასამართლო ორგანოები, თუმცა ისინი არ არიან უფლებამოსილნი განიხილონ სისხლის სამართლის საქმეები.

სასამართლო ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურისათვის შედარებით ახალ მოვლენას წარმოადგენს სასჯელის შეფარდების ფედერალური კომისია (U.S. Sentencing Commission)¹, რომელიც დაფუძნებულია 1984 წლის 12 ოქტომბერს მიღებული „სასჯელის დანიშვნის რეფორმის შესახებ“ კანონის² (Sentencing Reform Act) საფუძველზე.

აშშ-ს კანონთა კრებულის 28-ე კარის §991-ის შესაბამისად, ეს კომისია არის „სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანო“, რომელიც შედგება გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე შვიდი და ასეთი უფლების არმქონე ერთი წევრისაგან. ამ შვიდ წევრს (კომისიის თავმჯდომარეს, სამ ვიცე-თავმჯდომარესა და სამ წევრს) 6 წლის ვადით ნიშნავს აშშ-ს პეზიდენტი, აშშ-ს კონგრესის სენატის თანხმობითა და „სასამართლოების, პროკურორების წარმომადგენლებსა, სისხლის სამართლის საქმეებზე დაცვის განხორციელების გამოცდილების მქონე იურისტებსა, კანონის იძულებით გამოყენების განმახორციელებელი (law enforcement) ორგანოების თანამდებობის პირებსა, ცხოვრებისეულად გამოცდილ მოქალაქეებსა (senior citizens), დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებსა ან სისხლის სამართალწარმოებით დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების შემდეგ“. დანიშნულთაგან სულ ცოტა სამს უნდა ჰქონდეთ მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება. გენერალური ატორნეი (ან მის მიერ დანიშნული პირი) თანამდებობრივად არის ხმის უფლების არმქონე კომისიის წევრი.

¹ ანალოგიურმა კომისიებმა და ორგანოებმა ფუნქციონირება დაიწყეს ცალკეულ შტატებში (1998 წლისათვის ისინი მოქმედებდნენ 17 შტატში), მაგრამ შტატების სასამართლოთა უმრავლესობა კონკრეტულ საქმეზე სასჯელის შეფარდებისას უპირატესადაა ფედერალური კომისიის რეკომენდაციებს ანიჭებს.

² დასახლებული კანონი შეტანილია აშშ-ს კანონთა კრებულის 28-ე კარში §991-§998-ების სახით.

კომისიის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ფედერალურ სასამართლოებში „სასჯელის შეფარდების პოლიტიკისა და პრაქტიკის“ (sentencing policies and practices) ისეთი სტანდარტების დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს: ა) ფედერალური კანონით განსაზღვრული სასჯელის მიზნების მიღწევას; ბ) ერთგვაროვან მიდგომებს სასჯელის შეფარდებისადმი კონკრეტულ საქმეებზე, რაც გამოიხატება იმ „სასჯელთა შორის სხვაობას, რომლებიც შეეფარდებათ მსგავსი პიროვნული მონაცემების მქონე და მსგავს დანაშაულებში ბრალდებულ პირებს“; გ) სასჯელის შეფარდებისას ადამიანური ქცევის შესახებ ცოდნის გათვალისწინებას. ასეთი სახის კრიტერიუმები (სტანდარტები) ფორმდება დოკუმენტის სახით, რომელსაც სასჯელის შეფარდების ფედერალური სახელმძღვანელო ეწოდება (Federal Sentencing Guidelines)¹. იგი მუდმივ დაზუსტებასა და შევსებას განიცდის მიმდინარე სასამართლო და შეფარდებული სასჯელის აღსრულების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ასევე, აშშ-ს კონგრესის მიერ მიღებული კანონების პირდაპირი მითითებებით, რომლებიც ითვალისწინებს, მაგალითად, რაიმე კონკრეტული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობას². ამ სახელმძღვანელოსთან ერთად რეგულარულად გამოიცემა მისი სწორად გამოყენებისათვის დამხმარე კომენტარები (general policy statements), წესები და ინტრუქციები (rules and regulations)³.

შტატების სასამართლო სისტემა, ფედერალური სასამართლო სისტემის მსგავსად, შედგება რამდენიმე დონის სასამართლოებისაგან.

ქვედა რგოლს შეადგენენ ე.წ. შეზღუდული იურისდიქციის სასამართლოები. ისინი სხვადასხვაგვარად იწოდებიან: მაგისტრატების, მომრიგებელი, რაიონული, საქალაქო, მუნიციპალური და ა.შ. სასამართლოები. 23 000 მოსამართლიდან, რომლებიც შტატების სასამართლოებში მუშაობენ, უმეტესობა ამ დონის სასამართლოშია დასაქმებული. ისინი თითქმის ყველა შტატშია შექმნილი, როგორც წესი, ავტონომიური მდგომარეობა უკავიათ სასამართლო სისტემებში და არსებითად იხილავენ საქმეებს მცირე მნიშვნელოვან დანაშაულებსა და გადაცდომებზე, მათ შორის ისეთებზე, რომელთა ჩადენისთვისაც პასუხისმგებლობას

¹ ამ სახელმძღვანელოსა და რვა შტატებში შექმნილი სხვა ანალოგიური დოკუმენტების დებულებათა რეალიზაციის შესახებ ცნობები იხ. აგრეთვე მოცემული თავის §7-ში და §9-ში.

² მაგალითად, 1996 წლის 24 აპრილის კანონით (VIII კარი, §805) კომისიას ბოცა დაეკლავა 60-დღიანი ვადაში „გადაეხედა შემამოთხველი ეფექტისათვის“ (review the deterrent effect) სასჯელისა, რომლებიც შეეფარდათ პირებს, რომლებიც კანონსწინააღმდეგოდ იყენებდნენ კომპიუტერული ტექნოლოგიების (აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §1030).

³ დაწერილობით ამ კომისიისა და მისი ფუნქციების შესახებ იხ.: U.S Government Manual. 2000-2001. Wash., P. 83-85.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აქტები განსაზღვრავს. მათ, ისევე როგორც მაგისტრატების ფედერალურ სასამართლოებს, ეკისრებათ გადაწყვეტილების მიღება საპროცესო იძულების ღონისძიებების წინასასამართლო გამოძიებისას გამოყენებაზე კონტროლთან და საქმეთა წინასწარ მოსმენასთან დაკავშირებით.

შედარებით ზედა რგოლს წარმოადგენენ *საერთო იურისდიქციის სასამართლოები*. მათ სხვადასხვაგვარად უწოდებენ: საქალაქო, საოლქო (რაიონული), უმაღლესი, მაღალი და ა.შ. ამ სასამართლოების ძირითადი ფუნქციებია: საშიშ დანაშაულთა საქმეების განხილვა პირველი ინსტანციით¹; შეზღუდული იურისდიქციის სასამართლოების განაჩენებისა და სხვა გადაწყვეტილებების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება.

იმ შტატებში, სადაც დიდი მოცულობის სამუშაოა (ეს შტატების უმრავლესობას შეეხება), შექმნილია ე.წ. *შუალედური სააპელაციო სასამართლოები*. მათ აკისრიათ საერთო იურისდიქციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება.

ყველა შტატში ფუნქციონირებს *უმაღლესი სასამართლო ინსტანციები*, რომლებსაც უმაღლეს სასამართლოებს უწოდებენ². სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, როგორც წესი, გადაამწყვეტი და საბოლოო სიტყვა ეკუთვნის ამ დონის სასამართლოს. მხოლოდ გამოჩაკლის შემთხვევებში მისი მოქმედებები შეიძლება შეამოწმოს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ.

სამოსამართლო კორპუსის ფორმირების წესი შტატებში არაერთგვაროვანია. ბევრ შტატში მოსამართლეებს მოსახლეობა ირჩევს სხვადასხვა პროცედურების დაცვით. არის შტატები, სადაც მოსამართლეებს ნიშნავენ გუბერნატორები, ირჩევენ საკანონმდებლო კრებები ან მუნიციპალური საბჭოები. არსებობს ე.წ. მოსამართლეთა თანამდებობაზე დამტკიცების შერეული პროცედურა: თავდაპირველად გარკვეული ვადით მათ ნიშნავს გუბერნატორი, დაახლოებით ორი-სამი წლის შემდეგ ტარდება არჩევნები და ხდება მათი ხანგრძლივი ვადით (15-20 წელი ან საპენსიო ასაკამდე) საბოლოოდ დამტკიცება თანამდებობაზე.

დროთა განმავლობაში კანონმდებლობამ და მისი გამოყენების პრაქტიკამ შეიმუშავა სხვა საშუალებებიც, რომლებმაც, წესით, ხელი უნდა შეუწყონ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მისი ავტორიტეტის

¹ დღისათვის, ეს სასამართლოები ფლობენ ჩაღვნი მისი გამო ყოველწლიურად მსჯავრს ღებენ დაახლოებით ერთ მილიონ ადამიანს.

² ნიუ-იორკის შტატში უმაღლეს სასამართლოს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლო.

სათანადო დონეზე შენარჩუნებას. ამ საშუალებების სპექტრი ფართოა: საზეიმო მანტიების, სასამართლო შენობებისა და დარბაზების შთამბეჭდავი მოწყობილობებიდან დაწყებული, დამთავრებული მოსამართლეთათვის ფართო უფლებების მინიჭებით სასამართლოს მიმართ უპატივცემულობისათვის სასჯელის შეფარდებისას. ასეთი სახის საშუალებებს შორის მნიშვნელოვანი როლს თამაშობს ბოლო ათწლეულებში მონაცვლეობითი წარმატებით დანერგილი სასამართლო თვითმმართველობა (სასამართლო ადმინისტრატორების თანამდებობის შემოღება, მოსამართლეთა საბჭოების შექმნა, მათი კონფერენციების რეგულარულად მოწვევა და ა.შ.), რომელზეც განსაზღვრულ იმედებს ამყარებენ, როგორც ღონისძიებაზე, რომელიც გაანეიტრალებს აღმასრულებელი ორგანოების სწრაფვას – გავლენამოახდინონ სასამართლოებზე.

2. პროკურატურა.

რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ სამართალდამცავ დაწესებულებას სხვადასხვაგვარად უწოდებენ: ერთნი – ატორნეტურას, მეორენი – საატორნეო სამსახურს, ბევრნი – პროკურატურას. მიუხედავად განსხვავებული ტერმინოლოგიისა, ყველა შემომოყვანილ შემთხვევაში საუბარია დაწესებულებაზე, რომლის თანამდებობის პირებიც ასრულებენ ორ ძირითად ფუნქციას. ერთი მხრივ, ისინი აკონტროლებენ პოლიციის საქმიანობის კანონიერებას დანაშაულის გამოძიებისას და ახორციელებენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას სასამართლოში, ხოლო, მეორე მხრივ, იურიდიული საშუალებებით იცავენ მთლიანად სახელმწიფოსა და მის შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიული წარმონაქმნების ქონებრივ და სხვა ინტერესებს. ეს გარემოება აახლოებს ამ დაწესებულებას კონტინენტური ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის ანალოგიურ ორგანოსთან, რომლსაც, როგორც წესი, პროკურატურას უწოდებენ.

აშშ-ს სახელმწიფო-სამართლებრივი ორგანიზაციის თავისებურებაანი საკუთარ კოლორიტს მატებს ამერიკულ პროკურატურას. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმან, თუ როგორ ყალიბდებოდა ისტორიულად პროკურატურა ამ ქვეყანაში.

თავდაპირველად ის არ იყო ორგანო, რომელიც სპეციალურად შეიქმნა ზემოაღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად. მისი ისტორია იწყება იქიდან, რომ ჯერ ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა, შემდეგ კი ხელისუფლებამ შტატების დონეზე დაიწყეს თავიანთი ინტერესების სასამართლოში წარმოსადგენად განსწავლული პირების (ატორნეი იურისტების) მოწვევა, რომელთაც შესაბამისი ცოდნა და

გამოცდილება გააჩნდათ. აღნიშნული შემთხვევიდან შემთხვევამდე ხორციელდებოდა, საკონტრაქტო საფუძველზე. თანდათან ატორნების მონაწილეობაზე მოთხოვნილება მუდმივ ხასიათს იღებდა. ისინი ანაზღაურებას უკვე რეგულარულ საფუძველზე იღებდნენ, სახელმწიფო მოხელეებად „გადაიქცნენ“ და შესაბამისი აპარატით „აღიჭურვნენ“.

ასეთი სქემით წარმოიშვა და ვითარდებოდა ფედერალური პროკურატურა. იგი დაიწყო აშშ-ს პრეზიდენტის მთავარი იურიდიული მრჩეველის თანამდებობის შემოღებით (გენერალური ატორნეი). ეს მოხდა 1789 წელს, როდესაც მიიღეს კანონი „სასამართლო წყობილების შესახებ“. დროთა განმავლობაში გენერალური ატორნების ფუნქციები გაფართოვდა. იგი იყო პრეზიდენტის მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში, მისი წარმომადგენელი თანამდებობის პირი აშშ-ს უზენაეს სასამართლოში და ხელმძღვანელი სამსახურებისა, რომელთაც ეკისრებოდათ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების მომზადება და წარმართვა ყველა ფედერალურ სასამართლოში, ფედერალური ციხეების ხელმძღვანელობა და ფედერალური კანონით დევნილ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება. 1870 წელს ეს სამსახურები გაერთიანდნენ ერთ დაწესებულებად, რომელიც დაექვემდებარა აშშ-ს გენერალურ ატორნების და იუსტიციის დეპარტამენტი ეწოდა. დღეისათვის დეპარტამენტი (როგორც ქვემოთ ვნახავთ) იქცა მძლავრ და გავლენიან ორგანოდ, „რომლის ჭერქვეშ“ მუშაობს რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი.

პროკურატურის ორგანიზაციამ განიცადა ისტორიული ხასიათის ფაქტორთა და ამერიკული ფედერალიზმის თავისებურებების გავლენა. შედეგად, მის სტრუქტურაში მკვეთრად გამოირჩევა საბი დონის ორგანო.

ერთ-ერთი მათგანია ფედერალური პროკურატურა. მის შემადგენლობაში უნდა გამოვყოთ აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური ატორნეი. მის აპარატს აქვს რამდენიმე ქვედანაყოფი, რომელიც ორგანიზაციას უწევს ფედერალურ პროკურატურებს ადგილებზე ანდა უშუალოდ ასრულებს საპროკურორო ფუნქციებს (ძირითადად, ეს არის საბრალდებო დოსიეს მასალების წინასასამართლო მომზადება, რომლებიც გამოიყენება სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერისას). ამ ქვედანაყოფებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფედერალური რაიონული პროკურორების საქმეებზე აღმასრულებელ სამსახურს (Executive Office for U.S. Attorneys), რომელსაც შემდეგი ფუნქციები აკისრიათ:

- აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ქვედანაყოფთა და ფედერალური პროკურორების, რომლებიც ახორციელებენ სისხლის

სამართლის საქმეებზე მასალების წინასასამართლო მომზადებას, ძალისხმევათა კოორდინაციისათვის ხელშეწყობა;

- ფედერალური საპროკურორო სამსახურების საქმიანობის ანალიზი, განზოგადება და წინადადებების შემუშავება მათი სრულყოფისათვის;
- ფედერალური პროკურორებისათვის სახელმძღვანელოსა (U.S. Attorneys' Manual) და ფედერალური პროკურორების ბიულეტენის (U.S. Attorneys' Bulletin), რომლებითაც ეს პროკურორები სარგებლობენ ყოველდღიურ საქმიანობაში, მომზადება და რეგულარული განახლება;
- კონტროლი იმ იურიდიული განათლების სამსახურისა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ფედერალურ პროკურატურასა და აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტში კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას.

აშშ-ს გენერალურ ატორნეის, მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ პროკურორთა ხელმძღვანელობის გარდა, აკისრია ყველა იმ ფედერალური ორგანოს საქმიანობის კოორდინაცია, რომლებიც, თავიანთი უფლებემოსილების ფარგლებში, ამათუიძ ფორმით მონაწილეობენ დამნაშავეობასთან ბრძოლაში ანდა მოწოდებულნი არიან დახმარება გაუწიონ შესაბამის ორგანოებს შტატებში და ადგილობრივი თვითმართველობის დონეზე¹.

ადგილობრივი ფედერალური პროკურატურის საფუძველს ქმნიან საოლქო პროკურორები, რომლებიც ინიშნებიან ყველა (94) ფედერ-

¹ ეს უფლებამოსილება დაეკისრა აშშ-ს გენერალურ ატორნეის 1968 წლის 7 თებერვლის №11396 აშშ-ს პრეზიდენტის აღმასრულებელი ბრძანებით, რომელიც გამოცემულა 1965 წლის „კანონის იძულებით გამოყენებაში თანამშრომლობის შესახებ“ კანონის საფუძველზე (Law Enforcement Assistance Act). ბრძანებაში (იგი დღესაც მოქმედებს) ნათქვამია:

„§1. ამ ბრძანებით გენერალურ ატორნეის ვეალება თანამშრომლობა და ძალების კოორდინაცია (1) დამნაშავეობასთან ბრძოლის (the criminal law enforcement activities) და მისი თაიდან აცილების სფეროში ყველა ფედერალური დეპარტამენტისა და ორგანოების პროგრამების განხორციელებაში ასევე, (2) ასეთი დეპარტამენტისა და ორგანოების საქმიანობაში, რომელიც შეეხება იმ პროგრამათა განითარებასა და განხორციელებას, რომლებიც მიიღიანად ან ნაწილობრივ მოწოდებულია დახმარება გაუწიოს შტატებსა და ადგილობრივ ორგანოებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი თაიდან აცილების საქმეში. გენერალური ატორნეი უფლებამოსილა გამოსცეს ასეთი წესები და ინსტრუქციები, ასევე განხორციელოს ისეთი მოქმედებები, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლის იმისთვის, რომ შეასრულოს ამ ბრძანებით მასზე დაკისრებული ფუნქციები.

§2. ყველა ფედერალური დეპარტამენტი და ორგანო ეალდებული არიან კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში თანამშრომლობონ გენერალურ ატორნეისთან, მის მიერ ამ ბრძანებით დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას, ასევე, თავიანთი სამუალებების ფარგლებში წარუდგინონ მას დოკუმენტაცია და ცნობები, გაუწიონ დახმარება, რომელსაც იგი შეიძლება ითხოვდეს“ (ბრძანების ტექსტი აუბოულია აშშ-ს კანონთა კრებულის 28-ე კარის საერთო კომენტარიდან, 1999 წლის 1 მაისის მდგომარეობით. - კ.გ.).

ალურ სასამართლო ოლქში (რაიონში). მათ ჰყავთ თანაშემწეები, სხვა ოპერატიული მუშაკები და დამხმარე პერსონალი. ამ დონის პროკურორებს ეკისრებათ დროული და კანონზე დაფუძნებული სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა მიმართ, იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც დასჯადია ფედერალური კანონებით ან/და ჩადენილია იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება ფედერალური ხელისუფლების იურისდიქცია (კოლუმბიის ოლქი, ეროვნული პარკები, ნაკრძალები, აშშ-ს ფარგლებგარეთ მდებარე ტერიტორიები, სამხედრო ობიექტები და სხვა).

პროკურატურის ორგანიზაციის მეორე დონეს შტატების პროკუ-რატურები წარმოადგენს. ყოველ მათგანს ჰყავს „თავისი“ გენერალური ატორნეი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ექვემდებარება ის სამსახური, რომელიც იმავენიარად იწოდება, როგორც აშშ-ს გენერალურ ატორნეისთან არსებული ზემოხსენებული სამსახური. ამ სამსახურების (იუსტიციის დეპარტამენტების) უფლებამოსილებათა მოცულობა მნიშვნელოვნად ვიწროა, ვიდრე ფედერალურისა, თუმცა, სისხლის სამართალწარმოების სფეროში შტატების გენერალურ ატორნებს მინიჭებული აქვთ საკმაოდ ფართო უფლებები იმ პირთა დევნისას, რომელთაც ხელჰყვეს შესაბამისი შტატების კანონები. ამას ისინი თავად ანდა თანაშემწეების (მათ შორის შტატების დედაქალაქების გარეთ, სხვა ქალაქებში მომუშავე თანაშემწეების) მეშვეობით ახორციელებენ.

მესამე დონე ეს არის ადგილობრივი პროკურატურა. მას მიეკუთვნებიან პროკურორები, რომლებიც მუშაობენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კონტროლისა და ხელმძღვანელობის ქვეშ. პრიორიტეტს მათ საქმიანობაში წარმოადგენს ამ ორგანოების მიერ გამოცემული აქტების დანაწესების დარღვევათა დევნა. ამასთან, ისინი პასუხისმგებელი არიან იმ შტატების კანონებით დევნილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველყოფაზე, თუ ასეთ დანაშაულთა საქმეების წარმოებაში არ ჩაერთვებიან შტატის გენერალური პროკურორი ან მისი თანაშემწეები. პროკურატურის ამ ორგანოების შტატებში შეიძლება მუშაობდნენ თანამდებობის პირები, რომლებსაც გამოძიებლები (investigators) ეწოდებათ და ავალიათ იმ საბრალდებო დოსიეს მასალების შეკრება და გაფორმება, რომელსაც შემდგომ პროკურორები გამოიყენებენ სასამართლოში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას¹.

¹ აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის სასამართლო სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, 1996 წელს ბრალდებს შტატების სასამართლოებში თითქმის 2 300 პროკურორი უჭერდა მხარს.

ამერიკული პროკურატურის ორგანიზაციის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სამივე დონის პროკურატურები ერთმანეთთან მიმართებაში ავტონომიური არიან. მათ არ აერთიანებთ მკაცრი სუბორდინაცია. თითოეულ დონეს ჰყავს თავისი „უფროსობა“. აშშ-ს გენერალურ ატორნეის ნიშნავს აშშ-ს პრეზიდენტი სენატის „რჩევით და თანხმობით“, 4 წლის ვადით. ასეთივე წესითა და ვადით ინიშნებიან ფედერალური რაიონული პროკურორები. შტატების გენერალურ ატორნეებს ზოგჯერ გუბერნატორები ნიშნავენ, ხოლო ხშირად მათ საკანონმდებლო კრებები ან შტატების მოსახლეობა ირჩევს. ადგილობრივ პროკურორებს (საერთო წესის სახით) ირჩევს მოსახლეობა, ასევე, შესაძლებელია მათი არჩევა ან დანიშვნა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ. მთლიანობაში, აშშ-ში არსებობს თითქმის 30 000 საპროკურორო ორგანო, რომლებიც, როგორც წესი, ერთმანეთთან დაკავშირებულნი არ არიან მკაცრი დაქვემდებარებით.

იმისთვის, რომ დაძლეული იყოს ასეთი განცალკევებულობა, უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს მუშაობა კოორდინაციის მოსაწესრიგებლად სხვადასხვა დონის საპროკურორო ორგანოებს შორის და თითოეული მათგანის შიგნით. 1907 წელს შეიქმნა გენერალური ატორნეების ეროვნული ასოციაცია. მისი ეგიდით ყოველწლიურად ტარდება ყველა გენერალური ატორნეის თათბირი. ეს ხელს უწყობს ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლას, რაც ორმხრივ ინტერესს წარმოადგენს. დროდადრო ტარდება ადგილობრივი პროკურორების კონფერენციები (თათბირები, სიმპოზიუმები), რაც დაახლოებით ისეთივე ხასიათს ატარებს, როგორსაც გენერალური ატორნეების ეროვნული ასოციაციის სხდომა.

3. პოლიცია და გამოძიების სხვა ორგანოები.

ამერიკელი იურისტების მტკიცებით, ქვეყანაში არსებობს დაახლოებით 20 000 სხვადასხვა სახის საპოლიციო სამსახური, რომლებიც (ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად) დაკავებულნი არიან დანაშაულის აღკვეთით, თავიდან აცილებითა და გახსნით¹. მათ შორის ბევრია ე.წ. სპეციალიზირებული საპოლიციო სამსახური, რომლებიც მოწოდებულნი არიან გამოავლინონ გარკვეული კატეგორიის დანაშაულები და მიიღონ შესაბამისი ზომები. უმეტეს შემთხვევაში საპოლიციოს მიეკუთვნებიან

მთლიანობაში, შტატებისა და ადგილობრივი პროკურატურების თანამშრომელთა რიცხვი, დამხმარე პერსონალის ჩათვლით, 70 000-ს აჭარბებს.

¹ აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის სასამართლო სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, 1996 წელს შტატებისა და ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლების საერთო რაოდენობა 1 მილიონზე მეტი იყო (Census of State and Local Law Enforcement Agencies, 1996. Wash., U.S. Department of Justice, June 1998. P.2).

ის ორგანოები, სამსახურები და ქვედანაყოფები, რომლებიც ასრულებენ ყოველდღიურ საპოლიციო ფუნქციებს (პატრულირება, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წესრიგის დაცვა, ტრანსპორტის მოძრაობის წესების დაცვა და ა.შ.). ასეთი სახის მსხვილ ორგანოებში მუშაობენ თანამდებობის პირები, რომლებსაც დეტექტივებს უწოდებენ და მათ ძირითად ფუნქციას დანაშაულის გამოძიება წარმოადგენს. პოლიციელთა ძირითადი მასა ამ საქმიანობით არ არის დაკავებული, რადგან არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

პოლიციის ორგანოები (სამსახურები, ქვედანაყოფები), ისევე როგორც პროკურატურის სამსახურები, იყოფა სამი დონის ორგანოებად.

ფედერალურ დონეზე არ არსებობს ერთიანი ან თუნდაც ცენტრალიზებული პოლიცია. პრინციპში, ფედერალური პოლიცია შეიძლება ვუწოდოთ იმ ქვედანაყოფებს, რომლებიც უზრუნველყოფენ წესრიგს ქალაქ ვაშინგტონსა და ეროვნულ პარკებში (ნაკრძალებში). ისინი არ არიან ურთიერთკავშირში, არსებობენ ავტონომიურად და დაკავებულნი არიან „საკუთარ“ ტერიტორიებზე იმ დანაშაულის აღკვეთით, თავიდან აცილებითა და გახსნით, რომლებიც უწყებრივად არ ექვემდებარება სპეციალიზირებულ ფედერალურ სამსახურებს.

უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება 20-ზე მეტი სამსახური, მაგალითად: გამოძიების ფედერალური ბიურო (Federal Bureau of Investigation); ფედერალური საბაჟო სამსახური (U.S. Customs Service); ციხეების ფედერალური ბიურო (Federal Bureau of Prisons); იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური (Immigration and Naturalization Service); აშშ-ს სასამართლოთა ადმინისტრაციული სამსახური (Administrative Office of the U.S. Courts); შიდა მოსაკრებლების სამსახური (Internal Revenue Service); საფოსტო ინსპექციის ფედერალური სამსახური (U.S. Postal Inspection Service); ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაცია (Drug Enforcement Administration); ფედერალური საიდუმლო სამსახური (U.S. Secret Service)¹; ეროვნული პარკების სამსახური (National Park Service); მარშალთა ფედერალური სამსახური² (U.S. Marshals Service); ალკოჰოლურ სასმელებზე, თამბაქოს ნაწარმსა და ცეცხლსასროლ იარაღზე კონტროლის ბიურო (Bureau of Alcohol, Tobacco and Firearms); კაპიტოლიუმის³ ფედერალური პოლიცია (U.S.

1 იგი შულის აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში და ახორციელებს აშშ-ს პრეზიდენტისა და სხვა მნიშვნელოვან პერსონათა დაცვას, ასევე, ებრძვის ყალბი ფულის დამზადებასა და გასაღებას.

2 სასამართლო მანდატურების.

3 აშშ-ს კონგრესის.

Capitol Police); ფედერალური სატყეო სამსახური (U.S. Forest Service); თევზდაცვისა და გარეულ ცხოველთა დაცვის ფედერალური სამსახური (U.S. Fish and Wildlife Service). ამ და რიგ სხვა ორგანოების თანამდებობის პირებს (მათი კომპეტენციის ფარგლებში) უფლება აქვთ შეასრულონ მოქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულის გამოვლენასთან, აღკვეთასა და გახსნასთან, ასევე, დააკაონ, დააპატიმრონ ეჭვიმიტანილი და შეასრულონ სხვა მოქმედებები, რომელსაც, რუსული წესების მიხედვით, ოპერატიულ-სამძებრო ან საგამომძიებო მოქმედებებს უწოდებენ.

ფედერალური დონის ორგანოებს შორის წამყვანი როლი ეკუთვნის გამოძიების ფედერალურ ბიუროს (გფბ). იგი ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო და სხვა მოქმედებებს იმ საშიშ დანაშაულთა გამო-საძიებლად, რომლებიც დასჯადია ფედერალური კანონების შესაბამისად. პრაქტიკულად, ეს არის საქმეთა უმრავლესობა, დაკავშირებული ფედერალური კანონების დარღვევასთან. ბიურო ნომინალურად ეჭვმდებარება აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტს. ბიუროს ხელმძღვანელობს აშშ-ს პრეზიდენტის მიერ დანიშნული დირექტორი, მასში მუშაობს 24 000-მდე თანამშრომელი. მისი მრავალრიცხოვანი სააგენტოები¹ გაფანტულია ქვეყნის ყველა კუთხეში და საზღვარგარეთაც. აშშ-ს ტერიტორიაზე მათი ქსელი ისეა გათვლილი, რომ გფბ-ს აგენტს საშუალება ჰქონდეს შემთხვევის ადგილზე მივიდეს 3-5 წუთში დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების დადგენიდან. ბიუროს დაქვემდებარებულ ორგანოთა სისტემაში შედის დაწესებულებები, რომლებიც უწევენ საექსპერტო, საინფორმაციო დახმარებას (კრიმინალისტიკური ლაბორატორიები, კომპიუტერიზებული კართოთეკები და სხვა), ასევე, ეხმარებიან შესაბამისი კადრების მომზადებაში (გფბ-ს აკადემია და სხვა სასწავლო დაწესებულებები) ყველა ამერიკულ და (ზოგჯერ) სხვა ქვეყნების სტრუქტურებსაც, რომლებიც უფლებამოსილი არიან გამოავლინონ და გამოიძიონ დანაშაული.

იუსტიციის დეპარტამენტის დაქვემდებარებაშია: იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური; ციხეების ფედერალური ბიურო; მარშალთა ფედერალური ბიურო; ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაცია, ესე იგი, ორგანოები, რომლებიც მოწოდებულნი არიან აწარმოონ ბრძოლა შესაბამისი კატეგორიის დანაშაულებთან.

საკოლიციო ქვედანაყოფების უმრავლესობა (მათ შორის ისინ-

¹ 2000 წლის ბოლოსათვის ასეთი ადგილობრივი და საზღვარგარეთ მოქმედი სააგენტოები 400-სს ითვლიდა.

იც, რომლებიც დაკავებულნი არიან სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებით) ექვემდებარება შტატების ხელისუფლებას. ეს ქვედანაყოფები ქმნიან ორ „იარუსს“. პირველზე განთავსებულია ქვედანაყოფები, რომლებიც ექვემდებარება უშუალოდ შტატის ცენტრალურ ხელისუფლებას, მეორეზე – თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს. ურთიერთობა სხვადასხვა დონის ქვედანაყოფებს შორის აგებულია არა მკაცრი ურთიერთდამოკიდებულების, არამედ, კოორდინაციის საწყისებზე. შტატებში არსებობს სპეციალიზირებული ორგანოებიც, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გამოიძიონ კონკრეტული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეები, ანდა შეასრულონ დანაშაულის გამოვლენასთან, გახსნასთან დაკავშირებული გადაუდებელი მოქმედებები¹.

ერთი მხრივ, ფედერალური საპოლიციო-სამძებრო და, მეორე მხრივ, შტატების ასეთივე ორგანოთა როლსა და მნიშვნელობაზე მოწმობს სტატისტიკური მონაცემები. ყოველწლიურად აშშ-ში წარმოება აღიძვრება დაახლოებით 12-15 მილიონ საქმეზე (მათ შორის, სისხლის სამართლის წესით დასჯად მცირემნიშვნელოვან ხელყოფათა გამო). ასეთი სახის საქმეებზე 99%-ზე მეტ შემთხვევაში წარმოებას ახორციელებენ შტატებში მოქმედი საპოლიციო ქვედანაყოფები. შედარებით აქტიურები არიან საშიში დანაშაულების (ფელონიების) საქმეთა ფედერალური სამსახურები. ასეთი დანაშაულების საქმეთა რიცხვი ყოველწლიურად დაახლოებით 1,5 მილიონს შეადგენს, ხოლო მათ წარმოებაში ფედერალური ორგანოების მონაწილეობის წილი – დაახლოებით 5%-ს.

გამოძიებისთვის არსებობს ზოგიერთი სხვა ორგანოებიც. რიგ შტატებში გვხვდება ინგლისიდან ნასესხები კორონერთა ინსტიტუტი, რომელმაც არსებითად დაკარგა თავისი მნიშვნელობა და სახე იცვალა დროთა განმავლობაში. როგორც წესი, კორონიერები არიან არჩევითი თანამდებობის პირები, რომლებმაც უნდა აწარმოონ გადაუდებელი მოქმედებები გვამის აღმოჩენისას, თუ მას ძალადობრივი სიკვდილის ნიშნები ატყვია და პოლიციას არ დაუწყია თავისი გამოძიება. დაიშვება იქვე კონკრეტულ დანაშაულთა გამოძიების კომისიების შექმნა, თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ ადგილობრივ სამართალდამცავ

¹ მაგალითად, კალიფორნიის შტატის სადამსჯელო კოდექსის §830-832.16-ში (ამ კოდექსის შესახებ იხ. ქვემოთ, მოცემული თავი, §4) დასახელებულია რამოდენიმე ათეული ორგანო და თანამდებობის პირი, რომლებსაც (თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში) უფლება აქვთ განახორციელონ დაკავება, დაკავშირება, პირადი ჩხრეკა და სხვა გადაუდებელი მოქმედებები. მათ შორის დასახელებულია არა მხოლოდ საპოლიციო, სახანძრო სამსახურების, ციხეების უწყების მუშაკები და თანამდებობის პირები, რომლებიც ექვემდებარებიან შტატის გენერალურ ატორნის, არამედ, ასევე, მეტყველები, თანამდებობის პირები, რომლებიც მომხმარებლის ინტერესების დაცვით არიან დაკავებულნი, სასაფლაოების, საუწყებო დაცვის თანამშრომლები (მაგალითად, უნივერსიტეტის პოლიცია) და ა.შ.

ორგანობებს არ შეუძლიათ ობიექტურად გაარკვიონ ეს დანაშაულები. ამგვარ შემთხვევებში გამოძიება შეიძლება განახორციელოს, ასევე, მსაჯულთა დიდმა ჟიურიმ (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ, §6). ფედერალურ დონეზე დასაშვებია თანამდებობის პირების დანიშვნა, (special attorneys), რომლებსაც სპეციალურ პროკურორებს უწოდებენ (რუსულ ლიტერატურაში მათ ზოგჯერ სპეციალურ მრჩეველებად მოიხსენიებენ). ისინი ინიშნებიან აშშ-ს გენერალური ატორნების შუამდგომლობის საფუძველზე, ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით. მათ ეკისრებათ კონკრეტული საქმეების გამოძიება ისეთ დანაშაულებზე, რომლებშიც ჩართულნი აღმოჩნდებიან ფედერალური ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირები და არსებობს საშიშროება, რომ აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის პროკურორები ვერ შეძლებენ იყვნენ ობიექტურნი მათ მიმართ.

სისხლის სამართალწარმოებაში კვლავ აქტიურ როლს თამაშობენ *კერძო დეტექტივები* და *მათი გაერთიანებები*. ისინი კონკრეტულ საქმეზე დაცვის განმახორციელებელ ადვოკატებთან კონტრაქტის გაფორმების საფუძველზე საჭირო პროფესიულ დახმარებას უწევენ ადვოკატებს მტკიცებულებათა შეგროვებაში, რომლებიც ამართლებს მათ კლიენტებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას. დასაშვებია კონტრაქტის გაფორმება *კერძო დეტექტივებსა* და სისხლისსამართლებრივი დევნის ადგილობრივ ორგანობებსა ან დაზარალებულებთან.

4. ადვოკატურა.

ტერმინი „ადვოკატურა“ ამერიკულ და ინგლისურ (იხ. თავი მე-2, §3) სამართლებრივ სისტემებთან მიმართებაში გამოიყენება მხოლოდ არსებითი ხასიათის დათქმებთან ერთად. იგი სხვადასხვაგვარად განიმარტება აშშ-სა და კონტინენტური სამართლებრივი ტრადიციების ქვეყნებში, სადაც ადვოკატურაში მოიაზრებიან პროფესიონალი იურისტები და მათი ნებაყოფლობითი გაერთიანებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სახელმწიფო ორგანობებთან და მოწოდებულნი არიან იურიდიული დახმარება გაუწიონ კერძო პირებსა და ორგანიზაციებს (მათ შორის, განახორციელებენ სისხლის სამართლის საქმეებზე დაცვასა და სასამართლოში სხვა ფორმით წარმომადგენლობას).

ადვოკატთა კოლეგიის ნაცვლად, რომელიც ასე ცნობილია საფრანგეთში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში, აშშ-ში ისტორიულად დამკვიდრდა საადვოკატო პროფესიით დაკავებულ პირთა ორგანიზაციის სხვა ფორმები. უმეტეს შემთხვევაში ისინი წარმოდგენილია სხვადასხვა სახის პრაქტიკოს იურისტთა ასოციაციებით (გაერთიანებებით), სადაც,

გარდა ადვოკატებისა, შედიან სხვა პროფილის იურისტები (პროკურატურაში, პოლიციაში მომუშავე იურისტები ან ბიზნესის მომსახურების ფირმების მფლობელები და თანამშრომლები – იურისკონსულტანტების სახით). ყველა შტატში არსებობს თავიანთი იურისტთა ასოციაციები. არის გაერთიანებები, რომელთა მოქმედების სფერო სცილდება ერთი შტატის ფარგლებს და შეიძლება მოიცავდეს მთელი ქვეყნის ტერიტორიას. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება ფართოდ ცნობილი (ჩვენს დროში აშშ-ში ყველაზე წარმომადგენლობითი) ამერიკელ იურისტთა ასოციაცია (American Bar Association).

ასოციაციების ძირითადი მიზნებია: პროფესიულ საქმიანობაში თავისი წევრებისათვის დახმარების გაწევა; იმ პირთა შერჩევა, რომელთაც შეუძლიათ შეასრულონ პრაქტიკოსი იურისტის ფუნქციები; დისციპლინისა და ასოციაციის წევრების ღირსეული ზნეობრივი სახის შენარჩუნება და მათი ინტერესების დაცვა. ისინი ორგანიზებას უწყვენ ასოციაციაში შესვლის მსურველთა ცოდნისა და შესაძლებლობების შემოწმებას, რეკომენდაციას უწყვენ (ან უარს ეუბნებიან) გარკვეული იურიდიული თანამდებობის დასაკავებლად (მაგალითად, მოსამართლის, პროკურორის). შემომუშავენ იურისტთა ეთიკის წესებს, უზრუნველყოფენ მათ დაცვას, შეაქვთ წინადადებები საკანონმდებლო ორგანოში კანონმდებლობის სრულყოფისათვის ანდა მონაწილეობას იღებენ ზემომოყვანილი (მოცემული თავი, §2) წესების მომზადებაში, რომელსაც სასამართლო გამოსცემს. უკანსკნელ ათწლეულებში ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ამერიკის პრეზიდენტები კონსულტაციას გადიან ამერიკის იურისტთა ასოციაციისთან ფედერალური მოსამართლის ან პროკურორის თანამდებობაზე დასანიშნი შესასწავლი კანდიდატების ღირსებებსა და ნაკლოვანებების თაობაზე.

ასოციაციაში გაწევრიანებისას პირს ეკისრება შემდეგი მოვალეობები: რეგულარულად შეიტანოს საწევრო, რაც რიგ შემთხვევებში, თვეში 200 დოლარის ოდენობით განისაზღვრება; მუდმივად ინარჩუნებდეს მაღალი დონის კვალიფიკაციას; კეთილსინდისიერად ასრულებდეს შეთანხმებებს იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ; განუხრელად დაიცვას დისციპლინა, რომლის დეტალურ წესებს შეიმუშავენ და ამტკიცებს ასოციაციის თვითმმართველობის ორგანოები; დაიცვას თავისი პროფესიული და მთლიანად ასოციაციის პრესტიჟი და სხვა.

ასოციაციის წევრობა არ არის საკმარისი, რომ პირი გახდეს იურისტი, რომელსაც უფლება აქვს გამოვიდეს სასამართლოში და წარმართოს საქმე. საჭიროა სასამართლოში კონკრეტულ საქმეთა წარმართვაზე

ლიცენზიის მიღება, რაც დაიშვება მთელი რიგი პირობების დაცვით. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატში კონკრეტულ სასამართლო ინსტანციებში საქმის წარმოებაზე ლიცენზიის მისაღებად მოცემული საკითხის გადამტყვევტ სასამართლოს უნდა წარედგინოს რიგი დოკუმენტები, რომელთა ჩამონათვალიც დადგენილია. ამ შტატის კანონების მიხედვით, სასამართლოში პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება (მათ შორის სისხლის სამართლის საქმეებზე დამცველის სახით მონაწილეობა) შეუძლიათ მხოლოდ აშშ-ს მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი განათლება, იურიდიული მუშაობის გამოცდილება, შეესაბამებინან მორალურ კრიტერიუმებს, სწამთ აშშ-ს სახელმწიფო წყობილებისა და ლოიალურები არიან მის მიმართ. პრაქტიკული საქმიანობის უფლების საკითხს წყვეტს სასამართლო იმ პირობით, რომ უზენაეს სასამართლოს სააპელაციო განყოფილებასთან არსებული კომიტეტი წინასწარ დაადასტურებს, რომ აღნიშნული პირი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელიც წაყენებათ შტატების სასამართლოში პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების მსურველებს.

ანალოგიური წესებია დადგენილი სხვა შტატებისა და ფედერალურ სასამართლოებში. თუმცა, არსებობს ზოგიერთი თავისებურება: ზოგიერთ შტატში სასამართლოში დაშვებაზე განცხადებას შეიძლება აკონტროლებდეს პროკურორი, რომელსაც უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული გადასცეს იგი სასამართლოს. აშშ-ს უზენაეს სასამართლოში პრაქტიკული საქმიანობისათვის დაშვების განცხადებას მხარს უნდა უჭერდეს სულ მცირე ორი სხვა იურისტი, რომლებიც უკვე ეწევიან პრაქტიკულ საქმიანობას ამ სასამართლოში. სამართალწარმოების წესების მიხედვით, აშშ-ს უზენაეს სასამართლოში პრეტენდენტი წარმოთქვამს ფიცს: „მე...საზიემოდ ვღებ ფიცს (ვაცხადებ), რომ, როგორც ამ სასამართლოს რწმუნებული და კონსულტანტი მოვიქცევი პატიოსნად, კანონის შესაბამისად და დავიცავ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას“. ლიცენზიის მიღება ამ ან სხვა, განსაზღვრული შტატის სასამართლოებში გამოსვლის თაობაზე უფლებას არ აძლევს პირს, წარმართოს საქმე სხვა სასამართლოებში. ამისთვის საჭიროა ცალკე ლიცენზიის მიღება დადგენილი წესის მიხედვით.

უკანასკნელ ათწლეულებში ფართოდ გავრცელდა დაცვის განხორციელება ე.წ. არასმქონეთათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის საჯარო სააგენტოების (public defenders agencies) იურისტების მიერ. ასეთი სააგენტოები დაფინანსებულია ადგილობრივი ბიუჯეტის

სახსრებით¹, ასოციაციის წევრთა სპეციალური შენატანებით (როგორც წესი, ეს არის იმ წევრთა შენატანები, რომლებსაც სასამართლოში საქმეთა წარმართვის ლიცენზია აქვთ, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო არ სურთ მონაწილეობა მიიღონ არასმქონე ან მკირედისმქონე ბრალდებულთათვის იურიდიული დახმარების გაწევაში) და საქველმოქმედო შემოწირულობებით. ეს წყაროები ხშირად საკმაოდ შეზღუდულია და, როგორც წესი, მთლიანად ვერ უზრუნველყოფს სათანადო ხარისხის დახმარებას.

აღნიშნული აიხსნება ყველა ქვეყნის იურისტებისთვის კარგად ნაცნობი, იმ პროზაული გარემოებით, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე ხარისხიანი იურიდიული დახმარებისათვის საჭიროა არა მხოლოდ დიდი ჰონორარი, რათა მოიწვიო მკოდნე და გამოცდილი ადვოკატები, არამედ, ასევე, დიდი (ხშირად მრავალი ათას დოლარიანი) ხარჯების გაწევა ექსპერტთა მოსაწვევად, დაცვის მტკიცებულებათა მოსაძიებლად (ხშირად კერძო დეტექტივების დახმარებით, რაც ასევე ხარჯებთან არის დაკავშირებული) და ა.შ. ასეთი ხარჯების გაწევის საჭიროება მკვეთრად იგრძნობა აშშ-ში და ანგლოსაქსონური სისხლის სამართალწარმოების სისტემის სხვა ქვეყნებში, სადაც მნიშვნელოვან თანხებთან და ძალისხმევასთან დაკავშირებული დაცვის მტკიცებულებების გამოვლენისა და შეგროვების ტვირთი მხოლოდ დაცვის მხარეს ეკისრება².

5. განსჯადობისა და საგამოძიებო ქვემდებარების თავისებურება.

აღნიშნული საკითხები აშშ-ში ისევე წყდება, როგორც სხვა ქვეყნებში. განასხევავენ საგნობრივ, ტერიტორიულ, პერსონალურ (სამხედრო მოსამსახურეები, არასრულწლოვნები, ინდიელები და სხვა) განსჯადობასა და საგამოძიებო ქვემდებარებას. თუმცა, ამ სფეროში კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე არსებით ზეგავლენას ახდენს ამერიკული ფედერალიზმი.

მისი გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა საკმაოდ რთული თანაფარდობა ფედერალურსა და შტატებში ფორმირებულ (სისხლისა და სისხლის

¹ არასმქონეთა დაცვის სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებსაც ფედერალური სასამართლოები განიხილავენ, ფინანსურად უზრუნველყოფილია ფედერალური ბიუჯეტის ხარჯზე, რომელიც მკაცრ კონტროლზე ჰყავს აფხანდი აშშ-ს სასამართლოების ადმინისტრაციულ სამსახურს.

² თუ ვიძულებით აშშ-ს იურისტთა ასოციაციის ჟურნალის („ABA Journal. The Lawyers Magazine“) მრავალ ნომერში დაბეჭდილი სტატიების მიხედვითა და მკითხველთა შეტყობინებებით, მაშინ ე.წ. საჯარო დამკველთა საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა სისხლის სამართლის პროცესში დაცვის უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მწვავე პრობლემაა.

საპროცესო) სამართალს შორის. ერთი მხრივ, ამერიკული ფედერალური და, მეორე მხრივ, თითოეული შტატის სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი არ ავსებენ ერთმანეთს, არამედ, ავტონომიური არიან და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, პარალელურად არსებობენ. ფედერალური და შტატების ხელისუფლება თავიდან ისწრაფოდნენ, რომ აშშ-სა და შტატების კონსტიტუციებით დადგენილ ფარგლებში მოეხდინათ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ყველა საკითხის სრული და ამომწურავი რეგლამენტაცია. ეს ხშირად იწვევს იმ კონკრეტული ნორმების დუბლირებას, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ქმედებისთვის, რომლებიც თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ფაქტობრივი შემადგენლობით. ასეთები მრავლადაა. მათ შორის არის ნორმები, რომლებიც პასუხისმგებლობას აწესებენ განზრახ მკვლელობაზე, ბანკის გაძარცვაზე, ჯანმრთელობის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებაზე, კავშირგაბმულობის საშუალებათა განზრახ დაზიანებასა და სხვა. ცხადია, ასეთი ნორმები ხშირად იწვევს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების საგამოძიებო ქვემდებარეობის ან განსჯადობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ არსებით სიმწელებებს.

იმისთვის, რომ გავერკვეთ აშშ-ში სისხლის სამართლისა და სისხლის საპროცესო სამართალს შორის ჩამოყალიბებულ თანაფარდობაში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფედერალური სისხლის სამართლის კანონების მოქმედების სფერო ყოველთვის ერთნაირი არ არის. ისინი სხვადასხვაგვარად მოქმედებენ სიერცეში: ამ კანონების ერთი ჯგუფი მოქმედებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო, მეორე – მხოლოდ მის ცალკეულ ნაწილებში.

პირველ მათგანს მიეკუთვნება კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ე.წ. ფედერალური ელემენტების შემცველი დანაშაულებისთვის. ესე იგი, დანაშაულები, რომლებიც უშუალოდ ხელყოფენ ფედერაციის (ფედერალური კანონების, ხელისუფლების, სასამართლოს) მიერ დაცულ ობიექტებს. მათ მიეკუთვნება დანაშაულები:

ჩადენილი ფედერალური ორგანოების თანამდებობის პირების მიმართ (მათი მკვლელობა, სხეულის დაზიანება, სამსახურობრივი მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შეშლა, დისკრედიტაცია და სხვა);

ჩადენილი ფედერალური ორგანოების თანამდებობის პირების მიერ, თავიანთი მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებით (მინდობილი ქონების მისაკუთრება, მექრთამეობა და სხვა);

რომლებიც ხელყოფენ ორი ან მეტი შტატის (ავტომანქანის ქურდობა ან მისი გატაცება სხვა შტატში), ფედერალური დაწესებულებების

(მაგალითად, საფოსტო უწყების) ან მთლიანად აშშ-ს ხელისუფლების ინტერესებს (ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფა, სამხედრო დანაშაულთა უმრავლესობა).

ასეთი სახის კანონებს გამოიყენებენ ფედერალური სასამართლოები და სხვა სამართალდამცავი ორგანოები ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში, ნებისმიერი შტატის ტერიტორიაზე ან აშშ-ს მფლობელობაში შემავალ სხვა ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება მათი იურისდიქცია.

რაც შეეხება მრავალ სხვა დანაშაულს (რომლებიც არ შეიცავს „ფედერალურ ელემენტს“), მათზე პასუხისმგებლობას შტატების კანონმდებლობა ადგენს. შესაბამისად, ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირები იღვენებიან შტატების ხელისუფლების მიერ.

ფედერალური სისხლის სამართლის კანონთა მქონე უკუფიზიციანი იმ კანონებს, რომლებიც გამოიყენება ფედერალურ ხელისუფლებას უშუალოდ დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე: ეროვნული პარკები; სამხედრო დაწესებულებებს დაქვემდებარებული ან ფედერალური ხელისუფლების მიერ დარეზერვებული ტერიტორიები; აშშ-ს დროშის ქვეშ მცურავი ხომალდები და სხვა.

ამ სახის ტერიტორიებზე გამოყენებული ფედერალური სისხლის სამართლის კანონთა წრე გაცილებით ფართოა, რადგან მათზე ფედერალურ (საკანონმდებლო და სასამართლო) ორგანოებს სრული ძალაუფლება გააჩნიათ. ასეთი სახის ფედერალურ კანონებში შედის კანონები, რომლებიც ადგენენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ყველა სახის მართალსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, მათ შორის, რომლებშიც არ არის „ფედერალური ელემენტი“. ეს უკანაქნელნი თავიანთი შინაარსით ბევრად ჰგავანან შტატების სისხლის სამართლის კანონებს: ადგენენ პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის მკვლელობისათვის, მიუხედავად მისი კუთვნილებისა ფედერალური დაწესებულებისადმი; ასეთი პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების, თაღლითობის, გაუპატიურების, ქურდობისა და შეურაცხყოფისათვის და სხვა. აქვე შედის სამხედრო იუსტიციის ერთიანი კოდექსი (Uniform Code of Military Justice), რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას სამხედრო დანაშაულებისათვის.

განსაკუთრებულ მდგომარეობაშია ჩაყენებული კოლუმბიის ოლქის ტერიტორია. აშშ-ს კონგრესი გამოსცემს კანონებს (რომლებიც ადგენენ პასუხისმგებლობას დანაშაულებსა და სამართალდარღვევებზე) საქციალურად მოცემული ტერიტორიისათვის და ზღვება მათი ინკორპორირება კოლუმბიის ოლქის კანონთა კრებულში¹. სხვა სიტყვებით,

¹ იმ შემთხვევაში, როდესაც ზღვება რაიმე ქვეყნის, რომელიც პირდაპირ არ არის აკრძ-

ყველა, ვინც აშშ-ს დედაქალაქის ტერიტორიაზე ჩაიდენს ნებისმიერ დანაშაულს ან სხვა სამართალდარღვევას, პასუხს აგებს აშშ-ს კონგრესის მიერ მიღებული სპეციალური კანონებით. შესაბამისად, მის საქმეს გამოიძიებენ და გადაწყვეტენ შესაბამისი ფედერალური ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ დასახელებულ ოლქში.

გარკვეული თავისებურებანი არსებობს, რომლებიც დადგენილია ინდიელთა რეზერვაციებისათვის. მათ ტერიტორიაზე ფედერალური კანონები გამოიყენება არა ისე, როგორც შტატებში. ამას მოწმობს აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §1153-ის "ა" პუნქტი¹, რომელშიც ნათქვამია: „ყოველი ინდიელი, რომელიც ინდიელთა საგრაფოს ტერიტორიაზე ჩაიდენს სხვა ინდიელის პიროვნების ან ქონების, ანდა სხვა პირის წინააღმდეგ ნებისმიერ შემდეგ დანაშაულს: განზრახ მკვლელობა; მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე; ადამიანის გატაცება; დასახიჩრება; ნებისმიერი მძიმე დანაშაული (ფელონია. - კ.გ.), რომელიც გათვალისწინებულია 109A-ე თავში²; სისხლის აღრევა; თავდასხმა ძალადობის გამოყენებით (assault) განზრახ მკვლელობის ჩადენის მიზნით; თავდასხმა ძალადობით და საშიში იარაღის გამოყენებით; თავდასხმა ძალადობით, რომელმაც სხეულის მძიმე დაზიანება გამოიწვია, რომელიც გათვალისწინებულია ამ კარის §1365-ით; ძალადობის გამოყენებით თავდასხმა პირზე, რომელსაც არ მიუღწევია 16 წლის ასაკისთვის; ცეცხლის წაქიდება; საკეტის გატეხვა და შენობაში შეღწევა მძიმე დანაშაულის ჩადენის მიზნით (burglary); ძარცვა, ასევე, მძიმე დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია ამ კარის §661-ით³, განისჯება იმავე კანონებით და შეეფარდება იგივე სასჯელი, რომელიც

ლული დასახელებული კრებულის კონკრეტული დანაწესით, მაგრამ დანაშაულად ითვლება შტატის კანონებით და სამართლო დანაშაულად სცნობს ვინმეს ასეთი ქმედების ჩადენაში, გათვალისწინებული კონტინენტური სამართლებრივი სისტემის იურისპრუდენციის უწყველი წესი. კრებულის §22-107-ში ნათქვამია: „ყველა, ვინც ცნობილი იქნება დანაშაულად ნებისმიერ დანაშაულში, რომელსაც არ ითვალისწინებს ამ კრებულის რომელიმე პარაგრაფი ანდა ფედერალური საერთო კანონი (შხველვობაშია ზემოთ ნახსენები ფედერალური კანონების მთარე გჯგუთი. - კ.გ.), რომელიც გამოიყენება კოლუმბიის ოლქის ტერიტორიაზე, ისევეა ჯარიმით, რომლის ოდენობა არ აღემატება 1000 დოლარს ან/და თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე ვადით“. სხვაგვარად რომ უთქვამთ, დასაშვებია სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდება ისეთი ქმედებებისათვის, რომელიც კოლუმბიის ოლქისათვის გამოცემული კანონების დანაწესებით აკრძალული არ არის.

1 აშშ-ს კანონთა კრებულში, რომელიც მიღებულია ჯერ კიდევ 1909 წელს, მოცემული პარაგრაფი შესულია კანონით. შემდეგ იგი პრავალურ შეიქცა და შეიცვალა. აქ მოყვანილია მისი რედაქცია 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2 საუბარია აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის თავზე, რომელიც ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ყველა სახის სექსუალური ძალადობისათვის.

3 ეს პარაგრაფი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სხვისი ქონებისა და სხვა ფასეულობის ყველა სახის მიტაცებისთვის, რომლებიც ჩადენილია ფედერალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში შემავალ ტერიტორიებზე.

გამოიყენება სხვა პირების მიმართ, რომლებმაც ასეთი სახის დანაშაულები ჩაიდინეს შეერთებული შტატების იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §1153-ის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილ დანაშაულთა საქმეთა წარმოებისას ფედერალური და შტატების ხელისუფლებათა კომპეტენციის გამოიჯენისათვის დადგენილი წესები ეფუძნება ორ კრიტერიუმს: 1) პერსონალურს (დანაშაული ინდივიდის მიერ უნდა იყოს ჩადენილი); 2) ტერიტორიალურს (ის უნდა მოხდეს ინდივიდთა საგრაფოს (რეზერვაციის) ტერიტორიაზე). მხედველობაში მიიღება მესამე კრიტერიუმიც – საქმის საგანი (შინაარსი).

უფრო რთული მიდგომაა *სამოქალაქო და სამხედრო სამართალ-დამცავი ორგანოების კომპეტენციის გამოიჯენის* მიმართ. ამერიკის სამხედრო იუსტიციის ორგანოების დაქვემდებარებაშია სისხლის სამართლის საქმეები სამხედრო დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია სამხედრო მოსამსახურეების მიერ (განსაზღვრულ პირობებში – სხვა დანაშაულებიც). სამხედრო დანაშაულებს მიეკუთვნება, მაგალითად: ამბოხება (mutiny); სუბორდინაციის მოთხოვნათა დაუცველობა (insubordination); სამსახურობრივი მოვალეობის დაუდევრად შესრულება (neglect of duty); უღირსი საქციელი (unbecoming conduct); სამხედრო იუსტიციის ერთიანი კოდექსით გათვალისწინებული ქურდობა, ძარცვა, გაუპატიურება და განზრახ მკვლელობა.

რაც შეეხება „არასამხედრო“ („სამოქალაქო“) დანაშაულებს, რომელთა გამოც სამხედრო მოსამსახურე შეიძლება მიეცეს პასუხისმგებლობა სამხედრო იუსტიციის ორგანოების მიერ, მათ რიცხვს მიეკუთვნება ყველა სხვა ქმედება, რომელიც აკრძალულია იმ სისხლის სამართლის კანონის ნორმებით, რომლებიც მოქმედებს როგორც მთელი ფედერაციის მასშტაბით, ისე კონკრეტულ შტატებში, მაგრამ ზოგიერთი პირობის არსებობისას:

- თუ ასეთი („სამოქალაქო“) დანაშაული დაკავშირებულია სამხედრო სამსახურობრივი მოვალეობის შესრულებასთან (service – connected) ან გააჩნია „სამხედრო მნიშვნელობა“ (of military significance);
- თუ ის ჩადენილია სამხედრო სამსახურის აშშ-ს ტერიტორიის ფარგლებგარეთ მოხდის დროს.

სისხლის სამართლის საქმეზე ასეთი პირობების არარსებობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურის მიერ ჩადენილ „სამოქალაქო“

დანაშაულზე წარმოებას ახორციელებენ ფედერალური ან შტატების შესაბამისი სამოქალაქო ორგანოები.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების სფეროში ფედერაციისა და შტატების, ასევე, სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებათა კომპეტენციების გამიჯვნის საკითხთა გადაწყვეტის შემომოყვანილი რთული გზები უშუალოდ განაპირობებენ სისხლის სამართლის საქმეთა განსჯადობის, საგამოძიებო ქვემდებარეობის წესებს, ფედერალური და შტატების სასამართლოებისა და სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციითა თანაფარდობას.

პრაქტიკული გამოყენებისას ეს წესები ყოველთვის ზუსტად არ განსაზღვრავენ, თუ რომელმა ორგანომ (ფედერალურმა თუ შტატის) უნდა განახორციელოს წარმოება კონკრეტულ ფაქტზე ან სისხლის სამართლის საქმეზე. დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების აღმოჩენის მომენტისათვის ყოველთვის არ არის შესაძლებელი ზუსტად განისაზღვროს საგამოძიებო ქვემდებარეობა ან განსჯადობა, რადგან „ფედერალური“ ელემენტი ერთი შეხედვით არ ჩანს ანდა ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისას არ არის გარკვეული იგი ინდიელმა ჩაიდინა ინდიელთა რეზერვაციის ტერიტორიაზე, თუ ვინმე სხემ. მაგალითად, შეიძლება ადგილობრივმა შერიფმა ტყის განაპირას აღმოაჩინოს გვამი ძალადობრივი სიკვდილის ნიშნებით. ამ მომენტისთვის მას არ შეუძლია ზუსტად განსაზღვროს, თუ ვინ არის მოკლული, ვის მიერ არის მოკლული და მისი ქვემდებარეა თუ არა ეს საქმე. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამ საქმით უნდა დაკავდნენ ფედერალური სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები.

მსგავსი სირთულეების დაძლევის (საკანონმდებლო) პრაქტიკა დიდი ხანია ეყრდნობა იმას, რომ „გაურკვეველ სიტუაციებში“ საქმის წარმოება უნდა დაიწყოს იმ ორგანომ, რომელიც პირველი მიიღებს ინფორმაციას დანაშაულის შესახებ ან გამოაუვლენს მას. როდესაც უკვე გამოიკვეთება შესაბამისი დეტალები, ის უნდა გადაეცეს კომპეტენტურ ორგანოს.

§ 4. მტკიცებულება და მტკიცება:
ამოსაპალი დეპუტატები

1. სისხლის სამართლის პროცესის განმარტება, როგორც წაყენებული ბრალდების გამო ბრალდებულსა და ბრალდებულს შორის სასამართლოში მიმდინარე კამათისა და ამ განმარტების შესაბამისად მისი შინაარსის განსაზღვრა, ერთობლიობაში წარმოადგენს არსებით ფაქტორს, რომელიც წინასწარ გადაწყვეტს მტკიცებულებითი სამართლის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს მტკიცების მიზნის, ესე იგი, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ჭეშმარიტების დადგენის აუცილებლობისა და შესაძლებლობის შესახებ.

ახლო წარსულში ამერიკული სისხლის სამართლის საპროცესო დოქტრინაში ცალსახად იზიარებდნენ შეხედულებას, რომ სისხლის სამართლის პროცესი არ არის ის კამათი, რომლის დროსაც უნდა იბადებოდეს ჭეშმარიტება. პროცესის თითოეული მონაწილე მიმართავს სასამართლოს, რათა დაიცვას თავისი ინტერესი. (სახელმწიფო) ბრალდებლის მიზანია სისხლის სამართლის პასუხივებაში მიცემული პირის მსჯავრდება და დასჯა, ხოლო ბრალდებული (განსასჯელი) ან მისი დამცველი ყველა საშუალებით „იგერიებს“ ამ ბრალდებას. ნათელია, რომ მათი მიზნები ასეთ სასამართლო ორთაბრძოლაში შეუთავსებელია ჭეშმარიტების დადგენასთან. ისინი ისწრაფვიან თავიანთი ინტერესების დაცვისა და საქმის „მოგებისაკენ“. როგორც ცნობილი პრაქტიკოსი იურისტი ჯ.ფრენკი აღნიშნავდა, „...იურისტის მიზანს წარმოადგენს ბრძოლის მოგება და არა სასამართლოსათვის ფაქტების დადგენაში დახმარების აღმოჩენა“¹.

რაც შეეხება სასამართლოს, დოქტრინალური განმარტების შესაბამისად, მისი დანიშნულებაა დააფიქსიროს არა ჭეშმარიტება, არამედ, თუ ვინ „მოიგო“, „გაიმარჯვა სასამართლო დუელში (ბრძოლაში)“. აღნიშნულის შესახებ პირდაპირ წერდა პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი გ. აბრაჰამი და აღნიშნავდა, რომ „...მოსამართლე არც ერთ შემთხვევაში არ არის ჭეშმარიტების აქტიური მაძიებელი წარმოდგენილ მტკიცებულებებთან მიმართებაში“².

სასამართლოში ჭეშმარიტების დადგენის შეუძლებლობის დასაბუთებისათვის ფართოდ გამოიყენებოდა ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტები. მათი ტიპური მაგალითია ის, რომელიც გამოიყენა მტკიცე-

1 Frank J. Courts on Trial. N.Y., 1963. P.85.

2 Abrahams. II. The Judicial Process. 2d. ed. N.Y., 1968. P.100.

ბულებითი სამართლის სფეროში აშშ-ს ერთ-ერთმა ცნობილმა და ღღემდე ავტორიტეტულმა სპეციალიტმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ყოფილმა პროფესორმა ე.მორგანმა. 1942 წელს ამერიკის სამართლის ინსტიტუტში შეგუშავებულ და გამოცემულ „მტკიცებულებათა სამაგალითო კოდექსის“ წინასიტყვაობაში იგი განაზოგადებს თავისი ამერიკელი კოლეგების შეხედულებებს, სასამართლო პრაქტიკას და ამტკიცებს: „მოაზროვნე იურისტები ნათლად ხედავენ, რომ სამართლებრივი დაეა არ არის და არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტების დადგენის მიზნით ჩატარებული მეცნიერული გამოკვლევა“. შემდგომ ის აღნიშნავს, რომ სასამართლო ხშირად იძულებულია დასჯერდეს არაობიექტურ მტკიცებულებებს, მოწმეები შეიძლება არ იყვნენ კეთილსინდისიერი ანდა გულწრფელად ცდებოდნენ, სასამართლო განხილვა ჩვეულებრივ ლიბიტირებულია მკაცრი ვადებით და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იგი ასკვნის: „შედეგად, საჭიროა თავიდანვე ვალიაროთ, რომ აქ არ შეიძლება ველოდოთ აბსოლუტურად ზუსტ შედეგებს, საზოგადოება და მოკამათე მხარეები უნდა დაკამოფილდნენ საკმაოდ უბეში მიახლოებით იმასთან, რასაც შეიძლება მეცნიერი ითხოვდეს (კურსივი ეკუთვნის - კ.გ.-ს)“.

ე.მორგანის მოსაზრებებს სხვა მეცნიერებიც იზიარებენ. სასამართლოში ჭეშმარიტების დადგენის შეუძლებლობისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა არა უტყუარად დადგენილ ფაქტებზე, არამედ „უბეში მიახლოების“ საფუძველზე მიღების დაუშვებლობის შესახებ ანალოგიურ არგუმენტებს მიმართავენ სისხლის სამართალწარმოების სხვა მკვლევარებიც. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ.უენსტინი

1 იხ.: Model Code of Evidence as Adopted and Promulgated by the American Law Institute. Phil., 1942.

12 წლით ადრე (1930 წელს) ამერიკის სამართლის ინსტიტუტმა, საჯელომჰელო ფონდების ხონსორობით, შეიმუშავა და გამოისცა სამაგალითო სისხლის სამართლის კოდექსი. ეს კოდექსი და სამაგალითო კოდექსი მტკიცებულების შესახებ ჩაიჭრებული იყო როგორც საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ სფეროში კანონმდებლობის და სხვა სამართლებრივი აქტების უნთიკაისა და მოწესრიგებას. თავის დროზე მათ ითამაშეს გარკვეული როლი. მათი დადოცებული იდეების გავლენა არსებითად აისახა იმ სისხლის საპროცესო კანონმდებლობასა და სასამართლო წესებში, რომლებიც 40-50-იან წლებში მიიღეს და გამოისცეს. ჩვენს დროში დასახლებული კოდექსები თითქმის მთლიანად დაიცვებულია. მათ იმუთად მოიხსენიებენ მეცნიერულ ტრაქტატებში, სისხლის სამართლის პროცესისა და მტკიცებულებითი სამართლის მოცულობით კურსებში. სასამართლო გადაწყვეტილებებში იმუთად ვერდნობიან მათ, როგორც „ავტორიტეტულ წყაროებს“.

ეს კოდექსები ჩანაცვლეს მტკიცების წესების უნიფიცირებულმა აქტმა, სისხლის სამართლის პროცესის უნიფიცირებულმა წესებმა, სხვა ზოგიერთ უნიფიცირებულმა აქტებმა და წესებმა (მათზე საუბარი გაქინდა ზემოთ - მოცეული თავი, §2).

2 იხ.: Model Code of Evidence as Adopted and Promulgated by the American Law Institute. Phil., 1942. P.3-4.

(ემორგანის გამონათქვამებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ) წერდა: „შეუძლებელია შემუშავება სისტემისა, რომელიც მოგვცემდა საშუალებას, რომ ფაქტები უტყუარად დგინდებოდეს“. ამ მოსაზრებებს დღესაც ბევრი მომხრე ჰყავს. ბოლო დროს რუს იურისტებს შორისაც გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც ისწრაფვიან „გააოცონ პატივცემული საზოგადოება თავიანთი ორიგინალური იდეებით“, სინამდვილეში კი ითვისებენ სხვა ავტორთა მოსაზრებებს.

ემორგანისა და მისი მომხრეების მოსაზრებები საბოლოო ჯამში ასახავდა იმას, რაც დიდი ხნის მანძილზე მყარად დამკვიდრდა ამერიკულ (ასევე, ინგლისურ) სასამართლო პრაქტიკაში, რომელიც არ ემყარებოდა ჭეშმარიტების დადგენის აუცილებლობას. ამერიკული სასამართლოები არ იყო ორიენტირებული ჭეშმარიტების დადგენაზე, არამედ ისწრაფვოდა დაერწმუნებინა მოსამართლეები ფაქტების დამტკიცებაში „გონივრული ეჭვის მიღმა“. თუ რას გულისხმობდა აღნიშნული ფორმულა, მრავალი მკვლელობის მიუხედავად, დღემდე არ არის ცალსახად და ყველასათვის ერთნაირად გასაგებად გამოფრული.

ითვლებოდა, რომ ჩამოყალიბებულ სასამართლო პარაქტიკასთან შესაბამისობაში იგი ორგვარად უნდა განიმარტებოდეს: ერთ შემთხვევაში, სასამართლოებს შეუძლიათ მოითხოვონ მტკიცების შედარებით მაღალი სტანდარტი (დონე) (მტკიცებულებები უნდა გამორცხავდნენ ნებისმიერ სხვა ჰიპოთეზას, დაზნაშავეობის *ჰიპოთეზას* გარდა), ხოლო, მეორეში – აშკარად დადაბლებული („მტკიცებულებათა გადაწონვის“ – preponderance of evidence). მოსამართლის შეხედულებაზე დამოკიდებული, თუ როდის და რომელ კონკრეტულ სიტუაციაშია (მაგალითად, განსასჯელის დაზნაშავეობის საკითხის გადაწყვეტის, იმ გარემოებათა დადგენის, რომლებიც გამორიცხავენ მტკიცებულებათა დასაშვებობას, განსასჯელის მიერ აღიარების ნებაყოფლობითობის შეფასებისა ან „ჰაბეას კორპუსის“ პროცედურით დადგენილი წესით პატიმრობაში ყოფნის კანონიერების დადგენისას) დასაშვები ამ სტანდარტებიდან რომელიმეს გამოყენება. თუმცა, შედარებით მაღალი სტანდარტი, რომელიც მოითხოვს, რომ გადაწყვეტილება მიიღებოდეს „დაზნაშავეობის ჰიპოთეზის“ საფუძველზე, შორს დგას ჭეშმარიტების მიღწევის მიზნისგან. ნებისმიერი ჰიპოთეზა მხოლოდ ვარაუდია და არა რაიმეს უტყუარად ცოდნა.

მტკიცებულებითი სამართლის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლე-

1 იხ. აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება Lego w. Twomey-ის საქმეზე (1972 წელი) // *Kamisar Y., Lu Five W.R., Israel J.H. Op. cit. P. 787.*

მის გადაწყვეტისადმი ასეთ მიდგომას ფართოდ აღიარებდნენ. თუმცა შეიძლება დავასახელოთ ამერიკელი იურისტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ დებულებას, რომ სასამართლოში უნდა დგინდებოდეს ჭეშმარიტება და არა „უხეში მიახლოება“, „მტკიცებულებათა გადაწონა“ ან „დამნაშავეობის ჰიპოთეზა“. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან აშშ-ში ცნობილი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები: ჯ. უიგმორი, ა. ვანდერბილტი, დ. ფელმენი, ბ. სტენტონი. თითოეულ მათგანს თავისებურად ესმოდა ეს დებულება. ფართოდაა გაერცელებული მოსაზრება, რომ ჭეშმარიტება, რომელსაც სასამართლო ადგენს, არის „მორალური უტყუარობა“, მოსამართლის რწმენა ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესახებ. ჩიკაგოელი იურისტი ბ. სტენტონი მოსამართლეებისათვის რეკომენდაციის მიცემისას, თუ როგორ უნდა განემარტათ მათ ჭეშმარიტების ცნება ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქტირებისას (სადამრიგებლო სიტყვაში), წერდა: „...მტკიცებულებები უნდა ამტკიცებდეს ფაქტის ჭეშმარიტებას მორალური განსაზღვრულობით (moral certitude), რომელიც არწმუნებს და შთააგონებას მათ, ვინც ვალდებულია იმოქმედოს შეგნებულად და აკმაყოფილებს მათ კეთილგონიერებასა და აზროვნებას“¹.

ტერმინი „ჭეშმარიტება“ და ორიენტირება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტისას სასამართლოს მიერ მის დადგენაზე აღიარებულია არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევებსა და პრაქტიკულ დამხმარე სახელმძღვანელოებში. XX საუკუნის ბოლო ათწლეულების მანძილზე გამოცემულ ამერიკულ კანონებსა და სხვა ავტორიტეტულ სამართლებრივ აქტებში ხშირად ვხვდებით დანაწესებს, რომლებიც ეუფძნება დებულებას, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე უნდა დადგინდეს ჭეშმარიტება.

ამის ერთ-ერთი მაგალითია კალიფორნიის შტატის სადამსჯელო კოდექსის (Penal Code)² §1096, სადაც აღნიშნულია: „ბრალდებული ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეში ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო და გონიერული ეჭვის არსებო-

1 Stanton B. Illinois Criminal Law and Practice. Vol. II. Chicago, 1955. P. 416.

2 ამ კოდექსის სახელწოდება უკავშირდება იმას, რომ მასში მოცემულია ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ იმ ურთიერთობების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებსაც მოიცავენ სისხლის, სისხლის საპროცესო, პენიტენციური (სისხლის სამართლის სადარღვებო) სამართალი და აქტები სასამართლოების, სხვა სამართალდამცემი ორგანოების ორგანიზაციისა და საქმანობის საუფლებლის საკითხების შესახებ. თუ რუსეთის კანონმდებლობას შევადარებთ, შეიძლება დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ კალიფორნიის შტატის სადამსჯელო კოდექსში გაერთიანებულია ის, რასაც ეხდებოდა რუსეთში მოქმედი სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სისხლის სამართლის სადარღვებო კოდექსები, კანონი „სასამართლო სისტემის შესახებ“ და სხვა კანონები სამართალდამცემი საქმანობის შესახებ.

ბის შემთხვევაში იმის შესახებ, რომ მისი დამნაშავეობა დანამდვილებით არის დადასტურებული, მას აქვს გამართლების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ამ პრეზუმფციის მიზანია დააკისროს (კალიფორნიის. - კ.გ.) შტატს მისი დამნაშავეობის გონივრული ეჭვის მიღმა (beyond a reasonable doubt) მტკიცების ტვირთი...". აქვე მოცემულია „გონივრული ეჭვის“ განმარტება: „გონივრული ეჭვი გულისხმობს შემდეგს: „იგი არ არის უბრალოდ შესაძლო ეჭვი, ვინაიდან ყველაფერი, რაც ადამიანურ საქმეებს შეეხება (human affairs), ღიაა რაიმე შესაძლო ან წარმოსახვითი ეჭვისათვის. ის წარმოადგენს საქმის ისეთ ვითარებას, რომლის დროსაც, ყველა მტკიცებულების სრულად განხილვისა და ურთიერთშედარების შემდეგ, ნაფიც მსაჯულთა გონება რჩება ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მათ არ შეუძლიათ დანამდვილებით თქვან, რომ მტკიცედ არიან დარწმუნებულნი ბრალდების *ჭეშმარიტებაში* (an abiding conviction of the truth of the charge)“.

მრავალი სხვა შტატის კანონმდებლობა ჭეშმარიტებას ასევე განმარტებას, როგორც მტკიცების ან მთლიანად სისხლის სამართალწარმოების მიზანს. ტეხასის შტატის სსს კოდექსში ჭეშმარიტების დადგენაზე ორიენტირება მოცემულია ნორმაში, რომელიც აწესრიგებს საქმის წინასწარ მოსმენას სასამართლოში არსებითად განსახილველად მის გაგზავნამდე. ამ კოდექსის მე-16.01 მუხლში აღნიშნულია: „იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული წარედგინება მაგისტრატს წინასწარი განხილვისათვის (for examining trial), ამ თანამდებობის პირმა უნდა განახორციელოს წარდგენილი ბრალდების *ჭეშმარიტების* წინასწარი შემოწმება (the truth of the accusation made), რა დროსაც ბრალდებულს უნდა მისცეს საკამრისი დრო დამცველის მოსაწვევად (კურსივი ეკუთვნის - კ.გ.-ს)“.

„ჭეშმარიტების“ ტერმინი ხშირად გვხვდება სასამართლოების მიერ გამოცემულ წესებში. ნიუ-ჯერსის შტატში მიღებული მტკიცების წესების მე-5 წესში, სადაც აღნიშნულია, რომ მტკიცებულებითი სამართლის სფეროში სასამართლო სამართალშემოქმედებისათვის კვლავ ფართო ასპარეზია, გათვალისწინებულია, რომ: „ამ წესების მიღება არ უნდა აბრკოლებდეს მტკიცებულებითი სამართლის განვითარებასა და სრულყოფას იმ ძირითადი პრინციპების შესაბამისად, რომელთა მიზანია - *ჭეშმარიტების* (the truth) სამართლიანად დადგენა“.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწონებულ, მტკიცების ფედერალური წესების 102-ე წესში, („მიზანი და განმარტება“) ტერმინი

„ჭეშმარიტება“ გამოიყენება შედარებით განსხვავებულ კონტექსტში: „ეს წესები ისე უნდა განიმარტებოდეს, რომ უზრუნველყოფილი იყოს მიუკერძოებლობა მათი განხორციელებისას, გაუმართლებელი ხარჯებისა და დროის დაკარგვის აცილება, ასევე, მტკიცებულებითი სამართლის განმტკიცება, სრულყოფა, რათა საბოლოოდ შესაძლებელი იყოს ჭეშმარიტების (the truth) დადგენა და წამოჭრილ საკითხთა სამართლიანი გადაწყვეტა“¹.

ამ წესის ფორმულირება სიტყვასიტყვით დუბლირებულია ანალოგიურ აქტებში, რომლებიც მოწონებულია შტატების მრავალი უმაღლესი სასამართლოების მიერ². ამიტომ, მტკიცების ფედერალური წესების მიღება და ამოქმედება შეიძლება ჩაითვალოს იმ გარდატეხად, რომელმაც საფუძველი დაუდო ჭეშმარიტების, როგორც მტკიცების მიზანთან მიმართებაში საკანონმდებლო ორგანოებისა და სასამართლოების თავშეკავებული დამოკიდებულების აქტიურ დაძლევას.

2. სისხლის სამართლის პროცესის განმარტება, როგორც კამათისა, წინასწარ განსაზღვრავს ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარების მტკიცებულებითი მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტას. ამ სახის მტკიცებულებას (ისევე, როგორც ეს ინგლისში ხდებოდა უძველესი დროიდან) წინასწარ ეძლევა აშკარად უპირატესი შეფასება, რასაც საფუძველად უდევს ის ფაქტი, რომ ჩვენი დოქტრინა და პრაქტიკა (სასამართლო და საკანონმდებლო) დღემდე ეყრდნობა მოსაზრებას, რომ: თუ სისხლის სამართალწარმოება არის კამათი, სადაც მისი ერთ-ერთი მონაწილე (ბრალდებული) თავს ცნობს ბრალეულად („დამარცხებულად“), მაშინ აზრს კარგავს ასეთი კამათის გაგრძელება, რადგან ის, რაც საკამათოდ მიიჩნევა ყველა სისხლის სამართლის საქმეზე (კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი), ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების შემდეგ აღარ არსებობს.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირის პოზიციაზე.

¹ კურსივი ეკოთენის - კვ.-ს.

² იხ. კოლორადოს მტკიცებათა წესების (Colorado Rules of Evidence) (რომელიც ამ შტატის უმაღლესმა სასამართლომ დაამტკიცა 1979 წლის 23 ოქტომბერს და მოქმედებაში შევიდა 1980 წლის 1 იანვარს) წესი 102-ე.

შსგავსება ფორმულირებისა, რომლებიც შეეხება მტკიცებათა მიზნების განსაზღვრას, აიხსნება იმით, რომ 102-ე წესის ტექსტი სიტყვასიტყვით არის გადმოდებული ზემოხსენებულ, მტკიცების წესთა უნიფიცირებულ აქტში (Uniform Rules of Evidence Act), რომლის თავდაპირველი ვარიანტი 1974 წელს მოიწონა შტატების უნიფიცირებულ სამართლებრივ აქტებზე შტატების უფლებამოსილ პირთა კონფერენციამ (იხ. ზემოთ - მოცემული თავი, §2) და რეკომენდაცია გაუწია, რათა იგი გათვალისწინებული ყოფილიყო შტატებში შესაბამისი კანონების ან სასამართლო წესთა მოზადებისას (ამ რეკომენტის დაზუსტებული ტექსტი შევიძლიათ ნახოთ ჟენსილედანიის უნივერსიტეტის ინტერნეტ გვერდზე: www.law.upenn.edu/bll/ulc).

მისთვის წაყენებულ ბრალდებასთან მიმართებაში, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წინასასამართლო წარმოებისას პოლიციის მოქმედებათა შინაარსი. თუ პირი ეთანახმება მისთვის წაყენებულ ბრალდებას (ეჭვს), მაშინ აღარ არის საჭირო მისი მამხილებელი ყველა მონაცემის მოძიება, რადგან ისინი საჭირო აღარ იქნება სასამართლოში. ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში თავისი ბრალის აღიარება საშუალებას იძლევა საქმე გამარტივებული წესით დასრულდეს ე.წ. „ბრალის აღიარების გამო გარიგებაზე“ მოლაპარაკების მეშვეობით (guilty plea negotiations – ვერცლად ამის შესახებ იხ. მოცემული თავი, §7).

ბრალდებულის დამოკიდებულება წაყენებული ბრალდებისადმი გავლენას ახდენს სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალური სტადიის, სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციით არსებითად განხილვის შინაარსის განსაზღვრაზე; საერთო წესის სახით განსასჯელის დადებითი პასუხი კითხვაზე – აღიარებს თუ არა იგი თავის ბრალს – საფუძვლად უდევს იმას, რომ აღარ მოხდეს ნაფიც მსაჯულთა ჟიურის დაკომპლექტება და (გამამტყუნებელ) მტკიცებულებათა სასამართლო შემოწმება. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო ასრულებს ცალკეულ მოქმედებებს (უპირველეს ყოვლისა, ამოწმებს განსასჯელის მიერ ბრალის აღიარების ნებაყოფლობითობას) და უფლება აქვს დაუყოვნებლივ შეუდგეს სასაჯელის ზომის შეფარდებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებას ისე, რომ არსებითად არ ჩაწვდეს საკითხს: ნამდვილად იყო თუ არა ჩადენილი დანაშაული; რომელი დანაშაული იყო ჩადენილი; ჩაიდინა თუ არა იგი განსასჯელმა. ჯერ კიდევ 1926 წელს, კერჩეველას საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ: „იგი (აღიარება. – კ.გ.), ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის მსგავსად, საბოლოოა. მეტი აღარაფერია საჭირო, სასამართლომ მხოლოდ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს და შეუფარდოს სასაჯელის ზომა“.

ბრალის აღიარების ფაქტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასაჯელის შეფარდების პრაქტიკაზე (იგი მხედველობაში მიიღება კონკრეტული სასაჯელის ზომის შეფარდებისას – ჯარიმის ოდენობა, თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლიობა, იმ მოთხოვნათა რაოდენობა და ხასიათი, რომლებიც უნდა დაიცვას პირობით მსჯავრდებულმა და ა.შ.) და მსჯავრდებულის უფლებათა მოცულობაზე განაჩენის გასაჩივრებისას. მსჯავრდებული, რომელმაც აღიარა ბრალი, ავტომატურად კარგავს უფლებას – გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება მისი დანაშაულობის შესახებ.

ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების მტკიცებულებითი მნიშვნელობის უპირატესი შეფასება (როგორც ეს ზემოთ, პირველი თავის §2-ში იყო აღნიშნული) შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც „სიცოცხლისუნარიანი რუდიმენტი“ წარსულში (უპირატესად, ინკვიზიციური პროცესის პირობებში) აყვავებული სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების სისტემისა, რომელიც ეფუძნებოდა იმ ფორმალურ მტკიცებულებებს, რომლებიც ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარებას „მტკიცებულებათა დედოფლის“ სტატუსს ანიჭებდნენ. ამ „რუდიმენტის მიმზიდველობაზე“ მიგვანიშნებს ამერიკის, ინგლისის და სხვა ქვეყნების გამოცდილება, სადაც დროდადრო თავს გვახსენებს ძველი „ავადმყოფობის“ რეციდივები, რაც მტკიცებულებათა გადაჭარბებით ფორმალიზაციასა და მათი თავისუფლად შეფასების უარყოფაში გამოვლინდება.

ამ „ავადმყოფობამ“ კვლავ იჩინა თავი რუსეთშიც, სადაც სსს კოდექსში გაჩნდა 446-ე მუხლი, რომელიც უფლებას აძლევს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საქმის განხილვისას თავმჯდომარე მოსამართლეს, ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარებასა და ზოგიერთი სხვა გარემოების არსებობის შემთხვევაში, საქმეზე მტკიცებულებათა გამოკვლევის გარეშე გამოაცხადოს მხარეთა კამათი და გადავიდეს სხვა მოქმედებებზე (მათ შორის, განაჩენის დადგენაზე). მაეანნი ამ მოვლენას განიხილავენ როგორც რუსეთის რეალობაში გადმოტანის პირველ ნაბიჯს იმისა, რაც კულტივირებულია პრინციპულად სხვა პირობებში და დამახასიათებელია ანგლოსაქსონური სისტემებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს მოსაზრება, რომ უარი ითქვას ათწლეულების მანძილზე აპრობირებულ და სისხლის სამართლის რეპრესიის გამოყენებისას უფლებამოსილების მასიურად ბოროტად გამოყენების, უხეში შეტეომების მშობლიური მწარე გამოცდილებით ნაკარნახევ წესზე, რომლის თანახმად, ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ ის გამაგრებული არ არის სხვა მტკიცებულებებით.

ასეთი განზრახვის განხორციელების შესაძლებლობის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს აშშ-სა და სხვა ქვეყნებში (რომლებსაც მსგავსი სისხლის სამართალწარმოება აქვთ) ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარების მიმართ ჩამოყალიბებული მიდგომის დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელს უწყობს მოსამართლის დროის (მას აღარ უწყევს გამამტყუნებელ მტკიცებულებათა გამოკვლევა) და იმ სახსრების დაზოგვას, რომელიც გამოყოფილია სასამართლოების შენახვასა და მათი საქმი-

ანობის უზრუნველყოფაზე. თუმცა, მას ნეგატიური შედეგებიც მოსდევს, რადგან წარმოადგენს ერთ-ერთ წინაპირობას, რომელიც საგამომიებო ორგანოებს (პოლიციას) უბიძგებს სხვადასხვა სახის საეჭო კომბინაციებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისკენ, რაც ხშირად დაკავშირებულია მუქარის, ძალადობის გამოყენებასთან.

ამ წინაპირობის მოქმედების მექანიზმი მარტივია: თუ ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარება, როგორც წესი, ავტომატურად იწვევს პირის მსჯავრდებას სხვა მტკიცებულებათა შემოწმებისა და გამოკვლევის გარეშე, მაშინ გამოძიების მწარმოებელი ორგანოები ყველა ღონეს მიმართავენ, რათა დაკითხვების დროს მოიპოვონ ბრალდებულებისაგან თავიანთი ბრალის აღიარებითი ჩვენებები, ვიდრე ჩატარონ შრომატევადი სამუშაო გამამტყუნებელი მტკიცებულებების შეგროვებასა და გამოვლენისათვის. გაცილებით მარტივია წარმოაჩინონ საკუთარი თავი და ჩატარებული სამუშაოს „შედეგიანობა“ (ესე იგი, დადებითად განაწყონ ხელმძღვანელობა და დაწინაურდნენ სამსახურებრივად) სწორედ მათ ხელში მოხვედრილი პირების „ეფექტურად“ დაკითხვის გზით.

ასეთი მოვლენა ცნობილია მრავალი ქვეყნის იურისტებისათვის. ეძებენ იმ საშუალებებს, რომელთა მეშვეობით ბოლოს მოუღებენ ან მინიმუმამდე დაიყვანენ ასეთ კომბინაციებსა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებებს. ასეთი გზების ძიება დიდი ხანია დაიწყო ამერიკაში. როგორც შემდეგში ვნახავთ (მოცემული თავი, §5), ეს პროცესი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობს. შედეგად, საკანონმდებლო წესითა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე შემუშავდა მრავალრიცხოვანი, თავისი კახუისტურობით განსხვავებული დანაწესები, რომლებიც გარკვეულ ჩარჩოში აქცევენ ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარების შემხებლობისა და მტკიცებულების სახით დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტას.

3. მტკიცებულებითი სამართლის ნორმათა ორიენტაცია უპირატესად მტკიცების პროცესში წამოჭრილი კერძო ხასიათის საკითხების გადაწყვეტაზე, დამახასიათებელია მისი ბრალდებულის აღიარების შესახებობასთან, დასაშვებობასთან დაკავშირებულ ნორმებსა და მტკიცებულებითი სამართლის მრავალი სხვა ინსტიტუტის რეგლამენტაციისათვის. ეს განპირობებულია ზემოხსენებული ფაქტორით, რომელიც ჩამოყალიბდა იმ პირობათა გაელენით, რომელშიც მიმდინარეობს საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში.

ამ პირობების თავისებურება იმით განისაზღვრება, რომ ნაფიც

მსაჯულთა ჟიური ყოველთვის დაკომპლექტებულია ე.წ. საშუალო დონის შეგნების, განათლებისა და კულტურის მქონე არაპროფესიონალებისგან. გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავეობის შესახებ ისინი იღებენ სათათბირო ოთახში განმარტოებით, პროფესიონალების მონაწილეობისა და აუცილებელი დახმარების გარეშე. ამიტომ მრავალი წლის (საუკუნის) მანძილზე კანონმდებელი და სასამართლო პრაქტიკა ნაბიჯ-ნაბიჯ შეიმუშავებს რაციონალურ და კერძო, ცხოვრებისეულ შემთხვევებზე გათვლილ წესებს, რომელთა დახმარებით უფრო კონკრეტულად (და არა ზოგადად) „უკარნახებდნენ“ ნაფიც მსაჯულებს, თუ რომელ ვითარებაში რა უნდა ჩათვალოს მტკიცებულებად განსახილველ საქმეზე და რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელონ მათი მტკიცებულებითი მნიშვნელობის განსაზღვრისას.

დახმარება, რაც შეიძლება პროფესიონალმა მოსამართლემ გაუწიოს ნაფიც მსაჯულებს სათანადო ვერდიქტის გამოსატანად, გამოიხატება მხოლოდ სადამრიგებლო სიტყვის წარმოთქმაში (უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ). ასეთ სიტყვაში, განსასჯელის დამნაშავეობის შესახებ საკუთარი მოსაზრების ნაფიცი მსაჯულებისათვის თავზე მოხვევის გარეშე, ის ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს მტკიცებულებით სამართალში გამოუცდელ არაპროფესიონალ ნაფიც მსაჯულებს მტკიცებულებათა შეფასების არსებული წესების შესახებ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით. ამის ეფექტურად გაკეთება შეიძლება დაწერილი სამართლის იმ ნორმებით, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევებს შეეხება და მაღალი სასამართლო ინსტანციების მიერ სხვა ანალოგიური, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მქონე საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით. არსებითად, ეს ნიშნავს ნაფიც მსაჯულთათვის მინიშნებას იმაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მათ (დაწერილი სამართლის ნორმების, სასამართლო პრეცედენტების და სამართლის მკოდნე ავტორიტეტული პირების განმარტებათა ზუსტ შესაბამისობაში) სათათბირო ოთახში განმარტოების შემდეგ.

ამ სახის თავისებურებიდან გამომდინარე, ამერიკული მტკიცებითი სამართალი ეს არის სამართლებრივი დანაწესების ერთობლიობა, რომლებიც განმარტავენ არა იმდენად ზოგად (მაგალითად, მტკიცებულება, მისი წყაროები, მტკიცების საგანი და სტრუქტურა), რამდენადაც კონკრეტულ ცნებებს.

აღნიშნულის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის საპროცესო კანონის იმ კარის შინაარსის

მიხედვით, რომელიც ეძღვნება მტკიცებულებებს. იგი შეიცავს მხოლოდ ერთ პარაგრაფს, რომელიც აწესრიგებს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული მტკიცების ზოგად დებულებას – §60.10 (მისი ტექსტის თარგმანი იხილეთ მოცემული თავის §1-ში). დანარჩენი პარაგრაფები შეიცავს მნიშვნელოვანი, თუმცა კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას: იმ პირთა წრე, რომლებიც შეიძლება გამოიძახონ მოწმეებად; პირობები, რომლის დროსაც პირი შეიძლება იყოს მოწმე (ასაკი, ფსიქიკური მდგომარეობა, ფიციის დადება და სხვა); განსასჯელის დამნაშავედ აღიარების დაუშვებლობა თანამონაწილეთა დაუდასტურებელი ჩვენებების საფუძველზე; ამოცნობის მტკიცებულებითი მნიშვნელობა და მისი მართლზომიერების პირობები; წესები, რომლებიც ითვალისწინებენ იმ მოწმის ჩვენების მიცემისაგან ჩამოცილებას, რომელმაც შეცვალა თავისი ჩვენება იმ მხარის საწინააღმდეგოდ, რომელმაც გამოიძახა იგი; მოწმის წარსულში ნასამართლეობის ფაქტის დადგენის წესი; პირობები, რომლის დროსაც შესაძლებელია დაზარალებულის ამორალური ყოფაქცევის დაბრუნებულ მტკიცებულებათა წარდგენა; სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე 16 წელს მიულწეველი მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა; ბრალდებულის ჩვენების მტკიცებულების სახით დასაშვებობის პირობები; სქესობრივი დანაშაულის საქმეზე წარდგენის დასაშვებობა იმ მტკიცებულებებისა, რომლებიც დაზარალებულის ჩაცმის მანერას შეეხება; მსჯავრდების დაუშვებლობა დაუდასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე, რომ განსასჯელი თავს ბრალულად ცნობდა; ფსიქიატრიის დარგში ექსპერტი-მოწმის მიერ ჩვენების მიცემის წესი; განსასჯელის წარსულში ნასამართლობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა დასაშვებობის პირობები; ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის საქმეებზე მტკიცებულებათა გამოკვლევის ზოგიერთი თავისებურება; მტკიცებულებათა გახსნის (disclosure), რასაც შესაძლოა მოქალაქის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გახმაურება მოჰყვეს, აუცილებლობის დასაბუთების წესი.

ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მტკიცებულებათა შესახებ კარში გადაწყვეტილი საკითხების ზემოაღნიშნული ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ მოცემული კარი არ აწესრიგებს ყველა იმ ურთიერთობას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების პროცესში და ეს დებულებები შეეხება, ძირითადად, მტკიცების კერძო (და არა ზოგად) საკითხებს.

ასეთი მიდგომა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ნიუ-იორკის შტატის სამართალწარმოებისთვის. ის ტიპურია სამართალწარმოების

წესებისათვის, რომლითაც ხელმძღვანელობენ ფედერალური სამართალ-
დამცავი, შტატების და აშშ-ს დაქვემდებარებული ტერიტორიების შეს-
აბამისი ორგანოები. ამას ადასტურებს ზემოხსენებული მტკიცების წე-
სების უნიფიცირებული აქტი, რადგან თავისი შემუშავებისა და მოწონების
პირობების მიხედვით, ის მეტ-ნაკლებად განზოგადებულად ასახავს კანონ-
მდებლობის, სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული დოქტრინის მდგო-
მარეობას სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცების სფეროში.

ამ დოკუმენტის შესწავლისას ყურადღებას იქცევს ის ფაქტი,
რომ იგი თითქმის არ შეიცავს მტკიცების ზოგადი პრობლემების
შესახებ რეკომენდაციებს კანონმდებლების ან მოსამართლეებისათ-
ვის. წესების I მუხლში („ზოგადი დებულებები“) შესულია 6 წესი,
რომლებშიც მოცემულია რეკომენდაციები მტკიცების კონკრეტულ
საკითხებზე. პირველი წესი შეიცავს ისეთი ცნებების დეფინიციებს,
როგორებიცაა: „პირი“, „ოფიციალური დოკუმენტი“ (public record),
„ჩანაწერი“ (record)¹, „შტატი“ (აშშ-ს ადმინისტრაციულ-პოლიტი-
კური ერთეული). მეორე წესი განსაზღვრავს მოცემული დოკუმენტის
მოქმედების ფარგლებს, მიზნებს და განმარტების პირობებს². მესამესა
და მეოთხე წესებში მოცემულია მოსამართლის მიერ მტკიცებულე-
ბათა შესახებობის, დასაშვებობის, მათი მტკიცებულებითი მნიშვნელო-
ბის, უტყუარობის (weight and credibility) შესახებ გადაწყვეტილების
გამოტანის ზოგიერთი პროცედურული წესი. მეხუთე წესში საუბარ-
ია მოსამართლის უფლებაზე – განსაზღვროს კონკრეტული მტკიცე-
ბულების დასაშვებობის ფარგლები და ამ გადაწყვეტილების რეალ-
იზაციის წესი სადამრიგებლო სიტყვაში ნაფიც მსაჯულთათვის. მე-
ექვსე წესი ითვალისწინებს მხარის უფლებას, რომ იმ შემთხვევაში,
თუ მეორე მხარე წარადგენს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას,
რომელსაც რამე დოკუმენტი შეიცავს, მოითხოვოს, მას ამ დოკუმენტის
სრული ტექსტი წარუდგინონ. ცხადია, რომ კონტინენტური სისხლის
სამართლის პროცესის სისტემის მქონე ქვეყნების იურისტებისათვის
აღნიშნული საკითხების მოწესრიგება „ზოგადი დებულებების“ კარში,
მეტად უჩვეულოა. ამ კარში, არ არის მოცემული სასამართლო მტკი-
ცებისათვის ისეთი პრინციპული ცნებები, როგორებიცაა: მტკიცების
საგანი, მტკიცებულება, მისი სახეები (წყაროები) და ა.შ.

¹ მხედველობაშია „ინფორმაცია, რომელიც დატანილია გამჟღავნებურ მატერიალურ ობიექ-
ტზე (tangible medium) ან შეტანილია ელექტრონულ (ან სხვა) მატარებელზე და შესაძლებელია
მისი აღიარება აღქმად ფორმაში (perceivable form)“.

² სიტყვასიტყვით აღნიშნული მოცემულია მტკიცების 102-ე ფედერალური წესში, რომელიც
გამოცემული აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ.

4. ამერიკულ მტკიცებულებით სამართალში არ ხდება ზოგადი საკითხების გადაწყვეტის სრული იგნორირება, მაგრამ ეს სფერო მთლიანად იურიდიული დოქტრინის ხელშია. ყველაზე ხშირად სამეცნიერო პუბლიკაციებსა და სასწავლო ლიტერატურაში ვხვდებით მტკიცებულებების, მათი წყაროების, შეფასების შესაძლებელი კრიტერიუმების და ა.შ. დეფინიციებს. მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი მტკიცებულებათა კლასიფიკაციას, მის საპროცესო მნიშვნელობას, მტკიცების ზოგიერთი სხვა საერთო პრობლემის გადაწყვეტას. როგორც წესი, შემოთავაზებულია ასეთი სახის საკითხების შედარებით ფართო, არაკონკრეტული სასამართლოსა და სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცებაში მონაწილე სხვა სამართალდამცავი ორგანოების ნაკლებად „შეზღუდული“ გადაწყვეტა.

ასეთი მიმართულება ახასიათებს ტკიცებულებათა ზოგადი ცნების განსაზღვრებებს, რომლებიც მრავლადაა. ისინი განსხვავდებიან ერთიმეორისგან, ვინაიდან მათი ავტორები არიან სხვადასხვა დროისა და მეცნიერული მიმდინარეობის სპეციალისტები, თუმცა არა არსებითად. ერთ-ერთ ტიპურ მაგალითს წარმოადგენს განმარტება, რომელსაც იძლევა ჩ.ფრიკი. „მისი აზრით, მტკიცებულება (მას მხედველობაში აქვს მტკიცებულებები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე) არის მტკიცების ნებისმიერი საშუალება, რომელიც წარმოადგენილია მხარეთა მიერ იურიდიული წესების დაცვით შესრულებული განსაზღვრული მოქმედებების გზით, ანდა მოწმების, ოქმების, დოკუმენტების, ხელშეხაზების საგნების და ა.შ. მეშვეობით, მათი (მხარეთა. – კ.გ.) მოსაზრებების შესახებ მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულებისათვის რწმენის შექმნის მიზნით სხვადასხვა საკითხების სასამართლო განხილვის მსვლელობისას“¹. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურული წყაროების გაცნობისას ვხვდებით სხვა მონაარსის დეფინიციებსაც, რომლებიც გამოირჩევა ავტორების მისწრაფებით – არსებითად გაამარტივონ „მტკიცებულების“ ცნება. მაგალითად, ანგლოსაქსონური მტკიცებულებითი სამართლის თავისებურების ამსახველი დეფინიცია, რომელსაც იურიდიულ ტერმინთა თავის ელექტრონულ ლექსიკონში გვთავაზობს კანადელი იურისტი ლ.დიუჰაიმი, უკიდურესად მარტივია. მისი აზრით, მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს „ფაქტის (ფაქტების) დადასტურება, რომელიც წარმოადგენილია სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას“ (proof of fact(s) presented at trial)².

1 Fricke Ch. Op. cit. P.17.

2 იხ. სისტემატურად განახლებადი „Duhaime's Law Dictionary“ ინტერნეტ მისამართზე: www.wvlii.org/diction.htm

არსებითი თავისებურებებით გამოიჩინება მტკიცებულებათა კლასიფიკაცია. იმ მტკიცებულებათა სახეების გარდა, რომლებიც აღიარებულია მრავალ ქვეყანაში (უშუალო და ნაწარმოები, პირდაპირი და ირიბი, გამამტყუნებელი და გამამართლებელი და ა.შ.), ამერიკის სისხლის სამართლის საპროცესო დოქტრინა უყრდნობა მოქმედი კანონმდებლობის, დაუწერელი სამართლის ნორმების ანალიზს და გამოჰყოფს მტკიცებულებების ზოგიერთ საკმაოდ თავისებურ სახეს. მაგალითად, იგი იცნობს სასამართლო და სასამართლოსგარეთა მტკიცებულებებს, ანდა აჯგუფებს მათ შემდეგნაირად: ხმებზე დამყარებული მტკიცებულებები (შინაარსით ისინი ჰგვანან ნაწარმოებ მტკიცებულებებს)¹; დამხმარე (auxiliary); დამატებითი (supplementary); დამადასტურებელი (corroborative); უდავო (conclusive); პრეზუმციული (presumptive); უარყოფელი (rebutting); წინასწარი (prima facie evidence); სააღბათო (probable); სათანადო (proper)²; მეორადი (second hand)³; დამაკმაყოფილებელი (რომელიც ნდობას იმსახურებს – satisfactory) და სხვა.

მტკიცებულების თითოეული სახისათვის ცალ-ცალკე დადგენილია შესაზღვრების და დასაშვებობის განსაზღვრის წესები. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მთლიანობაში ეს წესები შეადგენენ იმ სამართლებრივი დანაწესების უმეტეს ნაწილს, რომლებიც შეეხება მტკიცებას სისხლის სამართალწარმოებაში. დროთა განმავლობაში მათთვის დამახასიათებელი გახდა მრავალრიცხოვანი გამოჩაქვითი, რომელთა თვისებას წარმოადგენს მკვეთრად გამოხატული კაზუსტურობა. მაგალითად, ზოგადი წესის თანახმად, აშშ-სა და ინგლისში (იხ. თავი მე-2, §4) ხმებზე დამყარებული მტკიცებულება დაუშვებლად არის მიჩნეული, რადგან მასში იგულისხმება მოწმის ჩვენება, რომელიც მან მისცა ფაქტებისა ან მოვლენების არა პირადად აღქმის გარეშე, არამედ სხვა წყაროებიდან მიიღო (მაგალითად თვითმხილველებისგან). მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ მოწმეთა ასეთი სახის ჩვენებების გამოყენებას შეცდომის მაღალი ალბათობა ახასიათებს. მიუხედავად ამისა, ისინი განსაზღვრულ პირობებში აშშ-ს სისხლის სამართლის პროცესში მაინც დაიშვება მტკიცებულების სახით. ასეთ პირობებს პრაქტიკა მიაკუთვნებს კონკრეტულ საქმეზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ცნო-

1 Hearsay – ამ სახის მტკიცებულებაზე იხ. თავი მე-2, §4.

2 მხედველობაში კონკრეტული მტკიცებულება, რომელიც კანონის პირდაპირი დანაწესის მიხედვით წარდგენილი უნდა იყოს რაიმე გარემოების დასამტკიცებლად.

3 მაგალითად, მოწმის ჩვენება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მან შეიტყო მის შემდეგ, რაც ინფორმაციამ „გაიარა“ რამდენიმე წყარო.

ბების სრული დაკარგვის საფრთხესა და ზოგიერთ სხვა გარემოებას¹. დასაშვებად მიიჩნევა მოწმის ჩვენება იმის თაობაზე, თუ რა განცხადება გააკეთა სიკვდილის წინ სიცოცხლეზე დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაზარალებულმა სიკვდილის მიზეზისა და ამ ხელყოფის განხორციელების გარემოებებზე, მაგრამ დათქმით, რომ მომაკვდავს, რომელიც აკეთებდა განცხადებას, არ ჰქონდა გადარჩენის რაიმე იმედი.

ბევრი სხვა გამონაკლისია გათვალისწინებული მტკიცებულებითი სამართლის, ასევე, სხვა დებულებებთან დაკავშირებით. ეს გამონაკლისები ხშირად განუსაზღვრელი ხასიათისაა, რაც ქმნის პირობებს მოსამართლის ფართო შეხედულებისათვის მოსამართლეთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქტირების დროს.

ამ მოვლენის დამადასტურებელ მაგალითად (რომელიც დამახასიათებელია აშშ-სა და ე.წ. ანგლოსაქსონური ოჯახის სხვა ქვეყნების მტკიცებულებითი სამართლისათვის) გამოდგება დებულებანი, რომლებიც გათვალისწინებულია მტკიცების წესების უნიფიცირებული აქტის 402-ე და 403-ე წესებით. პირველ მათგანში მოცემულია ზოგადი დანაწესი: „ყველა შესახები მტკიცებულება დასაშვებია, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა კანონით, მოცემული ან სხვა წესებით, რომლებსაც იყენებენ შტატების სასამართლოები, სხვა რამ არის გათვალისწინებული. მტკიცებულება, რომელიც არ არის საქმესთან შესახები – დაუშვებელია“. მეორე წესი აყალიბებს ფართო გამონაკლისს: „შესახები მტკიცებულება შეიძლება ამოირიცხოს (საქმიდან. – კ.გ.), თუ მისი მტკიცებულებითი ღირებულება არსებითად მცირდება უსამართლო ზიანის მიყენების საშიშროებით (danger of unfair prejudice), საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების არეით ან ნაფიც მსაჯულთა შეცდომაში შეყვანით, ასევე, შესაძლო გაჭიანურების, დროის უსარგებლო ხარჯვისა ან დამადასტურებელი სამხილების არასაჭირო წარდგენის მოსაზრებიდან გამომდინარე“.

სხვა მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პრაქტიკაში დამკვიდრებული დამოკიდებულება მტკიცებულებითი სამართლის ერთ-ერთი ძირითადი დებულებისადმი იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას დაუშვებელია განსასჯელის ცუდი რეპუტაციის შესახებ მტკიცებულებათა წარდგენა ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში მისი დამნაშაევობის დასამტკიცებლად. მაგრამ,

¹ მტკიცებულება წესების შესახებ უნიფიცირებული აქტის 803-ე-808-ე წესებში გათვალისწინებულია რამდენიმე ათეული გამონაკლისი 802-ე წესში დეკლარირებული, ხმებზე დაყრდნობილი მტკიცებულებების დაუშვებლობის შესახებ ზოგადი დებულებიდან.

ეს დებულებაც შეზღუდულია რიგი დათქმებით. თუ როგორ გამოიყურება აღნიშნული საქმეში – კარგად ჩანს იმავე უნიფიცირებული აქტის 404-ე წესის „ბ“ და „ც“ ქვეპუნქტებში:

„(b) ...სხვა დანაშაულის ჩადენის, ზიანის მიყენების ან სხვა მოქმედებათა მტკიცებულება არ არის დასაშვები ვინმეს რეპუტაციის (character) დასადასტურებლად იმის წარმოჩენის მიზნით, რომ მოცემული პირი მოქმედებდა ასეთი რეპუტაციის შესაბამისად. თუმცა, იგი შეიძლება იყოს დასაშვები სხვა ისეთი მიზნით, როგორცაა: დანაშაულის მოტივის, მისი ჩადენის შესაძლებლობის, განზრახვის, მოსამზადებელი მოქმედებების შესრულების ფაქტის, მათი დაგეგმვის, არსის, იდენტიფიკაციის (მოცემულისა – სხვა მსგავს ქმედებასთან. – კ.გ.) გაგების ანდა შეცდომისა ან შემთხვევითობის გამორიცხვის დასამტკიცებლად.

(c) ..., „ბ“ პუნქტში ნახსენები მტკიცებულება დასაშვებია, თუ:

(1) მისი წარმდგენი პირი, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვამდე ან განხილვის მსვლელობისას, სასამართლოს ნებართვით, რაც ემყარება საკმარის საფუძველს, გადასცემს მოწინააღმდეგე მხარეს მოტივირებულ შეტყობინებას ასეთი მტკიცებულების არსის შესახებ (nature of the evidence);

(2) სასამართლო, სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის ინტერესების საწინააღმდეგოდ ასეთი მტკიცებულების წარმოდგენისას, ჩაატარებს სასამართლო სხდომას მისი დასაშვებობის თაობაზე და დაადგენს:

(A) აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების მეშვეობით, რომ ადგილი ჰქონდა სხვა დანაშაულს, ზიანის მიყენებას ან სხვაგვარ ქმედებას;

(B) რომ მტკიცებულება შესახებია იმ მიზნის თვალსაზრისით, რომლისთვისაც ის დაიშვება ამ წესისა „ბ“ პუნქტში მოცემული დანაწესის თანახმად;

(C) რომ მტკიცებულების ღირებულება (probative value of the evidence) შესაძლებელს გახდის, რომ აღმოიფხვრას ზიანის მიყენების საშიშროება;

(3) სასამართლო, ერთ-ერთი მხარის თხოვნით, (ნაფიცი მსაჯულები-სათვის. – კ.გ.) სადამრიგებლო სიტყვაში მიუთითებს ამ მტკიცებულების დასაშვებობას შეზღუდულ ფარგლებში, როგორც ამას 105-ე¹ წესი ითვალისწინებს“.

ზოგადი წესებიდან მრავალრიცხოვანი გამონაკლისებით ხასიათ-

¹ მოცემული წესი არ ევლირებს მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა დასაშვებობის და შესახებობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წესს.

დება, ასევე, დებულებები რომლებიც შეეხება ბრალდებულის (განსასჯელის) ჩვენების (განცხადების) დასაშვებობის განსაზღვრას, მიუხედავად იმისა, ცნო თუ არა მან თავი ბრალეულად. მაგალითად, დაუშვებელ მტკიცებულებად ჩაითვლება სიტყვები, რომელიც მან ძილში წარმოთქვა. არ შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად განცხადება, რომ სხვაგან, სხვა პირმა უკვე აღიარა ამ დანაშაულის ჩადენა; ეს პირი უნდა გამოიძახონ და პირადად დაკითხონ სასამართლოში. განცხადებები და აღიარება, რომლებიც ბრალდებულმა პროცესის გარეთ, ან მისი დავალებით მესამე პირმა გააკეთეს, გარკვეული გარემოებების არსებობისას, შეიძლება მტკიცებულების სახით გამოყენებული იყოს სასამართლოში ბრალდებულის (განსასჯელის) საწინააღმდეგოდ.

§ 5. წინასასამართლო წარმოება და საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენება

1. კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების საწყისი მომენტი, როგორც უკვე აღენიშნეთ (იხ. მოცემული თავი, §1), ამერიკულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და სხვა სამართლებრივ წყაროებში ოფიციალურად არ განისაზღვრება. არ არის განსაზღვრული უნდა გაფორმდეს თუ არა საქმის აღძვრა, ვინ და რა გადაწყვეტილებით უნდა განახორციელოს ეს.

თეორიასა და პრაქტიკაში კონკრეტულ საქმეზე წარმოებისა და მასთან ერთად წინასწარი (წინასასამართლო) გამოძიების საწყისი მომენტად ითვლება, როდესაც მიღებული და რეგისტრირებული იყო (ძირითად პოლიციაში) ინფორმაცია დანაშაულზე. ინფორმაციაში იგულისხმება არა მარტო ცნობები, რომელიც მოპოვებულია დაინტერესებული პირის ან ორგანიზაციებისაგან შემოსული განცხადებებიდან ორგანოებში, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოქმედებები დანაშაულის გასახსენლად, არამედ ყოველდღიური საპოლიციო საქმინობიდან მოპოვებული ინფორმაცია, ესე იგი, ის, რასაც რუსი იურისტები „დანაშაულის ნიშნების უშუალო გამოვლენას უწოდებენ“. სხვა სიტყვებით, ინფორმაციის მიღება და რეგისტრაცია მოვლენაზე ან ვინმეს საქციელზე, რომელიც შეიცავს დანაშაულის მომზადების, ჩადენის ან ჩადენილი დანაშაულის ნიშნებს წარმოადგენს საფუძველს, რომ განხორციელდეს ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მოქალაქეებისა და ორგანიზაციების კანონიერი ინტერესების

დამცავ, კანონით დადგენილ სამართლებრივ დანაწესებს. ეს მოქმედებები შეეხება იმ ფაქტობრივ მონაცემთა გამოვლენას, ფიქსირებას, შემოწმებას, გამოკვლევას, რომლებიც შესაბამისი შემოწმებისა და გაფორმების შემდეგ შესაძლოა გამოიყენონ მტკიცებულების სახით სასამართლოში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას. ასეთი სახის მოქმედებები, პრაქტიკულად, ოპერატიულ-სამძებრო და სხვა (მათ შორის, საგამოძიებო) მოქმედებათა მთელ კომპლექსს წარმოადგენს. აქვე შედის ასევე სამართლებრივი დანაწესებით დადგენილი წესით საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენება და განხორციელება (მოყვანა, დაკავება, დაპატიმრება, ჩხრეკა, ამოღება და სხვა). წარმოების წინასასამართლო ეტაპის შედეგების მიხედვით მიიღება გადაწყვეტილებები (წინასწარი გამოძიების შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრისა და ა.შ. შესახებ), რომლებიც განსაზღვრავენ საქმისა და პასუხისგებაში მიცემული პირის ბედს.

რეგისტრაციის მომენტიდან ქმდება ან მოვლენა, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მიეკუთვნება იმ დანაშაულთა რიცხვს, რომლებსაც აშშ-ში „პოლიციისათვის შეტყობინებულ დანაშაულებს“ (crimes reported to the police) ანდა „დარეგისტრირებულ დანაშაულებს“ (reported crimes) უწოდებენ¹. ცნობები მათ შესახებ გამოყენებულია სტატისტიკურ ანგარიშებში, რომლითაც მსჯელობენ დამნაშავეობის მდგომარეობაზე და (სხვა მონაცემებთან ერთად) პოლიციის, სხვა სამართალგამოყენებითი ორგანოების საქმიანობის ეფექტურობაზე. მაგალითად, ასეთი ეფექტურობის ერთ-ერთი მაჩვენებლად მიიჩნევა ე.წ. დანაშაულთა გახსნის რაოდენობრივი დახასიათება, რაც განისაზღვრება „პოლიციისთვის შეტყობინებული დანაშაულების“ საერთო რაოდენობისა და გახსნილი დანაშაულების რიცხვითა შეფარდებით (cleared crimes). უკანასკნელს მიეკუთვნება დანაშაულები, რომლებზეც გამოვლენილი, დაპატიმრებულები (ან დაკავებულები) არიან ეჭვმიტანილები და საქმე გადაეცა სასამართლოს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების

¹ გამოძიების ფედერალური ბიუროს ბიულეტენში უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული მონაცემებით, ამერიკელი სხვადასხვა ღონის პოლიცია რეგისტრაციაში ატარებს 10-დან 13 მილიონამდე მძიმე და საშიშ დანაშაულს: (განზრახ და გაუფრთხილებელ) მკვლელობებს; გაუპატოვრებებს (rape); ძარცვას და აჯარბობას (robbery); თავდასხმას დამამძიმებელ გარემოებებში (aggravated assault); ქონებრივ დანაშაულებს, რომელიც დაკავშირებულია სავაჭრო მართლსაწინააღმდეგო შეღწევისთან (burglary); ქურდობა და ქონების სხვა დატაცებები (larceny-theft); სატრანსპორტო საშუალებების ქურდობებს (motor vehicle theft) და ცეცხლის წაყოფას (arson). 1999 წელს მან დაათვლია 11 635 149 ასეთი დანაშაული, რაც 6.8%-ით ნაკლებია 1998 წლის მონაცემებთან შედარებით. (Crime in the United States. 1999. Uniform Crime Report. Printed Annually by FBI. Wash., P.5).

მიზნით¹. დანაშაულთა განხრის საერთო ღონე, რომელიც აშშ-ში დამკვიდრებული წესებით განისაზღვრება, ყოველწლიურად ქვემოთ იწევს (გუბ-ს მონაცემებით, უკანასკნელ წლებში იგი სტაბილურია და 20%-ზე ოდნავ მაღალია²). მიუხედავად ამისა, დანაშაულთა რეგისტრაციის ფაქტი კვლავ შესაბამისი ორგანოების მხრიდან დამნაშავეთა ძებნისა და მათი მხილებისათვის აქტიური მოქმედებების განხორციელების წამახალისებელ ფაქტად რჩება.

ხშირად დანაშაულის რეგისტრაცია ემთხვევა ექვმიტანილის დაკავებას ან დაპატიმრებას, ანდა ხდება მას შემდეგ, რაც უკვე შესრულდა გარკვეული ოპერატიულ-სამძებრო ან საგამოძიებო მოქმედებები. ამას მოწმობს ამერიკელი იურისტების მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების მონაცემები. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი კვლევა, იმ გარემოებათა ანალიზის საფუძველზე, რომლებიც დაკავშირებული იყო საშიშ დანაშაულთა 400 სისხლის სამართლის საქმის განხილვასთან, იძლევა მეტ-ნაკლებად ტიპურ სურათს: საქმეთა 18%-ზე დაპატიმრება პოლიციელებმა განახორციელეს მათი თანდასწრებით ჩადენილ დანაშაულებზე პირადი დაკვირვების საფუძველზე; საქმეთა 38%-ზე – დანაშაულის ადგილზე ან მის სიახლოვეს, სადაც პოლიციელები მივიდნენ დაზარალებულის ან თვითმხილველის გამოძახებით; საქმეთა 25%-ზე – დაზარალებულის მიერ ექვმიტანილის ამოცნობის შედეგად; საქმეთა 7%-ზე – ექვმიტანილის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულის გამოძიების დროს; საქმეთა 13%-ზე – იმ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგის მიხედვით, რომლებიც განხორციელდა დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ ხშირად პოლიცია მოქმედებას იწყებს განცხადების ან სხვა შეტყობინების რეგისტრაციამდე.

მოცემულ ეტაპზე განხორციელებული მოქმედებების ძირითად მიზანს წარმოადგენს კონკრეტულ მოქმედებასა თუ მოვლენაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ან არარსებობის შემოწმება. თუ ასეთი

1 იხ. op. cit. P.201.

2 ყველა დასახლებული დანაშაულისათვის განხრის საშუალო ღონე (clearance rate) 1999 წელს 21% შეადგინა, ამასთან, ამ დანაშაულთა კონკრეტული კატეგორიებისათვის იგი სხვაგვარად გამოიყურებოდა: მკვლელობები – 69%; გაუსატორებები – 49%; ძარცვა და ყაჩაღობა – 29%; თაღისსახეობის დამამძიმებელ გარემოებებში – 59%; ქანუკი დანაშაულები, რაც დაკავშირებულია სადგომში უკანონო შერწყმასთან – 14%; ქურდობები და ქონების სხვა დატაცებები – 19%; სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება – 15%; ცეცხლის წაიჭება – 17% (Op. cit. P.201-202). ასეთი მდგომარეობა უკვე მრავალი წელია (იხ., მაგალითად, აშშ-ს ოსტიციის დეპარტამენტის სასამართლო სტატისტიკის ბიუროს მიერ გამოცემული ცნობარი Report to the Nation on Crime and Justice. Soc. ed. March 1988. P.68-69).

დადასტურდა, მაშინ სრულდება მოქმედებები იმ მონაცემთა გამოსავლენად, რომლებიც იძლევა დაპატიმრების საფუძველს ან ადასტურებს მის დასაბუთებულობას (თუ ის უკვე განხორციელებულია). შემდგომში კონკრეტული მოქმედებების შინაარსი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რითი დაიწყო საქმის წარმოება.

თუ საქმის წარმოება დაიწყო განცხადების ან სხვაგვარი ინფორმაციის რეგისტრაციით, მაშინ გამოიყენება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ყველა ხერხი და საშუალება. როგორც წესი, ამერიკული კანონმდებლობა ამ საქმიანობას არ ზღუდავს მკაცრად განსაზღვრული ფარგლებით. პოლიციელს უფლება აქვს: გამოავლინოს და შეაგროვოს საგნები, დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება გამოდგეს (შესაბამისად) ნივთიერ ან წერილობით მტკიცებულებებად; ინტერვიუ ჩამოართვას დაზარალებულს ან მოწმეს; დაუსვას კითხვები თავისუფლებაზე მყოფ საეარაუდო ეჭვმიტანილს მისი პიროვნებისა და სხვა გარემოებების შესახებ; ჩანერგოს ინფორმატორები და მიიღოს მათგან შესაბამისი ცნობები; დაათვალიეროს საცხოვრებელი და სამუშაო შენობები; კონსულტაცია აიღოს სპეციალისტებისგან.

წინასასამართლო (საპოლიციო) გამოძიების ამ ეტაპზე ქმედებები, რომლებიც საჭიროებს მოსამართლის სანქციას, როგორც წესი, არ ტარდება. აქ საჭიროა სწრაფი რეაქცია, ხოლო, მოსამართლის სანქციის მიღებას (მაგალითად, ჩხრეკაზე) სჭირდება დრო და ასეთი მოქმედების დასაბუთებისათვის მასალების წარდგენა. ამ წესიდან არსებობს ზოგიერთი გამონაკლისი: მოსამართლის სანქციის გარეშე ჩხრეკის ჩატარება დასაშვებია გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში; გარკვეული გარემოებების არსებობისას, დასაშვებია გაიჩხრიკოს ეჭვმიტანილის ტანსაცმელი და ავტომანქანა. ამ ეტაპზე შეგროვილ ფაქტობრივ მონაცემებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ სასამართლო მტკიცებულების სტატუსი. იგი არ არის ხანგრძლივი. მაგალითად, ძარცვის ან შენობაში დანაშაულებრივი განზრახვით შეღწევის საქმეთა უმრავლესობაზე მისი ხანგრძლივობა საშუალოდ არ აღემატება 4 საათს, თუმცა შემდგომში გამოძიება შეიძლება რამოდენიმე თვით გაჭიანურდეს.

2. პოლიციის განკარგულებაში ამ წესით აღმოჩენილი ფაქტობრივი მონაცემები, როგორც წესი, გამოიყენება საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების დასაბუთებისთვის. უპირველეს ყოვლისა, იმ ღონისძიებათა დასაბუთებისათვის, რომლებიც დაიშვება სასამართლო სანქციით, რადგან ისინი არსებითად ზღუდავენ პიროვნების კონსტიტუციურ უფლებებს.

ზოგიერთი საპროცესო იძულების ღონისძიებისთვის დადგენილია განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი. ეს შეეხება დაპატიმრებასა და ჩხრეკას. „ხალხის უფლება – ნათქვამია აშშ-ს კონსტიტუციის IV შესწორებაში – პიროვნების, საცხოვრებლის, დოკუმენტებისა და ქონების დაცვაზე დაუსაბუთებელი ჩხრეკის ან დაპატიმრებისგან არ უნდა დაირღვეს. ჩხრეკის ან დაპატიმრების ორდერი არ გაიცემა საკმარისი საფუძვლის არსებობის გარეშე, რომელიც დადასტურებულია ფიცის ან პირობის საზეიმო დადებით. ასეთ ორდერში დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი ჩხრეკის ადგილი, დასაპატიმრებელი პირი ან ქონება“.

ორი საუკუნის წინ გაუღერებულმა და მას შემდეგ ამერიკის სასამართლოების (მათ შორის, უზენაესი სასამართლოს მიერ) მრავალჯერ განმარტებულმა ამ დებულებამ, ჩვენს დროში ფართო შინაარსი შეიძნა. ის ვრცელდება საგამოძიებო ორგანოთა ნებისმიერ შეღწევაზე საცხოვრებელში, მეპატრონისაგან ფარულად ან მისი თანხმობის გარეშე; ყველა სახის ე.წ. ელექტრონული თვალთვალის წარმოებაზე (სატელეფონო საუბრების მოსმენა, საუბრების მოსმენა რადიოს საშუალებით, ელექტრომატარებლებიდან ინფორმაციის მოხსნა, ვიდეოჩამწერი აპარატურის ფარული გამოყენება და სხვა.). თუმცა, ამ მრავალწლიან განმარტებებს სხვა შედეგიც მოჰყვა. კერძოდ, შემუშავდა დებულებები, რომლებიც უშვებს გამოჩაკლისებს ე.წ. „გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევებისათვის“ ან სხვა მოსაზრებით, რომელიც ემყარება საზოგადოებრივი აზრით ნაკარნახევ მისწრაფებას – „პოლიციას მჭიდროდ არ შეუკრან ხელები“ დაზნაშავეობასთან ბრძოლაში, რათა ნებისმიერ ფასად ბოლო მოუღონ მას (დაზნაშავეობას).

სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებათა გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისადმი ჩამოყალიბებული დამოკიდებულების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მისი ყველაზე უფრო მძიმე ფორმის – პატიმრობის – გამოყენების პრაქტიკის მიხედვით. იგი ფართოდ გამოიყენება. მაგალითად, 1999 წელს პატიმრობა შეეფარდა თითქმის 14,4 მილიონ ამერიკელს. უმეტეს შემთხვევაში, ეს იყო მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა¹, რომელიც გამოყენებული იყო იმ პირების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს გადაცდომა ან ნაკლებად საშიში დანაშაული (საზოგადოებრივ ადგილებში არაფხიზელ მდგო-

¹ ამერიკელ ორიდოლ ნაში ტერმინი „დაპატიმრება“ (arrest) ფართო ცნებაა და მოიცავს იმას, რასაც რუსული კანონმდებლობით ადმინისტრაციულ დაკავებას, დანაშაულის ჩადენაში ეჭვითა და დაკავებასა და ბრალდებულის (ექვიტაბილის) დაპატიმრებას უწოდებენ.

მარეობაში გამოჩენა, ასეთივე მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალებების მართვა, საზოგადოებრივი წესრიგის, სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის, ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევა და სხვა). ყველაზე ხშირად დაპატიმრების გამოიყენება უკავშირდებოდა ნარკოტიკების არაკანონიერ ბრუნვას (1,5 მილიონი), არაფხიზელ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვას (1,5 მილიონი), თავდასხმებს, რომელიც დიდ საფრთხეს არ წარმოადგენენ (1,3 მილიონი), ქურდობასა და სხვა სახის დატაცებებს (1,2 მილიონი).

იმ პირთა რაოდენობის ხვედრითი წილი, რომლების მიმართაც საშიში დანაშაულის ჩადენის ეჭვის საფუძველზე გამოყენებული იყო გრძელვადიანი პატიმრობა, დაკავებულ პირთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში შედარებით მცირეა. 1999 წელს დაპატიმრებული იყო თითქმის 2 მლნ. 321 ათასი (დაპატიმრებულთა საერთო რაოდენობის 16,2%) მძიმე და საშიში დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი. ეს აიხსნება, ერთი მხრივ, იმით, რომ სერიოზული დანაშაულები (ფელონიები) გაცილებით ნაკლებად ხდება, ვიდრე მცირე საშიშროების მქონე დანაშაულები (მისიდიმინორები) და სისხლის სამართლის დარღვევები (infractions), მეორე მხრივ, იმით, რომ სერიოზული დანაშაულების გახსნადობა (როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ პარაგრაფში) ძალზე დაბალია (საშუალოდ – დაახლოებით 21%). უნდა გავითვალისწინოთ, რომ საშიშ დანაშაულთა ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა მიმართ ხშირად გამოიყენება არასაპატიმრო ხასიათის აღკვეთის ეფექტური ზომები.

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავებისა და მისთვის პატიმრობის შეფარდებისათვის, წესით, საჭირო ფაქტობრივი მონაცემების შეგროვების შემდეგ, პოლიციამ უნდა მიმართოს სასამართლოს და აღძრას შუამდგომლობა კონკრეტული პირის დაპატიმრების შესახებ ბრძანების გაცემის თაობაზე. ამას მოითხოვს აშშ-ს კონსტიტუციის ერთ-ერთი შესწორება, შტატების კონსტიტუციები, ფედერალურ და შტატების დონეზე მიღებული სხვა კანონები. თუმცა, ამ წესიდან (სისხლის სამართლის საპროცესო სხვა უამრავი წესის მსგავსად) არსებობს ზოგიერთი გამონაკლისი. მაგალითად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, დაიშვება დაპატიმრება სასამართლოს ბრძანების გარეშე, მაგრამ იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ დაპატიმრების კანონიერების შესამოწმებლად დაპატიმრებული უნდა წარედგინოს სასამართლოს „იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელია“¹. რე-

¹ ამ ფორმულის მნიშვნელობის განმარტების შესახებ საპროცესო აქტებში იხ. მასალა ე.წ. „პირველი წარდგენის, თაობაზე (მოცემული თაი. 16).

აღურ ცხოვრებაში ამ სახის დაპატიმრებები გამონაკლისს აღარ წარმოადგენს.

დაპატიმრებისას (მოსამართლის ბრძანებით ან მის გარეშე) პოლიციამ უნდა დაიცვას მთელი რიგი დებულებები, რომლებიც კანონებით ან კანონქვემდებარე აქტებით არის დადგენილი. მათი მიხედვით, პოლიციელს, რომელიც აწარმოებს დაპატიმრებას, უფლება აქვს გაჩხრიკოს ეჭვმიტანილი, ამოიღოს მისგან იარაღი და ნივთები, რომლებიც შეიძლება საქმეში მტკიცებულებებად გამოდგეს და ა.შ. ამის შემდეგ დაპატიმრებული მიჰყავთ მისი მოთავსების ადგილზე, სადაც ხდება დაპატიმრების გაფორმება. ასეთი გაფორმების დროს პოლიციის ჟურნალში შეაქვთ დაპატიმრებულის გვარი, სახელი, დაპატიმრების დრო, არსი იმისა, რაშიც ეჭვმიტანილია იგი, ხდება მისი ფოტოგრაფირება და თითის ანაბეჭდების აღება. როგორც წესი, ამ დროს დაპატიმრებულს აცნობენ, თუ რაშია ეჭვმიტანილი და აძლევენ ერთი სატელეფონო ზარის განხორციელების უფლებას ნებისმიერი მისამართით (ნათესავთან, მეგობრებთან, ადვოკატთან და ა.შ.). ნაკლებად საშიში დანაშაულის საქმეზე დაპატიმრებული შეიძლება გაათავისუფლონ წერილობითი ვალდებულების საფუძველზე, რომ იგი გამოცხადდება გამოძახებისთანავე, გირაოთი ან იმის პირობით, რომ ის გირაოთი დათქმულ თანხას გამოავაზენის ფოსტით და დროულად გამოცხადდება სასამართლოს ან იმ თანამდებობის პირის გამოძახებით, რომელიც ახორციელებს წინასწარ გამოძიებას აღნიშნულ საქმეზე. თუ ეჭვმიტანილს არ აქვს შესაძლებლობა შეიტანოს გირაო ან იგი პასუხისმგებებაში მიცემულია საშიში დანაშაულის ჩადენისთვის, შეიძლება არ გაათავისუფლონ. ამ შემთხვევაში მას კვლავ გაჩხრიკენ (უფრო საგულდაგულოდ ვიდრე დაკავებისას, რომელიც წინ უძღოდა პოლიციის დაწესებულებაში მის მიყვანას) და ათავსებენ საკანში¹.

ზოგადად ასე გამოიყურება იმ მოქმედებათა სქემა, რომელიც ხორციელდება სისხლის სამართლის საქმეთა წინასასამართლო წარმოების საწყის ეტაპზე.

3. ზემომოყვანილი სქემა მხოლოდ ზოგად წარმოდგენას ქმნის. უფრო დეტალური სურათის მისაღებად საჭიროა იმ კანონების, კანონქვემდებარე აქტებისა და ფართო სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტული საგამომძიებო ან ოპერატიული სამძებრო მოქმედებათა განხორციელების წესებს.

¹ უკრაინაში დაწესებული ადვოკატის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების წესის შესახებ საუბარია მოცემული თავის შემდეგ პარაგრაფში, სადაც მოცემულია ადვოკატის ღონისძიების შეფარდების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე სასამართლო კონტროლის დახასიათება.

ასეთი სამართლებრივი მასალის მოცულობა დიდია. საკმარისია ითქვას, რომ უნივერსიტეტებში ამერიკელი იურისტი-სტუდენტებისთვის იშვიათობას არ წარმოადგენს 1200-1500 გვერდიანი წერილი ტიპოგრაფული შრიფტით დაბეჭდილი სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელოები და ეს ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება. მათში მოთავსებული მასალის ორი მესამედი, როგორც წესი, პირდაპირ ან ირიბად შეეხება პოლიციის მიერ განხორციელებულ წინასასამართლო საქმიანობას.

წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია ამომწურავად გავაანალიზოთ ყველაფერი, რაც ხდება ან უნდა ხდებოდეს წინასასამართლო (საპოლიციო) გამოძიების დროს. უნდა შემოვიფარგლოთ იმ არსებითი დებულებების მოყვანით, რომელთა დაცვას მოითხოვს ამერიკული სტანდარტები, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოლიციის მოქმედებათა კანონიერება. მათი მართლზომიერება (კანონთან ან სხვა სამართლებრივ დანაწესებთან შესაბამისობა), როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სასამართლოში შესაბამისი მტკიცებულებების დაშვებისა, ხოლო მტკიცებულებათა დასაშვებობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასამართლოში ბრალმდებლის „წარმატება“ ან „წარუმატებლობა“, ამასთან ერთად, იმ პოლიციელების პრესტიჟი, რომლებიც საქმეს იძიებდნენ.

ყველაზე გავრცელებულ საპოლიციო მოქმედებებს ამ სტადიაზე წარმოადგენს ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, მოწმეებისა და ექსპერტების დაკითხვა (გამოკითხვა, გასაუბრება, ინტერვიუ).

ამ მოქმედების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის არ არსებობს მკაფიო, კანონში დაფიქსირებული მოთხოვნები მისი შედეგების გაფორმების წესის შესახებ. მაგალითად, არ არის საჭირო, რომ შედგეს ოქმი დადგენილი ფორმით, რომელშიც მოცემული იქნება კონკრეტული რეკვიზიტები (დაკითხულის პირადი მონაცემები, ვინ ჩაატარა დაკითხვა, გააფორმებინა თუ არა დასაკითხი ცრუ ჩვენების მიცემისთვის პასუხისმგებლობის შესახებ, ვინ ესწრებოდა დაკითხვას, დაკითხვის ხანგრძლივობა, გამოყენებული იყო თუ არა ხმის ჩამწერი და ა.შ.).

პოლიციელი, როგორც წესი, ეჭვმიტანილთან, მოწმესთან ან სხვა პირთან გასაუბრების (ინტერვიუ, გამოკითხვა) შედეგს აფიქსირებს ე.წ. პოლიციის თანამშრომლის უბის წიგნაკში, შემდგომ – კონკრეტული საქმის გამოძიების შედეგების ანგარიშში. ანგარიში მას შეუძლია გამოიყენოს, როდესაც გამოიძახებენ სასამართლოში და შესთავაზებენ,

რომ საქმის ირგვლივ მისცეს ჩვენება ფიცის ქვეშ. დაიშვება ოქმის შედგენაც, რომელიც უნდა ერთვოდეს ხმის ჩანაწერი, თუმცა ასეთი სახის ოქმი არ მიიჩნევა მტკიცებულებათა წყაროდ.

კანონი და სასამართლო პრაქტიკა ძირითად ყურადღებას უთმობენ ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც გამორიცხავს „გასაუბრების“ დროს პოლიციის მხრიდან უფლებათა ბოროტად გამოყენებას. პირველ რიგში, ეს შეეხება იმ პირებთან „გასაუბრებას“, რომელთა მიმართაც არსებობს (თუნდაც) რამე საფუძველი, მათი ეჭვმიტანილად ცნობისათვის. ასეთი ყურადღება იმ პირობების მიმართ, რომელშიც უნდა მიმდინარეობდეს მოცემული კატეგორიის პირების დაკითხვა, განპირობებულია იმით, რომ ახლო წარსულში ხშირად ხმაურდებოდა პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილებათა ბოროტად გამოყენების ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს. როგორც ამერიკელი იურისტები ირწმუნებიან, ასეთი სახის ბოროტად გამოყენების მასშტაბებმა სერიოზულად შეაშფოთა საზოგადოების ფართო ფენები, რამაც განაპირობა ამ თვითნებობის აღკვეთის საშუალებათა ძიების პროცესის დაწყება.

ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენს აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ესკობედოს და მირანდას საქმეებზე. პირველი მათგანის შესაბამისად, პოლიციაში დაკითხვის დროს, ეჭვმიტანილის მიერ ბრალის აღიარება არ შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებ მტკიცებულებად, თუ ის გაკეთებული იყო მას შემდეგ, რაც ეჭვმიტანილს უარი ეთქვა დამცველთან შეხვედრაზე. ამ გადაწყვეტილების ლოგიკის თანახმად, პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარება არ დაიშვება მტკიცებულებად იმ შემთხვევაში, თუ ის გაკეთებული იყო (დაწერილი ან დაუწერელი) სასამართლის ნორმათა დარღვევით. ეინაიდან, ესკობედომ პოლიციაში თავი დამნაშავედ ცნო მას შემდეგ, რაც უკანონოდ ეთქვა უარი დამცველთან შეხვედრაზე. ეს ნიშნავს, რომ ასეთ აღიარებას იურიდიული ძალა არ გააჩნია და არ შეიძლება გამოყენებული იყოს გამამტყუნებელ მტკიცებულებად. ამ დებულებიდან გამომდინარეობს წესი, რომელიც პოლიციელმა უნდა დაიცვას, როდესაც აწარმოებს ეჭვმიტანილის დაკითხვას: ასეთი დაკითხვის დროს ეჭვმიტანილი უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამცველის დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობით.

ორი წლის შემდეგ (1966 წელს) გამოტანილი გადაწყვეტილება მირანდას საქმეზე იმავე გზით წავიდა, როგორც ზემომოყვანილი (თავი მე-2, §3), ინგლისში 1912 წელს ჩამოყალიბებული სასამართლო წესები.

მან უფრო დეტალურად გამოკვეთა პირობები, რომლებიც სავალდებულო წესით დაცული უნდა იყოს ეჭვმიტანილის დაკითხვისას. ამ გადაწყვეტილების დასაბუთებაში, რომელიც აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მაშინდელმა თავმჯდომარემ ე. უორენმა გამოიტანა, აღნიშნულია შემდეგი: „ვიდრე პირის მიმართ დასმული იქნება რამე შეკითხვა, იგი უნდა გაფრთხილდეს, რომ აქვს დუმილის უფლება, ნებისმიერი განცხადება, რომელსაც იგი გააკეთებს, შეიძლება გამოყენებულ იყოს მტკიცებულებად მის წინააღმდეგ; ასევე, რომ მას აქვს უფლება დაკითხვას ესწრებოდეს მოწვეული ან დანიშნული დამცველი. ბრალდებულმა შეიძლება უარი განაცხადოს ამ უფლებების რეალიზებაზე, მაგრამ იმ პირობით, რომ უარი ნებაყოფლობითი, შეგნებული და გათვითცნობიერებულია. თუ ის ნებისმიერი ხერხით, საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე მიუთითებს, რომ სურვილი აქვს საუბრის დაწყებამდე კონსულტაცია გაიაროს დამცველთან, მაშინ დაუშვებელია მისთვის რაიმე კითხვის დასმა“¹.

ამ გადაწყვეტილებას აშშ-ში არაერთგვაროვნად შეხვდნენ. ერთნი (ლიბერალები) მიესალმებოდნენ, რომ მართალსაწინააღმდეგო საპოლიციო პრაქტიკას საბოლოოდ მოეღებოდა ბოლო და ქვეყანაში კანონიერება და წესრიგი დამყარდებოდა. მეორენი (კონსერვატორები) პირქუშად ამტკიცებდნენ, რომ გადაწყვეტილება მირანდას საქმეზე დაუსაბუთებლად იცავდა დამნაშავეებს და დამნაშავეობასთან ეფექტური ბრძოლის შესაძლებლობას უსპობდა პოლიციას. პირველნი აქებდნენ აშშ-ს უზენაეს სასამართლოს დემოკრატიულობასა და რეკოლუციურობისთვის, მეორენი – აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მიითვისა „საპოლიციო ფუნქცია პოლიციასთან მიმართებაში“, ნულამდე დაიყვანა ამ უკანასკნელის შესაძლებლობები დამნაშავეობასთან ბრძოლაში, უგულებელყო კანონმორჩილი მოქალაქეებისა და საზოგადოების ინტერესები და სხვა.

ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია გავლენას ახდენდა და ახდენს სასამართლოებისა და სხვა სამართალგამოყენებითი ორგანოების დამოკიდებულების მუდმივ ცვალებადობაზე სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას პიროვნების უფლებათა გარანტიებთან დამოკიდებულებაში. მათი ზემოქმედებით ზემოხსენებული დაკითხვის წესები ბოლო ათწლეულების მანძილზე მოდიფიცირებას განიცდიან ამა თუ იმ მიმართულებით: აშშ-ს უზენაესი სასამართლო ხან ზღუდავდა, ხან, პირიქით, აფართოებდა მათ გამოყენებას.

იყო მცდელობები, რომ აშშ-ს კონგრესს „მირანდას წესში“ კორექტირება შეეტანა. 1968 წლის 19 ივნისს მან მიიღო კანონი „დამ-

¹ ციტრებულია: *Kumissur Y., La Five W., Israel J. Op. cit. P.446* -ის მიხედვით.

ნაშაკეობაზე კონტროლის შესახებ“, რომლის II ნაწილში გათვალისწინებული იყო რიგი დებულებები, რომლებიც ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარების მტკიცებულებად დასაშვებობისა და ასეთი აღიარების მტკიცებითი მნიშვნელობის განსაზღვრის პირობებს შეეხებოდა. ეს დებულებები შევიდა აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §3501-ში („აღიარებათა დასაშვებობა“), სადაც აღნიშნულია, რომ:

„(a) შეერთებული შტატების ან კოლუმბიის ოლქის მიერ აღძრული ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი დევნისას, აღიარება (რომლის განმარტება მოცემულია ამ პარაგრაფის „e“ ნაწილში) დაიშვება მტკიცებულების სახით, თუ ის მიცემულია ნებაყოფლობით. ასეთი აღიარების მტკიცებულებად მიღებამდე საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე, ნაფიც მსაჯულთა გარეშე, ადგენს ყველა არსებით საკითხს, რომელიც მის (აღიარების. - კ.გ.) ნებაყოფლობითობას შეეხება. თუ საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე დაადგენს, რომ აღიარება ნებაყოფლობითია, მაშინ ის დაიშვება მტკიცებულებად და მოსამართლე ნებას რთავს ნაფიც მსაჯულებს, რათა მათ განიხილონ მტკიცებულებები, რომლებიც აღიარების ნებაყოფლობითობის საკითხს შეეხება, ასევე, უტარებს მათ ინსტრუქტაჟს (სადამრიგებლო სიტყვაში. - კ.გ.), რომ მისცენ ამ აღიარებას ისეთი მნიშვნელობა, (to give such weight), რომელსაც ის იმსახურებს (მათი აზრით) საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

(b) საქმის არსებითად განმხილველმა მოსამართლემ ნებაყოფლობითობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა გარემოება, რომელიც თან სდევდა აღიარებას, მათ შორის: (1) დრო დაპატიმრებიდან ბრალდების წაყენებამდე ბრალდებულისთვის, რომელიც აღიარებს დანაშაულს, თუ ის (აღიარება. - კ.გ.) მოხდა დაპატიმრების შემდეგ, ბრალდების წაყენებამდე; (2) აღიარების მომენტში ესმოდა თუ არა ასეთ ბრალდებულს იმ სისხლის სამართალდარღვევის არსი, რომელშიც ის იყო ბრალდებული ან ეჭვმიტანილი; (3) იყო თუ არა ის ინფორმირებული, იცოდა თუ არა, რომ არ იყო ვალდებული გაეკეთებინა განცხადებები და ნებისმიერი ასეთი განცხადება შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მის წინააღმდეგ; (4) იყო თუ არა ასეთი ბრალდებული დაკითხვამდე ინფორმირებული დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლების შესახებ (assistance of counsel); (5) ზომ არ დაირღვა ბრალდებულის დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლება მისი დაკითხვისა და აღიარების განცხადების დროს.

ამ ფაქტორებიდან რომელიმეს არსებობა ან არარსებობა, რომელიც

უნდა გაითვალისწინოს საქმის არსებითად განმხილველმა მოსამართლემ, წინასწარ არ უნდა განსაზღვრავდეს აღიარების ნებაყოფლობითობის გადაწყვეტის საკითხს.

(c) შეერთებული შტატების ან კოლუმბიის ოლქის მიერ აღძრული ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი დევნისას აღიარება, რომელიც გააკეთა ან განაცხადა საქმეზე ბრალდებულმა პირმა იმ დროს, როდესაც ის იყო დაპატიმრებული ან დაკავებული და იმყოფებოდა იმ პირის (law-enforcement officer) ან ორგანოს (law-enforcement agency) ზედამხედველობის ქვეშ, რომლებიც ახორციელებენ კანონის იძულებით გამოყენებას, არ უნდა იყოს დაუშვებლად მიჩნეული მხოლოდ იმის გამო, რომ ეს პირი დროულად არ წარუდგინეს მაგისტრატს ან სხვა თანამდებობის პირს, რომლებსაც უფლება აქვთ აშშ-ს ან კოლუმბიის კანონების წინააღმდეგ მიმართულ სისხლის სამართალდარღვევაში ბრალდებულის საქმე გადასცენ სასამართლოს (commit), თუ: მის ასეთ აღიარებას საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე ნებაყოფლობითად ჩათვლის; აღიარების მტკიცებითი მნიშვნელობის განსაზღვრის უფლება მინდობილი აქვს ნაფიც მსაჯულთა ჟიურის; აღიარება გაკეთებული ან განცხადებულია დაპატიმრების ან სხვაგვარად თავისუფლების შეზღუდვიდან 6 საათის განმავლობაში. შენიშვნა: ვადის შეზღუდვა, რომელიც პარაგრაფის ამ ნაწილით არის გათვალისწინებული, არ უნდა გამოიყენებოდეს იმ შემთხვევაში, როდესაც პირის დაგვიანებით (6 საათის გასვლის შემდეგ) წარდგენას მაგისტრატთან ან სხვა თანამდებობის პირთან, საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე მიიჩნევს გონივრულად, ტრანსპორტირების საშუალებისა და იმ მანძილის გათვალისწინებით, რომელიც გასაველელია უახლოეს მაგისტრატამდე ან სხვა თანამდებობის პირამდე.

(d) მოცემულ პარაგრაფში არაფერი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, რომ მტკიცებულების სახით იყოს დაშვებული ნებისმიერი აღიარება, რომელიც ნებაყოფლობით არის განცხადებული ან გაკეთებული (არა დაკითხვის მსვლელობისას) ვინმეს მიერ სხვა პირის წინაშე, ან ნებისმიერ დროს, როდესაც აღიარების განმცხადებელი პირი არ იყო დაპატიმრებული, ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული.

(e) ამ პარაგრაფში გამოყენებული ტერმინი „აღიარება“ ნიშნავს ბრალის აღიარებას ნებისმიერი სისხლის სამართლის სამართალდარღვევის ჩადენაში (criminal offense) ან სხვა თვითბრალდებით (self-incriminating) განცხადებას, რომელიც ზეპირად ან წერილობით იყო გაკეთებული“.

1968 წლის 19 ივნისის კანონის II ნაწილის სიტყავსიტყვით და ვრცლად მოყვანილი რთულად ჩამოყალიბებული ტექსტი აღსანიშნავია იმით, რომ იგი სრულ წარმოდგენას გვაძლევს იმ პირობებზე, რომელშიც ფედერალურ სასამართლოებში ბრალდებულის აღიარება შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად, ასევე, თუ როგორ უნდა შეფასდეს ამ აღიარების მტკიცებულებითი მნიშვნელობა. ამ ტექსტში მოცემულია იმ ძირითადი მოთხოვნების კონტურებიც, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების მწარმოებელი თანამდებობის პირები ეჭვმიტანილთა დაკითხვის დროს. მტკიცებულებითი სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი ამ კანონში ასახული მიდგომა თითქმის მთლიანად აღიარეს შტატების კანონშემოქმედებითა ორგანოებმა.

თუმცა, თავდაპირველად, იურიდიულ წრეებში ამ წესებს დიდი სიფრთხილითა და შიშით შეხვდნენ. ზოგი იურისტი, კანონსა და მირანდას საქმეზე აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას შორის არსებულ ურთიერთწინააღმდეგობაზე დაყრდნობით, საუბრობდა აშშ-ს კონგრესის არამართლზომიერ მცდელობაზე – კორექტირება შეეტანა ქვეყნის უზენაესი სასამართლოს პოზიციაში და, გარკვეულწილად, საპირისპიროდ შემოეტრიალებინათ პოლიციაში ეჭვმიტანილთა დაკითხვის პრაქტიკა. ამასთან დაკავშირებით, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილებები, რომლებმაც დაადასტურა მირანდას საქმეზე გამოთქმული პოზიცია, თუმცა, ზოგიერთ დეტალში დაახლოეა იგი კანონის პოზიციას. აშშ-ს გენერალურმა ატორნიემ, აშშ-ს პრეზიდენტ ლ.ჯონსონის¹ რეკომენდაციით, თავის ქვემდებარე პროკურორებს მისცა სავალდებულო მითითება, რომ უზრუნველყოთ კანონის შესაბამის დანაწესთა შესრულება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც განსაზღვრა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე.

წინასასამართლო წარმოებისას ერთ-ერთ გავრცელებულ მოქმედებას წარმოადგენს მოწმეთა, დაზარალებულთა და ექსპერტთა დაკითხვა. მოქმედებათა იმ ნაირსახეობასთან დაკავშირებით, რომლებიც წინასასამართლო გამოძიებისას გამოიყენება, განსაკუთრებით ინტერესს წარმოადგენს ამერიკული მიდგომა ორი სახის სისხლის სამართლის საპროცესო პრობლემის გადაწყვეტისადმი. ესენია: იმ პირთა წრის განსაზღვრა, რომლებიც ვალდებულნი არიან მისცენ ჩვენება მოწმის სახით

¹ ზოგიერთი ამერიკელი გაზეთის მტკიცებით, ლ.ჯონსონმა ამ კანონის დამტკიცებისას განაცხადა, რომ: „...II ნაწილის დებულებები, მათი სირთულისა და განუსაზღვრელობის გამო, როგორც შე გენერალურ ატორნიუს ეურჩიე, უჯობებს იქნებოდა განმარტებულიყო კონსტიტუციასთან კარგონიაში“ (N.Y. Times, June 20, 1968, P.23, Col. 1).

და ზოგიერთი კატეგორიის პირებისათვის ე.წ. მოწმის პრივილეგიის (privileges of witnesses) მინიჭება; მოწმის იმუნიტეტის პრობლემა (immunity of witnesses)¹.

საერთო სამართლის ჩამოყალიბების პერიოდში დამკვიდრებული წესის მიხედვით, პირთა წრე, რომლებიც შეიძლება და უნდა იყვნენ მოწმეები, საკმაოდ ფართოდ განისაზღვრება. ისინი შეიძლება იყვნენ ნებისმიერი პირები, თუ კანონით ან სხვა სამართლებრივი დანაწესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოწმე, აქედან გამომდინარე ყველა იურიდიული შედეგით („სიძარ-თლის და მხოლოდ სიძართლის თქმის“ ვალდებულების დაკისრება და სხვა), შეიძლება გახდეს, ასევე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი. ასეთი რამ შესაძლებელია, როდესაც სისხლის სამართლის საქმე გადაეცემა სასამართლოს და პასუხისგებაში მიცემულ პირს წარუდგენენ ბრალდებას, ესე იგი, როდესაც ის იძენს ბრალდებულის სტატუსს. ასეთ „მეტამორფოზას“ უშვებენ როგორც შტატების, ისე ფედერალური კანონმდებლობები. როგორც აღნიშნულია აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §3481-ში², „შეერთებული შტატების წინააღმდეგ ჩადენილ სისხლის სამართალდარღვევაში ბრალდებული ნებისმიერი პირის მიმართ სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას, ასევე, საქმის განხილვისას სამხედრო სასამართლოში, საქმის წინასწარ განმხილველ სასამართლოში (courts of inquiry), ნებისმიერ შტატში, ოლქსა და აშშ-ს სამფლობელოებსა ან ტერიტორიებზე, დანაშაულში ბრალდებული პირი, მისი პირადი თხოვნის საფუძველზე, უნდა ჩაითვალოს კომპეტენტურ მოწმედ. ბრალდებულის უარი ასეთი თხოვნის განცხადებაზე არ უნდა ქმნიდეს მის წინააღმდეგ მიმართულ რაიმე პრეზუმეციას (კურსივი ეკუთვნის - კ.გ.-ს)“.

ასეთი ფართო ზოგადი წესისათვის (ისევე, როგორც მრავალი სხვა მსგავსი წესისათვის) კანონმდებლობა და სხვა სამართლებრივი დანაწესები (ძირითადად, დაუწერელი სამართლისა და სასამართლო წესების ნორმები) ითვალისწინებენ მრავალ გამონაკლისს, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. თითოეული ასეთი გამონაკლისი მოიცავს

1 მოწმის იმუნიტეტის ინსტიტუტზე საუბარია მოცემული თავის §7-ში, რომელიც ეხება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვას პირველი ინსტანციის სასამართლოში, რადგან, უფრო ხშირად, სწორედ ამ სტატიის გამოიყენება დასახლებული ინსტიტუტი და მის შესახებ ცნობები ეხმარება სასამართლოს როლის გარკვევას სამართალწარმოების შეჯიბრებითობის საწყისების რეალიზაციაში.

2 ციტირებული (დღეს მოქმედი) პარაგრაფის საფუძველია დებულებები, რომლებიც აშშ-ს კანონმდებლობაში 1878 წლის 16 მარტს მიღებულმა კანონმა შეიტანა.

პირთა განსაზღვრულ კატეგორიებს, რომლებსაც უფლება აქვთ საერთოდ არ მისცენ ჩვენება, ან უარი თქვან მის მიცემაზე განსაზღვრულ ფარგლებში, ასევე, იმ პირობებს და პროცედურებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს კონკრეტული პირისთვის ასეთი უფლების მინიჭების დროს. აშშ-ს (ისევე, როგორც ინგლისის) სისხლის სამართლის პროცესში ამ წესს (იხ. თავი მე-2, §4) მოწმის პრივილეგიას უწოდებენ (witness privilege)¹.

ნიშანდობლივია, რომ ფედერალური კანონმდებელი და სასამართლოები არ ისწრაფვიან მოწმეებად დასაშვებ პირთა წრის შესახებ ზოგადი წესიდან გამოჩაღების (მთელი ქვეყნის მასშტაბით) რაიმე უნიფიცირებული ან ცენტრალიზირებული განსაზღვრისაკენ. მტკიცების ფედერალური წესებით, ფედერალურ სასამართლოებს (და სხვა ფედერალურ სამართალდამცავ ორგანოებს) ეძლევათ ამის თაობაზე მხოლოდ ზოგადი ორიენტაცია, რომ საკითხის გადაწყვეტისას – აქვს თუ არა კონკრეტულ პირს უფლება, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას ჩვენების მიცემაზე – „მათ უნდა იხელმძღვანელონ (როგორც 501-ე წესი აღნიშნავს) საერთო სამართლის (common law) პრინციპების განმარტებით, რომლებსაც იძლევიან აშშ-ს სასამართლოები გონიერებისა და გამოცდილების შუქზე (in the light of reason and experience)“.

ასეთი ზოგადი ორიენტაცია განაპირობებს იმ არსებით შეუთანხმებლობას, რომელიც არსებობს მტკიცებულებითი სამართლის ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის რეგლამენტაციისას. ამაში დაერწმუნებით, თუ ერთმანეთს შევადარებთ იმ კონკრეტულ დებულებებს, რომლებიც ადგენენ მოწმის სტატუსს.

მტკიცების ფედერალური წესების VI მუხლში (რომელიც შეიცავს დებულებებს იმ მოთხოვნათა შესახებ, რომლებიც წარედგინებათ მოწმეებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე) იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც შესაძლებელია მოწვეულნი იყვნენ სისხლის სამართლის საქმეზე ჩვენების მისაცემად, აღნიშნულია, რომ: „მოწმე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, თუ ამ წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (601-ე წესი). თუმცა, ამავე წესში დაკითხვის წარმოების, მოწმის ჩვენების უტყუარობის შემოწმებისა და სხვა წესების ფორმულირებასთან ერთად საუბარია გამოჩაღებისზეც:

მოწმე ვერ მისცემს ჩვენებას რაიმე ფაქტის შესახებ, „თუ არ არის წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასკვნისათვის,

¹ რუსულ სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში მოწმის უფლებას – უარი თქვას ჩვენების მიცემაზე – ხშირად მოწმის იმუნიტეტს უწოდებენ, რაც არასწორია.

რომ მან პირადად აღიქვა ეს ფაქტი (602-ე წესი);

მოწმე ვერ მისცემს ჩვენებას, თუ არ დადებს ფიცს ან საზეიმოდ არ დაადასტურებს „ისეთი ფორმით, რომელიც გათვლილია მასში სინდისის გალვიძებასა და მოვალეობის შეგნებისათვის“, რომ ილაპარაკებს მხოლოდ სიმართლეს (603-ე წესი);

კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას თავმჯდომარე მოსამართლე არ შეიძლება იყოს მოწმე ამ საქმეზე (605-ე წესი); ჩვენებას ვერ მისცემს ნაფიცი მსაჯული იმ საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებზე, რომლის განხილვაშიც იღებდა მონაწილეობას. მას, ასევე, უფლება აქვს უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა მსჯელობა სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოტანის დროს და რამ იქონია ზეგავლენა მის მიერ დაკავებულ პოზიციაზე (606-ე წესი).

მტკიცების ფედერალური წესებიდან არსებული გამონაკლისების მოყვანილი ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. მრავალი სხვა გამონაკლისი გაბნეულია ფედერალური სასამართლოებისათვის, სხვა ამ დონის სამართალდამცავი ორგანოებისთვის სავალდებულო დაუწერელი სამართლის მასივსა და აშშ-ს კანონთა კრებულში თავმოყრილ ფედერალურ კანონთა ნორმებში.

ანალოგიური მიდგომა შეინიშნება სხვა შტატებშიც იმ პირთა წრის განსაზღვრისას, რომლებიც შეიძლება დაკითხონ საქმის განხილვისას, მაგრამ არსებობს ზოგიერთი თავისებურება. ფლორიდის შტატში ამგვარი საკითხების გადაწყვეტის წესები და პირობები დადგენილია არა უმაღლესი სასამართლოს მიერ დამტკიცებული მტკიცებულებითი წესების ნორმებით (როგორც ეს მიღებულია ფედერალური და მრავალი შტატის დონეზე), არამედ საკანონმდებლო წესით. ფლორიდის შტატის კანონთა კრებულის (Florida Statutes) (როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული – თავი პირველი, §3) 90-ე თავი (მას „მტკიცებულებით კოდექსს“ – „Evidence Code“ – უწოდებენ) შეცავს შესაბამის დებულებებს. კრებულის §90.501-ში აღნიშნულია, რომ: „თუ სხვა რამ არის გათვალისწინებული ამ თავით, სხვა კანონით, აშშ-ს კონსტიტუციით ან ფლორიდის შტატის კონსტიტუციით, მაშინ სასამართლო განხილვის დროს არც ერთი პირი არ სარგებლობს პრივილეგიით:

- (1) უარი თქვას იყოს მოწმე;
- (2) უარის თქვას რაიმე მასალის გამხელაზე;
- (3) უარი თქვას ნებისმიერი საგნის ან წერილობითი დოკუმენტის წარდგენაზე;

(4) ხელი შეუშალოს სხვა პირს ჩვენების მიცემაში, რაიმე მასალის გამხელასა და ნებისმიერი საგნის, დოკუმენტის წარდგენაში“.

ფლორიდის შტატის კანონთა კრებულის იმავე თავში ციტირებულ პარაგრაფს მოჰყვება პარაგრაფები, რომლებიც ითვალისწინებს გამოწვევის საერთო წესიდან. მათში დაწვრილებით არის რეგლამინტირებული პირობები, რომლის დროსაც დასაშვებია უარის თქმა ჩვენების მიცემაზე (საუბარია მოწმის უფლებაზე – არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკული სამართლებრივი აქტები და ლიტერატურული წყაროები, ხშირად, თვითბრალდების წინააღმდეგ პრივილეგიას (privilege against self-incrimination) უწოდებენ; საადვოკატო, საექიმო, კომერციულ, სამსახურებრივ, ოჯახურ, აღსარების და სხვა სახის საიდუმლოებებზე¹, რომელთა „მატარებელ პირებსაც“ უფლება აქვთ მოითხოვონ მოწმის პრივილეგია), ფარგლებსა და პროცედურაზე, რომლებიც დაცული უნდა იყოს კონკრეტული პრივილეგიებით სარგებლობაზე პრეტენზიის დასაბუთებულობის დადგენისას.

თანამედროვე აშშ-ში მოქმედი მტკიცებულებითი სამართლის შესწავლისას მოწმის პრივილეგიების საკითხებთან დაკავშირებით ეხვდებით, ასევე, სხვაგვარ მიდგომებს, რომლებიც რამდენადაც განსხვავდება იმათგან, რომლებსაც აღიარებენ მტკიცების ფედერალური წესები და ფლორიდის შტატის კანონთა კრებული. მაგალითად, კალიფორნიის შტატის მტკიცებულებით კოდექსში აღნიშნულია:

„სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული სარგებლობს პრივილეგიით, რომ არ იყოს გამოძახებული მოწმედ და არ მისცეს ჩვენება“ (§930-ე);

„ნებისმიერი პირი სარგებლობს პრივილეგიით, რომ უარი თქვას ნებისმიერი მასალის გამხელაზე (disclose), რომელიც შეიძლება ინკრიმინირებად ხასიათს ატარებდეს მასთან მიმართებაში“ (§940-ე);

ქორწინებაში მყოფი პირი სარგებლობს პრივილეგიით, რომ უარი თქვას ჩვენების მიცემაზე „მუელის, ბავშვის, შშობლების ან მათთან

¹ როგორც ჩანს, იმასთან დაკავშირებით, რომ ფლორიდის შტატის ტერიტორია ამერიკელების საცდელ დასაცვენებელ ადგილს წარმოადგენს და აქ შედარებით მაღალია სექსობრივი დანაშაულების რაოდენობა, კანონთა კრებულის 90-ე თავში მოცემულია §90.5035, რომელშიც დეტალურად არის რეგლამინტირებული „სექსობრივ ხელყოფებთან დაკავშირებით მრჩევლთა“ (sexual assault counselor) მოწმის პრივილეგიების საკითხი. ეს „მრჩევლები“ არიან ამ შტატის იმ დაწესებულებების თანამშრომლები, სადაც ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევენ სექსობრივი დანაშაულების შედეგად დაზარალებულ პირებს. ის, რასაც ეს მრჩევლები შეიტყობენ დაზარალებულთაგან, არ ხმაურდება, თუნდაც ამას მოითხოვდეს სისხლის სამართლის საქმის განხილვის ინტერესები. მათ უფლება აქვთ უარი თქვან ჩვენების მიცემაზე იმ ცნობების შესახებ, რომლებიც მათ გაანდეს შესაბამისი დახმარების გაწევისას.

ერთად მცხოვრები ნათესაების პიროვნების ან ქონების წინააღმდეგ დანაშაულის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, თუ ის ჩადენილია ქორწინებამდე ან მის დროს". (§972, პუნქტი „ე“, ქვეპუნქტი 1);

„ნებისმიერი სახელმწიფო წარმონაქმნი (a public entity) სარგებლობს პრივილეგიით, რომ უარი თქვას ოფიციალური ინფორმაციის¹ გამხელაზე და წინააღმდეგობა გაუწიოს სხვებსაც ოფიციალური ინფორმაციის გამხელაში...“, თუ „...ინფორმაციის გამხელა ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს იმასთან დაკავშირებით, რომ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის აუცილებლობა გაცილებით მნიშვნელოვანია (outweighs), ვიდრე მართლმსაჯულების ინტერესებისათვის მისი გამხელა“ (§1040, პუნქტი „ბ“).

ზოგადი წესის სახით, სახელმწიფო ორგანო სარგებლობს პრივილეგიით, რომ „უარი თქვას იმ პირის პიროვნების შესახებ მონაცემების გამხელაზე (identity), რომელმაც წარმოადგინა ინფორმაცია..., რომელიც ხელს უწყობს აშშ-ს, მოცემული შტატის (საუბარია კალიფორნიის შტატზე. - კ.გ.) ან მისი რომელიმე ორგანოს სამართლის ნორმათა დარღვევის გამოვლენას...“ (§1041, პუნქტი „ა“).

„ნებისმიერი პირი სარგებლობს პრივილეგიით (თუ იგი პრეტენზიას აცხადებს ასეთ პრივილეგიაზე), რომ უარი თქვას თავისი ხმის (the tenor) მნიშვნელობის გამხელაზე, რომელიც მან მისცა საჯარო არჩევნებში ფარული კენჭისყრის დროს, მაგრამ იმ პირობით, რომ მისი მონაწილეობა კენჭისყრაში იყო კანონიერი და მას წინათ თვითონ არ გაუმხელია თავისი ხმის შინაარსი“ (§1050-ე);

„კომერციული საიდუმლოს მესაკუთრე (owner of a trade secret), თუ იგი თვითონ, მისი წარმომადგენელი (agent) ან თანამშრომლი აცხადებს პრეტენზიას ასეთი სახის პრივილეგიაზე, სარგებლობს პრივილეგიით, უარი თქვას და ხელი შეუშალოს სხვა პირებსაც საიდუმლოს გახსნაზე იმ პირობით, რომ პრივილეგიის მინიჭებას არ მოჰყვება ტყუილის დაფარვა ან სხვაგვარად არ გამოიწვევს უსამართლობას (otherwise work injustice)“ (§1060-ე);

გამომცემლები, რედაქტორები, გაზეთის, ჟურნალის, სხვა პერიოდული გამომცემლობისა და რადიოს, ტელევიზიის ახალი ამბების კორესპონდენტები (news reporters), ასევე, ინფორმაციის ამ მასობრივი საშუალებების სხვა მუშაკები (persons connected or employed) „არ

¹ მოცემული პარაგრაფის „ა“ პუნქტში „ოფიციალური ინფორმაციის“ (მათ შორის ინფორმაცია, რომელიც მიღებულია ინფორმატორებისაგან სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას) ცნება ფართოდ განისაზღვრება. მასში მოიაზრება „სახელმწიფო მოხელეებისათვის თავიანთი სამსახურკობრივი მოვალეობის შესრულების დროს განდობილი (in confidence) ინფორმაცია“.

შეიძლება ცნობილი იყვნენ დამნაშავეებად უპატივცემულობაში (adjudged in contempt)“ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს იტყვიან გაამხილონ მიღებული და გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი ინფორმაციის წყარო (§1070-ე).

შესაძლებელია კიდევ გავაგრძელოთ იმ პირობების ჩამოთვლა, რომელთა არსებობის დროსაც მოწმეები სარგებლობენ პრივილეგიებით. მაგრამ, რაც ზემოთ არის ჩამოთვლილი უკვე საკმარისია იმისთვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რამდენად სკრუპულოზურად არის რეგლამენტირებული მოწმის პრივილეგიების ინსტიტუტი ამერიკულ სისხლის სამართალწარმოებაში. მთელი რიგი ასეთი დებულებები იმსახურებს რუსი კანონმდებლის ყურადღებას; რუსული რეალობის გათვალისწინებით ამ დებულებათა შეფასებისას, შესაძლებელია მათი გაზიარებაც.

ამერიკულ სისხლის სამართალწარმოებაში მოწმის საპროცესო ძღვომარეობის დახასიათებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ბოლო წლებში ფართოდ გავრცელებულ მოწმეთა უსაფრთხოების ინსტიტუტს (witness security), რომლსაც საფუძვლად უდევს 1984 წლის 12 ოქტომბერის კანონი „მოწმეთა უსაფრთხოების ინსტიტუტის რეფორმის შესახებ“ (Witness Security Reform Act of 1984)¹.

აღნიშნული კანონი განსაზღვრავს ზომებს, მათ შინაარსს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს მოწმეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; პირთა წრეს, რომელთა მიმართაც შეიძლება ასეთი ზომების გამოყენება; მათი რეალიზების პირობებს. უსაფრთხოების ზომების მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დასაცავი პროცედურის განსაზღვრა ეკისრება აშშ-ის გენერალურ ატორნიის, რომელიც გამოსცემს სახელმძღვანელოებსა და ინსტრუქციებს (guidelines, regulations) აღნიშნულ საკითხებზე. ის და მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამდებობის პირები განსაზღვრავენ კონკრეტულ პირებს, რომელნიც საჭიროებენ დაცვით ღონისძიებებს, შესაბამისი ღონისძიებების შინაარსს და ა.შ.

კანონით განსაზღვრული დაცვის ზომები ტარდება იმ მოწმეების ან „პოტენციური მოწმეების“ მიმართ, რომლებიც თანამშრომლობენ ან თანახმანი არიან ითანამშრომლონ ფედერალური ან შტატის ხელისუფლებასთან ისეთი დანაშაულების საქმეების გამოძიებისა და სისხლის სამართლის დევნისას, რომლებიც დაკავშირებულია „ორგანიზებულ კრიმინალურ საქმიანობასთან“ (organized criminal activity) ანდა სხვა

¹ კანონის ტექსტი თითქმის მთლიანად არის შეხული აშშ-ის კანონთა კრებულის მე-18 კარში §3521-ის სახით.

განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებზე (other serious offences). დაცვის ღონისძიებები გამოიყენება მოწმის ოჯახის წევრების ან „მასთან დაახლოებული სხვა პირების“ (a person otherwise closely associated with) მიმართაც. ასეთ ზომებს მიეკუთვნება, მაგალითად: საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის (relocation) უზრუნველყოფა ავეჯისა და სხვა საოჯახო ნივთების გადატანაში მიხმარებით; ახალ საცხოვრებელ ადგილას სამსახურში მოწყობისათვის ხელშეწყობა; გადასვლასა და კეთილმოწყობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯის ანაზრაულება; დასაცავი პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების შეცვლა; მოწმის ან სხვა დასაცავი პირების ახალი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ცნობების გაუხმაურებლობის უზრუნველყოფა¹. გადაწყვეტილების მიღებამდე მოწმესან იღება ერთგვარი გარიგება. უფლებამოსილი თანამდებობის პირი უგზავნის მას „მემორანდუმს ურთიერთგაგების შესახებ“ (memorandum of understanding), რომელშიც აღწერილია დაცვის ზომების გამოყენების პირობები. კერძოდ, მითითებულია, რომ ზომები მიიღება იმ შემთხვევაში, თუ პირი მისცემს ჩვენებას ან სხვაგვარ ინფორმაციას, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამისი დანაშაულის გახსნასა და დამნაშავეების მხილებას. პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაცვის ზომები უქმდება.

თავისი მნიშვნელობითა და გარანტიების ღონით, დაკითხვასთან (გამოკითხვა) ახლოს დგას ამოცნობა (lineup). ეს ბევრი ქვეყნისთვის კარგად ცნობილი საპროცესო მოქმედებაა, რომელიც (აშშ-ში ჩამოყალიბებული) სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო წარმოების ეტაპზე ხორციელდება. ცოცხალ პირთა ამოცნობა ხშირად თავისებურ ფორმას ღებს.

ითვლება, რომ ამოცნობა განსაკუთრებით ეფექტურია იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ორ ეტაპად მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე დაზარალებულს (მოწმეს) შესაძლო ექვმიტანილს წარუდგენენ სხვა პირებთან ერთად; ასეთი წარდგენა, ამომცნობის უსაფრთხოების მიზნით, ტარდება ისეთნაირად მოწყობილ შენობაში, სადაც ამოსაცნობი პირი ვერ ხედავს ამომცნობს. ამას წინ უნდა უსწრებდეს დაკითხვა იმის თაობაზე, თუ რა ნიშნების საშუალებით შეუძლია ამომცნობს ამოსაცნობის ამოცნობა. ამ ეტაპზე მიღებული შედეგები, დოკუმენტალურად, დაახლოებით ისე ფორმდება, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია მიღებული.

¹ §3521-ის ნაწილი „ბ(3)“ ითვალისწინებს, რომ პირს, რომელიც განზრახ განმარტებს უსაფრთხოების ზომების შესახებ ცნობებს, შესაძლია დაკისროს ჯარიმა 5 000 დოლარამდე ოდენობით ან/და შეუზღუდოს თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით.

ტარდება ამომცნობის დაკითხვა, რომლის დროსაც მან უნდა განმარტოს, თუ რა ნიშნებით ამოიცნო ამოსაცნობ პირში ის პიროვნება, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა ან ხელი შეუწყო მას. მაგრამ ამით ამოცნობა ყოველთვის არ მთავრდება.

მეორე ეტაპზე ამომცნობს ეჭვმიტანილ პირს წარუდგენენ ისეთ მსგავს გარემოში, რომელშიც ამომცნობი თვალს ადევნებდა, თუ როგორ ხდებოდა დანაშაული ან დანაშაულთან დაკავშირებული რაიმე სხვა მოვლენა. ამის შემდეგ ამომცნობის მიერ იმ დასკვნის დადასტურება, რომელიც მან პირველ ეტაპზე გააკეთა, ითვლება დანაშაულებრივი ხელყოფის გახსნის, მისი ჩამდენი პირის მხილების მეტად საიმედო და მნიშვნელოვან საშუალებად. ასე ჩატარებული ამოცნობის შედეგები თითქმის 100%-იან „ეფექტს“ იძლევა საქმის სასამართლო განხილვისას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ამიტომ, კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ასეთი სახის მოქმედებების წარმოებისათვის აწესებს მკაცრ მოთხოვნებს. კერძოდ, ფართოდ არის აღიარებული, რომ მათი ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ესწრება ამოსაცნობი პირის დამცველი. ამ წესიდან იშვიათად დაიშვება გამონაკლისი.

განსახილველ სტადიაზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და მასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი წყაროები პირდაპირ არ ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარებას და განსწავლულ მოწმეთა (ექსპერტი-მოწმეების – expert witnesses) დაკითხვას. ითვლება, რომ ასეთი საპროცესო მოქმედება სრული მოცულობით უნდა ჩატარდეს საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით და მისი კონტროლის ქვეშ. ეს არ ნიშნავს, რომ ორგანოებს და თანამდებობის პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან განახორციელონ სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო წარმოება, არ მიმართავენ ან უფლება არ აქვთ მიმართონ სპეციალისტების დახმარებას, რათა მიიღონ პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც სპეციალურ ცოდნას საჭიროებს. ცხადია, ისინი სარგებლობენ ასეთი დახმარებით, მაგრამ ამ დროს ხელმძღვანელობენ საუწყებო ნორმატიული აქტებით ან სამართლებრივი დანაწესებით, რომლებიც გათვლილია საქმის სასამართლოში გადავ ზაენის შემდეგ გამოყენებაზე. ამ უკანასკნელზე ორიენტაციას აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან გამოსაძიებელი სისხლის სამართლის საქმე, მისი წარმოების ნორმალური მსვლელობისას, აუცილებლად ხვდება სასამართლოში, სადაც ფასდება წინასწარი გამოძიების ორგანოების მოქმედებები (მათ შორის, საქმეში ექსპერტების მოწმეების) მართლზო-

მიერება. ასეთი სახის შეფასება ხდება იმ კრიტერიუმებით, რომლებითაც ხელმძღვანელობენ სასამართლოები ექსპერტიზის დანიშვნის, წარმოების დროს და მიღებული შედეგების (ექსპერტთა დასკვნები) მტკიცებულებითი მნიშვნელობის განსაზღვრისას. ამიტომ, ქვემოთ მოყვანილი ცნობები იმ წესების შესახებ, რომლებსაც იცავენ სასამართლოები, ასევე, წარმოდგენას იძლევა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა წინასწარი გამოძიების დროს.

ამ წესების მიხედვით, ექსპერტი-მოწმეები საქმეში მოიწვევიან მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭიროა სპეციალისტის აზრის გარკვევა კონკრეტულ საქმეზე ფაქტების ან გარემოებების დადგენისას წამოჭრილ საკითხზე, რომელიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. პირობებს, რომელთა არსებობის დროსაც შესაძლებელია ექსპერტების მოწვევა, მტკიცების ფედერალური წესების 702-ე წესი ასე აყალიბებს: „თუ ფაქტის მოსამართლეს (trier of fact)¹ კონკრეტული მტკიცებულების გამოკვლევა ან საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოების დადგენისას (a fact in issue) დაეხმარება სამეცნიერო, ტექნიკური ან სხვა სპეციალური ცოდნა მაშინ, ნებისმიერი მოწმე, რომელიც თავისი ცოდნით, კვალიფიკაციით, გამოცდილებით, მომზადებითა და განათლებით ითვლება სპეციალისტად, უფლებამოსილია ამ მიზნით მისცეს ჩვენება საკუთარი აზრის გამოხატვით ან სხვა ფორმით“.

702-ე წესის თანახმად, ასეთი სახის მოწმეები (სხვა მოწმეებისგან განსხვავებით) მოიწვევიან, რათა მიაწოდონ ცნობები არა პირადად აღქმული ფაქტებისა და მოვლენების შესახებ, არამედ გამოხატონ საკუთარი, კონკრეტულ ცოდნაზე დამყარებული შეხედულება (მოსაზრება) დასმული საკითხების შესახებ. დაუშვებლად მიიჩნევა ექსპერტი-მოწმეების მოწვევა მათი აზრის მოსასმენად ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების შესახებ, რომლებში გარკვევაც შეუძლია „საშუალო შესაძლებლობების“ ადამიანსაც (მათ შორის, ნაფიც მსაჯულებს). ასევე, დაუშვებელია მათთვის ისეთი კითხვების დასმა, რომლებსაც პასუხი, კანონით, ფაქტის მოსამართლემ უნდა გასცეს (მაგალითად, ბრალის ფორმა და სხვა) (704-ე წესი, პუნქტი „b“).

საყურადღებოა 706-ე წესით დადაგენილი ექსპერტი-მოწმეების დანიშვნის წესი. „სასამართლომ – აღნიშნულია ამ წესის „ა“ პუნქტში – საკუთარი (on its own motion) ან სხვა ნებისმიერი მხარის ინიციატი-

¹ მხედველობაშია საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე ან ნაფიცი მსაჯული, რომელთა ფუნქციებში შულის გადაწყვეტილების მიღება საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცების ან არდამტკიცების შესახებ.

ეთ შეიძლება გამოსცეს ბრძანება, სადაც ასაბუთებს ექსპერტი-მოწმის დანიშვნაზე უარის მიზეზებს, ასევე, შესთავაზოს მხარეებს წარადგინონ მისი კანდიდატურა. სასამართლო უფლებამოსილია დანიშნოს ნებისმიერი ექსპერტი-მოწმე, რომელსაც მხარს უჭერენ მხარეები ან შეარჩიოს იგი საკუთარი შეხედულებით. სასამართლომ არ უნდა დანიშნოს, თუ ეს უკანასკნელი თანახმა არ არის მონაწილეობა მიიღოს საქმეში. დანიშნული ექსპერტი-მოწმე წერილობით უნდა იყოს ინფორმირებული მისი მოვალეობების შესახებ (წერილობითი განმარტების ასლს სასამართლოს კლერკი ან მოსამართლე ურთავენ საქმეს) თათბირის მსვლელობისას, რომელსაც შეიძლება ესწრებოდნენ მხარეები... ორივე მხარეს აქვთ უფლება მიიღონ ოფიციალურად გაფორმებული წერილობითი განცხადება (witness' deposition)¹ და იგი შეიძლება გამოიძახონ დასაკითხად სასამართლომ ან ნებისმიერმა მხარემ. ექსპერტ-მოწმეს ჯვარედინად დაკითხავს თითოეული მხარე (მათ შორის მხარე, რომელმაც იგი გამოიძახა) (კურსივი ეკუთვნის - კ.გ.-ს)². დამახასიათებელია, რომ იმავე წესის „ბ“ პუნქტის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ მოწვეული ექსპერტი-მოწმის შრომის ანაზრაურება ხდება სასამართლოს მიერ დადგენილ ფარგლებში, კანონით გათვალისწინებული (provided by law) სახსრების ხარჯზე. ამასთანავე, 706-ე წესის „დ“ პუნქტი, სასამართლოს გადაწყვეტილებით ექსპერტი-მოწმეების მოწვევასთან ერთად, უშვებს მხარეთა შეხედულებით მათ გამოიძახებას². ამით სისხლის სამართლის საქმეში იქმნება პირობები ე.წ. შეჯიბრებითი ექსპერტიზის წარმოებისთვის.

საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე ექსპერტიზის დანიშვნის ძირითადი წესების შესახებ ზემომოყვანილ მოთხოვნებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ წინასწარი გამოძიების (წინასასამართლო) ორგანოების მიერ სპეციალისტების მოწვევის შემთხვევაშიც. მათ უნდა დაიცვან აღნიშნული წესები იმდენად, რამდენადაც სისხლის სამართლის საქმეზე მათ მიერ შეგროვილი მასალები, მათ შორის, ექსპერტი-მოწმეების ოფიციალურად გაფორმებული წერილობითი განცხადებები ან მათი დაკითხვის ოქმები, ბოლოს სასამართლოს გადაეცემა და ფასდება სწორედ ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4. განსახილველი სტადიის დასკვნით ეტაპზე, ყველა იმ მონაცემის გამოვლენისა და შეკრების შემდეგ, რომელიც საკმარისია (იმ

1 თავისი არსით, ეს არის ის, რასაც რუსი იურისტები ექსპერტის დასკვნას უწოდებენ.

2 დასახელებულ პუნქტში ნათქვამია: „ამ წესში (წესი 706-ე - კ.გ.) არაფერი ზღუავს მხარეებს, რათა გამოიძახონ თავიანთი სურვილით შერჩეული ექსპერტი-მოწმეები (of their own selection)“.

პირთა შეხედულებით, ვინც გამოძიებას აწარმოებს) დანაშაულის ჩაღენაში კონკრეტული პირის მხილებისა და საქმის სასამართლოში გაგზავნისათვის, ხდება ის, რასაც ამერიკელი იურისტები უწოდებენ *გადაწყვეტილების მიღებას ბრალდების შესახებ*. აღნიშნული იწყება იმით, რომ პოლიციელი, რომელიც ასრულებდა ოპერატიულ-სამძებრო (საგამოძიებო) მოქმედებებს, თავის უშუალო უფროსს წარუდგენს ანგარიშს იმის თაობაზე, თუ რა გაკეთდა და დადგინდა აღნიშნული საქმის ირგვლივ. იმ შემთხვევაში, თუ ეს უაკანსკენელი ცნობს ეჭვმიტანილის მიერ ხელყოფის ჩადენის ფაქტს საკამარისად დადასტურებულად, ამოწმებს ჩადენილი მოქმედების კვალიფიკაციის სისწორეს. მას შეუძლია შეცვალოს ან დააზუსტოს თავდაპირველი კვალიფიკაცია და ამის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის შემდგომი მსვლელობის თაობაზე. გადაწყვეტილება შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: საქმე გადაეცეს სასამართლოს გამარტივებული (სუმარული) წესით განსახილველად (ამის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი – მოცემული თავი, §8); შეიძლება შეწყდეს მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო ან გადაწყდეს ე.წ. „ღარეგულირების“ მეშვეობით პოლიციის განყოფილების დონეზე (მაგალითად, წაკამათებული ნაცნობების გაფრთხილება და შთაგონება). გადაწყვეტილებების ამ ვარიანტების არჩევისას ეჭვმიტანილს, როგორც წესი, ათავისუფლებენ პატიმრობიდან. პრაქტიკულად, ასეთი სახით პოლიციის დონეზე ხდება შედარებით დიდი რაოდენობის საქმეთა „გაცხრილვა“ (10-15%-ზე მეტი).

წინასწარი გამოძიების ამ ეტაპზე შესაძლებელია სხვა გადაწყვეტილების მიღებაც. მაგალითად, პოლიცია ცნობს დანაშაულს სასამართლოს ყურადღების ღირსად. ასეთ შემთხვევაში, შეგროვილი საბრალდებო მასალები ეგზავნება პროკურორს, რომელმაც პოლიციის დასკვნების დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ უნდა განახორციელოს *სისხლისსამართლებრივი დენა სასამართლოში*. ამ ფილტრში გაივლის თითქმის ყველა სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის ისინიც, რომლებიც გამარტივებული წესით უნდა განიხილებოდეს. ცხადია, „საგულდაგულოდ“ შემოწმების ხარისხი სხვადასხვა კატეგორიების საქმეებზე ერთნაირი არ არის.

მეტ ყურადღებას მოითხოვს სამიმ დანაშაულთა საქმეები, რომლებიც სასამართლოში დაწესებულ პროცედურათა სრული დაცვით განიხილება. ხშირად ასეთ საქმეებზე პროკურორები მიმართავენ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ სასამართლოს და მოითხოვენ საქმის წინასწარ განხილვას ან შესამოწმებლად გააქვთ ისინი მსაჯულთა

დიდი ყიურის სხდომაზე. მანამდე პროკურორები მიმართავენ ე.წ. საქმის შემდგომი წარმოების მიზანშეწონილობის წინასაბრალდებო განსაზღვრას. შეისწავლიან საპოლიციო გამოძიებისას შეკრებილ მასალებს, ზოგჯერ თავადაც გამოკითხავენ ექვმიტანილებს ან დაზარალებულებს (პროკურორებს შეუძლიათ ასეთ შემოწმებაში ჩართონ თანამშემწეები, გამომძიებლები ან პოლიციის სხვა მუშაკები, რომლებიც პროკურორის შტატში ირიცხებიან,) და იღებენ გადაწყვეტილებას საქმის შემდგომი მსვლელობის თაობაზე.

ამ გადაწყვეტილებების შინაარსზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. მათ შორის ძირითადია ბრალდების დამტკიცების ხარისხი. თუ პროკურორი დარწმუნებული არ არის, რომ მიაღწევს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას, მაშინ საქმე წყდება. შესაძლებელია ჩადენილი ქმედების გადაკვალიფიცირება და ბრალდების შემსუბუქება. იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების დამტკიცების საკითხი სადავოა, პროკურორს უფლება აქვს საქმის შემდგომი მსვლელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს სხვა ფაქტორებიც: დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა; ექვმიტანილის რეპუტაცია; წარსულში ნასამართლობის არსებობა ან არარსებობა; ექვმიტანილის მსჯავრდების აღბათობა უფრო საშიში დანაშაულისათვის სხვა საქმეში, რომელიც უკვე გადაცემული აქვს სასამართლოს არსებითი განხილვისათვის და ა.შ. მრავალი ადგილობრივი პროკურორი ადგენს და ავრცელებს პოლიციელთა შორის პროგრამებს, რომელშიც წინასწარ არის ჩამოყალიბებული იმ საქმეების ბედისაღმი მიდგომის პრინციპები, რომლებიც პროკურორთან ხვდება განსახილველად. მაგალითად, დაწესდება, რომ პროკურატურა მხარს არ დაუჭერს ბრალდებას მცირეზნობის მსხვერპლ დანაშაულთა საქმეებზე, თუ ექვმიტანილი ღებს პირობას, რომ ანაზღაურებს მიყენებულ ზარალს, მოეწყობა მუდმივ სამუშაოზე და ა.შ.

ამ ეტაპზე ბრალდებათა მნიშვნელოვანი ნაწილი წყდება ანდა მნიშვნელოვნად მსუბუქდება. როგორც ამერიკელი ავტორები მოწმობენ, შემსუბუქებას ექვემდებარება ბრალდებათა 30%. პროკურორები ხშირად იხრებიან ისეთი გადაკვალიფიცირებისკენ, რომლითაც კონკრეტული დანაშაული შეიძლება ჩაითვალოს არა საშიშად, არამედ ნაკლებად საშიშად. მაგალითად, მალაზიის გაქურდვა პირველად (საშიში დანაშაული) კვალიფიცირდება, როგორც წვრილმანი ქურდობა (ნაკლებად საშიში). „სარგებელი“ აქედან იმაში მდოგარეობს, რომ მსუბუქი ბრალდების გამო საქმე განიხილება გამარტივებული წესით, სადაც პროკურორს ნაკლები „ჯაფა“ უწევს.

§6. სასამართლოში საქმის წინასწარი ეროვნება
(PRELIMINARY EXAMINATION)

1. სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების შინაარსი მოცემულ და მომდევნო სტადიებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად პასუხისგებაში მიცემულ პირს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (იხ. მოცემული თავი, §5), დღეს მოქმედი კლასიფიკაციის თანახმად, აშშ-ში ყველა დანაშაულებრივი ხელყოფა იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1) საშიში (ფელონია) და ნაკლებად საშიში (მისდომინორი) ხელყოფები; 2) ხელყოფები, რომელთაც სისხლისსამართლებრივ გადაცდომებს (დარღვევებს) უწოდებენ და შედარებით მსუბუქი სახდელებით ისჯება.

სისხლისსამართლებრივ სამართალდარღვევათა ასეთი კლასიფიკაციის ბაზაზე უკვე დიდი ხანია განხორციელდა სისხლის სამართლის საქმეების წარმოების წესის დიფერენციაცია. ჩამოყალიბდა მისი ორი ძირითადი ფორმა: პირველი – საშიშ დანაშაულთა საქმეებისათვის; მეორე – ნაკლებად საშიში და ყველა დანარჩენი დანაშაულისათვის (მეორე ფორმის თავისებურებებს ეძღვნება მოცემული თავის §8).

რაც შეეხება საშიშ დანაშაულთა საქმეების წარმოებას, იგი, უპირველეს ყოვლისა, განსხვავდება ყველა სტადიაზე განსახორციელებელ მოქმედებათა, პირის უფლებათა და თავისუფლებათა საპროცესო გარანტიების დეტალური რეგლამენტაციით. სასამართლოში წინასწარი მოსმენისათვის ამ სახის საქმეებს გადაგზავნიან მას შემდეგ, რაც პოლიციამ ან გამოძიების სხვა ორგანო შეაგროვებენ მინიმუმ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ დაარწმუნონ პროკურორი ეჭვმიტანილის ბრალეულობასა და საქმის სასამართლოში ჯერ პირველადი შემოწმებისათვის, ხოლო შემდგომ არსებითი განხილვისათვის წარმართვის მიზანშეწონილობაში.

საქმის წარმოების გაგრძელებაზე პროკურორის თანხმობისა და შეგროვილი მასალის წინასწარი შემოწმებისათვის სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში ხდება საბრალდებო დოკუმენტის შედგენა რომელსაც მრავალ იურისდიქციაში ინფორმაციას უწოდებენ (იშვიათად – პრეტენზიას ანდა საჩივარს), შესაძლოა სახელწოდებათა სხვა ვარი-

1 ამ შემთხვევაში საუბარია თავდაპირველ (საწყის) საპროცესო დოკუმენტზე, სადაც მოკლე არის გადმოცემული ეჭვმიტანილისათვის წარდგენილი ბრალდების არსი. საშიშ დანაშაულთა საქმეებზე (ფელონობზე) სამართალწარმოების მომდევნო ეტაპებზე ეს დოკუმენტი შესაძლოა შეიცვალოს საპროცესო დოკუმენტით, რომელსაც საბრალდებო აქტს უწოდებენ (indictment), რომელსაც დიდი ფორთი ამტკიცებს; რომელიც განსაზღვრავს სასამართლო განხილვის საგანსა და ფარგლებს.

ანტები არსებობდეს. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სისხლის საპროცესო კანონის §100.10-ში მოცემულია შემდეგი, შედარებით ფართო ჩამონათვალი საბრალდებო დოკუმენტების სახელწოდებებისა, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის წარმოების ამ ეტაპზე დგება:

- ინფორმაცია (information);
- გამარტივებული ინფორმაცია ავტოსაგზაო სამართალდარღვევების შესახებ (simplified traffic parks information);
- გამარტივებული ინფორმაცია პარკებსა და დასვენების ზონებში ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ (simplified parks information);
- გამარტივებული ინფორმაცია ბუნების დაცვის სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ (simplified environmental conservation information);
- საპროკურორო ინფორმაცია (prosecutor's information);
- საჩივრები ნაკლებად საშიშ დანაშაულებზე (misdemeanor complaint);
- საჩივრები საშიშ დანაშაულებზე (felony complaint).

აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დასახელებულ და რიგ სხვა პარაგრაფებში დოკუმენტის ფორმის შერჩევა დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, კერძოდ, სისხლის სამართლის სამართალდარღვევის შინაარსზე (რომელზეც ვსაუბრობთ), ანდა იმაზე, თუ ვინ არის შესაბამისი დოკუმენტის ავტორი. ასეთი დოკუმენტების თითოეული სახისათვის დადგენილია წინასწარი მოსმენის ცალკე პროცედურა. მათ მიმართ საერთო მოთხოვნაა, რომ ისინი უნდა შეიცავდნენ ბრალდების არსის მოკლე შინაარსს. დოკუმენტის შინაარსს უნდა ადასტურებდეს, როგორც წესი, არა საპოლიციო გამოძიებისას მოპოვებული ყველა მონაცემის წარმოდგენა და მათი ანალიზი, არამედ მისი ავტორის ხელმოწერა და ფიცა.

ერთი და იმავე ქმედების ანდა მათი ერთობლიობის შესახებ შედგენილი საბრალდებო დოკუმენტების სასამართლოში წარდგენის უფლება აქვთ ერთდროულად რამდენიმე პირს ან ორგანოს. მაგალითისათვის, ეს შეიძლება გააკეთონ პროკურორმა ანდა დაზარალებულმა პოლიციისა ან გამოძიების სხვა ორგანოს პარალელურად, ანდა მათგან დამოუკიდებლად, როდესაც ეს უკანასკნელნი რაიმე მიზეზის გამო პასუხისმგებლობას იჩენენ.

საბრალდებო დოკუმენტით მიმართავენ მოსამართლეს ანდა სა-

სამართლო თანამდებობის სხვა პირს, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს სისხლის სამართლის საქმის სასამართლოსათვის გადაცემამდე (სადაც მას არსებითად განიხილავენ) წარმოშობილი საკითხები. შტატებში ასეთი უფლებამოსილების მქონე მოსამართლეებად, უპირველეს შემთხვევაში, წარმოდგებიან ე.წ. შეზღუდული იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლეები (მომრიგებელი მოსამართლეები, ადგილობრივი მოსამართლეები და სხვა). თუმცა, რიგ ადგილებში საკმაოდ ხშირად მსგავსი უფლებამოსილებანი ეკისრებათ საერთო იურისდიქციის სასამართლოების მოსამართლეებსა და ზოგიერთ თანამდებობის პირებს. მაგალითისათვის, ფედერალური სასამართლოების განსჯად სისხლის სამართლის საქმეებზე (როგორც უკვე აღინიშნა მოცემული თავის §3-ში) წინასწარი მოსმენა და სისხლის სამართლის საქმეებზე წამოჭრილი რიგი საკითხების გადაწყვეტა (დაპატიმრების ან ჩხრეკის შესახებ ბრძანებათა გაცემა, ბრძანების გარეშე ჩატარებული დაპატიმრების ან ჩხრეკის კანონიერების შემოწმება და სხვა) ეკისრებათ საოლქო სასამართლოს მაგისტრატებს. ზოგიერთ შტატში (მაგალითად, კალიფორნიაში) მაგისტრატების ფუნქციები პირდაპირ ეკისრებათ საერთო იურისდიქციის სასამართლოების მოსამართლეებს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, კანონის სპეციალურ დანაწესთა თანახმად, სხვა თანამდებობის პირებს, რომლებიც მოსამართლეები არ არიან.¹

2. საქმის წინასწარი მოსმენის დაწყებამდე საშიშ დანაშაულზე ხშირად საბრალდებო დოკუმენტის შესაბამის მოსამართლესთან ან სხვა თანამდებობის პირთან რეგისტრაციის მომენტი ითვლება. ვიდრე ასეთი მოსმენა შედგებოდეს სრული ფორმით, მოსამართლე ან სხვა უფლებამოსილი პირი, რომელსაც გადაეცა საბრალდებო დოკუმენტი, როგორც წესი, შეისწავლის მას და წარმოდგენილ ფაქტობრივ მონაცემებს მხარეთა მონაწილეობის გარეშე. შესწავლის პროცესში მათ უფლება აქვთ მოიწვიონ პრეტენზიის ავტორი მის მიერ წარმოდგენილი მასალების დასაზუსტებლად და ჩამოართვან მას ზეპირი განმარტება. შესწავლის შედეგების მიხედვით შესაძლებელია დამატებითი მასალების გამოთხოვა; ალკვეთი ღონისძიების გაუქმება, თუ აღმოჩნდება, რომ მისი აუცილებლობის დამადასტურებელი დამატებითი მასალების წარმოდგენა შეუძლებელია; საქმეზე წარმოების შეწყვეტა და საჩივრის (ან სხვა

¹ ამ შტატის სადამსჯელო კოდექსის §808 თანახმად, მაგისტრატები არიან კალიფორნიის შტატის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, სააპელაციო, მაღალი (superior) და მუნიციპალური სასამართლოს მოსამართლეები. მაგისტრატის ფუნქციები განსაკუთრებით (§809) აკისრია, ასევე, ისეთ თანამდებობის პირს, როგორიცაა წმინდა კლარას საგრაფოს მაღალი სასამართლოს დამის შირივე უფლებამოსილი პირი (the night-time commissioner of the Santa Clara Superior Court).

თავდაპირველი საბრალდებო დოკუმენტის) ავტორისათვის დაბრუნება, თუ მოსამართლე ვერ იპოვის საკმარის მონაცემებს საქმის შემდგომი წარმოებისათვის; საქმეზე მოსმენის დანიშვნა და იმ პირების გამოძახება, რომლებიც საჭირონი იქნებიან ასეთი მოსმენის დროს.

თუ ეჭვმიტანილი დაპატიმრებულია, მაშინ იგი უნდა წარმოადგინოს ბაღრაგმა, ხოლო, თუ იგი არ იმყოფება პატიმრობაში, მაშინ მას გამოიძახებენ უწყებით შესაბამის მოსამართლესთან ე.წ. „პირველი წარდგენის“ (first appearance) უზრუნველყოფის მიზნით. პრაქტიკულად, ამ პროცედურას რამდენიმე საათი სჭირდება, თუმცა გამორიცხული არ არის უფრო ხანგრძლივი ვადაც. ასეთი რამ ხდება, მაგალითად, როდესაც საქმის წარმოება აღიძვრება დასვენების დღეების წინ და მოცემულ სასამართლოში არ მოქმედებს მოსამართლეთა მორიგეობის წესი. ფაქტობრივად ეს იწვევს იმას, რომ ეჭვმიტანილი პირველად ხვდება მოსამართლეს მხოლოდ უახლოეს სამუშაო დღეს, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის შესახებ სამართლებრივი დანაწესები მოითხოვს, რომ წინასწარ გაცემული მოსამართლის ბრძანების გარეშე დაპატიმრებულები წარმოადგინონ კომპეტენტურ მოსამართლესთან „უსაფუძვლო დაყოვნების გარეშე“ (without unnecessary delay)¹, „იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელია“ (as soon as possible) და ასე შემდეგ.

„პირველი წარდგენა“ დიდხანს არ გრძელდება. იგი იწყება იმით, რომ მოსამართლე ან სხვა პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებანი სამართალწარმოების ამ ეტაპზე, ამოწმებენ მონაცემებს მათთან წარმოდგენილი ეჭვმიტანილის პიროვნების შესახებ, აცნობენ მას საბრალდებო დოკუმენტს და არკვევენ მის დამოკიდებულებას ბრალდების მიმართ. ამის შემდეგ ეჭვმიტანილს მიეწოდება ინფორმაცია თავისი უფლებების შესახებ. ინფორმაციის მოცულობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. უმეტეს შემთხვევაში მას განუმარტავენ დუმილის

1 ასეთი ფორმულირება გამოყენებულია სისხლის სამართლის პროცესის ფედერალურ წესებში (წესი მე-16) და უპირატესად ითვლება. იგი უნდა გამოიყენონ ფედერალურმა კანონმდებელმა და სასამართლოებმა. იგი ასევე გამოიყენება მრავალ შტატში. აშშ-ის კანონთა კრებულში გამოქვეყნებული დასაბუთებული წესის კომენტარების ავტორები, კონკრეტულ საწებზე მიღებული რიცხ სასამართლო გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, შემდგენარად ახსნიან მოცემული ფორმულირების შინაარსს: „ის, რასაც წარმოადგენს „უსაფუძვლო დაყოვნების გარეშე“ ფორმულა (unnecessary delay), ესე იგი, გონივრული დრო, რომლის ფარგლებშიც ციხეში შესახლებული პირი უნდა წარედგინოს მაგისტრატს, რომელიც უფლებამოსილია გადასცეს საწებ არსებითი განხილვისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს, კონკრეტობრივად უნდა იყოს მოცემული საქმის ყველა ფაქტისა და გარემოების უკუშე“. სხვა სიტყვებით, მეტად მნიშვნელოვანი საკითხის - „გონივრული“ დროის ფარგლების განსაზღვრა („უსაფუძვლო დაყოვნების გარეშე“) - გადაწყვეტა, ფაქტობრივად, დაკმაყოფილებულია განსაზღვრული ადკეთი ღონისძიების შერჩევაში მონაწილე თანამდებობის პირთა შეხედულებას.

უფლებას, დამცველის მოწვევის ან დანიშვნის (თუ ექვემდებარებულს არ აქვს სახსრები დამცველის შეთანხმებით მოწვევაზე) უფლებას და აფრთხილებენ იმის შესახებ, რომ ის, რასაც იგი დაკითხვისას იტყვის, შესაძლოა, სასამართლო განხილვისას გამოყენებული იყოს მის წინააღმდეგ. უმრავლეს შემთხვევაში დამცველი რეალურად ჩდება პროცესში სწორედ ამ ეტაპიდან. თუ ექვემდებარებულს არ აქვს სახსრები დამცველის შეთანხმებით მოწვევისათვის და იგი ამის თაობაზე შესაბამის განცხადებას აკეთებს (წერილობითი ფორმით), მაშინ მოსამართლე ან მაგისტრალტი განიხილავენ განცხადებას და მის დასაბუთებულად მიჩნევის შემთხვევაში იღებენ გადაწყვეტილებას დამცველის ე.წ. საჯარო დამცველების (public defenders) (იხ. მოცემული თავი, §3) რიცხვიდან დანიშვნის შესახებ.

საშიშ დანაშაულთა საქმეებზე მოსამართლე ან მაგისტრალტი განუმარტავენ ექვემდებარებულს (როგორც წესი, ეს არის ექვემდებარებული, რომელმაც არ ცნო თავი დანაშაულად, ანდა განაცხადა, რომ არ იღავეს ბრალდებაზე¹) მის უფლებას, რომ საქმე დაექვემდებაროს წინასწარ მოსმენას. თუ ბრალდებული უარს არ აცხადებს ამ უფლებაზე და არ არსებობს სხვა ხელისშემშლელი გარემოებანი², მაშინ აქვე ინიშნება ასეთი განხილვის დღე და საათი.

„პირველი წარდგენის“ ეტაპზე სასამართლოში გადაწყდება აღკვეთი ღონისძიების შერჩევა ან მის კორექტირებასთან (თუ იგი უკვე შეუფარდა პოლიციამ) დაკავშირებული საკითხები. იმ შემთხვევებში, როდესაც საუბარია საშიშ დანაშაულებზე, ბრალდებული, როგორც წესი, პატიმრობაში იმყოფება, თუმცა ზოგჯერ შესაძლოა იგი გირათი გაათავისუფლოს პოლიციამ.

3. დღეისათვის, საქმის კონკრეტული გარემოებებისა და ექვემდებარებულის პიროვნების შესახებ მონაცემთა გათვალისწინებით, სამართალწარმოების განსახილველ ეტაპზე შესაძლოა სამი აღკვეთი ღონისძიებისა-

¹ საუბარია წარდგენილ ბრალდებაზე ან ჭინჭრით პრეტენზიაზე რეაგირების სამართალწარმოების ანგლოსაქსონური მოდელისათვის სპეციფიკურ ფორმაზე. კანონმდებლობაში, სასამართლო გადაწყვეტილებებში, ლიტერატურულ წყაროებში ეს ფორმა აღინიშნება ლათინური სიტყვებით „nolo contendere“. სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას ექვემდებარებულის (ბრალდებულის) მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ იგი არ იღავეს ბრალდებაზე, უტოლდება განცხადებას მის მიერ დანაშაულის ჩადენაში ბრალის არაღიარების შესახებ.

² მაგალითად, კალიფორნიის შტატის სადამსჯელო კოდექსის §859b მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საქმეზე წინასწარი მოსმენის არატარების შესაძლებლობას, თუ ორივე მხარე (ექვემდებარებული, რომელიც თავს ბრალეულად არ ცნობს ფელონიის ჩადენაში და ბრალდებული) წინააღმდეგობას ასეთ მოსმენას (უფრო ურცლად იმ პირობების შესახებ, როდესაც შესაძლებელია საშიშ დანაშაულთა საქმეებზე წარმოება წინასწარი მოსმენის გარეშე, იხ. ქვემოთ ამ პარაგრაფში).

გან ერთ-ერთის შერჩევა: პატიმრობა (მის შესახებ იხ. მოცემული თავი, §5), გირაო (bail) ან პირადი ვალდებულება (personal recognizance).

პატიმრობა უცვლელი რჩება ან ინიშნება, როდესაც არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ ბრალდებული შეიძლება მიიმალოს, ხელს უშლიდეს მართლმსაჯულებას ან „საფრთხეს წარმოადგენდეს გარშემოყოფათათვის“. თუ პატიმრობა უკვე განხორციელდა, მაშინ ასეთი აღკვეთი ღონისძიების უცვლელად დატოვების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება გირაოთი განთავისუფლებაზე პირდაპირ უარის ან მისი ისეთი ოდენობით დანიშვნის გზით, რომელიც წინასწარ არახელმისაწვდომია ბრალდებულისათვის (გირაოს მაქსიმალური ოდენობა არ არის განსაზღვრული¹). გირაოს თანხის ან რაიმე საგარანტიო დოკუმენტის შეუტანლობა სასამართლოს ანგარიშზე, უპრავლეს შემთხვევაში, განიხილება, როგორც მიზეზის დადგენის გარეშე ეჭვმიტანილის პატიმრობაში აყვანის საფუძველი. როგორც კალიფორნიის შტატის სადამსჯელო კოდექსის §859a-შია ნათქვამი, „მაგისტრატი... (ბრალდებულის მიერ - კ.გ.) დეპოზიტზე გირაოს შეუტანლობის ან (შეტანის - კ.გ.) გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს ბრალდებული შერიფს“².

მრავალ შტატში გირაოს გარანტიის წარმოდგენის შესახებ დებულება უკვე დიდი ხანია იწერება. იქ სასამართლო პრაქტიკა და კანონმდებლობა უშვებს, ასევე გადახდის დოკუმენტის წარმოდგენას, რომელიც შეძენილია განსაზღვრულ პირობებზე ე.წ. პროფესიონალ გირაოს მიმცემთან (კერძო პირთან, რომელიც კერძო სამეწარმეო საქმიანობის წესით „შოულობს ფულს“ იმით, რომ შეთანხმებაში დაფიქსირებული თანხის სანაცვლოდ თავის თავზე იღებს ფულად ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული არ შეასრულებს გირაოთი განთავისუფლების პირობებს). დღეისათვის გირაოს შეტანის წესები კიდევ უფრო ლიბერალური გახდა, ზოგან დაიშვება პატიმრობიდან განთავისუფლება გირაოს თანხის 10%-ის შეტანის შემდეგ.

მედარებით ახლო წარსულში (XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან) ჯერ ფედერალურმა კანონმდებელმა, ხოლო შემდეგ მრავალი შტატების კანონმდებლებმაც შემოიღეს კიდევ ერთი აღკვეთი ღონისძიება - განთავისუფლება ფულადი გირაოთი არაუზრუნვე-

¹ პატიმრობის, როგორც აღკვეთი ღონისძიების, შესახებ მასალა იხ. ასევე ამ თავის წინა პარაგრაფში.

² როგორც წესი, გირაოს დანიშვნის საკითხების მარეგლამენტირებულ აქტებში საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ გირაოს ოდენობა უნდა იყოს გონივრული (reasonable), ანდა, რომ იგი არ უნდა იყოს ნაშეტანი, ზღვარსგადასული (excessive).

ლყოფილი პირადი ვალდებულებით – რომლის თანახმადაც, ექვემდებარებული იღებს ვალდებულებას სათანადო ქცევის შესახებ საქმის სასამართლოს მიერ არსებითად განხილვამდე. ეს ღონისძიება საკმაოდ ფართოდ გაერცვლა ქვეყნის მრავალ რეგიონში (იგი გამოიყენება საშუალოდ დაახლოებით ბრალდებულთა 50%-ის მიმართ).

პატიმრობიდან განთავისუფლება პირადი ვალდებულებით შესაძლოა განპირობებული იყოს არა მარტო გამოძახებაზე გამოცხადებით, არამედ ასევე, რიგი სხვა მოთხოვნებით, რომელიც უნდა დაიცვას განთავისუფლებულმა (მაგალითად, არ გავიდეს ღამის საათებში სახლიდან, რეგულარულად იაროს პოლიციაში ან სხვა ორგანოებში აღრიცხვაზე, არ შევიდეს კონტაქტში დაზარალებულთან, არ გამოიყენოს სპირტიანი სასმელები და ნარკოტიკები). მსგავსი შეზღუდვების წრე და შინაარსი პრაქტიკულად არაღიმიტირებულია. მათი განსაზღვრა პირდაპირ ექვემდებარება მოსამართლის ან სხვა თანამდებობის პირის შეზღუდვას, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები სამართალწარმოების ამ ეტაპზე.

სწორედ ასეთ მიდგომას მოწმობს თანამედროვე ამერიკული საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ამსახველი რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია ზემოხსენებულ (მოცემული თავი, §2) სისხლის სამართლის პროცესის უნიფიცირებულ წესებში, სადაც 341-ე წესის „f“ პუნქტში პირადი ვალდებულებით განთავისუფლების დამატებითი პირობების ჩამოთვლის შემდეგ აღნიშნულია, რომ მაგისტრატს (ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირს) უფლება აქვს „დააკისროს (ექვემდებარებოს – კ.გ.) ნებისმიერი სხვა გონივრული შეზღუდვა, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის გამოცხადებას, საზოგადოების უსაფრთხოებას, თავიდან ააცილებს მოწმეთა დაშინებასა და მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებაში ჩარევას“.

პატიმრობისა და გირაოს ალტერნატიული, ახალი აღკვეთი ღონისძიებების შემოღებამ მოითხოვა არსებითი ხასიათის ორგანიზაციული და საპროცედურო ნოვაციები. 1982 წლის 27 სექტემბერს აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი „წინასასამართლო მომსახურების შესახებ“ (Pretrial Services Act)¹, რომელიც ითვალისწინებდა ყოველ ფედერალურ სასამართლო ოლქში, ზემოთ აღნიშნული (მოცემული თავი, §3) აშშ-ს სასამართლოთა ადმინისტრაციული ოფისის საერთო ხელმძღვანელო-

¹ კალფორნიის შტატში ამ თანამდებობის პირების დაქვემდებარებაშია ე.წ. ადგილობრივი ციხეები (jail), სადაც იყოფებან პირები, რომელთა მიმართაც გამოიყენებულა აღკვეთი ღონისძიება პატიმრობის სხით.

ბით მუდმივმოქმედი სამსახურების ორგანიზებას, რომლებსაც სათავეში ჩაუდგებოდნენ საქციალურად დანიშნული ხელმძღვანელები (chief pretrial services officers), ანდა იმ დროისათვის უკვე არსებული უფროსი მოხელე-პრობაციონერები (chief probation officers)¹. ამ სამსახურებს ძირითადად ორი ფუნქცია აქვთ:

1) იმ მონაცემთა შეგროვება, რომელიც ახასიათებთ პასუხისგებაში მიცემულ პირებს, რომელთა მიმართაც უნდა გადაწყდეს საკითხი აღკვეთი ღონისძიების შერჩევისა თუ კორექტირების შესახებ მათი საქმის სასამართლოს მიერ არსებითად გადაწყვეტამდე და, ასევე, შეგროვილი მონაცემების შედეგების მიხედვით ანგარიშების შედგენა (pretrial detention reports) მოსამართლეებისა და მაგისტრატებისათვის (რომლებსაც უფლება აქვთ გადაწყვიტონ საკითხი აღკვეთი ღონისძიების შესახებ), რასაც თან ურთავენ რეკომენდაციებს მოცემული კონკრეტული შემთხვევისათვის შედარებით სასურველი ღონისძიების შესახებ;

2) ბრალდებულთა ქცევაზე ზედამხედველობა იმ შემთხვევაში, თუ ისინი იქნებიან თავისუფლებაზე დატოვილი გირაოთი ან ზემოთ აღნიშნული სხვა პირობით, ასევე, ბრალდებულთა მიერ ასეთი პირობების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი თანამდებობის პირებისათვის წერილობითი რეკომენდაციების მომზადება².

ამ სახის ამოცანებისათვის სტრუქტურები ჩამოყალიბდა სხვა შტატებშიც, რამაც საშუალება მისცათ ფედერალურ და შტატების სასამართლოებს უფრო დასაბუთებულად მიეღოთ გადაწყვეტილება აღკვეთი ღონისძიებების, რომლებიც არ არის დაკავშირებული პატიმრობასთან და, ასევე, მათი გაუქმებისა და პატიმრობით შეცვლის შესახებ.

პატიმრობის, როგორც აღკვეთი ღონისძიების, გამოყენების პრაქტიკაზე არსებითი პოზიტიური გავლენა იქონია 1975 წლის 3 იანვარს „სასამართლო განხილვის დაჩქარების შესახებ“ კანონის მიღებამ (Speedy Trial Act), რომელმაც (სასამართლოში საქმის გაჭინაურების დაძლევის სხვა ზომებთან ერთად) გააფართოვა პირველი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა უფლებამოსილება სასამართლომდე ბრალდებულთა პატიმრობის ვადებზე კონტროლთან დაკავშირებით³.

1 ამ კანონის დებულებები მოცემულია აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §3152-3155-ში.

2 მათ შესახებ იხ. მოცემული თავი §7.

3 ბრალდებულის მიერ აღკვეთი ღონისძიების (რომელიც არ არის დაკავშირებული პატიმრობასთან) პირობების შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაცია სეაუდებულო წესით ვეზენება აშშ-ს გენერალურ ატორნეის ან სხვა ფედერალურ პროკურორს (აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §3154 მე-12 (B) პუნქტი).

4. დღეს მოქმედი სამართალწარმოების წესების შესაბამისად, „პირველი წარდგენიდან“ წინასწარ მოსმენამდე სავსებით დასაშვებია მრავალი საპროცესო მოქმედების წარმოება. პროკურორს უფლება აქვს განაგრძოს საქმის გარემოებათა შემოწმება და დამატებით შეაგროვოს მონაცემები, რომლებიც შესაძლოა მტკიცებულებებად იქცეს. შედეგად, წინასწარი მოსმენის დაწყებამდე იგი შესაძლოა მივიდეს დასკვნამდე, რომ არ არის მიზანშეწონილი ან შეუძლებელია ბრალდებულის მიმართ დევნის გაგრძელება და შეწყვიტოს საქმე. ეს ხშირად ხდება. ასეთი „გაცხრილების“ შედეგად, მაგალითად, კოლუმბიის ოლქის ფედერალურ საოლქო სასამართლოში საქმეთა ერთი მესამედი წყდება.

კონკრეტული საქმე შესაძლოა „ვერ მივიდეს“ წინასწარ მოსმენამდე იმის გამოც, რომ ეჭვმიტანილს (როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ) აქვს უფლება უარი განაცხადოს ამაზე. ეს „გაცხრილავს“ საქმეთა 20-30%-ს. საქმეთა გარკვეული ნაწილი ვერ ხვდება წინასწარ მოსმენაზე იმ მიზეზით, რომ პროკურორს აქვს შესაძლებლობა გვერდი აუაროს ამ ეტაპს და საქმე გადაუგზავნოს პირდაპირ ნაფიცი მსაჯულთა დიდ ეიურის განსახილველად. სწორედ ამ მონაკვეთზე გზისა, რომელზეც კონკრეტული საქმე მოძრაობს, მიმდინარეობს „მშვიდობიანად“ დარეგულირების ხერხების აქტიური ძიება იმ კონფლიქტისა, რომელიც სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის წარმოიშობა ამ უკანასკნელის მიერ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ნიშნების შემცველი ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით.

მხარეები ეძებენ და ხშირად პოულობენ კიდევ ურთიერთმისაღებ პირობებს, რომლებზეც შესაძლებელი იქნებოდა ე.წ. „ბრალის აღიარების გამო გარიგების“ დადება (plea bargaining). ხშირ შემთხვევაში გარიგებისას მხარეები მალე აღწევენ შეთანხმებას, როდესაც არ არიან დარწმუნებულნი, რომ არსებითი განხილვის შემთხვევაში საქმე მათ სასარგებლოდ გადაწყდება. ბრალდებული თანხმდება, რომ აღიაროს უფრო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენა, ვიდრე მას ბრალად ედება, ხოლო პროკურორი სანაცვლოდ ჰპირდება, რომ არ იქნება კატეგორიული წარდგენილი ბრალდების მიმართ. ასეთი გარიგების დადებისას საქმე წარიმართება უშუალოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში, წინასწარი მოსმენის გვერდის ავლით, რაც „გაცხრილავს“ საქმეთა კიდევ 30%-ს.

5. განხილვის პროცედურა საქმეებისა, რომლებმაც მრავალრიცხოვანი „გაცხრილებების“ მიუხედავად წინასწარ მოსმენამდე მიაღწიეს, შედარებით მარტივია. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის საპროცესო კანონი (§180-60) ითვალისწინებს მოქმედებათა

ამერიკის სისხლის სამართლის პროცესისათვის ტიპურ შემდეგ სქემას: მოცემულ საქმეზე სასამართლო სხდომის გახსნილად გამოცხდების შემდეგ მოსამართლე რწმუნდება, რომ განხილვაში მონაწილეობენ პროკურორი და დამცველი; ბრალდებულს წაეკითხება საბრალდებო დოკუმენტი (პრეტენზია, საჩივარი), თუ იგი ამის (წაკითხვისა და მოსმენის) წინააღმდეგი არ არის; სასამართლოში გამოძახებული ყველა მოწმე ჩვენებას აძლევს ფიცის ქვეშ; თითოეული მათგანი შესაძლოა ჯვარედინად დაიკითხოს; სასამართლოში აუცილებლად უნდა გამოიძახონ ბრალდების დამადასტურებელი მოწმეები; ბრალდებულსაც აქვს უფლება (როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული – მოცემული თავი, §5) მისცეს მოწმის ჩვენება საკუთარი თავის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, თუ გამოტანილია ბრძანება მოწმის იმუნიტეტის შესახებ (მოცემული თავი, §7); ბრალდებულს უფლება აქვს იშუამდგომლოს დამატებითი მოწმეების გამოძახების შესახებ; ამ ეტაპზე დაუშვებლად მიიჩნევა ჩვენებები, რომლებიც სხვა წყაროებს („ხმებს“) ემყარება; გამონაკლისის სახით დაიშვება ექსპერტი-მოწმეების დაკითხვა, რომელთა ჩვენებებიც ემყარება საქმის მასალებიდან მიღებულ სპეციალურ ცოდნასა და მონაცემებს; ბრალდებულის თხოვნით დამსწრენი (პუბლიკა) ტოვებენ სასამართლო დარბაზს¹; მხარეთა მიერ შეკრებილი მტკიცებულებების სრული მოცულობით ურთიერთგაცნობა არ ხდება; მოსმენა უნდა დასრულდეს სასამართლოს ერთი სხდომის მსვლელობისას, შესვენება დასაშვებია მხოლოდ ერთი დღე-ღამის ვადით. პრაქტიკაში ასეთ მოსმენას დაცვის მხარე (როგორც ამას ამერიკელი იურისტები მოწმობენ) იყენებს ბრალდების მხარის მიერ შეკრებილ მტკიცებულებათა „მოსასინჯად“. თავის მტკიცებულებებს დაცვის მხარე ამ ეტაპზე ამჯობინებს, რომ „არ გამოაშკაროს“ და ინახავს მათ სასამართლო განხილვისათვის, სადაც გადაწყდება განსასჯელის დამნაშავეობის საკითხი.

6. წინასწარი მოსმენის შედეგების მიხედვით კეთდება დასკვნა,

1 აშშ-ის კანონი კრებულის მე-18 კარის §3162 „ბ“ ნაწილის თანახმად, პროკურორის ან დამცველის დაუფერობის ან ბოროტად გამოყენების შემთხვევათა დადგენისას, რომელთა შუღვადაც საქმის წარმოებისას უხეშად დაირღვა ვადები, მათ შორის ისეთი, რომლებზეც გამოიწევა ბრალდებულის დაუსაბუთებლად, ხანგრძლივად პატიმრობაში ყოფნა, საქმის განზოხლეული მოსამართლე უფლებამოსილია სასამართლოს მიერ დანიშნულ დამცველს დაუქვითოს კუთვნილი ჰონორარი 25%-ზე (ბრალდებულთან შეთანხმებით მოქმედ დამცველს ეკისრება ჯარიმა უკვე მიღებული ჰონორარის 25%-ის ოდენობით). რაც შეეხება პროკურორს, მას შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 250 დოლარის ოდენობით. გარდა ამისა, მოსამართლეს უფლება აქვს სამართალწარმოების ნებისმიერი ამ მონაწილეთაგანი ჩამოაშოროს საქმეთა სასამართლოში წარმატების ვადით 90 დღეზე (ხელფასისა და ჰონორარის მიღების უფლების გარეშე). მას, ასევე, შეუძლია გაუკზავნოს წარდგინება შესაბამის სადისციპლინო კომისიას (an appropriate disciplinary committee).

გამოვლენილია თუ არა საკმარისი საფუძველი საქმის შემდგომი მსვლელობისათვის. საშიში დანაშაულისათვის ბრალდებულის პასუხისგებაში მისაცემად საკმარისი საფუძველების არსებობისას მაგისტრატის ან მასთან გათანაბრებული მოსამართლე იღებენ გადაწყვეტილებას საბრალდებო დოკუმენტისა და საქმესთან დაკავშირებული სხვა მასალების საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოსათვის (trial court) გადაგზავნის შესახებ.

ასეთი გადაწყვეტილება ფორმდება მოკლე, არავრცლად მოტივირებული საპროცესო აქტით (დადგენილებით, ბრძანებით და ა.შ.), ანდა რეზოლუციით საბრალდებო დოკუმენტზე. მაგალითად, კალიფორნიის შტატის სადამსჯელო კოდექსის §872 „ა“ პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი მოსმენის დროს დამტკიცდება საშიში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მაგისტრატს უფლება აქვს გამოსცეს დადგენილება ანდა რეზოლუცია დაადოს ბრალდებულის საჩივარს (complaint), რასაც შემდეგი შინაარსი ექნება: „ვინაიდან მე მიმაჩნია, რომ დანაშაული, რომელზედაც საუბარია საჩივარში..., ჩადენილია და არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ მასში ბრალეულად იყოს ცნობილი დასახელებული _____ (მეთითება კონკრეტული პირის გვარი. - კ.გ.), ვადგენ, რომ იგი პასუხისგებაში მიეცეს ამისათვის (be held to answer)“.

თუ მოცემულ საქმეზე მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება მისი შემდგომი მსვლელობის შესახებ, მაშინ §871 დანაწესის თანახმად, მაგისტრატმა უნდა აღნიშნოს თავის დადგენილებაში ანდა რეზოლუციაში შემდეგი რამ: „ვინაიდან არ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ _____ (მეთითება გვარი. - კ.გ.) მივიჩნიოთ ბრალდებულად მითითებული დანაშაულის ჩადენაში, ვადგენ, რომ საჩივარი უარყოფილი იყოს, ხოლო მას მოეხსნას ბრალდება“.

საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოში წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად უნდა შეირჩეს და, თუ უკვე შეირჩეულია, მაშინ მოხდეს კორექტირება აღკვეთი ღონისძიებისა. ეს ზედმეტი ფორმულობების გარეშე კეთდება, „თუ დანაშაული (ნათქვამია დასახელებული შტატის სადამსჯელო კოდექსის §875-ში) უშვებს გირაოთი განთავისუფლებას და ბრალდებულს ნება დაერთო გადაიხადოს გირაო, მაშინ დადგენილებას (ვათვალისწინებულს §872 „ა“ პუნქტით. - კ.გ.) უნდა დაემატოს შემდეგი სიტყვები: „ასევე, რომ მას უფლება ეძლევა შემოიტანოს გირაო _____ დოლარის ოდენობით

და, რომ იგი (ბრალდებული. - ი.ბ.) გადაეცემა საგრაფოს შერიფს' _____ მანამდე, ვიდრე არ შემოიტანს გირაოს". იმ შემთხვევაში, თუ უარი ეთქმება გირაოთი განთავისუფლებას, §873 დანაწესის თანახმად, მაგისტრატმა თავის დადგენილებასა თუ რეზოლუციაში უნდა გააკეთოს შეზღვევი მინაწერი: „და, რომ ამ დადგენილების (რეზოლუციის) თანახმად იგი (ბრალდებული. - კ.გ.) გადაეცემა საგრაფოს შერიფს _____“. ამასთან, შერიფს უნდა გაეგზავნოს დავალება (დანაწესი), რაც აძლევს მას საფუძველს, რომ ბრალდებული პატიმრობაში ჰყავდეს. დავალება შეზღვევი შინაარსისაა:

„საგრაფო _____.

კალიფორნიის შტატის ხალხის სახელით საგრაფოს შერიფს _____:

ვინაიდან დღეს ჩემს მიერ გამოტანილ იქნა დადგენილება იმის თაობაზე, რომ _____ (ბრალდებულის გვარი. - კ.გ.) მიცემულ იქნეს პასუხისგებაში (აქ მოკლედ არის გადმოცემული დანაშაულის არსი და მითითებულია მისი ჩადენის სავარაუდო დრო და ადგილი) ბრალდების გამო, თქვენ გვეალებათ აიყვანოთ იგი თქვენი დაცვის ქვეშ და პატიმრობაში ამყოფოთ მანამ, სანამ მას ოფიციალურად არ მოუხსნიან ბრალდებას.

თარიღი: -----წელი“.

წინასწარი მოსმენის დასკვნით ეტაპზე მიიღება, ასევე, ღონისძიებები მოწმეთა პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფის შესახებ. ეს, როგორც წესი, მხარეთა შუამდგომლობების საფუძველზე კეთდება. იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმე, რომლის ჩვენებასაც შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის (material witness) უარს განაცხადებს სასამართლო სხდომაზე გამოცხადებაზე, ან თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ იგი თავს აარიდებს გამოცხადებას, წინასწარი მოსმენის განმხორციელებელ თანამდებობის პირს უფლება აქვს მიიღოს შედარებით მკაცრი ზომები. თავდაპირველად ასეთი სახის მოწმეს შესაძლოა ჩამოართვან წერილობითი ვალდებულება სასამართლო სხდომებზე გამოცხადების შესახებ. მას ასევე აფრთხილებენ, რომ მოცემული ვალდებულების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ჯარიმის დაკისრება 500 დოლარის ოდენობით. ეს არ არის უკიდურესი ზომა. მაგისტრატს და პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვთ „არსებით მოწმეს“

| სიტყვები „გადაეცეს შერიფს“ მოცემულ კონტექსტში ნიშნავს შერიფის დაქვემდებარებაში მყოფ ადგილობრივ ციხეში (jail) პატიმრობაში ყოფნას.

(იმ შემთხვევაში, თუ იგი ბოროტად არიდებს თავს თავის მოვალეობათა შესრულებას) შეუფარდონ პატიმრობა 10 დღემდე ვადით (იხ. კალიფორნიის შტატის სადამსჯელო კოდექსის §878 და 881).

სამართალწარმოების ამ და შემდგომ ეტაპებზე შესაძლოა მიღებული იყოს, ასევე, მოწმეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომები (იხ. მოცემული თავი, §5).

თუ გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობის პირი წინასწარი მოსმენის შედეგების მიხედვით მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება საშიში დანაშაულის ჩადენის ფაქტი და, რომ მათ საფუძველზე შესაძლებელია პასუხისგებაში მიცემა მხოლოდ ნაკლებად საშიში დანაშაულისათვის, მაშინ იგი უარყოფს ბრალდებას და საშუალებას აძლევს ბრალმძებელს თავიდან ჩამოაყალიბოს იგი (ბრალდება) უკვე ნაკლებად საშიში დანაშაულისათვის (მისდომიანობისათვის). მას შეუძლია დაადგინოს, რომ საერთოდ არ არსებობს პასუხისგებაში მიცემის საფუძველი. ასეთ შემთხვევაში საქმე უბრუნდება პროკურორს, ხოლო პატიმრობაში მყოფი ბრალმძებელი განთავისუფლდება.¹

საბრალდებო დოკუმენტის (ინფორმაციის ან სხვა) და მასზე დართული მასალების (მაგალითად, დაკითხვის ოქმები) საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოში წარმართვის გადაწყვეტილება ყოველთვის არ იწვევს ასეთი სახის სასამართლოში წარმოების დაწყებას. ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახის დოკუმენტი წარმოადგენს მოცემულ შტატში საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში არსებითი განხილვის საფუძველს.

თუ კონკრეტული შტატის კანონები უშვებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საშიში დანაშაულის შესახებ საქმე არსებითად განიხილებოდეს იმ საპროცესო დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც ინფორმაციას უწოდებენ, მაშინ წინასწარი მოსმენის შედეგების მიხედვით მიღებული მაგისტრატის ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის

¹ უკანონო პატიმრობაში მყოფ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ასეთი პატიმრობით მიყენებული შესაძლო ზიანის მხოლოდ ნაწილობრივი კომპენსაცია. მაგალითად, აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §4282 („დასატიმრებელი, მაგრამ არა მსჯავრდებული პირები“) თანახმად, სასამართლო თავის „დისკრეტულ შეხედულებაზე“ დაერწინებით, უფლებამოსილია მისცეს მითითება სასამართლო მარშალს (მანდატურს. - ე.ვ.), რათა „მან იხელმძღვანელოს აშშ-ს გენერალური ატორნეის მიერ გამოცემული ინსტრუქციებით და უზრუნველყოს განთავისუფლებული პირისათვის საცემი და მგზავრობა იმ ადგილამდე, სადაც განზრციულად დასატიმრება, ანაღ (მისივე არჩევით) მუდმივ საცხოვრებელ ადგილამდე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ზარეები არ გადაკაპრებს დასატიმრების ადგილამდე მგზავრობის ზარეებს“. ეს წესი ვრცელდება ასევე პატიმრობიდან განთავისუფლების შემთხვევებზე იმ „არსებითი მოწმეებისა“, რომელთა მიმართაც აღნიშნული ზომები გამოიყენება მათი სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად.

პირის მიერ გადაწყვეტილება შესაძლოა, პირობითად, სამართალში მიცემის აქტს ნიშნავდეს. ამ აქტის თავისებურება ის არის, რომ იგი არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის, სადაც საქმე წარმართება. როგორც შემდეგ პარაგრაფში დავინახავთ, ამ სასამართლოში საქმეები არსებითად ყოველთვის არ განიხილება განსასჯელის დამნაშავეობის ან უდანაშაულობისა და სასჯელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით. ხშირად ამ საქმეთა წარმოება არ მიდის სასამართლო მოქმედებათა ერთობლიობამდე, რასაც რუსი იურისტები სასამართლო განხილვას უწოდებენ.

7. შტატების დაახლოებით ერთ მესამედში და ფედერალურ დონეზე ასეთი საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს საპროცესო დოკუმენტი, რომელსაც საბრალდებო აქტი ეწოდება, ესე იგი, ისეთი დოკუმენტი, რომლის შინაარსიც უნდა დაამტკიცოს ნაფიც მსაჯულთა დიდმა ჟიურმა.

ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიური არის კოლევიალური ირგანო, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლო აკომპლექტებს ნაფიც მსაჯულთა სიებში შეყვანილ პირთაგან. მისი რაოდენობრივი შემადგენლობა სხვადასხვაა. ფედერალურ და შტატების სასამართლოებში ჟიურიში, როგორც წესი, შეჰყავთ 16-23 მსაჯული, რომელთაც ის სასამართლო შეარჩევს, სადაც ჟიური დგება¹. მათი ძირითადი ფუნქციაა² – საშიშ დანაშაულთა გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დასაბუთებულობის შემოწმება იმ შემთხვევებში, როდესაც პასუხისგებაში მიცემული პირი არ ეწინააღმდეგება მისი საქმის ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის მიერ განხილვას.

ასეთი ჟიურისათვის, წინასწარი მოსმენის შედეგების მიხედვით, მაგისტრატის ანდა მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის სავალდებულო. დიდი ჟიური დახურულ სხდომებზე განიხილავს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებსაც მას ბრალმდებელი წარუდგენს. დაცვის მხარის მტკიცებულებანი მისი მხედველობის არეში არ ხვდება. ჟიურის სხდომაში მონაწილეობს მხოლოდ პროკურორი. მოწმეთა დაკითხვა მიმდინარეობს ისევე, როგორც ეს ხდება მოსამართლესთან ანდა პირველი ინსტანციის სასამართლოში წინასწარი მოსმენისას, ესე იგი, კანონით გათვალისწინებული ფორმალობების დაცვით (ფიცის დადება და სხვა). გარკვეული

¹ მაგალითად, ტენესის შტატში დიდი ჟიური შედგება 12 ნაფიც მსაჯულისაგან, რომელთაგან არანაკლებ 9 შეადგენს ქორაუმს (იხ. სსს კოდექსის 19.26-ე და 19.40-ე მუხლები).

² როგორც ზემოთ აღნიშნეთ (მიცემული თავი, §3), გარკვეულ პირობებში ამ სახის ჟიურის შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება.

პირობების არსებობისას უიურიმ შესაძლოა მოითხოვოს, რომ მის სხლო-
მაზე მოიწვიონ მოწმეები, რომლებიც ბრალმდებელს არ დაუსახელე-
ბია. განხილვის შედეგების მიხედვით უიური იღებს გადაწყვეტილებას
პროკურორის მიერ წარმოდგენილი საბრალდებო აქტის დამტკიცების
ან არდამტკიცების შესახებ. შესაძლოა გადაწყვეტილების სხვა ვარიან-
ტებიც: მისცეს მითითება პროკურორს პირისათვის ნაკლებად საშიშ და-
ნაშაულში ბრალდების წარდგენის აუცილებლობის შესახებ; მიაპყროს
სასამართლოს ყურადღება ამა თუ იმ სახელმწიფო მოხელის უღირს
საქციელზე, მოქმედი კანონმდებლობის შეცვლის ან შევსების შესახებ
საკითხის დაყენების მიზანშეწონილობაზე და ა.შ.

საბრალდებო აქტი (ისევე, როგორც ინფორმაცია) საპროცესო აქ-
ტია, რომელიც საფუძველს ქმნის საშიში დანაშაულის გამო საქმის
შემდგომი წარმოებისათვის. თავიანთი შინაარსით ისინი, პრაქტიკულად,
არ განსხვავდებიან. მათში ლაკონურად არის გადმოცემული ქმედების
არსი და მისი სამართლებრივი კვალიფიკაცია, ასევე, მითითებულია ამ
საქმის არსებითად განმზილველი სასამართლო. ორივე მათგანს ადგენს
და ხელს აწერს პროკურორი. სპეციფიურია მხოლოდ ის, რომ საბრალ-
დებო აქტს ამტკიცებს დიდი უიური.

საქმის წინასწარი მოსმენა მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულთა
დიდ უიურისთან, ისევე როგორც საქმეზე წარმოების წინა ეტაპები,
წარმოადგენენ უკვე არაერთხელ ნახსენებ „გაცხრილვის“ საშუალებას.
დაახლოებითი გამოთვლებით, წინასწარი მოსმენის შემდეგ გაიცხრილე-
ბა საქმეთა 10-15%, რომლებიც გადიან ასეთი სახის მოსმენას, ხოლო
დიდი უიურის შემდეგ – 3-8-% მათ მიერ განსახილველი საქმეებისა.

§7. სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში

სამართალწარმოების ეს ეტაპი იწყება პირველი ინსტანციის სა-
სამართლოში საბრალდებო აქტის ან ინფორმაციის რეგისტრაციით.
ასეთი დოკუმენტი წარმოადგენს საფუძველს შემდგომი საპროცესო
მოქმედებებისა, განსაზღვრავს მათ საგანსა და ფარგლებს. ის, რაც ხდე-
ბოდა წინა სტადიებზე, შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებათა გამოვ-
ლენად, შეკრებად, დანაშაულის მიხედვად და მათი პასუხისმგებლობაში მი-
ცემის დასაბუთებულობის შემოწმებად, ასევე, ისეთ საქმეთა გამოვლენად,
რომლებიც უნდა შეწყდეს ანდა გადაეცეს გამარტივებული წესით განხ-

ილვისათვის. შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლომდე მიღის პოლიციის მიერ დარეგისტრირებულ საშიშ დანაშაულთა საქმეების 30%-ზე ნაკლები. თუმცა ამით „გაცხრილვისა“ და ღიფერენციაციის პროცესი არ ჩერდება. შემდგომში ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოზიციას აირჩევენ ბრალდებული და პროკურორი.

სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში სრული მოცულობით განხილვა ხორციელდება 5 ქვესტადიის (ეტაპის) გავლით:

- ბრალდების გაცნობა და მასზე განსასჯელის მოსაზრების დადგენა;
- სასამართლოსა და მხარეთა მიერ სასამართლო სხდომის მოსამზადებელ საპროცესო მოქმედებათა განხორციელება;
- ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ფორმირება;
- განსასჯელის დამნაშაევობის საკითხის განხილვა;
- მსჯავრდებულისათვის სასჯელის ზომის შეფარდება.

სავალდებულო არ არის, რომ კონკრეტულმა სისხლის სამართლის საქმემ გაიაროს ყველა ეს ეტაპი. მათგან იმპერატიული მხოლოდ პირველია. ხშირად (როდესაც განსასჯელი თავს ძოლიანად დამნაშავედ ცნობს) მეორე-მეოთხე ეტაპების საჭიროება აღარ დგება. გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას საჭირო აღარ არის მეხუთე ეტაპის გავლაც.

1. პირველის არსი მდგომარეობს იმაში, რომ წინასწარ დადგენილ დროს ბრალდებულს იწვევენ ან მოიყვანენ არსებითად განმხილველი სასამართლოს ღია სხდომაზე. ბრალმდებლისა და დამცველის თანდასწრებით ბრალდებულს აცნობენ საბრალდებო აქტს ან ინფორმაციას და არკვევენ, ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ, ან გასაგებია თუ არა მისთვის ყველაფერი რაც გააცნეს. პასუხი შესაძლოა ბრალდებულმა დაუყოვნებლივ, ანდა დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ გასცეს, თუ ბრალდებული საკმაოდ დასაბუთებული თხოვნით მიმართავს სასამართლოს საქმის განხილვის გადადების შესახებ წარდგენილი ბრალდების გააზრებისათვის.

პრაქტიკულად, ბრალდებულის ბრალდებასთან დამოკიდებულების შესახებ კითხვებზე პასუხები დადებითია ხოლმე. ამ სახის აღიარებების ზეუდრითი წილი ამ ეტაპზე საკმაოდ დიდია და ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში მერყეობს სასამართლოში განსახილველად შემოსულ საქმეთა საერთო რაოდენობის 25-დან 98%-მდე. ამერიკელ ავტორთა უმრავლესობა, რომლებიც ამ პრობლემას შეისწავლიან, თვლიან, რომ

სასამართლოში განსასჯელები აღიარებენ თავიანთ დანაშაულს საშუალოდ 70-90% შემთხვევაში.

ამ მოვლენის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ზემოხსენებული „ბრალის აღიარების შემთხვევაში გარიგების“ (როგორც სისხლის სამართლის საქმეთა გამარტივებული წესით გადაწყვეტისათვის ხელშემწყობი საშუალების) საკმაოდ ფართოდ გამოყენების დაშვება.

ადრე ასეთი გარიგებები არ ხმაურდებოდა. მათი დადება ხშირად მიიჩნეოდა, როგორც იმ პრინციპებიდან გადახვევა, რომლებსაც მართლმსაჯულება უნდა ემყარებოდეს, ასევე, პოლიციისა და პროკურატურის მოხელეთა მხრიდან ყოველგვარი ბოროტად გამოყენების კარგი საშუალება. თუმცა დღესდღეობით გარიგებებმა სავსებით ლეგალური სახე მიიღო. მათი მართლზომიერება აღიარა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ¹. ბოლო ათწლეულების მანძილზე სულ უფრო ხშირად ჩნდება კანონები, სასამართლო წესები და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ მსგავს გარიგებათა დადების წესს, პირობებს, გაფორმების საკითხებს, მასში მოსამართლეთა მონაწილეობას და ა.შ. ამ ტენდენციის მასშტაბებსა და მისი კონკრეტული გამოვლინებების შესახებ შესაძლოა ვიმსჯელოთ იმ რეკომენდაციებით, რომლებსაც სისხლის სამართლის პროცესის უნიფიცირებული წესები აძლევს ქვეყნის ყველა საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოს. საკანონმდებლო ორგანოებისათვის ამ მალაქტორიტეტული დოკუმენტის 443-ე წესის „ა“ პუნქტში ნათქვამია: „მხარეებს უფლება აქვთ დადონ გარიგება იმის თაობაზე, რომ ბრალდებული განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას ბრალდებასთან (will plea) ერთ-ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოყვანილი პირობის საფუძველზე:

1 „ბრალის აღიარების გამო გარიგებათა“ მიმართ ოფიციალური დამოკიდებულება გამოხატულია აშშ-ს უზენაესი სასამართლოს 1971 წლის გადაწყვეტილებაში სანტობლოს სისხლის სამართლის საქმეზე: იმ დროისათვის ამ სასამართლოს თავმჯდომარის უბერჯერის მიერ ჩამოყალიბებულ მის მოტივაციაში (opinion) აღნიშნულია, რომ: „დანაშაულში ბრალდების საკითხის გადაწყვეტა ბრალდებულსა და ბრალდებულს შორის შეთანხმების მეშვეობით, რასაც ზოგჯერ „ბრალის აღიარების გამო შეთანხმებას“ უწოდებენ, მართლმსაჯულების განხორციელების არსებით კომპონენტს წარმოადგენს. თუ იგი (შეთანხმება. - ე.ვ.) დადებულია სათანადოდ, მაშინ უნდა წახალისდეს. დანაშაულში ბრალდების თითოეული შემთხვევა სრულმასშტაბიანი სასამართლო განხილვის საგანი რომ ყოფილიყო, მაშინ ფედერალურ და შტატის ხელისუფლებებს მოუწევდათ მოსამართლეთა და სასამართლო დაწესებულებათა რიცხვის რამდენჯერმე გაზრდა.

დანაშაულების შესახებ საკითხის გადაწყვეტა წარდგენილი ბრალდების მიმართ ბრალდებულის პოზიციას მსჯელობისას (plea discussions) წარმოადგენს სამართალწარმოების არა მხოლოდ არსებით, არამედ მტკიც სასურველ ნაწილს მრავალ მიზეზთა გამო. მას მოყვართ უმრავლეს სისხლის სამართლის საქმეთა სწრაფ და, მნიშვნელოვანწილად, საბოლოო გადაწყვეტაზე; იგი თაოდან აკეცილებს იმთა წინასასამართლო ატმორაბაში ყოფინისას იძულებული უსაქმობის (არსაბეზობა) უარყოფითი გველვისაგან, ვისკაც უარი ეუბნა ატმორაბიდან განთავისუფლებაზე.“ (იხ. Kamissar Y., LaFive W., Israel J. Op. cit. P. 1230).

- (1) ღვენის განმარცორციელებელი ატორნი (prosecuting attorney) შეიტანს შესწორებებს ინფორმაციაში (საბრალდებო აქტში) გარიგებისას შეთანხმებულ (specified) დანაშაულში ბრალდების მითითებით;
- (2) ღვენის განმარცორციელებელი ატორნი ამორიცხავს ან არ წაუყენებს კონკრეტულ ბრალდებებს, რომლებიც წაყენება ბრალდებულს;
- (3) ღვენის განმარცორციელებელი ატორნი გააკეთებს გარიგებისას შეთანხმებულ რეკომენდაციებს სასჯელის ან სხვა ზემოქმედების გამოყენებასთან დაკავშირებით, ან ხელს არ შეუშლის მათ გამოყენებას;
- (4) ბრალდებული არ მოითხოვს პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დაწყებამდე განცხადებული შუამდგომლობის უარყოფის შესახებ სასამართლო ბრძანების სააპელაციო გადასინჯვას, რომელიც შესაძლებელია შედგეს 444-ე წესის „f“ პუნქტის თანახმად“.

443-ე წესის კომენტარებში საუბარია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ ურთიერთმისაღებ შეთანხმებას, მათ შეუძლიათ მიმართონ მოსამართლეს, რომელსაც უფლება აქვს მოიწვიოს „შემათანხმებელი შეხვედრა“ (agreement conference). მოსამართლის მონაწილეობით წარმართულ შეხვედრაში მონაწილეობის უფლება აქვთ ბრალდებულსა და ბრალმდებელს, ასევე (მოსამართლის მოთხოვნით) სხვა პირებს (მათ შორის დაზარალებულებს). მოსამართლეს უფლება აქვს გარიგებასთან დაკავშირებით გამოთქვას თავისი შეხედულებები, რომლებსაც აუცილებლად ითვალისწინებენ მხარეები. სხვა სიტყვებით, აქ საუბარია სამომრიგებლო შეთანხმების მსგავს პროცედურაზე, რასაც თითქმის ყველა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით სამოქალაქო-სამართლებრივი დავების გადაწყვეტის დროს.

2. მდგრად ეტაპისათვის განსაზღვრული დრო არ გამოიყენება მხოლოდ ბრალდებულისა და ბრალმდებელს შორის გარიგების დასადებად ან დასაზუსტებლად. ბრალდებისა და დაცვის მხარეებს უფლება აქვთ ამ ეტაპზე განაგრძონ მტკიცებულებათა მოპოვება და მათი თავიანთ დოსიეში ფიქსაცია. აშშ-ში დამკვიდრებული სამართალწარმოება არ მოითხოვს, რომ საქმის არსებითად განხილველ სასამართლოს წინასწარ წარედგინოს საქმის მასალები სრული მოცულობით. მოცემულ ეტაპზე მისთვის, როგორც წესი, ცნობილია მხოლოდ ის, რაც ნათქვამია ინფორმაციაში (საბრალდებო აქტში) და რასაც შეიცავს ის დოკუ-

მენტები, რომლებიც მოწოდებულია მაგისტრატის ან მასთან გათანაბრებული მოსამართლისაგან (თუ საქმეზე ჩატარდა წინასწარი მოსმენა).

ცხადია, არც მხარეები ფლობენ სრულ ინფორმაციას მათი საპროცესო მოწინააღმდეგეების დოსიების შინაარსის შესახებ. მოცემულ ეტაპზე ისინი აქტიურად მუშაობენ იმ მიმართულებით, რომ შეიტყონ, თუ რა აქვს მეორე მხარეს „შემონახული“ მის წინააღმდეგ. მაგალითად, დაცვის მხარე წინასწარი მოსმენისას არ იღებს სრულ ინფორმაციას გამამტყუნებელი მასალების შესახებ. მისთვის ცნობილი ხდება მხოლოდ ის, რის „გამოაშკარავებასაც“ ბრალმდებელი საჭიროდ ჩათვლის, რათა დაასაბუთოს ბრალდებულის სამართალში მიცემა. ეს არ არის ყველა ის მტკიცებულება, რაც შესაძლოა სავსებით მოულოდნელად წარადგინონ სასამართლო განხილვისას, რაც განსასჯელსა და დამცველს მეტად რთულ მდგომარეობაში ჩააყენებს.

იმისათვის, რომ განეიტრალებს ეს შესაძლებლობა, სამართალწარმოების წესები ითვალისწინებს თითოეული მხარის უფლებას – მოითხოვოს მეორე მხარის მიერ შეკრებილი მტკიცებულებების ან მათი ნაწილის გაცნობა. სისხლის სამართლის პროცესის ფედერალური წესებით, შტატებში მოქმედი ანალოგიური აქტებით ანდა დაუწერელი სამართლის მრავალრიცხოვანი კაზუსტური ნორმებით მოწესრიგებულ ამ შესაძლებლობის რეალიზების პროცედურას, როგორც წესი, უწოდებენ თითოეული მხარის დოსიეს მასალების „გაჩხნასა და გაცნობას“ (discovery and inspection), ხოლო ზოგ შემთხვევაში, ისევე როგორც ინგლისში, – „წარდგენას“ (disclosure). როგორც წესი, ამ პროცედურას მიმართავენ განსასჯელი ან მისი დამცველი, როდესაც პირველი მათგანი თავს დამნაშავედ არ ცნობს და გადაწყვეტს, რომ გამართოს საპროცესო შერკინება ბრალმდებელთან და მიაღწიოს გამართლებას. ფედერალური სასამართლოებისათვის მისი ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის პროცესის ფედერალური წესების მე-16 წესში¹, რომელიც ადგენს შეკრებილი მასალების გასაცნობად წარდგენის წესსა და პირობებს დაცვისა და ბრალდების მხარეებისათვის ცალ-ცალკე წესი და პირობები დიფერენცირებულია, ასევე, კონკრეტული მასალების ფორმისა და შინაარსის მოხვედით (ცალკე განისაზღვრება, მაგალითად, ბრალმდებლის დოსიეში არსებული ბრალდებულის წერილობითი განცხადებების; ნასამართლობის, დაპატიმრების, წარსულში ბრალდებუ-

¹ იმის თაობაზე მსჯელობა, თუ რამდენად არამარტივია განსახილველი პროცედურა, შესაძლებელია თუნდაც იქიდან, რომ აშშ-ს კანონთა კრებულში დასახელებულ მე-16 წესსა და მის კომენტარებს 35 გვერდამდე (ტიპოგრაფიული შრიფტით დაბეჭდილი) ადვილი უკეთია.

ლის დაკავების შესახებ საპოლიციო ცნობების; სხვა დოკუმენტებისა და ნივთიერი მტკიცებულებების; ბრალდებულის შემოწმების ან სპეციალისტების მიერ მისი ტესტირების (მაგალითად, სიცრუის დეტექტორზე) ოქმებისა და ექსპერტი-მოწმის ჩვენებათა მოკლე წერილობითი შინაარსის (written summary of testimony) გაცნობის პირობები).

მაგალითად, მე-16 წესის „ა“ ნაწილის 1(A) პუნქტში საუბარია, თუ როგორ უნდა გაეცნონ ბრალდებული და მისი დამცველი „საქმეზე მნიშვნელობის მქონე (relevant) ბრალდებულის წერილობით ან ოქმში შეტანილ განცხადებას“, „რომლის არსებობის შესახებაც იცის ბრალმდებელმა“. ასეთი დოკუმენტი წარედგინება ბრალდებულის თხოვნით. უარის შემთხვევაში დაცვის მხარე მიმართავს მოსამართლეს. თუ იგი თხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, მაშინ გასცემს ბრძანებას, რომელიც ავალდებულებს ბრალმდებელს, რომ წარუდგინოს დაცვის მხარეს კონკრეტული დოკუმენტი „დათვალეირების, კოპირების ან ფოტოგრაფირებისათვის“.¹

სხვა სიტყვებით, ბრალდებულმა ან მისმა დამცველმა თავიანთ შუამდგომლობაში უნდა მიუთითონ, რომ მხედველობაშია კონკრეტული დოკუმენტი, იგი საქმეს შეეხება და მის შესახებ ცნობილია ბრალმდებლისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლოა მას გააცნონ ეს დოკუმენტი. ბრალდებულს შესაძლებლობა ეძლევა ხოლმე გაეცნოს პოლიციაში დაკითხვებისას მისივე ჩვენებათა ოქმებს სწორედ ასეთი რთული ხერხით. იმავე წესის „ა“ ნაწილის 1(A) პუნქტში საუბარია, რომ რაიმე კონკრეტული დოკუმენტის ან „მატერიალური საგნის“ (tangible object) ბრალმდებლის მიერ წარდგენის შესახებ შუამდგომლობის დაყენებისას ნაჩვენები უნდა იყოს ამ დოკუმენტის ან საგნის არსებითი მნიშვნელობის შესახებ ბრალდებულის მოსამზადებლად დაცვისათვის; ბრალმდებელი აპირებს გამოიყენოს ისინი მტკიცებულების სახით სასამართლო განხილვისას; მიღებული იყო ბრალდებულისაგან ანდა მას ეკუთვნოდა“. მათთვის, ვისაც სასამართლო მტკიცების რაიმე გამოცდილება აქვთ, ცხადია, რომ ყველაფერი ამის „ჩვენება“ მეტად რთულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამამტყუნებელ მტკიცებულებათა შეკრება მიმდინარეობს დაცვისაგან ფარულად.²

¹ მე-16 წესის „ა“ ნაწილის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო იმ ბრძანების გაცემას, რომელიც ავალდებულებს მხარეს „გახსნას“ მტკიცებულება, „უკლებამოსილია ზუსტად განსაზღვროს დრო, ადგილი და ხერხი გახსნისა და გაცნობისა, ასევე დაწესოს ისეთი მოთხოვნები და პირობები, რომლებიც სამართლიანია“.

² ასევე არის რეკლამენტორებულ მტატებში მხარეთა მიერ შეკრებილი დონისე მასალების ურთიერთგაცნობის წესი, თუმცა ფედერალური სასამართლოებისათვის დადგენილი სტეპონდ გამ-

სასამართლო განხილვამდე დიშეება სხვა სახის შუამდგომლობებიც. დასაშვებია მოსამართლესთან წინასწარი მოსმენის ანდა ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის მოქმედებათა დადგენილი წესების დარღვევით ჩატარებულად ცნობის, ბრალდების მტკიცებულებათა არასაკმარისად ცნობის, მტკიცებულებათა რიცხვიდან პირის უფლებათა და თავისუფლებათა კონსტიტუციური გარანტიების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების ამორიცხვის შესახებ შუამდგომლობების დაყენება. ამ შუამდგომლობათა დაკმაყოფილებას შესაძლოა მოჰყვეს პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოების შეწყვეტა და, ესე იგი, საქმეთა გარკვეული რაოდენობის გაეცხრილება.

3. მესამე ეტაპს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისა აღწევს გაცილებით ნაკლები საქმეები, ვიდრე რეგისტრირებულია ამ სახის სასამართლოებში. უმრავლეს შემთხვევაში ბრალდებულები ამჯობინებენ აღიარონ თავიანთი ბრალი, როგორც წესი, იმაზე ნაკლებად საშიში დანაშაულის ჩადენაში, ვიდრე ეს ინფორმაციით ან საბრალდებო აქტით არის გათვალისწინებული. ამას ხშირად სამართალწარმოების ფორმის შეცვლა მოჰყვება: „ჩვეულებრივი“ პროცედურა იცვლება გამარტივებულით (სუმარულით), ვინაიდან პირი აღიარებს ბრალს ნაკლებად საშიშ დანაშაულის (მისდინორის) ჩადენაში. თუნდაც ბრალდებული აღიარებდეს საშიში დანაშაულის (ფელონიის) ჩადენას, შემდგომი ეტაპი (ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ფორმირება) იშვიათად ტარდება, ვინაიდან ასეთი აღიარება თითქმის ყოველთვის ათავისუფლებს სასამართლოს ბრალდებულის ბრალეულობის მტკიცებულებათა გამოკვლევის აუცილებლობისაგან, რაც ნიშნავს, რომ აღარ არის საჭირო მონაწილეობა ნაფიცი მსაჯულებისა, რომლებიც (უმრავლეს შემთხვევაში) მხოლოდ იმიტომ მოიწვევიან, რათა გადაწყვიტონ საკითხი ბრალდებულის დამნაშავეობის შესახებ. სამართალწარმოების წესის ასეთი ავტომატური „გამარტივება“ ხდება საშიშ დანაშაულთა 90%-ზე მეტი საქმეებზე.

საქმეთა გარკვეული რაოდენობა ვერ აღწევს მესამე ეტაპს იმის

ონაკლისებზე დიშეება. მაგალითისათვის, ტენასის შტატის სსს კოდექსის 39.14-ე მუხლი ითვალისწინებს ბრალდების მხარის მიერ შეტრეული მასალების წარდგენისა და მათი ბრალდებულისა და დამკველისათვის გაცნობის წესს. მასში აღნიშნულია, რომ: „ბრალდებულის შუამდგომლობით, რომელიც დასტურებს, რომ არსებობს საკმაო საფუძველი და დანარჩენი მონაწილეებისათვის შეტყობინების შემდეგ სასამართლო, სადაც სისხლის სამართლის საქმე ელის თავის განხილვას ანდა უკვე განხილვას არსებითად, უფლებამოსილია, გამოსცეს ბრძანება გარკვეული დოკუმენტების (designated), სხვა წერილობითი მტკიცებულებების, ბრალდებულის წერილობით წამოადგენილი განცხადებების წარდგენის შესახებ...და ბრალდებულის მიერ ანდა მისი დავალებით მათი გაცნობის, ასევე კოპირების ან ფოტოგრაფირების შესახებ... (კურსივი ეკუთვნის -- კ.გ.-ს)“.

გამო, რომ სასამართლოები აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ შუამდგომლობებს, ანდა პროკურორები უარს ამბობენ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებაზე (ასეთი უარი სასამართლოსათვის იმპერატიულ ხასიათს ატარებს). შედეგად, საქმეთა ერთი მესამედიდან ნახევრამდე, რომელთა განხილვაც შესაძლებელი იქნებოდა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით, ფაქტობრივად, განიხილება მოსამართლეების მიერ ერთპიროვნულად იმის გამო, რომ განსასჯელები უარს ამბობენ, რათა ისინი განსაჯონ ნაფიცმა მსაჯულებმა.

აშშ-ში გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, საერთო იურისდიქციის სასამართლოებში¹ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განსახილველ საქმეთა ხვედრითი წილი მერყეობს 1-დან 15%-მდე. მაგალითად, ჩიკაგოში ასეთმა საქმეებმა შესაძლოა შეადგინოს 2%, ნიუ-იორკის ცენტრალურ რაიონში (მანჰეტენში) – 3%, დალასში – 5%, სიეტლში – 15%. ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილება სასამართლოებში რეგისტრირებულ იმ სისხლის სამართლის საქმეთა 5%, რომლებიც შესაძლო იყო განხილულიყო ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. მრავალწლიანი დაკვირვებით გამოვლინდა შებდევი კანონზომიერება: რაც უფრო მკაცრი სასჯელი ემუქრება განსასჯელს, მით უფრო დიდია ვარაუდი, რომ იგი არ იქნება წინააღმდეგი მისი საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილვისა. ზოგადად ასე გამოიყურება აშშ-ს კონსტიტუციით განმტკიცებული, ამერიკელების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უფლების რეალიზების რაოდენობრივი დახასიათება.

ამერიკის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის არსებით თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ უკვე დიდი ხანია² იქ დამკვიდრდა ნაფიც მსაჯულთა მოწვევის ტენდენცია არა მარტო განსასჯელის დაზნაშავეობასა თუ უდანაშაულობის საკითხის გადასაწყვეტად, არამედ, ასევე, სასჯელის ზომის შეფარდებისათვის მისი მსჯავრდების შემთხვევაში. ბოლო ათწლეულების მანძილზე ამ ტენდენციამ სულ უფრო ფართო მასშტაბები მიიღო. იგი მრავალი შტატის კანონმდებლობაში გამოვლინდა. მაგალითად, 1998 წლისათვის 33³ შტატის

¹ შეზღუდული იურისდიქციის სასამართლოებში, რომელთა განხვადიცა პირველი ინსტანციით სისხლის სამართლის საქმეები ნაკლებად საშინო დანაშაულების გამო. ნაფიც მსაჯულების მონაწილეობა, როგორც წესი, არ არის მოღებული.

² ამ მომართლებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის კოლონიალური ხელისუფლებისაგან. მაშინ აშშ-ში ბევრი რამ კოლონიალური ბრძოლის მსგავსებას მხრიდან კონტროლის დასაწყისებლად შეუვის მოხელეებზე, მათ შორის მოსამართლეებზე, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას სასჯელის ზომას შეუფარდებდნენ (იხ.: Campbell A. Law of Sentencing. Sec. ed. Deerfield. N.Y., Rochester, 1991. p.257).

³ 2001 წლის დასაწყისში ასეთი 38 შტატი იყო. გარდა ამისა, სიკვდილით დასჯის გამოყ

კანონმდებლობა ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯის შესაძლებლობას; მათგან 23 შტატში წინასწარი (თავმჯდომარისათვის არასაქალაქებულ) გადაწყვეტილება (original sentence) ასეთი სასჯელის შესახებ უნდა მიეღოთ ნაფიც მსაჯულებს. ზოგიერთ შტატში (კენტუკი, მისური, ოკლაჰომა, ტენესი, ტეხასი) დაიშვება მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღება სასჯელის სხვა ზომების შეფარდების თაობაზეც.¹

ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ფორმირების ეტაპს (ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს) წინ უსწრებს დიდი სამუშაო. იგი იწყება იმ ნაფიც მსაჯულთა საერთო სიების შედგენით, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ კონკრეტული სასამართლოს განსჯად საქმეთა განხილვაში. აშშ-ს კონსტიტუციის (შესწორება VI) თანახმად, „ბრალდებულს აქვს უფლება იმ შტატისა და ოლქის ნაფიც მსაჯულთა საჯარო სასამართლოზე, სადაც ჩადენილია დანაშაული“. ამ ზოგადი ორიენტაციიდან, კანონებში და დაუწერელ სამართალში დაფიქსირებული კონკრეტული დანაწესებიდან გამომდინარე ტარდება შესაბამისი სამუშაოები.

ნაფიც მსაჯულთა სიებს, როგორც წესი, საფუძვლად უდევს მოცემულ ადგილას დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა, გადასახადების გადამხდელთა, მართვის მოწმობის მფლობელთა სიები ანდა სატელეფონო ცნობარები, თუმცა არც ერთი ეს წყარო არ არის ამომწურავი და მოცემულ ადგილას მცხოვრებთა ფაქტობრივი რაოდენობის მაჩვენებელი. ამ სიებით შესარჩევი პირებიდან ამოირიცხება ის გეარები, რომლებსაც კანონის მიხედვით არ აქვთ უფლება შეასრულონ ნაფიცი მსაჯულის ფუნქცია. მათი წრე საკმაოდ ფართოა. საჭიროა, რომ ნაფიცი მსაჯული იყოს აშშ-ს მოქალაქე, როგორც წესი, იგი უნდა იყოს 18 წელს მიღწეული, მუდმივად ცხოვრობდეს შტატის ტერიტორიაზე, კითხულობდეს და ესმოდეს ინგლისური, არ ჰქონდეს ფსიქიკური ან ფიზიკური ნაკლი (რაც ხელს შეუშლის მას სასამართლოში მიმდინარე მოვლენების სწორად აღქმასა და შეფასებაში), არ იყოს ნასამართლვეი გარკვეული დანაშაულებისათვის, არ ეკავოს ისეთი თანამდებობა, ანდა არ იყოს ისეთი პროფესიის, რომლებიც მითითებულია საკანონმდებლო ორგანოების მიერ დამტკიცებულ სიებში (მაგალითად, ნაფიცი მსაჯული არ შეიძლება იყვნენ პოლიციის, პროკურატურის მუშაკები, მღვდლები, სასამართლო მოხელეები, მეხანძრეები, ავიაპილოტები, რკინიგზის დისპეჩერები და

ენების უფლება ქონდათ საერთო იურისდიქციის ფედერალურ და სამხედრო სასამართლოებს.

¹ *Cumpphell A. Op. cit.* P.258, ასევე იხ. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის სასამართლო სტატისტიკის ბუროს მიერ მომზადებული ბიულეტენი „State Court Organization, 1998“ // <http://www.ojp.usdoj.gov/bjs/abstract/sco98.htm>

სხვა. სულ დაახლოებით 70-მდე თანამდებობა და საქმიანობაა ჩამოთვლილი). შესაძლოა ფედერალურ ან შტატის დონეზე საკანონმდებლო წესით დაწესებული იყოს სხვა მოთხოვნებიც.

სიების „გაწმენდა“ ევალუბათ სასამართლოს სხვადასხვა თანამდებობის პირებს (ხშირად კლერკებს). ზოგ შემთხვევაში ეს შესაძლოა სხვა ორგანოების (კერძოდ, ადგილობრივი შერიფის სამსახურების) თანამდებობის პირებსაც დაევალონ. იმისათვის, რომ სასამართლოში არ გამოიძახონ ერთი და იგივე პირები, ანდა გამოირიცხონ ბოროტად გამოყენების შესაძლო შემთხვევები (მაგალითად, მოსამართლეებისათვის მოსაწონი ნაფიცო მსაჯულების შერჩევა, სასამართლოში უპირატესად წყნარი, მორჩილი ხალხის მოწვევა) ნაფიც მსაჯულთა შესარჩევად და მათი სიების წარმოებისათვის ფართოდ გამოიყენება კომპიუტერი. ფედერალურ სასამართლოებში ყველაფერ ამას ასრულებენ კლერკები ანდა სასამართლოს მიერ შექმნილი კომისიები პოტენციური ნაფიცო მსაჯულების სიების შესადგენად და მათი განახლებისათვის, რომლებიც დროებით საფუძველზე მოწვეული მოქალაქეებისაგან არის დაკომპლექტებული (აშშ-ს კანონთა კრებულის 28-ე კარის §1863).

საქმის განსახილველად ნაფიც მსაჯულთა სახით კონკრეტული პირების შერჩევა ბევრად ჰგავს იმ პროცედურას, რაც ინგლისში (იხ. თავი მე-2, §7) და სხვა ქვეყნებშია გათვალისწინებული, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები მოქმედებს.

სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმეზე ნაფიც მსაჯულთა ფორმირების დაწყებამდე სასამართლოს კლერკი ან სხვა პირი შეარჩევს ამ საქმის განსახილველად მოსაწვევ ნაფიც მსაჯულთა გვარებს საერთო სიიდან კენჭისყრით, კომპიუტერის ანდა სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით, რომელიც შემთხვევითობის საფუძველზე შერჩევის საშუალებას იძლევა. მათ ეგზავნებათ სასამართლოში გამოცხადების უწყება სასამართლო სხდომის ადგილისა და დროის მითითებით. ერთ საქმეზე, როგორც წესი, იძახებენ 36-48 პირს. ყველა გამოძახებული პოტენციური ნაფიცო მსაჯულის სია ეგზავნება განსასჯელს (ზოგან – დამცველსა და პროკურორსაც) სასამართლო სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 3 დღისა.

ნაფიც მსაჯულთა თანამდებობაზე შესარჩევად დანიშნულ დროს გამოცხადებული¹ კანდიდატები იმყოფებიან იზოლირებულ, მოსაცდელ

¹ ნაფიცო მსაჯულის მოვალეობათა შესასრულებლად გამოცხადებაზე უარი ანდა გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ დამატებული ცნობების წარუდგენლობა შეიძლება დაისაჯოს ჯარიმით 100 დოლარამდე ოდენობით ან პატიმრობით 3 დღე-ღამემდე (აშშ-ს კანონთა კრებულის 28-ე კარი, §1864-ის ნაწილი „ბ“).

ოთახში. ამ დროს ხდება სასამართლო სხდომის გახსნა. რამდენიმე ფორმალობის შესრულების შემდეგ თავმჯდომარე მოსამართლე არკვევს მხარეებთან დროულად მიიღეს თუ არა მათ პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა სია და ხომ არ აქვთ აცილება მთლიანად სიის მიმართ. ასეთი აცილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მხარეებისათვის ცნობილი გახდა, რომ სია შედგენილი იყო საჭირო პროცედურის დარღვევით, არაკომპეტენტური პირის მიერ და ა.შ. თუ აცილებას არ განაცხადებენ ან უარყოფენ, მაშინ დაიწყება პერსონალური შერჩევა.

მომავალ ნაფიც მსაჯულებს მიიწვევენ სასამართლო სხდომათა დარბაზში, სადაც ესწრებიან თავმჯდომარე მოსამართლე, მხარეები და (შესაძლოა) საზოგადოება. თუ მხარეები თავიდანვე არ აცხადებენ არამოტივირებულ აცილებას, მაშინ ხდება კანდიდატთა გამოკითხვა¹. არკვევენ, ხომ არ აქვს კანდიდატს თვითაცილება². ხშირად ასეთ გამოკითხვას ამერიკელები „გულახდილ საუბარს“ (voir dire³) უწოდებენ. გამოკითხვისას მოსამართლეს და მხარეებს უფლება აქვთ დაუსვან კანდიდატს ნებისმიერი შეკითხვა, რომელზეც პასუხი (შეკითხვის ავტორის აზრით) დაეხმარება მათ კანდიდატის პიროვნების გამორკვევაში: ცხოვრებისა ან აღზრდის პირობების, ნაცნობთა წრის, ჩვევებისა და მიდრეკილებების (მათ შორის – მავნე), პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების, განათლების, ოჯახური მდგომარეობისა და ა.შ. შესახებ.

ბოლო ხანებში ფართოდ გამოიყენება „გულახდილი საუბრების“ წინასწარ შემუშავებული პროგრამებით წარმართვა. ასეთ პროგრამებს, როგორც წესი, კერძო ფირმები ამზადებენ, რომლებიც სპეციალიზირდ-

1 XX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან დაწყებული ამერიკელმა მოსამართლეებმა ბანდიტიზმის ან სხვა, უკუურთი (ორგანიზებულ) ძალადობრივი ქმედების ჩაღწასთან დაკავშირებულ, დანაშაულთა განხილვისას, ნაფიც მსაჯულთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაიწყეს გადაწყვეტილების გამოტანა იმის თაობაზე, რომ მოცემული საქმე ეჭვმიტანილს განხილვის „ანონიმური ნაფიც მსაჯულების“ მიერ. ეს ნიშნავს, რომ საქმის მასალებში არ უნდა იყოს რაიმე მონაცემი, რომელიც ხელს შეუწყობდა ნაფიც მსაჯულთა პიროვნების იდენტიფიკაციას და ნაფიც მსაჯულებს მთლიანი სასამართლო სხდომის მსვლელობისას უფლება აქვთ დარბაზში ისხდნენ ნიღბით, ანდა თუნდაც სამოსლით, რომელიც მთლიანად ფარავს მათ გარეგნობას (იხ., მაგალითად: ABA Journal. The Lawyers Magazine. August 1994. p.20-21).

2 ამერიკულ სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა თვითაცილება მეტად გავრცელებული მოვლენაა. ამას მრავალი მიზეზი აქვს. ერთ-ერთი მათგანია საქმარისი საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეებისათვის სრულად, ან თუნდაც ნაწილობრივ გაეყვანს ხელფასისა მათ მიერ სასამართლოში ნაფიც მსაჯულების მოვალეობის შესრულების დროს. 1998 წლისათვის მხოლოდ 5 შტატში (მასაჩუსეტსი, ნიუ-ჯერსი, ნიუ-იორკი, კონექტიკუტი, ჯორჯია) და კოლუმბიის ოლქში არსებობდა კანონები, რომლებიც ადგენდნენ ამ სახის გარანტიებს, თუმცა მეტად შეზღუდულ ფარგლებში (იხ.: „State Court Organization, 1998“).

3 შეადარეთ, თუ როგორ ითარგმნება და გამოიყენება ეს ტერმინი ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში (თაყი მე-2, §4).

ებიან სხვადასხვა სახის სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ გამოკვლევებსა და პროგნოზირებებზე. ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, ქმედების შედეგების, განსასჯელისა და დაზარალებულის პიროვნებების, მათი შეხედულებებისა და სხვა ცნობათა (რომელიც შეიძლება მხარეებმა მოაწოდონ) შესახებ მონაცემების მიხედვით ფირმები „გამოითვლიან“ ე.წ. იმ ნაფიცი მსაჯულის მოდელს, რომელიც საჭიროა საქმის სასიკეთოდ გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად. იმედროულად ზდება იმ საკითხთა ჯგუფის შერჩევა, რომლის მიხედვითაც ფირმის დამკვეთი (ბრალდებულის დამცველი) შეძლებს მისთვის საჭირო ნაფიც მსაჯულთა გამოვლენას და ამით უზრუნველყოფს საქმის მოგებას.

გამოკითხვის მსვლელობისას თითოეული მხარე უფლებამოსილია განაცხადოს განუსაზღვრელი რაოდენობის მოტივირებული აცილება, რომლებიც დამაჯერებლად მოწმობენ, რომ მოცემული ნაფიცი მსაჯული ვერ იქნება ობიექტური ვერდიქტის გამოტანის დროს. რთულ საქმეებზე, სადაც მონაწილეობენ მაღალანაზღაურებადი დამცველები, თითოეული კანდიდატის გამოკითხვა საკმაოდ ხანგრძლივად შეიძლება მიმდინარეობდეს. აცილების დასაბუთებულობის შესახებ საბოლოო შეხედულების უფლება ეკუთვნის საქმეზე თავმჯდომარე მოსამართლეს. მას შეუძლია აცილება მისცეს ნაფიც მსაჯულებს საკუთარი ინიციატივითაც.

სამართალწარმოების ამერიკული წესების მიხედვით (იმისგან განსხვავებით, რაც დღეისათვის ინგლისში დამკვიდრდა (იხ. თავი მე-2, §7)), ბრალდებისა და დაცვის მხარეებს უფლება აქვთ განაცხადონ გარკვეული რაოდენობის არამოტივირებული აცილება. ფედერალური კანონმდებლობის შესაბამისად, თუ განსასჯელის მიმართ შესაძლოა გამოიყენონ სიკვდილით დასჯა, მაშინ ბრალმდებელსა და დამცველს უფლება ეძლევათ განაცხადონ ოც-ოცი არამოტივირებული აცილება თითოეულმა, ხოლო თუ უფრო ნაკლებად მკაცრი სასჯელი, მაშინ ბრალმდებელმა – 6 და დამცველმა – 10. შტატებში შესაძლებელია სხვა სახის გადაწყვეტილებები, მაგრამ ყველგან დადგენილია არამოტივირებულ აცილებათა ფიქსირებული რაოდენობა. საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მოსამართლეს შესაძლებელია მიეცეს მათ რაოდენობაზე ლიმიტის დაწესების (გაზრდის ანდა შემცირების) უფლება.

კანდიდატი, რომელმაც ასეთ რთულ „გამოცდას“ გაუძლო, დებს ფიცს და იკავებს თავის ადგილს ნაფიც მსაჯულთა სკამზე. ასეთივე პროცედურა ტარდება შემდეგი კანდიდატის მიმართ. ეს „გამოცდა“ გრძელდება მანამ, სანამ არ შერჩევა ნაფიც მსაჯულთა (მათ შორის სა-

თადარიგო ნაფიც მსაჯულთა, თუ საქმის განხილვა ხანგრძლივი დროის მანძილზე იგეგმება) საჭირო რაოდენობა. ზოგადი წესის სახით, ნაფიც მსაჯულთა სკამზე არ უნდა იჯდეს 12 კაცზე ნაკლები.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში დაიწყო ნაფიც მსაჯულთა 12-კაციან შემადგენლობაზე უარის თქმის პროცესი. ზოგიერთ შტატების სასამართლოებში მოქმედი კანონების თანახმად, დაიშვება კოლეგიები, რომლებიც 9, 8, 7, 6, 5¹ და უფრო ნაკლები რაოდენობის ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება.

აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ შეამოწმა ამ პროცესის კონსტიტუციურობა სააპელაციო საჩივრებთან დაკავშირებით. მაგალითად, 1970 წელს აშშ-ს უზენაესი სასამართლო ფლორიდის შტატში ძარცვისათვის მსჯავრდებული უილიამსის საქმეზე (ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ფორმირებისათვის საჭირო ნაფიც მსაჯულთა რაოდენობის შესახებ საკითხის ისტორიის დეტალურ ანალიზზე დაყრდნობით) მივიდა დასკვნამდე, რომ ჟიურიში 12 კაცის ყოფნის აუცილებლობის დებულება მხოლოდ „ისტორიული შემთხვევითობაა, რაც არ უკავშირდება იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც ნაფიცი მსაჯულებისათვის პირველხარისხოვანია“. ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ ვერ ნახა რამე პრინციპული მოსაზრება, რომელიც მოახდენდა დასაბუთებულ არგუმენტირებას იმ მოთხოვნისა, რომ ნაფიც მსაჯულთა ჟიური 12 კაცისგან უნდა შედგებოდეს.² ამიტომ, მან კონსტიტუციის დანაწესებთან შესაბამისად ცნო ნაფიც მსაჯულთა ჟიურის უფრო ნაკლები რაოდენობით ფორმირება.

ნაფიც მსაჯულთა სკამის ფორმირება დიდ დროს მოითხოვს³. ახლო წარსულში ცნობილია შემთხვევები, როდესაც ნაფიც მსაჯულთა შერჩევა რამდენიმე თვეს გრძელდებოდა და მოითხოვდა სასამართლოში დიდი რაოდენობის პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა გამოძახებას. ახლახანს განხილულ საქმეზე, სადაც მკვლელობაში ბრალდებული ორი

¹ მაგალითად, ჯორჯიის შტატის კონსტიტუციის მიხედვით, ნაკლებად სიმომხრეობით დასაბუთებულ შემთხვევებში შესაძლოა მიმდინარეობდეს 5 ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობით. ფლორიდის შტატში ყველა სისხლის სამართლის საქმე, გარდა იმ დანაშაულებისა, რომლებსთვისაც შესაძლებელია სიკვდილით დასჯის გამოყენება, ექვემდებარება განხილვას 6 ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობით. მხოლოდ იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებზეც შესაძლებელია გამოყენებულ სიკვდილით დასჯა, კანონი მოითხოვს, რომ ნაფიც მსაჯულთა ჟიური შედგებოდეს 12 წევრისაგან.

² იხ.: *Huns V. Vidmar N. Judging the Jury*. N.Y., London, 1986. P. 166-168.

³ ორივე ლიტერატურაში მოყვანილია მონაცემები იმის შესახებ, რომ დახლოებით ყოველ მეხუთე საქმეზე ნაფიც მსაჯულთა სკამის ფორმირების პროცედურა გრძელდება უფრო მეტ ხანს, ვიდრე არსებითად განხილვა (იხ., მაგალითად: *Alshuler A. The Supreme Court and the Jury: Voir Dire, Peremptory Challenges, and the Review of Jury Verdicts*//University of Chicago Law Review. Winter 1989. Vol. 56. Nr 1. P.157).

განსასჯელი იყო, ნ თვე დასჭირდა ნაფიც მსაჯულთა სკამის ფორმირებას. განცხადებულ აცილებებსა და თვითაცილებების გამო სასამართლოში გამოძახებული იყო 250-ზე მეტი პოტენციური ნაფიცი მსაჯული. სასამართლო სხდომის ამ ნაწილის გამიფრულმა სტენოგრაფამ 1000 გვერდამდე შეადგინა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული პრობლემები არ უკავშირდება მხოლოდ დროის დანახარჯებს და მათ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი შედეგებიც მოჰყვება. სასამართლოებში შესაძლო ნაფიც მსაჯულად ყოველწლიურად იძახებენ 2 მილიონამდე ადამიანს. მათგან დაახლოებით ყოველი მესამე მონაწილეობს ვერდიქტის გამოტანაში, ხოლო დანარჩენებს (სხვადასხვა მიზეზის გამო) ათავისუფლებენ ნაფიც მსაჯულთა მოვალეობების შესრულებისაგან. ამერიკელთა გამოთვლებით, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სასამართლოების ფუნქციონირების უზრუნველყოფის ხარჯების დაფარვა (გამოცხადებისათვის ფულადი ჯილდოს გადახდა, მგზავრობის ღირებულების კომპენსაცია, სასტუმროში ცხოვრება და სხვა) საჭიროებს წელიწადში 500 მილიონ დოლარამდე.

ამერიკულ პუბლიკაციებში გამოთქმულია შეშფოთება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ არა მარტო საფინანსო და დროის ხარჯების შესახებ. ხშირად ყურადღებას იპყრობს აშშ-ში გამოქვეყნებული ცნობები იმის შესახებ, რომ ასეთი სასამართლოები სასამართლო შეცდომათა მნიშვნელოვანი რაოდენობის წყაროა, რადგან იქ გადაწყვეტილებებს იღებენ არაპროფესიონალები. ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლების პირველ ნახევარში ზემოხსენებულმა (იხ. თავი მე-2, §3) ჩიკაგოელმა პროფესორებმა გ.კალვენმა და კ.ციესელმა თავიანთი სამეცნიერო კარიერის დასაწყისში ჩაატარეს ღრმადგააზრებული სოციოლოგიური გამოკითხვა სასამართლოში პრაქტიკული საქმიანობით დაკავებული იურისტების (მათ შორის მოსამართლეებისა¹ და საქმის განხილვისათვის ნაფიცი მსაჯულების სახით მოწვეული პირების) და სხვა პირადი გამოცდილებიდან ამ სასამართლოების კარგად მცოდნე (ყოფილი ბრალდებულები, დაზარალებულები, მოწმეები, უბრალოდ დამსწრეები) პირთა ფართო წრისა. შეკრებილ სტატისტიკურ მონაცემთა ბაზაზე მათ არაერთი საინტერესო დასკვნა გააკეთეს, რომლებიც დაწვრილებით იყო არგუ-

¹ გამოკითხეს 500-ზე მეტი მოსამართლე, რომლებიც თავიანთ პასუხებში ვერცხობდნენ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით მთლიანობაში 3 576 საქმის განხილვის საკუთარ პრაქტიკას.

მენტირებული დღემდე ფართოდ ცნობილ მონოგრაფიაში.¹

ერთ-ერთი დასკვნა მეტად დამაფიქრებელია. კერძოდ, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტების მნიშვნელოვანი ნაწილი არ იმსახურებს ნდობას მათი არამართლზომიერებისა და დაუსაბუთებლობის გამო. მაგალითისათვის, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმეთა განხილვის გამოცდილების მქონე მოსამართლეთა გამოკითხვების შედეგების მიხედვით, მონოგრაფიის ავტორებმა დაადგინეს, რომ სანდოა მხოლოდ ვერდიქტების 6%-ზე ოდნავ მეტი.² პრაქტიკულად, ყოველი მესამე ვერდიქტი საეჭვოდ მიიჩნევა მისი კანონიერებისა და დასაბუთებლობის თვალსაზრისით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მკვლევარები, რომლებიც ამ ავტორების შემდეგ მუშაობდნენ და ამოწმებდნენ მათ დაკვირვებებსა და დასკვნებს, ზუსტად იმავე შედეგებს იღებდნენ (10%-ის ცდომილებით).³

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომების მაღალ მაჩვენებელზე მოწმობენ სიკვდილით დასჯის სფეროში სასამართლო პრაქტიკის ტენდენციების ახლახან ჩატარებული გამოკვლევები. ერთ-ერთი მათგანია სერიოზულად არგუმენტირებული გამოკვლევა, რომელიც მომზადდა კოლუმბიის უნივერსიტეტში პროფესორ ჯ.ლიბმენის ხელმძღვანელობით.⁴ ამ დროს დაწერილებით იქნა გააანალიზებული 1973-1995 წლებში განხილული 5 760 სისხლის სამართლის საქმე, რომლებზეც პირველი ინსტანციის სასამართლოებმა დაადგინეს სიკვდილით დასჯა და ამ საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებების კანონიერებისა და დასაბუთებლობის სააპელაციო შემოწმებათა 4 578 მასალა. შედეგები აღმაშფოთებელია: პირველი ინსტანციის სასამართლოთა გასაჩივრებული გადაწყვეტილებების 41%-ის მიმართ სააპელაციო სასამართლოებმა დაადგინეს „სერიოზული შეცდომები“ (serious errors) – „შეცდომები, რომლებიც არსებითად აფუჭებენ ნდობას პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას პირის დამნაშავედ ცნობისა და სიკვდილით დასჯის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილებების მიმართ“.

გამოკვლევის ავტორები დაინტერესდნენ იმ საქმეების ბედით, რომლებზეც სააპელაციო სასამართლომ გააუქმა სასამართლო გადაწყვეტილება და პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახალი გან-

1 Kulven H., Zeisel H. The American Jury. Boston, 1966.

2 Ibid. P.62.

3 იხ., მაგალითად: Hans V. Vidmar N. Op. cit. P.116-120, 131-132.

4 A Broken System: Error Rates in Capital Cases, 1973-1995. By James S., Liebman, Jeffrey Fagan, Valerie West, June 12, 2000//www.TheJusticProject.org.

ხილვისათვის გაგზავნა. შედეგები აქაც სავეალლო აღმოჩნდა: ხელმეორედ განხილვის 82% შემთხვევაში სიკვდილით დასჯა შეიცვალა უფრო მსუბუქი სასჯელით ანდა საერთოდ გაუქმდა, ხოლო 7% შემთხვევებში მოხდა დანაშაულის გადაკვალიფიცირება ისეთ დანაშაულზე, რომელიც საერთოდ არ ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას.

ამ აშკარად შემამოფოთებელ სტატისტიკას უნდა დაეუმატოთ მონაცემები იმ პირთა რაოდენობის შესახებ, რომლებსაც ამერიკის სასამართლოებმა სიკვდილით დასჯა შეუფარდეს, მაგრამ საქმის ხელმეორედ განხილვის შედეგად ისინი სრულიად არაბრალეულად ცნეს რაიმე დანაშაულის ჩადენაში და ისინი რეაბილიტირებულნი იყვნენ (exonerated). ესე იგი, პირები, რომელთა მიმართაც მიღებული იყო ოფიციალური გადაწყვეტილებები იმის შესახებ, რომ ისინი უკანონოდ მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. როგორც სიკვდილით დასჯის პრობლემების ამერიკის საინფორმაციო ცენტრის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები მოწმობს (Death Penalty Information Center)¹, 1973 წლიდან 1993 წლამდე სიკვდილმისჯილთა საკნებიდან ასეთ 2-3 პირს ათავისუფლებდნენ ყოველწლიურად, ხოლო 1994 წლის შემდეგ დღემდე – 4-5 პირს.

სხვა სიტყვებით, გამოვლენილი უმძიმესი, ხშირად გამოუსწორებელი შედეგების მომტანი სასამართლო შეცდომების მაჩვენებელი უკიდურესად მაღალია, რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობის შედეგია, ვინაიდან სწორედ ისინი განიხილავენ იმ სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობას, რომლებზეც შესატლებელია სიკვდილით დასჯის გამოყენება.

მიუხედავად ამისა, აშშ-ში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დემოკრატიის დიდი მონაპოვარია, რომელსაც დაცვა და სრულყოფა სჭირდება.² ამერიკაში მან უფრო ღრმად გაიღვა ფესვები, ვიდრე თავის სამშობლოში – ინგლისში. მსოფლიოში ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველი ყველა საქმე რომ დაეაჯამოთ, მაშინ 80% აშშ-ს შესაბამის სასამართლოებზე მოდის.³ ამ მოვლენას არაერთი ახსნა აქვს. ერთ-ერთი მათგანი უნდა ვეძიოთ არა ამ ქვეყნის მოქალაქეთა ტრადიციებსა ან ფსიქოლოგიაში, არამედ 1776

1 იხ. ინტერნეტ-გვერდი www.deathpenaltyinfo.org

2 ცხადია, გამოთქმულია (მათ შორის საკმაოდ ავტორიტეტულ და გამოცდილ სასამართლო მოღვაწეთა მიერ) სხვა მოსაზრებებიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეფექტურობასა და ხოცოვარ შინაგონობაზე. ვებნაქვებზე ობიექტურ და სრულ მიმოხილვას ასეთი შეხედულებების შეოქავეს წიგნი: *Hluns V. Vidmar N. Judging the Jury*. N. Y., London, 1986. P.19, 131 et seq.

3 იხ.: *Abruhum II. The Judicial Process*. London, 1975. P.112.

წელს, ანტიკოლონიალური ომის დროს მიღებულ დამოუკიდებლობის დეკლარაციაში. ამ დოკუმენტში ინგლისის მეფის მიმართ აღნიშნულ საყვედურებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მითითებას იმაზე, რომ მან კოლონიის ხალხს წაართვა „უმრავლეს შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება“, „მოსამართლეები დაუქვემდებარა თავის ნებას“ და ოკეანეს იმიერ აგზაენიდა ხალხს „ცრუ დანაშაულთა გამო სამართალში მისაცემად“. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამან განაპირობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უფლების განმტკიცება პირველ ათ შესწორებაში აშშ-ს კონსტიტუციისა, რომელიც დღეისათვის ყველაზე სტაბილური კონსტიტუციაა. აშშ-ს კონსტიტუციის ამ თვისებამ, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი სტაბილურობა შესძინა ამ ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს.

4. იმას, რაც ნაფიც მსაჯულთა სკამის ფორმირების შემდეგ ხდება (საქმის არსებითად განხილვის მუხთხე ეტაპი), შეიძლება ეწოდოს სასამართლო გამოძიება, რომლის დროსაც გამოიკვლევენ ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელ ან უარყოფელ მტკიცებულებებს, რომლებიც შეკრებილია მხარეების მიერ, გამოთხოვილია მათი შუამდგომლობის საფუძველზე, ან სასამართლოს ინიციატივით.

ამერიკული სამართალწარმოების თავისებურება, ისევე, როგორც ინგლისისა (იხ. თავი მე-2, §7), ისაა, რომ ამ ეტაპზე განხორციელებულ მოქმედებათა თანმიმდევრობა არ განისაზღვრება სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის გარემოებათა და მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით, როგორც ეს კონტინენტური ევროპის მრავალი ქვეყნისა და რუსეთის სისხლის სამართლის პროცესში ხდება. ანგლოსაქსონური ტრადიციების სამართალწარმოების მქონე ქვეყნებში მოქმედი წესების თანახმად, იგი წინასწარ არის დადგენილი: სასამართლო გამოძიების პირველ ნაწილზე განიხილავენ მტკიცებულებებს, რომლებიც ბრალდებამ წარადგინა, მეორეზე – დაცვის მტკიცებულებებს, ხოლო მესამეზე მოისმენენ მოსამართლის სადამრიგებლო სიტყვას (მას ხშირად „მტკიცებულებათა დაჯამებას“ ან „შედეგების დაჯამებას“ უწოდებენ).

სასამართლო გამოძიების ამ ნაწილებიდან პირველი ორი სავალდებულოა. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც: იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული აღიარებს თავის დანაშაულს, მაგრამ ბრალმდებელი დაჟინებით მოითხოვს ბრალდებულის მამხილებელი რაიმე მტკიცებულებების გამოკვლევას, შესაძლოა ჩატარდეს „შეკვეცილი“ სასამართლო გამოძიება (მისი მეორე ნაწილის გარეშე, რომლის დროსაც უნდა გამოიკვლიონ დაცვის მტკიცებულებები). მესამე ნაწილი ასევე ფაქულ-

ტატურია და სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე განიხილება ნაფიცი მსაჯულთა მონაწილეობით.

სასამართლო გამოძიების პირველ ნაწილზე ჯერ წარადგენენ ბრალდების მტკიცებულებებს: ბრალმდებელი წარმოთქვამს შესავალ სიტყვას, რომლის დროსაც მოჰყავს (მისი აზრით) განსასჯელის დამნაშავეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები და გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს, თუ რა თანმიმდევრობით აპირებს იგი მათ წარდგენას სასამართლოსათვის. შემდეგ ტარდება მოწმეების, მათ შორის განსწავლული მოწმეების (ექსპერტი-მოწმეების) დაკითხვა, წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებათა დათვლიერება და ა.შ. პირველი თავის მოწმეებს დაკითხავს ბრალმდებელი (პირდაპირი ან მთავარი დაკითხვა – direct examination), შემდეგ – მეორე მხარე, მოსამართლე, ნაფიცი მსაჯულები (ჯვარედინი დაკითხვა – cross-examination). ამის შემდეგ ბრალმდებელს უფლება აქვს კვლავ დაუსვას შეკითხვები თავის მოწმეს (განმეორებითი დაკითხვა – re-examination). როგორც წესი, ეს კეთდება ჯვარედინი დაკითხვისას შექმნილი შთაბეჭდილების კორექტირებისა და თავისი მტკიცებულების „ბრალდებითი მიმართულების“ განმტკიცებისათვის. გამამტყუნებელი მტკიცებულებების განხილვის დამთავრების შემდეგ ბრალმდებელი წარმოთქვამს სიტყვას, რომელიც ახდენს მისი მტკიცებულებების ანალიზის შედეგების შეჯამებას და შეიცავს მის დასკვნებს საქმეზე მთლიანობაში. ბრალმდებელისათვის საპასუხოდ სიტყვის აღების უფლება აქვს დამცველს. იგი თავის შეფასებას აძლევს ბრალდების მტკიცებულებებს და უფლება აქვს დასვას საკითხი საქმის შეწყვეტის შესახებ განსასჯელის დანაშაულში ბრალეულობის დამადასტურებელი საკმარისი მონაცემების არარსებობის გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო გამოძიების მსვლელობის დროს, ისევე, როგორც საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოების მეორე ეტაპზე, კანონი და სხვა სამართლებრივი დანაწესები მოსამართლეს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებენ, რაც საშუალებას აძლევს მას აქტიური გავლენა მოახდინოს მტკიცებულებათა გამოკვლევაზე სასამართლო გამოძიებისას. ამ უფლებამოსილებათა ფარგლებზე ცალსახად საუბრობს მტკიცების ფედერალურ წესთა 611-ე წესის („დაკითხვისა ან მტკიცებულებათა წარდგენის ხერხები და წესი“) „ა“ და „ბ“ ნაწილები:

„(ა) სასამართლოს კონტროლი. სასამართლომ გონივრული კონტროლი უნდა განახორციელოს მოწმეთა დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის ხერხებსა და წესზე იმისათვის, რომ: (1) ასეთი

დაკითხვა ან წარდგენა ეფექტური გახადოს ჭეშმარიტების დასადგენად; (2) თავიდან ააცილოს დროის უსაფუძვლო დანახარჯები; (3) დაიცვას მოწმეები შემაწუხებელი მივარდნებისა და დაუშვებელი გონების აბნევისაგან (from harassment or undue embarrassment).

(b) ჯვარედინი დაკითხვის ფარგლები. ჯვარედინი დაკითხვა უნდა შემოიფარგლოს პირდაპირი (მთავარი. - კ.გ.) დაკითხვის საგნით ანდა მოწმისადმი ნდობის შესახებ კითხვებით. სასამართლო ხელმძღვანელობს დისკრეციული შეხედულებით და უფლება აქვს დართოს ნება, გამოიკვლიონ დამატებითი საკითხები მთავარი დაკითხვის ჩატარების წესების მიხედვით (კურსივი ეკუთვნის კ.გ.-ს)¹.

აშშ-ს კანონთა კრებულში (კარი 28-ე) მოთავსებულ ამ წესის კომენტარში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „მოსამართლეს ეკისრება უპირობო პასუხისმგებლობა შეჯიბრებითი სისტემის ეფექტურ რეალიზებაზე“ და, რომ მრავალი საკითხი, რომელიც წარმოიშობა მტკიცებულებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით სასამართლო გამოძიებისას, „შესაძლოა გადაწყდეს მხოლოდ მოსამართლის საღი აზრისა (common sense) და მიუკერძოებლობის საფუძველზე კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით (კურსივი ეკუთვნის კ.გ.-ს)“.

მტკიცებულებათა გამოკვლევისას მოსამართლის ფართო უფლებამოსილებას მოწმობს მტკიცების ფედერალურ წესთა 614-ე წესიც („სასამართლოს მიერ მოწმეთა გამოძახება და დაკითხვა“). უადგილო არ იქნება მისი მთლიანად ციტირება იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო ხანებში რუსი იურისტების ერთ ნაწილში გავრცელებულია მცდარი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამერიკულ ან სხვა „კლასიკურ“ შეჯიბრებით სამართაწარმოებაში მოსამართლე პასიური და სრულიად მიუკერძოებელი დამკვირვებელია მხარეების მიერ სასამართლო დავის წარმართვის წესების დაცვაზე. ამ წესის თანახმად:

„(a) სასამართლოში გამოძახება. სასამართლოს უფლება აქვს გამოიძახოს მოწმე თავისი ინიციატივით ან ერთ-ერთი მხარის (a party) წინადადებით (at the suggestion), რა დროსაც ორივე მხარე უფლებამოსილია ასეთი სახით გამოძახებული მოწმე დაკითხოს ჯვარედინად.

(b) სასამართლოს მიერ დაკითხვა. სასამართლოს უფლება აქვს დაკითხოს მოწმე მიუხედავად იმისა, იგი თვითონ მან (სასამართლომ. - კ.გ.) გამოიძახა თუ რომელიმე მხარემ.

(c) პროტესტი. სასამართლოს მიერ მოწმის გამოძახების ან მისი

¹ ანალოგიურ წესს ითვალისწინებს მტკიცების წესები, გამოცემული 39 მტკიცის მაღალი სასამართლოების მიერ.

დაკითხვის მიმართ პროტესტი შეიძლება განაცხადონ იმ მომენტში, როდესაც არ ესწრებიან ნაფიცი მსაჯულები ანდა ასეთი შესაძლებლობისთანავე (კურსივი ეკუთვნის კ.გ.-ს)“.

მოცემული წესი (როგორც ამას აშშ-ს კანონთა კრებულში მოთავსებული კომენტარები აღნიშნავს) 1975 წლის 2 იანვრის ფედერალური კანონის §1-ის ფორმულირებას ასახავს. კომენტარებში, ასევე, აღნიშნულია, რომ დებულება სასამართლოს მიერ მოწმეთა საკუთარი ინიციატივით გამოძახების უფლების შესახებ უკვე დიდი ხანია საკმაოდ არგუმენტირებულია ამერიკული მტკიცებულებითი სამართლის სფეროს ავტორიტეტული სპეციალისტების მიერ (მოხსენიებულია ფართოდ ცნობილი პროფესორების მაკორმიკის, მეგვაიერის, უაინსტაინის, უიგმორის გამოკვლევები). „მოსამართლე, როგორც კომენტარების ავტორები განაზოგადებენ, არ წარმოადგენს მხარეების მიერ შექმნილი საქმის ტყვეს“. სხვა სიტყვებით, მოსამართლე საქმის „მეპატრონეა“, როდესაც საქმე სასამართლოშია და იგი პირადად აგებს პასუხს სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერებაზე, დასაბუთებულობასა და სამართლიანობაზე. აქედან გამომდინარე, იგი აქტიურად უნდა ეტყუდეს ჭეშმარიტებას. სამართლიანი სასამართლო არ არსებობს სიმართლის ძიებისა და დადგენისაკენ მისწრაფების გარეშე. ასეთია რეალური და საკმაოდ ლოგიკური დამოკიდებულება მოსამართლის როლისადმი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში და იგი არსებითად განსხვავდება იმ აშკარად მოძველებული ე.წ. „კლასიკური შეჯიბრებითობის“ სქემისაგან, რომელიც ანგლოსაქსონური სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა „მცოდნეებისაგანაა“ თავსმოხვეული.

სასამართლო გამოძიებისას მტკიცებულებათა გამოკვლევის წესსა და ამ ეტაპზე პროფესიონალი მოსამართლის როლის შეფასებასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება ცნობები ამერიკული სისხლის სამართალწარმოების ზემოხსენებული (იხ. მოცემული თავი, §5) იმ საკმაოდ თავისებური ინსტიტუტის შესახებ, რომელსაც მოწმის იმუნიტეტის ინსტიტუტს (immunity of witness) უწოდებენ. მას ცოტა რამ თუ აქვს საერთო მოწმის პრივილეგიების ინსტიტუტთან (იხ. მოცემული თავის იმავე პარაგრაფში). მის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს არა მათი პირადი ცხოვრების შესახებ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არამართლზომიერი „ცნობისმოყვარეობისაგან“ დაცვა, არამედ განსაზღვრულ გარემოებებში, მოწმეზე პასუხილმგებლობის (მათ შორის სისხლისსამართლებრივი) დაკისრების დაუშვებლობა იმ ფაქტების საფუძველზე, რომლის შესახებაც იგი განაცხადებს იძულებული

ბით, კანონმდებლის მიერ განსაზღვრული ორგანოების მოთხოვნით (რომელიც ამ შემთხვევისათვის სპეციალურად გამოცემულ ბრძანებაში, დადგენილებაშია გაფორმებული).

მოწმის იმუნიტეტის თანამედროვე¹ ინსტიტუტის არსი კონცენტრირებული სახით ზოგადად გამოხატულია აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §6002-ში. მის თანახმად:

„იმ შემთხვევაში, თუ მოწმე ეყრდნობა საკუთარი თავის წინააღმდეგ ბრალდების პრივილეგიას და უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე, ან სხვა სახის ინფორმაციის მიწოდებაზე წარმოებისას, ან მასთან დაკავშირებით:

- (1) შეერთებული შტატების სასამართლოში ან დიდ ჟიურიში,
- (2) შეერთებული შტატების ორგანოში (agency) ანდა
- (3) კონგრესის ერთ-ერთ პალატაში, ამ პალატების გაერთიანებულ კომიტეტში, თითოეული პალატის კომიტეტში ან ქვეკომიტეტში,

პირი, რომელიც თავმჯდომარეობს ასეთ წარმოებას, მოწმეს გააცნობს ბრძანებას, რომელსაც იგი გამოსცემს მოცემული კარის (აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარი. — კ.გ.) დანაწესთა შესაბამისად, მოცემულ მოწმეს უფლება არ აქვს უარი განაცხადოს ამ ბრძანების შესრულებაზე საკუთარი თავის წინააღმდეგ ბრალდების პრივილეგიაზე დაყრდნობით; თუმცა, ვერავითარი ჩვენება ან ინფორმაცია, რომლის მიცემასაც ავალდებულებს ბრძანება (ასევე ნებისმიერი ინფორმაცია, პირდაპირ ან ირიბად აღებული ასეთი ჩვენების ან ინფორმაციისგან) ვერ იქნება გამოყენებული მოცემული მოწმის წინააღმდეგ ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზორციულება დევნა ფიცის ქვეშ წინასწარი შეცნობით ცრუ შეტყობინების (perjury), განცხადების, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს (false statement) ანდა ბრძანების სხვა ფორმით შეუსრულებლობის გამო (კურსივი ეკუთვნის — კ.გ.-ს)“.

სხვა სიტყვებით, საუბარია, ერთი მხრივ, მოწმისათვის სასამართლოს უპატივეცემულობის გამო მკაცრი პასუხისმგებლობის (ხანგრძლივი ვადით პატიმრობის ჩათვლით) შიშით ვალდებულების დაკისრებაზე,

¹ ამერიკულ სამართალში ამ ინსტიტუტს ჩამოაყალიბება დაიწყო 1857 წელს კანონის მიღების შემდეგ, რომელიც მოწოდებული იყო უზრუნველყო იმ გამოძიებათა ეფექტურობა, რომელსაც აშშ-ს კონგრესის კომისიები ახორციელებდნენ კონგრესმენების მიერ სხვადასხვა სახის „ცრუო პირთა“ თხოვნით კანონპროექტის¹ გატანისათვის ქრიაშის აღების უაქტებზე (ერყლად ამ ინსტიტუტის ისტორიის შესახებ იხ.: Working Papers of the National Commission on Reform of Federal Criminal Laws. Vol. II. Wash., 1970. P. 1406 etc.).

რომ მან, კონსტიტუციური დანაწესების მიუხედავად, მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ზოლო, მეორე მხრივ, კანონის დანაწესების თანახმად (და არა რომელიმე თანამდებობის პირის ან ორგანოს „ნებართვით“), მოწმის ისეთი თვისებით აღჭურვაზე, რომელსაც შეიძლება ეწოდოს იმუნიტეტი, დაუქვემდებარებლობა იმ ნეგატიური შედეგებისადმი, რომელსაც შესაძლოა მოწმე ერიდებოდეს, თუ იგი გულწრფელად აცნობებს ყველაფერს, რაც მისთვის ცნობილია. ამ ინსტიტუტის წარმოშობისა და მისი შემდგომი განვითარების, სრულყოფის ხელშეწყობი მიზეზია პრაგმატული მისწრაფება იმისაკენ, რომ გამოიყენონ ყველა (ამერიკულ საზოგადოებაში აღიარებული ზნეობრივი ნორმების თვალსაზრისით) დასაშვები ზომა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სამართალდარღვევების დროულ და ეფექტურ გახსნას, უზრუნველყოფდა მოქალაქეთა სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობას დამნაშავეობასა და სხვა სამართალდარღვევებთან ბრძოლაში.

მოწმის ინსტიტუტის შესწავლისას გასათვალისწინებელია, რომ აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის ციტირებული §6002 ამ ინსტიტუტის მხოლოდ ზოგად დებულებებს შეიცავს. მისი მრავალი „დეტალი“ დაზუსტებულია დაუწერელი სამართლის ნორმებსა და სასამართლოს მიერ დამტკიცებულ წესებში. მათზე წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია, ასევე, ხსენებული სისხლის სამართლის პროცესის უნიფიცირებული წესებიდან და მრავალ შტატში თითქმის მთლიანად ნასესხები „მოწმის იმუნიტეტის შესახებ“ შტატის სამაგალითო კანონიდან (Model State Witness Immunity Act), რომელიც შემუშავდა და მოწონებული იყო შტატების უნიფიცირებულ სამართლებრივ აქტებზე უფლებამოსილ პირთა ეროვნული კონფერენციის მიერ ჯერ კიდევ 1952 წელს.

ამ წყაროებში, რომლებიც შეიცავს უკიდურესად განსხვავებულ კონკრეტულ დანაწესებს განსახილველი პრობლემების შესახებ, მოცემულია სხვადასხვა სახის მითითებები. მაგალითად, ბრძანება, რომელიც ავალდებულებს მოწმეს თავისი თავის წინააღმდეგ ინფორმაციის წარდგენას, უნდა გამოსცეს მოსამართლემ, „თუ იგი მიიჩნევს, რომ ასეთი მოქმედება ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას“ ან/და, თუ ინფორმაციის მიღება შეუძლებელია სხვა ხერხით; მსგავსი ბრძანება უნდა გამოიყენოს სახელმწიფო ბრალმდებლის თხოვნით; იმუნიტეტი არ უნდა შეეხოს, თუ მოწმე ნებაყოფლობით იძლევა „თვითგამამტყუნებელ ჩვენებას“; ასეთი სახის მოწმის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში იმ ქმედებისათვის, რომელიც ჰკავს ქმედებას, რომლის შესახებაც მან განაცხადა მოსამართლის ბრძანებით, სახელმწიფო ბრალმდებელს ეკის-

რება იმის მტკიცების ტვირთი, რომ ბრალდებას საფუძვლად უდევს ამ ქმედების შესახებ ცნობები, რომელიც მოპოვებულია რაიმე სხვა წყაროებიდან და არა პასუხისგებაში მისაცემი პირისაგან და რიგი სხვა.

მეორე ნაწილი სასამართლო გამოძიებისა ტარდება იმ შემთხვევებში, როდესაც საქმის განხილვისას თავმჯდომარე მოსამართლე არ ეთანხმება დამცველის წინადადებას (რომელსაც იგი აკეთებს სასამართლო გამოძიების მსვლელობისას ბრალდების მტკიცებულებათა ანალიზის შედეგების მიხედვით) სასამართლო განხილვის გაგრძელებისა და ბრალდებულის მსჯავრდებისათვის ბრალდების მტკიცებულებათა არასაკმარისად ცნობისა და, შესაბამისად, საქმეზე წარმოების შეწყვეტის შესახებ. ეს ნაწილი იხსნება დამცველის შესავალი სიტყვით. იგი, ბრალმძებელის მსგავსად, სრულად წარადგენს თავის მტკიცებულებებს და სთავაზობს მათი გამოკვლევის თანმიმდევრობას. შემდეგ სრულდება ბრალდების მტკიცებულებათა შემოწმებისას განხორციელებული პროცედურის მსგავსი მოქმედებები, იმ განსხვავებით, რომ პირველი თავის მოწმეებს დაკითხავს დამცველი და თვითონვე ატარებს განმეორებით დაკითხვას. დაცვის მტკიცებულებათა განხილვის შედეგების დაჯამების შემდეგ სიტყვის უფლება აქვს ბრალმძებელს, რათა შეფასება მისცეს დაცვის მტკიცებულებებს და გამოთქვას თავისი დასკვნები და წინადადებები მთლიანად საქმეზე.

მესამე ნაწილი სასამართლო გამოძიებისა – მოსამართლის სადამრიგებლო სიტყვა – მოწოდებულია უზრუნველყოს: მხარეთა მიერ შეკრებილ მტკიცებულებათა ნაფიცო მსაჯულების მიერ სწორად გაგება; მტკიცებულებათა შესახებობის, დასაშვებობისა და საკმარისობის განსაზღვრაში დახმარება; განმარტება კრიტერიუმებისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ნაფიცმა მსაჯულებმა განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას და ა.შ.

ნიუ-იორკის შტატის სისხლის საპროცესო კანონის §300.100-ში ნათქვამია, რომ თავის სადამრიგებლო სიტყვაში მოსამართლე ვალდებულია „გადმოსცეს ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც გამოიყენება მთლიანად სისხლის სამართლის საქმეებზე“. ასეთებად დასახელებულია, კერძოდ: უდანაშაულობის პრეზუმფცია; მოთხოვნა, რომ პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში შეიძლება დადგინდეს მხოლოდ „გონივრული ეჭვის მიღმა“; დამნაშავეობის საკითხის გადაწყვეტისას პიროვნების შესახებ იმ მონაცემთა გათვალისწინების დაუშვებლობა, რომლებიც მხედველობაში მიიღება სასჯელის შეფარდებისას. განსასჯელის თხოვნით მოსამართლე ვალდებულია აუხსნას ნაფიც

მსაჯულებს, რომ მისი უარი ჩვენების მიცემაზე არ შეიძლება შეფასდეს როგორც დამნაშავეობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

დასახელებული პარაგრაფი მოითხოვს, ასევე, რომ მოსამართლემ თავის სადამრიგებლო სიტყვაში განმარტოს კონკრეტული სამართლებრივი დანაწესები, გამოყენებული მოცემულ საქმესა და მასთან დაკავშირებულ ფაქტებზე. ამასთანავე, კეთდება ერთი არსებითი დათქმა: ასეთი განმარტება არ უნდა გასცდეს იმ ფარგლებს, რაც აუცილებელია ნაფიცი მსაჯულებისათვის დახმარების გასაწევად მთლიანად საქმესა და მის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრინციპებისა და დანაწესების გაგებასთან დაკავშირებით. სხვა სიტყვებით, მოსამართლეებმა პირდაპირ, ღიად არ უნდა მოახდინონ გაუგებება დასკვნებზე, რომლებიც შეიძლება გამოიტანონ ნაფიცმა მსაჯულებმა სათათბირო ოთახში ვერდიქტის დადგენისას.

სადამრიგებლო სიტყვის შემდეგ ნაფიცი მსაჯულები უმაღლესად გადიან სათათბიროდ, რომლის დროსაც არავისთან აქვთ კავშირი. სასამართლო მანდატური ან (მოსამართლის დავალებით) პოლიციელები თვალ-ყურს ადევნებენ, რომ არავინ შევიდეს მათთან კონტაქტში. ნაფიც მსაჯულებს, მოსამართლის ნებართვით, შეიძლება თან ჰქონდეთ დოკუმენტები ან ნივთიერი მტკიცებულებები, რომლებიც დაეხმარება მათ სათანადო ვერდიქტის გამოტანაში. გარდა ამისა, მოსამართლე გადასცემს მათ წერილობით ჩამონათვალს კონკრეტული დანაშაულებისა, რომლების შესახებაც საუბარი იყო სადამრიგებლო სიტყვაში და გამოტანილი უნდა იყოს ვერდიქტი. როგორც ნიუ-იორკის შტატის სისხლის საპროცესო კანონის §310.20(0) აღნიშნავს, ასეთი ჩამონათვალი შეიძლება შეიცავდეს რეკომენდაციებს „შესაძლო ვერდიქტის“ შესახებ ბრალდების თითოეული პუნქტის გამო, რომლებზეც გამახვილებული იყო ყურადღება სადამრიგებლო სიტყვაში.

თათბირის დასაწყისში ნაფიცი მსაჯულები ირჩევენ თავმჯდომარეს, რომელიც წარუძღვება თათბირს. თუ მათ დასჭირდებათ რაიმე დამატებითი ინფორმაციის მიღება სამართლებრივი ნორმების ანდა მტკიცებულებების შესახებ, მაშინ სასამართლო გამოძიება განახლდება და ჩატარდება საჭირო ფარგლებში მხარეთა მონაწილეობით. ფედერალურ და 45 შტატის სასამართლოებში ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტი ერთხმად გამოაქვთ. დანაშაულებზე, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა და ყველა იმ საქმეზე, რომელიც განიხილება ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობით, გადაწყვეტილება ერთხმად უნდა იყოს მიღებული ყველა სასამართლოში. ვერდიქტის დადგენისას საჭიროა,

რომ ნაფიცმა მსაჯულებმა გაითვალისწინონ მოსამართლის სადამრიგებლო სიტყვა და მხარეთა წერილობითი წინადადებები, რომლებსაც ისინი გადასცემენ მოსამართლეს მის მიერ სადამრიგებლო სიტყვის წარმოქმამდე. ამ წინადადებებში მხარეები გადმოსცემენ თავიანთ მოსაზრებას მტკიცებულებებისა და განსასჯელის დამნაშავეობის დამტკიცების შესახებ.

ვერდიქტი ცხადდება ჟიურის თავმჯდომარის მიერ ღია სხდომაზე მოსამართლისა და მსჯავრდებულის თანდასწრებით. დანარჩენი მონაწილენი შეიძლება არ ესწრებოდნენ. გამოცხადებულ ვერდიქტს დაუყოვნებლივ შეიტანენ ოქმში (უმრავლეს შემთხვევაში – სტენოგრაფიაში) და წაუკითხავენ ნაფიც მსაჯულებს. თითოეულმა მათგანმა უნდა დაადასტუროს ოქმის შინაარსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე არ იღებს ვერდიქტს და შეუძლია შესთავაზოს ნაფიც მსაჯულებს თათბირის განახლება. თუ ნაფიცი მსაჯულები ადასტურებენ ოქმის შინაარსს და თავიანთ გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავეობის შესახებ, მაშინ მათ დაუყოვნებლივ უშვებენ. *ვერდიქტის მოტივირება (ზეპირი ან წერილობითი) საჭირო არ არის.*

სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც გამოცემულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მქონე ქვეყნებში (მათ შორის ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში), დიდი ხანია აქტიურად განიხილება საკითხთა ორი ჯგუფი. პირველი მათგანი შეეხება ნაფიც მსაჯულთა დამოუკიდებლობას ვერდიქტის დადგენისას, ხოლო მეორე – მათ უნარს, რომ ეფექტურად უზრუნველყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერება, დასაბუთებულობა და სამართლიანობა.

პირველი ჯგუფის საკითხების შესახებ დისკუსიებში ფართოდ აღინიშნება, რომ თავიანთი არაპროფესიონალიზმის გამო ნაფიცი მსაჯულები საჭიროებენ პროფესიონალების დახმარებას. ეს უკანასკნელნი დაკავებულნი არიან არა მხოლოდ იმით, რომ ყოველგვარი მიკროძიების გარეშე განუმარტავენ მათ მოქმედ კანონებსა და მტკიცებულებების შეფასების წესს, არამედ, იმავედროულად (როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული მოცემული თავის §4-ში), გაეღწიან ახდენენ კონკრეტულ საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა შესაძლო დასკვნების შინაარსზე და კორექტირებას უკეთებენ მათ. დღეისათვის დამკვიდრებული სამართლებრივი დანაწესები, რომლებიც მრავალწლიან სასამართლო პრაქტიკას ასახავს, პროფესიონალ მოსამართლეებს ანიჭებს საკმარის ფართო უფლებებს, რომლებიც თავისუფლად შეიძლება გამოიყენონ მათ (მოსამართლეებმა) ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტისათვის საჭირო მიმართულების მისაცემად.

მაგალითად, მოსამართლეებს უფლება ენიჭებათ გავლენა მოახდინონ სამომავლო ვერდიქტის შინაარსზე არა მარტო სადამრიგებლო სიტყვაში შესაბამისი განმარტებების მიცემის გზით, არამედ, შეეცადონ, რომ უკვე გამოტანილი ვერდიქტი, თუ იგი არ ემთხვევა მოსამართლის მოსაზრებას, გადაისინჯოს იმ ფორმალობების დაცვის გარეშე, რაც დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შესამოწმებლად. ამისათვის მათ ხშირად ეძლევათ შესაძლებლობა გააუქმონ ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებები და დანიშნონ ახალი მოსმენები თუ არა იმავე ან ახალი შემადგენლობით. როგორც ამერიკელი იურისტები მოწმობენ, არსებობს საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც მოსამართლეები, რომლებიც თავმჯდომარეობდნენ საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილვას, უფლებამოსილი არიან გააუქმონ ვერდიქტი და დანიშნონ ახალი განხილვა. მაგალითად, ნიუმეხიკოს შტატის საოლქო სასამართლოებში სისხლის სამართალწარმოების წესების 44-ე მუხლში კონკრეტულ საქმეზე ნაფიც მსაჯულთა დათხოვნის საფუძვლებზე საუბრისას აღნიშნულია, რომ მოსამართლეს შეუძლია ამის გაკეთება, „როდესაც მათი დათხოვნის რაღაც სხვა საჭიროება არსებობს“. სრულიად ნათელია, რომ მოცემული დანაწესი ვერ იქნება საკმარისად მკაფიო „განმსაზღვრელი“ მოსამართლეთა შეხედულებებისა.

ზემოხსენებულ საკითხთა მეორე ჯგუფი შეეხება ვერდიქტის ხარისხს. მრავლის მტკიცებით, ნაფიცი მსაჯულები უფრო ლმობიერები, ჰუმანურები არიან დაშნაშავეთა მიმართ და ამ ჰუმანიზმს ბალანსში მოჰყავს კანონმდებლის სიხისტე და უგულობა, რომელიც კონკრეტული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დადგენისას წინასწარ ვერ ითვალისწინებს მისი ჩადენის პირობების მთელ გამას. ამას კი ნაფიცი მსაჯულები ახერხებენ. მოყვანილია სტატისტიკა, რომელიც თითქოსდა მოწმობს ნაფიცი მსაჯულების დიდ მიდრეკილებას გამამართლებელი განაჩენების გამოტანისაკენ. გამოქვეყნებულ მონაცემთა მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულ საქმეებზე გამამართლებელ განაჩენთა ბევდრითი წილი ნაშდვილად დიდია: 12%-დან (დალასში, ტეხასის შტატში) 48%-მდე (როდ აილენდის შტატი), ხოლო საშუალოდ ქვეყანაში - 27%¹. თუმცა ამ მონაცემთა შეუასებისას გასათვალისწინებელია ერთი არსებითი გარემოება: სტატისტიკური გამოთვლებისას გამამართლებელ განაჩენთა მაჩვენებელი განისაზღვრება არა ყველა განაჩენთა

¹ იხ. აშშ-ის ოსტრეივის ლეპარტამენტის სასამართლო სტატისტიკის ბიუროს მიერ გამოცემული ცნობარი: Report of the Nation on Crime and Justice. Sec. ed. March 1988. P.84.

მიმართებაში, რომლებიც გამოტანილია საშიშ დანაშაულთა საქმეების განხილვის შედეგად, არამედ მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა ფაქტობრივი მონაწილეობით განხილულ საქმეთა მიმართებაში. თუმცა უკანასკნელი კატეგორიის საქმეები, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები, არცთუ ისე ბევრია და მხოლოდ რამდენიმე პროცენტს შეადგენს. ამიტომ, მთლიანობაში, ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ გამამართლებელ განაჩენთა ხვედრითი წილი გაცილებით დაბალია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტების ხარისხის პრობლემა ხშირად მათ პოპულისტურ შეფასებამდე დადის: თითქოსდა ისინი ხალხის წარმომადგენელთა აზრის გამოხატულებაა და ამაში უნდა დაეინახოთ მათი სამართლიანობა და დამაჯერებლობა. ამ მსჯელობაში არის გარკვეული ჭეშმარიტება. ვერდიქტებს ნამდვილად შეიძლება გააჩნდეთ ასეთი თვისება, მაგრამ მხედველობის მიღმა რჩება მეტად არსებითი გარემოება. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნაფიცი მსაჯულები (როგორც ამას ამ პარაგრაფში ზემოთ მოყვანილი ობიექტური მონაცემები მოწმობენ) საკმაოდ ხშირ და სერიოზულ შეცდომებს უშვებენ, როდესაც არასწორად გადაწყვეტენ ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე წამოჭრილ ძირითად საკითხს განსასჯელის დამნაშავეობის შესახებ. ეს მონაცემები, ცხადია, მთლიანად აბათილებს პოპულისტურ მოსაზრებათა მნიშვნელობას ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტების სამართლიანობისა და დამაჯერებლობის შესახებ.

5. მეხუთე ეტაპი პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისა (სასჯელის ზომის შეფარდება) შესაძლოა სხვადასხვაგვარად დაიწყოს, კერძოდ: ნაფიც მსაჯულთა მიერ განსასჯელის დამნაშავეობის შესახებ ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ; ასეთი გადაწყვეტილების მოსამართლის მიერ მიღების შემდეგ, თუ იგი საქმეს ერთპიროვნულად განიხილავდა; პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის პირველ ეტაპზე ბრალდებულის მიერ საბრალდებო დოკუმენტში აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში ბრალის აღიარების შესახებ განცხადების გაკეთების შემდეგ. სხვა სიტყვებით, მოცემული ეტაპი იწყება ბრალდებულის ბრალის ამა თუ იმ სახით დადგენის შემდეგ.

ზოგადი წესის თანახმად, რომელსაც მრავალი გამონაკლისი ახასიათებს, მეხუთე ეტაპზე მოსამართლემ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეისწავლოს ის მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ პირს, რომლის ბრალიც დანაშაულის ჩადენაში დადგენილია და გველენას ახდენენ

სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე. ვინაიდან ეს მონაცემები არ გამოკვლეულა და არ უნდა გამოკვლეულიყო დაზნაშავეობის შესახებ საკითხის განხილვისას, ისინი ხელთ არ აქვს მოსამართლეს. ამიტომ, მას შეუძლია გადადოს განხილვა და მიმართოს შესაბამის ორგანოებს ან თანამდებობის პირებს მსჯავრდებულის პიროვნების შესახებ ინფორმაციისათვის.

ხშირად ასეთ ორგანოებად ან თანამდებობის პირებად პრობაციის სამსახურები წარმოდგებიან, რომლებიც იქნება სასამართლოებსა ან სასამართლო მმართველობის ორგანოებთან და მათი დანიშნულებაა პირობითად მსჯავრდებულებზე ზედამხედველობა, ანდა მოხელე-პრობაციონერები (probation officers), რომლებიც სასამართლო აპარატში შედიან და იმავე ფუნქციებს ასრულებენ. ზოგიერთ იურისდიქციაში დაიშვება ამ ფუნქციათა დაკისრება პოლიციის, პროკურატურის ან ციხის საუწყებო ორგანოთა¹ თანამდებობის პირებზე, ხოლო ზოგან ამის ნებართვა ეძლევა სასამართლოში მონაწილე ბრალმძღებელსა და დამცველს.

დაზნაშავედ ცნობილი პირისათვის მოსამართლის მიერ სასჯელის შეფარდების რაიმე კონკრეტული ვადები, როგორც წესი, არ არის დაწესებული. მაგალითად, სისხლის სამართლის პროცესის ფედერალურ წესთა 32-ე წესის „a(1)“ ნაწილი ითვალისწინებს მხოლოდ, რომ „გადაწყვეტილება სასჯელის ზომის შესახებ მიღებული უნდა იყოს დაუსაბუთებელი გაჭიანურების გარეშე“, თუ მოსამართლე არ მიიჩნევს, რომ არსებობს რაიმე გარემოებები გადავადებისათვის. ამიტომ მსჯავრდებულის დამახასიათებელ მონაცემთა შეკრება ხშირად დიდხანს გრძელდება (რამდენიმე ათეული დღე). მაგალითად, ფედერალური კანონი ითვალისწინებს, რომ იგი არ უნდა გრძელდებოდეს 60 დღეზე მეტ ხანს. თუმცა მოსამართლეს უფლება აქვს გააგრძელოს ეს ვადა კიდევ 60 დღით (იხ. აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §3552 „b“ ნაწილი).

მონაცემთა შეკრება (ხშირად მას „წინასაგანაჩენო გამოძიებას“ უწოდებენ – presentence investigation) უნდა განხორციელდეს კანონის დანაწესების შესაბამისად², როგორც წესი, ყველა (საშიშ და ნაკლებად საშიშ დანაშაულთა) სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზედაც ბრალდებული ცნობილია დაზნაშავედ. ფაქტობრივად კი, იგი ხორციელდება მხოლოდ საშიშ და, იშვიათად, ნაკლებად საშიშ დანაშაულებზე, რომლებიც სასჯელის სახით ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვე-

1 აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §3551 „b“ ნაწილის თანახმად, ფედერალური სასამართლობისათვის წინასაგანაჩენო გამოძიებათა ჩატარებაში შეიძლება ჩააბან აშშ-ს ოუსტიციის დეპარტამენტის ციხეების ბიუროს სპეციალისტები.

2 იხ. აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §3551 „b“ ნაწილი.

თას 6 თვეზე მეტი ვადით. თუმცა ამას საშიში დანაშაულის ყველა საქმეზეც არ მიმართავენ. ფედერალურ სასამართლოებში მონაცემთა შეკრება ხორციელდება ასეთ საქმეთა 80%-ზე¹, ხოლო მრავალ შტატში მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია, ვინაიდან იქ კანონმდებლობა და სხვა სამართლებრივი დანაწესები სვამენ საკითხს მისი აუცილებლობის შესახებ მოსამართლეთა შეხედულებიდან გამომდინარე. ეს უკანასკნელნი კი ყოველთვის არ ღვამენ ასეთ ნაბიჯს.

„წინასაგანაჩენო გამოძიების“ არსი მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, წარსულში ნასამართლობათა, პოლიციაში დაკავებათა სააღრიცხვო მონაცემთა გამოვლენაში; ნათესავეების, ნაცნობების, მეზობლების, თანამშრომლების და დამსაქმებლების გამოკითხვაში მსჯავრდებულის ქცევისთან დაკავშირებით ოჯახში, ნაცნობების წრეში და სამსახურში, კავშირების, ქცევებისა და მიდრეკილებების, გარშემომყოფებთან ურთიერთობის, ჯარში მსახურობასთან დამოკიდებულების შესახებ; მოცემული დანაშაულის გამო დაზარალებულთა აზრის გამოვლენაში და ა.შ. ყველაფერი ეს კეთდება იმ წესების დაცვის გარეშე, რაც დადგენილია სასამართლო მტკიცებულებათა შეკრებისა და ფიქსირებისათვის. ეს ნიშნავს წინასაგანაჩენო გამოძიების განმახორციელებელი პირების შესაძლებლობას, მისცენ დახასიათება მსჯავრდებულს არა დადგენილი საპროცესო წესით შემოწმებული ფაქტების, არამედ ხმების, ფარული ფასიანი დამსმენებისაგან, „კეთილმოსურნეებისაგან, რომლებმაც არ ისურვეს ვინაობის გამჟღავნება“ მიღებული ცნობების საფუძველზე და ა.შ. სან დიეგოს (კალიფორნიის შტატი) უნივერსიტეტის პროფესორი აკემბელი ამის შესახებ წერს: „მოსამართლეს არ სჭირდება, რომ მან სასჯელის შეფარდებისას გამოსაყენებელი ინფორმაცია (sentencing information) გაატაროს მტკიცებით წესთა წმინდა საცერში. პირიქით, სასჯელის შეფარდების უმრავლეს შემთხვევაში მოსამართლეს ვირტუალურად შეუზღუდავი ნახვის შესაძლებლობა აქვს მის მიერ გასათვალისწინებელი ინფორმაციისა“². გამოძიების შედეგები უნდა გაფორმდეს დოკუმენტის სახით, რომელსაც „წინასაგანაჩენო მოხსენება“ (presentence report) ეწოდება.

ფედერალური კანონმდებლობის თანახმად, მსჯავრდებულის

¹ კერძოდ, იმის გამო, რომ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას ფედერალურ მოსამართლეს უწევს ეძლევა (იმზე დაყრდნობით, რომ საქმის მასალებში არსებობს საჭიარისი საფუძველი სასჯელის ზომის შეფარდებისათვის) ვასცეს განკარგულება, რომ წინასაგანაჩენო გამოძიება არ ჩატარდეს (იხ. სისხლის სამართლის პროცესის ფედერალურ წესთა 32-ე წესის პირველი პუნქტის „ბ“ ნაწილი).

² Campbell A. Op. cit. P.306.

პიროვნების მონაცემებთან ერთად მოხსენებაში აღინიშნება რეკომენდაციები (მოხსენების ავტორის აზრით) მიზანშეწონილი სასჯელის ზომის თაობაზე. ისინი უნდა ემყარებოდეს მსჯავრდებულის პიროვნების შესახებ შეკრებილ მონაცემებს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის კონკრეტულ თავისებურებათა გათვალისწინებას და სასჯელის ზომის შეფარდების კრიტერიუმებს (სტანდარტებს), რომელიც დადგენილია ზემოხსენებულ (მოცემული თავი, §3) ფედერალურ სახელმძღვანელოში სასჯელის შეფარდების შესახებ. მას გამოსცემს და მუდმივად განაახლებს სასჯელის შეფარდების ფედერალური კომისია.

წინასაგანაჩენო მოხსენება წარედგენება საქმის განმხილველ მოსამართლეს. მოხსენების სრული შინაარსი შეიძლება გააცნონ დაინტერესებულ პირებს მხოლოდ მოსამართლის თანხმობით. ასეთი თანხმობა გაიცემა საკმაოდ რთულად და იშვიათად. უფრო ხშირად უარს იღებენ დამცველები და მსჯავრდებულები. ამის ობიექტური ახსნაა მოსამართლეთა სწრაფვა, რომ არ გახმაურდეს ინფორმაციის კონფიდენციალური წყაროები და არ დაუშვან ამ ნიადაგზე გართულებათა წარმოშობა (შურისძიების ან დავის პროვოცირება, მართლმსაჯულებისათვის დამხმარე პირების უარი მომავალში თანამშრომლობაზე და ა.შ.). აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ განიხილა საკითხი მოხსენების გაცნობის დამკვიდრებული პრაქტიკის კონსტიტუციურობის თაობაზე, მაგრამ ყოველთვის სცნო იგი მართლზომიერად.

სასჯელის ზომის შეფარდების პროცედურა გამოირჩევა თავისი სიმარტივეთ. ამ საკითხის შესახებ სასამართლო სხდომის გახსნის შემდეგ მოსამართლე სთავაზობს მხარეებს, რომ მათ კომენტარი გააკეთონ წინასაგანაჩენო მოხსენებაზე და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები სასჯელის ზომის შესახებ. ცხადია, მხარეთა შესაძლებლობები ასეთი კომენტარებისათვის მეტად შეზღუდულია, ვინაიდან მათ ყოველთვის არ შეუძლიათ იმსჯელონ მოხსენებაზე სრულად. მათ, ასევე, არ აქვთ შესაძლებლობა შეამოწმონ მოხსენების ჩანაწერები, ვინაიდან ვერ დაკითხავენ პირებს, რომელთა განცხადებების საფუძველზეც შედგა მსჯავრდებულის სასამართლომდე მოსული დახასიათება. თუმცა მათ არ ეკრძალებათ წარედგინონ სასამართლოს თავიანთი მონაცემები პიროვნების შესახებ. ამას ისინი აკეთებენ ზეპირად ანდა შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის გზით.

მოსამართლეს უფლება აქვს დაუსვას კითხვები მხარეებს, რათა დააზუსტოს წინასაგანაჩენო მოხსენებასა და მხარეთა განცხადებებში მოყვანილი მონაცემები. ამის შემდეგ მას უფლება აქვს დაუყოვნებლივ,

ადგილზევე შეუფარდოს სასჯელის ზომა, ანდა გაეიდეს სათათბირო ოთახში მოხსენების გულდასმით შესასწავლად, ან მოხელე-პრობაციონერთან (ან სხვა პირებთან, რომელთა მოწვევასაც მოსამართლე მიზანშეწონილად ჩათვლის) – კონსულტაციისათვის.

სასჯელის კონკრეტული ზომის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილება ცხადდება ღია სასამართლო სხდომაზე მხარეთა თანდასწრებით. მას, როგორც წესი, მოტივირება არ სჭირდება¹. იგი არ ფორმდება ცალკე საპროცესო დოკუმენტად, არამედ, მეტად ლაკონურად ფიქსირდება სასამართლო სხდომის სტენოგრამაში (ოქმში)². ასეთი გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის საფუძველს წარმოადგენს სტენოგრამის ამონაწერი, რომელსაც ამტკიცებს მოსამართლე და მის მიერ ხელმოწერილი განკარგულება, რომლებიც ეგზავნება დანიშნული სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს.

სასჯელის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად მიქცევის საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტის სხვა ვარიანტებიც არსებობს. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სისხლის საპროცესო კანონის §380.60-ით დადგენილია შემდეგი: „სიკვდილით დასჯის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადების შემთხვევის გარდა, მსჯავრდების დამდასტურებელი მოწმობა ანდა მისი დამოწმებული ასლი, რომელიც უთითებს სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელზე, წარმოადგენს სასჯელის აღსრულების საფუძველს ან დაპატიმრების ბრძანებას. არავითარი სხვა ბრძანება, დადგენილება ან სხვა დანაწესი აღარ არის საჭირო სასჯელის აღსრულების ან მის აღსასრულებლად მოთხოვნის წარდგენის მართლზომიერების დასადასტურებლად“.

¹ პროფ. ა. კემპბელის მოწმობით, მხოლოდ XX საუკუნის 70-იან წლებში განხორციელდა ძალისხმევა (რომელსაც ვერჯერობით საგრძნობი შედეგები არ მოუტანია) აშერიკელი მოსამართლეების მიერ სასჯელის ზომის შეფარდების თაობაზე მოღებულ გადაწყვეტილებების მოტივირების მოთხოვნის შემოღებასთან მიმართებაში. ამას აქტიურად უჭერდა მხარს აშერიკის იურისტთა ასოციაცია. ზოგან გამოჩნდა კანონები და მაღალი სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიკადრნენ დანაწესებს მოსამართლეების მიერ როგორც კონკრეტულ შემთხვევებში სასჯელის ზომის შეფარდების მოტივის მოყვანის აუცილებლობის შესახებ (საქმის ხელახალი განხილვის შემდეგ სასჯელის უფრო მკაცრი ზომის შეფარდებისას, სიკვდილით დასჯის შეფარდებისას და სხვა). იხ.: Campbell A. Op. cit. P.344 etc.

² Ibid. P.345.

§8. გაპარტიმეზული (სუპარული) წარმოება ნაკლებად საშიშ დანაშაულთა საქმეებზე

როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, პოლიციის მიერ დარეგისტრირებული დანაშაულები სამართალწარმოების თითქმის ყველა დასახელებულ ეტაპზე ექვემდებარება „დახარისხებას“. ერთნი (შედარებით უმნიშვნელო ნაწილი) ხვდებიან საშიშ დანაშაულთა თანრიგში და მათ შესახებ საქმებს განიხილავენ ზემოთ აღწერილი პროცედურის დაცვით, მეორენი შეწყდება სხვადასხვა მიზეზთა გამო (მტკიცებულებათა არასაკმარისობა, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გამოყენება, პროკურორების უარი სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებაზე და ა.შ.) და სასამართლო განხილვამდე აღარ მიდის. მესამენი ამა თუ იმ გზით ხვდებიან ნაკლებად საშიშ დანაშაულთა თანრიგში. მათ შესახებ საქმეებზე წარმოებისათვის დადგენილია სხვა წესები, უფრო მარტივი, ვიდრე დასახელებული კატეგორიებიდან პირველთათვის.

საწყისი მოქმედებანი გამარტივებული წესით წარმოებისას ბევრად დაამოკიდებული იმაზე, თუ რა მომენტში ხდება ცნობილი, რომ დარეგისტრირებული დანაშაული უნდა მიეკუთვნებოდეს ნაკლებად საშიშთა რიცხვს. ეს შეიძლება მოხდეს უკვე დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციისას; საქმის მასალების წინასასამართლო შემოწმებისას ან მის შემდეგ, მოსამართლესთან პირველი გამოცხადებისას; „ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარების გამო გარიგების“ დადების შემდეგ ანდა უფრო მსუბუქი ბრალდების წარდგენის შესახებ ბრალდებულის ან მისი დამცველის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას.

უფრო ხშირად, დანაშაულის ხასიათი და მისი სიმძიმის ხარისხი წარმოების წინასასამართლო ეტაპებზე ჩანს – რეგისტრაციის, საპოლიციო შემოწმების ანდა აღნიშნული გარიგების დადების მომენტში, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში გაგზავნამდე. ასეთ შემთხვევებში პოლიციის თანამშრომელი ან პროკურორი საქმის მასალებს შესაბამისი საბრალდებო დოკუმენტით დაუყოვნებლივ უგზავნიან იმ სასამართლოს, რომელიც არსებითად განიხილავს ამ საქმეს. დაახლოებით იგივე ხორციელდება, როდესაც დანაშაულის საშიშროების ხარისხი ნათელი ხდება სასამართლოში პირველი გამოცხადებისას ან მის შემდეგ.

იმ შემთხვევებში, როდესაც საქმის გამარტივებული წესით წარმოების საფუძვლები გამომჟღავნდება საქმის წინასწარი მოსმენისას ან უმაღლესი დამთავრებისთანავე, საქმეს თავის წარმოებაში იღებენ

მოსამართლე ან სხვა თანამდებობის პირი, რომლებიც ასეთ მოსმენას ატარებენ. ამისათვის საკმარისია ის მასალები, რომლებითაც საქმე შემოვიდა მოცემულ სასამართლოში. ზოლო, თუ გამარტივებული წესით წარმოების შესაძლებლობა გამოვლინდება მაშინ, როდესაც საქმე საბრალდებო აქტით ან ინფორმაციით უკვე შესულია საერთო იურისდიქციის სასამართლოში არსებითად განხილვისათვის (მათ შორის ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით), მაშინ მას განსახილველად იღებს ეს სასამართლო ანდა უგზავნის მას მომრიგებელ, ან იმავე დონის სხვა მოსამართლეს, მაგისტრატ მოსამართლეს, ან მისი კომპეტენციის მქონე სხვა თანამდებობის პირს. ასეთ შემთხვევაში, საქმე განიხილება იმ საბრალდებო დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც შეადგინა პროკურორმა და გაეგზავნა საერთო იურისდიქციის სასამართლოს.

ზოგადად, გამარტივებული წარმოება ფედერალურ და შტატების სასამართლოებში ანალოგიურად გამოიყურება, თუმცა არსებობს ზოგიერთი თავისებურება (ზოგჯერ არსებითი ხასიათის). ამიტომ, აშშ-ში დამკვიდრებული სუბარული სამართალწარმოების შესახებ წარმოდგენა შესაძლებელია ფედერალური სასამართლოებისათვის დადგენილი შესაბამისი პროცედურის ზოგიერთი საკვანძო მომენტებიდან შევიქმნათ. ისინი განმტკიცებულია აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §3401-სა და „ფედერალური მაგისტრატების მიერ ნაკლებად საშიშ დანაშაულთა საქმეების განხილვაზე სამართალწარმოების“ ზემოხსენებულ წესებში (იხ. მოცემული თავი, §2).

ამ პროცედურისათვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია ის, რომ ნაკლებად საშიში დანაშაულის საქმის განხილვის საბაბი შეიძლება გახდეს საბრალდებო აქტი, ინფორმაცია, პრეტენზია (საჩივარი), ზოლო მცირეზნიშნელოვანი სამართალდარღვევების საქმეების მიმართ, რომლებიც არ ისჯება თავისუფლების აღკვეთით – საპოლიციო ოქმი ან დანაწესი სასამართლოში გამოცხადების შესახებ. პირობებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს ასეთ საქმეთა მაგისტრატებისათვის განსახილველად გადაცემისას, ადგენენ ფედერალური რაიონული სასამართლოები მათ მიერ გამოცემული ადგილობრივი წესებით (რეგლამენტებით). თუმცა, ყველა შემთხვევაში საჭიროა ბრალდებულის წერილობითი თანხმობა იმაზე, რომ მისი საქმე განიხილოს მაგისტრატმა გამარტივებული წესით. ასეთი თანხმობის არარსებობისას საქმე ექვემდებარება იმ რაიონული სასამართლოს მოსამართლეს, სადაც ამ მაგისტრატს უკავია შტატი. პრაქტიკულად, ფედერალური სასამართლოების განსჯადი ნაკლებად საშიშ დანაშაულთა საქმეები, უძრავლეს შემთხვევაში (როგორც

ეს ზემოთ, მოცემული თავის §3-შია აღნიშნული), განიხილება მაგისტრატების მიერ.

ბრალდებულისაგან თანხმობის მიღების შემდეგ, მაგისტრატმა დაწერილებით უნდა გააცნოს მას ინფორმაცია შემდეგის თაობაზე:

- ბრალდების არსი და ის სასჯელი, რაც მას ეპუქრება;
- მისი უფლება – მოიწვიოს დამცველი;
- უფლება იყოლიოს დამცველი დანიშნებით, თუ მას არ აქვს შესაბამისი სახსრები და არ არის მიცემული პასუხისგებაში იმ სამართალდარღვევისათვის, რომელიც არ ისჯება თავისუფლების აღკვეთით;
- ის არ არის ვალდებული გააკეთოს რაიმე განცხადებები, ხოლო, თუ გააკეთებს, ისინი შეიძლება გამოყენებული იყოს მის წინააღმდეგ;
- მას აქვს უფლება, რომ განსაჯოს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ;
- შეუძლია მოითხოვოს, რომ მაგისტრატმა ან რაიონულმა მოსამართლემ განსაჯონ იგი ნაფიცო მსაჯულების მონაწილეობით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც მას ბრალი ედება მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევაში;
- თუ იგი არ მისცემს თანხმობას მისი საქმის მაგისტრატის მიერ განხილვაზე, მაშინ წარმოეშობა უფლება, რომ მისი საქმე წინასწარ შეამოწმოს რაიონულმა მოსამართლემ;
- ასევე, იმ გარემოებათა შესახებ, რომლის არსებობის შემთხვევაშიც იგი შეიძლება განთავისუფლებული იყოს პატიმრობიდან სასამართლომდე.

ასეთი განმარტებისა და წერილობითი თანხმობის მიცემის შემდეგ, რომ მისი საქმე განიხილოს მაგისტრატმა, ბრალდებული გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას წარდგენილი ბრალდებისადმი. თუ იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს, მაშინ მას შეიძლება მიეცეს 30 დღე სასამართლო განხილვისათვის მოსამზადებლად.

ასეთი განხილვა ტარდება, როდესაც განსასჯელი მოახდენს დაცვისათვის მოსამზადებლად მისთვის წარდგენილი შესაძლებლობის რეალიზებას. განხილვა აიგება საშიშ დანაშაულთა საქმეებზე სასამართლოში წინასწარი მოსმენის მსგავსი სქემით. იგი მთავრდება დამნაშავეობისა და სასჯელის ზომის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებით. მათი მოტივირება ისევე, როგორც საშიშ დანაშაულთა საქმეებზე შესაბამისი გადაწყვეტილებებისა, არ არის საჭირო და ისინი მხოლოდ მოკლედ

ფიქსირდება ოქმში. ზოგიერთ სასამართლოში დაიშვება გამარტივებული წესით წარმართული სასამართლო სხდომის აუდიო- ან(და) ვიდეოჩანაწერა. ჩანაწერი ცვლის წერილობით ოქმს¹.

ასეთია ნაკლებად საშიშ დანაშაულთა საქმეებზე გამარტივებული წარმოების დაახლოებითი შინაარსი, რომელიც ყოველთვის არ შეესაბამება სინამდვილეს. ცხოვრება უკვე დიდი ხანია ამ პროცედურის კიდევ უფრო გამარტივების გზას ადგას. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხო იმ ნაკლებად საშიშ დანაშაულთა საქმეებს, რომლებიც არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. ასეთ საქმეებზე სასამართლო განხილვა იშვიათად ტარდება, ვინაიდან ბრალდებულები უმრავლეს შემთხვევაში აღიარებენ თავიანთ ბრალს. მთელი წარმოება დაყვანილია მხოლოდ ბრალდებულის გვარისა და სახელის დადგენასა და სასჯელის ზომის შეფარდებამდე. როგორც ამერიკელი იურისტები ირწმუნებიან, ხშირად ასეთი სახის განხილვა მხოლოდ რამდენიმე წუთს გრძელდება. არსებობს კიდევ უფრო მეტად გამარტივებული წარმოებაც. მაგალითად, სასამართლოში გამოძახების შესახებ უწყებაში ბრალდებულს ატყობინებენ ჯარიმის იმ თანხის თაობაზე, რომელიც შესაძლოა მას დაეკისროს მსჯავრდების შემთხვევაში. როგორც წესი, ასეთი შეტყობინება აღიქმება, როგორც „გამჭვირვალე მინიშნება“: სასამართლოში გამოცხადების ნაცვლად ბრალდებული ფოსტით აგზავნის ამ თანხას და საქმე დამთავრებულად ითვლება.

¹ ბოლო ხანებში, კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებით, ხშირად საქმეთა გამარტივებული წესით განხილვისას დაიწვეს გამოყენება, მაგალითად, ინტერნეტის ხისტი- მის შესაძლებლობების: მოწვეები დაითხოვებიან სასამართლოში გამოძახების გარეშე, გამოკვლევენ დოკუმენტებს და სასამართლო სხდომებზე ტარდება, რომელთა მოაწილეები (მხარეები, მოწვეები, დაზარალებულები და სხვა) რეალურად არ იმყოფებიან სასამართლოს შენობაში, რა დროსაც მოქმედებათა თანმიმდევრობა და მიღებული გადაწყვეტილებების ფიქსაცია ხდება ელექტრონულ მატარებლებზე, რომლებიც ცვლის იმ ტრადიციულ წერილობით დოკუმენტებს, რომლებიც მოწმობენ იმას, რაც კონკრეტულ საქმეზე სასამართლო განხილვისას მოხდა. ასეთი ზერხები მკირე მისშტაბით, მაგრამ უკვე გამოიყენება საშიშ დანაშაულთა საქმეების განხილვისას.

§9. აპელაცია და სისხლის სამართლის საპროცესო
სასამართლო გადაწყვეტილებათა შემოწმების სხვა
საშუალებები

განაჩენთა კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების დღეისათვის ჩამოყალიბებული საშუალებები შესაძლოა დაეყოთ ორ ჯგუფად. პირველ მათგანს მიეკუთვნება აპელაციის ყველა სახე (appeal)¹, ხოლო მეორეს – სხვა საშუალებები (ხშირად მათ თანმდევ, დამხმარე საშუალებებს და ა.შ. უწოდებენ).

განაჩენთა სააპელაციო შემოწმება შესაძლებელია მივაკუთვნოთ ყველაზე რთულ და მოუწესრიგებელ საპროცესო ინსტიტუტთა რიცხვს. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ყველა სამართლებრივმა სისტემამ (როგორც ფედერალური, ასევე, შტატების) თავისი წვლილი შეიტანა იმაში, რომ მის ფარგლებში შემოღებული განაჩენთა კანონიერებისა და დასაბუთებულობის სააპელაციო წესით შემოწმების წესები სხვა სისტემაში ჩამოყალიბებული წესების მსგავსი და იდენტური ყოფილიყო. სპეციფიკა შესაძლოა მრავალ ფაქტორზე იყოს დამოკიდებული. კერძოდ, ესენია: გასაჩივრებულია დამნაშავეობის შესახებ დასკვნა, თუ შეუარდებული სასჯელის ზომა; სცნო თუ არა მსჯავრდებულმა თავი ბრალეულად საქმის სასამართლოში განხილვისას; ეჭვის ქვეშ დგება თუ არა ბრალდების დადასტურება ან (სისხლის სამართლის ანდა საპროცესო) კანონის სწორი გამოყენება; საქმე განხილული იყო საშიშ დანაშაულთა საქმეებისათვის დადგენილი პროცედურის დაცვით, თუ გამარტივებული (სუმარული) წესით; რომელი დონის სასამართლოში იგზავნება საჩივარი; რამდენად სერიოზულია საჩივრის წარდგენის საბაბი; შეუძლია თუ არა მსჯავრდებულს იმ გირაოს შეტანა, რასაც მოთხოვნა ითვალისწინებს, ანდა სხვა საფინანსო ხარჯების გადახდა, რომლებიც გარდაუვალია სააპელაციო წესით განაჩენთა შემოწმებისას; ეინ წარადგენს სააპელაციო საჩივარს – მსჯავრდებული, თუ ბრალმძებელი.

განაჩენთა კანონიერებისა და დასაბუთებულობის სააპელაციო შემოწმების ამერიკული სისტემის ამ და სხვა ფაქტორთა გამო მსჯელობენ მხოლოდ ზოგადად და მუდმივად აკეთებენ დათქმებს არსებული პრავალრიცხოვანი თავისებურებების შესახებ. სხვა სიტყვებით, შესაძლებელია გამოვეყოთ სააპელაციო წარმოებისას წამოჭრილი კონკრე-

¹ აშშ-ში, ისევე, როგორც ინგლისში, ტერმინი „აპელაცია“ აღნიშნავს სისხლის სამართლის საქმეთა როგორც ძალაში შესულ, ასევე, შეუსრულელ გადაწყვეტილებათა გასაჩივრებას და შემოწმებას.

ტული საკითხების გადაწყვეტის რაიმე ზოგადი, ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნები.

აქელაციის წარდგენის უფლება აქვთ მხოლოდ მსჯავრდებულს, მის დამცველს და სასამართლოში მონაწილე ბრალმდებელს. ამ უფლების მოცულობა ბრალდებისა და დაცვის მხარეებისათვის არათანაბარია. ბრალმდებელი, ზოგადი წესის თანახმად, სააქელაციო გასაჩივრებას მიმართავს მხოლოდ განსასჯელის დამნაშავედ ცნობისა და მისთვის სასჯელის შეფარდების შემთხვევაში. ბრალმდებლის გასაჩივრების უფლების ფარგლები უკიდურესად შეზღუდულია, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ მოცემულ პარაგრაფში.

მსჯავრდებულისა და მისი დამცველის გასაჩივრების შესაძლებლობები კანონით და სხვა სამართლებრივი დანაწესებით განსაზღვრულ ჩარჩოებშია მოქცეული, რომელთა ზღვარიც კონკრეტულ გარემოებებზეა დამოკიდებული:

პირველი, მსჯავრდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარებასა ან არაღიარებაზე. თუ მან თავი ბრალეულად ცნო, მაშინ კარგავს უფლებას გასაჩივროს საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და შეუძლია იჩივლოს მხოლოდ სისხლის სამართლის ან საპროცესო კანონის არასწორ გამოყენებაზე. ხშირად, მსჯავრდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარება იწვევს აქელაციის წარსადგენად იმ სასამართლოს თანხმობის აუცილებლობას, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება¹;

მეორე, მსჯავრდებულის გადახდისუნარიანობაზე, რომელიც, უძრავლეს შემთხვევაში, აუცილებელია ფულადი გირაოს შეტანისა და სხვა მოქმედებათა განხორციელებისათვის;

მესამე, სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომების სამართალწარმოების წინა ეტაპებზე გამოსწორების ყველა შესაძლებლობის გამოყენება ან არგამოყენებაზე. თუ ეს არ გაუკეთებია მსჯავრდებულს ან მის დამცველს, მაშინ სააქელაციო ინსტანციას უფლება აქვს უარი უთხრას აქელაციის მიღებაზე და ამით „დასაჯოს“ ისინი, რომ მათ არ ჰქონდათ ან სურვილი, ან უნარი მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებისათვის თანამშრომლობისა;

მეოთხე, აქელაციაში დაყენებული საკითხების მნიშვნელობის ხარისხზე. „უაზრო“ (უმნიშვნელო – frivolous) აქელაციებს შესაძლოა

¹ ასეთი მოდომის მაგალითია ტეხასის შტატის სსს კოდექსის 44.02-ე მუხლი ბრალდებულის მიერ აქელაციის წარდგენის უფლების შესახებ. მასში საუბარია, რომ მსჯავრდებულმა, რომელმაც აღიარა ჩრდილ სასამართლოში და შეუფარდა სასჯელი ჩრდილმდებლის მიერ რეკომენდებული ფარგლებში, აქელაციის წარდგენამდე „უნდა მაიღოს საქმის არსებითად განხილველი სასამართლოს ნებართვა (permission)“.

მოკვეს არა მხოლოდ უარი მათ განხილვაზე, არამედ სანქციათა გამოყენება (როგორც წესი, აპელანტის მიერ შეტანილი ფულადი გირაოს კონფისკაციის სახით) მათი წარდგენისა და სააპელაციო ინსტანციის მნიშვნელოვანი საქმეებიდან მოცდენისათვის;

მეხუთე, აპელაციის ტექსტისა და მასზე დართული დოკუმენტების შედარებით მკაცრი წესებით გაფორმების აუცილებლობაზე.

ყველაფერი ეს განაპირობებს იმ ფაქტს, რომ, პრაქტიკულად, საჩივრდება სისხლის სამართლის საქმეებზე შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მცირე რაოდენობა. მაგალითად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (იხ. მოცემული თავი, §3), 1999 წელს საოლქო ფედერალურმა სასამართლოებმა არსებითად განიხილეს 56 511 სისხლის სამართლის საქმე, ხოლო აპელაცია წარდგენილი იყო 10 251 საქმეზე, ესე იგი, დაახლოებით საქმეთა 18%-ზე¹. მაგრამ ეს სასამართლოები განიხილავენ საქმეებს საშიშ დანაშაულთა გამო, რომელთა ჩადენისთვისაც პასუხისმგებლობას ფედერალური კანონები ადგენს. ყველა სხვა დანაშაულთა საქმეებისა (განსაკუთრებით, უფრო ხშირად ჩადენილ დანაშაულთა, რომელთაც მისდომინორებს უწოდებენ) და სისხლის სამართლის დარღვევათა გათვალისწინებით, აპელაციათა საერთო რაოდენობა, მოლიანობაში, გაცილებით დაბალია. აქედან გამომდინარე, დაბალია მოლიანად ქვეყანაში სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ხვედრითი წილიც.

ზოგადი წესის თანახმად, უკანონო მსჯავრდების გამო მსჯავრდებულის ან მისი დამცველის მიერ აპელაციის წარდგენის საფუძველი შეიძლება იყოს საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში არსებითად განხილვისას დაშვებული არსებითი სამართლებრივი შეცდომა. იგი შეიძლება შეეხებოდეს საბრალდებო აქტის შედგენისა და დამტკიცების წესებს, მხარეთა მიერ გაცხადებულ შუამდგომლობათა განხილვის ან მტკიცებულებათა წარდგენის წესს, მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის მიცემული სადამრიგებლო სიტყვის შინაარსს და ა.შ. თუმცა კანონის დარღვევის ან დაუცველობის ფაქტი არ არის საკმარისი. დაშვებულმა შეცდომამ ზიანი უნდა მიაყენოს ბრალდებულის უფლებებსა და ინტერესებს.

ამ ზოგადი წესიდან მრავალი გამონაკლისი არსებობს, მათ შორის ისეთი, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მის (სასამართლოს) შეხედულებაზეა დამოკიდებული. ზოგან დადგენილია, რომ სააპელაციო ინსტანციას უფლება აქვს გააუქმოს განა-

ჩენი, თუ აღმოაჩენს, რომ შეცდომის, წინასწარი რწმენის ან „ენებათა გაკლენის“ შედეგად მიღებული გადაწყვეტილება დამნაშავეობის შესახებ ეწინააღმდეგება ან არ შეესაბამება მტკიცებულებებს. ზოგიერთ შტატში განაჩენის გაუქმების ეს საფუძველი კიდევ უფრო ფართოდ არის ფორმულირებული: განაჩენი შეიძლება გაუქმდეს, თუ სააპელაციო ინსტანციის თვალსაზრისით, „ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები“.

როგორც ამერიკელი იურისტები მოწმობენ, ზოგადი წესიდან გამონაკლისი პრაქტიკაში ხშირად გვხვდება: როდესაც სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს სურთ განაჩენის გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის გაგზავნა, მაშინ ისინი პოულობენ სამართლებრივი დანაწესების თუნდაც რაიმე დარღვევას, აკვალიფიცირებენ მას როგორც „არსებითი სამართლებრივი შეცდომა“ და მასზე დაყრდნობით აუქმებენ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელის ზომის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების შესაძლებლობას, აქაც შეიმჩნევა გასაჩივრების უფლების სხვადასხვა სახის შეზღუდვათა ტენდენცია. ზოგადი წესის სახით სააპელაციო ინსტანციას შეუძლია მოახდინოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელის ზომის კორექტირება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ იყო დაცული სისხლის სამართლის კანონით ან(და) ზემოხსენებული (იხ. მოცემული თავი, §3 და §7) „სასჯელის შეფარდების შესახებ“ ფედერალური სახელმძღვანელოთი დადგენილი სანქციის ფარგლები¹. ამ დროს დაუშვებელია საუარესოდ შებრუნება. თუმცა ცხოვრებას აქაც შეაქვს თავისი შესწორებები: საჩივრის „უაზრო“ საჩივრად ცნობის შემთხვევაში ზოგან სასამართლოები უმკაცრე-

¹ ეს სახელმძღვანელო და მისი ანალოგიური დოკუმენტები, რომლებიც შემუშავდება რიგ შტატებში, პრაქტიკაში რთულად იწერება. მთ წარმოშვეს სასჯელის ზომის არასწორი შეფარდების მოტივებზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრების რაოდენობის შესაძნევე ზრდა. იმას, რასაც ადრე მსჯავრდებულები უპრობოდ ვეუბოდნენ, დღეს ისინი უკვე ადარებენ კრიტიკობებს, რომელსაც სასჯელის შეფარდების კომისიები სთავაზობენ. მათგან უმთოშენლო გადახვევა (მსჯავრდებულის ან მისი დამცველის აზრით) საჩივრის წარდგენის პროვოცირებას იწვევს. ეს ხდება მაშინაც, როდესაც ადრინდელი საზოგადოების მიხედვით საჩივრები არ წარედგინებოდა, ვინაიდან ისინი განწირული იყო წარუმატებლობისათვის. მაგალითად, დღეს საჩივრები ხშირად წარედგინება იმაზე, რომ მოსამართლემ კონკრეტული ქმედებისათვის შეუფარდა 35 და არა 30-32 თვით (როგორც ეს სახელმძღვანელოთა რეკომენდებული) თავისუფლების აღკვეთა. ამერიკულ კუბლიკაციებში აღნიშნულია, რომ წინასწარ მოცემული კრიტიკობების მიხედვით სასჯელის შეფარდების პრაქტიკა უკავშირდება პრინციპული ხასიათის რიგ სამართლებრივ პრობლემას (მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მოსამართლის შეზღუდვების თავისუფლება და სხვა). იხ. მაგალითად: Wohl A. The Calculus of Rationality//ABA Journal. The Lawyers Magazine, January 1992. P.37-40.

ბენ სასჯელს იმ პირებს, რომლებმაც ასეთი საჩივარი წარადგინეს.

განსაკუთრებული წესები და მათგან გამონაკლისებია დადგენილი აპელირებისათვის, რომელსაც მიმართავენ საქმის არსებით განხილვაში მონაწილე პრალმდებლები. ხანგრძლივი დროის მანძილზე მათ ასეთი უფლება არ ჰქონდათ, ვინაიდან ფართოდ იყო აღიარებული, რომ სასამართლო შეცდომების გამოსწორების შესახებ საკითხის დაყენება, უპირველეს ყოვლისა, მსჯავრდებულის საქმეა და სწორედ მან უნდა იზრუნოს მათი გამოსწორებისათვის. პროკურორი თავის მისიას ამთავრებს მაშინ, როდესაც აღწევს პირის მსჯავრდებას. თუ პირის მსჯავრდება არ შედგა, ესე იგი, ბრალმდებელმა ვერ დაარწმუნა სასამართლო განსასჯელის დამნაშავეობაში. ამის სააპელაციო ინსტანციაში გაკეთება კი უადგილოა.

თუმცა, ბოლო ათწლეულების მანძილზე სურათი ოდნავ შეიცვალა. თანდათანობით პროკურორმა მიიღო უფლება (გამამტყუნებელი) განაჩენების გასაჩივრებაზე, თუ, მისი აზრით, დაშვებული იყო დარღვევა. როგორც წესი, ეს კეთდება იმ კონკრეტულ დარღვევათა ჩამონათვალის დადგენით, რომელთა გამოც დაშვებულია საპროკურორო გასაჩივრება. მაგალითად, აშშ-ს კანონთა კრებულის მე-18 კარის §3731-ის თანახმად, პროკურორს უფლება აქვს მიმართოს სააპელაციო საჩივრით საბრალდებო აქტის უარყოფის (არსებითად, ეს ნიშნავს სასამართლოს მიერ საქმეზე წარმოების შეწყვეტას) ანდა სასამართლოს მიერ ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტის გაუქმების შემდეგ ახალი სასამართლო განხილვის დანიშვნის თაობაზე, თუ ასეთი დანიშვნა ეწინააღმდეგება ერთი და იმავე ქმედების გამო ორმაგი პასუხისმგებლობის დაუშვებლობის წესს. ასევე, მას შეუძლია აპელირება, თუ სასამართლომ, დადგენილი წესების მიუხედავად, მიიღო გადაწყვეტილება იმ მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე, რომლებიც მიღებულია მოქალაქეთა საკონსტიტუციო უფლებების დარღვევით, ასევე, პატიმრობის სახით აღკვეთი ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ასეთივე გზა აირჩია ნიუ-იორკის შტატის „სისხლის სამართლის საპროცესო“ კანონმა, რომლის §450.20 ითვალისწინებს იმ შემთხვევების ჩამონათვალს, როდესაც პროკურორს უფლება აქვს გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ზოგან უფრო შორს წაეიდნენ და დაუშვეს პროკურორის მიერ გამამართლებელი განაჩენების გასაჩივრების უფლება, თუ ეს საჭიროა „სამომავლოდ სამართლებრივ ნორმათა ჩამოყალიბების მიზნით“. მსგავს წესებს ითვალისწინებს ტეხასის შტატის სსს კოდექსიც (იხ. 44.01-ე მუხლი). მეტიც, ამ კოდექსის

მიხედვით (იხ. 1.11-ე მუხლი) დაიშვება სასამართლოში განმეორებითი სისხლისსამართლებრივი დევნა იმ ბრალდებულისა, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, თუ პროკურორი არ ეთანხმება განაჩენს იმის გამო, რომ, მისი აზრით, იგი გამოტანილი იყო „სასამართლოს მიერ, რომელსაც არ აქონდა უფლება განეხილა საქმე მოცემულ დანაშაულზე (a court having no jurisdiction of the offense)“.

სააპელაციო წარმოების პროცესში მხარეებისა და სასამართლოს მიერ განხორციელებულ მოქმედებათა თანმიმდევრობა სქემატურად შესაძლებელია ავსახოთ შემდეგნაირად. განაჩენის გამოტანის შემდეგ პირველი ნაბიჯია 10 დღიან ვადაში (როგორც წესი) შეტყობინების წარდგენა ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების სურვილის შესახებ. მას წარუდგენენ სასამართლოს კლერკს ორ ეგზემპლარად. ერთ ეგზემპლიარს გადაუგზავნიან ზემდგომ სასამართლოს, მეორეს – მეორე მხარეს. შეტყობინება დადგენილი ფორმით დგება. ამის შემდეგ, 40 დღის განმავლობაში, აპელანტმა უნდა შეადგინოს არგუმენტირებული აპელაცია, დაურთოს მას ასლები იმ ნორმატიული აქტებისა და გამოქვეყნებული სასამართლო გადაწყვეტილებებისა, რომელსაც არგუმენტაცია ემყარება, ასევე, სასამართლო სხდომის გაშიფრული სტენოგრამა (გაუსაჩივრებელ საქმეებზე სტენოგრამა გაუშიფრავი რჩება), სხვა დოკუმენტების ასლები, რომლებსაც აპელანტი ეყრდნობა საჩივარში. ბევრ სასამართლოში ითხოვენ, რომ მთელი ეს მასალა ტიპოგრაფიული წესით გამრავლდეს დადგენილი რაოდენობის ეგზემპლარად.

მომდევნო ეტაპია საქმის მოსმენისათვის მომზადება. იგი, როგორც წესი, არ გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ყველა მონაწილე, მათ შორის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები, გაეცნონ აპელაციასა და მის დასაბუთებას. თვითონ მოსმენა არაფორმალურ გარემოში მიმდინარეობს. მისი შედეგების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება ჯერ ოქმში ფიქსირდება მოკლედ და უკვე შემდეგ იწყება მისი მოტივირების პროცესი. ამ უკანასკნელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აპელაციის განხილვაში მონაწილე მოსამართლეებს შეუძლიათ ერთობლივად, ანდა ცალ-ცალკე შეადგინონ ე.წ. მოსაზრებები (opinions). ეს მოსაზრებები შეიცავს აპელაციაზე მიღებული გადაწყვეტილების მოტივირებას.

ასეთი გადაწყვეტილებების რამდენიმე ვარიანტი არსებობს: საჩივრის უარყოფა და განაჩენის ძალაში დატოვება; საჩივრის დაკმაყოფილება და საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში გაგზავნა ხელახალი განხილვისათვის. მაგისტრატების ანდა მათი მსგავსი სხვა

მოსამართლეების მიერ გამართლებული წესით განხილულ საქმეებზე სააპელაციო ინსტანციას (როგორც წესი, ეს არის ზემდგომი სასამართლო – საერთო იურისდიქციის სასამართლოთა უმდაბლესი რგოლი) განაჩენის გაუქმებისას უფლება აქვს საქმე თავის წარმოებაში მიიღოს და განიხილოს იგი ხელახლა, ყველა მტკიცებულებების გამოკვლევით, ესე იგი, გაიმეოროს საქმის არსებითი განხილვა.

ზოგადად, ასე გამოიყურება აპელაციის ინსტიტუტი, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს განაჩენთა კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება ჩვეულებრივ შემთხვევებში. თუმცა, ამერიკული სისხლის სამართალწარმოებისათვის ცნობილია აპელაციის ისეთი სახეები, რომლებიც (პირობითად) შესაძლებელია მივაკუთვნოთ საგანგებო აპელაციის სახეს, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების განსაკუთრებულ პირობებს უკავშირდება. ასეთი აპელაცია ორია და მათი რეალიზება ხდება უმაღლეს სასამართლო ინსტანციებში – აშშ-ს უზენაეს სასამართლოში და რიგი შტატების უმაღლეს სასამართლოებში.

ამ აპელაციების ერთ-ერთი სახე¹ ზორციელდება აშშ-ს უზენაეს სასამართლოში მაშინ, როდესაც წარმოიშობა მთელი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკისათვის პრინციპული მნიშვნელობის მქონე „ფედერალური საკითხის“ გადაწყვეტის საჭიროება, ანდა ერთ-ერთმა ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც არსებითად განსხვავდება მსგავს საკითხზე სხვა ფედერალური სააპელაციო სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებისაგან (ვრცლად ამის შესახებ იხ. 1980 წლის „აშშ-ს უზენაესი სასამართლოს წესების“² მე-17(1)-ე წესი).

ასეთი წესით გადასინჯვის წარმოება იწყება დაინტერესებული პირის მიერ პეტიციის წარდგენით სასამართლოს მიერ ბრძანების გაცემის შესახებ ქვედგომი სასამართლოდან კონკრეტული საქმის (რომელზედაც აშშ-ს უზენაეს სასამართლოში წარდგენილია სააპელაციო საჩივარი) მასალების გამოთხოვის თაობაზე (writ of certiorari). ამ საკითხს „სადი დისკრეციული შეხედულებით“ წვევებს სასამართლოს ცხრიდან სულ ცოტა ოთხი წევრი. საქმეთა გამოთხოვის შეს-

¹ ლიტერატურულ და ნორმატიულ წყაროებში მიღებულია მას ეწოდოს ქვედგომ სასამართლოთა გადაწყვეტილებების შემოწმების შესახებ სააპელაციო წარმოება by certiorari (პირობითად ნიშნავს – „გამოთხოვის“) პროცედურის დაცვით. აპელაციის ეს სახე ნაწილობრივ შესაძლებელია შეადაროთ რუსულ სახელამხედველო წარმოებას.

² თავისი არსით ეს არის ქვეყნის უზენაესი სასამართლოს რეგლამენტი.

ახებ პეტიციათა 80%-ტი არ კმაყოფილდება. დანარჩენ შემთხვევებში გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემოწმებას ექვემდებარება ქვერდგომი სასამართლოებიდან მიღებული მასალების ანალიზის გათვალისწინებით. ასეთი შემოწმებების, აპელაციებისა და მათზე დართული ღოკუმენტების გამოკვლევის შედეგების მიხედვით იღებენ საჭირო დადგენილებებს. მოტივირებული დადგენილებები ყოველთვის არ დგება.¹ ისინი ფორმდება ღოკუმენტებით, რომლებსაც სასამართლოს უმრავლეს წევრთა მოსაზრებებს (opinions) უწოდებენ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს დადგენილებას.² ასეთი სახის დადგენილებები სამართლის ავტორიტეტული წყარო ხდება, რომლის შესრულება სავალდებულოა ყველა სასამართლოსათვის.

აპელაციის მეორე „განსაკუთრებული“ სახე³ გათვალისწინებულია „აშშ-ს უზენაესი სასამართლოს წესების“ 24-ე და 25-ე წესებით. მას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული რაიმე პრობლემის განხილვისას ფედერალურ სააპელაციო სასამართლოს წარმოეშობა შეკითხვა, რომელიც მოითხოვს განმარტებას ქვეყნის უზენაესი სასამართლოს მხრიდან. ასეთი შეკითხვა მხოლოდ სამართლებრივ პრობლემებს უნდა შეეხებოდეს (სამართლებრივ ნორმათა დანაწესების განმარტებას). სააპელაციო სასამართლოს მიმართვის განხილვისას უზენაესი სასამართლოს უფლება აქვს ქვემდგომი სასამართლოსათვის შესაბამისი მითითებების მიცემის ნაცვლად თავად გამოიტანოს საჭირო გადაწყვეტილება.

აშშ-ს სამართალწარმოებისათვის ცნობილია ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებათა (მათ შორის სისხლის სამართლის საქმეებზე) კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების პოსტსააპელაციო სამუალებები. მათ სხვადასხვაგვარად ეწოდება. „ექსტრაორდინალური

1 დღეისათვის აშშ-ს უზენაეს სასამართლოში ყოველწლიურად განიხილება დაახლოებით 7 000 სხვადასხვა სახის აპელაცია. მათგან მხოლოდ 150-160 აღწევს მათში დაყენებული საკითხების არსებითად განხილვას; 100-მდე აპელაცია განსახილველად გამოაქვთ პლენარულ სხდომებზე მხარეთა ზეპირი არგუმენტების მოსმენით; მოტივის (opinion) წარმოდგენით დადგენილება მოიხდება 80-90 აპელაციაზე (იხ. ინტერნეტ-გვერდი www.supremecourt.us/about/justicecaseload.pdf). სხვა სიტყვებით, იმ აპელაციებზე, რომლებიც არსებითად განიხილება მათში მოცემული საკითხების მიხედვით, მოტივირებული დადგენილებები დგება მხოლოდ 40-50% შემთხვევაში.

2 მოსამართლებს, რომლებიც არ ეთანხმებიან დადგენილებას და მის მოტივირებას, უფლება აქვთ ცალკე ღოკუმენტში გადასცენ განსხვავებული აზრი (dissenting opinion). ეს ღოკუმენტი ქვეყნდება იმისთან ერთად, რომელსაც მოსამართლეთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. შესაძლოა, ასევე, ღოკუმენტის შედგენა, რომელსაც დამატებითი აზრი (concurrent opinion) ეწოდება, სადაც გადმოცემულია უმრავლესობის მიერ მიღებული დადგენილების მხარდასაჭერი არგუმენტები, რომლებიც არ იყო შესული ძირითად ღოკუმენტში.

3 მას უწოდებენ შემოწმებას by appeal პროცედურის დაცვაში.

კასაჩივრება“, „შემოწმების დამატებითი საშუალებები“, „ირიბი შეტევა გამამტყუნებელ განაჩენზე“ და ა.შ.

მათ რიცხვს მიეკუთვნება ძირითადად სხვადასხვა შტატების სასამართლოებში გავრცელებული პროცედურები, რომლებსაც მსჯავრდებული მიმართავს განაჩენის გაუქმებისა ან მისი აღსრულების შეწყვეტისათვის უკვე მას შემდეგ, რაც იგი გამოიყენებს აპელაციაზე უფლების რეალიზაციით მინიჭებულ ყველა შესაძლებლობას. მათ რიცხვს ეკუთვნის:

„ჰაბეას კორპუსის“ (writ of habeas corpus) შესახებ ბრძანების გაცემის თაობაზე შუამდგომლობის განხილვა;

განაჩენის შემოწმება ახლად გახსნილ გარემოებათა გამო თავისი გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ ბრძანების (writ of coram nobis) გაცემის თაობაზე საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით;

შტატის ციხეში ყოფნის კანონიერებისა და დასაბუთებულობის საკითხის განსახილველად გადაცემა ფედერალური სასამართლოსათვის (აშშ-ს კანონთა კრებულის 28-ე კარის §2255-ით გათვალისწინებული პროცედურა);

„მსჯავრდების შემდეგ გამოყენებული პროცედურების შესახებ“ უნიფიცირებული კანონის დებულებათა გამოყენება (Uniform Post-Conviction Act)¹.

განაჩენთა კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების ეს გამონაკლისი საშუალებები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მნიშვნელობის არმქონე დეტალებსა და ნიუანსებს, შესაძლებელია დავიყვანოთ ორ ძირითად საშუალებამდე: ა) პატიმრობის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების პროცედურა, რასაც „ჰაბეას კორპუსის“ ბრძანების გაცემა მოსდევს; ბ) საქმეთა განახლება ახლად გახსნილ გარემოებათა გამო.

მეტად გავრცელებულია პირველი მათგანი. იგი სათავეს იღებს ჯერ კიდევ შუა საუკუნეების პერიოდში ინგლისში ჩამოყალიბებული დებულებიდან თითოეული დაპატიმრებულის უფლების შესახებ, რომ იგი პირადი გასაუბრებისათვის წარედგინათ უახლოესი მოსამართლისათვის, რომელსაც, ცხადია, უნდა შეემოწმებინა მისი დაპატიმრების დასაბუთებულობა. დღევანდელი აშშ-ს პირობებში ამ დებულებამ ზოგიერთი არსებითი ცვლილება განიცადა: მსჯავრდებულს უფლება აქვს დაჟინებით მოითხოვოს პატიმრობის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწ-

¹ იხ. Kumissar Y. *LuFive W. Israel J. Op. cit.* P.1516

მება ნებისმიერი (და არა მხოლოდ პატიმრობის ადგილის მიხედვით) კომპეტენტური მოსამართლის მიერ. ასეთი მოდიფიკაცია 1948 წელს განხორციელდა, როდესაც ფედერალურმა კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც სპეციალურად ეძღვნება „ჰაბეას კორპუსის“ ინსტიტუტს (მისი ტექსტი გამოქვეყნებულია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით აშშ-ს კანონთა კრებულის 28-ე კარის 153-ე თავში). მას შემდეგ ფედერალურ სასამართლოებს უფლება აქვთ შეამოწმონ როგორც ფედერალური, ასევე, შტატების სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ პირთა პატიმრობაში ყოფნის კანონიერება და დასაბუთებულობა. ამ კანონის დებულებებისა და მისი ცვლილებების სრულყოფისათვის 1976 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ კრებულის 28-ე კარის §2254 და 2255-ის საფუძველზე გამოსცა ფედერალურ სასამართლოებში საქმეთა განხილვის ზემოხსენებული (იხ. მოცემული თავი, §2) წესები.

ამ ნორმატიული აქტების თანახმად, „ჰაბეას კორპუსისა“ და პატიმრობიდან განთავისუფლების თაობაზე ბრძანების გაცემის შესახებ შუამდგომლობის წარდგენის უფლება აქვთ პირებს, რომლებიც დააპატიმრეს სასამართლომდე ანდა მსჯავრდებულებს, რომელთაც შეფარდებული აქვთ თავისუფლების აღკვეთა (ზოგჯერ შეიძლება ეს იყოს პირი: რომელსაც არ აქვს შეფარდებული თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მისთვის შეფარდებული სასჯელი იწვევს არსებით სამართალშეზღუდვებს; სიკვდილმისჯილი). შუამდგომლობის წარდგენის უფლება აქვთ ყველა პატიმრობაში მყოფ პირს, მიუხედავად იმისა, თუ რომელმა ორგანომ (ფედერალურმა, თუ რომელიმე შტატის) მიიღო გადაწყვეტილება ამის შესახებ. მნიშვნელობა არ აქვს, ასევე, პირი დააპატიმრებულია დააპატიმრების შესახებ ბრძანებისა, თუ პირის მსჯავრდებისა და მისთვის სასჯელის შეფარდების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. შტატის სასამართლოს ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შუამდგომლობის წარსადგენად საჭიროა: პირველი, რომ ფედერალურ სასამართლოსათვის მიმართვამდე ამოწურული იყოს შეცდომის გამოსწორების ამ შტატის კანონებით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა; მეორე, შუამდგომლობაში ნაჩვენები უნდა იყოს, რომ თავისუფლების აღკვეთა ეწინააღმდეგება აშშ-ს კონსტიტუციას. ხოლო, თუ საუბარია ფედერალური ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორებაზე, მაშინ საკმარისია, რომ შუამდგომლობაში მოყვანილი იყოს ცნობები იმის თაობაზე, რომ დარღვეული იყო ფედერალური კანონი.

ასეთი სახის შუამდგომლობებს ჯერ განიხილავს საერთო იურის-

დიქციის, სააპელაციო ან შტატის უმაღლესი სასამართლო, სადაც გამოტანილი იყო განაჩენი, ხოლო, შემდეგ რაიონული, სააპელაციო ან აშშ-ს უზენაესი სასამართლო. სხვა სიტყვებით, დაშვებულია მრავალი სასამართლო ინსტანციისათვის მიმართვა. პირს უფლება აქვს, ასევე, განმეორებით მიმართოს ერთი და იმავე ინსტანციას (ახალ ფაქტებზე ან სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით).

საფრანგეთის რესპუბლიკა

§1. სისხლის სამართლის პროცესის არსი
და სტრუქტურა

იმისთვის, რომ გავარკვიოთ სისხლის სამართლის პროცესის ცნებისადმი ფრანგული მიდგომის სპეციფიკა, აუცილებელია გაეთვალისწინოთ ორი გარემოება.

პირველი, საფრანგეთში სისხლის სამართლის პროცესი მოიაზრება ერთდროულად, როგორც სისხლის სამართლის იუსტიციის ორგანოების ორგანიზაცია (პროცესის სტატიკა) და ამ ორგანოების მიერ თანმიმდევრულად განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რაც მიმართულია დასახული მიზნების მიღწევისაკენ (ე.ი. სისხლის სამართლის საქმის მოძრაობა სტადიების მიხედვით – პროცესის დინამიკა)¹. მაგალითად, ერთ-ერთი თანამედროვე წამყვანი სპეციალისტი, პროფესორი ჟან პრადელი (საფრანგეთის სისხლის სამართლის ასოციაციის პრეზიდენტი) აღნიშნავს სისხლის სამართლის პროცესის „კლასიკურ“ (მისი გამოთქმით) გაყოფას ორ ნაწილად: სასამართლო და მოსამართლე (ორგანიზაცია და სტატუსი), ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, თავად პროცესი (საქმის მსვლელობა). ავითარებდა რა თავის მოსაზრებას, იგი წერდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი² აწესრიგებს სარჩელთა (საჯარო და სამოქალაქო) ინსტიტუტს, რომელთა

¹ ფრანგულ იურიდიულ ლექსიკაში, ტრადიციულად, განასხვავებენ სისხლის სამართლის პროცედურის (procédure pénale) და „სისხლის სამართლის პროცესის“ (procès pénal) (ჩნდება თუ „სისხლის სამართლის პროცესში“ მოაზრება საქმის მსვლელობა (დინამიკა)...სისხლის სამართლის პროცედურაში“ იგულისხმება სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ როგორც პროცესის სტატიკას, ისე – დინამიკას. ამ კონტექსტში გასაკუთხ ხდება რუსი იურიდიისთვის არცთუ ისე ჩვეული მოსაზრება, რაც გამოთქმულია ენობილ ფრანგულ სახელმძღვანელოში, რომ „სისხლის სამართლის პროცედურის საგანია სისხლის სამართლის პროცესის რეგლამენტაცია“ (Stefans G., Lenuseur G., Boulox B., Procédure pénale, Paris, 1990, P1). „სისხლის სამართლის პროცედურის“ ცნება, განხილული როგორც სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც შესაბამის დარგს აწესრიგებენ, ჩვეულის კარგად ნაცნობი სისხლის სამართლის სამართლის ილქტურაა. ამიტომ, ლოგიკურად მიგაჩნია მოსაზრება, რომელსაც გამოთქამს ზოგიერთი თანამედროვე ფრანგი პროცესუალისტი (ე. პრადელი, მ. ლ. რასსა), რომ უარი ვთქვათ „სისხლის სამართლის პროცედურის“ ცნებაზე და იგი შევუვალოთ „სისხლის სამართლის სასამართლო პროცესით“ ან „რეპრეზენტულ-სასამართლო სამართლის“ (ჩნებით, რომელიც მოაწესრიგებს სისხლის სამართლის პროცესის როგორც სტატიკას, ისე დინამიკას.

² აქ და შემდგომაც ჩვენ ვიყენებთ შესაბამისი ფრანგული „ანალოგიების რუსულ ცნებებს (იხ. წინა სტალო).

წარდგენაც ქმნის საქმეზე წარმოების საფუძველს, ამ წარმოების განმარტობის საფუძველი ორგანოების ორგანიზაციას, სტატუსს და თავად წარმოების პროცედურას. შედეგად, სისხლის საპროცესო სამართლის ფარგლებში არის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ პროცესის წინაპირობებს (*Jus and litem*) და ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ თვით საპროცესო საქმიანობას (*Jus litis*)¹. ფრანგული მიდგომის თავისებურება იმით გამოირჩევა, რომ ამ ქვეყანაში სისხლის სამართლის პროცესის ნაწილად (მის სტატიკად) მიიჩნევა ის საკითხებიც, რომლებიც ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, განიხილება არა როგორც „საპროცესო“, არამედ როგორც „საორგანიზაციო“ ან „სასამართლო წყობილების“ საკითხები.

მეორე, დეფინიციებისა და აბსტრაქტული იურიდიული ცნებებისადმი² არცთუ ისე კეთილგანწყობილი ფრანგული სისხლის სამართლის დოქტრინა განიხილავს სისხლის სამართლის პროცესს, მხოლოდ როგორც იმ სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოების მოქმედებათა სისტემას, რომლებიც ახორციელებენ სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებას³.

სისხლის სამართლის პროცესის სხვა კონცეფციებმა, რომელიც ემყარება „პროცესის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის“, „პროცესის, როგორც სამართლის დებულების“ და ა.შ. თეორიებს, საფრანგეთში ვერ ჰპოვა გამოხმაურება. ამ მიზეზთა გამო, სისხლის საპროცესო სამართლებრივი მეცნიერების იმგვარი დაყოფები, როგორცაა: „სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები“, „სისხლის სამართლის საპროცესო ფორმა“, „სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა სტატუსი“ და ა.შ., ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურაში ვერ განვითარდა. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად ყურადღება ეთმობა შედარებით-სამართლებრივ კვლევებს, სხვა ქვეყნების გამოცდილებას (მათ შორის იმათაც, სადაც სისხლის სამართალწარმოების პრობლემები წინა პლანზე გამოტანილი).

სისხლის სამართლის პროცესში მხოლოდ მისი კონკრეტული სტადიების, ინსტიტუტებისა და მოქმედებების დანახვის მისწრაფების დასტურია ფრანგული დოქტრინისათვის ტიპური განმარტება, რომელიც

¹ Pradel J. Procédure pénale. 9 ed. Paris, 1997, P. 17.

² მაგალითად, საფრანგეთში პოპულარულ სახელმძღვანელოში ლეესურის, ა. შუანის და გ მონტრეას (*Leussour G., Chauanne A., Montreuit J. Droit pénal et procédure. 11 éd. Paris, 1994*) ხელ არ აქვთ მოკლებული სისხლის სამართლის პროცესის განმარტება.

³ მოკლებულ შეთხვევაში მხედველობაში მხოლოდ ის, რაც ეხება სისხლის სამართლის პროცესის დინამიკას და არა ის, რაც წარმოადგენს მის სტატიკას და ხწველებას სისხლის სამართლის პროცესში სარჩელთა შესახებ.

მოცემულია ერთ-ერთი წამყვანი თანამედროვე პროცესუალისტის პროფესორ მარი-ლაურ რასას სახელმძღვანელოში. იგი წერს: „სისხლის სამართლის პროცედურა იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომლებიც აღწერენ და არეგულირებენ ერთდროულად სხვადასხვა ორგანოთა ორგანიზაციას, რომლებიც უფლებამოსილი არიან იქონიონ საქმე დანაშაულის ფენომენთან და სხვადასხვა საპროცესო მოქმედებათა წარმოებას (კურსივი – ლ.გ.), რომლებიც უნდა ჩატარდეს დანაშაულის აღმოჩენის (ან ამის ვარაუდის) მომენტიდან იმ მომენტამდე, ვიდრე მის ჩადენაში დამნაშავედ მიჩნეული პირი დაიწყებდეს მისთვის დანიშნული სასჯელის მოხდას (ე.ი., დანაშაულის აღმოჩენა, სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა, წინასწარი გამოძიება, სასამართლო განხილვა, განაჩენის გასაჩივრების საშუალებანი და განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა)“¹.

საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის სტრუქტურა მისი თანამედროვე სახით ჩამოყალიბდა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარების შედეგად.

საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესი ვითარდებოდა დაახლოებით XIII საუკუნიდან XVIII საუკუნემდე ლათინური (კათოლიკური) კანონიკური პროცესის, რომის სამართლის, გერმანული და ფრანკული ჩვეულებების ზეგავლენის ქვეშ. შედეგად, ჩამოყალიბდა საქმებრო (ინკვიზიციური) პროცესი მისთვის დამახასიათებელი არაშეჯიბრებითი, საიდუმლო, წერილობითი ფორმით. პროცესის ასეთმა ფორმამ საკანონმდებლო რეგლამენტაცია განიცადა ცნობილ სამეფო ორდონანსებში 1532წ. და განსაკუთრებით 1670წ. (ლუდოვიკო XIV ორდონანსები). საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ მოსპო სამძებრო პროცესი, რის სანაცვლოდაც იმ დროინდელი კანონმდებლების ჩანაფიქრით, უნდა შექმნილიყო ანგლოსაქსონური ტიპის შეჯიბრებითი პროცესი. ამ უკანასკნელმა საფრანგეთში ძალზე ცოტა ხანს იარსება. სამართლის ძირითადი დარგების (მათ შორის სისხლის სამართლის პროცესის) ნაპოლეონისეულმა კოდიფიკაციამ გამოიწვია 1808 წლის ცნობილი კოდექსის წარმოშობა (Code d'instruction criminelle²). იგი წარმოადგენდა

¹ *Rassat M-L. Droit pénal et procédure pénale. Paris, 1986. P. 7.* იმას, თუ რაოდენ ტრადიციული და ტიპური საფრანგეთში სისხლის სამართლის პროცესის გაზრუნა, ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ვერ კიდევ ასი წლის წინ ფრანგული სისხლის სამართლის პროცესის „ელასიკოსი“ გვიდალი განმარტავდა სისხლის სამართლის პროცესს, როგორც „კანონით განსაზღვრულ პირთა მიერ სათანადო ფორმით წარმოებულ, კანონით დაწესებულ, დანაშაულებრივი საქმანობის გახსნისადმი მიმართულ პრაქტიკულ პირთა აღმოჩენის და გასამართლების მოქმედებათა ერთობლიობას“ (*Vidal U. Cours de droit criminel et de science pénitentiaire. Paris, 1901. P. 681*)

² ნაპოლეონის კოდექსი ჩვენთან ხშირად მოიხსენიება, როგორც 1808 წლის სსს კოდექსი მინარსის მიხედვით ეს გამართლებულია, თუმცა, სიტყვასიტყვით ის ითარგმნება როგორც

კომპრომისს „ძველი რეჟიმის“ (მონარქიული საფრანგეთის) კანონ-მდებლობაში დამკვიდრებული ტრადიციული კონცეფციებსა და შეჯიბრებითი სულისკვეთების კარდინალური რეფორმირების მცდელობებს შორის, რომლებიც რევოლუციურ პერიოდში ხორციელდებოდა.

შედეგად, საფრანგეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. თავი პირველი, §2), პირველად ჩამოყალიბდა კონტინენტური ევროპის უმრავლეს ქვეყნებში მიღებული ე.წ. სისხლის სამართლის პროცესის შერეული ფორმა: საიდუმლო, წერილობითი და არაშეჯიბრებითი წინასასამართლო წარმოებისა და საჯარო, ზეპირი, შეჯიბრებითი სასამართლო განხილვის მკვეთრი გამიჯვნით. ამ ქვეყნის სისხლის სამართლის პროცესს დღემდე „შერეულად“ (mixte) მიიჩნევენ მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის პოლოსა და განსაკუთრებით XX საუკუნეში ხშირმა რეფორმებმა გააძლიერა შეჯიბრებითობის საწყისები პროცესის წინასასამართლო სტადიაზე.

მოკლე ისტორიული ექსკურსი საჭიროა იმიტომ, რომ სწორედ ზანგრძლივი ევოლუციის შედეგად მოხდა საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის სტრუქტურაში წინასწარი სტადიების (მოკვლევა, სისხლისსამართლებრივი დენის აღძვრა, წინასწარი გამოძიება) და დამამთავრებელი სტადიების (სასამართლო განხილვა, აპელაცია, კასაცია) მკვეთრი გამიჯვნა.

საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის სტრუქტურის დახასიათებასთან დაკავშირებით, აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი დიფერენციაცია, რომელიც ემყარება ყველა დანაშაულებრივი ქმედების დაყოფას სამ კატეგორიად (დანაშაულები, გადაცდომები, სამართალდარღვევები). ეს დიფერენციაცია განსაზღვრავს სხვადასხვა მიდგომებს სტადიების ერთობლიობისა და თანმიმდევრობის განსაზღვრებისადმი, რომელსაც „გაივლიან“ განსხვავებული კატეგორიის დანაშაულების საქმეები. სქემატურად ეს გამოიყურება შემდეგნაირად:

- ა) დანაშაულთა საქმეები (crimes): მოკვლევა – სისხლისსამართლებრივი დენის აღძვრა – წინასწარი გამოძიება – II ინსტანციის წინასწარი გამოძიება – I ინსტანციის სასამართლო განხილვა ასიზების სასამართლოში – სააპელაციო წარმოება

„სისხლისსამართლებრივი გამოძიების კოდექსი“. „ფრანგული კოდექსის შემქმნელმა, რომელიც სწავლობდნენ სამართალს და შედიოდნენ ადვოკატურაში 1670 წლის ორდონანსუსის მოქმედების ეპოქაში, აირჩიეს რა ეს სახელწოდება, გამოჩნდა მხედველობიდან ის გარდაქმნები, რომლებიც ისი თავადვე შეიტანეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. მათ დაუიწყდათ, რომ ახალი სისტემა არ არის მხოლოანად შანონქელი გამოძიებით“ (Thonissen M. Travaux preparatoires du Code de procedure penale. T. I. Bruxelles, 1885. P. 4).

ასიზების სასამართლოში (2001 წლის 1 იანვრიდან) – საკასაციო წარმოება;

- ბ) გადაცდომათა საქმეები (delits): მოკვლევა – სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა – სასამართლო განხილვა გამასწორებელ სასამართლოში – სააპელაციო წარმოება – საკასაციო წარმოება;
- გ) სამართალდარღვევათა საქმეები (contraventions): მოკვლევა – სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა – სასამართლო განხილვა საპოლიციო სასამართლოში – სააპელაციო წარმოება – საკასაციო წარმოება.

სტადიების მოცემული სქემა საჭიროებს გარკვეულ განმარტებას. პირველი, რომ მოკვლევა ყველა შემთხვევაში ფაქულტატურია. მეორე, სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას შესაძლებელია გამარტივებული წარმოება, როდესაც არაა სასამართლო განხილვაც კი. მესამე, ამავე სამართალდარღვევათა საქმეებზე აპელაცია და შესაბამისად კასაცია დაშვებული არაა ყველა შემთხვევაში. ბოლოს, მეოთხე, სტადიების სისტემაში არაა მითითებული განაჩენის გადასინჯვის ორი განსაკუთრებული საშუალება – ოპოზიცია და რევიზია (მათ შინაარსზე იხ. ქვემოთ, მოცემულ თავში).

ცხადია, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესს მხოლოდ დანაშაულთა საქმეებზე აქვს კლასიკური ორსაფეხურიანი სტრუქტურა, სადაც საქმეებზე წარმოება თავიდან ხორციელდება წინასწარ (მათ შორის ცენტრალურია – წინასწარი გამოძიება), ხოლო შემდეგ – დამამთავრებელ ანუ, ფრანგული ტერმინოლოგიით, გადამწყვეტ სტადიებზე.

§2. სისხლის სამართლის პროცესის წყაროები

საფრანგეთი მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც სამართლის ყველა ძირითადი დარგი კოდიფიცირებულია. სისხლის სამართლის პროცესო სამართალი არ წარმოადგენს გამოწაკლისს. ამიტომ, მისი ძირითადი წყაროა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (Code de procédure pénale), რომელიც მიიღეს 1958 წელს და ძალაში შევიდა 1959 წლის 2 მარტს. ამ კოდექსმა შეცვალა მანამდე 150 წლის განმავლობაში მოქმედი სისხლისსამართლებრივი გამოძიების კოდექსი (Code d'instruction criminelle) – ერთ-ერთი ცნობილი იმ ხუთი კოდექსიდან, რომლებიც ნაპოლეონ ბონაპარტეს ეპოქაში შეიქმნა – და შინაარსით წარმოადგენს სამართლის ისტორიაში პირველ სისხლის

სამართლის საპროცესო კოდიფიკაციას თანამედროვე გაგებით.

1958 წლის სსს კოდექსს აქვს რთული სტრუქტურა, რამდენადაც მისმა შემდგენებმა გამოიყენეს ე.წ. „კოდიფიკაციის ახალი მეთოდი“. ის გამოიხატება იმაში, რომ კოდექსი იყოფა ხუთ ავტონომიურ ნაწილად, რომელთაგან თითოეულს აქვს განსხვავებული იურიდიული ძალა და გააჩნია მუხლების საკუთარი ნუმერაცია.

პირველ და ძირითად ნაწილს წარმოადგენს საკანონმდებლო ნაწილი, რომელსაც იღებს, ცვლის და ავსებს საფრანგეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება. იგი შედგება ხუთი წიგნისაგან: I წიგნები – „საჯარო სარჩელთა წარმოებისა და გამოძიების შესახებ“; II წიგნი – „საქმის არსებითად გადაწყვეტი იურისდიქციების შესახებ“; III წიგნი – „გასაჩივრების საგანგებო საშუალებათა შესახებ“; IV წიგნი – „ზოგიერთი განსაკუთრებული სახის წარმოების შესახებ“; V წიგნი – „სააღსრულებო წარმოების შესახებ“. ამის გარდა, სსს კოდექსი იწყება პრეამბულის მუხლით, სადაც გადმოცემულია სისხლის სამართლის პროცესის ამოსავალი პრინციპები (ჩამატებულია კოდექსში 2000 წლის 15 ივნისის კანონით) და შესავალი ტიტულით, ხოლო მთავრდება საერთო დებულებებით.

კოდექსის **მეორე** ნაწილში არის მუხლები, რომელთაც აქვთ ლიტერა „R“¹ (მაგალითად, R.15, R.16 და ა.შ.). ეს ნაწილი შედგება მთავრობის (ფრანგული ტერმინოლოგიით – საჯარო ადმინისტრაციის) დადგენილებებისა და სახელმწიფო კრების მიერ დამტკიცებული დეკრეტებისაგან, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების რეგლამენტაციას.

სსს კოდექსის **მესამე** ნაწილი (არის მუხლები, რომელთაც აქვთ ლიტერა „D“²) შედგება ნორმატიული აქტებისაგან, რომელთაც ეწოდებათ დეკრეტები, მათი დიდი ნაწილი ეძღვნება პენიტენციურ რეჟიმს.

მეოთხე ნაწილი (ლიტერა „A“³) წარმოადგენს სამინისტროებისა და უწყებების აქტების ერთობლიობას (ძირითადად შსს-ს და იუსტიციის სამინისტროს), რომლებიც ეხება კონკრეტულ საკითხებს და აქვთ სისხლის სამართლის საპროცესო მნიშვნელობა.

მეხუთე ნაწილია საერთო ინსტრუქცია სსს კოდექსის გამოყენების სფეროს შესახებ (მუხლები ლიტერათი „C“⁴), რომელიც მიღებულია

1 ფრანგული სიტყვის réglement-ის (დადგენილება) საწყისი ასო.

2 ფრანგული სიტყვის décret-ის (დეკრეტი, ბრძანებულება) საწყისი ასო.

3 ფრანგული სიტყვის arrêté-ის (აღმასრულებელი ხელისუფლების აქტი) საწყისი ასო.

4 ფრანგული სიტყვის circulaire-ის (ცირკულარი, ინსტრუქცია) საწყისი ასო.

იუსტიციის სამინისტროს მიერ კოდექსის ამოქმედების მომენტში.

კოდიფიკაციის ამგვარ ტექნიკას აქვს გარკვეული უპირატესობა, მაგრამ სისხლის საპროცესო სამათლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების ძირითადი მნიშვნელობის მქონეა სსს კოდექსის საკანონმდებლო ნაწილი. ეს მტკიცდება იმით, რომ ყველაზე ავტორიტეტული და ყოველწლიურად განახლებადი კოდექსის ფრანგულ გამოცემაში (გამომცემლობა Dalloz) მეოთხე ნაწილი (სამინისტროების აქტები), როგორც წესი, საერთოდ არაა შეტანილი, ხოლო მეხუთე ნაწილი (საერთო ინსტრუქცია) შეტანილია მხოლოდ უმნიშვნელო ამონარიდის სახით.

საფრანგეთის 1958 წლის სსს კოდექსმა მისი მიღებიდან დღემდე განიცადა მრავალი ცვლილება და დამატება. გადაჭარბებული არ იქნება იმის მტკიცება, რომ 1808 წლის სისხლისსამართლებრივი გამოძიების კოდექსს თავისი არსებობის 150 წლის განმავლობაში არ განუცდია იმდენი ცვლილება, რაც მოქმედმა სსს კოდექსმა სულ რაღაც 40 წლის მანძილზე. კანონმდებლის მუდმივმა მერყეობამ, რაც დაკავშირებულია საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი საშუალებების ძიებასთან, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა ოპტიმალური სახით გადაგვეწყვიტა წარმოშობილი კონფლიქტი მზარდი დანაშაულებრივი ტალღის შეჩერების აუცილებლობასა და ბრალდებულთა უფლებების არამართო დაცვის, არამედ გაფართოების მცდელობას შორის, მიგვიყვანა ფენომენთან, რომელიც ლიტერატურაში იწოდება „სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ინფლაციად“. კანონების განუწყვეტელი მიღება თითქმის ყოველწლიურად ცვლის ცალკეულ ინსტიტუტებს ან საფრანგეთის სისხლის სამართალწარმოების მთელ სტადიებს. ვინაიდან ყოველ ასეთ „რეფორმას“ შემდეგ აუცილებლად მოჰყვება ახალი, ე.ი. რეფორმატორები ვერ აღწევენ მიზნებს. იმავედროულად, თავად იდეა „პერმანენტული რეფორმებისა“ უფასურდება. ყველივე ამას მივყავართ „არასტაბილურ კანონმდებლობამდე“.

1970 წლის 17 იელისის, 1975 წლის 6 აგვისტოს, 1983 წლის 10 იენისის, 1989 წლის 6 იელისის, 1993 წლის 4 იანვრის, 1993 წლის 24 აგვისტოს, 1995 წლის 8 თებერვლის, 2000 წლის 15 იენისისა და სხვა მრავალმა კანონებმა არსებითად შეცვალეს სსს კოდექსის ცალკეული დებულებები.

მაგალითად, 1958 წლის კოდიფიკაციის შემდეგ საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი დიდი რეფორმა დაგეგმილი იყო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. თავი პირველი, §3), 1993 წლის 4 იანვრის კანონით, რომელიც ითვალისწინებდა სსს კოდექსში ცვლილე-

ბების შეტანას, რომლებიც ეხებოდა მის თითქმის ყველა ნაწილს. ეს რეფორმა შეეხო კოდექსის დაახლოებით 250 მუხლს. იგი უაღრესად ლიბერალური სულისკვეთებით ხასიათდებოდა, რაც განსაკუთრებით გამოიხატა წინასასამართლო სტადიების (უპირველეს ყოვლისა, წინასწარი გამოძიების) ახლებურად მოწესრიგებაში. 1993 წლის 4 იანვრის კანონის გადაჭარბებულმა ლიბერალიზმმა (როგორც თავად ფრანგები აღნიშნავენ) გაართულა მისი (კანონის) პრაქტიკაში გამოყენება და წარმოშვა აშკარა დისბალანსი საზოგადოების, რომელიც დაინტერესებულია სისხლისსამართლებრივი იუსტიციის ნორმალურ ფუნქციონირებაში და სისხლისსამართლებრივ დევნას დაქვემდებარებულ პირთა ინტერესებს შორის. ამას სწრაფად მოჰყვა „კონტრრეფორმა“: 1993 წლის 24 აგვისტოს კანონმა თუმცა სრულად ვერ დააბრუნა სისხლის სამართლის პროცესი მის რეფორმამდელ მდგომარეობაში, მაგრამ შესწორა 1993 წლის 4 იანვრის კანონის განსაკუთრებით რადიკალური დებულებები. ფრანგული სისხლისსამართლებრივი იუსტიციის ნორმალური ფუნქციონირება აღდგა.

რამდენიმე წლის შემდეგ მოხდა არანაკლებ კარდინალური და ფართომასშტაბიანი რეფორმა, რაც დაკავშირებული იყო 2000 წლის 15 ივნისის კანონთან, რომლის დებულებების უმრავლესობა ძალაში შევიდა 2001 წლის 1 იანვარს. 1958 წლის სსს კოდექსში შესულია იმდენი ცვლილება და დამატება, რომ ზოგიერთი ადგილის ამოცნობა სრულიად ჭირს. ჩვენ კიდევ არაერთხელ დავუბრუნდებით ამ კანონს. 2000 წლის რეფორმების პერსპექტივების პროგნოზირება ძნელია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი წარმოადგენს საფრანგეთის ძირითად, მაგრამ არა ერთადერთ სისხლის საპროცესო სამართლის წყაროს.

სისხლის სამართლის პროცესისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს 1958 წლის 4 ოქტომბრის საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას. კონსტიტუციის ტექსტში არცთუ ისე ბევრია სისხლის სამართლის პროცესის ნორმები. შეიძლება გამოვეყნოთ VIII კარი „სასამართლო ხელისუფლების შესახებ“, სადაც განმტკიცებულია მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და უცვლელობის პრინციპები, ასევე წესი იმის შესახებ, რომ „არავის არ შეიძლება თვითნებურად აღეკვეთოს თავისუფლება“. თუმცა 1958 წლის კონსტიტუციის პრეამბულა შეიცავს მითითებით ნორმას, რომელიც ადასტურებს „...ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების შესახებ“ 1789 წლის დეკლარაციისა და 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულის მოქმედებას.

ეს ორი ფუძემდებლური აქტი განიხილება როგორც საფრანგეთის მოქმედი კონსტიტუციური სამართლის ნაწილი, რაც პირდაპირ დაადასტურა საკონსტიტუციო საბჭომ 1971 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით. ისინი, აგრეთვე, შეიცავენ სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვან პრინციპებს. განსაკუთრებით ეს ეხება საფრანგეთის დიდი რევოლუციის ფუნდამენტალურ დოკუმენტს – უფლებათა დეკლარაციას. აქ განმტკიცებულია პროცესის ორი ძირითადი პრინციპი: *კანონიერება* („არავინ არ შეიძლება დაადანაშაულონ, დააკავონ ან დააპატიმრონ გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და კანონით დადგენილი ფორმით“ – მე-7 მუხლი) და *უდანაშაულობის პრეზუმფცია* („ვინაიდან ყოველი პირი ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი ბრალი არ დადასტურდება, იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა პირის დაპატიმრება, ნებისმიერი ზედმეტად მკაცრი ღონისძიება, რაც არაა აუცილებელი, კანონის მიერ სასტიკად უნდა აღიკვეთოს“ – მე-9 მუხლი).

კონსტიტუციის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის წყაროს მნიშვნელობა, უკავშირდება საკონსტიტუციო საბჭოს – საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს – საქმიანობას, რომელიც სისტემატურად ახორციელებს სისხლის საპროცესო კანონის ნორმების რევიზიას (*მათ ძალაში შესვლაძღე*) კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით. საკონსტიტუციო საბჭოს მიერ განსჯად საქმეთა რაოდენობა, სადაც ობიექტი გახდა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები, ათეულებს ითვლის. მაგალითად, კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ არის ცნობილი სსს კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ 1995 წლის 8 თებერვლის კანონის ცალკეული დებულებები, რამაც გამოიწვია მათი გამოყენების შესაძლებლობა. ფრანგულ დოქტრინაში აღინიშნება, რომ საკონსტიტუციო საბჭოს აქტიურმა მოღვაწეობამ გამოიწვია ახალი ფენომენის, ე.წ. „სისხლის სამართლისა და სისხლის საპროცესო სამართლის კონსტიტუციონალიზაციის“ განვითარება.

სისხლის სამართლის პროცესში სულ უფრო შესამჩნევ როლს თამაშობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებში მოყვანილი საერთაშორისო სამართლის პრინციპები და ნორმები.

ზემოაღნიშნულთაგან პირველ ადგილზე, ფრანგულ სისხლის სამართალწარმოებაზე ზეგავლენის მხრივ, უნდა დავაყენოთ რომის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“, რომელიც ახლა თავისებურ „ევროპის კონსტიტუციად“ იქცა. საფრანგეთმა ამ კონვენციის რატიფიკაცია

მოახდინა 1973 წლის 31 დეკემბრის კანონით და საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 55-ე მუხლის თანახმად მან მიიღო ზეკანონური (მაგრამ არა ზეკონსტიტუციური) ხასიათი. შედეგმა არ დააყოვნა: 1978 წლის 5 დეკემბერს საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში პირველად მიუთითა კონვენციის დარღვევაზე და ამით ხაზი გაუსვა მის, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის წყაროს პირდაპირ მოქმედებას.

1950 წლის კონვენციის მნიშვნელობა, რომელიც შეიცავს სისხლის საპროცესო სამართლებრივ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორც ძირითად ტექსტში, ისე მის დამატებით ოქმებში (შეჯიბრებითობა, გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე გასამართლების უფლება, ორ სასამართლო ინსტანციაში საქმის განხილვის უფლება და ა.შ.) არ იზღუდება „პირდაპირი მოქმედების წყაროს“ როლით.

1973 წელს კონვენციის ძირითადი ტექსტის რატიფიკაციის შემდეგ, საფრანგეთმა 1981 წლის 9 ოქტომბერს ოფიციალურად აღიარა თავის ტერიტორიაზე ერთ-ერთი დამატებითი ოქმის მოქმედება, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ პირს, რომელმაც ამოწურა თავის ქვეყანაში სასამართლო დაცვის ყველა საშუალება, უფლება აქვს მიმართოს საჩივრით ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს სტრასბურგში (ე.წ. „ინდივიდუალური საჩივრის“ პირობა). ამან მიგვიყვანა ზეეროვნული ორგანოს მიერ შიდა კანონმდებლობის (მათ შორის სისხლის საპროცესო სამართლებრივ) დებულებათა 1950 წლის კონვენციის დებულებებთან შესაბამისობის შემოწმების შესაძლებლობასთან.

სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკა სულ უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის განვითარებაზე. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ 1990 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება, როდესაც მან გაასამართლა საფრანგეთი სატელეფონო საუბრების მოსმენის, როგორც საგამოძიებო მოქმედების დეტალური რეგლამენტაციის არარსებობის გამო, რაც ეწინააღმდეგება 1950 წლის კონვენციას. შედეგად, საფრანგეთის კანონმდებლებმა უმოკლეს ვადებში მოამზადეს და მიიღეს 1991 წლის 10 ივლისის კანონი „ტელეკომუნიკაციის საშუალებებით გადაცემული შეტყობინების მოსმენის (დათვალიერების) შესახებ“, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო სსს კოდექსში შესაბამისი დამატებების შეტანა: ახალი კოდექსის მე-100-100-7-ე მუხლები ეძღვნება იმავე (იგულისხმება კანონი) სახელწოდების საგამოძიებო მოქმედებას.

„ადამიანის უფლებათა დაცვისა და ძირითად თავისუფლებათა შეს-

ახებ“ 1950 წლის კონვენციის გარდა, საფრანგეთის სისხლის საპროცესო სამართალი მოწესრიგებულია სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ მათგან რამდენიმეს აღნიშვნა საჭიროა. უპირველეს ყოვლისა, ესაა 1966 წლის „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ (რაციფიცირებული საფრანგეთის მიერ 1981 წლის 4 თებერვალს), ასევე რიგი კონტინენტური კონვენციებისა, მიძღვნილი უფრო ვიწრო სისხლის საპროცესო-სამართლებრივი საკითხებისადმი: 1975 წლის 13 დეკემბრის ევროპის კონვენცია „პირთა გადაცემის შესახებ“; 1959 წლის 20 აპრილის ევროპის კონვენცია „სისხლის სამართლის საქმეებზე სამათლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ“; 1977 წლის 27 იანვრის ევროპის კონვენცია „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“; 1983 წლის 24 ნოემბრის ევროპის კონვენცია „ძალადობრივ დანაშაულების მსხვერპლთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ და ა.შ. ამ გაგებით შეგვიძლია ვისაუბროთ საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის წყაროების „ინტერნაციონალიზაციის“ ან „ევროპეიზაციის“ შესახებ.

უბრუნდებით რა საფრანგეთის სამართლის შიდასახელმწიფოებრივ წყაროებს, რომლებიც შეიცავენ სისხლის საპროცესო სამართლებრივ ნორმებს, უნდა აღინიშნოს, რომ სსს კოდექსი არ აწესრიგებს არასრულწლოვანთა და ზოგიერთ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეების საქმეთა წარმოებას. იმის გათვალისწინებით, რომ საფრანგეთში არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოები წარმოადგენენ სასამართლო სისტემის ავტონომიურ შტოს, სასამართლო მოწყობის, საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი ყველა საკითხი, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის საქმეთა მოცემულ კატეგორიას, დაჯგუფებულია ცალკე საკანონმდებლო აქტში – 1945 წლის 2 თებერვლის ორდონანსში, რომელიც მოქმედებს 1951 წლის 24 მაისის კანონითა და 1958 წლის 23 დეკემბრის ორდონანსით შეტანილი ცვლილებებით. რაც შეეხება სამხედრო მოსამსახურეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა კატეგორიების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივი ქმედებების საქმეებს, აქაც არსებობს განსაკუთრებული საკანონმდებლო აქტი – სამხედრო იუსტიციის კოდექსი, დამტკიცებული 1982 წლის 21 ივლისის კანონით, რომლის მეორე წიგნიც „სამხედრო სისხლის სამართლის პროცესის“ სახელწოდებას ატარებს. თუმცა ეს სპეციალური საპროცესო-სამართლებრივი კანონი გამოიყენება მხოლოდ სამხედრო სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, რომლებიც იქმნება ომიანობის დროს ან

მშვიდობიან პერიოდში უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, სადაც განლაგებულია საფრანგეთის სამხედრო ნაწილები. მშვიდობიანობის დროს საფრანგეთის ტერიტორიაზე სამხედრო დანაშაულთა საქმეებს განიხილავს საერთო იურიდიქციის სასამართლოები (მოქმედებს განსაკუთრებული შემადგენლობით) სსს კოდექსის 697-ე-მე-700 მუხლებით გათვალისწინებული წესებით.

არსებობს საფრანგეთის სამართლის სხვა წყაროებიც, რომლებიც შეეხება სისხლის სამართალწარმოებას. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ: ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1994 წლის 1 მარტს, რომლის მრავალ დებულებას (დანაშაულებრივი ქმედებების დაყოფას დანაშაულებად, გადაცდომებად და სამართალდარღვევებად) აქვს მნიშვნელოვანი საპროცესო დანიშნულება; „სასამართლო წყობილების კოდექსი“, დამტკიცებული 1978 წლის 16 მარტის დეკრეტით; 1903 წლის 20 მაისის „ჟანდარმერიის ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ“ დეკრეტი; 1991 წლის 10 ივლისის კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“ და ზოგიერთი სხვა.

§3. ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებას

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საფრანგეთში სისხლის სამართლის იუსტიციის ორგანოების სისტემა და ორგანიზაცია ითვლება ე.წ. „სტატიკად“ სისხლის სამართლის პროცესში და მის „დინამიკასთან“, ე.ი. კონკრეტულ საქმეებზე წარმოების მსვლელობასთან ერთად, ტრადიციულად განიხილებიან როგორც სისხლის საპროცესო სამართლის შემადგენელი, ურთიერთდაკავშირებული ნაწილები.

საბაზო პრინციპს, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების განმახორციელებელ ორგანოთა აგებულებას, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის (ბრალდების), წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის (საქმის არსებითი განხილვის) ფუნქციების მკვეთრი და აბსოლუტური გამოჯვანის საპროცესო პრინციპი. თითოეული ამ ფუნქციის განხორციელებისათვის უნდა შეიქმნას ორგანოების ცალკე სისტემა. მათი კომპეტენციის აღრევა დაუშვებელია, რადგან სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც ეკისრება სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების პროცესში სამ დასახელებულ ფუნქციათაგან ერთ-ერთი, არ

შუქძლია განახორციელოს რომელიმე სხვა სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერი სტადიის დროს.

საფრანგეთის მართლმსაჯულების ორგანიზაციის სხვა ფუნდამენტურ დებულებას სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოადგენს სასამართლო ორგანოების დაყოფა საქმის არსებითად განმზილველ (juridictions de jugement) და წინასწარი გამოძიების მწარმოებელ (juridictions d'instruction) ორგანოებად. ასეთი დაყოფის გარდაუვალობა დაკავშირებულია იმასთან, რომ წინასწარი გამოძიება საფრანგეთში ატარებს სასამართლო ხასიათს (მიეკუთვნება სასამართლო უწყების კომპეტენციას). მეორე ის, რომ მისი ლოგიკა ნაკარნახევაა სისხლის-სამართლებრივი დევნის, წინასწარი გამოძიებისა და საქმის არსებითად განზილვის ფუნქციების სრული გამიჯვნის ზემოხსენებული პრინციპით. ამიტომ წარმოიშვა ავტონომიური საგამოძიებო სტრუქტურების შექმნის საჭიროება, რომლებიც მოქმედებენ სასამართლო სისტემის ფარგლებში. თავის მხრივ, პროკურატურის ორგანოთა სისტემა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და სახელმწიფო ბრადების მხარდაჭერას სასამართლოში (როგორც ერთ-ერთი მხარე) და არ შედის სასამართლო სისტემაში (გავიხსენოთ ლათინური ფორმულა: „არაინ არ შეიძლება იყოს მოსამართლე საკუთარ საქმეზე“ – „nemo iudex in propria causa“), თუმცა მასთან ახლოს დგას.

საფრანგეთის სასამართლო სისტემისთვის დამახასიათებელია სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების განმახორციელებელ სასამართლო ორგანოების დაყოფა: საერთო იურისდიქციისა და სპეციალიზირებულ სასამართლო ორგანოებად. ეს დებულება სრული მოცულობით ეხება სასამართლო ორგანოებს, რომელთა კომპეტენციაშიც შედის წინასწარი გამოძიების წარმოება. საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიმართ გამოიყენება, აგრეთვე, დებულება სისხლის და სამოქალაქო იუსტიციის ერთიანობის, ე.ი. იმის შესახებ, რომ მოსამართლეთა შორის არ უნდა იყოს სპეციალიზაცია: ერთსა და იმავე მოსამართლეს უნდა შეეძლოს განიხილოს როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეები¹.

¹ ამ დებულების თანახმად, გამოძიების მოსამართლე აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება შევიდეს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო შემადგენლობაში (მოსამართლის რანგში). მაგრამ სისხლის სამართლის საქმეებზე მას შუქძლია იყოს მხოლოდ გამოძიების მოსამართლე არსებითად განმზილველ სასამართლოს შემადგენლობაში მას კატეგორიულად ეკრძალება მონაწილეობა მამონაც კი, როცა მას პირადად არ უწარმოებია წინასწარი გამოძიება კონკრეტულ საქმეზე. სისხლის სამართლის პროცესში წინასწარი გამოძიების ფუნქცია გამოყოფილია სისხლის სამართლის საქმეთა არსებითი განხილვის ფუნქციისაგან, ამიტომ გამოძიების მოსამართლის ითანბრებობა შეუთავსებელია პირველ ინსტანციაში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვასთან.

საფრანგეთში მოსამართლეთა სტატუსი დღევანდელი მდგომარეობით მოწესრიგებულია 1994 წლის 5 თებერვალს მიღებული ორი კანონით: „მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ“ კანონითა და „მაგისტრატურის სტატუსის შესახებ“ კანონით. ისინი ინიშნებიან უკაოდ რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ. აქტიურ როლს თამაშობს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო, რომელიც ან თვითონ წარადგენს კონკრეტულ კანდიდატურებს პრეზიდენტთან განსახილველად, ან იძლევა დასკვნას კანდიდატურების შესახებ, რომელთაც წარადგენს იუსტიციის მინისტრი.

1. საქმის არსებითად განხილველი სასამართლოები (jurisdictions de jugement). სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის განხორციელების უფლებამოსილების მქონე სასამართლოთა სისტემა შედგება ოთხი რგოლისაგან: ინსტანციის ტრიბუნალების (ხანდახან მათ უწოდებენ მცირე ინსტანციის ტრიბუნალებს), დიდი ინსტანციის ტრიბუნალების, სააპელაციო სასამართოებისა და საკასაციო სასამართლოსაგან. ცალკე უნდა გამოვეყთ ასიზების სასამართლო.

ინსტანციის ტრიბუნალები საფრანგეთის თანამედროვე სასამართლო სისტემის ყველაზე დაბალი რგოლია, რომელთაც შეეცვალეს მომრიგებელი მოსამართლეები 1958 წლის 22 დეკემბრის სასამართლო რეფორმის შედეგად. საერთო წესის თანახმად, ქვეყნის თითოეულ ოლქში¹ იქმნება ერთი ინსტანციის ტრიბუნალი, თუმცა ზოგიერთ მჭიდროდ დასახლებულ ოლქში ისინი შეიძლება იყოს რამდენიმე. საფრანგეთში დღესდღეობით მოქმედებს 476 ასეთი ტრიბუნალი. ინსტანციის ტრიბუნალი შედგება ერთი მოსამართლისაგან, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს სამოქალაქო საქმეებთან მონაცვლეობით. ცალკეულ მსხვილ ქალაქებში (პარიზი, ლიონი და ა.შ.) ინსტანციის ტრიბუნალების შემადგენლობაში შედიან რამდენიმე მოსამართლე, რომელთაც გარკვეული სპეციალიზაცია აქვთ. როგორც სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია, ინსტანციის ტრიბუნალი იწოდება საპოლიციო სასამართლოდ (tribunal de police) და მის კომპეტენციას მიეკუთვნება პირველი ინსტანციით განხილვა სამართალდარღვევების საქმეებისა, ე.ი. ყველაზე ნაკლებად საშიში დანაშაულებისა, რომლებიც აკრძალულია სისხლის სამართლის კანონით.

დიდი ინსტანციის ტრიბუნალები იქმნება საფრანგეთის ყოველ დე-

¹ ოლქი (arrondissement) ითვლება საფრანგეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომლის სათავეშიც სუპრეუფექტაა.

პარტამენტში¹ და განთავსებულია მის ადმინისტრაციულ ცენტრში. გამონაკლისის სახით ყველაზე მსხვილ და დასახლებულ დეპარტამენტში მოქმედებს ორი და ზოგჯერ ორზე მეტი ასეთი ტრიბუნალი. საფრანგეთში დღესდღეობით მოქმედებს სულ 18 დიდი ინსტანციის ტრიბუნალი, რომელთაგან 11 განთავსებულია ე.წ. „ზღვისმიერ ტერიტორიებსა და დეპარტამენტებში“ (ახალი კალედონია, გუადელუპა, მარტინიკა და სხვა). ისინი შეიძლება შედგებოდნენ მხოლოდ თითო-თითო პალატებისაგან, რომლებიც მონაცვლეობით განიხილავენ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეებს, ხოლო სახელმწიფო საბჭოს დეკრეტის თანახმად – სხვადასხვა საგნობრივი კომპეტენციის რამდენიმე პალატისაგან. ამასთან, ერთ-ერთი მათგანი ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა სპეციალიზირდებოდეს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე.

დიდი ინსტანციის ტრიბუნალი, რომელიც იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, იწოდება გამასწორებელ სასამართლად (tribunal correctionnel). მას ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ გადაცდომათა საქმეები. ნებისმიერ შემთხვევაში ის უნდა იყოს მრავალშემადგენლობიანი, ე.ი. შედგებოდეს რამდენიმე საკადრო მოსამართლისგან (მათი რიცხვი მერყეობს), რადგან აქ მრავალი სისხლის სამართლის საქმე განიხილება კოლეგიალურად პროფესიონალი მოსამართლეების მიერ (სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს დიდი ინსტანციის ტრიბუნალის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, ან სასამართლოს უხუცესი წევრი). თუ რაიმე გამონაკლისი გარემოების გამო შეუძლებელია სამი პროფესიონალი მოსამართლის შეკრება საქმის კოლეგიური განხილვისათვის (ასეთი შეიძლება მოხდეს, მაგალითად, დიდი ინსტანციის ტრიბუნალში, სადაც მოსამართლეთა მცირე რაოდენობაა), ამ ტრიბუნალის თავმჯდომარეს უფლება აქვს კონკრეტულ საქმეზე მოსამართლის ფუნქციის შესასრულებლად მოიწვიოს ერთ-ერთი უხუცესი წევრი ადგილობრივი საადვოკატო კორპორაციიდან.

ასიზების სასამართლოს უკავია განსაკუთრებული ადგილი საფრანგეთის სასამართლო სისტემაში. ის არ შეიძლება ჩავთვალოთ სასამართლო სისტემის რგოლად, რადგან არ წარმოადგენს მუდმივმოქმედ სასამართლო ორგანოს. ის მოიწვევა თავის სესიებზე მხოლოდ კვარტალში ერთხელ, ამ დროსათვის დაგროვილი საქმეების განსახილვე-

¹ დეპარტამენტი (département) – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია, რომლის სათავეშიც პრეფექტია. დღევანდელ პერიოდში ქვეყანა დაყოფილია 102 დეპარტამენტად, რომელიც თავის მხრივ იყოფა კომუნებად და ოლქებად.

ლად. ასიზების სასამართლოს რიგგარეშე სესია შეიძლება შედგეს მისი დიდი დატვირთვის გამო. ადგილობრივი სააპელაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, გენერალური პროკურორის აზრის გათვალისწინებით. ასიზების სასამართლოს საქმიანობის არამუდმივი ხასიათი აიხსნება იმით, რომ მის მუშაობაში მონაწილეობენ არაპროფესიონალები, რომლებიც არ შეიძლება დიდი ხნით მოწყვიტო ძირითად საქმიანობას. ასიზების სასამართლო ორგანიზაციულად სრულიად ავტონომიურია სხვა სასამართლოებისა და ტრიბუნალებისაგან და არ წარმოადგენს მათ ერთ-ერთ ქვედანაყოფს. საფრანგეთის ყოველ დეპარტამენტში მოქმედებს მხოლოდ ერთი ასიზების სასამართლო, ე.ი. ქვეყანაში ფუნქციონირებს სულ 102 ასეთი სასამართლო. საერთო წესის მიხედვით, ისინი განლაგებულია შესაბამისი დეპარტამენტების ადმინისტრაციულ ცენტრებში, თუმცა არსებობს გამონაკლისები, როცა ასიზების სასამართლო განთავსებულია სხვა ქალაქში. მოცემული სასამართლო შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე სექციისაგან, რაც დამოკიდებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეცაა განთავსებული კონკრეტული ასიზების სასამართლო.

ასიზების სასამართლოებს გააჩნიათ განსაკუთრებული პრეროგატივა: განიხილონ პირველი ინსტანციით სისხლის სამართლის საქმეები დანაშაულებზე, ე.ი. სისხლის სამართლის კანონის განსაკუთრებით მძიმე დარღვევებზე, ასევე, გადასინჯონ ასეთი საქმეები სააპელაციო წესით (ეს წესი ახლად შემოღებულია 2000 წლის 15 ივნისის კანონით). სამოქალაქო საქმეებს ისინი არ განიხილავენ.

ასიზების სასამართლო შედგება ვიწრო გაგებით სასამართლოსაგან (პროფესიონალებისაგან) და ჟიურისაგან (არაპროფესიონალებისაგან). პროფესიონალი მოსამართლეების სახით სამუშაოდ მოიწვევიან სააპელაციო სასამართლოს ან შესაბამისი დეპარტამენტის დიდი ინსტანციის ტრიბუნალის ცალკეული მოსამართლეები, ხოლო ჟიურის წევრები არიან უბრალო მოქალაქეები, რომელთა შერჩევა ხდება განსაკუთრებული პროცედურის შედეგად, მოწესრიგებული სსს კოდექსის¹ 255-ე-257-ე მუხლებით.

სააპელაციო სასამართლოები ზემდგომი სასამართლო ორგანოებია ინსტანციის ტრიბუნალებსა და დიდი ინსტანციის ტრიბუნალებთან მიმართებაში. მათი ტერიტორიული კომპეტენცია შეზღუდულია განსაზღვრული სასამართლო ოლქით, რომელშიც შედის რამდენიმე დეპარ-

¹ უფრო დეტალურად ასეთი სასამართლოების შესაძგენლობაზე იხ. §8. მოცემულ თავში.

ტამენტი. როგორც წესი, სააპელაციო სასამართლო განთავსებულია ერთ-ერთი ამ დეპარტამენტის ადმინისტრაციულ ცენტრში. დღეს საფრანგეთში სულ მოქმედებს 35 სააპელაციო სასამართლო, ამასთან 5 მათგანი იმყოფება „ზღვისმიერ ტერიტორიებსა და დეპარტამენტებში“. უმრავლეს შემთხვევებში სააპელაციო სასამართლოები შედგება რამდენიმე პალატისაგან, ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად უნდა განიხილავდეს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმებს. ასეთი პალატის ოფიციალური სახელწოდებაა — „გამასწორებელ აპელაციათა პალატა“ (chambre des appels correctionnels). გამონაკლისის სახით სააპელაციო სასამართლო შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ერთი პალატისაგან, რომელიც განიხილავს სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმებს. მაგალითად, კუნძულ კორსიკაზე (ქ. ბასტია) განთავსებული სააპელაციო სასამართლო. ასეთ შემთხვევაში იქნება სააპელაციო სასამართლოს ერთადერთი პალატის სისხლის სამართლის განყოფილება. საფრანგეთის სსს კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ან განყოფილება შედგება თავმჯდომარისა და სასამართლოს ორი წევრისაგან, რომლებიც თავიანთ გადაწყვეტილებას იღებენ კოლეგიალურად.

სააპელაციო სასამართლოები განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეებს ინსტანციის ტრიბუნალების (საპოლიციო სასამართლოს) და დიდი ინსტანციის ტრიბუნალის (გამასწორებელ სასამართლოს) გადაწყვეტილებებზე სააპელაციო საჩივრების გამო. ასიზების სასამართლოების განაჩენი სააპელაციო გასაჩივრებას ექვემდებარება ასიზების სხვა სასამართლოში, ე.ი. საქმეები დანაშაულებზე არ მიეკუთვნება სააპელაციო სასამართლოების კომპეტენციას.

საკასაციო სასამართლო განთავსებულია პარიზში და წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეებზე უმაღლეს სასამართლო ორგანოს. ის მოწოდებულია უზრუნველყოს კანონების ერთგვაროვანი გამოყენება საფრანგეთის ყველა ორგანოს მიერ, რომლებიც ახორციელებენ წარმოებას სისხლის სამართლის საქმეებზე, თუმცა არ იძლევა რაიმე (რუსი იურისტებისთვის ჩვეულებრივი გაგებით) სახელმძღვანელო განმარტებას. ის განიხილავს საკასაციო საჩივრებს კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება სააპელაციო წესით გასაჩივრებას. საკასაციო სასამართლო არ ითვლება მესამე სასამართლო ინსტანციად (პირველ და სააპელაციოს შემდეგ), რადგან ის არ წყვეტს საქმეებს არსებითად. მის ამოცანას წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებათა შემოწმება მხოლოდ სამართლებრივ საფუძვლებზე. თუ

საკასაციო სასამართლო ვერ იპოვის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში იურიდიულ შეცდომებს, იგი უარყოფს საჩივარს. წინააღმდეგ შემთხვევებში გადაწყვეტილება უქმდება და საქმე გაიგზავნება ხელახალი განხილვისათვის. სასამართლო გადაწყვეტილებაში დამოუკიდებლად ცვლილებების შეტანის უფლება საკასაციო სასამართლოს არ აქვს. საკასაციო საჩივრებზე საქმეთა განხილვის გარდა, ზოგიერთ შემთხვევაში, საფრანგეთის უმაღლეს სასამართლო ორგანოს კომპეტენციას მიეკუთვნება განსჯადობასთან დაკავშირებული დაევები (სსს კოდექსის 659-ე-661-ე მუხლები) და საქმეთა გადაცემა ერთი იურისდიქციიდან მეორესთვის, თუ არსებობს შესაბამისი საფუძვლები (სსს კოდექსის 662-ე-667-ე მუხლები).

საკასაციო სასამართლოს რეორგანიზაციის შემდეგ (1967 წლის 3 ივლისის კანონით და 1976 წლის 27 იანვრის დეკრეტით) იგი შედგება სამოქალაქო საქმეთა 5 პალატისაგან და სისხლის სამართლის საქმეთა ერთი პალატისაგან (chambre criminelle), რომელიც საფრანგეთის სისხლის სამართლის იურისდიქციის სისტემის სათავეში დგას. საერთო წესის თანახმად, ყველა მისი გადაწყვეტილება კონკრეტულ საქმეებზე გამოდის არანაკლებ 5 მოსამართლის – პალატის წევრების – შემადგენლობით. გამონაკლისის სახით, საკასაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარის ან სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის თხოვნით პალატის სხდომები შეიძლება ჩატარდეს შეკვეცილი შემადგენლობით (სამი მოსამართლე). სასამართლო წყობილების შესახებ კოდექსის 131-ბ-ე მუხლის თანახმად, ეს დასაშვებია იმ საქმეებზე, რომლებიც არ გამოირჩევიან დიდი სირთულით. ნებისმიერ შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ, რომ მათი საქმე განიხილონ მოსამართლეთა სრული შემადგენლობით. თუ ამას მოთხოვს შეკვეცილი პალატის სამი მოსამართლეთაგან ერთ-ერთი, მაშინ მისი მოთხოვნა აუცილებელია.

საქციალიზირებული სასამართლოების სახით სისხლის სამართლის საქმეებზე მოქმედებს არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოები. მათ სისტემაში შედიან: არასრულწლოვანთა საქმეების მოსამართლეები (juges des enfants), არასრულწლოვანთა საქმეების ტრიბუნალები (tribunaux pour enfants), არასრულწლოვანთა საქმეების ასიზების სასამართლო (cours d'assises pour mineurs) და სააპელაციო სასამართლოების საქციალური პალატები. მოცემულ სასამართლო ორგანოთა კომპეტენციას მიეკუთვნება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა იმ პირთა საქმეებზე, რომელთაც არ შესრულებიათ 18 წელი დანაშაულის ჩადენის მომენტში.

გარდა ამისა, მოქმედებენ სისხლის სამართლის პოლიტიკური სა-
სამართლოები და სამხედრო სასამართლოები. პოლიტიკურ სასამართ-
ლოებს წარმოადგენს მარილმსაჯულების უმაღლესი სასამართლო, რო-
მელიც საფრანგეთის კონსტიტუციის 67-ე და 68-ე მუხლების თანახმად.
კომპეტენტურია განიხილოს ბრალდებები ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ
და 1993 წლის 27 ივლისის კონსტიტუციური კანონით შექმნილი
რესპუბლიკის მართლმსაჯულების სასამართლო, რომლის განსჯადიცაა
მთავრობის წევრთა საქმეები. სამხედრო სასამართლოთა ორგანიზაცია
და საქმიანობა მოწესრიგებულია 1982 წლის სამხედრო იუსტიციის
კოდექსით. ისინი ფუნქციონირებენ მხოლოდ ომიანობის დროს, ხოლო
მშვიდობიანობის დროს ასეთი სასამართლოები იქმნება მხოლოდ სამხედ-
რო ნაწილებში, რომლებიც განთავსებულია საფრანგეთის ფარგლებგა-
რეთ.

**2. სასამართლო ორგანოები, რომლებიც აწარმოებენ წინასწარ
გამოძიებას (juridictions d'instruction).** როგორც უკვე აღვნიშნეთ, წი-
ნასწარი გამოძიების წარმოება საფრანგეთში მიეკუთვნება სასამართლო
უწყების კომპეტენციას, ამიტომ საგამოძიებო ორგანოები, რომლებიც
იყოფა საერთო იურისდიქციის და სპეციალიზირებულ საგამოძიებო
ორგანოებად, წარმოადგენენ სასამართლო სისტემის ნაწილს.

არსებობს საერთო იურისდიქციის წინასწარი გამოძიების ორი
ორგანო: გამოძიების მოსამართლე (პირველი ინსტანცია) და ყოფილი
სააპელაციო სასამართლოს საბრალდებო კამერა (მეორე ინსტანცია).
რომელსაც 2000 წლის რეფორმის შემდეგ (15 ივნისის კანონი) ეწოდა
„საგამოძიებო კამერა“ (chambre de l'instruction). დღეს საფრანგეთის
წინასწარ გამოძიებაში განცალკევებული ადგილი უკავია იმავე კა-
ნონით შექმნილ „თავისუფლებათა და დაპატიმრების მოსამართლეს“
(juge des libertés et de la détention), რომელიც საკუთრივ საგამოძიებო
ფუნქციებს არ ასრულებს, მაგრამ წყვეტს არცთუ ისე ცოტა საკითხს
სისხლის სამართლის პროცესის მოცემული სტადიის ფარგლებში
(დასახელებულ ორგანოთა და პირთა ორგანიზაციას, სტატუსსა და
უფლებამოსილებას დაწერილებით განვიხილავთ წინასწარი გამოძიები-
სათვის მიძღვნილ პარაგრაფში). აქვე აღვნიშნავთ, რომ გამოძიების
მოსამართლეები, როგორც ახალი „თავისუფლებათა და დაპატიმრების
მოსამართლენი“, მოქმედებენ დიდი ინსტანციის ტრიბუნალის შემად-
გენლობაში. მათზე სრული მოცულობით ვრცელდება მოსამართლეთა
სტატუსი, მათ შორის დამოუკიდებლობა და უცვლელობა. საგამოძიებო
კამერები შედგება სააპელაციო სასამართლოს სამი წევრისაგან, ერთი

მათგანი ასრულებს საგამოძიებო კამერის თავმჯდომარის ფუნქციას. მოცემული ორგანოს ძირითად ამოცანად, მიუხედავად სახელწოდების შეცვლისა, დარჩა გამოძიების მოსამართლეთა საქმიანობის კონტროლი. თუმცა ამით მისი ფუნქციები არ შემოიფარგება. მეორე ინსტანციის წინასწარი გამოძიების გარდა, საგამოძიებო კამერები ასორციელებენ დისციპლინურ ზედამხედველობას ზოგიერთ თანამდებობის პირებზე (მათ შორის სასამართლო პოლიციის ოფიცრებზე), დაკავებულნი არიან ექსტრადიციის, რეაბილიტაციისა და სხვა საკითხებით.

წინასწარი გამოძიების საქციალიზირებულ ორგანოთა შორის უნდა დავასახელოთ მოსამართლე¹ და არსრულწლოვანთა საქმეების გამოძიების მოსამართლე, გამოძიების მოსამართლე და სამხედრო სასამართლოებში გამოძიებაზე კონტროლის პალატა, მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოსა და რესპუბლიკის მართლმსაჯულების სასამართლოსთან არსებული საგამოძიებო კომისიები.

3. პროკურატურა. საფრანგეთის პროკურატურას სიტყვასიტყვით ეწოდება „საჯარო სამინისტრო“ (ministère public) და წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს სახელმწიფო დაწესებულებას ამ ქვეყანაში, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ XIV საუკუნეში. იგი წარმოადგენს იმ ტიპის პროკურატურების პირველსაწყისს, რომლებიც დღეს ამა თუ იმ მოდიფიკაციებით არსებობენ კონტინენტური ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც. მისი ძირითადი ამოცანაა სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელება პროცესის ყველა სტადიაზე. სისხლის სამართლის საქმეებზე იგი ხელმძღვანელობს სასამართლო პოლიციის მოღვაწეობას, იღებს გადაწყვეტილებას საჯარო სარჩელის აღძვრაზე, შეაქვს სხვადასხვა შუამდგომლობები და მოთხოვნები წინასწარი გამოძიების მსვლელობისას, სასამართლოში მხარს უჭერს ბრალდებას, ასაჩივრებს მისი შეხედულებით უკანონო განაჩენებს და იძლევა დასკვნებს მათი გადასინჯვისას, უზრუნველყოფს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას.

პროკურორები ინიშნებიან საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ იუს-

¹ არასრულწლოვანთა საქმეების მოსამართლე, განსაზღვრულ შემთხვევაში, წარმოადგენს ერთდროულად წინასწარი გამოძიების ორგანოს და საქმის არსებითად განხილვის ორგანოსაც. ე.ი. მას უფლება აქვს განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც აწარმოებდა წინასწარ გამოძიებას. ეს ერთ-ერთია იმგვარი იხე ბევრი გამოსაკლისიდან, სისხლისსამართლებრივი დევნის წინასწარი გამოძიების და სასამართლო განხილვის ფუნქციითა სრული გამოჯერის დასახელებული პრინციპისაგან. საფრანგეთის საკაცთა სასამართლომ საქციალურად განიხილა მოცემული პრობლემა და 1993 წლის 7 აპრილს თავის გადაწყვეტილებაში მაროლზომიერად ცნო ასეთი გამოსაკლისი. ვითარდა იქნა რა არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებების საქმეთა თავისებურებები.

ტიციის მინისტრის წინადადებით და მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს დასკვნის შესაბამისად. ისინი აღჭურვილნი არიან ორმაგი სტატუსით: აღმასრულებელი ხელისუფლების მოხელისა და მაგისტრატის. როგორც მაგისტრატურის წევრები, თავიანთი კარიერის განმავლობაში ისინი შეიძლება მიიწვიონ მოსამართლის მოვალეობების შესასრულებლად, ე.ი. მათი პროკურორის სტატუსი არ არის უცვლელი.

საფრანგეთის პროკურატურისთვის დამახასიათებელია მკაცრი იერარქიული დაქვემდებარება ქვემდგომი პროკურორებისა ზეშემდგომებისადმი. პროკურატურის ორგანიზაცია დაკავშირებულია სასამართლო სისტემის ორგანიზაციასთან, რადგან თითოეული პროკურორი მოქმედებს განსაზღვრულ სასამართლოსთან. ინსტანციის ტრიბუნალებში, სადაც განიხილება სამართალდარღვევათა საქმეები, პროკურატურა სპეციალურად არაა წარმოდგენილი. შესაბამის ფუნქციებს იქ ასრულებენ რესპუბლიკის პროკურორი ან მისი მოადგილე, ანდა იმ ქალაქის პოლიციის კომისარი, სადაც განთავსებულია ტრიბუნალი. ყოველი დიდი ინსტანციის ტრიბუნალთან პროკურატურას ქმნიან რესპუბლიკის პროკურორი და მისი მოადგილეები, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში თანაშემწეებიც, რომლებიც შეადგენენ პროკურატურის საერთოეროვნული სისტემის ქვედა რგოლს.

სააპელაციო სასამართლოებში პროკურატურას წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოში მოქმედი გენერალური პროკურორი და ვენერალურ ადვოკატთა გარკვეული რაოდენობა. მოცემულ დონეს მიღებულია ეუწოდოთ გენერალური პროკურატურა. რაც შეეხება ასიზების სასამართლოს, რადგან ისინი არ წარმოადგენენ მუდმივმოქმედ სასამართლო ორგანოებს, მათთან არაა პროკურატურის სპეციალური რგოლი. ასიზების სასამართლოში ბრალდებას მხარს უჭერენ ან დიდი ინსტანციის ტრიბუნალის პროკურატურის წარმომადგენლები, ან შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები.

საფრანგეთის საკასაციო სასამართლოში არსებობს საკასაციო სასამართლოს გენერალური პროკურორის, პირველი გენერალური ადვოკატისა და 18 გენერალური ადვოკატის თანამდებობა.

პროკურატურის სათავეში დგას იუსტიციის მინისტრი. მას უფლება აქვს მისცეს საერთო მითითებები (ცირკულარები) და კონკრეტულ საქმეებზე მითითებები მისადმი დაქვემდებარებულ პროკურორებს. უკანასკნელ წლებში განიხილება საკითხი პროკურატურის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენლობიდან გამოყოფაზე მისთვის მეტი დამოუკიდებლობის მისაქცეად. არსებობს კონცეფცია, რომ პროკურატურას უნდა ხელმძღვანელობდეს არა იუსტიციის მინისტრი, არამედ

საკაცთა სასამართლო გენერალური პროკურორი. ასეთ შემთხვევაში მას დაერქმევა რესპუბლიკის გენერალური პროკურორი.

4. პოლიცია და ჟანდარმერია. საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების უფლებამოსილება (ე.ი. „ადმინისტრაციული პოლიციის ფუნქცია“) და სისხლის სამართლის საქმეებზე მოკვლევის წარმოება, რაც მოიცავს სისხლის სამართლის კანონის დარღვევის ფაქტების დადგენას, მათზე მტკიცებულებების შეკრებასა და მათ ჩამდენ პირთა ძებნას (ე.წ. „სასამართლო პოლიციის ფუნქცია“), ეკისრება ორ უწყებას: ეროვნულ პოლიციასა და ეროვნულ ჟანდარმერიას.

ეროვნული პოლიცია ექვემდებარება შინაგან საქმეთა მინისტრს და შედგება ორი საკმაოდ ავტონომიური ქვედანაყოფისაგან: ვიწრო გაგებით ეროვნული პოლიციისაგან, რომელიც მოქმედებს დედაქალაქის ფარგლებგარეთ და პარიზის პოლიციის პრეფექტურისაგან. არსებობს აგრეთვე მუნიციპალური პოლიცია, რომლის შექმნა და უფლებამოსილების განსაზღვრა მიეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას.

ეროვნული ჟანდარმერია წარმოადგენს სამხედრო ფორმირებას და შედის თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში. ის შედგება დეპარტამენტის ჟანდარმერიისაგან, რომელიც მოქმედებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების ფარგლებში; მობილური ჟანდარმერიისაგან, რომლის უფლებამოსილებაც არაა განსაზღვრული რაიმე ტერიტორიული ფარგლებით; რიგი სპეციალიზირებული ფორმირებებისაგან (საჰაერო ჟანდარმერია, საზღვაო ჟანდარმერია, პარიზის რესპუბლიკური გეარდია და სხვ.).

§4. მტკიცებულებები და მტკიცება: ამოსაპალი დებულებები

სწავლებას მტკიცებულებათა შესახებ არასოდეს ეკავა ცენტრალური ადგილი საფრანგეთის სისხლის საპროცესო სამართლებრივ მეცნიერებაში. არცთუ ისე დიდი ხნის წინ სისხლის საპროცესო სამართლებრივ მტკიცებულებათა ზოგადი თეორია იქ, პრაქტიკულად, საერთოდ არ არსებობდა, რაც აიხსნება მთელი რიგი ისტორიული და იურიდიული გარემოებებით. ძირითადი მიზეზი ისაა, რომ 1808 წლის სისხლისსამართლებრივი გამოძიების კოდექსის შემდგენები ალბათ ეცადნენ ხაზი გაესვათ მტკიცებულებათა თავისუფალი შუფასების პრინციპისათვის და

თავი აერიდებინათ მტკიცების რთული წესებისათვის, რაც ახასიათებდა ინკვიზიციური პროცესის დროს ფორმალურ მტკიცებულებათა თეორიას, საერთოდ უარი თქვეს მოცემული კოდექსის ტექსტში შეექმნათ მტკიცებულებებისა და მტკიცებისადმი მიძღვნილი სპეციალური კარი ან თავი. შედეგად, XIX საუკუნის განმავლობაში ფრანგული დოქტრინა, რომელიც მაშინ იზიარებდა სამართლის მეცნიერული დამუშავების „ეგზეგეტიკურ მეთოდს“, ე.ი. კანონის ტექსტის მუხლობრივი განმარტების მეთოდს, თითქმის არ აქცევდა ყურადღებას მტკიცებულებათა პრობლემას: რადგან 1808 წლის კოდექსში არაა შესაბამისი თავი, ამიტომ ის არ უნდა იყოს სახელმძღვანელოებსა და სხვა დოქტრინალური წყაროების კურსებში. შედეგად კანონმა ჩამოაყალიბა დოქტრინა, მან კი თავის მხრივ მოახდინა ახალი კანონების ფორმირება იმ სულისკვეთებით, რომლითაც თავად ვითარდებოდა, ე.ი. თავისებური დახურული წრე იკრებოდა. 1958 წლის სსს კოდექსის შემდგენებმა მიბაძეს თავიანთ წინამორბედებს, ასევე არ განაზოგადეს სპეციალურ კარში მტკიცებულებათა შესახებ ნორმები, რომლებიც გაბნეულია კოდექსის მთელ ტექსტში.

მტკიცებულებითი სამართალი საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში დამუშავებულია შედარებით სუსტად, ვიდრე სხვა კონტინენტურ ან ანგლოსაქსონურ ქვეყანაში. საქმის ვითარება მოცემულ სფეროში იცვლება, რასაც ხელს უწყობს შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევები. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დოქტრინამ გადალახა ეგზეგეტიკური მეთოდი, დაიწყო მტკიცებულებათა შესახებ სწავლებისათვის ყურადღების გამახვილება (შესაბამისი კარები პირველად გაჩნდა გ. ვიდალის¹ და რ. გაროს² სისხლის სამართალწარმოების კურსებში). დღეს საფრანგეთის სისხლის საპროცესო სამართლებრივ მეცნიერებას აქვს მტკიცებულებათა საკუთარი ზოგადი თეორია, მიუხედავად იმისა, რომ პოზიტიურ სამართალში ის ჯერ არაა. საყოველთაოდ მიღებული მიდგომის თანახმად, რომელმაც ასახვა ჰპოვა თითქმის ყოველ თანამედროვე ფრანგულ სისხლის სამართლის პროცესის კურსში ან სახელმძღვანელოში, სწავლება მტკიცებულებათა შესახებ შედგება სამი ნაწილისაგან: 1) მტკიცების ტვირთის პრობლემა; 2) მტკიცებულებათა საშუალებების პრობლემა; 3) მტკიცებულებითი ძალის პრობლემა.

1. *მტკიცების ტვირთი* (charge de la preuve). მტკიცების ტვირთის

1 *Vidal G. Cours de droit criminel et de science pénitentiaire. 2 ed., Paris, 1902.*

2 *Garrud R. Traité théorique et pratique d'instruction criminelle et de procédure pénale. Tt. I et II. Paris, 1907.*

პრობლემა დაკავშირებულია საკითხთან, თუ ვინაა ვალდებული განხორციელოს მტკიცება იმ გარემოებებისა, რომლებიც საჭიროებენ დადგენას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლის სამართლის სამართლებრივი კანონმდებლობა არ იძლევა ზოგად პასუხს ამ კითხვაზე, ამიტომ ის შეიძლება ვეძიოთ მხოლოდ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში.

ფრანგულ ლიტერატურაში მტკიცების ტვირთის პრობლემა მიღებულია გაეანალიზოთ უდანაშაულობის პრეზუმეციის გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს მოცემულ საკითხში თავისებურ საყრდენ წერტილს. ამ პრინციპის არსებობა დიდი ხანია აღიარებული იყო საფრანგეთში („საფრანგეთის დეკლარაცია ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების შესახებ“, მე-9 მუხლი), თუმცა სისხლის სამართლის სამართლებრივ კანონში უდანაშაულობის პრეზუმეცია თავიდან არ იყო ნახსენები. პრობლემის კონსტიტუციურ-სამართლებრივი და საერთაშორისო-სამართლებრივი გადაწყვეტა განსაზღვრულ ეტაპზე ფრანგმა კანონმდებელმა მიიჩნია არასაკმარისად. 1993 წლის 4 იანვრის კანონმა შეავსო საფრანგეთის მოქმედი სამოქალაქო კოდექსი (Code civil) მე-9-1 მუხლით, სადაც ნათქვამია, რომ „ყველას აქვს უფლება, რომ მის მიმართ დაიცვან უდანაშაულობის პრეზუმეცია“. მოცემული პრინციპი საფრანგეთში გახდა სამოქალაქო-სამართლებრივი და საერთო-სამართლებრივი კი, მაგრამ სისხლის სამართლის კანონი კვლავ „დუმდა“. 2000 წლის 15 ივნისის კანონმა შეძიოდა სსს კოდექსში მუხლი-პრეამბულა, სადაც ჩამოაყალიბა უდანაშაულობის პრეზუმეციის სისხლის-სამართლებრივი ვარიანტი: „ნებისმიერი ეჭვმიტანილი ან სისხლის სამართლის წესით დევნილი პირი პრეზუმირებულია უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალი არ დადგინდება“¹.

საფრანგეთის სამართალში უდანაშაულობის პრეზუმეციის პრინციპის არსებობას სასამართლო პრაქტიკა და დოქტრინა მიჰყავს დასკვნამდე, რომ, თუ პირი ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი ბრალი არ დადასტურდება, მაშინ ამ პირის ბრალი უნდა დაადგინოს ბრალდებამ. აქედან გამომდინარეობს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდებას, ე.ი. პროკურატურას, რომელიც მის მიერ აღძრულ საჯარო სარჩელს წაუყენებს ბრალდებულს და სამოქალაქო მოსარჩელეს, რომელმაც პირს

¹ კანონებს ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ სხვა კანონებში საფრანგეთში აქვთ თავიანთი საკუთარი დასახლება. 2000 წლის 15 ივნისის ვრცელი კანონი სსს კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ და ზოგიერთი სხვა საკანონმდებლო აქტები იწოდება ასე: „უდანაშაულობის პრეზუმეციის განმტკიცებისა და დაზარალებულის უუღბლო შეხებუ კანონი“. სახელდობრ, ასეთ კონტრასტში უნდა გაეთვოთ მისი მუხლი - ჩემამბულა.

წაუყენა სამოქალაქო სარჩელი. მაგრამ ასეთი დასკვნა არ წარმოადგენს აბსოლუტურს, რადგან ბრალდებას არ ეკისრება მტკიცების ტვირთი საქმის ყველა გარემოებაზე – ზოგიერთ გარემოებათა არსებობა უნდა დაამტკიცოს დაცვამ.

ამრიგად, რამდენად აწევს მტკიცების ტვირთი ბრალდებას, ე.ი. საქმის რომელი გარემოებები უნდა დაამტკიცოს უშუალოდ მან? ზოგადი სახით, შეიძლება გამოვეყოთ ასეთი გარემოებების სამი ჯგუფი. პირველი, ბრალდებამ უნდა დაამტკიცოს ზოგიერთი ფორმალური გარემოების არარსებობა, რაც გამორიცხავს კონკრეტულ საქმეზე წარმოებას (ესენია: აზნისტიის აქტი, შესაბამისი სისხლის სამართლის კანონის გაუქმება, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლა და ა.შ.). მეორე, ბრალდებას ეკისრება ე.წ. „დანაშაულის მატერიალური ელემენტის“ (ცნება გამოყენებულია საფრანგეთის სისხლის სამართლის თეორიაში.) მტკიცების ტვირთი, ე.ი., რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულებრივ ქმედებას, იგი ჩაიდინა განსაზღვრულმა პირმა, ქმედება ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში და ა.შ. მესამე, ბრალდებამ უნდა დაამტკიცოს პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში, ე.ი. მის ქმედებაში განზრახვის ან გაუფრთხილებლობის არსებობა. ცხადია, რომ ბრალდებას აწევს საქმის ძირითადი გარემოებების მტკიცების ტვირთი. დაცვა უფლებამოსილია მაგრამ არაა ვალდებული ისინი უარყოს, რაც გამომდინარეობს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან. ამავე დროს, როგორც აღნიშნულია ფრანგულ ლიტერატურაში, ეს არის მხოლოდ პრინციპი, არ წარმოადგენს „დოგმას“¹. ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი გადადის დაცვაზე.

მტკიცების ტვირთის დაცვისთვის (ბრალდებული და მისი ადვოკატი) დაკისრება ხდება, პირველ რიგში, საქმეთა გარკვეულ კატეგორიებზე, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულთა ცალკეულ სახეებთან (მტკიცების ტვირთის სპეციალური წესები) და, მეორე რიგში, ყველა სისხლის სამართლის საქმეზე, როდესაც საუბარია ზოგიერთი გარემოებების დამტკიცებაზე (დაცვაზე მტკიცების ტვირთის დაკისრების საერთო წესები).

საერთო წესის სახით, სწორედ დაცვა ხდება ვალდებული დაამტკიცოს გარემოებათა არსებობა, რომლებიც გამორიცხავენ ქმედების დანაშაულებრიობას (მაგალითად, აუცილებელი მოგერიება), რაზეც არაერთხელ მიუთითა საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ. ხანდახან, სასამართლოები ითხოვენ, რომ დაცვამ დაამტკიცოს სუბიექტური გარე-

¹ Prudel J. Op. cit. P. 313.

მოებები, რომლებიც გამორიცხავენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (მაგალითად, შეურაცხადობა დანაშაულის ჩადენის მომენტში). არსებობს სხვა გარემოებებიც, რომელიც უნდა დაამტკიცოს დაცვამ: იმუნიტეტის არსებობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისას, იმავე დანაშაულისთვის ნასამართლობის ფაქტი უცხო სახელმწიფოში და სხვა.

საკუთარი შემთხვევები, როდესაც თავისი უდანაშაულობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდებულს, საკმაოდ მრავალადაა საფრანგეთის კანონმდებლობაში. მაგალითად, საფრანგეთის სს კოდექსის 225-6-ე მუხლის მე-3 პუნქტით პირი დამნაშავედ ითვლება შუამავლობაში, თუ ის „ვერ შეძლებს დაასაბუთოს შემოსავლის წყარო, რომელიც შეესაბამება მისი ცხოვრების წესს და ცხოვრობს პირთან, რომელიც სისტემატურად ეწევა პროსტიტუციას...“ აქ შემოსავლის მიღების ლეგალურობის მტკიცების ვალდებულება პირდაპირ დაკისრებულია ბრალდებულზე. სხვა მაგალითია – საბაჟო კოდექსის 418-ე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ საბაჟო ზონაში ამოღებული საქონელი, შესაბამისი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, პრეზუმირებულია კონტრაბანდად.

გამონაკლისების ჩამონათვალი ზოგადი წესიდან იმის შესახებ, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდებას, შეიძლება გადაკვეთილი იყოს. ასეთი სახის მიღვამა დიდი ხანია ტრადიციული გახდა ფრანგულ მტკიცებულებით სამართალში. ზოგიერთი კრიტიკულად განწყობილი იურისტი ამის გამო ეჭვქვეშ აყენებს უდანაშაულობის პრეზუმფციის არსებობას საფრანგეთში. როგორც არ უნდა იყოს, ფაქტი რჩება ფაქტად – მტკიცების ტვირთის პრობლემა აქ გადაწყვეტილია არაერთგვაროვნად.

მტკიცების ტვირთის განაწილებაზე საუბრისას ბრალდებასა და დაცვას შორის, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფრანგულ სისხლის სამართლის პროცესში, რომელიც წარმოადგენს კონტინენტური ტიპის პროცესს, საქმის მწარმოებელი ორგანო წინასწარი გამოძიების ეტაპზე (გამოძიების მოსამართლე) ამ სასამართლო განხილვის დროს (სასამართლო) თამაშობს აქტიურ როლს. ის ვალდებულია დაადგინოს ჭეშმარიტება საქმეზე მხარეთა ინიციატივისაგან დამოუკიდებლად და, შესაბამისად, უფლებამოსილია დამოუკიდებლად განახორციელოს მტკიცება. ლოგიკურია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ბრალდების (ზოგადი წესის სახით) და დაცვის (ზშირი გამონაკლისის სახით) გარდა მტკიცების ტვირთი საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში ეკისრება აგრეთვე გამოძიების მოსამართლეს და სასამართლოს. საკითხის

ამგვარი დაყენება დამახასიათებელია წინასწარი გამოძიებისთვის, სადაც მხარეები საერთოდ არაა და სადაც გამოძიების მოსამართლე დამოუკიდებლად, საიდუმლო და წერილობითი ფორმით აგროვებს მტკიცებულებებს. თუმცა იგი გამოიყენება სასამართლო განხილვის სტადიის დროსაც, რომელშიც სასამართლო წარმოადგენს „პროცესის სრულყოფილებიან ბატონ-პატრონს“.

2. *მტკიცების საშუალებანი* (moyens de preuve). მტკიცებულებათა ფრანგული თეორიის ნაწილი, რომელიც ეძღვნება მტკიცების საშუალებათა გამოკვლევის პრობლემას არის ნაწილი, პირველ რიგში, რომელიც ეხება მტკიცებულებათა სახეებს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება განხორციელდეს მტკიცება, ხოლო, მეორე რიგში, მათი მიღების საპროცესო წესის შესახებ.

ფრანგული მტკიცებულებითი სამართლის ზოგად პრინციპად მიღებულია მტკიცებულებათა თავისუფლების პრინციპი (liberte de la preuve). ეს პრინციპი საკმაოდ ნათლადაა ფორმირებული საფრანგეთის სსს კოდექსის 427-ე მუხლის პირველ ნაწილში, სადაც ნათქვამია: „ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, როდესაც კანონი ითვალისწინებს სხვა რამეს, დანაშაულებრივი ქმედების არსებობა შეიძლება დადგინდეს მტკიცებულებათა ნებისმიერი სახის მეშვეობით, ხოლო მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას თავის შინაგან რწმენაზე დაყრდნობით“. სხვა სიტყვებით, სისხლის საპროცესო სამართლებრივი კანონი არ შეიცავს მტკიცებულებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელიც უნდა გამოვიყენოთ მტკიცების პროცესში. ნებისმიერი მტკიცებულება დასაშვებია, მიუხედავად იმისა, დასახელებულია თუ არა ის კანონში. აქედან ქამომდინარე, საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში არასდროს არ წარმოიქმნებოდა პრობლემა დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად მტკიცებულებათა ახალი წყაროების გაჩენასთან (ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, ელექტრონული თვალთვალის მონაცემები და ა.შ.), რადგან მათი გამოყენება მტკიცების პროცესში არ მოითხოვდა ცვლილებების შეტანას სსს კოდექსში ან მტკიცებულებათა ტრადიციული სახეების ახლებურ განმარტებას. თუ მტკიცების პროცესში სისხლის სამართლის საქმეებზე არაა მიღებული სიცრუის დეტექტორის (პოლიგრაფი) გამოყენება, მაშინ ეს ხდება არა ფორმალური წინააღმდეგობების გამო (სსს კოდექსში მტკიცებულებათა ასეთი სახეების არარსებობა), არამედ იგი არ გამოიყენება სხვა მიზეზების, ძირითადად, მის მიმართ მოსამართლეებისა და გამოძიების მუშაკთა უნდობლობისა გამო.

რასაკვირველია, არსებობს მტკიცებულებათა თავისუფლების პრინციპიდან გამონაკლისები, რომელთა წარმოშობის შესაძლებლობაც პირდაპირ დაშვებულია სსს კოდექსის ზემოთ ციტირებულ 427-ე მუხლში. ერთ-ერთი მათგანი ეხება სისხლის სამართლის ყველა საქმეს: სსს კოდექსის 432-ე მუხლის თანახმად, „წერილობითი მტკიცებულება არ შეიძლება მიიღონ განსასჯელსა და მის ადვოკატს შორის მიმოწერიდან“. ამ ნორმით გარანტირებულია საადვოკატო საიდუმლოება, რაც დაკავშირებულია ბრალდებულის დაცვის უფლების უზრუნველყოფასთან.

მტკიცებულებათა თავისუფლების პრინციპიდან სხვა გამონაკლისები შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმეთა განსაზღვრულ კატეგორიებზე. სსს კოდექსის 537-ე მუხლის თანახმად, სამართალდარღვევები (სისხლის სამართლის კანონის შედარებით მძიმე დარღვევები) მტკიცდება ოქმებითა და პატაკებით, რომელთაც აღგენენ სასამართლო პოლიციის თანამშრომლები. მხოლოდ ასეთის არარსებობის ან მათში არსებული მონაცემების დადასტურებისთვის დაიშვება მტკიცება მოწმეთა ჩვენების დახმარებით. ოქმების ან პატაკების მონაცემების უარყოფა შეიძლება მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის გზით ან შესაბამისი მოწმის გამოძახებით. აქ ჩვენ ეხედავთ მტკიცების პროცესის არსებით ფორმალიზებას და თავისუფლების პრინციპის უარყოფას. ამ პრინციპიდან გამონაკლისთა ჩამონათვალი შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა, მაგრამ სხვა შემთხვევებს აქვთ არა საერთო, არამედ კერძო ხასიათი და შეეხებიან კონკრეტულ საქმეთა კატეგორიებს.

საფრანგეთის მტკიცებულებითი სამართალი უშვებს თავისუფლებას მტკიცებულებათა სახეების განსაზღვრაში, რომლებიც გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცების პროცესში, საკმაოდ მკაცრად აწესრიგებს მათი შეკრების პროცედურას. სხვა სიტყვებით, საქმის გარემოებები შეიძლება დამტკიცდეს მტკიცებულებების ნებისმიერი სახის მეშვეობით. ეს არ ნიშნავს, რომ მტკიცებულებები შეიძლება შეიკრიბოს ნებისმიერი საშუალებით. თუმცა, „მტკიცებულებათა შეკრების კანონიერი რეჟიმის“ პრინციპი განიმარტება არა იმ მნიშვნელობით, რომ ორგანოს, რომელიც აწარმოებს საქმეს, უფლება აქვს შეასრულოს მხოლოდ სსს კოდექსით გათვალისწინებული ქმედებები, არამედ, ისე, რომ მტკიცების პროცესში ან საპროცესო მოქმედებათა წარმოებისას არ შეიძლება დავარღვიოთ საპროცესო კანონი მათთვის აკრძალულ მოქმედებათა ჩატარებით. თუ კანონში არაა პირდაპირი აკრძალვა ან სხვა მკაფიო მითითებები, რომლებიც ზღუდავენ საქმის მწარმოებლის საპროცესო ინიციატივას, ეს გაგებულია როგორც ნებართვა ნებისმიერი

საპროცესო მოქმედების ჩატარებაზე საკუთარი შეხედულებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ შესახებ არაა მითითება სსს კოდექსში. მოცემული იდეა ზოგადი სახით გამოხატულია სსს კოდექსის 81-ე მუხლის პირველ ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ გამოძიების მოსამართლეს უფლება აქვს აწარმოოს „ყველა საგამოძიებო მოქმედება, რომელთაც ის ჩათვლის საჭიროდ ჭეშმარიტების დასადგენად“. მტკიცებულებათა სახეების ამომწურავი ჩამონათვალის არარსებობას ემატება იმ საპროცესო მოქმედებთა ამომწურავი ჩამონათვალის არარსებობა, რომლებიც დაშვებულია მტკიცების პროცესში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ფრანგულ მტკიცებით სამართალთან მიმართებაში შეიძლება ვისაუბროთ მტკიცებულებათა მხოლოდ ტიპურ სახეებზე, რომლებიც გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში. სწორედ ამა თუ იმ მტკიცებულებათა სახის გავრცელება და გარემოება იმის თაობაზე, რომ მათი მიღების პროცესში ილახება თუ არა პიროვნების უფლებები წარმოადგენენ იმის კრიტერიუმებს, რომ მტკიცებულებათა ზოგიერთმა სახემ მიიღო ზუსტი რეგლამენტაცია საპროცესო სამართლებრივ კანონში. მტკიცებულებათა ასეთ სახეებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ბრალდებულის ჩვენება, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტის დასკვნა, საპოლიციო და საგამოძიებო მოქმედებათა ოქმები. დოკტრინაში მიღებულია მტკიცებულებათა ცალკეული სახეების ფორმით გამოვყოთ სამხილები (indices) და მატერიალური კონსტატაციები (constatations matérielles). განვიხილოთ უფრო დეტალურად ზოგიერთი ამ მტკიცებულებათა სახეებიდან.

ბრალდებულის ჩვენებები შეიძლება მივიღოთ მხოლოდ ბრალდებულის დაკითხვის შედეგად, რომელიც ტარდება გამოძიების ან სასამართლო განხილვის პროცესში. მათ აქვთ ორმაგი დანიშნულება: პირველი – იგი არის მტკიცების საშუალება, რაც აუცილებელია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად; მეორე – ბრალდებულის ჩვენება განიხილება, როგორც დაცვის უფლების განხორციელების ერთ-ერთი საშუალება. სწორედ ამ უკანასკნელის გამო გამოძიების მოსამართლე და მოსამართლე ვალდებულნი არიან დაკითხონ ბრალდებული მისგან ჩვენების მიღების მიზნით, მინიმუმ ერთხელ მაინც წინასწარი გამოძიების მსვლელობისას და სასამართლო განხილვისას. დაკითხვის დროს ბრალდებული (მოწმეთაგან განსხვავებით) არ დებს ფიცს. მის მიერ თავისი ბრალის აღიარება განიხილება როგორც რიგითი მტკიცებულება, რაც პირდაპირაა გათვალისწინებული სსს კოდექსის 428-ე მუხლში: „აღიარება, როგორც მტკიცებულებათა ნებისმიერი სახე, ექვემდებარება

მოსამართლეთა თავისუფალ შეფასებას“.

მოწმეთა ჩვენებებში უნდა ვიგულისხმოთ ზეპირი შეტყობინება, რომელიც მოაწოდა მოსამართლეს (გამოძიების მოსამართლის ჩათვლით) ან სასამართლო პოლიციის ოფიცერს იმ პირმა, რომელიც გამოძახებულია მოწმის სახით დასამტკიცებელ გარემოებებზე, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პირდაპირ ან ირიბად. საფრანგეთში დაზარალებულის ჩვენება არ განიხილება როგორც მტკიცებულებათა განსაკუთრებული სახე და გათანაბრებულია მოწმეთა ჩვენებებთან. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი აქვს თუ არა სამოქალაქო სარჩელი, დაზარალებული დაიკითხება როგორც მოწმე. იმავედროულად, სამოქალაქო მოსარჩელე მოცემულ შემთხვევაში აღჭურვილია ზოგიერთი უფლებით, რომელიც არ აქვს სხვა მოწმეებს („ასისტირებული მოწმეების“ გარდა), მაგალითად, აღვოკატის თანდასწრების უფლებით დაკითხვის წარმოებისას.

მოწმეთა ჩვენებები შეიძლება მიღებულ იქნეს მოკვლევის მსვლელობის, წინასწარი გამოძიების ან სასამართლო განხილვის დროს. თუმცა, მოწმის სახით პირის დაკითხვის საპროცესო წესი შეიძლება განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, ის ტარდება სისხლის სამართლის პროცესის წინასასამართლო სტადიაზე (მოკვლევა), თუ სასამართლოში (წინასწარი გამოძიება, სასამართლო განხილვა).

მოკვლევის წარმოების პროცესში, de jure, ჯერ კიდევ არაა „მოწმის ჩვენება“, არის უბრალოდ „პირის ჩვენება“, რომელიც de facto წარმოადგენს სასამართლო პოლიციისათვის ექვივალენტს ან მოწმეს. მოკვლევის მსვლელობისას დასაშვებია ანონიმური ჩვენებებიც, რაც პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება. სასამართლო პოლიციის ოფიცერი აკეთებს დაკითხვის ოქმში აღნიშვნას, რომ ჩვენება მიღებულია პირის მიერ, რომელიც „ნლობას იმსახურებს, მაგრამ ანონიმურობის დაცვა სურს“. იურიდიულად ეს დასაშვებია იმის გამო, რომ სსს კოდექსში არაა ნორმა, რომელიც ავალდებულებს სასამართლო პოლიციას, გაარკვიოს დაკითხვის დროს პირის ანკეტური მონაცემები და შეიტანოს ისინი ოქმში¹. სსს კოდექსის 62-1-ე მუხლის თანახმად, რომელიც შემოიღო 1995 წლის 21 იანვრის კანონმა, მოკვლევის დროს დასაკითხ პირს, რომელიც თანახმაა აცნობოს ოქმში მონაცემები თავისი პიროვნების შესახებ, უფლება აქვს მიუთითოს თავისი სახლის მისამართის ნაცვლად პოლიციის კომისარიატის მისამართი, სადაც წარმოებდა

1 „ასისტირებული მოწმეების“ ინსტიტუტის შესახებ. იხ. §7 მოცემულ თავში.

2 წინასწარი გამოძიების წარმოებისას და სასამართლო განხილვისას ასეთი ვალდებულება არსებობს, რაც გამოპირიყნავს შესაძლებლობას ანონიმურ მოწმეთა ჩვენებებზე გამოიყენონ მტკიცებულებად პროცესის ამ სტადიაზე.

დაკითხვა (თუ ამის წინააღმდეგი არაა რესპუბლიკის პროკურორი, რომელიც ახორციელებს კონტროლს მოკვლევაზე). ასეთი „კვაზი-მისამართი“ ინარჩუნებს ძალას პროცესის შემდგომ სტადიებზეც, როდესაც გამოძიების მოსამართლე ან მოსამართლე ვალდებულია გამოარკვიონ მოწმის დაკითხვის დაწყებამდე მისი საცხოვრებელი ადგილი. ყოველ საპოლიციო უბანში ამჟამად წარმოებს მონაცემთა სპეციალური ბანკი, სადაც შეიტანება მონაცემები მოწმეთა რეალური საცხოვრებელი ადგილის შესახებ, რომელთაც სურთ შეინახონ ეს საიდუმლოდ. შესაბამისად, თუ სასამართლოსთვის აუცილებელია ასეთი მოწმის გამოძახება, ის უწყებას აგზავნის „კვაზი-მისამართზე“ ე.ი. პოლიციის კომისარიატში, რომელმაც იცის მისი ნამდვილი მისამართი და ვალდებულია მოძებნოს გამოძახებული მოწმე. მოცემული საკანონმდებლო ნოვაცია მიმართულია მოწმეთა დაცვისაკენ, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ სხვადასხვა ზემოქმედების ქვეშ.

საერთო წესის თანახმად, მოწმე ვალდებულია გამოცხადდეს და მისცეს ჩვენება ფიცის¹ ქვეშ. არსებობს მოწმეთა პრივილეგიის ორი სახე, რომლებიც ათავისუფლებს მოწმეს ამ მოვალეობისაგან. პირველ შემთხვევაში საუბარია ფიცის დადებისაგან მოწმეთა გათავისუფლებაზე. ასეთი პრივილეგიით აღჭურვილნი არიან ბავშვები თექვსმეტ წლამდე, დაზარალებული, რომელიც გამოდის პროცესში სამოქალაქო მოსარჩელის სახით, ასევე სსს კოდექსის 335-ე და 448-ე მუხლებში ჩამოთვლილ ნათესავთა სხვადასხვა კატეგორიები: მეუღლეები (მათ შორის განქორწინების შემდეგაც), შეილები, მშობლები, ძმები, დები და სხვ. აღნიშნულ პირთა ჩვენებები განიხილება არა როგორც სრულფასოვანი მტკიცებულებანი, არამედ როგორც „უბრალო მონაცემები“ (simple reenseignements). მიუხედავად კანონის ამგვარი ფორმულირებისა, რაც ფორმალურ მტკიცებულებათა თეორიისაგან ხედა მას წილად მექვიდრობით, არაფერი უშლის ხელს მოსამართლეს, რომ მან ჩამოიყალიბოს თავისი შინაგანი რწმენა და მიიღოს შესაბამისი საპროცესო გადაწყვეტილება ასეთ „უბრალო მონაცემებზე“ დაყრდნობით. პირთა მოცემულ კატეგორიებს აქვთ უფლება, რომ მისცენ ჩვენება ფიცის ქვეშ (თუ ამის წინააღმდეგი არ არიან ბრალდება ან დაცვა).

მოწმეთა პრივილეგიის მეორე სახე ითვალისწინებს ჩვენებათა მი-

¹ მოკვლევის პროცესში ფიცი არ დაიდება, ე.ი. მას ადგილი უნდა ჰქონდეს დაკითხვისას, რომელსაც ატარებს გამოძიების მოსამართლე წინასწარი გამოძიების წარმოების დროს ან სასამართლო - სასამართლო განხილვის წარმოებისას. ამის გარდა, სსს კოდექსის ახალი 113-7-ე მუხლის თანახმად (2000 წლის 15 ივნისის კანონით), ფიცი არ ღებენ „ამისტრუბული მოწმეები“ (იხ. მოკვლევი თავი, §7), ე.ი. აქ საუბარია მხოლოდ „უბრალო მოწმეებზე“.

ცემის ვალდებულებისაგან სრულ გათავისუფლებას. ამით აღჭურვილნი არიან პირთა სხვადასხვა კატეგორიები, რომლებიც შეზღუდულნი არიან პროფესიული საიდუმლოებებით: ექიმები, სასულიერო პირები, ნოტარიუსები, ადვოკატები, პოლიციის თანამშრომლები, როდესაც საუბარია საიდუმლო ინფორმაცორთა შესახებ მონაცემთა გამჟღავნებაზე. სსს კოდექსში არაა შესაბამისი ნორმები და მოცემულ პირთა. სია წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკის შედეგს, რომელიც ჩამოყალიბდა მრავალი წლის განმავლობაში. აქვთ თუ არა უფლება ამ პირებს, რომ მათ არ მისცენ ჩვენება? ზოგადი წესის თანახმად არ აქვთ, ე.ი. პროფესიული საიდუმლოს დაცვის ვალდებულება უფრო მკაცრია, ვიდრე მოწმის სახით ჩვენების მიცემის ვალდებულება. თუმცა, სასამართლო პრაქტიკა იცნობს გამონაკლისებს, რომლებიც უფლებას აძლევს პროფესიული საიდუმლოთი შეზღუდულ პირებს, რომ მათმა მისცენ მოწმის ჩვენება: მაგალითად, თუ მათთვის აუცილებელია გააქარწყლონ მათდამი ეჭვი (საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 1967 წლის 20 დეკემბერი).

სსს კოდექსში 1993 წლის 4 იანვარს შემოღებული 109-ე მუხლის მე-2 ნაწილში ნათქვამია, რომ „ნებისმიერი ჟურნალისტი, რომელიც დაიკითხება მოწმის სახით იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მან მიიღო თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, უფლებამოსილია არ გაამჟღავნოს ინფორმაციის წყარო“. ეს ერთადერთი შემთხვევაა მოწმის პრივილეგიის ჩვენთვის საინტერესო სახისა, რომელიც პირდაპირ განმტკიცებულია სისხლის საპროცესო სამართალში.

ექსპერტის დასკვნა როგორც მტკიცებულება წარმოადგენს ექსპერტიზის შედეგს, რომელიც იწარმოება იმ დროს, როდესაც „წარმოიშობა ტექნიკური ხასიათის საკითხი“ (სსს კოდექსის 156-ე მუხლი). მტკიცებულებათა ეს სახე შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ წინასწარი გამოძიების მსვლელობისას ან სასამართლო განხილვის დროს. ფორმალურად, მოკლევის დროს ექსპერტიზის წარმოება გამორიცხულია, თუმცა სსს კოდექსის მე-60 და 77-ე მუხლებში ნათქვამია, რომ, თუ აუცილებელია „კონსტატაციებისა და აგრეთვე ტექნიკური ან სამეცნიერო გამოკვლევების“ სასწრაფოდ წარმოება, ამ შემთხვევაში სასამართლო პოლიციის ოფიცერი უფლებამოსილია მიმართოს „მცოდნე პირთა“ დახმარებას. მოცემული ნორმა დიდხანს იწვევდა დისკუსიას, მაგრამ დღეს ზოგადად აღიარებული შეხედულებებით აქ საუბარია არა ექსპერტიზაზე, არამედ სხვა საპროცესო მოქმედებებზე.

ძირითადი წესი გვამცნობს, რომ ექსპერტის დასკვნა შეიძლება გასცეს იურიდიულ ან ფიზიკურმა პირმა, რომელიც შეყვანილია ექსპერტთა საერთო ეროვნულ სიაში, რომელსაც ადგენს საკასაციო სასამართლოს ბიურო, ან სააპელაციო სასამართლოს მიერ შედგენილ ერთ-ერთ სიაში, შესაბამის გენერალურ პროკურორთან შეთანხმებით. მოცემული სიების შედგენის წესს და მათში განსაზღვრული პირების შეყვანის პირობებს აწესრიგებს მოქმედი 1974 წლის 31 დეკემბრის დეკრეტი. ამ სიებში შეყვანილი პირები დებენ საერთო ფიცს, რაც გამოძიების მოსამართლეს ან სასამართლოს ართმევს ვალდებულებას ყოველ კონკრეტულ საქმეზე ასეთ ექსპერტს დაადებინოს ფიცი. გამო-ნაკლისის სახით საექსპერტო დასკვნა შეიძლება მისცეს ასევე პირმა, რომელიც არ შედის ექსპერტთა არც ერთ ოფიციალურ სიაში, რომელიც ინიშნება იმ ორგანოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, რომელიც ახორციელებს საქმეზე წარმოებას. თავისი მოვალეობების შესრულების დაწყებამდე ექსპერტი, რომელიც დანიშნულია მსგავსი წესით, დებს ფიცს, რაც ფიქსირდება ცალკე ოქმში.

ექსპერტიზის დასრულების შემდეგ, ექსპერტი ან ექსპერტთა ჯგუფი (კომისიური ექსპერტიზის ჩატარებისას) ადგენს დოკუმენტს, რომელსაც სსს კოდექსის 166-ე მუხლი „მოხსენებას“ უწოდებს, მასში გადმოცემულია ჩატარებულ გამოკვლევათა და საკუთარი დასკვნების აღწერა. ეს მოხსენება წარმოადგენს მტკიცებულებას სისხლის სამართლის საქმეზე, რომელსაც მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპის თანახმად არ აქვს რაიმე წინასწარ დადგენილი ძალა და შეფასდება სხვა მტკიცებულებებთან ერთად. სსს კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, თუ ექსპერტის დაკვნა ეწინააღმდეგება სასამართლო განხილვის პროცესში მიღებულ მოწმეთა ჩვენებებს, აგრეთვე, თუ ეს უკანსკელნი შეიცავენ „ტექნიკური თვალსაზრისით ახალ მონაცემებს“, სასამართლო ისმენს მხარეთა მოსაზრებებს და ამის შემდეგ გამოაქვს მოტივირებული გადაწყვეტილება სასამართლო კამათის დაწყების, ანდა სასამართლო განხილვის გადადების შესახებ. უკანსკელ შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს დანიშნოს დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზა.

სამხილები და მატერიალური კონსტატაციები. მტკიცებულებათა მოცემული სახე, რომელსაც გამოყოფენ ყველა ფრანგი პროცესუალისტები, წარმოადგენს კრებით ცნებას. თუმცა, სამხილებსა და მატერიალურ კონსტატაციებს შორის ზღვარი არ არის მკვეთრად გაელე-ბული. მათ მიეკუთვნება შემთხვევის ადგილის დათვალიერების და პროცესის სხვადასხვა მონაწილეთა შემოწმების შედეგები, ჩხრეკისა

და ამოღების წარმოებისას ამოღებული ნივთები, შედარებითი გამოკვლევისათვის საჭირო ნიმუშები, ნივთიერი მტკიცებულებები, დანაშაულის კვალი (თითების ანაბეჭდი) და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში სამხილები და მატერიალური კონსტატაციები შეიძლება უშუალოდ გამოიკვლიონ სასამართლო პოლიციამ, გამოძიების მოსამართლემ ან მოსამართლემ, ხოლო სხვა შემთხვევაში საჭიროა ექსპერტის მიერ მათი „ინტერპრეტაცია“. ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრება, რომ სამხილები წარმოადგენენ ე.წ. „სასამართლო პრეზუმციებს“, ე.ი. ფაქტებს, რომელთა არსებობიდანაც გამოძიებას ან სასამართლოს შეუძლიათ გააკეთონ დასკვნები დანაშაულებრივი ქმედების, გარკვეული პირის ბრალეულობის ან არაბრალეულობის შესახებ და ა.შ.

3. *მტკიცებულებითი ძალა* (force probante). მტკიცებულებითი ძალის პრობლემა დაკავშირებულია მტკიცებულებათა შეფასებასთან, ე.ი. საკითხთან იმის შესახებ, თუ როგორი ძალა აქვს ამა თუ იმ მტკიცებულებას, როგორ უნდა შეფასდეს ისინი და როგორ უნდა მიიღოს მოსამართლემ გადაწყვეტილება ურთიერთგამომრიცხავ მტკიცებულებათა გარკვეული ერთობლიობის არსებობისას.

მრავალი საუკუნის განმავლობაში საფრანგეთში, როგორც ცნობილია, ბატონობდა ინკვიზიციური (სამძებრო) პროცესი, მისთვის დამახასიათებელი „ფორმალური მტკიცებულებების თეორიით“ (იხ. პირველი თავი, §2). საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ წერტილი დაუსვა პროცესის ამ ფორმას. სანაცვლოდ მოვიდა სამათალწარმოება დაფუძნებული მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით თავისუფალი შეფასების¹ სისტემაზე. იგი ასეთი სახით შემორჩა ჩვენს დრომდე. საერთო წესის სახით, კანონი ეყრდნობა იმას, რომ არც ერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, გარემოებები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებას, შეიძლება დადასტურდეს მტკიცებულებათა ნებისმიერი სახით, ხოლო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას თავის შინაგან რწმენაზე დაყრდნობით. მოცემული წესი პირდაპირაა განმტკიცებული სსს კოდექსის 353-ე მუხლით ასიზების სასამართლოსთან მიმართებაში, ასევე, სსს კოდექსის 427-ე და 536-ე მუხლებით – დანარჩენ სასამართლოებთან მიმართებაში, რომლებიც არსებითად წყვეტენ საქმეებს. ასიზების სასამართლო არ ახდენს განაჩენის მოტივაციას, ამიტომ აქ მოსამართლეთა შინაგანი რწმენა სრულიად არაკონტროლირებადია, როგორც სა-

¹ სისხლის საპროცესო სამართლებრივი კანონმდებლობის მიერ კონტინენტური ევროპისა და რუსეთისგან ნასესხები ტერმინა „შინაგანი რწმენა“ წარმოიშვა გერ კოდექს რევოლუციური პერიოდის ფრანგულ კანონმდებლობაში გამოყენებული სიტყვიდან „*intime conviction*“

სამართლო განხილვის მონაწილეების, ასევე ზემდგომი ინსტანციების მხრიდანაც. გამასწორებელ და საპოლიციო სასამართლოებს გამოაქვთ მოტივირებული განაჩენი, სადაც განმარტავენ, თუ რატომ შეექმნათ ესა თუ ის შინაგანი რწმენა.

მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასება შინაგანი რწმენით საერთო წესია, რომელიც არ წარმოადგენს აბსოლუტურს. ამ წესიდან მნიშვნელოვან გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ განსაკუთრებული მტკიცებულებითი ძალა, რომელიც ეძლევათ ზოგიერთ შემთხვევაში საპოლიციო ოქმებსა და პატაკებს. ოქმების (პატაკების) გვერდით, რომლებიც ცნობილია რიგით მტკიცებულებებად, არსებობს მათი ორი სხვადასხვა კატეგორია: 1) ოქმები, რომლებსაც აქვთ წინასწარ დადგენილი მტკიცებულების ძალა, სანამ არ იქნება დამტკიცებული საწინააღმდეგო; 2) ოქმები, რომლებსაც აქვთ წინასწარ დადგენილი მტკიცებულებითი ძალა, სანამ არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება მათი შეცვლის (გაყალბების) შესახებ.

ოქმებისა და პატაკების პირველი ჯგუფი გამოიყენება მტკიცებულების სახით სამართალდარღვევათა (სსს კოდექსის 537-ე მუხლი) და სპეციალურ კანონებში ჩამოთვლილ გადაცდომათა (სსს კოდექსის 431-ე მუხლი) საქმეებზე. ასეთ ოქმებსა და პატაკებში არსებულ მონაცემთა უარყოფა შეიძლება მხოლოდ წერილობითი დოკუმენტების ან მოწმეთა ჩვენებების დახმარებით. ფაქტობრივად, აქ არსებობს მოკვლევის ოქმების (პატაკების) ჭეშმარიტების უარყოფის პრეზუმფიცია.

ოქმებისა და პატაკების მეორე ჯგუფი ითვალისწინებს მათი უარყოფისათვის აუცილებელ სხვა მტკიცებულებათა არა მხოლოდ წარმოდგენას, არამედ განცხადების გაკეთებას ოქმის შეცვლის (გაყალბების) შესახებ, რომელსაც იხილავს საკასაციო სასამართლო სსს კოდექსის 642-ე-647-4-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების მიხედვით. სანამ საკასაციო სასამართლო არ ცნობს მოკვლევის ასეთ ოქმს გაყალბებულად, მისი მტკიცებულებითი ძალა აბსოლუტურია მოსამართლისათვის. ოქმების ამგვარი სახეები შეიძლება გამოდგეს მტკიცებულებები მხოლოდ გადაცდომათა ვიწრო წრეზე (მაგალითად, საფრანგეთის საბაჟო კოდექსის 336-ე მუხლი).

რთული არაა შევნიშნოთ, რომ განსაკუთრებული მტკიცებულებითი მნიშვნელობა, რაც ეძლევა საპოლიციო ოქმებსა და პატაკებს, გადაცდომათა ზოგიერთ საქმეებსა და სამათალდარღვევათა¹ ყველა საქმეზე,

¹ დანაშაულთა საქმეებზე საპოლიციო ოქმები ყოველთვის წარმოადგენენ ჩვეულებრივ რიგით მტკიცებულებას.

წარმოდგენს ფორმალურ მტკიცებულებათა რუდიმენტს თანამედროვე ფრანგული სისხლის სამართლის პროცესში.

§5. მოკვლევის ფარიოზის ფესი

1. მოკვლევის ცნება და მისი ადგილი სისხლის სამართლის პროცესის სტრუქტურაში. საფრანგეთში სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება იწყება მოკვლევის „საპოლიციო“ სტადიით, რომელიც იწყება დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების ან აღმოჩენის მომენტიდან და სრულდება პროკურორის მიერ გადაწყვეტილების მიღებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძვლების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოკვლევის მიზანია, პირველ რიგში, დანაშაულის სწრაფი გახსნა, ეჭვმიტანილთა ძებნა და გადაუღებელ საპროცესო მოქმედებათა ჩატარება, ხოლო, მეორე რიგში, პროკურორისთვის მასალების მოშადაება, რაც აუცილებელია მის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის, ქმედების კვალიფიკაციის და საქმის შესაბამის ორგანოებში (გამოძიების მოსამართლესთან ან სასამართლოში) გადაცემის შესახებ.

მოკვლევისა და, შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესის დაწყება სპეციალური საპროცესო გადაწყვეტილებებით არ ფიქსირდება. კანონი აკავშირებს მოკვლევის დაწყების აუცილებლობას „სისხლის სამართლის კანონის დარღვევის ფაქტების დადგენასთან“ (სსს კოდექსის მე-14 მუხლი), სხვა სიტყვებით, დანაშაულის ან მისი ნიშნების ფაქტობრივი აღმოჩენის მომენტთან. მოკვლევა იწყება თვითონ სასამართლო პოლიციის ინიციატივით, ან იმ პროკურორის ინიციატივით, რომელსაც იგი ექვემდებარება.

ადგილი, რომელსაც იკავებს მოკვლევა ფრანგული სისხლის სამართლის პროცესის სტრუქტურაში, ტიპურია კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმრავლესობისათვის, მაგრამ სრულად არ შეესაბამება ჩვენთვის ჩვეულ წარმოდგენას მოკვლევაზე. თუ რუსეთში მოკვლევა აღიარებულია წინასწარი გამოძიების ფორმად (წინასწარ გამოძიებასთან ერთად), რომელიც ყოველთვის მოჰყვება სისხლის სამართლის აღძვრის სტადიას, საფრანგეთში, ტრადიციულად, არსებობს მოკვლევისადმი სხვა მიდგომა. მოცემული ქვეყნის სისხლის სამართლის პროცესში, პირველ რიგში, არაა „წინასწარი გამოძიების“ და, შესაბამისად, მისი ფორმების ცნებები. მოკვლევა და წინასწარი გამოძიება განიხილება, როგორც სისხლის სამართალწარმოების ავტონომიური სტადიები, რომელთაც

არ აქვთ გვარუბითი ცნება. მეორე რიგში, მოკლევა არის პროცესის პირველი სტადია და მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის სტადიაში, მაგრამ არაერთარ შემთხვევაში მის შემდეგ. წარმოვადგინოთ ეს სქემატურად:

რუსეთი: სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზი (საჩივარი, უშუალო გამოვლენა და სხვ.) – სისხლის სამართლის საქმის აღძვრა – მოკლევა (ან წინასწარი გამოძიება);

საფრანგეთი: ინფორმაცია დანაშაულის შესახებ (საჩივარი, უშუალო გამოვლენა და სხვ.) – მოკლევა – სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა – წინასწარი გამოძიება (დანაშაულთა საქმეებზე).

ასეთი შედარება ნათლად გვიჩვენებს, რომ ფრანგული მოკლევა შეესაბამება იმას, რასაც რუსეთის სისხლის სამართლის პროცესში მიღებულია ვუწოდოთ „წინასაგამოძიებო შემოწმება“, ე.ი. დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის შემოწმება, რაც წინ უსწრებს გადაწყვეტილების მიღებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან მასზე უარის თქმის შესახებ.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მოკლევა არ წარმოადგენს საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის აუცილებელ სტადიას. მისი წარმოება მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, სჭირდება თუ არა პროკურორს დამატებითი ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად სისხლისსამართლებრივი დევნის (საჯარო სარჩელის) აღძვრის შესახებ. უმეტეს შემთხვევებში იგი აუცილებელია, მაგრამ თუ პროკურორი სასამართლო პოლიციის გარეშეც ფლობს ყველა აუცილებელ მონაცემს, მას უფლება აქვს აღძვრას სისხლისსამართლებრივი დევნა მოკლევების ჩატარების გარეშე.

2. სასამართლო პოლიცია როგორც მოკლევების ორგანო. საფრანგეთში განასხვავებენ ადმინისტრაციულ და სასამართლო პოლიციებს. პირველი მოქმედებს დანაშაულის ჩადენამდე, მისი თავიდან აცილების მიზნით, ხოლო მეორე – დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მისი გახსნის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო და ადმინისტრაციული პოლიცია განსხვავდებიან თავიანთი საქმიანობის მიზნებითა და კონკრეტული ფუნქციებით, მათი უწყებრივი კუთვნილება ეროვნული პოლიციის ან ჟანდარმერიისადმი ემთხვევა ერთმანეთს. თითოეული ამ უწყების ჩარჩოში არსებობენ თანამდებობის პირები, რომელთა ძირითად მოვალეობასაც შეადგენს სასამართლო პოლიციის წარმომადგენლის ფუნქცია და თანამდებობის პირები, რომლებიც მოქმედებენ ეთარების შესაბამისად

ხან როგორც სასამართლო, ხან - როგორც ადმინისტრაციული პოლიციის წევრები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. მოცემული თავის §2), სასამართლო პოლიციას ორგანიზაციულად ქმნიან ეროვნული პოლიციის და ეროვნული ჟანდარმერიის ქვედანაყოფები. საპროცესო უფლებამოსილებათა მოცულობით ასეთი პოლიციის თანამდებობის პირები იყოფიან: 1) სასამართლო პოლიციის ოფიცრებად; 2) სასამართლო პოლიციის აგენტებად და მათ თანაშემწეებად; 3) მოხელეებად და აგენტებად, რომლებსაც კანონი აკისრებთ სასამართლო პოლიციის ზოგიერთ ფუნქციას. მაგალითად, მხოლოდ სასამართლო პოლიციის ოფიცრს აქვს უფლება გასცეს განკარგულება დაკავებაზე და მხოლოდ პირადად მას შეუძლია ადასრულოს გამოძიების მოსამართლის ცალკეული დავალებები. იმაედროულად, მხოლოდ სასამართლო პოლიციის ოფიცრები, სასამართლო პოლიციის აგენტები და ზოგიერთი მოხელე, რომლებიც ასრულებენ სასამართლო პოლიციის ფუნქციებს (დისციპლინური თვალსაზრისით) ექვემდებარებიან სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კამერების კონტროლს მაშინ, როდესაც დანარჩენი მისი თანამდებობის პირთა სხვა კატეგორიები - მხოლოდ ზემდგომ უფროსობას. სასამართლო პოლიციის აგენტების თანაშემწეებს მოკვლევის ჩატარების დროს ნაკლები უფლებები აქვთ, ვიდრე თვით აგენტებს. ეს იმაში გამოიხატება, რომ მათ უფლება არა აქვთ შეადგინონ მტკიცებითი მნიშვნელობის ოქმები.

გადაწყვეტილებას პირის სასამართლო პოლიციის ოფიცრის სტატუსით აღჭურვის შესახებ იღებს სპეციალური კომისია და მისგან დამოუკიდებლად პროკურატურა სსს კოდექსში მითითებული პირობების არსებობის შემთხვევაში (მაგალითად, წელთა ნამსახურობის გამო). ბოლო პერიოდში, კადრების უკმარისობის გამო, შეიმჩნევა იმ მოთხოვნათა შემცირების ტენდენცია, რაც აუცილებელია სასამართლო პოლიციის ოფიცრის სტატუსის მისაღებად, რაც ხელს უწყობს მათი კორპუსის ზრდას. რაც შეეხება სასამართლო პოლიციის აგენტებს, მათი ფუნქციების შესასრულებლად საკმარისია გარკვეული სამტატო თანამდებობების დაკავება, რომელთა ამომწურავი ჩამონათვალიც დადგენილია სსს კოდექსში.

3. მოკვლევის ფორმები. მოკვლევის კონკრეტული ფორმების გამოჯგინის საკითხი წარმოადგენს დისკუსიის საგანს საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერებაში. ამის მიზეზია საპროცესო აქტის არარსებობა, რომელიც აღნიშნავს მოკვლევის დაწყებას. ამას გარდა, ბუნდოვანია „სისხლის სამართლის კანონის დარღვევის ფაქტების დად-

გენის“ ცნება (სსს კოდექსის მე-14 მუხლი), რომელსაც კანონი უკავშირებს მისი წარმოების აუცილებლობას.

ვიზიარებთ მისაზრებას, რომლის თანახმადაც დღეს არსებობს მოკვლევის ოთხი ფორმა: აშკარა დანაშაულთა (გადაცდომათა) მოკვლევა, პირველდაწყებითი მოკვლევა, საექვო სიკვდილის მოკვლევა და პიროვნების შემოწმება. დასახელებული ფორმებიდან პირველ ორს შეიძლება ვუწოდოთ საერთო (მათ არსებობას არაეინ მიიჩნევეს საექვოდ), ხოლო მეორეებს – სპეციალური, რომელთა სისხლის საპროცესო სამართლებრივი დანიშნულება არ არის ერთმნიშვნელოვანი და ნაწილობრივ დაკავშირებულია (განსაკუთრებით ეს ეხება პიროვნებათა შემოწმებას) ადმინისტრაციული და სასამართლო პოლიციის საქმიანობის საზღვრების გამიჯვნასთან. განვიხილოთ თანმიმდევრობით მოკვლევის ოთხივე ფორმა.

ა) აშკარა დანაშაულთა (გადაცდომათა) მოკვლევა, აშკარა დანაშაულთა (გადაცდომათა) მოკვლევის პირობები გთვალისწინებულია, სსს კოდექსის 53-ე მუხლში, რომელსაც დოქტრინა ანაწილებს სამ ჯგუფად:

1. სიაშკარაის პირობები ვიწრო გაგებით – როდესაც დანაშაული (გადაცდომა) ხდება გამოვლენის მომენტში ან ახალი ჩადენილია;

2. პრეზუმირებული სიაშკარაის პირობები – როდესაც დანაშაულის ჩადენის შემდეგ ექვმიტანილი უმაღ იღვენება „ხალხის წამოდახილით“, მასთან აღმოჩენილია ნივთები ან მასზეა კვალი, რომელიც იძლევა საფუძველს, რომ ვივარაუდოთ მისი კავშირი იმ მომენტში ჩადენილ დანაშაულთან;

3. პირობები, რომლებიც დანაშაულს (გადაცდომას) აშკარას ხდიან, ე.ი. როდესაც დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია საცხოვრებელ შენობაში და მისი პატრონი იწვევეს რესპუბლიკის პროკურორს ან სასამართლო პოლიციის ოფიცერს, რათა მათ დაადასტურონ ეს გარემოება.

მოკვლევის მოცემული ფორმა განსხვავდება იმით, რომ მისი განხორციელებისას პოლიცია აღჭურვილია მაქსიმალურად ფართო უფლებამოსილებით, იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტი აშკარაა. ეს ეხება საპროცესო იძულების ღონისძიებათა გამოყენების უფლებას. აშკარა დანაშაულთა მოკვლევის წარმოების ვადა დღეს შეადგენს არაუმეტეს რვა დღეს. 1999 წლის 23 ივნისის კანონის ეს დებულება სრულიად გასაგებია: თუ დანაშაული აშკარაა, მაშინ არ აქვს აზრი გავაჭიანუროთ საჯარო სარჩელის აღძვრის შესახებ საკითხის გადაწყვეტა.

ბ) პირველდაწყებითი მოკვლევა. ის წარმოადგენს მოკვლევის ფორმას, რომელიც წარმოებს აშკარა ნიშნების (პირობების) არარსებობისას (სსს კოდექსის 75-ე-78-ე მუხლები).

დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ პროკურორს, თუ მასში არაა სიაშკარავის ნიშნები და იმავდროულად არასაკმარისია, რათა მან უმაღლეს ალტრას საჯარო სარჩელი, შეუძლია გაუგზავნოს სასამართლო პოლიციას მითითება მოკვლევის წარმოების შესახებ, რის შედეგადაც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სსს კოდექსის 75-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო პოლიციის ოფიცრებს და აგენტებს უფლება აქვთ ასევე დაიწყონ პირველდაწყებითი მოკვლევა ex officio. თუმცა, მათი ყველა საპროცესო მოქმედება, ასეთ შემთხვევაში, სრულდება პროკურორის კონტროლქვეშ.

პირველდაწყებითი მოკვლევის არსებითი თავისებურებას, რაც განსხვავებს მას აშკარა დანაშაულთა მოკვლევისაგან, წარმოადგენს ის, რომ მისი წარმოების დროს სასამართლო პოლიციას არ აქვს საპროცესო იძულების ღონისძიებათა გამოყენების უფლება. ეს აიხნება იმით, რომ 1958 წლამდე „ოფიციალური მოკვლევა“ (პირველდაწყებითის წინამორბედი) კანონის ჩარჩოებში არ წარმოებდა, ამიტომ იძულების რაიმე ღონისძიებებზე არ შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი. ეს დებულება იმდენად განმტკიცდა თეორიასა და პრაქტიკაში, რომ იგი გაიზიარა კანონმდებელმა. სსს კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, პირველდაწყებითი მოკვლევის წარმოებისას „ჩხრეკას, საცხოვრებელ შენობებში შესვლას და ნივთიერი მტკიცებულებების ამოღებას შეიძლება ჰქონდეთ ადგილი მხოლოდ დაინტერესებული პირის (წერილობითი - ლ.გ.) თანხმობით“. ერთადერთი, თუმცა არსებითი გამონაკლისი აღნიშნული წესიდან იყო და რჩება დღემდე პოლიციის უფლება დაკავებაზე, მაგრამ აქაც მისი უფლებამოსილება არცთუ ისე ფართოა, როგორც აშკარა დანაშაულის მოკვლევისას.

უკანაკნელ წლებში შეიმჩნევა ტენდენცია, დაკავშირებული იძულების უფრო ფართო გამოყენებასთან პირველდაწყებითი მოკვლევის მსვლელობის დროს. 1986 წლის 9 სექტემბრის კანონმა, რომლითაც სსს კოდექსს დაემატა 706-24-ე მუხლი, პოლიციას უფლება მიანიჭა, რომ მან იძულებით ჩაატაროს ჩხრეკა და სხვა მოქმედებები, თუ მოკვლევის მოცემული ფორმა უკავშირდება ტერორიზმის შესახებ საქმეებს, თუმცა ამისთვის საჭიროა სასამართლოს სანქცია.

1996 წლის 22 ივლისის კანონმა დაუშვა აღნიშნული კატეგორიების საქმეებზე მოცემული მოქმედებების წარმოება არა მხოლოდ

იძულებით, არამედ დამის საათებშიც. სსს კოდექსის 78-ე მუხლის ახალი რედაქციით (1993 წლის 4 იანვრის კანონის თანახმად) პოლიციამ მიიღო უფლება მოწმეთა იძულებით მოყვანაზე პირველდაწყებითი მოკვლევის წარმოებისას ნებიზსიერ საქმეზე. სხვა სიტყვებით, პირველდაწყებითი მოკვლევა კარგავს თავის სპეციფიკას: მოკვლევის მოცემულ ფორმასა და აშკარა დანაშაულთა მოკვლევას შორის ზღვარი ნელა, მაგრამ უდაოდ იშლება.

2000 წლის 15 ივნისის კანონი პირველად შეეცადა განესაზღვრა პირველადი მოკვლევის ვადები. თუ ის დაწყებულია პროკურორის ინიციატივით, მაშინ ის ადგენს ვადას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (გაგრძელების უფლებით). თუ პოლიცია მოქმედებს თავისი ინიციატივით, მაშინ მოკვლევის შედეგებზე პროკურორი უნდა იქნეს ინფორმირებული არაუგვიანეს ექვსი თვისა მისი დაწყების მომენტიდან. მას შემდეგ, რაც პოლიცია დაადგენს დანაშაულის ან სისხლისსამართლებრივი გადაცდომის ჩადენაში ეჭვიმტანილ პირს, ის ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს პროკურორს (სსს კოდექსის 75-1-ე და 75-2-ე მუხლები). თუ მოკვლევის მიმდინარეობისას გამოყენებული იყო დაკავება, მოკვლევის ვადა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს, რომელიც აითვლება დაკავების დამთავრების მომენტიდან (სსს კოდექსის 77-1-ე მუხლი). ამ ვადის დასრულების შემდეგ პროკურორი ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ან მის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

გ) საექვო სიკვდილის გამოკვლევა. სსს კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, „გვამის აღმოჩენის შემთხვევაში, დამოუკიდებლად იმისა, საუბარია ძალადობით სიკვდილზე თუ არა, მაგრამ რომლის მიზეზებიც უცნობი ან საექვოა“, სასამართლო პოლიციის უფროსი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ პროკურორს, რომელიც პირადად მიდის გვამის აღმოჩენის ადგილზე სპეციალისტის მეშვეობით სიკვდილის გარემოებათა დასადგენად, ან ავალებს ამას სასამართლო პოლიციის ოფიცერს.

იურიდიულად საუბარი არაა არც პირველდაწყებით მოკვლევაზე, არც აშკარა დანაშაულთა მოკვლევაზე, არამედ რაღაც „წინამოკვლევაზე“ ან მოკვლევის სპეციალურ ფორმაზე. მისი ჩატარების შედეგად ხდება პირის ბუნებრივი სიკვდილის კონსტატაცია, ან, საწინააღმდეგო დასკვნის შემთხვევაში, მოჰყვება სისხლის საპროცესო სამართლებრივი საქმიანობა (უფრო ხშირად ტარდება მოკვლევის საერთო ფორმებიდან ერთ-ერთი).

დ) პიროვნების შემოწმება. უნდა გაემიჯნოს პიროვნების შემოწმება ვიწრო გაგებით (controlé d'identité), როდესაც არაა გამოყენებული

საპროცესო იძულების ღონისძიებანი და პიროვნების დადგენა (verification d'identité), როდესაც გამოიყენება ასეთი ღონისძიებები. პიროვნების შემოწმება, ვიწრო გაგებით (სსს კოდექსის 78-2-ე მუხლი), პოლიციას აძლევს უფლებას ნებისმიერ პირს შესთავაზოს მიაწოდოს საკუთარი თავის შესახებ ინფორმაცია, თუ არსებობს სამხილები, რომლებიც იძლევა ვარაუდს, რომ: მოცემულმა პირმა ჩაიდინა, ან ეცადა ჩაედინა სისხლის სამართალდარღვევა; ის ამზადებს მის ჩადენას; მას შეუძლია მიაწოდოს ცნობები ჩადენილი დანაშაულის (გადაცდომის) შესახებ; იგი იძებნება სასამართლო ხელისუფლების მიერ.

პიროვნების დადგენა (სსს კოდექსის 78-3-ე მუხლი) წარმოებს, თუ მოქალაქე უარს ამბობს ან არ შეუძლია მიაწოდოს თავის შესახებ ცნობები. პოლიციას უფლება აქვს დააკავოს იგი ოთხსაათიანი ვადით, რის შესახებაც მას შეუძლია მაშინვე აცნობოს პროკურორს, ასევე ოჯახის წევრებს და სხვა პირებს. დაკავების დროს პოლიცია იღებს ღონისძიებებს, რომ დაადგინოს დაკავებულის პიროვნება და შეაგროვოს მის შესახებ ცნობები. როგორც უკიდურესი საშუალებები, გამოიყენება ფოტოგრაფირება და დაქტილოსკოპირება. ოთხი საათის გასვლის შემდეგ ღებება ოქმი, რომელიც ეგზავნება პროკურორს გადაწყვეტილების მისაღებად.

პიროვნების შემოწმების დასრულების შემდეგ იწყება პირველდაწყებითი მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკავებული უნდა გათავისუფლდეს და ასეთ შემთხვევაში, პიროვნების შემოწმების ყველა მასალა ეჭმედებარება განადგურებას (რასაც აკონტროლებს პროკურორი) არაუგვიანეს ექვსი თვისა.

1993 წლის 10 აგვისტოს კანონის მიღების შემდეგ, რომელმაც შეავსო სსს კოდექსის 78-2-ე მუხლი, პიროვნების შემოწმება შეიძლება განხორციელდეს „პირის ქცევის დამოუკიდებლად, საზოგადოებრივი წესრიგის, კერძოდ, სხვა პირთა ან ქონების ხელყოფის მცდელობათა თავიდან ასაცილებლად“.

4. *საპროცესო მოქმედებები მოკვლევის სტადიაზე.* როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კანონი არ შეიცავს საპროცესო მოქმედებათა ამოწმურავ ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება ჩატარდეს სასამართლო პოლიციის მიერ მოკვლევის წარმოების დროს. ასეთი მიდგომის მიზეზი გახდა ფრანგი კანონმდებლის არა წინასწარგანზრახული სურვილი, რომ გახადოს მოკვლევა ნაკლებად ფორმალური, არამედ ამ ქვეყნის კანონმდებლისათვის დამახასიათებელი საპროცესო ტექნიკა, რომელშიც თითქმის არ გამოიყენება აბსტრაქტული განზოგადების მეთოდი. რო-

გორც გამოძიებას სსს კოდექსი მოიხსენიებს ამა თუ იმ მოქმედებას მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციებთან მიმართებაში (ვთქვათ, „ტექნიკური ან სამეცნიერო კვლევები“ ნახსენებია მხოლოდ „მცოდნე პირების“ დაფიცების აუცილებლობასთან კავშირში), ან პიროვნების უფლებათა გარანტიების უზრუნველსაყოფად, მათი შესაძლო დარღვევის შემთხვევაში პოლიციის მხრიდან (დაკავება, ჩხრეკა და ა.შ.).

იმ მოქმედებათა შორის, რომლებიც დეტალიზაციის სხვადასხვა ხარისხით რეგლამენტირებულია სსს კოდექსში ან, თუნდაც, ნახსენებია მასში მოკვლევის წარმოებასთან დაკავშირებით, შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ადგილზე გასვლა და დათვალიერება, მოწმეთა დაკითხვა, ჩხრეკა და ამოღება (მათ შორის საცხოვრებელ შენობაში), ტექნიკურ ან სამეცნიერო გამოკვლევათა წარმოება, დაკავება და დაკავებულის დაკითხვა. მოცემულ ჩამონათვალში ჩვენთვის ცნობილ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებების არარსებობა სრულიად არ ნიშნავს, რომ საფრანგეთის სასამართლო პოლიცია არ აწარმოებს მათ მოკვლევის დროს. უბრალოდ, ასეთი მოქმედებით არ ილახება ვინმეს უფლებები და ინტერესები (უკიდურეს შემთხვევაში, კანონმდებლის აზრით) და არ საჭიროებენ სპეციალურ რეგლამენტაციას, რაც სრულიად არ გამორიცხავს მათი ჩატარების კანონიერებას.

დაკავება (*garde a vue*) უმნიშვნელოვანესი საპროცესო საპოლიციო მოქმედებაა და, იმავდროულად, საპროცესო იძულების ყველაზე სერიოზული ღონისძიებაა, რომელიც გამოიყენება მოკვლევის წარმოებისას და იმსახურებს ცალკე განხილვას. არაა შემთხვევითი, რომ ის საკმაოდ დეტალურადაა რეგლამენტირებული მოქმედ სსს კოდექსში.

დაკავებას შეიძლება აწარმოებდნენ სასამართლო პოლიციის ოფიცრები (აგენტებისათვის ეს აკრძალულია - სსს კოდექსის მე-20 მუხლი). აშკარა დანაშაულთა (გადაცდომების) გამოძიების დროს სასამართლო პოლიცია უფლებამოსილია დააკავოს პირი, „რომელსაც შეუძლია მიაწოდოს აუცილებელი მონაცემები“. ე.ი. იგივე კატეგორია პირებისა, რომლებიც ეჭვმიტანილებიან უბრალო დაკითხვას. პირველდაწყებითი გამოძიების დროს შეიძლება დაკავებულ იქნეს მხოლოდ პირი, რომლის წინააღმდეგაც არსებობს რაიმე სამხილები (ეჭვმიტანილი *de facto*).

დაკავების საერთო ვადა მოკვლევის ორივე ფორმისათვის შეადგენს 24 საათს. თუმცა, თუ პირის წინააღმდეგ არაა რაიმე სამხილი (სიტუაცია, რომელიც დაშვებულია მხოლოდ აშკარა დანაშაულთა მოკვლევის

1 მხედველობაშია მოღებულ საპროცესო მოქმედებას, რომელიც ცელის ექსპერტისა და მოკვლევის წარმოების დროს.

დროს), მაშინ ის შეიძლება დააკავონ მხოლოდ მისი დაკითხვის დროის ხანგრძლივობით. დასაშვებია დაკავების ვადის გაგრძელება კიდევ 24 საათით რესპუბლიკის პროკურორის სანქციით, ამასთან, პირველდაწყებითი მოკვლევის დროს პირი უნდა წარედგინოს პროკურორს. დაკავების ვადის შემდგომი გაგრძელება არ დაიშვება¹; პირი გათავისუფლდება, ან მის საქმეზე ოფიციალურად აღიძვრება სისხლისსამართლებრივი დევნა და მიიღება საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებები, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პროცესის სხვა სტადიებზე.

1993 წლის 4 იანვრის და 2000 წლის 15 ივნისის კანონებმა შეძლეს ფრანგული სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვანი რეფორმირება და მოახდინეს დაკავების ინსტიტუტის მოდიფიცირება. თუ ადრე დაკავებულის უფლებები იყო მინიმალური, ვთქვათ, მას არ შეეძლო დამცველის დახმარებით ესარგებლა, სამაგიეროდ დღეს სიტუაცია შეიცვალა. სსს კოდექსის ახალი 63-1-ე-63-4-ე მუხლები დაკავებულს ანიჭებს შემდეგ უფლებებს: ა) იყოს ინფორმირებული პოლიციის მიერ თავისი უფლებების შესახებ, ამასთან პირს დაუყონებლივ უნდა შეატყობინონ იმის შესახებ, რომ მას აქვს უფლება არ უპასუხოს მომკვლევთა კითხვებს („დუმობის უფლება“); ბ) დაუყონებლივ აცნობოს ტელეფონით თავისი მდგომარეობის შესახებ ოჯახის წევრებს ან სხვა პირებს, რომლებთან ერთადაც ის ცხოვრობს;² გ) მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება; დ) მოითხოვოს დამცველთან 30 წუთიანი შეხვედრა დაკავებისთანავე და განშორებით – 20 საათის შემდეგ დაკავების მომენტიდან. თუ დაკავების ვადა გაგრძელებულია პროკურორის მიერ, მაშინ წარმოიშობა მესამე შეხვედრის უფლება ვადის გაგრძელებიდან 12 საათის შემდეგ. ამ წესებიდან არსებობს გამონაკლისი – საშიშ დანაშაულთა ზოგიერთ კატეგორიაზე დამცველთან შეხვედრა შეიძლება დაიშვას არაუადრეს 36 (გამოძალავე; ქურდობა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ და ა.შ.) ან 72 საათის პერე (ტერორიზმი და ნარკოტიკებით ვაჭრობა).

1 გამონაკლისის წარმოადგენს ტერორიზმის და ნარკოტიკებით ვაჭრობის შესახებ საქმეები. აქ 48 საათის ვადის შემდეგ შეიძლება ვადის გაგრძელება (მხოლოდ მოსამართლესის მიერ) კიდევ 48 საათით, ე.ი. დაკავების მაქსიმალურ ვადა შეიძლება მიადწიოს 96 საათს.

2 კანონის თანახმად, მოცემული უფლება შეიძლება შეზღუდული იყოს: „თუ სასამართლო პოლიციის ოფიცერი, მოკვლევის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თვლის მზანშეუნებლად დაკავებულის ბრალდებულის მოცემული თხოვნა (სატელეფონო ზარის შესახებ – ლ.გ.), ამის შესახებ ის დაუყონებლივ აცნობებს რესპუბლიკის პროკურორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას“ (სსს კოდექსის 63-2-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

§6. სისხლის სამართლებრივი დევნის (საჯარო სარჩელის) აღმკვრა

1. მოძღვრება საჯარო¹ და სამოქალაქო სარჩელების შესახებ. მოძღვრება სარჩელთა შესახებ სისხლის სამართლის პროცესში საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო თეორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და თავისებური მონაკვეთია. კანონმდებლობა და დოქტრინა რამდენიმე ასწლეულის მანძილზე შეიმუშავებდნენ ამ მოძღვრებას. ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ორდონანსებში (1532წ. და 1670წ.) ხდებოდა საჯარო და სამოქალაქო სარჩელების ერთმანეთისაგან განცალკევება, როგორც საზოგადოებისა და პიროვნების დანაშაულისაგან დაცვის ორი სხვადასხვა ხერხისა. ინკვიზიციური სამართალწარმოების საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო თეორიის ამ მონაპოვარზე უარი არ უთქვამს რადიკალურად განწყობილ რევოლუციური ეპოქის კანონმდებელს. რესპუბლიკის IV წლის მე-3 ბრიუპერის კოდექსის შესავალშივე მოცემული იყო დებულებანი საჯარო და სამოქალაქო სარჩელების შესახებ, რაც შემდეგში ტრადიციად იქცა. სისხლის სამართლის მომდევნო საპროცესო კოდიფიკაციებიც (1808წ. და 1958წ.) იწყება მუხლებით, რომლებიც განამტკიცებენ სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში არსებული ორი სარჩელის კონცეფციას. მაგალითად, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესავალ ნაწილს ეწოდება „საჯარო და სამოქალაქო სარჩელების შესახებ“ (1-ლი-10-ე მუხლები).

მოძღვრება საჯარო და სამოქალაქო სარჩელების შესახებ ეფუძნება საკმაოდ ცნობილ კონცეფციას, რომლის თანახმადაც დანაშაული ერთდროულად აყენებს ზიანს როგორც მთლიანად საზოგადოებას, ასევე კერძო პირს (დაზარალებულს). აქედან გამომდინარე, როგორც საზოგადოებას, ასევე კერძო პირს მინიჭებულ უნდა ჰქონდეთ უფლება, მოითხოონ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით ანაზღაურება. ამ მიზნით საზოგადოებას ეძლევა ე.წ. „საჯარო სარჩელის“ უფლება, რადგან მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია საჯარო ინტერესი. ცხადია, რომ საზოგადოებას შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესი მხოლოდ გარკვეული წარმომადგენელის მეშვეობით, რომელიც ყოველ კონკრეტულ საქმეზე მისი სახელით მოქმედებს. ასეთად გველინება

¹ რუსულ ლიტერატურაში საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის ამ ინსტიტუტთან მძაბრობაში ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი „სისხლის სამართლის სარჩელი“, რაც არ არის მთლად ზუსტი თარგმანი ფრანგული ტერმინისა action publique.

სახელმწიფოს მიერ საეციალურად შექმნილი ორგანო – პროკურატურა, რომელიც ახორციელებს საზოგადოების საჯარო სარჩელის უფლებას და წარდგინება დანაშაულის ჩამდენ პირს. რაც შეეხება იმავე დანაშაულისაგან დაზარალებულ კერძო პირს, ვინაიდან იგი მოქმედებს არა საჯარო, არამედ კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, მას მინიჭებული აქვს უფლება დაიცვას მოცემული ინტერესები სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით.

ფრანგულ კონცეფციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ სისხლის სამართლის პროცესში საჯარო და სამოქალაქო სარჩელების შემდეგი განსაზღვრებები:

საჯარო სარჩელი – ეს არის საზოგადოების უფლება, რომელსაც იგი განახორციელებს მისი ინტერესების წარმომადგენელი პროკურატურის მეშვეობით, – მიმართოს სასამართლო ხელისუფლებას მოთხოვნით, რათა მან გამოიყენოს სისხლის სამართლის კანონით დადგენილი სასჯელები დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის მიმართ.

სამოქალაქო სარჩელი – ეს არის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებული პირის უფლება – მიმართოს სასამართლო ხელისუფლებას მოთხოვნით, რათა ანაზღაურდეს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი, ან(და) დადგინდეს დანაშაულის ჩამდენი პირის ბრალეულობა.

როგორც ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებებიდან ჩანს, საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში მოქმედი საჯარო სარჩელის ინსტიტუტი არ უნდა გავიგოთ ვიწროდ, მხოლოდ ცივილურად. თუ დაზარალებულს არანაირი ქონებრივი მოთხოვნა არ გააჩნია ბრალდებულის მიმართ, რაც დაკავშირებულია მისი დარღვეული სამოქალაქო უფლებების აღდგენასთან, არამედ პროცესში თანაბარი მხარის სახით მონაწილეობა სურს მხოლოდ, რათა სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელთან ერთად მიაღწიოს სამართლიანობის აღდგენას, თავისი „გამანაწყენებლის“ დაძნალებულ ცნობას და ა.შ., მაშინ იგი, წარმომადგენს რა კერძო პირს და, აქედან გამომდინარე, ex officio არ სარგებლობს რაიმე უფლებებით, მან მაინც უნდა წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი როგორც სამოქალაქო მოსარჩელე. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთში არ არსებობს სისხლის სამართლის პროცესის ისეთი მონაწილე, როგორცაა დაზარალებული. პირი, რომელიც ფაქტობრივად დაზარალებულია, სისხლის სამართლის პროცესში იურიდიულად შეიძლება მონაწილეობდეს ან სამოქალაქო მოსარჩელის (თუ იგი სამოქალაქო სარჩელს წარადგენს), ანდა უბრალოდ მოწმის სახით. პრაქტიკაში, ცხადია, სამოქალაქო სარჩელის წარდგენა

თითქმის ყოველთვის უკავშირდება დაზარალებულის ქონებრივი ხასიათის მოთხოვნებს, რომელიც ამ გზით ცდილობს აინაზღაუროს თავისი მატერიალური ზიანი ან მოახდინოს მორალური ზიანის კომპენსირება მატერიალური ფორმით.

ის ფაქტი, რომ დანაშაული იმავდროულად აყენებს ზიანს როგორც საზოგადოებას, ასევე კერძო პირს და წარმოშობს ორი სარჩელის წარდგენის უფლებას, კითხვას ბადებს: ეს სარჩელები უნდა განიხილებოდეს ორ დამოუკიდებელ (სისხლის სამართლისა და სამოქალაქო), თუ ერთ პროცესზე. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო თეორიამ, რომელმაც ჩამოაყალიბა ერთსა და იმავე დანაშაულთან დაკავშირებული ორი სარჩელის კონცეფცია, პირველმა წამოჭრა ე.წ. „შეერთებული პროცესის“ იდეა. შეერთებული პროცესის კონსტრუქცია, რომელიც სწორედ საფრანგეთში ჩაისახა, დღეს ფართოდ არის ცნობილი მრავალი ქვეყნის სამართალში, მათ შორის რუსულ სამართალში (სამოქალაქო სარჩელის ინსტრუქტი რუსეთის სისხლის სამართლის პროცესში).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საფრანგეთში სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განიხილება როგორც საჯარო სარჩელის აღძვრა, მხარდაჭერა, გადაწყვეტა ან, შესაბამის შემთხვევებში, შეწყვეტა. იგი ცვლის ჩვენთვის უფრო ნაცნობ „სისხლის სამართლის საქმის აღძვრის“, „სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის“ და ა.შ. ინსტიტუტებს.

2. *სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის სტადიის ცნება.* სუბიექტები და პრინციპები. სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრა საფრანგეთში აღიარებულია როგორც სისხლის სამართლის პროცესის სტადია, რომლის დროსაც გადაწყდება საკითხი საჯარო სარჩელის მოქმედებაში მოყვანის შესახებ, წარედგინება შესაბამისი ორგანოებისათვის უკვე ცნობილი, ან ჯერ უცნობი იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ექვემდებარებიან გარკვეული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის გამო. სისხლის სამართლის პროცესის ამ სტადიაზე ხდება ბრალდების მატერიალიზება – „სისხლისსამართლებრივი დევნა“ (poursuite)¹.

სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა საერთო წესით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხდება მოკვლევის ჩატარების შემდეგ, თუმცა გვხვდება საქმეები (საკმაოდ მრავლად), როდესაც მოკვლევა არ ტარდება, ამიტომ სისხლის სამართლის პროცესი ასეთ შემთხვევებში იწყება

¹ საფრანგეთის სისხლის საპროცესო სამართალში „სისხლისსამართლებრივი დევნის“ და „საჯარო სარჩელის“ ცნებები განიხილება, ფაქტობრივად, როგორც თანაბარმნიშვნელოვანი ცნებები.

სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის სტადიით.

საერთო წესის თანახმად, ერთადერთ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია აღძრას სისხლისსამართლებრივი დევნა საფრანგეთში, პროკურატურა წარმოადგენს. სისხლის სამართლებრივი დევნის, წინასწარი გამოძიებისა და საქმის არსებითად გადაწყვეტის ფუნქციების გამოყოფის ზემოხსენებული პრინციპიდან გამომდინარე, არც გამოძიების მოსამართლე და არც მოსამართლე ასეთი უფლებით არ სარგებლობენ. გამონაკლისს წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილება — თავისი ინიციატივითა და პროკურატურის მხრიდან რაიმე მოქმედებათა გარეშე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს პირი, რომელმაც სისხლის სამართლის გადაცდომა ან სამართალდარღვევა ჩაიდინა უშუალოდ სასამართლო სხდომის მსვლელობისას (სსს კოდექსი, 675-ე-678-ე მუხლები). მაგრამ ამ გამონაკლისს კერძო ხასიათი აქვს და მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის განმტკიცებისაქენ მისწრაფებით აიხსნება. ამავე დროს, პრაქტიკულად ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე საჯარო სარჩელი შეიძლება აღიძრას დაზარალებულის ინიციატივით. ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით სამოქალაქო სარჩელის წარდგენით იგი აიძულებს პროკურატურას აღძრას საჯარო სარჩელი იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი არ აპირებდა ამის გაკეთებას. ეს ნიშნავს, რომ საფრანგეთში სისხლის სამართლის პროცესის ორი სუბიექტია, რომელთა ინიციატივით შეიძლება აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა: პროკურატურა და სამოქალაქო მოსარჩელე.

განსახილველი სტადიის დახასიათებისას არსებითია ის, რომ საფრანგეთის სისხლის საპროცესო სამართალი, ტრადიციულად, ხელმძღვანელობს არა „კანონიერების“, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის „მიზანშეწონილობის“ პრინციპით (opportunité des poursuites). ამას პირდაპირ მოწმობს მოქმედი სსს კოდექსის მე-40 მუხლის შინაარსი, სადაც ნათქვამია, რომ „რესპუბლიკის პროკურორი იღებს საჩივრებს, დასმენებს და აფასებს, თუ რა გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული მათზე“. ლიტერატურაში ამ ნორმას განიხილავენ როგორც პროკურორის მიერ საქმის შემდგომი მსვლელობის პერსპექტივის „თავისუფალი და დამოუკიდებელი შეფასების“ დებულებას.¹ საფრანგეთის პროკურორების მიერ მიზანშეწონილობის პრინციპის გამოყენება მნიშვნელოვნად აფართოებს შესაძლო გადაწყვეტილებათა პალიტრას, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის სტადიაზე მიიღება.

¹ იხ. მაგალითად: Largier J. La procédure pénale. Paris, 1994. P.68.

3. გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის სტადიაზე. დღეისათვის არსებობს გადაწყვეტილებების ოთხი ვარიანტი, რომლებიც მოცემულ სტადიაზე მიიღება:

ა) უარი სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე (classement sans suite). ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც იმასთან, რომ საქმის წარმოება დაუშვებელია ფორმალური საფუძვლების გამო (არ არსებობს შემთხვევა ან დანაშაულის შემადგენლობა, გასულია ხანდაზმულობის ვადები და ა.შ.), ასევე იმასთან, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა პროკურორს მიზანშეუწონლად ესახება. ეს უკანასკნელი პრაქტიკაში ხშირად გვხვდება. პარიზის ერთ-ერთ პროკურატურაში ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, 28% შემთხვევაში პროკურორები უარს ამბობდნენ სისხლის სამართლებრივ დევნაზე სწორედ მიზანშეუწონლობის გამო და მხოლოდ 17% შემთხვევაში აღძრავდნენ სისხლისსამართლებრივ დევნას (დანარჩენ საქმეებზე მიიღებოდა სხვა სახის გადაწყვეტილებანი, მათ შორის სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის შესახებ ფორმალური საფუძვლების გამო).¹

სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება, ფრანგული ტერმინოლოგიის მიხედვით, არა „იურისდიქციულ“, არამედ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს, ესე იგი, იგი არ გასაჩივრდება სასამართლოში და ვერ გახდება სასამართლო განხილვის საგანი. შესაძლებელია მისი მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრება. დაზარალებულის უფლებები ამ შემთხვევაში დაცულია იმით, რომ მას უფლება აქვს მოქმედებდეს დამოუკიდებლად, აღძრას სამოქალაქო და შედეგად – საჯარო სარჩელები (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). გარდა ამისა, მოცემულ გადაწყვეტილებას არ აქვს res judicata ძალა, ესე იგი, იგი შემდგომში არ ბოჭავს პროკურატურას და არ გამოიციხავს სისხლის სამართლებრივი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში იმავე ფაქტზე საჯარო სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. არსებითად, ეს არა იურიდიული, არამედ ფაქტობრივი გადაწყვეტილებაა პროკურატურის, რომ არ განახორციელოს რაიმე მოქმედებანი სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრისათვის;

ბ) პირობითი უარი სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე (classement sans suite sous condition). პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეუწონილობის შეფასების თავისუფლებამ

¹ იხ. მაგალითად: Le Parquet et l'opportunité des poursuites/Questions pénales. T. VII. 1994.

და მისმა შესაბამისმა დისკრეციულმა უფლებამოსილებებმა გამოიწვია ის, რომ პრაქტიკაში გავრცელდა გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე პირობითი უარის შესასჯებ, რომელიც არ არის პირდაპირ განმტკიცებული საპროცესო კანონმდებლობით. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ, თუ პროკურორი უფლებამოსილია გადაწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობის საკითხი, მაშინ არაფერი უშლის მას ხელს დაუქვემდებაროს მოცემული გადაწყვეტილება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირის მიერ პროკურორის მიერ ჩამოყალიბებული გარკვეული მოთხოვნების (პირობების) (მაგალითად, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა) შესრულებას ან შეუსრულებლობას. თუ პირობები შესრულდება, მაშინ სისხლისსამართლებრივი დევნა არ აღიძვრება და პირიქით. დღეისათვის „პირობით უარს“ თავისი მნიშვნელობა მთლიანად არ დაუკარგავს, თუმცა მისი გამოყენების სფერო საგრძნობლად შევიწროვდა იმასთან დაკავშირებით, რომ 1999 წლის 23 ივნისის მიიღეს კანონი მედიაციასა და „შეთანხმებითი ჯარიმის“ შესახებ;

გ) სისხლისსამართლებრივი მედიაცია (mediation penale). მედიაციის (შუამდგომლობის) ინსტიტუტი, რომელიც წარმოიშვა საფრანგეთის სისხლის სამართლის პოლიტიკის უახლესი კონცეფციების საფუძველზე ისევე, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე პირობითი უარი, თავდაპირველად პრაქტიკაში დამკვიდრდა. 1993 წლის 4 იანვრის კანონით იგი სსს კოდექსის ტექსტში შვიტანეს. მოგვიანებით 1993 წლის 23 ივნისის კანონმა გააფართოვა პროკურორის შესაძლებლობები მედიაციის ინსტიტუტის ფარგლებში (ძირითადად „პირობითი უარის“ ხარჯზე). დღეისათვის, სსს კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, თურესპუბლიკის პროკურორი მიიჩნევს, რომ ასეთი ზომა უზრუნველყოფს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, დასრულდება დანაშაულებრივი ქმედების შედეგად წარმოშობილი კონფლიქტი; თუ ამ ზომის გამოყენება ხელს შეუწყობს დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსწორებას, მაშინ მას უფლება აქვს საჯარო სარჩელის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე: 1) განახორციელოს „შეხსენება“ (rappel) ქმედების ჩამდენი პირის მიმართ მისი მოვალეობების შესახებ, რომლებიც კანონს ემყარება; 2) გადაავზავნოს ეს პირი სანიტარულ, სოციალურ ან პროფესიულ სტრუქტურაში; 3) შესთავაზოს პირს, რომ მან მოაწესრიგოს თავისი სამართლებრივი მდგომარეობა კანონთან ან კანონქვემდებარე აქტებთან მიმართებაში; 4) შესთავაზოს პირს, რომ მან აანაზღაუროს მისი ქმედებით გამოწვეული ზიანი; 5) მხარეთა თანხ-

მოხით აწარმოოს მედიაციის პროცედურა ქმედების ჩამდენ პირსა და დაზარალებულს შორის. 1999 წლის 23 ივნისის კანონი არ ზღუდავს 41-1-ე მუხლის გამოყენებას სისხლის სამართლის საქმეთა მხოლოდ კონკრეტულ კატეგორიებზე. პროკურორის ნებისმიერი წინადადება მკაცრად ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. იმ შემთხვევაში, როდესაც პირი უარს ამბობს მის შესრულებაზე, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას საჯარო სარჩელის საერთო საწყისებზე აღძვრის შესახებ.

რაც შეეხება მედიაციის პროცედურას (სსს კოდექსი, 41-1-ე მუხლი, მუნიკტი მე-5), მისი გამოყენების პრაქტიკა საფრანგეთის სხვადასხვა რეგიონებში სხვადასხვაგვარია. ზოგადად, იგი შემდგენიერად გამოიყურება: პროკურორი, როდესაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს კონფლიქტის გადაწყვეტას მხარეთა უშუალო მონაწილეობით, გადასცემს საქმეს რომელიმე სპეციალიზირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ეს ორგანიზაცია ცდილობს შეარიგოს დაზარალებული და ბრალდებული საშუამავლო (სამედიაციო) პროცედურების გზით. თუ შერიგება მიიღწევა, მაშინ მხარეები აფორმებენ შეთანხმებას, რომლის ბრალდებულის მიერ შესრულებასაც კონტროლს ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია უწევს. თუ არა, მაშინ საქმე პროკურორს უბრუნდება, რომელმაც უნდა აღძვრას სისხლის სამართლებრივი დევნა ან, მიუხედავად წარუმატებელი სამედიაციო პროცედურებისა, უარი თქვას მის აღძვრაზე;

დ) სისხლის სამართლებრივი „ჯარიმა შეთანხმებით“ (composition penale). ეს სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის სტადიაზე მისაღებ გადაწყვეტილებათა ყველაზე ახალი ვარიანტია. ამ ინსტიტუტის შემოღებას წინ უსწრებდა მწვავე პოლემიკა.¹ ბევრი ეჭვობდა მისი მიზანშეწონილობისა და კონსტიტუციურობის შესახებ, თუმცა იგი მაინც რეალობად იქცა 1999 წლის 23 ივნისის კანონის მიღების შემდეგ.

სსს კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ (რომლებმაც შემდგომ აღიარეს თავიანთი დანაშაული) სისხლის სამართლის გადაცდომათა რამდენიმე ათეულ საქმეზე (ცალკეული ძალადობრივი მოქმედებანი, ოჯახის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული გადაცდომები, ქონებრივი ხასიათის გადაცდომათა გარკვეული კატეგორიები და სხვა), რესპუბლიკის პროკურორი უფლებამოსილია სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრამდე შესთავაზოს შესაბამის პირს: 1) ხაზინის სასარგებლოდ გადაიხადოს ჯარიმა არა უმეტეს

¹ იხ.: Pradel J. D'unc loi avortce a un projet nouveau sur l' injonction penale // Recueil Dalloz-Sirey. 1995. N23. Chron. P. 172.

25 000 ფრანკის ოდენობით და ამ გადაცდომისათვის სასჯელის სახით დაწესებული ჯარიმის ნახევარი (ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ ერთ წლამდე ვადაში); 2) გადასცეს სახელმწიფოს საგნები, რომლებიც დანაშაულის იარაღს წარმოადგენს ანდა მოპოვებულია დანაშაულის შედეგად; 3) გადასცეს დიდი ინსტანციის ტრიბუნალის მდივანს მართვის მოწმობა ან მონადირის მოწმობა 4 თვემდე ვადით; 4) ანაზღაურების გარეშე შეასრულოს საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოები 60 საათამდე ზანგრძლივობით 6 თვის ვადაში. პროკურორს შეუძლია შესთავაზოს აღნიშნული ზომებიდან ერთდროულად რამდენიმე. თუ საქმეზე დადგენილია დაზარალებული, მაშინ დამატებითი პირობის სახით აუცილებლად უნდა მოხდეს გადაცდომის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირი ეთანხმება პროკურორის წინადადებას (თუ არა — გადაწყვეტილება მიიღება საერთო საწყისებზე), საქმის მასალები გადაეცემა სასამართლოს ამ პირსა და პროკურორს შორის შეთანხმების დამტკიცებლად. მოსამართლეს შეუძლია უშუალოდ დაკითხოს დაზარალებული და მისი სავარაუდო „გამნაწყენებელი“ მათი ადვოკატების თანდასწრებით. დაკითხვა აუცილებელია დაინტერესებული პირის შუამდგომლობის შემთხვევაში. თუ მოსამართლე უარს ამბობს გადაწყვეტილების დამტკიცებაზე, მაშინ პროკურორის წინადადება ძალას კარგავს (მოსამართლის გადაწყვეტილება არ საჩივრდება). თუ იგი ამტკიცებს შეთანხმებას, მაშინ პროკურორის მიერ წაყენებული პირობები უნდა შესრულდეს. ამ შემთხვევაში შესაბამისი პირის მიერ მოცემულ პირობათა სათანადოდ შესრულება აქარწყლებს სახელმწიფოს უფლებას საჯარო სარჩელის შესახებ. პირობათა სრული მოცულობით სათანადოდ შეუსრულებლობის შემთხვევაში პროკურორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის შესახებ. ფაქტობრივად შესრულებულს კი სასამართლო გაითვალისწინებს სასჯელის შეფარდებისას;

ე) სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა. ეს გადაწყვეტილებათა ერთადერთი ვარიანტია მოცემულ სტადიაზე, როდესაც წარმოება სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება. პროკურატურა ასეთ გადაწყვეტილებას იღებს მაშინ, როდესაც აუცილებლად მიიჩნევს პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის შემდეგ პროკურორი კარგავს კონტროლს საქმის შემდგომ მოძრაობაზე, ვინაიდან მის უფლებამოსილებაში არ შედის

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა. ეს სასამართლო ორგანოთა პრეროგატივაა (გამოძიების მოსამართლის, საგამოძიებო კამერის და სასამართლოსი).

4. პროკურორის ინიციატივით სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის წესი. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პროცედურის არჩევანი, რომელიც განსაზღვრავს საქმეზე შემდგომი წარმოების მსვლელობას, დამოკიდებულია როგორც კანონის მოთხოვნათა დაცვაზე, ასევე თავად პროკურორის შეხედულებაზე. დღეისათვის დაიშვება პროკურორის ინიციატივით სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის რამდენიმე ხერხი:

• სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა წინასწარი გამოძიების წარმოების შესახებ მოთხოვნის შედგენის გზით. ასეთი მოთხოვნა (requisitoire introductif) საპროცესო აქტია, რომლის მეშვეობით პროკურორი აღძრავს სისხლისსამართლებრივ დევნას და მოძრაობაში მოიყვანს საჯარო სარჩელს საქმეებზე, რომლებიც წინასწარ გამოძიებას მოითხოვენ. ასეთებია: 1) ყველა საქმე დანაშაულთა შესახებ; 2) საქმეები არასრულწლოვანთა მიმართ; 3) საქმეები ზოგიერთი გადაცდომების შესახებ, რომლებსაც კანონი განსაზღვრავს; 4) საქმეები, რომლებზეც არ არის დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირი; 5) ნებისმიერი სხვა საქმე პროკურორის შეხედულებით.

წინასწარი გამოძიების წარმოების შესახებ მოთხოვნის შედგენის შემდეგ პროკურორი მას გამოძიების მოსამართლეს უგზავნის. სისხლისსამართლებრივი დევნა აღძრულად ითვლება და გამოძიების მოსამართლე ვალდებულია შეუდგეს წინასწარ გამოძიებას. წინასწარი გამოძიების წარმოების შესახებ ორი სახის მოთხოვნა არსებობს: პირველი, გარკვეული პირის მითითებით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საჯარო სარჩელი, თუ მოცემული პირი უკვე ცნობილია პროკურორისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის მომენტიდან; მეორე, გარკვეული პირის მითითების გარეშე (მოთხოვნის შესაბამის გრაფაში იწერება „X“), თუ ეს პირი დაუდგენელია და სწორედ წინასწარი გამოძიებისას უნდა დადგინდეს.

ყველა შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა, კანონის შინაარსის თანახმად, ითვლება აღძრულად ქმედების ჩადენის ფაქტზე (in rem), მაგრამ არა კონკრეტული პირის მიმართ (non in personam), ვინაიდან გამოძიების მოსამართლე შეზღუდულია პროკურორის მოთხოვნით მხოლოდ ქმედებათა და არა პირთა წრის მიმართ, რომელთაც მას შეუძლია წაუყენოს ბრალდება. სხვა სიტყვებით, მას უფლება

აქვს არ დაეთანხმოს პროკურორის მოსაზრებას და ბრალდება წაუყენოს არა მოთხოვნაში მითითებულ, არამედ სრულიად სხვა პირს. მაგრამ, გამოძიების მოსამართლეს კატეგორიულად ეკრძალება წინასწარი გამოძიების წარმოება და ვინმესთვის ფაქტზე ან თუნდაც ეპიზოდზე ბრალდების წაყენება, რაც არ არის ასახული პროკურორის მოთხოვნაში. მას უფლება აქვს მხოლოდ მიმართოს პროკურორს თხოვნით შეცვალოს ან შეაეკოს მოთხოვნა ფაქტებთან მიმართებაში, რომელთა გამოც მოძრაობაშია მოყვანილი საჯარო საჩიველი;

• სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა სასამართლოში უშუალოდ გამოძახების გზით. სასამართლოში უშუალოდ გამოძახება (citation directe) საპროცესო აქტია, რომელიც გადაეცემა ბრალდებულს და ავალდებულებს მას გამოცხადდეს გარკვეულ დროს სასამართლოში განსასჯელის სახით.

სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის მოცემული ხერხი გამოიყენება გადაცდომათა და სამართალდარღვევათა საქმეებზე იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის აუცილებელი წინასწარი გამოძიების წარმოება. როდესაც პროკურორი გადაწყვეტს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრას და, ამასთან, აუცილებლად არ თვლის წინასწარი გამოძიების ჩატარებას, სასამართლოს მანდატურს უგზავნის მოთხოვნას შესაბამისი საპროცესო დოკუმენტის შედგენისა და ბრალდებულისათვის გადაცემის შესახებ (citation), რომელიც ავალდებულებს ამ უკანასკნელს სასამართლოში გამოცხადებას სასამართლო განხილვისათვის. ეს არ არის (ჩვენი გაგებით) უწყება, ვინაიდან იგი უამრავ რეკვიზიტებსა და ინფორმაციას შეიცავს, მათ შორის, ბრალდების არსის მოკლე შინაარსს. სასამართლო მანდატური განსასჯელს გადასცემს დოკუმენტის ასლს, ხოლო ორიგინალს გააცნობს მას ხელისმოწერის დადასტურებით (ორიგინალი პროკურორს უბრუნდება). განსასჯელის არყოფნის შემთხვევაში, სასამართლოს მანდატური დოკუმენტის ასლს მის ნათესავებს გადასცემს, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში, ტოვებს მას მერიაში. ორივე შემთხვევაში განსასჯელს იმავდროულად ეგზავნება დაკვეთილი წერილი შესაბამისი ინფორმაციით. ყველა ფორმალობის დაუცველობა პროცედურის ბათილად ცნობას იწვევს, რაც, პირველ რიგში, ათავისუფლებს განსასჯელს სასამართლოში გამოცხადებისაგან და, მეორე, შესაძლოა გამოიწვიოს მთლიანად შემდგომი წარმოების ბათილად ცნობა.

სისხლისსამართლებრივი დევნა აღძრულად ჩაითვლება მას შემდეგ, რას ჯეროვნად შესრულდება ყველა ზემოაღნიშნული მოქმედება;

• სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის გამარტივებული ხე-

რხეები. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის გამარტივებული ხერხების დღეს არსებული სისტემა ხანგრძლივი საკანონმდებლო ევოლუციის შედეგია.¹ 1983 წლის 10 ივნისისა და 1986 წლის 9 სექტემბრის კანონებმა შემოიღეს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ორი გამარტივებული ხერხი, რომლებიც დღეს მოქმედებს. ესენია: საოქმო ფორმით გამოძახება (convocation par proces-verbal); დაუყოვნებლივ მოყვანა (comparution immediate). ეს ხერხები შეიძლება გამოყენებული იყოს წარმოების მაქსიმალურად დაჩქარების მიზნით მაშინ, როდესაც არ არსებობს ამისათვის ფორმალური დაბრკოლება, მაგალითად, წინასწარი გამოძიების სახით. პრაქტიკაში ამას, როგორც წესი, ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირი დაკავებულია, მის მიერ ჩადენილი დანაშაული აშკარაა და არსებობს საქმის სასამართლოსათვის გადასაცემად საჭირო მტკიცებულებითი ბაზა. დაკავებული პირი წარედგინება პროკურორს, რომელიც გააცნობს მას ბრალდების არსს, ჩამოართმევს ახსნა-განმარტებას და გადაწყვეტს შემდგომი პროცედურის შერჩევის საკითხს. ამ მომენტიდან საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება დამცველი-ადვოკატი.

საოქმო ფორმით გამოძახება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი საჭიროდ არ თვლის პირის დაპატიმრებას. იგი ადგილზე გადასცემს განსასჯელს ოქმის ასლს, სადაც დაფიქსირებულია სისხლის სამართლის კანონის დარღვევის ფაქტი და აკეთებს განცხადებას სასამართლო განხილვის თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ, რომელიც უნდა ჩატარდეს არა უადრეს 10 დღისა და არა უგვიანეს 2 თვისა პროკურორის მიერ მოცემულ მოქმედებათა შესრულების მომენტიდან. იმედროულად პროკურორს შეუძლია გამოიყენოს პირის მიმართ აღკვეთი ღონისძიება სასამართლო კონტროლის სახით. აქ საპროცესო ეკონომია მდგომარეობს იმაში, რომ, პირველი, სისხლის-სამართლებრივი დევნის აღძვრიდან სასამართლო განხილვამდე ვადები მცირდება და, მეორე, არ ხორციელდება სასამართლო მანდატურის რთული და ხანგრძლივი საქმიანობა, როგორც ეს სასამართლოში უშუალო გამოძახებისას ხდება.

¹ 1808 წლის ნაპოლეონისული კოდექსი თავდაპირველად ზემოთ განხილულ მხოლოდ ორ ხერხს ითვალისწინებდა. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ აშკარა დანაშაულის საქმეებზე, როდესაც ბრალდებულს დანაშაულზე წახსწრეს, კანონი ითხოვდა წინასწარი გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებას (რაც აბსოლუტურად არ იყო საჭირო), ანდა ბრალდებულისათვის სასამართლოში უშუალოდ გამოძახების გადაცემას და მის გათავისუფლებას, რაც პროცესს აჭიანურებდა და შესაძლებლობას აძლევდა პირს მამალულო. სწორედ ამიტომ 1863 წლის 20 მაისის ცნობილმა კანონმა შექნა აშკარა დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ორიგინალური პროცედურა, რომელიც გაითხარა 1958 წლის სსს კოდექსმა. შემდგომში რამდენიმეჯერ მოხდა მისი რეფორმირება.

დაუყოვნებლივ იოყვანა გამოიყენება მხოლოდ იმ გადაცდომათა საქმეებზე, რომლებზეც გათვალისწინებულია სასჯელის სახით ორიდან შეიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა (ამჟამა გადაცდომათა საქმეებზე – ერთიდან შეიდ წლამდე), თუ პროკურორი საჭიროდ მიიჩნევს ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნას სასამართლო განხილვამდე. აქ შესაძლოა ორი სიტუაცია. თუ ტექნიკური მიზეზების გამო შეუძლებელია სასამართლო განხილვის იმავე დღეს ჩატარება, როდესაც პირი პროკურორს წარედგინა, მაშინ პროკურორი წარუდგენს მოცემულ პირს კომპეტენტური ტრიბუნალის თავმჯდომარეს¹ ანდა მის შემცვლელ მოსამართლეს და სუამს საკითხს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ. შემდგომი მსვლელობა დამოკიდებულია ტრიბუნალის თავმჯდომარის გადაწყვეტილებაზე. მას ან გამოაქვს დადგენილება განსასჯელის დაპატიმრების შესახებ სასამართლო განხილვამდე, რომლის ჩატარების თარიღს თავადვე განსაზღვრავს, ანდა უარს ამბობს პატიმრობის გამოყენებაზე. უკანასკნელ შემთხვევაში პროკურორს აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ მიმართოს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის სხვა ხერხს (უფრო ხშირად, საოქმოფორმით გამოძახებას).

თუ სასამართლო განხილვის ჩატარება შესაძლებელია იმავე დღეს, როდესაც პირი წარედგინა პროკურორს, მაშინ ხდება მისი ბარდაგირება სასამართლოში, სადაც იგი თითქმის დაუყოვნებლივ ხვდება განსასჯელის სკამზე. შემდეგ იწყება სასამართლო განხილვის სტადია, რომელიც სსს კოდექსით გათვალისწინებული საერთო წესების დაცვით მიმდინარეობს.

სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ხერხის მიუხედავად, საფრანგეთში პროკურორს არ გამოაქვს „საჯარო სარჩელის ან სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების“ მსგავსი სპეციალური დადგენილება. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პროცედურა ყოველთვის დაკავშირებულია ან სხვა სახის საპროცესო დოკუმენტის (მაგალითად, მოთხოვნა წინასწარი გამოძიების წარმოების შესახებ) შედგენასთან, ანდა საპროცესო მოქმედებათა გარკვეული ერთობლიობის შესრულებასთან.

5. საპროკლავო მოსარჩელის ინიციატივით სისხლისსამართლებრი-

¹ 2000 წლის 15 ივნისის კანონის თანახმად, რომელმაც შეცვალა სსს კოდექსის 396-ე მუხლის მონარსი, ტრიბუნალის თავმჯდომარის შესასამისი უფლებამოსილებანი, დაკავშირებული დაუყოვნებლო მოყვანასთან, გადაეცემა თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლეს (მის შესახებ იხ. მოკლელი თავი, §7). თუმცა ასალი კანონის ეს დებულება ძალაში შედის მხოლოდ 2002 წლის 15 ივნისიდან. მანამდე მოქმედებს ძველი წესი.

კი დევნის აღძვრის წესი. საფრანგეთის პროკურორისათვის მინიჭებული უფლება – თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის მიზანშეწონილობის საკითხი – კომპენსირებულია საპროცესო მექანიზმით, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულის საპროცესო ინტერესების დაცვას. ამ მექანიზმის არსი ისაა, რომ სამოქალაქო სარჩელის აღძვრის გზით დაზარალებულს შესაძლებლობა ეძლევა მოახდინოს საჯარო სარჩელის ინიციატივა ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე (და არა მხოლოდ „კერძო ბრალდების“ საქმეებზე, როგორც ეს სხვა ქვეყნებში ხდება, მაგალითად, რუსეთში).¹

არსებობს დაზარალებულის ინიციატივით სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ორი ხერხი:

● საჩივარი, რომელიც ეგზავნება გამოძიების მოსამართლეს.

სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ეს ხერხი გამოიყენება იმავე კატეგორიის საქმეებზე, რომლებზეც პროკურორი აღძრავს სისხლისსამართლებრივ დევნას წინასწარი გამოძიების წარმოების მოთხოვნის შედგენის გზით, ძირითადად, ესენია დანაშაულის შესახებ საქმეები.

დაზარალებული, რომელიც თვლის, რომ მას ზიანი მიადგა დანაშაულებრივი ქმედებით, უგზავნის საჩივარს გამოძიების მოსამართლეს წერილობითი ფორმით ან აკეთებს განცხადებას ზეპირი ფორმით, რომელიც ოქმში შეიტანება. დაზარალებული არ არის ვალდებული წარადგინოს რამე მტკიცებულებანი. მტკიცებულებათა შეგროვების ტვირთი სისხლის სამართლის საქმეებზე კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს აწევთ. საჩივრის მიღების შემდეგ გამოძიების მოსამართლე გადაუგზავნის მას პროკურორს, რომელიც წყვეტს საჯარო სარჩელის აღძვრის საკითხს. მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ სიტუაციაში პროკურორს არ აქვს უფლება შეაფასოს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის მიზანშეწონილობა თუ მიზანშეუწონლობა. პროკურორს უფლება აქვს უარი თქვას დევნის აღძვრაზე მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული ფორმალური საფუძვლების გამო (სისხლის სამართლის კანონის გაუქმება, ხანდაზმულობის ვადის გასვლა, ამნისტია და სხვა). თუ ასეთი საფუძველი არ არსებობს, მაშინ პროკურორი აღძრავს საჯარო სარჩელს, გამოძიების მოსამართლეს უგზავნის მოთხოვნას წინასწარი გამოძიების წარმოების შესახებ და მიუთითებს პირს, როდესაც პოტენციური ბრალდებული

¹ არტოუ დიდი ხნის წინ (1943 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება) საფრანგეთის საკასაციო სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვისას მივიდა დასკვნამდე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობის პრინციპი არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილს („სამართლო დაცვის უფლებას“).

დასახელებულია დაზარალებულის საჩივარში, ანდა არ მიუთითებს მას, თუ დაზარალებულმა საჩივარში არ დაასახელა კონკრეტული პირი;

• სასამართლოში უშუალო გამოძახება. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის მოცემული ხერხი გამოიყენება მაშინ, როდესაც საქმეზე წინასწარი გამოძიება არ ტარდება. დაზარალებული თხოვნით მიმართავს სასამართლოს ბრალდებულისათვის „სასამართლოში უშუალო გამოძახების“ შესახებ უწყების გაგზავნის თაობაზე. ამ დოკუმენტს ადგენს და ბრალდებულს გააცნობს სასამართლო მანდატური იმავე წესით, როგორც ეს პროკურორის მოთხოვნისას ხდება. შემდეგ ტარდება სასამართლო განხილვა, რომლის ინიციატორადაც დაზარალებული გამოდის.

მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულს საკმაოდ ფართო უფლებები გააჩნია ორივე ხერხით სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრისას, დაუშვებელია მის მიერ თავისი უფლებების ბოროტად გამოყენება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საფრანგეთში შექმნილია შემდეგი საპროცესო მექანიზმი. გამოძიების მოსამართლე, რომელსაც ეგზავნება დაზარალებულის საჩივარი, ანდა სასამართლო, რომელსაც დაზარალებული მიმართავს თხოვნით სასამართლოში უშუალო გამოძახების შესახებ უწყების გაგზავნის თაობაზე, აკადღებულებენ დაზარალებულს, რომ მან შესაბამისი სასამართლოს დეკლარაცია შეიტანოს ფულადი თანხა, რომლის ოდენობასაც ისინი განსაზღვრავენ დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. 1991 წლის 10 ივლისის „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის თანახმად, მცირედისმქონე დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს ე.წ. „იურისდიქციული დახმარება“, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ათავისუფლებს მას აღნიშნული ვალდებულებისაგან. თუ დაზარალებულს არ აქვს იურისდიქციული დახმარების უფლება, მაშინ მის მიერ ფულადი თანხის შეტანა, რომელიც თავისებურ გირაოს წარმოადგენს, საქმის შემდგომი წარმოების აუცილებელი პირობა ხდება. ამ ინსტიტუტის არსი ისაა, რომ დაზარალებულისათვის ფულის დაბრუნება დამოკიდებულია საქმის შედეგზე. როდესაც წინასწარი გამოძიება წარმოებდა, მას შეტანილი ფულადი თანხა უკან უბრუნდება მას შემდეგ, რაც გამოძიების მოსამართლე საქმეს სასამართლოს გადასცემს (მიუხედავად სასამართლო განხილვის შედეგისა). თუ გამოძიება არ ჩატარებულა, არამედ გაიგზავნა სასამართლოში უშუალოდ გამოძახების შესახებ უწყება, მაშინ დაზარალებულს ფული უბრუნდება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიების მოსამართლე წვევტს საქმეს

შემთხვევის ან დანაშაულის შემაღგენლობის არარსებობის გამო, ანდა სასამართლოს გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი (სასამართლოში უშუალო გამოძახების დროს) პროკურორს უფლება აქვს სასამართლო წესით გადაახდევინოს დაზარალებულს ჯარიმა 100 000 ფრანკის ოდენობით, თუ დადგინდება დაზარალებულის წინასწარი შეცნობით დაუსაბუთებელი ბრალდების წაყენება განსასჯელისათვის, ანდა უფლებების ბოროტად გამოყენების სხვა შემთხვევები მისი მხრიდან, რამაც სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა გამოიწვია. ამ შემთხვევაში დაზარალებულის მიერ შეტანილი თანხით ხდება აღნიშნული ჯარიმის უზრუნველყოფა.

§7. წინასწარი გამოძიება

1. წინასწარი გამოძიების ცნება და მნიშვნელობა. წინასწარი გამოძიების ინსტიტუტმა პირველად საფრანგეთში შეიძინა თავისი თანამედროვე იურიდიულ-ტექნიკური შინაარსი. სწორედ ფრანგულმა წინასწარმა გამოძიებამ წარმოშვა სისხლის სამართლის პროცესის ის ისტორიული ფორმა, რომელმაც თეორიაში „შერეული პროცესის“ სახელი დაიმკვიდრა და თავისი საკანონმდებლო განმტკიცების შემდეგ (1808 წლის სსს კოდექსით) სწრაფად და ხანგრძლივი დროით გაერცელდა კონტინენტურ ევროპაში.

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის განვითარების ისტორიული პერიპეტეიების მიუხედავად, რომელიც შეეხო წინასწარ გამოძიებას იმდენადვე, რამდენადაც საპროცესო სტადიებსა და ინსტიტუტებს მთლიანად, დღეისათვის სისხლის სამართლის პროცესის მოცემული სტადია საფრანგეთში ინარჩუნებს კლასიკურ იერს. მან თავისი დასრულებული სახე XIX საუკუნის დასაწყისში მიიღო და შეიცავს სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესის ზოგიერთ ელემენტს. საფრანგეთის თანამედროვე წინასწარი გამოძიების ძირითად საპეციფიკურ ნიშან-თვისებებს შორის შესაძლოა გამოვეყოთ შემდეგი:

პირველი და ძირითადი თვისებაა მისი სასამართლო ხასიათი, ესე იგი, გამოძიების წარმოება — ეს მხოლოდ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი თანამდებობის პირების პრეროგატივაა, რომლებიც მოქმედებენ ერთპიროვნულად ან კოლექტიურად და შედიან სამოსამართლო კორპუსის შემადგენლობაში. ისინი არ მიეკუთვნებიან სისხლისსამართ-

ლებრივი ღვენიის ორგანოებს, ვინაიდან მათი როლი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ განახორციელონ ვინმეს მიმართ ღვენა (ეს პროკურატურისა და დაზარალებულის ამოცანაა), არამედ იმაში, რომ შეკრიბონ მტკიცებულებანი ჭეშმარიტების დაღვენის მიზნით და მიიღონ საჭირო საპროცესო გადაწყვეტილებანი.

მეორე ნიშანი წინასწარი გამოძიებისა არის ორინსტანციური სტრუქტურა, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას წინასწარი გამოძიებისას მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების გამართული სისტემა. სასამართლო განხილვასთან ანალოგიით, გასაჩივრების ნებისმიერი სისტემა მოითხოვს მეორე ინსტანციის არსებობას, ესე იგი, წინასწარ გამოძიებასთან მიმართებაში იქმნება როგორც პირველი, ასევე მეორე ინსტანციის საგამოძიებო ორგანოები.

მესამე ნიშანი ისაა, რომ წინასწარი გამოძიება მოიცავს საპროცესო საქმიანობას მთლიანად სისხლისსამართლებრივი ღვენის აღძვრისა და მოსამართლის მიერ საქმის თავის წარმოებაში მიღების მომენტიდან, ვიდრე შესაბამისი სასამართლო მიიღებდეს ამ საქმეს უკვე არსებითად განსახილველად. ასეთ პირობებში სამართალში მიცემა ან საერთოდ არ არსებობს, ანდა იგი განიხილება როგორც სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სტადია. გამოძიების მოსამართლის საქმიანობის რეეზია უზრუნველყოფილია წინასწარი გამოძიების მეორე ინსტანციაში. რაც შეეხება საქმის არსებითად განხილვისათვის მოსამზადებელ მოქმედებებს (სასამართლო სხდომის დანიშვნა, სასამართლოში გამოსამახებელ მოწმეთა სიის განსაზღვრა და სხვა), ისინი იმ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომელმაც ეს საქმე უნდა განიხილოს.

მეოთხე ნიშანი წინასწარი გამოძიებისა მდგომარეობს მის სამძებრო (ინკვიზიციურ) ხასიათში. სისხლის სამართლის პროცესის მოცემული სტადია ტრადიციულად ითვლება როგორც წერილობითი, ფარული და არაშეჯიბრებითი, თუმცა ადგილი ჰქონდა „ინკვიზიციური მეგკვიდრების“ არსებით მოდიფიკაციებს შეჯიბრებითის მიმართულებით.

პირველი, რომ 1897 წლიდან ამ ქვეყნის კანონმდებელმა დაუშვა გამოძიებაში დამცველი, ესე იგი შესაძლოა უკვე ვისაუბროთ სისხლის სამართლის პროცესის მოცემულ სტადიაზე დაპირისპირების შესახებ, ერთი მხრივ, ღვენის ორგანოებსა (პროკურორი და დაზარალებული, რომელმაც სამოქალაქო სარჩელი წარადგინა) და, მეორე მხრივ, დაცვას (ბრალდებული და დამცველი) შორის. რეფორმების შედეგად დამცველის როლი სულ უფრო იზრდება, თუმცა ჭეშმარიტ შეჯიბრებითობაზე საუბარი ნაადრევი, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმე მთლიანად

დამოკიდებულია საგამოძიებო ორგანოებზე, სწორედ მათ ხელშია თავმოყრილი მტკიცებულებათა შეკრების მთელი უფლებამოსილება. მეორე, 1958 წლის სსს კოდექსის მიღებიდან წერილობითი, ფარული და არამეჯიბრებითი (შეჯიბრებითობის ცალკეული ელემენტებით) დარჩა მხოლოდ პირველი ინსტანციის წინასწარი გამოძიება. მეორე ინსტანცია გადაიქცა ზეპირ, მხარეთათვის ღია და შეჯიბრებით წარმოებად, რამაც თავის დროზე ფრანგ პროცესუალისტებს საშუალება მისცა ესაუბრათ წინასწარი გამოძიების ნამდვილ „რეეოლუციასზე“¹.

სსს კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, წინასწარი გამოძიების ჩატარება „სავალდებულოა დანაშაულთა საქმეებზე... ფაქულტატურად, გადაცდომათა საქმეებზე; მას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამართალდარღვევათა საქმეებზეც, თუ ამას რესპუბლიკის პროკურორი მოითხოვს...“ უფრო კონკრეტულად, საუბარია იმ შემთხვევებზე, როდესაც პროკურორი ვალდებულია ან უფლება აქვს აღძრას სისხლის სამართლებრივი დევნა წინასწარი გამოძიების წარმოების მოთხოვნის წარმართვით, რაზეც უკვე ვისაუბრეთ ზემოთ. ფაქტობრივი ხვედრითი წილი საქმეებისა, რომლებზეც წინასწარი გამოძიება ტარდება, არ არის ღიდი. მაგრამ ეს საქმეები შეეხება საზოგადოებისათვის ყველაზე საშიშ დანაშაულებს. ამიტომ სისხლის სამართლის პროცესის მოცემულ სტადიას ღიდი რეალური და არა სტატისტიკური მნიშვნელობა აქვს.

2. წინასწარი გამოძიების ორგანოები.

პირველი ინსტანციის წინასწარი გამოძიების ორგანოები. პირველი ინსტანციის წინასწარ გამოძიებას გამოძიების მოსამართლე აწარმოებს. მოქმედი კანონმდებლობა მას ორმაგ სტატუსს ანიჭებს: მაგისტრატისა (სამოსამართლო კორპუსის წევრისა) და საკუთრივ გამოძიების მოსამართლის. სსს კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, როგორც მაგისტრატი, იგი შდის ღიდი ინსტანციის ტრიბუნალის შემადგენლობაში და მასზე მთლიანად ვრცელდება მოსამართლის სტატუსი, მათ შორის შეუცვლელობის წესი. თანამდებობაზე ყოფნის ვადა (ნებისმიერი მაგისტრატისათვის) არ არის განსაზღვრული.

ღიდი ინსტანციის ტრიბუნალის წევრი გამოძიების მოსამართლედ ინიშნება საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ იუსტიციის მინისტრის წარდგინებით (ამასთან, აუცილებლად მიიღება მხედველობაში მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მოსაზრება). გამოძიების მოსამართლის

¹ 2000 წლის 15 ივნისის კანონმა გააგრძელა ეს ტენდენცია და შოიტანა წინასწარი გამოძიების მეორე ინსტანციაში საქვეყნოობის ელემენტები (გარკვეული გარემოებების არსებობისას იგი ახლა ღია პუბლიკისთვისაც), რაზეც იხ. შუბლე.

სტატუსი ანიჭებს შეუცვლელობის უფლებას, რაც გათვალისწინებულია 1987 წლის 30 დეკემბის კანონით. მოსამართლე შეიძლება გათავისუფლდეს გამოძიების მოსამართლის მოვალეობათაგან მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ან დააწინაურეს, ანდა ღისციპლინარული გადაცდომა ჩაიდინა.

ერთშემადგენლობიან სასამართლოებში, იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიების მოსამართლე „არ იმყოფება, ავად არის, ანდა დაკავებულია“, მისი მოვალეობები, ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, შეიძლება დაეკისროს ტრიბუნალის ნებისმიერ სხვა მოსამართლეს (სსს კოდექსის 50-ე მუხლი). გამონაკლის შემთხვევებში, როგორც საკასაციო სასამართლომ განმარტა, ეს ნორმა გამოიყენება მრავალშემადგენლობიან სასამართლოებში გამოძიების მოსამართლეების გადატვირთვის ან მათი მცირე რაოდენობის შემთხვევაში.

წინასწარი გამოძიების საპროცესო ფუნქცია, რომელიც აკისრია გამოძიების მოსამართლეს, არაერთგვაროვანია. საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ პრინციპულ დებულებას წარმოადგენს გამოძიების მოსამართლის უფლებამოსილებათა საგამოძიებო (სამძებრო) და იურისდიქციულ (სასამართლო) უფლებამოსილებებად დაყოფა.

აქედან გამომდინარეობს, რომ გამოძიების მოსამართლის ყველა საპროცესო მოქმედება და მათი შესაბამისი საპროცესო აქტები იყოფა ადმინისტრაციულ და იურისდიქციულ აქტებად. მიუხედავად იმისა, რომ მათი დაყოფის კრიტერიუმების პრობლემა თავისი საკანონმდებლო ბუნდოვანების გამო მეცნიერებაში დავას იწვევს, გამოძიების მოსამართლის ფუნქციათა ასეთ კლასიფიკაციას დიდი საპროცესო მნიშვნელობა აქვს. პროცესის მონაწილეებს შეუძლიათ გაასაჩივრონ საგამოძიებო კამერაში მხოლოდ იურისდიქციული აქტები. გამოძიების მოსამართლე ვალდებულია ასეთი აქტები დაუყოვნებლივ გააცნოს დაინტერესებულ პირებს.

საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრების თანახმად, იურისდიქციულ აქტს ახასიათებს ის, რომ მისი გამოტანისას გამოძიების მოსამართლე განახორციელებს სამართალგამოყენებას. გარდა ამისა, ასეთი აქტის მისაღებად უნდა არსებობდეს მხარეებს შორის დავა, ესე იგი მათი ინტერესები ურთიერთსაწინააღმდეგო უნდა იყოს. ქრესტომატიული მაგალითებია: საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება, ან უარი სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობაზე. წინასწარი გამოძიების ყველა დანარჩენი აქტი ითვლება ადმინისტრაციულად (შემთხვევის ადგილზე გასვლის დადგენილება ან მოწმის მოყვანის დადგენილება) და, ძირითადად, მიმართულია მტკიცებულებათა შეკრებისაკენ.

1808 წლის კოდექსის მიღების მომენტიდან საფრანგეთის წინასწარი გამოძიების განვითარების განუხრელ ტენდენციას წარმოადგენდა გამოძიების მოსამართლის იურისდიქციულ ფუნქციათა სულ უფრო მეტად განმტკიცება და, იმავდროულად, მისი სამძებრო უფლებამოსილებათა შესუსტება. ეს უკანასკნელი ხორციელდებოდა მოკვლევის ხვედრითი წილის გაზრდის ხარჯზე, რაც მკვეთრად გამოვლინდა 1897 წლის 8 დეკემბრის კანონის მიღების შემდეგ და 1958 წლის კოდიფიკაციის პერიოდში. სხვა სიტყვებით, გამოძიების მოსამართლე უკვე ნაკლებად არის გამოძიებელი და მეტად – მოსამართლე. საპროცესო ფორმის თვალსაზრისით, გამოძიების მოსამართლის ყველა მოქმედება და გადაწყვეტილება შეიძლება დამაგრებული იყოს სამი სახის აქტით: ოქმი, ბრძანება (mandat) და დადგენილება (ordonnance).

ფორმალურად, პირველი ინსტანციის საგამოძიებო ორგანოებს მხოლოდ გამოძიების მოსამართლე მიეკუთვნება. თუმცა 2000 წლის 15 ივნისის კანონის თანახმად, მისი უფლებამოსილებათა ნაწილი დაეკისრა თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლეს, რომელიც გამოძიების მოსამართლის მაკონტროლირებელ კიდევ ერთ სასამართლო ორგანოს წარმოადგენს.

საფრანგეთის სისხლის საპროცესო სამართლის ისტორიის ბოლო ორი საუკუნის სხვადასხვა პერიოდებში კანონმდებელი უკვე ქმნიდა (ზოგჯერ მხოლოდ ქალაქებში) სხვა ორგანოებს, რომლებიც გამოძიების მოსამართლის პარალელურად მოქმედებდნენ წინასწარი გამოძიების პირველ ინსტანციაში: სათათბირო კამერები, რომლებიც 1808 წლიდან 1856 წლამდე მოქმედებდნენ; ერთშემადგენლობიანი სასამართლო ორგანო, რომელიც დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა (1933-1935 წლები); 1985 წლის 10 დეკემბრის კანონით შექმნილი საგამოძიებო პალატები, რომლებმაც ვერ დაიწყეს რეალურად ფუნქციონირება, რადგან ისინი გააუქმა 1989 წლის 6 ივლისის კანონმა; კოლეგიური ორგანო (არაპროფესიონალთა მონაწილეობით), რომლის ამოცანაც უნდა ყოფილიყო დაპატიმრების საკითხის გადაწყვეტა (იგი 1993 წლის 4 იანვრის რეფორმის შედეგად გაჩნდა და მალევე გაუქმდა 1993 წლის 24 აგვისტოს კანონით). ყველა ეს მცდელობა, ნაპოლეონისეული სათათბირო კამერების გარდა, წარუმატებელი გამოდგა. გამოძიების მოსამართლის საპროცესო ფუნქციების შეზღუდვის იდეა ვერ ხორციელდებოდა.

2000 წლის 15 ივნისის კანონი დაუბრუნდა „ძველ თემას“. გამოძიების მოსამართლემ დაკარგა დაპატიმრების შესახებ გადაწ-

ყვეტილების მიღების უფლება (თუმცა პატიმრობიდან გათავისუფლება მას კვლავაც შეუძლია). ახლა მოცემული საკითხის გადაწყვეტა თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლის პრეროგატივაა. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის ახალ სუბიექტს გამოძიების ფარგლებში ოდნავ სხვა უფლებამოსილებანი აქვს, თუმცა ყველა მათგანს არა საგამოძიებო, არამედ – წმინდა სასამართლო ხასიათი აქვს. თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლეს თავისი ინიციატივით მოქმედების უფლება არ აქვს. იგი სასამართლო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საქმის მწარმოებელი ორგანოების ან მხარეების მოთხოვნით.

თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლე თანამდებობაზე ინიშნება დიდი ინსტანციის ტრიბუნალის თავმჯდომარის მიერ. მას არა მხოლოდ სრულყოფილი მოსამართლის სტატუსი აქვს, არამედ თავისი რანგით იგი ტრიბუნალის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ან თავმჯდომარის მოადგილეს უთანაბრდება (სსს კოდექსის 137-1-ე მუხლი). ასეთ მოსამართლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა არსებით განხილვაშიც, მაგრამ არა იმ საქმეებისა, რომლებზეც იგი ახორციელებდა სასამართლო კონტროლს წინასწარი გამოძიების მსვლელობისას.

მეორე ინსტანციის საგამოძიებო ორგანოები – საგამოძიებო კამერები, რომლებსაც 2000 წლის 15 ივნისის კანონის მიღებამდე საბრალდებო კამერებს უწოდებდნენ. ორგანიზაციული თვალსაზრისით ისინი შედიან სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობაში (სსს კოდექსი, 191-ე მუხლი, ნაწილი პირველი), რომელიც ზემდგომ სასამართლოს წარმოადგენს დიდი ინსტანციის ტრიბუნალისათვის, სადაც გამოძიების მოსამართლეები მუშაობენ.

საგამოძიებო კამერა შედგება თავმჯდომარისა და ორი მრჩეველისაგან. ეს უკანასკნელნი შეიძლება იყვნენ სააპელაციო სასამართლოს სხვა განყოფილებათა წევრები.

სსს კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად (1987 წლის 30 დეკემბრის რედაქციით), საგამოძიებო კამერიის თავმჯდომარე ინიშნება პრეზიდენტის დეკრეტით საკითხის მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ. მრჩეველები ყოველწლიურად ინიშნებიან თანამდებობაზე სააპელაციო სასამართლოს გენერალური ასამბლეის მიერ ამ სასამართლოს წევრთაგან.

საგამოძიებო კამერიის ფუნქციები გამომდინარეობენ მისი, როგორც მეორე ინსტანციის საგამოძიებო ორგანოს ამოცანებიდან. ეს

ფუნქციები ხორციელდება მისი ორი ძირითადი საპროცესო უფლებამოსილებათა მეშვეობით: 1) წინასწარი გამოძიების მსვლელობისას საჩივრების განხილვა გამოძიების მოსამართლის იმ დადგენილებებზე, რომლებიც გასაჩივრებას ექვემდებარებიან; 2) საგამოძიებო აქტების ბათილად ცნობისა და მათი სისხლის სამართლის საქმიდან ამოღების შესახებ საკითხის განხილვა. გარდა ამისა, განსაზღვრულ შემთხვევებში საგამოძიებო კამერას უფლება აქვს დამოუკიდებლად განახორციელოს საგამოძიებო მოქმედებანი, შეკრიბოს მტკიცებულებანი და გამოითხოვოს საქმე გამოძიების მოსამართლისაგან პირველი ინსტანციის გამოძიების დამთავრების მიზნით.¹

3. წინასწარი გამოძიების დაწყება. საგამოძიებო მოქმედებანი და განსახილველად მიღება (ბრალდების წაყენება). სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის გამოყოფა წინასწარი გამოძიების ფუნქციისაგან გამოძიების მოსამართლეს ართმევს შესაძლებლობას დაიწყოს გამოძიება თავისი ინიციატივით. მას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უფლება აქვს მიიღოს საქმე წარმოებაში და დაიწყოს წინასწარი გამოძიება მხოლოდ პროკურორის მოთხოვნით.

თუ დიდი ინსტანციის ტრიბუნალში რამდენიმე გამოძიების მოსამართლეა, მაშინ მოთხოვნას იღებს ტრიბუნალის თავმჯდომარე, რომელიც წყვეტს, თუ რომელ მათგანს დაევალოს საქმის წარმართვა (სსს კოდექსი, 83-ე მუხლი). როდესაც გამოძიების მოსამართლე მიიღებს აღნიშნულ დოკუმენტს, მას გამოაქვს დადგენილება საქმის თავის წარმოებაში მიღების შესახებ და იწყება წინასწარი გამოძიება, რომელიც სასამართლო-იურისდიქციულ და საგამოძიებო-სამძებრო მოქმედებათა ერთობლიობას წარმოადგენს. უკანასკნელი ხასიათდება იმით, რომ გამოძიების მოსამართლეს აქვს უფლება აწარმოოს სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედებანი მტკიცებულებათა შესაკრებად. ძირითად ნორმას, რომელიც არეგულირებს გამოძიების მოსამართლის საქმიანობის მოცემულ ასპექტს, წარმოადგენს სსს კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილი, სადაც ვკითხულობთ, რომ მას „უფლება აქვს შეასრულოს ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედება, რომელსაც საჭიროდ

¹ 2000 წლის 15 ივნისის კანონის მიღებამდე საბრალდებო კამერები, როგორც მათ ადრე უწოდებდნენ, წყვეტდნენ საკითხს დანაშაულთა საქმეებზე ბრალდებულის ასიზების სასამართლოში მოცემის შესახებ. უნაიდან მოცემული კატეგორიის საქმეებისათვის შექმნილია ასიზების სასამართლო (იხ. მოცემული თავი, §8), პირველი ინსტანციის წინასწარი გამოძიების საკვლევებელი რეეზიზის, როგორც დამატებითი ფილტრის აუცილებლობა მკორე ინსტანციით უკვე აღარ არსებობს. ახლა საქმეს ასიზების სასამართლოს გადასცემს უშუალოდ გამოძიების მოსამართლე (თუ იგი გარკვეული გარემოებების გამო მაღლიანად სავსებით კამერის წარმოებაში არ არის გადაცემული გამასიზების დასამთავრებლად).

ჩათვლის ჭეშმარიტების დასადგენად“. სხვა სიტყვებით, საგამოძიებო-სამძებრო საქმიანობის უმთავრესი პრინციპი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოდ: ყველაფერი, რაც არ არის აკრძალული ან რეგლამენტირებული – დასაშვებია.

ყველაზე გავრცელებულ საგამოძიებო მოქმედებებს, რომლებიც წინასწარი გამოძიებისას ხორციელდება, წარმოადგენენ: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დაკითხვა, დაპირისპირება, ჩხრეკა, ამოღება, ექსპერტიზა. ისინი კარგად ნაცნობი მოქმედებებია ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის პროცესისათვის და თითქმის ერთნაირად ხორციელდება. თუმცა არსებობს მათი წარმოების საფრანგეთის პროცესისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება, რომლებიც ყურადღებას იმსახურებს.

მათი ნაწილი მოწმის დაკითხვას შეეხება. უპირველეს ყოვლისა უნდა განვასხვაოთ „უბრალო“ და „ასისტირებული“ მოწმეთა დაკითხვები. გამოძიების მოსამართლის შეხედულებით, უბრალო მოწმის სახით შესაძლებელია დაიკითხოს ნებისმიერი პირი (სსს კოდექსი, 101-ე მუხლი), გარდა იმისა, რომლის წინააღმდეგაც საქმეში არსებობს მტკიცებულებანი. პირთა წრე, რომლებიც დაიკითხებიან მოწმეთა სახით, ფართოა და მოიცავს პოლიციელებს, ექსპერტებს და სულთ ავადმყოფებსაც (ვინაიდან მოქმედებს მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეუასების პრინციპი).

„ასისტირებული მოწმის“ ინსტიტუტი (temoin assiste) სიახლეს წარმოადგენს ფრანგულ სისხლის სამართლის პროცესში. დიდი ხნის მანძილზე გამოძიების ერთ-ერთ პრობლემას საფრანგეთში წარმოადგენდა პროკურორის მოთხოვნაში ან სამოქალაქო მოსარჩელის საჩივარში მითითებული პირის სტატუსი, ვინაიდან, ერთი მხრივ, ეს პირი ჯერ კიდევ არ არის ბრალდებული და, შესაბამისად, ვერ სარგებლობს თავისი დაცვის უფლებით (ის მხოლოდ მოწმეა), თუმცა, მეორე მხრივ, აშკარაა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ფაქტობრივად (და არა იურიდიულად) აღძრულია სწორედ ამ პირის მიმართ, რაც პირდაპირ გამოძინარეობს პროკურორის მოთხოვნის ან სამოქალაქო მოსარჩელის საჩივრის ტექსტიდან, რომლებიც წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველს წარმოადგენენ. 1987 წლის 30 დეკემბრის კანონმა გადაჭრა ეს პრობლემა მოწმის განსაკუთრებული კატეგორიის – „ასისტირებული მოწმე“ – შემოტანით. ასისტირებული არიან მოწმეები, რომლებსაც დამცველები ჰყავთ. ეს ინსტიტუტი შემდგომში განავეითარა 2000 წლის 15 ივნისის კანონმა, რომელმაც შეავსო სსს კოდექსის 113-1-ე-113-8-ე მუხლები.

რომლებიც სპეციალურად ეძღვნება „ასისტირებული მოწმის“ სტატუსსა და დაკითხვის წესს. თუ პირი მითითებულია პროკურორის მოთხოვნაში წინასწარი გამოძიების წარმოების შესახებ, ანდა სამოქალაქო მოსარჩელის საჩივარში, ასევე, თუ საქმეზე რომელიმე მოწმე აძლევს ჩვენებას ამ პირის წინააღმდეგ, ან, თუ „პირის წინააღმდეგ არსებობს სამხილები, რომლებიც საშუალებას იძლევიან დანამდვილებით ვივარაუდოთ, რომ მას შეეძლო მონაწილეობა მიეღო დანაშაულის ჩადენაში“ (სსს კოდექსი, 113-2-ე მუხლი), მაშინ იგი ჯერჯერობით მოწმედ რჩება და ეკისრება მოწმის ყველა მოვალეობა (გამოცხადდეს გამოძიების მოსამართლის გამოძახებით და მისცეს ჩვენება). თუმცა, მეორე მხრივ, იგი ხდება „ასისტირებული მოწმე“ და იძენს ბრალდებულის რიგ უფლებებს. მაგალითად, მას უფლება აქვს ჰყავდეს დამცველი (ესე იგი ასისტენტი ან თანამშემწე), რომელსაც უფლება აქვს დაესწროს ყველა დაკითხვას და გაეცნოს საქმეს დაკითხვამდე, მისცეს ჩვენება ფიცის დადების გარეშე. მას განსაკუთრებული უფლებებიც აქვს, როგორცაა: იშუამდგომლოს იმ პირთან დაპირისპირების შესახებ, რომელიც მის წინააღმდეგ იძლევა ჩვენებას; მოითხოვოს, რომ იგი „ბრალდებულის“ თანრიგში გადაიყვანონ (რათა მას მაქსიმალურად ფართო უფლებები ჰქონდეს). ბოლო მოთხოვნა ავტომატურად იწვევს საპროცესო სტატუსის შეცვლას და აღარ საჭიროებს ბრალდების ფორმალურ წარდგენას. „ასისტირებულის“ სტატუსს მოწმე შესაძლოა ატარებდეს მხოლოდ წინასწარი გამოძიებისას. სასამართლო განხილვისას იგი ჩვეულებრივ მოწმედ წარმოადგება.

დაზარალებული იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა მისი ინიციატივით აღიძვრება, ან იგი სამოქალაქო სარჩელს წარადგენს უკვე საქმის მსვლელობისას, რომელიც აღიძრა პროკურორის მიერ, სამოქალაქო მოსარჩელედ წარმოადგება. *სამოქალაქო მოსარჩელის დაკითხვა განსაკუთრებულ წესებს ექვემდებარება.* კერძოდ, დაკითხვის დროს მას უფლება აქვს დაესწროს ადვოკატ-წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს სარჩელი არ წარუდგენია, მაშინ იგი დაკითხება მოწმის დაკითხვის საერთო წესების მიხედვით.

ტელეკომუნიკაციის საშუალებებით გადაცემულ შეტყობინებათა მოსმენა (დათვალიერება) საფრანგეთში შედარებით ახალ საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენს, რომელმაც შეცვალა უკვე მოძველებული „სატელეფონო საუბრების მოსმენა“. ადრე სატელეფონო საუბრების მოსმენა ზორციელდებოდა ზოგადი ნორმის მიხედვით (სსს კოდექსი, 81-ე მუხლი), რომლის თანახმადაც, გამოძიების მოსამართლეს უფლება

ქონდა შეესრულებინა ნებისმიერი მოქმედება ჭეშმარიტების დასადგენად. მაგრამ, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ (1990 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით) საფრანგეთს დააკისრა ვალდებულება, რომ მას მოცემული საგამოძიებო მოქმედების წარმოების დეტალური რეგლამენტირება მოეხდინა სსს კოდექსში, ან უარი ეთქვა მასზე. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებამ გამოიწვია 1991 წლის 10 ივლისის კანონის მიღება „ტელეკომუნიკაციის საშუალებებით გადაცემულ შეტყობინებათა მოსმენის (დათვალიერების) შესახებ“, რომელმაც შესაბამისი დამატებები შეიტანა სსს კოდექსში (მე-100-100-7-ე მუხლები).

კანონმდებელმა უფრო ფართოდ აღიქვა პრობლემა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, რაც ნათლად ჩანს კანონის სახელწოდებიდანაც. ტელეკომუნიკაციების ქვეშ იგულისხმება „ყოველგვარი გადაცემა, გადაგზავნა ან მიღება ნებისმიერი სახის ნიშნების, სიგნალების, ტექსტების, გამოსახულების, ბგერების ან ცნობებისა ოპტიკური კაბელის, რადიოელექტრობის ან სხვა ელექტრონული სისტემების მეშვეობით“. ახალი კანონი ახდენს ტექნიკური საშუალებებით გადაცემულ ყველა სახის შეტყობინებათა (და არა მარტო სატელეფონო საუბრების) მოსმენის (დათვალიერების) ლეგალიზებას.

შეტყობინებათა მოსმენის (დათვალიერების) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამოძიების მოსამართლე. მას გამოაქვს დადგენილება, რომელიც არ არის იურისდიქციული და არ საჩივრდება. მისი მოქმედების ვადა ოთხ თვეს შეადგენს. ამ ვადის ამოწურვისას დაიშვება მისი გაგრძელება. მოსმენა (დათვალიერება) ფორმდება ოქმით, რომელიც დაერთვის საქმეს. კანონი არ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისი საუბრებიც შეიძლება მოისმინონ. მე-100-7 მუხლში ნათქვამია მხოლოდ, რომ მოცემული საგამოძიებო მოქმედების წარმოება ადვოკატის კაბინეტში ან საცხოვრებელ ბინაში (მიუხედავად იმისა, იღებდა თუ არა იგი მონაწილეობას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში) დაიშვება მხოლოდ როგორც გამოწვევის, რის თაობაზეც უნდა ეცნობოს ტერიტორიული საადვოკატო კორპორაციის ხელმძღვანელს (batonnier).

ზოგადი წესის თანახმად, გამოძიების მოსამართლე დამოუკიდებლად ახორციელებს ყველა საგამოძიებო მოქმედებას (სსს კოდექსი, 81-ე მუხლი, პირველი ნაწილი). თუმცა კანონი მას ანიჭებს უფლებას – საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ზოგიერთი თავისი უფლებამოსილების დელეგირება თანამდებობის სხვა პირებზე ცალკეულ დავალებათა მიცემით. მას უფლება აქვს გაუგზავნოს ცალკეული დავალება თავისი ტრიბუ-

ნალის ნებისმიერ მოსამართლეს, გამოძიების მოსამართლეს, ან საფრანგეთის სასამართლო პოლიციის ოფიცერს (სსს კოდექსი, 151-ე მუხლი, პირველი ნაწილი). გამოძიების მოსამართლის შესაბამისი სასამართლო ოლქის ფარგლებით შეზღუდული ტერიტორიული კომპეტენციის გათვალისწინებით, ბოლო ორი შემთხვევა ხშირად საგამოძიებო მოქმედების სხვა სასამართლო ოლქში ჩატარების ერთადერთ კანონიერ საშუალებას წარმოადგენს.

არსებობს მკაცრი წესი, რომ დაიშვება მხოლოდ საგამოძიებო და არა იურისდიქციული უფლებამოსილების დელეგირება. გარდა ამისა, სასამართლო პოლიციის ოფიცერს უფლება არ აქვს ცალკეული დავალების წესით დაკითხოს სამოქალაქო მოსარჩელე, ბრალდებული, ასისტირებული მოწმე და ჩაატაროს მათ შორის დაპირისპირება. დანარჩენ შემთხვევებში, გარკვეულ საგამოძიებო მოქმედებათა წარმოებისას იმ პირთა უფლებები, რომლებმაც მიიღეს ცალკეული დავალება, ტოლია გამოძიების მოსამართლის უფლებებისა, რომელმაც მისცა იგი. დაიშვება დავალების გადაბარება. მაგალითად, სხვა ოლქის გამოძიების მოსამართლე ცალკეული დავალების მიღების შემდეგ ახდენს მის სუბდელეგირებას სასამართლო პოლიციის ოფიცერზე (ზემოთ მოყვანილ შეზღუდვათა გათვალისწინებით).

ბრალდების წარდგენა საფრანგეთის წინასწარი გამოძიების ყოველთვის ერთ-ერთი საკვანძო მომენტი იყო. თუ მოცემული საპროცესო მოქმედების შესრულებამდე გამოძიების წარმოების ფარგლები შეზღუდულია მხოლოდ პროკურორის მოთხოვნაში (in rem) მითითებულ მოქმედებათა გარკვეული წრით, მაშინ მათი შესრულების შემდეგ, იურიდიულად, წარმოება უკვე კონკრეტულ პირთა მიმართ მიმდინარეობს (in personam), რომელთაც სისხლისსამართლებრივი დევნისაგან დაცვის მხარის სტატუსი აქვთ.

არცთუ დიდი ხნის წინათ ბრალდების წაყენების პროცედურა საფრანგეთში კარდინალურ რეფორმებს ექვემდებარებოდა (1993 წლის 4 იანვრის, 1993 წლის 24 აგვისტოსა და 2000 წლის 15 ივნისის კანონები). შეიცვალა თვითონ ინსტიტუტის სახელწოდება, რომელსაც დღეს არა „ბრალდების წაყენებას“, არამედ „განსახილველად მიცემას“ (mise en examen) უწოდებენ. შესაბამისად, ბრალდებულის ნაცვლად გაჩადა პროცესის ახალი მონაწილე – განსახილველად მიცემული

პირი. ტერმინოლოგიის შეცვლა აიხსნება კანონმდებლობის მცდელობით უფრო თანმიმდევრულად დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, რომელსაც (მისი აზრით) ეწინააღმდეგება ისეთი სიტყვების გამოყენება, რომლებიც შეიცავენ ფუძეს – „ბრალი“ (ლათინურად – culpa), ესე იგი „ბრალდებული“ (inculpe), „ბრალდება“ (inculpation) და ა.შ.

სსს კოდექსის მე-80-1 მუხლის შესაბამისად (2000 წლის 15 ივნისის კანონის რედაქციით), გამოძიების მოსამართლეს „უფლება აქვს განსახილველად მისცეს პირი, რომლის წინააღმდეგაც არსებობს სერიოზული და ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებანი, რომლებიც დანამდვილებით მოწმობენ, რომ იგი მონაწილეობდა იმ ქმედებათა ჩადენაში, რომელთა ფაქტის გამოც გამოძიების მოსამართლემ მიიღო საქმე თავის წარმოებაში“. მოკეპული მოქმედება შეიძლება განხორციელდეს წინასწარი გამოძიების ნებისმიერ მომენტში (გამოძიების მოსამართლის შეხედულებით), თუმცა იგი არ უნდა იყოს არც ნადრევი (საჭიროა საკმარისი მტკიცებულებების არსებობა) და არც – დაგვიანებული (ეს ეწინააღმდეგება დაცვის უფლების უზრუნველყოფის პრინციპს). დღეს აუცილებელ პირობას წარმოადგენს (2000 წლის 15 ივნისის კანონი) პირისაგან წინასწარი ახსნა-განმარტებების მიღება ან როგორც ასისტირებული მოწმისაგან, ან სსს კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის წესით. სხვა სიტყვებით, დაკითხვა უკვე წინ უსწრებს ბრალდების წარდგენას და არა პირიქით.

როდესაც გამოძიების მოსამართლე მიიღებს ბრალდების წაყენების² გადაწყვეტილებას, იგი გამოიძახებს პირს უწყებით ან გამოსცემს ბრძანებას მისი მოყვანის (ან დაპატიმრების) შესახებ. ასევე, მას უფლება აქვს გაუგზავნოს პირს დაკვეთილი წერილი, სადაც მითითებულია პოტენციური ბრალდების არსი და შეტყობინება, რომ იგი წარედგინება არაუადრეს 10 დღის და არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, ანდა ყოველივე ამას ატყობინებენ სასამართლო პოლიციის ოფიცრის მეშვეობით (სსს კოდექსი, მე-80-2 მუხლი). გამოძიების მოსამართლის კაბინეტში პირის გამოცხადებისას მოსამართლე ადგენს მის ვინაობას, განუმარტავს მას იმ ფაქტების არსსა და იურიდიულ კვალიფიკაციას, „რომელთა გამოც განიხილება საკითხი განსახილველად მიცემის შესახებ“ (სსს კოდექსი,

1 ამ ნაშრომში ხშირად არის მოხსენიებული ტერმინი „ბრალდებული“, რაც აიხსნება შესაბამისი მასალის გასაგებად გადმოკეცის მისწრაფებით. სინამდვილეში, საფრანგეთში იურიდიულად არ არსებობს ტერმინი „ბრალდებული“, იგი შეცვლილია „განსახილველად მიცემული პირის“ ცნებამ.

2 არ უნდა დაგვივიწყდეს, რომ პირის მიერ ბრალდებულის სტატუსის მიღება შესაძლოა მოხდეს გამოძიების მოსამართლის, ან დაპოკიდებლად, ასისტირებული მოწმის ნებით. ამის შესახებ იხ. ზემოთ.

116-ე მუხლი). ამის შემდეგ გამოძიების მოსამართლე „განსახილველად მისაცემ პირს“ განუმარტავს მის უფლებებს: დამცველის მოწვევის უფლება; დუმილის უფლება; საქმეზე თავისი ახსნა-განმარტებების წარდგენის უფლება; უფლება – უპასუხოს გამოძიების მოსამართლის კითხვებს. თუ ამ პირთან ერთად არ გამოცხადებულა დამცველი, მაშინ გამოძიების მოსამართლემ უნდა მისცეს მას დრო დამცველის მოსაწვევად (შეთანხმებით), ანდა გასცეს განკარგულება მისი დანიშნვის შესახებ. დამცველს უფლება ეძლევა გაეცნოს საქმის მასალებს და შეხვედეს თავისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს.

მას შემდეგ, რაც გამოძიების მოსამართლე დაკითხავს გამოძახებულ პირს, მიიღებს მისგან ახსნა-განმარტებებს ან დარწმუნდება, რომ მას სურს გამოიყენოს „დუმილის უფლება“ (ასევე, თუ საქმეში უკვე არსებობს პირის ჩვენება ასისტირებული მოწმის სახით), იგი იღებს ორიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: 1) არ მისცეს პირი განსახილველად (მაშინ იგი ინარჩუნებს ასისტრებული მოწმის სტატუსს); 2) მისცეს იგი განსახილველად. მეორე შემთხვევაში ბრალდებულს კვლავ განუმარტავენ ბრალდების არსს (თუ იგი დაზუსტდა ახალი ინფორმაციით) და ბრალდებულის ყველა უფლებას.

განსახილველად მიცემის (ბრალდების წაყენების) ფორმის მიუხედავად, კანონი არ ითვალისწინებს, რომ გამოძიების მოსამართლემ გამოიტანოს რაიმე დადგენილება ამ საკითხის თაობაზე. ბრალდების წარდგენა ხდება საპროცესო მოქმედებათა (რომლებზეც დგება ოქმი) გარკვეული ერთობლიობის შესრულების მიხედვით.

განსახილველად მიცემის შემდეგ (მაგრამ არაუგვიანეს) 6 თვის განმავლობაში ბრალდებულს უფლება აქვს საგამოძიებო კამერის წინაშე დასვას საკითხი ან თვითონ განსახილველად მიცემის პროცედურის, ან მისი წინმსწრები (კანონის დარღვევით ჩატარებული) საპროცესო მოქმედებათა ბათილად ცნობის შესახებ. თუ საგამოძიებო კამერა დაეთანხმება ამას, მაშინ პირი აღარ წარმოდგება როგორც „განსახილველად მიცემული“ და გადაიქცევა „ასისტრირებულ მოწმედ“ (სსს კოდექსი, 174-1-ე მუხლი).

4. *აღკვეთის ღონისძიებანი (სასამართლო კონტროლი და დროებითი პატიმრობა)*. საფრანგეთში გვარუბითი ტერმინი „აღკვეთი ღონისძიებანი“ არ გამოიყენება არც კანონში და არც ლიტერატურაში. სსს კოდექსის შესაბამისი თავი უბრალოდ დასათაურებულია, როგორც: „სასამართლო კონტროლისა და დროებითი პატიმრობის შესახებ“. განცალკევებით დგას გირაო, თუმცა, ფორმალურად, იგი სასამართლო კონ-

ტროლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

1808 წლის სსს კოდექსის თანახმად, წინასწარი პატიმრობა უპრაველეს შემთხვევაში უნდა ყოფილიყო გამოყენებული როგორც აუცილებელი ზომა. მოცემული ინსტიტუტის საგამონაკლისო ხასიათი პირველად აღიარა 1865 წლის 14 ივლისის კანონმა. მას შემდეგ კანონმდებელი მუდმივად ცდილობს მოახდინოს ამ დებულების რეალიზება პრაქტიკაში, რა... ერთი მხრივ, შეამციროს ყველაზე მკაცრი აღკვეთი ღონისძიების გამოყენების შემთხვევათა რიცხვი, ხოლო, მეორე მხრივ, შეამციროს პატიმრობის საშუალო ვადა, რაც ტენდენციურად მზარდია. არ შეიძლება ითქვას, რომ ამოცანა ადვილად შესასრულებელი აღმოჩნდა. პატიმრობის რეფორმები ერთმანეთზე მიყოლებით ხორციელდება. საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის არც ერთ ინსტიტუტს არ განუცდია ასეთი ხშირი რეფორმები, თუმცა სურათი უმნიშვნელოდ შეიცვალა. ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება იმ კანონთა რიცხვი, რომლებსაც ცვლილება შეაქვთ სსს კოდექსის პატიმრობის შესახებ დებულებებში. 1970 წლის 17 ივლისის, 1984 წლის 9 ივლისის, 1989 წლის 4 იანვრის, 1993 წლის 24 აგვისტოს, 1996 წლის 30 დეკემბრის კანონები (ეს არ არის სრული ჩამონათვალი) მოწმობენ ფრანგი კანონმდებლის შემოთქმას აღკვეთი ღონისძიების პრობლემათ (განსაკუთრებით ეს ეხება პატიმრობას). მორიგი ნაბიჯი ამ მიმართებით გახდა 2000 წლის 15 ივნისის კანონი. ის, თუ რამდენად შეძლებს ეს კანონი კანონმდებლის მიზნების რეალიზებას, მოგვიანებით გამოჩნდება.

სსს კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად (მოქმედი რედაქციით), „განსახილველად მიცემული პირი პრეზუმირებულია უდანაშაულოდ და თავისუფალი რჩება. თუმცა გამოძიების ამოცანების განხორციელების ან უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით იგი ექვემდებარება სასამართლო კონტროლის ერთ-ერთ ან რამდენიმე ზომას. თუ აღნიშნული მიზნების მისაღწევად ასეთი ზომები არასაკმარისია, მაშინ, გამონაკლისის სახით, იგი მოთავსდება დროებით პატიმრობაში“.

დღეს სწორედ სასამართლო კონტროლი წარმოადგენს ძირითად, ხოლო პატიმრობა – საგამონაკლისო აღკვეთი ღონისძიებას.

სასამართლო კონტროლი, როგორც აღკვეთი ღონისძიება, შემოიღო 1970 წლის 17 ივლისის კანონმა წინასწარი პატიმრობის ალტერნატივის სახით, რითაც შემცირდა ამ უკანასკნელის ხვედრითი წილი.

სასამართლო კონტროლის გამოყენების შესახებ მოტივირებულ გადაწყვეტილებას იღებს გამოძიების მოსამართლე (სსს კოდექსი, 139-ე მუხლი). 2000 წლის 15 ივნისის კანონით ასეთი გადაწყვეტილება

შეიძლება მიიღოს თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლემაც, როდესაც იგი განიხილავს საკითხს პირის დაპატიმრების შესახებ. ამასთან, აუცილებელია ორი პირობის არსებობა: პირველი რომ ბრალდებულს უნდა ემუქრებოდეს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ჩადენილი სისხლისსამართლებრივი გადაცდომისათვის (ან უფრო მკაცრი, დაკავშირებული დანაშაულთან); მეორე, რომ ეს ღონისძიება შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ „გამოძიების ამოცანებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით“ (მტკიცებულებათა განადგურების, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების და ა.შ. რისკი).

სასამართლო კონტროლი წარმოადგენს კომპლექსურ აღკვეთ ღონისძიებას, ვინაიდან სსს კოდექსის (მოქმედი რედაქციით) 138-ე მუხლის თანახმად, „სასამართლო კონტროლის“ ქვეშ იგულისხმება უფლებათა სხვადასხვა სახის შეზღუდვების 16 ვარიანტი (გარკვეული ტერიტორიის დატოვების აკრძალვა, გამოძიების მოსამართლის მიერ მითითებული ადგილების მონახულების აკრძალვა, გარკვეული სახის საქმიანობის აკრძალვა, მკურნალობის კურსის გავლის ვალდებულება, გარკვეულ პირებთან კონტაქტისაგან თავის შეკავების ვალდებულება და სხვა). თუმცა აქ საუბარია ერთიან (და არა 16) აღკვეთ ღონისძიებაზე, ვინაიდან, როდესაც გამოძიების მოსამართლე მიიღებს ერთ გადაწყვეტილებას სასამართლო კონტროლის შესახებ, მას უფლება აქვს გამოიყენოს ერთდროულად აღნიშნულ შეზღუდვათაგან რამდენიმე, შემდგომში ზოგი მათგანი გააუქმოს ან შეცვალოს, ანდა პირიქით – დაუმატოს მათ მითითებული ჩამონათვალიდან. სასამართლო კონტროლის ვარიანტის შერჩევა გამოძიების მოსამართლის მიერ დამოკიდებულია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გარემოებებზე.

სასამართლო კონტროლის ღონისძიებებისაგან განცალკევებულად დგას გირაო (სსს კოდექსი, 138-ე მუხლი, მე-11 პუნქტი), რომელსაც ეძღვნება კოდექსის სპეციალური მუხლები (142-ე-142-3-ე). საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესი დიდი ხანია იცნობს გირაოს. 1970 წლის 17 ივლისის კანონის მიღების შემდეგ იგი სასამართლო კონტროლის ერთ-ერთ ნაირსახეობად წარმოდგა. მიუხედავად ამისა, ეს არანაირად არ აისახა პრაქტიკაში მის გამოყენებაზე. გირაო ისევე იშვიათად გამოიყენება (მთელ ქვეყანაში წელიწადში მხოლოდ რამდენიმე ასეული შემთხვევა), როგორც ეს ადრე იყო (ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან).

დროებითი პატიმრობა (1970 წლამდე მას „წინასწარ პატიმრობას“ უწოდებდნენ) გამოიყენება მხოლოდ დანაშაულთა და იმ გადაცდომათა

საქმეებზე, რომლებისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ 3 წლის ვადით (თუ ეს პირველად ჩადენილი ქონებრივი ხასიათის გადაცდომაა (სს კოდექსი, წიგნი III). მაშინ - თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ 5 წლის ვადით). თუმცა ეს შეზღუდვები ძალას კარგავენ, თუ პირი თავს არიდებს სასამართლო კონტროლთან დაკავშირებულ მოვალეობებს და აღკვეთი ღონისძიება შეიცვლება უფრო მკაცრი სახის აღკვეთი ღონისძიებით (სსს კოდექსი, 143-1-ე მუხლი).

ღროებითი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს იმ მონაცემთა არსებობა, რომლებიც მოწმობენ ერთ-ერთ შემდეგ გარემოებაზე, რომ ეს ღონისძიება: 1) ერთადერთი საშუალებაა საქმეზე მტკიცებულებათა შესანახად, მოწმეებზე (დაზარალებულებზე) ზეწოლის განხორციელების ან მონაწილეთა შორის გარიგების წინააღმდეგ; 2) აუცილებელია განსახილველად მიცემული პირის დასაცავად, დანაშაულთა ჩადენის ან მათი განახლების აღსაკვეთად, ანდა პირის მართლმსაჯულების განკარგულებაში ყოფნის უზრუნველსაყოფად; 3) ერთადერთი საშუალებაა, რომ ანაზღაურდეს საზოგადოებრივი წესრიგისათვის დანაშაულით მიყენებული ზიანი (დანაშაულის სიმძიმის, მისი ჩადენის განსაკუთრებულ გარემოებათა ან მიყენებული ზიანის მნიშვნელობიდან გამომდინარე) (სსს კოდექსი, 144-ე მუხლი, 1996 წლის 30 დეკემბრისა და 2000 წლის 15 ივნისის კანონთა რედაქციით).

პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლე, რომელსაც გამოაქვს მოტივირებული დადგენილება. იგი მოცემულ საკითხს განიხილავს მხოლოდ გამოძიების მოსამართლის ინიციატივით, რომელიც თვლის, რომ ამისათვის საკმარისი საფუძველი არსებობს.¹ ტარდება, ე.წ. „შეჯიბრებითი კამათი“, ესე იგი თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლემ უნდა მოიწვიოს თავისთან პროკურორი, ბრალდებული და დამცველი (თუ იგი მონაწილეობს საქმეში ბრალდებულის სურვილით) და მოუსმინოს მათ მოსაზრებებს მოცემული საკითხის შესახებ (დაცვას ბოლოს ეძლევა სიტყვა). დაცვის შუამდგომლობით, სასამართლო სხდომა შესაძლებელია ღია იყოს პუბლიკისათვის, თუმცა თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლეს უფლება აქვს უარი უთხრას ასეთ შუამდგომლობაზე.

¹ თუ ღროებითი პატიმრობის ინიციატორად გამოდის პროკურორი, მაშინ იგი ვალდებულია შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს გამოძიების მოსამართლეს. მისი პირდაპირი მიმართვა თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლესთან დაუმშავებელია. გამოძიების მოსამართლეს უფლება აქვს დადგინდეს გამოტანის გარეშე უარი უთხრას პროკურორის საკითხის თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლისათვის გადაცემაზე (სსს კოდექსი, 137-5-ე მუხლი).

საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების მოსამართლე კარგავს უფლებას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკითხი პატიმრობის შესახებ, მას უნარჩუნდება უფლება – გაათავისუფლოს პირი პატიმრობიდან – რომელიც მას აქვს თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლესთან პარალელურად.

განვიხილოთ დროებითი პატიმრობის ვადები. ადრე ისინი საერთოდ არ ასებობდა, რაც გაუმართლებლად ხანგრძლივ პატიმრობას იწვევდა. ახლა სიტუაცია იცვლება, რაც მთელი რიგი კანონების მიღების შედეგად ხდება (1975 წლის 6 აგვისტოს, 1984 წლის 9 ივლისის, 1989 წლის 30 დეკემბრისა და 2000 წლის 15 ივნისის კანონები). დანაშაულთა საქმეებზე დროებითი პატიმრობის ზღვრული ვადა 2 წელს შეადგენს, თუ სასჯელი არ აღემატება 20 წლით თავისუფლების აღკვეთას და 3 წელს – თუ აღემატება. მოცემული ვადა მატულობს, შესაბამისად, 3 და 4 წლამდე, თუ ქმედება ან ქმედების ეპიზოდი ჩადენილია საფრანგეთის ფარგლებგარეთ. პატიმრობის ზღვრული ვადა ნებისმიერ შემთხვევაში შეადგენს 4 წელს საშიშ დანაშაულთა ზოგიერთ კატეგორიებზე (მაგალითად, ტერორიზმი ან ნარკოტიკებით ვაჭრობა).

გადაცდომათა საქმეებზე პატიმრობის თავდაპირველი ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 4 თვეს. ამ ვადის გაგრძელების პირობები საკმაოდ რთულია და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. პატიმრობაში მყოფი პირისათვის ყველაზე არახელსაყრელ გარემოებებში პატიმრობის საერთო ვადა გადაცდომის საქმეზე არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ ან ორ წელს, თუ იგი ჩადენილია საფრანგეთის ფარგლებგარეთ, ან, თუ იგი მიეკუთვნება საშიშ გადაცდომათა კატეგორიას (მაგალითად, დაკავშირებულია ტერორიზმთან ან ნარკოტიკებთან).

გადაწყვეტილება პატიმრობის ან მისი ვადების გაგრძელების შესახებ (მას იღებს თავისუფლებათა და პატიმრობის მოსამართლე) შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კამერაში. საჩივარი (აპელაცია) წარდგენილი უნდა იყოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღეს. ზოგადი წესის თანახმად, აპელაციის წარდგენა არ აჩერებს დროებითი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას, ესე იგი პირი პატიმრობაში რჩება, ვიდრე მოცემულ საკითხს არ განიხილავს საგამოძიებო კამერა. თუმცა 1993 წლის 24 აგვისტოს კანონმა საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში შემოიტანა ახალი ინსტიტუტი – *refere-liberte* (ამ საპროცესო ტერმინს არ აქვს ანალოგი რუსულ ენაში და დაახლოებით ითარგმნება, როგორც «исотложное рассмотрение вопроса

o cвoбoдe лицa» (ქართულად ნიშნავს „პირის თავისუფლების შესახებ საკითხის გადაუდებელ განხილვას“ – ი.ბ.).

მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დროებითი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებაზე აპელაციის წარდგენასთან ერთად ბრალდებულს უფლება აქვს შუამდგომლობით მიმართოს საგამოძიებო კამერის თავმჯდომარეს მისი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ. შუამდგომლობა უნდა განიხილოს არაუგვიანეს 3 დღე-ღამის განმავლობაში. თუ მას უარყოფენ, მაშინ ბრალდებული რჩება პატიმრობაში და უცდის საგამოძიებო კამერის მიერ აპელაციის კოლეგიურად განხილვას. თუ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, მაშინ ბრალდებული დაუყოვნებლივ თავისუფლდება და, 1996 წლის 30 დეკემბრის კანონის თანახმად, ასეთ შემთხვევაში საქმე საგამოძიებო კამერას არ გადაეცემა, არამედ მისი თავმჯდომარე ერთპიროვნულად აუქმებს თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლის გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, 2000 წლის 15 ივნისის კანონით შემოღებული 187-2-ე მუხლის თანახმად, აპელაციის წარმდგენ პირს უფლება აქვს მოითხოვოს საკითხის თვით საგამოძიებო კამერის მიერ დაუყოვნებლივ კოლეგიურად განხილვა. ასეთი განხილვა ტარდება არაუგვიანეს 5 დღე-ღამისა შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენიდან.

ახალი კანონებით *refere-liberte*-ეს ინსტიტუტის მოდიფიცირება დაკავშირებულია იმასთან, რომ 1993 წლის 24 აგვისტოს კანონით შექმნილი სისტემა პრაქტიკაში არაეფექტურად ფუნქციონირებდა (მაგალითად, 1993 წელს ქრენის სააპელაციო ოლქში *refere-liberte*-ეს წესით წარდგენილი იყო მხოლოდ 28 შუამდგომლობა, ხოლო 1994 წელს – 16, ესე იგი სულ 44 და აქედან მხოლოდ 4 დაკმაყოფილდა) და კანონმდებელმა გადაწყვიტა მისთვის ახალი იმპულსი მიეცა. გარდა დასახელებული ცვლილებებისა, დღეს შუამდგომლობის განხილვისას საგამოძიებო კამერის თავმჯდომარის კაბინეტში ტარდება „შეჯიბრებითი კამათი“, ესე იგი ადვოკატსა და პროკურორს უფლება აქვთ ზეპირად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი მოცემულ საკითხზე (ადრე დაშვებული იყო მხოლოდ შუამდგომლობაზე დართული წერილობითი შენიშვნები).

კიდევ ერთ ღონისძიებას, რომელიც დროებითი პატიმრობის გამოყენებას აწესრიგებს, წარმოადგენს უკანონო პატიმრობაში მყოფი პირებისათვის ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი (შემოღებულია 1970 წლის 17 ივლისის კანონით). 2000 წლის 15 ივნისის კანონმა მოახდინა ამ ინსტიტუტის რეფორმირება: გააფართოვა იმ პირთა შესაძლებლობები,

რომლებმაც მორალური და მატერიალური ზიანი განიცადეს უკანონო პატიმრობით. დღეისათვის შემდეგი სახის სისტემა მოქმედებს: საქმის შეწყვეტის ან გამამართლებელი განაჩენის დადგენიდან 6 თვის განმავლობაში ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას დაინტერესებული პირი უგზავნის შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის ოლქშიც შეწყდა საქმე ან დადგა გამამართლებელი განაჩენი. მოთხოვნის ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ პატიმრობაში ყოფნის უკანონობის საკითხი. სხდომები დახურულია და ტარდება მხოლოდ მომჩივნის (პირადად), ზაზინისა და პროკურატურის წარმომადგენლების მონაწილეობით. პირველ ორს განიხილავენ როგორც მხარეებს, ხოლო პროკურორი იძლევა დასკვნას. სასამართლოს თავმჯდომარეს გამოაქვს მოტივირებული გადაწყვეტილება, რომლითაც უარს ეუბნება ზიანის ანაზღაურებაზე, ანდა აკმაყოფილებს მოთხოვნას და განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების ოდენობას. მოცემული გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას მუდმივმოქმედ კომისიაში, რომელიც საკაცო სასამართლოს 3 მოსამართლისაგან შედგება. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თუკი უკანონო პატიმრობაში ყოფნით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ადრე მოქმედი სისტემა კრიტიკის საგანი იყო ფრანგი იურისტების მხრიდან,¹ 2000 წელს შემოღებული სიახლეების შეფასება ჯერ ნაადრევია.

5. წინასწარი გამოძიების დამთავრება. ტრადიციული ფრანგული მიდგომის თანახმად, რომელიც ასახულია მოქმედ სსს კოდექსში, წინასწარი გამოძიება არ არის შეზღუდული რამე კონკრეტული ვადებით. გამოძიების მოსამართლეებს უფლება აქვთ თავიანთი შეხედულებით განსაზღვრონ ის მომენტი, როდესაც საჭიროა მისი დამთავრება. თუმცა გამოძიების გაუმართლებელი გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებელმა სსს კოდექსს დაუმატა 175-1-ე და 175-2-ე მუხლები (1993 წლის 4 იანვრისა და 2000 წლის 15 ივნისის კანონები), რომელთა თანახმადაც, გადაცდომის საქმეზე გამოძიების ერთი წლის, ხოლო დანაშაულის საქმეზე – 18 თვის გასვლისას, განსაზღვრულად მიცემულ პირს, ასისტირებულ მოწმესა და სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვთ შუამდგომლობით მიმართონ გამოძიების მოსამართლეს გამოძიების დამთავრების თაობაზე, რაც ავალებდებულებს მას გამოიტა-

¹ იხ.: Rapport de la Cour de cassation // La Documentation française. 1995. P. 459. მისი ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ადრე საკაცო სასამართლოს კომისია პირველი და ერთადერთი ინსტანცია იყო, რომელიც აღნიშნულ საკითხზე არამოტივირებულ გადაწყვეტილებებს იღებდა.

ნოს მოტივირებული გადაწყვეტილება მოცემულ საკითხზე. თუ შუამდგომლობა უარყოფილია, მაშინ იგი შეიძლება განმეორებით გაეგზავნოს უკვე საგამოძიებო კამერიის თავმჯდომარეს, რომელიც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. მხარეთა შუამდგომლობის მიუხედავად, გამოძიების დაწყებიდან ორი წლის გასვლისას გამოძიების მოსამართლე ვალდებულია გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება, მიუთითოს წინასწარი გამოძიების დამთავრების შეუძლებლობის მიზეზები და მოახდინოს მისი შემდგომი პერსპექტივის ანალიზი. ამის შემდეგ ასეთი დადგენილება უნდა გამოიტანონ ყოველ მომდევნო 6 თვეში. ძნელი სათქმელია შემცირდება თუ არა ამ ღონისძიებებით წინასწარი გამოძიების საშუალო ვადა, რომელსაც ზრდისკენ უფრო აქვს ტენდენცია. მაგალითად, თუ 1969 წელში ეს ვადა ქვეყანაში საშუალოდ 3 თვეს შეადგენდა, დღეს - 13 თვეა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე გატარებული რიგი მოდიფიკაციების შემდეგ წინასწარი გამოძიების დამთავრების პროცედურა რამდენადმე გართულდა. თავის მოქმედებათა დასრულების შემდეგ გამოძიების მოსამართლე ამის შესახებ ინფორმაციას აწვდის მხარეებს წერილობითი ან ზეპირი ფორმით. შემდეგ 20 დღის განმავლობაში დაზარალებული და ბრალდებული (განსახილველად მიტეხული პირი) სარგებლობენ უფლებით - იშუამდგომლონ დამატებითი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ ან დასვან საკითხი საგამოძიებო კამერიის წინაშე საქმეში არსებული რაიმე აქტების ბათილად ცნობის თაობაზე. აღნიშნული ვადის გასვლისა და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი პროცედურების დასრულების შემდეგ გამოძიების მოსამართლე საქმეს პროკურორს გადასცემს, რის თაობაზეც გამოდის დადგენილება. საქმის შესწავლის შემდეგ პროკურორი ვალდებულია გააგზავნოს მოთხოვნა გამოძიების გაგრძელების, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ანდა საქმის სასამართლოში გადაგზავნის შესახებ. 1989 წლის 6 ივლისის კანონმა შეზღუდა პროკურორის მიერ მოცემულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების ვადები სამ თვემდე (ზოგადი წესით) და ერთ თვემდე - ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის შემთხვევაში. ასევე, კანონი ავალდებულებს გამოძიების მოსამართლეს, რომ მან შეატყობინოს ბრალდებულისა და დაზარალებულის დამცველებს საქმის პროკურატურისათვის გადაცემის შესახებ. ამ შემთხვევაში პროკურორის მოთხოვნა არ არის სავალდებულო გამოძიების მოსამართლისათვის. საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ ეს უკანასკნელი იღებს, ხოლო პროკურორს შეუძლია გაასაჩივ-

როს იგი საგამოძიებო კამერაში. ითვლება, რომ პროკურორისათვის საქმის გადაცემის წესი და მისი მოთხოვნის მიღება გამოძიების ხარისხის გარანტიას წარმოადგენს, ვინაიდან მასალები პროფესიონალთან ხვდება, რომელსაც შეუძლია მიუთითოს არსებულ ხარვეზებზე. გარდა ამისა, პროკურორმა შემდგომში მხარი უნდა დაუჭიროს ბრალდებას სასამართლოში და ამიტომ, მან კარგად უნდა შეისწავლოს საქმე.

პროკურორის მოთხოვნის მიღების შემდეგ გამოძიების მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროკურორი ითხოვდა მის გაგრძელებას, ხოლო გამოძიების მოსამართლე მას არ დაეთანხმა.

აღნიშნულ ეტაპზე გამოძიების მოსამართლის დადგენილება შეიძლება ორი სახის იყოს: 1) საქმის შეწყვეტის შესახებ; 2) საქმის სასამართლოში გადაგზავნის შესახებ. პირველ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება, „თუ ქმედება არც დანაშაულია, არც გადაცდომა, არც სამართალდარღვევა, ანდა თუ ქმედების ჩამდენი პირი დაუდგენელია, ან არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებანი მისი განსახილველად მიცემისათვის“ (სსს კოდექსი 177-ე მუხლი).

თუ გამოძიების მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას საქმის სასამართლოსათვის გადაგზავნის შესახებ, მაშინ მან ქმედების საბოლოო კვალიფიკაცია უნდა მოახდინოს. კვალიფიკაციის მიხედვით სამართალდარღვევათა საქმეებზე გამოდის დადგენილება მათი საპოლიციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, ხოლო გადაცდომათა საქმეებზე – გამასწორებელ სასამართლოში. თუ საქმე ასიზების სასამართლოს განსჯად დანაშაულს შეეხება, გამოძიების მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება ბრალდებულის ამ სასამართლოსათვის მიცემის შესახებ. უშუალოდ ასიზების სასამართლოსათვის მიცემის პრეროგატივა გამოძიების მოსამართლეს მიეცა 2000 წლის 15 ივნისის კანონით, როდესაც გაუქმდა ყოფილი საბრალდებო კამერების შესაბამისი ფუნქცია.

არც ერთ ზემოთ განხილულ ვარიანტში კანონი არ მოითხოვს ცალკე საბრალდებო აქტის შედგენას. სსს კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, საქმის სასამართლოში გაგზავნის დადგენილება უნდა შეიცავდეს: სახელს, გვარს, დაბადების თარიღსა და ადგილს, ბრალდებულის საცხოვრებელ ადგილსა და პროფესიას, ქმედების სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციასა და „მიზეზებს, რომელთა გამოც გამოძიების მოსამართლე მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობს საკმარისი მტკიცებულებანი პირის დანაშაულად ცნობისათვის“. არ არის სავალდებულო

ყველა მტკიცებულების მოყვანა. სასამართლო პრაქტიკაში არამოტივი-
რებული დადგენილება არ განიხილება როგორც უკანონო.

კანონის მოთხოვნაა, რომ მხარეებს გააცნონ გამოძიების მოსამარ-
თლის საბოლოო გადაწყვეტილება „უშოკლეს ვადებში“ (სსს კოდექსი,
183-ე მუხლი). ეს ხდება ან ზეპირად, ანდა დაკვეთილი წერილის გა-
ზავნით.

საფრანგეთისათვის უცნობია წინასწარი გამოძიების დამთავრების
შემდეგ საქმის ყველა მასალის მხარეებისათვის გაცნობის ინსტიტუტი.
თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამით ირღვევა მხარეთა უფლებები. ასეთი
დასკვნის გაკეთება შესაძლებელი იყო ადრეც, ხოლო 1996 წლის 30 დე-
კემბრის კანონმა კიდევ უფრო გააფართოვა მხარეთა უფლებები საქმის
მასალების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში წინასწარი გამოძიების
მსვლელობისას (და არა მისი დამთავრების შემდეგ). მაგალითად, ბრალ-
დებულის ან სამოქალაქო მოსარჩელის პირველი დაკითხვის შემდეგ
მათ ადვოკატებს ახლა უფლება აქვთ მოითხოვონ მათთვის საქმის ნები-
სძიერი მასალის ასლის გადაცემა (1996 წლის 30 დეკემბრის კანონის
მიღებამდე – მხოლოდ ზოგიერთი მასალის), რაც უნდა შესრულდეს
რაიმე შეზღუდვების გარეშე.

თუმცა საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის
მიერ საქმის ყველა მასალის გაცნობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მას
მისი კლიენტის გაეცნო. ადვოკატი, რომელსაც სურს, რომ გააცნოს თავის
კლიენტს მიღებული დოკუმენტები, ვალდებულია წერილობით შეატყუ-
ბინოს ამის შესახებ გამოძიების მოსამართლეს (წინასწარი გამოძიების
საიდუმლოობის პრინციპი არ არის გაუქმებული), რომელმაც 5 დღის
განმავლობაში, თუ იგი მიიჩნევს, რომ ასეთი გაცნობა არასასურველია ან
თუნდაც საშიშია, უნდა გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება, რომ-
ლითაც აუკრძალავს ადვოკატს მიღებული საქმის მასალების ასლების
შინაარსის კლიენტისათვის შეტყობინებას.¹ მოცემული დადგენილება
ექვემდებარება გასაჩივრებას საგამოძიებო კამერის თავმჯდომარესთან.
თუ აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება არ არის მიღებული, მაშინ

¹ ასეთი აკრძალვის ქვეშითი ზასათი გამოვიჩინებუ იმში, რომ ადვოკატი, რომელიც საადვო-
კატო კორპორაციის წევრია, დისკრიმინირ ასუხისგებლობაში მიეცმა თავისი პროფესიული მოვა-
ლეობების დარღვევისათვის (გაირიცხება კორპორაციიდან ან შეზღუდება საადვოკატო საქმიანობის
წარმოების უფლება გარკვეული ვადით). მაგალითად, ეხ-ან-პროვანსის საადვოკატო სასამართლოს
1995 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით, ადვოკატს, რომელმაც შესაბამისი ნებართვის გარეშე
გადასცა კლიენტს საქმის მასალების ასლები, დაეკისრა დისკრიმინური სახელი ერთი წლის
განმავლობაში საადვოკატო საქმიანობის წარმოების აკრძალვისა და 10 წლის განმავლობაში ადვო-
კატურის სახელმძღვანელო ორგანიზების შემადგენლობაში ყოფნის აკრძალვის სახით (იხ.: Revue de
science criminelle et de droit penal compare. 1995, N4, P. 833).

საქმის ყველა საჭირო მასალის გაცნობის უფლება აქვთ როგორც ადვოკატებს, ასევე მათ კლიენტებს. უდავოა, რომ ასეთ სიტუაციაში წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ საქმის მასალების გაცნობის ინსტიტუტი ზედმეტია საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესისათვის. 1958 წლიდან მეორე ინსტანციის წინასწარმა გამოძიებამ ღია ხასიათი მიიღო მხარეთა მიმართებაში, ამიტომ საგამოძიებო კამერაში წარმოებისას საქმეთა მასალები ყოველთვის ხელმისაწვდომია არა მარტო ადვოკატებისათვის, არამედ მათი კლიენტებისათვისაც.

6. მეორე ინსტანციის წინასწარი გამოძიების წარმოება. მეორე ინსტანციის წინასწარი გამოძიების ფარგლებში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კამერა, რომელსაც 2000 წლის 15 ივნისის კანონის მიღებამდე „საბრალდებო კამერას“ უწოდებდნენ, რაც, თანამედროვე ფრანგი კანონმდებლის აზრით, არ შეესაბამება უდანაშაულობის პრეზუმციას, დღეს ორ ძირითად უფლებამოსილებას ახორციელებს: 1) განიხილავს საჩივრებს გამოძიების მოსამართლის გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გასაჩივრებას ექვემდებარება; 2) განიხილავს მოკვლევისა და პირველი ინსტანციის წინასწარი გამოძიების მსუ.უელობისას ჩატარებულ საპროცესო აქტებისა და მოქმედებების ბათილად ცნობის საკითხს.¹

გამოძიების მოსამართლის დადგენილებებზე საჩივრების (აპელაციების) განხილვის წესით გამოძიების კამერა საქმეს წარმოებაში იღებს პირველი ინსტანციის წინასწარი გამოძიების დასრულებამდე. ამ დროს წინასწარი გამოძიება არ ჩერდება. ამ შემთხვევაში გამოძიების კამერის უფლებების ფარგლები შეზღუდულია მხოლოდ მიღებული დადგენილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის საკითხის განხილვით. საჩივრის წარდგენის უფლება აქვთ პროკურორსა და მხარეებს (ბრალდებულსა და სამოქალაქო მოსარჩელეს²). პროკურორს უფლება აქვს გაასაჩივროს გამოძიების მოსამართლის ნებისმიერი იურისდიქცი-

1 დღი ხნის მანძილზე საბრალდებო კამერებს კიდევ ერთი მშენებლობითი უფლებამოსილება ჰქონდათ. ისინი განიხილავდნენ საკითხს დანაშაულთა საქმეებზე ბრალდებულის ასიზების სასამართლოსათვის მიცემის შესახებ, რაც ასევე მეორე ინსტანციის წინასწარი გამოძიების ნაწილად ითვლებოდა. თუმცა 2000 წლის 15 ივნისის კანონმა ასეთი კატეგორიის საქმეებისათვის შექმნა ასიზების სააპელაციო სასამართლო და („კომპენსაციის“ სახით) გაამარტყა სამართალში მიცემის პროცედურა. ახლა მას უშუალოდ გამოძიების მოსამართლე ახორციელებს, ესე იგი საბრალდებო (საგამოძიებო) კამერებს აღარ აქვთ ასეთი უფლებამოსილება (თუ არ ჩათვლით იმ შემთხვევას, როდესაც წინასწარი გამოძიება მთავრდება პირველი ინსტანციით თუთონ კამერის მიერ).

2 მხარეთა ადვოკატები არ განიხილებიან როგორც გასაჩივრების დამოუკიდებელი სუბიექტები, რაც აიხსნება საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის საპროცესო სტატუსის საუკეთესო არაფერი უმლის ხელს ადვოკატს, რომ მან მაშინვე ასეთი საჩივარი, თუმცა, ფორმალურად, იგი კლიენტის მიერ წარდგენილად ითვლება.

ული დადგენილება მისი გაცნობიდან 5 დღის განმავლობაში (სსს კოდექსი, 185-ე მუხლი). მხარეებს შეუძლიათ გაასაჩივრონ გამოძიების მოსამართლის მხოლოდ ის იურისდიქციული დადგენილებანი, რომლებიც სსს კოდექსის 186-ე მუხლშია ჩამოთვლილი. თუკი ბრალდებულის უფლებამოსილება ამ კუთხით საკმაოდ ფართოა, სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვს გაასაჩივროს მხოლოდ დადგენილება წინასწარი გამოძიების წარმოებაზე უარის, ან საქმის შეწყვეტის შესახებ და, ასევე, დადგენილება, რომელიც ხელყოფს მის სამოქალაქო-სამართლებრივ ინტერესებს. აღნიშნული პირებისათვის გასაჩივრების ვადა 10 დღეს შეადგენს დადგენილების გაცნობის მომენტიდან.

საგამოძიებო კამერიის, როგორც მეორე ინსტანციის საგამოძიებო ორგანოს მეორე უფლებამოსილება, მდგომარეობს მის შესაძლებლობაში – ბათილად ცნოს საქმეში არსებული ნებისმიერი საპროცესო აქტი. ამ უფლებამოსილების ფარგლებში იგი აკონტროლებს არა გამოძიების სადავო საკითხების შესახებ საპროცესო გადაწყვეტილებათა, არამედ, ძირითადად, მტკიცებულებათა შეკრებასთან დაკავშირებულ საპროცესო მოქმედებათა ჩატარებისა და გაფორმების კანონიერებას.

საგამოძიებო კამერიის უფლებათა ფარგლები შეზღუდულია ამა თუ იმ საპროცესო აქტის ბათილად ცნობის საკითხის განხილვისას. თუმცა ერთი აქტის ბათილად ცნობასაც კი შეიძლება მოჰყვეს შემდგომი წარმოების მთლიანად ბათილად ცნობა. ამ შემთხვევაში საგამოძიებო კამერიის მიერ საქმის თავის წარმოებაში მისაღებად საჭიროა კანონში მითითებულ პირთა ინიციატივა. თვითონ საგამოძიებო კამერას არ აქვს ამ სახის ინიციატივის უფლება.

1993 წლის 4 იანვრის კანონით საპროცესო აქტების ბათილად ცნობის შესახებ საკითხის დაყენების უფლება გააჩნიათ არა მარტო პროკურორსა და გამოძიების მოსამართლეს¹, არამედ მხარეებსაც. საგამოძიებო კამერიის მიერ შესაბამისი აქტების ბათილად ცნობის საფუძვლები შეიძლება იყოს ტექსტური და სუბსტანციური. პირველი გამოძინარეობს სსს კოდექსის ნორმებიდან, სადაც მკაფიოდ არის აღნიშნული საპროცესო მოქმედებანი, რომელთა ჩატარების წესის დარღვევის შემთხვევაშიც ისინი ბათილად იქნებიან ცნობილი (ჩხრეკა, სასამართლო პოლიციის ოფიცრების მიერ ბრალდებულის დაკითხვა ცალკეულ დავა-

¹ გამოძიების მოსამართლე ამა თუ იმ საპროცესო აქტების ბათილად ცნობის შესახებ საკითხს აყენებს საგამოძიებო კამერიის წინაშე იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საჭიროდ მიიჩნევს პროცესში ხარვეზების გამოსწორებას, რომლებიც მანამდე არსებობდა, უდრე იგი საქმეს წარმოებაში მიიღებდა და შეიძლება დამატებითი სარჩოლები შექმნას (მაგალითად, არსებითი დარღვევის გამო გამოიწვიოს მთლიანად გამოძიების ბათილად ცნობა).

ლებათა შესრულებისას და სხვა). აქტების სუბსტანციური ბათილობა გამოიხატება სსს კოდექსის 171-ე მუხლში (ბოლო რედაქციით). მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბათილად ცნობა ხდება ნებისმიერი ქმედებისა, რომელიც შესრულებულია კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით და ეხება „მხარეთა ინტერესებს“. თუმცა უკანასკნელ შემთხვევაში მისი ბათილად ცნობა შეიძლება მხოლოდ იმ პირის თანხმობით, რომლის ინტერესებიც, საგარაუდოდ, დარღვეულია.

საგამოძიებო კამერიის მიერ საქმის თავის წარმოებაში მიღების საფუძვლების სხვაობის მიუხედავად, ამ ორგანოს მიერ წინასწარი გამოძიების ყველა საკითხის განხილვის პროცედურა უნიფიცირებულია.

1808 წლის კოდექსის მიხედვით, საგამოძიებო (მაშინ ჯერ კიდევ „საბრალდებო“) კამერაში საქმეთა წერილობით, საიდუმლო და არაშეჯიბრებითა განხილვამ 1958 წელს მთელი რიგი შეჯიბრებითი თვისებები შეიძინა. საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება მიეცათ მხარეთა ადვოკატებს. საგამოძიებო კამერამ შეიძლება დააწესოს მხარეთა გამოცხადება (ბრალდებულისა და სამოქალაქო მოსარჩელის). 1989 წლის 6 ივლისის კანონმა მიიღო დამატებები სსს კოდექსის 199-ე მუხლზე: დღეისათვის, თუ განიხილება საკითხი წინასწარი პატიმრობის შესახებ და ბრალდებულმა სურვილი გამოთქვა განხილვაში მონაწილეობაზე, საგამოძიებო კამერას არ აქვს უფლება უარი უთხრას მას. 2000 წლის 15 ივნისის კანონმა შემოიღო ღიაობის (საქვეყნობის) ელემენტები საგამოძიებო კამერიის საქმიანობაში. თუ არასრულწლოვანი ბრალდებული ან მისი ადვოკატი შუამდგომლობენ საკითხის ღიად მოსმენის შესახებ, კამერას უფლება აქვს დააკმაყოფილოს ასეთი შუამდგომლობა იმ პირობით, რომ საქვეყნობა ხელს არ შეუშლის გამოძიებას და არ დაარღვევს ვინმეს ინტერესებს.

მოსმენა იწყება ერთ-ერთი მოსამართლის მოხსენებით, შემდეგ პროკურორი და მხარეთა ადვოკატები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს საქმეზე. ამის შემდეგ კამათი დამთავრებულად ცხადდება და საგამოძიებო კამერა ატარებს თათბირს, სადაც არავის აქვს მონაწილეობის უფლება, მათ შორის არც მდივანს (სსს კოდექსის, მე-200 მუხლი).

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება დამოკიდებულია განხილვის საგანზე. თუმცა ნებისმიერი გარემოებების არსებობისას საგამოძიებო კამერას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ახალი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, რომლებსაც ატარებენ ან კამერიის ერთ-ერთი წევრი, ან გამოძიების მოსამართლე. განხილვის საგნის მიუხედავად, მას უფლება აქვს თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყ-

ყვეტილება პირის პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ. დანარჩენ შემთხვევებში საგამოძიებო კამერის გადაწყვეტილებები დიფერენცირებულია. მაგალითად, წინასწარი გამოძიების აქტის ბათილად ცნობის შესახებ საკითხის განხილვისას საგამოძიებო კამერა მას ან ძალაში ტოვებს, ანდა ბათილად ცნობს მოცემულ და საქმეზე არსებულ ყველა სხვა აქტებს, რომლებსაც იგი საჭიროდ ჩათვლის. ასეთ შემთხვევაში ასეთი აქტები ამოიღება საქმიდან.

გამოძიების მოსამართლის დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში საგამოძიებო კამერა მას ძალაში ტოვებს, ანდა აუქმებს. მისი გადაწყვეტილება, ძირითადად, მხოლოდ გასაჩივრებულ დადგენილებას შეეხება და არა მთლიანად საქმეს. თუმცა არსებობს გამონაკლისები, მაგალითად, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დაზარალებულის საჩივარი იძულებულს ხდის საგამოძიებო კამერას, რათა მან მთლიანი საქმე მიიღოს წარმოებაში. შესაბამისად, მოცემულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის ბელს მის ყველა ნაწილთან მიმართებაში.

საგამოძიებო კამერის ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილებით. მისი გასაჩივრების ერთადერთ დასაშვებ საშუალებას კლასიკური კასაცია წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა, წარედგინოს საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს. გასათვალისწინებელია, რომ ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საქმის საკასაციო წესით გადასინჯვის საერთო წესები (საუბარია საკასაციო საფუძვლების მხოლოდ შეზღუდულ წრეზე) (სსს კოდექსი, 591-ე მე-600 მუხლები).

§8. სასამართლო განხილვა დანაშაულთა საქმეებზე (წარმოება ანიზების სასამართლოში)

1. სასამართლო განხილვის ცნება, პრინციპები და დიფერენციაცია. ფრანგულ ლიტერატურაში სასამართლო განხილვას ხშირად „გადამწყვეტ სტადიას“ (phase decisoire) უწოდებენ. მის შემადგენლობაში ორი ელემენტი შედის: 1) საქმეზე გადაწყვეტილების არსებითად მიღება; 2) მოცემული გადაწყვეტილების შემოწმება. სტადიის ამგვარი კონსტრუქცია განპირობებულია სისხლის საპროცესო სამართლის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპით, რომლის თანახმადაც, კონკრეტული საქმე შესაძლოა განიხილოს ორ ინსტანციაში. პირველ ინსტანციაში მიიღება გადაწყვეტილება არსებითად, ხოლო მეორეში – ზემდგომი სასამართ-

ლო ამოწმებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას, შესაბამისი საქმის განმეორებით განხილვის გზით.

ამ ნაშრომში – სასამართლო განხილვის ცნებაში – იგულისხმება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა არსებითად განხილვა (პირველი ინსტანციით), რაც შეესაბამება რუსეთის საპროცესო მეცნიერებაში მიღებულ მიდგომას. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ საფრანგეთში სასამართლო განხილვის შემდეგი ცნება: ეს არის სისხლის სამართლის პროცესის სტადია, რომელიც წარმოადგენს საქმის არსებითად განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას (*judgement*).

იურიდიულად, სასამართლო განხილვა საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალური სტადიაა. თუმცა, ისტორიულად, ამ ქვეყანაში სისხლის სამართლის პროცესი ყალიბდებოდა როგორც წინასწარი გამოძიების სისტემა და სასამართლო განხილვა აღიქმებოდა როგორც მოკვლევის ან გამოძიების „ღარიბი ნათესავი“, რაც აკნინებდა მის რეალურ მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, თანამედროვე სამართლებრივი კონცეფციები სასამართლო განხილვას საკანაბო მნიშვნელობას ანიჭებენ და მისი აგებულების პრინციპებიდან გამოყოფენ ზეპირობას, საქვეყნობასა და შეჯიბრებითობას.

ზეპირობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო გამოძიების მსვლელობისას ყველა მტკიცებულება სასამართლომ და მხარეებმა უნდა აღიქვან „სმენით“ (მოუსმენენ მოწმეებს, გამოაქვეყნებენ დოკუმენტებს და ა.შ.). სასამართლო გამოძიების ზეპირობის აუცილებლობა საფრანგეთში სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა თავისუფალ, შინაგან რწმენაზე დაყრდნობით შეფასების პრინციპს უკავშირდება. თავისებურად არის ასახული ზეპირობის პრინციპი სსს კოდექსის 347-ე მუხლში: გადაწყვეტილების გამოტანისას ასიზების სასამართლოს უფლება არ აქვს სათათბირო ოთახში შეიტანოს საქმის მასალები. ყველა წერილობითი დოკუმენტი თათბირის განმავლობაში მდივანთან რჩება. თუკი გადაწყვეტილების მიღებისას ასიზების სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს საქმეზე შეკრებილი რაიმე წერილობითი მასალების გაანალიზებას, მაშინ ასეთი მოქმედება ასიზების სასამართლოს თავმჯდომარის განსაკუთრებული განკარგულებით ხორციელდება და მას აუცილებლად ესწრებიან მხარეები (პროკურორი და ადვოკატები).

საქვეყნობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებას თავისუფლად შეუძლია დარბაზში დასწრება, სადაც სასამართლო

სხდომა იმართება. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია საფრანგეთის სსს კოდექსის რამდენიმე მუხლში (306-ე, მე-44, 512-ე და 535-ე მუხლები). საქვეყნობას ამ ქვეყანაში გარკვეული შეზღუდვები ახასიათებს. ერთი, რომ საქმეზე თავმჯდომარე მოსამართლეს უფლება აქვს აუკრძალოს არასრულწლოვან პირებს სასამართლო სხდომის დარბაზში შემოსვლა. მეორე, რომ სასამართლოს უფლება აქვს გასცეს განკარგულება სასამართლო სხდომის დახურულ კარს მიღმა ჩატარების შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ საქმის ღია განხილვა საშიშროებას უქმნის „საზოგადოებრივ წესრიგსა და ზნეობას“ (სსს კოდექსი, 306-ე და მე-400 მუხლები). თავმჯდომარე მოსამართლეს უფლება აქვს გააძეოს დარბაზიდან პირები, რომლებიც არღვევენ წესრიგს სასამართლო სხდომის დროს.

სასამართლო განხილვის შეჯიბრებითობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის მოცემულ სტადიაზე მონაწილეობენ მხარეები (ბრალდება და დაცვა), რომლებიც (თითოეული მათგანი) იცავენ თავიანთ საპროცესო პოზიციებს. სასამართლოში მხარეთა პაექრობა განასხვავებს სასამართლო განხილვას სისხლის სამართლის პროცესის წინასასამართლო სტადიებისაგან (მოკვლევა, სისხლისსამართლებრივი დენის აღძვრა და წინასწარი გამოძიება). მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთში მოქმედებს სისხლის სამართალწარმოების კონტინენტური მოდელი, შეჯიბრებითობის პრინციპს აქ თავისი სპეციფიკა აქვს. მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ საფრანგეთის სასამართლო (მოსამართლე) არ განიხილება როგორც არბიტრი, რომელიც მიუკერძოებლად ადევნებს თვალს მხარეთა შეჯიბრს. მას სრულიად განსხვავებული როლი აქვს. იგი ვალდებულია ყველა ღონეს მიმართოს, რათა სასამართლო განხილვისას დადგინდეს საქმეზე ჭეშმარიტება (მიუხედავად მხარეთა აქტიურობის ხარისხისა). ამ დებულებიდან გამომდინარე, სწორედ სასამართლო ასრულებს ძირითად როლს მოწმეთა და სხვა პირთა დაკითხვისას და სხვა მტკიცებულებათა გამოკვლევისას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, თუ ვინც ინიციატივით არის გამოძახებული მოწმე, მას პირველი სასამართლო დაკითხავს. გარდა ამისა, სასამართლოს უფლება აქვს შეკრიბოს მტკიცებულებანი (გამოიძახოს მოწმეები, დანიშნოს ექსპერტიზა და სხვა).¹

¹ საფრანგეთში კონტინენტურ სტილში გადაწყდება საკითხი პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის საპროცესო შედეგების შესახებ. სინამდვილეში, ასეთი შედეგები საერთოდ არ უნდა არსებობდეს, ვინაიდან პროკურორს არ აქვს უფლება უარი თქვას ბრალდებაზე ტრადიციული და საყოველთაოდ აღიარებული ფრანგული თეორიის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში პროკურორი

აღსანიშნავია, რომ ფრანგი კანონმდებელი ცდილობდა უარი ეთქვა შეჯიბრებითობის კონტინენტურ გაგებაზე (ზოგიერთი კრიტიკოსი შეჯიბრებითობის ასეთ გაგებას „შეზღუდულ შეჯიბრებითობას“ უწოდებს) და გადასულიყო „სრულ შეჯიბრებითობაზე“, რომელსაც, ჩვეულებრივ, ამ პრინციპის ანგლოსაქსონურ გაგებას უკავშირებენ. ასეთი მცდელობების აშკარა მაგალითია 1993 წლის 4 იანვრის კანონი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ერთ ერთი მხარის მიერ გამოძახებული მოწმეები უნდა დაკითხოს ჯერ ამ მხარემ, შემდეგ მოწინააღმდეგემ და ბოლოს სასამართლომ. ახალმა დებულებებმა ფეხი ვერ მოიკიდა და 1993 წლის 4 იანვრის კანონის შესაბამისი ნორმები მალე გაუქმდა 1993 წლის 24 აგვისტოს კანონით. შედეგად, საფრანგეთში შენარჩუნდა სასამართლო განხილვის შეჯიბრებითობის კონტინენტური მოდელი, სადაც სასამართლო აქტიურ როლს თამაშობს.

საფრანგეთის სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის საპროცესო წესი დიფერენცირებულია. აღნიშნული დებულება განპირობებულია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დანაშაულებრივ ქმედებათა (infractions penales) სამწვერიანი კლასიფიკაციით, რომლებიც დაყოფილია დანაშაულებსა (ვიწრო გაგებით) (crimes), გადაცდომებსა (delits) და სამართალდარღვევებზე (contraventions). სასამართლოები მათ სხვადასხვა საპროცესო წესების მიხედვით განიხილავენ: დანაშაულთა საქმეებს განიხილავს ასიზების სასამართლო; გადაცდომათა საქმეებს – გამასწორებელი სასამართლო (მის ფუნქციებს დიდი ინსტანციის ტრიბუნალი ასრულებს); სამართალდარღვევათა საქმეებს – საპოლიციო სასამართლო (ასე ეწოდება ინსტანციის ტრიბუნალს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას).

2. წარმოება ასიზების სასამართლოში. ასიზების სასამართლო ერთადერთი სასამართლო დაწესებულებაა, სადაც სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში მონაწილეობენ არაპროფესიონალები (ე.წ. „სახალხო ელემენტი“).

1808 წლის სსს კოდექსმა დაადგინა ასიზების სასამართლოს კონსტრუქცია, რომლის მიხედვითაც იგი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს

მხოლოდ წარმოადგენს საზოგადოებას და არ არის „საჯარო სარჩელის შესაკეთო“. საზოგადოება მანძილს პროკურორს საჯარო სარჩელის წარდგენას, მაგრამ არ გადასცემს მას უფლებას - უარი თქვას საჯარო სარჩელზე. ამიტომ პროკურორს „არ შეუძლია დაღოს შეთანხმება ბრალდებულთან... მას არ აქვს უფლება უარი თქვას სისხლის სამართლებრივ დევნაზე. თუნდაც პროკურორი მიიზნედე, რომ ბრალდება შეცდომით წაყენა პირს, ეს მარცხ არ აუქუსს სასამართლოს კომპეტენციას და არ უსწინს მას მოვალეობას - განიხილოს საქმე არსებითად და გამოიტანოს განაჩენი“ (Pradel J. Procédure penale. Paris, 1997. P.127).

განეკუთვნება, მაგრამ გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს მისი ინგლისური ანალოგისაგან განსხვავებით. მაშინ საფრანგეთის ასიზების სასამართლო ორი, სრულიად განცალკევებული ნაწილისაგან შედგებოდა: გვირგვინის მოსამართლეთა კოლეგია (შედგებოდა 3-7 წევრისაგან), რომელიც სასჯელისა და საქმის წარმოებისას წამოჭრილ სხვა საპროცესო საკითხებს განიხილავდა; 12 ნაფიცი მსაჯულის სკამი (თიური), რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნებოდა დამნაშავეობის საკითხების განხილვა. ასეთი სახით ასიზების სასამართლო 1932 წლამდე მოქმედებდა.

1932 წლის 5 მარტის კანონმა შეცვალა კლასიკური სქემა და თიურის წევრებს დააკისრა ვალდებულება – პროფესიონალ მოსამართლეებთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ ბრალდებულისათვის სასჯელის ზომის შეფარდებაში. ამ კანონის მიღებით ფრანგებმა უარი თქვეს „წმინდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე“ და გადავიდნენ „შერეულ მოდელზე“, რომელიც აერთიანებს, ერთი მხრივ, ნაფიც მსაჯულთა და, მეორე მხრივ, შეფენების ტიპის სასამართლოების თვისებებს (იხ. თავი მე-5). სამართლიანად უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინ ასიზების სასამართლომ შეფენების სასამართლოს „უმნიშვნელო თვისებები“ შეიძინა და იგი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს“ უფრო წარმოადგენდა.

ეკოლუცია გრძელდებოდა. მისი შემდგომი ეტაპი იყო 1941 წლის 25 ნოემბერს (საგრანგეთის ფაშისტური ოკუპაციის პერიოდში) კანონისა და 1945 წლის 20 აპრილს ორდონანსის (რომელმაც ეს კანონი დაამტკიცა) მიღება. მათ შექმნეს სისტემა, რომლის მიხედვითაც ასიზების სასამართლოში დამნაშავეობისა და სასჯელის შესახებ საკითხები პროფესიონალ და არაპროფესიონალ მოსამართლეებს ერთობლივად უნდა გადაეწყვიტათ.¹ თუმცა კოლეგიების სრული შერწყმა არ განხორციელებულა. სასამართლო სხდომის დროს საპროცესო (მათ შორის სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებული) საკითხების განხილვა ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა.

1958 წლის სსს კოდექსს ცვლილებები არ შეუტანია ამ სისტემაში, რომელიც სავსებით შესაძლებელია მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობის „შერეულ მოდელს“ მივაკუთვნოთ.² ასე რომ, საფრანგეთის ასიზების სასამართლოს ცალსახად ვერ მივაკუთ-

¹ 1941 წლის კანონმა შეამცირა თიურის შემადგენლობა 6 წევრამდე, ხოლო 1945 წლის ორდონანსის მიხედვით, მათი რიცხვი 7-ს შეადგენდა. თუმცა ასიზების სასამართლოს შემადგენლობაში პროფესიონალების რაოდენობა უცვლელი რჩებოდა (3 მოსამართლე).

² საფრანგეთის სსს კოდექსში შეტანილი ერთდერთი არსებითი ცვლილება იყო თიურის წევრთა 9 მოსამართლემდე გაზრდა (ამ რეფორმის მიხედვებზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

ენებთ ვერც შეუენების და ვერც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებს.¹

სისხლისსამართლებრივი იუსტიციის გარკვეული პროფესიონალიზაციისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე (მის ტრადიციულ ფორმაზე) უარის თქმის ტენდენცია, რომელიც საფრანგეთში გამოვლინდა (ისევე, როგორც ეს დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში მოხდა), სპეციალურ განხილვას საჭიროებს. მოცემული ნაშრომის ფარგლებში აღენიშნავეთ მხოლოდ, რომ იგი, გარკვეულწილად, დაკავშირებულია მრავალი ქვეყნის კანონმდებლის მისწრაფებასთან – გაამარტივოს და დააჩქაროს სისხლის სამართალწარმოება. სწორედ ამით აიხსნება არა მარტო ასიზების სასამართლოს "პროფესიონალიზაცია", მასში პროფესიონალი მოსამართლეების როლის გაზრდა, არამედ, ასევე, მის განსჯადობას დაქვემდებარებულ სისხლის სამართლის საქმეთა განუხრელი შემცირება. ეს ნათლად ჩანს როგორც კანონებით, რომლებიც მუდმივად მიიღება და ითვალისწინებენ მრავალ დანაშაულებრივ ქმედებათა დანაშაულების ნაცვლად გადაცდომათა რიგებში გადაყენებას (ე.წ. „კანონიერი კორექციონალიზაცია“), ასევე, დანაშაულთა გადაცდომებად გადაკვალიფიცირებით, რაც ყოველდღიურ სამართალგამოყენებით პროცესში ხორციელდება (ე.წ. „სასამართლო კორექციონალიზაცია“). დღეისათვის საფრანგეთში ასიზების სასამართლოები წელიწადში განიხილავენ დაახლოებით 3 000 სისხლის სამართლის საქმეს, რაც დაბალი მაჩვენებელია სასამართლოში შესული სისხლის სამართლის საქმეთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში.²

ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობით საფრანგეთის სასა-

1 საინტერესოა, რომ 1941 წლის რეფორმამ უმალ შეამცირა ასიზების სასამართლოს მიერ გამოტანილი გამართლებელი განაჩენების რიცხვი (განსახილველ საქმეთა საერთო რაოდენობის 25%-დან 8%-მდე). ფრანგული ლექტიონა ამ ფაქტს მიესალმება და თვლის, რომ ეს მოწმობს სისხლისსამართლებრივი იუსტიციის „ლიბერალიზაციას“ ნაწილობრივ განწმენდაზე. ეპარდლის თქმით, „ასიზების სისტემა ნაკლებად უკლი გახდა“ (Pradel J. Op. cit. P. 63).

2 თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამართალდარღვევათა საქმეებს, მაშინ დანაშაულთა და გადაცდომათა საქმეებზე 1993 წელს პროკურორებმა გამასწორებელ სასამართლოებს გადასცეს 383 438 საქმე და 47 844 - გადაუგზავნეს გამოძიების მოსამართლეებს (Les chiffres de la Justice, Ministère de la Justice, Octobre 1994, P. 14). აქვე უნდა დაემატოთ დაზარალებულის ინიციატივით გამასწორებელი სასამართლოების მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმეები. გამოდის, რომ ასიზების სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეები გამასწორებელი სასამართლოების მიერ განსახილველ საქმეთა 1%-ზე ნაკლებს შეადგენენ (აქ არ არის გათვალისწინებული საპოლიციო სასამართლოების საქმეებია). გამოძიების მოსამართლეებთან მოხვედრილ (დაახლოებით 47 000) და ასიზების სასამართლოების მიერ განსახილველ დანაშაულთა საქმეების (დაახლოებით 3 000) რაოდენობათა შორის მნიშვნელოვანი განსხვავება 40 000-ზე მეტ შემთხვევაში არ აიხსნება სისხლის სამართლებრივი დევნის დაუსაბუთებლობით. სინამდვილეში, „სასამართლო კორექციონალიზაციის“ შედეგად დანაშაულთა უმრავლესობა წინასწარი გამოძიების დროს გადაკვალიფიცირდება გადაცდომებად სწორედ იმისათვის, რომ გვერდი აუარონ ასიზების სასამართლოს. „De facto დანაშაული“ ხდება „de jure გადაცდომა“ და განიხილება გამასწორებელი სასამართლოს მიერ.

მართლოს ევოლუციასა და ამ სასამართლოთა გამოყენების სფეროთა შემცირებაზე სხვა ფაქტორებიც მოქმედებენ (ზოგიერთი დანაშაულის სპეციფიკა, მათი გართულება). ამაზე მიუთითებენ შემდეგი მოვლენები: 1982 წლის 21 ივლისის („სამხედრო იუსტიციის ახალი კოდექსის ამოქმედების შესახებ“) და 1992 წლის 16 დეკემბერს („ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედების შესახებ“) მიღებული კანონების შედეგად საჭირო გახდა სსს კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ამან გამოიწვია ის, რომ სამხედრო დანაშაულთა და გადაცლომათა, ერის ძირითადი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა, ტერორისტული აქტებისა და ნარკოტიკების ვაჭრობასთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ ქმედებათა საქმეებზე სასამართლო განხილვა ასიზების სასამართლოში უკვე ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე უნდა განხორციელდეს. სასამართლოს შემადგენლობაში შედის 7 პროფესიონალი, აქედან ერთ-ერთი ასრულებს თავმჯდომარის ფუნქციებს (იხ. სსს კოდექსი, 698-6-ე, 706-25-ე და 706-27-ე გვერდები). ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აქ არ არის საუბარი სპეციალიზირებული სასამართლოების ან განსაკუთრებული წარმოებების შექმნაზე. ყველა დანარჩენი ნორმა, რომლებიც შეეხება სასამართლო განხილვას ასიზების სასამართლოში (ისევე, როგორც სასამართლოს სახელწოდება და ადგილმდებარეობა), გამოიყენება საქმეთა აღნიშნული კატეგორიების განხილვისასაც, ესე იგი, შეიცვალა მხოლოდ სასამართლოს შემადგენლობა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემომოყვანილი სიახლე საფრანგეთში სისხლის სამართლებრივი იუსტიციის სრული პროფესიონალიზაციისა და ასიზების სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა (ჯერ კიდევ შემორჩენილი) ცალკეული ნიშან-თვისებებისაგან გათავისუფლებისაკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯია.¹

¹ 1995 წლის სექტემბერში საფრანგეთის იუსტიციის მინისტრმა ჯაკ ტუბონმა წარადგინა ოფიციალური კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ დანაშაულთა საქმეები პირველი ინსტანციით უნდა განხილვას არა ასიზების სასამართლოს, არამედ დესარტამენტების ახლად შექმნილ სისხლის სამართლის ტრიბუნალებს (tribunal criminel departemental) 3 პროფესიონალი მოსამართლისა და 2 არაპროფესიონალი მსაჯულის შემადგენლობით, რომლებსაც 3 წლამდე ედოთ დანიშნულ სააქლაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე. ამ ტრიბუნალებს მოტივირებული განაჩენები უნდა გამოეტანათ, რომლებიც გასაჩივრდებოდა ასიზების სააქლაციო სასამართლოში (3 პროფესიონალი მოსამართლისა და კენჭისყრით არჩეული 9 თორის წევრთა შემადგენლობით). სხვა სიტყვებით, უმართაეაზებული იყო, რომ ახლანდელი ასიზების სასამართლოები გადაეთიბულყო მთარე ინსტანციის სასამართლოებად (ასიზების სააქლაციო სასამართლოებად) დესარტამენტების სისხლის სამართლის ტრიბუნალებისათვის (თუკი ეს უკანასკნელი შეიქმნებოდა). რომლებიც ტიპური შეუენების სასამართლოების მსგავსნი იქნებოდნენ და არ შეიკადნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნიშნებს. ასეთი სახით რეფორმა ჯერ ვერ განხორციელდა, უნაიდან ზანგრძლივი დებატების შემდეგ, 2000 წლის 15 ივნისის მიღეს კანონი, რომელმაც შეინარჩუნა ასიზების

თანამედროვე ასიზების სასამართლოში წარმოების დახასიათებისას უნდა აღინიშნოს, რომ იგი მუდმივად არ მოქმედებს. ასიზების სასამართლო პერიოდულად იკრიბება სესიებზე, სადაც განიხილავს დაგროვილ სისხლის სამართლის საქმეებს. როგორც წესი, სესიები 3 თვეში ერთხელ (ზოგჯერ უფრო ხშირად) იმართება სააპელაციო სასამართლოს ან დიდი ინსტანციის ტრიბუნალის შენობაში. სესიაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვევიან 35 ძირითადი სახალხო წარმომადგენელი (ტრადიციულად, მათ ჟიურის წევრებს უწოდებენ - jures) და 10 - სათადარიგო. მორიგი სესიის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 დღისა მათ კენჭისყრით შეარჩევენ ჟიურის პოტენციურ წევრთა სიიდან. კენჭისყრას ატარებენ სააპელაციო სასამართლოს ან დიდი ინსტანციის ტრიბუნალის თავმჯდომარეები (იმისდამიხედვით, თუ სად ტარდება სესია).

ასიზების სასამართლოში წარმოება შესაძლებელია ორ სახედ დაიყოს: ა) ორდინალური წარმოება (procedure ordinaire); ბ) განსაკუთრებული წარმოება, რომელიც გამოიყენება განსასჯელის არასაკმატო მიზეზით არყოფნის შემთხვევაში (procedure par contumace).

2000 წლის 15 ივნისის კანონის მიღების შემდეგ განასხვავებენ პირველი ინსტანციის სახით მოქმედ და სააპელაციო ასიზების სასამართლებს.

ორდინალური წარმოება. იმ შემთხვევაში, როდესაც ასიზების სასამართლოში ტარდება ორდინალური (ჩვეულებრივი) წარმოება, სსს კოდექსის 240-ე მუხლის თანახმად, იგი შედგება ორი ქვეგანყოფილებიდან (კოლეგიისაგან): 1) ვიწრო გაგებით სასამართლო (cour); 2) ჟიური (jury). ვიწრო გაგებით სასამართლოს¹ შემადგენლობაში შედის 3 პროფესიონალი მოსამართლე, მათგან ერთ-ერთი ასრულებს თავმჯდომარის ფუნქციებს (დანარჩენებს ასესორებს უწოდებენ). თავმჯდომარეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთაგან ნიშნავს სააპელაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე. იგი, ასევე, შეარჩევს ასესორებს ან სააპელაციო სასამართლოს, ანდა დიდი ინსტანციის ტრიბუნალის მოსამართლეთაგან. კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას ჟიური შედგება სიაში შეყვანილი 9 არაპროფესიონალისაგან, რომლებსაც გამოიძახებენ ასიზების სასამართლოს მორიგ სესიაში

სასამართლო პირველი ინსტანციით, თუმცა შექმნა ამ სასამართლოს სააპელაციო ვარიანტიც. მაგრამ ამ რეფორმისთან დაკავშირებული პერიპეტეციები აშკარად მეტყველებენ, რომ საფრანგეთში ასიზების სასამართლოს მდგომარეობა საკმაოდ არასტაბილურია.

¹ შემდგომში სასამართლოს ამ კოლეგიის აღსანიშნად გამოიყენებელი იქნება ტერმინი „სასამართლო“, რომელიც არ უნდა აეკეროს „ასიზების სასამართლოში“, სადაც სასამართლოსა და ჟიურის ერთობლიობა მოიაზრება.

მონაწილეობის მისაღებად.¹

ასიზების სასამართლოში წარმოება იყოფა სამ ეტაპად: 1) წარმოება სასამართლო სხდომაზე; 2) სასამართლო სხდომა; 3) წარმოება სასამართლო სხდომის შემდეგ (გადაწყვეტილებათა გამოტანა).

სასამართლო სხდომაზე განხორციელება ასიზების სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მიღების საპროცესო მოქმედებანი. ამის საფუძველი შეიძლება იყოს გამოძიების მოსამართლის ან საგამოძიებო კამერის (თუ გამოძიება მან დაასრულა) დადგენილება სამართალში მიცემის შესახებ. ასიზების სასამართლო წარმოებაში იღებს საქმეს მხოლოდ იმ ქმედებათა (in rem) და პირთა (in personam) მიმართ, რომლებზეც მითითებულია აღნიშნულ დადგენილებაში. სამართალში მიცემის დადგენილება განსაზღვრავს სასამართლო განხილვის საგანს, ფარგლებს და პროცესუალურად ზღუდავს ასიზების სასამართლოს.

ყველა მოქმედება, რომელიც სასამართლო სხდომაზე ტარდება, კანონის თანახმად იყოფა სავალდებულო და ფაკულტატურ მოქმედებებზე.

სავალდებულო მოქმედებები იწყება იმით, რომ განსასჯელს გადასცემენ გამოძიების მოსამართლის ან საგამოძიებო კამერის დადგენილების ასლს სამართალში მიცემის შესახებ, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს, შესაბამისად, საგამოძიებო კამერაში ან საკასაციო წესით. მოცემული დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (მისი გადაცემიდან 5 დღის გასვლის შემდეგ, ან საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების გამო) განსასჯელს დასაკითხად წარადგენენ ასიზების სასამართლოს თავმჯდომარესთან. დაკითხვა განიხილება როგორც „ადმინისტრაციული“ მოქმედება, ესე იგი, ვერ შეეხება საქმის არსს და არ წარმოადგენს მტკიცებულებათა შეკრების საშუალებას. მისი მიზანია: განსასჯელის ეინაობის დადგენა; გამორკვევა – მიიღო თუ არა მან სამართალში მიცემის დადგენილების ასლი და ხომ არ საჭიროებს თარჯიმანს; განსასჯელისათვის დამცველის არჩევის უფლების განმარტება. თუ დამცველი არ იქნება არჩეული, მაშინ ასიზების სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია დანიშნოს იგი თავისი ინიციატივით, ვინაიდან დამცველის მონაწილეობა ასიზების სასამართლოში სავალდებულოა. ასიზების სასამართლოს მოქმედებები ფორმდება ოქმში. დაუშვებელია სასამართლო სხდომის დაწყება დაკითხვიდან მომდევნო 5 დღის განმავლობაში გარდა იმ შემთხვევისა,

¹ სააქლაციო და პირველი ინსტანციის ასიზების სასამართლოთა შემადგენლობები განსაზღვრება ერთმანეთისაგან (იხ. მოცემული თავი, §10).

როდესაც თვითონ განსასჯელი განაცხადებს უარს ამ ვადის დაცვაზე. დაკითხვის შემდეგ ასიზების სასამართლოს თავმჯდომარე განსასჯელს (სამოქალაქო მოსარჩელესთან ერთად) გადასცემს საქმის მასალების ასლებს. დანაშაულის ჩადენის ფაქტის დამადასტურებელი და მოწმეთა დაკითხვების ოქმებისა და ექსპერტის დასკვნის ასლები უფასოდ გადაეცემათ მხარეებს მათი სურვილისაგან დამოუკიდებლად. მათ უფლება აქვთ მოითხოვონ საკუთარი სახსრებით საქმის ყველა სხვა მასალის ასლების გადაღება და ხელზე მიღება.

საეალღებულო მოქმედებებს განეკუთვნება, აგრეთვე, ბრალდები-სა (პორკურატურა და სამოქალაქო მოსარჩელე) და დაცვის მიერ მათი მხრიდან სასამართლო სხდომაზე გამოსაძახებულ მოწმეებისა და ექსპერტების სიების ურთიერთგაცნობა. სსს კოდექსის გამოყენების გენერალური ინსტრუქციის თანახმად, თუ ერთ-ერთი მხარე დაარღვევს ამ მოთხოვნას, მაშინ მეორე მხარეს „უფლება აქვს გააპროტესტოს სასამართლო სხდომაზე იმ პირთა დაკითხვა, რომლებიც არ იყვნენ შეყვანილი მისთვის წარდგენილ სიაში“.

ბოლო საეალღებულო მოქმედებას წარმოადგენს ყველა განსას-ჯელისათვის იმ სახალხო წარმომადგენელთა სიის გადაცემა, რომლებიც მონაწილეობენ ასიზების სასამართლოს მორიგ სესიაზე. მოცემული სია „უნდა შეიცავდეს საკმარის მონაცემებს, რომლებითაც შესაძლებელია თურის თითოეული წევრის იდენტიფიცირება (იმ მონაცემთა გამო-რიცხვით, რომლებიც მის საცხოვრებელ ადგილსა და ადგილსამყოფელს შეეხება)“ (სსს კოდექსი, მუხლი 282-ე, 1994 წლის 1 თებერვლის რედაქციით).

ჟაქულტატური მოქმედებები, რომლებიც შეიძლება განხორციელ-დეს ასიზების სასამართლოში წარმოების მოცემულ ეტაპზე, იმაში მდგომარეობს, რომ ამ სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს გასცეს განკარგულება ასიზების სასამართლოში შესულ სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების ან გამოყოფის შესახებ. მას შეუ-ძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმის გადაღების შესახებ ასიზების სასამართლოს მომდევნო სესიისათვის, თუ მიიჩნევს, რომ საქმე არ არის მზად განხილვისათვის. ასიზების სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით დააწესოს დამატებითი საგა-მოძიებო მოქმედებების ჩატარება, რომლებსაც ან პირადად ჩაატარებს¹,

¹ ასიზების სასამართლოს თავმჯდომარის უფლება - არასრული წინასწარი გამოძიების შემთხვევაში: პირადად განახორციელოს დამატებითი საგამოძიებო მოქმედებანი, ან დაავალოს მათი ჩატარება - ამჟამად მოწმობს იმ ფაქტზე, რომ საფრანგეთში წინასწარი გამოძიების ფუნქცია არ თვლება სისხლისსამართლებრივ ღვენად.

ანდა შესაბამის დავალებას მისცემს ასიზების სასამართლოს ერთ-ერთ ასესორს, ან – გამოძიების მოსამართლეს.

ასიზების სასამართლოში წარმოების შემდეგ ეტაპს სასამართლო სხდომა წარმოადგენს. ვინაიდან მოცემული სასამართლო არაერთგვაროვანი სასამართლო ორგანოა და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას ორი კოლეგიისაგან შედგება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასიზების სასამართლოს ცალკეული წევრებისა და მხარეთა ფუნქციების საკითხს სასამართლო სხდომის დროს. სასამართლო განხილვის ჩატარებისას ფართო უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული სასამართლოს თავმჯდომარეს (ამ სასამართლოს დანარჩენ წევრებთან შედარებით). საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში მიღებულია, რომ მას სამი ფუნქცია აქვს სასამართლო სხდომის დროს:

პირველი, ეს არის ე.წ. „საპოლიციო ფუნქცია“, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თავმჯდომარე იღებს ზომებს სასამართლო დარბაზში წესრიგის დასაცავად (სსს კოდექსი, 309-ე მუხლი) და, საჭიროების შემთხვევაში, ზღუდავს დარბაზში არასრულწლოვანთა შესვლას;

მეორე, იგი *ბელმძღვანელობს სასამართლო განხილვის მსვლელობას*: განსაზღვრავს მტკიცებულებათა გამოკვლევის წესს; განმარტებებს აძლევს ეიურის წევრებს პროცესის მსვლელობისას წამოჭრილ სამართლებრივ საკითხებზე;

მესამე, მას მინიჭებული აქვს განსაკუთრებული უფლებამოსილება, რომელსაც კანონი „*დისკრეციულ ფუნქციას*“ უწოდებს. ეს ნიშნავს, რომ ასიზების სასამართლოს თავმჯდომარეს, თავისი შეხედულებითა და სასამართლოსა და ეიურის დანარჩენი წევრებისაგან დამოუკიდებლად, „*უფლება აქვს მიიღოს ნებისმიერი საჭირო ზომები ჭეშმარიტების დასადგენად*“ (სსს კოდექსი, 310-ე მუხლი). ამ ფორმულირებაში ჩადებულია კონტინენტურ (მათ შორის საფრანგეთის) პროცესში სასამართლო განხილვის შეჯიბრებითობის ძირითადი სპეციფიკა, სადაც სასამართლო საქმის განხილვისას აქტიურ როლს ასრულებს. კანონი ამსუბუქებს ამ დებულებას, მაგალითად, სსს კოდექსის 310-ე მუხლის თანახმად, ასიზების სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით გამოძახებული მოწმეები არ ღებენ ფიცს და მათი ჩვენებები განიხილება არა როგორც მტკიცებულებანი, არამედ, როგორც „*უბრალო მონაცემები*“. ამ ნორმას, რეალურად, მცირე მნიშვნელობა აქვს. ასიზების სასამართლო შემაჯამებელ გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლეთა და (რაც დიდად მნიშვნელოვანია) ეიურის წევრთა შინაგანი რწმენით. ასიზების სასამართლო არ ახდენს გადაწყვეტილების მოტივაციას. აქედან გამომდინარე, არავინ და არაფერი

უშლის სასამართლოსა და ჟიურის, რომ მათ შესაბამისი დასკვნები გააკეთონ ასიზების სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით გამოძახებულ მოწმეთა ჩვენებებიდან, თუნდაც ისინი „უბრალო მონაცემები“ იყოს.

სასამართლოს, რომელიც თავმჯდომარისა და ორი ასესორისაგან შედგება, ასიზების სასამართლოს (კოლეგიური პროფესიონალური ქვედანაყოფის სახით) სპეციალური უფლებამოსილებები აქვს. აქ ასიზების სასამართლოს თავმჯდომარის ხმა ნებისმიერი ასესორის ხმის ტოლია, ამიტომ, სასამართლო სხდომის დროს უშუალოდ სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებული საპორცესო საკითხები ხმათა უბრალო უმრავლესობით გადაწყდება.

სამართალწარმოების ამ ეტაპზე სასამართლოს სამი ძირითადი ფუნქცია¹ ეკისრება:

პირველი, იგი განიხილავს სასამართლო განხილვისას წამოჭრილ ყველა სადავო საკითხს (ანდა, ფრანგული ტერმინოლოგიით, ინციდენტებს – incidents). აქ საუბარია იმ საკითხებზე, რომლებზეც მხარეთა მოსაზრებანი და პოზიციები არ ემთხვევა ერთმანეთს (მაგალითად, მოწმის სახით ამა თუ იმ პირის გამოძახების საჭიროების, ნივთიერ მტკიცებულებათა რესტიტუტიციის ან აცილებათა შესახებ);

მეორე, მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება – გამოიყენოს რიგი საპროცესო სახდელებისა (მოწმის გამოუცხადებლობის, ჟიურის წევრის არასაპატიო მიზეზით არყოფნის და ა.შ გამო);

მესამე, სასამართლო, როგორც კოლეგიალური ორგანო ასიზების სასამართლოს თავმჯდომარესთან პარალელურად განაზორციელებს სასამართლო სხდომის მსვლელობაზე ხელმძღვანელობის გარკვეულ უფლებამოსილებებს. აქ შესაძლებელია არსებობდეს სიტუაციები, როდესაც სასამართლოს ეს ფუნქცია წინააღმდეგობაში მოდის ასიზების სასამართლოს თავმჯდომარის დისკრეციულ უფლებამოსილებასთან. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს აზრით (1989 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება), პრიორიტეტი თავმჯდომარეს ენიჭება და სწორედ მას ეკუთვნის ბოლო სიტყვა.

რაც შეეხება ჟიურის წევრთა ფუნქციებს, სასამართლო სხდომის დროს მათ ერთი ამოცანა აკისრიათ – ყურადღებით უსმინონ. კანონი მათ არ ანიჭებს სხვა უფლებამოსილებას სათათბირო ოთახში გასულამდე. ამ წესიდან ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ჟიურის

1. აქ არ არის მოხსენიებული სასამართლოს საგამონაკლისო ფუნქცია – მიიღოს გადაწყვეტილება სამოქალაქო სარჩელის თაობაზე (ჟიურის მონაწილეობის გარეშე). მოცემული ფუნქცია არ ზარცილდება სამართალწარმოების იმ ეტაპზე, რომელსაც საფრანგეთში „სასამართლო სხდომას“ უწოდებენ, კნაოდან „გადაწყვეტილებათა მიღება“ სასამართლო განხილვის მომდევნო ეტაპსა.

წერთა უფლება - დაუსვან კითხვები მოწმეებს ასიზების სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვით.

სასამართლო სხდომის დროს, გადაწყვეტილების მიღებამდე, გვირგვინის მოსამართლეთა და ასიზების სასამართლოს შემადგენლობაში მყოფი არაპროფესიონალების საპროცესო ფუნქციები არაერთგვაროვანია და მათ ცოტა რამ აქვთ საერთო. არაპროფესიონალები მეტად პასიურ როლს ასრულებენ, რის გამოც სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაში მათი მონაწილეობის ფრანგული სისტემა, გარკვეულწილად, ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს ემსგავსება.

სასამართლო სხდომის დროს მხარეთა უფლებები საკმაოდ ტრადიციულია: ისინი მონაწილეობენ სასამართლო გამოძიებაში და გამოდიან სასამართლო კამათში. სასამართლო გამოძიებისას ბრალდება (პროკურატურა, სამოქალაქო მოსარჩელე) და დაცვა (განსასჯელი, მისი ადვოკატები, სამოქალაქო მოპასუხე) თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. მათ შეუძლიათ დააყენონ შეამდგომლობები, კითხვები დაუსვან ექსპერტებსა და მოწმეებს, მონაწილეობა მიიღონ სხვა მტკიცებულებათა გამოკვლევაში. კითხვების დასმა დასაშვებია მხოლოდ ასიზების სასამართლოს თავმჯდომარის მეშვეობით, რაც კვლავაც ზაზს უსეამს სასამართლოს აქტიურ როლს.²

სასამართლო სხდომა იწყება განსასჯელის შემოსვლით. სსს კოდექსის 318-ე მუხლის თანახმად, მას სხდომათა დარბაზში ბადრაგი შემოიყვანს, თუმცა ხელობრიკილების (ან სხვა მსგავსი საშუალებების) გარეშე და სამოქალაქო ტანსაცმლით. თავმჯდომარე მოსამართლე არკვევს განსასჯელის სახელს, გვარს, დაბადების თარიღსა და ადგილს, საქმიანობის სფეროს და საცხოვრებელ ადგილს (სსს კოდექსი, 294-ე მუხლი). საჭიროების შემთხვევაში, განსასჯელს ენიშნება თარჯიმანი, რომელსაც შესაძლოა განუცხადონ აცილება (აცილების საკითხს წყვეტს სასამართლო) (სსს კოდექსი, 344-ე მუხლი).

შემდეგი ეტაპია თიურის ფორმირება სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულ 35 არაპროფესიონალთა რიცხვიდან. ეს კენჭისყრით ხდება: ბარათები, რომლებზეც მათი სახელი და გვარია მითითებული, სპეციალურ ურნაში იყრება, საიდანაც ამოიღებენ 9 ბარათს. სასამართლოს უფლება

1 1993 წლის 4 იანვრის კანონის მიღების შემდეგ საფრანგეთის სსს კოდექსის ტექსტში ტერმინი „დამცველი“ ვეღვან შეიცვალა ტერმინით - „ადვოკატი“.

2 2000 წლის 15 ივნისის კანონის თანახმად, პროკურორს და ადვოკატებს მიენიჭათ უფლება - მოსთხოვონ თავმჯდომარე მოსამართლეს სიტყვის წარმოთქმის უფლება და უშუალოდ დაუსვან კითხვები დასაკითხ პირს. აღნიშნული დებულება არ ვრცელდება განსასჯელსა და სამოქალაქო მოსარჩელეზე.

აქვს გამოიტანოს დადგენილება იმის თაობაზე, რომ ჟიურის 9 ძირითად წევრთან ერთად შეირჩეს ერთი ან რამდენიმე სათადარიგოც (მათ კონკრეტულ რიცხვს სასამართლო განსაზღვრავს, საქმის სირთულისა და სავარაუდო ხანგრძლივობიდან გამომდინარე). სასამართლო სხდომის დროს სათადარიგო წევრებს უფლება აქვთ, ასიზების სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვით, კითხვები დაუსვან მოწმეებს, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისას ისინი მონაწილეობას არ იღებენ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩაანაცვლებენ რომელიმე ძირითად წევრს).

კენჭისყრის ჩატარებისას განსასჯელი და მისი ადვოკატი, ერთი მხრივ, და პროკურატურის წარმომადგენელი, მეორე მხრივ, სარგებლობენ უფლებით – აცილება განუცხადონ ჟიურის კონკრეტულ წევრებს (მათი გვარების ბარათებით ამოღების შემთხვევაში). მხარეებს არ შეუძლიათ საჯაროდ განაცხადონ თავიანთი აცილებების მოტივები, ესე იგი, აცილებების არამოტივირებულობა მათ აუცილებელ პირობას წარმოადგენს (სსს კოდექსი, 297-ე მუხლი). კანონით განსაზღვრულია არამოტივირებულ აცილებათა რიცხვი: განსასჯელს უფლება აქვს აცილება განაცხადოს არა უმეტეს 5 წევრის მიმართ, პროკურორს – არა უმეტეს 4 (სსს კოდექსი, 298-ე მუხლი). ჟიური ფორმირებულად ითვლება მას შემდეგ, რაც ურნიდან ამოიღებენ 9 ბარათს ჟიურის ძირითადი და შესაბამისი რაოდენობის ბარათებს – სათადარიგო წევრების გვარებით, რომელთა მიმართაც აცილება არ განუცხადებიათ. კენჭისყრის პროცედურას სასამართლო სხდომის მდივანი შეიტანს ოქმში.

შერჩეული ჟიურის წევრები იკავებენ მათთვის სპეციალურად განკუთვნილ ადგილს და დებენ ფიცს. ფიცის დადებისას ასიზების სასამართლოს თავმჯდომარე ჟიურის წაუკითხავს სსს კოდექსის 304-ე მუხლის შინაარსს. შემდეგ იგი ამოიკითხავს ჟიურის თითოეულ წევრთა გვარს, რა დროსაც შესაბამისი პირი ხელაწეული პასუხობს: „ფიცავ“. ფიცის დადების წესების დარღვევა იწვევს ასიზების სასამართლოში წარმოების ბათილად ცნობას.

სხდომის მდივანი კითხულობს სასამართლო სხდომაზე გამოძახებულ მოწმეთა სიას და ასიზების სასამართლოს თავმჯდომარე გასცემს განკარგულებას მათი გაყვანის შესახებ სპეციალურად განკუთვნილ, იზოლირებულ ოთახში. ამით სრულდება სასამართლო სხდომის ის ნაწილი, რომელსაც შესაძლოა მოსამზადებელი ეუწოდოთ.

შემდგომი ეტაპია ე.წ. „საბოლოო გამოძიება“ (რუსული ტერმინოლოგიით – „судебное следствие“¹) (ქართულად – „სასამართლო

¹ საფრანგულში წინასწარი გამოძიება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლო ხასიათს ატ

გამოძიება“ – ი.ბ.)). სასამართლო გამოძიების როლი განისაზღვრება იმით, რომ სასამართლო განხილვის სწორედ (და მხოლოდ!) ამ ნაწილში შეკრებილი და გამოკვლეული უნდა იყოს ის მტკიცებულებითი მასალა, რომლის საფუძველზეც გამოდის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება.

სასამართლო გამოძიება იწყება სასამართლო სხდომის მდივნის მიერ სამართალში მიცემის დადგენილების წაკითხვით. შემდეგ ზდება მტკიცებულებათა შეკრება და გამოკვლევა, რისთვისაც განსაზღვრული წესია დადგენილია. იგი არ არის იმპერატიული (ამაზე პირდაპირ მიუთითებდა საფრანგეთის საკასაციო სასამართლო), მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში, პრაქტიკულად, განუხრელად იტაკენ.

მტკიცებულებათა შეკრება განსასჯელის დაკითხვით იწყება. მას თავმჯდომარე მოსამართლე ატარებს, რომელიც არკვევს განსასჯელისაგან საქმის მისთვის ცნობილ ყველა გარემობას. მას უფლება აქვს დაუსვას განსასჯელს კითხვები მისი პიროვნების შესახებ. კანონმდებელმა მხოლოდ ერთი შეზღუდვა გაითვალისწინა თავმჯდომარე მოსამართლისათვის – მას უფლება არ აქვს განსასჯელის დაკითხვისას „გამოთქვას თავისი მოსაზრება ამ პირის დამნაშავეობის შესახებ“ (სსს კოდექსი, 328-ე მუხლი). სისხლის სამართლის საპროცესო კანონის შესაბამისი ნორმები, რომლებიც განსასჯელის დაკითხვას აწესრიგებენ, პირდაპირ არ მიუთითებს მხარეთა უფლებაზე – დაუსვან კითხვები განსასჯელს. ეს უფლება გამოძინარეობს სსს კოდექსის 312-ე მუხლის ზოგადი ხასიათის შინაარსიდან. მისი რეალიზება მხარეებს შეუძლიათ მას შემდეგ, რაც თავმჯდომარე მოსამართლე გამოარკვევს განსასჯელისაგან ყველაფერს, რასაც საჭიროდ მიიჩნევს.

განსასჯელის დაკითხვის შემდეგ სასამართლო გადადის მოწმეთა დაკითხვაზე. მათი დაკითხვის წესს თავმჯდომარე მოსამართლე ადგენს. პირველებს, როგორც წესი, ბრალდების მოწმეებს დაკითხავენ. მათ როგრივობით გამოიძახებენ დარბაზში. მოწმეები ფიცს დებენ. სსს კოდექსის 335-ე მუხლი ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს იმ პირებისა, რომლებიც არ დებენ ფიცს (მათი სურვილისაგან დამოუკიდებლად). ესენი არიან: განსასჯელის ნათესავები და ახლობლები; სამოქალაქო მოსარჩელე (იგი მოწმის სახით აძლევს ჩვენებას); 16 წელს მიულწეველი პირები.¹

არებს, ვინაიდან იგი სასამართლო ორგანოების კომპეტენციაში შედის. ამიტომ, სასამართლო განხილვისას წარმოებულ წინასწარ გამოძიებას არა „სასამართლო“, არამედ, „სამოლოოს“ უწოდებენ.

¹ თუ გაუგებრობის ან სხვა მიზეზების გამო ამ პირებმა მანც დადეს ფიცი, მაშინ ასეთი ფიცის დადება დაკითხვის მათილად ცნობას და, შესაბამისად, მოწმის ჩვენების დაუშვებლობას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე პროტესტს გამოიქვეამს ამის შესახებ უშუალოდ სასამართლო სხდომის დროს.

მოწმეთა დაკითხვის შემდეგ ტარდება ექსპერტების დაკითხვა, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება და დოკუმენტების გამოკვლევა. ამ სასამართლო მოქმედებებს არ ახასიათებთ არსებითი სპეციფიკა კონტინენტური ტიპის სხვა (მაგალითად, რუსეთის) სისხლის სამართლის საპროცესო სისტემებისაგან განსხვავებით.

სასამართლო მოქმედებათა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. ასიზების სასამართლოში თავმჯდომარე მოსამართლეს (მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილებებიდან გამომდინარე) უფლება აქვს გასცეს განკარგულება სხვა საპროცესო მოქმედებათა ჩატარების (მაგალითად, ჩხრეკის) შესახებაც (რაც იშვიათად ხდება).

სსს კოდექსის 346-ე მუხლი განსაზღვრავს მხარეთა კამათის წესს. პირველად სიტყვა ეძლევათ სამოქალაქო მოსარჩელეს ან მის ადვოკატს. შემდეგ გამოდის პროკურატურის წარმომადგენელი. შემდეგ დაცვის არგუმენტებს წარადგენენ განსასჯელი და მისი ადვოკატები. მათი გამოსვლების დამთავრებისას დაიშვება სამოქალაქო მოსარჩელისა და პროკურორის რეპლიკები, თუმცა, დაცვას ყოველთვის აქვს საბოლოო სიტყვის უფლება.

სასამართლო კამათის დასრულების შემდეგ სასამართლო განხილვა დამთავრებულად ცხადდება.¹ თავმჯდომარე მოსამართლე სასამართლო სხდომის მდივანს გადასცემს საქმის ყველა მასალას (თავისთან იტოვებს მხოლოდ სამართალში მიცემის დადგენილებას) და შეუდგება სასამართლოსა და ჟიურის მიერ გადასაწყვეტ საკითხთა შედგენას.

განსასჯელისათვის შერაცხულ თითოეულ დანაშაულზე უნდა დაისვას ე.წ. „მთავარი კითხვა“ (კანონის ტერმინოლოგია). ამ კითხვის ფორმულირებას შეიცავს სსს კოდექსის 349-ე მუხლი: „დაზნაშავეა თუ არა განსასჯელი ამა და ამ ქმედების ჩადენაში?“ „ცალკეული საკითხების“ საგანს უნდა შეადგენდნენ დამამძიმებელი, შემამსუბუქებელი და პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელი გარემოებანი. ყველა საკითხი ქვეყნდება სასამართლო სხდომათა დარბაზში და მხარეებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ მათი რედაქციის დაზუსტების შესახებ.

შემდეგ თავმჯდომარე მოსამართლე ჟიურის წევრებს უკითხავს სადამრიგებლო სიტყვას, რომლის ტექსტიც მოცემულია სსს კოდექსის

¹ თავის დროზე IROB წლის სსს კოდექსი ითვალისწინებდა, რომ სისხლის სამართლის პროცესის ამ ეტაპზე ასიზების სასამართლოს თავმჯდომარეს უნდა მიეზღოთ ნაიცი შსაჯულობათვის დაცვისა და ბრალდების მტკიცებულებების რეზიუმირება. 1881 წლის 19 ივლისის კანონმა გააუქმა ეს რეზიუმირება საფრანგეთის 1958 წლის მოქმედი სსს კოდექსის 347-ე მუხლი პირდაპირ უკრძალავს ასიზების სასამართლოს თავმჯდომარეს შეკრებილი (გამამართლებელი და გამამტყუნებელი) მტკიცებულებების ანალიზს.

353-ე მუხლში. ეს არის კლასიკური (ლიტერატურული და იურიდიული თვალსაზრისით) ფორმულა, რომელიც გამომდინარეობს „მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასების“ ცნობილი პრინციპიდან (იგი კონტინენტური სისხლის სამართლის პროცესის ქვაკუთხედს წარმოადგენს) და გათვალისწინებული იყო 1808 წლის სსს კოდექსით და შემდეგ გადაიტანეს 1958 წლის სსს კოდექსშიც. თანამედროვე სამართლებრივი წყაროებისათვის (რომლებიც სიმშრალით გამოირჩევა) ამ იშვიათი ტექსტის მნიშვნელობა იმდენად დიდი აღმოჩნდა კონტინენტური მტკიცებულებითი სამართლისათვის, რომ უპრიანი იქნება მისი სრული შინაარსი გააცნოთ: „კანონი არ მოითხოვს ანგარიშს მოსამართლეთაგან იმ საშუალებების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც მათ რწმენა შეექმნათ. იგი არ განსაზღვრავს მათთვის წესებს, რომელთა საფუძველზეც თანმიმდევრულად უნდა შეაფასონ ამა თუ იმ მტკიცებულების სისრულე და საკმარისობა; იგი ადგენს, რომ მათ საკუთარ თავში ჩაიხედონ და აღმოაჩინონ თავიანთ გულწრფელ შეგნებაში ის შთაბეჭდილება, რომელიც, მათი აზრით, დატოვეს ასიზების სასამართლოში წარმოდგენილ მტკიცებულებებმა განსასჯელის წინააღმდეგ და დაცვის საშუალებებმა. კანონი მათ წინაშე სვამს მხოლოდ იმ ერთადერთ კითხვას, რომელიც მთლიანად მოიცავს მათ მოვალეობას: „გაქვთ თუ არა თქვენ შინაგანი რწმენა?“

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ასიზების სასამართლოს თავმჯდომარე გასცემს განკარგულებას განსასჯელის სხდომათა დარბაზიდან გაყვანის შესახებ და დაცვის უფროსს ავალებს სათათბირო ოთახში შესასვლელის დაცვის უზრუნველყოფას, რათა ვერაფერს შეძლოს შიგნით შესვლა. სასამართლო და ჟიური გადის გადაწყვეტილების გამოსატანად და ეს პროცედურა ასიზების სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის შემდგომი ეტაპია – წარმოება სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ. იგი მოიცავს საჯარო და სამოქალაქო სარჩელებზე გადაწყვეტილებების მიღებას და მათ გამოცხადებას.

როგორც აღვნიშნეთ, საჯარო სარჩელთან დაკავშირებულ საკითხებს სასამართლო და ჟიური ერთად გადაწყვეტენ. ეს სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ ხდება. სსს კოდექსის 355 მუხლის თანახმად, მოსამართლეებსა და ჟიურის წევრებს უფლება არ აქვთ დატოვონ სათათბირო ოთახი შესაბამისი გადაწყვეტილებების გამოტანამდე.

შუენების ტიპის სასამართლოების ტიპური ფორმებისაგან განსხვავებით, საფრანგეთის ასიზების სასამართლოში არ ტარდება მოსამართლეთა თათბირი (იგულისხმებიან ჟიურის წევრებიც), ესე იგი

არ მიმდინარეობს გადასაწყვეტ საკითხებზე ერთობლივი მსჯელობა, აზრთა გაცვლა და ა.შ. სათათბირო ოთახში პროფესიონალები და არა-პროფესიონალები (ისინი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ) წერილობით და ერთმანეთისაგან ფარულად გამოთქვამენ საქმეზე თავიანთ პოზიციას. ეს შემდეგნაირად ხდება: ყველა მოსამართლე და ჟიურის წევრი იღებს დასმულ საკითხებზე პასუხის გასაცემად შესაბამისი რაოდენობის ღია ბიულეტენებს. სათათბირო ოთახში ისინი განაწილებიან მაგიდებთან, რომლებიც ისეა განთავსებული, რომ სასამართლოს წევრებმა ვერ შეძლონ ერთმანეთის ბიულეტენების დანახვა. თითოეული მათგანი შესაბამისი კითხვის გასწვრივ ბიულეტენში ჩაწერს სიტყვებს „კი“, ან „არა“. შემდეგ ბიულეტენებს ხურავენ და ურნაში ყრიან. თავმჯდომარე მოსამართლე ხსნის თითოეულ ბიულეტენს და ითელის ხმებს. შეუვსებელი, ან არასწორად შევსებული ბიულეტენი განიხილება როგორც განსასჯელის სასარგებლოდ წარდგენილი. გახსნის შემდეგ ბიულეტენებს დაუყოვნებლივ წააქვან.

იმისათვის, რომ განსასჯელისათვის არასასურველი გადაწყვეტილება თითოეულ საკითხზე (მათ შორის დამნაშავეობის შესახებ) მიღებულად ჩაითვალოს, საჭიროა არანაკლებ 8 ხმა. შესაძლებელია სიტუაცია, როდესაც ასიზების სასამართლოს 7 წევრმა ხმა მისცა განსასჯელის დამნაშავედ ცნობას, ხოლო დანარჩენი 5 ბიულეტენი არასწორად იყო შევსებული, თუმცა ისინი ანალოგიურ მოსაზრებას შეიცავდნენ. ასეთ შემთხვევაში განსასჯელი გამართლდება. სწორედ ხმის მიცემის სისტემამ განაპირობა ასიზების სასამართლოს წევრთა საბოლოო რიცხვი – 12 (რომელიც XX საუკუნის შუა პერიოდში გაჩდა ცნობილი რეფორმების შედეგად). ამ სისტემის მიხედვით, თუ 3 პროფესიონალი მოსამართლე მხარს უჭერს განსასჯელის მსჯავრდებას, მაშინ იმისათვის, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღონ, საჭიროა კიდევ (როგორც მინიმუმ) 5 არაპროფესიონალის ხმა, რაც ჟიურის წევრთა უმრავლესობას შეადგენს (მათი რიცხვი სულ ცხრაა). შედეგად, ნებისმიერ შემთხვევაში განსასჯელისათვის უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამის ნებას გამოხატავს სახალხო წარმომდგენელთა უმრავლესობა.

თუ ხმების დათვლის შემდეგ გაირკვევა, რომ განსასჯელი დამნაშავედ არის ცნობილი, მაშინ ჩდება ახალი საკითხი, რომელსაც სასამართლოსა და ჟიურის წევრები ერთად გადაწყვეტენ – სასჯელის ზომა. ამ საკითხის გადაწყვეტას ასიზების სასამართლო უნდა შეუდგეს დაუყოვნებლივ (სათათბირო ოთახშივე). ხმის მიცემის პროცედურა

ანალოგიურია, თუმცა გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. კვალიფიციური უმრავლესობა (8 ხმა) საჭიროა მხოლოდ ასიზების სასამართლოს მიერ შესაბამისი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ზომის გამოყენებისას. ვინაიდან სასჯელის ზომის თაობაზე შეუძლებელია ცალსახად გაეცეს პასუხი („კი“, ან „არა“), ასიზების სასამართლოს თითოეული წევრი ბიულეტენში ჩაწერს მის მიერ შეთავაზებული სასჯელის ზომას (სისხლის სამართლის კანონის ფარგლებში). თუ ხმის მიცემის ორი ტურის შემდეგ ვერც ერთი მათგანი ვერ დააგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას (7 ხმა), მაშინ მომდევნო ტურიდან ამოირიცხება სასჯელის შემოთავაზებულთაგან ყველაზე მძიმე ზომა. ეს პროცედურა გრძელდება. საბოლოოდ, ან სასჯელის ერთ-ერთი ზომა აირჩევა ხმათა უმრავლესობით, ანდა მეოთხე, მეხუთე და ა.შ ტურის შემდეგ დარჩება სასჯელის მხოლოდ ერთი ზომა (შესაბამისად, ყველაზე მსუბუქი), რომელიც შეეფარდება განსასჯელს.

მას შემდეგ, რაც დამთავრდება ხმის მიცემა ყველა საკითხზე, დგება ასიზების სასამართლოს გადაწყვეტილება. ვინაიდან იგი არამოტივირებულია, მას საკმაოდ მარტივი ფორმა აქვს და მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილს მოიცავს. განაჩენის შედეგის შემდეგ, მოსამართლეები და ჟიურის წევრები ბრუნდებიან სხდომათა დარბაზში. ასიზების სასამართლოს თავმჯდომარე გასცემს განკარგულებას განსასჯელის შემოყვანის შესახებ და საჯაროდ კითხულობს ასიზების სასამართლოსათვის დასმულ კითხვებზე პასუხებს (ხმის მიცემის მონაცემების გარეშე) და განაჩენის ტექსტს. საჯარო სარჩელი განხილულად და გადაწყვეტილად ითვლება. ამით სახალხო წარმომადგენელთა ფუნქციები ასიზების სასამართლოში მთავრდება.

ხშირად სასამართლო განხილვა არ შემოიფარგლება მხოლოდ საჯარო სარჩელის განხილვით და სამმა პროფესიონალმა მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისას წამოჭრილი სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხებიც. ეს ორ შემთხვევაში დაიშვება: 1) როდესაც დაზარალებულმა წარადგინა სამოქალაქო სარჩელი; 2) როდესაც გამართლებული განსასჯელი სამოქალაქო მოსარჩელისაგან მოითხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.¹

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ ავალდებს მოსამართლეებს სამოქალაქო სარჩელზე გადაწყვეტილების დაუყ-

¹ ორივე ამ შემთხვევას ჩვენ ეუნოღებო სასამართლოს გადაწყვეტილებას სამოქალაქო სარჩელზე, თუმცა (საპროცესო ბუნების მიხედვით) სხვაობა მათ შორის აშკარაა.

ოვნებლივ მიღებას (მოკეპული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე). ვინაიდან სასამართლო განხილვის მსვლელობისას მოსამართლეებისათვის რთულია გონების კონცენტრირება ერთდროულად სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქო-სამართლებრივ პრობლემებზე, კანონმდებელს არ სურს უარყოფითად ამოქმედოს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხზე და ამიერიდან პროფესიონალ მოსამართლეებს მიანიჭა განსაკუთრებული უფლებები სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევისას. ერთი, სასამართლოს შეუძლია მიანიჭოს უფლებამოსილება თავის ერთ-ერთ წევრს, რომ მან მოუსმინოს მხარეებს, გაეცნოს საქმის მასალებს (ნივთიერ მტკიცებულებათა ჩათვლით) და შეადგინოს შესაბამისი მოხსენება, რომელიც გამოქვეყნდება სასამართლო სხდომაზე. მეორე, მოკეპული სხდომის დროს, რომელსაც ფაკულტატური ხასიათი აქვს, სასამართლოს შეუძლია კოლეგიურად გამოარკვიოს მოსარჩელის, მოპასუხისა და პროკურატურის წარმომადგენლის მოსაზრებანი. ასე, რომ შერეული პროცესის კონცეფცია, რომელიც ორი (საჯარო და სამოქალაქო) სარჩელის განხილვას მოიცავს, ორი დამოუკიდებელი სხდომის ჩატარების შესაძლებლობას წარმოშობს. ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის საკასაციო სასამართლო აღნიშნავდა, რომ „ერთდროულად ორი სარჩელის წარმოებაში მიღების შემთხვევაში ასიზების სასამართლო ამოწურავს თავის კომპეტენციას მათგან მეორეზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ“ (ესე იგი სამოქალაქო სარჩელზე).

სამოქალაქო სარჩელზე გადაწყვეტილება შეიძლება მიიღონ როგორც სესიის მსვლელობისას, როდესაც გამოდის გადაწყვეტილება საჯარო სარჩელზე, ასევე, მისი დასრულების შემდეგ. იგი შეიძლება მიიღონ ასიზების სასამართლოს მომდევნო სესიაზეც. ამ შემთხვევაში არ მოქმედებს სასამართლო განხილვის უწყვეტობის პრინციპი. საჯარო სარჩელზე, განაჩენისაგან განსხვავებით, სამოქალაქო სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება მოტივირებული უნდა იყოს. იგი ღია სხდომაზე ცხადდება და ამით ასიზების სასამართლოს კომპეტენცია კონკრეტული საქმის განხილვის თაობაზე ამოწურულად ითვლება.

წარმოება ასიზების სასამართლოში განსასჯელის დაუსწრებლად (procedure par contumace). კანონის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეთა ასიზების სასამართლოში განხილვისას განსასჯელის დასწრება სავალდებულოა. თუმცა შესაძლებელია სიტუაციები, როდესაც სასამართლო განხილვაში აღნიშნული პირის მონაწილეობის უზრუნველყოფა შეუძლებელია (მაგალითად, განსასჯელი მიიძალა). არსებობს

ამ პრობლემის გადაწყვეტის ორი ალტერნატიული ხერხი: 1) სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეჩერება; 2) განსაკუთრებული პროცედურების შექმნა, რომლებიც სასამართლო განხილვის განსასჯელის დაუსწრებლად ჩატარების საშუალებას იძლევა (ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით). ვინაიდან საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში სისხლის სამართლის საქმეთა შეჩერების ინსტიტუტი, ფაქტობრივად, არ არსებობს, ამიტომ ამ ქვეყნის კანონმდებელი (ტრადიციულად) ემხრობა მეორე ხერხს. ამგვარი არჩევანის მიზეზებზე საუბრისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საფრანგეთი მიეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, სადაც დაუსწრებელი სასამართლო განხილვა სისხლის სამართლის საქმეებზე არ არის უარყოფილი (პრინციპული მოსაზრებებით) და იგი, თუნდაც არასასურველი, მაგრამ მისაღები ღონისძიებაა.

ასიზების სასამართლოს განსჯად დანაშაულთა საქმეებზე დაწესებულია დაუსწრებელი წარმოების განსაკუთრებული პროცედურა (contumace), რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია განსასჯელის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფა. ეს პროცედურა ფრანგების თავიანთი საპროცესო მექანიზმებისადმი სათუთი დამოკიდებულების ერთ-ერთი მაგალითია. მიუხედავად ამ პროცედურის აშკარა არქაულობისა, იგი შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა და დიდი სიფრთხილით გადაჭრულად ერთი საპროცესო კოდიფიკაციიდან მეორეში: 1670 წლის ორდონანსიდან 1808 წლის სსს კოდექსში; 1958 წლის სსს კოდექსში.

მოქმედი სსს კოდექსის 627-ე მუხლის თანახმად, თუ სამართალში მიცემის დადგენილების ასლის გადაცემიდან 10 დღის ვადაში განსასჯელი არ გამოცხადდება ასიზების სასამართლოს თავმჯდომარესთან¹, ან მიიძალება და ვერ მოხერხდება მისი ადგილსამყოფელის დადგენა, მაშინ ასიზების სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა გამოიტანოს სპეციალური დადგენილება, რომელიც ავალდებულებს განსასჯელს (ახალ) 10 დღიან ვადაში გამოცხადებას. დადგენილებაში მითითებულია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მას აღიარებენ როგორც – „კანონის მტერი“ – აქედან გამომდინარე ყველა შედეგით (სამოქალაქო უფლებათა განხორციელების შეჩერება, ქონებაზე ყადაღის დადება, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის აკრძალვა და ა.შ.), ხოლო მისი საქმე დაუსწრებლად განიხილება ასიზების სასამართლოს მიერ. ასიზების

¹ შეეახსენებთ, რომ ასიზების სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია სასამართლო სხდომის დაწყებამდე დაკითხოს განსასჯელი.

სასამართლოს თავმჯდომარის დადგენილება გამოიკვრება განსასჯელის საცხოვრებელი ბინის, მერიისა და ასიზების სასამართლოს სხდომათა დარბაზის კარებებსა და ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში.

თუ აღნიშნული დადგენილების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში განსასჯელი არ გამოცხადდება ან არ დააკავებენ, მაშინ ასიზების სასამართლო ატარებს დაუსწრებელ სასამართლო განხილვას ორდინალური, დასწრებული წარმოებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული წესებით. განსასჯელის არყოფნის შემთხვევაში საქმის განხილვაში არ მონაწილეობენ ჟიურის წევრები, ესე იგი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ 3 პროფესიონალი მოსამართლის მიერ. სასამართლო განხილვაზე არ დაიშვება დამცველი. კანონი უფლებას აძლევს მხოლოდ განსასჯელის ნათესავებს ან „მეგობრებს“ (სწორედ ასეთი ფორმულირებაა მოცემული სსს კოდექსის 630-ე მუხლში), რომ ისინი მოვიდნენ სასამართლო განხილვაზე და წარმოადგინონ განსასჯელის არყოფნის მიზეზების შესახებ განმარტებები, რომლებსაც სასამართლო აფასებს. დაუსწრებელი სასამართლო განხილვის დროს ასიზების სასამართლოში დაუშვებელია მოწმეთა დაკითხვა. Contumace-ს პროცედურით გამოტანილი განაჩენი საკასაციო წესით არ გასაჩივრდება. ამ საკმარის მკაცრ წესებში აშკარად შეიმჩნევა შუა საუკუნეების სამძებრო სისხლის სამართალწარმოებიდან შემორჩენილი გარკვეული საპროცესო ფორმა განსასჯელის მიმართ, რომელიც იგნორირებს მართლმსაჯულებას.

ასიზების სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების იურიდიული შედეგები საკმარის თავისებურია. სისხლის სამართლისათვის ტრადიციული სასჯელის ზომების აღსრულება, რომელთაც პიროვნული ხასიათი აქვთ, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მათ ნაცვლად გამოიყენება მორალურ და ქონებრივ უფლებათა შეზღუდვები, რომლებიც, ერთი მხრივ, სისხლის სამართლებრივ რეპრესიას ახორციელებენ, ხოლო, მეორე მხრივ, აიძულებენ განსასჯელს სასამართლოს წინაშე წარდგენას. მორალურ ზომებს შეიძლება მივაკუთვნოთ: დაუსწრებელი განაჩენიდან ამონარიდების ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნება, მათი საზოგადოებისათვის გაცნობა სხვადასხვა ფორმით (განაჩენი გამოიკიდება განსასჯელის საცხოვრებელი ბინის, მერიისა და ასიზების სასამართლოს შესასვლელის კარებებზე). განსასჯელისათვის მატერიალური უფლებების შეზღუდვა გამოვლინდება იმაში, რომ ხდება მისი ქონების სეკესტრი, ესე იგი გადაეცემა შესაბამისი მუნიციპალური ორგანოების მმართველობაში. ვინაიდან ეს ეხება განსასჯელის ოჯახის წევრების ინტერესებსაც, ამ უკანასკნელთ, საჭიროების შემთხვევაში (ვიდრე ქონება სეკესტრის

ქვემ იმყოფება), შესაძლებელია გაეწიოთ მატერიალური დაზმარება (სსს კოდექსი, 638-ე მუხლი). სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ან სასჯელის ზომად კონფისკაციის შერჩევისას დაიშვება დაუსწრებლად მსჯავრდებული პირის ქონების რეალიზაცია.

თუ სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადების გასვლამდე მსჯავრდებული გამოცხადდება ან დაკავებულ იქნება, მაშინ დაუსწრებელი წარმოება (განაჩენის ჩათვლით) ავტომატურად მთლიანად ანუღირდება და ასიზების სასამართლო საქმეს განიხილავს საერთო წესით (თიურის მონაწილეობით), რა დროსაც იგი არ იზღუდება ადრე გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით. იმ შემთხვევაში, თუ ახალი განაჩენი განსასჯელისათვის გაუქმებულ დაუსწრებელ განაჩენზე სასიკეთო აღმოჩდება, მაშინ მორალური და ქონებრივი შედეგები (შეძლებისდაგვარად) უქმდება. მაგალითად, სსს კოდექსის 639-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ კონფისკაციის სახით ამოღებული ქონების კომპენსაციას, თუ დაუსწრებელი წარმოების ანუღირების შემდეგ ასიზების სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევა სასჯელის აღნიშნული ზომის გამოყენებას. ახალი განაჩენი შეიძლება გამოქვეყნდეს იმავე წესით, როგორც დაუსწრებელი.

Contumace-ს პროცედურით გამოტანილ განაჩენს პირობითი ხასიათი აქვს და მიმართული არ არის დაზნაშავის დასჯისაკენ (დაუსწრებლად ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელია). მის მიზანს მიმალვაში მყოფი პირისათვის უფლებების ისეთი შეზღუდვების დაწესება წარმოადგენს, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ განსასჯელის მონაწილეობას სასამართლო განხილვაში და აიძულებენ მას (ადრე, თუ გვიან) წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე.

§9. გადაცდომათა და სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა სასამართლოში (წარმოება გამასწორებელ და საპოლიციო სასამართლოებში)

გადაცდომათა და სამართალდარღვევათა საქმეებზე განხილვა სასამართლოში დიფერენცირებულია და სასამართლო სისტემის სხვადასხვა რგოლისათვის (გამასწორებელი და საპოლიციო სასამართლოებისათვის) დადგენილი საპროცესო წესებით მიმდინარეობს. ამ წესებს ბევრი საერთო აქვთ, რაც საშუალებას გვაძლევს გავუერთიანოთ მათი ანალიზი მოცემული ნაშრომის ერთ პარაგრაფში, ამასთან, აღვნიშნოთ

ცალკეული ნიუანსები ან სხვაობები, რომლებიც თითოეულ მათგანს ახასიათებს.

სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას საპოლიციო სასამართლო ყოველთვის ერთი პროფესიონალი მოსამართლისაგან შედგება. დიდი ინსტანციის ტრიბუნალის დონეზე გადაცდომათა სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას გამასწორებელი სასამართლოს შემადგენლობის შესახებ განსხვავებული დებულება დამკვიდრდა. თავდაპირველად, 1958 წლის სსს კოდექსით ვიკალიწინებდა, რომ ამ კატეგორიის (უკლებლივ) ყველა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო განხილვა უნდა განხორციელდეს სამი პროფესიონალი მოსამართლის მიერ, რომელთაგან ერთ-ერთს დაეკისრება თავმჯდომარე მოსამართლის ფუნქცია. სსს კოდექსში შეტანილი რიგი ცვლილებებისა და დამატებების შედეგად,¹ გადაცდომათა სისხლის სამართლის საქმეების 50% ამ დონის სასამართლოებში ერთპიროვნულად განიხილება², რაც დაკავშირებულია კანონმდებლის სურვილთან – გაამარტივოს და დააჩქაროს სამართალწარმოება ამ კატეგორიის საქმეებზე. ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით დადგენილია, რომ გადაცდომის ნებისმიერი საქმე ექვემდებარება კოლეგიურ განხილვას, თუ განსაჯელს პატივობა აქვს შეფარდებული, ან სასჯელის სახით ემუქრება 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა. თუ ერთპიროვნულ განხილვას დაქვემდებარებული გადაცდომის საქმე გაერთიანებულია გადაცდომის საქმესთან, რომელზეც ასეთი რამ არ დაიშვება, მაშინ ტარდება კოლეგიური განხილვა.

გადაცდომათა და სამართალდარღვევათა საქმეებზე წარმოება ორ სახედ იყოფა: ა) კლასიკური (ორდინალური) წარმოება, რომელიც სასამართლო განხილვის ტრადიციული წესების შესაბამისად ხორციელდება; ბ) განსაკუთრებული წარმოება, რომელსაც დაუსწრებელი, ანდა გამარტივებული³ წარმოების ფორმა აქვს. ამ შემთხვევაში სასამართლო განხილვა (ამ ცნების ჩვეული გაგებით) არ ტარდება (მთლიანად, ან ნაწილობრივ).

ორდინალური წარმოება. სსს კოდექსის 388-ე მუხლის თანახმად,

1 იხ. 1972 წლის 29 დეკემბრის, 1975 წლის 6 აგვისტოს, 1995 წლის 8 თებერვლისა და 1999 წლის 23 ივნისის კანონები.

2 გადაცდომათა ჩამონათვალი, რომელთა საქმეზეც მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად განიხილება, მოცემულია სსს კოდექსის 398-1-ე მუხლში.

3 გამარტივებული წარმოება დაიშვება მხოლოდ სამართალდარღვევათა საქმეებზე, ხოლო გადაცდომათა საქმეები ყოველთვის მოითხოვს (დასწრებულ ან დაუსწრებულ) სასამართლო განხილვას გამასწორებელ სასამართლოში.

გამასწორებელ ან საპოლიციო სასამართლოებისათვის საქმის გადაცემის 5 ხერხი არსებობს (შესაბამისად, ამ სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა თავიანთ წარმოებაში მიღების 5 საფუძველი). პირველი რომ ერთ-ერთ ასეთ ხერხს განეკუთვნება გამოძიების მოსამართლის ან საგამოძიებო კაპერის დადგენილება. დანაშაულთა საქმეებზე (რომლებიც ასიზების სასამართლოს განსჯადობას განეკუთვნება) წარმოების განხორციელებისას პირველი და მეორე ინსტანციის წინასწარი გამოძიების მოცემულ ორგანოებს უფლება აქვთ გადააკვალიფიცირონ დანაშაული გადაცდომად (ე.წ. „კორექციონალიზაცია“), ან სამართალდარღვევად (ე.წ. „კონტრავანციონალიზაცია“) და გადასცენ იგი განსახილველად გამასწორებელ ან საპოლიციო სასამართლოს; მეორე, *სასამართლოში უშუალოდ გამოძახება* (citation directe); მესამე, *მოყვანა ოქმის საფუძველზე* (convocation par proces-verbal); მეოთხე, შესაძლებელია განხორციელდეს *დაუყოვნებლივი მოყვანა* (comparution immediate); მეხუთე, გადაცდომის ან სამართალდარღვევის საქმის სასამართლოში გადაცემის ხერხი შესაძლოა გახდეს *ნებაყოფლობითი გამოცხადება* (comparution volontaire).

აღნიშნული მოქმედებებისა და აქტების მნიშვნელობა მხოლოდ იმაში არ მდგომარეობს, რომ გამასწორებელ და საპოლიციო სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა თავიანთ წარმოებაში მიღების საპროცესო საფუძველების ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავენ. ისინი, ასევე, განსაზღვრავენ სასამართლო განხილვის ფარგლებს, ვინაიდან საფრანგეთში სასამართლო საქმეს წარმოებაში ყოველთვის იღებს *in rem* (განსასჯელისათვის ბრალდებით შერაცხულ დანაშაულებრივ ქმედებათა მკაცრად განსაზღვრული წრის მიმართ) და *in personam* (მკაცრად განსაზღვრული პირთა წრის მიმართ).

სისხლის სამართლის საქმეთა გამასწორებელ და საპოლიციო სასამართლოებისათვის გადაცემის ხერხების უძრავლესობის ანალიზი უკვე მოცემული იყო ამ ნაშრომში (აღნიშნული თავი, § 6 და § 7). აქ მხოლოდ ე.წ. „ნებაყოფლობით გამოცხადებაზე“ შეეჩერებთ ყურადღებას. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემ პირს პროკურატურა წერილობით ან ზეპირად ატყობინებს მისი საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ (ქმედებისა და მისი ამკრძალავი ნორმის მითითებით). თუ ეს პირი დადგენილ დროს ნებაყოფლობით გამოცხადდება სასამართლოში და ამით თავის თანხმობას გამოხატავს განსაკუთრებული ფორმალობების გარეშე სასამართლოს მიერ საქმის წარმოებაში მიღებაზე, მაშინ ასეთი შეტყობინება (avertissement) ცვლის

საქმის სასამართლოსათვის გადაცემის სხვა ხერხებს და სასამართლო განხილვის ჩატარების საპროცესო საფუძველს წარმოადგენს.

1985 წლის 30 დეკემბრისა და 1986 წლის 9 სექტემბრის კანონებით გაფართოვდა ამგვარი პრაქტიკის შესაძლებლობები და პროკურატურას მიენიჭა უფლება, რომ შეტყობინება პირადად კი არ განახორციელოს, არამედ, სასამართლო სხდომის მდივნის, პენიტენციური დაწესებულების (სადაც პოტენციური განსასჯელი იმყოფება) უფროსის, ან სასამართლო პოლიციის ოფიცრის (ან აგენტის) მეშვეობით. შეტყობინება საქმის გამასწორებელ ან საპოლიციო სასამართლოებისათვის გადაცემის გავრცელებული ხერხი გახდა, ვინაიდან არ მოითხოვს სერიოზულ ფორმალობებს (უამრავი საპროცესო დოკუმენტის შედგენა, ხანგრძლივი ვადები).

„ნებაყოფლობით გამოცხადების“ პროცედურა ეხმარება იმ სირთულეების დაძლევაში, რომლებიც ხშირად სასამართლო განხილვისას წარმოიშობა, თუ გაირკვევა, რომ განსასჯელს კიდევ ერთი სისხლის სამართლის გადაცდომა (სამართალდარღვევა) აქვს ჩადენილი, რომელიც არ ფიგურირებს სასამართლოში უშუალოდ გამოძახების დოკუმენტში (citation), ან უცნობი იყო დაუყოვნებლივი მოყვანის მომენტისათვის. იმავე სხდომაზე სასამართლო ვერ განიხილავს ასეთ დანაშაულებრივ ქმედებას, ვინაიდან იგი არ შედის „სასამართლო განხილვის ფარგლებში“. მაშინ მან უნდა გადადოს საქმე ყველა საჭირო ფორმალობის დაცვის მიზნით. „ნებაყოფლობით გამოცხადების“ პროცედურის გამოყენებით აღარ ხდება პროცესის გაჭიანურება. საკმარისია პროკურორმა კითხვით მიმართოს განსასჯელს იმის თაობაზე, რომ თანახმაა თუ არა ახლად გამოვლენილი ფაქტი ან ეპიზოდი დაუყოვნებლივ განიხილოს (ამით პროკურორი „ზეპირ შეტყობინებას“ ახორციელებს). თუ განსასჯელი არ არის წინააღმდეგი (როგორც წესი, მასაც არ სურს პროცესის გაჭიანურება) და არ არის აუცილებელი წინასწარი გამოძიების ჩატარება, მაშინ „ნებაყოფლობით გამოცხადების“ საფუძველზე სასამართლო ახლად გამოვლენილ დანაშაულს განიხილავს ძირითად საქმესთან ერთად.

განსახილველი კატეგორიის საქმეებზე არასდროს ტარდება დამოუკიდებელი ეტაპი (სტაჟია) – სამართალში მიცემა. საქმე სასამართლოში ხვდება გამოძიების ორგანოების, პროკურორის ან დაზარალებულის ინიციატივით და სასამართლო ვალდებულია ეს საქმე არსებითად განიხილოს.

რაც შეეხება სასამართლო განხილვის მონაწილეებს, პროკურორის

მონაწილეობა ყველა შემთხვევაში მკაცრად სავალდებულოა. სამოქალაქო მოსარჩელესა და სამოქალაქო მოპასუხეს უფლება აქვთ პირადად, ან თავიანთ წარმომადგენელთა მეშვეობით მიიღონ მონაწილეობა სასამართლო განხილვაში. სამოქალაქო მოსარჩელის (მისი წარმომადგენლის) არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა განიხილება, როგორც უარი სამოქალაქო სარჩელზე. განსასჯელის მონაწილეობა სასურველია, თუმცა კანონი ხშირად უშვებს სასამართლო განხილვის განსასჯელის დაუსწრებლად ჩატარების შესაძლებლობას (მაშინ დაუსწრებელი წარმოება ტარდება). დამცველის მონაწილეობა, ფაქულტატურია და განსასჯელის სურვილზეა დამოკიდებული. დამცველის სავალდებულო მონაწილეობის შემთხვევები გამოწვევის წარმომადგენს არასრულწლოვანთა საქმეები და ფიზიკური ნაკლის (რაც ხელს უშლის დაცვაში) მქონე პირების საქმეები (სსს კოდექსი, 447-ე მუხლი).

გამასწორებელ და საპოლიციო სასამართლოების სხდომები არ გამოირჩევა განსაკუთრებული ფორმალიზმით. მათ მსვლელობას მთლიანად ხელმძღვანელობენ თავმჯდომარე მოსამართლე ან ერთპიროვნული მოსამართლე, რომლებიც პროცესის ცენტრალური ფიგურები არიან. სასამართლო განხილვა შესაძლებელია დამთავრდეს ერთ სხდომაზე (ხშირად ძალიან სწრაფად), ანდა გაიწელოს რამდენიმეზე. ამასთან, სასამართლო განხილვის უწყვეტობის პრინციპის არარსებობა შუალედებში სხვა საქმეების განხილვის შესაძლებლობას იძლევა.

სასამართლო განხილვის სტრუქტურა საკმაოდ ტრადიციულია. შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი ეტაპები: ა) მოსამზადებელი მოქმედებები; ბ) სასამართლო გამოძიება; გ) მხარეთა კამათი; დ) გადაწყვეტილებათა მიღება.

მოსამზადებელი მოქმედებები, რომლებითაც იწყება სასამართლო განხილვა, მოიცავს: პროცესის მონაწილეთა (მათ შორის მოწმეებისა და ექსპერტების) სასამართლოში გამოცხადების შემოწმებას; განსასჯელის ვინაობის დადგენას; თარჯიმნის დანიშვნასა და მის მიერ ფიცის დადებას და ა.შ. მოსამზადებელი მოქმედებები მთავრდება მოწმეების სასამართლო დარბაზიდან გაყვანით.

სასამართლო გამოძიება იწყება თავმჯდომარე მოსამართლის მიერ აქტის წაკითხვით, რომლის საფუძველზეც სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო. შემდეგ იგი მოკლედ წარმოადგენს საქმის გარემოებებს. მტკიცებულებათა გამოკვლევა ყოველთვის განსასჯელის დაკითხვით იწყება (სსს კოდექსი, 442-ე მუხლი). პირველი მას თავმჯდომარე მოსამართლე დაკითხავს, ხოლო პროცესის დანარჩენ მონაწილეებს

უფლება აქვთ შემდგომ დაუსვან კითხვები უშუალოდ (ასეთ შემთხვევაში პროკურორი ან დამცველი წინასწარ ითხოვენ თავმჯდომარე მოსამართლისაგან სიტყვის უფლებას), ანდა თავმჯდომარე მოსამართლის მეშვეობით (სხვა განსასჯელები ან სამოქალაქო მოსარჩელე თხოვნით მიმართავენ თავმჯდომარე მოსამართლეს, რომ მან ესა თუ ის კითხვა დაუსვას განსასჯელს). დაკითხვის იგივე წესი მოქმედებს მოწმეთა დაკითხვის დროს. მოწმეების შემდეგ დაკითხებიან ექსპერტები. შემდეგ სხდომის მდივანი აქვეყნებს საქმეში არსებულ მასალებს და ტარდება ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევა.

თუ სასამართლო გამოძიების შედეგების მიხედვით სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ არსებული მტკიცებულებები არასაკმარისია საქმეთა გარემოებების დადგენილად მისაჩინებლად, მაშინ იგი ან გადადებს საქმეს და თავისი ინიციატივით გამოითხოვს დამატებით მტკიცებულებებს (მაგალითად, ახალი მოწმის გამოძახება), ანდა გასცემს განკარგულებას დამატებითი გამოძიების ჩატარების შესახებ. უკანასკნელ შემთხვევაში საქმე პროცესის წინასასამართლო სტადიაზე არ ბრუნდება, არამედ დამატებითი გამოძიების ჩატარება დაევალება შესაბამისი ტრიბუნალის ერთ-ერთ მოსამართლეს, რომელიც გამოძიების მოსამართლის ყველა უფლებამოსილებით სარგებლობს (სსს კოდექსი, 463-ე მუხლი). დამატებითი გამოძიების შემდეგ სასამართლო ახალ სხდომაზე იკრიბება იმავე წესით, როგორც ეს საქმის გადადებამდე იყო.

სასამართლო კამათი შედგება მხარეთა გამოსვლებისაგან. ჯერ სამოქალაქო მოსარჩელე გამოდის, შემდეგ – პროკურორი, განსასჯელი ან მისი დამცველი. კამათი მთავრდება სამოქალაქო მოპასუხის სიტყვით (თუ იგი მონაწილეობს პროცესში).

გამასწორებელ ან საპოლიციო სასამართლოებში სასამართლო განხილვა უნდა დამთავრდეს მოტივირებული განაჩენის დადგენით, რასაც წინ უსწრებს მოსამართლეთა თათბირი. სასამართლო განხილვის ამ ეტაპთან არის დაკავშირებული საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი თანამედროვე პრობლემა – გადაწყვეტილებათა გამოტანა, რომლებსაც განაჩენი უნდა შეიცავდეს, და მათი გამოცხადება. ვალდებულია თუ არა მოსამართლე, რომ მიიღოს გადაწყვეტილება ორივე საკითხზე (დამნაშავეობასა და სასჯელზე)? აქვს თუ არა მას უფლება დამნაშავედ ცნობის გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ გადადოს გარკვეული ვადით სასჯელის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა? დაიშვება თუ არა ამ ორ გადაწყ-

ვეტილებას შორის გარკვეული დროის შუალედი, ე.წ. „ცეზურა“¹?

არცთუ დიდი ხნის წინ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო დოქტრინა და პრაქტიკა ეყრდნობოდა პირის დამნაშავედ ცნობის შემდეგ სასჯელის დაუყოვნებლივ შეფარდების აუცილებლობას და პრინციპულად უარყოფდნენ ცეზურას. ასეთი მიდგომა ზოგადი წესის სახით განმტკიცებულია სსს კოდექსის 464-ე და 539-ე მუხლების პირველ ნაწილებში. თუმცა, საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში ცეზურის ინსტიტუტის შემოღობის მიზანშეწონილობის იდეას თანდათანობით (ანგლოსაქსონური პრაქტიკის ზეგავლენით) უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს (იხ. მე-2 თავი, §7, §8 და მე-3 თავი, §7). წარმოდგენილი იყო სხვადასხვა არგუმენტები: ა) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მაგალითიდან გამომდინარე, ლოგიკური და მოსახერხებელია, რომ ყურადღება ჯერ დამნაშავეობის საკითხის გამოკვლევას დაეთმოს, ხოლო შემდეგ მოხდეს სასჯელის ზომის შესახებ მსჯელობა; ბ) განსასჯელის პიროვნებასთან დაკავშირებული გარემოებების კომპლექსური გამოკვლევა უფრო შეესაბამება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს მაშინ, როდესაც იგი პირის დამნაშავედ ცნობის შემდეგ ტარდება; გ) სასჯელის შეფარდების გარკვეული ვადით გადადება სტიმულს აძლევს დამნაშავეს, რომ იგი სამაგალითოდ მოიქცეს, ვინაიდან ის ცდილობს შეიშუსბუქოს მოსალოდნელი სასჯელი (განსაკუთრებით როდესაც იგი პატემრობაში არ იმყოფება). მეორე მხრივ, ამ ინსტიტუტის კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებდნენ პროცესის შესაძინეე გაგრძელებასა და იმაზე, რომ დამნაშავისათვის ფსიქოლოგიურად რთულია გაუკარკვეველ მდგომარეობაში ყოფნა ხანგრძლივი დროის მანძილზე.²

1975 წლის 11 ივლისის კანონმა შემოიღო საფრანგეთში ცეზურის ინსტიტუტი და მოსამართლეს სასჯელის შეფარდების გადავადების უფლება მიანიჭა (სსს კოდექსი, 469-1-ე მუხლი). მოგვიანებით კანონმდებელმა უფრო გააფართოვა აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება. ბოლო რეფორმის (1992 წლის 16 დეკემბრის კანონი) შედეგად სსს კოდექსში 469-1-ე მუხლი შენარჩუნებულია გადაცდომათა და სამართალდარღვევათა საქმეებზე დამნაშავეობისა და სასჯელის შესახებ გადაწყვეტილებათა გამოტანის წესიდან ზოგადი გამონაკლისის

¹ ტერმინი „ცეზურა“ (ლათინურად - caesura), რომელიც თავდაპირველად ლიტერატურათმკონდრობას მიეკუთვნებოდა და ლექსის სტრიქონში „სუზის აღნიშვნადა, ბოლო ხანებში საყოველთაოდ აღიარეს დასაეულ სამართლისმკონდრობაში, სადაც გამოიყენება იმ დროის მონაკეთის აღსანიშნად, რომლისაც „როფეხიონალურ სასამართლოში“ (ნაფიცი მსაჯულუბის მონაწილეობის გარეშე) დაცილებულია დამნაშავედ გამოცხადებისა და სასჯელის შეფარდების მომენტები.

² უფრო ვრცელად იხ: J. Prudel. Op. cit. P. 672-673

სახით, ხოლო მისი მაკონკრეტებელი საპროცესო ნორმები გადატანილია მატერიალურ სამართალში (საფრანგეთის სს კოდექსი, 132-60-ე-132-65-ე მუხლები).

პირის დამნაშავედ ცნობის შემდეგ სასჯელის შეფარდების გადავადების ორი სახე არსებობს:

1) მარტივი გადავადება, როდესაც სასამართლო პირის დამნაშავედ გამოცხადების შემდეგ განსაზღვრავს სასამართლო სხდომის თარიღს, რომელზეც მიიღება გადაწყვეტილება სასჯელის შესახებ (როგორც წესი, არაუადრეს 2-3 თვისა). აღნიშნული სხდომის შედეგების მიხედვით, სასამართლოს უფლება აქვს ან შეუფარდოს სასჯელი, ანდა გამოაცხადოს ახალი გადავადების შესახებ (მორიგი სხდომის თარიღის მითითებით). საერთო ვადა, რომლის განმავლობაშიც სასამართლო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება სასჯელის შესახებ, არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს პირის დამნაშავედ ცნობის მომენტიდან;

2) გამოსაცდელი გადავადება, რომელიც მარტივისაგან განსხვავდება იმით, რომ სასჯელის შეფარდების გადავადებისას სასამართლო სს კოდექსის 132-45-ე მუხლში ჩამოთვლილ გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს დამნაშავეს (არ მონახულოს გარკვეული ადგილები, არ განახორციელოს საქმიანობის გარკვეული სახეობები და სხვა). განსასჯელის ქცევაზე ზედამხედველობა სასჯელაღსრულების მოსამართლის კომპეტენციას განეკუთვნება. სასჯელის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება პირის დამნაშავედ ცნობის შემდეგ არაუგვიანეს ერთი წლის განმავლობაში, დამოკიდებულია დამნაშავეზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებასა ან შეუსრულებლობაზე.

გადავადების ზემოაღნიშნული ორივე სახე ფართოდ გამოიყენება საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში და დამნაშავეობისა და სასჯელის შესახებ გადაწყვეტილებათა ერთიანობის პრინციპზე (სსს კოდექსი, 464-ე და 539-ე მუხლები) საუბარი შესაძლებელია მხოლოდ პირობითად.

სამოქალაქო სარჩელის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა დაიშვება საჯარო სარჩელის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად, ან ცალკე სასამართლო სხდომის შედეგების მიხედვით. სასამართლოები ხშირად ჯერ დამნაშავეობის შესახებ გადაწყვეტილებას აცხადებენ, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ შეუფარდებენ სასჯელს და ბოლოს (გარკვეული დროის მონაკვეთის შემდეგ) იღებენ გადაწყვეტილებას სამოქალაქო სარჩელის შესახებ.

დაუსწრებელი წარმოება. გამასწორებელი სასამართლოების გან-

სჯად გადაცდომათა საქმეებზე განსასჯელის დაუსწრებლად სასამართლო განხილვა (დაუსწრებელი წარმოება), საპროცესო თვალსაზრისით, ორი სახის შეიძლება იყოს:

1) დაუსწრებელი წარმოება, რომელიც თავისი იურიდიული შედეგებით უთანაბრდება განსასჯელის მონაწილეობით სასამართლო განხილვას, ესე იგი, ასეთ შემთხვევაში პრეზუმირებულია, რომ სისხლის სამართლის საქმე განიხილეს ყველა აუცილებელი მხარის მონაწილეობით (საფრანგეთის სსს კოდექსის ტერმინოლოგიით – „შეჯიბრებითად“);

2) განსაკუთრებული დაუსწრებელი წარმოება, როდესაც ფაქტობრივად და იურიდიულად აღიარებულია, რომ განსასჯელი არ ესწრებოდა. ამ შემთხვევაში სასამართლო განხილვა და განაჩენი გასაჩივრებას ექვემდებარება და (როგორც ქვემოთ დავინახავთ) შესაძლოა მათი გაუქმება გამოიწვიოს.

გამასწორებელ სასამართლოში დაუსწრებელი წარმოების პირველი სახის თავისებურებანი დაკავშირებულია იმასთან, რომ კანონი უშვებს გამონაკლისს სსს კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილით განმტკიცებული ზოგადი წესიდან – სათანადოდ გამოძახებული განსასჯელის¹ სასამართლო განხილვისათვის სასამართლოში გამოცხადების მოვალეობიდან. სამი ასეთი გამონაკლისი არსებობს: ა) თუ განსასჯელს ბრალი ედება გადაცდომის ჩადენაში, რომელიც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს 2 წლისა, მაშინ მას უფლება აქვს წერილობით იშუამდგომლოს მის დაუსწრებლად საქმის განხილვის შესახებ. შუამდგომლობის დაკმაყოფილება იწვევს დაუსწრებელი წარმოების ჩატარებას; ბ) მიუხედავად სასჯელის ზომისა, რომელიც განსასჯელს ემუქრება, მას უფლება აქვს თხოვნით მიმართოს სასამართლოს, რომ გაათავისუფლონ სასამართლოში გამოცხადებისაგან, თუ მას იძახებენ პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვაში მონაწილეობის მისღებად, სადაც არ იგეგმება საქმის არსებითად განხილვა (ასეთი სხდომის დროს განიხილება წინასწარი საკითხები, ანდა საკითხები სამოქალაქო სარჩელის შესახებ და სხვა); გ) თუ განსასჯელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში და, ამასთან, არსებობს „მნიშვნელოვანი საფუძველი“ (სსს კოდექსი, 416-ე მუხლი), რომელიც გამორიცხავს საქმის გადადებას, მაშინ გამოიტანება მოტივირებული დადგენილება ერთ-ერთი მოსამართლის მიერ განსასჯელის

¹ ითვლება, რომ განსასჯელი სათანადოდ გამოძახეს სასამართლოში, თუ გამოძახების დოკუმენტი (შედეგითი სსს კოდექსით გათვალისწინებული ფორმით) მას პირადად გადაეცა ან გაუგზავნა შესაბამისი წესით და არსებობს მტკიცებულება, რომ მისთვის ცნობილი იყო გამოძახების შესახებ.

საცხოვრებელი ადგილას სისხლდევით დაკითხვის თაობაზე. შემდეგ განმეორებით გამოიძახებენ განსასჯელს და, თუ იგი კვლავ არ გამოცხადდა, მაშინ საქმეს მის დაუსწრებლად განიხილავენ. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში დაიშვება სასამართლო განხილვაში განსასჯელის (რომელიც არ გამოცხადდა) დამცველის მონაწილეობა. საქმე „შეჯიბრებითად“ განხილულად ითვლება, ესე იგი, არ წარმოიშობა რაიმე დამატებითი საფუძველი განაჩენის არსებითად გადასინჯვისა და განმეორებითი სასამართლო განხილვისათვის. განსასჯელის გამოუცხადებლობა აქ არ უკავშირდება მის მიერ საპროცესო მოვალეობათა შესრულებისაგან თავის არიდებას. მას უბრალოდ უფლება აქვს არ მიიღოს მონაწილეობა სასამართლო განხილვაში.

სხვაგვარად წყდება საკითხი, როდესაც განსასჯელი არ ცხადდება სასამართლოში სხვა მიზეზების გამო. ასეთი შემთხვევებისათვის გათვალისწინებულია პროცედურის ორი ვარიანტი:

ა) თუ გამოძახება განსასჯელს პირადად ჩაბარდა ან არსებობს მტკიცებულებები, რომ მან იგი მიიღო სხვა საშუალებით, მაშინ მის დაუსწრებლად საქმის განხილვის პროცედურაც „შეჯიბრებითად“ იქნება აღიარებული. სხვა სიტყვებით, ასეთ შემთხვევაში დაუსწრებელი წარმოება თავისი საპროცესო შედეგებით უთანაბრდება წარმოებას, სადაც განსასჯელი არ ესწრება სასამართლოს ნებართვით. თუმცა არსებობს ერთი არსებითი განსხვავება სასამართლოში საქმის განხილვის წესის რეგლამენტაციაში. ეს იმაში გამოიხატება, რომ განსასჯელის მიერ მოვალეობათა შესრულებისაგან თავის არიდებისათვის (სასამართლოში არგამოცხადება უნებართვოდ) საპროცესო სანქციას წარმოადგენს სასამართლო განხილვაში მისი დამცველის მონაწილეობის დაუსწრებლობა, რომელსაც, შესაბამისად, არ აქვს უფლება ამ სტადიაზე წარმოადგინოს გამოუცხადებელი განსასჯელის ინტერესები;

ბ) თუ სასამართლოში გამოძახება განსასჯელისათვის პირადად არ გადაუციათ და არ არსებობს მტკიცებულებები, რომ მან იგი მიიღო, მაშინ გამასწორებელი სასამართლო იხილავს საქმეს განსაკუთრებული დაუსწრებელი წარმოების გამოყენებით (procedure par default), რომელიც გათვალისწინებულია სსს კოდექსის 412-ე მუხლით. მისი ძირითადი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას შემდეგ, რაც განსასჯელისათვის ცნობილი გახდება მის მიმართ დაუსწრებელი განაჩენის გამოტანის შესახებ, უფლება აქვს მოითხოვოს საქმის იმავე სასამართლოს მიერ გადასინჯვა უკვე მისი მონაწილეობით. აქ საუბარია განაჩენის განსაკუთრებული ფორმით გასაჩივრების შესახებ – ე.წ. „ოპოზიცია“

- რომელიც იწვევს დაუსწრებელი განაჩენის გაუქმებასა და იმავე შემადგენლობით საქმის განმეორებით მოსმენას.¹

შესაძლებელია შემთხვევა, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ განსასჯელს შეატყობინეს სასამართლო განხილვის შესახებ, იგი მაინც არ გამოცხადდა, თუმცა შეძლე წარადგინა განმარტებები გამოცხადებლობის შესახებ. თუ გამოუცხადებლობის მიზეზებს სასამართლო საპატიოდ მიიჩნევს, მაშინ ეს გამოიწვევს იმას, რომ ჩატარებული დაუსრებელი წარმოება აღიარებული იქნება არა როგორც "შეჯიბრებითი", არამედ განსაკუთრებული წარმოება, ესე იგი, განსასჯელს უფლება ექნება წარადგინოს საჩივარი ოპოზიციის ფორმით და მოითხოვოს საქმის ხელახალი მოსმენა პირველი ინსტანციით.

საფრანგეთში გამასწორებელ სასამართლოში დაუსწრებელი წარმოების ინსტიტუტი რთულად არის რეგულირებული. პრაქტიკაში განსასჯელის დაუსწრებლად განსახილველ გადაცდომათა საქმეების ხვედრითი წილი საკმაოდ დიდია და 20%-დან-30%-მდე მერყეობს. უმრავლეს შემთხვევაში საუბარია განსაკუთრებული დაუსწრებელი პროცედურის გამოყენებაზე, როდესაც გამოტანილი განაჩენი შეიძლება გაუქმდეს. ამ სისტემის არასრულყოფილება აშკარაა: ერთი და იგივე საქმე ორჯერ განიხილება პირველი ინსტანციით, რაც დროს ართმევს მოსამართლეებს, მხარეებს, მოწმეებს, ექსპერტებსა და სხვა; იწვევს დამატებით გადატვირთვას ისედაც გადატვირთული სასამართლოებისა; მოითხოვს გაუთვალისწინებელ (და დიდი ოდენობით) საფინანსო ხარჯებს.

ფრანგი კანონმდებელი, რომელიც, თუმცაღა ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეთა დაუსწრებელი განხილვის არასრულყოფილებას, მაგრამ შეუძლებლად მიიჩნევს მასზე მთლიანად უარის თქმას, შეეცადა შეეზღუდა დაუსწრებელ წარმოებათა რიცხვი, რამაც გამოიწვია 1995 წლის 8 თებერვალს მიღებული „სსს კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის ცალკეულ დებულებათა შემოღება. მათ ძირითად იდეას წარმოადგენს „სასამართლო განხილვის სტადიაზე განსასჯელის სავალდებულო მონაწილეობის პრინციპის გაძლიერება“. მაგალითად, გადაცდომათა საქმეებზე, რომლებიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს ორი წლის ვადით, განსასჯელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს გამოსცეს ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ (სსს კოდექსი, ახალი 410-1-ე მუხლი). პროკურორს უფლება აქვს განსასჯელზე ძებნა გამოაცხა-

¹ ოპოზიციის შესახებ იხ. მკუჭული თავი, §10

დოს, რაც შესაძლებელს ხდის, რომ პროკურორმა პირადად გადასცეს მას (განსასჯელს) სასამართლოში გამოძახება, რაც გამორიცხავს შემდგომში დაუსწრებელი განაჩენის გაუქმების პერსპექტივას. 1995 წლის 8 თებერვლის კანონი შეიცავს, ასევე, მთელ რიგ სხვა ზომებს, რომლებიც უადვილებს პროკურორსა და სასამართლო აღმასრულებელს განსასჯელის ადგილსამყოფელის დადგენასა და სასამართლოში ოფიციალური გამოძახების გადაცემას.

საპოლიციო სასამართლოების მიერ განსჯად სამართალდარღვევათა საქმეებზე დაუსწრებელი სასამართლო განხილვა, პრინციპულად, დაიშვება მაშინ, როდესაც სამართალდარღვევა იწვევს სასჯელის ზომად მხოლოდ ჯარიმის გამოყენებას (სსს კოდექსი, 544-ე მუხლი). გამოუცხადებელი განსასჯელის ინტერესები შესაძლებელია წარმოადგინონ ადვოკატმა ან იმ პირმა, რომელზეც გაცემულია შესაბამისი მინდობილობა. თუ განსასჯელი არა მარტო თვითონ არ გამოცხადდა, არამედ არ გამოაგზავნა თავისი დამცველებიც, მაშინ საქმე ყველა შემთხვევაში „შეჯიბრებითად“ განხილულად ითვლება. მისი ხელშეორედ განხილვა პირველი ინსტანციით დაუშვებელია. თუ სამართალდარღვევა ჯარიმის გარდა ითვალისწინებს სასჯელის ნებისმიერ სხვა სახეს, მაშინ მოქმედებს იგივე წესები, რაც გადაცდომათა საქმეების დროს.

გამარტივებული წარმოება. დღეს სამართალწარმოების დაჩქარება და გამარტივება განიხილება როგორც საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. აღნიშნული ტენდენცია შეეხება, ძირითადად, სამართალდარღვევებს – სისხლის სამართლის კანონის უმნიშვნელო დარღვევებს, რომლებიც არც ერთ შემთხვევაში არ ითვალისწინებენ სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთას. სწორედ დანაშაულებრივ ქმედებათა მოცემულ კატეგორიებზე დამკვიდრდა ორი სახის გამარტივებული წარმოება: ა) სისხლის სამართლის ბრძანების სისტემა; ბ) მყარად განსაზღვრული თანხით ჯარიმის სისტემა.

სისხლის სამართლის ბრძანება (ordonnance penale). სისხლის სამართლის ბრძანების შესახებ წარმოება გამოიყენება ყველა სამართალდარღვევათა საქმეებზე, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. იგი არ დაიშვება, თუ სამართალდარღვევა გათვალისწინებულია შრომის კოდექსით¹, ან საუბარია მე-5 კლასის სამართალდარღვევაზე (სამართალდარღვევათა

¹ საფრანგეთში არ არის მიღებული მატერიალური სისხლის სამართლის სრული კოდეიკაციის პრინციპის დაცვა. ამიტომ, სისხლის სამართლის სახუხისმგებლობა გათვალისწინებულია სს კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

ყველაზე სამიში კატეგორია), რომელიც არასრულწლოვანის მიერაა ჩადენილი. სისხლის სამართლის ბრძანება არ გამოიყენება, როდესაც დაზარალებულმა სისხლის სამართლებრივი ღვენა აღძრა განსასჯელის სასამართლოში უშუალოდ გამოძახების საფუძველზე.

სისხლის სამართლის ბრძანების ინსტიტუტის არსი შემდეგში მდგომარეობს. როდესაც პროკურორი მიზანშეწონილად მიიჩნევს მოცემული გამარტივებული პროცედურის გამოყენებას, მაშინ საქმის მასალებს თავის მოთხოვნასთან ერთად გადასცემს საპოლიციო სასამართლოს. თუ მოსამართლე ვერ ხედავს რაიმე დაბრკოლებას სისხლის სამართლის ბრძანების გასაცემად (წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე პროკურორს უბრუნდება), მაშინ სასამართლო განხილვის ჩატარებისა და მხარეთა გამოძახების გარეშე ავსებს დადგენილი ფორმის ბლანკს – სისხლის სამართლის ბრძანებას – სადაც ჩამოაყალიბებს თავის გადაწყვეტილებას გამართლების, ანდა მსჯავრდებისა და ჯარიმის სახით სასჯელის შეფარდების შესახებ. თუ პროკურორმა მიიღო სისხლის სამართლის ბრძანება, მაგრამ არ ეთანხმება სასჯელის ზომას (ან გამართლებას), მას უფლება აქვს 10 დღის ვადაში გაასაჩივროს იგი ოპოზიციის ფორმით. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის ბრძანება უქმდება და საქმე საერთო წესით, მხარეთა მონაწილეობით განიხილება. თუ პროკურორი ეთანხმება სისხლის სამართლებრივ ბრძანებას, მაშინ გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება მსჯავრდებულს. უკანასკნელს 30 დღე-ღამის განმავლობაში უფლება აქვს, რომ, ან ნებაყოფლობით შეასრულოს სასჯელი (გადაიხადოს ჯარიმა), ანდა წარადგინოს ოპოზიცია, რომელიც აუქმებს ბრძანებას და იწვევს საქმის საერთო წესით განხილვას. თუ მსჯავრდებული არაფერს მოიმოქმედებს, მაშინ ბრძანება კანონიერ ძალას იძენს და აღსრულდება იძულებითი წესით. რაც შეეხება დაზარალებულს, მისი უფლებები შემდეგნაირად არის დაცული: ა) მის მიერ სისხლის სამართლებრივი ღვენის საკუთარი ინიციატივით აღძვრა გამორიცხავს გამარტივებულ წარმოებას; 2) თუ ბრძანება გაცემული იყო მანამდე, ვიდრე დაზარალებული მიმართავდა სასამართლოს და უკვე შესულია კანონიერ ძალაში, მაშინ საპოლიციო სასამართლო ძალაში ტოვებს ბრძანებას, მაგრამ ვალდებულია ცალკე განიხილოს დაზარალებულის სამოქალაქო სარჩელი.

ჯარიმა მყარად განსაზღვრული თანხით (amende forfaitaire) სისხლის სამართლის პროცესის გამარტივების უკიდურეს ფორმას წარმოადგენს, რომელიც კარგავს სასამართლო ხასიათს (სისხლის სამართლის ბრძანების სისტემისაგან განსხვავებითაც კი) და აღბინის-

ტრაციულ წარმოებას უახლოვდება. აღნიშნული წარმოება გამოიყენება მხოლოდ სსს კოდექსის 529-ე მუხლში და ზოგიერთ სხვა საკანონმდებლო აქტში მოცემულ განსაზღვრულ სამართალდარღვევათა საქმეებზე (მაგალითად, საეზაო მოძრაობის, ეროვნულ პარკებში ქცევისა და ა.შ წესების სისხლის სამართალდარღვევები).

პოლიცია ახდენს აღნიშნული სისხლის სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის კონსტატირებას, ადგენს ოქმს და გადასცემს დამნაშავეს ცნობას მისი უფლებების შესახებ (სასჯელის ნებაყოფლობით შესრულების, ესე იგი, შესაბამისი ჯარიმის დროულად გადახდის უფლების შესახებ). თითოეული სახის სამართალდარღვევისათვის დაწესებულია ჯარიმის მყარად განსაზღვრული ოდენობა 30-დან – 900 ფრანკის ფარგლებში (სსს კოდექსი, R.49-ე მუხლი). პოლიცია ვერ მოახდენს ჯარიმის ინდივიდუალიზებას, თუ დამნაშავე ჯარიმას გადაიხდის სამი დღე-ღამის განმავლობაში, მაშინ მისი ოდენობა ავტომატურად მცირდება (230 ფრანკის ნაცვლად – 150, 450-ის ნაცვლად – 300, 900-ის ნაცვლად – 600 და ა.შ). წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უფლება აქვს 30 დღე-ღამის განმავლობაში გადაიხადოს ჯარიმის დაწესებული ოდენობა, ან შუამდგომლობით მიმართოს პროკურორს საქმის განხილვის შესახებ. შუამდგომლობის განხილვის შედეგად პროკურორი იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: ან უარს ამბობს სისხლისსამართლებრივ დევნაზე, ან აღძრავს სისხლისსამართლებრივ დევნას საერთო წესით. პროკურორს შეუძლია, ასევე, თხოვნით მიმართოს სასამართლოს სისხლის სამართლის ბრძანების გაცემის შესახებ. თუ 30 დღე-ღამის განმავლობაში განსასჯელმა არ გადაიხადა ჯარიმა და არ არსებობს არც პროკურორის მოთხოვნა, მაშინ ჯარიმა ავტომატურად იზრდება (230 ფრანკის ნაცვლად – 500, 450-ის ნაცვლად – 1200, 900-ის ნაცვლად – 2500 და ა.შ). ესე იგი, ერთი და იმავე სამართალდარღვევისათვის შესაძლებელია პირს დაეკისროს 600, 900 ან 2500 ფრანკის გადახდა. სასჯელის სწრაფი და ნებაყოფლობითი შესრულების სტიმული სახეზეა. ჯარიმის გაზრდილი ოდენობით გადახდის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ განსასჯელს 10 დღის განმავლობაში უფლება აქვს პროტესტით მიმართოს პროკურორს. ასეთ შემთხვევაში პროკურორი წყვეტს საკითხს სისხლისსამართლებრივი დევნის საერთო წესით აღძვრის (ან მასზე უარის) შესახებ აღნიშნულის მიზანშეწონილობის გათვალისწინებით. თუ დევნა აღიძვრება, მაშინ საქმე სასამართლოს გადაეცემა. თუკი დამნაშავეს მხრიდან პროტესტი გამოთქმული არ ყოფილა, მაშინ 10 დღის შემდეგ შესაძლებელია იძულებით მოხდეს მისგან ჯარიმის გაზრდილი ოდენობით გადახდევინება.

ისევე, როგორც სისხლის სამართლის ბრძანების შემთხვევაში, განსასჯელს აქაც ყოველთვის აქვს შესაძლებლობა, რომ „დაუბრუნდეს“ კლასიკურ სამართალწარმოებას, რითაც კომპენსირებულია პროცესის გამარტივებული ხასიათი და რიგი საპროცესო გარანტიების არარსებობა. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ საფრანგეთისათვის უცნობია „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის“ ცნება, ამიტომ, სისხლის სამართლის პროცესის გამარტივება, ძირითადად, შეეხება იმ ქმედებებს, რომლებიც სხვა ქვეყნებში (გერმანია, რუსეთი) არ შედის სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში.

§10. განაჩენთა განსაჩივრებისა და გადასინჯვის საშუალებები

საფრანგეთის თანამედროვე დოქტრინა გეთავაზობს განაჩენთა განსაჩივრებისა და გადასინჯვის საშუალებათა კლასიფიკაციის რამდენიმე ვარიანტს.

პირველი, რომ ისინი იყოფა *ორდინალურ*, როდესაც საქმის სრული მოცულობით გადასინჯვა ხდება ნებისმიერი (ფაქტობრივი და სამართლებრივი) საფუძვლით და *ექსტრაორდინალურ* (საგამონაკლისო) საშუალებებზე, რომლებიც დაიშვება მხოლოდ გასაჩივრების ორდინალურ საშუალებათა ამოწურვისა ან შეუძლებლობის შემთხვევებში, და კანონში პირდაპირ მითითებული საფუძვლებით;

მეორე, რომ განასხვავებენ *რეტრაქტაციულ* (de retraction), როდესაც საქმეს გადასინჯავს თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, და *რეფორმაციულ* საშუალებებს, როდესაც – ზემდგომი სასამართლო;

მესამე, რომ არსებობს, ერთი მხრივ, *კანონიერ ძალაში შესვლელ* და, მეორე მხრივ, *კანონიერ ძალაში შესულ* განაჩენთა გადასინჯვის საშუალებები.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით ხდება განაჩენთა გასაჩივრებისა და გადასინჯვის კონკრეტული საშუალებების განხილვა.

ოპოზიცია (opposition). საუბარია იმ განაჩენთა გასაჩივრების ორდინალურ რეტრაქტაციულ საშუალებაზე, რომლებიც დაუსწრებლად გამოიტანეს გადაცდომათა და სამართალდარღვევათა საქმეებზე და კანონიერ ძალაში არ შესულან. ოპოზიცია დაუშვებელია დანაშაულთა საქმეებზე.

ოპოზიცია, როგორც ეს აღნიშნული იყო გამასწორებელ და საპოლიციო სასამართლოებში წარმოების დახასიათებისას, დაიშვება მხოლოდ იმ საქმეებზე, რომლებიც სასამართლოში თავდაპირველად განსაკუთრებული დაუსწრებელი პროცედურის (par default) გამოყენებით განიხილეს (ესე იგი, იხილეთ არ ითვლება „შეჯიბრებითად“ განხილულად). განსასჯელს ყოველთვის აქვს როგორც ოპოზიციის, ასევე აპელაციის უფლება. ამიტომ მას უნდა გააკეთოს შესაბამისი არჩევანი, ვინაიდან ისინი განაჩენის გასაჩივრების ორი ურთიერთგამომრიცხავი საშუალებაა. ოპოზიცია დაიშვება მხოლოდ დაუსწრებელი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში. თუმცა სასამართლო პრაქტიკა ეყრდნობა სსს კოდექსის ზოგიერთ მუხლს (კოდექსში არ არის მოცემული პირდაპირი პასუხი) და იზიარებს მოსაზრებას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ოპოზიციის საგანს გამამართლებელი განაჩენიც წარმოადგენს (მაგალითად, როდესაც პირი გამართლდა მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო).

პროკურორს, როგორც წესი, არ აქვს ოპოზიციის უფლება, ვინაიდან მისი მონაწილეობა სასამართლო განხილვაში სავალდებულოა. აღნიშნული უფლება მას ენიჭება მხოლოდ მოსამართლის მიერ გაცემული სისხლის სამართლის ბრძანების (გადაწყვეტილება, რომელიც გამოიტანება გამარტივებული წესით, სასამართლო განხილვის ჩატარების გარეშე) გასაჩივრებასთან დაკავშირებით. სამოქალაქო მოსარჩელეს ოპოზიციის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას სათანადოდ არ შეატყობინეს საქმის განხილვის შესახებ. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მისი გამოუცხადებლობა სასამართლოში განიხილება როგორც უარი სამოქალაქო სარჩელზე (სსს კოდექსი, 425-ე მუხლი) და მას არ აქვს უფლება მოითხოვოს საქმის ხელახალი განხილვა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ოპოზიციის უფლება (უშთავრესად) დაუსწრებლად მსჯავრდებელი განსასჯელის პრეროგატივაა.

ოპოზიციის წარდგენის საერთო ვადაა 10 დღე-ღამე განაჩენის გაცნობის მომენტიდან (თუ პირი „ზღვისიმიერ ტერიტორიებზე“ ცხოვრობს – ერთი თვე). იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა მსჯავრდებულისათვის განაჩენის ოფიციალურად გაცნობა (იგი ზომ დაუსწრებლად გამოიტანეს), მაშინ ოპოზიციის წარდგენის უფლება მას უნარჩუნდება მანამდე, ვიდრე არ გავა სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამტკიცდება, რომ მსჯავრდებულმა იცოდა განაჩენის შესახებ).

ოპოზიციის შესახებ ზეპირი ან წერილობითი განცხადება

წარიმართება შესაბამისი სასამართლო ოლქის პროკურატურაში, რომელიც ატყობინებს ამის შესახებ პროცესის სხვა მონაწილეებს და იქვე მიუთითებს ახალი სასამართლო განხილვის თარიღს, რომელიც იმავე სასამართლო შემადგენლობით ტარდება, როგორც თავდაპირველი დაუსწრებელი განხილვის დროს. დაუსწრებელი განაჩენი ანულირდება და საქმე თავიდან განიხილება. ხელახალი განხილვისას სასამართლო არ იზღუდება მის მიერ ადრე გამოტანილი (დაუსწრებელი) გადაწყვეტილებით და არც „საუარესოდ შებრუნების დაუსწრებლობის“ წესი მოქმედებს. ამავე დროს, არაფერი უშლის ხელს სასამართლოს, რომ მან ძალაში დატოვოს განსასჯელის მიერ გასაჩივრებული განაჩენი, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლო განხილვაზე. მისი განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში ახალი ოპოზიცია მეტჯერ აღარ დაიშვება, დაუსწრებელი განაჩენი იბრუნებს კანონიერ ძალას და იურიდიულად შეურყეველი ხდება.

აპელაცია (appel) განაჩენთა გასაჩივრების ერთ-ერთი კლასიკური ფორმაა, რომელიც სამართალწარმოების კონტინენტურ მოდელს ახასიათებს. მისი აუცილებლობა უკავშირდება ზემოხსენებულ პრინციპს, რომლის თანახმადაც, პროცესის დაინტერესებულ მონაწილეებს უფლება აქვთ, რომ მათი საქმე განიხილონ ორ (პირველი და სააპელაციო) სასამართლო ინსტანციაში. იგი კანონიერ ძალაში შეუსვლელ განაჩენთა გასაჩივრების ორდინალურ რეფორმაციულ საშუალებებს მიეკუთვნება.

აპელაციას ექვემდებარება გამასწორებელი სასამართლოების განაჩენები გადაცდომათა ყველა საქმეზე, ხოლო საპოლიციო სასამართლოებისა – სამართალდარღვევათა საქმეებზე იმ შემთხვევაში, თუ: მათი ჩადენის გამო დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება 5 000 ფრანკს (თუ საუბარია ჯარიმაზე); შეეფარდება სასჯელის ზოგიერთი სხვა სახე (მაგალითად, მართვის მოწმობის ჩამორთმევა 3 წლამდე ვადით (სს კოდექსი, 131-16-ე მუხლი, ნაწილი პირველი)); როდესაც საპოლიციო სასამართლო სასჯელთან ერთად მსჯავრდებულს დააკისრებს ზიანის ანაზღაურებას.

დანაშაულთა საქმეებზე ასიზების სასამართლოების შემაჯამებელი გადაწყვეტილებები სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდნენ, რაც ისტორიული და იურიდიული მიზეზებით აიხსნებოდა. 2000 წლის 15 ივნისის კანონმა საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის ისტორიაში პირველად შემოიღო სსს კოდექსში დამატებები, რომელთა თანახმადაც, „ასიზების სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო

წესით“ (სსს კოდექსი, 380-1-ე მუხლი).¹ ასიზების სხვა სასამართლო² (რომელსაც საკასაციო სასამართლო განსაზღვრავს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში) 3 პროფესიონალი და 12 არაპროფესიონალის (თიური) შემადგენლობით განიხილავს აპელაციას პირველი ინსტანციის ასიზების სასამართლოში წარმოების წესების მიხედვით. არსებითად, საუბარია საქმის ხელმოკრედ განხილვის შესახებ იმავე საპროცესო ფორმით, რაც ზემოთ იყო წარმოდგენილი.³ განსხვავებები უმნიშვნელოა: განსასჯელის დამნაშავეობა უნდა დამტკიცდეს არა 8, არამედ 10 ხმით; თიურის ფორმირებისას დაცვას უფლება აქვს განაცხადოს 6 არამოტივირებული აცილება, ხოლო ბრალდებას – 5 და სხვა.⁴

განსხვავებენ ძირითად და შეგებებულ აპელაციებს. ძირითადი აპელაცია წარედგინება განაჩენის გამოცხადებიდან 10 დღე-ღამის განმავლობაში. მისი წარდგენის უფლება აქვთ განსასჯელსა და რესპუბლიკის პროკურორს. სამოქალაქო მოსარჩელე და სამოქალაქო მოპასუხე აპელაციას წარადგენენ სამოქალაქო სარჩელის ნაწილში. სააპელაციო სასამართლოს გენერალური პროკურორისათვის სააპელაციო გასაჩივრების განსაკუთრებული ვადაა დაწესებული – ორ თვემდე. რაც შეეხება შეგებებულ აპელაციას, იგი შეიძლება წარადგინონ მხოლოდ მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნულმა რომელიმე პირმა (გენერალური პროკურორის გარდა) წარადგინა ძირითადი აპელაცია. შეგებებული აპელაციის წარდგენის ვადაა 15 დღე-ღამე განაჩენის გამოცხადების მომენტიდან, ესე იგი, პროცესის მონაწილეებს ეძლევათ დამატებითი 5 დღე-ღამე ძირითადი აპელაციის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ.

სააპელაციო საჩივრის განაჩენის გამომტან სასამართლოში წარმართვის საპროცესო შედეგებია: ა) შერჩეობა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა; ბ) საქმის მასალებს საჩივართან ერთად გადასცემენ ზემდგომ ინსტანციას – სააპელაციო სასამართლოს⁵, რომელიც ვალდებულია ჩაატაროს ხელახალი სასამართლო განხილვა.

სააპელაციო ინსტანციის უფლებები არ არის განუსაზღვრელი. იგი

1 2002 წლის 4 მარტის კანონმა შეცვალა სსს კოდექსის 380-2-ე მუხლი და, შედეგად, პროკურორებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ გამამართლებელი განაჩენი.

2 თუ ასიზების სასამართლოს განაჩენი გასაჩივრდება მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საჩივარი არ ეხება საჯარო სარჩელს, მაშინ აპელაციას სააპელაციო სასამართლო განიხილავს (სსს კოდექსი, 380-5-ე მუხლი).

3 იხ. მოცემული თავი, §8.

4 ეს სხვაობები აიხსნება იმით, რომ ასიზების სასამართლოს შემადგენლობაში, რომელიც მოქმედებს რაევირც სააპელაციო ინსტანცია, შედის თიურის 12 (და არა - 9) წევრი.

5 დამნაშაულთა საქმეებზე ზემდგომი ინსტანციის სახით გამოდის ასიზების სააპელაციო სასამართლო (და არა სააპელაციო სასამართლო).

კერ გასცდება პირველი ინსტანციის სასამართლო განხილვის ფარგლებს (როგორც პირთა წრის, ასევე ქმედებათა წრის მიმართ). იგი იზღუდება სააპელაციო საჩივარში მოყვანილი მოთხოვნებით. აქ არ მოქმედებს რუსი იურისტებისათვის ნაცნობი (1960 წლის რსფსრ სსს კოდექსი, 332-ე მუხლი) „სარევიზიო საწყისის“ პრინციპი, არამედ პირიქით – tantum devolutum quantum appellatum¹. მაგალითად, თუ მსჯავრდებული მხოლოდ სასჯელის ზომას ასაჩივრებს და საჩივარში არ უთითებს სამოქალაქო მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურებული ზიანის ოდენობაზე, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში სამოქალაქო სარჩელის შესახებ არსებითი ზარეზებიც რომ აღმოაჩინოს, მაინც ვერაფერს შეცვლის. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შეგვებებული აპელაცია, რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეს, რომ გააფართოვოს სააპელაციო ინსტანციის უფლებამოსილების ფარგლები. მაგალითად, თუ განსასჯელი თავდაპირველად არ აპირებდა აპელაციის წარდგენას და შეიტყო, რომ სამოქალაქო მოსარჩელემ გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე ბოლო დღეს წარადგინა სააპელაციო საჩივარი, მაშინ მას (განსასჯელს) „ყოველი შემთხვევისათვის“ მაინც აქვს შესაძლებლობა შეგვებულ აპელაციაში დააყენოს სასჯელის ზომის შემსუბუქების საკითხი და ა.შ. სააპელაციო ინსტანციის უფლებამოსილება შეზღუდულია „საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის“ პრინციპით – „სასამართლოს უფლება არ აქვს მხოლოდ განსასჯელის, სამოქალაქო მოპასუხის, სამოქალაქო მოსარჩლის აპელაციის საფუძველზე ... გაუარესოს აპელანტის მდგომარეობა“ (სსს კოდექსი, 515-ე მუხლი).² სხვა სიტყვებით, აპელანტის მდგომარეობის გაუარესება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მის გარდა პროცესის სხვა რომელიმე მონაწილემ განსასჯელის ინტერესების საწინააღმდეგოდ წარადგინა ძირითადი ან შეგვებული აპელაცია. ეს პრინციპი არ შეეხება პროკურორს, რომელსაც საქმეში პირადი ინტერესი არ გააჩნია და ამიტომ, მის სააპელაციო საჩივარს შესაძლოა მოჰყვეს უკუშედეგები. მაგალითად, მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქება მაშინ, როდესაც პროკურორი მის დამძიმებას მოითხოვდა (თუკი სააპელაციო სასამართლო შესაბამის დასკვნამდე მივა).

სააპელაციო სასამართლოში წარმოება³ იწყება ერთ-ერთი მოსამარ-

1 ეს არის კლასიკური კონტრინტუი ფორმულა, რომელიც ლათინურადან (დაახლოებით) ასე ითარგმნება: „რამდენადაც პირი აუღივრებს, იმდენად მიღის საქმე ზეკით“.

2 აიხივების სააპელაციო სასამართლოებთან მიმართებაში აღნიშნული წესი განმტკიცებულია სსს კოდექსის ახალი 380-3-ე და 380-6-ე მუხლებში.

3 სუბარია მხოლოდ გადაცდომათა და სამართალდარღვევათა საქმეებზე სააპელაციო

თლის ზეპირი მოხსენებით, რომელშიც მოცემულია საქმის მოკლე შინაარსი. შემდეგ ტარდება ჩვეულებრივი სასამართლო განხილვა, რომელიც მოიცავს სასამართლო გამოძიებასა და სასამართლო კამათს. სასამართლო არ არის ვალდებული დაკითხოს ყველა მოწმე. იგი შეიძლება შემოიფარგლოს მათ მიერ პროცესის წინა სტადიებზე მიცემული ჩვენებათა ოქმების გამსკლვევით.

საქმის განხილვის პედეგების მიხედვით, სააპელაციო სასამართლო ან ძალაში ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, ანდა აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს და ცვლის მას თავისი გადაწყვეტილებით. აქ არ დაიშვება საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციას თვითონაც გააჩნია საქმის არსებითად განხილვის უფლებამოსილება (მათ შორის, სასამართლო გამოძიების მსვლელობისას ახალი მტკიცებულებების შეკრებისა და გამოკვლევის უფლება).

კასაცია (pourvoi en cassation). კასაციის ინსტიტუტი მრავალ ქვეყანაში მოქმედებს (მათ შორის რუსეთშიც). წარმოშობით იგი ფრანგული სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტია (ტერმინი „კასაციის“ ჩათვლით), რომელიც ასწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა და შემდეგ „იმპორტირებული“ იყო სხვა სახელმწიფოებში. ფრანგული კასაცია ამ ინსტიტუტის კლასიკური მაგალითია, მისგან წარმოდგება ყველა მისი დანარჩენი ვარიანტი და, ამიტომ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

განაჩენთა საკასაციო გასაჩივრების პროცედურა¹ მოწესრიგებულია სსს კოდექსის 567-ე-621-ე მუხლებით. მას კანონიერ ძალაში შეუსვლელ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ექსტრაორდინალურ რეფორმაციულ საშუალებას მიაკუთვნებენ. თუმცა, ზოგ შემთხვევებში კასაცია კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსაც შეეხება (ამის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ). საკასაციო წესით განაჩენთა გადასინჯვა არ არის მიჩნეული როგორც საქმის მესამე ინსტანციაში განხილვა, ვინაიდან საკასაციო სასამართლო არ განიხილავს მას არსებითად, არამედ შემოიფარგლება გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული „სისუფთავის“

საჩივრების განხილვის პროცედურაზე (და თუ დანაშაულის საქმეზე გადაწყვეტილება საჩივრდება მხოლოდ სამოქალაქო საჩივრის ნაწილში). ასიზების სააქტაციო სასამართლოში საქმის განხილვის წესის შესახებ იხ. ზემოთ.

¹ აქ ვისაუბრებთ განაჩენების შესახებ, თუმცა საკასაციო გასაჩივრებას ექვემდებარება სისხლის სამართლის საქმეებზე სხვა სახის სასამართლო გადაწყვეტილებებიც (მაგალითად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კამერის დადგენილებები, რომლებიც გამოტანილია მეორე ინსტანციის წინასწარი გამოძიების წესით).

შემოწმებით. რაც შეეხება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს (რომელთაც მიეკუთვნებიან: ბრალდების დამტკიცება ან დაუმტკიცებლობა; სასჯელის ზომა და სხვა), მათი დადგენისათვის საკმარისია ორი ინსტანცია და, ამიტომ, საკასაციო სასამართლოს არ აქვს მათი გადასინჯვის უფლება.

საფრანგულ კანონის სასამართლოს პროცესში განასხვავებენ კასაციის ორ სახეობას: კასაციის მხარეთა ინტერესებში; კასაცია კანონის ინტერესებში.

კასაცია მხარეთა ინტერესებში დაიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც განაჩენი სასამართლო არ შესულა კანონიერ ძალაში. საკასაციო გასაჩივრების საბაზისად შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ის სასამართლო გადაწყვეტლება, რომელიც არ ექვემდებარება ორდინალურ გასაჩივრებას (აპელაციას ან ოპოზიციას). მაგალითად, გადაწყვეტილება, რომელზეც მეტჯერ აღარ დაიშვება სააპელაციო საჩივრის წარდგენა, ვინაიდან საქმე უკვე განიხილა სააპელაციო ინსტანციამ. კანონი გამორიცხავს ასიზების სასამართლოს გამამართლებელ განაჩენთა საკასაციო გასაჩივრებას (სის კოდექსი, 572-ე მუხლი), რაც ავიწროებს გასაჩივრების აღნიშნულ საშუალებას დაქვემდებარებულ გადაწყვეტილებათა წრეს.¹

საკასაციო გასაჩივრების უფლებით მხოლოდ პროცესის მხარეები სარგებლობენ. ამასთან, მხოლოდ განსასჯელს (ან მისი დავალებით დამცველს) აქვს უფლება გაასაჩივროს განაჩენი როგორც საჯარო, ასევე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში. პროკურორს კასაციის უფლება მხოლოდ საჯარო სარჩელის ფარგლებში აქვს, ხოლო სამოქალაქო მოსარჩელესა და სამოქალაქო მოპასუხეს – სამოქალაქო სარჩელის ფარგლებში. იმის გათვალისწინებით, რომ აქ საუბარია გასაჩივრების ექსტრაორდინალურ საშუალებაზე, მხარეთა საკასაციო საჩივრის წარდგენის უფლება არ არის აბსოლუტური – გასაჩივრების თავისუფლება არ წარმოადგენს ფრანგული კასაციისათვის დამახასიათებელ თვისებას.

აღნიშნული ორ დებულებაში გამოვლინდება:

პირველი, იმისათვის, რომ საკასაციო საჩივარი მიიღონ, კასატორმა მასში უნდა მიუთითოს გასაჩივრების გარკვეული საფუძვლები, რომელთა წრეც შეაჯამდ არის კანონით განსაზღვრული. არსებობს საკასაციო გასაჩივრების ოთხი საფუძველი: 1) გადაწყვეტილების გამოძტანი სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობა და სასამართლო სხდომაზე

¹ სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვს გაასაჩივროს ასიზების სასამართლო გამამართლებელი განაჩენი მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების ნაწილში.

პროკურატურის წარმომადგენლის დაუსწრებლობა; 2) სასამართლოს მიერ თავის უფლებამოსილებათა გადამეტება, ანდა საქმის განხილვა განსჯადობის წესების დარღვევით; 3) სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დარღვევები, თუ ისინი კანონის თანახმად, შესაბამის საპროცესო გადაწყვეტილებათა ბათილობას იწვევენ; 4) მატერიალური სისხლის სამართლის არასწორი გამოყენება;

მეორე, კასატორმა (პროკურორის გარდა) უნდა დაასაბუთოს, რომ კანონის აღნიშნულ დარღვევებმა ზიანი მიაყენეს მის პირად ინტერესებს (სსს კოდექსი, 567-ე მუხლი). ამ პირობის შედეგი გახდა ე.წ. „დასაბუთებული დასჯის“ თეორია, რომელიც განმტკიცებულია სსს კოდექსის 598-ე მუხლში: „თუ შეფარდებული სასჯელი ემთხვევა ამ დანაშაულებრივი ქმედების გამო, კანონის თანახმად, გამოსაყენებელ სასჯელს, მაშინ არავის აქვს უფლება მოითხოვოს სასამართლო გადაწყვეტილების იმ მიზეზით გაუქმება, რომ ადგილი აქვს შეცდომას კანონის ნორმის გამოყენებისას“. სხვა სიტყვებით, თუ სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა ქმედება, მაგრამ ამას არ მოჰყოლია დაუსაბუთებელი სასჯელი (იგი ერთი და იგივეა ორივე დანაშაულისათვის), მაშინ, საპროცესო ეკონომიის თვალსაზრისით, საკასაციო საჩივარი არ მიიღება, ვინაიდან განაჩენის გაუქმებით განსასჯელის მდგომარეობა არ იცვლება.

საკასაციო გასაჩივრების საერთო ვადა 5 დღე-ღამეს შეადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (ასიზების სასამართლოს განაჩენი, სააპელაციო სასამართლოს დადგენილება და სხვა) გამოცხადების მომენტიდან. სსს კოდექსის 568-ე მუხლში ჩამოთვლილ ზოგიერთ შემთხვევაში, რომლებიც, ძირითადად, შესაბამის სასამართლო სხდომაზე მხარის დაუსწრებლობას უკავშირდება, ვადა აითვლება გადაწყვეტილების გაცნობის მომენტიდან. საჩივარი ზეპირი ფორმით წარედგინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მდივანს. იგი დადგენილი ფორმით შეადგენს აქტს გასაჩივრების შესახებ, რომელსაც მის გარდა ხელს აწერს კასატორიც.

ფრანგული კასაციის შინაშენლოვან თვისებას წარმოადგენს საკასაციო ინსტანციის ერთიანობა – მხოლოდ ქვეყნის უზენაეს სასამართლოს (საკასაციო სასამართლოს) აქვს საკასაციო საჩივრების განხილვის უფლება, ვინაიდან კასაცია არა მხოლოდ მხარეთა მიერ ერთ-ერთ საპროცესო უფლების რეალიზაციას, არამედ სასამართლო პრაქტიკის ერთიანობის უზრუნველყოფის საშუალებასაც წარმოადგენს. საკასაციო ინსტანციის უფლებათა ფარგლები შეზღუდულია.

პირველი, რომ საკასაციო სასამართლო იზღუდება საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრებებით. თუმცა, (აპელაციისაგან განსხვავებით) აქ სარევიზიო საწყისის ელემენტებიც გვაქვს. თუ საკასაციო განხილვისას აღმოჩნდება, რომ კანონის დარღვევები, რომლებიც ხელყოფენ საჯარო წესრიგს (ordre public) (მაგალითად, სასამართლოს მიერ თავისი კომპეტენციის გადამეტება), მაშინ საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გააუქმოს განაჩენი, მიუხედავად საჩივარში მოყვანილი დებულებებისა.

მორე, საკასაციო ინსტანცია შეზღუდულია საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობით, რაც გამოძღინარეობს საკასაციო სასამართლოს 1887 წლის 28 მაისისა და 1971 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებებით (მიუხედავად იმისა, რომ კანონი არაფერს ამბობს ამ საკითხის შესახებ).

საქმის საკასაციო განხილვის პროცედურა მარტივია. იგი ერთ-ერთი მოსამართლის მოხსენებით იწყება. შემდეგ გამოდიან მხარეთა ადვოკატები. თვითონ მხარეებს არ აქვთ გამოსვლის უფლება და ისინი მხოლოდ თავიანთ მოსაზრებებს წარადგენენ საჩივართან დაკავშირებით. ბოლოს დასკვნას აკეთებს პროკურორი. ამის შემდეგ სასამართლო გადის გადაწყვეტილების გამოსატანად, რომელიც ხმათა უმრავლესობით მიიღება. მომხსენებელი მოსამართლე ვალდებულია პირველმა გამოთქვას თავისი მოსაზრება, ხოლო თავმჯდომარე მოსამართლემ – ბოლოს. დანარჩენი მოსამართლეები ხმას აძლევენ მათი საკასაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის წესის თანმიმდევრობით.

ფრანგული კასაციის კიდევ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ საკასაციო სასამართლოს უფლება არ აქვს შეიტანოს ცვლილებები გასაჩივრებულ განაჩენში. იმ შემთხვევაში, თუ იგი საჩივარს დასაბუთებულად მიიჩნევს, მაშინ აუქმებს განაჩენს (ახდენს მის „კასირებას“) (თვითონ ტერმინი „კასაცია“ წარმოადგება ფრანგული ზნნიდან – casser – რაც „გატყეხვას“, „განადგურებას“ ნიშნავს), წინააღმდეგ შემთხვევაში – უარყოფს საჩივარს. დაიშვება გადაწყვეტილების გაუქმება საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებით, ან ასეთის გარეშე – როდესაც საქმე უნდა შეწყდეს.

კასაცია კანონის ინტერესებში გამოირჩევა თავისებურებით, ვინაიდან ხშირად გავლენას ახდენს მხოლოდ სამართალგამოყენებით პრაქტიკაზე და არ ეხება მხარეთა ინტერესებს. მაგალითად, სსს კოდექსის 621-ე მუხლის თანახმად, თუ გადაწყვეტილება არ ექვემდებარებოდა საკასაციო გასაჩივრებას (მაგალითად, ასიზების სასამართლოს

გამამართლებელი განაჩენი), ანდა მასზე არავის წარუდგენია საჩივარი დადგენილ ვადაში და იგი კანონიერ ძალაში შევიდა, მაშინ საკასაციო სასამართლოს გენერალურ პროკურორს, კანონის არასწორი გამოყენების აღმოჩენისას, უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაასაჩივროს მოცემული გადაწყვეტილება. საჩივარს საკასაციო სასამართლო განიხილავს. თუნდაც მან გააუქმოს გადაწყვეტილება, „მხარეებს უფლება არ აქვთ გამოიყენონ აღნიშნული გარემოება თავიანთი ინტერესებისათვის და გააპროტესტონ გაუქმებული გადაწყვეტილების აღსრულება“ (სსს კოდექსი, 621-ე მუხლი), ვინაიდან მათ არ გაუსაჩივრებიათ იგი. საკასაციო სასამართლოს დადგენილება ერთგვარი „სახელმძღვანელო განმარტება“ და მნიშვნელობა აქვს შემდგომში კანონის სწორი გამოყენებისათვის მხოლოდ ანალოგიურ სისხლის სამართლის საქმეებზე.

იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილია საკასაციო სასამართლოს გენერალურ პროკურორს დააკისროს ვალდებულება, რომ მან კანონის არასწორი გამოყენების აღმოჩენისას საკასაციო წესით გაასაჩივროს ნებისმიერი (კანონიერ ძალაში შესული ან შეუსვლელი) გადაწყვეტილება (სსს კოდექსი, 620-ე მუხლი). თუ საჩივრდება გამამართლებელი განაჩენი, მაშინ დაუშვებელია მხარეთა ინტერესების ხელყოფა (ისევე, როგორც წინა შემთხვევაში), ხოლო, თუ გამამტყუნებელი – საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისას მსჯავრდებულის საქმე უნდა გადაისინჯოს (საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის პრინციპის გათვალისწინებით). ნათელია, რომ სსს კოდექსის 620-ე მუხლი გარკვეულწილად აწონასწორებს კანონმდებლის უხეშ დამოკიდებულებას მხარეთა ინტერესებისადმი (რაც სსს კოდექსის 621-ე მუხლში აისახება) და კანონის ინტერესებში კასაციის ორივე ვარიანტის სწორი გამოყენებისას საშუალებას იძლევა, რომ გამოსწორდეს სასამართლო შეცდომები, რომლებიც მსჯავრდებულს შეეხება, თუნდაც განაჩენი უკვე კანონიერ ძალაში იყოს შესული.

რევიზია (pourvoi en revision). ფრანგული კასაციის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სასამართლო შეცდომების გამოსწორების საშუალებას იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი მატერიალური და საპროცესო კანონების არასწორ გამოყენებას უკავშირდება (სამართლებრივი შეცდომები). ამასთან, კასაცია ასეთ შესაძლებლობას იძლევა მანამდე, ვიდრე განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდოდეს (თუმცა, სსს კოდექსის 620-ე მუხლი ითვალისწინებს კანონის ინტერესებში კასაციის ვარიანტს, რომელიც გარკვეულწილად ამსუბუქებს ამ შეზღუდვას და უშვებს იურიდიული შეცდომების გამოსწორებას, რომელთა

გამოც კანონიერ ძალაში შესული განაჩენი უსამართლოდ მიიჩნევა). მაგრამ, შესაძლებელია უსამართლო განაჩენის გამოტანის მიზეზი არა იურიდიული, არამედ ფაქტობრივი შეცდომა იყოს და, თუ განაჩენი უკვე კანონიერ ძალაშია შესული, მაშინ დაუშვებელია მისი სააპელაციო წესით გადასინჯვა. ამ მიზნების გადასაწვევად შექმნილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის განსაკუთრებული ექსტრაორდინალური საპროცესო საშუალება „რევიზიას“ უწოდებენ (სსს კოდექსი, 622-ე-626-ე მუხლები).

სარევიზიო წესით განაჩენის გადასინჯვა დაიშვება მხოლოდ მსჯავრდებულს სასარგებლოდ (in favorem). დაუშვებელია აღნიშნული წესით (ფაქტობრივი შეცდომის გამო) გამამართლებელ ან გამამტყუნებელ განაჩენის გადასინჯვა პასუხისმგებლობის დამძიმების (in defavorem) აუცილებლობის მოტივით. განაჩენის რევიზია დაიშვება მხოლოდ დანაშაულთა და გადაცდომათა საქმეებზე. სამართალდარღვევათა საქმეებზე გამოტანილი განაჩენი რევიზიას არ ექვემდებარება, რაც არაერთხელ აღნიშნა საკასაციო სასამართლომ.

სსს კოდექსის 622-ე მუხლი შეიცავს განაჩენის სარევიზიო საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს: 1) თუ მკვლელობისათვის მსჯავრდების შემდეგ გამოვლინდება მტკიცებულებები, რომ მკვლელობის სუბიექტად მსხვერპლი ცოცხალია; 2) თუ აღმოჩნდება, რომ არსებობს ორი ერთ-ერთსაწინააღმდეგო გამამტყუნებელი განაჩენი, რომელთა თანახმადაც, ორი ან მეტი პირი მსჯავრდებულია ერთი და იმავე ქმედებისათვის, ესე იგი, უკიდურეს შემთხვევაში, ერთ-ერთი მათგანი დაუსაბუთებლად იყო მსჯავრდებული; 3) თუ საქმეში ერთ-ერთი მოწმეთაგანი დაზნაშავედ იქნება ცნობილი ცრუ ჩვენების მიცემის გამო; 4) თუ აღმოჩნდება ახალი გარემოებები, რომლებიც უცნობი იყო სასამართლოსათვის სასამართლო განხილვის დროს და ეჭვის ქვეშ აყენებენ მსჯავრდებულის დაზნაშავეობას. სარევიზიო საფუძვლების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში მოქმედი ეს ინსტიტუტი ძლიერ ჰგავს რუსულ „ახლად გახსნილ გარემოებათა გამო საქმის განახლებას“.

სსს კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სარევიზიო წარმოების დაწყების ინიციატივა შეიძლება მომდინარეობდეს იუსტიციის მინისტრის, მსჯავრდებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის (იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს არ შეუძლია დამოუკიდებლად იმოქმედოს), გარდაცვლილი მსჯავრდებულის ნათესავების ან სხვა ახლობლებისაგან. საქმის სარევიზიო წესით გადასინჯვის პროცედურა სამი ეტაპისაგან შედგება და თითოეული მათგანი შესაძლოა საბოლოო აღმოჩნდეს.

პირველ ეტაპზე შუამდგომლობა რევიზიის შესახებ წარედგინება სპეციალურ კომისიას (საფრანგეთში ასეთი კომისია ერთია), რომელიც საკასაციო სასამართლოს 5 მოსამართლისაგან შედგება. კომისია დამოუკიდებლად აწარმოებს გამოძიებას, ან იძლევა ცალკეულ დავალებებს. ასეთი გამოძიებისას დაიშვება ნებისმიერი საპროცესო მოქმედების ჩატარება: დაკითხვა, დაპირისპირება, დოკუმენტების გამოთხოვა და ა.შ. მისი შედეგების მიხედვით კომისიას გამოაქვს მოტივირებული, საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: ა) უარყოფს შუამდგომლობას (თუ მასში მოყვანილი ცნობები არ დადასტურდა) და წვეტს სარევიზიო წარმოებას; ბ) გადასცემს საქმეს საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას, რომელიც „სარევიზიო სასამართლოს“ სახით მოქმედებს.

მეორე ეტაპზე სისხლის სამართლის პალატას უფლება აქვს კიდევ ერთხელ აწარმოოს გამოძიება (ფაკულტატურად), თუ მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მასალები არასაკმარისია. გამოძიების დასრულების, ხოლო მისი ჩატარების აუცილებლობის არარსებობის შემთხვევაში – საქმის მიღების შემდეგ, სისხლის სამართლის პალატა ატარებს ღია სასამართლო სხდომას დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით და გამოაქვს მოტივირებული გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სისხლის სამართლის პალატა იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) წვეტს წარმოებას, სარევიზიო საფუძვლების არარსებობის გამო; ბ) აუქმებს განაჩენს და საქმეს აბრუნებს პირველი ინსტანციის წესით ხელახალი განხილვისათვის; გ) თუ ფორმალური მიზეზების გამო შეუძლებელია საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება (ხანდაზმულობის ვადის გასვლა, აშნისტია, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირის გარდაცვალება და ა.შ.), აუქმებს განაჩენს და იღებს გადაწყვეტილებას არსებითად.

მესამე ეტაპი ტარდება იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატა აუქმებს განაჩენს და საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად, რასაც განაჩენის გამომტანი სასამართლოს დონის სხვა სასამართლო ახორციელებს. ამ შემთხვევაში გამოიყენება სასამართლო განხილვის საერთო წესები.

სისხლის სამართლის საქმეთა სარევიზიო წესით გადასინჯვა იშვიათად ხდება. 1992 წელს არც ერთი ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, 1993 წელს – 1, 1994 წელს – 5, 1995 წელს – 1. 1983 წლიდან 1988 წლამდე პერიოდში საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ წარმოებაში მიიღო ზემოაღნიშნული კომისიიდან გად-

მოგზავნილი 19 სისხლის სამართლის საქმე და მხოლოდ 11 მათგანზე გააუქმა განაჩენი (დანარჩენები ძალაში დარჩა).

2000 წლის 15 ივნისის კანონით სსს კოდექსს დაემატა ახალი თავი „ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს დადგენილებებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შესახებ“ (626-1-ე-626-7-ე მუხლები). იგი სტრუქტურულად რევიზიის თავში მოიაზრება, თუმცა განაჩენთა გადასინჯვის დამოუკიდებელ საშუალებას წარმოადგენს.

თუ სტრასბურგში ევროპის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც აღიარებს, რომ ამა თუ იმ პირის დამნაშავედ ცნობისას დარღვეული იყო „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ კონვენციის დებულებები, მაშინ შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში იუსტიციის მინისტრმა, საკასაციო სასამართლოს გენერალურმა პროკურორმა ან აღნიშნულმა პირმა საქმის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობით მიმართონ საკასაციო სასამართლოს სპეციალურ კომისიას (რომელიც 7 მოსამართლისაგან შედგება). თუ შუამდგომლობა დასაბუთებულია, მაშინ კომისია საქმეს განსახილველად უგზავნის ან საკასაციო სასამართლოს პლენარულ ასამბლეას (თუ ეს საჭიროა იმისათვის, რომ შემდგომში აღარ დაირღვეს კონვენცია), ანდა გადასასინჯი გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დონის სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში ტარდება 'სარევიზიო წარმოების შესახებ ეტაპის იდენტური პროცედურა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა¹

§1 სისხლის სამართლის პროცესის ცნება, ამოცანები და პრინციპები

1. გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერების თანამედროვე ისტორიაში მისი ცნება, თავდაპირველად, განისაზღვრებოდა, როგორც საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა.

ეს კონცეფცია XIX საუკუნის შუა პერიოდში შეიმუშავეს გერმანელმა პროცესუალისტებმა ბიულოვმა და კოლერმა. მათ მიაჩნდათ, რომ სისხლის სამართლის პროცესი არის სამმხრივი საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის სუბიექტები არიან ბრალდებელი, განსასჯელი და სასამართლო. პროკურორსა და განსასჯელს შორის, რომლებიც პროცესში მხარეებად გამოდიან, შეჯიბრებითობის საწყისებზე მიმდინარეობს სამართლებრივი დავა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტის დადგენის თაობაზე. სასამართლო ამ დავაში არბიტრის როლს ასრულებს და გადაწყვეტს საქმეს არსებითად.

სისხლის სამართლის პროცესის ასეთი განსაზღვრება პროგრესული და დემოკრატიული იყო გერმანიის ინკვიზიციური სისხლის სამართლის პროცესის ცნებასთან შედარებით.

სისხლის სამართლის პროცესის ცნების, როგორც საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის გაგებამ დიდი გავლენა მოახდინა ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების ფორმირებაზე, რომლებიც უკავშირდებოდა: საქმის წარმოების მკაცრი სამართლებრივი რეგულირების მოთხოვნებს; სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების განმტკიცებას; ბრალდებულის საპროცესო უფლებათა სუბიექტად აღიარებას; მხარეთა ცნების შემოღებას; მათ საპროცესო თანასწორობას; შეჯიბრებითობის პრინციპს (ბრალდების, დაცვისა და საქმის არსებითად გადაწყვეტის საპროცესო ფუნქციათა დაყოფის საფუძველზე); დაცვისათვის მნიშვნელოვანი როლის მიკუთვნებას. ყურადსაღებია, რომ იმ დროს მხარეებისა და შეჯიბრებითობის

¹ ავტორები (კ.ფ. გუცენკო, ლ.ე. გოლოვკო, ბ.ა. ფილიპონოვი) გულწრფელ მადლობას უხდიან იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატ ა.ე. სერბურნიკოვს (მ.ე. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი) იმ მნიშვნელოვანი მასალის მოწოდებისათვის, რომელიც მან 2001 წლის შემოდგომაზე გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში სტაჟირების გაკლისას მოიპოვა.

ცნებებს ერთმანეთისაგან ყოფდა გერმანიის უზენაესი სასამართლო. თავის სახელმძღვანელო განმარტებებში იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პროკურორის საპროცესო მდგომარეობას სასამართლო განხილვისას განსაზღვრავს არა როგორც „კანონის სადარაჯოზე მყოფი პირის“ სახელისუფლებო უფლებამოსილება, არამედ მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

ლიბერალურ-დემოკრატიული სისხლის სამართლის პროცესის მოდელი დარჩა ცალკეული გერმანელი პროცესუალისტების მხოლოდ თეორიულ გამოკვლევად, ვერ კპოვა რა განმტკიცება სისხლის სამართლის საპროცესო კანონში.

XX საუკუნის დასაწყისში გერმანელი პროცესუალისტების შეხედულებანი სისხლის სამართლის პროცესის შესახებ შეიცვალა. თეორიაში გაჩნდა დასაბუთებული ტენდენცია სისხლის სამართლის პროცესის შესახებ. მის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი განიმარტებოდა, როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილებათა გაძლიერებისა და ბრალდებულის უფლებების, გარანტიების შეზღუდვის ხარჯზე სახელმწიფოს მიერ მართვადი ინსტიტუტი. ეს ტენდენცია აისახა სისხლის სამართლის პროცესის ახალ კონცეფციაში, რომელიც შეიმუშავა გერმანელმა პროცესუალისტმა ი.გოლდშმიდტმა და გადმოსცა ნაშრომში „პროცესი როგორც სამართლის მდგომარეობა“ (1925წ.)¹

დღემდე ი. გოლდშმიდტის დამსახურებად ითვლება, რომ მან სისხლის სამართლის პროცესის, როგორც საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ცნების შესახებ კოლერის მოძღვრებიდან აიღო სამართლებრივი სიტუაციის ცნება, უწოდა მას სამართლის მდგომარეობა, გაწმინდა საპროცესო ურთიერთობათა „მინარეუებისაგან“ და ამით, თითქოსდა შექმნა შესაძლებლობა, აეხსნა სისხლის სამართლის პროცესის მოვლენა მის საეციფიკურ თავისებურებებში.

ი.გოლდშმიდტის თეორიის თანახმად, სამართლებრივი მდგომარეობის ქვეშ მოიაზრება სამართლებრივი ხელვა სასამართლო გადაწყვეტილების სასიკეთობაზე ან არასასიკეთობაზე. გარკვეული სამართლებრივი მდგომარეობა იქმნება სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა საპროცესო მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების ხარჯზე (მაგალითად, პროკურორის მიერ საჯარო ბრალდების აღძვრა ან ბრალდებულის სამართალში მიცემა). თავისი ხასიათით სამართლის მდგომარეობა გამოირჩევა არასრულყოფილებით, გამოხატავს გარკვეული მოლოდინის მდგომარეობას სამართლის საბოლოოდ (განაჩენის დადგენის) ჩამოყალიბებამდე.

¹ Goldschmidt J. Der Prozeß als Rechtslage. Berlin, 1925.

სისხლის სამართლის პროცესის, როგორც სამართლის მდგომარეობის, ძირითად იდეებს ფართოდ აღიარებს გურ-ის თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესი.

გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი არის, განაჩენის დადგენის მიზნით, კანონით მოწესრიგებული საქმის მოძრაობა. ამ მოძრაობის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს განაჩენისა და იმის აღსრულებისაკენ დინამიური სწრაფვა. პროცესი ვითარდება სისხლის სამართლებრივი დევნის, სახელმწიფო ორგანოების, სასამართლოსა და ბრალდებულის მიერ კანონით გათვალისწინებული ფორმით შესრულებული მოქმედებების მეშვეობით. საქმეში მონაწილე პირთა შეხედულებიდან გამომდინარე, ყველა საპროცესო მოქმედება მიზნად ისახავს სასურველი განაჩენის გამოტანას. ყოველი საპროცესო მოქმედება ქმნის „მდგომარეობას“, რომლის თანახმად, პროცესის მონაწილეები ამოწმებენ თავიანთ „შეხედულებას“ სასურველ განაჩენზე და განსაზღვრავენ, თუ როგორი მოქმედებანი უნდა შესრულონ მათ, რათა ეს „შეხედულება“ გახდეს გაცილებით ხელსაყრელი.

ამ გაგებით, პროცესი დაყოფილია ცალკეულ „მდგომარეობებად“, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან. თითოეული მათგანი წარმოადგენს მხოლოდ შუალედურ პუნქტს და არ გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა განაჩენის დადგენამდე, რომელიც საბოლოო სამართლებრივ სიტუაციას ქმნის. სისხლის სამართლის პროცესი განისაზღვრება, როგორც სამართლით რეგულირებული, „მდგომარეობიდან“ „მდგომარეობამდე“ განვითარებადი მოძრაობა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით. გურ-ის სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში სისხლის სამართლის პროცესის კონცეფციის აღიარება, როგორც სამართლის მდგომარეობისა, დაკავშირებულია საპროცესო ურთიერთობების, მხარეთა ცნებისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უარყოფასთან.

საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები დამახასიათებელია მხოლოდ სამოქალაქო პროცესისათვის, სადაც არსებობს ორმხრივი ან სამმხრივი საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები. აქ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდეგ მხარეებს შორის დაუყოვნებლივ წარმოიშობა ასეთი სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება სისხლის სამართლის პროცესს, ის იწყება სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული საქმიანობით, რომელსაც ახორციელებენ პროკურატურა და პოლიცია. ამიტომ, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები არ არის განსაკუთრებული

საპროცესო ხასიათის, კერძოდ, ასახავს მატერიალურ უფლებებსა და მოვალეობებს სახელმწიფო სამართლის ასპექტში. თუ არ არსებობს საპროცესო უფლებები და მოვალეობები, მაშინ არ არსებობს საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები.

თეორიაში განიმარტება, რომ გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში არ გამოიყენება მხარეთა ცნება, ვინაიდან პროკურორი ვერ იქნება თანაბარ მდგომარეობაში ბრალდებულთან. პროკურორს მინიჭებული აქვს სახელმწიფო ძალაუფლებრივი უფლებამოსილებანი, მის განკარგულებაშია პოლიციისა და უშიშროების სამსახურების მძლავრი აპარატი. პროკურორს უფლება აქვს გამოიყენოს საპროცესო იძულების ღონისძიებანი, ხოლო ბრალდებული (თუმცა მას გააჩნია გარკვეული უფლებები) მაინც „არათანაბარი მხარეა“.

მხარეთა ცნების უარყოფა კანონზომიერად წარმოშობს შეჯიბრებითობის პრინციპის კატეგორიულ მიუღებლობას. ასეთი პოზიცია ხშირად ეყრდნობა სასამართლო განხილვის საკანონმდებლო რეგულირებას. გერმანიის სსსკ-ის თანახმად, საქმის განხილვის ხელმძღვანელობას, განსასჯელის დაკითხვასა და სასამართლო გამოძიებას ახორციელებს თავმჯდომარე. სასამართლო განხილვა არ მიმდინარეობს როგორც მოწინააღმდეგე მხარეთა პაექრობა, არამედ სასამართლომ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა მიერ მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების წარდგენისაგან დამოუკიდებლად უნდა დაადგინოს ჭეშმარიტება, ამიტომ სასამართლო წარმოება არ შეიცავს შეჯიბრებითობის ელემენტებს.

გურ-ის სისხლის სამართლის პროცესში, შეჯიბრებითობის პრინციპის უარყოფიდან გამომდინარე, არ იქნება მართებული, ასეთი სახის პროცესი განვმარტოთ, როგორც შერეული, საგამოძიებო-შეჯიბრებითი. თვითონ გერმანელი პროცესუალისტები (კროქსინი და სხვა) თავიანთ სისხლის სამართლის პროცესს მიაკუთვნებენ განსაკუთრებულ ტიპს, რომელიც განსხვავდება ინკვიზიციური და შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესისაგან. ისინი განსაზღვრავენ მას როგორც „ბრალდებით-საგამოძიებოს“. „ბრალდებითი“ ნიშნავს, რომ მხოლოდ პროკურატურის მიერ აღძრული საჯარო ბრალდების არსებობისას დაიშვება სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა, ხოლო, „საგამოძიებოს“ უწოდებენ იმდენად, რამდენადაც თვითონ სასამართლო გამოიკვლევს საქმის ყველა გარემოებას და არ იზღუდება სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა შუამდგომლობებით.¹

¹ Roxin C. Strafverfahrensrecht. 1991. S.89.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო თეორიის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას გადაწყდება ორი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისი ორგანოების სახით დევნის განმახორციელებელი სახელმწიფო საკუთარ ინტერესებს ხედავს მატერიალური სისხლის სამართლის განხორციელებასა და დამნაშავეთა დასჯაში. ხოლო, პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დევნა, იცავს თავის ინტერესებს თავისუფლების სფეროში, რათა შეძლებისდაგვარად ნაკლებად მოხდეს მისი პირადი თავისუფლების, საკუთრების, ბინის, მიმოწერის საიდუმლოების და ა.შ. უფლებათა დარღვევა. შედეგად, მიიღწევა თანაზომიერი და სამართლიანი კომპრომისი: სახელმწიფო ახორციელებს მატერიალურ სისხლის სამართალს, ხოლო ბრალდებული აღწევს იმას, რომ მინიმალური შეჭრა მოხდეს მისი პირადი ურთიერთობების სფეროში. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო დოქტრინით ფართოდ აღიარებული ეს კონცეფცია ახდენს სახელმწიფოსა და პიროვნებებს შორის ურთიერთობების დეკლარირებას, რომლებიც უნდა ჩამოყალიბდეს სისხლის სამართალწარმოების სფეროში, საყოველთაო ადამიანურ ღირებულებათა გათვალისწინებით.

გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესის ამოცანათა განხილვისას საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ შეიცავს ნორმებს, რომლებიც პირდაპირ მოაწესრიგებენ ამ ამოცანებს. მოცემული პრობლემა გადაწყვეტილია თეორიულ გამოკვლევებში, რომლებიც ემყარება თანამედროვე გერმანული სახელმწიფოს (იგი კონსტიტუციით გამოცხადებულია როგორც სამართლებრივი და სოციალური) როლის ანალიზს, მის ურთიერთობას საზოგადოებასა და მის ცალკეულ წევრებთან (მოქალაქეებსა და სხვა პირებთან).

ასეთი მიდგომა განაპირობებს ქვემოთ მოყვანილი დებულებების, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების, აღიარებას. ესენია:

- დამნაშავეთა გამოვლენა, დასჯა და ამით საზოგადოების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან;

- სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და უდანაშაულო პირთა მსჯავრდების დაუშვებლობა;

- ბრალდებულის პირადი თავისუფლებების სფეროში სახელმწიფო ორგანოთა შეჭრის შეზღუდვა იმ მინიმალური ფარგლებით, რაც

ნამდვილად აუცილებელია დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის;

- ბრალდებულის, ისევე როგორც სამართლებრივ სახელმწიფოში ნებისმიერი სხვა პირის უფლებების, თავისუფლებების, პატივისა და ღირსების უზრუნველყოფა;

- სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების მხრიდან ნებისმიერი საპოლიციო-სახელმწიფოებრივი ხასიათის გარემოებების ბოროტად გამოყენების შემთხვევათა დაუშვებლობა.

2. გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებში მოიაზრება სახელმძღვანელო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იდეები, რომლებიც განმტკიცებულია კანონით და განსაზღვრავენ სისხლის სამართალწარმოების აგებულებას (ორგანიზაციას).

გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის განვითარების ისტორიასა და მისი პრინციპების ფორმირებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა გერმანიის 1848 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ. „გერმანელი ხალხის ძირითადი უფლებების შესახებ“ დეკლარაციაში, რომელიც მიიღო ფრანკფურტის ეროვნულმა კრებამ, და ცალკეულ გერმანულ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში აღიარებული იყო მართლმსაჯულების ახლებური ორგანიზაციის პრინციპები: კაბინეტური იუსტიციის ლიკვიდაცია; პროცესის საქვეწორობა და ზეპირობა; კანონიერი მოსამართლის უფლება; პირადი თავისუფლების დაცვა უკანონო დაატ-იმრებისა და ჩხრეკისაგან; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება. მოგვიანებით, გერმანიის გაერთიანების შემდეგ, მრავალი პრინციპი განამტკიცა 1877 წლის გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა.

თეორიაში არ არსებობს სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების სისტემის განსაზღვრისადმი ერთიანი მიდგომა. ერთ შემთხვევაში, სისტემა მოიცავს ყველა პრინციპს და მათ ზოგად სისხლის-საპროცესოს უწოდებენ. ეს პრინციპებია: ოფიციალურობა; ბრალდება; კანონიერება; სისხლის სამართლის საქმის ყველა გარემოებათა გამოკვლევის სავალდებულოობა; სამართლებრივი სასამართლო მოსმენა; საქმის სწრაფი წარმოება; უშუალობა; ზეპირობა; მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასება; ყოველგვარი ეჭვის განსასჯელის სასარგებლოდ გადაწყვეტა; საქვეწორობა. მეორე შემთხვევაში, იმავე პრინციპების კლასიფიცირება ხდება ცალკეული ნიშნების მიხედვით. მაგალითად, საქმის წარმოების აღძერის პრინციპები, რომლებსაც მიეკუთვნება ოფიციალურობის, ბრალდებისა და კანონიერების პრინციპები. ანდა მტკიცების პრინციპები: საქმის ყველა გარემოებათა გამოკვლევის სავალდებულოობა; უშუ-

ალობა; მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასება; ყოველგვარი ეჭვის განსასჯელის სასარგებლოდ გადაწყვეტა.

ამ პრინციპებიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ განამტკიცებს მხოლოდ შემდეგ მათგან: ოფიციალურობა (§152, ნაწილი პირველი); ბრალდება (§151, §155, §264); კანონიერება (§152, მე-2 ნაწილი); სისხლის სამართლის საქმის ყველა გარემოებათა გამოკვლევის სავალდებულობა (§155, მე-2 ნაწილი; §244).

ოფიციალურობის (საჯაროობის) პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე (ex officio), ე.ი., დაზარალებულის ნებისაგან დამოუკიდებლად. ამ პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს კერძო ბრალდების საქმეები, რომლებიც აღიძვრება დაზარალებულის საჩივრით. ოფიციალურობის პრინციპის მოქმედება შეზღუდულია რიგი სახელმწიფო დანაშაულების მიმართაც. ამ საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნისათვის საჭიროა შესაბამისი ორგანოს სპეციალური თანხმობა, რომელიც თავისი შეხედულებით გადაწყვეტს (გამომდინარე საქმის პოლიტიკური მნიშვნელობიდან), აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ უარი ითქვას მასზე. მაგალითად, ფედერალური პრეზიდენტის შეურაცხყოფისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა დაიშვება მხოლოდ მისი ნებართვით; საკონსტიტუციო ორგანოების (საკანონმდებლო ორგანოები, საკონსტიტუციო სასამართლო და მათი წევრები) შეურაცხყოფისათვის – აღნიშნული ორგანოების ნებართვით; სახელმწიფო საიდუმლოს გახმაურებისათვის – ფედერალური მთავრობის ნებართვით.

ბრალდების პრინციპის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ საჯარო ბრალდების აღძვრის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, საქმის გამოძიება, გადაწყვეტა შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ ბრალდებაში აღნიშნულ ქმედებებსა და პირებს. დამატებითი ბრალდების შესაძლებლობა სხვა ქმედებებისა და პირების მიმართ არ ეწინააღმდეგება ამ პრინციპს იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება კანონის გარკვეული მოთხოვნები.

კანონიერების (ლევალურობის—legalitätsprinzip) პრინციპის თანახმად, პროკურატურა ვალდებულია მიიღოს ზომები სისხლის სამართლის წესით დევნილ ყველა ქმედებათა მიმართ, თუ არსებობს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი. თუმცა, როგორც გერმანიის საპროცესო ლიტერატურაშია აღიარებული, მრავალრიცხოვანი გამონაკლისი იწვევს ამ პრინციპის დარღვევას და, პრაქტიკულად, მოქმედებს არა კანონიერ-

ბის, არამედ მიზანშეწონილობის (opportunitatsprinzip) პრინციპი.

სსსკ ითვალისწინებს საფუძვლების ფართო წრეს, რომელთა მიხედვითაც პროკურატურას უფლება აქვს უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე და შეწყვიტოს საქმე. ეს არ არის მხოლოდ მცირე მნიშვნელობის სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებებისა და კერძო ბრალდების საქმეები. 1968 წლის 26 ივნისის მერვე კანონმა „სისხლის სამართალში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შემოიღო მიზანშეწონილობის პრინციპი სახელმწიფო დანაშაულების მიმართ (ე.წ. „სახელმწიფოს დაცვის შესახებ“ საქმეები) და გაითვალისწინა ამ კატეგორიის საქმეთა შეწყვეტის საკმაოდ განუსაზღვრელი საფუძვლები. მაგალითად, გფრ-ის გენერალურ პროკურორს უფლება აქვს უარი თქვას სახელმწიფო დანაშაულთა სისხლისსამართლებრივ დევნაზე, თუ სასამართლო პროცესის ჩატარება გამოიწვევს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის სერიოზული ზიანის მიყენების საშიშროებას და დევნა წინააღმდეგობაში მოვა სხვა უზენაეს საჯარო ინტერესებთან.

1974 წლის 2 მარტის „გფრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის შესავალმა კანონმა“ უფლება მიანიჭა პროკურორს – შეწყვიტოს გადაცდომათა სისხლისსამართლებრივი საქმეები საჯარო ბრალდების აღძვრამდე, თუ ბრალდებული დადგენილ ვადაში შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს (შეიტანს განსაზღვრულ ფულად თანხას ზოგად სასარგებლო დაწესებულების ან სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე). ამ საკითხთან დაკავშირებით გფრ-ის საპროცესო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება (ჰ.ჰანაკი, ფ.დენკერი), რომ კანონი სისხლისსამართლებრივ მართლმსაჯულებას კომერციულ გარიგებად აქცევდა. მეორე მხრივ, აღიარებულია, რომ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების იძულება პრაქტიკაში არ გამორიცხავს კანონით აკრძალული მეთოდების გამოყენებას.

სისხლის სამართლის პროცესში სხვადასხვა სახის სამომრიგებლო ან საშუამავლო ინსტიტუტების (ინგლისური ან ფრანგული „მედიაციის“ მსგავსი¹⁾) შემოღების საყოველთაო ევროპული ტენდენციები გერმანიასაც შეეხო. მათი გამოყენების ფორმალური შესაძლებლობები ამჟამად არსებითად გაფართოებულია 1999 წლის 20 დეკემბრის სპეციალური კანონის მიღებასთან დაკავშირებით. ეს კანონი დეტალურად არეგულირებს შესაბამის პროცედურებს (სსსკ, §155a, §155b (ახალი რედაქციით)).

სისხლის სამართლის საქმის ყველა გარემოებათა გამოკვლევის

¹ იხ. ნაშრომის თავი მე-2, §5 და თავი მე-4, §6.

საკლდებულოობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ სასამართლო, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, ვალდებულია გამოიკვლიოს საქმის ყველა გარემოება და არ შეიზღუდოს პროცესის მონაწილეთა შუამდგომლობებითა და განმარტებებით. გურ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ საქმის გამოძიება, განხილვა ვრცელდება ბრალდებაში აღნიშნულ ქმედებასა და პირებზე; ამ ფარგლებში სასამართლოს უფლება აქვს და ვალდებულია განახორციელოს საქმის ფაქტობრივ გარემოებათა დამოუკიდებელი გამოკვლევა. კანონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტი და მტკიცებულება (სსსკ, §244, მე-2 ნაწ.).

სხვა პრინციპები, რომლებზეც პირდაპირ არ მიუთითებს სსსკ, გამომდინარეობენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის შესაბამის ნორმათა ანალიზიდან. მაგალითად, უშუალოდ პრინციპი ჩამოყალიბებულია სსსკ-ის §250-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სადაც აღნიშნულია: „თუ ფაქტის მტკიცება ემყარება პირის აღქმას, მაშინ იგი უნდა დაკითხოს სასამართლო სხდომაზე. დაუშვებელია დაკითხვა შეიცვალოს ამ პირის წინა დაკითხვის ოქმის ან წერილობით მიცემული განმარტებების გამოქვეყნებით“.

ზეპირობის პრინციპი ნიშნავს, რომ მხოლოდ ზეპირი, როგორც წესი, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებითი მასალის გერმანულ ენაზე არსებული გამოკვლევა შეიძლება დაედოს საფუძვლად განაჩენს. ეს პრინციპი გამომდინარეობს კანონით გათვალისწინებული ორი დებულებიდან: მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპისა და განაჩენის საგნისაგან. სსსკ-ის §261-ის თანახმად, მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგების შესახებ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც საქმის ყველა გარემოების ერთობლიობაში განხილვას ემყარება. სსსკ-ის §264-ის თანახმად, განაჩენის საგანს წარმოადგენს საქმის განხილვის შედეგად დადგენილი სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედება.

ყოველგვარი ეჭვის განსასჯელის სასარგებლოდ გადაწყვეტის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: პირველი, მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ, თუ განსასჯელის მსჯაერდებისათვის აუცილებელია მის დამნაშავეობაში სასამართლოს დარწმუნება, მაშინ ამის თაობაზე ეჭვი უნდა აბრკოლებდეს სასჯელის შესახებ საკითხის გადაწყვეტას; მეორე, უდანაშაულობის პრეზუმფიცია. გურ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასეთ პრინ-

ციკს სპეციალურად არ ითვალისწინებს, თუმცა იგი ფორმულირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციაში (რაციფიცირებული გფრ-ის მიერ 1952 წელს). ამ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებული არაბრალეულად ითვლება სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩადენაში მანამ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით. უდანაშაულობის პრეზუმეციას დამოუკიდებელი პრინციპის სახით არც გფრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო დოქტრინა განიხილავს.

სისხლის სამართლის საქმეზე სწრაფი წარმოების პრინციპი გამომდინარეობს სსსკ-ის რიგი ნორმების ანალიზიდან, რომელთა მოთხოვნის თანახმად: დაკავებულები დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინონ კომპეტენტურ მოსამართლეს დასაკითხად (§115, §128); ბრალდებულის საგამოძიებო პატიმრობის ვადა შეზღუდულია 6 თვემდე (§121); ბრალდებული, მოწმეები და ექსპერტები ვალდებული არიან გამოცხადდნენ პროკურორის გამოძახებით (§228, §229) და სხვ.

საქვეყნობის პრინციპი მოწესრიგებულია 1877 წლის კანონით „გფრ-ის სასამართლო წყობილების შესახებ“. ამ კანონის §169-ის თანახმად, სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა (განაჩენის გამოქვეყნების ჩათვლით) ღიად წარმოებს. სასამართლო დარბაზში სასამართლო პროცესის საჯაროდ გაშუქების მიზნით არ დაიშვება რადიო, სატელევიზიო გადაცემები და კინოგადაღება. სასამართლოს მიერ განსასჯელთა, მოწმეთა ჩვენებების ხმის ჩანაწერის გამოყენება და სასამართლო დათვალიერებათა კინოგადაღება დაიშვება თავმჯდომარის ზედამხედველობით. პროცესის მონაწილეებს და გაზეთის, რადიოს, ტელევიზიის კორესპონდენტებს უფლება აქვთ გააკეთონ ჩანაწერები სასამართლო პროცესის მსვლელობის შესახებ. ფოტორეგაფირება დაიშვება თავმჯდომარის ნებართვით.

სასამართლო განხილვის საქვეყნობა შეიძლება გამოირიცხოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით: თუ საფრთხე ექმნება სახელმწიფო უსაფრთხოებას, საჯარო წესრიგს ან ზნეობას; თუ საუბარია განსასჯელთა ან მოწმეთა პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების გახმაურებაზე; თუ საუბარია კომერციული, საწარმოო, შემოქმედებითი ან საგადასახადო საიდუმლოს შემცველი ცნობების გახმაურებაზე; თუ საიდუმლოების უკანონოდ გახმაურებას შესაძლებელია მოჰყვეს მოწმეებისა და ექსპერტების სისხლის სამართლის წესით დასჯა; თუ იკითხებიან 16 წელს მიუღწეველი პირები. 1974 წლის „არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოთა შესახებ“ კანონის §48-ის თანახ-

მად, ამ კატეგორიის ყველა საქმე განიხილება დახურულ სასამართლო სხდომაზე (განაჩენის გამოცხადების ჩათვლით).

ორი პრინციპი აყვანილია კონსტიტუციურის რანგში. ისინი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ზოგად პრინციპებს წარმოადგენენ და არ მიეკუთვნებიან მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესს.

გფრ-ის კონსტიტუციის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს, რომ მას მოუსმინოს სასამართლომ. აქედან გამომდინარე, განაჩენს საფუძვლად შეიძლება დაედოს მხოლოდ ის ფაქტები, რომელთა მიმართაც პროცესის მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი დამოკიდებულება. მეორე პრინციპში აღნიშნულია, რომ გფრ-ის კონსტიტუციის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ შეიძლება ვინმეს ჩამოერთვას კანონიერი მოსამართლის განსჯადობის უფლება, ე.ი. ჩამოერთვას კანონიერი სასამართლოს უფლება. ჩამორთმევაში იგულისხმება სისხლის სამართლის საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა, რომელსაც, კანონის თანახმად, არ აქვს ამ საქმის განხილვის უფლება.

§2. სისხლის საპროცესო სამართლის წყაროები

გერმანიის სისხლის საპროცესო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღებული 1877 წლის 1 თებერვალს). იგი მოქმედებს 1987 წლის 7 აპრილის რედაქციით. საპროცესო ხასიათის ნორმებს შეიცავს სხვა კანონებიც. მაგალითად: 1877 წლის კანონი „სასამართლო წყობილების შესახებ“; 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსი; 1961 წლის კანონი „მოსამართლეების შესახებ“; 1974 წლის კანონი „არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოების შესახებ“ და ზოგიერთი სხვა.

გფრ-ის კონსტიტუციაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეკლარირებულია მართლმსაჯულების ცალკეული ზოგადი პრინციპები, მოცემულია დაკავებისა და დაპატიმრების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის შესახებ მნიშვნელოვანი ნორმები.

გერმანიის სისხლის საპროცესო სამართლის წყაროებს მიეკუთვნება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ კონვენცია (რეატიფიცირებული ბუნდესტაგის მიერ 1952 წელს). ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახ-

მად, იგი ფედერალური სამართლის შემადგენელი ნაწილია. კონვენცია აღიარებს სისხლის სამართლის პროცესისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მრავალ დებულებას, რომლებიც შეეხება: ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას; თვითნებური დაკავებისაგან, დაპატიმრებისაგან დაცვის, პატიმრობის კანონიერების ან დასაბუთებულობის სასამართლო შემოწმების გარანტიებს; პირის უფლებას, რომ მოხდეს მისი საქმის კანონით გათვალისწინებული სასამართლო განხილვა; უდანაშაულობის პრეზუმფციას; დაცვის უფლებას; პროცესზე მშობლიურ ენაზე გამოხდის უფლებას.

მიწის კანონმდებლობის დონეზე (გფრ-ში 16 მიწა) სისხლის სამართლის პროცესო სამართლის წყაროებს დაპატიმრების, ჩხრეკის, სამართლებრივი მოსმენის, კანონიერი მოსამართლის უფლების და სხვა საკითხების რეგულირების ნაწილში წარმოადგენენ მიწების კონსტიტუციები. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს გფრ-ის კონსტიტუციით აღიარებული ყველა საპროცესო უფლება.

გერმანიის სსსკ მიღებულია გერმანიის გაერთიანების შემდეგ. მისი პროექტის განხილვა მიმდინარეობდა გერმანიის პარლამენტის პოლიტიკურ დაჯგუფებათა მწვავე პოლემიკის პირობებში. საკავშირო საბჭო ობისმარკის მეთაურობით, თანმიმდევრულად მოითხოვდა სისხლის სამართალწარმოებაში სახელმწიფოს უფლებამოსილებათა გაძლიერებას და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს (იგი შეიქმნა 1848 წელს) ლიკვიაციას. მეორე პალატა – რეიხსტაგი, რომელიც ლიბერალურ ბურჟუაზიას წარმოადგენდა, ცდილობდა კანონში გათვალისწინებინა მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მოთხოვნა. შედეგად, მიიღეს კომპრომისული გადაწყვეტილება: საკავშირო საბჭო დათანხმდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შენარჩუნებაზე, ხოლო, რეიხსტაგმა უარი თქვა თავის მოთხოვნაზე სისხლის სამართლის პროცესში პიროვნების უფლებების დაცვის შესახებ. ამის თაობაზე აღნიშნავდნენ, რომ იმ პერიოდში მიღებული კანონები (მათ შორის სსსკ) წინ გადადგმული ნაბიჯი იყო პრუსიული სამართლისაგან განსხვავებით. თუმცა, ნაციონალ-ლიბერალების მიერ თავიანთ პროგრამაზე უარის თქმამ გამოიწვია სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერება სამოქალაქო თავისუფლებათა ხარჯზე.

თავისი არსებობის პერიოდში (125 წელზე მეტი ხნის განმავლობაში) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მრავალჯერ შეიტანეს ცვლილებები და დამატებები, რომლებშიც შეინიშნება გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ურთიერთსაწინააღმდეგო ტენ-

დენციები. ერთი მხრივ, სისხლისსამართალწარმოებაში პიროვნების უფლებების, თავისუფლებების დაცვის, ლიბერალურ-დემოკრატიული მოთხოვნებისა და გარანტიების შემდგომი განმტკიცება კანონის ნორმებში, მეორე მხრივ, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებებაში მიცემულ პირთა უფლებების, გარანტიების შეზღუდვასა და სისხლის სამართალწარმოების გამარტივებისაკენ მისწრაფება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განსაკუთრებით „რეაქციულ“ ცვლილებებს იწვევდა გერმანიის ისტორიის გარკვეულ პერიოდებში არსებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ბრალდებულის (განსასჯელის) დაცვის უფლების ესა თუ ის შეზღუდვები გამართლებული იყო დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების, სისხლის სამართალწარმოების დაჩქარებისა და სხვა პრაგმატული მოსაზრებებით. ეს ტენდენციები გამოვლინდა ვაიმარის რესპუბლიკის შექმნის პირველივე წლებსა (1919-1924 წლები) და მისი კრახის დასაწყისში (1931-1933 წლები), როდესაც მიიღებოდა ნორმატიული აქტები (მაგალითად: 1919 წლის 19 ნოემბრის ინსტრუქცია „სახალხო სასამართლოების შექმნის შესახებ და დღგენილების გამოყენების თაობაზე“; 1932 წლის 9 აგვისტოს დადგენილება „საგანგებო სასამართლოების შექმნის შესახებ“), რომლებშიც მოწესრიგებული იყო საგანგებო სასამართლოების შექმნის წესი, (სსსკ-ის ზოგადი ნორმების საწინააღმდეგოდ) შემოღებული იყო დაჩქარებული და გამარტივებული წარმოება. ასეთ წარმოებას ახასიათებდა: საგამოძიებო დაპატიმრების, დაკავების, ჩხრეკის, ქონების კონფისკაციის განხორციელებისას თვითნებობისაგან დამცავი ნორმების შეზღუდვა ან გაუქმება; წინასწარი გამოძიების გაუქმება; სასამართლოში საბრალდებო აქტის წარდგენის აუცილებლობის არ არსებობა; სამართალში მიცემის სტადიის ლიკვიდაცია; ბრალდებულის სასამართლოში გამოძახების ვადის უკიდურესად შემცირება; სასამართლოსათვის უფლების მინიჭება თავისი შეხედულებით, განცხადებული შუამდგომლობებისაგან დამოუკიდებლად განესაზღვრა მტკიცებულებათა გამოკვლევის მოცულობა; განაჩენის გასაჩივრების დაუშვებლობა. 1924 წელს გერმანიაში გაუქმდა ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოები.

20-იანი წლების შუა პერიოდში სისხლის სამართლის პროცესში სხვა სახის ცვლილებებიც შევიდა. გერმანიაში ვითარების შედარებითი სტაბილიზაციის პერიოდში განახლდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგადი ნორმების მოქმედება. 1927 წლის 27 დეკემბრის კანონმა „სისხლის სამართალწარმოებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შემოიღო გერმანიის სისხლის სამართლის პროცესისათვის აქამდე უცნობი ინსტიტუტი – საგამოძიებო დაპატიმრების საფუძვლების

სასამართლო შემოწმება სასამართლოს ან დაპატიმრებულის ინიციატი-
ვით, დამცველის მონაწილეობით. ეს ინსტიტუტი შეიცავდა სისხლის-
სამართლებრივი დენის ორგანოების თვითნებობისაგან პიროვნების
თავისუფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს. შედგომში, ნაცი-
ტურ გერმანიაში განხორციელდა სისხლის სამართლის საპროცესო
კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა.

საგანგებო სასამართლოების სისტემის (ე.წ. განსაკუთრებული
სასამართლოები და გერმანიის უზენაესი სახალხო სასამართლო)
ორგანიზაციისა და მათთვის დაჩქარებული, გამარტივებული წარმოე-
ბის დადგენასთან ერთად არსებითად შეიცვალა სისხლის სამართლის
საპროცესო კოდექსის ზოგადი ნორმები. 1935 წლის 28 ივნისის
„სისხლის სამართლის პროცესსა და სამართალწარმოების ნორმებში
ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის საფუძველზე: გაფართოვდა
საგამოძიებო დაპატიმრების გამოყენების საფუძვლები; გაუქმდა წინას-
წარი გამოძიების ინსტიტუტი; სასამართლოს მიეცა უფრო ფართო
შესაძლებლობა თავისი თავისუფალი შეხედულებით განესაზღვრა მტკი-
ცებულებათა გამოკვლევის მოცულობა; ფართოდ გავრცელდა სისხლის
სამართლის საქმეთა დაუსწრებელი განხილვა; გაუქმდა საუარესოდ შე-
ბრუნების დაუშვებლობა.

მოგვიანებით, იქორე მსოფლიო ომის დასაწყისში, 1939 წლის
1 სექტემბერს, მიიღეს დადგენილება „სასამართლო წყობილებისა და
სისხლის სამართლის პროცესის დარგში ღონისძიებათა შესახებ“. ამ
დადგენილების თანახმად: გაუქმდა შეფენების სასამართლოები; იუსტი-
ციის სამინისტროს მიენიჭა სასამართლო სისტემის ადმინისტრაციული
წესით შეცვლის უფლება; გაფართოვდა ერთპიროვნული მოსამართ-
ლის განსჯადობა; შეიზღუდა საერთო სასამართლოების განაჩენების
გასაჩივრების უფლება; თავმჯდომარეს მიენიჭა უფლება, ფაქტობრივად,
თვითნებურად განესაზღვრა მტკიცებულებათა გამოკვლევის მოცულობა.
სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიზანმიმართული
ნგრევა დაასრულა ე.წ. სისხლის სამართლის პროცესის გამარტივების
შესახებ დადგენილებათა სერიამ (1942წ., 1943წ., 1944წ.): გაუქმდა სა-
მართალში მიცემის სტადია საქმეთა საერთო სასამართლოებში განხილ-
ვისას; მკვეთრად გაძლიერდა ერთპიროვნული უბნის მოსამართლის
სადამსჯელო ძალაუფლება; კოლეგიურ სასამართლოში თავმჯდომარეს
მიენიჭა განაჩენის ერთპიროვნულად გამოტანის უფლება; გაუქმდა სას-
ამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობა; უსაზღვროდ გაფართოვდა
მოსამართლის უფლება – გამოექვეყნებინა განსასჯელთა და მოწმეთა

დაკითხვის ოქმები; მოსამართლეს ჩამოერთვა ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ ბრძანების ვაცემის კომპეტენცია და იგი პროკურორს გადაეცა. 1945 წლის თებერვალში შეიქმნა სამხედრო საველე სასამართლოები.

სისხლის სამართლის პროცესისა და სამართალწარმოების სფეროში ნაციონალური კანონმდებლობა გაუქმდა ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციის შედეგად.

პოტსდამის შეთანხმებები მართლმსაჯულების შესახებ მის რეორგანიზებას ღებოკრატიის პრინციპების შესაბამისად ითვალისწინებდნენ, კანონიერებისა და ყველა მოქალაქის თანასწორობის საფუძველზე, მათი რასის, რელიგიისა და ეროვნების მიუხედავად. საკონტროლო საბჭოს 1945 წლის 30 სექტემბრის №4 კანონმა დაადგინა, რომ მართლმსაჯულების განვითარების შემდგომი ღებოკრატიული საყრდენი იქნებოდა გერმანიის სსსკ და 1877 წლის კანონი „სამართალწარმოების შესახებ“ (1924 წლის რედაქციით), რომლებიც ყველა საოკუპაციო ზონაში მოქმედებდნენ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ ბუნდესგსტაგმა 1950 წლის 12 სექტემბერს მიიღო კანონი „სასამართლო მოწყობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საგადასახადო სამართალწარმოების სფეროში სამართლის ერთიანობის აღდგენის შესახებ“. ამ კანონით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეიტანეს ცალკეული ცვლილებები და დამატებები. იგი ითვალისწინებს დამატებით §136a, რომელმაც აკრძალა ბრალდებულის დაკითხვის უკანონო მეთოდების გამოყენება. 1950 წლიდან გფრ-ის ტერიტორიაზე მოქმედებს 1877 წლის გერმანიის სსსკ-ის განახლებული რედაქცია.

1949 წლის 23 მაისის გფრ-ის კონსტიტუციამ გაითვალისწინა მართლმსაჯულების ღებოკრატიული განვითარების გარანტიის მნიშვნელოვანი ღებულებები. კონსტიტუციის 101-ე მუხლით აღიარებულია, რომ: „დაუშვებელია საგანგებო სასამართლოების შექმნა. დაუშვებელია ვინმეს ჩამოცილება თავისი კანონიერი მოსამართლის განსჯადობისაგან. განსაკუთრებული კომპეტენციის სასამართლოების შექმნა დაიშვება მხოლოდ კანონის საფუძველზე“. მასში გათვალისწინებულია, ასევე, მოქალაქეთა დაკავების, დაპატიმრების კანონიერების სამართლებრივი გარანტიები და სასამართლო კონტროლი (104-ე მუხ.).

შემდგომში გფრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ვითარდებოდა ღებოკრატიული ძალის გავლენით, რომლებიც 50-იანი წლების ბოლოს მხარს უჭერდნენ სისხლის

სამართლის პროცესის ფართო დემოკრატიზაციას, ბრალდებულის დაცვის უფლების გაფართოებას, გმობდნენ მრავალრიცხოვანი დაპატიმრებების უკანონო პრაქტიკას.

1964 წლის 19 დეკემბერს მიიღეს „სისხლის სამართალწარმოებასა და სასამართლო წყობილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონი, რომელიც ცნობილია „სისხლის სამართლის პროცესის მცირე რეფორმის“ სახელით. ამ კანონმა: განამტკიცა ბრალდებულის დაპატიმრებისას მისი გაქცევის საშიშროებისა ანდა საქმის გამოძიებისათვის ხელის შეშლის საეკლდებულო დასაბუთებულობის მოთხოვნა და დაპატიმრების ვადა შეამცირა ნ თვემდე; შემოიღო მოკვლევის დროს ბრალდებულის საეკლდებულო დაკითხვა; მიანიჭა ბრალდებულს წინასწარი გამოძიების დასრულების შემდეგ, დამცველის მონაწილეობით საქმის მასალების გაცნობის, დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის წარდგენისა და ჩატარებული გამოძიების შედეგების შესახებ საკუთარი დამოკიდებულების გამოთქმის (პროკურორის მიერ მისი ბოლო მოსმენისას) უფლებები; გააფართოვა დამცველის მიმოწერის უფლება პატიმრობაში მყოფ ბრალდებულთან.

როგორც დასავლეთ გერმანელი პროცესუალისტი ალნიშნავდნენ, რეფორმამ გააუქმა კაიზერის გერმანიის ძველი სსსკ-ის მხოლოდ მეტად არქაული დებულებანი.

70-იანი წლების დასაწყისში გფრ-ის იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა სისხლის სამართლის პროცესის საერთო რეფორმის ჩატარების აუცილებლობის შესახებ იმ მიზნით, რომ მომხდარიყო სისხლისსამართალწარმოების რაციონალიზაცია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმტკიცება, სისხლის საპროცესო სამართლის ეფექტურობის გაზრდა, მოქალაქეთა სამართლებრივი დაცვის გაძლიერება და მათი უფლებების უზრუნველყოფა. თუმცა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი განვითარება გაგრძელდა კანონში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანით, რომლებიც თავისი ხასიათით განსხვავდებოდნენ სისხლის სამართლის პროცესის საერთო რეფორმით აღიარებული ამოცანებისაგან.

70-იანი წლების შუა პერიოდიდან დაწყებული გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიიღეს უამრავი კანონი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სისხლისსამართალწარმოების დაჩქარებასა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. როგორც ამ კანონების ანალიზი გვიჩვენებს, დასახული მიზნების მიღწევა დაკავშირებული იყო ბრალდებულის უფლებების შეზღუდვასა და მისი საპროცესო მდგო-

ძარეობის გაუარესებასთან. გერმანიის საპროცესო ლიტერატურაში (გ.ბემანი, გ.გრიუნვალდი) სსსკ-ის ასეთ ცვლილებებს მიიჩნევდნენ, როგორც კანონმდებლის გადახვევას ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულებიდან, პიროვნების ინტერესების დარღვევას, სახელმწიფო ხელისუფლების როლის გაზრდას სისხლისსამართალწარმოებაში.

სისხლისსამართალწარმოების დაჩქარების მიზნით, 1974 წლის 9 დეკემბრის „სისხლის საპროცესო სამართლის რეფორმის შესახებ“ კანონმა გააუქმა წინასწარი გამოძიების ინსტიტუტი, რომელიც გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში ტრადიციულად განიხილებოდა, როგორც სამოსამართლო წინასწარი გამოძიება, რომელიც ბრალდებულს დაცვისათვის მეტ უფლებებს ანიჭებდა მოკვლევასთან შედარებით; უზრუნველყოფდა საქმის მიუკერძოებელ, ობიექტურ გამოძიებას, ვინაიდან მას დამოუკიდებელი გამოძიების მოსამართლე ატარებდა და თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, როგორც გარანტია დაუფარავად აღიარებული არაობიექტური საპროკურორო მოკვლევის წინააღმდეგ. ამავე კანონით მთლიანად გაუქმდა სსსკ-ის ის ნორმები, რომლებიც წინასწარი გამოძიების დამთავრების გარდა არეგულირებდნენ ბრალდებულის დაცვის ისეთ უზნიშვნელოვანეს უფლებებს, როგორიცაა: წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ დამცველთან ერთად საქმის მასალების გაცნობა; დამატებითი მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობების განცხადების უფლება; საბრალდებო აქტის სასამართლოში წარმართვის შესახებ პროტესტის განცხადება; პროკურორისადმი თხოვნით მიმართვის უფლება, რომ მოისმინოს მისი (ბრალდებულის) მოსაზრებები ჩატარებული გამოძიების თაობაზე და ა.შ. ზემოთ ჩამოთვლილ ყველა უფლებას ითვალისწინებდა 1964 წლის „სისხლის სამართლის პროცესის მცირე რეფორმის“ კანონი.

1974 წლის 20 დეკემბრის კანონმა „სისხლის საპროცესო სამართლის რეფორმის პირველი კანონის დამატების შესახებ“ (რომელიც მიიღეს ულტრამემარცხენე ტერორისტული ორგანიზაციის – ბადერ-შინჰოფის საქმის გახმაურებულ პროცესთან დაკავშირებით ადვოკატების მხრიდან თავიანთი უფლებების ბოროტად სარგებლობის შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით) გაითვალისწინა გერმანიის სისხლის სამართლის პროცესისათვის მანამდე უცნობი, ადვოკატის პროცესიდან ჩამოშორების ინსტიტუტი. კერძოდ, ადვოკატს ჩამოაშორებენ პროცესიდან იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ მას კონსპირაციული კავშირები აქვს ეჭვმიტანილთან ანდა ბოროტად იყენებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შესვლის

უფლებას დანაშაულის ჩადენის მიზნით. რაც შეეხება სახელმწიფო დანაშაულთა საქმეებს, ადვოკატის ჩამოსაშორებლად პროცესიდან საკმარისია, რომ მისი პროცესში მონაწილეობა შესაძლო საფრთხეს უქმნიდეს გფრ-ის უშიშროებას. კანონი კრძალავს ერთი და იმავე ადვოკატის მიერ ერთდროულად რამდენიმე განსასჯელის დაცვის უფლებას, აუქმებს დამცველის მნიშვნელოვან უფლებას – გამოვიდეს სიტყვით, გააკეთოს ახსნა-განმარტებები მტკიცებულებათა გამოკვლევის შესახებ სასამართლო განხილვისას (კერძოდ, განსასჯელის დაკითხვის შემდეგ) და ამ უფლების გამოყენების საკითხის გადაწყვეტას მიანდობს თავმჯდომარეს.

1976 წლის 18 აგვისტოს კანონმა „სისხლის სამართლის კოდექსის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, სასამართლო მოწყობის შესახებ კანონის, ფედერალური ადვოკატურის შესახებ დებულებისა და სასჯელთა აღსრულების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ბრალდებულის დამცველთან თავისუფალი მიმოწერისა და ურთიერთობის უფლებასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ ტერორისტული ორგანიზაციის საქმეებზე დამცველის მიერ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის მისამართით გაგზავნილი ყველა საქმიანი წერილი უნდა გაეგზავნოს შესაბამის მოსამართლეს დასათვალისწინებლად.

1978 წლის 14 აპრილის კანონმა „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შემოიღო მთელი რიგი შეზღუდვები, რომელიც შეეხებოდა მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს ბინის ხელშეუხებლობისა და პიროვნების თავისუფლების შესახებ. კანონმა ტერორისტული ორგანიზაციის წევრობაში ეჭვმიტანილ პირთა დაკავების მიზნით: გააფართოვა საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკის საფუძველი; მისცა უფლება მოსამართლეს, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – პროკურორსა და პოლიციას, რომ ქუჩებში, მოედნებსა, სხვა საზოგადოებრივ ადგილებში შექმნან საეციალური საკონტროლო პუნქტები, სადაც მოქალაქეები ვალდებულნი არიან დაადასტურონ თავიანთი ვინაობა (პიროვნება) და წარმოადგინონ ნივთები ჩხრეკისათვის; განამტკიცა პროკურატურისა და პოლიციის უფლება – პიროვნების დადგენის მიზნით დააკაონ არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირები, არამედ ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის დაკავშირებული დანაშაულთან, ვინაიდან ეს უზრუნველყოფს საქმის გამოძიებას; დააწესა, ტერორისტული ორგანიზაციის საქმეებზე დამცველისა და ბრალდებულის პირადი საუბრებისას, ციხის შენობა, სადაც მიმდინარეობს შეხვედრა, აღჭურვილი უნდა იყოს ე.წ. გამყოფი

მინით, რაც გამორიცხავს წერილობითი მასალებისა და საგნების გადაცემას.

1986 წლის 19 აპრილის კანონმა „საყოველთაო საპოლიციო ძების შესახებ“ პოლიციას მიანიჭა უფლება – ეჭვმიტანილთა დაკავებისა და დანაშაულთა გახსნის მიზნით პოლიციის ოპერატიულ-საცნობარო სისტემათა კომპიუტერებში შეიყვანონ მოქალაქეთა შესახებ დაწერილობითი ოპერატიული ინფორმაცია, ასევე, ავტომატურად „წაიკითხონ“ კომპიუტერის მეშვეობით სატელეფონურად დამზადებული პასპორტები, პირადობის მოწმობები მათში კოდირებული მონაცემებით მათი მფლობელების შესახებ.

80-იანი წლების ბოლოს გფრ-ში მიიღეს სხვა კანონებიც. 1987 წლის 27 იანვრის კანონმა „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ გაითვალისწინა მთელი რიგი დამატებები სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების დაჩქარებისა და სისხლის სამართალწარმოების ეფექტურობის გაზრდის მიზნით (კერძოდ, სასჯელის შესახებ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო ბრძანების გადასინჯვის შესაძლებლობა).

გდრ-ასა და გფრ-ას შორის დადებული „გერმანიის ერთიანობის აღდგენის შესახებ“ შეთანხმების (1990 წლის 31 აგვისტო) საფუძველზე გერმანიის გაერთიანებასთან (1990 წელი) დაკავშირებით ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე გაერცელდა გფრ-ის კონსტიტუციისა და მთლიანად სამართლებრივი სისტემის მოქმედება.

შემდგომში (როგორც მანამდე) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მრავალი დამატება შევიდა. ასე მაგალითად, „ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობისა და ორგანიზებული დამნაშაულობის სხვა ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონმა (1992 წლის 15 ივლისი) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემოიღო ახალი პარაგრაფები, რომლებიც არეგულირებდნენ ფარულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა წარმოებას, კერძოდ: დანაშაულებრივ ორგანიზაციებში პოლიციის ოფიციალური მუშაკების ოპერატიული ჩანერგვა საიდუმლო აგენტების როლში; ფარული ფოტოგრაფირება; ფარული საგარეო თვალთვალი; შესაბამის ტექნიკურ საშუალებათა ფარული გამოყენება. 1993 წლის 11 იანვრის კანონმა „სისხლის სამართალწარმოების განტიერთვის შესახებ“: გააფართოვა სისხლის სამართლის საქმეების შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალი; იმავე მიზნით შეზღუდა სააპელაციო წესით იმ განაჩენთა გასაჩივრება, რომელთა საფუძველზედაც მსჯავრდებულს სასჯელის სახით დაეკისრა უმნიშვნელო

ფულადი ჯარიმა; გააძლიერა უბნის სასამართლოს სადამსჯელო უფლებამოსილება და მისცა მას სასჯელის სახით 4 წლამდე ვადით, ხოლო ერთპიროვნულ მოსამართლეს – 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების უფლება. ამავე კანონმა გაითვალისწინა მოწმეების ჯანრთელობისა და სიცოცხლის დაცვის დამატებითი ღონისძიებები.

90-იანი წლების მეორე ნახევარში სსსკ-ში შევიდა ცალკეული დამატებები. მაგალითად, 1997 წელს გაფართოვდა მოქალაქეთა სატელეფონო და სხვა სახის საუბრების ფარული მოსმენის საფუძველები.

§3. მტკიცება სისხლის სამართლის საქმეებზე: თეორიისა და პრაქტიკის საფუძველები

მტკიცებულებათა თეორიას განსაკუთრებული ადგილი უკავია გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის ზოგად თეორიაში და წარმოადგენს მის ფუნდამენტურ სამეცნიერო საფუძველს.

მტკიცებულებათა თეორია განვითარდა გარკვეული იდეების სისტემის სახით, რომლებიც შეეხება არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების ზოგად დებულებებს, არამედ ცალკეული სახის მტკიცებულებათა თეორიულ კონსტრუქციებს. ეს იდეები ჩამოყალიბდა გერმანიაში გაბატონებული ფილოსოფიური სკოლებისა და მიმდინარეობების ზემოქმედებით. XIX საუკუნის დასასრულს განისაზღვრა მტკიცებულებათა თეორიის საერთო სტრუქტურა და შინაარსი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული ორი – ზოგადი და კერძო ნაწილისაგან შედგება. ზოგადი ნაწილი მოიცავს ისეთ ფუძემდებლურ ცნებებს, როგორცაა: მტკიცებულებები და მათი კლასიფიკაცია, მტკიცება და მისი სახეები, მტკიცების მიზანი, საგანი, ტვირთი, აკრძალვები. კერძო ნაწილი მოიცავს მტკიცებულებათა ცალკეულ სახეებს, რომელსაც წარმოადგენენ ბრალდებული, მოწმე, ექსპერტი, ნივთიერი მტკიცებულებები.

1. გერმანიის მტკიცებულებითი სამართლის თეორიისათვის უცხოა მტკიცებულების განსაზღვრება. ზოგიერთ შემთხვევაში უბრალოდ უკრძობიან იმ მტკიცებულებათა სისტემას, რომელიც მიღებული იყო ჯერ კიდევ ინკვიზიციურ პროცესში და მოიცავდა განსხვავებული ბუნების მქონე მონაცემთა წყაროებს. მათ რიცხვს მიეკუთვნება: ბრალდე-

ბული, მოწმე, ექსპერტი, დათვალიერება, დოკუმენტები.¹ ზოგჯერ მტკიცებულებებს უწოდებენ ბრალდებულის ჩვენებას, მოწმის ჩვენებას, ექსპერტის დასკვნას, ნივთიერ მტკიცებულებებს.² სხვა შემთხვევებში მიღებულია გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში საყოველთაოდ აღიარებული, მტკიცებულებათა კლასიფიკაცია მონაცემთა წყაროს ხასიათის მიხედვით.

ამის შესაბამისად მტკიცებულებები იყოფა ნივთებად (საგნებად) და პირებად. ნივთები ეწინააღმდეგება მტკიცებას თავისი გარეგნული სახით, თვისებებით (სასამართლო დათვალიერების ობიექტები), მათზე წერილობითი (დოკუმენტების) ჩანაწერების სახით აღბეჭდილი ადამიანთა ნაფიქრალით. პირები - მათი ფიზიკური თავისებურებების, მდგომარეობის (შემოწმების ობიექტები), მოწოდებული ცნობების (პირველ რიგში საქმე ეხება მოწმის ჩვენებას) სახით. მაგრამ ასეთი კლასიფიკაცია, როგორც ეს აღიარებულია გერმანიის საპროცესო ლიტერატურაში, იწვევს თავისი ბუნებით არაერთგვაროვანი წყაროების იზოლირებულ ჯგუფებში ხელოვნურ გაერთიანებას, ნივთიერი მტკიცებულებების როგორც საუკეთესოს დაპირისპირებას პიროვნულ მტკიცებულებებთან როგორც უარესთან.³

მტკიცებულების, როგორც მონაცემთა წყაროს გაგებაში მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება შემეცნების მგრძობელობითი ფორმის აბსოლუტიზაცია, მგრძობელობითი აღქმისათვის შემეცნების ერთადერთი წყაროსა და ცოდნის უტყუარობის ერთადერთი კრიტერიუმის მნიშვნელობის მინიჭება. მგრძობელობითი აღქმა ემპირიზმის პოზიციით განიხილება არა მხოლოდ როგორც შემეცნების წყარო, არამედ როგორც ცოდნის შინაარსი. ხდება ცოდნის შინაარსის გაიგივება აღქმის წყაროსთან. ამიტომ მტკიცებულებების ქვეშ მოიაზრება მონაცემთა წყარო, ხოლო ფაქტობრივ მონაცემებს მტკიცებულებათა ცნება არ მოიცავს.

თუ მტკიცებულებას წარმოადგენს თვითონ ბრალდებული ან მოწმე, მაშინ მტკიცების სუბიექტების ძირითადი ყურადღება კონცენტრირებულია მათ პიროვნებასა და მოქმედებაზე პროცესში. სპეციფიკურ ელფერს იძენს ასევე მტკიცებულებათა შეფასებაც. სასამართლო ვალდებულია, როგორც ამას განმარტავს გერმანიის უზანესი სასამართლო, შეაფასოს ბრალდებულის თვითგამოვლინებები, საპროცესო აქტების გამოცხადებისას მისი რეაქციები, გარეგნული გამოძლავლება და ფიზიკური მდგომ-

1 Meurer D. Strafprozessrecht. 1983. S. 108.

2 Schmidt F. b. Lehrkommentar zur Strafprozessordnung und zum Gerichtsverfassungsgesetz. 1957. T. 2. S. 658-659

3 Roggemann H. Das Tonband in Verfahrensrecht. 1962. S. 26.

მარეობა როგორც დაკითხვის შედეგი. მოსამართლის რწმენა გარკვეულ წილად ყალიბდება არა ობიექტური ფაქტების საფუძველზე, არამედ გარკვეული შთაბეჭდილებების ზემოქმედებით და მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსამართლის სუბიექტურ შეხედულებაზე.

2. მტკიცების ქვეშ, გაბატონებული მოსაზრების შესაბამისად (რომელიც გამოთქმულია XIX ს. ბოლოს გერმანელი პროცესუალისტების მიერ (ა.კრიზი, კ.ბირკმაიერი)), მოიაზრება სასამართლოს პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც შედგება მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევის, შეფასებისაგან და მოიცავს მოსამართლის გონებრივ, ლოგიკურ საქმიანობას. მტკიცების ასეთი გაგება ხანდახან ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესის სხვა სტადიებზეც.

განასხვავებენ მტკიცების ორ სახეს: მკაცრსა და თავისუფალს.

მკაცრი მტკიცება ხორციელდება მხოლოდ სასამართლო განხილვის სტადიაზე და მდგომარეობს ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტისა და სასჯელის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენაში. ნამდვილ მტკიცებას პრინციპული ადგილი უკავია მხოლოდ სასამართლო განხილვისას, მაშინ, როდესაც წინასწარ გამოძიებაში საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ მტკიცებისათვის მომზადებას.

მკაცრი მტკიცება ხორციელდება ზეპირობისა და უშუალობის პრინციპების შესაბამისად, მტკიცებულებითი სამართლის ნორმების ზუსტი დაცვით. ამიტომ, შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ სსსკ-ით გათვალისწინებული მტკიცებულებები, რომელთა გამოყენებაც რეგულირდება კანონის სპეციალური ნორმებით (სსსკ, §244-256). კერძოდ, განსასჯელის შუამდგომლობები გარკვეული ფაქტების მტკიცებასთან დაკავშირებით სასამართლომ შეიძლება უარყოს მხოლოდ კანონში მითითებული საფუძველების შესაბამისად.

თავისუფალი მტკიცების ძირითადი განსხვავება მკაცრისაგან იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ რეგულირდება კანონით და არ არის შეზღუდული საპროცესო ფორმით. ამიტომ თავისუფალი მტკიცების პროცესში, როგორც წესი, არ გამოიყენება კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებები და არ არის საჭირო მათი გამოყენების წესების დაცვა. ასე, მაგალითად, ამა თუ იმ ფაქტების მტკიცებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა დაიშვება არა კანონის საფუძველზე, არამედ სისხლის-სამართლებრივი დევნის ორგანოებისა და სასამართლოს თავისუფალი შეხედულებების საფუძველზე. თავისუფალი მტკიცების მიზანი არის დასადგენი ფაქტების აღბათობა. თავისუფალი მტკიცება ნებისმიერი საშუალებით შეიძლება განხორციელდეს ფაქტების უტყუარობის დასად-

გენად, ხშირად კი საკმარისია მხოლოდ მათი უბრალო აღბათობა.

თავისუფალი მტკიცების საფუძველზე ტარდება სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიება.

თეორიაში ეს ძირითადად იმით აიხსნება (ვ. ჰენკელი), რომ წინასწარი გამოძიება ატარებს მოსამზადებელ ხასიათს, და არ არის ზეპირობის, უშუალობის პრინციპების გამოყენების აუცილებლობა. დანაშაულებრივი გამოვლინებების, დანაშაულის ჩადენის მოტივების, დანაშაულის ჩადენის ფორმების, დანაშაულებრივი ხელყოფის სხვადასხვა ობიექტების მრავალფეროვნება, ასევე მოითხოვენ გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის განსხვავებულ მეთოდებს, კონკრეტული საქმის მოთხოვნებთან პროკურატურისა და პოლიციის ქმედებათა განსაკუთრებულ მისადაგებას. ამის გამო წინასწარი გამოძიების სტადია „ფორმადაკარგულია“, არ არის სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით რეგლამენტირებული თავისუფალი მტკიცება, რომელიც წინასწარი გამოძიების ორგანოების მთელ საქმიანობას მოიცავს და ყოველგვარი ფორმის გარეშე შეიძლება განხორციელდეს ყველა შესაძლო ქმედების მიმართ. სსსკ ამასთან დაკავშირებით პოლიციასა და პროკურატურას აძლევს მოქმედების თავისუფლებას.

3. მტკიცების მიზანი გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში განსაზღვრულია კანონით. ეს არის – **ჭეშმარიტება**. სსსკ-ის §244-ის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ჭეშმარიტების დადგენის მიზნით ვალდებულია გამოიკვლიოს საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტი და მტკიცებულება.

ჭეშმარიტების კონცეფციის არსი გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში მღვთმარობს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის შესაძლებლობის უარყოფაში.

გერმანელი პროცესუალისტების ძველ ნაშრომებსა და გფრ-ის თანამდეროვე საპროცესო ლიტერატურაში (კბირკმეირი, ვკესერი, უკესტხოფი) გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის შეუძლებლობა ჩაღებულა თვით ადამიანის შემეცნების ბუნებაში. მას ეკუთვნის ვარაუდი, საყოველთაო არასრულყოფილების, არასრულფასოვნების ნიშნები. ადამიანური შემეცნება არა მხოლოდ არასრულყოფილია, არამედ არასაკმარისიცაა იმისათვის, რომ შევიმეცნოთ ჭეშმარიტება სისხლის სამართალწარმოებაში. სასამართლო გამოძიება ყოველთვის დამოკიდებულია ასეთი გამოკვლევის მწარმოებელ სუბიექტზე, მის პიროვნებაზე, ინდივიდუალურ გამოცდილებაზე. საბოლოო ჯამში მოსამართლე კი

არ ადგენს, არამედ თითქმის „ქმნის“ სისხლის სამართლის საქმის გარემოებებს. ყველაფერი, რაც ძალუძს მოსამართლეს ისაა, რომ იპოვოს სუბიექტური ჭეშმარიტება, რომელსაც ეწოდება „სასამართლო ჭეშმარიტება“, „იურიდიული უტყუარობა“.

მოიაზრება (ა.გუტმანი, გ.შენდელი, იუ.ვესელსი), რომ სისხლის სამართლის პროცესში ჭეშმარიტებას უნდა ეწოდოს სუბიექტური, ვინაიდან იგი დამოკიდებულია სუბიექტის თავისებურებებზე. ყოველი ადამიანისათვის ჭეშმარიტი არის ის, რასაც იგი მიიჩნევს ჭეშმარიტებად. მოსამართლე მხოლოდ ცდილობს მიუახლოვდეს ობიექტურ ჭეშმარიტებას, მაგრამ იმაზე მეტს, ვიდრე ჭეშმარიტებაში სუბიექტური თვითდარწმუნებაა, მას არ შეუძლია მიადწიოს და ეს არც არის საჭირო. ცოდნის ასეთი ხასიათი სრულიად საკმარისია სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

ჭეშმარიტების პრობლემა ხშირად ჩანაცვლებულია მოსამართლის რწმენის ცნებით, ან უტოლდება ასეთი რწმენის შინაარსის განსაზღვრის პრობლემას. ამასთან უკანსკნელი როგორც წესი, განიხილება, ფსიქოლოგიურ ასპექტში. ეს იძლევა საშუალებას ადვილად „გადიჭრას“ მოსამართლის რწმენის ფორმირების პრობლემა სპეციალურად შემუშავებული სხვადასხვა სახის ეჭვის – „ფილოსოფიური“, „აბსტრაქტულ-თეორიული“, „გონივრული“ და „პრაქტიკული“ – კონცეფციების მეშვეობით.

თავისი სუბიექტური ბუნებით „ფილოსოფიური“ და „გონივრული“ ეჭვი ერთსა და იმავე ტიპს მიეკუთვნება. მათ შორის პრაქტიკულად შეუძლებელია რაიმე განსხვავების პოვნა. ზღაერი მათ შორის ძალიან ბუნდოვანია. მთავარია, როგორც ამას მიიჩნევენ თეორიასა და პრაქტიკაში (მ.ფინკე, გ.ვალტერი, ენიზე, ფ.კრაუზე), მოსამართლეს ჩამოუყალიბდეს რწმენა, რომელიც ეჭვით არ იჭნება გაჯერებული. ამასთან მნიშვნელობა არ აქვს, იმ გარემოებას, რომ რწმენა შეიძლება იყოს მცდარი, არაუტყუარი. მთავარია თვითონ მოსამართლეს, როგორც ინდივიდს არ ეეჭვებოდეს.

გერმანიის მტკიცებულებათა თეორიაში საკმაოდ დიდი გავრცელება ჰპოვა მოსამართლის რწმენის ფორმირების პრობლემის გამოკვლევამ ფილოსოფიური ირაციონალიზმის პოზიციიდან – ამ გამოკვლევისას მოსამართლის რწმენის არსი განიმარტება, როგორც რაღაც შეუცნობადი.

ამტკიცებენ (გ.ბონე, უ.ვესტხოფი ა.ეიმერი), რომ მოსამართლის რწმენის ფორმირება მნიშვნელოვან წილად ეფუძნება ემოციურ, ირა-

ციონალურ ელემენტებს, რომლის გაგება შეუძლებელია. სასამართლო რწმენის ფორმირების პროცესი მიმდინარეობს საკუთარ კანონებს დაქვემდებარებული ფსიქიკის შრეებში, რომლებიც აზრს მოკლებულია და ვერ იჩენება რაციონალური და ლოგიკური. მხოლოდ რაციონალურიდან გამომდინარე მოსამართლეს ვერ ჩამოუყალიბდება რწმენა, რამდენადაც მხოლოდ ირაციონალური ელემენტები აძლევს მას საშუალებას მიაღწიოს სუბიექტურ რწმენას. ირაციონალიზმის იდეების პრაქტიკაში განხორციელება ეჭვისაგან „გათავისუფლების“ საშუალებას იძლევა ორი გზით: შინაგანი განცდით ან ნებელობითი გადაწყვეტილებით, ეჭვის დაძლევის სურვილით.

სისხლის სამართლის პროცესში ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის შეუძლებლობის იდეები ადამიანური შეშეცნების არასრულყოფილების შედეგად პოულობდნენ განხორციელებას ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს მრავალრიცხოვან განმარტებებში. ერთ-ერთ მათგანში ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მითითებული იყო: „აბსოლუტურად ზუსტი ცოდნა, რომელიც საერთოდ არ დაუშვებდა მოვლენების მიმართ სხვაგვარ მიდგომას, ადამიანური შეშეცნების არსრულყოფილების გამო საერთოდ გამორიცხულია. თუ მოვითხოვთ ცოდნის საიმედოობის ასეთ მაღალ ხარისხს, მაშინ სამართალწარმოება უნდა იყოს იმდენად კარგი, რამდენადაც შეუძლებელი. მაგრამ თუ მივიღებთ სამართალწარმოებას ისეთი სახით, როგორც იგი არსებობს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაშინ მოსამართლე უნდა დაკმაყოფილდეს ალბათობის ისეთი ხარისხით, რომელსაც იგი აღწევს შესაძლო, გამომრიცხავ და არსებული მტკიცებულებების კეთილსინდისიერი გამოყენებით. ალბათობის ასეთი მაღალი ხარისხი მიიღება როგორც ჭეშმარიტება“.

ფურ-ის უზენაესი სასამართლო, ინარჩუნებს რა გერმანიის ყოფილი უზენაესი სასამართლოს პოზიციათა მემკვიდრეობითობას ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის შეუძლებლობის შესახებ ადამიანის ცნობიერების არსრულყოფილების მიზეზით, თავის განმარტებაში ყურადღებას ამახვილებს მოსამართლის რწმენის მნიშვნელობაზე, განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ეჭვისა და მისი სახეების შესახებ მსჯელობას. ამ მითითებებში, რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე სასამართლო პრაქტიკის მიმართულებებს, უზენაესი სასამართლო განმარტავს: უბრალო თეორიული ან აბსტრაქტული ეჭვი, რომელიც განპირობებულია ადამიანის შეშეცნების არასრულყოფილებით, არ ეწინააღმდეგება განსასჯელის მსჯავრდებას. მოსამართლის რწმენისათვის აუცილებელი და საკმარისია ცხოვრებისეული გამოცდილების თვალსაზრისით დამაკმაყოფილე-

ბელი უტყუარობა, რომლის მიმართაც არ ჩნდება გონივრული ეჭვი. მტკიცებას დაქვემდებარებული ფაქტის საპროცესო დადგენა მოითხოვს ეჭვის დაფარვას გონიერი და ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე მოსამართლისაგან, მაგრამ არასოდეს არის ეჭვისაგან თავისუფალი აბსოლუტური უტყუარობისას.

4. გერმანიის სსსკ არ შეიცავს მტკიცების საგნის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმებს. კანონი მხოლოდ ზოგად ფორმაში ადგენს, რომ სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს საქმის გადასაწყვეტად საჭირო ყველა ფაქტი და მტკიცებულება. (სსსკ, §244, მე-2 ნაწ.).

მტკიცების საგნის ცნება თავის დეტალიზაციას მტკიცების საგნის სტრუქტურის შემუშავებაში პოულობს. გავრცელებული მოსაზრების თანახმად მტკიცების საგნის ელემენტებს წარმოადგენენ: ა) მთავარი ფაქტი; ბ) სამხილები; გ) დამხმარე ფაქტები; დ) „ცდაზე დამყარებული დებულებები“.

მთავარი ფაქტი განიხილება, როგორც რთული წარმონაქმნი, რომელიც მოიცავს უშუალოდ საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან ფაქტებს, რომლებიც ასაბუთებენ დანაშაულის შემადგენლობის არსებობას, ასევე, ფაქტებს, რომლებიც ეხება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მნიშვნელობა აქვთ სასჯელის ზომის დასადგენად, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ და სასჯელის გამოყენების გამორიცხავ გარემოებებს. ყველა ეს ფაქტი ქმნის მთავარ ფაქტს, რომელიც თავის მხრივ იყოფა შინაგან და გარეგან ფაქტებად. გარეგან ფაქტებს მიეკუთვნება დანაშაულებრივი საქმიანობა, დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი, დანაშაულის იარაღი. შინაგანი ფაქტებია – ცნობიერების, ნების, ფსიქიკური მდგომარეობის გამოვლინება: განზრახვა, მიზანი, დანაშაულის მოტივი.

სამხილები განისაზღვრება როგორც ფაქტები, რომლის საფუძველზეც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა უშუალოდ არსებული არსებითი ფაქტების შესახებ, მაგალითად, მკვლელობის მუქარის, ტანსაცმლიდან სისხლის კვალის მოცილების ფაქტი. სამხილები ასევე იყოფა შინაგან და გარეგან სამხილებად. გამოიყენება სამხილის ისეთი გაგებაც როგორცაა ფაქტები, რომლებიც წინ უსწრებენ დანაშაულს, (დანაშაულში დაინტერესება, განზრახვა), თანმხლები ფაქტები, (დანაშაულის ჩადენის ადგილზე ბრალდებულის ყოფნა), დანაშაულის შემდგომი ფაქტები (დანაშაულის კვალის დაფარვა ბრალდებულის მხრიდან).

მთავარ ფაქტთან და სამხილებთან ერთად მტკიცების საგანი მოიცავს დამხმარე ფაქტებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება მტკიცებუ-

ლებათა შეფასება, განისაზღვრება მათი მტკიცებულებითი ძალა და ხარისხი მაგალითად, ისინი მოწმობენ მოწმის მიერ სწორი ჩვენების მიცემის მიდრეკილებაზე ან მოწმის განსაზღვრულ თავისებურებებზე დაიმახსოვროს გარკვეული ფაქტები.

„ცდაზე დამყარებული დებულებების“ მტკიცების საგნის ელემენტის სახით აღიარების აუცილებლობა აიხსნება იმით, რომ გამოძიებისა და სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ხშირად ხდება სპეციალური შეშფიცების, ცოდნის სხვადასხვა სფეროდან განსაზღვრული „ცდაზე დამყარებული დებულებების“ გამოყენება. მაგალითად, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ბრალეულობის დასადგენად მნიშვნელოვანია ისეთი გარემოებების გარკვევა, როგორიცაა: შესაძლებელია თუ არა განსაზღვრულ დროში გარკვეული მანძილის გადაღახვა გადაადგილების თანამედროვე საშუალებების დახმარებით, ან რა მანძილიდან მოხდა დაზარალებულის მისამართით გასროლა. მაგრამ ყველა „ცდაზე დამყარებული დებულებები“ არ შეიძლება იყოს სასამართლოსათვის ცნობილი. ამიტომაც მოიცავს მათ მტკიცების საგანი და უნდა იქნენ დამტკიცებულნი. საუბარია ექსპერტიზაზე. გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში ექსპერტიზის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს კონცეფცია „ცდაზე დამყარებული დებულებების“ შესახებ.

სამართლის ნორმების შეფარდების საკითხებს მტკიცების საგანი არ მოიცავს.

მტკიცებას არ ექვემდებარება ე.წ. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და სამართლებრივი პრეზუმფციები.

საყოველთაოდ ცნობილი ან ნოტარიული ფაქტების ქვეშ ფიგურირებენ ორი სახის ფაქტები: საყოველთაოდ ცნობილი და „სასამართლოსათვის ცნობილი“ ფაქტები.

პირველია—ფაქტები, რომელიც ყოველთვის ცნობილია გონიერი, განსჯის უნარის მქონე ადამიანისათვის, და მონაცემები მათ შესახებ შეიძლება შეუფერხებლად მივიღოთ სანდო, ყველასთვის ხელმისაწვდომი წყაროდან, სპეციალური ცოდნის გარეშე. მათ არ აქვთ კავშირი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებთან და არ არიან დაკავშირებულნი ბრალდებასთან. მათ ძირითადად მიეკუთვნება მონაცემები ბუნების მოვლენების შესახებ, საზოგადოებრივ-კულტურული, პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებზე და ა. შ.

მეორეა—ფაქტები, რომელთა შესახებ მონაცემებს მოსამართლე დებულობს თავისი მოღვაწეობის შედეგად, უპირველეს ყოვლისა სხვა პროცესებიდან. ისინი დაკავშირებულია დანაშაულის შემადგენლობის

ნიშნებთან, ბრალდების წაყენებასთან. გფრ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად „სასამართლოსათვის ცნობილ“ ფაქტად განიხილებოდა თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის დასავლეთ-გერმანული კავშირის ანტიკონსტიტუციური საქმიანობა, რომელიც დადგინდა ერთ-ერთ პროცესზე. ეს „სასამართლოსათვის ცნობილი“ ფაქტი გამოიყენებოდა სხვა პროცესებში დასახლებული ორგანიზაციის წევრების მიმართ დამნაშავედ აღიარებისა და მსჯავრდებისათვის. ამისათვის კი საჭირო არ იყო სხვა მტკიცებულებების არსებობა. „სასამართლოსათვის ცნობილი“ ფაქტების ასეთი გამოყენება არ არის დაფუძნებული კანონზე. ის დაკავშირებულია გარკვეულ პოლიტიკურ ინტერესებთან.

სამართლებრივი პრეზუმციის (ბუნებრივი ან კანონიერი) სახით აღიარებულია ის საპროცესო-სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც სასამართლომ მტკიცების გარეშე უნდა მიიღოს. ბუნებრივ პრეზუმციებს საფუძველად უდევს ჩვეულებრივ-პრაქტიკული წარმოდგენები, მოსაზრებები „მოკლენათა ჩვეულებრივი მსვლელობის შესახებ“. მაგალითად: ბრალდებულის შერაცხადობის შესახებ მოსაზრება გამომდინარეობს იქიდან, რომ ადამიანი, როგორც წესი, სულიერად ჯანმრთელია. კანონიერ პრეზუმციებს პირდაპირ ითვალისწინებს კანონი. ასე, მაგალითად, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, პირი მტკიცების გარეშე უვარგისად არის აღიარებული სატრანსპორტო საშუალების სამართავად და ამასთან დაკავშირებით ჩამოერთმევა მართვის უფლება (სსკ, §69 მე-2 ნაწ.). სამართლებრივი პრეზუმციების აყვავების პერიოდად მიჩნეულია ჩვეულებითი სამართლის პერიოდი და ეს ინსტიტუტი სამართლებრივი განვითარების განვლილ ეტაპს წარმოადგენს.

5. თეორიასა (ე.შმოდტი, გ.ჰენკელი, კ.ჰეტერსი) და პრაქტიკაში უკუგდებულია ფორმალური, მატერიალური და ფაქტობრივი მტკიცების ტვირთის ცნება.

მტკიცების ფორმალური ტვირთი ანუ მხარეთა (ბრალმდებელი და განსასჯელი) მოვალეობა დამტკიცონ თავიანთი საპროცესო მოთხოვნები მიუღებელია, ვინაიდან გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესში არ არიან მხარეები და, შესაბამისად, არ არის პირობები შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციისათვის.

უარყოფილია მტკიცების მატერიალური ტვირთის გაგებაც, კერძოდ, პროკურორის მიერ ბრალდების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში განსასჯელი უნდა გამართლდეს. მაგრამ თუ განსასჯელი გამართლდება, ეს სულაც არ ნიშნავს პროკურორის „დამარცხებას“ და პროკურორი არ არის ვალდებული რაღაც არ უნდა დაუჯდეს მიაღწიოს განსასჯე-

ლის მსჯავრდებას.

აღიარებით არ სარგებლობს არც მტკიცების ფაქტიური ტვირთის ცნება, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ბრალდებული თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით იძულებულია წარმოადგინოს გამამართლებელი მტკიცებულებები და განაცხადოს სხვადასხვა სახის შეამდგომლობები დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება დაცვაზე და არა მტკიცების ტვირთზე ბრალდებულის როგორც სუბიექტის უფლების რეალიზაციას.

აქედან გამომდინარე მტკიცების ტვირთი გერმანიის სისხლის სამართლის პროცესით მთლიანად აწვეს სასამართლოს. მიუხედავად იმისა, რომ თეორიაში მოცემულია განმარტებები, რომლის თანახმადაც მტკიცების მოვალეობა აწვეს სასამართლოს და სამართლებრივი გაგებით წარმოადგენს სასამართლოს მოვალეობას, რომელიც შემოიფარგლება მტკიცებულებათა მოძიებითა და გამოკვლევით, ასევე საქმის ყველა გარემოების სრული განხილვით, რეალურად სასამართლოს ასეთი ვალდებულების შინაარსი გაცილებით უფრო ფართოა. აღნიშნულმა გარემოებამ კი არ შეიძლება არ გამოიწვიოს სასამართლო ფუნქციის არსებითი დეფორმაცია.

წინასწარი გამოძიების სტადიაზე მტკიცების მოვალეობა აკისრია პროკურატურას. რაც შეეხება სასამართლო განხილვას, ამ სტადიაზე პროკურორი მხოლოდ ბრალდებას წარმოადგენს. სსსკ-ის §226, 243-ის შესაბამისად, იგი კითხულობს საბრალდებო აქტიდან ბრალდების ფორმულას, განმარტავს სასამართლოს განჩინებას ბრალდების შეცვლის შესახებ (თუ ასეთი განხორციელდა სამართალში მიცემის სტადიაზე), გამოდის „კანონის დამცველის“ როლში. სასამართლო განხილვის სტადიაზე პროკურორი ხელს უწყობს მტკიცებულებათა გამოკვლევას, მაგრამ მას სასამართლო განიხილავს მხოლოდ როგორც დამხმარეს. სსსკ-ის §238-ის თანახმად, საქმის განხილვის ხელმძღვანელობას, ეჭვმიტანილის დაკითხვასა და სასამართლო გამოძიებას ახორციელებს თავმჯდომარე.

თუ პროკურორი სასამართლოში წარმოადგენს ბრალდებას მხოლოდ ფორმალურად და მისი საქმიანობა არ არის დაკავშირებული განსასჯელის მზილებასთან, მაშინ ბრალდების ფუნქცია გადადის სასამართლოზე, მის თავმჯდომარეზე.

6. მტკიცების აკრძალვები მტკიცებულებითი სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელიც დეტალურადაა დამუშავე-

ბული გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში.

ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში გერმანელმა პროცესუალისტმა ებელინგმა შექმნა სწავლება მტკიცების აკრძალვების შესახებ.

მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მტკიცება სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნით გარკვეულ შეზღუდვებთან უნდა იყოს დაკავშირებული. საქმის ფაქტიური გარემოებების გამოკვლევა, რომელსაც არ აქვს გარკვეული საზღვრები, წარმოშობს ბევრი საზოგადოებრივი და პირადი ღირებულებების მსხვერვის საშიშროებას, კერძოდ, ადამიანური ღირსების დამცირებას, ფიზიკური ხელშეუხებლობის, პიროვნების თავისუფლების, სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების აღსრულების კანონიერების დარღვევას. ამიტომ, როგორც გფრ-ის უზენაესი სასამართლო მიუთითებს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ ითვალისწინებს პრინციპს, რომლის თანახმადაც ჭეშმარიტება ნებისმიერ ფასად შეიძლება იყოს მიღწეული, ვინაიდან ამ შემთხვევაში იგი არ შეიძლება იყოს აბსოლუტური სიკეთე.

მტკიცების აკრძალვები ეწოდება საპროცესო კანონის იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც ადგენენ მტკიცების პროცესში გარკვეულ საზღვრებს. მიღებულია მათი დაყოფა ორ ჯგუფად.

პირველ მათგანს მიეკუთვნება მტკიცების აკრძალვები, რომელიც მოიცავს საქმის ზოგიერთი ფაქტიური გარემოების დადგენის, გარკვეულ მტკიცებულებათა წყაროებისა და დაკითხვის უკანონო მეთოდების გამოყენების აკრძალვას.

სსსკ-ის §54-ის თანახმად გამორიცხულია იმ მონაცემების დადგენა და გამოკვლევა, რომელიც მოსამართლემ, მოხელეებმა და სხვა სახელმწიფო სამსახურში მყოფმა პირებმა უნდა შეინახონ როგორც სახელმწიფო ან სამსახურებრივი საიდუმლო. ამ ცნობების მისაღებად აუცილებელია სპეციალური ნებართვა.

სსსკ-ის რიგი ნორმებით აკრძალულია მტკიცებულებათა ამა თუ იმ წყაროს გამოყენება. პირველ რიგში ესენი არის მოწმეთა გარკვეული კატეგორია, რომელთაც კანონით დადგენილი წესით გააჩნიათ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება. ესენი არიან: ბრალდებულის ახლო ნათესავები (სსსკ, §52), გარკვეული პროფესიის პირები, ღვდელმსახურები, დამცველები, ადვოკატები, ნოტარიუსები, ექიმები და სხვ. (სსსკ, §53). თუ ისინი სარგებლობენ აღნიშნული უფლებით, მაშინ მათ არ აქვთ უფლება მოწმედ გამოვიდნენ. ასევე ნებისმიერ მოწმეს უფლება აქვს არ უპასუხოს კითხვაზე, რომელსაც შეუძლია მას და მის ახლობლებს

შეუქმნას სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული წესით დევნის საფრთხე (სსსკ, §55).

განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ბრალდებულის დაკითხვის პროცესში უკანონო მეთოდების გამოყენების აკრძალვებს. სსსკ-ის §136a-ის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ნების თავისუფლება და ნების გამოვლენის თავისუფლება არ შეიძლება დაითრგუნოს სასტიკი მოპყრობის, ორგანიზმში სპეციალური პრეპარატის შეყვანის, წამების, მოტყუების, პიპნოზის, დამინების, კანონით გაუთუქალისწინებული სარგებლის დაპირების მეთოდების გამოყენებით.

მეორე გვგუფს მიეკუთვნება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მიღებული შედეგების გამოყენების აკრძალვა. როგორც სსსკ-ის §136a-ის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, დაკითხვის აკრძალული მეთოდებით მიღებული ბრალდებულის ჩვენება ბრალდებულის თანხმობის მიუხედავადაც არ შეიძლება იყოს გამოყენებული პროცესში.

მტკიცების აკრძალვის ინსტიტუტთან დაკავშირებით გფრ-ის უზენაესმა სასამართლომ სპეციალურად შეიმუშავა „სამართლებრივი სფეროს“ თეორია, შემოიღო ბრალდებულის სამართლებრივ სფეროში შეჭრის „არსებითობის“ ფორმულა, პროცესუალური ნორმების მნიშვნელოვან და მეორეხარისხოვან ნორმებად დაყოფა. კერძოდ, გფრ-ის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მტკიცების აკრძალვების დარღვევის დადგენის საკითხის გადაწყვეტა და მასთან დაკავშირებული უკანონოდ მიღებული მტკიცების შედეგების გამოყენების აკრძალვები, დამოკიდებულია იმაზე, არსებითად ეხება კანონის დარღვევები სამართლებრივ სფეროს, ისინი უმნიშვნელოა, თუ საერთოდ არ აქვთ მნიშვნელობა. მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესით გარანტირებული ბრალდებულის უფლებების დარღვევა, წარმოადგენს სარევიზიო წესით განაჩენის გასაჩივრების საფუძველს. სხვა ნორმების დარღვევა რომლებიც არეგულირებენ საპროცესო მოქმედების წარმოების წესს, არ წარმოადგენენ გასაჩივრების საფუძველს.

სსსკ-ის §136a-ის მე-3 ნაწილი პრაქტიკაში განიმარტება, როგორც უკანონოდ მიღებული ბრალდებულის ჩვენების მტკიცებულების სახით გამოყენების აკრძალვები. მაგრამ აღნიშნული ნორმა არ კრძალავს ბრალდებულის უკანონოდ მიღებული ჩვენების გამოყენებას როგორც აუცილებელ საწყის ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის შემდგომი გამოძიებისათვის.

7. მტკიცებულებებს, როგორც ზემოთ იყო მითითებული წარმოადგენენ ბრალდებული, მოწმე, ექსპერტი, ნივთიერი მტკიცებულებები.

ბრალდებულის პროცესუალური მდგომარეობის როგორც მტკიცე-
ბულებათა წყაროს დახასიათებასთან დაკავშირებით თეორიაში განი-
მარტება, რომ ბრალდებული წარმოადგენს არა მხოლოდ პროცესის
სუბიექტს, ანუ დამოუკიდებელი პროცესუალური უფლებების მქონე
პროცესის მონაწილეს, არამედ მტკიცებულებას ორი მნიშვნელობით.
მისი ჩვენება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სისხლის სამართლის
საქმის გადაწყვეტაში, და ის თვითონაც წარმოდგება როგორც შემოწ-
მების ან დათვალეირების ობიექტი, ვინაიდან საუბარია მის ფსიქიკურ
ან ფიზიკურ მდგომარეობაზე, ფოტოგრაფირებაზე, თითის ანაბეჭდების
აღებაზე. ბრალდებული ვალდებულია გამოცხადდეს პროკურორის ან
სასამართლოს გამოძახებისთანავე. აღნიშნული მოვალეობის დარღვევის
შემთხვევაში იგი შეიძლება დაექვემდებაროს იძულებით მოყვანას.

ბრალდებულის დაკითხვა ხდება პროცესის ყველა სტადიაზე.
ჩვენების მიცემა მისი უფლებაა და არა მოვალეობა. სსსკ-ის §136-
ის პირველი ნაწილის თანახმად მას უნდა განემარტოს, რომ კანონით
მის თავისუფალ ნებაზე დამოკიდებული, განოხტავეს თუ არა თავის
დამოკიდებულებას ბრალდების მიმართ და მისცემს თუ არა საჭმეზე
ჩვენებას. სსსკ ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას განსაკუთრებულ
მტკიცებულებით მნიშვნელობას არ ანიჭებს. იგი ჩვეულებრივ რიგით
მტკიცებულებად არის აღიარებული.

მაგრამ პრაქტიკაში ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას, როგორც
პასუხისმგებლობისათვის საკმარის მტკიცებულებას, დიდი ხანია არსე-
ბითი ყურადღება ეთმობა. ჯერ კიდევ გერმანიის იმპერიის უზენაესმა სა-
სამართლომ 1919წ. განმარტა, რომ განსასჯელის პასუხისგებაში მიცემა
დასაშვებია მხოლოდ მის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე.

ეს გარემოება განმტკიცებულია გფრ-ის უზენაესი სასამართ-
ლოს მიერ. მცდელობას აქვს ადგილი თეორიაშიც (კ.როქსინი), იმის
დასამტკიცებლად, რომ იგი არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს.
თუ ადრე გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის
მიერ ბრალის აღიარება ფაქტიურად ზედმეტს ხდიდა სხვა მტკიცე-
ბულებების გამოკვლევას, ამჟამად ასეთი ჩვენება თავისუფალ შეფასე-
ბას ექვემდებარება. ბრალის აღიარებას იმდენად დიდი მტკიცებულე-
ბითი მნიშვნელობა აქვს, რომ იძლევა სხვა მტკიცებულებებზე უარის
თქმის საშუალებას. ხშირად სასამართლო განხილვა მათ გარეშე ხდება
(მათ შორის მოწმეთა ჩვენებების გარეშე). ამასთანავე მოსამართლეს
(სასამართლოს) უფლება აქვს უარყოს ბრალდებულის აღიარებითი
ჩვენება.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ შეიცავს სპეციალურ მითითებას ბრალდებულის ჩვენების სხვა სახის მტკიცებულებით მნიშვნელობაზე-ბრალის უარყოფაზე. პრაქტიკაში ბრალის უარყოფას ხანდახან განსაკუთრებული მტკიცებულებითი მნიშვნელობა ენიჭება-იგი შეიძლება იქნეს განხილული როგორც ერთ-ერთი ფაქტორი პიროვნების უარყოფითად დახასიათებისათვის და გამოიწვევს სასჯელის გამკაცრებას.

გერ-ის უზენაესი სასამართლო, უჭერს რა მხარს გერმანიის ყოფილი უზენასი სასამართლოს პრაქტიკას, მიუთითებს: სასჯელის გამკაცრება დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც განსასჯელის მიერ ბრალის უარყოფა აელენს, რომ იგი უარს ამბობს მონანიებაზე, ჩადენილის გაცნობიერებაზე, მეტყველებს პირის მიერ მომავალში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაზე, მიუთითებს მასზე როგორც ჩამოყალიბებულ დამნაშავეზე.

8. მოწმე – პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები, აკისრია გამოძიებისა და სასამართლოსათვის აღნიშნული მონაცემების მიწოდებისა და სიძარტლის თქმის მოვალეობა (მათ შორის ბავშვი, ან სულიერად დააჯადებული პირი). თუ პირმა სპეციალური ცოდნის საფუძველზე აღიქვა გარკვეული ფაქტი, მაშინ ასეთ პირს უნდა ეუწოდოთ ექსპერტი – მოწმე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, არ შეიძლება მოწმედ გამოიძახონ და დაკითხონ: მოსამართლეები (§22, მე-5 პ.), შეფენები და სასამართლო სხდომის მდივნები (§31). თუ ისინი დაკითხულნი იქნებიან მოწმის სახით, მაშინ მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ საქმის წარმოებაში და პროცესში მხოლოდ მოწმის ფუნქციას შეასრულებენ.

ბრალდებული არ შეიძლება თავის საქმეზე მოწმედ იქნეს გამოძახებული.

კანონი ითვალისწინებს მოწმის სამ მოვალეობას: გამოცხადდეს გამოძახებით, მისცეს სწორი ჩვენება და დალოს ფიცი. მოწმე ვალდებულია გამოცხადდეს პროკურორისა და მოსამართლის (რომელიც მოქმედებს დაეალებით ან ასრულებს ცალკეულ საგამომძიებო მოქმედებას) გამოძახებით, პოლიციის მიერ გამოძახების შემთხვევაში მოწმეს უფლება აქვს არ გამოცხადდეს. საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობისათვის მოსამართლეს შეუძლია დააწესოს ჯარიმა, აღმინისტრაციული პატიმრობა (6 კვირამდე), ან იძულებით მოყვანა (სსკ, §51)

მოწმე ვალდებულია მისცეს სწორი ჩვენება. ამ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის მოსამართლეს შეუძლია დააკისროს ჯარიმა ადმინისტრაციული წესით ან გამოიყენოს ადმინისტრაციული პატიმრობა (სსსკ, §70 ნაწ. პირველი). მოსამართლეს სსსკ-ის §70-ის, მე-2 ნაწ-ის საფუძველზე ჩვენების მიცემის იძულების მიზნით შეუძლია დააპატიმროს მოწმე (პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის პროცესის მოცემული მუხლით გათვალისწინებული ვადის ხანგრძლივობას ან 6 თვეს). ცრუ ჩვენების მიცემისათვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ, §153)

მოწმის მოვალეობისაგან მისცეს ჩვენება, სსსკ ითვალისწინებს რიგ გამონაკლისებს, რომლებიც შეიძლება დაეყოს 4 ჯგუფად:

1. მოწმეს ჩვენების მიცემაზე შეუზღუდავი უარის თქმის უფლება პირად მოტივებზე დაყრდნობით გააჩნია იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დანიშნულია ბრალდებულთან, ბრალდებულის მეუღლეა, განქორწინებულია, ბრალდებულის ახლო ნათესავია (სსსკ, §52).

2. გარკვეული პროფესიის ან გარკვეული თანამდებობის პირებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შეზღუდული უფლება გააჩნიათ ფაქტებზე, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. მათ მიეკუთვნებიან: მღვდელმსახურები, ბრალდებულის დამცველები, ადვოკატები, ნოტარიუსები, ექიმები, აფთიაქარები, ბუბიაქალი, ბუნდგესტაგის, ლანდტაგის წევრები, პირები, რომლებიც, ამზადებენ, გამოსცემენ ან აერცელებენ პერიოდულ გამოცემებს ან რადიოგადაცემებს (სსსკ, §53).

3. მოსამართლეები, მოხელეები და სხვა პირები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, შეიძლება იყვნენ დაკითხულნი გარემოებების შესახებ, რომელთაც ისინი ვალდებულნი არიან ინახავდნენ როგორც სამსახურებრივ საიდუმლოს, მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე. ბუნდგესტაგის ან ფედერალურ მთავრობის წევრები – განსაკუთრებული მითითების საფუძველზე, ხოლო ფედერალურ პრეზიდენტს უფლება აქვს უარი თქვას მოწმის სახით ჩვენების მიცემაზე, თუ მისი ჩვენება ფედერაციას ან გერმანიის რომელიმე მიწას ზიანს მიაყენებს (სსსკ, §54).

4. ნებისმიერ მოწმეს უფლება აქვს არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ აღნიშნული ინფორმაციის გახმაურებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მას ან მის რომელიმე ახლო ნათესავს და გახდეს სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაცი-

ული დევნის საფუძველი (სსსკ, §55).

მოწმეებს ფიცს ადებინებს მოსამართლე მათი დაკითხვის შემდეგ და, როგორც წესი, სასამართლო განხილვის სტადიაზე.

მოწმის დაკითხვის წესის განსაზღვრისას კანონი ადგენს, რომ დაკითხვის წინ მოწმეს უნდა განემარტოს სწორი ჩვენების მიცემის მოვალეობა, ფიცის ფორმის არჩევის შესაძლებლობა და მოვალეობის დარღვევის სისხლის სამართლებრივი შედეგები. მოწმეს განემარტება, ჩვენების მიცემაზე და ფიცის დადებაზე უარის თქმის უფლება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სსსკ-ის §136a-ის საფუძველზე მოწმის დაკითხვისას გამოიყენება ნორმები, რომლებიც დაკითხვის უკანონო მეთოდების გამოყენებას კრძალავენ. მოწმის მოვალეობისაგან შეიძლება გაათავისუფლონ პირი, თუ მის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემა (მისი პიროვნების, საცხოვრებელი ადგილისა და სამსახურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება) საფრთხეს უქმნის მოწმის ან მისი ახლობლების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მოწმეს უფლება აქვს მოითხოვოს საქმეში მისი მოწმის სახით მონაწილეობასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

9. გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესში ექსპერტიზის ინსტიტუტს საფუძველად უდევს XIX ს. ბოლოსა და XX ს დასაწყისში, გერმანელი პროცესუალისტების ფ.შტინის, ა.ხეგლერის და ე.მეცკერის მიერ შემუშავებული თეორია „ცდაზე დამყარებული დებულებების“ შესახებ.

მათი აზრით მოსამართლის დავალების შესაბამისად ექსპერტი ასრულებს სამ დამოუკიდებელ ფუნქციას: ან შემოიფარგლება სასამართლოსათვის შეტყობინებით, ან აჯამებს ფაქტებს, რომლებიც მას წარუდგინა სასამართლომ „ცდაზე დამყარებული დებულებების“ სახით, ან დამოუკიდებლად ადგენს ფაქტებს სპეციალური ცოდნის დახმარებით და აცნობებს მათ სასამართლოს დასკვნის ფორმით. ამ თეორიის საფუძველზე ექსპერტიზის არსს განსაზღვრავს გფრ-ის უზენაესი სასამართლო და მიუთითებს, რომ ექსპერტი ვალდებულია: ან წარუდგინოს სასამართლოს „ცდაზე დამყარებული დებულებები“, ან შეაფასოს გარკვეული ფაქტი „ცდაზე დამყარებული დებულებების“ საფუძველზე, ან შეატყობინოს სასამართლოს ფაქტები, რომელიც მიღებულია სპეციალური ცოდნის საფუძველზე.

„ცდაზე დამყარებული დებულებების,, ქვეშ ჩვეულებრივ მოიაზრება ზოგადი, აბსტრაქტული დებულებები ცოდნის სხვადასხვა სფეროდან, მაგალითად: მედიცინის, საბუღალტრო აღრიცხვის სფეროდან, ხე-

ლოვენბათმცოდნეობის სფეროდან. ეს ცნება ძალზე პირობითია, კრებსითია. „ცდაზე დამყარებული დებულებები,“ როგორც აღინიშნება ლიტერატურაში (ე.ლვი), შემუშავდება თვით ექსპერტის მიერ და ატარებს სუბიექტურ ხასიათს, ხანდახან კი ვარაუდზეა აგებული.

გფრ-ის სისხლის სამართლი პროცესში, სსსკ-ის §75-ის შესაბამისად ექსპერტი იძლევა დასკვნას ისეთ საკითხებზე, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ცოდნას მეცნიერების, ხელოვნების ან ხელობის დარგში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს ზოგადი ხასიათის ნორმებს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ (კერძოდ თუ რომელ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაინიშნოს ექსპერტიზა). თეორიასა და პრაქტიკაში ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველად მიღებულია სასამართლოს სპეციალური ცოდნის არ ქონა. თუ სასამართლოს სპეციალური ცოდნა აქვს იგი თვითონ გამოდის ექსპერტად. მითითებას ამის შესახებ შეიცავს კანონიც. სსსკ-ის §244-ის მე-4 პ. შესაბამისად შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ შეიძლება უარყოფილ იქნეს, თუ სასამართლოს თვითონ აქვს აუცილებელი სპეციალური ცოდნა. საკუთარი სპეციალური ცოდნის არსებობისას ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმით სასამართლო ასევე უთავსებს ერთმანეთს სასამართლო და საექსპერტო ფუნქციებს და თვითონ აფასებს საკუთარ საექსპერტო დასკვნასაც. სამართლიანად არის აღნიშნული (მ. ხირშბერგი), რომ იგი წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით ნაკლს, რაც იწვევს პრაქტიკაში არასამართლებრივი განაჩენის გამოტანას.

კანონი შეიცავს მხოლოდ რამოდენიმე მითითებას საეაღდებულო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. კერძოდ, იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც დასადგენია ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობა (სსსკ, §81), სიკვდილის მიზეზი (სსსკ, §87), არსებობს მოწამელის (სსსკ, §91), ფულის და სხვა ფასიანი ქაღალდების გაყალბების (სსსკ, §92) ეჭვი.

წინასწარი გამოძიების ეტაპზე ექსპერტის შერჩევა და დანიშვნა განეკუთვნება პროკურორის კომპეტენციას. ხოლო სასამართლო განხილვისას – სასამართლოს.

ექსპერტის აცილება შესაძლებელია მოსამართლის აცილებისათვის გათვალისწინებული საფუძველებით, პროკურორის, კერძო ბრალმდებლისა და ბრალდებულის შუამდგომლობით.

სსსკ-ის §72-ის თანახმად ექსპერტზე ვრცელდება მოწმის სამართ-

ლებრივი მდგომარეობის შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების მოქმედება (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით). როგორც მოწმე, ასევე ექსპერტიც ვალდებულია გამოცხადდეს პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით, მისცეს დასკვნა, უპასუხოს შეკითხვებს მისი დაკითხვის პროცესში და დადოს ფიცი. გამოუცხადებლობის ან დასკვნის მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია დააკისროს ექსპერტს სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, დააკისროს ჯარიმა ადმინისტრაციული წესით, ამასთან დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ფულადი ჯარიმა შეიძლება იყოს გამოყენებული განმეორებით.

ექსპერტს კანონით ენიჭება გარკვეული უფლებები. მაგალითად: მას უფლება აქვს უარი თქვას დასკვნაზე იმავე საფუძველით, რა საფუძველითაც მოწმეს აქვს უფლება უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე (სსსკ, §76).

10. ნივთიერი მტკიცებულებების ქვეშ გურ-ის სისხლის სამართლის პროცესში მოიაზრება დათვალიერების ობიექტები და დოკუმენტები.

დათვალიერების ობიექტის როგორც ნივთიერი მტკიცებულების ცნებისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ იგი მოიცავს არა მხოლოდ მატერიალურ, გარე სამყაროს უსულო საგნებს, ასევე ფიზიკურ პირებსა და გარკვეულ პროცესებს. დათვალიერების ობიექტს წარმოადგენს ყველა საგანი, ასევე ცოცხალი პირი და გვაბი, ვინაიდან მათ შეუძლიათ მოახდინონ ზემოქმედება მოსამართლის რწმენაზე თავისი არსებობით, მდგომარეობითა და თვისებით. გარდა ამისა ისეთი პროცესებიც, როგორიცაა მაგალითად საგზაო მოძრაობის ინტენსიურობა გზაჯვარედინზე.

დათვალიერების ობიექტის ასეთ გაგებას შეესაბამება დათვალიერების სპეციფიკური ფორმები. იგი თავისი არსით არ უთანაბრდება დათვალიერებას. დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს გრძნობითი ორგანოების დახმარებით: მხედველობა, სმენა, ყნოსვა.

დოკუმენტის ცნებისათვის დამახასიათებელია მისი როგორც წერილობითი დოკუმენტის ვიწრო გაგება. დოკუმენტად სისხლის სამართლის პროცესში აღიარებულია ნებისმიერი საგანი, რომელზეც აზრი დაფიქსირებულია წერილობითი ნიშნების საშუალებით. წერილობითი ფორმა წარმოადგენს დოკუმენტის ძირითად ნიშანს.

ამ გაგებით კანონი საუბრობს დოკუმენტებზე და სხვა წერილობით მასალებზე, რომლებიც სასამართლო განხილვისას მტკიცებუ-

ლებების სახით არის გამოქვეყნებული. კერძოდ, მათ მიეკუთვნება სასამართლო განაჩენები, მონაცემები ნასამართლობის შესახებ, საეკლესიო წიგნებიდან და სამოქალაქო მდგომარეობის აქტებიდან ამონაწერები, სასამართლო დათვალიერების ოქმები (სსსკ, §249). მაგრამ დოკუმენტთა წრე ამით არ შემოიფარგლება. თუ მასალაში ინფორმაცია გადმოცემულია სხვა საშუალებით, მაგალითად, სქემების, გეგმების, სხვადასხვა ანგარიშების სახით – ისინი დოკუმენტებად არ განიხილებიან, არამედ წარმოადგენენ დათვალიერების ობიექტებს. დოკუმენტების საშუალებით მტკიცების მიზანს წარმოადგენს პროცესის მონაწილეების მიერ სიტყვიერად გამოხატული აზრობრივი შინაარსის გამოკვლევა, რომელიც დაფიქსირებულია დოკუმენტებში. თუ საუბარია დოკუმენტების როგორც მატერიალური საგნის მდგომარეობაზე, თვისებასა და თავისებურებაზე, მაშინ იგი დათვალიერების ობიექტს წარმოადგენს.

§4 სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ლონისძიებაში

1. გერმანიის სისხლისსამართალწარმოებაში სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენების საერთო პირობების განსაზღვრისას ზახვასმითაა აღნიშნული მათი საპროცესო ხასიათის შესახებ. ისინი კანონით დადგენილი წესით ემსახურებიან გამოძიების, სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფას. აღკვეთის ღონისძიებები ამ ღონისძიებებს შორის საეციალურად არ არის გამოყოფილი.

მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით იძულების ღონისძიებები იყოფა რამოდენიმე ჯგუფად:

- ზომები, რომელიც უზრუნველყოფენ ბრალდებულის, მოწმის და საქმეში მონაწილე სხვა პირების გამოცხადებას საქმის მწარმოებელ თანამდებობის პირთან გამოძიების ორგანოში ან სასამართლოში: ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა (სსსკ, §112-126); ბრალდებულის მოყვანა (სსსკ, §134), მოწმის მოყვანა და მასზე ჯარიმის დაკისრება, ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება გამოუცხადებლობის შემთხვევაში (სსსკ, §51) და სხვა.
- ზომები, რომელიც უზრუნველყოფენ მტკიცებულებათა შეგროვებას. მათ მიეკუთვნება: ამოღება (სსსკ, §98); საფოსტო-

სატელეგრაფო კორესპონდენციის ამოღება (სსსკ, §99); ბრალდებულისა და სხვა პირების სატელეფონო საუბრების მოსმენა (სსსკ, §100a-100b), საცხოვრებლის ჩხრეკა, სამუშაო ადგილის, პირადი ჩხრეკა (სსსკ, §102, §103, §105), ბრალდებულის სხეულის შემოწმება, რომელიც მოიცავს როგორც გარეგნულ გამოკვლევას, ისე სხვადასხვა ანალიზების მეშვეობით შემოწმებას (სსსკ §81a), ბრალდებულის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით (სსსკ, §81), ასევე ზომები, რომელიც მიზნად ისახავს თავისუფლების ხანმოკლე შეზღუდვას, ეჭვმიტანილისა და სხვა პირების შემოწმება მათი პიროვნების დასადგენად: დაკავება (სსსკ, §127, 128), შემოწმება და პიროვნების დადგენა სპეციალურად შექმნილ საკონტროლო პუნქტებში (სსსკ, §111) საპოლიციო შემოწმების, საყოველთაო საპოლიციო ძეგნის დროს ეჭვმიტანილისა და სხვა პირების შემოწმება და პიროვნების დადგენა გამოთვლითი ტექნიკის დახმარებით (სსსკ, §169d), იძულებითი ფოტოგრაფირება და თითის ანაბეჭდების აღება (სსსკ, §81b);

- განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფის ზომები – კონფისკაცია (სსსკ, §111b), ქონებაზე ყადაღის დადება (სსსკ, §111e).

კანონი ითვალისწინებს, ასევე, სხვა ზომებსაც, მაგალითად: მართვის მოწმობის დროებით ჩამორთმევა (სსსკ, §111a), პროფესიული საქმიანობის უფლების დროებით ჩამორთმევა (სსსკ, §132a).

სისხლის სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენება ნიშნავს მოქალაქის გფრ-ის კონსტიტუციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში ამა თუ იმ ფორმით შეჭრას. მაგალითად: პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობა (მუხ. 2, ნაწ. 2), მიმოწერის, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვაგვარი ელექტროკავშირის საიდუმლოების ხელშეუხებლობა (მუხ. 10, პირველი ნაწ.), საცხოვრებლის ხელშეუხებლობა (მუხ. 13, პირველი ნაწ.), საკუთრების გარანტირებული უფლება (მუხ. 14, პირველი ნაწ.). ამიტომ, გფრ-ის კონსტიტუციით განმტკიცებულია პრინციპული დებულება, რომლის თანახმად ამ უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე. კონსტიტუციაში დაპატიმრებასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მხოლოდ მოსამართლე უფლებამოსილი გადაწყვეტოს პატიმრობის დასაშვებობისა და მისი ვადის გაგრძელების საკითხი (მუხ. 104). კოდექსი ასევე ითვალისწინებს საპროცესო იძულების

ღონისძიებათა გამოყენების კანონიერების, დასაბუთებულობის მნიშვნელოვან გარანტიებს და განსაზღვრავს იმ ორგანოთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან შეუფარდონ აღნიშნული ღონისძიებები.

კანონით გათვალისწინებული საპროცესო იძულების ყველა ღონისძიებათა შეფარდების შეუზღუდავი უფლება აქვს მოსამართლეს, პროკურატურას. პროკურატურა, ასევე მისი დამხმარე მოხელეები (კრიმინალური პოლიციის გარკვეული კატეგორიის მოხელეები, მაგალითად: პოლიციის ინსპექტორი) ასევე უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ საპროცესო იძულების კონკრეტული ზომები, კერძოდ, განახორციელონ ბრალდებულისა ან სხვა პირების დადგენა, ამოღება, სატელეფონო საუბრების მოსმენა, ჩხრეკა, დაკავება, მაგრამ მხოლოდ მოქმედებათა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, შემდგომი სასამართლო დადასტურებით. ეს ზომები ძალას კარგავენ, თუ მას არ მოჰყვა სასამართლოს მიერ შემდგომი დამტკიცება. რაც შეეხება პოლიციას (მის თანამშრომლებს, რომლებიც არ წარმოადგენენ პროკურატურის დამხმარე მოხელეებს), მას უფლება აქვს მოქმედების გადაუდებლობიდან გამომდინარე მხოლოდ დააკავოს ეჭვმიტანილი თუ არსებობს დაპატიმრების საკმარისი საფუძველი, ასევე ჩაატაროს ფოტოგრაფირება და თითის ანაბეჭდების აღება. ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს დააკავოს პირი, თუ მას წაასწრეს დანაშაულის ჩადენის ადგილას, იძებნება, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი მიიმალება ან თუ მას არ შეუძლია თავისი ვინაობის დაუყოვნებლივ დამტკიცება. იმის და მიუხედავად, თუ ვინ ჩაატარა დაკავება, სსსკ-ის §128-ის თანახმად (თუ არ მოხდა გათავისუფლება), დაკავებული დუყოვნებლივ ან არა უგვიანეს შემდეგი დღისა, დასაკითხად უნდა წარუდგინონ იმ რაიონის უბნის მოსამართლეს, რომელშიც იგი დააკავეს. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ დაკავება გაუმართლებელია, ან აღარ არსებობს დაკავების საფუძველი, მაშინ იღებს გადაწყვეტილებას პირის გათავისუფლების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გასცემს ბრძანებას დაპატიმრების შესახებ.

2. სისხლის სამართლის საპროცესო იძულების რადიკალურ ზომას წარმოადგენს ბრალდებულის დაპატიმრება ან საგამომიძებო პატიმრობა.

გერმანიის სსსკ ყოველმხრივ და დეტალურად არეგულირებს დაკავების საფუძველსა და წესს, ითვალისწინებს პიროვნების თავისუფლების არსებით საპროცესო გარანტიებს სისხლის სამართალწარმოებაში და მნიშვნელოვან როლს ანიჭებს სასამართლო კონტროლს.

სსსკ-ის §112-ის თანახმად, პატიმრობა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი დანაშაულის ჩადენის შესახებ და შესაბამისად დაპატიმრების საფუძველი. პატიმრობა არ გამოიყენება, როდესაც იგი არამართლზომიერია საქმის მნიშვნელობისა და მოსალოდნელ სასჯელთან მიმართებაში. დაპატიმრების საფუძველია: ბრალდებული გაიქცა ან იმალება; ან არსებობს საშიშროება, რომ იგი თავს აარიდებს საგამოძიებო ორგანოში ან სასამართლოში გამოცხადებას; ბრალდებულის ქცევა ადასტურებს სერიოზულ ეჭვს იმის თაობაზე, რომ იგი გაანადგურებს, შეცვლის, გააყაღებს მტკიცებულებებს, ანდა არაკეთილსინდისიერი გზით მოახდენს ზემოქმედებას მოწმეებზე, ექპერტებზე, წააქეზებს სხვებს ანალოგიურ საქციელზე და ამით ხელს შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. გარდა ამისა, ბრალდებული სსსკ-ის §112a-ის თანახმად შეიძლება დააპატიმრონ მოცემული საფუძვლის არ არსებობისა, მაგრამ მხოლოდ მძიმე დანაშაულის ჩადენის ეჭვთან დაკავშირებით, ან განმეორებითი დანაშაულის ჩადენის საშიშროებიდან გამომდინარე.

სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებულის დაპატიმრება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დაპატიმრების შესახებ მოსამართლის წერილობითი ბრძანების საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს: ბრალდებულის, დანაშაულის ჩადენის დროის, მისი ჩადენის ადგილის, სამართლებრივი კვალიფიკაციის, დაკავების საფუძვლის, ასევე იმ ფაქტების შესახებ მონაცემებს, რომლებიც ასაბუთებენ დანაშაულის ჩადენის შესახებ სერიოზულ ეჭვსა და დაპატიმრების საფუძველს (სსსკ, §114). ბრძანება უნდა გაეცნოს ეჭვმიტანილს. ნათესავებს კი უნდა გაეგზავნოს შეტყობინება მისი დაპატიმრების შესახებ.

თუ ბრალდებული დაპატიმრებულია მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, მაშინ სსსკ-ის §115-ის თანახმად იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიყვანილი კომპეტენტურ მოსამართლესთან და არაუგვიანეს შემდეგი დღისა დაკითხული ეჭვის საგანთან დაკავშირებით. დაკითხვისას მას უნდა განუმარტონ, თუ რაშია იგი ეჭვმიტანილი, რომ უფლება აქვს გამოთქვას აზრი ეჭვის შესახებ ან საერთოდ არ მისცეს ჩვენება, ასევე, შეუძლია უარყოს დაკავების საფუძველი და წარმოადგინოს ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ მის უდანაშაულობას ან ნაკლებ ბრალს დანაშაულის ჩადენაში.

მოსამართლეს სსსკ-ის §116-ის საფუძველზე უფლება აქვს გადაავადოს დაპატიმრების შესახებ ბრძანების აღსრულება, რომელიც გაცემული იქნა პირის მიმალვის რეალური საფრთხის ან ჭეშმარიტების დად-

გენისათვის ხელის შეშლიდან გამომდინარე. თუ ნაკლებად რადიკალურ ზომებს შეუძლიათ უზრუნველყონ დაპატიმრების მიზნის მიღწევა. ასე, მაგალითად, პატიმრობა შეიძლება შეიცვალოს ბრალდებულის სასამართლოში ან სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოში გამოცხადების ვალდებულებით; არ მიატოვოს საცხოვრებელი ადგილი სასამართლოს ან გამოძიების ორგანოების თანხმობის გარეშე; საცხოვრებელი ადგილი დატოვოს მხოლოდ გარკვეული პირების ზედამხედველობით; სხვა ბრალდებულებთან, მოწმებთან, ექსპერტებთან ურთიერთობის აკრძალვით. ბრალდებულის გამოცხადების გარანტია შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს გირაოს შეტანით ან პირადი თავდებობით. აღნიშნული ზომები სისხლის საპროცესო იძულების ღონისძიებების დამოუკიდებელ ზომებს არ წარმოადგენენ. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაპატიმრების მაგივრად, თუ ბრალდებული მოსამართლის ბრძანების საფუძველზე უკვე დაპატიმრებულია. მაგრამ მოსამართლეს დაპატიმრების შესახებ ბრძანება სისრულეში მოჰყავს, თუ ბრალდებული უხეშად არღვევს დაკისრებულ მოვალეობებს, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი მიიმალება, არ ცხადდება გამოძახებით ან არსებობს სხვა, ახლად აღმოჩენილი გარემოებები.

კანონი ითვალისწინებს სასამართლო წესით დაპატიმრების კანონიერებისა და საფუძვლიანობის შემოწმების ფართო გარანტიებს:

1. ბრალდებულს, ასევე მის დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ ნებისმიერ მომენტში იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე დაპატიმრების კანონიერების დადგენის, პატიმრობის გაუქმების ან მისი აღსრულების გადავადების შესახებ.

2. ბრალდებულს მთელი პატიმრობის პერიოდში უფლება აქვს ისარგებლოს დამცველის მომსახურებით.

3. თუ პატიმრობა აღემატება 3 თვეს და ბრალდებულმა არ იშუამდგომლა სასამართლო შემოწმების ჩატარების მიზნით, არ შეიტანა კერძო საჩივარი და არ ჰყავს დამცველი, სასამართლო საკუთარი ინიციატივით ვალდებულია ჩაატაროს შემოწმება ბრალდებულის დაკავების საფუძვლიანობის შესამოწმებლად.

4. საქმის სასამართლო განხილვისათვის მოზადების პროცესში მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს წარმოება ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების მიზნით, რომელთაც მნიშვნელობა გააჩნიათ დაპატიმრების შესახებ ბრძანების ძალაში შესვლის საკითხის გადასაწყვეტად.

5. შემოწმება ტარდება ზეპირი სასამართლო განხილვის წესით, თუ ამის შესახებ შუამდგომლობს ბრალდებული ან აღნიშნულს სავალ-

დებულოდ მიიჩნევეს სასამართლო, პროკურორის, დამცველის, ბრალდებულის მონაწილეობით.

6. თუ პატიმრობა გრძელდება არა ნაკლებ 3 თვისა და ბოლო შემოწმებიდან გავიდა არა ნაკლებ 2 თვე, ბრალდებულს უფლება აქვს დაპატიმრების შესახებ სასამართლო ბრძანების ძალაში დატოვების მიზნით შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს განმეორებითი ზეპირი სასამართლო შემოწმების შესახებ.

7. წინასწარი გამოძიების ეტაპზე დაკავების საფუძვლების შემოწმება და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანა მიეკუთვნება იმ მოსამართლის კომპეტენციას, რომელმაც გამოსცა ბრძანება დაპატიმრების შესახებ სასამართლო განხილვის სტადიაზე – სასამართლოს, რომელიც განიხილავს საქმეს არსებითად, საქმის სააპელაციო წესით გადასინჯვისას, სააპელაციო სასამართლოს, ხოლო სარევიზიო წარმოებისას – სასამართლოს, რომლის განაჩენიც გასაჩივრებულია (სსსკ, §117-118b).

ბრალდებულის პატიმრობის ვადა მხოლოდ სასამართლო წესით შეიძლება იქნეს გაგრძელებული. სსსკ-ის §121 ადგენს დაკავების 6 თვიან ვადას. იგი შეიძლება გაგრძელდეს იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებული სიძნელე, ან საქმის გამოძიების განსაკუთრებული მოცულობა, ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი ჯერ კიდევ არ იძლევა საშუალებას გამოტანილ იქნეს საქმეზე განაჩენი და პატიმრობის ვადის გაგრძელება გამართლებულია. სსსკ-ის §122-ის თანახმად, თუ არსებობს დაპატიმრების ვადის გაგრძელების აუცილებლობა კომპეტენტური მოსამართლე აგზავნის სისხლის სამართლის საქმის მასალებს პროკურატურის გაელით მიწების უმაღლეს სასამართლოში. ვადის გაგრძელების საკითხის გადაწყვეტამდე უნდა იყოს მოსმენილი ბრალდებული და დამცველი. მიწების უმაღლესი სასამართლო უფლებამოსილია ეს საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი სასამართლო განხილვის წესით – დაინტერესებული პირების გამოძახებით.

სსსკ ასევე არეგულირებს პატიმრობის შესახებ სასამართლო ბრძანების ფაქტიური შესრულების საკითხს. სსსკ-ის §119-ის თანახმად, დაპატიმრებული მოთავსებული უნდა იქნეს ციხეში იმ პირებისაგან იზოლირებულად (შეძლებისდაგვარად), რომლებიც სასჯელს იხდიან. მოსამართლე უფლებამოსილია მოახდინოს დაკავების რეჟიმის დეტალიზება, გამოიყენოს დაპატიმრებულის მიმართ მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რასაც ითხოვს დაპატიმრების მიზანი ან საპატიმროს განაწესი. დაპატიმრებულს აძლევს უფლებას მის ხარჯზე ისარგებლოს

გარკვეული საყოფაცხოვრებო პირობებით და დაკავდეს რაიმე საქმიანობით, რამდენადაც იგი არ ეწინააღმდეგება დაპატიმრების მიზანს და არ არღვევს დადგენილ წესრიგს. მოსამართლეს ასევე შეუძლია მოითხოვოს, ხელბორკილების გამოყენება, თუ არსებობს საშიშროება, რომ ბრალდებული გამოიყენებს ძალას მომსახურე პერსონალის, ან საკუთრების წინააღმდეგ, გაუწევს წინააღმდეგობას, შეეცდება გაქცევას ან წარმოიშვება თვითმკვლელობის ან საკუთარი სხეულის დაზიანების საშიშროება.

საკანონმდებლო რეგულირების მაღალი ხარისხისა და პიროვნების თავისუფლების პროცესუალური გარანტიების შთაბეჭქდავი სისტემის მიუხედავად, პატიმრობის ინსტიტუტი გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესში ხშირად კრიტიკის საგანია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პრაქტიკაში დაშვებულია ბევრი უკანონო, დაუსაბუთებელი დაპატიმრება და ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ძალზე ხანგრძლივი ვადები.

მაგალითად, 1987 წ. იუსტიციის სამინისტროს დაეალებით ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ: ყველა დაპატიმრების 18% ხორციელდებოდა ნაკლებად მნიშვნელოვან დანაშაულთა საქმეებზე, დაკავებულ ბრალდებულთა მხოლოდ 50%-ს სასამართლოს მიერ დაედო მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით, დაპატიმრების შესახებ სასამართლო ბრძანებების 80%-ს საფუძვლად დაედო ბრალდებულის გაქცევის საშიშროება, თუმცა ბრალდებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი ცდილობდა მიმალვას. ასეთ გარემოებას თეორეტიკოსები რიგი მიზეზებით ხსნიან. კერძოდ, იგი წარმოიშვა პატიმრობის საფუძველთა წრის საკანონმდებლო წესით გაფართოების შედეგად, რაც განხორციელდა ორი დამატების შემოღების ხარჯზე – ბრალდებულის დაპატიმრების შესაძლებლობა მხოლოდ დანაშაულის სიმძიმის მოტივით და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საშიშროებიდან გამომდინარე, ასევე დაკავების ვადის გაგრძელების შესაძლებლობის „სხვა მნიშვნელოვანი საფუძველიდან გამომდინარე“. აღნიშნულსვე ემსახურებოდა კანონის მითითების იგნორირება მოსამართლის უფლებაზე არ გამოყენებინა დაპატიმრება, თუ ასეთი ზომა არ იქნებოდა საქმის მნიშვნელობის ან მოსალოდნელი სასჯელის თანაზომიერი.

ნეგატიურ მოვლენათა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მდგომარეობს პრაქტიკაში საგამომიებო პატიმრობის ინსტიტუტის პროცესუალური ბუნების დამახინჯებაში (გ.დასი, ე.შმიდტი, გ.შმიდტ-ლეიხნერი). გფრ-ის საკონსტიტუციო სასამართლომ 1965წ. განმარტა, რომ დაპა-

ტიმრება წარმოადგენს პროცესუალურ ინსტიტუტს და გამორიცხავს სხვა მიზნების მიღწევას, იგი არც თუ იშვიათად გამოიყენება როგორც ბრალდებულისაგან საჭირო ჩვენების მიღებისა და ბრალის აღიარების იძულების საშუალება.

კმერბრეიერის თანახმად, ბრალდებულის დაპატიმრება არსებითად ამარტივებს პოლიციისა და პროკურატურის მუშაობას, ვინაიდან ბრალდებული ნებისმიერ დროს შეიძლება გამოძახებულ იქნეს დაკითხვაზე და დაკითხოს შეუზღუდავად, მაგრამ ციხეში ყოფნა მას თავისთავად „სიტყვაუხვად“ აქცევს. თავისუფლების აღკვეთა ზღუდავს ბრალდებულის უფლებას დაცვაზე, გამორიცხავს საშუალებას დამოუკიდებლად შეაგროვოს გამამართლებელი მტკიცებულებები, შეხვდეს დამცველს თავისუფლების პირობებში. „დამნაშავის“ საჯარო დაპატიმრება, თავისი რეალობიდან გამომდინარე, უფრო მეტად აშინებს მოქალაქეებს, ვიდრე სასჯელის აბსტრაქტული საშიშროება და ამით დემონსტრირებას უკეთებს პოლიციის ორგანოებისა და პროკურატურის ძალაუფლებას. დაპატიმრება, რაც არ უნდა უკანონო იყოს, იწვევს მოსახლეობის იმ ნაწილის მოკრძალებას სამართლის მიმართ, რომელსაც სჯერა კანონის. დაპატიმრებამ როგორც სახელმწიფო ინსტიტუტმა, გ. დასის აზრით, თვითდისკრედიტირება მოახდინა, ვინაიდან იგი მხოლოდ ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების მიზნით გამოიყენებოდა.

დაპატიმრებათა რიცხვის შემცირებას ნაკლებად უწყობს ხელს დაპატიმრების შესახებ ბრძანების აღსრულების გადავადების ინსტიტუტი. გადავადება პრაქტიკაში უმნიშვნელო გამოყენებას პოულობს, ვინაიდან მოქალაქეთა თანამედროვე მობილურობისას პოლიცია და პროკურატურა თითქოსდა და ხშირად ვერ პოულობს დაპატიმრების შემცველ შესაფერის ზომას. დაპატიმრების შემცველი ეფექტური ზომების მოძებნა ძალზე გათხლებულია, მათი გამოყენება კი ძალზე არახელსაყრელი.

ბრალდებულის დაკავების დასაბუთებულობისა და კანონიერების სასამართლო შემოწმებას სასურველი შედეგი არ მოაქვს, ვინაიდან აღნიშნულ შემოწმებას იგივე მოსამართლე ატარებს, რომელმაც ადრე გამოსცა ბრძანება ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ. მოსამართლეების მიერ დაპატიმრების შესახებ ადრე გაცემული ბრძანებების დამოწმება, ყოველდღიურ პრაქტიკას წარმოადგენს. სასამართლო შემოწმების გზით უკანონოდ ან უსაფუძვლოდ დაკავებული ბრალდებულის გათავისუფლების ან მისი დაკავების ბრძანების შესრულების გადავადების მცდელობა თავიდანვე აზრს მოკლებულია. ამან პრაქტიკაში ძალზე

კანონზომიერი ასახვა კპოვა: ბრალდებულები და მათი დამცველები იგნორირებას უკეთებენ ამ ინსტიტუტს, არ სურთ წინასწარ გამოიყენონ დაცვის ყველა საშუალება სასამართლოში საქმის არსებითად განხილვამდე და ამიტომ არ აღძრავენ შუამდგომლობას სასამართლოს მიერ დაპატიმრების ზეპირი შემოწმების შესახებ.

გერმანიის პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმული პროგნოზი (გ. დიუნებიერი) ბრალდებულის დაპატიმრების ინსტიტუტის ბელთან დაკავშირებით იმაზე მოწმობს, რომ ძნელია წარმოვიდგინოთ ამ ინსტიტუტის ეფექტური რეფორმის განხორციელება და შექმნილი მდგომარეობიდან რაიმე გამოსავალის მოძიება. საკანონმდებლო თვალსაზრისით სსსკ-ის ნორმები დახვეწილი და სრულყოფილია. პრაქტიკაში შეუცვლელი რჩება პოლიციისა და პროკურატურის პოზიცია საპროცესო ზემოქმედების ამ ზომის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით. მართალია გარკვეული იმედი უკავშირდება გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესის საერთო რეფორმას, რომლის მიზანია სისხლის სამართლის საქმის წარმოების არსებითი დაჩქარება და, შესაბამისად, დაკავების ვადის შემცირება, მაგრამ იკვეთება ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ნაკლებად გამოყენებადი იქნება გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის სისტემაში.

§5 წინასწარი გამოძიება

1. გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესში წინასწარი გამოძიება უფლებამოსილი ორგანოების მიერ, მოკვლევის ფორმით ტარდება.

მოკვლევის ორგანოს წარმოადგენს პროკურატურა. დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში (რომელიც პროკურატურის ორგანოებისათვის ცნობილი გახდა განცხადებისა და სხვა წყაროების საფუძველზე), საჯარო ბრალდების აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად პროკურატურა ვალდებულია გამოიკვლიოს საქმის ყველა გარემოება. გამოიკვლიოს არა მხოლოდ გამამტყუნებელი, არამედ გამამართლებელი გარემოებებიც, შეინახოს მტკიცებულებები, რათა არ მოხდეს აღნიშნულ მტკიცებულებათა დაკარგვა და მათი თვისებების შეცვლა, დაადგინოს სასჯელის ზომის შეფარდებისა და სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისათვის საჭირო ყველა გარემოება (სსსკ, §160).

პოლიციის (რომელიც არ წარმოადგენს მოკვლევის ორგანოს) ამოცანაა დანაშაულის გამოძიება და საქმის გამოძიების უზრუნვე-

ლყოფის მიზნით ყველა გადაუღებელი ზომის მიღება (ე. წ. ცხელ კვალზე პირველი ჩარევის უფლება). ამ შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია სსსკ-ის §163-ის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუყოვნებლივ გადასცეს ყველა მასალა პროკურატურას, ხოლო, სასამართლო-საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში — მოსამართლეს.

თუმცა, პრაქტიკაში პოლიცია ხშირად დამოუკიდებლად, პროკურატურასთან რაიმე კონტაქტისა და მისი მხრიდან ყოველგვარი კონტროლის გარეშე ატარებს მოკვლევას სრული მოცულობით და საქმის მასალებს გადასცემს პროკურატურას მხოლოდ საჯარო ბრალდების აღძვრის ან საქმის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის ეტაპზე. ამ გზით პოლიცია გადაიტყა დამოუკიდებელ მოკვლევას ორგანოდ (რაც კანონით არ არის გათვალისწინებული) რომლის ხელშიცაა თავმოყრილი წინასწარი გამოძიება. 70-იან წლებში განიხილებოდა წინადადება დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე პოლიციის ორგანოებში ერთიანი საგამოძიებო აპარატის შექმნის შესახებ, თუმცა აღნიშნულმა წინადადებას არ მიიღო მხარდაჭერა. ღომინირებს მოსაზრება, (ე. როქსინი), რომ მოკვლევა შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ იუსტიციის ორგანოს კომპეტენციას, ესე იგი პროკურატურას.

მოკვლევის წარმოებაში შეიძლება მონაწილეობდეს ე.წ. გამოძიების მოსამართლეს. იგი მოქმედებს დავალების შესაბამისად. თუ პროკურორი სასამართლო საგამოძიებო მოქმედებების წარმოებას სავალდებულოდ მიიჩნევს, იგი შუამდგომლობით მიმართავს იმ უბნის მოსამართლეს, რომლის რაიონშიც უნდა ჩატარდეს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები (სსსკ, §162). როგორც წესი, პროკურატურა თხოვნით მიმართავს მოსამართლეს მოხდეს მთავარი მოწმეებისა და იმ ბრალდებულების დაკითხვა, რომელთაც პოლიციაში ან პროკურატურაში დაკითხვის პროცესში ბრალი აღიარეს. სასამართლო დაკითხვის ოქმები წარმოადგენს მტკიცებულებებს და შეიძლება გამოქვეყნდეს სასამართლოში.

2. მოკვლევის — ამოცანა, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი არის ეჭვის არსებობის შესახებ საკითხის გარკვევა, რათა ეიმსჯელოთ საჯარო ბრალდების აღძვრის შესაძლებლობაზე.

მოკვლევის ამოცანების შესახებ თეორიაში არსებობს არაერთი გამოკვლევა (გ. კიუნე), რომლის თანახმადაც მის ამოცანაში არ შედის ბრალდებულის მხილება. მოკვლევას აინტერესებს მხოლოდ ეჭვის დადგენა, რადგან ბრალდებულის მხილება გაართულებდა სხვა ეჭვმიტანილების დადგენას და შესძინდა მოკვლევას საბრალდებო ხასიათს.

გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში ეჭვის ცნების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე თეორიაში შემუშავებულ იქნა ეჭვის კონცეფცია, რომელიც თავისი არსით წინასწარი გამოძიების სტადიის თეორიულ და სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გერ-ის სისხლის სამართლის პროცესში ეჭვი შეესაბამება ალბათობის ფილოსოფიურ კატეგორიას და გამოხატავს ალბათობის ე. წ. პერსონალისტურ ინტერპრეტაციას, ესე იგი ამა თუ იმ სუბიექტის რწმენის ხარისხს რაიმე მოვლენის, შემთხვევის არსებობის შესახებ, თუ ეს რწმენა შეიცავს რაციონალურ ელემენტს. ეჭვის ცნება განისაზღვრება (გ.კიუნე), როგორც რეტროსპექტიულ — პროგნოზირებადი დასკვნა, რომელიც დაფუძნებულია ფაქტებზე და ახასიათებს შემოწმებადობის თავისებურებას. ალბათობის ხარისხისა და ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ სამი სახის ეჭვს: (მარტივი) უბრალო, საკმარისი და სერიოზული.

უბრალო ეჭვი, რომელიც საჭიროა მოკვლევის დასაწყებად, არის სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩადენის მინიმალური ალბათობა. გამოძიების მოცემულ ეტაპზე დანაშაულის ჩადენის შესახებ არსებული ეჭვი შეიძლება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ უბრალო, გონებრივი ვარაუდი დანაშაულის ჩადენის შესახებ არ არის საკმარისი. მოკვლევა იწყება როგორც ფაქტის, ასევე კონკრეტული პირის (პირების) მიმართ.

საკმარისი ეჭვი, (როგორც ამას განმარტავს გერ-ის¹ უზენაესი სასამართლო), ნიშნავს ისეთი ფაქტების არსებობას, რომლებიც, პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, მიუთითებენ უტყუარი მტკიცების საფუძველზე, ბრალდებულის სასამართლოს მიერ მსჯავრდების შესაძლობაზე. ამასთან პროკურატურა არ არის ვალდებული გამოარკვიოს დანაშაულის ჩადენისა და ბრალის შესახებ საკითხი სრული მოცულობით, გამოიკვლიოს ყველა გარემოება, არამედ უნდა გამოიკვლიოს მხოლოდ საკმარისი ეჭვი დანაშაულის ჩადენისა და ბრალის შესახებ, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის სავარაუდო მსჯავრდებაზე. ამისათვის დამტკიცებული უნდა იყოს მხოლოდ ზოგიერთი საბრალდებო მომენტი, თუმცა წინააღმდეგობების გარკვევა ბრალდებულის ჩვენებასა და მოკვლევის შედეგებს შორის სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს.

სერიოზული ეჭვის ცნება, დაკავშირებულია ისეთი საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტასთან, რო-

გორიცაა პატიმრობა. ვინაიდან აღნიშნული ზომა წარმოადგენს მეტად რადიკალურ შეჭრას მოქალაქეთა კონსტიტუციით დაცული პირადი უფლებებისა და თავისუფლების სფეროში, მისი გამოყენების კანონიერებისა და დასაბუთებულობის გარკვეული გარანტია იკვეთება ეჭვის სერიოზულობაში. სსსკ-ის §112-ის თანახმად პატიმრობა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული დასაბუთებულად არის ეჭვმიტანილი დანაშაულის ჩადენაში და არსებობს დაპატიმრების საფუძველი. სერიოზული ეჭვი არსებობს მაშინ, როდესაც მოცემული დროისათვის გამოძიების მდგომარეობიდან გამომდინარე არსებობს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენისა და სასამართლოს მიერ მისი მსჯავრდების მაღალი ალბათობა. სერიოზული ეჭვის ალბათობის ხარისხი საკმარისზე მაღალი უნდა იყოს.

ეჭვის კონცეფცია, ერთის მხრივ, მოიცავს ნაყოფიერ იდეებს წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის დამნაშავეობის საკითხის გადაწყვეტის დაუსებლობისა და მოკვლევის პროცესში ბრალდებულის უფლებებისა და პირადი თავისუფლებების დასაცავად ბრალდების გაუქმების აუცილებლობის შესახებ. მეორე მხრივ კი მას ახასიათებს ცნობილი ხარვეზები. პრაქტიკაში გარდაუვალია სიძნელები უბრალო, საკმარისი და სერიოზული ეჭვის განსაზღვრისას და მათი გამოიჯენისას. არ არსებობს ამისათვის საიმედო კრიტერიუმი. ასეთი მდგომარეობა იძულებულია, მაგალითად, აღიაროს გ. კიუნემ, რომელმაც შენიშნა, რომ შეუძლებელია ეჭვის აღმოფხვრა ალბათობის ხარისხის ზუსტ განსაზღვრაში იმ იშვიათი გამონაკლისის გარდა, როდესაც მტკიცება ეფუძნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ან მათემატიკურ (რაოდენობრივ) მონაცემებს.

ალბათობის განსაზღვრება აღრეულია შემეცნების სუბიექტის ნების ფორმირების სუბიექტურობაში და მაინც, მისი აზრით, ალბათობის ხარისხის შემოწმება იმ ზომით, რა ზომითაც იგი არის შესაძლებელი, უნდა იყოს გარანტი დაუსაბუთებელი მოკვლევის დაწყების წინააღმდეგ. მაგრამ ასეთი გარანტია არასოდეს გამორიცხავს უდანაშაულოთა დევნას. ასეთ გარდაუვალ მსხვერპლს უნდა შეურიგდეთ სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების ფუნქციონირების შესაძლებლობის გამო.¹

უნდა აღინიშნოს, რომ ეჭვის კონცეფციის იდეა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წინასწარი გამოძიების სამართლებრივ ბუნებას, არსს, მის ადგილს და მნიშვნელობას გერმანიის სისხლის სამართლის პროცე-

¹ Kühne H. Strafprozesslehre. 1982. S. 124, 129

სის სისტემაში. მოკვლევა განიხილება როგორც მოსამზადებელი სტადია, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში არ გააჩნია. ასეთი აღიარებით აიხსნება პროცესუალური გამარტივების მყარი ტენდენცია, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გამოძიების ინსტიტუტის ლიკვიდაციასთან, გამოძიების ერთადერთ ფორმასთან — მოკვლევაზე გადასვლასთან, ასევე ბრალდებულისა და დამცველის პროცესუალური უფლებების შეზღუდვასთან.

3. გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში არ არის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სტადია. პირველადი და გადაუღებელი საგამოძიებო მოქმედებების წარმოება ნიშნავს სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების დაწყებას.

ამ შემთხვევაში საბაბია პოლიციისა და პროკურატურის საკუთარი სამსახურებრივი შეზღუდლება, კერძო პირების განცხადება (მასთან ერთად ანონიმურიც), პოლიციის შეტყობინება, სასამართლო ორგანოების, დაზარალებულთა საჩივრი კერძო ბრალდების საქმეებზე. აღნიშნულ საბაბთან ერთად მოკვლევის დაწყებისათვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია დანაშაულის ჩადენის შესახებ უბრალო ეჭვის არსებობა.

მოკვლევა მოიცავს საგამოძიებო მოქმედების წარმოებასა და კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებას.

პროკურორი უფლებამოსილია მოითხოვოს საჯარო ხელისუფლების ყველა ორგანოსაგან წარმოადგინონ სხვადასხვა მონაცემები, ჩაატაროს გამოძიება დამოუკიდებლად ან ხელისუფლების ორგანოებისა და პოლიციის ორგანოების მოხელეების დახმარებით. პროკურატურის მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა შესაბამისი ორგანოებისათვის. პროკურორი დაკითხავს ბრალდებულსა და მოწმეებს. მოწმეები და ექსპერტები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ გამოძახებით და, შესაბამისად, მისცენ ჩვენება ან წარმოადგინონ დასკვნა. გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევაში მას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოიყენოს საპროცესო იბულების ღონისძიებები, ძირითადად ამოღება, ჩხრეკა, დაკავება, ბრალდებულის ძებნის შესახებ დადგენილების გამოტანა.

დანაშაულის გახსნისა და გამოძიების მიზნით გურ-ში ფართოდ გამოიყენება ფარული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები (რომელიც გათვალისწინებულია გურ-ის სსსკ-ით).

მაგალითად, ბრალდებულის სატელეფონო საუბრის ფარული მოსმენა ხორციელდება სსსკ-ის §100a-ის საფუძველზე ფაქტიურ მონაცემებზე დაფუძნებული დანაშაულის ჩადენის ეჭვის არსებობისა და

მხოლოდ კანონში მითითებულ მძიმე დანაშაულთა საქმეებზე. სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩაწერა სსსკ-ის §100b-ის შესაბამისად შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ მოსამართლის მიერ, ხოლო გადაუდებელ შემთხვევებში – პროკურორის მიერ შემდგომი სასამართლო დადასტურებით. სასამართლოს წერილობით ბრძანებაში მითითება პირი, რომელთან დაკავშირებითაც გამოიყენება ეს ზომა, სახე, მოცულობა და ვადა. ვადა განისაზღვრება სამ თვემდე. მაგრამ მისი გაგრძელება დასაშვებია არაერთხელ. ეს ბრძანება იგზავნება ფედერალური ფოსტის ორგანოებში, რომელთაც უნდა უზრუნველყონ მოსამართლისათვის, პროკურორის ან პროკურატურის დამხმარე პოლიციის მოხელეებისათვის სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩანაწერების გაცნობა. კაბინები სატელეფონო საუბრის მოსასმენად განთავსდება პოლიციის შენობაში. ფოსტის მოხელეები მხოლოდ უზრუნველყოფენ სატელეფონო ზაზების შეერთებას მოსამართლის მიერ მითითებულ დროს. თუ სსსკ-ის §100a-ით გათვალისწინებული საფუძველი აღარ არსებობს, მაშინ მოსმენა დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ხმის ჩანაწერის ძირითადი შინაარსი უნდა იყოს გადმოცემული წერილობითი ოქმის სახით და დაერთოს სისხლის სამართლის საქმის მასალეს.

ჯერ კიდევ 1983წ. გფრ-ის შსს-ს საეკიპაჟურმა კომისიამ სავალდებულოდ მიიჩნია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საიდუმლო აგენტის როლში ჩაენერგა ორგანიზაციაში პოლიციის ოფიციალური თანამშრომლები, ვინაიდან ტრადიციული საგამოძიებო მოქმედებები (დაკითხვა, ჩხრეკა, ამოღება, დათვალიერება და ა. შ.) არ იძლეოდნენ სათანადო შედეგს.

სსსკ-ის §110a-ის თანახმად საიდუმლო აგენტებს წარმოადგენენ პოლიციის ოფიციალური თანამშრომლები, რომლებიც შესაბამისი ინფორმაციის შესაგროვებლად გადადიან არალეგალურ მდგომარეობაში პიროვნების მონაცემების შეცვლით შესაბამისი ლეგენდის შემუშავებით. ისინი, როგორც წესი დანაშაულებრივ ორგანიზაციაში ჩაენერგვის გზით გამოიყენებიან ისეთ საქმეებზე, როგორიცაა: ნარკოტიკული ნივთიერებებით არალეგალური ვაჭრობა, სახელმწიფო დანაშაული და ბანდიტიზმი. გამოგონილი გვარებით საიდუმლო აგენტებს შეუძლიათ მოინახულონ და დაათვალიერონ საცხოვრებელი და სხვა შენობები ფარულად. ასეთი საიდუმლო აგენტების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ პროკურორის სანქციით.

სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ასევე ტარდება სხვა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებიც, მაგალითად: ფარული

ფოტოგრაფირება, პოლიციისათვის საინტერესო პირების პორტრეტის შექმნა, მოქალაქეთა ფარული მოსმენა და საუბრების ჩაწერა. ფარული ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებებისათვის სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენება (სსსკ, §100a), პოლიციის მიერ ფარული თვალთვალის განხორციელება ბრალდებულსა და მათთან დაკავშირებულ პირებზე, მათ სატრანსპორტო საშუალებებზე (სსსკ, §163a).

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენს ბრალდებულის დაკითხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში პირს ბრალდება არ წარედგინება წინასწარი გამოძიების ეტაპზე, არამედ შეიძლება აღიძრას მხოლოდ მისი დამთავრების შემდეგ. თვით „ბრალდებული“ წარმოადგენს ფორმალურ, პირობით ტერმინს და არ განსაზღვრავს მის საპროცესო მდგომარეობას. თავისი ფაქტიური პროცესუალური მდგომარეობით ასეთი ბრალდებული წარმოადგენს ტიპიურ ეჭვმიტანილს და ამ სახით გამოდის საქმის მთელი განხილვის განმაელობაში.

სსსკ-ის §163a-ის თანახმად, ბრალდებული უნდა დაიკითხოს არა უგვიანეს საჯარო ბრალდების აღძვრის ან საქმის შეწყვეტამდე. ამასთან უნდა შესრულდეს ბრალდებულის პირველი დაკითხვისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები (სსსკ, §136) და არ უნდა იქნეს გამოყენებული დაკითხვის აკრძალული მეთოდები.

სსსკ-ის §136-ის თანახმად, პირველივე დაკითხვის დასაწყისში ბრალდებულს უნდა განემარტოს თუ რა სახის დანაშაულშია იგი ეჭვმიტანილი, მისი უფლება და არა ვალდებულება მისცეს ჩვენება, უფლება ნებისმიერ დროს ჯერ კიდევ პირველ დაკითხვამდე იშუამდგომლოს დამცველის მოწვევაზე, თავის გამართლების მიზნით მოითხოვოს ცალკეული მტკიცებულებების წარმოდგენა, გააპროტესტოს მის საწინააღმდეგოდ არსებული ეჭვი. კანონის ამ ნორმებით გარანტირებულია ბრალდებულის დაცვის უფლება, თუმცა გფრ-ის უზენაესი სამართლოს აზრით, სსსკ-ის §136-ის ნორმები უნდა განიხილებოდეს როგორც ბრძანება, რომელიც თითქოსდა ეხება მხოლოდ ბრალდებულის დაკითხვის თანმიმდევრობას და მათი დარღვევა არ არის სარევიზიო წესით განაჩენის გასაჩივრების საფუძველი.

საქმეში მონაწილეობისათვის ბრალდებულის მიერ პირველივე დაკითხვის მომენტში მოწვეული დამცველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონით აღჭურვილია მნიშვნელოვანი უფლებებით, მაგრამ კანონი ითვალისწინებს დათქმებს, რომლებიც ან არსებითად ზღუდავენ

ამ უფლებებს, ან საერთოდ გამორიცხავენ მათი გამოყენების შესაძლებლობას. ასე, მაგალითად, დამცველს აქვს დაკავებულ ბრალდებულთან მიმოწერისა და მასთან შეხვედრის უფლება. მაგრამ ტერორისტული ორგანიზაციის საქმეებზე დამცველის მიმოწერა აუცილებელი წესით კონტროლდება შესაბამისი მოსამართლეების მიერ, შეხვედრა კი შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურ ციხის დაწესებულებებში, რომელშიც მოწყობილია გამოყოფი მინა იმისათვის, რომ აღიკვეთოს წერილობითი მასალებისა და საგნების გადაცემა (სსსკ, §148 2-ე ნაწ.). გარკვეულ პირობებში ამ კატეგორიის საქმეზე ხდება ყოველგვარი კონტაქტის აკრძალვა დამცველსა და ბრალდებულს შორის. ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე ციხეში მონახულებისას შეიძლება დამცველის, როგორც ჩვეულებრივი მნახველის გაჩხრეკა ადმინისტრაციული წესით. ჩხრეკაზე უარის შემთხვევაში იგი არ იქნება დაშვებული თავის დაცვის ქვეშ მყოფ პირთან. მოკვლევისას დამცველს უფლება აქვს გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, მაგრამ მას შეიძლება უარი ეთქვას, თუ პროკურორის აზრით, საქმის მასალების გაცნობა წარმოადგენს გარკვეულ საფრთხეს გამოძიებისათვის. პროკურორის ასეთი გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას (სსსკ, §147 მე-2 ნაწ.). მიუხედავად იმისა, რომ დამცველს უფლება აქვს დაესწროს (მონაწილეობა მიიღოს) გარკვეულ სასამართლო საგამოძიებო მოქმედებებს, მას აღნიშნული უფლება შეიძლება ჩამოერთვას და ეს დასაბუთდეს გამოძიების მიზნებისათვის საფრთხის შექმნით. ამ შემთხვევაში დამცველს არ ატყობინებენ საგამოძიებო მოქმედების წარმოების დროსა და ადგილს (სსსკ, §168, მე-5 ნაწ.). თეორიაში მოკვლევის ეტაპზე დამცველის სამართლებრივი მდგომარეობის შეფასებისას მითითებულია, რომ მისი მდგომარეობა რეგულირდება მხოლოდ როგორც დამცველის უბრალო დასწრება ამ სტადიაზე და მიუთითებს მის ძალზე უმნიშვნელო უფლებებზე. შემთხვევით არ წერდა გფრ-ის უზენაესი სასამართლოს წევრი ნიმელერი 1991წ., რომ ბევრი ადვოკატი გამოდის დამცველის უფლებების არსებითად გასაზრდელად წინასწარი გამოძიების სტადიაზე.¹

სსსკ კრძალავს ბრალდებულთან მიმართებაში ფიზიკური (სასტიკი მოპყრობა, ორგანიზმში სპეციალური პრაპარატის შეყვანა), ფსიქიკური (მოტყუება, ჰიპნოზი, დაპირება) ზემოქმედების ფორმების და იძულების არაპროცესუალური ზომების (სსსკ, §136a) გამოყენებას. მითითებული

¹ Нимелер М. Уголовное правосудие и роль прокуратуры в системе уголовного судопроизводства ФРГ // Советская юстиция. 1991. 16. С. 19.

აკრძალვიდან გამომდინარე გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესში არ არის დაშვებული სიცრუის დეტექტორის გამოყენება, ვინაიდან გფრ-ის უზენაესი სასამართლოს აზრით გაუცნობიერებელი სულიერი გამოვლინებების გამოკვლევა ფიზიკური პროცესების გაზომვის გზით ნიშნავს დაუშვებელ შეჭრას ადამიანის პიროვნების ხელშეუხებელ სიღრმისეულ სფეროში. დაკითხვის უკანონო მეთოდებით მიღებული ბრალდებულის ჩვენება ბრალდებულის თანხმობის შემთხვევაშიც კი არ შეიძლება იყოს გამოყენებული.

ამასთანავე, თეორიასა და პრაქტიკაში, განსაკუთრებით კი საპოლიციო წრეებში (ფ. მეიქსნერი, ვ. ზაუერი, ფ. მენინერტი), გამოთქმულია შეხედულება სსსკ-ის §136a-ის ნორმების თავშეკავებული განმარტების აუცილებლობის შესახებ რათა არ მოხდეს პოლიციის საქმიანობის შეზღუდვა დანაშაულის გახსნისა და გამოძიების დროს. ამიტომ ითვლება, რომ არ უნდა იყოს აკრძალული როგორც დაკითხვის უკანონო მეთოდები, როგორცაა „ემშაკობა“ ბრალდებულის დაკითხვისას, მისახვედრი შეკითხვების დასმა, ბრალდებულის დაშინება დაკავების მუქარით თუ ამის საფუძველი ისედაც არსებობს, ბრალის უარყოფის შემთხვევაში ბრალდებულის გაფრთხილება სასამართლოს მიერ სასჯელის გამკაცრებაზე.

აღნიშნულის იდენტურია ასევე ე.წ. საპოლიციო დაკითხვის განსაკუთრებული სტილის კონცეფცია (გ.პენკელი). ვინაიდან, პოლიციას გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, უჩვეულო პირობებში უწევს მოქმედება, შეუძლებელია მშვიდ გარემოში ჩატარებული სასამართლო დაკითხვის ნორმების გადატანა პოლიციურ დაკითხვაზე. პოლიცია მოქმედებს როგორც სამხედრო დანაყოფი მტრის წინაშე, როდესაც, ზურგის შტაბისაგან განსხვავებით, აუცილებელი ხდება მტკიცე ხასიათის გამოვლენა, და ეს გარდაუვალია.

მოკვლევა, როგორც უკვე აღინიშნა, ტარდება ე.წ. თავისუფალი მტკიცების ფორმით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინასწარი გამოძიებისას დასაშვებია არასაპროცესო ფორმის მოქმედებათა წარმოება.

ზოგ შემთხვევაში ეს დაკავშირებულია კანონის კონკრეტულ განმარტებასთან, სხვა შემთხვევებში კი თვითონ კანონი არ ითვალისწინებს მათთვის ასეთ ფორმას. 1974 წლის 9 დეკემბრის „სისხლის სამართლის საპროცესო რეფორმის შესახებ“ პირველი კანონის საკანონმდებლო დასაბუთებებში, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კანონის ის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ მოწმის დაკითხვის წესს, კერძოდ, პროკურორის მოვალეობას, გააფრთხილოს მოწმეთა გარკვეული

კატეგორია მათ უფლებაზე, უარი თქვან ჩვენების მიცემაზე, მოწმის უფლებაზე, არ უპასუხოს კითხვებს რომლებზედაც პასუხმა შეიძლება გამოიწვიოს თავად მოწმის ან მისი ნათესავების სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული წესით დევნა, და სხვა ნორმები, გამოიყენება იმდენად, რამდენადაც ისინი „შეესაბამება მოკვლევის წარმოების თავისებურებებს.“ ბრალდებულებისა და მოწმეების დაკითხვის ოქმის შედგენა კანონის გარკვეული მოთხოვნის დაკვეთ (სსსკ, §168 და 168ა) აუცილებელია მოკვლევისას, მხოლოდ სასამართლო დაკითხვების დროს. სსსკ-ის §168ბ-ის თანახმად, პროკურატურას უფლება აქვს, უარი თქვას კანონის იმ მოთხოვნების შესაბამისად ოქმის შედგენაზე, რომლებიც უზრუნველყოფს დაკითხვის შინაარსის ნამდვილობას, თუ კანონის ამ მოთხოვნათა შესრულება არსებითად გააჭიანურებს გამოძიებას. პოლიციაში მიცემული ჩვენების პროცესუალურ გაფორმებასთან დაკავშირებით კანონში საერთოდ არ არის აღნიშნული რაიმე სახის მოთხოვნა.

4. კანონის თანახმად მოკვლევის დასრულება შეიძლება ორი ფორმით: საჯარო ბრალდების აღძვრით, ან საქმის შეწყვეტით.

საჯარო ბრალდების აღძვრის ინსტიტუტი ეფუძნება გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში მიღებულ ეჭვის კონცეფციას. გ. ჰენკელის თანახმად, გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესში ბრალდების ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ეტაპზე ბრალდება არ ამტკიცებს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას, არამედ მხოლოდ ეჭვზე მიუთითებს.

სსსკ-ის §170-ის პირველი ნაწილის თანახმად, პროკურატურა აღძრავს საჯარო ბრალდებას სასამართლოში საბრალდებო აქტის გაგზავნით, თუ მოკვლევის ჩატარება ამისათვის საკმარის მიზეზს იძლევა. თეორიასა და პრაქტიკაში მიზეზად ცალსახად მოიაზრება საკმარისი ეჭვი. ამგვარად საჯარო ბრალდების აღძვრა არ არის დაკავშირებული ბრალდების დამტკიცებასთან. განსხვავება „საკმარის ეჭვსა“ და „საჯარო ბრალდებას“ შორის არ არის. პროკურორი, რომელიც აღძრავს საჯარო ბრალდებას, არ უნდა იყოს დარწმუნებული ბრალდებულის ბრალეულობაში; იგი მხოლოდ გამოთქვამს ვარაუდს, მოცემულ შემთხვევაში რამდენად რეალურია სასამართლოს მიერ ბრალდებულის მსჯავრდების შესაძლებლობა. საჯარო ბრალდების აღძვრის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ პროკურორი ადგენს საბრალდებო აქტს. მასში სსსკ-ის §200-ის შესაბამისად აღნიშნულია მონაცემები ბრალდებულის, დანაშაულის რომელიც მას ბრალად ედება, დანაშაულის ჩადენის დროისა და ადგილის შესახებ, სისხლისსამართლებრივად

დასჯადი ქმედების სამართლებრივი ნიშნები, კანონი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს (ბრალდების ფორმულა), მტკიცებულებები, აგრეთვე სასამართლო, რომელშიც უნდა მოხდეს საქმის განხილვა და ბრალდებულის დამკველი. საბრალდებო აქტში ასევე მოცემულია მოკვლევის არსებითი შედეგები. თუმცა ისინი შეიძლება არ იყოს მითითებული, თუ საჯარო ბრალდება აღიძვრება უბნის ერთპიროვნული მოსამართლის წინაშე. საბრალდებო აქტს საქმის მასალებთან ერთად პროკურორი უზავენის შესაბამის სასამართლოს.

როგორც უკვე ავლინებთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები, რომლებითაც გათვალისწინებული იყო პროკურორის მოვალეობა, აცნობოს ბრალდებულსა და მის დამკველს მოკვლევის დასრულების შესახებ, მათი უფლებების შესახებ აღძრან შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე და შეიტანონ შესაგებელი საბრალდებო აქტის სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, ბრალდებულის შუამდგომლობის უფლებაზე, დამკველის მონაწილეობით მოსმენილ იქნეს პროკურორის მიერ, 1974 წელს შეიცვალა. თუ ადრე გფრ-ის პროცესუალურ ლიტერატურაში აღინიშნებოდა, რომ მითითებულ ნორმებში უკვე მოკვლევისას ფართო გამოხატულებას პოულობდა სამართლებრივი მოსმენის სახელშეიფოებრივ-სამართლებრივი პრინციპი, რომელიც გამყარებული იყო გფრ-ის კონსტიტუციის 103-ე მუხლის პირველი ნაწი-ით (ისინი განიხილებოდა როგორც მნიშვნელოვანი გარანტია პროკურატურის მიერ საჯარო ბრალდების აღძვრის წინააღმდეგ), დღეს უკვე ბრალდებულს საერთოდ არ აქვს უფლება, გაეცნოს საქმის მასალებს მოკვლევის დასრულების შემდგომ. სსსკ-ის §169a-ის თანახმად მოკვლევის დამთავრება იმისკენ არის მიმართული, რომ თუ პროკურორი შესაძლებლად მიიჩნევს საჯარო ბრალდების აღძვრას, საქმის მასალებში აკეთებს აღნიშვნას მოკვლევის დამთავრების შესახებ. საქმის მასალების გაცნობის უფლება აქვს მხოლოდ დამკველს.

მოკვლევის დამთავრების სხვა ფორმაა *სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა*.

უმეტეს შემთხვევაში გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესში მოკვლევა სრულდება არა საჯარო ბრალდების აღძვრით, არამედ საქმის შეწყვეტით. წყდება ყველა აღძრული საქმის დაახლოებით 60%.

სისხლის სამართლის საქმე შეიძლება შეწყდეს პროცესუალურ საფუძველზე (მაგალითად, ხანდაზმულობის ვადის გასვლა), მატერიალურ საფუძველზე (აღმოჩნდა, რომ ქმედება არ არის სისხლისსამართლებრივად დასჯადი), ფაქტობრივ საფუძველზე (ექვე არ დამტკიცდა

საქმის მასალებით). ეს უკანასკნელი საკმაოდ ხშირად გვხვდება პრაქტიკაში. ეს კი ნიშნავს, რომ მოკვლევა იწყებოდა არასათანადო საფუძვლებით, ანუ სინამდვილეში არ წარმოიშობოდა უბრალო ეჭვი დანაშაულის ჩადენის შესახებ, ხოლო გამოძიების პროცესში, ბუნებრივია, არ იყო დადგენილი საჯარო ბრალდების აღძვრისათვის საკმარისი ეჭვი.

გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ სსსკ-ის §170 მე-2 ნაწილის თანახმად, ეცნობება ბრალდებულს, თუ იგი დაკითხული იყო ან გაცემული იყო სასამართლო ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ, ან თვითონ ბრალდებული ითხოვდა ამას, ან ასეთი შეტყობინებისთვის არსებობს განსაკუთრებული ინტერესი. შეტყობინებაში შეიძლება მითითოს საქმის შეწყვეტის საფუძველი. პროკურორის დადგენილება ზემდგომ პროკურორთან ორი კვირის განმავლობაში შეიძლება გაასაჩივროს განმცხადებელმა, რომლის შეტყობინებითაც ჩატარდა მოკვლევა, თუ იგი დაზარალებულია.

წინასწარმა გამოძიებამ გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული არსებითი ცვლილებები განიცადა. მაგრამ ეს არ ნიშნავს მისი შემდგომი სრულყოფისათვის მცდელობის შეწყვეტას, დისკუსია ამის თაობაზე დღემდე მიმდინარეობს. მაგრამ მისთვის ისაა დამახასიათებელი, რომ განსახილველი წინადადებები შეთავაზებული რეფორმების თაობაზე არ ეხება გამოძიების საფუძველს, ფორმას, არამედ მიზნად ისახავს ბრალდებულის უფლებების არსებითად გაზრდას შემდეგი მიმართულებებით:

დაპატიმრების შემთხვევაში ბრალდებულს უნდა ჰქონდეს უფლება, აღძრას შუამდგომლობა მისთვის დამცველის სავალდებულო დაცვის წესით დანიშნვის შესახებ;

ბრალდებულის დაპატიმრება დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ მძიმე დანაშაულთა საქმეებზე (სასჯელის ვადა – თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ 1 წლისა), ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულთა საქმეებზე – საერთოდ გამორიცხული უნდა იყოს;

გამოძიების ადრეულ ეტაპზე ბრალდებულს უნდა ჰქონდეს უფლება, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებსა და იმ მონაცემებს, რომელთა საფუძველზედაც იგი ეჭვმიტანილია;

ბრალდებულსა და მის დამცველს უნდა ჰქონდეთ უფლება, ამ სტადიაზე ყველა დაკითხვაში მიიღონ მონაწილეობა;

უნდა გაიზარდოს დამცველის უფლება, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს.;

საქმის გამოძიების შეესების შესახებ ბრალდებულისა და მისი

დამცველის შუამდგომლობას შეიძლება უარი ეთქვას პროცესის ამ სტადიაზე მხოლოდ კანონით აღნიშნულ საფუძველზე.

§6 სამართალში მიცემა. სასამართლო სისტემა და განსჯადობა

გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში სამართალში მიცემას უწოდებენ სასამართლო განხილვის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას ან შუალედურ წარმოებას (Zwischenverfahren) და მხედველობაში აქვთ მდგომარეობა, რომელსაც იგი იკავებს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო განხილვას შორის.

სამართალში მიცემის ამოცანა ისაა, რომ პროცესის ამ სტადიაზე, როგორც აღნიშნულია სსსკ-ის §199-ში, საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის კომპეტენტური სასამართლო განიხილავს ორი საკითხიდან ერთს: სასამართლო განხილვის დაწყების ან საქმის დროებითი შეჩერების შესახებ. ამასთანავე, ბუნებრივია, დაუშვებელია მტკიცების საკითხის წინასწარი გადაწყვეტა. სსსკ-ის §203-ის თანახმად სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სასამართლო განხილვის დაწყების შესახებ, თუ მოკვლევის შედეგები მოწმობს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის საკმარისი ეჭვის არსებობას.

სამართალში მიცემის სტადია ასრულებს გარკვეულ საკონტროლო ფუნქციებს. მოსამართლე ან სასამართლო ადგენს ბრალდებულის შემდგომი დევნის დასაშვებობასა და აუცილებლობას, თავიდან არიდებს საქმის დაუსაბუთებელ განხილვას სასამართლოში, საშუალებას აძლევს ბრალდებულს აღძრას შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ და ამით გავლენა მოახდინოს სასამართლო განხილვის დაწყების მართებულ გადაწყვეტაზე.

გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში სამართალში მიცემის სტადია დიდი ხანია სადავოდ ითვლება. იგი მრავალჯერ გააუქმეს და აღადგინეს. მისი მოწინააღმდეგეების (ე. შმიდტი, გ. კოლხასი) ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ გადაწყვეტილება საქმის სასამართლო განხილვამდე მისთვის წაყენებული (დანაშაულის ჩადენის შესახებ) ბრალდების აღიარების ტოლფასია. ამ სერიოზული საყვედურის გაბათილების მიზნით სსსკ-ის §207 პირველი ნაწილის ახალი რედაქცია 1964 წლის „გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესის მცირე რეფორმის“ შემდეგ, ითავალისწინებს, რომ ბრალდებულის სამართალში მიცემის განჩინებაში მხოლოდ მიეთითება,

სასამართლო განხილვისას ბრალდების დაშვების შესახებ. თუმცა არ შეიძლება მთლიანად უარვეყოთ, რომ ბრალდებულის სამართალში მიცემის გადაწყვეტილება გარკვეულ ზეგავლენას ახდენს საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეზე (მოსამართლეებზე). ამ დიდი ხნის პრობლემის გადასაწყვეტად გთავაზობენ (გ. გენშენი) სამართალში მიცემის შესახებ საკითხის განხილვა გატანილ იქნას მოცემული საქმის არსებითად განხილვისათვის მოწოდებული სასამართლო ორგანოს კომპეტენციიდან და გადაეცეს სპეციალურად შექმნილ დამოუკიდებელ ორგანოს – ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხების განმხილველ ერთპიროვნულ მოსამართლეს ან სასამართლოს.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხს წყვეტს სასამართლო ორგანო, რომლის განსჯადიცაა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ შეუფენების მონაწილეობის გარეშე: ა) უბნის და შეუფენების სასამართლოში – ერთპიროვნული მოსამართლე; ბ) მიწების სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა დიდ პალატაში – სამი მოსამართლე; გ) მიწის უმაღლეს სასამართლოში – სისხლის სამართლის საქმეთა სენატი ხუთი მოსამართლის შემადგენლობით.

საქმის განხილვამდე ერთპიროვნული მოსამართლე ან თავმჯდომარე გადასცემს ბრალდებულს საბრალდებო აქტს და განუმარტავს, რომ მას დადგენილი დროის განმავლობაში უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ ან გააპროტესტოს სასამართლო განხილვის დაწყება.

ეს შუამდგომლობები გადაწყდება შემდეგი სახით. დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას საქმე არ იგზავნება დამატებითი გამოძიებისათვის. გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს ატარებს თვითონ უბნის მოსამართლე, ან ავალებს სხვა უბნის მოსამართლეს, ხოლო მიწის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეიძლება ეს დაევალოს ამ სასამართლოს ერთ-ერთ წევრს. მოსამართლეებს, რომლებმაც ჩაატარეს საგამოძიებო მოქმედებები, არ ჩამოაცილებენ სასამართლო განხილვის დაწყების შესახებ საკითხის გადაწყვეტას. დამატებითი მტკიცებულებების შეგროვება შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ინიციატივითაც. თუ მოსამართლე (სასამართლო) ბრალდებულის პროტესტს სასამართლო განხილვის დაწყების წინააღმდეგ დასაბუთებულად ცნობს, მაშინ სისხლის სამართლის საქმე წარმოებით წყდება.

სამართალში მიცემის სტადია კანონით საკმაოდ სქემატურად რეგულირდება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს

ნორმებს სამართალში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესისა და ამ დროს განსახილველი საკითხების თაობაზე. პრაქტიკაში საქმე განიხილება დახურულ სასამართლო სხდომაზე, პროკურორის მონაწილეობის გარეშე. საქმეზე მოხსენებას აკეთებს მომხსნებელი – მოსამართლე, რასაც მოსდევს შესაბამისი განჩინების განხილვა და მიღება.

ერთპიროვნულ მოსამართლეს ან სასამართლოს საქმის განხილვის შემდეგ გამოაქვთ ერთ-ერთი გადაწყვეტილება: ბრალდებულის სამართალში მიცემის, ბრალდებულის სამართალში მიცემაზე უარის თქმის, საქმის დროებითი შეჩერების შესახებ.

სასამართლო განხილვის დაწყების შესახებ განჩინება უნდა შეიცავდეს მითითებას სასამართლოს მიერ ბრალდების განხილვაში დაშვების შესახებ. მასში ასევე აისახება მონაცემები, რომელიც შეეხება ბრალდების შეცვლას (თუ ასეთ ცვლილებას ადგილი ჰქონდა), მითითება ის სასამართლო, რომელშიც უნდა შედგეს საქმის მოსმენა; განისაზღვრება იძულების ღონისძიება; ძალაში რჩება ან კორექტირებას განიცდის საგამოძიებო პატიმრობის შესახებ აღრე მიღებული გადაწყვეტილება, (სასამართლო გასცემს ბრძანებას პატიმრობის ან მისი ვადის გაგრძელების შესახებ); წყდება საკითხი განსასჯელის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში დროებითი მოთავსების შესახებ, თუ წარმოიშვა ეჭვი მისი შერაცხადობის შესახებ.

ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ განჩინება არ საჩივრდება. ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ განჩინების გამოტანის შემდეგ იგი ხდება განსასჯელი.

ბრალდებულის სამართალში მიცემაზე უარის შესახებ განჩინება სასამართლოს გამოაქვს ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლების მიხედვით. პირველ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია აღიაროს, რომ არ არსებობს საკმარისი ეჭვი ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ და მიუთითებს, რა გარემოებები უარყოფს პროკურორის მიერ წამოყენებულ ეჭვს. მეორე შემთხვევაში – დაინახოს, მაგალითად, ბრალდებულის ქმედებაში აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა ან მივიდეს დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებულის შეურაცხადობის შესახებ დასკვნამდე.

განჩინებაზე ბრალდებულის სამართალში მიცემაზე უარის შესახებ პროკურატურას უფლება აქვს დაუყოვნებლივ შეიტანოს საჩივარი.

ბოლოს, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განხილვა ვერ გრძელდება ბრალდებულის ხანგრძლივად გამოუცხადებლობის გამო სასამართ-

ლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმის დროებით შეჩერების შესახებ. გამოუცხადებლად ითვლება ბრალდებული, თუ არ არის ცნობილი მისი ადგილსამყოფელი ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ იგი დააუადლა სულიერი აუადმყოფობით.

კანონით სამართალში მიცემა არ ხდება იმ საქმეებზე, რომელსაც განიხილავს უბნის მოსამართლე და შეფენების სასამართლო დაჩქარებული წარმოების წესით.

ფერ-ში მოქმედებს 1877 წლის „სასამართლო მოწყობის შესახებ კანონით“ გათვალისწინებული სასამართლო სისტემა (1975 წლის 9 მაისის რედაქცია).

1. უბნის სასამართლო. სადაც სისხლის სამართლის საქმის განხილვა შეიძლება განხორციელდეს მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად ან მოსამართლის მიერ ორი შეფენის მონაწილეობით (შეფენების სასამართლოს მიერ).

მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს კერძო ბრალდებისა და იმ გადაცდომების შესახებ საქმეებს, რომლებიც ითვალისწინებენ თვემდე, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში ასევე 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. შეფენების სასამართლო განიხილავს საქმეებს ისეთ გადაცდომებზე რომლებსაც მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებთ და ისეთ დანაშაულებზე, რომლებიც ითვალისწინებენ 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევათა საქმეებს ერთპიროვნულად განიხილავს ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი მოსამართლე ან არასრულწლოვანთა საქმეების სპეციალიზირებული სასამართლო.

2. მიწის სასამართლო. სადაც სისხლის სამართლის საქმეები განიხილება დიდ ან მცირე პალატებში.

დიდი პალატა (3 მოსამართლე და 2 შეფენი) პირველი ინსტანციით განიხილავს მძიმე დანაშაულთა საქმეებს, რომელთაც მიეკუთვნება: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, სახელმწიფო დანაშაული. მიწის სასამართლოებში იქმნება არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი პალატა (3 მოსამართლე და 2 შეფენი), რომელიც პირველი ინსტანციით განიხილავს ამ კატეგორიის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებს და მე-2 ინსტანციით სააპელაციო წესით – საჩივრებს არასრულწლოვანთა საქმეებზე ერთპიროვნული მოსამართლისა და შეფენების სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებზე. დიდი პალატა როგორც მეორე ინსტანციის სასამართლო სააპელაციო წესით – განიხილავს საჩივრებს შე-

ფენების სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებზე.

მცირე პალატა (1 მოსამართლე და 2 შეფენი) გამოდის მეორე ინსტანციის სასამართლოს სახით და სააპელაციო წესით განიხილავს საჩივრებს ერთპიროვნული უბნის მოსამართლის მიერ გამოტანილ განაჩენზე.

3. მიწის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის სისხლის სამართლის საქმეთა სენატი, რომელიც პირველი ინსტანციით განიხილავს მძიმე სახელმწიფო დანაშაულებს (5 მოსამართლე).

როგორც მეორე ინსტანციის სასამართლო, სენატი საძი მოსამართლის შემადგენლობით, სარევიზიო წესით განიხილავს საჩივრებს სააპელაციო სასამართლოს – მიწის სასამართლოს დიდი და მცირე პალატების – მიერ გამოტანილ განაჩენებზე. ასევე სენატი სარევიზიო წესით განიხილავს საჩივრებს მიწის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა დიდი პალატის მიერ გამოტანილ განაჩენებზე.

4. გფრ-ის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სენატი (ხუთი მოსამართლის შემადგენლობით) გამოდის მხოლოდ მეორე ინსტანციის სასამართლოს სახით და სარევიზიო წესით განიხილავს საჩივრებს მიწის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა დიდი პალატის მიერ გამოტანილ განაჩენზე, თუ იგი მიწის უმაღლესი სასამართლოს განსჯადი არ არის. ასევე სარევიზიო წესით განიხილავს საჩივრებს მიწის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა დიდი პალატის მიერ პირველი ინსტანციით განხილულ საქმეებზე გამოტანილ განაჩენებზე.

§7 სასამართლო განხილვა

სასამართლო განხილვა (Hauptverfahren) გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვან სტადიას წარმოადგენს. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში ვლინდება, რომ პროცესის წინა სტადიებისაგან განსახვევებით, სადაც მხოლოდ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის საკმარისი ეჭვი ღვინდება, სასამართლო განხილვის სტადიაზე უკვე მიიღება გადაწყვეტილება განსასჯელის დამნაშავეობის ან უდანაშაულობის შესახებ. წინასწარი გამოძიების ჩატარებისას მიღებული შედეგებისგან დამოუკიდებლად სასამართლოში კიდევ ერთხელ განიხილება საქმის ყველა გარემოება და მტკიცებულებები, ხოლო განაჩენი შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო სხდომაზე განხი-

ლულ მტკიცებულებებს. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები სრული სახით მხოლოდ ამ სტადიაზე პოულობენ თავის გამოხატულებას, ხდება განსასჯელის დაცვის უფლების რეალიზება.

სასამართლო განხილვა შედგება ორი ნაწილისაგან – სასამართლო განხილვის მოსამზადებელი ნაწილისა და უშუალოდ სასამართლო განხილვისაგან, რომელიც, თავის მხრივ მოიცავს: სასამართლო გამოძიებას, სასამართლო კამათს, განსასჯელის საბოლოო სიტყვას, განაჩენის დადგენას და მის გამოცხადებას.

1. სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი მოიცავს სისხლის სამართლის საქმის მოსასმენად დანიშვნას, სასამართლოში განსასჯელის, დამცველის, მოწმის, ექსპერტის გამოძახებას, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში საქმის მოსმენის დაწყებამდე ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების წარმოებას.

საქმის მოსმენას ნიშნავს თავმჯდომარე შეიდ დღიანი ვადის დაცვით (განსასჯელისათვის უწყების გადაცემასა და სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებას შორის). თუ ეს ვადა არ არის დაცული, მაშინ განსასჯელს უფლება აქვს მის დაკითხვამდე მოითხოვოს საქმის მოსმენის გადადება.

განსასჯელს იძახებენ უწყებით და აფრთხილებენ, რომ არასაკმატოდ მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოხდება მისი იძულებით მოყვანა ან დაპატიმრება, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც საქმე კანონის შესაბამისად შეიძლება იქნეს განხილული მის დაუსწრებლად.

განსასჯელთან ერთად სასამართლოში იძახებენ დანიშნულ დამცველს (საეალღებულო დაცვა), ხოლო განსასჯელის მიერ შერჩეულ დამცველს (დაცვა შეთანხმებით) გამოიძახებენ მაშინ, როდესაც მისი არჩევანის შესახებ ეცნობება სასამართლოს.

სასამართლოში იძახებენ საბრალდებო დასკვნაში მითითებულ მოწმეებსა და ექსპერტებს. თავმჯდომარეს შეუძლია გამოიძახოს სხვა მოწმეები და ექსპერტებიც. ბრალდებულს უფლება აქვს იშუამდგომლოს მოწმეებისა და ექსპერტების გამოძახების ან სხვა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, მაგრამ მან უნდა მიუთითოს, რომელი გარემოებების დასამტკიცებლად არის საჭირო აღნიშნული მტკიცებულებები. თუ სასამართლომ და პროკურატურამ გამოიძახეს ის მოწმეები და ექსპერტები, რომლებიც არ არიან მითითებულნი საბრალდებო დასკვნაში, ისინი ვალდებული არიან შეატყობონონ განსასჯელს ამ პირთა გვარები და მისამართები. განსასჯელი კი თავის მხრივ ვალდებულია

აცნობოს სასამართლოს და პროკურატურას უშუალოდ მისი ინიციატი-
ვით გამოძახებულ მოწმეთა გვარები და მისამართები.

სასამართლოს შემადგენლობა ცხადდება მხოლოდ საქმის პირველი
ინსტანციით მიწის ან მიწის უმაღლეს სასამართლოში სასამართლო
განხილვის დაწყებამდე. თუ სასამართლოს შემადგენლობა გამოცხადე-
ბულია, მაშინ მოსამართლეებისა და შეფენების აცილების შესახებ შუა-
მდგომლობის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ პირველი განსასჯელის
დაკითხვის დაწყებამდე. აცილების შესახებ საკითხს წყვეტს სასამართ-
ლო (სსსკ, §222a, 222b).

სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილის ერთ-ერთი თა-
ვისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უკვე ამ ეტაპზე შესაძლებელია
ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. სსსკ-ის §233-ის
საფუძველზე შეიძლება დაიკითხონ მოწმეები და ექსპერტები, თუ მათ
გამოცხადებას სასამართლო სხდომაზე დიდი ხნის განმავლობაში ხელს
უშლის ავადმყოფობა ან სხვა გადაუდებელი მიზეზები. ასეთ შემთხვევაში
მოწმის ან ექსპერტის დაკითხვა (ფიცის დადებით) ტარდება მოსამარ-
თლის მიერ. დაკითხვის დროს აცნობებენ პროკურორს, განსასჯელსა
და დამცველს. მათი მონაწილეობა არ არის სავალდებულო, მაგრამ
დაკითხვის ოქმი წარედგინება პროკურორსა და დამცველს. დაკავებულ
განსასჯელს შეუძლია მოითხოვოს დაკითხვაში მონაწილეობა მხოლოდ
იმ შემთხვევაში, თუ დაკითხვა ტარდება იმ ტერიტორიის სასამართ-
ლოში, სადაც იგი იმყოფება. მოწმეებისა და ექსპერტების დაკითხვის
გარდა იმავე წესით შეიძლება ჩატარდეს სასამართლო დათვალიერება.
ყველა ამ მოქმედების გამეორება სასამართლოს შეუძლია სასამართლო
განხილვის პროცესში.

2. სასამართლო განხილვა ტარდება განსაზღვრული ზოგადი პი-
რობების დაცვით, რომელიც თეორიაში იწოდება სასამართლო განხილ-
ვის პრინციპებად. მათ მიეკუთვნება სასამართლოს შემადგენლობის
უცვლელობა, უწყვეტობა, საჯაროობა, ზეპირობა და უშუალობა.

სსსკ შეიცავს სასამართლო განხილვის მონაწილეების შესახებ
რიგ მითითებებს.

სასამართლოში გათვალისწინებულია პროკურორის სავალდებუ-
ლო მონაწილეობა (სსსკ, §226). თეორიასა და პრაქტიკაში (ე.შ.მოდტი,
კ.პეტერსი, კ.როქსინი) სასამართლო განხილვის სტადიასთან დაკავ-
შირებით მითითებულია, რომ პროკურორი არ წარმოადგენს პროცესის
მხარეს. სსსკ-ის §243-ის მე-3 ნაწილის თანახმად, იგი სასამართლოში
წარმოადგენს მხოლოდ ბრალდებას, მაგრამ პროკურორი ასევე ეალდე-

ბულია ყურადღება გაამახვილოს იმ ვარემოებაზე, რომ საქმის განხილვა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნების შესაბამისად, დარღვევა კი გაასაჩივროს დადგენილი წესით.

ზოგადი წესის შესაბამისად საქმის განხილვა უნდა ჩატარდეს განსასჯელის მონაწილეობით, საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობის შემთხვევაში კი უნდა მოხდეს მისი იძულებით მოყვანა ან გამოცემული იქნეს ბრძანება დაპატიმრების შესახებ.

კანონი ითვალისწინებს განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განსახილვის საკმაოდ ფართო შესაძლებლობებს. სასამართლოს ამ ფორმით საქმის განხილვა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ განსასჯელი გამოძახებული იყო დადგენილი წესით და უწყებაში იყო მითითებული, რომ საქმის განხილვა შესაძლებელია მისი მონაწილეობის გარეშე; თუ მას ეშუქება სასჯელი ჯარიმის სახით, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა, კონფისკაცია და ზოგიერთი სხვა. თუ განსასჯელი თვითონ იშუამდგომლებს სასამართლოში გამოცხადების ვალდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ (სასჯელის სახით 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში). შესაძლებელია იმ საქმეთა დაუსწრებლად განხილვა, რომელსაც იხილავს უბნის მოსამართლე სასჯელის შესახებ ბრძანების გამოცემის წესით, ან კერძო ბრალდების საქმის განხილვის შემთხვევებში. სსსკ (§231a) ითვალისწინებს ასევე განსასჯელის გარეშე საქმის განხილვის შესაძლებლობას, თუ მან განზრახ და ბრალეულად მიიყვანა თავი ქმედუნარო მდგომარეობამდე და აღნიშნული დადასტურებულია ექიმი-ექსპერტის მიერ. გარდა ამისა განსასჯელის გარეშე შეიძლება საქმის განხილვა მოხდეს იმ შემთხვევაში: როდესაც იგი გაძევებულია სასამართლო სხდომის დარბაზიდან უღირსი საქციელის ან დაუმორჩილებლობის გამო, ან ცალკეული მტკიცებულებების გამოკვლევისას – დროებით, მაგალითად, როდესაც მოწმე მისი თანდასწრებით უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე ან როდესაც გამოქვეყნდება მონაცემები განსასჯელის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ.

გერმანიის სისხლის სამართალწარმოების ზოგად კონცეფციაში ნათლად შეიმჩნევა არსებითი თავისებურებები დამცველის პროცესუალურ მდგომარეობაში. სამართალიანად არის აღნიშნული, რომ გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის სტრუქტურა არ ანიჭებს დამცველს იმ ცენტრალურ ადგილს, რომელსაც იგი იკავებს ანგლოსაქსურ სისხლის სამართლის პროცესში. გერმანიის სსსკ მხოლოდ ფრაგმენტულად არეგულირებს მის უფლებებს და მოვალეობებს სასამართლო განხილვის

მსვლელობისას (კ. როქსინი).

დამცველი მონაწილეობს საქმის განხილვაში განსასჯელის მოწვევით ან დანიშნით (აუცილებელი დაცვის შემთხვევაში), კერძოდ, როდესაც საქმე განიხილება პირველი ინსტანციით მიწის უმაღლესი სასამართლოს ან მიწის სასამართლოს მიერ, როდესაც საქმის განხილვის საგანს წარმოადგენს დანაშაული ან ზოგიერთი სხვა საფუძველი.

თუმცა განსასჯელის დამცველის მომხაზურებით სარგებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1974წ. 20 დეკემბრიდან კანონმა „სისხლის საპროცესო სამართლის რეფორმის I კანონის დამატების შესახებ“ გაითვალისწინა გერმანიის სისხლის სამართლის პროცესისათვის ადრე უცნობი დამცველის დათხოვნის ინსტიტუტი. დამცველი ექვემდებარება სასამართლო განხილვიდან დათხოვნას, თუ იგი ეჭვმიტანილია იმ დანაშაულის თანამონაწილეობაში, რომელიც წარმოადგენს საქმის განხილვის საგანს სასამართლოში, მოქმედებაში, რომელიც გამოიხატება განსასჯელისათვის სასჯელის თავიდან აცილების ხელშეწყობაში, დაკავებულ დასაცავ პირთან თავისი ურთიერთობის უფლების ბოროტად გამოყენებაში, ან თუ ასეთი ქმედებები ქმნიან არსებით საფრთხეს დაკავების ადგილისათვის (სსსკ, §138a). სახელმწიფო დანაშაულთა საქმეებზე (მაგალითად, საფრთხის შექმნა ქვეყნის თავდაცვისათვის, სამშობლოს ღალატი) დამცველის დათხოვნა პროცესიდან შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისმა მონაწილეობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას გფრ-ის უსაფრთხოებას (სსსკ, §138b). გადაწყვეტილებას დამცველის პროცესიდან დათხოვნის შესახებ იღებს მიწის უმაღლესი სასამართლო (სსსკ, §138c). თუ პროცესში მონაწილე დამცველი დათხოვნილია, მაშინ განსასჯელს უნდა დაენიშნოს დამცველი სავალდებულო დაცვის უზრუნველყოფის წესით (სსსკ, §140 პირველი ნაწ., პუნ. 8).

დაზარალებულის მონაწილეობა სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, კანონით დადგენილი წესის თანახმად გათვალისწინებულია სამი ფორმით: ბრალმდებლის სახით კერძო ბრალდების საქმეზე, თანაბრალმდებლის სახით საჯარო ბრალდების საქმესა და სამოქალაქო მოსარჩელის სტატუსით.

3. გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის კონცეფციის იდეები, რომელიც გამოხატულია პროცესუალური ურთიერთობების, მხარეების ცნების, შეჯიბრებითობის პრინციპის უარყოფაში, თავის გამოვლინებას პოულობენ სასამართლო განხილვის თეორიულ და საკანონმდებლო კონსტრუქციებში, კერძოდ, თავმჯდომარის პროცესუალური მდგომარ-

ვლების განსაზღვრის თავისებურ მიდგომებში, ეს კონსტრუქცია ითვალისწინებს ერთპიროვნული მოსამართლის ან კოლეგიური სასამართლოს თავმჯდომარის აღჭურვას არსებითი უფლებამოსილებებით არა მხოლოდ მთლიანად საქმის განხილვის ხელმძღვანელობისას, არამედ სასამართლო გამოძიების ერთპიროვნული წარმართვისასაც.

სსსკ-ის §238-ის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის განხილვის ხელმძღვანელობას, განსასჯელის დაკითხვასა და სასამართლო საგამოძიებო მოქმედებებს ახორციელებს თავმჯდომარე. კანონით მხოლოდ თავმჯდომარის თანხმობით შეუძლიათ მოსამართლეებსა და შეფენებს (რომლებიც შედიან სასამართლოს შემადგენლობაში), პროკურორს, განსასჯელს, დამცველს დაუსვან კითხვები განსასჯელებს, მოწმეებსა და ექსპერტებს (სსსკ, §240). მითითებულ პირებს შეუძლიათ მხოლოდ შეკითხვების დასმა, მაგრამ არა დაკითხვის ჩატარება. სსსკ-ის §239 უფლებას აძლევს პროკურორსა და დამცველს ურთიერთშეთანხმებით დაკითხონ ის მოწმეები და ექსპერტები, რომლებიც მათი ინიციატივით იყვნენ გამოძახებულნი სასამართლოში. თუმცა პრაქტიკაში ასეთი ჯვარედინი დაკითხვა არასოდეს ტარდება. თავმჯდომარე აღჭურვილია ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით. სსსკ-ის §241-ის საფუძველზე მას უფლება აქვს თავისი შეხედულებით აუკრძალოს პროკურორსა და დამცველს დაუსვან მათ მიერ გამოძახებულ მოწმეებსა და ექსპერტებს კითხვები: თუ ისინი, მისი აზრით, ბოროტად სარგებლობენ თავიანთი უფლებებით, ასევე მოახდინონ შეუსაბამო ან საქმესთან არანაირ კავშირში მყოფი კითხვების აცილება.

განსასჯელის ბრალეულობის მტკიცების, მისი მხილების ტვირთი ეკისრება თავმჯდომარეს, რის შედეგადაც ხდება ბრალდებისა და საქმის არსებითად გადაწყვეტის ფუნქციების შერწყმა. გერ-ის სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში (იუ. გერმანი, კ. როქსინი) ღიადაა აღიარებული, რომ სასამართლოს ასეთი საქმიანობა ატარებს საბრალდებო ხასიათს. ჯერ ერთი, ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების ზეგავლენით თავმჯდომარე იკავებს საბრალდებო პოზიციას, გამოდის განსასჯელის ბრალეულობის პრეზუმუციიდან, რომელსაც, თავის მხრივ, ექმნება ისეთი შეხედულება, რომ მას ნაკლებად თუ შეუძლია ჰქონდეს საქმის ობიექტურად განხილვის იმედი. მეორე, დაკითხვების დროს, შუამდგომლობის განხილვისას თავმჯდომარე ვალდებულია მისდიოს ბრალდების ვერსიას, ვინაიდან ხშირად ეფუძნება მხოლოდ მოკვლევის მასალებს. საბრალდებო ძალაუფლება იმდენად ძლიერია, რომ განაჩენის დადგენისას არ რჩება ადგილი მტკიცებუ-

ლებათა კრიტიკული შეფასებისათვის. მესამე, განსასჯელის მხილების კალდებულებიდან გამომდინარე, თავმჯდომარე გადაიქცევა განსასჯელის მოწინააღმდეგედ, უსვამს მას გამოსააშკარავებელ კითხვებს და ემყარება შესაბამის საგამოძიებო ტაქტიკას. აქედან გამომდინარე განსასჯელს წარმოეშობა იმის შეგრძნება, რომ მას საქმე აქვს მტერთან. მეოთხე – თავმჯდომარის მიზანმიმართული მოქმედება განსასჯელის გამოსააშკარავებლად, ამასთან დაკავშირებით კი მორიგი საგამოძიებო მოქმედების აუცილებლობა წინასწარ მოფიქრების, წინასწარ გათვალისწინებული და მოსალოდნელი პასუხით შეკითხვის დასმით – ზღუდავს მიუკერძოებელი აღქმისა და ინფორმაციის გადაშუქების შესაძლებლობას, განსაკუთრებით იმ ინფორმაციის, რომელიც ეწინააღმდეგება თავმჯდომარის შეხედულებებს.

პროკურორი არ წარმოადგენს პროცესის მხარეს, სასამართლოში წარმოადგენს მხოლოდ ბრალდებას, შემოიფარგლება ე.წ. ზედამხედველობის ფუნქციით და სასამართლო გამოძიებაში არსებითად არ მონაწილეობს. თუ დამცველი დამატებით კითხვებს დაუსვამს მოწმეებს, მაშინ თავმჯდომარეს შეუძლია შეაწყვეტინოს მას და დამოუკიდებლად დაკითხოს ეს მოწმეები, მაგრამ უკვე თავისთვის საჭირო მიმართულებით. თავმჯდომარის დომინირებული მდგომარეობა როგორც წესი განაპირობებს პროკურორისა და დამცველის პასიურ მონაწილეობას. თუ ისინი ამჟღავნებენ სასამართლო განხილვაში აქტიური მონაწილეობის მიღების სურვილს, არ არის გამორიცხული, თავმჯდომარემ აღნიშნული მცდელობა განიხილოს როგორც მისი დაკითხვის ტაქტიკის კრიტიკა.

უსაფუძვლოდ არ ამტკიცებენ (მ. ხირშბერგი), რომ გერმანიის სისხლის საპროცესო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს განსასჯელის დაკითხვის უფლების გადაცემა თავმჯდომარისათვის. მოსამართლე თავისი არსით გადაიქცევა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოდ. ამიტომ „არაადაამიანურ“ ამოცანას წარმოადგენს, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შეთავსება მოსამართლეთა მიერ მტკიცებულებათა შეფასებასთან. ბევრი მოსამართლე ცდილობს აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტას. მაგრამ სხვები ურიგდებიან თავიანთ მდგომარეობას და იღწვიან განსასჯელის მსჯავრდებისათვის.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ითვალისწინებს მთელ რიგ მნიშვნელოვან დებულებებს, რომელიც სასამართლო განხილვის მიმდინარეობას ეხება.

სსსკ-ის §243-ის თანახმად სასამართლო განხილვა იწყება სა-

სამართლოში გამოძახებული პირების გამოცხადების შემოწმებით. მას ახორციელებს თავმჯდომარე, რომელიც რწმუნდება განსასჯელის, დამცველის, მოწმეებისა და ექსპერტების გამოცხადებაში. გამოძახებული მოწმეები გაყვანილი უნდა იქნენ სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ამის შემდგომ თავმჯდომარე დაკითხვის გზით ადგენს განსასჯელის პიროვნებას.

საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნება კანონის თანახმად მთლიანად არ არის საჭირო. პროკურორი კითხულობს მხოლოდ ბრალდების ფორმულას. თუ ბრალდება შეიცვალა სამართალში მიცემის სტადიაზე, მაშინ კითხულობენ შესაბამის განჩინებას.

შემდეგ განსასჯელს განემარტება, რომ მის თავისუფალ შეხედულებაზე დამოკიდებული მისცემს განმარტებას ბრალდების არსის შესახებ, თუ საერთოდ არ მისცემს ჩვენებას საქმეზე. თუ განსასჯელი მზად არის მისცეს განმარტება, მაშინ იგი დაკითხება საქმეზე სსსკ-ის §136-ის შესაბამისად. გფრ-ის უზენაესი სასამართლო მართალია მიიჩნევს, რომ სსსკ-ის §136 ეხება წინასწარი გამოძიების სტადიას, მაგრამ მაინც აღიარებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ განუმარტავს განსასჯელს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებას, ეს წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით დარღვევას. მართალია ასეთი სახის შემთხვევისათვის გფრ-ის უზენაესმა სასამართლომ გააკეთა არსებითი დათქმა, რომლის შესაბამისადაც მხოლოდ სასამართლო სხდომის ოქმზე განსასჯელის მითითება, რომ მას არ განემარტა ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება და ამიტომ იძულებული იყო მიეცა ჩვენება, საკმარისი არ არის. განსასჯელი ვალდებულია დაამტკიცოს, რომ იგი გამოძინარეობდა ჩვენების მიეცემის ვალდებულიდან და ამის გამო იძულებული იყო მიეცა ჩვენება. მაგრამ განსასჯელზე ასეთი სახის „მტკიცების ტვირთის“ დაკისრება კანონით არ არის გათვალისწინებული.

5. სასამართლო გამოძიება წარმოადგენს სასამართლო განხილვის ძირითად ნაწილს. სსსკ-ის §244-ის პირველი ნაწილის შესაბამისად იგი იწყება განსასჯელის დაკითხვის შემდეგ. შესაბამისად, განსასჯელის დაკითხვა წინ უსწრებს სასამართლო გამოძიებას და არ შედის მასში.

სასამართლო გამოძიების მიზანია ჭეშმარიტების დადგენა. სსსკ-ის §244-ის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ სასამართლო სამსახურებრივი მოვალეობიდან გამოძინარე ვალდებულია ჭეშმარიტების დადგენის მიზნით გამოიკვლიოს ყველა ფაქტი და მტკიცებულება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის.

სასამართლო გამოძიების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საკითხი მისი მოცულობის შესახებ. იგი უშუალოდ დაკავშირებულია მტკიცებულებათა დასაშვებისა და შესახებობის პრობლემასთან, მტკიცებულებათა წარმოდგენისა და გამოკვლევის შესახებ შუამდგომლობებზე უარის თქმის საფუძვლებთან და ამიტომ მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ზოგადი წესის შესაბამისად სასამართლო გამოძიება უნდა ჩატარდეს ყველა გამოძახებული და გამოცხადებული მოწმეების, სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მტკიცებულების წარდგენა დაუშვებელია ან ხდება პროცესის გაჭინურების მიზნით.

სსსკ ითვალისწინებს, მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის უარყოფის საფუძვლების ზუსტ და ამომწურავ ნუსხას: სსსკ-ის §244-ის მე-3 ნაწილის თანახმად შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ უნდა იქნეს უარყოფილი, თუ მტკიცებულებათა წარმოდგენა დაუშვებელია. სხვა შემთხვევაში შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარმოდგენის შესახებ შეიძლება იყოს უარყოფილი მხოლოდ მაშინ, თუ მტკიცებულებათა წარმოდგენა ზედმეტია საზოგადოებისათვის ცნობილ ფაქტებთან დაკავშირებით, თუ ფაქტს, რომელიც უნდა იყოს დამტკიცებული, არ აქვს მნიშვნელობა საქმის გადასაწყვეტად ან დამტკიცებულია, თუ მტკიცებულება ბოლიანად უეარგისია ან შეუძლებელია მისი მოპოვება, თუ შუამდგომლობა წარმოდგენილია პროცესის გაჭინურების მიზნით, ან არსებითი მტკიცება, რომელიც განსასჯელის გამართლების მიზნით უნდა იყოს დამტკიცებული, შეიძლება ისეთი სახით იყოს გადმოცემული, თითქოს დასამტკიცებელი ფაქტი ჭეშმარიტია.

აღნიშნული საფუძვლით შუამდგომლობის უარყოფისას სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს განჩინება.

სასამართლო პრაქტიკაში შემუშავებულია რეკომენდაციები ამ გარემოებების ერთგვაროვანი განმარტებისათვის.

მტკიცებულებათა წარმოდგენა დაუშვებელია, როდესაც არსებობს ე.წ. მტკიცების აკრძალვები. მაგალითად, არ შეიძლება მოწმის სახით დაკითხოს პირი, რომელსაც კანონმა მიანიჭა ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება და მან ამ უფლებით ისარგებლა.

საყოველთაოდ ცნობილად აღიარებულია ფაქტები, რომელიც საზოგადოებისათვის იმდენად ფართოდ არის ცნობილი, რომ არ წარმოიშობა მათ არსებობაში გონივრული ეჭვის საფუძველი, კერძოდ, ბუნე-

ბრივი მოვლენები ან მსოფლიო ისტორიის მოვლენები.

საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის არმქონე გარემოებებს მიეკუთვნება ფაქტები, როდესაც ისინი არ არიან დაკავშირებული მტკიცების საგანთან ან თუმცა მასთან დაკავშირებულნი არიან, მაგრამ არ შეუძლიათ საქმის შედეგზე ზემოქმედება. ამასთან უნდა ზედმიწევნით გადამოწმდეს ფაქტების არაარსებითობა, იმისათვის, რომ გამოირიცხოს მათი, როგორც არაარსებითი ფაქტების უარყოფა (მაშინ, როდესაც მათ შეიძლება ღიდი მნიშვნელობა ჰქონდეთ საქმისათვის). ზედაპირულად აღქმული ფაქტები ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს დამტკიცებულად. ფაქტების მტკიცებისას საჭიროა დასაბუთებული რწმენა.

სრული გამოუსადეგრობის ცნება მიეკუთვნება მტკიცების საშუალებას, წყაროს. მაგალითად: ბრმა ან ყრუ-მუნჯი მოწმეების ჩვენება, რომელთაც თავანთი ფიზიკური არასრულყოფილებიდან გამომდინარე არ ძალუძთ აღიქვან გარკვეული მოვლენა. ან ექსპერტის დასკვნა, რომელსაც არ გააჩნია სპეციალური ცოდნა.

მტკიცებულებათა მიუღწევლობის ქვეშ მოიაზრება მდგომარეობა, როდესაც მაგალითად, არ არის ცნობილი მოწმის ადგილსამყოფელი, მისი მოძებნისა და სასამართლოში გამოცხადებისათვის გამოყენებული ზომები კი უშედეგოა.

შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ განიხილება როგორც პროცესის გაჭიანურების მიზნით წარდგენილი, იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ხელს არ უწყობს საქმის გარემოებების დადგენას და მოწოდებულია მხოლოდ გააჭიანუროს განაჩენის გამოტანა.

დამტკიცების გარეშე ესა თუ ის გარემოება სასამართლოს მიერ ჭეშმარიტად შეიძლება იყოს აღიარებული მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას. მტკიცება უნდა იყოს არსებითი, მიმართული განსასჯელის სასარგებლოდ და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სხვა მტკიცებულებებს. მაგალითად, სასამართლომ შეიძლება მიიღოს დაცვის მტკიცება განსასჯელის სამაგალითო ქცევაზე დანაშაულის ჩადენამდე როგორც სინამდვილესთან შესაბამისი და უარი თქვას შუამდგომლობაზე, დაკითხოს მოწმის სახით მისი ყოფილი მასწავლებელი ან სამსახურის უფროსი.

ბოლოს, სასამართლოს უფლება აქვს უარი თქვას ექსპერტიზის დანიშვნის შუამდგომლობაზე და დათვალიერების ჩატარებაზე, თუ თვითონ სასამართლო აღჭურვილია აუცილებელი სპეციალური ცოდნით, ხოლო დათვალიერების ჩატარება არ არის საჭირო ჭეშმარიტების დასადგენად. (სსსკ, §244 ნაწ. 4.)

სასამართლო გამოძიებაში დიდი ადგილი უკავია მოწმის დაკითხვას.

კანონი ითვალისწინებს არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის ზოგიერთ თავისებურებას. სსსკ-ის §241a-ის თანახმად მოწმეებს, რომელთაც არ მიუღწევიათ 16 წლისათვის, დაკითხვათ ერთპიროვნულად თავმჯდომარე. მოსამართლეებსა და შეფენებს (რომლებიც შედიან სასამართლოს შემადგენლობაში), ასევე პროკურორს, განსასჯელსა და დამცველს შეუძლიათ სთხოვონ თავმჯდომარეს დაუსვან მოწმეს სხვა კითხვებიც. პროცესის ამ მონაწილეებს თავმჯდომარემ შეიძლება მისცეს უფლება უშუალოდ დაუსვან შეკითხვები არასრულწლოვან მოწმეს, თუ ამით ზიანის მიყენების საფრთხე არ არსებობს.

თეორიასა და პრაქტიკაში განსაკუთრებულად ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებას იწვევს მოწმის სახით გურ-ის კონსტიტუციის დაცვის უწყების ოფიციალური თანამშრომლების (ოპერატიული მუშაკები), კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების და მათი აგენტების –საიდუმლო ინფორმატორების დაკითხვის პრობლემა.

ცნობილია, რომ კონსტიტუციის დაცვის უწყების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ძირგამომთხრელი, ანტიკონსტიტუციური ელემენტების გამოვლენა, აგენტურის გადმობირებით სპეციალური კონსპირაციული მეთოდების გამოყენებით, მათი ჩანერგვით სხვადასხვა ორგანიზაციებში, სატელეფონო საუბრების მოსმენის, კინო, ვიდეოგადაღების, ფოტოგრაფირების, საფოსტო და სატელეგრაფო კორესპონდენციის პერლუსტრაციის, დაკვირვების, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით გამოყენების გზით. ინტენსიური აგენტურული სამუშაო ტარდება კრიმინალური პოლიციის მიერ.

სსსკ-ის §54-ის შესაბამისად კონსტიტუციის დაცვის უწყების ან პოლიციის ოფიციალურმა თანამშრომლებმა, არიან რა სახელმწიფო სამსახურის მოხელეები, შეიძლება მოწმის სახით მისცენ ჩვენება იმ გარემოებებზე, რომელიც ვალდებულნი არიან შეინახონ როგორც სამსახურებრივი საიდუმლო, მხოლოდ ზემდგომი ორგანოს სპეციალური ნებართვით. რა თქმა უნდა აგენტურული საქმიანობა ფარული ხასიათისა და ასეთი თანხმობა არ გაიცემა.

მაგრამ დაკითხვაში ასეთი სახის „შეუცვლელი“ მოწმეების მონაწილეების მოთხოვნილება აიძულებს კონსტიტუციის დაცვის უწყებას ან პოლიციას ხანდახან გასცენ ე.წ. შეზღუდული ნებართვები. თუ სსსკ-ით გათვალისწინებული თანხმობა შეიძლება გაცემული იყოს სრული მოცულობით, ან საერთოდ არ მოხდეს მისი გაცემა, მაშინ ასეთი შეზღუდული ნებართვა თანამშრომელს აძლევს უფლებას მისცეს

ჩვენება აგენტურული მონაცემების საფუძველზე, მაგრამ ამავე დროს კრძალავს მათი წყაროების გამხელას. ამიტომ, მიიღებენ რა ჩვენების მიცემის უფლებას, ამ ორგანოების თანამშრომლები ჩვენების მიცემისას საერთოდ უარს ამბობენ აცნობონ მონაცემები ინფორმაციის წყაროს შესახებ და მიუთითებენ სამსახურებრივი საიდუმლოს შენახვის ვალდებულებაზე შეზღუდული ნებართვის შესაბამისად. ამგვარი პრაქტიკა გფრ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ მართლზომიერად იქნა აღიარებული და მან 1962 წლის 1 აგვისტოს განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში კონსტიტუციის დაცვის უწყების თანამშრომლები გამოდიან ე.წ. ხმებზე დამყარებული მოწმეების სახით. ასეთი პრაქტიკის მართლზომიერება 1982წ. 26 მაისს დადასტურებულ იქნა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

ამგვარი ხმებზე დამყარებული მოწმეების დაკითხვასთან ერთად პრაქტიკაში ინერგება საიდუმლო ინფორმატორების დაკითხვაც. უკანასკნელნი გამოდიან სასამართლოში ფსევდონიმით, ინახავენ რა თავის ანონიმურობას, ვინაიდან ითვლება, რომ მათზეც ვრცელდება შეზღუდული ნებართვის მოქმედება.

სინამდვილეში არც საიდუმლო ინფორმატორი, არც ოფიციალური თანამშრომელი პროცესუალური მნიშვნელობით მოწმედ არ ითვლება. თუ ჩვეულებრივი მოწმე, როგორც მიღებულია გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში კანონზე მითითებით, წარმოადგენს პირს, რომელმაც შექმნილი მდგომარეობიდან გამოძინარე აღიქვა გარკვეული ფაქტები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის საქმისათვის, და ვალდებულია შეატყობინოს მათ შესახებ გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს, მაშინ საიდუმლო ინფორმატორი არის კონსტიტუციის დაცვის უწყების ან პოლიციის მიერ გადმოძიებული ფარული თანამშრომელი. ის ასრულებს განსაზღვრულ დავალებებს, აგროვებს ინფორმაციას სპეცსამსახურისათვის საინტერესო პირებზე, ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედებს როგორც პროვოკატორი, გადასცემს კონსპირაციულ შეხვედრებზე ოფიციალურ მუშაკებს ინფორმაციას, რომელიც წარმოადგენს წინასწარ დაგეგმილი და წარმართული ფარული საქმიანობის შედეგს. მისი ფარული საქმიანობა, როგორც წესი, ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ. შესაბამისად საიდუმლო ინფორმატორი არის ინფორმაციის აგენტურული და არა პროცესუალური წყარო.

კონსტიტუციის დაცვის უწყების ან კრიმინალური პოლიციის ოფიციალური თანამშრომლები არიან სპეცსამსახურის პროფესიულად მომზადებული ოპერატიული მუშაკები. სწორედ ისინი არიან

დაკავებული აგენტურის გადმოხივებით, ხელმძღვანელობენ საიდუმლო ინფორმატორების მუშაობას და მის შედეგებს აცნობებენ სასამართლოში ხმებზე დამყარებული მოწმის ჩვენების სახით. ჩვეულებრივ თვითმხილველ მოწმესა და ხმებზე დამყარებულ მოწმეს შორის არ წარმოიშობა არანაირი ურთიერთობა. პირველი უბრალოდ აცნობებს მეორეს განსაზღვრულ ფაქტებს, რომლებიც მისთვის გახდა ცნობილი. ხოლო საიდუმლო ინფორმატორი და სპეცსამსახურის ოფიციალური მუშაკები იმყოფებიან ფარული თანამშრომლობის სპეციფიკურ ურთიერთობებში, რასაც წარმოშობს ინფორმატორის გადახივების ფაქტით. აქედან გამომდინარე ოფიციალური მუშაკი ასევე არის აგენტურული წყარო და ამიტომ ჩვეულებრივი ხმებზე დამყარებული მოწმე ვერ იქნება.

მსგავსი პრაქტიკა გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესის უმთავრესი პრინციპებიდან გადახვევაა. ეს არის, კერძოდ, ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური უფლებების დარღვევა იყოს მოსმენილი სასამართლოს მიერ (103-ე მუხ-ის პირველი ნაწ., გფრ-ის კონსტიტუცია), რომელიც შეიძლება რეალიზებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსასჯელს შეუძლია გამოთქვას აზრი საქმის ყველა გარემოებასთან დაკავშირებით, რაც შეუძლებელია აგენტურული წყაროების ანონიმურობის გამო. იმავე მიზეზით ირღვევა განსასჯელის უფლებაც დაცვაზე: ასევე პრინციპი, რომლის შესაბამისადაც სასამართლო ვალდებულია, სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, ჭეშმარიტების დადგენის მიზნით გამოიკვლიოს საქმის გადასაწყვეტად საჭირო ყველა ფაქტი და მტკიცებულება.

სასამართლო გამოძიების მნიშვნელოვანი საკითხია წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოწმისა და ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების სასამართლოში საჯაროდ წაკითხვის საკითხი, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს უშუალოდ პრინციპთან.

ამ პრინციპის თანახმად თუ ფაქტის მტკიცება დაფუძნებულია ამა თუ იმ პირის აღქმაზე, მაშინ ეს პირი დაკითხული უნდა იქნეს სასამართლო სსდომაზე. დაკითხვა არ შეიძლება შეიცვალოს ადრე ჩატარებული დაკითხვის ოქმის საჯარო წაკითხვით.

მაგრამ ამ ზოგადი წესიდან არსებობს რიგი გამონაკლისებიც, რომელიც სპეციალურად კანონითაა გათვალისწინებული. სსსკ-ის §252-ის თანახმად, მოწმის, ექსპერტისა და განსასჯელის დაკითხვა შეიძლება შეიცვალოს ადრე ჩატარებული დაკითხვის ოქმის საჯარო წაკითხვით, თუ:

1) მოწმე, ექსპერტი ან განსასჯელი გარდაიცვალა ან დაავადდა

სულიერი ავადმყოფობით, ან არ არის დადგენილი მისი ადგილსამყოფელი;

2) მოწმის, ექსპერტის ან განსასჯელის სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას ხანგრძლივი დროით ან განუსაზღვრელი ვადით ხელს უშლის ავადმყოფობა, უძლურება ან სხვა დაუძლეველი გარემოებები;

3) მოწმის ან ექსპერტის გამოცხადება შეუძლებელია შორს მანძილზე ყოფნის გამო (მათი ჩვენებების მნიშვნელობის გათვალისწინებით);

4) ოქმის საჯაროდ წაკითხვის მომხრეა პროკურორი, დამცველი და განსასჯელი;

მართალია, კანონი მიუთითებს დაკითხვის სასამართლო ოქმებზე, მაგრამ, ამასთანავე, დასაშვებია არასამოსამართლო დაკითხვის ოქმების საჯაროდ წაკითხვაც, თუ მოწმე, ექსპერტი ან განსასჯელი გარდაიცვალა ან სხვა ფაქტორების გამო შეუძლებელია დაკითხული იყვნენ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში.

სსსკ-ის §252-ის თანახმად, თუ მოწმემ, რომელსაც აქვს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, არ ისარგებლა ამ უფლებით წინასწარი გამოძიების დროს და დაკითხა, ხოლო სასამართლო სხდომაზე პირველად გამოიყენა ეს უფლება, მაშინ მის მიერ აღრე მიცემული ჩვენება არ შეიძლება საჯაროდ იქნეს წაკითხული სასამართლოში. თუმცა პრაქტიკაში გამოიყენება არასამართლებრივი მეთოდი მოწმის ჩვენების აღდგენისა იმ თანამდებობის პირების მოწმეებად დაკითხვის გზით, რომლებმაც დაკითხეს ან რომლებიც მონაწილეობდნენ ამგვარი მოწმეების დაკითხვისას წინასწარი გამოძიების ეტაპზე. ესენი არიან უბნის მოსამართლე, მისი მდივანი, პოლიციის მოხელე. ასეთი პრაქტიკა ჯერ კიდევ წარსულში კანონიერად იყო აღიარებული გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ, ხოლო ამჟამადაც დაშვებულია ფურ-ის უზენაესი სასამართლოს მიერაც, რომელიც, ამასთანავე, მიზანშეწონილად მიიჩნევს მოწმეების სახით მხოლოდ სასამართლოს მუშაკების დაკითხვას.

ბოლო დროს გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში აღინიშნება კონსტიტუციის დაცვის უწყების ოფიციალური თანამშრომლების, მისი საიდუმლო ინფორმატორების დაკითხვის ოქმების საჯაროდ წაკითხვის ტენდენცია (იხევე, როგორც სასამართლოში მათი გამოძახება და მოწმეების სახით დაკითხვა). როგორც 1981 წლის 26 მაისს განმარტა ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, საიდუმლო ინფორმატორის დაკითხვის ოქმის საჯაროდ წაკითხვა ეფუძნება სსსკ-ის §251-ის მე-2 ნაწილს და არ არის დაკავშირებული კანონის დარ-

ღვევასთან. მაგრამ კანონის ეს ნორმა უფლებას იძლევა საჯაროდ იქნეს წაკითხული მოწმის დაკითხვის ოქმები, თუ არსებობს მოწმის სასამართლოში გამოცხადების დაუძლეველი წინააღმდეგობა და სასამართლო ვალდებულია დაადგინოს სწორედ ეს გარემოება. რაც შეეხება საიდუმლო ინფორმატორს, ბუნებრივია, კანონი არ ითვალისწინებს სასამართლოში მისი გამოუცხადებლობის რაიმე დაუძლეველ წინააღმდეგობას. იგი იმყოფება კონსტიტუციის დაცვის უწყების კონკრეტულ ოპერატიულ მუშაკთან კავშირში და ნებისმიერ დროს შეიძლება გამოცხადებულ იქნეს სასამართლოში.

სასამართლო სხდომაზე შეიძლება საჯაროდ იქნეს წაკითხული წინასწარი გამოძიების პროცესში ბრალდებულის დაკითხვის ოქმები მათ მიერ ბრალის აღიარების საკითხის გამოკვლევის ან მათ ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრის მიზნით. ამასთან ერთად კანონში აღინიშნება, რომ შეიძლება საჯაროდ იქნეს წაკითხული მხოლოდ სასამართლო დაკითხვის ოქმები (სსსკ, §254). მაგრამ ბრალის აღიარების დასამტკიცებლად, რომელზეც განსასჯელმა უარი განაცხადა სასამართლო სხდომაზე, პრაქტიკაში გამოიყენება მოწმეების სახით იმ თანამდებობის პირების ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაკითხვა, რომლებმაც იგი დაკითხეს, კერძოდ, პოლიციის მომკვლევეების დაკითხვა.

6. სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდგომ, სასამართლო გადადის სასამართლო კამათზე, რომელსაც კანონში საბოლოო სიტყვები ეწოდება, ხოლო შემდეგ განსასჯელს აძლევს საბოლოო სიტყვას (სსსკ, §258).

თავდაპირველად სიტყვა ეძლევა პროკურორს, ხოლო შემდეგ განსასჯელს თავისი მოსაზრებებისა და წინადადებების გადმოსაცემად. განსასჯელის გამოსვლა დამოკიდებულია მის სურვილზე. განსასჯელის მაგივრად შეიძლება გამოვიდეს მისი დამცველი. დამცველის გამოსვლის მიუხედავად, განსასჯელს უნდა ჰკითხონ, სურს თუ არა რაიმეს თქმა თავის დასაცავად.

საბოლოო სიტყვის შინაარსი კანონი არ განსაზღვრავს. თეორიასა და პრაქტიკაში მიღებულია, რომ პროკურორმა თავის სიტყვაში უნდა გაანალიზოს სასამართლო განხილვის შედეგები, გამოიტანოს გარკვეული დასკვნა განსასჯელის დამნაშავეობის ან უდანაშაულობის შესახებ და დააყენოს წინადადება შესაბამისი განაჩენის დასადგენად. განსასჯელისა და დამცველის საბოლოო სიტყვის შინაარსი დაცვის ინტერესებით განისაზღვრება.

პროკურორს აქვს რეპლიკის უფლება.

განსასჯელს ეკუთვნის საბოლოო სიტყვა. მაგრამ თუ იგი გაძევებულია სასამართლო სხდომის დარბაზიდან არასათანადო ქცევისათვის ან დაუმორჩილებლობისათვის, მაშინ იგი შეიძლება მოკლებულ იქნეს ამ უფლებას.

7. სსსკ-ის ნორმები, რომლებიც სასამართლო განხილვას ეხება, სისხლის სამართლის საქმეების განხილვის ზოგად წესთან ერთად ითვალისწინებს ასევე დაჩქარებულ წარმოებას და წარმოებას გამოუცხადებელი პირის მიმართ.

სსსკ-ის §212-ის თანახმად პროკურორს უფლება აქვს საქმეზე, რომელსაც იხილავს მოსამართლეები და შეფენების სასამართლო, წერილობითი ან ზეპირი ფორმით აღძრას შუამდგომლობა საქმის განხილვის შესახებ დაჩქარებული წარმოების წესით, თუ საქმის გარემოება არ არის რთული და საჭიროა განაჩენის დაუყოვნებლივ გამოტანა.

საქმის განხილვა ტარდება დაუყოვნებლივ ან უმოკლეს დროში. ბრალდებულის სამართალში მიცემა და საბრალდებო აქტის წარდგენა საჭირო არ არის. ბრალდება სასამართლოში აღიქმება ზეპირად. საქმის განხილვა ტარდება განსასჯელის დაუსწრებლად. სასამართლოში გამოძახების ვადა შემცირებულია 24 საათამდე. გამოძახებაში მითითებულია, თუ რაში ედება ბრალი განსასჯელს. საქმის წარმოების დაჩქარებული წესით განხილვისას შეიძლება იქნეს დანიშნული სასჯელი ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. შუამდგომლობა ასეთი წესით საქმის განხილვის შესახებ შეიძლება იყოს უარყოფილი, თუ საქმე კანონით დადგენილი წესით არ შეიძლება განიხილებოდეს დაჩქარებული წესით ან შესაძლებელია სასჯელის ზომის სახით ერთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა.

წარმოება გამოუცხადებელი პირის მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო განხილვა საქმეზე არ ტარდება. მის ამოცანას წარმოადგენს მხოლოდ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა იმ შემთხვევისათვის თუ მომავალში სასამართლოში იქნება წარმოდგენილი ბრალდებული.

სსსკ-ის §276-ის თანახმად, გამოუცხადებელ პირად აღიარებულია ბრალდებული, თუ მისი ადგილსამყოფელი არ არის ცნობილი ან იგი იმყოფება საზღვარგარეთ და მისი მიყვანა სასამართლოში შეუძლებელი ან ძნელია.

თუ გამოუცხადებლის მიმართ აღძრულია საჯარო ბრალდების საქმე, ასევე არსებობს დაპატიმრების შესახებ სასამართლო ბრძანების გამოცემის საფუძველი, მაშინ გამოუცხადებლის ქონებას შეიძლება დაე-

დოს ყადაღა იმისათვის, რომ ასეთი გზით აიძულონ იგი წარსდგეს სასამართლოს წინაშე. თუ გამოუცხადებელი გამოცხადდება ან მისი მოყვანა საერთოდ შეუძლებელია, მაშინ ქონების დაყადაღების შესახებ დადგენილება უნდა გაუქმდეს.

ბოლოს, სასამართლოს უფლება აქვს მისცეს გამოუცხადებელ ბრალდებულს წერილობითი ე.წ. საიმედო დაცვის გარანტია, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული გარკვეული პირობის შესრულებასთან. ასეთი დაცვა გარანტირებულს ხდის პატიბრობის შესახებ სასამართლო ბრძანების გამოუყენებლობას და ემსახურება მხოლოდ პროცესუალურ მიზანს, მაგალითად, პროკურორის ან გამოძიების მოსამართლის მიერ ბრალდებულის დაკითხვის უზრუნველყოფას.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფისა და შეგროვების შემდეგ საქმის წარმოება ჩერდება.

8. სასამართლო განხილვა მთავრდება განაჩენის დადგენით.

გამამტყუნებელ და გამამართლებელ განაჩენთან ერთად სსსკ ითვალისწინებს განაჩენის კიდევ ორ სახეს: საქმის შეწყვეტის, უსაფრთხოებისა და გამოსწორების ზომების დანიშვნის შესახებ.

განაჩენი საქმის შეწყვეტის შესახებ, რომელიც თეორიაში იწოდება „პროცესუალურ გადაწყვეტილებად“, სასამართლოს გამოაქვს მაშინ, როდესაც არსებობს საქმის წარმოების გამოძირცხავი გარემოებები. მაგალითად: ხანდაზმულობის ვადის გასვლა, ამნისტია.

რაც შეეხება განაჩენს უსაფრთხოებისა და გამოსასწორებელი ზომების შესახებ, სასამართლოს შეუძლია მათი დანიშვნა როგორც ჩვეულებრივი, ასევე განსაკუთრებული სასამართლო წარმოების განხორციელების გზით. პირველ შემთხვევაში აღნიშნული ზომები ინიშნება ან გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელის ძირითად სახესთან ერთად, ან გამამართლებელი განაჩენით, მაგალითად, გამართლებულის მოთავსება შეურაცხადობასთან დაკავშირებით (სსკ, §20) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მეორე შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სპეციალური დამოუკიდებელი განაჩენი გამოსწორებისა და უსაფრთხოების ზომების შესახებ, განსაკუთრებული წარმოების წესით.

გამოაქვს რა გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი, სასამართლო, სსსკ-ის §261-ის თანახმად, იღებს გადაწყვეტილებას მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგების შესახებ საკუთარი თავისუფალი შეხედულების საფუძველზე, რომელიც დაფუძნებულია საქმის ყველა გარემოებათა განხილვაზე მათ ერთობლიობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ არ შეიცავს სპეციალურ მითით-

ბებს სასამართლო განაჩენის დადგენისას გადასაწყვეტ კონკრეტულ საკითხებზე. პრაქტიკაში ისმება შემდეგი საკითხები და ისინი განიხილებიან ასეთი თანმიმდევრობით: პროცესუალური (მაგალითად, არის თუ არა საქმის შეწყვეტის საფუძველი), ბრალეულობის (ძირითადის, დამატების, გამოსწორებისა და უსაფრთხოების ზომების შესახებ), არა სისხლისსამართლებრივი ხასიათის (მაგალითად, სასამართლო ჯარიმის შესახებ).

განაჩენის საგანს წარმოადგენს ის სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედება, რომელიც მითითებულია ბრალდებაში. ამასთან ერთად სასამართლო არ არის შებოჭილი იმ დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციით, რომელიც უკვე მოცემულია ბრალდებულის სამართალში მიცემის განჩინებაში.

სსსკ-ის §265-ის თანახმად განსასჯელს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ სისხლის სამართლის კანონის შესაბამისი პარაგრაფის საფუძველზე, რომელიც მითითებულია ბრალდებაში, რომელმაც სასამართლო განხილვის საგანი და ფარგლები განსაზღვრა. მაგრამ კანონი აღიარებს განსასჯელის მსჯავრდების შესაძლებლობას სისხლის სამართლის კანონის სხვა პარაგრაფითაც, რომელიც ითვალისწინებს უფრო მძიმე სასჯელსაც. ბრალდების ასეთი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, რომლებიც სისხლის სამართლის კანონის თანახმად, ითვალისწინებენ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაზრდას ან უსაფრთხოებისა და გამოსწორების ზომების გამოყენებას, მაგრამ იმ პირობით, რომ განსასჯელს სასამართლო სხდომაზე წინასწარ უნდა აცნობოს ბრალდების მოსალოდნელი ცვლილების შესახებ, და მიეცეს შესაძლებლობა მოეზადოს დაცვისათვის. ბრალდების შეცვლისას სასამართლოში საქმის განხილვა შეიძლება იქნეს გადადებული განსასჯელის შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით, თუ საჭიროა ბრალდების ან დაცვის აუცილებელი მომზადება.

განსასჯელს შეიძლება დაედოს მსჯავრი სხვა დანაშაულის ჩადენისათვის, რომელთა ბრალდება აღძრულია პროკურატურის მიერ სასამართლო განხილვის დროს, თუ საქმე აღნიშნული სასამართლოს განსჯადია და მისი განხილვის მომხრეა განსასჯელი. ბრალდება ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს აღძრული პროკურორის მიერ ზეპირად კანონის მოთხოვნების დაცვით, რომლებიც დაკავშირებულია საბრალდებო დასკვნის შინაარსთან. საქმის სასამართლო განხილვა წყდება, თუ თაემგდომარე თელის ამას საჭიროდ ან ამის შესახებ შუამდგომლობს

განსასჯელი და შუამდგომლობა არ არის მიმართული პროცესის გაჭინურებისაკენ.

განაჩენი შედგება შესავალი ნაწილისაგან, რომელიც შეიცავს მითითებებს, საქმის სასამართლო განხილვის თარიღის, თავად საქმის მოსამართლეების, შეფენების, დამცველის, პროკურორის, სასამართლოს სხდომის მდივნის შესახებ, სარეზოლუციო ნაწილისაგან, რომელსაც კანონის შესაბამისად განაჩენის ფორმულას უწოდებენ და განაჩენის საფუძვლებისაგან, რომლებიც მოიცავენ მტკიცებულებებს, რომელთაც ეყარება სასამართლოს დასკვნები და მოტივები.

გამამართლებელი განაჩენის საფუძვლებში, როგორც გათვალისწინებულია სსსკ-ის §267-ის მე-5 ნაწილში უნდა იყოს მითითებული, რომ განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ან რომ დამტკიცებულად აღიარებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო ან სისხლისსამართლებრივად დასჯადი.

სსსკ-ის §267-ის პირველი ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლებში უნდა იყოს მოყვანილი დამტკიცებულად აღიარებული ფაქტები, რომელიც შეიცავენ სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების ნიშნებს. თუ სასამართლო განხილვისას მითითებული იყო სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ გარემოებაზე, რომელიც გამორიცხავს, ამცირებს ან ზრდის სასჯელის ზომას, მაშინ განაჩენის საფუძვლებში უნდა იყოს მითითებული ცნობილია თუ არა ეს გარემოებები დადგენილად ან დაუდგენლად. განაჩენის საფუძვლებში გარდა ამისა მითითება გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი და ის გარემოებები, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ სასჯელის ზომის შერჩევისას. თუ სასჯელის ზომა გამოყენებულია პირობითად, მაშინ იგი ასევე უნდა იყოს მოტივირებული. მოტივირება აუცილებელია სასჯელის გამოუყენებლობის შემთხვევაშიც.

რაიმე სახის მითითებას საქმის შეწყვეტის ან გამოსწორებისა და უსაფრთხოების ზომების დანიშვნის შესახებ განაჩენის საფუძვლებზე სსსკ არ შეიცავს.

ფურ-ის სისხლის სამართლის პროცესში ცნობილია ე.წ. შემცირებული განაჩენი, რომელშიც საჭირო არ არის საფუძვლის მითითება. სასამართლოს ასეთი განაჩენი გამოაქვს მაშინ, როდესაც პროცესის მონაწილეები, რომელთაც აქვთ განაჩენის გასაჩივრების უფლება, უარს ამბობენ ამაზე და განაჩენში საკმარისია მხოლოდ დამტკიცებულად აღიარებული სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების შემცველი

ფაქტებისა და გამოყენებული სისხლის სამართლის კანონის ძირითედად.

სასამართლოს განაჩენი გამოაქვს ხალხის სახელით. განაჩენის გამოცხადებისას უნდა იყოს წაკითხული მხოლოდ მისი ფორმულა, რომელშიც მიეთითება, რომ განსასჯელი გამართლებულია ან აღიარებულია დამნაშავედ სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩადენაში მისი სამართლებრივი კვალიფიკაციის ძირითებით. განაჩენის საფუძველი შეიძლება იქნეს ან წაკითხული (თუ იგი დაწერილია), გადმოცემული ზეპირად.

განაჩენის დადგენისას სსსკ არ ითხოვს მისი ერთიანი დოკუმენტის სახით შედგენას. წერილობითი სახით საკმარისია გადმოცემული იქნეს მხოლოდ განაჩენის ფორმულა, რომელიც იკითხება მისი გამოცხადებისას, ხოლო მთელი განაჩენი დგება გაცილებით გვიან.

სსსკ-ის §275 ადგენს ხუთ კვირიან ვადას განაჩენის შესადგენად. თუ სასამართლო განხილვა გრძელდებოდა 3 დღეზე მეტ ხანს, მაშინ ვადა გრძელდება კიდევ 2 კვირით. თუ სასამართლო განხილვა გაგრძელდება 10 დღეზე მეტ ხანს, მაშინ სხდომის ყოველი შემდეგი 10 დღიანი მონაკვეთი იწვევს დროის კიდევ ორი კვირით გაზრდას. ეს ვადა კიდევ შეიძლება იყოს გაზრდილი, თუ გაუთვალისწინებელი გარემოებები ხელს უშლიან დადგენილი ვადის დაცვას.

განაჩენს ხელს აწერენ მხოლოდ პროფესიონალი მოსამართლეები. თუ ერთ-ერთ მათგანს რაიმე მიზეზით არ შეუძლია თავისი ხელმოწერის გაკეთება, მაშინ თავმჯდომარე მიუთითებს საფუძველზე, რომელიც ხელს უშლის განაჩენზე ხელის მოწერას და ამის შესახებ ასაკით უფროსი მოსამართლე აკეთებს აღნიშვნას განაჩენში.

9. გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში XIX ს. მე-2 ნახევრიდან დაწყებული დღემდე მიღის დისკუსია სასამართლო განხილვის სტადიის რეფორმის შესახებ.

რეფორმის ძირითადი იდეა ყოველთვის იყო დაკავშირებული გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში სასამართლო განხილვის გარდაქმნასთან ანგლო-ამერიკული შეჯიბრებითობის პროცესის მსგავსად, იმისთვის, რომ შეერყიათ თავმჯდომარის აბსოლუტურად გაბატონებული მდგომარეობა, ხოლო პროკურორისა და დამცველისთვის მიეცათ ფართო უფლებამოსილება საქმის განხილვაში მონაწილეობისათვის.

ამ სტადიის ძირფესვიან ცვლილებას ეწინააღმდეგება ოპონენტების პოზიცია (გ.ჰენკელი, ე. შმიდტი), რომლებიც უარყოფენ შეჯიბრებითობის პრინციპის დანერგვის შესაძლებლობას ე.წ. „კლასიკურ ვარიანტში“ და ცდილობენ დაამტკიცონ სასამართლო განხილვის

„ავტორიტარული მოდელის“ უპირატესობა და გარდუვალობა.

როგორც წესი ამ პოზიციის დაცვის მიზნით მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები:¹

- ა) სისხლის სამართლის პროცესის წინასასამართლო სტადიაზე შეჯიბრებითობა არ მიიღწევა მხარეთა არათანასწორუფლებიანობის, ბრალმდებლის შეუდარებლად დიდი შესაძლებლობების გამო, რომელიც სარგებლობს პოლიციის მძლავრი აპარატის დახმარებით.
- ბ) პროფესიონალი მოსამართლეები და ნაფიცი მსაჯულები წინასწარ არ ეცნობიან საქმის წინასასამართლო მომზადების მასალებს. ამიტომ არსებობს მცდარი განაჩენის დადგენის დიდი საშიშროება.
- გ) უკარდინი დაკითხვა არ წარმოადგენს მეტ გარანტიას საქმის ყოველმხრივი და სრული გარემოებების შესწავლისათვის, ვიდრე თავმჯდომარის მიერ ერთპიროვნულად სასამართლო გამოძიების ჩატარება, რომელიც დაკითხვის ხელოვნების მცოდნე და პროფესიონალურად მომზადებული მოსამართლის ხელში „შექმნის სამოსამართლო საქმიანობის შედეგს.“
- დ) ძალზე მნიშვნელოვანია, შეუძლია თუ არა განსასჯელს გაიღოს დიდი ხარჯები კონტრმეტრიკებულებათა შეგროვების მიზნით, დაიქირაოს დამცველი, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს ბრალმდებლის მოხერხებულობასა და ხელოვნებას წარმოადგინოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებები.
- ე) ძალზე საეჭვო როლი აქვს თავშეკავებულ და მდუმარე მოსამართლეს, რომელიც ზემოდან აკვირდება საქმის განხილვას და იმთავითვე ჩამორჩება „ადამიანურ, თბილ და გაბებიან მოსამართლეს.“
- ვ) სასამართლო, რომელიც გამოდის მხარეთა შორის ბრძოლის დამკვირვებლად, იბულებულია საქმე გადაწყვიტოს და გამოიტანოს განაჩენი მტკიცებულებათა შეგროვებისა და გამოკვლევის არასრულყოფილი საქმიანობის საფუძველზე და შეეგუოს მტკიცებულებითი მასალის ხარვეზს.

ამის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც თეორიული კონსტრუქცია. ასეთი სისხლის სამართლის პროცესი მომ-

¹ Henkel H. Strafverfahrensrecht. 1968. S. 106-111.

ზიბულელი პოლიტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან, ერთის მხრივ, ბრალდებულს ჰიპოთეტურად ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების შესატყვისი, თავისუფალი პროცესუალური მდგომარეობა ენიჭება, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო საქმიანობის ცუდი შედეგების შემთხვევაშიც კი „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის კრიზისზე“ საუბრის საბაბი არ არის.

გარდა ამისა აღინიშნება (პ. ჰენკელი), რომ ანგლოსაქსური შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესის სისტემა აპრობირებული იქნა დასავლეთ გერმანიის პრაქტიკაში 1945წ. შემდეგ, როდესაც ბევრი გერმანელი ადვოკატი გამოდიოდა დამცველად დასავლეთის საოკუპაციო ზონის სასამართლოებში პროცესებზე. ნაპოლეონის მიერ გერმანიის ოკუპაციის დროს ფრანგულმა სისხლის სამართლის პროცესმა (ჯერ კიდევ არსებული გერმანიის ინკვიზიციურ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან შედარებით) დაიპყრო გული და სული გერმანელი იურისტებისა, ანგლოსაქსური შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესი, რომელიც ტრადიციულია ინგლისსა და ა. შ. შ-ში, აღმოჩნდა ძალზე უცხო გერმანიისათვის სისხლისსამართალწარმოების განვითარების განსხვავებული მიმართულებიდან გამოდინარე. ამიტომ მისი გადატანა ამ სამართალწარმოებისათვის არააღმაზნისათებელ ნიადაგზე მცდარი იქნებოდა.

ამჟამად ძირითადად შემოთავაზებულია გურ-ის სისხლის სამართლის პროცესში სასამართლო განხილვის სტადიის რეფორმის გატარების ორი ვარიანტი.¹

პირველი. შემოთავაზებულია სასამართლო განხილვის ე.წ. შერეული ტიპი. საქმის მოსმენის გამოცხადების, განსასჯელის პიროვნების დადგენისა და სხვა მოსამზადებელი მოქმედების შემდეგ, თავმჯდომარე არ უნდა გადაიქცეს საქმის გარემოებების გამოძიების ერთპიროვნულ ორგანოდ, არამედ უნდა ჩატარდეს გამოძახებული განსასჯელების, მოწმეებისა და ექსპერტების ჯვარედინი დაკითხვა პროკურორისა და დამცველის მიერ. ამასთან პროკურორი არ დაიკავებს მხარის პროცესუალურ მდგომარეობას. თავმჯდომარე შეინარჩუნებს საქმის გარემოებების გამოძიებისა და განხილვის ხელმძღვანელობის ვალდებულებას. არ შეიძლება მისი შეზღუდვა პროკურორისა და დამცველის მიერ წარმოებული ჯვარედინი დაკითხვის შედეგებით. მას აუცილებლად უნდა მიეცეს შესაძლებლობა დასვას დამაზუსტებელი კითხვები და ჩაატაროს საჭირო დამატებითი დაკითხვა. ივარაუდება, რომ სასამართლო განხ-

¹ ამის შესახებ: Roxin C. Op. cit. S. 59-60

იღვის ასეთი სტრუქტურა უზრუნველყოფს კომუნიკაციური კავშირის დამყარებას სასამართლოს, პროკურორს, დამცველსა და განსასჯელს შორის საქმის ყოველმხრივი, სრული განხილვისათვის და არ დაუშვებს მოსამართლის მტკიცებულებათა გამოკვლევასთან დაკავშირებული ერთპიროვნული საქმიანობის წინა პლანზე წამოწევას. მის მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისა და განაჩენის ღებგენის ფუნქციის შესრულების საზიანოდ.

მეორე. შემოთავაზებულია სასამართლო განხილვის სტადიის დაყოფა ორ ნაწილად. პირველ ნაწილში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და სასამართლო კამათის საფუძველზე უნდა გადაწყდეს განსასჯელის ბრალეულობის საკითხი. განსასჯელის დამნაშავედ ცნობისას სასამართლოს გამოაქვს განჩინება. მეორე სტადიაში განსასჯელის ბრალეულობის შესახებ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში იკვლევენ ყველა გარემოებას, რომელიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას. სასამართლო კამათის შემდეგ კი წყდება სასჯელის საკითხი და საქმეზე გამოაქვთ განაჩენი.

სასამართლო განხილვის დაყოფა ორ ნაწილად ძირითადად დასაბუთებულია განსასჯელის პირადი სფეროს დაცვის აუცილებლობით. მოქმედი სსსკ-ით საქმის სასამართლო განხილვის დასაწყის ეტაპზე შეიძლება დადგინდეს მონაცემები განსასჯელის პიროვნების შესახებ (ავტობიოგრაფიული მონაცემები, მონაცემები ნასამართლობის შესახებ და ა.შ.). ამჟამად გფრ-ის სსსკ დიდ ყურადღებას უთმობს დამნაშავის რესოციალიზაციის საკითხს, მსჯავრდებულის პიროვნების შემდგომი განვითარების პროგნოზირებას, მსჯავრდებულის პიროვნებას შესახებ არსებული უზარმაზარი ინფორმაციის კვლევას. მაგრამ განსასჯელისათვის არასაზარბიელო მონაცემების დროზე ადრე გამოცხადებამ შეიძლება მოსამართლეებს, ძირითადად კი შეფენებს, შეუქმნას შეხედულება განსასჯელის ბრალეულობის შესახებ. განსასჯელის პირადი უფლებების დაცვა ითვალისწინებს მისი იძულების დაუშვებლობას განაცხადოს სასამართლოში პირადი ცხოვრების, ინტიმური, სულიერი საიდუმლოების მონაცემები. განსასჯელის პირად სფეროში შეჭრა და მისი პიროვნების დამახასიათებელი მონაცემების გაცხადება დაიშვება სასამართლო განხილვის მეორე ნაწილში, განსასჯელის ბრალეულობის აღიარების შემდეგ. ასეთი სასამართლო განხილვის შესაძლებლობის შესახებ მოსაზრება გამოითქვა 1969წ. რომში სისხლის სამართლის X საერთაშორისო კონგრესზე. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად: საფრანგეთში) იგი უკვე რეალიზებულია.

მაგრამ გამოთქმულია ეჭვიც სასამართლო განხილვის სტადიის ორ ნაწილად გაყოფის გზით რეფორმირების, მიზანშეწონილობის შესახებ. ძირითადად მოყვანილია ორი არგუმენტი (გ.გენიტცი): პირველი, სასამართლო განხილვის ორ ნაწილად გაყოფა აუცილებლად გამოიწვევს საქმის სასამართლო განხილვისა და მთლიანად სისხლისსამართალწარმოების ხანგრძლივობის არსებით გაზრდას. მეორე, განსასჯელის ბრალულობის შესახებ საკითხის გადაწყვეტა სასამართლო განხილვის პირველ ნაწილში შეუძლებელია იზოლირებული იყოს იმ გარემოებათა გამოკვლევისაგან, რომლებიც შეეხება განსასჯელის პიროვნებას, ვინაიდან ამ ორი საკითხის გამოკლევა განუყოფელია.

§8 ბანაჩინის ბასაჩივრება სააპელაციო და სარევიზიო წესით

გურ-ის სისხლის სამართლის პროცესში მიღებულია კანონიერ ძალაში შეუსვლელ განაჩენთა გასაჩივრების ორი ფორმა: აპელაცია და რევიზია.

1. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ~~სააპელაციო წესით~~ გასაჩივრებას ექვემდებარება უბნის ერთ-პიროვნული მოსამართლისა და უბნის შეფენების სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გათვალისწინებულია ახალი წესი (სსსკ, §313), რომლის თანახმად, მათ მიერ გამოტანილი განაჩენები არ გასაჩივრდება, თუ სასჯელის სახით დანიშნულია უმნიშვნელო ფულადი ჯარიმა. საჩივარს განაჩენზე სააპელაციო ინსტანციის წესით განიხილავენ მიწის სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა მცირე და დიდი პალატები.

სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ პროკურორს, განსასჯელს, მის დამცველს, განსასჯელის კანონიერ წარმომადგენელს, კერძო ბრალმძებელს, თანამბრალმძებელს, სამოქალაქო მოპასუხეს.

საჩივარი შეტანილი უნდა იყოს განაჩენის გამოცხადებიდან ერთი კვირის განმავლობაში (სსსკ, §314) საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოში წერილობითი ან ზეპირი ფორმით, ამ სასამართლოს ოქმში შეტანით. საჩივრის დასაბუთება არ არის სავალდებულო. თუ აპელანტი საჩივარში შემოიფარგლება გარკვეული პუნქტებით, მაშინ განაჩენი მოწმდება ამ პუნქტებით განსაზღვრულ ნაწილში. თუ საჩივარი არ შეიცავს რაიმე პუნქტებს, მაშინ განაჩენი

ითვლება მთლიანად გასაჩივრებულად.

სააპელაციო საჩივრის გამოთხოვა, ისევე, როგორც მასზე უარის თქმა, დაიშვება მხოლოდ გასაჩივრების ვადის გასვლამდე. სასამართლო განხილვისას საჩივრის გათხოვა დაიშვება მხოლოდ სასამართლო განხილვის საწყის ეტაპზე.

სააპელაციო საჩივრისადმი კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლო საქმის ყველა მასალას წარუდგენს სააპელაციო სასამართლოს პროკურორს, რომელიც ერთი კვირის ვადაში გადასცემს მათ სააპელაციო, ე. ი. მიწის სასამართლოს.

სასამართლო განხილვის გარეშე სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს უარი თქვას საჩივრის განხილვაზე—როგორც დაუშვებელზე, თუ იგი დაადგენს საჩივრის შეტანის წესთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას.

სსსკ-ის §324-ის თანახმად, საქმის განხილვა იწყება მომხსენებელი მოსამართლის გამოსვლით, რასაც შეიძლება ესწრებოდნენ სასამართლოში გამოძახებული მოწმეები. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ცხადდება, თუ ამას მნიშვნელობა აქვს. განაჩენის საფუძვლის გამოცხადებაზე შეიძლება უარი ითქვას იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი, დამცველი, განსასჯელი, ამას დაეინებით არ მოითხოვენ. შემდეგ ტარდება განსასჯელის დაკითხვა და სასამართლო გამოძიება.

სააპელაციო სასამართლოს საქმის სასამართლო განხილვის საფუძველზე განაჩენით გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ცვლის გასაჩივრებულ განაჩენს და წყვეტს საქმეს; უარყოფს საჩივარს, როგორც დაუშვებელს; აუქმებს გასაჩივრებულ განაჩენს და უბრუნებს საქმეს პირველი ინსტანციის სასამართლოს; უარყოფს საჩივარს, როგორც დაუსაბუთებელს და ძალაში ტოვებს გასაჩივრებულ განაჩენს; აუქმებს გასაჩივრებულ განაჩენს და გამოაქვს საკუთარი განაჩენი. სააპელაციო სასამართლოები უმეტეს შემთხვევაში იღებენ გადაწყვეტილების ბოლო ვარიანტს.

აპელაცია მიეკუთვნება იმ ინსტიტუტთა რიცხვს, რომლებიც გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში სერიოზულ კრიტიკას იწვევენ (გ.დასი, კ.პეტერსი, გ.ტრენდლე). სააპელაციო წარმოების ძირითად ხარვეზად განიხილება საქმის არსებითად განმეორებითი განხილვის შესაძლებლობა მეორე ინსტანციის სასამართლოში.

როგორც აღინიშნება, ეს, პირველ რიგში, დაკავშირებულია მტკიცებულებათა ხარისხისა და მათი გამოკვლევის პირობების მნიშვნელოვან

გაუარესებასთან. დროთა განმავლობაში (მე-2 ინსტანციის სასამართლოში სარჩელის განხილვა ხშირად რამდენიმე თვე გრძელდება) ადრე ჩატარებული მრავლრიცხოვანი დაკითხვების შედეგად მცირდება მოწმეებისა და განსასჯელების ჩვენებათა უტყუარობა. შეუქცევად ცვლილებებს განიცდის დანაშაულის ჩადენის ადგილი. ცალკეული მტკიცებულებები საერთოდ იკარგება. სააპელაციო სასამართლოში ფართოდ გამოიყენება წერილობითი მტკიცებულებები, რაც ეწინააღმდეგება უშუალობისა და ზეპირობის პრინციპებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ ცნობილი მტკიცებულებები, ბრალდების, დაცვის მხარის პოზიცია, მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგები ფართო შესაძლებლობებს ქმნიან თეორიასა და პრაქტიკაში (კ.პეტერსი, გ.ტრენდლე) სხვადასხვა სახის გარემოებათა ბოროტად გამოყენების, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის, დამნაშავეთა უსაფუძვლოდ გამართლებისა და უდანაშაულოთა მსჯავრდებისათვის. დანტერესებული პირები, რომლებიც შორს დგანან ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის დაცვისაგან, დიდ ზეგავლენას ახდენენ საქმის ან მისი ცელკეული ეპიზოდების განმეორებითი განხილვის ხასიათზე, რის გამოც სააპელაციო სასამართლოები ხშირად ვერ უძლებენ ასეთ ზეწოლას.

თუ მოწმეებზე ზორციელდება ზეწოლა, მაშინ მათ, ჩვენების მიცემისას, შეუძლიათ დაეყრდნონ მეხსიერების შესუსტებას ან ჩაყარდნებს, ხოლო მანტაჟის შემთხვევაში შეიძლება საერთოდ უარი განაცხადონ ჩვენების მიცემაზე. განსასჯელები კარგად იცნობენ საქმეზე არსებულ მტკიცებულებებს. ისინი სადავოს ხდიან ზოგიერთ მათგანს და აყენებენ მრავალრიცხოვან შუამდგომლობებს სხვა დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ. განსასჯელები განსაკუთრებით ცდილობენ, რომ სასამართლომ აღიაროს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მცირე მნიშვნელობა. გადატვირთული სააპელაციო სასამართლოები ხშირად იძულებულნი არიან განიხილონ საკითხები მხოლოდ სასჯელის შესახებ და ამსუბუქებენ მას ან წყვეტენ საქმეს (გ.დასი).

სააპელაციო წესით განაჩენის გასაჩივრების ინსტიტუტის არსებობა უარყოფითად მოქმედებს უბნის მოსამართლეებისა და შეფენების სასამართლოს საქმიანობაზე. ისინი პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვას მიიჩნევენ წინასწარ რეპეტიციად მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმის განმეორებით, არსებითად განხილვამდე. ამიტომ სათანადო პასუხისმგებლობის გარეშე ეპყრობიან თავიანთი სასამართლო ფუნქციების შესრულებას.

თეორიასა და პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად (ე.კერნი, გ.ტრენდლე), სააპელაციო წარმოება წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის გაუარესებულ ვარიანტს. მართალია, აპელაციის მიზანია უსამართლო განაჩენების გამოსწორება, მაგრამ ის იწვევს საქმის გაჭიანურებას და ხშირ შემთხვევაში არაეფექტურია.

2. სსსკ-ის §333-ის შესაბამისად, სარევიზიო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება მიწის სასამართლოს (სისხლის სამართლის საქმეთა დიდი პალატა), მიწის უმაღლესი სასამართლოს (სისხლის სამართლის საქმეთა სენატი) მიერ პირველი ინსტანციით გამოტანილი და მიწის სააპელაციო სასამართლოს განაჩენები.

სარევიზიო ინსტანციის სახით გამოდიან უმაღლესი სასამართლო ორგანოები – მიწის უმაღლესი სასამართლოები, გფრ-ის უზენაესი სასამართლო.

სარევიზიო გასაჩივრების სუბიექტთა წრე იგივეა, რაც სააპელაციო გასაჩივრებისათვის.

სსსკ-ის §337-ის თანახმად, აღნიშნული სასამართლოების განაჩენები შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ (მატერიალური ან საპროცესო) კანონის დარღვევასთან დაკავშირებით. კანონი დარღვეულია, თუ სამართლებრივი ნორმა არ არის ან არასწორად არის გამოყენებული.

საპროცესო კანონის ზოგიერთი დარღვევა სსსკ-ის §338 მიიჩნევა განაჩენის გაუქმების აბსოლუტურ სარევიზიო საფუძველად. ესენია: სასამართლოს უკანონო შემადგენლობა; განსჯადობის დარღვევა; საქმის განხილვა იმ პირთა დაუსწრებლად, რომლებიც კანონით ვალდებული არიან მიიღონ მონაწილეობა საქმის განხილვაში; საქვეყნობის დარღვევა, განაჩენის დაუსაბუთებლობა; დაცვის უფლების დაუშვებელი შეზღუდვა.

სარევიზიო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამოცხადებიდან ერთი კვირის ვადაში იმ სასამართლოში, რომლის განაჩენიც საჩივრდება. აპელაციისაგან განსხვავებით, სარევიზიო საჩივრისათვის კანონით გათვალისწინებულია მკაცრი მოთხოვნები. საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული, რაც იმაში მდგომარეობს, რომ განმცხადებელმა უნდა მიუთითოს, თუ რომელ ნაწილში ასაჩივრებს განაჩენს, ან ითხოვს მის გაუქმებას და დაასაბუთოს ეს (ე. წ. სარევიზიო) მოთხოვნები. დასაბუთებულ სარევიზიო საჩივარს ხელს აწერენ განსასჯელი და მისი ადვოკატი (სსსკ, §344, §345).

სარევიზიო საჩივრის მიმართ კანონით გათვალისწინებული

მოთხოვნის შესრულებისას, პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლო მას საქმის მასალებთან ერთად უგზავნის პროკურორს, ხოლო პროკურორი – სარევიზიო სასამართლოს.

სასამართლო განხილვის გარეშე სარევიზიო სასამართლოს უფლება აქვს – უარყოს საჩივარი. სარევიზიო საჩივრების 80%-ზე მეტი განსახილველად არ მიიღება მათი წარდგენის წესის დარღვევის ან დაუსაბუთებლობის საფუძველით (სსსკ, §349).

საქმის განხილვა სარევიზიო ინსტანციაში იწყება მომხსენებელი მოსამართლის გამოსვლით. დასაშვებია განსასჯელისა და მისი დამცველის დასწრება. შემდეგ უსმენენ პროკურორს, განსასჯელსა და დამცველს. პირველი გამოდის საჩივრის შემტანი პირი. განსასჯელს ეკუთვნის ბოლო სიტყვა. სარევიზიო სასამართლოში მოწმდება მხოლოდ მითითებული სარევიზიო მოთხოვნები და, თუ სარევიზიო საჩივარში მითითებულია საპროცესო კანონის დარღვევის შესახებ, მხოლოდ ის ფაქტები, რომლებიც მოყვანილია სარევიზიო მოთხოვნის დასადასტურებლად.

საქმის განხილვისას სარევიზიო სასამართლო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: საჩივრის დაუსაბუთებლად აღიარების შემთხვევაში, იგი უარყოფს მას და განაჩენს ძალაში ტოვებს; თუ საჩივარი დასაბუთებულია, მაშინ სასამართლო, როგორც წესი, აუქმებს განაჩენს და აგზავნის საქმეს ახალი განხილვისათვის. სარევიზიო სასამართლო განიხილავს საქმეს არსებითად და გამოაქვს თავისი განაჩენი, თუ გასაჩივრებული განაჩენი გაუქმებულია საქმეზე დადგენილად მიჩნეულ გარემოებებთან მიმართებაში და, კანონის არასწორი გამოყენების გამო, თუ ფაქტობრივი გარემოებების შემდგომი განხილვის გარეშე მიღებული უნდა იყოს ერთ-ერთი შემდგომი გადაწყვეტილება: განსასჯელის გამართლება; საქმის შეწყვეტა; აბსოლუტურად განსაზღვრული სასჯელის შეფარდება; კანონის შესაბამისი, უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენება; სასჯელის შეფარდებაზე უარის თქმა (სსსკ, §354).

არსებობს შეხედულება (ვ. ზარშტედტი, ე. შვინგე), რომ თანამედროვე პირობებში სარევიზიო წარმოება ემსახურება სამი უმთავრესი ამოცანის შესრულებას: სასამართლოების მიერ კანონის ერთგვაროვან გამოყენებას, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი გადაწყვეტის უზრუნველყოფას; კანონის ერთგვაროვანი გამოყენებისა და საქმის სამართლიანი გადაწყვეტისათვის გარანტიების შექმნას. საპირისპირო პოზიციას ასაბუთებენ იმით (კ.როქსინი), რომ რევიზიის კონცეფცია, როგორც სამართლის ერთიანობის გარანტი, არ იღებს მხედველობაში იმ გარემოებას, რომ კანონის ერთგვაროვანი გამოყ-

ქსების საფუძველს წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის სისწორე და პირიქით, კანონის ერთგვაროვანი გამოყენება საქმის არასწორად დადგენილი გარემოებების მიმართ იწვევს კანონის არასწორ გამოყენებას. რევიზიის ამოცანა არ არის კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი გადაწყვეტის უზრუნველყოფა, ვინაიდან რევიზია წარმოადგენს გასაჩივრების შეზღუდულ საშუალებას, რაც გამორიცხავს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმებას.

ცნობილია, რომ არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება განაჩენის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს შორის. მაგრამ, თუ ეს საფუძვლები განუყოფელია, მაშინ კანონის გამოყენების სისწორის შემოწმება არ შეიძლება ჩამოვაშოროთ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის სისწორის შემოწმებას. შეუძლებელია კანონის გამოყენების სისწორის შემოწმება საქმის არსში ჩაწვდომის გარეშე. ამასთან დაკავშირებით მიიჩნევა (გ. ტრენდლე), რომ გერმანიის რევიზიის თანამედროვე ინსტიტუტი, განაჩენის შემოწმების შეზღუდული მოცულობის გამო, ვერ ავლენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და მტკიცებულებათა შეფასებისას დაშვებულ შეცდომებსა და განზრახ დარღვევებს. ამიტომ დაუსაბუთებელ განაჩენს, კანონის ფორმალური დარღვევების არარსებობის გამო, სარევიზიო სასამართლო ძალაში ტოვებს. მაგრამ, როგორც გფრ-ის სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს სწორედ მძიმე დანაშაულთა საქმეებზე (მკვლელობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა და ა.შ.) რომელთაც განიხილავენ მიწის სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა დიდი პალატები, ხშირია უსამართლო განაჩენები.

3. გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში საუკუნეზე მეტია მიმდინარეობს დისკუსია რევიზიისა და აპელაციის ინსტიტუტების რეფორმის შესახებ.

ამ დისკუსიის მიმართულება ყოველთვის იცვლებოდა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიხილებოდა მოსაზრება, რომელიც შეეხებოდა განურჩევლად ყველა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმებას, ამ მიზნით, სააპელაციო წარმოების შემოღებას მძიმე დანაშაულთა საქმეებზეც და ამ ინსტიტუტის, როგორც პიროვნების უფლებებისა და ინტერესების დაცვის სახელმწიფო სამართლებრივი გარანტიის როლის ამაღლებას. მაგრამ ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა.

ამჟამად გავრცელება კპოვა აპელაციის ინსტიტუტზე უარის თქმის ან მისი ძირულად შეცვლის იდეამ, გასაჩივრების სარევიზიო ფორმაზე ორიენტირებით.

XX საუკუნის 70-იან წლებში შემუშავდა აპელაციისა და რევიზიის საერთო რეფორმის კონცეფცია, რომლის მიზანიცაა სააპელაციო წარმოების ლიკვიდაცია და გასაჩივრების ერთიანი ინსტიტუტის შექმნა, რომელიც „გაფართოებულ რევიზიად“ იწოდება (გ.ტრენდლე). მის ძირითად თავისებურებებს წარმოადგენს: გასაჩივრებული განაჩენის შემოწმება. საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის სისწორისა და კანონის სწორად გამოყენების თვალსაზრისით; განაჩენის შემოწმება წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევისა და დამატებით წარდგენილი მასალების საფუძველზე; სარევიზიო ინსტანციაში საქმის არსებითად, განმეორებითი განხილვის გამორიცხვა; როგორც წესი, გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება საფუძველების არსებობისას და საქმის ახალი სასამართლო განხილვისათვის დაბრუნება. რადგან გასაჩივრების ახალი ინსტიტუტის საფუძველად შერჩეულია „გაფართოებული რევიზიის“ ვარიანტი, ამიტომ განაჩენთა გასაჩივრება დაკავშირებული იქნება გასაჩივრების თავისუფლების გარკვეულ შეზღუდვებთან, სარევიზიო საჩივრის შემოწმების ფარგლების თვალსაზრისით.

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომელიც ორიენტირებულია სააპელაციო გასაჩივრების ინსტიტუტის რადიკალურ შეცვლაზე (ვ.ციფლერი). კერძოდ, სააპელაციო ინსტანციაში საქმის არსებითად განმეორებით განხილვაზე უარის თქმაზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენის სააპელაციო წესით შემოწმების აკრძალვაზე, ასევე, გასაჩივრებული განაჩენის შემოწმების შეზღუდვაზე მხოლოდ კანონის დარღვევათა შემოწმებით. განსასჯელის მიერ საჩივრის შეტანის უფლება პირდაპირ დამოკიდებული უნდა იყოს იმ სასამართლოს ნებართვაზე, რომლის განაჩენიც საჩივრდება.

§9 საქმის წარმოების განახლება კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენაზე

კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვისათვის გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესში გათვალისწინებულია საქმის წარმოების განახლების ინსტიტუტი, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით დამთავრებული წარმოების განახლება ეწოდება. მისი ამოცანაა იმ სასამართლო შეცდომების გამოსწორება, რომლებიც არ იყო გამოვლენილი და აღმოფხვრილი სააპელაციო ან სარევიზიო წესით.

საქმის წარმოების განახლების შესახებ შუამდგომლობის წარდგენის უფლება აქვს პროკურორს, მსჯავრდებულსა და მის დამცველს. მსჯავრდებულის სიკვდილის შემთხვევაში მისი უფლება გადადის მის მეუღლეზე, აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავებზე, ძმებსა და დებზე.

სააპელაციო და სარევიზიო წარმოებისაგან განსხვავებით, მითითებული პირების მიერ განცხადებული შუამდგომლობა არ იწვევს საქმის სავალდებულო გადასინჯვას. საქმის წარმოების განახლება დამოკიდებულია შესაბამისი სასამართლოს შეხედულებაზე, რომელსაც უფლება აქვს (თუმცა არ არის ვალდებული) გადაავადოს ან შეაჩეროს განაჩენის აღსრულება.

კანონი ითვალისწინებს გარკვეულ მოთხოვნებს შუამდგომლობასთან მიმართებაში. მასში მითითებული უნდა იყოს საქმის წარმოების განახლების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლები, ასევე მოყვანილი უნდა იყოს მტკიცებულებები. მსჯავრდებულის ან მისი ნათესავების სახელით შუამდგომლობა წარედგინება დოკუმენტის ფორმით, რომელსაც ხელს აწერს დამცველი, ადვოკატი ანდა მათი თანხმობით შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. შუამდგომლობის აღძვრა არ არის შეზღუდული რაიმე ვადით. იგი წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის განაჩენიც საჩივრდება.

კანონი ითვალისწინებს საქმის წარმოების განახლების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის ორი ჯგუფის საფუძვლებს იმისდა მიხედვით, იგი აღიძვრება მსჯავრდებულის ინტერესების სასარგებლოდ თუ საზიანოდ.

სსსკ-ის §359-ის თანახმად, საფუძვლების პირველ ჯგუფს მიეკუთვნება შემთხვევები, როდესაც:

მსჯავრდებულის ბრალეულობის დასაბუთებისათვის სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტები არ არის პირველადი ან ყალბია;

დადგენილია ბრალეულობა მოწმის (ექსპერტის) მიერ მსჯავრდებულის წინააღმდეგ ჩვენების (დასკვნის), ფიცის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევით მიცემის ანდა ფიცის გარეშე მსჯავრდებულის წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემისათვის;

დადგენილია, განაჩენის დადგენაში მონაწილე მოსამართლის და შეფენის მიერ თავიანთი მოვალეობის დარღვევის ბრალეულობა, ვინაიდან დარღვევას მოჰყვა სასჯელის შეფარდება და არ იყო დაკავშირებული მსჯავრდებულის მოქმედებასთან;

კანონიერ ძალაში შესული სხვა გადაწყვეტილებით გაუქმდა

სამოქალაქო სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომელსაც ემყარებოდა განაჩენი;

წარმოდგენილია ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც თავისთავად ან ადრე წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით ქმნიან მსჯავრდებულის გამართლების, ნაკლებად მკაცრი სისხლის სამართლის კანონის გამოყენების ან გამოსწორებისა და უსაფრთხოების ზომის შესახებ არსებიდად განსხვავებული გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველს;

საფუძვლების მეორე ჯგუფში ჩამოთვლილია შემდეგი შემთხვევები (სსსკ, §362):

მსჯავრდებულის ინტერესების სასარგებლოდ წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის პირველადი ან ყალბია;

დადგენილია ბრალეულობა მოწმის (ექსპერტის) მიერ მსჯავრდებულის ინტერესების სასარგებლოდ ჩვენების (დასკვნის) ფიცის მოვალეობის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევით მიცემის ანდა ფიცის გარეშე მიცემული განზრახ ცრუ ჩვენებისათვის;

დადგენილია განაჩენის გამოტანაში მონაწილე მოსამართლისა და შეფენის მიერ თავიანთი მოვალეობის დარღვევის ბრალეულობა, ვინაიდან დარღვევას მოჰყვა სასჯელის შეფარდება;

დანაშაულის ჩადენაში გამართლებული პირის აღიარება სასამართლოში ან მის გარეთ ნდობას იმსახურებს;

შუამდგომლობის აღძვრას ხელს არ უშლის ისეთი გარემოებები, როგორებიცაა უკვე სისრულეში მოყვანილი სასჯელი და მსჯავრდებულის გარდაცვალება.

საქმის წარმოების დაწყების საკითხის გადასაწყვეტად მოწმდება წარდგენილი შუამდგომლობის დასაშვებობა და დასაბუთებულობა. დასაშვებობის შემოწმება შეეხება შუამდგომლობის ფორმასა და შინაარსისადმი კანონით წაყენებული მოთხოვნების შესრულებას.

შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემდეგ სასამართლო ამოწმებს მის დასაბუთებულობას. ამისათვის იგი ავალებს თავის ერთ-ერთ მოსამართლეს გამოძიების ჩატარებას. მოსამართლის შეხედულების თანახმად, შეიძლება დაიკითხონ (ფიცის ქვეშ) მოწმეები ან ექსპერტები. მოწმეთა, ექსპერტთა დაკითხვისას, დათვალიერების წარმოებისას დაიშვება პროკურორის, მსჯავრდებულის და მისი დამცველის დასწრება. თუ მსჯავრდებულს არ ჰყავს დამცველი, ხოლო საქმე რთულია თავისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებით, მაშინ მისი შუამდგომლობით სასამართლო დანიშნავს დამცველს საქმის წარმოების

განახლების შესახებ საკითხის მომზადებისა და გადაწყვეტის პერიოდში. გამოძიების დამთავრების შემდეგ სასამართლო გარკვეულ ვადაში მოუსმენს პროკურორსა და მსჯავრდებულს.

შუამდგომლობის დასაბუთებულობის შესახებ ჩატარებული შემოწმების საფუძველზე სასამართლოს ზეპირი სასამართლო განხილვის გარეშე გამოაქვს ერთ-ერთი სახის განჩინება: უარყოფს საქმის წარმოების განახლების შესახებ შუამდგომლობას, როგორც დაუსაბუთებელს, ვინაიდან მასში მოყვანილი მოსაზრებები საკმარისად არ დადასტურდა, ანდა თუმცა ადგილი ჰქონდა არაპირველადი ან ყალბი დოკუმენტის წარდგენას, მოწმეთა (ექსპერტთა) ფიცის ვალდებულების დარღვევას, მაგრამ მათ არ მოუხდენიათ გველენა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე; საქმის წარმოების განახლებისა და ახალი სასამართლო განხილვის შესახებ.

გარკვეული გარემოებების არსებობისას, სასამართლოს უფლება აქვს, ახალი სასამართლო განხილვის დანიშვნის გარეშე მიიღოს საქმეზე ერთ-ერთი დამოუკიდებელი გადაწყვეტილება: მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში, აუცილებელი მტკიცებულებების განხილვის შემდეგ გამართლოს იგი ან უარყოს შუამდგომლობა; სხვა შემთხვევებში მსჯავრდებული დაუყოვნებლივ გამართლოს, თუ ამისათვის არსებობს საკმარისი მტკიცებულებები და პროკურორის თანხმობა საჯარო ბრალდების საქმეზე. მსჯავრდებულის გამართლება იწვევს ადრე გამოტანილი განაჩენის გაუქმებას. განმცხადებლის მოთხოვნით განაჩენის გაუქმების თაობაზე ქვეყნდება პუბლიკაცია ოფიციალურ სამთავრობო გამოცემაში ან სხვა გაზეთში (სასამართლოს შეხედულებით).

ახალი სასამართლო განხილვისას ადრე გამოტანილი განაჩენი რჩება ძალაში ან უქმდება და საქმე არსებითად განიხილება. დაუშვებელია სასჯელის სახესა და ზომასთან მიმართებაში ადრე გამოტანილი განაჩენის მსჯავრდებულის საუარესოდ შეცვლა, თუ წარმოების განახლების შესახებ შუამდგომლობდნენ მსჯავრდებული, პროკურორი ან მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენელი. ეს არ გამორიცხავს მსჯავრდებულის მოთავსებას სამკურნალო, სამეურვეო ან სხვა მსგავს დაწესებულებაში.

ახალი სასამართლო განხილვისას სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საერთო საფუძველზე.

როგორც თეორიაში აღნიშნავდნენ (კ. პეტერსი), სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დასრულებული საქმის წარმოების განახლება, საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით, არ

საჭიროებს რაიმე სახის რეფორმას. მართალია, არსებობდა მოსაზრება ამ ინსტიტუტის სარევიზიო წარმოებად გარდაქმნის შესახებ, განაჩენის გასაჩივრების რაიმე კადის დადგენის გარეშე, მაგრამ მან არ მოიპოვა მხარდაჭერა, ვინაიდან ეს შექმნიდა კანონიერ ძალაში შესულ განაჩენთა არასტაბილურობის სიტუაციას და წინააღმდეგობაში მოვიდოდა სისხლისსამართალწაჭოვის ამოცანებთან. პრაქტიკაში წარმოების განახლების ინსტიტუტს გარკვეულ კრიტიკას იმსახურებს.

საქმე ისაა, რომ წარმოების განახლება, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვასთან, მსჯავრდებულისათვის რთული ამოცანაა. უდავოა (ფ. არნაუ, ე. კეტერსი), რომ ამ კატეგორიის საქმეებზე სასამართლო საქმიანობისათვის დამახასიათებელია წარმოების განახლება, უარის თქმის ტენდენცია და მასთან დაკავშირებული საკითხების ზერელედ განხილვა. შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლეები ავლენენ მიუკერძოებლობას და მოქმედებენ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გასაჩივრებული განაჩენის სისწორის დამტკიცების პოზიციიდან გამომდინარე. მსჯავრდებულებს და მათ დამცველებს ხშირად წარედგინებათ შეუსრულებადი მოთხოვნები მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. შეზღუდულად განიმარტება ფაქტის, ახალი ფაქტების სიახლისა და არსებითობის ცნებები. წარმოების განახლების შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლე თავს არიდებს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას მაშინაც კი, როდესაც გაირკვევა გასაჩივრებული განაჩენის მცდარობა ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

საქმის წარმოების განახლების ინსტიტუტს, თავისი საპროცესო ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლო შეცდომების (რომლებიც გასაჩივრების ჩვეულებრივი საშუალებებით გამოვლენილი და აღმოფხვრილი არ ყოფილა) გამოსწორების შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნია. საქმეზე წარმოების განახლების წესით გადაისინჯება უსამართლო განაჩენთა მხოლოდ ნაწილი, ვინაიდან ეს წარმოება წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმეთა გადასინჯვის ინსტიტუტს. უსამართლო განაჩენთა დიდი ნაწილი, რომლებიც არ არის დაკავშირებული მტკიცებულებათა გაყალბების, მოსამართლეთა დანაშაულებრივი ქმედებების ან ახალი ფაქტების (მტკიცებულებების) გახსნასთან, არ გადაისინჯება და ძალაში რჩება.

მაგრამ ის საქმეები, რომლებიც გადაისინჯება საქმის წარმოების განახლების წესით (დაახლოებით 200-250-მდე საქმე წელიწადში),

განსაკუთრებით ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების გახსნასთან დაკავშირებით, მოწმობენ იმაზე, რომ გფრ-ის მოსამართლეებს ზშირ ან უმრავლეს შემთხვევაში გამოაქვთ უსამართლო განაჩენები. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ: არ ხდება ბრალდებულის პიროვნების და მთლიანად საქმის ფაქტობრივ გარემოებათა სწორად დადგენა ან გამოკვლევა; რთული სპეციალური და კრიმინალისტიკური საკითხების გადასაწყვეტად მოკვლევის ეტაპზე და სასამართლოებში ნაკლებად მოიწვევენ მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტებს; სერიოზულ შეცდომებს უშვებენ პროკურატურის შუამდგომლობით დანიშნული ექსპერტები. ასეთ დასკვნებს ზშირად აკეთებს გერმანული დოქტრინა.

§10 წარმოების განსაკუთრებული სახეები

გფრ-ის სისხლის სამართლის პროცესის წარმოების განსაკუთრებულ სახეებს მიეკუთვნება: სასამართლოს მიერ სასჯელის შესახებ ბრძანების გაცემა; უსაფრთხოების ზომების გამოყენება; დანაშაულის საგნების კონფისკაცია.

1. წარმოება სასჯელის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაცემის თაობაზე — ეს არის შეფენების სასამართლოსა და უბნის მოსამართლეების მიერ ერთპიროვნულად განსჯად გადაცდომათა საქმეების გადაწყვეტის უკიდურესად გამარტივებული წესი. მისი რეალიზება ხდება სასჯელის შესახებ ბრძანების გამოცემის გზით (Strafbefehlsverfahren) პროკურორის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო განხილვის გარეშე. ბრალდებულის წინასწარი მოსმენა სასამართლოში არ ხდება. სასჯელის შესახებ ბრძანებით შეიძლება შეეფარდოს (როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სახით) შემდეგი ზომები: 1) ფულადი ჯარიმა, გაფრთხილება სასჯელის დანიშვნის პირობით, ავტოსატრანსპორტო საშუალების ტარების აკრძალვა, ქონების კონფისკაცია, საგნების განადგურება და გაუფარგისიანება, გაკიცხვა და ფულადი გადასახადის დაკისრება იურიდიული პირის მიმართ; 2) მართვის უფლების ჩამორთმევა, რა დროსაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების გაცემის აკრძალვა არ უნდა აღმატებოდეს ორ წელს; 3) უარი სასჯელზე. სასჯელის ახალ ზომას წარმოადგენს სასჯელის დანიშვნა 1 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით, სასჯელის აღსრულების გადავადების შესაძლებლობით.

პროკურორის შუამდგომლობაში (როგორც წესი ფორმდება

საფორმო ბლანკზე) მითითებული უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული სასჯელის ის ზომა, რომელსაც იგი მოითხოვს. სასამართლო შეუფარდებს სასჯელის ამ ზომას, თუ მას არ აღეძვრება ექვი სასჯელის შესახებ ბრძანების გამოცემის შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს საქმის სასამართლო განხილვა, თუ იგი საექვოდ მიიჩნევს საქმის გადაწყვეტას სასამართლო განხილვის გარეშე ანდა სთავაზობს ახვა სახის სასჯელის ზომის შეფარდებას, ხოლო პროკურორი არ ეთანხმება მას. პრაქტიკაში პროკურორი და მოსამართლე, როგორც წესი, თანხმდებიან სასჯელის ზომის შესახებ და სასამართლო განხილვა ამ კატეგორიის საქმეებზე გვხვდება როგორც იშვიათი გამონაკლისი.

უბნის მოსამართლე სასჯელის შესახებ ბრძანების გამოცემის საკითხს განიხილავს წერილობითი მასალების საფუძველზე, ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების გარეშე. საბრალდებო აქტის წარმოდგენა და ბრალდებულის სამართალში მიცემა არ ხდება.

უბნის მოსამართლის ბრძანებაში (რომელიც, ასევე, შეიძლება შეივსოს საფორმო ბლანკზე) მითითებულია მონაცემები ბრალდებულის, ჩადენილი გადაცდომის, მისი იურიდიული კვალიფიკაციის, შეფარდებული სასჯელის ზომის, სისხლის სამართლის კანონის, მტკიცებულებების (რომლებიც შედგება მოწმეთა გვარებზე მითითებებისაგან, ხშირად კი მხოლოდ ბრალდებულის მიერ თავისი დანაშაულის აღაიარებისაგან) შესახებ. მასში ასევე განმარტებულია, რომ ბრძანება აღსასრულებლად მიექცევა ორი კვირის ვადაში, თუ ამ პერიოდში ბრალდებული უბნის მოსამართლის წინაშე არ განაცხადებს პროტესტს. სასჯელის შესახებ ბრძანება, რომელიც არ არის გაპროტესტებული, იძენს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის მნიშვნელობას. ბრძანების გაპროტესტება პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება.

დროულად განცხადებული პროტესტი იწვევს საქმის სასამართლო განხილვას, თუ მის დაწყებამდე პროკურატურამ არ აღძრა ბრალდება საერთო წესით ანდა, თუ პროტესტი არ ყოფილა უკან გათხოვილი. სასამართლო განხილვას ატარებს უბნის მოსამართლე, მათ შორის ისიც, რომელმაც გამოსცა ბრძანება სასჯელის შესახებ. ეს წარმოება არ წარმოადგენს ადრე გამოცემული ბრძანების კანონიერების შემოწმებას, არამედ საქმის დამოუკიდებლად არსებითი განხილვას. სასამართლოში ხდება სასჯელის შესახებ ბრძანების წაკითხვა, ბრალდებულის დაკითხვა, რომლის გამოცხადება არ არის სავალდებულო (მისი ინტერესები შეიძლება წარმოადგინოს დამცველმა). საქმის განხილვა მთავრდება

განაჩენის დადგენით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

2. წარმოება უსაფრთხოების ზომების დანიშვნის შესახებ ტარდება მაშინ, როდესაც პროკურატურა არ გამოიძიებს სისხლის სამართლის საქმის გარემოებებს, სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მისაცემი პირის შეურაცხადობის ან არაქმედუნარიანობის გამო. პროკურორს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა გამოსწორებისა და უსაფრთხოების ზომების დამოუკიდებლად დანიშვნის შესახებ, თუ ამას უშეუბნებს კანონი და არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ სასამართლო გამოძიების შედეგების მიხედვით ასეთი ზომები იქნება დანიშნული (სსსკ, §413).

წარმოების დასაწყებად პროკურატურა წარადგენს შესაბამის სასამართლოში შუამდგომლობას გამოსწორებისა და უსაფრთხოების კონკრეტული ზომის შეფარდების შესახებ. სსსკ-ის §71-ის თანახმად, ასეთი ზომებია: ფსიქიატრიულ სავადმყოფოში, ალკოჰოლიზმითა და ნარკომანიით დაავადებულ პირთა თერაპიულ დაწესებულებაში ან სოციალურ-თერაპიულ დაწესებულებაში მოთავსება. სასამართლო ექსპერტის დასკვნა უნდა მომზადდეს სასამართლო განხილვამდე.

სსსკ-ის §415-ის თანახმად, სასამართლო განხილვა უსაფრთხოების ზომების დანიშვნის შესახებ ტარდება ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე (სსსკ ასე უწოდებს შეურაცხად ან არაქმედუნარიან პირს – ბ.ფ.) თუ ბრალდებულის გამოცხადება შეუძლებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ანდა ბრალდებულის მოყვანა არ არის მიზანშეწონილი საჯარო უსაფრთხოებისა და წესრიგიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში ბრალდებული უნდა დაიკითხოს სასამართლო განხილვის დაწყებამდე უფლებამოსილი მოსამართლის მიერ ექსპერტის მონაწილეობით. დაკითხვის დრო და ადგილი ეცნობება პროკურორს, დამცველს, ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენელს. მაგრამ მათი დასწრება დაკითხვაზე სავალდებულო არ არის. ვინაიდან სასამართლო განხილვა ტარდება ბრალდებულის გარეშე, შესაძლებელია გამოქვეყნდეს მის მიერ ადრე მიცემული განმარტებანი და სასამართლო განხილვის ოქმები. ასევე, უნდა დაიკითხოს ექსპერტი. დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა. სასამართლო განხილვა შეიძლება ჩატარდეს მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულად.

საქმის განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განაჩენი უსაფრთხოების ზომების შეფარდების თაობაზე ან უარს ამბობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. პირი შეიძლება მოთავსდეს ფსიქიატრი-

ულ საავადმყოფოში მხოლოდ მიწის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა დიდი პალატის განაჩენით, ხოლო დანარჩენ ზომებს შეუფარდებს შეფენების სასამართლო.

თუ უსაფრთხოების ზომების შეფარდების წარმოებისას სასამართლო განხილვის დაწყების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ბრალდებული არის შერაცხადი და საქმე ზემოხსენებული მიწის სასამართლოს პალატის განსჯადია, მაშინ იგი განიხილება ამ სასამართლოს მიერ საერთო წესით. მაგრამ ამისათვის განსასჯელს უნდა მიუთითონ მის შეცვლილ სამართლებრივ მდგომარეობაზე და მისცენ შესაძლებლობა განახორციელოს თავისი დაცვა. თუ იგი ამისათვის მზად არ არის, საქმის განხილვა გადაიდება. თუ საქმე მიცემული სასამართლოს განსჯადი არ არის, იგი გადაიგზავნება განსჯადობის მიხედვით.

3. წარმოება კონფისკაციისა და გარკვეული საგნების განადგურებისა ან გაუვარვისიანების შესახებ არის შესაბამისი საკითხების განხილვის დამოუკიდებელი სასამართლო წესი, ვინაიდან ეს საკითხები ვერ გადაწყდება საერთო სასამართლო წესით.

ასეთი წარმოების დასაწყებად საჭიროა იმ სამართლებრივი საფუძვლების არსებობა, რომლებიც გამოირიცხავენ კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას და მის მსჯავრდებას. მაგალითად, მტკიცებულებათა არასაკმარისობა, სულიერი აუადმყოფობა, სეარაუდო დამნაშავეის სიკვდილი, ხანდაზმულობის ვადის გასვლა, ამნისტია, საქმის შეწყვეტა სისხლისსამართლებრივი ქმედების მცირე მნიშვნელოვნების გამო. ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი შეიძლება გახდეს ისიც, რომ ამა თუ იმ საგნების კონფისკაციის, განადგურების ან გაუვარვისიანების საკითხი შეცდომის გამო არ იყო გადაწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ განაჩენში. ეს საგნები აუცილებლად დაკავშირებული უნდა იყოს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებასთან. მხოლოდ ამ საფუძვლების არსებობისას შეიძლება ჩატარდეს დასახელებული განსაკუთრებული წარმოება. კერძოდ, საუბარია ყალბი ფულის კონფისკაციაზე, მისი დამზადების საშუალებებზე, უკანონო ნადირობის საშუალებათა და პორნოგრაფიულ გამოცემებზე. ვინაიდან ასეთ პროცესში არ არსებობს სუბიექტი – განსასჯელი – და ფიგურირებს მხოლოდ ობიექტი, ამიტომ მას ასევე უწოდებენ „ობიექტურ პროცესს“.

სსსკ-ის §440-ის თანახმად, შუამდგომლობას აღძრავს პროკურატურა ან კერძო ბრალმდებელი იმ სასამართლოში, რომელიც კომპეტენტური იქნებოდა განეხილა საქმე კონკრეტული პირის მიმართ. ზეპირი

სასამართლო განხილვა ტარდება თუ ამის თაობაზე თხოვნით მიმართავენ პროკურორი ან კერძო ბრალმძებელი. სასამართლოში შეიძლება გამოიძახონ (ვინაიდან ეს შესრულებადია) პირები, რომელთაც გააჩნიათ ქონების კონფისკაციის, განადგურებისა და გაუვარგისიანებასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნები. საქმის განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განაჩენი, ხოლო, თუ ზეპირი სასამართლო განხილვა არ ჩატარებულა – განჩინება. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო ან სარევიზიო წესით, ხოლო განჩინების შესახებ წარედგინება კერძო საჩივარი.

განსაკუთრებული წარმოებისას ბრალდებულის ქონებას ყადაღა ედება მაშინ, როდესაც მის წინააღმდეგ აღიძვრება საჯარო ბრალდება მძიმე სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისათვის (მაგალითად, სახელმწიფო ღალატი) ან გამოცემულია სასამართლოს ბრძანება ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ. ქონებაზე ყადაღას ადებს მოსამართლე, ხოლო გადაუდებლობის შემთხვევაში – პროკურორი ყადაღის დადების შემდგომი სასამართლო წესით დამტკიცებით.

ეს არის განსაკუთრებული წარმოების ძირითადი სახეები. მათ ასევე მიეკუთვნება წარმოება იურიდიულ პირებზე ჯარიმის დაკისრების შესახებ („ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ კანონი, §30).

УГОЛОВНЫЙ ПРОЦЕСС ЗАПАДНЫХ ГОСУДАРСТВ

Резюме

Работа является научным переводом разработанного на юридическом факультете Московского государственного университета им. М.В. Ломоносова учебника «Уголовный процесс западных государств» (под ред.: К.Ф. Гуценко, Зерцало, М., 2001). Перевод выполнен ассистент-профессорами направления уголовного процесса юридического факультета Тбилисского государственного университета им. Ивана Джавахишвили. Представленная работа состоит из 5 глав и 44 параграфов.

В первой главе рассматриваются вопросы касающиеся общих положений и основных тенденций развития уголовного процесса современных зарубежных государств. В частности, понятие, структура, стадии, исторические формы, источники и принципы уголовного процесса. Также, рассматриваются вопросы: 1) о дифференциации уголовного процесса и поиске оптимальных вариантов состава судов первой инстанции; 2) о тенденциях сближения и гармонизации уголовного судопроизводства.

Вторая глава содержит вопросы касающиеся уголовного процесса Великобритании и Соединенного Королевства Северной Ирландии. В частности: понятие, источники и структура уголовного процесса; доказательства и процесс доказывания; досудебное производство; предварительное слушание; рассмотрение дел по обвинительному акту в Суде Короны; суммарное производство в магистратских судах; апелляция.

В третьей главе авторы рассматривают вопросы касающиеся общей характеристики и структуры уголовного процесса Соединенных Штатов Америки. Также: уголовно-процессуальное право и его источники; органы осуществляющие уголовное судопроизводство; доказательства и доказывание (исходные положения); досудебное производство и применение мер уголовно-процессуального принуждения; предварительное слушание в суде; рассмотрение дел по существу в судах первой инстанции; упрощенное (суммарное) производство; апелляция и другие средства проверки принятых по делу судебных решений.

В четвертой главе рассматриваются вопросы касающиеся уголовного процесса Республики Франции. В частности: суть, структура и источники уголовного процесса; органы осуществляющие судопроизводство; доказательства и доказывание; возбуждение уголовного преследования и предварительное расследование; рассмотрение в суде дел о преступлениях, проступках и правонарушениях.

Пятая глава касается уголовного процесса Федеративной Республики Германии. Здесь рассмотрены такие вопросы, как: понятие, задачи и принципы уголовного процесса; источники уголовно-процессуального права; доказывание по уголовным делам; меры уголовно-процессуального принуждения; предварительное расследование; предание суду; судебная система и подсудность; судебное рассмотрение; обжалование приговоров в апелляционном и ревизионном порядке; возобновление производства оконченного вошедшим в законную силу приговором; особые виды производства.

CRIMINAL PROCEDURE OF WESTERN-EUROPEAN COUNTRIES

Summary

Present publication is a Georgian translation of the handbook „Уголовный процесс западных государств“ (под ред. К.Ф.Гуценко, М., ЗЕРЦАЛО, 2001) written at the Law Department of M.Lomonosov Moscow State University. Translation was performed by Assistance-Professors of the Law Department of Iv.Javakhishvili Tbilisi State University. The publication consists of 5 chapters and 44 sub-chapters.

Chapter I is devoted to the criminal procedure in contemporary Western European Countries. Here are discussed such issues as: main trends in development of criminal procedure; notion, structure, stages, historical forms, sources and principles of criminal procedure; differentiation of criminal procedure and strive for optimal versions of composition of primary jurisdiction courts; tendency of rapprochement and harmonization of legal proceedings.

Chapter II focuses on the criminal procedure of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland with a particular emphasis on notion, sources and structure of criminal procedure; provision of evidence and the process of proving the evidence; pre-trial stages of criminal procedure; preliminary examination (hearings); trial by Crown Court; summary proceedings in Magistrate Courts; appeal.

Chapter III is dedicated to the general characteristics and structure of the criminal procedure of the United States of America. Additionally, it discusses: criminal procedure law and its sources; legal procedure agencies; provision of evidence and the process of proving the evidence; pre-trial procedure and enforcement; preliminary examination (hearings); trial; summary proceedings; appeal.

Chapter IV discusses structure and sources of criminal procedure in France. The Chapter also focuses on such issues as legal procedure agencies; provision of evidence and the process of proving the evidence; charging with criminal offences and preliminary investigation; trial for crimes, delicts (misdemeanors) and infringements of the law; possibilities to appeal a sentence.

Chapter V is devoted to the essence, problems and principles of criminal procedure of Federative Republic of Germany, including sources of criminal procedure law; the process of proving the evidence; measures of law enforcement; preliminary investigation; committal for trial; courts' system and competences; trial; appeal and revision; revivor; special forms of criminal procedure.

STRAFPROZESS IN WESTLICHEN LÄNDERN

Resümee

Dies ist die georgische Übersetzung des wissenschaftlichen Lehrbuches „Уголовный процесс западных государств...“, Redaktion von K. F. Guzenko, 2001. Das Lehrwerk, das an der Juristischen Fakultät der Moskauer M. W. Lomonosow – Universität erarbeitet wurde, wurde vollständig von Assistenzprofessoren am Departement für Strafrecht der Juristischen Fakultät an der Tbiliser Staatlichen Iwane – Dschawachischwili – Universität übersetzt. Die Übersetzung umfasst 44 Paragraphen in 5 Kapiteln.

Kapitel I stellt den Strafprozess im ausländischen Recht dar. Es werden allgemeine Grundtendenzen der Entwicklung im Strafverfahren beschrieben. Zunächst wird der Begriff des Strafrechts geklärt, dann die Prinzipien, Struktur, Stadien, historische Formen und Quellen des Strafverfahrens im Einzelnen erläutert. Eigene ausführlichere Abschnitte sind gewidmet: a) der Differenzierung des Strafprozesses und der Suche nach der optimalen Zusammensetzung des Gerichtes der ersten Instanz; b) der internationalen Tendenz zu Konvergenz und Harmonisierung des Gerichtsverfahrens.

In *Kapitel II* wird das Strafverfahren im Vereinigten Königreich von Großbritannien und Nordinland dargestellt. Auch hier wird zunächst der angelsächsische Strafrechtsbegriff erläutert, dann Quellen und Strukturen des Strafprozesses von Großbritannien und Nordinland aufgezeigt. In einzelnen Paragraphen werden Beweis und Beweisführung, Ermittlungsverfahren, Vorverhandlung des Verfahrens, Untersuchungsverfahren nach der Anklageschrift durch den Crown Court und das vereinfachte Verfahren im Magistratengericht dargelegt.

Das *III. Kapitel* über die Vereinigten Staaten von Amerika ist analog aufgebaut: Strafprozess, allgemeine Bestimmungen und Struktur, Strafprozessrecht und seine Quellen, Strafinstanzen, Beweis und Beweisführung (Ausgangslage), Vorverfahren und Zwangsmaßnahmen im Strafrechtsverfahren, Vorverhandlung im Strafverfahren, Hauptverhandlung in erster Instanz, vereinfachtes (summarisches) Verfahren, Berufung im Strafprozess und andere Möglichkeiten der Revision nach einem Gerichtsurteil.

Im *Kapitel IV* geht es um die Grundlagen, Strukturen und Rechtsquellen des Strafprozesses in Frankreich. Auch dieses Kapitel behandelt die Strafinstanzen, Beweisführung und -bewertung, das Einleiten eines Strafverfahrens, und

die richterliche Voruntersuchung sowie das gesamte Verfahren bei Straftaten, Vergehen und anderen Rechtsverletzungen.

Kapitel V umfasst den Strafprozess in der Bundesrepublik Deutschland. Nachdem der Begriff der Straftat innerhalb der Rechtsordnung geklärt wurde, werden Aufgabe und Grundsätze der Strafverfolgung beschrieben, wichtige Rechtsquellen benannt und die Art der Beweisführung bzw. -würdigung (Grundlagen des theoretischen und praktischen Teiles) dargelegt. Erläutert werden im Einzelnen: Zwangsmaßnahmen im Strafverfahren, Ermittlungsverfahren, Erörterungsverfahren, Übergabe an das Gericht, Hauptverhandlung im Strafprozess nach StPO, Rechtskraft, Berufungsverfahren auf dem Appellations- und Revisionsrechtsweg nach einem Gerichtsurteil, Wiederaufnahmeverfahren nach Inkrafttreten eines endgültig rechtskräftigen Gerichtsurteils, besondere Verfahrensweisen.

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებები:

- აშშ – ამერიკის შეერთებული შტატები
- გფრ – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
- სს კოდექსი – სისხლის სამართლის კოდექსი
- სსს კოდექსი – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- პუნ. – პუნქტი
- ნაწ. – ნაწილი
- მუხ. – მუხლი
- ე.წ. – ეგრეთ წოდებული
- იხ. – იხილეთ
- კ.გ. – კ.გ.უცენკო
- ლ.გ. – ლ.გოლოვკო
- ბ.ფ. – ბ.ფილიმონოვი
- ი.ბ. – ი.ბოხაშვილი

კ.ფ. გუცანკო, ლ.პ. გოლოვკო, ბ.ა. შილიშვილი

**დასავლეთის სახელმწიფოთა
სისხლის სამართლის პროცესი**

(თარგმანი ქართულ ენაზე)

**გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2007**

**რედაქტორი მ. ჩიკვილაძე
ტექ. რედაქტორი ი. ნაუროზაშვილი
კორექტორი მ. კრავეიშვილი**

**უკ (UDC) 343.1(100)
გ – 994**

- © გამომცემლობა „მერიდიანი“, 2007
- © ი. ბოხაშვილი, თ. შაყულაშვილი, ვ. ხუციშვილი,
ნ. გოგნიაშვილი.

ISBN 99941-10-004-8